ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი
ტირანიის სამსჯავროს წინაშე

დოკუმენტები და მასალები
(XX საუკუნის 20-30-იანი წლები)

გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს
პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2004

წინამდებარე კრებულში ქვეყნდება მასალა საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1930 წლის დეკემბერსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1936 წლის მარტ-აპრილში გამართული დისკუსიების შესახებ. დისკუსიები მიმართული იყო ივანე ჯავახიშვილისა და სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა მეცნიერებაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დამკვიდრებას. კრებულის დანართში ქვეყნდება მასალა, რომელიც რაიმე კუთხით უკავშირდება ზემოთხსენებულ დისკუსიებს.

რედაქტორი პროფ. დიმიტრი შველიძე

რეცენზენტები: დოც. ავთანდილ წოწკოლაური
დოც. მიხეილ ბახტაძე

© ვ. ვაჩნაძე, ვ. გურული, 2004
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2004

ISBN 99928-993-8-7

ივანე ჯავახიშვილი
ტირანიის სამსჯავროს წინაშე

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში შემოვიდა. თავისუფლების არასრული სამი წელი მოგონებად იქცა. რა მოვიპოვეთ ქართველებმა რუსეთის იმპერიის ნგრევიდან (1917 წლის თებერვალ-მარტიდან) გასული დროის არც თუ ისე დიდი მონაკვეთის მანძილზე? ბევრი რამ. იმდენად ბევრი, რომ დაუჯერებლადაც კი შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს. 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, ქართველი სამღვდელოების ცნობილმა წარმომადგენლებმა მიიღეს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გადაწყვეტილება. ეს მოხდა რუსეთის მიერ მცხეთის საკათალიკოსო ტახტის გაუქმებიდან (1811 წ.) 106 წლის შემდეგ. 1918 წლის 26 იანვარს თბილისში, ქართული გიმნაზიის შენობაში, გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. თბილისის უნივერსიტეტი დააარსეს ქართველმა მეცნიერებმა ივანე ჯავახიშვილის წინამძღოლობით. უნივერსიტეტის პირველ რექტორად პროფესორთა საბჭომ აირჩია პეტრე მელიქიშვილი. 1919 წლის 17 დეკემბერს უნივერსიტეტის რექტორად ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს. 1918 წლის 26 მაისს თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში, ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებიდან (1801 წ.) 117 წლის შემდეგ.

სამმა დიდმა მოვლენამ — ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამ, უნივერსიტეტის გახსნამ და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ — განსაზღვრა ქართველი ერის მომავალი, საქართველოს უახლესი ისტორია. სახელმწიფოებრიობა, მართლმადიდებლობა და უნივერსიტეტი იყო ის, რაც განსაზღვრავდა ჩვენს რაობას, რაც გამოგვარჩევდა ჩვენ რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ დარჩენილ უზარმაზარ სივრცეში. ყოველივე ამის გამო სახელმწიფოებრიობასაც, მართლმადიდებელ ეკლესიასაც და უნივერსიტეტსაც იმთავითვე ბევრი მტერი გამოუჩნდა.

რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში 25 თებერვალს შემოვიდა. მეორე დღეს, 26 თებერვალს, რუსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები მე-11 არმიის სარდლობასთან გამოცხადნენ და თბილისის უნივერსიტეტის დახურვა მოითხოვეს. ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას თბილისის უნივერსიტეტის დახურვა არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, საბჭოთა რუსეთის მსგავსად, საქართველოში დაიწყო მარლთმადიდებლური ეკლესიის დარბევა: ღვთისმსახურების აკრძალვა, მორწმუნეთა დევნა, ეკლესიებისა და მონასტრების დახურვა, სამღვდელოების რჩეული ნაწილის დაპატიმრება, რასაც შედეგად სულიერების დაკნინება მოჰყვა.

ამრიგად, ჩვენი ეროვნების გადამრჩენი სამი ფენომენიდან — სახელმწიფოებრიობა, ეკლესია, უნივერსიტეტი — ერთიღა შემოგვრჩა. თბილისის უნივერსიტეტი ბოლშევიკური ტირანიის ბატონობის ხანაში დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და დარბეული ეკლესიის სანაცვლოც იყო და უპირველესი უმაღლესი სასწავლებელიც — სწავლა-განათლებისა და მეცნიერების კერა. ამიერიდან სწორედ უნივერსიტეტს უნდა მიეცა ერისათვის ყველაფერი ის, რასაც აძლევდა სახელმწიფოებრიობა, ეკლესია და უმაღლესი სკოლა სწორედ ამიტომ

გასცდა თბილისის უნივერსიტეტის დანიშნულება უმაღლესი სკოლის, თუნდაც უნივერსიტეტის, დანიშნულებას და იქცა ქართველი ერის სულიერი გადარჩენის კერად. ამ დიდი მისიის აღსრულება ადვილი არ იყო, მით უფრო სულ სამიოდე წლის წინ დაარსებული უნივერსიტეტისათვის. თბილისის უნივერსიტეტი და მისი რექტორი ივანე ჯავახიშვილი მზად აღმოჩნდნენ, ეკისრათ ერის გადამრჩენის მისია.

1921 წლის 25 თებერვლიდან თბილისის უნივერსიტეტი სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდა. პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში დამყარდა, საქართველოშიც იწყებდა დამკვიდრებას. ეს დანაშაულებრივი რეჟიმი, რომელიც ისტორიაში საბჭოთა წყობილების სახელით შევიდა, ვ. ლენინის მეთაურობით ბოლშევიკებმა ჯერ რუს ერს მოახვიეს თავს, ხოლო შემდეგ ყოფილი რუსეთის იმპერიის თითქმის მთელს სივრცეზე გააბატონეს შენიღბული თუ აშკარა აგრესიის გზით. იგი ისეთივე დამღუპველი აღმოჩნდა რუსი ერისათვის, როგორც ქართველი, უკრაინელი, სომეხი და სხვა ერებისათვის.

საბჭოთა რუსეთი (1922 წლის 30 დეკემბრიდან – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი) ოფიციალურად პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო იყო. პროლეტარიატის დიქტატურით ინიღბებოდა კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის დიქტატურა, ხოლო ერთ მილიონიანი პარტიის (1926 წ.) დიქტატურა პრაქტიკულად წარმოადგენდა ხუნტას, რომლის სათავეში იდგნენ იმდროინდელი მსოფლიოს ყველა მონარქზე გაცილებით დიდი უფლებებით აღჭურვილი ბოლშევიკი ლიდერები – ჯერ ვლადიმერ ლენინი, ხოლო შემდეგ იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი). ვ. ლენინის დროს (1917-1924 წწ.) ხუნტა, ასე თუ ისე, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის მართვაში. ი. სტალინმა ხუნტაც არარაობად აქცია და ისეთი ძალაუფლება მოიპოვა, ბოლო მონარქს – ნიკოლოზ II-ს რომ საოცნებოდ ჰქონდა.

უზარმაზარი სახელმწიფო იმართებოდა პარტიულ ბიუროკრატიაზე დაყრდნობით, იმ პარტიაზე დაყრდნობით, რომლის ერთი მილიონი წევრიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა 1%-ზე ნაკლებს, 63%-ს მიღებული ჰქონდა დაწყებითი განათლება, ხოლო 26%-მა წერა-კითხვა ისე ისწავლა, სკოლაში საერთოდ არ უვლია. აი, ასეთი კადრები განაგებდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, იგი წარმართავდა უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლების მუშაობას, ადგილობრივ მმართველობას, მთელს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

საბჭოთა სისტემა რამდენიმე ნიშნით ხასიათდებოდა. მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი საკმარისია სისტემის არსში გარკვევისათვის. ეს ნიშნებია:

1. კოსმოპოლიტიზმი, რაც პრაქტიკულად ნიშნავდა ეროვნული ფენომენის უარყოფას და „მსოფლიო სოციალისტური სახელმწიფოსა“ და „მსოფლიო მოქალაქის“ ჩამოყალიბების აუცილებლობის აღიარებას.

2. ათეიზმი, უფრო ზუსტად, მებრძოლი ათეიზმი, რაც ღმერთის უარყოფასთან ერთად ეკლესიის სრულ განადგურებასაც ითვალისწინებდა.

3. ოპოზიციური აზრის დევნა და ოპოზიციური ძალების ფიზიკური განადგურება.

4. პოპულიზმი და უკიდურესად დახვეწილი დემაგოგია.

5. ეკლიკოდერჟავული პოლიტიკის ფორმალური უარყოფის ფონზე ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნის მისწრაფება.

6. არარუსი ერების ასიმილაციას.

7. პოლიტიკური ლიდერის გაღმერთებასა და ყველა წარმატების მისთვის მიწერას.

8. კერძო საკუთრებაზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკის შეცვლა საზოგადო საკუთრებაზე დამყარებული, სახელმწიფოს მიერ მიმართული ეკონომიკით, რაც ნიშნავდა:

ა) კერძო საკუთრების სრულ მოსპობასა და მის შეცვლას სახელმწიფო საკუთრებით, რაც შრომას ადამიანის გამდიდრების საშუალებიდან სახელმწიფოს გამდიდრების საშუალებად აქცევდა;

ბ) მატერიალური დაინტერესების პრინციპის უგულებელყოფას და სხვადასხვა სოციალური ფენის მატერიალური მდგომარეობის ხელოვნურად მოწესრიგებას;

გ) წარმოების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის შეცვლას წარმოებისა და გასაღების წინასწარი დაგეგმვით, რეგლამენტირებით;

დ) საშინაო და საგარეო ვაჭრობის სრულ მონოპოლიზაციას.

9. ყოველგვარი ბურჟუაზიულის დაგმობასა და მისგან სრულ გამიჯვნას.

10. ბურჟუაზიული სამყაროს აღსასრულის ქადაგებასა და სოციალიზმის კაცობრიობის მომავლად გამოცხადებას.

აი, ამ პრინციპებს ემყარებოდა ის პოლიტიკური სისტემა, რომელშიც აგრძელებდა არსებობას საქართველო 1921 წლიდან.

თბილისის უნივერსიტეტს მოსკოვი და მისი თბილისელი სატელიტები საბჭოთა წყობილების იდეურ ოპოზიციად განიხილავდნენ. ეს ასეც იყო. უნივერსიტეტის პროფესურის აბსოლუტური უმრავლესობა, რექტორით სათავეში, არ შეიძლებოდა საბჭოთა წყობილების მომხრე ყოფილიყო. ივანე ჯავახიშვილი სხვა მხრივაც იყო მიუღებელი საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი თავის მეცნიერული მემკვიდრეობით, თავისი „ქართველი ერის ისტორიით", „ძველი ქართული საისტორიო მწერლობით", „ქართული სამართლის ისტორიით", ქართველ ერში იმას ნერგავდა, რის ამოძირკვასაც ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება. ცხადია, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაზე" აღზრდილი ახალგაზრდობა კოსმოპოლიტიზმზე, ეკლიკოდერჟავულ შოვინიზმზე, დემაგოგიასა და ძალმომრეობაზე დამყარებული საზოგადოების მშენებლობაში არ მიიღებდა მონაწილეობას. ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა წყობილებისათვის მიუღებელ მოღვაწედ იქნა მიჩნეული. ივანე ჯავახიშვილის რექტორობიდან გადაყენება (1926 წ.) დიდად არ გასჭირვებია საბჭოთა ხელისუფლებას. „1925 წელს მთავრობამ იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. დიდი მეცნიერი შეებრძოლა ამგვარ ქმედებას და ძვირადაც დაუჯდა. 1926 წლის ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან და პრაქტიკულად ჩამოაცილეს უნივერსიტეტს" (რ. მეტრეველი. ივანე ჯავახიშვილი. — ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2002, გვ. 27).

ივანე ჯავახიშვილის ნაცვლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 1926 წლის სექტემბერში თევდორე (თედო) ღლონტი დაინიშნა. თედო ღლონტი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მემარცხენე ფრთის ერთ-ერთი ლიდერი იყო. 1918-1921 წლებში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, 1921 წლიდან თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან. 1924 წელს, როდესაც საქართველოში ბოლშევიკების მიერ გაჩაღებულმა სისხლიანმა ტერორმა კულმინაციას მიაღწია, თედო ღლონტი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი ხდება. მარტო ეს ფაქტიც კი კარგად მეტყველებს, თუ რა რწმენის, რა იდეების მატარებელი იყო თედო ღლონტი (გ. სითიძე. თბილისის უნივერსიტეტის რექტორები. თბილისი,

2002, გვ. 33-34). 1926 წლის სექტემბერში თედო ღლონტი, „მონანიებული ფედერალისტი", თბილისის უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს. უმალვე დაიწყო შეტევა იმ ტრადიციებზე, რომელიც უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა დაამკვიდრეს. 1928 წელს თედო ღლონტმა ჟურნალში „ახალი სკოლისაკენ" გამოაქვეყნა სამარცხვინო წერილი „ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი". ავტორი ურცხვად სწამებდა ცილს ივანე ჯავახიშვილსა და უნივერსიტეტის სხვა დამაარსებლებს. თედო ღლონტი წერდა: „

უფრო სერიოზული სამზადისი მიმდინარეობდა ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის უარყოფისა და დიდი მეცნიერის მიერ შექმნილი სკოლის განადგურებისათვის. აქ ძალმომრეობა, დაშინება და შანტაჟი საკმარისი არ იქნებოდა. საჭირო იყო ქართული ისტორიოგრაფიის დაპირისპირება ივანე ჯავახიშვილთან. პოლიტიკური მსჯავრი ივანე ჯავახიშვილს ხელისუფლებამ გამოუტანა, „მეცნიერული" მსჯავრი ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს უნდა გამოეტანათ. ივანე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტსა თუ მის გარეთ მოღვაწე ისტორიკოსთა, მისი კოლეგებისა და მოწაფეების, უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა ხელით უნდა დასამარებულიყო. თუ ეს მიზანი მიღწეული იქნებოდა, თბილისის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის სწავლება ივანე ჯავახიშვილის მოწინააღმდეგეთა ხელში აღმოჩნდებოდა და პატრიოტული სულისკვეთებაც ნელ-ნელა ჩაკვდებოდა!

1926 წლიდან, როგორც აღვნიშნეთ, ივანე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტის რექტორი აღარ იყო. იგი, როგორც ლექტორი, პრაქტიკულად ჩამოსცილდა უნივერსიტეტს. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი თავისი ძველი პროფესურით მაინც საბჭოთა ხელისუფლების ოპოზიციურ ძალად განიხილებოდა. ხელისუფლებას სერიოზულად აფიქრებდა ივანე ჯავახიშვილის საოცარი პოპულარობა სტუდენტთა შორის. აი, რას წერდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (უშიშროების სამსახურის) უფროსი ლავრენტი ბერია 1928 წლის 5 აპრილის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში:

"**О Госунте Грузии.** Несмотря на все чистки и ограничения в приеме, все же состав студенчества на добрую половину – не наш. Принятые меры по оздоровлению Госунта оказались недостаточными, половинчатыми и поэтому не дали желательных результатов. Масса студенчества, обнимающая до 8.000 чел., в идеологическом отношении находится в большинстве под влиянием шовинистически-антисоветски настроенных слоев населения. Немалое число студентов, в той или иной форме, участвует в работе антисовпартий.

Наибольшим влиянием среди студенчества по-прежнему пользуются шовинистически-антисоветски настроенные профессора.

Профессор **Джавахишвили** буквально боготворится. Это настоящий кумир студенчества. Характерно, что во время торжественного заседания по случаю десятилетия Госунта, студенчество довольно холодно приняло т. т. **Ф. Махарадзе, Тедо Глонти** и других представителей власти, но стоило кому-то предложить выбрать в президиум проф. **Джавахишвили** (он сам отсутствовал), как зал буквально стал греметь долго несмолкаемыми рукоплесканиями и приветственными выкриками. Это весьма смутило тов. **Филиппа.** Тут-то он наконец мог на деле убедиться, на чьей стороне находятся

симпатии массы студенчества и чья идеология ее пленяет. А то бывало раньше, докладываешь об истинном положении вещей в Госутне, а тебе говорят "не может быть"

С таким студенчеством еще много придется повозиться, и кто его знает, что можно ожидать от него в случае каких-либо серьезных осложнений в стране" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღწერა 4, საქმე 82, ფურცლები 59-60).

უნივერსიტეტები იმხანად მთელს საბჭოთა კავშირში განიხილებოდა ოპოზიციური აზრის ბუდედ. ეროვნული უნივერსიტეტები, ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. აქ სოციალური და ეროვნული ოპოზიცია ერთად იყრიდა თავს. თბილისის უნივერსიტეტის ძველი პროფესურისათვის საბჭოთა წყობილება მიუღებელი იყო როგორც მისი სოციალური, ისე ეროვნული პოლიტიკის გამო. XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უპირატესობა პოლიტექნიკურ განათლებასა და ტექნიკური კადრების მომზადებას მიანიჭა. ეს პრაქტიკულად საუნივერსიტეტო სისტემის ნგრევის დაწყების მომასწავებელი იყო. ეს პროცესი დამლუპველი იყო საქართველოსათვის. ხელიდან გეცლებოდა თავისუფლების უკანასკნელი ოაზისი.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. ამ პროცესს „რეორგანიზაცია" პოლიტიკური მოსაზრებით უწოდეს. სინამდვილეში ეს იყო უნივერსიტეტის დაშლა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად მისი საბოლოო გაუქმების მიზნით. უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ოთხი სპეციალიზებული სასწავლო ინსტიტუტი:

1. საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (სამკურნალო ფაკულტეტის ბაზაზე);

2. საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (პედაგოგიური ფაკულტეტის ბაზაზე), რომელსაც შეუერთეს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი და სამხატვრო აკადემია;

3. საფინანსო-კოოპერაციული ინსტიტუტი (სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის ბაზაზე);

4. საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი (სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტის ბაზაზე).

ცნობილი მკვლევარი პროფესორი სერგო ჯორბენაძე წერს: „პედაგოგიური ინსტიტუტი იყო ნამდვილი მონაცვლე უნივერსიტეტის ძირითადი სასწაულო პროცესისა; სწორედ მასშია უნივერსიტეტის არსებობის უწყვეტობა, ვინაიდან აქ გაგრძელდა მეცნიერული კვლევის უკვე არსებული ტრადიციები არა მარტო ფილოლოგიაში, ფილოსოფიასა და ისტორიაში, არამედ ფიზიკა-მათემატიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფია-გეოლოგიაში" (ს. ჯორბენაძე. თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია. თბილისი, 1988, გვ. 122).

საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ჩამოყალიბების პერიოდისათვის (1930-1931 სასწაულო წლისათვის) ექვი ფაკულტეტი ჰქონდა. აქედან ჰუმანიტარული პროფილის ფაკულტეტები იყო:

1. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (ქართული ენისა და ლიტერატურისა და ევროპული ენებისა და ლიტერატურის განყოფილებებით) — დეკანი პროფ. კორნელი კეკელიძე;

2. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფაკულტეტი (ფილოსოფიურ-ისტორიული და ეკონომიკური განყოფილებებით) — დეკანი პროფ. სიმონ ხუნდაძე.

3. ფილოლოგიურ-პედაგოგიური ფაკულტეტი (პედაგოგიური, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის განყოფილებებით) — დეკანი პროფ. კოტე ბაქრაძე.

4. სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი (ფერწერისა და ქანდაკების განყოფილებებით) — დეკანი პროფ. დავით კაკაბაძე.

1930 წლის ნოემბრისათვის საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 49 პროფესორი იყო. პროფესორთა კოლეგიის პირველ შემადგენლობაში 8 პროფესორი შევიდა ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით. ინსტიტუტში შეთავსებით მუშაობდა ფილიპე გოგიჩაიშვილი. ინსტიტუტის პროფესორები იყვნენ: ლადო გუდიაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, დავით კაკაბაძე, იოსებ შარლემანი და სხვები. საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 48 კათედრა ფუნქციონირებდა. ბევრი კათედრის მუშაობა სცილდებოდა პედაგოგიური ინსტიტუტის დანიშნულებას (ს. ჯორბენაძე. თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბილისი, 1988, გვ. 123).

საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გაგრძელდა საქართველოს ისტორიის კვლევისა და სწავლების ის ტრადიცია, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა თბილისის უნივერსიტეტში დაამკვიდრა 1918 წლიდან. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლების მიზანი ეს სულაც არ იყო. პედაგოგიურ ინსტიტუტში სწორედ უნივერსიტეტის ტრადიციები უნდა ჩამკვდარიყო. ამ მიზანს ემსახურებოდა 1930 წელს საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად ივანე ვაშაყმაძის (1901-1937) დანიშვნა. ივანე ვაშაყმაძე სწორედ რომ შესაფერისი პიროვნება იყო. 1917 წელს ი. ვაშაყმაძე რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი ხდება. ამ დროს იგი 16 წლისა იყო. 1919 წელს ი. ვაშაყმაძე ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის (კომკავშირის) გურიის ორგანიზაციის დაარსებაში. 1921 წლიდან, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ი. ვაშაყმაძე იყო დუშეთისა და ახალსენაკის კომკავშირის სამაზრო კომიტეტების მდივანი. 1923 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ვაშაყმაძე მოსკოვში მიავლინა, სადაც მან დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კომუნისტკური აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. ი. ვაშაყმაძე პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც კითხულობდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კურსს (გ. საითიძე. თბილისის უნივერსიტეტის რექტორები. თბილისი, 2002, გვ. 38-39).

ივანე ვაშაყმაძე საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მითითებით 1930-1931 წლებში ხელმძღვანელობდა ძველი პროფესურის (ოფიციალური ტერმინოლოგიით „ბურჟუაზიული კადრების“) დევნასა და შევიწროვებას, რომელიც ისტორიაში კონდრატიევშჩინის (ცნობილი რუსი მეცნიერი ეკონომისტის ნიკოლოზ კონდრატიევის გვარის მიხედვით) წინააღმდეგ ბრძოლის სახელითაა ცნობილი. ამ პერიოდში ი. ვაშაყმაძე თავს დაესხა ივანე ჯავახიშვილსა და მის სკოლას, ასევე კორნელი კეკელიძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, აკაკი შანიძეს, ვარლამ თოფურიას, არნოლდ ჩიქობავას და სხვებს. კონდრატიევშჩინასთან ბრძოლის საბაბით 1931 წლის 28 მაისს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან დაითხოვეს: ივანე ჯავახიშვილი, ანდრია ბენაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გრიგოლ

წერეთელი, მიხეილ პოლიევქტოვი, გიორგი გეხტმანი, გიორგი გამყრელიძე და სხვები (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი).

ივანე ვაშაყმაძე საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე ალექსანდრე ერქომაიშვილმა (1887-1937) შეცვალა. იგი რექტორი იყო 1931-1932 წლებში. საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება არც ა. ერქომაიშვილის კანდიდატურის შერჩევისას შემცდარა. ა. ერქომაიშვილი 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე იყო, რისთვისაც იგი გადაასახლეს და 1907-1917 წლები ციმბირში (ქ. კრასნოიარსკში) გაატარა. 1921 წლიდან, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ა. ერქომაიშვილი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარი (მინისტრი), ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის საფინანსო ინსტიტუტის დირექტორი. 1931 წელს, როგორც აღვნიშნეთ, დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად (გ. საითიძე. თბილისის უნივერსიტეტის რექტორები. თბილისი, 2002, გვ. 41).

მართალია, საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ნამდვილი მონაცვლე, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. თბილისის უნივერსიტეტის დაშლა ცალკეულ სპეციალიზებულ სასწავლო ინსტიტუტებად დიდი შეცდომა იყო. „უნივერსიტეტის ბაზაზე პედაგოგიური ინსტიტუტის შექმნამ წარმოშვა საფრთხე ფუნდამენტური მეცნიერების დარგში მომუშავე წამყვან ძალთა დაქსაქსვისა და სამეცნიერო საკვლევი მუშაობის შეფერხებისა“ (ს. ჯორბენაძე. თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია. თბილისი, 1988, გვ. 128).

1932 წელს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საუნივერსიტეტო სწავლების სისტემაში გატარებული რეორგანიზაცია შეუსაბამოდ მიიჩნია. კურსი აღებული იქნა ძველი უნივერსიტეტების გაძლიერებასა და ახალი უნივერსიტეტების გახსნაზე.

1933 წლის 8 იანვარს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომლის ძალითაც სამი ინსტიტუტი — საფინანსო ეკონომიური ინსტიტუტის, საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტისა და, ნაწილობრივ, პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე აღდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამით დამთავრდა ორწლიანი მარცხიანი ექსპერიმენტი.

აღდგენილი უნივერსიტეტის რექტორად 1933 წლის აპრილში დაინიშნა ლევან აღნიაშვილი (1897-1937), რომელმაც ამ თანამდებობაზე 1935 წლის ივლისამდე დაჰყო. ლ. აღნიაშვილი განათლებით იურისტი, პროფესორი იყო. საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ რექტორის კანდიდატურა ამჯერადაც კარგად შეარჩია. ბოლშევიკი ლ. აღნიაშვილი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წელს ქვეყნიდან გაასახლა. რუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის დავალებით 1918 წლიდან ლ. აღნიაშვილი პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა ჩრდილო კავკასიაში, უკრაინაში, ვოლგისპირეთსა (ქ. ყაზანში) და ბელორუსიაში (მინსკის ოლქში). 1926 წლიდან ლ. აღნიაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი იყო (გ. საითიძე. თბილისის უნივერსიტეტის რექტორები. თბილისი, 2002, გვ. 43).

1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხუთი ფაკულტეტი არსებობდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტი, რომელიც ორი განყო-

ფილებისაგან შედგებოდა. ისტორიულ განყოფილებაზე არსებობდა ორი სექცია — ისტორიისა და ფილოსოფიისა, ხოლო ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე სამი სექცია — ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენებისა და ლიტერატურის.

ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანი იყო ცნობილი მკვლევარი პროფ. სიმონ ხუნდაძე, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან მალე — 1933 წლის აგვისტოში — გარდაიცვალა.

ისტორიულ-ლიტერატურულ ფაკულტეტზე ისტორიის პროფილის სულ ოთხი კათედრა არსებობდა:

1. საქართველოს ისტორიის (გამგე ფილიპე მახარაძე);
2. საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის (გამგე პროფ. გიორგი ხაჭაპურიძე);
3. მსოფლიო ისტორიის (გამგე პროფ. გრიგოლ ნათაძე);
4. ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის (გამგე პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი).

ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის დასამარებას ისახავდა მიზნად საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ ფილიპე მახარაძისა, ხოლო კათედრის გამგის მოადგილედ ლუკა ციხისთავის დანიშვნა. პრაქტიკულად საქართველოს ისტორიის კათედრას ლუკა ციხისთავი განაგებდა. მან ეს საპასუხისმგებლო თანამდებობა ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ თავგამოდებული ბრძოლის სანაცვლოდ მიიღო. ლუკა ციხისთავი კომუნისტ ისტორიკოსთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც ფილიპე მახარაძის წინამძღოლობით ქართულ ისტორიოგრაფიაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისათვის იბრძოდა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგედ დაინიშნა ასევე კომუნისტი ისტორიკოსი გიორგი პერაშკოვი (ხაჭაპურიძე).

1934 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურამ კვლავ ცვლილება განიცადა. ფაკულტეტების რაოდენობა ხუთიდან რვამდე გაიზარდა. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილებით, რომელიც სამოქალაქო ისტორიის სწავლებას ეხებოდა, მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტებში აღდგენილი იქნა ისტორიის ფაკულტეტები. 1934 წლის 19 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტი გაიყო და ჩამოყალიბდა ორი ფაკულტეტი: ისტორიის ფაკულტეტი და ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (ამ უკანასკნელს 1936 წელს ფილოლოგიის ფაკულტეტი ეწოდა).

ისტორიის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა შემდეგი განყოფილებები, სექციები და სპეციალობები:

1. ისტორიული განყოფილება: ა) საქართველოს ისტორიის სექცია — ძველი და ახალი ისტორიის სპეციალობით; ბ) საბჭოთა კავშირის ისტორიის სექცია; გ) მსოფლიო ისტორიის სექცია — ძველი, შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის სპეციალობებით.

2. ფილოსოფიური განყოფილება: ფილოსოფიის ისტორიის, დიალექტიკური მატერიალიზმისა და ფსიქოლოგიის სპეციალობებით.

ისტორიის ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა დოცენტი ნიკოლოზ (ნიკო) მახარაძე. ნ. მახარაძეც კომუნისტ ისტორიკოსთა იმ ჯგუფში შედიოდა, რომელიც ფილიპე მახარა-

ძის ხელმძღვანელობით ქართულ ისტორიოგრაფიაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისათვის იბრძოდა.

1935 წლის ივნისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა კარლო ორაგველიძე (1902-1937). მან ამ თანამდებობაზე 1937 წლის ივნისამდე დაჰყო. კარლო ორაგველიძეს დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის ი. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი და მინიჭებული ჰქონდა წითელი პროფესორის წოდება. რექტორად დანიშვნამდე იგი განაგებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებას (გ. სითიძე. თბილისის უნივერსიტეტის რექტორები. თბილისი, 2002, გვ. 45-46).

კარლო ორაგველიძეს ხვდა წილად ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ მიმართული სამარცხვინო კამპანიის ბოლომდე მიყვანა.

XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებიდან უმძიმესი პერიოდი დადგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში. ვითარება კიდევ უფრო აუტანელი გახდა 30-იან წლებში. ეს იყო საბჭოთა კავშირში დაწყებული იმ პოლიტიკური პროცესის გამოძახილი, რომლის მიზანს შეადგენდა ოპოზიციური ძალების იდეური და ფიზიკური განადგურება. საბჭოთა (კომუნისტურ) ისტორიოგრაფიაში ეს პერიოდი შეფასებულია მძაფრი იდეური ბრძოლის პერიოდად. სინამდვილეში ეს არ იყო იდეური ბრძოლა. იდეურ ბრძოლას სჭირდება ორი დაპირისპირებული მხარე. საზოგადოებაში კი ასეთი დაპირისპირების მიზეზი არ არსებობდა. დაპირისპირება არსებობდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. იგი იდეური არ ყოფილა და ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლამ წარმოშვა. საზოგადოებას ეს დაპირისპირება არ ეხებოდა და, ამდენად, არც აინტერესებდა. საზოგადოება უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში არსებული დაჯგუფებების მიერ იყო პროვოცირებული და მის აბსოლუტურ უმრავლესობას ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში დაწყებული ბრძოლის მიზეზი არც კი ესმოდა. მაგალითად, საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის გაუგებარი იყო იოსებ სტალინისა (ჯუღაშვილისა) და ლევ ტროცკის (ბრონშტეინის), იოსებ სტალინისა და გრიგორი ზინოვიევის (რადომისლსკის), იოსებ სტალინისა და ლევ კამენევის (როზენფელდის), იოსებ სტალინისა და ნიკოლაი ბუხარინის დაპირისპირებისა და მათ შორის მიმდინარე ცხარე ბრძოლის მიზეზები. დაპირისპირებული მხარეები თავიანთ სასარგებლოდ ახდენდნენ საზოგადოების პროვოცირებას. ამ შემთხვევაში საზოგადოების მიმხრობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა დაპირისპირების მიზეზების ახსნას, არამედ იმას, თუ პოლიტიკური ლიდერებიდან ვინ უკეთ ფლობდა პოლიტიკური და სოციალური დემაგოგიის ხელოვნებას, ვინ უფრო პოპულისტური ფორმით მიიტანდა ხალხამდე თავის სათქმელს. ამ თვალსაზრისით იოსებ სტალინი მიუწვდომელი აღმოჩნდა პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის. ცინიზმით უხვად შეზავებული დემაგოგია და პოპულიზმი იოსებ სტალინის წარმატების ერთერთ მთავარ მიზეზად იქცა. იოსებ სტალინსა და მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს შორის ორად გაყოფილი საზოგადოების მიღმა კიდევ დარჩა საზოგადოების მესამე ნაწილი —

ძველი ინტელიგენცია. ძველი ინტელიგენცია იმთავითვე კარგად გაერკვა შექმნილ ვითარებაში: იოსებ სტალინი და მისი მოწინააღმდეგეები არაფრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ამიტომაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის დარჩებოდა ხელისუფლება. ყველა შემთხვევაში ქვეყანაში დაიწყებოდა რეპრესიები, რომელიც, პირველ რიგში, ძველ ინტელიგენციას შეეწირავდა. ის გზა, რომლითაც ქვეყანას ან იოსებ სტალინი და ან ლევ ტროცკი წაიყვანდნენ, საბოლოოდ მაინც ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის დამყარებით დასრულდებოდა. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ძველ ინტელიგენციას ორი გზა რჩებოდა: ან შეგუება და იდეური დაცემა, ან ბრძოლა და ფიზიკური განადგურება. ძველი ინტელიგენციის უმრავლესობა მეორე გზას არჩევდა.

უდრეკთა ძლიერ ნაკადს შეადგენდა რუსეთის იმპერიისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში აღზრდილი მეცნიერები, ცნობილი სკოლების წარმომადგენლები, რომელთა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა 1917 წლამდე დაიწყო. მეცნიერთა ეს თაობა რუსეთის იმპერიაში სოციალურად პრივილეგირებულ ფენას მიეკუთვნებოდა — პოლიტიკური რეჟიმი მათ მეცნიერულ მოღვაწეობას არ ზღუდავდა, პირიქით, ყოველგვარ პირობას უქმნიდა შემოქმედებითი შრომისათვის. ამასთან ერთად, უნივერსიტეტების პროფესურა მატერიალურადაც კარგად იყო უზრუნველყოფილი. ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ ძველი ინტელიგენცია არც 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციასა და მონარქიის დამხობას მისალმებია და, მით უმეტეს, არც 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებას. სამოქალაქო ომმა და ომის შემდეგ შექმნილმა მძიმე სოციალურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ ძველი ინტელიგენციის, მათ შორის, მეცნიერთა ყოფა აუტანელი გახადა. მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას დაერთო პოლიტიკური რეჟიმის მისწრაფება ოპოზიციური ძალების იდეური და ფიზიკური განადგურებისაკენ. ძველი ინტელიგენცია საბჭოთა წყობილებას ვერ შეურიგდებოდა. მას არ შეეძლო შეგუებოდა იმ ხელისუფლებას, რომლის დევიზი იყო: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“. საბჭოთა ხელისუფლებისა და ძველი ინტელიგენციის შერიგება რომ შეუძლებელი იყო, ორივე მხარემ კარგად იცოდა. ინტელიგენციის წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყებოდა მაშინვე, როგორც კი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ხელისუფლებისათვის დაწყებულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოიკვეთებოდა. 1927 წელს იოსებ სტალინმა ლევ ტროცკიზე გამარჯვება იზეიმა. ლ. ტროცკი ხელისუფლებას ჩამოაცილეს. გამარჯვებულმა ი. სტალინმა „ბურჟუაზიულ კადრებზე“, ე. ი. ძველ ინტელიგენციაზე, მათ შორის, მეცნიერებზე, მიიტანა იერიში. 1928 წელს დიდი რეზონანსი შეიძინა ე. წ. „შახტის საქმემ“. დონბასის შახტების „ბურჟუაზიულ სპეციალისტებს“ ბრალად დადეს, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით მოწყობილ „საბოტაჟში“ მონაწილეობა. მათმა გასამართლებამ აშკარად პოლიტიკური დაკვეთის ელფერი შეიძინა. 1930 წელს გაასამართლეს მეცნიერი ეკონომისტები ნიკოლოზ კონდრატიევი და ალექსანდრე ჩაიანოვი.

ნიკოლოზ კონდრატიევი (1892-1938) იყო გამოჩენილი ეკონომისტი. მისი ნაშრომები მიეძღვნა მაკროეკონომიკურ მოდელირებას, კონიუნქტურის თეორიასა და ეკონომიკური დინამიკის საკითხებს. ნ. კონდრატიევმა პეტროგრადის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1915 წ.) მუშაობა დაიწყო რუსეთის ერობათა კავშირში, სადაც განაგებდა სტატისტიკურ-ეკონომიკურ განყოფილებას. ნ. კონდრატიევი იყო რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის ა. კერენსკის მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში, ხოლო შემდეგ — დროებითი მთავრობის უკანასკნელ შემადგენლობაში — სასურსათო საქმეთა მინისტრის

ამხანაგი (მოადგილე). 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ასევე სამოქალაქო ომის წლებში იგი აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. იდევნებოდა რუსეთის საგანგებო კომისიისა და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (უშიშროების სამსახურის) მიერ. 1920 წლიდან ნ. კონდრატენკო ა. ჩაიანოვთან, ა. რიბნიკოვთან და ლ. ლიტოშჩენკოსთან ერთად მუშაობდა რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიტსა და ფინანსთა სახალხო კომისარიატში. 1920-1928 წლებში ხელმძღვანელობდა კონიუნქტურის ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ნ. კონდრატიევის უმთავრესი ნაშრომებია „ჰურის ბაზარი და მისი რეგულირება ომისა და რევოლუციის დროს“ (1922 წ.), „მსოფლიო მეურნეობა და მისი კონიუნქტურა ომის დროსა და ომის შემდეგ“ (1922 წ.), „კონიუნქტურის დიდი ციკლები“ (1925 წ.) და სხვ. ნ. კონდრატიევის შეხედულება აშკარად წინააღმდეგობაში მოდიოდა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ი. სტალინისეულ გაგებასთან. ნ. კონდრატიევმა თავისი შეხედულებები არ უარყო, რის გამოც გადაწყდა მისი საჯაროდ გასამართლება, ცხადია, სულ სხვა ბრალდებით. 1930 წელს ნ. კონდრატიევს ბრალი დასდეს არალეგალური „მშრომელ გლეხთა პარტიის“ წევრობაში და გაასამართლეს. მოსკოვში, ბუტირკის ციხეში, ნ. კონდრატიევმა დაწერა ფუნდამენტალური ნაშრომი „ეკონომიკური სტატისტიკისა და დინამიკის ძირითადი პრობლემები“ (გამოიცა 1991 წელს). ნ. კონდრატიევი 1938 წელს ხელახლა გაასამართლეს და დახვრიტეს. ნ. კონდრატიევთან ერთად 1930 წელს „მშრომელ გლეხთა პარტიის“ წევრობის ბრალდებით გაასამართლეს მეორე ცნობილი ეკონომისტი ალექსანდრე ჩაიანოვი (1888-1937). მეორედ გასამართლების შემდეგ 1937 წელს ა. ჩაიანოვიც დახვრიტეს.

ნიკოლოზ კონდრატიევის გასამართლების შემდეგ 1930 წელს მთელს საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, დაიწყო ბრძოლა კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ, რაც, პრაქტიკულად, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელ მეცნიერთა და მეცნიერული შეხედულებების დევნაში გამოიხატა. კონდრატიევშჩინასთან ბრძოლის პერიოდში დაიწყო ივანე ჯავახიშვილისა და ბევრი სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის დევნა და შევიწროება. ცხადია, ნიკოლოზ კონდრატიევი აქ არაფერ შუაში იყო. საბჭოთა ხელისუფლება იწყებდა ძველი ინტელიგენციის, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერთა დევნას. ამ პოლიტიკური კამპანიის მიზანი იყო „ურჩ“ მეცნიერთა განდევნა უმაღლესი სასწავლებლებიდან და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან, მათი იზოლირება საზოგადოებიდან.

საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ წინასწარ განსაზღვრა იმ მეცნიერთა სია, რომელთაც ბრალი უნდა დასდებოდათ არამეცნიერული შეხედულებების წამოყენებასა და პროპაგანდაში.

სამარცხვინო სამსჯავროს ადგილად შეირჩა საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სამსჯავროს გახსნის დღედ – 1930 წლის 13 დეკემბერი, მთავარ ბრალმდებლად – პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ივანე ვაშაყმაძე. სამარცხვინო სამსჯავროს მიზანი იყო ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის, ასევე სხვა დიდი ქართველი მეცნიერების იდეური განადგურება. თავად ივანე ჯავახიშვილი, მიწვევის მიუხედავად, სამსჯავროს სხდომაზე არ გამოცხადებულა.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1) დაცულ მასალაში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გამართულ დისკუსიას ეხება, ივანე ვაშაყმაძის მიერ 1930 წლის 13 დეკემ-

ბერს, დისკუსიის პირველ სხდომაზე წაკითხული მოხსენების სტენოგრამა არ აღმოჩნდა. დანარჩენი სხდომების (მეორე სხდომა 14 დეკემბრისა, მესამე – 15 დეკემბრისა, მეოთხე – 17 დეკემბრისა) სტენოგრამა სრულადაა შემონახული, რომლის დიდ ნაწილს ქვემოთ ვთავაზობთ მკითხველს. პირველ სხდომაზე ივანე ვაშაყმაძის მიერ წაკითხული მოხსენება 1931 წელს სათაურით „ათი წელი საბჭოთა მეცნიერებისა საქართველოში“ გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ (იხ. „მნათობი“, 1931, №1-2, გვ. 202-216). ამდენად, ი. ვაშაყმაძის მოხსენების შინაარსი ჩვენთვის ცნობილია.

საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კონდრატიევშჩინასთან ბრძოლის ნიშნით გამართული დისკუსიის შედეგები საბჭოთა წყობილების ბუნების ახსნის თვალსაზრისით ახალს არაფერს გვეუბნება. ზესახელმწიფო – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი – და იმისი წინამორბედი – საბჭოთა რუსეთი – უამრავი უდანაშაულო ადამიანის ჩონჩხზე იყო დაფუძნებული. საბჭოთა ხელისუფლებას თავისი მოქალაქეებისა და კაცობრიობის წინაშე უკვე იმდენი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რომ კონდრატიევშჩინასთან ბრძოლა აღარავის შეაძრწუნებდა. დისკუსია ამაზრზენი იყო ჩვენი, ქართული საზოგადოების, ფიზიონომიის აღქმის თვალსაზრისით. ბოლშევიკური ტირანიის დამყარებიდან ათი წელიც არ გასულიყო, თუმცა ამ ათ წელიწადში საზოგადოების სულიერმა დეგრადაციამ წარმოუდგენელ დონეს მიაღწია.

ი. ვაშაყმაძის მოხსენება და საბოლოო სიტყვა უფრო საბრალდებო დასკვნას ჰგავდა, ვიდრე დისკუსიაზე წასაკითხად გამიზნულ მოხსენებას. ი. ვაშაყმაძემ, ფაქტობრივად, გაწირა ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვები. მოვიტანთ რამდენიმე ადგილს ი. ვაშაყმაძის მოხსენებიდან:

„თუ გადავავლებთ ჩვენ თვალს კულტურულ ფრონტს, განსაკუთრებით კი მეცნიერებას, ჩვენ დავინახავთ, რომ არავითარ ღირსშესანიშნავ მეცნიერულ კვლევა-ძიებას არ ქონია ადგილი. არა თუ კვლევა-ძიებას, არამედ პროგრესიულ-მეცნიერულ ძალებსაც არ აძლევდნენ საშუალებას აქ ჩამოსვლისა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქართველ მეცნიერთა მიერ 6. მარის წინააღმდეგ კამპანიის წარმოება და თითქმის ბოიკოტის გამოცხადებაც კი. მეცნიერებას საქართველოში დაეპატრონა პირწავარდნილი ნაციონალიზმი (ივ. ჯავახიშვილი იმ მოსაზრებით, რომ დაემტკიცებია სომხეთ-საქართველოს ომის სამართლიანობა, წიგნსაც სწერს: „საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული საზღვრები“). მეცნიერებაში ყველაფერი ის, რაც არ უწყობდა ხელს ნაციონალიზმს, ნაციონალისტური სულის განმტკიცებას – დევნილი იყო.“

„ქართულ ნაციონალისტურ ინტელიგენციას მიზნათ დასახული ქონდა ძველი საქართველოს იდეალიზაცია მოეხდინა და ამით ნაციონალისტური სული ჩაენერგა ხალხში. მაგრამ ღირსშესანიშნავ მეცნიერულ მიღწევებს საქართველოს გასაბჭოებამდე მაინც არ ქონია ადგილი. ეს აიხსნება უმთავრესად მით, რომ ნაციონალიზმით დამთვრალი ქართული ინტელიგენცია ვერ ამჩნევდა მეცნიერებათა ახალ მიღწევებს, რომელნიც განსაკუთრებით მოჰყვა მარქსისტულ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმს საქართველოში კარგი დიდი ხნის ისტორია აქვს, ქართველი პროფესორები და მეცნიერნი, რომელნიც უმთავრესად გამოსულნი იყვნენ გაბატონებული კლასის წრეებიდან, ვერ ამჩნევდნენ მას. ეს ნაციონალისტური ტენდენციები საზოგადოებათ მეცნიერებაში ნაწილობრივ გადმოვიდა და განაგრძობდა არსებობას საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. უმთავრესად კი ეს შეეხება საქართველოს ისტორიკოსებს (ივ. ჯავახიშვილის

შკოლა), ქართულ ლიტერატურას და ენათმცოდნეობას (კოტეტიშვილი, ა. შანიძე, თოფურია, ჩიქობავა და სხვა).

ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. ივ. ჯავახიშვილი. იდეოლოგიურად ის ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად მხოლოდ ემპირისტია და ანტი-მარქსისტი. განზოგადოებას და სინთეტიურ აზროვნებას ის გაურბის, ხოლო თუ მის ნაშრომებში შეხვდებით სინთეტიურ აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება. ამის გამო ისტორიული აზროვნება საქართველოში 1921 წლამდე ძალზე ჩამორჩენილი იყო და ნაწილობრივ ივ. ჯავახიშვილის მეოხებით ეხლაც ჩამორჩენილია. მრავალი წიგნები იწერებოდა, მაგრამ მათ ქონდათ უმთავრესად ხასიათი ფაქტების შემოწმების-გენეალოგიის აღდგენისა, თარიღების გამოკვლევის და მეფეების პირადი ცხოვრების აღწერის.

უმთავრესად ასეთ ჩამორჩენილობაში ბრალი მიუძღვის პროფ. ივ. ჯავახიშვილს, თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ფაქტების შეგროვების მხრივ ივ. ჯავახიშვილს აქვს დიდი ღვაწლი — მაგრამ მხოლოდ ფაქტების შეგროვების მხრივ. ამიტომ ივ. ჯავახიშვილის ისტორია არ არის ისტორია როგორც მეცნიერება. საქართველოს მეცნიერულ ისტორიის დამწერს ჯერ კიდევ უცდის საქართველოს ისტორია. ჯავახიშვილი და მისი მიმდევრები არ იცნობენ საზოგადოებრივ ფორმაციას, კლასთა ბრძოლის პრობლემებს. ისინი ისტორიის პერიოდიზაციას ქრონოლოგიის მიხედვით ახდენენ. ისტორიის ასეთი მეთოდოლოგია მე-18 საუკუნის ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიას არ სცილდება და, რა თქმა უნდა, წარმოადგენს რეაქციონურ მიმართულებას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა მრავალი ნაშრომი გამოუშვა. მაგრამ წინმსვლელობა მეთოდოლოგიის მხრივ სრულიად არ ემჩნევა. მისი საქართველოს ეკონომიური ისტორია სრულიად უვარგისია. ეს არ არის ეკონომიური ისტორია, რადგანაც მასში ეკონომიკა სრულიად არაა გაგებული სწორად და მეთოდოლოგიურად, ჯავახიშვილის შემოქმედებაში წინსვლა კი არა, უკან დახევაა."

აქვე მოვიტანთ ნაწვეტებს დისკუსიის მონაწილეთა გამოსვლებიდან.

„პეტრე შარია: ჯავახიშვილს აქვს მეთოდოლოგია, მხოლოდ საკუთარი მეთოდოლოგია. მართალია, ივანე ჯავახიშვილს დიდი დამსახურება აქვს, მაგრამ ეს არ აძლევს იმის გარანტიას, რომ მას შეცდომებს არ გაუსწორებენ, თუ ის თავის პოზიციებს არ გადაშინჯავს, არ დააკვირდება კარგათ, ვერ იხსნის ვერაფერი, რაც უნდა კარგი დამსახურება ჰქონდეს".

„ცხაკაია: აქ ლაპარაკობდენ, რომ პროფ. ჯავახიშვილი დიდი მეცნიერია, ეს სთქვა სიმონ ხუნდაძემ და ასევე განიმეორა მეგრელიძემაც, მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ ეს მხოლოდ შირმაა, თორემ ეს კაცი არ წარმოადგენს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორც ზოგიერთებს გონიათ და არც ასეთი დიდი მეცნიერია".

„ყალიჩავა: მე უნდა დავიწყო პროფესორ პოლიევქტოვისაგან. 25 წელში (ე. ი. 1925 წელს — აეტ.), როდესაც მე ჯერ ვიყავი პირველი კურსის სტუდენტი, მან შემდეგი დებულება წამოაყენა — დღევანდელი ლენინგრადი ეს არის ბოროტება ისტორიის წინაშეო. ლენინგრადი ლენინმა კი არ შექმნა, არამედ პეტრემო და ამისათვის კამათობდა..."

„ რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენი გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკეტაო.

ეს არის კონტრრევოლუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები".

თავის წიგნში ის (ივანე ჯავახიშვილი — ავტ.) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველი ერის გამარჯვების სიმბოლო არის დავით აღმაშენებელი. რევოლუციის აღმშენებლობისათვის არ არის დავით აღმაშენებელი საჭირო, არამედ ის წითელი დროშაა, რომელსაც აწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით".

„ხარატიშვილი: პროლეტარიატი მუდამ ყოფილა და იქნება გულახდილი და არ შეუშინდება არავითარ დაბრკოლებას, როგორც ამას ფიქრობენ ჩვენი მტრები ჯავახიშვილი და წერეთელიც".

„მელიქაძე: მე მინდა თქვენი ყურადღება განსაკუთრებით მივაქციო პროფესორ გ. ჩუბინაშვილს. არც ისეთი პატარა პროფესორი არის, რომ მის შესახებ არაფერი ითქვას. აქ იყო ნათქვამი პროფ. ჯავახიშვილის შესახებ, მისი მეთოდოლოგიის და ემპირიზმის შესახებ, ჯავახიშვილის რეაქციონერობის შესახებ. პროფესორი (ივანე ჯავახიშვილი — ავტ.) ხელმძღვანელობს და დიდი მეგობარია ჩუბინიშვილის და სწორეთ ამ ჩუბინიშვილს შორს ვერ დავაყენებთ. ეს უნდა იდგეს ჯავახიშვილის გვერდით. ჩვენ, ამხანაგებო, გვაქვს მისი შრომის რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან. თქვენ, ამხანაგებო, შეგიძლიათ განსაჯოთ თვითონვე. აქ ლაპარაკია ძველ ჯვარზე, ახალ ჯვარზე, მცირე ჯვარზე".

„სიმონ ჯანაშია: მე უნდა განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს, მან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა განსაზღვრული არის იმ ფაქტით, რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ერთ და იმავე ინსტიტუტში საქართველოს კათედრის".

„ნიკო ბერძენიშვილი: რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ. ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას უღრმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა ეს მე სრულიად არ მიშლის ხელს, არ გავიზიარო მისი იდეოლოგიური კონცეპცია".

რა დასკვნამდე მივდივართ დისკუსიის მონაწილეთა გამოსვლების შესწავლის შედეგად? მთელს საზოგადოებაში და მათ შორის უნივერსიტეტშიც, იყო ადამიანთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელთაც შექმნილი ვითარების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება ცადეს. ისინი ხედავდნენ, რომ ივანე ჯავახიშვილი განწირული იყო. განწირული ადამიანის დაწიხვლით ისინი, უარეს შემთხვევაში, თავის გადარჩენას, ხოლო უკეთეს შემთხვევაში პოლიტიკური და მეცნიერული კარიერის გაკეთებას გეგმავდნენ. ადამიანთა შედარებით მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ვერ გამოიჩინა მოქალაქეობრივი გამბედაობა და თავის გაწირვას ისევ ივანე ჯავახიშვილის გაწირვა არჩია. კიდევ უფრო მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მოქალაქეობრივ და მეცნიერულ სინდისს ვერ უღალატა და ხელისუფლების თვალის ახვევის მიზნით ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის ზერელე (უკბილო) კრიტიკის ფონზე პრაქტიკულად დაიცვა ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი. ეს იმ ადამიანებს მეცნიერული კარიერის დაღუპვისა და, შეიძლება, სიცოცხლის ფასადაც კი დასჯდომოდათ.

დისკუსიის შედეგები ასეთი იყო: ივანე ჯავახიშვილი მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტიდან (პედაგოგიური ინსტიტუტიდან) მოკვეთეს, საზოგადოებაში კი უნდობლობის, ურთიერთგაუტანლობის, ზიზღისა და სიძულვილის სინდრომი დათესეს. ხელისუფლებამ პოლიტიკურ მიზანს მიაღწია — ძველი ინტელიგენციის, მეცნიერთა დამორჩილებისათვის საფუძველი მოამზადა. თუმცა არც ივანე ჯავახიშვილი და არც მისი თანამოაზრეები დანებებას არ აპირებდნენ.

მეორე ბინძური კამპანია ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ 1935 წლის მარტ-აპრილში იქნა ორგანიზებული.

1930 წლის დეკემბრიდან (როცა კონდრატიევშჩინასთან ბრძოლის საბაბით ცნობილ ქართველ მეცნიერთა მოკვეთას შეეცადნენ) 1935 წლის მარტამდე საბჭოთა კავშირში დიდი ცვლილებები მოხდა. ლევ ტროცკის დამარცხებამ იოსებ სტალინს საშუალება მისცა, უფრო ფართომასშტაბიანი რეპრესიებისათვის მოემზადებინა ნიადაგი. რეპრესიების ახალი ტალღა 1934 წლის დეკემბრიდან დაიწყო. პოლიტიკური ლიდერებიდან მიზანში გრიგორი ზინოევიევი და ლევ კამენევი იქნენ ამოღებული, ცოტა მოგვიანებით მათი ბედი გაიზიარა ნიკოლაი ბუხარინმა და ალექსი რიკოვმა. ამჯერად რეპრესიები მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ შეხებია. უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გარდა რეპრესიები გატარდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტში, რესპუბლიკურ, საოლქო, სამხარეო, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებში, ყველა სახალხო კომისარიატში (სამინისტროში) და მათდამი დაქვემდებარებულ ორგანოებში, ყველა ფაბრიკაში, ქარხანაში, კოლმეურნეობაში, კულტურულ-საგამანათლებლო და სასწავლო დაწესებულებაში. რეპრესიებს შეეწირა ძველი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, მათ შორის გამოჩენილი მეცნიერები, უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები.

მძიმე ვითარება შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. განვლილი წლების მანძილზე შეიცვალა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური შემადგენლობა. 1935 წლის 21 მარტისათვის უნივერსიტეტის 756 თანამშრომლის (პროფესორ-მასწავლებლების, მეცნიერ-თანამშრომლების, ასპირანტების, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის) სოციალური შემადგენლობა ასეთ სურათს იძლეოდა: მუშათა კლასიდან გამოსული იყო 69 თანამშრომელი, კოლმეურნე გლეხობიდან — 157, კერძო მეურნე გლეხობიდან — 259, ყოფილი თავადებიდან — 12, ყოფილი აზნაურებიდან — 57, სამღვდელოებიდან — 20, ყოფილი კერძოლ ვაჭრებიდან — 13, მოსამსახურეთაგან — 148, სხვადასხვა სოციალური ჯგუფებიდან — 21. თანამშრომელთა შორის ყოფილი თავადებისა და აზნაურების ხვედრითი წილი უდრიდა 9,1%-ს, მუშებისა და გლეხებისა — 60,3%-ს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისა (კომკავშირისა) და კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის წევრთა რიცხვი. 1924 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიისა და კომკავშირის წევრი იყო მხოლოდ 3 კაცი, 1928 წელს — 14, 1930 წელს — 45, 1934-1935 სასწავლო

წელს – 260. პროფესორ-მასწავლებელთა და ასპირანტთა საერთო რაოდენობიდან (495 კაცი) 44% კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიისა და კომკავშირის წევრი იყო. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას დამშვიდების საფუძველი არ ჰქონდა. ძველი პროფესურა თავის პოზიციას არ თმობდა. უნივერსიტეტში პროფესორად დაბრუნებული ივანე ჯავახიშვილი არ იცვლიდა არც მოქალაქეობრივ და არც მეცნიერულ მრწამსს. სწორედ ამის გამო 1935 წლის მარტ-აპრილში ივანე ჯავახიშვილი მეორედ წარდგა ტირანიის სამსჯავროს წინაშე.

სამარცხვინო სამსჯავროს ადგილად ისევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეირჩა, სამსჯავროს გახსნის დღედ – 1935 წლის 23 მარტი, მთავარ ბრალმდებლად – თბილისის უნივერსიტეტის რექტორი კარლო ორაგველიძე. სამარცხვინო სამსჯავროს მიზანი ამჯერად უკვე ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის საბოლოო განადგურება იყო. ოფიციალურ დოკუმენტებში ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მიმართულ ბინძურ კამპანიას „დისკუსია“ ეწოდა და საისტორიო მეცნიერების საჭირბოროტო პრობლემები უნდა გადაეჭრა. „დისკუსია“ 1935 წლის მარტ-აპრილში მიმდინარეობდა.

კარლო ორაგველიძის მიერ წაკითხული მოხსენება ავტორმა მალევე გამოაქვეყნა. თვით დისკუსიის მსვლელობის ამსახველი სტენოგრამა კი არქივშია დაცული (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, აღწერა 19, საქმე 4, რომლის ტექსტსაც ქვემოთ ვთავაზობთ მკითხველს.

ძალიან ძნელია სრულად შეიგრძნო ის აუტანელი ვითარება, რაც 1935 წლის მარტ-აპრილში გამართული დისკუსიის დროისათვის იყო შექმნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დაბეზღება თავის გადარჩენის მიზნით, მეორე ადამიანის უყოყმანოდ გაწირვა, ფარული თუ საჯარო დასმენები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. არავინ დაგიდევდა იმას, რომ დასმენას შეიძლებოდა ადამიანის სიცოცხლე შესწირვოდა. ეს არ იყო იმხანად და შემდეგშიც ფართოდ რეკლამირებული იდეური ბრძოლა, ეს იყო თავის გადარჩენის ცხოველური ინსტინქტის გამოვლენა. ამოქმედდა პრინციპი: თუ შენ არ დაასმენ, მაშინ დაგასმენენ შენ! ცხადია, ყველა ამ პრინციპით არ მოქმედებდა, მაგრამ დიდი ნაწილი თავის გადარჩენას სწორედ ამ გზით ცდილობდა. ადამიანებმა დაკარგეს ნდობის, თანაგრძნობის, თანადგომის უნარი. ადამიანი მეორე ადამიანში მტერს ხედავდა, რადგან დარწმუნებული არ იყო, რომ მან უკვე არ დაბეზღა ან უახლოეს დღეებში არ დაბეზღებდა. ადამიანი გრძნობდა, რომ თუ ის დასწრებდა დასმენას, მაშინ მას გადარჩენის მეტი შანსი ჰქონდა. ამიტომ ჩქარობდა ყველა, ყველა ცდილობდა მოეპოვებინა რაიმე ისეთი მასალა, რაც დაინტერესებდა „ზემდგომ ორგანოებს“. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) საუნივერსიტეტო ორგანიზაციის კომიტეტის მდივანს (როგორც მაშინ ეწოდებოდა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანს) ს. გეგენავასა და უნივერსიტეტის რექტორ ლ. აღნიაშვილს შორის კონფლიქტის დროს. ს. გეგენავამ ლ. აღნიაშვილს ბრალი დასდო უნივერსიტეტის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შეუსრულებლობაში, „რევოლუციური სიფხიზლის მოდუნებაში“. ს. გეგენავას თქმით, რექტორმა უნივერსიტეტი „ძველი ხელნაწერების რესტავრაციის დაწესებულებად“ აქცია. თავისი აზრი უნივერსიტეტში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ს. გეგენავამ 1935 წლის 15 თებერვალს ლავრენტი ბერიას აცნობა. ლ. აღნიაშვილმა 1935 წლის 21 მარტს ლავრენტი ბერიას ს. გეგენავამ ბრალდებისაგან

თავის დაცვის მიზნით მოხსენებითი ბარათი წარუდგინა. დოკუმენტები ძალიან მნიშვნელოვანია იმ ეპოქის არსში ჩაწვდომის თვალსაზრისით, ამიტომ ორივეს აქვე მოვიტანთ მცირეოდენი შემოკლებით.

Секретарю ЦК КП(б) Грузии – тов. Л. Берия
Секретарю ТК(б) Грузии – тов. Арутюнову Гр. Секретарю райкома КП(б) Грузии – тов. Чихладзе

1. Довожу до вашего сведения, что за время моей работы в Госунте я на ряде фактов глубоко убедился, что ректор Госунта т. Л. Агниашвили не может по-большевистски обеспечить осуществление постановления ЦК КП(б) Грузии о Госунте. В условиях Госунта от руководства и всей партийно-комсомольской организации требуется проявление большой революционной бдительности, тем более, что профессорско-педагогический состав университета значительно засорен чуждыми советской власти элементами. Примерно: бывш. меньшевиков – 35, национал-демократов – 34, федералистов – 18, кадетов – 3, эсеров – 3, троцкистов – 11, из них: бывших членов Учредительного собрания – 7 и министров меньшевистского правительства – 2. Из беспартийных профессоров – 61,1 процента, бывшие члены других партий, из доцентов – 56 процентов и из лекторов – 41,3 процента.

Особо обращает на себя внимание слишком большой процент бывших князей и дворян в составе научно-педагогического и адм. технического персонала (...)

2. Тов. Агниашвили Л. игнорирует правильное решения парткома и с пренебрежением относится к членам партии: а) на чл. партии, работника издательства Данелия, в присутствии беспартийных накричал: "на черта мне коммунисты", "таких коммунистов буду выбрасывать через окно" (...).

3. Тов. Агниашвили смотрит на Университет не столько как на учебно-научное заведение, а как на учреждение на реставрации рукописей древности (...)

4. Он не терпит контроля и самокритики (...)

5. У тов. Л. Агниашвили притуплена классовая бдительность. Например: а) проф. Джавахишвили, который является представителем право-буржуазной профессуры, написал заявление на имя т. Сталина, в котором жаловался на Культпроп ЦК КП(б) Гр., который, по его мнению, тормозит развитие государственного университета, и передал это заявление т. Агниашвили Л. Тов. Л. Агниашвили держал это заявление 10 дней, не сообщив об этом никому, и при мне передал это письмо обратно, посоветовав порвать его. Мне же он передал содержание этого письма и просил не говорить об этом никому. Я сообщил об этом в ЦК, РК и НКВД; б) бывший член Президиума Учредительного собрания Ч. Шарашидзе, которая работает в Госунте зав. библиотекой, на вопрос о том, почему у нее подавленное настроение, она ответила: "Потому что убили одного какого-то Кирова, а расстреляли сколько невинных людей". Зная об этом, т. Агниашвили Л., вопреки нашему требованию, до сих пор еще не снял этого активного меньшевика.

6. Особо хочу подчеркнуть, что т. Л. Агниашвили, попав под влияние буржуазной профессуры, не желает выполнять указания ЦК о развертывании непримиримой борьбы на идеологическом фронте (...).

Секретарь Парткома Госунта (*С. Гегенава*)
15 февраля 1935 г.
г. Тифлис

(საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღწერა 9, საქმე 9, ფურცლები 130-132).

Секретарю ЦК КП(б) Грузии – тов. Л. Берия (по поводу заявления секретаря парткома Госунта тов. С. Гегенава)

Тифлисский Государственный Университет основан по инициативе тов. Берия постановлением ЦК и ЦИКа Грузии от 28 января 1933 года.

За два года своей работы он выдвинулся в передовые ряды университетов, заняв среди них четвертое место по научной, учебной и организационно-хозяйственной работе, а по физической культуре – 7-е место на соревновании 2800 учебных заведений и специальных техникумов.

Университет насчитывает до 5000 студентов, собрал вокруг своей системы до 500 научных работников, из них – 69 профессоров, 62 доцента. В Университете сосредоточено: 704 члена партии 4 2379 чл. ЛКСМ. Он состоит из 9 факультетов, 37 отделений, 59 кафедр, до 350 преподаваемых дисциплин. Имеет 5 научно-исследовательских институтов, институт аспирантуры, со 106 аспирантами, Абастуманскую Астрофизическую обсерваторию (...). При Университете имеется до 25 специальных кабинетов и лабораторий, ценнейшая научная библиотека – 600.000 томов (...).

Очередная нездоровая тряска Университета, затеянная нынешним секретарем Парткома тов. Гегенава, далеко не способствует дальнейшей плодотворной работе Университета. Поданное им заявление на имя Центрального Комитета полно клеветы и инсинуаций, рассчитанных на мою дискредитацию перед ЦК как члена партии и ректора Государственного Университета.

I. Тов. С. Гегенава начинает свое заявление с решительного утверждения, что за время своей работы в Госунте он "на ряде фактов глубоко убедился, что ректор тов. Агниашвили не может по-большевистски обеспечить осуществление постановления ЦК КП(б) Грузии о Госунте" (...). Я не выхожу из рамок заявления и, придерживаясь схемы последнего, даю справки исключительно по затронутым т. Гегенава вопросам.

II. В заявлении указывается, что в Университете среди педагогов и административного персонала имеется большое количество выходцев из контрреволюционных

партий. Это само по себе совершенно правильное утверждение – и об этом Центральный Комитет хорошо и правильно информирован – в контексте т. Гегенава рассчитано на дешевый эффект, тем более, что это "открытие" давно сделано без участия в этом т. Гегенава. Я сам неоднократно говорил об этом, а цифры эти приведены в моих данных (...). Наличие в Университете большого кадра научных работников, выходцев из контрреволюционных партий, да и сейчас, надо думать, частично подвизающихся на этом фронте – **величайшее несчастье нашего Университета** (...). Центральному Комитету хорошо известно, что я не только не приводил в Университет этих "бывших людей", наоборот, их число в новом Университете уменьшилось абсолютно, что сегодняшнее положение нельзя сравнивать с тем, что мы имели в последний год старого Университета (в 1930 г.) (...).

Какую же картину мы имеем сейчас? За два года работы Университета под руководством и по указаниям Центрального Комитета мы сумели значительно изменить положение, и об этом достаточно красноречиво говорят факты. Из всего проф.-пед., научного и адм. тех. состава Университета:

В 1924 г. членов КП и ЛКСМ было – 3 ч.

В 1928 г. членов КП и ЛКСМ было – 14 ч.

В 1930 г. (посл. год Университета) – 45 ч.

В 1934/35 г. – 260 ч.

Из 495 человек профессорского, педагогического персонала и аспирантов – 218 чел. – члены КП и ЛКСМ, т. е. 44 процента.

Это я считаю большим достижением нашего Университета (...).

III. В заявлении отмечено наличие в Университете "большого процента бывших князей и дворян". На 756 профпедперсонала, аспирантов, научных работников и административного, технического персонала (по социальному происхождению): рабочих – 69, колхозников – 157, индив. крест. – 259, князей – 12, дворян – 57, детей духовен. – 20, детей бывших торговцев – 13, служащих – 148, прочих – 21. Таким образом, дворянско-княжеская прослойка составляет 9,1 процента! Рабоче-крестьянская прослойка составляет 60,3 процента! (...).

V. Какими фактами располагает т. Гегенава, что я "отношусь либерально" к беспартийной профессуре? Никакими. Т. Гегенава не понимает всей сложности обстановки в таком большом и сложном организме, каковым является наш Университет. Он не понимает директив т. Сталина и ЦК ВКП(б) о "чутком, бережном и заботливом отношении" к беспартийному специалисту (...).

XII. Если бы я смотрел на Университет не как на научно-учебное заведение, а как на учреждение по "реставрации рукописей древности", то наш Университет не вышел бы в передовые ряды Университетов Союза. Затем, о какой "реставрации рукописей" говорит Гегенава? Я считаю гордостью нашего Университета, что мы, по указаниям ЦК, занялись, наконец, научной подготовкой ценнейших памятников грузинской письменности (...).

XVII. Гегенава пишет: "притуплена классовая бдительность".

а) Профессор Г. Джавахишвили назначен ЦК завед. кафедрой антропологии и исп. обязанности, зав. кафедрой зоологии. Г. Джавахишвили – старый специалист, имеющий много трудов на русском, грузинском и немецком языках. Плохой педагог, хотя и знающий, интриган, систематически мешает работе, не воспитывает специалистов. Но его некем заменить. Он за 15 лет принял все меры, чтобы не создать себе преемника. Желая его сместить с кафедры зоологии, я пригласил из России профессора Федотова, но Джавахишвили написал ему угрожающее письмо, и Федотов отказался приехать (...). Однажды он заслал мне анонимку, где он жаловался т. Сталину на порядки, заведенные тогдашним деканом Андриадзе (...).

б) Зав. библиотекой исторического кабинета Ч. Шарашидзе, бывший член Учредительного собрания, сестра "Тагуна" (...). Однажды зашел ко мне Гегенава и заявил, что (...) она сказала ему по поводу убийства тов. Кирова (...). Так как этому можно было вполне поверить, я позвонил т. Гобечия и снял ее тотчас же с работы. Так как библиотека переходила в другое помещение, книги надо было уложить в шкафы и сдать новому заведующему (...). Освобождение ее несколько задержалось (...).

За два года работы из профессорско-педагогического персонала было снято по моему приказу за идеологические извращения и грубое нарушение дисциплины 44 человека, за то же из аспирантуры было снято 8 человек (...).

Л. Агниашвили
21 марта 1935 г.
г. Тифлис

(საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღწერა 9, საქმე 9, ფურცლები 101-128).

პარტიული კომიტეტის მდივნისა და რექტორის კონფლიქტი იმით დამთავრდა, რომ 1935 წლის ივლისში ლევან აღნიაშვილი რექტორობიდან გადააყენეს, ხოლო 1937 წელს დახვრიტეს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ივანე ჯავახიშვილის შემდგომი რექტორი, უნივერსიტეტის რიგით მესამე რექტორი, თევდორე (თედო) ღლონტი, 1937 წელს დახვრიტეს, მეოთხე რექტორი, მალაქია ტროშელიძე – 1938 წელს, მეხუთე რექტორი, ივანე ვაშაყმაძე – 1937 წელს, მეექვსე რექტორი, ალექსანდრე ერქომაიშვილი – 1937 წელს, მეშვიდე რექტორი, ლევან აღნიაშვილი – 1937 წელს, მერვე რექტორი, კარლო ორაგველიძე – 1937 წელს. ცხადია, არც ერთი მათგანი ეროვნული მოღვაწე არ ყოფილა და ამ თვალსაზრისით ისინი არ შეიძლებოდა ხელისუფლებას გაეწირა. ყოველი მათგანი იმ პოლიტიკურმა რეჟიმმა იმსხვერპლა, რომელსაც ერთგულად ემსახურებოდნენ.

კარლო ორაგველიძის მოხსენება, ივანე ვაშაყმაძის მოხსენებისაგან განსხვავებით, უფრო ეშმაკურად იყო შედგენილი. კ. ორაგველიძე ცდილობდა, თავი ქართული ისტორიოგრაფიის მოჭირნახულედ წარმოედგინა, თუმცა მის ყველა სიტყვას პოლიტიკური დაკვეთის დაღი ჰქონდა დასმული. აი, რამდენიმე ადგილი ამ მოხსენებიდან:

„ჯავახიშვილი უარყოფს საკითხის ამნაირად დაყენებას. მისთვის არსებობს ზეკლასიური დავით აღმაშენებელი და ზეკლასიური თამარი, რომლებიც ამყარებენ საზოგადოებრივ ჰარმონიას და ემსახურებიან მთელ ერს. ამიტომ ერიც, მისი აზრით, თავის მხრივ უაღრესი სიყვარულით იყო მათდამი გამსჭვალული. რა თქმა უნდა, ჯავახიშვილის ეს შეხედულება არ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს, არამედ წარმოადგენს ამ სინამდვილის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ფალსიფიკაციას“.

„ჯავახიშვილის სახელმწიფოს წარმოშობის თეორია, როგორც ვხედავთ, არამეცნიერული ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიაა. საჭიროა ამ თეორიის წინააღმდეგ მარქსისტულ-ლენინური თეორიის კრიტიკული იარაღის მომარჯვება და მისი განადგურება“.

„არც ერთი სიტყვა ექსპლოატაციაზე, არც ერთი სიტყვა კლასობრივ ჩაგვრაზე! ასეთია იდეოლოგიური „პატრონ-ყმობა“ ჯავახიშვილისა“.

„ჯავახიშვილის თეორია ქართულ ფეოდალიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხში არამეცნიერული და აშკარად აპოლოგეტურია. ის გარკვეით დგას ბატონ-ყმობის სისტემის გამართლების ნიადაგზე — ცდილობს წარმოგვიდგინოს იგი იდილიურ ფორმაში, კლასობრივ წინააღმდეგობათა გარეშე, როგორც ჰარმონიული სისტემა“.

„თავისმა ნაციონალურმა იდეოლოგიამ ჯავახიშვილი მიიყვანა იქამდის, რომ იგი მენშევიკების ანტისომხური პოლიტიკის დამსაბუთებლადაც კი მოგვევლინა“.

„ჯავახიშვილს არ მოსწონს, როდესაც ჟორდანიას მთავრობას იმპერიალისტობას აბრალებენ და იგი ცდილობს მთელი თავისი „მეცნიერული“ არგუმენტაციით დაიცვას ქართველი იმპერიალისტები სომხის იმპერიალისტებისაგან“.

„ასე მიიყვანა პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავისმა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ მენშევიკების სამსახურში.

ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული თეორია ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ პრაქტიკაში გადაიზარდა“.

„ჯავახიშვილს არსად და არასოდეს არ უარუყვია თავისი ანტიმარქსისტული შეხედულებები, მას არსად არ მოუხდენია ფასეულობათა გადაფასება და არ გაუკრიტიკებია თავისი ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული დებულებები“.

„ჯავახიშვილის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ სკოლასთან ბრძოლის საკითხი სრულებითაც არ მოხსნილა. ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დგას როგორც აქტუალური ამოცანა“.

„საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება, რომ ქართველი ხალხის ისტორიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ფალსიფიკატორებს ნიღაბი ჩამოვაგლიჯოთ...“

აქვე მოვიტანთ ნაწყვეტებს დისკუსიის მონაწილეთა გამოსვლებიდან:

„ე. ცინცაძე: აი, სანამდე დაექანა პროფ. ჯავახიშვილი, გამოზვეული მენშევიზმის ქურქში — ნაციონალიზმის ქურქში. აქ ის ცდილობს დაგვიმტკიცოს საქართველოს ხალხის ერთსულოვნება შინაგან კლასთა ბრძოლის გარეშე...“

„მენშევიზმის ქურქში გამოზვეული პროფ. ჯავახიშვილი ცდილობს საზღვრების დაცვისათვის ყველაფერი შეასრულოს, დათმოს საქართველოს მენშევიკურ დამოუკიდებლობისათვის ყოველივე, მაგრამ ის არ ცდილობს ფაქტები ისე განაზოგადოს, რომ ამით ფარდა ახადოს „მონურ“ სიბნელეს და მენშევიკურ ბუნებას. ერის პოლიტიკური უფლების საკითხი ჯავახიშვილისათვის საზღვრებია და არა მუშათა კლასის და გლეხობის ბრძოლის ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა მათი განთავისუფლებისათვის ექსპლოატატორებისაგან“.

„ნ. ბერძენიშვილი: ქართველი ერის ისტორიის ავტორი ტექნიკურ მომზადებულობით უეჭველად მაღალი ტიპის ისტორიკოსია. ევროპულ და აღმოსავლურ ენების მცოდნე, ფილოლოგი და ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი, ფრთხილი და დინჯი მკვლევარი — ის სწორედ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა, რომ საქართველოს ისტორიის შენობის საშენი მასალა, ჟამთა სიღრმის ბურუსში მიმალული ფაქტები აღმოეჩინა, გამოემჟღავნებინა. პროფ. ივ. ჯავახიშვილის დამსახურება ქართულ ისტორიოგრაფიის წინაშე დიდი და საპატიოა. მან პირველმა გაბედა და საქართველოს ისტორიის ძველი ხანა გასწმინდა ზღაპართა ბურუსისაგან, რომელიც აგრე სქლად შემოხვეოდა მას. მაღალ ტექნიკური ხერხებით მოიპოვა და დაადგინა აურაცხელი ფაქტები...

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ივანე ჯავახიშვილმა ძლიერად წასწია წინ ქართული ისტორიოგრაფიის საქმე.

მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ მან ქართული ისტორიოგრაფია სამარცხვინო ჩამორჩენილობიდან ვერ გამოიყვანა“.

„ლ. ციხისთავი: ქართული ბურჟუაზიულ იდეალისტური ისტორიოგრაფიის მამამთავრის ივანე ჯავახიშვილის შრომების ღრმა ბოლშევიკურ-აკადემიური კრიტიკით მომხსენებელმა ფარდა ახადა ივ. ჯავახიშვილის ყველა მიმდევრებს და მეცნიერულ აკადემიური მახვილი ჩასცა მათ აშკარა ყალბსა და ფალსიფიკატორულ შეხედულებებს...“

„გ. ნათაძე: მე თავიდანვე ჯავახიშვილის სკოლის წინააღმდეგი ვიყავი. ძალიან დიდი პატივისმცემელი ვიყავი პროფ. ჯავახიშვილის, დღესაც ვარ მისი დიდი პატივისმცემელი, ამას არ დავმალავ, ეს სამართლიანად მიმაჩნია, მაგრამ მის მსოფლმხედველობას არასოდეს არ ვეთანხმებოდი“.

„ს. ჯანაშია: პროფ. ჯავახიშვილი ჩვენი ახალგაზრდობისათვის არის მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც მან უნდა შეითვისოს დაძლევისა და კრიტიკული ათვისების გზით“.

„არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ პროფ. ჯავახიშვილის დამსახურება მდგომარეობს მხოლოდ ფაქტების შეგროვებაში. არა ერთი შეხედულება განზოგადებულიც აქვს მოცემული, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ“.

„პროფ. ჯავახიშვილი საქართველოს გაერთიანებას ხსნის მზარდ ეროვნულ შეგნების ნიადაგზე. ეს სწორი არ არის. აი, ეს არის სუბიექტური ახსნა ისტორიული მოვლენისა, რომელსაც ჩვენ ვერ მივიღებთ“.

„გ. ჯანელიძე: ჩვენი ისტორიის საკითხებზე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ პროფესორების და, კერძოთ, პროფ. ი. ჯავახიშვილის მუშაობამ ვერ მოგვცა ნამდვილი „საქართველოს ისტორია“.

„პროფ. ი. ჯავახიშვილის საკითხი არ არის მარტო მემკვიდრეობის საკითხი. პროფ. ი. ჯავახიშვილი დღესაც მეცნიერულ მუშაობას ეწევა, ამიტომ ის ჯერ კიდევ აქტიური ძალაა, ის თავისი არა მარტო წარსული, არამედ დღევანდელობითაც ანტიმარქსისტულ ბანაკს ეკუთვნის მეცნიერულ ფრონტზე, ამიტომ ამ მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო აქტუალური უნდა იყოს, ვინემ ფარგლები მემკვიდრეობის „კრიტიკულად“ ათვისება-გამოყენების“.

„ს. ყაუხჩიშვილი: მე ვფიქრობ, ჩვენი მიზანი არის ის, რომ სწორეთ იმ პირებმა, რომლებიც პროფ. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით არიან აღზრდილნი და რომლებიც დღეს სრულიად ახალ კლასიური ბრძოლების საფუძვლებზე ამუშავებენ საქართველოს ისტორიის საკითხებს, სწორეთ ამ პირებმა, რომლებიც დღესაც აქ უნივერსიტეტში პროფ.

ჯავახიშვილთან ერთად მუშაობენ, უნდა შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ შეიძლებოდეს პროფ. ი. ჯავახიშვილის უაღრესად დიდი ცოდნის და ერუდიციის გამოყენება ჩვენი თვალსაზრისისათვის".

„ტალახაძე: მე ვამბობ, რომ პროფ. ჯავახიშვილი არის ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დასაყრდენი, ბურჯი და დანარჩენი ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, მე მყავს მხედველობაში ახალი ისტორიკოსები, ასე თუ ისე სარგებლობენ მით და სამწუხარო ის არის, რომ ისინიც კი, ვისაც უდავოთ სურს გაწყვიტოს პროფ. ჯავახიშვილთან და მიუახლოვდეს მარქსიზმს, 99%-ს სესხულობენ ჯავახიშვილისაგან და მხოლოდ 1%-ს ეძებენ მარქსიზმში".

„დღვილავა: პროფ. ჯავახიშვილის ასეთ არამეცნიერულ დასკვნებს, რომლებსაც ის აკეთებს საქართველოს ისტორიის მიმოხილვის დროს, უდიდესი ზიანი მოაქვს არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, არამედ ზოგიერთი მოზრდილებისათვისაც".

„ნ. მახარაძე: მენშევიკური დიკტატურის ისტორიის დაწერა ჯავახიშვილს არ მოუსწრია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჯავახიშვილი ამ პერიოდში აქტიურ იდეურ პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდა და ხშირად გამოდიოდა მენშევიკურ პოლიტიკის ყველაზე უფრო აგრესიული, შოვინისტური პოლიტიკის დაცვის მიზნით".

დისკუსიის მონაწილენი, კარლო ორაგველიძიდან დაწყებული ბოლო გამომსვლელით დამთავრებული, შეიძლება რამდენიმე ჯგუფად გაიყოს:

პირველი ჯგუფი ნებისმიერ დანაშაულს ჩაიდენდა, ოღონდ ხელისუფლებისათვის სასურველი პოზიცია დაეკავებინა. ეს იყო ჩვენი ინტელიგენციის გადაგვარებული, ამორალური ნაწილი. ეს ჯგუფი პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდა.

მეორე ჯგუფი ცდილობდა, შექმნილი პოლიტიკური ვითარებით ესარგებლა და ივანე ჯავახიშვილის ტრიუმფალური მეცნიერული წარმატებებისათვის ბოლო მოეღო, დიდი მეცნიერი და მისი სკოლა დაესამარებინა. ეს ჯგუფი პოლიტიკურ დაკვეთას არ ასრულებდა, მაგრამ, ფაქტობრივად, ხელისუფლების საქმეს აკეთებდა. ესეც ჩვენი ინტელიგენციის გადაგვარებული, ამორალური ნაწილი იყო, შეიძლება იმაზე მეტადაც გადაგვარებული, ვიდრე ზემოთ ხსენებული პირველი ჯგუფის წარმომადგენლები. მათ ხომ შესანიშნავად იცოდნენ, ვინც გაწირეს, ვის დასამარებასაც ცდილობდნენ ასე თავგამოდებით!

მესამე ჯგუფი შეშინებულ, დამფრთხალ ადამიანებს აერთიანებდა. ისინი არც პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდნენ და არც ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის მოშურნენი იყვნენ. ეს ადამიანები დისკუსიაზე თავიანთი ნებით არ მოსულან და უბრალოდ თავის გადარჩენას ცდილობდნენ, თუნდაც მორალური კომპრომისის ხარჯზე. ამ ჯგუფის მორალური დანაშაული შედარებით მცირეა.

მეოთხე ჯგუფი ცდილობდა, დაეცვა ივანე ჯავახიშვილი. რამდენად შესძლეს ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა ასეთი რთული ამოცანის შესრულება, ამას მკითხველი თავად მიხვდება დისკუსიის სტენოგრამის გაცნობისას.

მეხუთე ჯგუფს არც პოლიტიკური და არც პროფესიული ინტერესები არ გააჩნდა. ისინი ხელისუფლების მიერ პროვოცირებული ადამიანები იყვნენ და შეიძლება არც კი იცოდნენ, რა დიდ ცოდვას სჩადიოდნენ. ისინი ასეთებად აღზარდეს.

1935 წლის მარტში გამართულმა დისკუსიამ, ცხადია, ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა და მისი სკოლა ვერ დაასამარა. საბჭოთა ხელისუფლებასა და მის ლაქიებს ამისი ძალა არ შესწევდათ. დისკუსიამ თვალნათლივ წარმოაჩინა ტოტალიტარუ-

ლი რეჟიმის მიერ გადაგვარებული ადამიანების სახე, რომელთაც, ფაქტობრივად, ადამიანობა ალარც ჰქონდათ შერჩენილი. საბედნიეროდ, მათ გვერდით იყვნენ ადამიანები, რომელთა მოქალაქეობრივი და მეცნიერული სინდისი, ადამიანური ღირსებები სამსახურებრივ კარიერასა და სიცოცხლეზე მაღლაც კი დააყენეს, პირნათელნი დარჩნენ ღმერთის, უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილისა და შთამომავლობის წინაშე.

ამ ბინძურ კამპანიას ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი გააჩნდა. 1935 წლის მარტ-აპრილში გამართულ დისკუსიას ივანე ჯავახიშვილი პირადად არ დასწრებია, იგი არავის მოუწვევია. ტირანიის სამჯავროს განაჩენს დიდი მოქალაქე და მეცნიერი მისთვის ჩვეული სიმშვიდით შეხვდა. 1935 წლის 10 აპრილს ივანე ჯავახიშვილმა შემდეგი შინაარსის განცხადება დაწერა:

„საქართველოს სსრ განათლების კომისარს

მას შემდგომ, რაც ტ. ს. უ. რექტორი პროფ. კ. ორაგველიძე და სასწავლო ნაწილის პრორექტორი დოც. გრ. ჯანელიძე უნივერსიტეტში საჯარო სხდომებზე ბილეთებით მოწვეულ მრავალრიცხოვან დამსწრე საზოგადოებას და მათ შორის ჩემ მსმენელ სტუდენტებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყველა ნაშრომის უვარგისობას უმტკიცებდნენ და ჩემი, ვითარცა მეცნიერისა და უნივერსიტეტის პროფესორის, სახელის გატეხას გულმოდგინეთ და გააფთრებით ლამობდნენ იმას გარდა, რომ ჩემს მოღვაწეობას უნივერსიტეტში ყოველგვარი აზრი დაეკარგა, ასეთ პირობებში უნივერსიტეტში ჩემი დარჩენაც ჩემი ადამიანური ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია. ამიტომ ვალად ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ამ სემესტრში, მაისის დამდეგს, ლექციების გათავებისთანავე ჩემს, ვითარცა უნივერსიტეტის პროფესორის, მოვალეობას დამთავრებულად ჩავთვლი, და გთხოვთ, რომ ამიერითგან უნივერსიტეტის პროფესორობისაგან განმათავისუფლოთ, და თანაც ეს გარემოება უნივერსიტეტის რექტორს აუწყოთ, რომ ჩემ მიერ წაკითხული კურსების გამოცდების ჩასაბარებლად ის პირნი დანიშნოს, რომელნიც ყველაფრით ჩემზე უკეთ მცოდნედ მიაჩნია.

მოგართმევთ რა უნივერსიტეტის პროფესორობისაგან ჩემი გადადგომის ამ განცხადებას, ვფიქრობ, რომ 1899 წლითგან მოყოლებული 38 წლის განმავლობაში პეტერბურგისა და ტფილისის უნივერსიტეტებში სამსახურის გამო, კანონით პენსიის მიღების უფლება უნდა მჭონდეს. თუ მე არ ვცდები, გთხოვთ, სათანადო დაწესებულების წინაშე შუამდგომლობა აღძრათ, რომ კანონით კუთვნილი პენსია დამენიშნოს“.

ივანე ჯავახიშვილის ეს განცხადება ლაფს ასხამდა თავზე მის წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის დამკვეთებს, ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. დიდი მამულიშვილი და მეცნიერი მაღლა დადგა ადამიანებისათვის (სამწუხაროდ, ტირანებიც და მათი ლაქიებიც ადამიანები არიან!) დამახასიათებელ ისეთ საძრახის თვისებებზე, როგორიცაა: ბოროტება, შური, ბოლმა, ბეზღობა, მზაკვრობა, დაუნდობლობა, გაუტანლობა, შურისძიება, ღალატი, სილაჩრე, მაამებლობა, კარიერიზმი. თავად უკვდავების გზაზე შემდგარმა, ისტორიის ჯოჯოხეთში დატოვა მისი მოკვეთისა და დასმარების მოსურნენი.

1930 წლის დეკემბრისა და 1935 წლის მარტ-აპრილის დისკუსიების მასალების გამოქვეყნებას ვინმეს მიმართ ბრალდების წაყენება არა აქვს მიზნად. ისტორიამ ყველას გამოუტანა თავისი განაჩენი. რამდენად მკაცრი ან ლმობიერი იყო ეს განაჩენი, არც ესაა ჩვენი განსასჯელი. ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის ამსახველ მასალებს რომ ვაქვეყნებთ, ერთი რამ გვინდა ვთქვათ სავსებით გარკვევით: შვილები და შვილიშვილები პასუხს არ აგებენ მამებისა და პაპების ნამოქმედარის გამო.

მიუხედავად ამისა, ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს: ჩვენს შემდეგ ჩვენი შთამომავლობა მოდის!

პოლიტიკური რეჟიმის მიერ ივანე ჯავახიშვილის დევნის, ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის შესახებ ბევრი საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნეს ქართველმა ისტორიკოსებმა ს. ჯორბენაძემ (თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბილისი, 1988; ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1984), რ. მეტრეველმა (ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1975; ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, 1996), გ. ყორანაშვილმა (იავნე ჯავახიშვილი, თბილისი, 1999), გ. ციციშვილმა (უცნობი ივანე ჯავახიშვილი. – გაზ. „სამშობლო ფორტე“, 1996, №18, №20; 1997, №8; ივანე ჯავახიშვილისადმი დამოკიდებულება რენეგატი პროზელიტი, ნაციონალ-უკლონისტი და წითელი პროფესორი-კომუნისტი რექტორების ფორმალური მართვის პერიოდში. – გაზ. „შანსი“, 1996, №10; ქართული ნაციონალიზმის დაძლევის ახალი, „ჩეკისტური“ ხანის დასაწყისი. – გაზ. „შანსი“, 1996, №15; ივანე ჯავახიშვილის და მისი თანამოაზრე ნაციონალისტების დამორჩილების გადამწყვეტი ცდა. – გაზ. „შანსი“, 1996, №21; ნაციონალიზმი – დიდი რეპრესიების პოლიტიკური „საფუძველი“. – გაზ. „შანსი“, 1997, №80; გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები. – ჟურნალი „ცისკარი“, 1994, №1, 1995, №1-2, №3-4), დ. ცინცაძემ (შერისხვა წმინდისა დიდისა ბატონ ივანე ჯავახიშვილისა 1936 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკებისაგან. – გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, №27; კიდევ ერთხელ ივანე ჯავახიშვილის შეურაცხყოფის შესახებ. – გაზ. „შანსი“, 1997, №33; იმ საშინელი დროის გასახსენებლად. – გაზ. „შანსი“, 1997, №23. ეს წერილები შევიდა დ. ცინცაძის წიგნში „ეს ჩვენი ისტორიაა. თბილისი, 2003, გვ. 3-43), ო. ჯანელიძემ (ივანე ჯავახიშვილი. თბილისი, 1996) და სხვ. ამ ნაშრომებმა ჩვენ დიდად შეგვიწყვეს ხელი წინამდებარე გამოცემაზე მუშაობისას.

ტექსტისათვის. საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1930 წლის დეკემბერში გამართული დისკუსიის სტენოგრამის ნაწილი ავტორების (გამომსვლელების) მიერაა ჩასწორებული, ნაწილი ისევეა შემონახული, როგორც სტენოგრაფისტმა წარმოადგინა. ავტორების მიერ ჩასწორებული სტენოგრამის გამოსაცემად მომზადება დიდ სიძნელესთან არ იყო დაკავშირებული. სამაგიეროდ, ძალზე რთული გამოდგა ავტორების მიერ ჩაუსწორებელი სტენოგრამის გამოსაცემად მომზადება. როგორც ჩანს, სტენოგრაფისტი ზოგჯერ ვერ ახერხებდა ყველა სიტყვისა თუ წინადადების ჩაწერას. გვხვდება დაუმთავრებელი წინადადებები და სიტყვებიც კი, გაუმართავი წინადადებები, ხშირად აზრი ბოლომდე არაა მოყვანილი. ასეთ ადგილებს სტენოგრაფისტი კითხვის ნიშნებით ან მრავალწერტი-

ლით აღნიშნავდა. გარდა ამისა, სტენოგრაფისტს ზოგჯერ ხელს უშლიდა ხმაური. ამიტომაა, რომ სტენოგრამაში ხშირად ვხვდებით ასეთ აღნიშვნებს: „ხმაურობაა“, „არ ისმის, ხმაურობა არის დარბაზში“, „დარბაზში ხმაურობაა, არ ისმის“, „ხანგრძლივი ტაში, არ ისმის“, „დიდი ხმაურობაა“ და ა. შ. სტენოგრამაში დაცული არ არის რუსულად გამომსვლელთა სიტყვები.

გაცილებით უკეთ არის შემონახული 1936 წლის მარტ-აპრილში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული დისკუსიის სტენოგრამა. როგორც ჩანს, გამომსვლელების დიდ ნაწილს სიტყვა წინასწარ ჰქონდათ დაწერილი. რამდენიმე გამომსვლელის სიტყვა მხოლოდ სტენოგრაფისტის ჩანაწერის სახით არის შემორჩენილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტექსტის გამოსაცემად მომზადება გაცილებით ძნელი იყო.

ორივე სტენოგრამის გამოცემისას გასწორდა პუნქტუაცია, კორექტორული შეცდომები და ზოგიერთი გვარ-სახელის დაწერილობა. სხვა მხრივ ტექსტი უცვლელად ქვეყნდება.

გამოცემაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს საარქივო დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს ქალბატონ ეკატერინა ლილუაშვილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის გამგეს ქალბატონ სვეტლანა ოდიშარიასა და ქალბატონ მაია გურაბანიძეს.

პროფ. მერაბ ვაჩნაძე
პროფ. ვახტანგ გურული

კონდრატიევშჩინა საქართველოში

(1930 წლის 13-17 დეკემბერი)

დოკუმენტები და მასალები

საქართველოს სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტი

სასწავლო ნაწილი

კონდრატიევშჩინას მასალები

1930 წ. 26/XII – 1931 წ.

დაიწყო – 1930 წ.
დამთავრდა – 1930 წ.
დანომრილია 432 ფურცელი

მუდმივი შესანახი

1930 წლის 13 დეკემბერი

ივანე ვაშაყმაძე

ათი წელი საბჭოთა მეცნიერებისა საქართველოში

ათი წელი შესრულდა საქართველოს გასაბჭოების დღიდან. ათი წელი არ არის დიდი დრო ჩვეულებრივი ისტორიული თვალსაზრისით. მაგრამ ეს ათი წელი ხომ სოციალისტური რევოლუციის წლებია. რევოლუცია კი, როგორც ამბობს მარქსი — „ისტორიის ლოკომოტივია“. ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა ისტორიის ძველი ღერძის გარდატეხა და კაცობრიობა გააქანა გიგანტიურის ნაბიჯებით მსოფლიოს სოციალისტურ გარდაქმნის გზაზე. კაცობრიობის ერთი მეექვსედი, რომელიც უჭირავს საბჭოთა კავშირს — მშრომელთა მასის უდიდესი ენტუზიაზმით აშენებს სოციალიზმს.

სოციალისტური ფორმაციის ცხოველმყოფელობა და უპირატესობა კაპიტალისტურ ფორმაციაზე ყოველდღიურ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკით მტკიცდება. იქ, კაპიტალისტურ ქვეყანაში, ღრმავდება კრიზისი, დღითიდღე ეცემა მრეწველობის პროდუქციის საერთო ჯამი, იზრდება უმუშევრობა (გასული წლის განმავლობაში გაიზარდა 17 მილიონით), აქ კი, საბჭოთა კავშირში, ჩვენ გვაქვს ისტორიაში ჯერ არ ნახული ზრდა მრეწველობისა და მისი პროდუქციის, ისპობა უმუშევრობა და ხდება არა მარტო ქალაქის, არამედ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია. მარქსი ამბობდა, რომ „ახალმა ფორმაციამ თუ არ დაამტკიცა თავისი უპირატესობა წარსულ ფორმაციის მიმართ, ისე ის ვერ გაიმარჯვებს“-ო. განა ჩვენი კავშირის საწარმოო ძალების ასეთი გიგანტიური ზრდა არ ამტკიცებს სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმზე! განა ის ტემპები მშენებლობისა, ის ზრდა მრეწველობის პროდუქციისა და აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა უდიდესი მაჩვენებელი არ არის სოციალიზმის უპირატესობისა კაპიტალიზმზე. როცა ჩვენმა პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი „დაწევა და გასწრება კაპიტალისტურ ქვეყნებზე“, ბევრს ამის შესაძლებლობა არ სჯეროდა; მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალისტური ფორმაცია 7-8-ჯერ უფრო სწრაფად ანვითარებს საწარმოო ძალებს, ვიდრე დაწინაურებული კაპიტალისტური ქვეყანა ამერიკა — განა ეს დამამტკიცებელი არ არის მისი, რომ ჩვენ დავეწევით და გაუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს!.. მართალი იყო ჩვენი პარტიის ბელადი სტალინი, როცა მან მრეწველობის მუშაკთა კონფერენციაზე განაცხადა: — მართალია ჩვენ ჩამორჩენილი ვართ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს 50-100 წლით, მაგრამ ისტორიის ამ მანძილს ჩვენ 10 წლის განმავლობაში გავირბენთო.

ოქტომბრის რევოლუციამ მოგვცა ჩვენ არა მარტო ეს შესაძლებლობანი. ოქტომბრის რევოლუცია მოევლინა განმანთავისუფლებლად აგრეთვე მცირე ეროვნებებს. ფეოდალურ-კაპიტალისტური რუსეთი სცდილობდა სისხლში ჩაეხრჩო ყოველგვარი ნაციონალური ტენ-

დენციები რუსეთში შემავალ ნაციათა უმცირესობების; — მეფის რუსეთი არ აძლევდა მათ არც ეკონომიურ, არც კულტურულ ზრდა-განვითარების საშუალებებს; ოქტომბრის რევოლუციამ კი მიანიჭა რა ნაციონალურ უმცირესობებს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, მისცა მათ როგორც ეკონომიური, ისე კულტურული განვითარების უდიდესი შესაძლებლობანი. ოქტომბრის რევოლუციის წყალობით ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში რამოდენიმე ათეული ნაციონალურ-ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ პერიოდში პატარა ერების ადგილობრივმა ბურჟუაზიამ შეეცადა ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპი გაეყალბებინა და ნაციონალური მოძრაობანი — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გზებით მიემართა; რევოლუციის პირველ პერიოდში მათ ეს კიდეც შესძლეს და ძველი რუსეთის სხვადასხვა პერიფერიებში კიდეც ჩამოაყალიბეს ასეთი კონტრრევოლუციონური ნაციონალური რესპუბლიკები. პროლეტარული რევოლუციის პრინციპი შინაარსით ინტერნაციონალური, ფორმით კი ნაციონალური კულტურა, მათ ფორმითაც და შინაარსითაც ნაციონალისტურ კულტურად შესცვალეს და მით ნაციონალური მოძრაობა ყალბ ბურჟუაზიულ გზაზე დააყენეს. ამან კი ხელი შეუშალა როგორც ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობას, ისე თვით ნაციონალურ კულტურის ზრდას და გაფურჩქვნასაც. ოქტომბრის რევოლუცია იძლეოდა უდიდეს საშუალებებს ნაციონალურ კულტურის ზრდა-განვითარებისა, ხოლო ნაციონალურ მოძრაობათა ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ გზით მიმართება სპობდა ყველა ამ საშუალებებს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს მენშევიკური მთავრობის ისტორია, რომელმაც ხელი შეუშალა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და არ მისცა საქართველოს საშუალება 1921 წლამდე ესარგებლა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარით. თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს მენშევიკურ მთავრობის ისტორიას 1921 წლამდე — ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველო როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად არა თუ ზრდას განიცდის, არამედ დეგრადაციის გზაზე ექცება. ეკონომიკაში საშინელი კრიზისი, იდეოლოგიაში — ზოოლოგიური კაცი-ჭამია ნაციონალიზმი — აი რა ახასიათებს იმ დროის მენშევიკურ საქართველოს. თუ გადავავლებთ ჩვენ თვალს კულტურულ ფრონტს, განსაკუთრებით კი მეცნიერებას, ჩვენ დავინახავთ, რომ არავითარ ღირსშესანიშნავ მეცნიერულ კვლევა-ძიებას არ ქონია ადგილი. არა თუ კვლევა-ძიებას, არამედ პროგრესიულ-მეცნიერულ ძალებსაც არ აძლევდნენ საშუალებას აქ ჩამოსვლისა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქართველ მეცნიერთა მიერ ნ. მარის წინააღმდეგ კამპანიის წარმოება და თითქმის ბოიკოტის გამოცხადებაც კი. მეცნიერებას საქართველოში დაეპატრონა პირწავარდნილი ნაციონალიზმი (ივ. ჯავახიშვილი იმ მოსაზრებით, რომ დაემტკიცებია სომხეთ-საქართველოს ომის სამართლიანობა, წიგნსაც სწერს: „საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული საზღვრები“). მეცნიერებაში ყველაფერი ის, რაც არ უწყობდა ხელს ნაციონალიზმს, ნაციონალისტური სულის განმტკიცებას — დევნილი იყო. მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკები თავის თავს მარქსისტად აცხადებდნენ, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მარქსისტული წიგნი არ გამოსულა ამ დროს საქართველოში. არც თარგმნილი და არც ორიგინალური, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბოლშევიკურ არა ლეგალურ ლიტერატურას. მენშევიკები თავის თავად დიდ დამსახურებად თვლიდნენ საქართველოს უნივერსიტეტის დაარსებას, მაგრამ ეს არა მათ დამსახურებას უნდა მიეწეროს, არამედ ოქტომბრის რევოლუციის პრინციპებს, რადგან მხოლოდ ოქტომბერმა მისცა საშუალება ერებს თავის ენაზე მეცნიერების განვითარებისა. ვინ იცის რა კატასტროფამდე მიიყვანდა მენშევიზმი საქართველოს, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად, რომ საქართველოს პროლეტარიატს და მშრომელ გლეხკაცობას არ მოეცილებინა მათი ბატონობა. 1921 წლის 25

თებერვალი — საქართველოს ოქტომბერია. აქედან იწყება ოქტომბრის რევოლუცია საქართველოში. ათი წელია, რაც საბჭოთა საქართველო დაეწაფა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა რეალიზაციას. ათი წელია, რაც ჩვენი ქვეყანა თავდაუზრელად, განუწყვეტლივ ეწევა სოციალისტურ მშენებლობას. ამ ათ წელში უდიდეს მიღწევებს ჭონდა ადგილი. ჩვენი წერილის მიზანია გააშუქოს მიღწევები კულტურული ფრონტის ერთი დიდი დარგის — მეცნიერებათა მდგომარეობა ათი წლის თავზე საქართველოში. მართლაც, თუ ჩვენ მოკლედ გადავხედავთ ამ ათი წლის ისტორიულ მანძილს, ჩვენ დავინახავთ — როგორც ეკონომიური ფრონტი, ისე კულტურული ფრონტი გვიჩვენებს უდიდესი ზრდის ტემპებს. მართლაც და შეადარეთ — მენშევიკურ საქართველოში დიდის ვაი-ვაგლახით ძლივს იქნა დაარსებული ერთი უმაღლესი სასწავლებელი, დღეს კი, საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავზე, ჩვენ გვაქვს თოთხმეტი უმაღლესი სასწავლებელი, თოთხმეტი ათასზედ მეტი სტუდენტობით. მენშევიკურ საქართველოში ძლივს თუ აღმოაჩენდით სადმე ერთგვარ მეცნიერულ დაწესებულებებს. დღეს საქართველოში კი ითვლება არა ნაკლებ 123 სხვადასხვა მეცნიერულ ხასიათის დაწესებულებისა.

ამ ათი წლის განმავლობაში საბჭოთა მეცნიერებას აქვს უდიდესი მიღწევები. მიღწევებთან ერთად ხაზი უნდა გაუსვათ აგრეთვე იმ დეფექტებსაც, რაც ხელს უშლის საბჭოთა მეცნიერების შემდეგ განვითარებას. ამიტომ ჩვენ დარგების მიხედვით განვიხილავთ რა მიღწევებს, შევეცდებით იქვე გავაშუქოთ დეფექტებიც.

ბუნებათ-მეცნიერებანი

ბუნებათ მეცნიერებებს საქართველოში განსაკუთრებით არ ჰქონია დიდი ისტორიული ტრადიციები. არც საქართველოს უნივერსიტეტის შემდეგ ჩაჰყრია მას მკვიდრი საფუძველი. მენშევიკურ საქართველოში მას სრულიად არ ექცეოდა ყურადღება. მართალია, უნივერსიტეტის დაარსებამ თავი მოუყარა ჩვენში ბევრ ბუნებისმეტყველთ, რომლებიც უწინ რუსეთში მუშაობდნენ, მაგრამ მათ არ ქონდათ ის მატერიალური ბაზა, რომელზედაც შეესაძლებელი იქნებოდა ბუნებისმეტყველების განვითარება და მეცნიერულ კვლევა-ძიების წარმატებით მიმართება. ქართველი ბუნებისმეტყველი მეცნიერნი უმთავრესად რუსეთის უნივერსიტეტში მუშაობდნენ და თავიანთ ნაწარმოებსაც რუსულ ენაზე აქვეყნებდნენ. მენშევიკების დროს ბუნებისმეტყველებას არ გადაუდგამს არავითარი მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ. მენშევიკებს მათთვის არ ეცალათ. ისინი უმთავრესად მფარველობდნენ ისეთ მეცნიერთ საზოგადოებრივ დისციპლინებში, რომლებიც ნაციონალიზმის ცეცხლს დაანთებდნენ საქართველოში. ბუნებისმეტყველნი კი ასეთ საქმეში გამოუსადეგარნი იყვნენ. საქართველოს გასაბჭოების დღიდანვე უდიდესი ყურადღება ექცევა როგორც თეორეტიულ ბუნებისმეტყველებას, ისე პრაქტიკულს. არსდება სათანადო კათედრები უმაღლეს სასწავლებლებში, არსდება აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებები, სამეცნიერო-საცდელი სადგურები, ლაბორატორიები და სხვ., იცემა სათანადო სახელმძღვანელოები, ცალკე გამოკვლევები მეცნიერული ხასიათისა. ტფილისში თავს იყრიან ისეთი ძალები, რომ ის ცხადდება ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად საბჭოთა მეცნიერებისა. აღსანიშნავია ამ მხრივ მიღწევები მათემატიკის დარგში, განსაკუთრებით განსვენებულ პროფ. ა. რაზმაძის საუკეთესო ნაშრომი „ვარიაციონულ აღრიცხვაში“ და სხვა (იხ. ამის შესახებ კრებული "Десять лет советской науки", გვ. 49-50), აგრეთვე ნ. მუსხელიშვილის ნაშრომები და სხვ.

ქართველი მათემატიკოსები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მათემატიკების საკავშირო და საერთაშორისო ყრილობებზე და მათემატიკურ მეცნიერებების განვითარებაში თავისი ღვაწლი შეაქვთ.

ბუნებათმეცნიერების განვითარება საქართველოში მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობასთან. ამიტომ შესწავლა საქართველოს ძალზე მდიდარი ბუნებისა, არის პირველი პირობა სოციალისტური მშენებლობის წარმატებით ჩასატარებლად. ამ მხრივ შეიძლება ხაზი გაუსვათ საქართველოს გეოლოგიურ ინსტიტუტის მუშაობას. აღნიშნული ინსტიტუტი არის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. ის დაარსებულ იქნა 1925 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიურ კათედრასთან. აქ თავმოყრილია გეოლოგიის დარგში მომუშავე ყველა მეცნიერული ძალები და შეძლების დაგვარად ისინი მონაწილეობას იღებენ ჩვენ სამეურნეო მშენებლობაში. გამოყენებითსა და საკვლევო დარგში ჩატარებულია სხვადასხვა სამეურნეო ორგანოების დავალებით ოცდახუთამდე სამუშაო. ჩატარებულ საველე მუშაობას თან ახლდა მასალის კამერული დამუშავება გეოლოგიურ ინსტიტუტში. შედეგები გამოყენებულ იქნა შესაფერ ორგანიზაციების მიერ — ხოლო თვით ინსტიტუტში მათ მოჰყვა სამეცნიერო ხასიათის ორმოცდასამი საჯარო მოხსენება. დასაბეჭდათ დამზადებულია ხუთი ნაშრომი, მზადდება დასაბეჭდათ ოთხი. გასაბჭოებამდე არც ერთი ნაშრომი არ ქონიათ გამოქვეყნებული გეოლოგიურ ინსტიტუტის თანამშრომლებს — გასაბჭოების შემდეგ კი გამოქვეყნებულია მარტო ალ. ჯანელიძის მიერ თუთხმეტამდე ნაშრომი, ხოლო სხვა თანამშრომლების მიერ კიდევ ამდენივე. ამ ნაწარმოებს აქვს არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა, არამედ თეორეტიულიც.

არა ნაკლები მნიშვნელობისა არის აგრეთვე გეოგრაფიის კათედრისა და კარტოგრაფიული ინსტიტუტის მუშაობა, რომელიც დაარსებულ იქნა 1923 წელს და რომელსაც ხელმძღვანელობს პროფ. ალ. ჯავახიშვილი. გეოგრაფიული მეცნიერება ჩვენში ძალზე ჩამორჩენილი იყო საქართველოს გასაბჭოებამდე, განსაკუთრებით ქართულ კარტოგრაფიის საქმე. პრ. ა. ჯავახიშვილმა მოგვცა პირველი მეცნიერული საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. უდიდესი მიღწევები აქვს მას აგრეთვე ქართული კარტოგრაფიის საქმეში. დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მისი ახალი საქართველოს რუქა რაიონების მიხედვით, რომელსაც შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მიღწევების მხრივ თვით ლენინგრადის და სხვა კარტოგრაფიის ცენტრებს.

ყურადღების ღირსია ბოტანიკის და მინერალოგიის კათედრის მუშაობა.

სათანადოთ მიმდინარეობს მუშაობა ქიმიაშიც. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მუშაობა პისარჟევსკის. მის მიერ დაარსებულ იქნა ქიმიური ინსტიტუტი, რომელიც თანდათან შლის მუშაობას ამ დარგში. მოიკოჭლებს მუშაობა ბიოლოგიაში. ამ დარგში, გარდა პოპულიარული ლიტერატურისა, ჯერჯერობით არაფერი არ მოგვეპოება. ასეთივე მდგომარეობაა ფიზიკაში. არა თუ ორიგინალური ნაწარმოები, არამედ სახელმძღვანელოც კი ვერ გამოგვიცია ჯერჯერობით. აქ არ გვყავს სათანადო კადრები. და ამას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. შემდეგში ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პროფ. ი. ბერიტაშვილის მიერ წარმოებული მუშაობა ფიზიოლოგიასა და ქცევათ-მეცნიერების დარგში. მართალია, კათედრა დაარსდა 1919 წელს, მაგრამ 1921 წლამდე ამ კათედრამ ვერ შესძლო მუშაობის გაშლა. დაწყებული 1921 წლიდან ეს კათედრები აწარმოებენ დიდათ ნაყოფიერ მუშაობას, როგორც სწავლების საქმის დაყენებაში, ისე მეცნიერულ მუშაობის დარგში. საბჭოთა საქართველოს მეცნიერებას შეუძლია იამაყოს პროფ. ი. ბერიტაშვილის მეცნიერულ მუშაობათა შედეგებით. საუცხოოდ არის ი. ბერიტაშვილის მიერ მოწყობილი ფიზიოლოგიური ლაბორატო-

რია და ლაბორატორული ბიბლიოთეკა. აქ თავმოყრილია ძალზე მდიდარი ლიტერატურა უცხო ენაზე. ი. ბერიტაშვილს კავშირი აქვს მსოფლიოს ყველა ფიზიოლოგიურ ინსტიტუტებთან და აღნიშნულ ინსტიტუტებიდან ღებულობს მათ ნაშრომებს როგორც გაცვლის საშუალებით, ისე შესყიდვითაც. თუ ბიოლოგიაში, ზოოლოგიაში და სხვა ჩვენ გვაქვს თანამედროვე მეცნიერების მიღწევებისაგან დიდი ჩამორჩენა, სამაგიეროთ ფიზიოლოგიასა და ქცევათ-მეცნიერებაში ჩვენ ვდგევართ პირველ რიგში. მსოფლიო მეცნიერთა შორის ი. ბერიტაშვილმა გამოსცა როგორც სახელმძღვანელოები, ისე მრავალი მეცნიერული ნაკვლევნი. მისი ნაშრომები გამოცემულია რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ფიზიოლოგიის კათედრას ამ ათი წლის განმავლობაში პროფ. ი. ბერიტაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით გამოუცია ორმოცდა ოთხი ნაშრომი, რომელშიაც თვით ბერიტაშვილს ეკუთვნის ოცდა ათი ნაშრომი. ქცევათ-მეცნიერების კათედრას კი ოცდა ცხრა ნაშრომი, რომლისაგან ოცი ეკუთვნის ბერიტაშვილს. პროფ. ბერიტაშვილი არ არის ბრმა მიმდევარი პავლოვის და ბეხტერევის შკოლის, მას ახასიათებს თავისი საკუთარი შეხედულებები და საკუთარი მეთოდი. მის მეცნიერულ კვლევა-ძიებას დამოუკიდებელი მეცნიერულ-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ყველა ბუნებათ-მეცნიერთ შორის ბერიტაშვილი პირველია, რომელმაც შეიგნო დიალექტიკური მეთოდის, დიალექტიკური მატერიალიზმის უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა. მან არა თუ მარტო ოფიციალურად აღიარა ამ მეთოდის უდიდესი მნიშვნელობა და იცნო მარქსიზმის უპირატესობა, არამედ პრაქტიკულადაც გადასცა ნაბიჯი დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდის მოხმარების საქმეში. მართალია, მის ამ ცდას ჯერჯერობით ზერელე ხასიათი აქვს, დიალექტიკის ბუნება ავტორს ორგანიულად ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია, ამიტომ შეცდომებსაც იდენს. მაგ. საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნაში ბიოლოგიური გადახრა და სხვ. მაგრამ მისი ნაბიჯი მართლაც რომ მისალმების ღირსია. მართლაც და რა არის ძირითადი დეფექტი ჩვენი ბუნებათ-მეცნიერთა — ეს არის მეთოდოლოგიის და მსოფლმხედველობის ჩამორჩენილობა — მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის კრიზისი. ისინი ვერ გასცილებიან ჯერ კიდევ მექანისტურ მსოფლმხედველობას და მეთოდოლოგიას. ფაქტიურ მასალების დაგროვებას ისინი მიჰყავს ძველი მექანისტური მსოფლმხედველობის და მეთოდოლოგიის კრიზისამდე. ბუნების მეტყველნი სტიქიურად უახლოვდებიან დიალექტიურ მატერიალიზმს, მაგრამ შეგნებულად ის არ მიუღიათ. ამიტომ განიცდიან ისინი კრიზისს. ჩვენი დიალექტიური-მატერიალისტების უპირველესი ამოცანაა გაუწიოთ დახმარება ჩვენს ბუნებისმეტყველთ და შევაიარაღოთ ისინი დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდით. ამიტომ ი. ბერიტაშვილის ცდა ღირსია მისალმების. მან პირველად შეიგნო მატერიალისტური დიალექტიკის უდიდესი როლი და შეეცადა მისი კონკრეტიზაცია მოეცა. მაგრამ მისი ეს ცდა არ არის საკმარისი. დიალექტიკას ესაჭიროება უფრო ღრმად შესწავლა. მარტო ენგელსის „ნატურ-დიალექტიკის" წაკითხვა არ არის საკმარისი. არ არის საკმარისი დიალექტიკის მარტო მაგალითებზე გაშლა — საჭიროა თვით ბიოლოგიაში, თვით ქცევა-მეცნიერებაში, ფიზიოლოგიაში და სხვა შინაგანი დიალექტიკურ პროცესის აღმოჩენა და მატერიალისტური დიალექტიკის კონკრეტიზაცია ბუნებათ-მეცნიერებებში. ბერიტაშვილს შეუძლია უდიდეს შედეგებს მიაღწიოს, თუ ის მართლა შეიარაღდება დიალექტიურ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობით. ბერიტაშვილს ეს შეგნებული აქვს, მაგრამ სხვებს ჯერ არ შეუგნიათ. ხშირად ჩვენი ბუნებისმეტყველი მარქსიზმს მტრულად ან ლოიალურად უყურებს — „რათ გვინდა მარქსიზმი", რა კავშირი აქვს მარქსიზმს ბუნებისმეტყველებასთანო და სხვა". ასეთების წინააღმდეგ უნდა იქნას გაშლილი იდეოლოგიური ბრძოლა. ამას მოითხოვს როგორც სოციალისტური მშენებლობის ინტერესები, ისე თვით სპეციალ-მეცნიერებათა

შინაგანი განვითარებაც. ბევრმა ეს შეიგნო და სცდილობს შეიმცნოს დიალექტიკური-მატერიალიზმი. დღეს უკვე ჩამოყალიბებულია ფილოსოფიური წრე მათემატიკებს შორის, მარქსიზმ-ლენინიზმის წრე, ბუნებათ-მეცნიერთათვის და სხვა. თუ ჩვენი ბუნებათ-მეცნიერნი მართლაც სერიოზულად დაეწაფებიან მარქსიზმის შესწავლას, მაშინ მათი მეცნიერული მიღწევები ერთი ორად უფრო გაიზრდება და აღარ ექნება ადგილი ჩამორჩენილობას სოციალისტურ მშენებლობის ტემპებისაგან და მეცნიერებათა განვითარებისგან. ათი წელი საბჭოთა საქართველოში ბუნების მეცნიერებათა განვითარებას უდიდესი მიღწევები ჰქონდა. ეს მიღწევები შედეგია საბჭოთა მთავრობის უდიდესი ყურადღებისა. მაგრამ თუ ბუნებათ-მეცნიერნი დიალექტიკურ მატერიალისტურ მეთოდოლოგიით შეიარაღდებიან, თავს დაახწევენ პოზიტივისტურ-მექანისტურ მეთოდოლოგიას, მაშინ მათი მიღწევები კიდევ უფრო გაიზრდება და ისინი მართლაც შესძლებენ იმ ამოცანების შესრულებას, რასაც მათ წინაშე აყენებს სოციალისტური მშენებლობის დღევანდელი ტემპები.

საზოგადოებათ-მეცნიერება

არ შევჩერდებით ჩვენი მუზეუმების, ბიბლიოთეკების და სხვა დახასიათებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ათი წლის განმავლობაში აქაც უდიდეს მიღწევებს ქონდა ადგილი. გადავალ ეხლა უშუალოდ საზოგადოებათ მეცნიერების განვითარებაზე საქართველოში ამ ათი წლის განმავლობაში.

თუ ბუნებათ მეცნიერებაში კლასობრივი ბრძოლის მომენტები უფრო დაფარულ ფორმებში გვეკლინება, უმთავრესად მეთოდოლოგიურ მსოფლმხედველობის საკითხებში, საზოგადოებათ მეცნიერება ეს ხომ პირდაპირი იდეოლოგიური არენაა კლასთა ბრძოლის. საზოგადოებათ მეცნიერებებს უფრო მეტი ისტორიული ტრადიცია აქვს საქართველოში. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე გვხვდება ქართული მეცნიერული ნაკვლევნი. მენშევიკურ მთავრობის დროსაც ვხვდებით ასეთებს. უმთავრესად ქართული საზოგადოებათ მცოდნეობა ვითარდებოდა საქართველოს გასაბჭოებამდე საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის საფუძველზე. ქართულ ნაციონალისტურ ინტელიგენციას მიზნათ დასახული ქონდა ძველი საქართველოს იდეალიზაცია მოეხდინა და ამით ნაციონალისტური სული ჩაენერგა ხალხში. მაგრამ ღირსშესანიშნავ მეცნიერულ მიღწევებს საქართველოს გასაბჭოებამდე მაინც არ ქონია ადგილი. ეს აიხსნება უმთავრესად მით, რომ ნაციონალიზმით დამთვრალი ქართული ინტელიგენცია ვერ ამჩნევდა მეცნიერებათა ახალ მიღწევებს, რომელნიც განსაკუთრებით მოჰყვა მარქსისტულ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. მიუხედავათ იმისა, რომ მარქსიზმს საქართველოში კარგი დიდი ხნის ისტორია აქვს, ქართველი პროფესორები და მეცნიერნი, რომელნიც უმთავრესად გამოსულნი იყვნენ გაბატონებული კლასის წრეებიდან, ვერ ამჩნევდნენ მას. ეს ნაციონალისტური ტენდენციები საზოგადოებათ მეცნიერებაში ნაწილობრივ გადმოვიდა და განაგრძობდა არსებობას საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. უმთავრესად კი ეს შეეხება საქართველოს ისტორიკოსებს (ივ. ჯავახიშვილის მკოლა), ქართულ ლიტერატურას და ენათმცოდნეობას (კოტეტიშვილი, ა. შანიძე, თოფურია, ჩიქობავა და სხვა).

ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. ივ. ჯავახიშვილი. იდეოლოგიურად ის ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად მხოხაკი ემპირისტია და ანტი-მარქსისტი. განზოგადოებას და სინთეთიურ აზროვნებას ის გაურბის, ხოლო თუ მის ნაშრომებში შეხვდებით სინთეთიურ

აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება. ამის გამო ისტორიული აზროვნება საქართველოში 1921 წლამდე ძალზე ჩამორჩენილი იყო და ნაწილობრივ ივ. ჯავახიშვილის მეოხებით ეხლაც ჩამორჩენილია. მრავალი წიგნები იწერებოდა, მაგრამ მათ ქონდათ უმთავრესად ხასიათი ფაქტების შემოწმების-გენეალოგიის აღდგენისა, თარიღების გამოკვლევის და მეფეების პირადი ცხოვრების აღწერის.

უმთავრესად ასეთ ჩამორჩენილობაში ბრალი მიუძღვის პროფ. ივ. ჯავახიშვილს, თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ფაქტების შეგროვების მხრივ ივ. ჯავახიშვილს აქვს დიდი ღვაწლი — მაგრამ მხოლოდ ფაქტების შეგროვების მხრივ. ამიტომ ივ. ჯავახიშვილის ისტორია არ არის ისტორია როგორც მეცნიერება. საქართველოს მეცნიერულ ისტორიის დამწერს ჯერ კიდევ უცდის საქართველოს ისტორია. ჯავახიშვილი და მისი მიმდევრები არ იცნობენ საზოგადოებრივ ფორმაციას, კლასთა ბრძოლის პრობლემებს. ისინი ისტორიის პერიოდიზაციას ქრონოლოგიის მიხედვით ახდენენ. ისტორიის ასეთი მეთოდოლოგია მე-18 საუკუნის ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიას არ სცილდება და, რა თქმა უნდა, წარმოადგენს რეაქციონურ მიმართულებას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ი. ჯავახიშვილმა მრავალი ნაშრომი გამოუშვა. მაგრამ წინმსველელობა მეთოდოლოგიის მხრივ სრულიად არ ემჩნევა. მისი საქართველოს ეკონომიური ისტორია სრულიად უვარგისია. ეს არ არის ეკონომიური ისტორია, რადგანაც მასში ეკონომიკა სრულიად არა გაგებული სწორად და მეთოდოლოგიურად, ჯავახიშვილის შემოქმედებაში წინსვლა კი არა, უკან დახევაა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ივ. ჯავახიშვილის მონოპოლია ისტორიოგრაფიის დარგში შეირყა. ჯერ კიდევ არა მარქსისტულ წრეებში იწყება მისი მეთოდოლოგიის წინააღმდეგ გალაშქრება და სრულიად სხვა მეთოდით იწერება ისტორია ს. კაკაბაძის მიერ. მართალია, ფაქტიური მასალების გამორკვევის მხრივ კაკაბაძეს აქვს ბევრი შეცდომები, მაგრამ მეთოდოლოგიურად ის უფრო მაღლა სდგას ჯავახიშვილის მხოხავ-ემპირისტულ მეთოდოლოგიაზე. მარქსისტულ ხასიათის ნაშრომებს სწერს გ. ნათაძე დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნოების ბენეფიციების და იმუნიტეტის შესახებ, იკვლევს ნაპოლეონის გაძლიერების მიზეზებს და ხსნის მათ ეკონომიური თვალსაზრისით. ბოლოს 1930 წ. ის სწერს წიგნს „საზოგადოებათ მცოდნეობის მეთოდიკა“. ავტორი თავის თავს მარქსისტად აღიარებს და სცდილობს მარქსისტული მეთოდოლოგია მოიხმაროს ისტორიის შემეცნების დარგში. მართალია მას აქვს შეცდომებიც, მაგალითად, ხშირად ის ხმარობს ისტორიულ მატერიალიზმის მაგივრად ეკონომიურ მატერიალიზმს, რაც, რა თქმა უნდა, მარქსიზმის არა სწორ გაგებას წარმოადგენს, მაგრამ მაინც ის ახლო სდგას მარქსიზმის სწორ შეთვისებასთან.

ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფია თანდათან ყალიბდება. ისმება საკითხი საზოგადოებრივ ეკონომიური ფორმაციის, არის ცდები საქართველოს ახალი პერიოდიზაციის მოცემისა ფორმაციების მიხედვით (გ. ნათაძე), რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიის მარქსისტული გაშუქება და სხვა. მაგრამ ეს მიღწევები არ არის საკმარისი. საქართველოს ისტორია ჯერ-ჯერობით წინა ისტორიას წარმოადგენს, საჭიროა საქართველოს მეცნიერული ისტორია. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ამ ათი წლის განმავლობაში ისტორიულმა აზროვნებამ საქართველოში საკმაოდ წინ წაიწია, იგი ძველ ნიადაგს შორდება, მაგრამ საჭიროა უფრო გაბედული კრიტიკა ძველი მეთოდოლოგიის, უფრო გაბედული წინმსველელობა მარქსისტული მეთოდოლოგიის განმტკიცებისათვის მეცნიერების ამ დარგში.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ქართველ ისტორიკოსების მიერ განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა რუსეთის ისტორიის დამუშავებას. მართალია რუსეთში მარქსისტული ტრადიციები მ. ნ. პოკროვსკიმ დიდი ხანია განამტკიცა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ახალგაზრდობას არაფერი არ აქვს რუსეთის ისტორიიდან ნათარგმნი, ანდა ორიგინალური ნაწარმოები. ეს რუსეთის ისტორიის კათედრის სუსტი მუშაობის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. რუსეთის ისტორიას არ ექცევა სათანადო ყურადღება. მხოლოდ 1930 წელს რუსეთის ისტორიის კათედრამ პედაგოგიურ ინსტიტუტში გადასწყვიტა გამოუშვას რუსეთის ისტორიის მარქსისტულ ნაწარმოებთა თარგმანი. ამ საკითხს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რადგან რუსეთის ისტორიის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

ყურადღების ღირსია ძველი ისტორიის კათედრის მუშაობაც. ამ კათედრის ხელმძღვანელმა ალ. წერეთელმა ამ ათი წლის განმავლობაში უკვე გამოუშვა თორმეტი წიგნი. წიგნები უმთავრესად სახელმძღვანელოებს წარმოადგენენ. მაგრამ არის აგრეთვე ცალკე გამოკვლევანიც. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მარქსისტი არ არის, მის შრომებს აქვს მაინც თავისებური მნიშვნელობა და შეუძლია სარგებლობა მოუტანოს მკითხველს. საერთოდ კი უნდა ვაღიაროთ, რომ ისტორიის ფრონტი საქართველოში მეთოდოლოგიის მხრივ ძალზე მოიკოჭლებს და ჩვენი ახალგაზრდა მარქსისტ-ლენინელთა კადრების ყურადღება გადაუდებლივ უნდა იქნეს აქეთკენ მიმართული.

მეფის დროის საქართველოში, როცა დევნილი იყო ქართული ენა და ლიტერატურა, რა თქმა უნდა, ჩვენი მწერლობის ისტორიის შესწავლას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. უმთავრესად თუ რაიმე იწერებოდა, იწერებოდა რუსეთში უნივერსიტეტების სათანადო კათედრებთან. ცნობილია ამ მხრივ ალ. ხახანაშვილი (მისი ოთხ ტომიანი "Очерки по истории Грузинской словесности"). მენშევიკურ საქართველოს დროს ლიტერატურის კრიტიკასა და ისტორიაში თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. გამალებული მუშაობა ამ მხრივ იწყება სწორედ 1921 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტთან „სიძველეთა მუზეუმი"-ს სახით გაერთიანებულ იქნა ჩვენში არსებული ხელნაწერთა კოლექციები, საბჭოთა მთავრობის ინიციატივით რუსეთიდან დაბრუნებულ იქნა მეფის დროს აქედან გატანილი ძვირფასი მონუსკრიპტები. ხელნაწერთა კოლექციების კონცენტრაციისა და მათზე უშუალო ინტენსიური მუშაობის შედეგი იყო პროფ. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია" ორ ტომად, რომელიც გამოვიდა 1923 და 24 წლებში. მეცნიერული გამოცემა მე-17 საუკუნის პოემის „შვიდი მთიების" (1931 წ.) და სხვა წვრილი წერილები პერიოდულ ორგანოებში დაბეჭდილი. კ. კეკელიძე თავის კაპიტალურ ნაშრომში მეთოდოლოგიურად დიდათ არ განსხვავდება ივ. ჯავახიშვილისაგან. მისი წიგნი ფაქტიურ მასალათა გროვას წარმოადგენს და მეთოდოლოგიურად ის მიუღებელია, მაგრამ გვაძლევს ფაქტიურად ძალზე დიდ მასალას და ერთად ერთი წყაროა ქართული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად. „შვიდ მთიებში" („ბარამ-გურში") კეკელიძე განვითარებას გვიჩვენებს მარქსიზმისაკენ, რამდენად ის შესავალში სცდილობს კლასობრივი ანალიზი გაუკეთოს „შვიდ მთიებს" („ბარამ-გურს"). კ. კეკელიძემ დისპუტზე პედაგოგიურ ინსტიტუტში აღიარა მარქსიზმის უპირატესობა და იცნო დიალექტიურ მატერიალიზმის მონოპოლია.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებით ფეხი ჰქონდა მოკიდებული ნაციონალიზმს — ამის საუკეთესო გამომხატველია ვ. კოტეტიშვილის სამ ტომიანი ქართული ლიტერატურის ისტორია. ეს წიგნი დაწერილია ძველ ქართველ ნაციონალისტურ ინტელიგენციის სტილის მიხედვით და როგორც მეთოდოლოგიურად, ისე იდეოლოგიურად

მიუღებელია. ავტორი არც კი სცნობს ღირსად შეჩერდეს მარქსისტულ მეთოდის დახასიათებაზე. აღიარებს მეთოდოლოგიურ პლიურალიზმს, აურაცხელ მეთოდებს ეზება და მარქსიზმი კი შეგნებულად გამოტოვებულია. ვ. კოტეტიშვილს აქვს აგრეთვე სხვა ნაშრომებიც, მაგრამ აღნიშნული დეფექტები ყველას ახასიათებს.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი დაწერილა, მაგრამ მათი მნიშვნელობა უმთავრესად ამოიწურება ისტორიული მასალების გამოცემით და არა მეთოდოლოგიური მნიშვნელობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერული მუშაობანი „ვეფხის ტყაოსნის" გარშემო. აგრეთვე ს. ხუნდაძის მუშაობა მასალების გამოშვების მხრივ ლიტერატურის ისტორიაში.

მარქსისტული ისტორია ქართული ლიტერატურისა ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამხ. ფ. მახარაძის მონოგრაფიას „დ. ჭონქაძე და მისი დრო". ამ ათი წლის განმავლობაში უმთავრესად ვითარდებოდა ქართული მარქსისტული კრიტიკა და დისკუსიის ცენტრში იდგა მეთოდოლოგიური საკითხები. ამ მხრივ ყურადღების ღირსია შ. რადიანის და ბ. ბუაჩიძის ნაწარმოებნი. აგრეთვე პლეხანოვის თარგმანი და სხვა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მარქსისტული ლიტერატურის მცოდნეობა მოისუსტებს და საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ დარგს.

რაც შეეხება საბერძნეთის და რომის ლიტერატურის ისტორიას — უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ სრულიად არ არის საქმე დამაკმაყოფილებლად. ამ ათი წლის განმავლობაში გამოვიდა რამოდენიმე ნაშრომი პროფ. გრიგ. წერეთლისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წიგნი „საბერძნეთის ლიტერატურის ისტორია". აღნიშნულ შრომაში ავტორი თავის ანტიმარქსისტულ-იდეალისტურ-რელიგიურ მსოფლმხედველობას რეალიზაციას უკეთებს და გასაკვირია ის, თუ რატომ გამოუშვა ეს წიგნი ყოფ. სახ. უნივერსიტეტმა. ამ წიგნს ზიანის მოტანის მეტი არაფერი არ შეუძლია. ასეთი უყურადღებობა ანტიური ქვეყნების ლიტერატურის შესწავლისადმი მიუტევებელი დანაშაულია ქართველ მარქსისტ-ლიტერატურის მცოდნეთათვის.

ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საქ. სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში აღმოსავლეთ-ენათა და ლიტერატურის კათედრის ჩამოყალიბება 1930 წელში. საქართველოს პირდაპირი მოვალეობაა მეზობელ ხალხების ენის და ლიტერატურის შესწავლას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. აქ უმთავრესი ყურადღება ექცევა სომხური ენის და ლიტერატურის, სპარსული ენის და ლიტერატურის, თურქული და არაბული ენის და ლიტერატურის შესწავლას.

1921-30 წ. მოწყობილ იქნა აღმოსავლეთ მცოდნეობის დარგში თოთხმეტი ექსპედიცია, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ლ. მელიქსეთბეგი, გ. ახვლედიანი, გ. წერეთელი, ს. ჯიქია, ი. აბულაძე. დაბეჭდილ იქნა ოცდაათი ნაშრომი.

საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ აგრეთვე ქართული ენისა და ზოგად ენათ მცოდნეობის კათედრების მეცნიერულ მუშაობაზე. ეს კათედრები უმთავრესად თავის მეცნიერულ მუშაობას აწარმოებენ როგორც ახალი, ისე ძველი ქართული ენის შესწავლის დარგში მოსაზღვრე ერების ენების შესწავლასთან დაკავშირებით. მათ ამ დარგში აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები. კათედრამ საგანგებო ექსპედიციის საშვალებით შეკრიბა ძვირფასი დიალექტოლოგიური მასალები რაჭაში, ზემო და ქვემო იმერეთში, აჭარაში, გურიაში, ქიზიყში და აგრეთვე თერგის ოლქში მცხოვრებ ქართველ ყაზახებს შორის; შესწავლილი იქნა აგრეთვე ფერეიდანული კილო. გამოშვებულ იქნა მრავალი შრომები. ჩვენმა ენათ-მეცნიერებმა მიიღეს მონაწილეობა ყველა ღირსშესანიშნავ კონგრესებზე როგორც

მსოფლიოს, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. კათედრა აგროვებს მასალებს ვრცელი ქართული ლექსიკონისათვის, რომელიც რამოდენიმე ტომი გამოვა.

ზოგადი ენათმეცნიერების დარგში ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებს პროფ. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით. მოწყობილ იქნა ხუთი სამეცნიერო ექსპედიცია სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთში, მოწყობილ იქნა პედ. ინსტიტუტის ფონეტიკის ლაბორატორია, სადაც თანდათან იშლება მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა. დაიბეჭდა ცხრამეტი სხვადასხვა ნაშრომი, მათ შორის საენათმეცნიერო ტერმინოლოგია, უცხო-სიტყვათა ლექსიკონი და იბეჭდება რუსულ-ქართული დიდი ლექსიკონი.

მართალია, ქართული ენის და ზოგადი ენათ-მეცნიერების დარგში სწარმოებს მეტად ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც აქვს უაღრესად მეცნიერული მნიშვნელობა, მაგრამ აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ უმთავრეს დეფექტებზე და შეცდომებზე. უნდა აშკარად ვაღიაროთ, რომ დღემდე ორივე კათედრის შემადგენელი მეცნიერული მომუშავენი იდგნენ ანტიიაფეტურ მეთოდოლოგიის თვალსაზრისზე. ისინი მტრულად უყურებდნენ ნ. მარრის მუშაობის უდიდეს მიღწევებს ენათ-მეცნიერების მეთოდოლოგიის დარგში. ამას თუ დაუმატებთ განსაკუთრებით აკ. შანიძის ნაციონალისტურ მიმართულებას, რომელიც ჯავახიშვილის მოწაფეთ ითვლება და მათ ფორმალისტურ მეთოდს ქართული ენათ-მეცნიერების შესწავლის დარგში, მაშინ აშკარად გახდება ჩვენთვის ის უდიდესი საფრთხე, რომელიც მოელის ამ მეცნიერებათა განვითარებას, თუ არ შეიცვალა მათი მეთოდოლოგია.

თუ ქართული ენათ-მეცნიერების კათედრა ვიწრო ნაციონალიზმის და ფორმალისტურ მეთოდის გავლენის ქვეშაა, ზოგადი ენათ-მეცნიერება ინდო-ევროპიული თეორიას ვერ გასცილდება და აწარმოებს იაფეტოდოლოგიის კრიტიკას მარჯანიდან. მართალია, ზოგადი ენათ-მეცნიერების კათედრის გამგე პროფ. გ. ახვლედიანმა დაჰგმო თავისი წარსული და აღიარა, რომ ის „იმუშავებს მომავალში კომუნისტურ აკადემიის ხელმძღვანელობით", მაგრამ ჯერ-ჯერობით წარსული შრომის მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია მეთოდოლოგიური კრიტიკა არ გაუწიოთ მას.

უნდა იცოდეს თვითეულმა მეცნიერმა, რომ საბჭოთა საქართველოს ათმა წელმა მოგვცა ჩვენ უდიდესი შესაძლებლობანი და წარმატებანი მეცნიერების ყველა დარგში და მომავალში არავის არ მივცემთ ნებას ანტი-მარქსისტული, ნაციონალისტური შეხედულებების შემდეგი პროპაგანდისა. ვინც არ განიარაღდება, ვინც არ იბრუნებს პირს ჩვენსკენ და არ იცნობს მარქსიზმის მონოპოლიას — გარიყული დარჩება ჩვენი საბჭოთა სინამდვილიდან.

საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე ფსიქოლოგიის და პედოლოგიის მეცნიერულ კათედრების მუშაობაზე. უმთავრესს აქ წარმოადგენს დ. უზნაძის მუშაობა. ის ხელმძღვანელობს ამ დარგში მუშაობას. ის აწარმოებს მეცნიერულ კვლევა-ძიებას ფსიქოლოგიისა და პედოლოგიის დარგში, აქვს მოწყობილი სპეციალური ლაბორატორია. მიღწევებით ის არ ჩამოუვარდება თანამედროვე დასავლეთ ევროპის მეცნიერთ. ის აწარმოებს ნაყოფიერ მუშაობას, მაგრამ მარქსისტულ მეთოდოლოგიას ის ჯერ-ჯერობით არ ღებულობს. არა თუ მიღებას — მარქსიზმის გაყალბებას სცდილობს. დისპუტზე საქ. სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში მან თავის ბიოსფერიული ნახევრად ვიტალისტური-ეკლექტიური შრომა მარქსისტულ შრომად გამოაცხადა და მით მოინდომა თავის მართლება.

ასეთივე მდგომარეობაა ჯერ-ჯერობით პედოლოგიის დარგშიც. მართალია, უზნაძის ლაბორატორიის გარდა არსებობს ცალკე პედოლოგიური სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელი მარქსისტია, მაგრამ ჯერ ამ ახალ ინსტიტუტს თავისი საკუთარი მარქსისტული ნაწარმოებნი პედოლოგიის დარგში არ გამოუქვეყნებია.

ცოტა უკეთ გვაქვს საქმე მარქსისტულ პედაგოგიკის დარგში. აქ ჩვენ მოგვეპოვება როგორც ორიგინალური ლიტერატურა მარქსისტული ხასიათის, ისე თარგმნილია ყველა ღირსშესანიშნავი ნაწარმოებნი რუსეთის მარქსისტულ-პედაგოგიურ ლიტერატურიდან. საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავზე უკვე დაარსებულ იქნა საქართველოს პედაგოგ-მარქსისტთა საზოგადოება, რომლის დაარსება უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს მარქსისტულ პედაგოგიკის განვითარების საქმეში.

არ არის დამაკმაყოფილებლად საქმე იურიდიულ მეცნიერებათა დარგში — აქ მხოლოდ 1930 წელში დაიწყო საქართველოში არსებულ ანტი-მარქსისტულ მიმართულებით კრიტიკა.

ამ ათი წლის განმავლობაში მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ჩვენში მარქსისტულ-პოლიტიკურ ეკონომიას. ერთი ნაწილი ორიგინალურ ეკონომიური ლიტერატურისა, არ არის მარქსისტული, ამათ ეკუთვნის უმთავრესად გეხტმანის ნაწარმოებნი, აგრეთვე ქოიავას და სხვების. მათ გასავალი ქონდათ უმთავრესად პირველ ხანებში, უკანასკნელ დროს კი უმთავრესად ახალგაზრდა სამეცნიერო ძალების მეოხებით საფუძველი ეყრება ქართულ ორიგინალურ მარქსისტულ ეკონომიურ ლიტერატურას. აქედან აღსანიშნავია უმთავრესად კ. ორაგველიძის ნაშრომი, განსაკუთრებით: „კაპიტალიზმის განვითარება ამიერ-კავკასიაში“, „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია“ და სხვა თეორეტიულ ხასიათის წერილები გარდამავალ პერიოდის ეკონომიკის, აბსოლუტური რენტის შესახებ, აგრარული საკითხი და სხვა.

საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე ამბ. გ. დევდარიანის წიგნი „იმპერიალიზმი და პროლეტარული რევოლუცია“.

განსაკუთრებით დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენ თარგმნილი ეკონომიური ლიტერატურის გამოცემის საქმეში. აქ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ლენინის სრულ თხზულებათა და კ. მარქსის „კაპიტალი“-ს გამოცემა. პირველი მამია ორახელაშვილის, მეორე მალაქია ტროშელიძის რედაქტორობით. ლენინის თხზულებათა უკვე გამოსულ ტომებს შორის არის მისი ეკონომიური ეტიუდები და წერილები 1894-99 წ. წ. (2 ტ.) და მისი კლასიკური ეკონომიური ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ (3 ტ.). ლენინის ეკონომიურ ნაწერებიდან ამის გარდა ცალკე გამოცემად არის, სხვათა შორის, გამოსული „იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა“.

უდიდეს ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მარქსის „კაპიტალი“-ს გამოცემა. „კაპიტალი“-ს გამოსვლა ქართულ საზოგადოებათ-მეცნიერებაში მთელ ეპოქას ჰქმნის. „კაპიტალი“ არ არის მარტო ეკონომიური ნაწარმოები, ის სოციოლოგიურ-ფილოსოფიური ნაწარმოებიც არის. „კაპიტალი“ გამოცემულია 15.000 ეკზემპლიარათ, რაც თითქმის უკვე გასაღებულია. ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის ეს სარეკორდო რიცხვად უნდა ჩაითვალოს. გეგმით გათვალისწინებულია მარქსის და ენგელსის ყველა თხზულებათა გამოცემა. დასაბეჭდათ დამზადებულია მარქსის „ფილოსოფიის სიღატაკე“ და „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. მარქსის წვრილი ეკონომიური ნაწერებიდან გამოსულია კ. ორაგველიძის რედაქტორობით „საქირავო შრომა და კაპიტალი“, „შესავალი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.

გამოცემულია მრავალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები ძირითად ეკონომიურ დისციპლინებში. ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა ყოველ ეკონომიურ დისციპლინაში სახელმძღვანელოების და დამხმარე ლიტერატურის სათარგმნელად და გამოსაცემად. შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ ამ ათი წლის განმავლობაში ყველა ეკონომიურ დისციპლი-

ნებში მარქსიზმმა მოიპოვა მონოპოლია და თავის კონტროლის ქვეშ დააყენა ყოველგვარი მუშაობა ამ დარგში. ეს უნდა ჩაითვალოს უდიდეს მიღწევად საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავზე.

კარგ მდგომარეობაშია აგრეთვე მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის საქმე. თუ გასაბჭოების პირველ წლებში ჩვენში დიდი გასავალი ჰქონდა შ. ნუცუბიძის ეკლექტიკურ მებრძოლ-იდეალისტურ ფილოსოფიას, თუ ჩვენში საღდებოდა ს. დანელიას იდეალისტური ფილოსოფიის ნაწარმოებნი მატერიალისტურ სამოსელში გახვეული და ეს უყურადღებოთ და უკრიტიკოდ რჩებოდა, დღეს მათ ფილოსოფიას გასავალი აღარ აქვს.

მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიამ მკვიდრი საფუძველი მოიპოვა ჩვენში, როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ლიტერატურის საშუალებით. მარტო ლენინის „მატერიალიზმის და ემპირიო-კრიტიციზმის ქართულ ენაზე გამოცემა უდრის მთელ ეპოქას ქართულ მარქსისტულ ფილოსოფიის განვითარებაში. თარგმნილია პლეხანოვის ძირითადი ფილოსოფიური ნაწარმოებნი, თარგმნილია ენგელსის „ლიფერბახი“. გამოცემულია მ. გოგიბერიძის მიერ ქრესტომატია ისტორიულ მატერიალიზმში და სხვა.

ათი წლის თავზე საქართველოს გასაბჭოებისა ჩვენ უკვე გვყავს ახალგაზრდა კადრები მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, რომლებსაც შესწევს უნარი მარქსისტულ იდეოლოგიის კონტროლის ქვეშ დააყენოს, როგორც ბუნების მეტყველება, ისე მთელი რიგი საზოგადოებათ-მეცნიერება.

მარქსისტ-ლენინურ თეორიის ახალი კადრების ზრდამ ათი წლის თავზე მოგვცა ჩვენ შესაძლებლობა დაგვეარსებინა მარქსიზმ-ლენინიზმის საკვლევი ინსტიტუტი, რომლის საზეიმო გახსნა 25 თებერვალს მოხდა. ეს უდიდეს ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მეცნიერებათა და აზროვნების ისტორიის განვითარებაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი გახდება საქართველოს მეცნიერებათა განვითარების უდიდეს ცენტრად. მისი მიზანია თავი მოუყაროს საქართველოს მეცნიერებათა ყველა დარგს და მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობის კონტროლის და ხელმძღვანელობის ქვეშ წარმართოს ის.

ამიერიდან ჩვენი მეცნიერება აღწევს რა თავს ძველ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას და მეთოდოლოგიის გავლენას, სდგება მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობის და მეთოდოლოგიის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მარქსი ამბობდა: „გაბატონებული კლასის იდეოლოგია უნდა გადაიქცეს გაბატონებულ იდეოლოგიათ“-ო, და აი დღეს, როდესაც ეკონომიკაში ჩვენ გვაქვს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი, როცა ჩვენ ვამთავრებთ სოციალიზმის საბრკოლის აგებას, დღეს, როცა კლასთა ბრძოლის გამწვავებამ ყველაზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო — სწორედ რომ დადგა დრო მარქსისტული იდეოლოგიის სრულიად გაბატონებისა.

ამიერიდან ჩვენი მეცნიერების არც ერთ დარგში არ დაუშვებთ ძველი გაბატონებული კლასების იდეოლოგიის არსებობას. ან მარქსიზმის, დიალექტიკური-მატერიალიზმის ცნობა და მით ხელმძღვანელობა, ან მეცნიერების ფრონტიდან სრულიად გაქრობა — აი, ასე არის ისტორიის მიერ საკითხი დასმული. ამას მოითხოვს არა მარტო კლასობრივი ბრძოლის ინტერესები, არამედ ამას მოითხოვს თვით მეცნიერებათა განვითარების შინაგანი ბუნებაც. მეცნიერებათა შემდეგი წინმსვლელობა მჭიდროდ არის დამოკიდებული ამ ჭეშმარიტების შეცნობაზე.

„მნათობი“, 1931, №1-2, გვ. 202—216.

მეორე სხდომა

1930 წლის 14 დეკემბერი

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეძლევა *სარგის კაკაბაძეს.*

კაკაბაძე: ამხანაგებო, ყველაფერი აქ გუშინ თქმულის შემდეგ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ეხლანდელი მომენტი, როდესაც მუშათა კლასის მეთაურობით და პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელობით სწარმოებს მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მიმართულებით. ამ დროს ყველა ჩვენთაგანი და, კერძოდ, სამეცნიერო მუშაკნი ვალდებულია თავის თავის წინაშე საკითხი დასვას და მოსთხოვოს თავის თავს პასუხი. მუშათა კლასი ამ ისტორიული ქარტეხილის დროს წარმოიშვა და დღეს, განსაკუთრებით ეხლა, გარკვეულად არის საკითხი დასმული აქ. საჭიროა, რომ კონდრატიევშჩინას შეუნელებელი ბრძოლა გამოუცხადოს მუშათა კლასმა და ის კონდრატიევლები, რომლებიც სცდებოდენ, შეეცდებიან გამოასწორონ თავიანთი ნაკლი და წარმატება მისცენ მუშათა კლასს, პროლეტარიატის დიქტატურას. კონდრატიევშჩინა ჩვენთვის კარგად ცნობილი არის, ცნობილი არის ეს ჩვენი ინტელიგენციისათვის. საშუალო და მხცოვანი თაობის ხალხი წინად შორს იდგა მუშათა კლასის იდეოლოგიისაგან. დღეს, რასაკვირველია, მიმდინარეობს სოციალისტური აღმშენებლობა და ამ აღმშენებლობაში ჩვენ უნდა მივიღოთ ფართე აქტიური მონაწილეობა. თუ დღემდე რაიმე შეცთომების ქონდა ადგილი, ეს არის დიდი დანაშაული მუშათა კლასის წინაშე, მაგრამ, მით უმეტეს, დიდია დანაშაული იმ პირთა, რომელიც მუშათა კლასის და უღარიბესი გლეხობის შვილნი არიან და არ ცდილობდენ მუშათა კლასის გამარჯვებას. როდესაც მუშათა კლასმა ჰპოვა საბოლოო გამარჯვება, საბჭ. ხელისუფლება დამყარდა, მისი დანგრევა ყოვლად შეუძლებელი არის. მე, როგორც სამეცდარგში მომუშავე, ვსცდილობ, გავაშუქო სწორედ საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით ცარიზმის დროს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ იდეოლოგიურ სფეროში, რომ უნდა შეისწავლონ მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობა, რაშიდაც ხალხი იმყოფებოდა ცარიზმის დროს. აი, სწორედ აქედან იწყება საძიებელი იდეალიზმი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მეცხრამეტე საუკუნეში. ჩვენი წარსული ისტორია, რომელიც იწყობა ფეოდალური წესწყობილებიდან. მეთვრამეტე საუკუნეში, როცა იყო ცნობილი ისტორიკოსი ვახუშტი მეცხრამეტე საუკუნეს ათავსებს ფეოდალურ ხანათ. ეს ამით აიხსნება, რომ ისტორიული პირობები ასეთი იყო. ეს თანდათანობით იზრდება. განსაკუთრებით ფეოდალური ხანა წამოიჭრა ქართველ ... რომელსაც ჰქონდა თვალსაჩინო მნიშვნელობა (*ბმაურობა, არ ისმის*). მართალია, ეს ფეოდალური ხანა და მონიზმი საბჭ. ხელისუფლების დროს მოისპო, მაგრამ მისი იდეოლოგია ჯერ კიდევ დარჩენილი არის და ეს იდეალიზმმა ჰპოვა მომხრეები ქართველ საისტორიო საქმიანობაში (*ბმაურობა*).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, სრულიად არაფერი არ ისმის. თუ მომხსენებელი სწორედ არ ილაპარაკებს, მაშინ ჩვენ ამას შევაჩერებთ. ამხ. ამხ., თუ არ დაწყნარდებით და კარებს არ დახურავთ, იძულებული შევიქნები, შევწყვიტო კრება...

კაკაბაძე: ამგვარად, ჩვენ ვხედავთ ამ ძველი იდეოლოგიის ერთხელ კიდევ აღტკინებას სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც თავადაზნაურობას აღმოაჩნდა დედამ... რომ ავიღოთ ჩვენ ივანე ჯავახიშვილის წიგნები, ჩვენ ნათლად დავინახავთ ამ დებულების უტყუარ სინამდვილეს. ავიღოთ ამ წიგნის ერთ

ერთი თავი, სადაც ის იკვლევს ერის ისტორიას. ეს წიგნი წარმოადგენს იდეალიზაციას ცალკე პიროვნებისას. მეფე ალექსანდრეს შესახებ მოგვითხრობს მის მაღალ კეთილშობილებას და აგრეთვე აგვიწერს მის თანამოცხედრეებს. აი, მის გარშემო ტრიალებს ის ისტორიული წიგნი. ამ წიგნში მოყვანილი არის მეფეების ცოლების ფუფუნება და თუ როგორ დროს ატარებდენ ისინი. აგრეთვე მათთან ერთად მოხსენებულნი არიან როგორც თანა მოცხედრეები, მისი ახლო მყოფნი. ავტორი მწუხარებით გამოსთქვამს, რომ მე-15 საუკ. საქართველოში სამეც. საქმეებს ის აქცევდა ყურადღებას. და მერე როგორც მოგახსენეთ, ვინ არიან და როგორი სამეცნიერო საქმეებია ეს. აი, მაგ., ავტორი უაღრესად აღფრთოვანებულია იმავე ალექსანდრე მეფით, რომელსაც კავშირი ჭონდა უცხო მეფესთან და მის თანა მეცხედრეებთან. მისი კეთილმოღვაწეობა აღნიშნა იმით, რომ პირველი — ხალხის გადასახადით აღკეთით. ამას მიაწერს ამ ხალხის არა ჩვეულებრივ კეთილშობილებას. იმ დროს, როდესაც მოყვანილი აქვს აქ ცნობები იმის შესახებ, რომ ამ კონგრესზე რამოდენიმე ხნის წინათ საქართველოს შემოესია გარეშე მტრები. ერთი ქვეყნიდან წამოყვანილი ტყვეებს ვერ იხსნიდნენ, რადგან იწვევდა აუარებელ ხარჯებს. აი, ამ ნიადაგზე აიხსნება ის, რომ ჩვენ არ გვაქ ჩამოყალიბებული იდეალისტური მიდგომა საკითხისადმი. ისტორიამ ჰპოვა მხოლოდ ცალკე ფაქტები. მე არ შეუდგები ამ წიგნის აქ გადმოლაგებას, რადგან ეს დიდ დროს წაგვართმევს. ჯავახიშვილი თავის წიგნში იხსენიებს საქართველოს ისტორიას, როგორც ერთმა მეფემ ხელი მოაწერა, ამას არც ერთი გონიერი კაცი არ იზამს. იმდროინდელი ცნობების გამოუთქმელობა ეს არის ნამდვილი საბოტაჟი (*ბმაუროძა, არ ისმის*). ჯავახიშვილს ისტორიაში აქვს, რომ ვიღაცას ვიღაცის ცოლი გაუპატიურებია. ძალიან ბოდიშს ვითხოვ, რომ მე ამ სიტყვას ვიძახი. აი, ასეთ საბუთებზე აგებს ჯავახიშვილი ისტორიას. აგრეთვე, მას წიგნი დაწერილი აქვს მენშევიკების სულისკვეთებით. ამ ორი წლის წინათ გამოუშვა წიგნი ... იქ იყო მიღებული საშუალო საუკუნის უმაღლეს მმართველის ჩვეულება და იმ სიტყვის ხმარება, რომელსაც ეხლა ჩვენ უზნაძეს ვთვლით, სრულებით, მაგალითად, არ რიგდებოდა თავის დროს, როგორიც იყო სპარსეთში დიდი შაჰბაზი, რომ ეხმარა რამოდენიმე სართულიანი სიტყვები და სხვა. ანდა ძველი იდეოლოგიის სათაყვანებელი პიროვნება ერეკლე მეორეს შესახებ მოყავს ცნობები, რომლის ფაქტებიც დადასტურებულია და ეს აიხსნება იმით, რომ ძველი საკითხების გასინჯვა თანამედროვე სალონური წესების თანახმად. აქ ჩვენ ვხედავთ უამრავ მაგალითებს, რომელსაც მე აქ არ მოვიყვან. ეს ყველაფერი და საერთოდ ამგვარად მეთოდოლოგიური მიდგომა საკითხისადმი ქმნის იმ მდგომარეობას, რომ ის დიდი დიდ ტომიანი წიგნები, რომლებიც ხშირად გვიჩვენებენ იმას, რომ არსებობს თვით ფაქტების სიცარიელე და ამ ისტორიული ფაქტებისადმი ფორმალური მიდგომა. ამით აიხსნება შედარებითი უნაყოფობა მკითხველთა მასისა. ამით აიხსნება ის დიდი დიდ კანიანი წიგნები, რომელიც გამოდის ამ ბოლო დროს.

ეხლა საკითხი ისმის, მოაქვს თუ არა რაიმე ენება ასეთი იდეოლოგ. ჩვენი პრაქტიკული ცხოვრებისათვის. ეჭვს გარეშეა ის, რომ ქართველები საშუალო საუკუნოების ამ გვარად იდეალისტურ დროში იწვევს ყალბ წარმოდგენას ჩვენი წარსულისას და ამასთან იძლევა იდეურ საზრდოს თანამედროვე პიროვნებებისადმი, იდეური საზრდო ანტიმუშური განწყობილებას კრებავს ფართო გაგებით.

ეხლა კონდრატიევშჩინა, რომელზედაც ეხლა არის ლაპარაკი, კრებავს გულგატეხილებს, ყოველგვარ საბოტაჟნიკებს ჩვენი მეურნეობისა აღმშენებლობის ცალკე დარგებში. მაგრამ ეს ენება იდეოლოგიისა გამოიხატება პრაქტიკულ საქმიანობაში. სხვა მხრივ მე დავასახელებ ზოგიერთ ფაქტს. 23 წელში, როდესაც საქართველოში ტარდებოდა ანტირელიგიური კომპანია, ჩვენი ძველი მონასტრები და ძეგლები უნდა ყოფილიყო დაცული, მას საფრთხე მოელოდა. მაშინ მე და კეკელიძემ და ჯავახიშვილმა მივმართეთ ცენტრალურ მთავრობას, რადგან მათ არ იცოდნენ ეს ამბავი, რომ ძეგლები ნადგურდებოდა, მიეცით ცნობა და ხელისუფლებამ მიიღო სათანადო ზომები და

ეს ძეგლები იყო დაცული. როდესაც ჩვენ მივმართეთ ჯავახიშვილს, მან სთქვა, რომ დღეს, დაილუპოს და მომავალ მთავრობის წინაშე მათ აგონ პასუხიო და ნაწილობრივ დანაშაული მიუძღვის ჯავახიშვილს ამ ძეგლების დაღუპვაში. შემდეგ დირექტივა იყო გამოცემული ცენტრ. მთავრობის მიერ, დანარჩენი ისტორიული ნივთები შეგეგროვებინა და დაგეწყო მუზეუმში. ჩვენ ეს შევასრულეთ. აქ ვაშაყმაძემ ბრძანა, რომ იუანე ჯავახიშვილი არის დიდი ნაციონალიზმის მიმდევარიო. ეს ნაციონალიზმის მიმდევარი კი არ არის, არამედ არის ფეოდალური წესწყობილების მიმდევარი. შემდეგ. ანალოგიური მდგომარეობა იყო არქივებში. ივ. ჯავახიშვილი აბუჩად იგდებდა ამ არქივებს, ამ არქივების შეკრების საქმეს. ეს არქივები იყო წარმოებული რუსულ ენაზე. აი, ასეთი იყო ამ იდეოლოგიის დამახასიათებელი მხარეები.

მე მგონია, რომ ეს იდეოლოგია იმავე დროს გვასწავლის ჩვენ, რომ არ შეიძლება საქართველოს ისტორიული ფაქტების განხილვა გარეშე ნამდვილ და სწორ, უტყუარ მასალებზე დაუყრდნობლად, არ შეიძლება ჩვენ ამას გვერდი აუხვიოთ...

ვინაიდან ჩვენ ამისათვის მზად არა ვართ. ცხადია, რომ აქ არ არის ნასახი არც დიალექტიკისა და არც კლასიურ თვალსაზრისისა. იმ დროს, როდესაც საქ. ისტორიული სოციალ. განხილვა ჩვენ გვაძლევს ფრიად საინტერესო ფაქტებს და მე დავასახელებ აკადემიკოსს მარის შრომას, რომელსაც სათაურად აქვს ,,კლასთა ბრძოლა". საქართველოში კლასთა ბრძოლა და მისი გაშლა ანალოგიურია სხვა ფენებისა. აქ დავინახავთ, რომ ამგვარი სოციალოგიური მიდგომა საინტერესო ფაქტებისადმი არ არის.

თავმჯდომარე: დრო გათავდა, საჭიროა, გაათავოთ.

კაკაბაძე: მე მინდოდა კიდევ ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩვენი ფილოლოგიის შესახებ. მე ვიტყვი მხოლოდ ორ სიტყვას, რადგანაც დრო არა მაქვს. აქ არის შემდეგი მდგომარეობა, არის ორი მთავარი მომენტი. მთავარი არის მეთოდოლოგია და ენათმეცნიერება. ეს არის ჩამორჩენილი დასავლეთ ევროპაში, მე ამის შესახებ შემიძლია ბევრი რამე ვილაპარაკო, მაგრამ რადგანაც მე ყურს არ მიგდებთ და ხმაურობაა, იძულებული ვარ, გავათავო მალე. ინდო-ევროპიული მეცნიერები უკანასკნელ წიგნში, სადაც, მაგალითად, თუ ავიღებთ ჩვენ, გარკვეულად არის ნათქვამი აქ ყველაფერი. აქ ცნობილი არის დიდი ხალხი, მაგრამ პატარა ხალხი, რომლებიც არ კი არიან ცნობილი, სერიოზული განხილვა არ სწარმოებს... (*ხმაურობა*).

მეორე მიმართულება — მეთოდოლოგია, რომელსაც მარი უდგას. მარი ებრძვის იაფეტოლოგიას სიცოცხლეში, მისი იდეოლოგია აგებულია ყველა ენის აღორძინებაზე. როდესაც ის სწავლობდა ენების სისტემას, მან სცნო, რომ ქართული ენა არაჩვეულებრივი ენა არის მეცნიერებისათვის. ცხადია, რომ ქართულ ენას მეცნიერებაში უნდა...

ამ მიმართულებით, რომელსაც დიდი უპირატესობა აქვს ძველ ქართულ ენას, მაგრამ ამ იაფეტოლოგიის იდეალების გამო აკადემიკ მარს ჩვენ სამეცნიეროში ჰქონდა გაცხადებული სამეგრელოს ბრძოლის უკანასკნელი წლები ფეოდალის იდეალიზმთან. ჩვენ ვიცით, რომ მარს დიდ პატივს სცემს საბჭოთა ხელისუფლება. მოხდა მათ შორის სრული გათიშვა, მარის იაფეტოლოგია დაუახლოვდა მუშათა კლასს, მუშათა კლასმა ეს ძველი დამყაყებული იდეოლოგია უკუაგდო და მომავალიც უზრუნველყოფილია. ... ეხლანდელ მომენტში საჭიროა ჩვენ ამოუდგეთ გვერდში მუშათა კლასს. ეს არის სწორი გზა, ამ გზით უნდა ვიაროთ და ამ გზით სრული გამარჯვება იქნება იდეოლოგიის და ამ პერიოდში მუშათა კლასის რევოლიუცია იქნება მარქსისტული დროშის ქვეშ (*ბანგრძლივი ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა პროფ. *შალვა ნუცუბიძეს.*

შ. ნუცუბიძე: ამხანაგებო, მე უნდა ვსთხოვო აუდიტორიას, რაც შეიძლება სიწყნარე დაიცვან, ვინაიდან ძალიან დაღლილი ვარ. ამხანაგებო, ყველა აქ გამოსული ორატორები ან თავის თაუზე ლაპარაკობდენ ან და საკითხს პირდაპირ არ

ეხებოდენ. მე შეევხები მოხსენებას, ჩემი ავტობიოგრაფიას მე აქ არ მოვყვები. საკითხი სდგას აქ ასეთი სახით — კონდრატიევშჩინა ჩვენს პირობებში და მისი პრობლემა. მომხსენებლის მიერ კონდრატიევშჩინის საფრთხე ჩვენში და მასთან ბრძოლის პრობლემა საერთოდ სრულიად წესიერად იყო დაყენებული. ამხანაგებო, რევოლიუციონური ბრძოლით მივაღწიე იმ მდგომარეობამდე, როდესაც ბურჟუაზია და მუშათა კლასი ერთი მეორეს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა. ამ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, დგება პერიოდი, როდესაც ერთი კლასი, ჩვენ შემთხვევაში მუშათა კლასი, იმარჯვებს და ამ გამარჯვებულ კლასს საშუალო ფენიდან გამოსული ელემენტები გვერდით ამოუდგება ერთად მხოლოდ შეგუების ან მოსაზრების მიზნით. ეს ბუნებრივი მოვლენა არის განვითარების გარკვეულ საფეხურზე და ასეთ მდგომარეობას ვერც ერთი ქვეყანა, მათ შორის ჩვენიც, ვერ გაექცევა. ამიტომ აქ გამართულ დისკუსიის ოქმებიდან მე ამოვიკითხე, თითქოს საქართველოს „მირონცხებული“ ტერიტორია დაცული იყოს ასეთი მოვლენისაგან. რა თქმა უნდა, აქ საკითხისადმი სწორე მიდგომა არ არის. საქართველოს ტერიტორია კონდრატიევშჩინისაგან დაცული არ არის. ამიტომაც ჩვენ გვესაჭიროება რკინისებრ შევმჭიდროვდეთ. დადგა მომენტი, როდესაც დანის პირზე სდგას საკითხები — „ან აქეთ, ან იქეთ“ და ვინც თავისი ზრახვებით „იქეთ“ არის და სცდილობს, ფართო მსჯელობით დაფაროს კონდრატიევშჩინის საკითხი, — თითქოს საქართველოს პირობებში კონდრატიევშჩინას არსებობა არ შეუძლიაო — ეს საკითხის მიჩქმალვა არის. აი, როგორ სდგას საკითხი. კონდრატიევშჩინა არის ჩვენთან ისე, როგორც საერთოდ სხვაგანაც, და, მაშასადამე, კონდრატიევშჩინას უნდა ვებრძოდეთ აქაც ისე, როგორც ამას ებრძვიან მთელს საბჭოთა კავშირში. აი, ამ თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ საკითხს და ჩვენი აზრი უნდა გამოსთქვათ კონდრატიევშჩინის შესახებ ნათლად და გარკვევით. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებს, კლასი-ექსპლოატატორთა და მუშათა კლასი ერთი მეორეს ებრძვის. და სადაც გაიმარჯვებს მუშათა კლასი, სადაც თავის მყოფადს ქმნის. აი, ეს არის მთელი ისტორიის გასაქანი-პროგრესი. მთელი კაცობრიობის ყურადღება ეხლა აქეთ არის მიქცეული. ... თუ ჩვენ გვრწამს ეს დებულება, მაშინ, რა თქმა უნდა, აქ არჩევანი არ უნდა იყოს. როგორც ყველგან საერთოდ, ისე საქართველოშიც უნდა შევებრძოლოთ კონდრატიევშჩინას და თითოეულმა სთქვას, თუ ვისთან არის, მუშათა კლასთან, თუ მის მტრებთან. აი, ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი (*ტაში*). მომხსენებელმა საკმაოდ ნათელი ანალიზი გაუკეთა ყველა მომენტებს, რომელ ნიადაგზე აღმოცენდა კონდრატიევშჩინა. მე, როგორც ერთ-ერთი დისკუსანტი, ვფიქრობ, რომ საკითხი სდგას აქ ინტელიგენციასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს მდგომარეობა ხაზგასმით მომხსენებლის მიერ არ იყო აქ ნათქვამი. თემა იყო: სპეციების საკითხი დაკავშირებული იყო კონდრატიევშჩინის პრობლემასთან. როგორც იცით, კლასთა ბრძოლა თანდათანობით მწვავე ფორმებს ღებულობს და აი, ასეთ კრიტიკულ მომენტში არ შეიძლება, რომ ინტელიგენციამ ამას უყუროს პასიურად. ინტელიგენცია გიგანტიური ნაბიჯებით ამას თან უნდა გაყვეს. საჭიროა, რომ ამ შუა ელემენტმა თავის ფიზიანომია გამოაშკარავოს და თავის თავი მიაკუთვნოს ან ერთ, ან მეორეს. ასე გადაჭრით სდგას საკითხი ჩვენში (*დარბაზში დიდი ბრაურობაა*). ზოგი შეიძლება ინერციის ძალით მიყვებოდეს რევოლიუციას და ვინც გაიმარჯვებს, მას ამოუდგება გვერდში. ეს არ არის საკმარისი, არამედ საჭიროა, რომ ჩვენ ამ გამარჯვებისათვის მუშათა კლასთან ერთად ვიბრძოლოთ. საკითხი სდგას პრაქტიკულად, რომ გადაიჭრას უდიდესი პრობლემები, დღევანდელ პირობებში ინტელიგენცია გაიმიჯნოს კონდრატიევშჩინისაგან. ინტელიგენციას უნდა ახსოვდეს, რომ ეროვნული კულტურის აღორძინება დიდი საქმე არის არა ნაციონალისტური თვალსაზრისით. კულტურული აღორძინების საკითხი ეს დიდი საკითხი არის და დიდი სანუკვარი ამბავიც არის. აბა, გამორიცხეთ თქვენი შემეცნებიდან ყოფილი პირობები, რომელმაც ეროვნული კულტურის აღორძინებას ხელი შეუწყვეს და მაშინ მიხვდებით, თუ რას ნიშნავს ეს პრობლემა,

როგორც რევოლუციის შემოქმედება, რომელსაც ხელმძღვანელობს მთელი თავისი ენტუზიაზმით მუშათა კლასი. ფაქტია, რომ პროლეტარიატმა ეროვნული საკითხი, როგორც ეროვნული და კულტურული აღორძინება, მშვენივრად გადასჭრა. ინტელიგენციამ ეს უნდა შეიგნოს თავისი პოზიციის გამორკვევის დროს. მე მინდა მივაქციო ყურადღება ამ გარემოებას, რომელიც არ იყო მოხსენებაში აღნიშნული. ინტელიგენციამ უნდა იფიქროს ერთი წუთით, რა მდგომარეობა შეიქმნებოდა ჩვენში, კონდრატიევშჩინას რომ გასაქანი მიეცეთ, რა მდგომარეობა შეიქმნებოდა, რომ კონდრატიევშჩინას ფართო გასაქანი მიეცეს.

იცით თქვენ თუ არა, რა პოლიტიკური სიტუაცია იქნებოდა ის, რომელიც კონდრატიევშჩინელებს ესახებათ (*ადგილიდან*: ვიცით, შენ გვითხარი შენი აზრი!) რესტავრაციის მდგომარეობა. მომხსენებელს რომ ეს ეთქვა გარკვეით, კარგი იქნებოდა.

ჩვენს სინამდვილეში შეიქნებოდა ისეთი სიტუაცია, რომელიც ეროვნულ საქმეს საფრთხეს მიუმზადებდა (*ადგილიდან*: მაინც როგორ გესმის? გარკვეით ვერ ლაპარაკობ! *ხმაურობა*. გვითხარით გარკვეით!).

თავმჯდომარე: ხელს ნუ უშლით, მიეცით დრო, რომ დაამთავროს თავისი სიტყვა.

ნუცუბიძე: ეხლა რაც შეეხება იდეოლოგიურ მხარეს. მე, რა თქმა უნდა, პოლიტიკურად აქ თავის გამართლება და არც დეკლარაციის გაკეთება არ დამჭირდება, იმიტომ, რომ მომხსენებელმაც თვითონ აღნიშნა, რომ მე განსაცხადებული არაფერი არ მაქვს. მე იმ დროს ვიდექი რევოლუციასთან, როდესაც აი, ჩემ ადგილიდან „მოკამათეებს“ „გარადავიო“-ც არც უნახავთ თვალით (*ხმაურობა დარბაზში და სიცილი*). მე ბოდიშს ვითხოვ, რომ პირადათ ჩემი თავის შესახებ ორი სიტყვა მათქმევინეს.

ეხლა მეორე საკითხი. აქ განცხადებული იყო, რომ მე იდეოლოგიის ნიადაგზედ არ ვარ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც პოლიტიკურ საქმიანობაში ვარ — კეთილი და პატიოსანი. როგორი არის აქ მდგომარეობა. მე ვფიქრობ, რომ აქ მდგომარეობა სავსებით ისე არ არის, რომ აქ თითქოს ვინმე მოსათრევი იყოს, ან ვილაცამ ვილაც უნდა შეებრალოს. არა, არც ასე იყო საკითხი დასმული. საკითხი იყო დასმული, რომ ნუცუბიძე ერთ დროს მარქსისტი იყოო და ეხლა კი ამ გზას გადაუხვიაო. ერთ დროს მას კარგად ესმოდა მარქსიზმი და იბრძოდა მისთვის და კვლავ რომ ამ გზას დაადგეს, უკეთესი იქნებაო. სრულიად არ ვმართავ მე დისკუსიას აქ ამის შესახებ, იმიტომ, რომ ფილოსოფიის კათედრას გადაწყვეტილი აქვს ასეთი დისკუსიის გამართვა და უცდის ჩემ უკანასკნელ წიგნს, რომელიც ამჟამად გერმანიაში იბეჭდება (*ადგილიდან*: აქ რატომ არ იბეჭდება?).

თავმჯდომარე: აქაც დაიბეჭდება, თუ საჭირო იქნება (*ხმაურობა*).

ნუცუბიძე: გერმანულ ენაზედ არის დაწერილი და ამიტომ იბეჭდება გერმანიაში (*ადგილიდან*: რა შინაარსის არის ეს უკანასკნელი წიგნი). ჯერ ჩემი ძველი წიგნების ამბავი მიამბეთ და მერე მე მოგაწსენებთ უკანასკნელის შინაარსს (*დარბაზში ხმაურობა*).

თავმჯდომარე: ნუ უპასუხებთ.

ნუცუბიძე: რაც შეეხება იდეოლოგიურ მხარეს, მე ვაცხადებ, რომ მე მარქსიზმთან დღეს მოვდივარ, რადგან მე მარქსისტი ვიყავი და მისგან გამოვდივარ (*ადგილიდან*: იდეალისტი ხარ თუ არა?). არ გახლავარ იდეალისტი. იდეალისტი კი არ ვიყავი, არამედ ისეთი კარგი მატერიალისტი, რომ ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად პეტროგრადის ფილოსოფიურმა კათედრამ დისპუტში კარევეი მოიწვია, ის კარეევი, რომელსაც პლეხანოვი ებრძოდა თავის წიგნით ... მე დამატაკეს ეს კარეევი იმ დროს, როდესაც თქვენ პროტოპლაზმაც კი არ იყავით (*დარბაზში ტაში და სიცილი*) (*ადგილიდან ხმები*: ჩვენ მოვითხოვთ, პასუხი გასცეთ კითხვებს. *ხმაურობა*).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, ხელს ნუ შეუშლით, ვინაიდან თავისი აზრი უნდა დაამთავროს მოკამათემ. ჩვენ პოლიტიკურად პროფ. შ. ნუცუბიძეში ეჭვი არ გვეპარება, მან ეს განაცხადა. მხოლოდ ჩვენ გვინდა, თუ რას ფიქრობს ის დიალექტიურ მატერიალიზმზე.

ნუცუბიძე: მაშასადამე, მე რას ვფიქრობ დიალექტიურ მატერიალიზმზე. ამხ. მომხსენებელმა განაცხადა, რომ პროფ. შ. ნუცუბიძე ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში სრულიად გულახდილად აცხადებს, რომ ცდილობს მივიდეს, ან და ფიქრობს მივიდეს დიალექტიურ მატერიალიზმამდე იმ რიგად, რომ მას არ დასჭირდება ჰეგელის გადაბრუნებაო. ეს მართალი არის. საქმე არაა, თუ როგორი უნდა იყოს გაგება გზის, რომ დიალექტიურ მატერიალიზმამდე მივიდეთ. მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელი არის დიალექტიურ მატერიალიზმამდე მისვლა, რომ არ მოხდეს ჰეგელის გადატრიალება. მე ვფიქრობ, რომ თუ გავატარებთ იმ აზრს, რომ იდეალიზმი შინაგანი სახით მიდის კრიზისამდე, იმ დაპირისპირებამდე რომელიც იდეალიზმს შიგნით გააჩნია, როდესაც ყველაფერი გადადის ობიექტში და სუბიექტი რჩება გამოფიტული, ე. ი. სუბიექტისაგან არაფერი არ დარჩა, გარდა დაცარიელებული სუბიექტისა. მაშინ ჩნდება იდეალიზმის შინაგანი კრიზისი. ვინაიდან ერთ მხარეზე არაფერი აღარ არის, გადასაბრუნებელიც არაფერია (*ადგილიდან*: მაშ, რატომ არის აზრთა სხვადასხვაობა?). ეს ალბად იმიტომ, რომ ჩვენ ამ საკითხზე სხვა და სხვანაირად ვფიქრობთ მე, მარქსი და თქვენ.

დასასრულ, რადგანაც მე ბევრი დრო წაგართვით და ატმოსფერაც ნერვიული არის, ფილოსოფიაზე ლაპარაკს არ დავიწყებ. მე ვფიქრობ, დადგა დროს, როდესაც გარეშე კოლლექტივსა და ინდივიდუალურ შემოქმედებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და თუ ეს დრო დადგა, მაშინ წყდება ინდივიდუალური ფილოსოფიის გაგებაც (*ლაპარაკობს რუსულად*).

ასე ფიქრობდა მარქსი (*ლაპარაკობს გერმანულად*). ფილოსოფია არის პროლეტარიატის გული და თავი კი — ფილოსოფიაო. ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება გული ცალკე იყოს და თავი — ცალკე, მათი განცალკევება ერთმანეთისაგან შეუძლებელია. ეს მთლიანი ორგანიზმია და ჩვენ ეს უნდა შევისისხლხორცოთ და როგორც მთავარ დებულებას, უნდა დავეყრდნოთ.

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეძლევა *სიმონ ჯუნდაძეს*.

ჯუნდაძე: ამხანაგებო, ერთ თვეზე მეტი არის, რაც ტფილისის სხვა და სხვა სამეცნიერო დაწესებულება ატარებს საინტერესო დისკუსიას კონდრატიევშჩინის შესახებ, კერძოთ, კონდრატიევშჩინის არსებობა საქართველში. ამ დისკუსიას საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ დისკუსიაში უნდა გამოირკვეს ყველა მეცნიერების დამოკიდებულება კონდრატიევშჩინასთან, მის მოვლენებთან. უნდა ვთქვა გარკვევით და ნათლად, კონდრატიევშჩინა როგორც სოციალისტური ეკონომიკის საფრთხე არის. უნდა ვთქვა, რომ კონდრატიევშჩინა დამლუპველი და საზარელი არის მთელ ოქტომბრისათვის და საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მეორე მხრივ ჩვენი ინტელიგენცია მთელი სამეცნიერო ძალებით გარკვეულ ნიადაგზე უნდა დაგვისახონ, თუ როგორ ესმით მათ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ რეკონსტრუქციის საზოგადოებრივ განვითარების საქმეში. როგორი არის მათი დამოკიდებულება ამ დიდ პრინციპთან, როგორ ესმით მათ სოციალისტური საფეხური, ჩვენი ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა კოლექტივიზაციის საფუძველზე. მესამე საკითხი — პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ხელისუფლებისათვის, კომუნისტ. პარტიისათვის, გაიგოს, თუ რა დამოკიდებულებაში არიან ჩვენი სპეცები კონდრატიევშჩინასთან. არავითარი მიხვევ მოხვეულობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. გულახდილათ უნდა გვითხრან მისი დამოკიდებულება, ხელისუფლებას უნდა უთხრან, თუ ვისთან არიან ჩვენი სპეცები, მაგრამ, სამწუხაროთ, აქ გამოსული ზოგიერთი სამეცნიერო ძალები ვერ აკმაყოფილებს ამ პასუხს. არ ამბობენ თავიანთ აზრს გარკვევით, განსაკუთრებით, პროფესორი პოლიექტოვი, კოტეტიშვილი, უზნაძე და ნიკოლაძე. ჩვენ დაუსვით მათ

საკითხი, როგორი არის თქვენი დამოკიდებულება კონდრატიევშჩინასთან, როგორ უყურებთ თქვენ ამ მოვლენას, გესმით თუ არა თქვენ, რომ ეს არის ახალი ბურჟუაზიული მოვლენა. ეს უქადის ხელისუფლებას დამარცხებას. გვითხარით თქვენ თქვენი აზრი, გამოსთქვით, თუ თქვენ რას აპირობთ.

მეორე მხრივ დიდი საკითხი თხოულობს გადაჭრას. ეს არის სამეცნიერო ძალების გარდაქმნა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გადაყვანა

სოციალისტ. მშენებლობას ისინი მხარს უჭერენ. ეს არ არის დამაკმაყოფილებელი. მაგ., დოცენტი კოტეტიშვილი თავის ავტობიოგრაფიას დიდ მნიშვნელობას აძლევს. იმის ნაცვლად, რომ მას ეს ავტობიოგრაფია არ ეთქვა, მას უნდა ეთქვა ჩვენთვის გადაჭრით პოლიტიკური მრწამსი, თავისი იდეოლოგიური მსოფლმხედველობა, რომელიც მას უნდა გადმოეცა.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ავტორი, რომელსაც თავისი ცხოვრება გაუტარებია ბრძოლაში, რომელიც მემარცხენე ფრონტზე სდგას და ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოქტომბრის რევოლიუციაში. დღეს კი ვხედავთ, ეს მემარცხენე მოქცეული არის მემარჯვენეში, მაგრამ მემარცხენეობა იყო დროული და ეს დროული მემარცხენე მიტომ მოექცა მემარჯვენეში. ის ქადაგებს ეროვნულ კულტურულ აღორძინებას და მემარცხენეს კი ის არ შეფერის. ის მემარცხენე, რომელიც ქადაგებდა სიტყვით, საქმით უნდა დაამტკიცონ. მეორე ისტორიული ფაქტი. აიღეთ თვით კომუნისტური პარტიის შიგნით იყო ისეთი ძალები, როგორიც არის პაულები. მუშათა კლასის მრეწველობის დროს კლარა ცეტკინთან ერთად ის რევოლიუციონერი მებრძოლია, მაგრამ შემდეგ ეს დასცილდა. ასე რომ, სიტყვებით განცხადება არ კმარა, საჭიროა ეს საქმით იყოს დამტკიცებული. კოტეტიშვილი ამბობს, რომ ის რჩება სოციალიზმის და სოციალისტური მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად და საწინააღმდეგო მას არაფერი არა აქვს. დღეს სტუდენტებმაც კი იციან მთელი რიგი ფაქტები, რომ ასე ლაპარაკობენ მენშევიკური პარტიის წარმომადგენლები და თქვენც ასე ამბობთ, სოციალისტური წესწყობილების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ეს ასე არ შეიძლება, გარკვევით უნდა სთქვა, რომელ გზას ადგიხარ და რომელი სისტემა გინდა. საერთოდ ორი სისტემაა — ლენინურ მარქსისტული და ოპორტიუნისტული მიმართულება. აქ კონკრეტულად სდგას საკითხი, ჩვენ ამას გვერდს ვერ აუხვევთ (*ტაში*). ძალით არ უნდა ლაპარაკი. კოტეტიშვილმა განაცხადა და პროფ. უზნაძემ და სხვებმა, რომ მუშაობთ ერის საკეთილდღეოდ და ვიზიარებთ მის იდეებს. ეს არ არის საკმარისი, საჭიროა კარგად და გარკვევით ვსთქვათ, რომელ მიმართულებას ეკუთვნი, პირველს თუ მეორეს. აი, ასე სდგას აქ საკითხი. თქვენ გსურთ ის ფორმა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არის, თუ ოპორტუნისტული. თქვენ გარკვევით უნდა სთქვათ, რომ ძველი კაპიტალისტური წყობის ლიკვიდაციაა, ვგმობ მას და მივდივარ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის გზით. ეს არის პროლეტარიატის საკეთილდღეოდ მიმართული. ამას კი ჩვენმა პროფესორებმა არავითარი პასუხი არ გასცეს. ჩვენ არ მოგვცეს პასუხი გარკვეული, არც ერთი სთქვეს და არც მეორე. არც ის სთქვეს, რომ ისინი მიუდგებიან დღეს პრ... დღევანდელი პრობლემა, როდესაც ხდება, ასე ვთქვათ, გარდაქმნა მთელი საზოგადებრივი წესწყობილების, დარღვევა ძველი საზოგადოების, ახალი საზოგადოების შექმნა, ძველი მსოფლიო იდეოლოგია მიუღებელი არის. დღეს საკითხი სდგას იდეოლოგიის განიარაღების და გადაიარაღების, უკეთ რომ ვსთქვათ, უნდა მოსცილდეს ძველ იდეოლოგიას. თუ ეს არ მოხდა, ძველი იდეის წარმომადგენლები ჭაობში დარჩებიან. ამის შესახებ რა გვითხრეს მეცნიერებმა, არაფერი არ უთქვამთ კავშირის გაწყვეტაზე. ჩვენ წინაშე უნდა იყოს თანამგზავრი კომუნისტური რევოლიუციის და პროლეტარიატის მიზნების. ამის შესახებ ჩვენ პრესაში და ლიტერატურაში ერთგვარი ცვლილება ხდება. ჩვენი სამეურნეო ცხოვრება წინ მიდის, ჩვენი თანამგზავრი უნდა იყოს ნამდვილი ამ იდეების მატარებელი, სხვა აზრი არ შეიძლება რომ იყოს. წინათ თანამგზავრის პრობლემა იყო აღდგენითი

პერიოდი, დღევანდელი პრობლემა კი არის სოციალისტური რეკონსტრუქცია და ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. როგორ ესმის ჩვენს თანამგზავრს ეს იდეები. აი, აქ რას სწერს ერთი მეცნიერი (*ხითხულობს*).

როგორი უნდა იყოს დღევანდელი თანამგზავრი, მისი მსოფლმხედველობა, მან უნდა შეითვისოს მარქსის და ლენინის დებულება, აქტიური მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ჩვენს მშენებლობაში, გულხელდაკრეფილი არ უნდა უცქერდეს ჩვენ მუშაობას. ჩვენ თანამგზავრს სამი დამახასიათებელი თვისება უნდა ჰქონდეს. უნდა გაწყვიტოს კავშირი ძველ ქვეყანასთან, უნდა შეითვისოს ახალი მარქსისტული ლენინური კანონები. აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენს აღმშენებლობაში. მაგრამ ჩვენი დღევანდელი მეცნიერება ამას არ არის დამოკიდებული. რეაქციონერებს და კონტრრევოლიუციონერებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენში, იმიტომ, რომ ვინც იცავს ძველ მსოფლმხედველობას, იმას ვერაფერი ვერ გაეგება ახალის. ვისაც ჩვენთან მუშაობა უნდა, უნდა დადგეს მარქსისტულ ნიადაგზე. მე მინდა შევეხო აქ ძველ იდეოლოგიის ყალბ დებულებას, თუ შალვა ნუცუბიძემ მიგვითითა ოქტომბრის რევოლიუციაზე და ეროვნულ კულტურაზე. მართალია, ოქტომბერმა ხელი შეუწყო კულტურულ აღორძინებას, მაგრამ ჩვენი კულტურული აღორძინება ასე არ გვესმის. მან აიღო კულტურული აღორძინება, ეროვნული. ეროვნული კულტურული აღორძინება მუშათა კლასმა არ იცის, ისტორია უკულტუროდ არასდროს არ არსებობდა. ამ ისტორიას თავისი კულტურა აქვს და აი, აქ სწორეთ ის შეცდა და გადახრა მოახდინა, მაგრამ უმეტესად ეს კულტურა ფეოდალური კლასებიდან იწყებოდა და მეორე მხრივ კი ეს გაბატონებული კულტურა და აი, სწორეთ ეს ძველი კულტურა ოქტომბრის რევოლიუციამ დაამსხვრია. ძველი კულტურა, პროფ. ნუცუბიძეს დაავიწყდა, აღარ არის, დაავიწყდა აგრეთვე ის დიდი დებულება, რომელსაც სტალინი ლაპარაკობდა და ამ საკითხს ხაზ გასმით აღნიშნავდა. ჩვენ ვსპობთ გაბატონებულ კლასს და კულტურას და ვღებულობთ ახალ კულტურას, რომელიც ერთსაირად მიუდგება პროლეტარულ კლასს. რა გამოვა, თუ ჩვენ მიუშვით ამხ. შალვა კულტურულ დარგში, ის განავითარებს მხოლოდ ეროვნულ კულტურას, რაც იქნებოდა დიდი დანაშაული ჩვენი დებულების დარღვევისა. ამიტომ ვისაც უნდა იდგეს საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, უნდა გასწყვიტოს კავშირი ძველ დროსთან და უნდა გადაიარაღდეს და უნდა შეიქნას წმინდა მარქსისტი მსოფლმხედველი. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, ამხანაგებო, რომ მთელი რიგი პროფესორებისა, რომელიც აქ გამოვიდნენ, ვერ აკმაყოფილებენ ჩვენ მოთხოვნილებას, რომელსაც ჩვენი თანამედროვე ეპოქა მოითხოვს.

ეხლა მე შევეხები ორ დიდ ისეთ ფაკულტეტს, როგორიც არის ერთი საზოგადოებრივი ეკონომიური ფაკულტეტი და მეორე — ლიტერატურული ფაკულტეტი.

როგორი არის ახლა მდგომარეობა, როგორ გვაქვს აქ საქმე. უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ლენინურ მარქსისტულ საფუძველზე აგებული არ იყო. ამხანაგებო, დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების აღზრდის საქმეს. ჩვენ უნდა თანამედროვე დროისათვის უნდა აღვზარდოთ სათანადო კადრები. ასეთი აღზრდილი კადრები ჯერ ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. აღმზრდელები ძლიერ ცოტა გვყავს. უნდა ავიღოთ პროფ. ნათაძე, რომელის მსოფლმხედველობა არ არის მარქსისტული და ის ვერ აღზრდის ჩვენს კადრებს. მართალია, მისი მოწაფე ნამორაძე აქ მუშაობს, მაგრამ საქართველოს ისტორიას ჯერ კიდევ არ ღირსებია მარქსიზმი. არ არის 40% შემოჭრილი მარქსიზმი. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის მეცნიერები ვერ აკმაყოფილებენ წარსულს და ვერც მომავალში დააკმაყოფილებენ. მე მოგახსენებთ ჯავახიშვილის სკოლის შესახებ. მართალია, აქ ბევრი ითქვა, დაახასიათეს მისი მსოფლმხედველობა, მისი მოღვაწეობა, რომელიც ნათელი არის ჩვენთვის, თუ რა მდგომარეობა არის. მართალია, ჯავახიშვილი დიდი მეცნიერი არის, დიდი ნიჭიერი კაცი არის, მაგრამ ჩვენთვის ამ ჟამად მიუღებელი არის. ეს ისტორია, მისი ნაწერი არ არის სოციალისტური ენით ნაწერი, რომ ავიღოთ მისი საინტე-

რესო შრომები (*ბმაურობაა, არ ისმის*). მისი ისტორიაში განვითარებული არის ბარონული და ფეოდალური წესწყობილება, შემდეგ მოდის ვიწრო კაპიტალისტური. ჯავახიშვილის გამოკვლევას ვერ ნახავთ ფაქტებით, მას აქვს (*არ ისმის*) ... როგორ ესმის მას კლასთა ბრძოლის განვითარება, ბურჟუაზიის ლიკვიდაცია. მას აქვს მხოლოდ ვიწრო კაპიტალიზმის განვითარება და სხვადასხვა. აქ ვსთქვით საზოგ. ფორ. სტრუქტურის გარეშე და შესწავლა დიალექტიური მატერიალიზმისა არა თვალსაჩინოდ არის, უნდა ხდებოდეს ეს პირიქით. ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენმა მეცნიერებმა თუ ვერ შესძლეს დაგმობა, ე. ი. გადაიარაღება და ჩვენი მოთხოვნილების შესრულება, არსებითად გადაკეთება როგორც თავიანთ თავისა, ისე აგრეთვე თვით მეთოდისაც, იმ ახალი მეთოდის შეთვისება, რომელიც ეხლა მიმდინარეობს ეხლა ლიტერატურის დარგში. თქვენ ყველამ იცით, რომ აქ არის პროფესორი გრ. წერეთელი და რომელიც აქ სავსებით იქნა გაშუქებული. ეს პროფესორი გარკვევით არ შეეცადა თავისი ფიზიონომიის გამოაშკარავებას. კომუნისტების აქ მოსვლამ, ინსტიტუტში შემოჭრამ ის შეაშფოთა, რა თქმა უნდა, როგორც გრ. წერეთელი, ისე სხვებიც. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ კომუნისტებს არ ელაპარაკებოდენ და მასთან საერთო არ უნდოდათ რომ ქონოდათ არც მსჯელობის დაწყება რაიმე თემაზე. კაცმა, რომელმაც განაცხადა, რომ მარქსიზმს ის არ იცნობს, მარქსიზმი მას არ სწამს და მარქსი მეცნიერი არ არისო. როდესაც მას არც ერთი წიგნი მარქსისა არ წაუკითხავს, როგორც ამას თვითონ ამბობს, არ ვიცი, როგორი პროფესორი უნდა იყოს ის, რომელმაც არ იცის მარქსის მსოფლმხედველობა. როგორც გრ. წერეთელი პროფესორი, მეცნიერი მუშაკი ამბობს, რომ მე ის არ შემისწავლია, არ წამიკითხია და აგრეთვე მარქსი მეცნიერი არ არისო, ეს ყოვლად დაუშვებელია და აგრეთვე ამბობს, რომ მე არ შემისწავლია ეს იმიტომ, რომ მაშინ მისი შესწავლა არ საჭიროებდაო. როგორი მდგომარეობა არის ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. ამ მხრივ უნდა ვსთქვათ, რომ ძველი საქართველოს ლიტერატურა დაწყებული პროფესორ ხახანაშვილიდან და გათავებული გრ. წერეთლამდე და რომლებიც მოკლებულნი იყვნენ სოც. მეთოდებს. მაგრამ მე უნდა განვაცხადო აქ, რომ რომელსაც ლიტერატურული ისტორიის კათედრა უკავია, ეს პროფ. კეკელიძეს. მან შეუდგა ძველის გადასინჯვას და შეფასებას, შეუდგა თავისი შრომის გამოსწორებას და აგრეთვე მან ისიც იცის, რომ ჩვენ გვჭირია ახალი კადრები, კომუნისტები ჩვენს უნივერსიტეტში. ერთ ერთ თავის შრომაში, სადაც მან წმინდა მარქსისტული თვალით მიუდგა, რასაკვირველია, აქ დეფექტებს ადგილი ექნება და შესაძლებელია, ვერ გაამართლა, ვერ გააშუქა მარქსისტულად საკითხი, მაგრამ ის, რაც ძველი ქართული ლიტერატურაში არის ეს. აქ უნდა შევეხო კეკელიძეს მოწაფე ბარამიძეს, რომელიც ამ გზით მიდის. გურამიანის წინასიტყვაობაში ის აღნიშნავს, ამნაირად არის დიდი მიღწევები. შეიძლება დამაკმაყოფილებელი არ იქნეს, მაგრამ კავშირის გაწყვეტა მაინც უნდა. მართალია, ძალიან აქტიურად არ მუშაობს, მაგრამ მაინც სცდილობს მუშაობაში მიიღოს მუშაობა. ეხლა მე მინდა შევეხო კოტეტიშვილის მოქმედებას მე-19 საუკუნის ლიტერატურის შესახებ.

კოტეტიშვილმა განაცხადა, რომ მისი წიგნი პირველი ისტორია არის მე-19 საუკუნის პერიოდის. ეს შეცდომა არის. ხახანაშვილის წიგნი მე-19 საუკუნის შესახებ არამც თუ მნიშვნელოვანი პერიოდისაა, არამედ ჯერ დაუძლეველი არის. ამის უარყოფა არ შეიძლება. მე მაინტერესებს ერთი რამ, კოტეტიშვილის ლიტერატურის საკითხი, ეს არ არის მარქსისტული მეთოდოლოგიის. ეს არის სწორედ მისი კოტეტიშვილს აქვს წიგნი სამი ტომით დაწერილი, მაგრამ კოტეტიშვილს ჩვენთვის არ უთქვამს არ წიგნს იზიარებს თუ არა, როგორი შეხედულებისაა ეხლა ამ წიგნებზე. მე მინდა თქვენ გაგაცნოთ მისი ნაწერები და ამისათვის მე ერთ ადგილს წაგიკითხავთ (*კითხულობს*). აქ წამოყენებული აქვს მთელი რიგი მომენტებისა, დამახასიათებელი ძველი წესწყობილებისა. რამდენად სწორია ეს და მეცნიერულად მისაღები.

ეხლა მე გადავალ მარის ნაშრომზე. მისი მთელი შინაარსი მარქსისტული

არის, მაგრამ კოტეტიშვილი არ იზიარებს მას (*ბმაუროძა, არ ისმის*), მაგრამ როგორი და რა სახით მარქსისტული იდეოლოგია, პოლიტიკური იდეოლოგია (*კითხულობს*). აი, ამას ეყრდნობიან კოტეტიშვილი და სხვებიც და ამბობს, რომ მე გადასინჯვა არ დამჭირდებაო. ასეთი ნაწერებს, რა თქმა უნდა, გადასინჯვა ესაჭიროება, ეს უნდა მიხვდეს კოტეტიშვილმა. რომ გადაესინჯოთ მთელი მისი წიგნი, სულ ასეთებს ვნახავთ (*კითხულობს*). და ამით აშუქებს პირველი ნახევრის ლიტერატურულ მიმართულებას. აქ არ არის არაფერი ნათქვამი ნატურალურ მეურნეობაზე, აქ არ არის მითითებული ისეთ მომენტზე, რომელიც ეს წარმოშვა, საჭირო იყო პროცესის ჩვენება (*კითხულობს მის წიგნიდან*).

ის ამბობს, რომ ეს წიგნი დაწერილია წინეთ და განსაკუთრებით ეხება 60 წ. ფართო ინტელიგენციას. აქ ეხება ის პრესის განვითარებას. არაფერს არ ამბობს, თუ როგორი გარემოება არის კლასთა შორის. იდეოლოგია მისთვის არ არსებობს, არსებობს მისთვის კულტურული ფონი. ამხ. კოტეტიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც აქ განაცხადეს, რომ მათი გადასასინჯავი არაფერი არა აქვთ, მაშინ ისინი იმ მიზნის გარეშეა, რომელსაც კომუნისტური მოძრაობა ეწოდება (*ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის პროფ. *ალექსანდრე წერეთელს.*

წერეთელი: ამხანაგებო, ჩვენ მოვისმინეთ მოხსენება ამხ. პროფ. ვაშაყმაძის მიერ. ის ჩვენგან თხოულობს გარკვეულ პასუხს, თუ ჩვენ რას ვფიქრობთ და ვისთან ვართ. უპირველეს ყოვლისა უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემ წარსულში არ მაგონდება ისეთი რამე, რისაც მეშინოდეს ან მრცხვენოდეს. მე არ ჩამიდენია ისეთი რამე, რომ ამაზე პასუხი ვაგო. მე მუდამ ვყოფილვარ მშრომელი ხალხის მოსამსახურე და ვიქნები (*ბმაუროძა*. არსებითად ილაპარაკეთ, თქვენი ბიოგრაფია არ არის საჭირო!). მომისმინეთ, ხელს ნუ მიშლით და მე ყველაფერს ვიტყვი.

ამხანაგებო, მე მოსანანიებელი და არაფერი მოსარიდებელი არა მაქვს. მე არ დავიწყებ ლაპარაკს ჩემს წარსულზე. მე ამას გულწრფელად ვლაპარაკობ. მე შეგნებულად და გარკვეულად ვადგივარ პროლეტარიატის საკეთილდღეოთ მუშაობაზე, მე მძულს ყოველგვარი მონობა, ექსპლოატაცია და სხვა (*არ გვინდა ჩვენ თქვენი ასეთი ლაპარაკი, საქმეზედ გადადით!*). და თუ მე რაიმე დანაშაული მიმიძღვის, მე ქედს მოვიხრი თქვენს წინაშე. ეხლა მე რას ვაკეთებ. როგორც აქ მომხსენებელმა სთქვა, მე ვიყავი სოციალ-ფედერალისტი, მაშველთა პარტიაში. მე ამას სუყველაფერს გულწრფელად ვაშბობ. გასაბჭოების დღიდან მე სულ მუდამ გულწრფელად ვმუშაობდი, ვმუშაობდი კულტურულ საზოგადოებაში. არ ყოფილა ისეთი დარგი, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლებას მე მივეწვივნე და უგულოთ შემესრულებინოს. ყველა მუშაობას მე გულწრფელად ვასრულებდი. მე მეჭირა პასუხისმგებელი თანამდებობა სწავლის დარგში, ვსარგებლობდი განათლების კომისარიატის უფლებებით. მე ამაზე ბევრს არ ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ისეთი პრინციპის გახლავართ, როგორც ბანის მთქმელი და ტაშის მკვრელს არაფერი არ საზღვრავს, მით უმეტეს, ბანის და ტაშის მკვრელს. უნდა ითქვას, რომ ამისი ზოგადად გადმოტანა აქაც შეიძლება. აქ იყო თქმული, რომ კონდრატიევშინა არის ახალი ბურჟუაზიული იდეოლოგია. მე უნდა მოგახსენოთ, როგორც ძველი, ისე ახალი ჩვენთვის მიუღებელი არის (*ადგილიდან ხმები:* ფაქტი დაგვისახელე!). ფაქტები, ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ თუ ავიღებთ მთელ თხზულებებს, თქვენ აქ შეგიძლიათ, რომ ეს ფაქტები აქიდან გამომჭვივის.

ჩემი სახელმძღვანელოს შესახებ. ასეთი გარემოება იყო. ნათქვამია, იდეალისტობა არის შიგ. არავითარი პრეტენზიები არა მაქვს, რომ დავიცავა ჩემი ნაწერები (*ადგილიდან ხმები*: სთქვით, სთქვით!). მე მჯეროდა, რომ იდეალისტური მსოფლმხედველობა შეიძლება, რომ მატერიალისტური, რომელიც მე მოწაფეებს დაუსახე (*ხმები*: მარქსისტული) შეიძლება უფრო კარგად ვერ მიცნობდენ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მე თქვენ წინააღმდეგობას არ გიწევთ, რომ ისინი არ არის დაწერილი არა მარქსისტულად, არა მარქსისტული დაწერილია სოციალოგიური მიმართულება და არა... შესაძლებელია, ფსიქოლოგიურ ფაქტებზე ლაპარაკი. ჩემი წიგნები დალაგებული არის სოციალოგიურად, მაგრამ მე ამის თქმა არ მინდა, რომ ეს არის დაწერილი მარქსისტულად.

ეხლა გადავდივარ იმ საკითხზე, თუ რას ვფიქრობთ (*დარბაზში ხმაუროა*). თუ მომისმენთ, გეტყვით და თუ წინასწარ გადაწყვიტეთ თქვენ, მაშინ გადაწყვიტეთ, რა ვქნა. მე გეტყვით, რომ ჩემ წინაშე დაისვა აქ საკითხი, რომ მე აღვზრდი თუ არა კადრებს სოციალისტურ ნიადაგზე, სოციალისტური ბრძოლისათვის და სოციალისტური მიმართულებისათვის და ვზრდი თუ არა ეხლა ასეთებს. მე ვამბობ, რომ ვინც ამას არ ასრულებს, სოციალიზმის მტერია. აი, ის პირდაპირ დებულება, რომელიც მე წამომიყენეს. მაშინ მე ესთქვი, როგორ უნდა მოვიქცე, აგრეთვე თაღლითობა მე არ შემიძლია და როდესაც აქ დაისვა საკითხი, მე ერთმა საკითხმა დამაფიქრა. ეს იყო ეს საკითხი. მაშინ, როდესაც კულტურულ რევოლიუციის მზადება იყო, მე აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი უმაღლეს სასწავლებლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდობას აქვს დიდი თვისებითი უნარი. უნდა აღვნიშნო, რომ ეხლა მე დავიწყე შესწავლა მარქსიზმის. ამხანაგებო, თუ მე წარსულში ვიყავი მარქსისტი და მე არ ვყოფილვარ კაუცკისტი, ნუ თუ მე ისეთი გიჟი ვარ, რომ ეხლა დაუბრუნდე კაუცკის (*სიცილი*). ამიტომ მე გამოველი თქვენს წინაშე, რომ ვთქვა. მე არ შემიძლია მოგახსენოთ, რომ სრული ასი პროცენტით მარქსისტი ვიქნები. მე ამას არ ვიკადრებ. აი, ეხლა გამოვა ჩემი წიგნი და გაშინჯეთ, დანარჩენი თქვენს სინდისზე მომინდია. მე ვარ ჩემი სიტყვის ბატონ-პატრონი და ამას თავისდღეში არ შევცვლი (*ბანგრძლივი ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა ამხ. პროფ. და *დოც. შარიას* (*ბანგრძლივი ტაში*).

შარია: ამხანაგებო, სანამ მე გადავიდოდე არსებითად საკითხზე, მე უნდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ქართულ ენაზე. ვინაიდან ჯერ მე ქართული ენა არ შემისწავლია კარგათ, მაგრამ ეხლა მე ვეცდები, ვილაპარაკო ქართულ ენაზე, რადგან იმ ამხანაგებს, რომლებსაც რუსული არ ესმით, ისინი უფრო კარგათ გამიგებენ ქართულ ენაზე.

ამხანაგებო, არ შემეძლო იმ მოკლე დროის განმავლობაში და სხვა და სხვა პირობების მიხედვით, არ მქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდე ყველა პროფესორის ნაწარმოებს, რომლებზედაც აქ იყო ლაპარაკი, მაგრამ ზოგიერთი პროფესორის გამოსვლა მე მაძლევს საშუალებას, შევეხო მათ იდეოლოგიურ ფრონტს. უმთავრესად ორ პროფესორზედ, რომლებიც ლაპარაკობდნენ, თუ როგორი იყო მათი მუშაობა, აგრეთვე, მათი მოღვაწეობა, როგორი არის მათი იდეოლოგიური ფრონტი. ისინი ეწევიან პოლიტიკურ საბოტაჟს. კრებაზე არ მოისურვეს დასწრება. ესენი გახლავთ ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი. ეს ხალხი, მართალია, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ უმაღლეს სასწავლებლებში იმისათვის, რათა თავიანთ პოლიტიკური ბაგაჟი დამალონ, არ გამოაშკარავონ, მაგრამ სად არიან, როდესაც აქ მათზეა ლაპარაკი. მათ არ იკადრეს მოსვლა. ეს არის პოლიტიკური საბოტაჟი. აკადემიური საბოტაჟი მაშინ იქნებოდა, თუ ისინი თავს დაანებებდნენ აკადემიურ ფორმებში მუშაობას და არ მოვიდოდნენ ლექციებზე. აი, თავიანთი რეაქციონური იდეოლოგია აქ გამოააშკარავეს მათ. აი, ეს აქტი არის პოლიტიკური აქტი და მას ჩვენ აუცილებლათ სათანადო შესაბამი უნდა მივსცეთ. აქ ლაპარაკობდნენ, რომ ჯავახიშვილს მეთოდოლოგია არა აქვსო, მაგრამ მე არ ვეთანხმები მათ. მას აქვს მეთოდოლოგიური ემპირიზმი, აღწერითი. ესეც მეთოდოლოგია არის. ისე ვერ გაბედავს, რომ არ გააშუქოს ყველა ის ფაქტები, რომელიც არის. აი, ვიმეორებ, რომ ჯავახიშვილს აქვს მეთოდოლოგია, მხოლოდ საკუთარი მეთოდოლოგია. მართალია, ივანე ჯავახიშვილს დიდი დამსახურება აქვს, მაგრამ ეს არ აძლევს იმის გარანტიას, რომ მას შეცდომებს არ გაუსწორებენ, თუ ის თავის პოზიციებს არ გადაშინჯავს, არ დააკვირდება კარგათ, ვერ იხსნის ვერაფერი, რაც უნდა კარგი დამსახურება ქონდეს. როდესაც მას უხდება მუშაობა კადრების აღზრდაში, აი აქ შეიძლება განვასხვაოთ მისი მეთოდი თანამედროვე ეხლანდელ მეთოდოლოგიისაგან. როდესაც ახალი კადრებს ვზრდით ახალი მუშაობისათვის, მას უნდა ახასიათებდეს აუცილებლათ

კლასიური ალლო, მაგრამ ასეთი აღზრდილი სტუდენტები ჩვენ მან ვერ მოგვცა, ვერ მოგვაწოდა იმიტომ, რომ ის ძველი კაცი არის და მას თავისი საკუთარი მეთოდი აქვს ამ აღზრდის საკითხში, რომელიც მიუღებელია ჩვენთვის. ახალგაზრდობას არ ახასიათებს არც ერთი ჩვენი ტრადიცია, ახალ კაცს უნდა ახასიათებდეს პროლეტარული სულისკვეთება. აი ამიტომ ჩვენ პირდაპირ უნდა ვიფიქროთ, რომ საჭიროა ამ დარგში გვყავდეს თავიანთი მეცნიერები და ის მეცნიერები საერთოდ, რომელნიც განაგრძობენ მუშაობას ამ დარგში გარკვეულათ და აი ამ გზით უნდა მიუდგნენ საკითხს.

მე გამაოცა პროფ. პოლიევქტოვის გამოსვლამ. ის ამბობდა, რომ მე სიტყვის თავისუფლებას ვქადაგებო. მის სიტყვებში გამოსჭვიოდა რაღაც თავისებური ტონი და მის სიტყვიდან ასე გამოდის, რომ მას შიში მართლაც გაუმართლდა. მისი ლაპარაკის ტონი იყო სულ სხვანაირი, მაგრამ ამ გამოსვლას ჩვენ უნდა გაუკეთოთ გარკვეული კვალიფიკაცია. პოლიევქტოვს, როგორც ისტორიკოსს, უნდა კარგათ ესმოდეს, ყველა სახელმწიფოს წყობილება წარმოადგენს ყველა საზოგადოებას მოცემული აქვს კლასობრივი დემოკრატია. ამისათვის პროფ. პოლიევქტოვს ურჩევ, წაიკითხოს ლენინის ნაწარმოები და იქ გაიგებს, როდესაც ლაპარაკი არის დემოკრატიაზე, ეს არის კლასობრივი, ეს არის კლასობრივი საზოგადოება. რას ნიშნავს კლასთა თავისუფლება, ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი კლასი არის მებატონე მეორე კლასის. პოლიევქტოვს ნუ თუ ეს არ ესმის. თუ ეს მას არ ესმის, პოლიევქტოვმა უნდა დაგვიჯეროს, რომ ეხლა არის პროლეტარიატის დიქტატურა. მარი არ არის კერძო იდეოლოგისტი. ესე არ უნდა ესმოდეს. ის გამომდინარეობს პროლეტარულ დიქტატურის არსებობიდან. განსხვავება არის ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარულ დემოკრატიის შორის. ბურჟუაზიული დემოკრატიული დემოკრატია მიმართული არის ექსპლოატაციისაკენ, მას უნდა გაამაგროს, გაამტკიცოს ექსპლოატაცია. პროლეტარული დიქტატურა მიმართული არის ექსპლოატატორების წინააღმდეგ და ჩაგვრის აღმოფხვრისაკენ. ჩვენ ისეთი ისტორია არ მიგვაჩნია ისტორიად, რომელსაც არ ესმის კლასთა მიმართულება. ისტორია უნდა იყოს ორიენტაცია აწმყოსი და პრობლემა და თუ პოლიევქტოვი არ გამოასწორებს თავის უდიდეს შეცდომას, მაშინ ჩვენ მას ვეტყვით, რომ ის არ ივარგებს საბჭოთა უმაღლეს სკოლებში.

დოცენტი კოტეტიშვილი სცდილობს თავისი კარგ ფორმალურ გამოცდით დაამტკიცოს, რომ ის იბრძვის საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მე მაშინ გამახსენდა ერთი ტიპი მეიერხოლდის თეატრის. არის ტიპი, რომელიც ეგუება ყველა წყობილებას, ყველას „ბრატიშკებს“ ეძახის. ჩვენ არ გვინდა ასეთები. ჩვენ გვინდა, რომ ნამდვილად დაამტკიცოს თავისი ერთგულება ამა თუ იმ მეცნიერმა მუშაკმა. გამოდით და სთქვით, თქვენ ვისთან ხართ, რა გსურთ თქვენ. თქვენ იცხით, რომ პოლიტიკურად ჩვენთან ხართ და იდეოლოგიურად კი არა. ეს როგორ შეიძლება, განა ეს შესაძლებელი არის. კოტეტიშვილი გამოვიდა და ამტკიცებდა თავის წარსულს. თუ კოტეტიშვილი ისევ ისე დარჩება, მისი მეთოდოლოგია ჩვენთვის მიუღებელი იქნება. კოტეტიშვილის დაწერილი წიგნი 29 წელში წინაა... წინააღმდეგ შემთხვევაში, პარალელიზმზეა ლაპარაკი. უპრინციპო სახელმძღვანელოა. მეთოდოლოგიაზე დოცენტ კოტეტიშვილს უნდა ეთქვა — დიახ, მე არ ვიზიარებდი მარქსისტულ მეთოდოლოგიას არა იმიტომ, რომ არ ვიცოდი, არამედ ეთქვა, რომ მე არ ვცდილობდი, რომ შემესწავლა მარქსისტული მეთოდოლოგია. და ეს არ სთქვა, მან სთქვა და რაღაც შემთხვევით გამორჩა მას, მაგრამ ეს არ არის სწორი. ჩვენ ზოგადი დეკლარატიული განცხადება არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ ვკმაყოფილდებით მაშინ, როდესაც თავის სპეციალურ დარგში გვაჩვენებს სოციალიზმისაკენ მუშაობას და იდეოლოგიურათ ის სდგას მარქსიზმის საფუძველზე. ჩვენ არ გვაკმაყოფილებს მარტო ის, რომ ის იდგეს ჩვენთან პოლიტიკურად, როგორც ის ამბობს: „მეც თქვენთან ვარ პოლიტიკურადო“. საჭიროა, რომ მან სთქვას, მე იდეოლოგიურადაც თქვენთან ვარ, ვიზიარებ მარქსისტულ იდეოლოგიას. ჩვენი მთავარი მიზანი, ჩვენი მთავარი ამოცანა არის უმთავრესად კადრების მომზადება.

სწორედ იდეოლოგიაში სჩანს მისი მთავარი პოლიტიკური მიმართულება. აი, ეს არის მთავარი გენერალური მუშაობა ჩვენში (*ტაში*). აი, სწორედ ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ სრულებით დაუკმაყოფილებელი იყო პროფ. ნიკოლაძის გამოსვლა. ის ლაპარაკობს, რომ მე მიცნობენ სხვა და სხვა ადგილას, როგორც ინჟინერს, ვმუშაობ მე სხვა და სხვა ადგილას. ეს კი საკმარისი არ არის. ამხანაგი ვაშაყმაძის სიტყვა არ იყო შემთხვევითი. მან შეისწავლა და სათანადო კლასიფიკაცია გაუკეთა და თავისი ადგილი მიუჩინა ჩვენს პროფესურას. პატივცემულ პროფესორს უნდა გაეგო საკითხის პირდაპირი მნიშვნელობა და ისე გარკვევით ეთქვა ყველაფერი აქ. მას ყველაფერი ნათლად უნდა ეთქვა თავის შეხედულება ამ საკითხზე. ასე რომ, ჩვენ აქ მისი გამოსვლა არ გვაკმაყოფილებს და აი სწორეთ ამ დისკუსიას დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ჩვენ ამ კათედრაზე გამოსულ პროფესორებს აუდიტორიაში მყოფნი აკრიტიკებენ.

ეხლა გადავდივარ პროფ. უზნაძის გამოსვლაზე. არ ვიცი, არის თუ არა დღეს აქ. თითქოს პროფ. უზნაძემ არ გაიგო, რაზეა აქ ლაპარაკი და რაზე უნდა ელაპარაკნა მას. ის საკითხს შეხებოდა პოლიტიკური თვალსაზრისით და პროფ. უზნაძეს უნდა სცოდნოდა, რომ აქ აკადემიური კამათის ტრიბუნა კი არ არის, არამედ საკითხი სდგას პირდაპირ, ე. ი. პოლიტიკური საკითხი და აი ამ პოლიტიკურ საკითხზედ მას უნდა გაეცა შესაფერისი პასუხი. აკადემიურ კამათს, რომელსაც ჩვენ თავის დროზე გავმართავთ, იქ შეუძლია პროფ. უზნაძეს გამოვიდეს და ასეთ საკითხებზე იქ ილაპარაკობს. ნუ გონია ნურავის, რომ მარქსისტული ძალები შეუშინდებიან აკადემიურ ბრძოლაში (*ტაში*). მაგრამ ცდა, პოლიტიკურ მოსხენების ტრიბუნიდან გამოიყენონ თავიანთი ანტიმარქსისტული მეთოდოლოგია, ეხლა დროულად არის დასმული პოლიტიკური საკითხი და ამ მეთოდის გვერდის ახვევა არ შეიძლება. ჩვენ მოვითხოვთ, რომ გვერდი არ აუხვიოთ და გვითხრათ სისწორე.

პროფესორმა უზნაძემ გვერდი აუხვია, სთქვა, რომ ბოლოს და ბოლოს, მარქსისტული ფსიქოლოგია არ არსებობსო. ამის შესახებ ამბ. ვაშაყმაძემ სწორეთ დასვა საკითხი. მარქსისტული ლოგიკა არავითარი იზმი და პეტროციზმი მარქს არ აქვს ... იმის თქმა, რომ ფსიქოლოგიაში მარქსიზმი არ არსებობს, ეს გასაოცარი განცხადება არის, გასაოცარია მით შემდეგ, რაც მარმა საფუძველი ჩაუყარა. დიდი ხანი არის, რაც მარის სკოლებში ... მარის წინააღმდეგ პროფესორი უზნაძე იბრძვის. ეს არის ხელის შეწყობა კონდრატიევშჩინის. მე უნდა გითხრათ, რომ ბიოსფერაში თავი მობეზრდა. მე მაქვს ერთ-ერთი წიგნი პრეცენდენტი ყოფილა სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოსფერო საერთო პრინციპი, რომელიც განსაზღვრულია ბიოსფეროს მოქმედებაზე. ეს ყველამ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ვებრძვით მექანიზმურ მატერიალზმს. ნურას უკაცრავად, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მექანიკური მატერიალიზმი მსოფლმხედველობით იმ კონტექსტით, რომელიც აქ პროფ. უზნაძის ბიოსფეროში, ეს არის მისტიური პრინციპი და არა მეცნიერული პრინციპი. ჩვენთვის ადამიანი არის სოციალისტური ცხოვრ... მას ახასიათებს სოციალობა და ვინც ცდილობს, რომ ადამიანი არის სოც. ცხოვრების გარეშე, ეს არ არის სწორი გაგება, ეს არის აზრის არა სწორი გაგება და ამიტომ ეს დაუშვებელი არის. მართალია, პროფესორი ნუცუბიძე, რომელიც ხაზს უსომდა, რომ ფიზიკური განსხვავება არის და არა ბიოსფერული ... აი აქ არის შეკითხვა მექანიკური და მისტიციზმის პრინციპზე. თუ ამ აზრს ჩვენ ვერ გავიგებთ სრული მისი მნიშვნელობით, მაშინ ეს იქნება ვიტალისტური გაგება, როგორც აქ ზოგიერთ გამოსულთაგანს ესმის ეს. დიტო უზნაძე ლაპარაკობდა გაერთიანების შესახებ. რა არის ეს. მას ასე გონია, რომ ეს არის ეულგარ... ბუნების მეტყველების პრობლემა და არა ისე, როგორც პროფ. ნუცუბიძე ლაპარაკობს, რომ სუბიექტ-ობიექტივის მსჯელობაა ... მაგრამ ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ თავის ნამდვილ სწორ გაგებას ამ პრობლემისადმი ის არ ამკლავნებს. მას მოყავს, რომ ერთ-ერთი პოეტი საზღვარ-გარეთელი ამბობდაო, რომ ერთხელ ნადირობის დროს ჩავარდა ჭაობში (*კითხულობს*).

რატომღაც მას არ შეუძლია, რომ თავისი თავი გაასამართლოს. აი სწორედ გაერთიანება არაა სწორი, გაერთიანება მატერიალისტური და მათ გაერთიანება

კი ეს არის იდეალისტური. ვინც ამას მეცნიერულად ვერ ხსნის, მას არა აქვს სწორი გაგება ამ საკითხის. უზნაძემ ნიღაბის ჩამოფარების ხერხს მიმართა და თუ დღეს აქ არ არის, ხვალ მოვა და უპასუხებს დასმულ პრობლემებს და თუ ვერ უპასუხა, მაშინ ჩვენ უპასუხებთ. გადავდივარ ... უცდის არა მარტო არამედ ხელი შეუწყოს

გადავალ ეხლა, ამხანაგებო, პროფ. ნუცუბიძის გამოსვლაზე. რეპლიკებში ისეთ პასუხს აძლევდა, რომელიც დაუშვებელი იყო, მაგრამ მის არტისტულ გამოსვლას აუდიტორიამ ნიღაბი ჩამოხადა. მისცეს კანონიერი რეპლიკები. ამ დროს ნუცუბიძე ცოტა დაიბნა (*ტაში*).

მე, ამხანაგებო, მართალი უნდა გითხრათ და როგორიც იყო კანონიერი დასაბუთება ამბ. ვაშაყმაძესი თავის მოხსენებაში, არ გვეშინიან არც ეკონომიკაში და არც იდეოლოგიაში გავსცეთ სწორი პასუხი. ჩვენ აბსოლიტურად უდგებით საკითხს. პროფესორი ნუცუბიძე პოლიტიკურად იდეალისტია. დღეს სდგას ვითომ საბჭოთა პლატფორმაზე, მაგრამ მან არ იცის, რომ იდეალიზმი წარმოადგენს პოლიტიკას. დღევანდელმა მისმა გამოსვლამ დაამტკიცა. ის ამტკიცებდა, თითქო მარქსისტი იყოს. ის კი თავის იდეოლოგიას ანვითარებს მას ვერ გაუგია ეროვნულ კულტურის აღორძინების საკითხი. ეს არის კულტურული რევოლიუცია და არა მარტო აღორძინება ერის. პროფ. ნუცუბიძეს დავიწყდა ეროვნული სფეროს ტენდენცია. ამის დავიწყება შეუძლებელი არის. განა შეიძლებოდა ამის დავიწყება.

მე ეხლა მინდა შევეხო ნუცუბიძის მსოფლმხედველობას, მის მიერ დასმულ პრობლემას. მე არ მსურს მისი პოლიტიკის შეხება, რამდენადაც პოლიტიკა დამტკიცებული არის. 21 წელში გასაბჭოებიდან საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობს და მაგრამ დღეს მე იძულებული გავხდი მისი გამოსვლა პოლიტიკურად დავახასიათო. პოლიტიკურად დღეს მისი გამოსვლა მიუღებელი არის. ნუცუბიძემ დაუშვა შეცდომები ასეთ დისკუსიის დროს ვაშაყმაძემ თავის მოხსენებაში სწორად შეაფასა კონდრატიევშინა. უცდის არა მარტო ... არამედ ხელი შეუწყოს მუშაობის ჩაშლას, როგორც არ უნდა იყოს ეს, იქნება სუბიექტიური თუ ობიექტიური. ისტორიულად განსაზღვრა ამხ. ვაშაყმაძემ. ვიღაცას პროფ. დანელიას სინდისი და მორალი მიაჩნია ისტორიის მამოძრავებელ ძალათ. მაშასადამე, პოლიტიკური ურთიერთობის მხრივ რა გვინდა ჩვენ. ვაშაყმაძემ სთქვა, რომ ჩვენ კაცისმჭამელები არა ვართ, ჩვენ თანამშრომლობის წინააღმდეგნი არა ვართ, მაგრამ არა ყოველგვარი თანამშრომლობის, არამედ გარკვეული თანამშრომლობის მომხრე ვართ (*ტაში*). მაშასადამე, ზოგადი დეკლარატიული განცხადება, რომ ჩვენ თქვენი ვართ, ეს არაა საკმარისი. ეს უნდა იქნეს დამტკიცებული საქმით. როდესაც აქ გამოვიდა მეუნარგია და ზოგიერთ პროფესორებს გონია, რომ თუ გრამატიკული შეცდომა დაუშვა და სტუდენტ მეუნარგიამ თუ რომელი აზრი გრამატიკულად ვერ გამოსთქვა სწორად, ეს არადამაკმაყოფილებელია. სტუდენტ მეუნარგიამ სწორად აღნიშნა და მიუთითა პროფ. ნუცუბიძეს, რომ თუ იდეალური მეტიფიზიკაა, რატომ არ ბეჭდავთ თქვენ აქ საქართველოშიო. მაგრამ რა ქნას, საქართველო ამას ვერ დაბეჭდავს. ვერ დაბეჭდავს იმიტომ, რომ არ არის პროლეტარული ენით დაწერილი. აი, სწორედ ასეთი მიდგომით დამარცხდა დღეს პროფესორი ნუცუბიძე. მე ფაქტებს მოვიყვან, ერთი პატარა ცნობას იმ დროიდან, როდესაც პოლიტიკურად ბავშვი არ იყო შალვა ნუცუბიძე. ის რას სწერს. ის სწერს და ჩვენ ამაზე უნდა მიუთითოთ. აი, რას ლაპარაკობდა ის. ეს თხზულება (*კითხულობს*). მაგრამ ისტორია ვერ მიიღებს ამას. ისტორიამ აირჩია ერთი სწორი მთლიანი გზა და ის პროლეტარული ძალები, რომელიც თანდათან მატულობს ჩვენს ინსტიტუტებში. ეს შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს, არამედ ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი თანდათან იზრდებიან. არავითარი განსხვავებას არ წარმოადგენს დიდს, აკადემიური გაუსწორდება ეს ძალა მათ, მაგრამ ერთია ... პროფ. ნუცუბიძის განცხადება მას ახასიათებს იდეოლოგიურ თანამიმდევარს, მხოლოდ მას გამორჩა 90 წელი რომ ყველგან წინააღმდეგობა იდეალის. წინააღმდეგობა წამოაყენეს იმ მხრივ, რომ სპეციფიური ადამიანის კონტიგენტი არსებობს ფსიქი-

კაში და ლოლიკაში. სინაზე არის სინამდვილე ... მაგრამ ნუცუბიძე სუბიექტიზმს ის მოიხსენიებს, თუ ავიღებთ ალეთეოლოგიურ შემეცნებას (*არ ისმის*). ყოველგვარი მეთოდოლოგიის უარყოფა ეს არის ბურჟუაზიის თანამედროვე იდეოლოგია

მეორე — მეომარის პესიმიზმი. პროფ. ნუცუბიძის ჭერმეტყველის შეცდომა იმის შესახებ, რომ სთქვა, თქვენ პროტოპლაზმებიც არ იყავით, როდესაც მე მარქსისტი ვიყავიო, აქაც განიცადა დამარცხება ნუცუბიძემ (*ტაში*). აი სწორედ ეს პროტოპლაზმა განვითარების პროცესში არის. პროფესორ ნუცუბიძემ უნდა იცოდეს, რომ ეს უამრავი პროტოპლაზმები მას დაამარცხებს, მაგრამ დღეს მან აშკარად განაცხადა, რომ მე მაშინ ვიყავი მარქსისტი და ისეთი ძლიერი, რომ ჩემს წინააღმდეგ კარაევი გამოიწვიესო და თუ ეს ასეა, რათ უკვირს პროფესორ ნუცუბიძეს, რომ ეს პროტოპლაზმები გაიზარდნენ და ეხლა შალვა ნუცუბიძეს უწევენ კრიტიკას. მე სიამოვნებით უნდა აღვნიშნო ერთი რამ, ჩვენ რა გვინდა. ჩვენ გვინდა ის, რომ თავისი შეცდომა აღიაროს, ანდა შეეცადოს თავის შეცდომის გასწორებას. 10 წ. არ იყო მარქსისტი, ეხლა გახდეს მარქსისტათ, მაგრამ ამისათვის მას ჩვენ არ დავსჯით. ჩვენ მას დავეხმარებით გულახდილათ, გულწრფელად, თუ ის მოინდომებს მარქსისტულ იდეოლოგიაზე გადასვლას. საჭიროა, რომ მან გარდაქმნას თავის მუშაობა მარქსისტულ საფუძველზე. დღეს პროფესორ წერეთელმა განაცხადა, რომ მე არ ვიყავი მარქსისტი და არც ვარო და ეს რომ პირიქით ეთქვა პროფ. ალ. წერეთელს, არც დაუჯერებდით. მე ვეთანხმები აქ სტუდენტს, რომელიც გამოვიდა და ლაპარაკობდა, რომ ჩვენ დეკლარაცია არ გვინდა. მართალია, ჩვენ დეკლარაცია არ გვაკმაყოფილებს. შეიძლება სამეცნიერო მუშაკმა მშვენიერი, კარგი დეკლარაცია გააკეთოს, მაგრამ მეცნიერულ მუშაკს მარტო დეკლარაცია არ უნდა ახასიათებდეს, ეს უნდა მოხდეს ყოველგვარ დეკლარაციის გარეშე. ყველაფერი ეს უნდა მოხდეს სინდისის ქვეშ, ისე რომ, შემდეგ მას გაწითლება, ხელახალი დეკლარაციის მიცემა არ მოუხდეს. ამიტომ საჭიროა, რომ ეს დამტკიცდეს საქმით (*ტაში*). წაუყენებთ მას, ამხანაგებო ამხ. ვაშაყმაძემ თქვენ გითხრათ ყველა იმის შესახებ, რომელზედაც მე არ მითქვამს. სიტყვა დეკლარაცია უნდა ვთქვა არა როგორც ქათინაური. გოგიბერიძემ მარქსიზმი სწორად გაიგო და, რასაკვირველია, ამან კარგათ შეითვისა. ის მიდის ბოლშევიკური კრიტიკის გზით. გოგიბერიძემ თავის შეცდომა გამოასწორა, მაგრამ დაზღვეული არ არის შეცდომისაგან. ჩვენ მეგობრულად უნდა შეუსწოროთ მარქსისტული გაგება. ჩვენ არ გვინდა 100% მარქსისტი, ჩვენ პროცენტებზე წინააღმდეგი ვართ. თუ ის მიისწრაფება მარქსიზმის გზით, ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას. ჩვენ არ ვმალავთ, რომ გოგიბერიძეს აქვს მრავალი შეცდომები. ეს საერთო მიმართულება მეცნიერების არ ვამბობ, რომ ამ შეცდომას დღეს თუ ხვალ გამოასწორებს, თანდათანობით გამოსწორდება (*ტაში*).

ჩვენ, ამხანაგებო, ჩვენ რას მოვითხოვთ გამოსულ ამხანაგებიდან, ან ვინც არ გამოსულა, ესმით თუ არა მათ დასმული პრობლემა და თუ მათ არ ესმით, უნდათ თუ არა, შეიგნონ. ჩვენ მტრებთან საშუალო აზრი არ არსებობს, ან ჩვენთან და ან ჩვენ მტრებთან. ჩვენ კრიტიკით მათ დავამარცხებთ. ვინც ჩვენ კრიტიკას ვერ გაიგებს და არ მოისურვებს ჩვენთან თანამგზავრობას, ჩვენ შეგვიძლია გავსცეთ სათანადო პასუხი. ჩვენ ამისთანა ხალხთან ვერ ვითანამშრომლებთ. მათ უნდა შეიგნონ ამ დისკუსიის მნიშვნელობა. პროფესორი, რომელიც არ არის დაბეჯებული თავისი პროფესორობის სტატუსით და ვერ გაიგებს სწორეთ ჩვენ კრიტიკას, ჩვენი პროლეტარული სტუდენტობა გასცემს სათანადო პასუხს. პროფესორი, რომელიც ვერ გაიგებს ბურჟუაზიულ და პროლეტარულ ხელისუფლების მიზნებს, ისინი ჩვენთვის არ მიიღებიან (*ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა ამხ. *მეგრელიძეს*.

მეგრელიძე: ამხანაგებო, მე მომიხდება გამოსვლა იმ დარგის შესახებ, რომლის მიზანიც არის დღევანდელი კრება. აქ ამხ. ვაშაყმაძემ აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა საშუალება, გასცნობოდა ყველა ნაშრომებს.

დავიწყოთ თვით დღევანდლიდან და შემდეგი თანდათანობით განვითარება, რომ თუ რა გვინდა ვსთქვათ. რას ამბობდა მარი. თვითონ არ აცხადებს, რომ ის სრული 100% მარქსისტია, მაგრამ მისი მეთოდი, მისი დიალექტიური მატერიალიზმშია (იაფეტედოლოგია არის). ჩვენ ჯავახიშვილს პატივს არ ვსცემთ, ამის თქმა არ შეგვიძლია. უნდა ითქვას, რომ მას ჩვენ პატივს ვსცემთ, მაგრამ აქვს თავისი მეთოდი, რომელსაც ჩვენ არ ვეთანხმებით. შემდეგი. ჩიქობავამ განაცხადა, როგორი არის ქართველური მეცნიერება და რას უნდა ემსახურებოდეს. მაშინ ჩვენ უნდა მივიღოთ სხვადასხვა გვარი, მეგრული და აგრეთვე სხვა და სხვა კუთხური ენა. მე არ ვამბობ, რომ კაპიტალისტური ფილოსოფია არ წავიკითხოთ. მე არ ვამბობ, აგრეთვე, რომ ქართული ენათ მეცნიერება საჭირო არ არის, მაგრამ იდეოლოგიური გზით სიარული არ ვარგა. აი, რას ამბობს ის დაახლოვებით. ის ლაპარაკობს, რომ ჩვენ ამას ვღებულობთ, მძიმე შესწორებებს ვღებულობთ, მაგრამ რა საშუალებით, ამას არ ასახელებს. ამ შემთხვევაში, როდესაც ებრძვიან ქართველ იაფეტიდოლებს, ეს ფაქტი არის. საერთოდ რომ არ ეთანხმებიან იაფეტედოლოგიას, ამის უარყოფა არ შეუძლიათ. ჯერ კიდევ, როდესაც ამბ. ჩიქობავა აქ გამოსული ლაპარაკობდა, რომ ჩვენ ენათ მეცნიერებს რად გვინდა ესო, ე. ი. იაფეტედოლოგია იმ მეცნიერნი, რომელსაც თეორეტიული მეცნიერება (*კითხულობს მის ნაწერიდან*) არის დღეს, ამხანაგებო, შედარებითი მეთოდი. დღეს ლაპარაკია ერთ მთლიან გარკვეულ მეთოდზე. საჭიროა კარგად შესწავლა მარქსიზმისა, საჭიროა, დაუახლოვდეთ და შევისწავლოთ იაფეტედოლოგიური მეთოდოლოგია.

ეხლა, ამხანაგებო, ენათმეცნიერებაში ნათქვამი არის, აი, ამას მე წაგიკითხავთ (*კითხულობს*). ინდუქციურ თეორეტიკისაკენ აქ სწორეთ არის ფაქტი. პირიქით, ჩვენ ვამუშავებთ

ეხლა მე გადავალ შემდეგ ნაშრომზე. 28 წელში ეს ნაშრომი არ იყო საბოლოოთ ჩამოყალიბებული. მისი მსოფლმხედველობა აქ იყო აღნიშნული. აი, მე წაგითხავთ (*კითხულობს*). ნათლად აქ დეტარილიზმის ფაქტი არის, როგორც ამხ. გოგოლაძე აღნიშნავს. ერთ ერთი ფორმა არის არა იდეოლოგიური, არამედ ...

ეხლა ავიღოთ უკანასკნელი შრომა, რომელიც იყო გამოკვლეული განათლების მუშაკთა მიერ. ჩიგოგიძემ დასვა საკითხი, ეს ფორმალობის უკუგდებაა. აქ უპასუხებს. ჩვენ ფორმალისტები არა ვართ. ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელი შეხედულება ენათმეცნიერებისა ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას, არ გვაძლევს იმ შინაარსს, რაც შინაარსიც არის საჭირო. ჩვენი მეცნიერები ამას გაურბიან. კონტაქტის წინააღმდეგ შეიძლება თუ არა იდეოლოგია. რასაკვირველია, შეიძლება. ჩვენი სპეცები ამბობენ, რომ აქ არ არის ქარხანა, სადაც მზადდება სპიჩკა და სხვა საგნები. არ შეიძლება ექვს თვეში გახდნენ მარქსისტები და არ შეიძლება დავავალოთ, რომ მათ მოგვიმზადონ კადრები ხვალისათვის ნამდვილი სოციალიზმის მშენებლები. აუცილებლად დღევანდელი ჩვენი პირობა მეცნიერებისაგან მოითხოვს (*ბმაუროობაა, არ ისმის*) ... მთავარი ფაქტორი არის მათი გეოგრაფიული ფაქტორი ... თქვენ გეოგრაფიულ ნაშრომში არ გაქვთ მარქსისტული შეხედულობა, თქვენ ამას არ გვიჩვენებთ, თქვენ, რაც არ გინდათ, იმას არ იზიარებთ. თქვენ თუ კი მიიღებთ ენათ მეცნიერებას, რომელიც არის, მაშინ შეგიძლიათ ამისი დაცვა. უკანასკნელად უნდა აღვნიშნო, რომ ის ღელვარება მეთოდის უქონლობის შესახებ და არ უნდათ იცნონ ერთი მთლიანი მეთოდოლოგია. მარქსისტული მეთოდოლოგია არ შეიძლება რომ იყოს ეს მეთოდი მიჩქმალული (*ჩიქოვანი*: არ შეიძლება) რეკონსტრუქცია (*დარბაზში ბმაუროობა*): უკანასკნელად შედარებითი მეთოდის ფორმალისტური მეთოდის (*ბმაუროობა*) ხმარება (*ბმაუროობა*) ეს უარყო, რომელი ფორმალიზმიც სასიკვდილოა და არ გამოდგა (*ტაში, ბმაუროობა*).

ვაშაყმაძე: ამხანაგებო, ვინც ხელს უშლის, ის უნდა იქნეს გაყვანილი დარბაზიდან ან და ისინი მოსული არიან ობსტრუქციის მოსაწყობად. ამიტომ უნდა გავაძევოთ დარბაზიდან (*ბმაუროობა გრძელდება*). ეს არის სწორი აზრი და ეს მეთოდი აუცილებლად უნდა იქნეს გატარებული.

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეკუთვნის პროფ. *კეკელიძეს*.

კეკელიძე: ამხანაგებო, ამხ. ვაშაყმაძემ მოინდომა დახასიათება ჩვენი მასწავლებლობის, პროფესორების, მათი პოლიტიკური ფიზიონომიის და ამავე დროს იდეოლოგიურად (*დარბაზში დიდი ხმაურობაა*).

ვაშაყმაძე: ვინც ობსტრუქციისთვისაა მოსული, ისინი აუცილებლად იქნებიან გაყვანილი.

კეკელიძე: ამ დაჯგუფებიდან პირადათ მე მერგო პატივი, მოვხვედრილიყავი მემარცხენე პროფესურაში, რადგანაც აქ პირდაპირ არის დასმული საკითხი, უნდა ვსთქვათ, ვინ როგორ ფიქრობს. მე სწორეთ შევეცდები ამ პასუხის გაცემას. უნდა აღინიშნოს, რომ ყველას ჩვენ გვაქვს გარკვეული ცოდნა. მე ვარ მოწმე ცარიზმის სისტემის, ე. ი. მონარქიის, შემდეგ მენშევიკების და შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლების. სახელმწიფოებრივი რეჟიმი შემიძლიან გავითვალისწინო იმ პრინციპებით, მიკედლებით არაფერი არ გამოვა. ჩვენ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომელიც არის სწორი. სწორი არის პროლეტარიატის სახელმწიფოს წესწყობილება. ყველა პატიოსანი მოქალაქე უნდა დაადგეს ამ პოზიციას, რომელიც სდგას პროლეტარიატის გამარჯვებისაკენ. ეს უნდა ყველამ გულახდილად სთქვას. მე უნდა აღვნიშნო, რომ მე ვარ წარმომადგენელი ძველი ლიტერატურის, რომელიც იწყება მე-5 საუკუნიდან და შემდეგ გადადის მე-18 საუკუნეზე. აქ მომხსენებელმა განაცხადა, რომ ჩემი ნაშრომი ლიტერატურა მარქსისტული არ არისო. მე უნდა განვაცხადო, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა. არავინ არ დაბადებულა დედის მუცლიდან მარქსისტი და, რასაკვირველია, იმ დროს არც შეიძლებოდა ყოფილიყო მარქსისტული ეს წიგნი. მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო იმაზედ, რომ ეს ლიტერატურა არის ზედნაშენი, ამას აქვს თავისი ბაზისი. ეს არის სოციალური მოვლენის შესწავლა. ეს უნდა იყოს ასე. ჯერ ჯერობით გამოკვლევა არის მისი საფუძველის, განსაკუთრებით ძველი პერიოდის. მე მოგახსენებთ, ამ თვალსაზრისით არის დაწერილი ჩემი ლიტერატურა. აგრეთვე აქვს რუსეთის მეცნიერ პლეხოსის თავისი შრომის საზოგადო აზრის განვითარება ძველი რუსეთის ლიტერატურა. ის ასი პროცენტი მარქსისტის შესწავლა არ არის და არც არსებობს. განა შეიძლება ითქვას, ჩვენს პირობებში არაფერი არ არის გაკეთებული სოციალეკონომიურ გამოკვლევებში. თეორია უნდა შევისწავლოთ ფეოდალური ხანიდან, შემდეგ გადადის სავაჭრო კაპიტალზე. მართალია, ეს საკითხი ჯერ ხელშეუხებელია. ჩვენ არ შეგვეძლო ამ მოკლე ხნის განმავლობაში ... გზა, მაგრამ ეს კი არ კმარა. რატომ არ კმარა, იმიტომ არ კმარა, რომ დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ როდესაც იარაღი გაქვს, მისი ხმარებაც უნდა იცოდე. თქვენ, ახალგაზრდებო, იმ პირობებში იზრდებით, რომ მარქსიზმის შესწავლის საშუალება გაქვთ და აუცილებელია, რომ ეს თქვენ კარგათ შეითვისოთ. ჩვენ კი ძველ თაობაში ვიზრდებოდით (*ტაში*), ისეთ დროს, რომ ჩვენი სასწავლებლები ღარიბი იყვნენ მარქსისტული მსოფლმხედველობით და არ გვქონდა ამის საშუალება, რომ ჩვენ იგი შეგვეთვისებინა, ჩვენ არ გვქონდა საშუალება, რომ ეს შეგვესწავლა თავის დროზე. მე მთელი შეგნებით ვიმედოვნებ, რომ ჯეროვანი ტრენიროვკა, მარქსისტული კვეთრი მეთოდოლოგია გავატარო ჩემს წიგნებში. და როდესაც დაუკვირდი მე მდგომარეობას, მართალია, მე პოლიტიკაში თუ გინდ რამე გავაკეთო, არ კმარა მარტო ცარიელი სიტყვები. ცარიელი სიტყვებით სოციალიზმის აშენება არ შეიძლება. სოციალიზმის აშენება არ შეიძლება გარეშე ლენინურ მარქსისტულ მსოფლმხედველობისა (*ტაში*). ამიტომ მე შეუდექი, შეიძლება ჩემს მხნეობას არ შეეფერებოდეს, მაგრამ ჭეშმარიტებაში ცნობილია, რომ სწავლა სიბერემდე არის საჭიროო. ამიტომ მე ცდებს ვაწარმოებ შეგნებულად. ამ მეთოდით შეიარაღება ჩვენ მოგვცემს ნამდვილ სწორ გზას და საჭიროა თვითეული ჩვენთაგანი შეიარაღდეს ამ მეთოდი. მე ურჩევ ჩემ კოლეგებსაც ამასვე. ბუტიაობა გადავიდა ლოიალობაში და ლოიალობა კი თანამგზავრობაში, მაგრამ არც ეს კმარა. თუ ჩვენ მართლა გვინდა

პროლეტარიატის გვერდით ვიდგეთ, რომელიც ახალ სამყაროს ამყარებს, საჭიროა მარქსისტული ლენინური მსოფლმხედველობის ნამდვილი სამსახური გაუწიოთ ჩვენ პროლეტარიატს (*ტაში*).

მესამე სხდომა

1930 წლის 15 დეკემბერი

თავმჯდომარე: ამხანაგებო, დღევანდელ მესამე სხდომას გახსნილად ვაცხადებ (კრებას თავმჯდომარეობს პეტრე შარია). პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. *გ. კვიცარიძეს* (*ტაში*).

კვიცარიძე: ამხანაგებო, ამ რეგლამენტის დაცვა მით უფრო საჭიროა, რომ, მე მგონია, რომ დიდი ოფლის ღვრა არ არის საჭირო იმისათვის, რომ დაადასტუროთ პროფ. ჯავახიშვილი და მისი თანამშრომლები არ არიან მარქსისტები, მარქსიზმის მიმდევარნი.

დღეს, ამხანაგებო, როგორც იცით, ოქტომბრის რევოლიუციის მე-13 წელია და როდესაც ოქტომბრის რევოლიუციამ გაიმარჯვა პირველ დღეებში, მაშინ ამბობდენ, რომ ბოლშევიკების დღეები დათვლილიაო და ოქტომბრის რევოლიუციას არ უწოდებდენ სოციალისტურს. როდესაც ოქტომბრის რევოლიუციამ რამოდენიმე კვირა გაძლო, მაშინაც სთქვეს, რომ კიდევ რამოდენიმე თვე გაძლებს და ოქტომბრის რევოლიუცია ჩაქრებაო. როგორც იცით, ორაკლი, 6 კვირა თუ გაძლო, მაშინ ძალაუფლება მის ხელშიაო, ასე იყო თქმა, მაგრამ ჩვენ კი 6 კვირაც გავძელით, მეტიც გავძელით. მე-13 წელია და ფიქრი მტრებს არ გაუმართლდათ. ლაპარაკობდენ, რომ ბოლშევიკური სახელმწიფოს დღე დათვლილიაო, ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების დღე დათვლილია და პროლეტარიატის დიქტატურა ჩაიხრჩობა სისხლშიო. არც ეს გამართლდა. მერმეთ. მეურნეობის გამაგრება გამტკიცება არ შეიძლება უცხო კაპიტალის დაუხმარებლადო. თუ რამოდენიმე მილიონი კაპიტალი არ შემოვიდა უცხოეთიდან, მისი აღდგენა ისე შეუძლებელი არისო. მაგრამ თქვენ იცით, რომ უცხო კაპიტალი არ შემოგვიტანია, მაგრამ 1926-27 წ. მიაღწია ომის წინა დონეს. აიღებთ თქვენ ნათეს მოედანს, აიღებთ თქვენ მრეწველობას და თუ აიღებთ მეურნეობას, აიღებთ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობას ... სოფლის მეურნეობამ ომის წინა დროს მიაღწია. როდესაც ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადავედით, მაშინ ირკვევა სხვა კონტიგენტი ... წინასწარ მოითხოვდენ განვითარებას სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ გზით, მაგრამ ეს არ მოხდა ... დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობა ორჯერ მეტს იძლევა პროდუქციას, ვიდრე ეს იყო ომის წინა დროს. დღეს ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს, ჩვენ თითქმის დავეწიეთ მოწინავე ქვეყნებს, აგრეთვე ჩვენ დავეწევით ამერიკას, თუ გნებავთ, სასოფლო მანქანათა მშენებლობის მხრივ. სოფლის კოლექტივიზაცია, რომელიც საკეთილდღეო არის გლეხობისათვის და გლეხების ერთი მეოთხედი ნაწილი გაერთიანებული არის კოლექტივებში. ეს გარდამავალი ეკონომიკის პერიოდი არის. განა ეს გარდამავალი ეკონომიკა არ სწამთ, განა ჩვენი სოციალისტური მშენებლობა არა სწამთ. მართალია, დღეს ჩვენში საქონლის შიმშილი არის, მაგრამ ამის მიზეზებს ვერ ამჩნევენ. იმიტომ კი არ არის შიმშილი, რომ ცოტა იშოვება მანუფაქტურა თუ სხვა, ეს იმიტომ, რომ განვითარება უფრო წინ მიდის. ბუნებრივად რეკონსტრუქცია წინ უსწრობს ცხოვრებას. იმიტომ კი არა, ჩვენს მუშებს და გლეხებს ნაკლებს ვაძლევთ საქონელს, არამედ ეს ხდება მისათვის, რომ მოთხოვნილება უფრო მეტია, ვიდრე ეს იყო წინად (*ხმაურობა, არ ისმის*).

ამხანაგებო, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის რეორგანიზაცია, ჩვენ უნდა ვიაზროვნოთ მარქსიზმით და ლენინიზმით. დღევანდელი კლასი ვერ

განვითარდება ანტიმარქსისტულ იდეოლოგიით (*ბანგრძლივი ტაში*). აი, სწორედ მომხსენებელ ამხ. ვაშაყმაძის მოხსენება ამაზედ იყო აგებული. მთელ მოხსენებას შეიძლებოდა გაუკეთოდ რამოდენიმე სიტყვის რეზიუმე. დღევანდელ პირობებში არ შეიძლება უნივერსიტეტის ტრიბუნაზედ გავავრცელოდ ანტიმარქსისტულ და ანტისაბჭოთა იდეოლოგიები. ჩვენ გვჭირდება სოციალისტური კადრების მომზადება, ჩვენ არ გვინდა ფაშისტური კადრების მომზადება, დეე, ეს მოამზადოს ბურჟუაზიამ. დღეს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს (*ბანგრძლივი ტაში*). პროფ. პოლიევექტოვმა ამით დაიწყო, რომ მე ვარ თავისუფალი აზროვნების მოყვარულიო, სიტყვის თავისუფლების მოყვარულიო. თითქოს ის ძველ დროს არსებობდა, თითქოს შეიძლება რომ არსებობდეს აზროვნება. ამაზე მე არ გეტყვით, შარიამ გელაპარაკათ. პოლიევექტოვი ლაპარაკობს, რომ მე აღვიზარდე ძველი რეჟიმის დროს, მაგრამ ბევრი ჩვენთაგანი აღიზარდა ძველი რეჟიმის დროს და მარქსიზმს დაუახლოვდა. ბევრია, რომლებიც აღიზარდა ძველი რეჟიმის დროს და რომლებიც დგანან დღეს სოციალიზმის საფუძველზე, მარქსისტული ლენინურ საფუძველზე. აზროვნების თავისუფლებას ის თხოულობს რამოდენიმე წყვილი ფეხსაცმელი გასცვითეთ და მარქსიზმს დაუახლოვდეთ. პოლიევექტოვის ისტორიული მონოგრაფია, რომელიც წარმოადგენს უბრალო ფაქტთა გროვას, არავითარი შეთოდოლოგია შიგ არ არის და ვინც ამ ფაქტებს შეიგრძნოს, ის წარმოადგენს ტფილისის სატელეფონო ქსელის აბონომენტთა სიას (*ტაში*). ჩვენ ყველა პროფესორებს, ავტორიტეტულ პიროვნებებს ანგარიშს უწევთ, მაგრამ არა ისეთებს, როგორც არის პოლიევექტოვი, რომელსაც თავისი წიგნი საკმეველად გამოადგება და მარქს ის ალბად ვერ გაიცნობს. ჩვენ ყოველგვარ მოქმედებას ანგარიშს უწევთ, თვალყურს ვადევნებთ და ანგარიშს უწევთ იმ ახალგაზრდობას, რომელიც მოზღვავებულია და გაჟღენთილია მარქსისტული სულის კვეთებით. აი ეს ბირთვი შემდეგში კიდევ უფრო გაიზრდება და თქვენ დაგამარცხებენ. სხვათა შორის, აქ დაწერილები შემოდის ასეთი სახის: „როდის მოგეღებათ ბოლო, როდის წახვალთ აქედანო“. ეს არის ნამდვილი ფაშისტური სულის კვეთება ან და ვინ ეს დასწერა, კანდიდატებია ალბათ ამათი. ვინც იბრძვის საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ის იბრძვის მთელი თავისი პასუხისმგებლობით. შეიძლება ბევრმა ვერ გაიგო ეს დიადი აზრი. ზემოხსენებული აზრი ჩვენმა პარტიამ გადაისროლა ნაგავში ამ საბჭოთა პლატფორმაზე სდგა. ენით არ უნდა ამაყობდეს. ეს უნდა ჩაიწეროს ბნელ ფურცლებში თავისი ავტობიოგრაფია. როდესაც საბჭოთა პლატფორმაზე სდგას პროფესორი, მან უნდა იცოდეს, რა უნდა გააკეთოს, საქმით უფრო მეტია ვალდებული, ვიდრე ფორმალურად. მან უნდა გვითხრას გულწრფელი სიტყვა, რა საშუალებით ებრძვის ანტისაბჭოთა ელემენტებს, რომელიც შეფასებულია საზოგადოებრივ ერთ ჯგუფად. მან უნდა დასწვას ის ხიდი, რომელი ხიდიც აერთებს მას ამ იდეოლოგიასთან. პროფესორი ნუცუბიძე 1917 წელში იყო ბოლშევიკი, მენშევიკების მიერ დევნილი იყო ის უნდა მოვიდეს კომუნისტებთან და უნდა გახდეს მათი თანამგზავრი (*ტაში. ბმაუროობა, არ ისმის*). მან უნდა გამოუცხადოს ბრძოლა ყოველ გვარ ანტისაბჭოთა დებულებას მისი იდეების დამახინჯებაზე.

რაც შეეხება გრიგოლ წერეთელს, ის მარქსისტი არ ყოფილა და მარქსიზმი არ წაუკითხავს. თითქოს ეს აშშვენებდეს მის ბუნებას. აგრეთვე ის არ იცნობს სრულიად ლენინიზმს. დღევანდელი აუდიტორია და ჩვენი უნივერსიტეტი არის პროლეტარიატის ტაძარი. აქ სუნი არ უნდა უდიოდეს ეკლესიის საკმელს. საკმელის სუნი კი შემოაქვს პროფ. წერეთელს. ის არ არის ჩვენი სულის კვეთების პროფესორი. ჩვენ ამისთანა პროფესორები, რასაკვირველია, ვერ გამოგვადგებიან და ვერ გამოგვიზდიან ნამდვილ პროლეტარულ კადრებს (*ბანგრძლივი ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა *პროფ. დანელიას.*

პროფ. დანელია: მოქალაქენო (*საერთო სიცილი დარბაზში*) და ამხანაგებო (*სიცილი*). მე დღეს აქ სიტყვა განსაკუთრებული გამოსვლისათვის არ მომითხოვია, არ მომითხოვია იმისათვის, რომ იმ კითხვაზედ, რომელიც დააყენა აქ პატივცემულმა პროფ. ივანე ვაშაყმაძემ, იმ საკითხს — „ვართ თუ არა ჩვენ, ამ ინსტი-

ტუტში მომუშავეები, მავნებლები და მოწინააღმდეგენი“. ვართ ჩვენ პროლეტარიატის ინტერესების დამცველნი, პროლეტარიატის ინტერესების განსამტკიცებლად და სამსახურად. შეიძლება პასუხის გაცემა რამდენათაც საქმით, სიტყვები, ცარიელი ან უბრალო დეკლარაციები ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებენ და ასეთი სიტყვები სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ერთგვარ ეჭვს იწვევენ აი აქ, დამსწრე საზოგადოებაში (*დარბაზში ხმაური*).

რაც შეეხება საქმეს, საქმით ის — „ვინ ვართ ჩვენ, მავნებლები თუ პროლეტარიატის ერთგულნი მოსამსახურენი, მისი ინტერესების მოსამსახურენი“. ეს დამტკიცება არის საქმით. ჩვენ აქ, ამ დაწესებულებაში პირველ წელს კი არ მოღვაწეობთ (*შარაა: კონკრეტულად სთქვით!*), ჩვენ, პროფესურა, დოცენტურა — ეს ჩვენი 10 წლის მუშაობა. ეს ჩვენ ათი წელი არის, რაც ჩვენ ამ დაწესებულებაში ვმუშაობთ დიდათ თუ პატარათ, მოიპოვება უტყუარი საბუთები და ფაქტებით დამტკიცდება ჩვენი მუშაობა. თუ თქვენ ამ ფაქტებს განიხილავთ, საკმაო ნათელი გახდება თქვენთვის, თუ რა გაკეთებულა ჩვენ მიერ (*ადგილიდან: საქმეზედ ილაპარაკეთ!*). მოითმინეთ, ჯერ მე საწინააღმდეგო არაფერი მილაპარაკია და თუ ვილაპარაკეთ, მაშინ მესროლეთ რეპლიკები (*დარბაზში ხმაურობა*).

თავმჯდომარე: დაწყნარდით, ამხანაგებო და მოუსმინეთ.

დანელია: ამხანაგებო, მე ჩვეული არ ვარ ასეთ დიდ აუდიტორიაში ლაპარაკს, გთხოვთ, მომისმინოთ. როგორც სჩანს, პატივცემულმა დირექტორმა ივანე ვაშაყმაძემ ჩვენი საქმიანობა განიხილა და შეისწავლა, ამის და მიხედვით მოგვცა ის კლასიფიკაცია თავის მოხსენებაში. ამ კლასიფიკაციის მიხედვით ჩვენი მომუშავეები განრიგებულნი არიან სამ ჯგუფად: მემარჯვენე, მემარცხენე და ჭაობი (*ხმაურობა დარბაზში*).

თავმჯდომარე: ჩვენ გვითხარით, როგორი არის თქვენი იდეოლოგიური ფრონტი (*ადგილიდან*: არსებითად ილაპარაკოს). ეხლა გადავა არსებითად საქმეზე, თუ არ გადავა, მაშინ ჩამოვა აქედან.

დანელია: ამხანაგებო და მოქალაქენო, თუ არ მომცემთ საშუალებას ლაპარაკის, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, მაშინ მე აქედან ჩამოვალ. მე მგონია, აღსანიშნავია ერთი რამ ამ კლასიფიკაციაში. მე ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მე მოხვედრილი ვარ მემარჯვენე ჯგუფში. არ შეუდგები პრინციპების განხილვას მემარჯვენე ჯგუფის, მხოლოდ ვიტყვი ერთს, არის თუ არა აქ მიჩნეული პოლიტიკური მრწამსი. თუ ეს ასე არ არის, მაშინ არ უნდა იყოს მიჩნეული ამ საფუძველზე უმრავლესობის. ვინც ამ კლასიფიკაციაშია მოქცეული, არავითარი პოლიტიკური წარსული არა აქვს (*ძირს, ძირს, ძირს! ხმაურობა*). უნდა ვიგულისხმოთ, რომ კლასიფიკაციის ავტორი პროფ. ივ. ვაშაყმაძეს მხედველობაში ჰქონდა იდეოლოგიის მომხრენი და ამ თვალსაზრისით თუ მიუდექით ამ კლასიფიკაციას, ჩემთვის პირადათ არ არის დამაკმაყოფილებელი, როგორ უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ მემარჯვენეში მოქცევა (*დარბაზში დიდი ხმაურობაა*). მე უკვე ავამხედრე ჩემს წინააღმდეგ აუდიტორია (*ძირს, ძირს, ძირს!*), თუმცა ეს ჩემი განზრახვა არ ყოფილა და არ ვიცი, რას უნდა მივწერო ეს, რომ მთელი აუდიტორია ჩემს წინააღმდეგ არის მომართული. მე შემიძლია ვსთქვა შემდეგი. პატივცემულ ვაშაყმაძემ (*ხმაურობა. ადგილიდან: მოკლედ სთქვით მეცნიერებაზე და თქვენი შეხედულება კონდრატიევშინაზე*) წამოაყენა აქ რამოდენიმე დებულება (*ხმები*: წიგნებიდანაა ამოღებული, რომელიც თქვენ დაგიწერიათ!), რომელიც ჩემი წიგნებიდანაა ამოღებული და ამ წიგნების მიხედვით მან გადასწყვიტა, თუ ჩემი პოზიცია როგორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ანტი-მარქსისტული (*ხმები*: სწორეა 100%-ით). უნდა მივაქციო ყურადღება იმას, რომ პატივცემულ მომხსენებელს ჩემი წიგნების ნაწილი ჰქონდა და არა მთლიანად, ეს კი საკმარისი არ არის. საკმარისია, როგორც ნაწილი და არა მთლიანი დახასიათებისათვის. მე შევჩერდები ერთ გარემოებაზე. ალბათ პატივც. ივ. ვაშაყმაძემ იცის, რომ მე მაქვს ცვლილებები, რომელიც არ არის ცნობილი ანტი-მარქსისტულად, მაქვს თხზულებები, რომელ თხზულებასა და წინა თხზულებას შორის არ არის კავშირი, რაღაც, რომელმაც დასწერა ესეც და ისიც. პატივცემულმა ივანე ვაშაყმაძემ მიაქცია ყურადღება ჩემ ლიტერატურულ კრიტიციზმის ნარევს, „ვაჟა

ფშაველას“. ეს არ არის წმინდა ლიტერატურული შემეცნება, ეს არის ნახევრად ლიტერატურის შემეცნება. მე მაინც უარს არ ვყოფ, რომ ეს არის ჩემი წიგნი. მე ვალდებული ვარ პასუხი ვაგო ყველაფერ იმის შესახებ, რაც ამ წიგნში არის. ეს წიგნი მისაღებად მიმაჩნია (*ბმაურობა დარბაზში*).

თავმჯდომარე: ამხ. დანელია, თქვენ რეგლამენტი გაგითავდათ. ბევრი ხალხი არის ჩაწერილი. ჩვენთვის გასაგები არის, მით უმეტესათ, რომ ეს წიგნი მისაღებათ მიგაჩნიათ (*ადგილიდან: თქვენ მონასტრის წევრს იცავდით!*).

დანელია: აქ ლაპარაკი იყო ჩემ წიგნზედ. მისაღები იყო რამოდენიმე დებულება. მე ყველა დებულებას არ შევეხები. აქ იყო დებულება, უფრო უკეთ რომ ვსთქვათ, ფრაზა — სინდისი არის დულაბი, ურომლისოდაც ისტორიკოსი კოშკს ვერ ააშენებს. ეს არის მხოლოდ ფრაზა ლიტერატურული. რაც შეეხება შინაარსს — არის თუ არა ეს ფრაზა ანტიმარქსისტული. თქვენი აზრით არის და ჩემი აზრით არ არის (*ბმაურობა*). შემდეგ მეორე დებულება, ეს იყო მარქსის უარყოფა. მარქსიზმის პრინციპების წინააღმდეგია ყველა მეტო-ფიზიკა. მარქსიზმი უფლებას იტოვებს მეტოფიზიკაში. მე რომ მეტოფიზიკას ვამბობ, მე მხოლოდ მხედველობაში მაქვს მეცნიერული მნიშვნელობა. მე არ ვარ ისეთი, რომ ვსთქვა — მარქსისტი ვარო. შეიძლება არ იყოს მარქსისტი და მან კი სამსახური გაუწიოს მარქსიზმს. მართალია, ეს არ არის მარქსისტი, მაგრამ სამსახურს კი უწევს.

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეკუთვნის პროფ. *კოტე ბაქრაძეს*.

ბაქრაძე: ამხანაგებო, ამხ. ვაშაყმაძემ გააკეთა აქ მთელი მოხსენება კონდრატიევშჩინას შესახებ საერთო კავშირის ფარგლებში, შემდეგ, კერძოდ, ჩვენს პირობებში საქართველოში და ამასთან ერთად, შეეხო იდეოლოგიურ საკითხს ჩვენს ინსტიტუტში. აქ ცხადათ სჩანდა, რომ დასმული იყო პოლიტიკური მოხსენება, რომ საკითხი იდეოლოგიისა არ იყო გათიშული და არც შეიძლებოდა რომ გათიშულიყო და ვინც აქ გამოდის, ასე უნდა გაეგო. როგორც პოლიტიკური საკითხი არის დასმული, რომ არსებითად ორი ბანაკია: სოციალისტური კომუნისტური მშენებლობისა და ბანაკი იმპერიალისტური. ამ ორ ბანაკს შორის სწარმოებს ბრძოლა. ჩვენ დაგვისვეს კითხვა, რომელსაც ჩვენ გარკვეული პასუხი უნდა გავსცეთ, სახელდობრ, სად ვიმყოფებით ჩვენ, რომელ ბანაკს ვეკუთვნით, კომუნისტურ ბანაკს თუ იმპერიალისტურ ბანაკს, თუ წინააღმდეგ. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენმა პროფესორებმა აშკარად უნდა აღიარონ თავიანთი შეხედულება და აზრი. თუ უარყოფ პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისს, ეს უნდა აღიაროთ და თუ არა, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ვდგებით პროლეტარულ დიქტატურის თვალსაზრისზე. მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი, ეს მიღება და არ მიღება უნდა იყოს დაკავშირებული სინამდვილესთან. ბოლოს და ბოლოს პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს პროლეტარული იდეოლოგიის დიქტატურას. ცხადია ის, რომ თუ ჩვენ ვდგევართ პროლეტარულ დიქტატურაზე, უნდა ვაღიაროთ პროლეტარული იდეოლოგია. მხოლოდ იდეოლოგიის სხვა თვალსაზრისი ვერ იქნება მიღებული. პროლეტარიატის დიქტატურა გადაჯაჭვულია მარქსიზმთან და ლენინიზმთან. პროლეტარული იდეოლოგიას ვინც არ აღიარებს, მან ლოღიკურად არ უნდა აღიაროს პროლეტარიატის დიქტატურა. მე ჩემ თავზე ვლაპარაკობ და შესაფერისი დასკვნა აქ გამომყავს, რატომ მე არ შემიძლია ლაპარაკი, რომ მე ასი პროცენტით მთლიანად უშეცთომოთ ვატარებ ამ თვალსაზრისს. ამ ჩემ შრომებში და პრაქტიკულ მიღწევებში შეიძლება მაქვს დაშვებული შეცთომები. ეს შეცდომა გამომდინარეობს არა სუბიექტიური ჩემი სურვილისა. ალბათ მე დაუშვი შეცდომა შრომისა და პრაქტიკის მოღვაწეობაში. ეს განზრახ არ არის დაშვებული. ალბათ, როდესაც ჩვენ გვექნება კათედრის საჯარო სხდომა, იქ გამოაშკარავდება. ჩვენ ძალიან სურვილი გვაქვს შევისწავლოთ საბოლოოთ ლენინიზმი და მარქსიზმი და როდესაც გამოკვლევა იქნება და ალბათ ჩვენ ამაზედ მიგვითითებენ.

ჩვენ ვლგეევართ პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისზე. აქედან დასკვნაა — ყველამ ჩვენ უნდა განვავითაროთ პროლეტარიატის იდეალიზმი და მე მგონია, ამას ჩვენ შევსძლებთ.

ამხანაგებო, ცხადია, არ დავიწყებ ლაპარაკს წარსულის შესახებ, მაგრამ რასაც ჩვენ ვფიქრობთ, ამას მე მოგახსენებთ. რაც შეეხება ჩემს მსოფლმხედველობას, ახალგაზრდობას მე ვიყავი მარქსისტი, ვეკუთვნოდი ამ ჯგუფს. შემდეგ მე შევცვალე. მე-7-დე მე-8-რე კლასში რომ ვიყავი, მე ვიყავი მარქსიზმის პრეტეცინზმის თვალსაზრისზე. მე მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ დღეს უკვე გარკვეული ვარ მარქსიზმზე და ლენინიზმზე. დღეს გარკვეულად ვლგევარ მარქსიზმის და ლენინიზმის თვალსაზრისზე. ამას მე ვანხორციელებ როგორც ჩემ პრაქტიკულ მოღვაწეობაში, ისე ჩემს შრომებში. ყველამ ამ დებულებას ანგარიში უნდა გაუწიოს, ყველამ უნდა მიიღოს პროლეტარიატის დიქტატურა. ეს ნიშნავს იმ იდეოლოგიას მატერიალიზმის შორს. ის გასაგებია, ვინაიდან ბუნების მეტყველები მთელი თავის სიცოცხლეს ექსპერიმენტში ატარებდენ და ამისათვის მათ საკმარისი დრო არა აქვთ, მაგრამ ის ვიცით, რომ 10 წ. ფილოსოფიას სწავლობდა. მე ვლაპარაკობ პროფ. დანელიაზე, მხოლოდ მან დღეს განაცხადა, რომ ის არ არის მარქსისტი. ყოველთვის ის ლაპარაკობდა, რომ ის ჩვენზე კარგად იცნობდა მარქსიზმს, როგორც კათედრის სხდომებზე, ისე პრესაშიაც ამას ლაპარაკობდა, მაგრამ დღეს კი მისი აზრი წინა გამოთქმულ აზრს ეწინააღმდეგება და როგორ შეიძლება რომ პროფესორმა ასე მოიქცეს. ის ადამიანი ლაპარაკობს, რომ მრავალი ფილოსოფია არსებობსო, მაგრამ მსოფლმხედველობა მხოლოდ ერთი ვიცით. პროფ. დანელია ლაპარაკობს, რომ გერმანიაში ნისლიანი ატმოსფერაა და ცხადია, რომ ეს თვალსაზრისი იქ არაა მისაღები, არის მისაღები დიალექტიური მატერიალიზმი, მაგრამ თუ იქ ნისლიანი ატმოსფერაა, საქართველო ხომ მზიანი არის და პროფ. დანელია ნათლად უნდა ლაპარაკობდეს, გარკვეულ პასუხს უნდა გვაძლეოდეს თვითეულ კითხვაზე. პროფ. დანელია არ ეხება კითხვას, არ უპასუხებს სწორად. მე ვლაპარაკობ, რომ ვინც სდგას საბჭოთა მშენებლობის თვალსაზრისით, მან ლოღიკურად უნდა იმსჯელოს, მან ლოღიკურად უნდა დაადგეს დიალექტიურ მატერიალიზმს, მარქსისტულ თვალსაზრისს. აქ მე არ ვთიშავ პროლეტარულ იდეოლოგიას და ერთი მეორისაგან ამ ორ მცნებას პოლიტიკას. ეს იდეოლოგია პროლეტარული დიქტატურასთან ერთად მისაღებია პროლეტარულ დიქტატურაში.

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა *პროფ. ციციშვილს.*

ციციშვილი: ამხანაგებო, თანამგზავრის განწყობილებისათვის არის ორი საშუალება, ეს გამოიხატება სიტყვაში და საქმეში. სიტყვა სახავს საქმეს, ამტკიცებს, აგვირგვინებს მის მოქმედებას. მე, მართალია, ორატორი არა ვარ და არც ამის უნარი შემწევს, მე იძულებული ვარ, მივმართო მეორე გზას, ე. ი. საქმეს. მე მინდა ჩემი თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებას დაუმტკიცო საქმიანობით. მე არ მიყვარს ლაპარაკი და მიყვარს საქმის გაკეთება. საბჭოთა ხელისუფლებას დღეს, ისე როგორც არასოდეს, იმ უდიდეს მიზნებს ანხორციელებს, მთელ მსოფლიოში სოციალიზმის დამყარება. ეხლა მიმდინარეობს ძლიერი სოციალისტური აღმშენებლობა. მე არასოდეს არ ვყოფილვარ არავითარ პარტიის წევრი და არც ვარ დღეს. რაც შეეხება კონდრატიევშინას, მე მათ არც ვეკუთვნი და არც შეიძლება ვეკუთვნოდე. რაც შეეხება მატერიალურ დიალექტიკას, ამას არ ვიცნობ ისე, როგორც საჭირო არის. მზათ ვარ, მივიღო პროფ. ვაშაყმაძის დაპირება, რომ დაგვეხმარება შესწავლაში (*დარბაზში ხმაურობა*).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, სანამ არ იქნება დაცული წესრიგი, სიტყვას არ მივცემ და თუ არ დაწყნარდებით, მილიციას გამოვიწვევ და გავდევნი ხელისშემშლელ ამხანაგებს. ამხანაგებო, ბოლოს და ბოლოს, ეს ნიშნავს ჩვენ მოუმწიფლობას. გთხოვთ, დაწყნარდეთ. თქვენ კი, ამხანაგო პროფესორო, გაგითავდათ დრო. შემდეგი სიტყვა ეკუთვნის სტუდენტ *ცხაკაიას.*

ცბაკაია: ამხანაგებო, მიმდინარე წელს პარტია გადავიდა შეტევის ფრონტზე. უკანასკნელ ხანებში პარტია აწარმოებს გამანადგურებელ ბრძოლას მოწინააღმდეგეებთან. 28 წლიდან გასაგები გახდა ფაქტი ამ წინააღმდეგობისა ჩვენში. ერთის მხრივ დაშვებულია კაპიტალისტური სექტორი და მეორე — სოციალისტური სექტორი და საწარმოო სექტორის განვითარება სწრაფი ტემპით მოხდა, ჩვენი პარტია გადავიდა შეტევაზე 1917 წ. და მოხდა პოლიტიკური რევოლიუცია. ეხლა ჩვენ ეკონომიურ რევოლიუციას ვახდენთ და უფრო გვიან ზედნაშენი ეს იქნება, რომელსაც ჩვენ ეხლა ვახდენთ — კულტურული რევოლიუცია, მაგრამ აქ ყველაზე უფრო ნაწილი ყველა უფრო რეაქც. დასაძლევი გახდა კულტურული ძალები. საბჭოთა ხელისუფლების მე-15 წლის თავზე ჩვენ ვახდენთ რეაქციონური პროფესორების ფიზიონომიის გამოაშკარავებას და გამათრახებას. ამ დარგში ჩვენ დაგვიანება მოვახდინეთ, მაგრამ ეხლა კი ამ საკითხის გადამუშავებას და ცხოვრებაში გატარებას შეუდექით. პროლეტ. იდეოლოგია, დიალექტიური მატერიალიზმი. პროლეტარული იდეოლოგიას უნდა ერწმუნებოდეს ყველა მეცნიერი, ჩვენი აკადემიის მუშაკები. ჩვენ ამას ვერ ვხედავთ, ვხედავთ პირიქით. ისინი წინააღმდეგ არიან განწყობილი იდეოლოგიისადმი. ჩვენ მოვითხოვთ მათგან, რომ სდგანან თუ არა ისინი, ან და სდგებიან თუ არა პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე. დიალექტიური მატერიალიზმი ეს ის იარაღია, რომელიც იდეალიზმს უტევს. ჩვენი მსოფლმხედველობის დიალექტიური მატერიალიზმის მოწინააღმდეგეთა შეტევამ გამოიწვია ზოგიერთი პასუხის ამოძრავება. ზოგიერთებს ეგონათ, რომ ამ კლასების განვითარება შესაძლებელია, შესაძლებელია მათი განვითარება და ობსტრუქციებს აწყობდენ. მოდიან აქ ამხანაგები იმისათვის, რომ ხელი შეგვიშალონ. ასეთ ცრუ ბურჟუაზიულ ელემენტებს ჩვენ სათანადო პასუხს გავსცემთ, ასეთი იანუსობას იმასაც ჩვენი პროფესორები შვებიან. აი, ეს იდეალიზმი, წერილ ბურჟუაზიული იდეოლოგია უნდა აღიკვეთოს ძირფესვიანად. ეხლა მინდა ნუცუბიძეზე ვილაპარაკო. მისი გამოსვლა იყო ნამდვილი აბდა-უბდური და აგრეთვე აბდა-უბდურია მისი გამოშვებული წიგნებიც. აი, რას ამბობს ის შემეცნების სუბიექტის აუცილებლად (*კითხულობს*). იმ თავითვე პროფ. ნუცუბიძეს უნდა ეგრძნო და გაეგო, რომ სად იმყოფება ის და სად გამოდის და თავიდანვე უნდა შეხებოდა საკითხს. ეს საკითხი შემეცნებისა ... რა განაცხადა აქ პროფესორმა ნუცუბიძემ. აქ გვაქვს მისი ნაშრომი. აი, მე ამას წაგიკითხავთ (*კითხულობს*).

აი, ეს არის ეკლექტიკი, ეს არის წერილ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გამარჯვება. პროლეტარიატი ამას ვერ მოითმენს.

ამხანაგებო, მეორე საკითხს სვამს ნუცუბიძე, რომ ფილოსოფია არის უპარტიო. ამხანაგებო, ეს არის ფილოსოფია როგორც საგნის, თანდათან აღიარებს ფილოსოფიის მოწყვეტას ლენინი ამბობდა, უპარტიო ფილოსოფია საშუალო საუკუნე ფილოსოფიის მოსამსახურეაო, სუბიექტიურად ბურჟუაზია. კლასის დიალექტიზმი არის გამარჯვება პროლეტარიატის (*ბმაუროძა, არ ისმის*). ეს არის როგორც მარქსიზმის რემონტი ენგელსის გადაუბრუნებლად. მარქსიზმი ნუცუბიძეს ენგელსის სახით გადაუბრუნებლად მოჰყავს და ამბობს, რომ ენგელსი არის რევოლიუციაო. ნუცუბიძეს გადაუბრუნებლად შეუძლია მივიდეს მარქსიზმამდე. ეს არის ლოღიკა ნუცუბიძეს იდეალისტი. ამხანაგებო, აქ განაცხადა ნუცუბიძემ, არ არის პროლეტარული ფილოსოფია ... ნუცუბიძე ეს არის თევზაიას პირ წავარდნილი მიმდევარი, რომ საქართველოში ეროვნული კულტურა უნდა განვითარდესო. ამას ამბობდა თევზაიაც. ლაპარაკობდა, რომ საქართველოს პირობებში კონდრატიევშჩინას არ შეიძლება რომ ადგილი ჭონდეს. რომელი ქართველი იქნება ისეთი, რომ თავისი სამშობლოს წინააღმდეგ წავა. აი, ამისი მიმდევარი არის პროფ. ნუცუბიძეც. მას ეგონა, რომ ჩვენ აქ მას ვერ გაუგებდით. ეს არის ეროვნული შეუგნებლობა, ეს არის ნუცუბიძის დეკლასიური მიდგომა.

ამის შესახებ მე მინდა ჯავახიშვილზე და მის სკოლაზე ვილაპარაკო. და ის შემცდარი აზრი, რომელსაც ატარებს დღეს პროფ. ჯავახიშვილი თავისი მიმ-

დევრებით. აქ ლაპარაკობდენ, რომ პროფ. ჯავახიშვილი დიდი მეცნიერია, ეს სთქვა სიმონ ხუნდაძემ და ასევე განიმეორა მეგრელიძემაც, მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ ეს მხოლოდ შირმაა, თორემ ეს კაცი არ წარმოადგენს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორც ზოგიერთებს გონიათ და არც ასეთი დიდი მეცნიერია. მისი მთელი წიგნები არის ემპირიული ფაქტები, ემპირიული ფაქტების დამგროვებელი. მას არ გააჩნია მეთოდი სწორი გაგებით. და ჩვენ კი ვიცით მარქსისტული თეორია, სადაც ლაპარაკი არის, რომ ფაქტები აუცილებლად ერთი მეორესთან უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული და ერთი მეორისადმი დაუკავშირებლობა ჩვენ არაფერს არ მოგვცემს. ჯავახიშვილს კი აქ არავითარი კავშირი არა აქვს. ისტორიული მატერიალიზმი ეს ისეთი მეცნიერება არ არის, რომელიც დიალექტიურ მატერიალიზმს ვერ შეითვისებს. ჩვენ გვინდა გარკვევით იქნეს ეს წინააღმდეგობა, კლასთა ბრძოლა გარკვევით იყოს ნაჩვენები.

პროფ. დანელიას შესახებ. ამხანაგებო, დანელიას წიგნები გაკრიტიკებულია, ბევრმა არატორებმაც ილაპარაკეს აქ, მაგრამ საინტერესო არის, თუ რას ლაპარაკობდა ის ლექციაზედ ერთი იდეა პლიუს (*კითხულობს*).

ეს არის მთელი კლასობრივი ალღოს დაკარგვა. დანელიას ვერ წარმოუდგენია, რომ კომუნიზმი არის პროლეტარული დიქტატურის ლოზუნგის მატარებელი. ამას ის ხსნის თავისი უბადრუკი თეორიით. აქ ის ლაპარაკობს სინდისზე. ის ლაპარაკობს, რომ ეს არის ქვაკუთხედი საშუალება, რომ სინდისი ყოველთვის არსებობდა ქართველი ხალხის ქედა მასაშიო. აი, ამას უტიფრად იმეორებდა...

ამხანაგებო, უკანასკნელად უნდა დავსვა საკითხი, რომ ჭაობი, რომელიც მოიხსენია მომხსენებელმა, შეეხო აღნიშნულ ეროვნულ აღორძინებას, რომელიც აქ ნუცუბიძემ განაცხადა. ასეთი დეკლარაცია არ შეშვენის საბჭოთა კავშირის მოქალაქეს. ეს არის, ამხანაგებო, დეკლასიური პრინციპი ეროვნების. ჩვენ გვაქვს კლასთა გამარჯვება, პროლეტარიატის გამარჯვება, მას აქვს თავისი პროლეტარული კულტურა. ბურჟუაზია ჰქმნის თავის კულტურას, პროლეტარიატიც ჰქმნის თავის კულტურას. ასეთი ლაპარაკები არ შეიძლება ოქტომბრის მე-14 წელში და საქართველოს მეათე წლის გასაბჭოების დროს. ეს პირდაპირ ჭაობია. ჩვენ გვაქვს პროლეტარიატის რევოლიუცია. ის უნდა იყოს ან პროლეტარიატთან, ან ბურჟუაზიასთან. ვისაც არ სწამს პროლეტარიატის გამარჯვება, მისი იდეა, მისი ფილოსოფია, ის განდევნილი იქნება ჩვენს რიგებიდან. ძირს დიალექტიური მატერიალიზმი და ბურჟუაზიული იდეოლოგია.

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა ამხ. *ჯანაშიას.*

ჯანაშია: ამხანაგებო, მომხსენებელმა დასვა აქ პოლიტიკური საკითხი და ამ საკითხზე ჩვენ უნდა უპასუხოთ. ეს საკითხი დიდ ინტერესს იწვევს და უნდა მივცეთ გარკვეული პასუხი მომხსენებელს. არიან თუ არა ჩვენი სპეცები პროლეტარიატთან და როგორი არის ჩვენი დამოკიდებულება სოციალისტურ მშენებლობასთან. ობექტიური და სუბექტიური პირობები, რომელშიაც სოციალისტური მშენებლობა ეითარდება, დღეს ხდება ასეთი პირობების დისკუსია და სწორეთ ამისათვის გვეკითხებიან, შენ ჩვენთან ხარ, თუ ჩვენი მოწინააღმდეგე ხარ, როგორია შენი მიმართულება პროლეტარიატისადმი. შენ თუ ახრჩობ სოციალისტურ მშენებლობას, აი, სწორედ უნდა გამოაშკარავდეს კონდრატეველების საქმიანობა. ამხანაგებო, არ კმარა მარტო სიტყვები, არამედ საჭიროა აქტიური მონაწილეობა ამ დიდ მშენებლობაში, რომელსაც სოციალისტურ მშენებლობას უწოდებენ. სოციალისტურ მშენებლობის იდეია მარტივი არის და ნათელი იმ კონკრეტიულ გამოხატულებით მრავალ გვარი არის ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მოწყობა კულტურულ რევოლიუციისა და სხვ. როგორი შეიძლება იყოს საზოგადოებრივ-მეცნიერ მუშაკების მონაწილეობა სხვა და სხვა დარგში. ამხანაგებო, სოციალისტური მშენებლობის იმ დარგს, რომელსაც სახალხო რეკონსტრუქცია ეწოდება, რა თქმა უნდა, ჩვენი პროფესურა მონაწილეობას არ იღებს ისეთს, როგორც ინჟინრები, იმიტომ, რომ ინჟინრები ამ აღმშენებლობაში მთავარ როლს თამაშობენ. მაგრამ აქ გვაქვს ჩვენ ღვაწლი ეკონომისტებს და

რა მხრივ. აი, შესწავლა თუ გნებავთ ჩვენი რაიონების დარაიონების მხრივ, შესწავლა ჩვენი მეურნეობის ბუნებრივი დარაიონების დროს. შესწავლა ძველი ნაგებობათა და მრავალი სხვა. მაგრამ გაცილებით უფრო აქტიური და მახლობელი საბჭოთა აღმშენებლობისათვის იქნებიან ინჟინრები.

მეორე დიდი დარგი, ეს არის კულტურული რევოლუცია. მე მაგონდება ლუნაჩარსკის ერთი წერილი, სადაც ის ამბობს: „ინტელიგენციის ამ რიცხვიდან, რომელიც ბურჟუაზიის ბანაკიდან გადადიან პროლეტარიატის დიქტატურის ბანაკში და რომელთაც სურთ შეგნებულად იმუშაონ მუშათა კლასთან ერთად და მუშათა კლასთან ერთად სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება, იმათ მიეცემათ ყველაფრის უფლება...“

აი, ჩვენ ამიტომ ვფიქრობთ, რომ დიდი მონაწილეობა მივიღოთ კულტურულ რევოლუციაში. აი, დღეს ერთი სტუდენტი რომ ლაპარაკობდა, „ძველის ადგილი ახალგაზრდობამ დაიჭირაო“ (*ადგილიდან ხმები:* თავის თავზედ ილაპარაკეთ!).

მე ვფიქრობ, რომ მთავარი საკითხი არის საკითხი ისა, რომ ძველი ინდივიდუალისტური ცნობიერების შესწავლა იქნება ახალი მეთოდებით ჩვენს პირობებში. ამ ამოცანას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ინდივიდუალისტურ ცნობიერებაში. მთავარი მიზანი არის კოლექტიური ფსიხოლოგიის ჩანერგვა (*ადგილიდან ხმები:* ხართ თუ არა ჯავახიშვილი? *სიცილი*).

თავმჯდომარე: თქვენ არ ლაპარაკობთ თემაზე, აუდიტორია გთხოვთ, პირდაპირ საკითხს შეეხოთ.

ჯანაშია: ამხანაგებო, სოციალისტურ მშენებლობას ჩვენში ახასიათებს ერთი თავისებურება, რომელიც ყოველთვის იქცევდა და იქცევს პარტ. და ხელისუფლების ყურადღებას, ეს გახლავთ ოქტომბრის რევოლუცია. ვაცხადებ ორი მაგალითი ... ეს არის გამოწვეული ჩვენი მშენებლობის დიდი ტემპით, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ამხანაგმა სტალინმა მე-16 პარტყრილობაზე მემარჯვენეთა წინააღმდეგ ამბობდა, ჩვენი სოციალიზმის საბოლოოდ გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში უნდა განვახორციელოთ ეროვნული კულტურის განვითარება. რა რიგათ. ახალი კულტურა პროლეტარიატის სოციალისტურ შინაარსით. ამ მხრივ გვაქვს გარკვეული სარბიელი, ქართველი ბოლშევიკი ალექსი წულუკიძის მიმართვა ჯორჯაძის მიმართ. თუ ეხლა ეროვნული კულტურა განვითარდა იდეოლოგიურად საქართველოში, მაშინ... (*არ ისმის, ბმაროba არის დარბაზში*)... მომხსენებლის მიერ წამოყენებული იყო მეცნიერების იდიოლოგიის შესახებ. მე ვაღიარებ საქართველოში ს... მკვლელ ... საქმე დიალექტიურმა მატერიალიზმმა უნდა დაიპყროს საქართველოს ისტორია. ამ საქმეს ახსოვს თავისი სიძნელენი. მე ასეთ დიდ პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებ. მექანიკური მატერიალიზმის ცოდნა საქართველოს ისტორიაში მარქსისტული შემოქმედება ეს არ არის უბრალო საქმე. ეს არ არის ისეთი საქმე, რომ ქოთანში რამე ჩაყაროთ და მოხარშული ამოიღოთ. ამისათვის არის საჭირო თანდათანობითი მუშაობა. მართალია, არის ამაში სიძნელენი და ეს სიძნელენი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ უნდა მთლიანათ შევითვისოთ ეს მეთოდიკა. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ შავის შესწორება მუშაობისა საქართველოს ისტორიაში არ არის. ჯერ არც ერთ მეცნიერისაგან არ არის წარმოდგენილი მასალა (*დარბაზში ბმაროba, არ ისმის*)... საერთო მუშაობით, ურთიერთ დახმარებით ამ საქმეს ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ. ამხანაგებო, მე ზოგიერთი საკითხის შესახებ ვლაპარაკობ, რადგან ჩემი დრო გავიდა და უნდა შევეხო შემდეგ საკითხს. ამხ. მომხსენებელმა განიხილა ერთი ჯგუფი, რომელსაც ეწოდება ჯავახიშვილის ჯგუფი და მე სწორეთ ამ ჯგუფს მიმაკუთვნა. მე უნდა განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს, მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა განსაზღვრული არის იმ ფაქტით, რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ერთ და იმა-

ვე ინსტიტუტში საქართველოს კათედრის (*ადგილიდან: არ არის საკმარისი! ტაში*).

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეძლევა *სიმონ ყაუხჩიშვილს* (*დარბაზში დიდი ხმაურობა*).

ყაუხჩიშვილი: (*ხმაურობა*). ამხანაგებო, ჩვენ დღეს შეკრებილი ვართ აქ იმ დიდ საკითხისათვის, რომლის სწორ გაგებაზე დამოკიდებული არის ჩვენი ნაყოფიერი მუშაობა და იმ ამოცანების მიღწევა, რომელიც დაკისრებული გვაქვს ჩვენ.

ეს ის საკითხი არის, რომელსაც ეწოდება კონდრატიევშჩინა, როგორც აქ მომხსენებელმა და სხვა ორატორების მიერ ნათლად გაშუქებული იყო. სოციალისტური მშენებლობის იმ უკანასკნელ ეტაპში, რომელიც ეხლა არის, სრულიად ბუნებრივად იჩინა თავი მავნებლობამ. იმ დროს, როდესაც ჩვენ შევდივართ სოციალისტურ მშენებლობის იმ ეტაპში, რომელიც საბოლოოდ სპობს ძველი კაპიტალისტური წყობილების ნაშთებს, იმ დროს, როდესაც სოფლის მეურნეობანი ძირიან ფესვიანად გადაიქმნა და გადაიქმნება, ცხადია, რომ ამოძრავდენ ძველი კაპიტალისტური წყობილების ნაშთები, როგორც მომაკვდავი უკანასკნელ წუთებში, რომელთაც ძველი ფორმები აინტერესებთ.

აი, ამგვარად ჩემი გაგებით ის მოვლენა, რომლის გარშემო ჩვენ ეხლა გვაქვს საუბარი, აღმოცენებული არის იმ ნიადაგზედ, რომ ხელი შეუშალოს და დაამყარონ ის სამყარო, რომლის წარმომადგენელნიც არიან, რომლის საბოლოო მიზანი არის მენშევიზმი. თუ ჩვენ გვწამს ამ ახალი სამყაროს ღირებულება, ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ყველა ხელშემშლელ პირობებს. ჩვენი მუშაობა გათვალისწინებული უნდა იყოს იდიოლოგიურ მხარეებზე, უდავო არის, ვისაც უნდა ააშენოს ახალი სამყარო და არ შეიძლება მიდიოდეს ძველი გზით და მეთოდებით. მსოფლმხედველობა შეიარაღებული უნდა იყოს ახალი სამყაროს ასაშენებლად. ამისათვის საჭირო არის სათანადო მიდგომა საქმისადმი და თუ ჩვენ ეს არ ვიცით, ამას ჩვენ გვასწავლის ახალგაზრდობა. ჩვენ აქ დავაარსეთ ახალი მეთოდი სწავლისა. ეს არის ლაბორატორიული მეთოდი, ეს არის დაკავშირებული ახალ კადრების მომზადებაზე. როდესაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ახალ მიდგომის შესახებ, ჩვენ გვასწავლეთ და ჩვენც ვისწავლით და ჩვენ ძველ მიდგომას დავივიწყებთ. აი, სწორეთ ამისათვის ერთ-ერთი საშუალება არის ლაბორატორიული მუშაობა. აი ამით მე ვლაპარაკობ, რომ ჩვენი მეთოდი აუცილებლად დაკავშირებული არის ამ ახალ გზებთან, რომელსაც ჩვენ ვატარებთ ამ სწავლის დროს. ახალ სამყაროს ჩამოყალიბება, მე ვგულისხმობ იმ პირობებს, როდესაც სწავლა არის ახალ მეთოდზე, როდესაც მასწავლებელი იქნება, პროფესორი თუ დოცენტი, არჩევს საკითხს თავის თანამშრომელ სტუდენტებთან. ეს არის სწორეთ ახალი მიდგომა, რომელიც ქმნის მრავალ მეცნიერულ ღირებულებას. აი, ვისაც სურს თანამშრომლობა ჩვენ პედაგოგიურ ინსტიტუტში, უნდა მიიღონ ეს ახალი გზა. ეს არ უნდა დარჩეს სიტყვებათ, არამედ უნდა იყოს განხორციელებული საქმით, ძველი უნდა იყოს სრულიად უკუგდებული. მე ამას მოგახსენებთ, რომ ჩემს შესახებ აქ არ იყო სრულებით ნათქვამი ამ გადაჯგუფების შესახებ. მე მხოლოდ მინდა მიმეთითებია იმ გარემოებაზე, რომ არა მარტო ეს ჩვენი ინტერესებია, არამედ ახალგაზრდობისა, როდესაც ახალი ლაბორატორიული მეთოდზე ჩვენ დავსვით კითხვა და ჩვენ გვინდოდა გაგვეშუქებინა ეს საკითხი წინათ და არა ეხლა. მე ამაზე შემიძლია ჩემი ძველი აუდიტორია მოვიყვანო და ჩემი ძველი მსმენელები ამაზე დამეთანხმებიან. ეს აზრი ჩვენ წინეთ გამოვთქვით, აი, ეს აზრი ახასიათებდა ჩვენს პოზიციას. მეორე მხრივ საკითხისადმი მიდგომა — „სწორედ ვამზადებთ კადრებს როგორც ახალ აღმშენებლობას ესაჭიროება, თუ არა“ (*ადგილიდან: არ არის საკმარისი. ხმაურობა*). ცხადია

თავმჯდომარე: ეს მართალია, საკმარისი არ არის, მაგრამ თუ არ ამბობს, როგორ უნდა ვქნათ. ამის შესახებ თავის საბოლოო სიტყვაში მომხსენებელი გასცემს პასუხს (*დარბაზში დიდი ხმაურობა*). შემდეგი სიტყვა ეძლევა სტუდენტ *დემეტრაშვილს*, რკ. გზელ მუშას (*ტაში*).

დემეტრაშვილი: ამხანაგებო, არსებითად დღეს ამ კრებაზე დგას საკითხი არა მარტო კონდრატიევშჩინას ირგვლივ საკითხის გაშუქება, არამედ საერთოდ კულტურული რევოლიუცია როგორ უნდა გადაწყდეს, როგორ მიდის ჩვენი ინტელიგენცია და ჩვენი პროფესურა და როგორ უყურებენ ისინი ამ საკითხს, როგორ თვალსაზრისზე სდგანან ისინი. პროლეტარიატის დიქტატურის სადარაჯოს გვერდში ამოუდგებიან, მისი საუკეთესო მებრძოლებს ამოუდგებიან თუ არა. აი, ამ კითხვას ყველა აქ გამოსული ორატორი და მისი თანამიმყოლებმაც უნდა დაისახონ მიზნათ, რომ ეს საკითხი პირდაპირაა დასმული და ამიტომ თავისთავსაც დაუსვას საკითხი და სწორად გადაჭრას. მე ვლაპარაკობ შემდეგზე, როდესაც მუშათა კლასთან დავაპირებთ თანამგზავრობას. ეს სიტყვა ჩვენ არ უნდა გავიგოთ ზერელედ, თანამგზავრობა შემდეგ უნდა გადავიდეს მგზავრობაზედ, იმიტომ, რომ ჩვენ ყოველგვარ თანამგზავრობას არ ვცნობთ. როდესაც მუშათა კლასთან დააპირებთ თანამგზავრობას, ეკონომიური და ტეხნიკურადაც მასთან უნდა ითანამგზავრო. უნდა აღინიშნოს, რომ დაიწყო კულტურული რევოლიუცია, მაგრამ არ მომხდარა ინტელიგენციის ტვინის გადამუშავება. აი საჭიროა, რომ ინტელიგენციის ტვინი გადამუშავდეს, ძირფესვიანად შეითვისოს ახალი მსოფლმხედველობა, მარქსისტული თეორია, მარქსისტული იდეოლოგია. აი, ასე სდგას კითხვა და იმ პროფესორებმა პასუხი უნდა გასცეს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მოდიან მათთან. ვამბობ, ფრთხილათ იყავით, იჩინა თავი ბურჟუაზიულმა სფერომ. თქვენი ბაგაჟი, რომელიც თქვენ გაქვთ, ჩვენ ეს არ გამოგვადგება, თქვენ ეს უნდა გადალახოთ.

ახლა, ამხანაგებო, მე მინდა შევეხო კონკრეტიულად პროფ. კოტეტიშვილს, რომელიც აქ გამოვიდა და სთქვა, ვითომ წარსულში ის არაფერი არ ყოფილიყო. ყველა ის არსებითი შეხება ამ მეთოდოლოგიური შესწავლაში ... არც ერთს არ შეეხო. ეს იდეოლოგია მასში უნდა აღმოიფხვრას. თქვენ იძახით, რომ მარქსიზმს არ ვიცნობ კარგათ. თქვენ აუცილებლად უნდა გაეცნოთ. აი, მოკლედ რომ ვთქვათ, 24 წლის შემდეგ როგორი არის კოტეტიშვილის ნაწარმოები. ამხ. კოტეტიშვილი რას ამბობს, გამომდინარე იმ კლასიდან, ძველი თაობიდან ვერ სცნობს სწორ სვლას სოციალიზმის. არ შეიძლება ასეთი გამომდინარე რომ იყვეს დამცველი პროლეტარიატის, საბჭოთა ხელისუფლების, ის არის დამცველი ბურჟუაზიისა და რომ დამამტკიცებელია ეკლესიის მიმდინარეობისა. ეს ნიშნავს იმას, რომ მას ხელზე აქვს გრუალი ბეჭედი, რომელიც არის სიმბოლო ეკლესიის. ჩვენ ეს ეკლესია დავარღვიეთ, თქვენ ეს ვერ გაგიგიათ.

ეხლა მე მინდა შევეხო უზნაძის გამოსვლას. უზნაძემ თავისი სიტყვა ლმობიერად გამოსთქვა იმისათვის, რომ კრინტი არ დასძრას თავის ფიზიონომიის გამოსააშკარავებლად. როდესაც მის ნაშრომს ვსინჯავთ, კბილს უსინჯავთ, საჭირო არის, რომ მიხვდეთ და ყოველთვის ამ გარემოების შესახებ უნდა მოხდეს პროლეტარიატის (*ტაში. ბმაურობა*). რაც შეეხება ზოგიერთ იმ პროფესორებს, რომლებიც მართლა არიან ჩვენთან მოსული და მუშაობენ და უნდათ შეიგნონ პროლეტარული იდეოლოგია. ჩვენი ხელისუფლება მათ მიიღებს სათანამგზავროთ. ზოგიერთები ლაპარაკობენ, რომ წარსული არა გვჭონია და რატომლაც არის, უნდათ ჩვენი გაწმენდაო. ზოგიერთი ლაპარაკობს, რომ მე აქ არაფერი არ მამძიმებსო, მაგრამ საქმე ასე კი არ არის და ასე თქმა არ არის სწორი. შეიძლება არაფერი გამძიმებდეს, მაგრამ ამავე დროს საქმისადმი, პროლეტ. იდეოლოგიისადმი არ იყო კარგად დამწე.

რაც შეეხება პროფ. ნუცუბიძის აქ გამოსვლას, არაფერ დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს. პროფ. ნუცუბიძე დამძიმებულია თავისი ბაგაჟით, მაგრამ ეს თუ მიმართულია პროლეტ. დიქტატურის წინააღმდეგ, მუშათა კლასის წინააღმდეგ, მაშინ გაგება ჩვენი სხვანაირი იქნება და კიდევაც ჩვენ გვესმის ეს და არ მივცემთ უფლებას, მან ეს ჩაიდინოს. რით აიხსნება ის, რომ როდესაც სტუდენტი ეკითხება მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე, ის უპასუხებს, რომ თქვენ მაშინ პროტოპლაზმებიც არ იყავით და გარადავიო თვალით არ გყვედათ ნანახი, როდესაც მე მარქსისტი ვიყავიო და ჩემს საწინააღმდე-

გოთ პეტერბურგში გამოჩენილი კარაევი იყო გამოწვეული, მაგრამ ვერ დამამარცხეს. პროფესორს ასეთი პასუხი უნდა გაეცა? ეს რას ნიშნავს, თქვენ წინათ მარქსისტი იყავი, იბრძოდი მარქსიზმისათვის და ის, ვინც წინად იბრძოდა, ეხლა უარყოფს. აი, სწორეთ ჩვენ შეგვიძლია ახლა პასუხი გავსცეთ მას. მართალია, მაშვინ ჩვენ პროტოპლაზმები არ ვიყავით, მაგრამ აი ეს პროტოპლაზმები გაიზარდა, გაიზარდა, გამრავლდა და ეხლა შენ დაგამარცხეს. მაგრამ ის ინტელიგენცია, რომელიც დღეს არის და რომელიც სდგას ნაწილი ინტელიგენციისა პროლეტ. დიქტატურასთან, ნაწილი ინტელიგენციისა წვრილ ბურჟუაზიასთან და ისინი, რომლებიც მოქცეულნი არიან ჭაობში, აი, სწორეთ ამათმა უნდა ამოიღონ თავიანთი ხმა და კითხვას სწორი პასუხი გასცენ. სწორი პროლეტარული მარქსისტული თავისი კლასობრივი შემეცნებაზედ. მიდრეკილება, მისი აზრი როგორია? თავისუფლება ჩვენ გვესმის ისე, რომ მაგრამ ის ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფოს მართავს და ის სინდისი, რომელიც პროფ. დანელიამ სთქვა, ჯერ გადაამუშაოს პროლეტ. იდეოლოგიურად და მერე წარმოსთქვას, ისე ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს, თქვენი ნამუსი უარყოფს და ჩვენი ნამუსი კი სინდისიერი პროლეტარიატთან ... პროლეტარიატის ჩვენ ვლაპარაკობთ სინდისზე. რაც შეეხება ჯანაშიას გამოსვლას, თავისი განცხადება დაიწყო დალაგებით, ფიქრში არ გადავცდეო. ეს საკმაოდ დარჩენილი ინტელეგენტია. თქვენ დარჩენილი ხართ ისევ ინტელეგენციის წრეში. ჩვენ თქვენ გიცნობთ. თქვენ ხართ ბურჟუაზიის შემეცნების. თქვენ ჯავახიშვილზედ არაფერი სთქვით, თქვენ სთქვით, რომ არ ვცემ პატივს მის შემეცნებას. ეს ყველამ გაიგო. ჩვენ ეს არ გვინდა, ჩვენ გვინდა გავიგოთ, ხართ თუ არა მიმდევარი მატერიალური დიალექტიკის, სცნობთ თუ არა, რომ ეს არის ნამდვილი პროლეტარიატის კლასის დიალექტიკა, თქვენ ეს არ სთქვით. ხართ თუ არა მომხრე ჯავახიშვილის. აგრეთვე ჩვენ ვიცნობთ თქვენ ნაწარმოებს, როგორიც არის „შადური", „დამპატიჟე", ჩვენ კარგათ ვიცნობთ ჯავახიშვილის შემოქმედებას (*ბანგრძლივი ტაში*). მე უნდა მოგახსენოთ პროლეტარიატის ნებისყოფა. პროლეტარიატი შორს მჭვრეტელი არის საჭირო არის გონს მოხვიდეთ მეცნიერებაში. არ შეიძლება გატარება ნაციონალურ იდეოლოგიის. ჩიგოგავას თქმა იყო ერთგვარი ცინიზმი. მან სთქვა, რომ გაზეთში ამოკითხული ვერ გახდება მარქსისტიო და ასეთი შეთვისებული მარქსისტი მე არ ვარო. საბჭოთა ტერიტორიაზე გამოდის გაზეთი კომუნისტური ორგანოების მიერ. მარის იდეოლოგია სწორედ ეს პროლეტარიატის მსოფლმხედველობა არის. ჩვენი გაზეთის ფურცლები ამათ იცნობს. მარქსის დიალექტიკა არის ერთგვარი აღზრდა საზოგადოებისა მარქსისტულად. სჯობია, გაიგოთ პროლეტარიატის სულის კვეთება და მოხვიდეთ ჩვენთან (*ტაში*).

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეძლევა *დოცენტ თოფურიას.*

თოფურია: ამხანაგებო, ალბათ საინტერესო არის აქ გამოსვლა. თუ ბოლომდე მომისმენთ, კარგი იქნება და თუ დაიწყებთ ხმაურობას და, მითუმეტეს, რეპლიკებს, ღმის კაკალივით დამაბნევთ და ამიტომ გთხოვთ, ბოლომდე მომისმინოთ.

კონდრატიევშჩინა ჩვენს ინსტიტუტში იდეოლოგიასთან არის დაკავშირებული და ამიტომ მოითხოვენ ჩვენგან გარკვეულობას, ვისთან ვართ, აქ, თუ სხვაგან ვართ. ან ხომ არ არის ისე, რომ ტანით პროლეტარიატთან ვართ და თავით — მის მოწინააღმდეგესთან. სხვათა შორის, აქ მ. გოგიბერიძემ სთქვა და მეც გავიმეორებ მის სიტყვას, აიღე და დანით დაჭერი ყველა ის ქსელები, რომელიც ძველ წარსულ იდეოლოგიასთან არის დაკავშირებული და რომელიც მიუღებელია. მეც ამასვე გავიმეორებ.

პასუხს მოითხოვენ ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებისაგან, როგორი არიან ისტორიკოსები და ენათმეცნიერნი. ენათმეცნიერნი რატომღაც, როგორი პრინციპის მიხედვით არ ვიცი, დაიყო ორ ნაწილად: ერთი ნაწილი მემარჯვენეებია და მეორე ნაწილი — მემარცხენეები. ეს პრინციპი ჩვენთვის გაუგებარია, მე მემარჯვენეებს მიმაკუთვნეს, მე ივ. ჯავახი-

შვილს მიმაკუთვნეს. მე ივანე ჯავახიშვილის მოწაფე ვიყავი და მე მას პატივს ვცემ. ნუ თუ ეს პატივისცემა არის მემარჯვენეობა. რატომ არ ღებულობთ იმ გარემოებას, რომლებთანაც უფრო ახლო ვიყავი და მოთავსებულნი არიან მემარცხენე ჯგუფში. ესენი არიან ახვლედიანი და კეკელიძე. თითქმის მე მათ ყოველ დღე ვხედავ და მე მათთან ვმუშაობ, ჯავახიშვილს კი თვეში ერთხელაც ვერ ვხედავ. ახლა გადავალ მეთოდოლოგიაზე. როგორც აქ ამხანაგმა სარგის კაკაბაძემ განაცხადა, მე, როგორც ენათმეცნიერების დარგში მომუშავე, ენათმეცნიერებასთან ერთად არის მეთოდოლოგია. ენათმეცნიერება და ისტორია ერთი მეორეს ემთხვეიან და თუ ეს ასე არის, რად უნდა იყოს განსხვავება ენათმეცნიერების და ისტორიის შორის. არის თუ არა ისტორია ენათისტორია? რასაკვირველია, არ არის. ენათ მეცნიერება ერთი არის და ისტორია — მეორე. რა არის განსხვავება. ენათ მეცნიერებაში არის გაბატონებული (*არ იცის*) ისტორიულ-შედარებითი მეთოდი (*ადგილიდან*: მე ვამბობ, რომ არსებობს!). ამის შესახებ ჩვენ გვექნება კათედრის საჯარო სხდომა და იქ ვილაპარაკოთ. საერთოდ, ცნობილი არის, რომ ენათ მეცნიერებაში ქართული ენა უფრო მდიდარი არის. ყველა ენები უნდა იცოდე, რომ შეადარო. ამის შესახებ მეცნიერებს დადგენილება აქვთ გამოტანილი, რომ ყველა ენას აქვს მიჩნეული დიალექტიური მატერიალიზმის იდეოლოგია (*ადგილიდან*: თქვენ რა გააკეთეთ?, დადგენილება ერთია და საქმის გაკეთება — მეორე). ენათ მეცნიერების საზოგადოების სხდომები ამ ჟამად არ მიმდინარეობს. ყველას დარიგებული აქვთ თემა და ისინი დაამუშავებენ, საჯაროთ იქნება წაკითხული და იქ გამოაშკარავდება, თუ ვინ ვართ ჩვენ. ჩვენ ენათმეცნიერებს საერთოდ დეკლარაცია არ გვახასიათებს. ისინი არასდროს არ გამოსულან და ამ ჩვენი მოკლე ხნის მუშაობის ფაქტები მაჩვენებელია იმისა, თუ როგორი არიან ენათმეცნიერნი.

რაც შეეხება იაფეტედოლოგიას, მე იაფეტედოლოგიის მიმდევარი არა ვარ, იმიტომ, რომ ეს მატერ. მეთოდოლოგია წელს შემოიჭრა ჩვენთან. ყველა ის დებულებები, რომელიც აქ გაშუქებული არის, არ შეიცავს დიალექტიურ მატერიალიზმს. ამას მე არ ვამბობ, ამას ამბობდენ ისინი, ვინც ამას ამუშავებდა. დასკვნა ჩემი ასეთი არის (*ადგილიდან*: საკითხზე ილაპარაკე!). ჩვენ ვმუშაობთ ამ მიმართულებით. თქვენ მოგვეცით დრო, თორემ როგორ შეიძლება, რომ ამაღამ დავიძინო და ხვალ რომ გამოვიღვიძებთ, მარქსისტებად გავხდეთ. თქვენ მოგვეცით დრო, ჩვენ ამას ვამუშავებთ და მერე წარმოგიდგენთ. ჩვენ ამას ვამუშავებთ ახალი მეთოდით.

თავმჯდომარე: თქვენი დრო ამოწურულია.

თოფურია: მე ვსთქვი, ვმარქსისტობდი-მეთქი (*დარბაზში დიდი ხმაურობაა*). პოლიტიკურად თუ მიულებელი ვარ, ალბათ თქვენ გეცოდინებათ, მე არა მაქვს პოლიტიკური წარსული.

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა სტ. *ხომერიკს*.

ხომერიკი: ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ მე ამ ინსტიტუტის სტუდენტი არ ვარ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მიხდება აქ გამოსვლა. აი, რისთვის, ამხანაგებო. თქვენ იცით, რომ ამ კათედრაზე გაუგებრობა დაიბადა, ვერც ერთმა აქ გამოსულმა, ვერც მომხსენებელმა, ვერც დოცენტმა, ვერც პროფესორმა, ვერც სტუდენტმა და ვერც ერთ ერთმა მათგანმა გარკვევით საკითხი ვერ დასვა. მე გეტყვით, რაშია საქმე. ზოგიერთები თავისი წარსულით იკვებებიან. ეხლა რადგანაც შემთხვევა მოიცა, ვიტყვი რამოდენიმე სიტყვით შემდეგს. აქ გამოვიდა კოტეტიშვილი და ლაპარაკობდა, რომ მე დიდი ღვაწლი მიმიძღვის, დორპატში ვიბრძოდიო. მერე რისთვის იბრძოდა, იბრძოდა საქ. განთავისუფლებისათვის, მაგრამ აქ ერთ ერთმა სტუდენტმა შეეკითხა, სიმბოლო ბეჭდვისა რა არისო. ის ლაპარაკობს, რომ ბეჭედს იგივე სიმბოლო აქვს, რაც გალსტუკსო. განა მას არ შეეძლო ეს ბეჭედი ინდუსტრიალიზაციისათვის შეეწირა, განა ეს უფრო უკეთესი არ იქნებოდა?

ეხლა, ამხანაგებო, იმის შესახებ, თუ როგორ მოღვაწეობას ეწეოდით დორპატში. ჩვენც გიცნობთ, თქვენ არაფერი არ გითქვამთ თქვენი შრომის შესახებ. თქვენ არ სთქვით მარშვალ პარტიის შექმნის შესახებ. ჩვენ კარგათ ვიცით ამის შექმნა. ეს არის პროლეტარიატის ავანტიურა. თქვენ ეს უნდა დაგმოთ, ეს პარტია იყო კლასისათვის გონების დაჩლუნგვა. ეს იყო ბურჟუაზიის კლასის განვითარება. თქვენი ნაშრომით დიდი ხანია იკვებება ჩვენი ახალგაზრდობა. ეს წიგნი თქვენ უნდა დაგმოთ. თქვენ იძახით, რომ ფედერალისტები მაშინ კარგი ხალხი ვიყავითო, ამას თქვენ იკვებნით. ამ წარსულის დაკვეხნა არ ვარგა. თქვენ ეს უნდა დაგმოთ. თქვენ უნდა იცნოთ საბჭოთა ხელისუფლება.

შემდეგ უნდა შევეხო პროფ. პოლიექტოვს. მე მინდა მას რუსულათ უპასუხო (*ლაპარაკობს რუსულად*).

შემდეგ უნდა შევეხო პროფ. შალვა ნუცუბიძეს. ის გამოვიდა ძალიან მხატვრულად დადებითი. ნაკლი, რომელიც მას აქვს, უნდა აღმოფხვრას ძირ ფესვიანათ, თორემ იმ ას წლოვან მუხას რომ დაეტაკება, ეს აზღვევებული ხალხი დაარღვევს და ეს მისი ნასახიც არ დარჩება (*კითხულობს მის ნაწერებიდან*). მისი გამოსვლა არ იყო სწორი, ნუ თუ მე, სტუდენტმა, გავიგე, როგორ იყო საკითხი დასმული და პროფესორებმა ვერ გაიგეს საკითხის არსი. როდესაც პროფ. გრ. წერეთელთან მივიდა სტუდენტი თავისუფალი საზოგადოების წევრიდან, მან უპასუხა, რომ „მე თქვენი არაფერი მწამს, არც თქვენი პრინციპი მინდა“ და უთხრა: „ვინ ატსიუდა“. შაერაზმელი გრ. წერეთელი აუცილებლად უნდა იქნეს გაძევებული პროფესორებიდან. შემდეგ ერთ პროფესორს მინდა შევეხო, ეს გახლავს პროფესორ პოლიექტოვი. ის აქ რუსულ ენაზე გამოვიდა და მას ეგონა, რომ სტუდენტები მას ვერ გაუგებდა რუსული ენის უცოდინარობის გამო და მე სწორეთ რუსულად გიპასუხებ იმ საკითხზე, რომელზედაც მე შენ მინდა გითხრა რამოდენიმე სიტყვა (*ლაპარაკობს რუსულად*). მას უნდა, რომ თავისი ფიზიონომია არ გამოაშკარაოს, ან და, როდესაც ის სტუდენტებს ცდის, მიუხედავად იმისა, რომ ქართული კარგად არ ესმის, მაინც უწერს ხელს „ფრიად“. განა ეს დასაშვებია. პროფესორმა სტუდენტი ცოდნის მიუღებლად უნდა გაუშვას. მე სწორეთ მასთან მქონდა ასეთი შემთხვევა და მიტომ ვლაპარაკობ ამას. ამის გარდა პროფ. პოლიექტოვი ლექციებზე მოდის მთვრალი. განა ეს დასაშვებია პროფესორისაგან, რომელიც მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს, მაგალითი სტუდენტებისათვის. ჩვენ ლოიალურად საკითხს არ უდგებით, პირდაპირ ვებრძვით და თუ გსურთ, ჩვენთან ერთად იბრძოლეთ სწორი გზით აი ამ კონტრევოლიუციონერების საწინააღმდეგოდ (*ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა *პროფესორ ჩარაძეს*.

ჩარაძე: ამხანაგებო, ბევრს ჰგონია, რომ მეცნიერი მუშაკები ძალიან ძნელად ერკვევიან დღევანდელ პირობებში, რომელშიაც მათ უხდება მუშაობა. მე ძალიან კარგათ მაქვს შეგნებული. დღეს აქ რომ გამოვიდნენ ჩვენი ამხანაგები საბჭოთა საზოგადოების წინაშე, თავის პოლიტიკურ მეცნიერულ სახეს გამოამჟღავნებენ. ეს არის ერთ-ერთი შედეგი პროლეტარულ დიქტატურისა. ამ შემთხვევაში მე სრულიად ვესალმები ასეთ წესს. ანგარიშ გაუსწორებელ მუშაკებს, რომლებიც დღეს მოღვაწეობენ, თუ რა გააკეთეს და როგორ შეითვისეს დღევანდელი პრინციპები, რაში გამოიხატება მათი კონკრეტიული მუშაობა. ბევრს ჰგონიათ, რომ ზუსტი მეცნიერი მათემატიკოსი რაღაც განსაკუთრებული მდგომარეობაში იყოს, თითქოს ის ხელ შეუხლებელი იყოს, თითქოს ის ჩამორჩენილი იყოს დღევანდელ ცხოვრებას. ეს არ არის სწორი შეხედულება. ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელი, კერძოდ, მათემატიკოსები არ არიან სამხეცეს ექსპონატაცები, იშვიათი ეკზემპლიარები, რომ ისინი დარჩნენ ცხოვრების გარეშე. მე არ ვამტკიცებ, რომ მარქსისტი ვიყო ან ვყოფილიყავი, მაგრამ მე მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო ჩემ მსოფლმხედველობაზე და მოვალეობაზე, როგორც მოქალაქე, როგორც წარმომადგენელი პასუხის მგებელ მუშაკებისა. მე დავალებული მაქვს, კერძოდ, კადრების მომ-

ზადება, აგრეთვე ვმუშაობ საზოგადო ასპარეზზე, ვამუშავებ პასუხისმგებელ საქმეს და თუ მე ეს მაბარია, არ უნდა ვიფიქრო არა აწმყოზე, არამედ მომავალზედაც. ამ შემთხვევაში საბჭოთა დიდ ენციკლოპედიაში ერთ ერთ ტომში არის საფუძველი დაწერილი კარგი მათემატიკოს კოგანის მიერ ამ დარგის მეცნიერების განვითარების შესახებ. კოგანი ახალგაზრდა მეცნიერი არ არის, არ არის კარგად ცნობილი, მათემატიკური საგნების შესწავლა ძალიან დაძველებული მეთოდით სწარმოებს. ვისაც კარგათ აქვს შესწავლილი მათემატიკა, ის აშკარად იტყვის, დამეთანხმება, რომ იმ მეთოდებით და იმ ხერხებით, რომელიც დღეს არსებობს, მათემატიკის შემდეგი შესწავლა აღარ შეიძლება და ათავებს, რომ ის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც ეხლა მიდის, უსათუოთ უნდა დაიპყრას ის ადგილი, რომელიც ეხლა მოდის (*ტაში*).

ამხანაგებო, რომ მე ეს რწმენა არ მქონდეს, მაშინ მე ამას არ ვიტყოდი. ჩვენ ამას გვერდს ვერ ავუხვევთ და ამიტომ ზუსტად უნდა მივუდგეთ ამ მეცნიერებას, ეს ისეთი საგანი არის. ამ მეცნიერებას მე ძალიან კარგად ვადევნებ თვალყურს, მე მყავს თანამშრომლები და მე ამას ყველაზე ვლაპარაკობ. როდესაც ჩვენ ასეთი საპასუხისმგებლო საქმე ხელთ გვიკავია და ჩვენ გვეუბნებიან, რომ თქვენ აპოლიტიკანობას ეწევით, ასეთი დაპირისპირება სწორე არ არის. მე ყოველთვის გავცემ ამაზე პასუხს დიდი სიამოვნებით, მაგრამ ჩვენ, მათემატიკოსებს, მათემატიკურ დარგში მომუშავეებს გვაინტერესებს ახალი მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია მეცნიერების უფრო გაფართოება. ასე რომ არ იყოს, მაშინ მეცნიერება ფართე გასაქანს არ ჰპოვებდა. მეცნიერს უნდა ჰქონდეს მსჯელობათა, აზრთა ჩამოყალიბების უნარი, რომ ბევრი ახალი გზები შეისწავლოს. მეცნიერ მუშაკებმა ბევრი ახალი გზების გაკაფვა შესძლეს. აი სწორედ ერთერთ სექციაზე, რომელიც არსებობს (*რუსულად ლაპარაკობს*). აქ ლაპარაკი იყო და მსჯელობის საგნად დასმული იყო უსასრულობის საკითხი, ზღვრების ცნების შესახებ და ყველაფერ ამას ჩვენ, რასაკვირველია, ეცდილობთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ რაც არ უნდა გითხრათ, თქვენ ხელავთ, რომ ავტობიოგრაფია ადასტურებს, რომ ჯერჯერობით ძნელია მარქსიზმის მსოფლმხედველობის გამოყენება და რომ ეს ძნელია, ეს დამტკიცდა შარშან, როდესაც აქ, ჩვენთან ა/კაკაისის კომ. უნივერსიტეტში მათემატიკური მიზნების შესახებ გააკეთეს მოხსენება და იქ ნათლად დაინახეს, რომ ამ საკითხის გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ერთერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. აქედან გამოსჭვივის ის, რომ მათემატიკური მეცნიერება მთლიანად შეუდგა ამ ახალი მეთოდის გამოყენებას, თუმცა ჯერჯერობით ვიმეორებ, რომ ეს ძნელია. ჩვენ არასდროს არ ვყოფილვართ და არც ვართ მომხრე მათემატიკური მეცნიერება ზეკლასიური იყოს. ჩვენ ნათლად გვაქვს გარკვეული და შეთვისებული, რომ მეცნიერება და საერთოდ მათემატიკური მეცნიერება არ არის ზეკლასიური. ბევრს ჰგონია, რომ ვისაც შეხვდება მათემატიკური წიგნები დაწერილი. მარქსიზმი რომ გაეიგო, მე ამით დაინტერესებული ვარ. ეს ცოცხალი სიტყვა არის. ამ გეზით ვმუშაობ და მომავალშიაც ვიმუშავებ (*დარბაზში ხმაურობა: თქვენ თქვენ თავზედ სთქვით*). მე ძალიან კარგათ მესმის ყველაფერი. თქვენ გაინტერესებთ ჩემი პოლიტიკური სახე, ამასვე თხოულობს ჩვენგან პარტია და ხელისუფლება. ჩვენგან სურს პასუხის გაცემა, ვისთან ვართ ჩვენ. მე წარსულში არაფერს არ ვიკეთხავ. წიგნების შესახებ უნდა მოგახსენოთ, არაფერი არ მომეძიება. მომავლის გზა ჩვენთვის ნათელი არის. არავითარი მიკრობებით მე დაავადებული არ ვყოფილვარ და მე ეს არ მაწუხებს, მოყოლებული მოწაფეობიდან დღევანდლამდე. არავითარი ტვირთი მე არ მაწუხებს. რაც შეეხება აწყმოს, იყო შემთხვევა, რომ ჩემზედ ძალიან ცუდ შტაბეჭდილებას სტოვებდა. ხდებოდა ჩემში აღელვება, მაკერებდენ ისეთ რამეებს, რომლებიც მე არ მეკუთვნოდა — სიმთვრალე და სიგიჟე. ხშირად მომაკერეს ის, რაც არ ვიყავი. ეხლა თქვენ წინ გადაშლილი მაქვს, თუ ვინ ვარ მე. უნდა გითხრათ, რომ მე არავითარი ცოდვა არ მიმიძღვის. მხოლოდ იყო ჩემს ცხოვრებაში ერთი ფაქტი, რომ ერთერთ საჯარო სხდომაზედ, სადაც პოლიტიკურ მავნებლებზე იყო საკითხი

დასმული, სურვილი მქონდა, მათ წინააღმდეგ ხელი ამეწია, რადგან მეცნიერულმა მუშაკებმა ვერ გაამართლეს თავიანთზე დაკისრებული საქმიანობა (*ხმაუროდა, სიცილი, არ ისმის*). მართალი უნდა გითხრათ, რომ აქ ჩვენ მუშტიკრივით გველაპარაკებოდენ. ძალიან შევშინდი. ჩვენ ისეთ პირობებში ვართ, რომ ძალიან ძნელია რაიმეს გაკეთება (*სიცილი.* არავინ მუშტიკრივით თქვენ არ გემუქრებათ, მუშტიკრივს თქვენ ხართ დაჩვეული).

თავმჯდომარე: ამხანაგო, აქ მუშტიკრივით გამოსვლა არ ყოფილა. აქ იყო საკითხი დასმული კონდრატეველების შესახებ. მუშტიკრივს კი, ჩვენ მუშტიკრივი არ გვინდა, მუშტიკრივს თქვენ ხართ დაჩვეული (*დარბაზში დიდი ხმაუროდა*). არავითარი მუშტი კრივი არ ყოფილა აქ და ვინც აქ ამას ლაპარაკობდა, ის თვითონ გამოვიდა მუშტი კრივით და ამით უნდოდა, რომ აუდიტორია შეეშინებია, მაგრამ აუდიტორიამ ეს გაუგო მას და შესაფერისი პასუხიც გასცა. უნდა იცოდეს ყველა სამეცნიერო მუშაკმა, რომ ჩვენ აქ მუშტი კრივისათვის არ მოვსულვართ, არამედ ჩვენ მოველით აქ სადისკუსიოთ. თუ ასეთი არის ვინმე და ცდილობს მუშტი კრივით შეშინებას, ჩვენ ვერ შეგვაშინებენ (*დარბაზში ხმაუროდა*). ჩვენ, ამხანაგებო, დღეს ვერ დავამთავრებთ ჩვენ მუშაობას და კრებას გადავიტანთ 17 დეკემბრისათვის. 17 დეკემბერს დღის 5 საათზე იქნება კრების გაგრძელება. მე ვაცხადებ, ამხანაგებო, რომ ვინც აქ გამოდის სალაპარაკოთ, მას ტაშის კვრა არ ესაჭიროება, ამით თქვენ ჩვენ ხელს გვიშლით მუშაობაში.

შემდეგი სიტყვა ეძლევა *სტუდენტ გაბუნიას.*

გაბუნია: ამხანაგებო, თქვენ მოისმინეთ მოხსენება ამხ. ვაშაყმაძის, თუ რა მიზანი და დანიშნულება ჰქონდა ამ დისკუსიას, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთი აქ გამოსული ორატორები, პროფესორები და დოცენტები სხვანაირად სვამენ საკითხს. აქ შეუდგნენ თავიანთ თეორეტიულ ნაშრომების ილიუსტრიზაციას. ჩვენ ეს არ გვინდა, ამისათვის იქნება კათედრის სხდომა. ჩვენ ვსვამთ საკითხს, ვისთან ხარ შენ – ხელისუფლებასთან და პარტიასთან, თუ წინააღმდეგი ხარ. დღეს ოქტომბრის რევოლიუციის მე-14 წლის თავზე ჩვენ ყველა სტუდენტებმა უნდა მოვსთხოვოთ პროფესორებს, მასწავლებლებს გატარება ზუთწლიანი გეგმის, სწორედ ამისათვის საჭირო არის სათანადო კადრების აღზრდა. ჩვენ გვჭირდება საამისო კადრები არა ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობით, არამედ მარქსისტულ ლენინურ ნიადაგზე აღზრდილი კადრები. ეს უნდა იცოდეთ, ჩვენო მასწავლებლებო. დღეს საკითხი ისმება ჩვენი მშრომელ ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ. დღეისათვის ყველაფერი გარკვეული უნდა იყოს, ჩვენი სკოლაც და მეცნიერებაც. ეს არის კლასის ტაძარი. რას ვხედავთ ჩვენ – გამოდის აქ პროფესორი და ლაპარაკობს მუშტიკრივზე. აქ მუშტიკრივით თქვენ არავინ გემუქრებათ, არამედ ჩვენ საქმე გვაქვს იდეოლოგიური ფრონტის ბრძოლის საკითხის დასმაზე. პროფ. ხარაძის გამოსვლამ პირდაპირ აღშფოთება გამოიწვია (*ხანგრძლივი ტაში*). ჩვენ მის მუშაობას კარგათ არ ვიცნობთ. თქვენი ნაშრომის მიხედვით ღღევანდელ პირობებს ვერ ეგუება. ეს გარიყული დარჩება. მე აქ უნდა შევეხო ზოგიერთ საკითხს, როგორი პირობები არის დღეს პედაგოგიურ ინსტიტუტში, როგორ ასაზრდოებენ ჩვენ ახალგაზრდობის ... ჩვენი ახალგაზრდობა იკვებება უფრო მონარჩენული მსოფლმხედველობით. ჩვენ აქ გვყვანან პროფესორები წერეთელი, ჯავახიშვილი, ნიკოლაძე, ძველი მასწავლებლები არიან. მართალია, დიდი დამსახურება აქვთ, მაგრამ მათი ნაშრომები არ არის ჩვენთვის მისაღები და ხელისუფლება აწარმოებს ჩვენ, ამხანაგებო, აქ უნდა გამოვაცხადოთ, რომ არ არის დუმილი საჭირო არც ჩვენთან და არც ჩვენს წინააღმდეგ. აი, ასე ისმის საკითხი. მე ეხლა მოკლეთ შევეხები ზოგიერთ პროფესორებს. აქ გამოვიდა დოცენტი კოტეტიშვილი და მის მაგიერათ, რომ მას ეთქვა თავისი აზრი, სთქვა, ვითომდა კომუნისტის მამამთავარი იყო, კომუნიზმისათვის იბრძოდა, მაგრამ ეს ტყუილია. ჩვენ მათ ვიცნობთ თავის ნაწარმოებით და ვამბობთ, რომ ვერ ვხედავთ მის ნაწარმოებში ვერასფერს, გარდა ანტი მარქსისტული აზრისა.

შემდეგ დოც. ჩიქობავას გამოსვლა. ის აქ გამოდის და აცხადებს, რომ მარქსიზმის არაფერი არ გამეგება და მისი სიტყვით, თითქოს გაზეთების ფურცლე-

ბით არ შეიძლება რომ გახდე მარქსისტი. მაშასადამე, ამხანაგებო, მუშები არ ყოფილან მარქსისტები. თუ თქვენ დეტერმინიზმი კარგათ გესმით, არ შეიძლება რომ არ იცოდეთ მარქსიზმი. იცით, მაგრამ მისი გამოყენება არ გინდათ. შემდეგ აქ გამოვიდნენ სხვადასხვა პროფესორები, როგორიც არის ჯანაშია და სხვები. ჯანაშიამ წაიკითხა ლექცია მშვენიერად. ჯანაშიას აკადემიურ ცოდნას ჩვენ აქ არ ვეხებით, მხოლოდ ჩვენ გვინდა, როგორი თვალსაზრისის არის. პატივცემული ჯანაშია არის ახალგაზრდა კაცი და მან უნდა შეითვისოს დიალექტიური მატერიალიზმი და არა მარტო ფაქტების აღნუსხვით, როგორც ეს აქვს თავის წიგნებში პროფ. ჯავახიშვილს. შემდეგ პროფ. ყაუხჩიშვილის გამოსვლა. ის სრულებით არ შეხებია იმ საკითხებს, რომელიც დღეს სტუდენტებს აინტერესებს, ე. ი. როგორი კავშირი აქვს ჯავახიშვილის სკოლასთან.

შემდეგ ჩვენ უნდა შევეხოთ ზოგიერთ საკითხებს. არის ზოგიერთი საკითხები, რომელიც ჩვენი პროლეტსტუდენტობაში აღფრთოვანებას იწვევს. ჩვენ იდეურ სფეროში გარდატეხა არ მომხდარა. კერპები ჩვენთვის ...

... ჩვენთვის პროფესორი არ არის კერპები. პროლეტარულ სტუდენტობას უნდა დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისი. ჩვენ როგორ გვასწავლიან ჩვენი მასწავლებელნი. საუბედუროთ, თავიანთი ცოდნა აქ არ უნდათ გამოიყენონ (*ადგილიდან*: არ სურთ და არ იყენებენ! *ხმაურობაა დარბაზში*). აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნეს დიალექტიური მატერიალიზმი (*ადგილიდან*: დღეს აქ უნდა სთქვან ამის შესახებ!). აი მე ეხლა რასაც წაგიკითხავთ, არც ერთ პროფესორს არაფერი არ უთქვამს ქართული ერის ჰიმნის შესახებ (*კითხულობს*).

აი, ამას ამბობს პროფესორი შანიძე. ეს არის პატრიოტული ლექსი ნაციონალურ მორევში გახვეული. დღეს ამ პოეტისაგან ჩვენ მოვითხოვთ განაცხადოს, რა თვალსაზრისისაა იდეალიზმზე და საჭიროა სთქვას შანიძემ, რა თვალსაზრისზე სდგას.

შემდეგ, ამხანაგებო, მე რამოდენიმე დროს შევაჩერებ თქვენ ყურადღებას აი ამ ლექსზე (*კითხულობს*).

აი, პროფესორი გამოვიდეს აქ და გვითხრას, რა თვალსაზრისის არის და როგორ გეზრდის ჩვენ, ამ თვალსაზრისზე თუ მოახდინა გარდატეხა. საბოლოოთ უნდა ვსთქვა, რომ ჩვენში კერპები არ არსებობენ, მათი ადგილი არის სიძველეთა მუზეუმში (*ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა *პროფ. ბიძინა რამიშვილს.*

რამიშვილი: ამხანაგებო, ჩემმა გამოსვლამ საფინანსო კოოპერატიულ ინსტიტუტში ვერ მიაღწია იმ მიზანს, რაც მე პირადათ მინდოდა. პირიქით, მან საწინააღმდეგო მიზანს მიაღწია (*ხმაურობა. ადგილიდან*: ჩვენ ეგ არ გვინდა, თქვენ სთქვით თქვენი შეხედულება).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, საჭირო არის. რადგანაც აქ არის გამოსული სალაპარაკოთ რამიშვილი, ვაცადოთ, რომ ილაპარაკოს. თუ ასეთი ხმაურობა იქნება, ყოვლად შეუძლებელია მუშაობის წარმოება.

რამიშვილი: ამხანაგებო, ამ ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ერქომაიშვილის მიერ მე თავდაპირველად მოთავსებული ვიყავი ამ კატეგორიაში, რომელსაც პროფ. ვაშაყმაძე ჭაობს უწოდებს. მე მართალი უნდა გითხრათ, ძალიან მეწყინა და იმ მცირეოდენი ტემპერამენტით, რომელიც მე გამაჩნია, შევეცადე მეჩვენებინა, ჩემი მოთავსება არ იყო სწორი ჭაობში. ამხანაგებო, მე არ მინდა აქ თქმა იმისა, რომ ჩემი გამოსვლა სწორი იყო, მხოლოდ ვამბობ იმას, რომ ჩემმა გამოსვლამ მიზანს ვერ მიაღწია და ამიტომ მე ვისარგებლე იმ გამოწვევით, რომელსაც ჩვენ აქ მიგვაკუთვნა ვაშაყმაძემ. მე განვაცხადე და ვაცხადებ, რომ იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს კაპიტალისტურისა და სოციალისტურის შორის, მე სრულიად შეგნებით ვსდგები სოციალისტური მშენებლობის ნიადაგზე. მე 1925 (?) წ. ჩამოვედი საქართველოში, იმიტომ, რომ სწორეთ მე ეს გზა ამერჩია.

ამხანაგებო, წინათ, როდესაც მე გამოვედი, გაურკვეულობა დაიბადა აუდიტორიაში და ეხლა იმას უმატებ სოცია-

ლისტური არის და რომელიც ეხლა გაშლილი არის ბრძოლა ჩვენი მუშათა კლასის ძლიერების გასანმტკიცებლად, ვსდგები მის ნიადაგზე. მე ამას უმტკიცებ მთელი შეგნებით, რომ ამ სოციალისტური განხორციელებისათვის უსათუოდ ერთად ერთი სწორი ხაზი არის ის დიადი აზრი, რომელსაც გამოხატავს კომუნისტური პარტია. რაც შეეხება ამის ტემპები. ინდუსტრიალ. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებას და სრულიად გარკვეულად ამან გამოიწვია კლასთა ბრძოლის გამწვავება ჩვენში, იმ ჯგუფების პოლიტიკური აქტივობა და განწირულ კლასთა ამოძრავება, რომელსაც წარმოადგენს კონდრატიევშინა. მე ვამბობ, რომ ეს პირობა ურყევი არის და მთელი შეგნებით ვლაპარაკობ, რომ კომუნისტური ფრთა გაიმარჯვებს და დაამსხვრევს ძველს. და აი ამ ნანგრევებზე გამტკიცდება, გამაგრდება კომუნისტური პარტია, პროლეტარიატის დიქტატურა. მე ვამბობ, რომ კონდრატიევშინას კავშირი აქვს მენშევიკურ პარტიასთან და აგრეთვე მას აქვს მჭიდრო კავშირი ყველა იმ პარტიებთან...

პარტიები, კერძოთ, მენშევიკები, რომლებიც შეგნებულად და პირდაპირ ისაზავენ ამ კომუნისტურ პარტიის დანგრევას. ამხანაგებო, ჩვენი მოვალეობა არის და მოვითხოვთ ამ კონდრატიევშინასთან გადამწყვეტ ბრძოლას, საჭირო არის, ამ პარტიის იდეოლოგიას შევებრძოლოთ. მე ვიყავი მარქსისტი მენშევიკების დროს, შემდეგ ახალგაზრდა მარქსისტი. მე მაშინ 16 წლისა ვიყავი. ეს ახალგაზრდა მარქსისტების ჯგუფი მოექცა მენშევიკების გავლენის ქვეშ. ამხანაგებო, მართალია, მე ამ ფაქტებს ვაცხადებ, რომ 16 წლიდან დაწყობილი 18 წლამდე ვიყავი ახალგაზრდა მარქსისტი. ეს, მე მგონია, მიუტოვებელი ცოდვა არ არის. ეს ჩემ მიერ დაძლეული არის და უარყოფილი (*ხანგრძლივი ტაში*). ცოტა მინდა შევეხო ჩემ მარქსისტობას. მე ვამბობ გულწრფელად. მე ამხ. ვაშაყმაძეს ველაპარაკე ამის შესახებ პახმაროზე. ზოგიერთებს ჩვენთაგანს ეჭვის თვალით გვიყურებენ. ჩვენი გზა მარქსისტული განვითარებაში სწორი არ იყო. მე 1919 წელში საქართველოდან გავემგზავრე გერმანიაში, მთელ წლის განმავლობაში ვიყავი სემინარიაში. ამ ფანატიკური ატმოსფერაში ყოფნამ, რასაკვირველია, გაელენა მოახდინა. რასაკვირველია, მე ძალიან დავცილდი ამ მსოფლმხედველობას, მე ვატარებდი შედარებას ძველ განვლილ დროს და ეხლანდელ შეხედულებას. მე, მართალია, დიდათ ვეჭვიანობდი, მაგრამ მე ეს ეჭვი გადავლახე. მე ჩემი მსოფლმხედველობა მარქსიზმზე დავამუშავე და ეხლაც მე ვმუშაობ მარქსიზმის იდეოლოგიაზე. დღეს ჩემი მსოფლმხედველობა არის მარქსიზმი (*ბმაროდა*), მაგრამ, ამხანაგებო, მარქსიზმიც არის და მარქსიზმი. მაგრამ მე ჭეშმარიტად ვამბობ, რომ მოვახდინე გარდატეხა ჩემს მსოფლმხედველობაში და აი, სწორეთ მე აქ, აუდიტორიაში ვაღიარებ. მარქსიზმი აუცილებლად არის ახალი იმპულსი, აუცილებლად უნდა ხდებოდეს სწავლება მარქსისტული მეთოდოლოგიით. ეს მოახდინა ლენინმა. მე სრული შეგნებით ვაცხადებ, იმის თქმა არ შეიძლება, რომ ლენინმა არაფერი არ გააკეთა ამ დარგში. ლენინი არის მარქსისტულ იმპერიალიზმის ეპოქის (*ხანგრძლივი ტაში, არ ისმის*). მე ამას არასდროს არ გადაუხვევ. მე ამ გზაზედ ვარ დამდგარი! შეიძლება მე ბევრი შეცდომა მჭონდა და ეს შეიძლება სტუდენტებმა გამომისწორონ (*ხანგრძლივი ტაში*). და თუ მე შეცთომები მჭონდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე არ შემიძლია შეცთომების გამოსწორება. ამხანაგებო, მე ვესალმები აქ ამხანაგების განცხადებას და მე გულახდილად ვაცხადებ, რომ თანამედროვე ეპოქა ჩვენ მიგვიყვანს გამარჯვებამდე და მე მგონია, რომ თქვენთან ერთად არც ისე ცუდათ დავიჭერ გამოცდას (*ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა *დოც. ბერძენიშვილს.*

ბერძენიშვილი: ამხანაგებო, რა თქმა უნდა, მე თვითონ კარგად არ ვიცი, თუ რომელ დაჯგუფებაში ვარ, მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვიცი, რომელ დაჯგუფებაში მომათავსა პატივც. მომხსენებელმა პროფ. ივ. ვაშაყმაძემ (*ვაშაყმაძე*: ჯავახიშვილის). თუ ჯავახიშვილის ჯგუფში ვარ, უნდა განვაცხადო, რომ ჩემი აზრი არის სამწუხარო. მე არ

უნდა მოგეთავსებინეთ ჯავახიშვილის ჯგუფში. მე აქ თქვენ არ მოგაწყენთ ბევრი ლაპარაკით და არ მოგაწყენთ თავს ჩემი ავტო-ბიოგრაფიით. მე აქ ვიყავი, როდესაც მ. გოგიბერიძემ სთქვა, რომ ვინც ავტო-ბიოგრაფიით თავის სიტყვას იწყებს, უნდა, რომ თავისი ფიზიანომია დამალოსო, მაგრამ მე გეტყოდით, რომ ეს არ იქნებოდა მიმდინარე მომენტში მოთხოვნა ჩვენი აწმყოს, ჩვენი სახის გამომჟღავნება სწორი, თუ ამას არ გვიკარნახებდეს დღევანდელი სოციალისტური მშენებლობა. სოციალისტურ რევოლიუციის ბარიკადების იქით დგომა, პასიობა დღეს არ ვარგა. დღევანდელი რეკონსტრუქცია მოითხოვს აჩქარებულ ტემპებს სოციალისტურ საქმიანობაში. ეს იდეოლოგიური სფეროს თანამგზავრობა საკმარისი არ არის. ამისათვის არის საჭირო საქმის დამტკიცება, ახალი მსოფლიოს დამყარება (*კითხულობს*) (*ადგილიდან*: არ გვინდა ჩვენ წაკითხული. ალბათ ეს ვინმეს დაუწერია და თავის აზრი არ არის. ჩვენ გვინდა თავისი აზრი გავიგოთ. დარბაზში დიდი ხმაურობაა. მაშინ ჩამოვიდეს ტრიბუნიდან, ნუ წაიკითხავს, მისი ავტორი უფრო კარგათ წაიკითხავს). ამხანაგებო, მე თვითონ დამიწერია და ამას მე იმისათვის ვკითხულობ, რომ სხვა ვერ წაიკითხავს. ამხანაგებო, ვერ ვიტყვი, რომ მე ვარ ნამდვილი რევოლიუციონერი, მე მხოლოდ აქტიურად ვმუშაობ სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩემ ხელმისაწვდენ სფეროში.

თავმჯდომარე: (*ადგილიდან*: ეს ჯავახიშვილის ნაწერი არის და თუ მას თვითონ არ შეუძლია წაიკითხოს, სხვამ წაიკითხოს! *ხმაურობაა დარბაზში*).

ამხანაგებო, ვინც არ უნდა დასწეროს, თქვენ ხედავთ, რომ ამას დღე. ბერძენიშვილი ამბობს. შეუძლია მან ეს წერილობით მოიტანოს და წაიკითხოს და შეუძლია ისეც სთქვას. თუ გინდათ, მე კენჭს ვუყრი. ამხანაგებო, ჩვენ გვინდა, კრება მოითხოვს, რომ ბერძენიშვილმა თავისი ფიზიანომია გამოაშკარავოს აქ და მე მგონია, რომ დღე. ბერძენიშვილი ამას იტყვის გარკვეულად. თუ გინდათ, სხვა წაიკითხავს.

ბერძენიშვილი: არა, მე წავიკითხავ. მე ვიყავი რევოლუციონერი და ვაპირებ ყოფნას რევოლუციასთან როგორც პოლიტიკურად, ისე იდეოლოგიურად. მე სამსახურად ვფიქრობ, ამისათვის მზად ვარ. ამაში შეგიძლიათ თქვენ დარწმუნებული იყოთ. უკანასკნელი, რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ. ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას ურჩევს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა ეს მე სრულიად არ მიშლის ხელს არ გავიზიარო მისი იდეოლოგიური კონცეპცია (*ადგილიდან*: ძირს, ძირს, ძირს, ძირს!).

ორატორი ჩამოდის.

თავმჯდომარე: ამხანაგებო, მე მართლა დამიშავებია სტუდენტებისათვის, რომ არ დაუჯერე მათ (*ადგილიდან*: ძირს, ძირს, ძირს, ძირს!).

სიტყვა ეძლევა *სტუდენტ მელაძეს*.

მელაძე: ამხანაგებო, როდესაც სოციალისტურ ფრონტზე ჩვენ ვაწარმოებთ კლასობრივ შეტევას, მაშინ თვითეული ჩვენთაგანი გარკვეულ გზას უნდა ადგეს და თვითეულმა უნდა იცოდეს, თუ ვინ როგორია და რას წარმოადგენს, ვინ ვისთვის იბრძვის. საჭიროა მისი პოლიტიკური ფიზიონომიის გამოაშკარავება. საჭიროა იმათი ფიზიონომიის გამოაშკარავება, რომლებიც ფიქრობდენ ჯვაჯოხეთის მანქანების დადგმას და რომლითაც ფიქრობდენ, აეფეთქებინათ ჩვენი მშენებლობა. ასე მესმის საკითხი. ეხლა მე რეგლამენტი მითავდება, მაგრამ მე მინდა ვილაპარაკო ზოგიერთ ლექტორებზე. მათ არ ესმით ესტ... მათ უნდათ, დაიცვან თავიანთი დისტრადიცია. მე აქ გამოსულ უკანასკნელ დოცენტს უნდა ველაპარაკო, ეს არის გაგება ჯავახიშვილის აგენტობის. აქ გამოსული მთელი რიგი მეცნიერებისა იყო ჯგუფი ჯავახიშვილის თეორიის დამცველების. ისინი არიან ფორმალისტები, არიან ძველი რეაქციონერები, ანტისაბჭოთა აზრს იცავენ, ასაბუთებენ ჯავახიშვილს ... აქ რომ შეეხო მუშტი-კრივის საკითხს, ჩვენ არავის არ ვაშინებთ, ჩვენ მხოლოდ ვლაპარაკობთ ლენინიზმზე და

მარქსიზმზე. ჩვენ ვლაპარაკობთ ბოლშევიკურ და კომუნისტურ ენაზე, ვისაც არ ესმის დიალექტიური მატერიალიზმის მნიშვნელობა, მან უნდა გაიგოს. ჩვენ არავის არ ვაშინებთ. პროფ. თოფურია, ჩიქობავა და სხვები არიან ჯავახიშვილის ჯგუფი, ისინი იცავენ ჯავახიშვილის თვალსაზრისს. ამხანაგებო, ჩვენ კომუნისტები, კომკავშირელები და ბოლშევიკები არ გაკოტრებულვართ ისე, რომ ვისმე ცილი დაეწამოთ, ჩვენ ძლიერნი ვართ და შეგვიძლიან გაგისწორდეთ მეცნიერულად (*ბანგრძლივი ტაში*). ჩვენ ვთხოულობთ ლენინიზმის და კლასობრივი პრინციპების შესწავლას. თქვენი გამოსვლა მეორე საფეხურის მასწავლებელთა კონფერენციაზე, რა იყო ეს. მე აქ წერილმანს არ შევეხები. თქვენ იქ ამტკიცებდით თქვენ თვალთსაზრისს. თქვენ რომ გაიგებთ თოფის გრიალს, გეშინიათ. მე, მართალია, თქვენი მოწაფე ვარ, მხოლოდ არ შემიძლიან, ვიყო თქვენი იდეალის ტყვე. მე უნდა შევეხო თქვენს არა სწორ შეხედულებას. მე, მართალია, თქვენ, პროფესორო თოფურია, პატივს გცემთ, როგორც პროფესორს და თუ თქვენ კლასობრივ ხაზს გაამრუდებთ, მე ამას არ დაგითმობთ. ჩვენ კომუნისტები დისციპლინის ხალხი ვართ, ჩვენ გვინდა შესწავლა ნამდვილი იდეოლოგიური მარქსიზმის, პროლეტარული და თუ თქვენ ეს არ გნებავთ, ჩვენ გვყავს მომზადებული ხალხი, რომელიც თქვენ გაგისწორდებიან. მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ აქ არ არის დისერტაცია, არამედ აქ არის დისკუსია. აქ არის საკითხი პირდაპირ დასმული კონდრატიევშჩინას შესახებ, აქ არის საკითხი დასმული პოლიტიკური და ამ პოლიტიკურ საკითხს პასუხი უნდა გაესცეთ, პასუხი უნდა გასცეს ყველა სტუდენტებმაც. ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ვახ. კოტეტიშვილის მეთოდი არის ეკლექტიური. თქვენ ლაპარაკობთ, რომ მე მაქვს რევოლიუციონური წარსული, მე დორპატში ვიბრძოდი, რევტრიბუნალის თავმჯდომარე ვიყავი, ეს უნდა დამტკბეს მას (*დარბაზში სიცილი და ტაში*), მაგრამ ალბად გამორჩა მას ეს და მე გავახსენე. ვახტანგ კოტეტიშვილს არსებითად დიალექტიურ მატერიალიზმისა და მარქსიზმის გარდა ყველაფერი ესმის. ვახტანგ კოტეტიშვილი ლაპარაკობს, რომ ჩემ შრომებში გატარებულია ნამდვილი სწორი აზრიო, მაგრამ ნახეთ, რას სწერს მნათობის ხუთ ნომერში. ჩამოთვლილია არსებითად მეთოდოლოგია, ჩამოწერილია და იქ არავითარი დაკავშირება არ არის ერთი მეორეს შორის. არ არის სწორი თქვენი შეხედულება. კოტეტიშვილი ფაქტს ამახინჯებს და თქვენ ამით გინდათ (*კითხულობს მის ნაწერიდან ციტატას*).

ჩვენ გვინდა არა მარტო საქართველოს გასაბჭოება, არამედ გვინდა მსოფლიოს გასაბჭოება და მარტო ერთი ნაციის გასაბჭოება თქვენთვის დამილოცნია (*დარბაზში დიდი ხმაურობა*). ამხანაგებო, მე მაგონდება ერთი ფაქტი. ჩვენ ვიცით, ყველა აქ გამოსული ლექტორები აცხადებდენ, სურვილი გვაქვს თქვენთან ვიმუშაოთო. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ იმას, ვისაც უნდათ დაფაროს თავის წარსული, მოხერხებულად ლაპარაკობს, რომ ფარდები არ აებადოს წარსულს. არავის არ ეგონა, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავის ხუთწლიან გეგმას განახორციელებდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და ლენინის მიერ დასახული გზაც სწორად მიდის. კოტეტიშვილი თავის უბადრუკ ნაწერებში ... კიტა აბაშიძე (*ხმაურობა, არ ისმის*). არ ვარგა კეთილი სურვილი. მე ვლაპარაკობ, რომ ეს იდეოლოგიური საკითხებია. ჩვენ აქ ლაყბობა არა გვაქვს...

შემდეგ, ამხანაგებო, მე ვლაპარაკობ ლექტორ კოტეტიშვილზედ, რომ ის წმინდა ნაციონალისტი არის. მან განაცხადა, რომ ნაციონალისტი არა ვარო. ნება მომეცით, დაგიმტკიცოთ. ეს სიყალბე არის ისტორიის წინაშე, რომელიც თქვენ აქ წარმოსთქვით. თქვენ ბურჟუაზიის წრიდანა ხართ გამოსული. დღეს ჩვენი მიზანი არის და მოვითხოვთ, რომ რეაქციონურ პროფესორებს ბოლო მოეღოთ, ამას არც ერთი თანამგზავრი არ იკადრებს. რომელი თანამგზავრიც ჩვენთან მოდის, ჩვენ დიდი სიამოვნებით ვღებულობთ. მე მაგონდება ერთი ფაქტი, როდესაც 28 წელში ნობელის ექსპედიცია დაიღუპა და კრასინი გაემართა ბურჟუაზიული ქვეყნებისაკენ. მაშინ ბურჟუაზიული გემი გამოსულიყო თავისი ბურჟუებით სასეირნოთ და როდესაც შეატყვეს, რომ თავიანთი გემი იღუპებოდა, მაშინ აიღეს ბურჟუებმა წითელი

დროშა და მარსელიოზის სიმღერა დაიწყეს. ეს იმისათვის, რომ კატასტროფისათვის თავი დაეღწიათ. თქვენც ისე მოგდისთ. თქვენ გეშინიათ ახალი კადრების მომზადების, თქვენ შეგცვლით ახალი კადრები. თქვენ კი, ე. კოტეტიშვილო, ამბობთ, რომ არა ვარ ნაციონალისტიო. ეს დიდათ სასიხარულოა (*ადგილიდან ხმაურობა, ყვირილი*). მე კოტეტიშვილის ნაწარმოები წამიკითხნია, ეს არის პირწავარდნილი ნამდვილი ნაციონალისტი (*ბანგრძლივი ტაში*). კოტეტიშვილი სცდილობს, დაწეროს ილია ჭავჭავაძის სიტყვებით. ვინ იყო ილია ჭავჭავაძე. აი, მე წაგიკითხავთ მის ნაწარმოებს (*კითხულობს*).

ეს არის ჭავჭავაძის ჯგუფის წარმომადგენელი. აქ არ არის გატარებული კლასობრივი ტენდენცია და აი ეს, ი. ჭავჭავაძის ნაწარმოები იყო პრაქტიკულად განხორციელებული. თქვენ ამ საკითხში დაიბენით, მარქსიზმზე ლაპარაკი რომ დღეს ძალთა შეტაკება არსებობს, კლასთა ბრძოლა არსებობს და კოტეტიშვილს გაუხარდა და ბანი მისცა ძველებს (*ბმაურობა. ტაში*). ეხლა, ამხანაგებო, ვახ. კოტეტიშვილი ჩვენ არ გვინდა, ჩვენ გვინდა ნამდვილი ისტორია, ნამდვილი ფაქტები. მისი ბრძოლის ტენდენციები არის შიში. ეგ. ნინოშვილი არის აფეთქება (*ბმაურობა, არ ისმის*), ყუმბარა ჩავარდა (*ბმაურობა, ტაში*) *კოტეტიშვილი*: თქვენი წიგნებიდან მოიყვანეთ ფაქტები!). მე წიგნი ჯერჯერობით არ დამიწერია და როდესაც დავსწერ, ეგ. ნინოშვილს არ მოვიყვან. ეგ. ნინოშვილს ქართველ ლიტერატურულ ისტორიაში არაფერი როლი არ უთამაშია, კოტეტიშვილის ნაწერები მასავე უბადრუკია (*კითხულობს მის ნაწერს*).

ამას სწერს აკაკი წერეთელი. აქ, უმეტესად, როგორც ვხედავთ, ეხება მაღალ გაბატონებულ კლასებს მაშინდელ დროისას და არავითარ ცნობას არ გვაძლევს ჩვენ იმისას, თუ რას წარმოადგენენ მაშინ მდაბიო ხალხი. და არც ერთი სიტყვა არ არის წარმოსთქმული ამის შესახებ. სწორეთ აქ მე მაგონდება მენშევიკ სეით დევდარიანის ხელთ ნაწერები. ის ლაპარაკობს, რომ ჩემი და კიტა აბაშიძეს შორის არავითარი საერთო არ არისო. აქ კი ლაპარაკობს, რომ კიტა აბაშიძე (*ტაში*) ... აბა, სად არის ლოღიკა, გასინჯეთ თქვენ (*კითხულობს*).

გრიგოლ წერეთელი რომ ამბობს, ფაბულა არისო. მას თანასწორი ნიშანი (*ბმაუროა*)...

ატარო წევრი. როგორ ატარებს ვ. კოტეტიშვილი შემოქმედებას. ეს არის ლაქლაქი. დღეს ამას იცავს ამ შენიშვნაში იდეოლოგიური კონტრრევოლიუცია არის თქვენს წიგნებში. უნდა ითქვას, რომ კოტეტიშვილის ნაწარმოებში გამოსჭვივის სწორეთ ი. ჭავჭავაძის აზრი. აი, რას სწერს (*კითხულობს*).

ეს პირდაპირ ბოროტების ჩადენაა. ორბელი ხალხს აწიოკებდა, მას აქვს „ოდა“. თქვენ ამას კრიტიკულად არ შეხვედით. ეს თქვენ უნდა გამოასწოროთ. ეხლა მინდა რამოდენიმე სიტყვა ვთქვა გ. ქიქოძის შესახებ. ის ნელი ნაბიჯით მობრძანდა, მოგვიყვა მან რალაც ზღაპრები. აი, მე წაგიკითხავთ ამ ერთ პატარა ციტატას (*კითხულობს*).

ძალიან სწორათ მოგათავსათ პროფ. ვაშაყმაძემ მეშარჯვენე ჯგუფში. ნება მომეცით, რომ გაგაცნოთ ზოგიერთი მისი ნაწარმოები (*კითხულობს*).

აქაც თავის დასაბუთებაზედ (*კითხულობს*)...

აი, ამხანაგებო, ურთიერთობა, ის ურთიერთობა ძველი ქვეყნისა, მათი გაერთიანება ჩვენ არ შეგვიძლია, რომ გავიზიაროთ. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ უმთავრესად მარქსიზმს და ლენინიზმს, ჩვენ უნდა გარდავქმნათ ახლად (*კითხულობს*).

ე. ი. გერონტი ქიქოძეს ერთნაირი კარგი მონასტერი, ვიცით ჩვენი გზა, ვიცით ჩვენი ზაგესი, რომელიც ყველაფრით საინტერესოა, მაგრამ ჯვარის მონასტერი კი აშენებულია სისხლით, მუშის ოფლით. ზაგესი კი, რომელიც საამაყოა მთელი პროლეტარიატისათვის, აი, ეს არის კულტურული აღმშენებლობა და ეს ჩვენთვის უფრო მაღლა სდგას, ვინემ გ. ქიქოძისათვის ჯვარის მონასტერი. დეე, გერ. ქიქოძეს ქონდეს ეს თავისი მონასტერი, ჩვენ ეს არ გვინდა (*ტაში*). მისთვის არ არსებობს არავითარი სოციალისტური წყობა, არავითარი საბჭოთა ხელისუფლება. ეხლა საინტერესოა კლასთა ბრძოლა იმით, რომ კლასი ექსპლოა-

ტატორთა და კლასი პროლეტარიატისა ერთიმეორეს ეჯახება სამკვეტრო სასიცოცხლოთ. ჩვენ აქ არ უნდა ვითამაშოთ. ჩვენ ჩვენს მსოფლმხედველობას გამოვხატავთ მარქსიზმის მსოფლმხედველობაზე და ბრძოლას გამოუცხადებთ ყველა შეტმასნილ ელემენტებს.

შემდეგ გამსახურდიას შესახებ. ის ჩვენთან შემოდის აუდიტორიაში ლექციაზე მანიკურებით და ალბათ ცოტა ხნის შემდეგ თავისი მეძებრებით შემოვა ლექციაზე, ვინაიდან კარგი მონადირეა და თან მოიყვანს თავის მეძებრებს. მაგრამ ჩვენ ლექციაზე მეძებრებს არ შემოუშვებთ, ჩვენ ასეთ ხალხს გავდევნით. აი, რას ლაპარაკობს მის ნაწერიდან (*კითხულობს*). ის ლაპარაკობს, რომ რელიგიის გარეშე არ შეიძლება რომ შეიქმნას...

ამხანაგებო, აი, რას სწერს ამის შემდეგ გამსახურდია (*კითხულობს*). ე. ი. პროლეტარიატის მსოფლმხედველობა ჩვენ არ გვინდა ხელოვნებაშიო. მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ჩვენ გვინდა ხელოვნება უტილიტარული. ამას ლენინი ლაპარაკობდა. ეს არის მთავარი, რასაც გვეუბნება ის თავის ნაწერებში. ჩვენ არ გვინდა, ამხანაგო...

იმის პასუხი გაგვეცი, რასაც ჩვენ ვთხოულობთ. აქ დანელიას პოლიტიკური სახე აშკარათ გამოაშკარავდა. დანელიამ სთქვა, სინდისი არის ყველაფერიო. მან არაფერი სთქვა ვაჟა ფშაველაზე. აი, რას სწერს ვაჟა ფშაველაზე (*კითხულობს*).

რომელ საუკუნეს მიეწერება ეს (*ბმაურობა, არ ისმის*).

რეპლიკა, რომელიც თქვენ შარიას მიეცით, თქვენ ამაში არ იყავით მართალი. ჩვენ არ გვწამს ქრისტიანული ფეოდალური წესწყობილება, ჩვენ გვწამს კლასობრივი პრინციპი. პრინციპი არ არის სინდისი. შეიძლება ეს იდეალური მუსიკაა. დანელიამ არც ერთ თავის შემოქმედებაში არ დაადასტურა, რომ ყველგან არის მარქსიზმი. პრინციპი არ არის კოპწია ქალის ენება, ვისთანაც მოესურვება, მასთან წავა. მან უნდა მოახდინოს თავისი გარდატეხა. მე არ შევეხები დანელიას იდეას. ეხლა მინდა შევეხო პროფ. ნუცუბიძეს. მას თავში პირდაპირ თავში აბდაუბდა აზრი აქვს. მან თავისი წიგნი დაწერა გერმანულ ენაზე და გაგზავნა გერმანიაში დასაბეჭდათ (*ადგილიდან: თითონაც გაჰყვეს ამ წიგნს! სიცილი და ბმაურობა*).

მას აქვს დაბეჭდილი წიგნი და ზედ აქვს დასმული მონადირეთა ბეჭედი. ის ლაპარაკობს, რომ მე მარქსისტი ვარო. აქ კი სულ სხვანაირად ამტკიცებს. მისი სიტყვიდან ისე გამოდის, რომ ენგელსზედ ნუცუბიძე უფრო ძლიერი არის (*ტაში. ბმაურობა*). ნუცუბიძემ აქ ბევრი შეურაცყოფა. მე არ მინდა ამაზე პასუხი გავსცე, რადგან შარიამ უპასუხა. უპასუხებ, არ შეიძლება. აქ მოსე გოგიბერიძემ თქვა, რომ ჩემი თავი ჩემ წიგნებში არისო. აი, რას სწერს ის (*კითხულობს*).

შემდეგ ნუცუბიძე იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მას ვერავინ ვერ გაუძლო და მის საწინააღმდეგოდ იქნა გამოწვეული კარაევი. აგრეთვე ლაპარაკობს, რომ ჩემი წიგნი ორჯერ იქნა გამოცემულიო და იგიც საჩქარო ტემპებითო. ეს მთლიანად 100% სიმართლეს არ შეეფერება (*კითხულობს ნუცუბიძის ნაწერებიდან*).

ეს აზრის არის დეკლარატიზმი. შემდეგ ნუცუბიძე ლაპარაკობს დეფექტებზე. შემდეგ მას წამოცდა მარქსისტული მეთოდი და სოციალოგიური მეთოდი. აი, რას სწერს (*კითხულობს*).

შესაძლებელია, ის გარეშე ძალამ ვერ დაამარცხა, მაგრამ შინაგანი ძალა, მარქსისტული ძალა, ის პროტოპლაზმები, რომელმაც მან მოიხსენია, მას დაამარცხებს. მიუხედავად იმისა, რომ ის ათი წლის წინათ იყო მარქსისტი, როგორც თვითონ ამბობს.

შემდეგ ზანდუკელზე. შეიძლება ის ფიქრობს, თავისუფალია ყველა გადახრებისაგან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მას ახასიათებს პერევერტებისაკენ გადახრა (*არ ისმის*).

ის ვერ ამჩნევს ერთიანობას პლეხანოვისა და

აშკარად უნდა ითქვას, რომ ზანდუკელის მეთოდი არის საკულინის მეთოდი. აქ საჭიროა, რომ ... საჭიროა, თუ გვინდა შევისწავლოთ რომელიმე ლიტერატურა, პირადათ საჭიროა სოციალური მეთოდის ფორმალური მეთოდის შეგუება და...

საწარმოეო ძალთა განვითარება, ეკონომიური პირობების გამწვავება საერთოდ

კოტეტიშვილს არ ესმის. მას დაავიწყდა კლასობრივი პრინციპი. აი, მე ამას წაგიკითხავთ. ეს არის მთავარი არსებული კლასობრივი პრინციპის უთანხმოებისა. შეიძლება თქვენ ეს პრინციპი არ გესმით, მაგრამ აუცილებლად უნდა გაიგოთ, ფორმალისტობას ჩვენ ვერ შეურიგდებით. ზანდუკელს რაც შეცდომა აქვს, ამის დამტკიცება შეიძლება, მაგრამ ხელთ არ მაქვს მისი წიგნი. კოტეტიშვილმა აქ დაიწყო პოლიტიკურ ლიტერატურაზედ საუბარი, შემოატრიალა ისტორია. მან სთქვა, რომ მიკიჟინებთ დიალექტიურ მარქსიზმზედ, მხატვრობაში რა საჭირო არის ესაო. ჩვენ გვწამს დიალექტიური მატერიალიზმი, ჩვენთვის სხვა არ არსებობს.

შემდეგ, ამხანაგებო, მე აქ არ ვიყავი ჯანაშიას ლაპარაკის დროს. ის არის ნამდვილი ჯავახიშვილის მომხრე (*არ ისმის*).

ამხანაგებო, მუშათა კლასი წინ მიდის, ანხორციელებს ბუთწლიან გეგმას, ამ დროს უნდა მოხდეს კლასობრივი ანალიზი. გვინდა გაიგოთ, როგორ დაგვეხმარებით და რა გზით. ჩვენ გვინდა გაიგოთ, როგორ წამოხვალთ ჩვენკენ, რა მუშაობა უნდა აწარმოოთ თქვენ, ხართ თუ არა თქვენ იმ გზაზე დამდგარი, რომელ გზაზედაც მიდის ჩვენი პარტია, მისი ხაზი. ესაა ჩვენ, ამხანაგებო, ვიცით, თუ რა დადგენილება გამოიტანა მე-16 პარტყრილობამ და რა სთქვა ამხ. სტალინმა. ამხ. სტალინმა სთქვა, ბრძოლა ორ ფრონტზე შეუწყნარებელი — ეს მთავარი ლოზუნგია. ბრძოლა სხვა სისტემის წინააღმდეგ. ჩვენ მთელი ჩვენი შეგნებით ვიბრძვით წინააღმდეგ იმისა, ვინც არ გაატარებს სწორად დასახულ გზას და რაც არ უნდა იყვეფოს ძაღლებმა, ეს ჩვენ არ შეგვაშინებს, ჩვენ მაინც წინ წინ მივდივართ.

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეძლევა *დავით კაკაბაძეს.*

დ. კაკაბაძე: მე მინდა ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა ხელოვნების შესახებ, თუ როგორი მდგომარეობაა იდეოლოგიურ ფრონტზე. ამხანაგებო, მე არ მესმის, აქ გაიძახიან საკითხზეო. მე მინდა გარკვეულად ვსთქვა, როგორი არის ჩემი დამოკიდებულება, ჩემი იდეოლოგიური ფრონტი, როგორ არის დღეს დასმული საკითხი. ივანე ვაშაყმაძეს აინტერესებს ჩვენი პირადი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან და პროლეტარულ კულტურასთან.

ეხლა მე გადავდივარ პირდაპირ ამ საკითხზე. აქ თქვენ ამ ორიოდე დღის განმავლობაში მოისმინეთ ბევრი სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორია მეცნიერების აზრი დასმული საკითხისადმი, როგორი იყო მეცნიერების აზრი წინათ და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. შემდეგ და ეხლა ნათლად გამომსჭიოდა ერთი რამ, ის მეთოდი, ის იდეოლოგიური ფრონტი, რომელიც არსებობდა. დღემდე საბჭოთა ხელისუფლებაში მისაღები არ არის და ეხლა მთლიანად შეუდექით გადასვლას და გადაეედით კიდეც დიალექტიურ მატერიალიზმზე, რომელსაც ხელს შეუწყობს მთელი თავისი ენერგიით საბჭოთა ხელისუფლება. აი, სწორეთ მე მინდა აღვნიშნო სრულიად გარკვეულად ხელოვნურ ისტორიაში, თუ როგორ არსებობს მეცნიერებისა და ხელოვნების იდეოლოგია ნაციონალიზმის ისტორიაში, რომელიც იყო ისტორიულად და ხასიათდება ჩვენი მეცნიერ მუშაკების ლიტერატურაში. თითქმის ხდება პარალელიზმი (*ბმაურობა*).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, დაწყნარდით, ასე მუშაობა არ შეიძლება, არაფერი არ ისმის, რასაც ორატორი ლაპარაკობს. კაკაბაძე დავითი ამ იდეოლოგიის შესახებ იბრძვის სახვითი ხელოვნებაში, რადგან მას სწამდა საქართველოს გასაბჭოებამდე ის ფაქტი უნდა აღინიშნოს, მისი გამოსელის სახე არის ნაციონალური.

დ. კაკაბაძე: 1918 და 19 წლებში მაშინაც ვაღიარებდი, რომ არ შეიძლება დარჩეს მხატვრობა ძველ ფორმებში. აი, ამით ჩვენ შევქმენით თანამგზავრი. ჩვენ შევქმენით ხელოვნება, მართალია, სრულიად არა, მაგრამ პროლეტარული გზით. ხელოვნება უნდა გარდაიქცეს წმინდა სახალხო ხელოვნებათ. ჩვენი ხელოვნება, რასაკვირველია, განსხვავდება დასავლეთ ევროპის ხელოვნებიდან. საბჭოთა ხელოვ-

ნებაში მოხდა სრული გადატრიალება. აი, სწორეთ ამ გადატრიალების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა ძველ იდეოლოგიის ფრონტის გადაქმნას, ძირფესვიანად გადახალისებას. მართალია, ისეთი ბრძოლა დღემდე არ იყო და ეს ბრძოლა, ფაქტიურად, არ სჩანდა, მაგრამ მიმდინარეობდა, დღეს კი აშკარად იჩინა თავი. მე ჩამოვედი 1927 წლ. და შეუდექი მსახავთა საზოგადოებაში მუშაობას. დღიდან ჩემი მისვლისა სამხატვრო საზოგადოებაში შეუდექი მუშაობას. ჩვენ განვიზრახეთ ამ ძველი მხატვრობის გარდაქმნა ახალ ნიადაგზე, ვინაიდან ძველი მხატვრობის ტენდენცია შერყეული იყო და იმ საქმის გაკეთებას ვერ შესძლებდა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება მას ავალებდა. შიგ მხატვართა საზოგადოებაში გაჩნდა ორი ჯგუფი და ერთ მეორეს შორის დაიბადა უკმაყოფილება. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ეს ორგანიზაცია და ის ორგანიზაცია, ორივე საქართველოს ორგანიზაცია არის, როგორც „რევმასი“, აგრეთვე სარმა. აი, ამ ორგანიზაციამ შეუდგა მუშაობას კულტურული აყვავების მიზნით სხვადასხვა მაზრებში და რაიონებში. მე მესმის, რომ როგორც ყველა დარგში, ისე პროლეტარული ხელოვნებაში შეიჭრება ეს ახალი სისტემა და ახალი მეთოდები დამუშავდება ჩვენი მხატვრობის საკითხები. ვინც გაცნობილია ჩვენ მუშაობას მხატვრობის დარგში, ის აუცილებლად გაიგებს, რომ აქ შემოღებულია ახალი მეთოდი...

ამ დარგში აუცილებლად საჭიროა, რომ გავრცელებული იქნეს დიალექტიური მატერიალიზმის შესწავლა. სწარმოებს, მაგრამ არა მთლიანად, მისი ფორმები მოისუსტებენ. ჩვენი მიზანი კი არის, რომ ეს მთლიანად გავატაროთ და ამით ჩვენ მივაღწევთ ჩვენს მიზანს, რომელთაც ჩვენ ვეძახით პროლეტარული კულტურას და პროლეტარული ხელოვნებას.

თავმჯდომარე: მაშასადამე, დღევანდელ სხდომას დახურულად ვაცხადებ და ხვალ სრულ 5 საათზე გაგრძელდება დისკუსია.

მეოთხე სხდომა

1930 წლის 17 დეკემბერი

თავმჯდომარეობს *ამხ. შარია*

ამხანაგებო, მეოთხე სხდომას ჩვენი დისკუსიისას გახსნილად ვაცხადებ. პირველი სიტყვა ეკუთვნის ამხ. *გიორგი თავზარაშვილს* (*ბანგრძლივი ტაში*).

თავზარაშვილი: ამხანაგებო, სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი ანუ პროლეტარული რევოლიუციის მე-13 წელი ხასიათდება სოციალიზმის პირველ პერიოდის შესწავლა თანა და თანობით. ეს შესწავლა სოციალიზმის პირველ პერიოდის შედეგი არის ის, რომ საბჭოთა სოციალისტური მშენებლობა, ჩვენი მრეწველობა, სოციალისტური სექტორი საბოლოოთ გამოვა გამარჯვებული, მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ ამ სექტორის გამარჯვებასთან გვერდით უნდა იქნეს დასმული საკითხი მისი აუცილებელ თანამგზავრ ან სოციალისტურ მეცნიერების გაუმჯობესების შესახებ. აი, ამ ნაირად დღეს მწვავეთ ისმება საკითხი ჩვენი თეორეტიული ცოდნის გადასინჯვის შესახებ. თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენი თეორია ძალიან ჩამორჩენილი არის ჩვენ მშენებლობაზე. ამის· შესახებ ჯერ კიდევ შარშან იყო დასმული საკითხი აგროლიკოსების მოსკოვის ყრილობაზე. ეს ჩამორჩენა იმდენად მწვავე არის, რომ დღეს უკვე გარდაიქცა ჩვენი მშენებლობის მუხრუჭად, მისი წინმსვლელობა შეფერხებულია ძალიან. ეს არის მთავარი ფაქტი, რომ მოხდა თეორიის გადასინჯვა. ერთი მხრივ ამას დაუახლოვებთ და დაუკავშირებთ ჩვენს მშენებლობას და გავხდით ერთ ერთ ძლიერ მამოძრავებელ ფაქტორად. კონდრატიევშჩინა, რომელიც ეხლა უკავშირდება ამ გადასინჯვის პერიოდს, ეს არ არის შემთხვევითი, აუცილებელი მოვლენა არის, რომელიც ამ პერიოდის გადასინჯვაში მდგომარეობს. ჩვენი მიზანი არის აუცილებლად ყველა ის შემთხვევები გავაშუქოთ და დავსვათ საკითხი ამ პერიოდის გადასინჯვის საკითხის შესახებ. დღეს მეტის მეტად ნათელი ხდება ჩვენთვის, რომ რევოლიუციის თეორიის გარეშე, როგორც ამხ. ლენინი ამბობდა, არ შეიძლება რევოლიუციის მოძრაობა. აი, თუ ჩვენ უეჭველად განვსაზღვრავთ რევოლიუციის ეტაპს, აუცილებელი საჭიროებაა ამ რევოლიუციის თეორიის განვითარება. ჯერ კიდევ 30 წლის წინათ ამხ. ლენინი და უფრო გაცილებით ადრე ენგელსი თავის გერმანულ ... მიზეზის შესახებ, რა უნდა გააკეთოს. მაშინ ის გარკვევით აღნიშნავდა კლასთა ბრძოლას იმ ფორმებში, რომელი ფორმებიც ჩვენში არის. მეორე ფორმა ჩვენი კლასთა ბრძოლა, კულტურული ბრძოლა ნიშნავს სამ ფორმას. კლასთა მონაწილეობა აუცილებელია...

რეფორმის განვითარება, რასაკვირველია, ეს ძალიანი ძნელი იქნება, განსაკუთრებით ეხლა, თუ გნებავთ, რომ არ იქნეს სამი ფორმა კლასთა ბრძოლისა. კულტურული ფრონტზე, რა თქმა უნდა, ჩვენ შესწავლა სოციალისტური ფრონტისა მოგვინდება საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით რუსეთში. საბჭ. ფედერაციაში, შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუციონური თეორემა, მარქსისტული მეცნიერება სავსებით თითქმის უზრუნველყოფილია თავისი გამარჯვებით. აქ ეს ბრძოლა კარგა ხანია დაიწყო და ეს თეორია პუნ. იღებდა მარქსისტულ თეორიაში და მისი გამარჯვების საქმე უზრუნველყოფილია.

საქართველოში, როგორც იცით, უფრო სხვა პირობებია, ზოგადათ ხასიათდება. სპეციალური პირობების გამო გაჩაღებული არ ყოფილა ბრძოლა ანტიმარქსისტულ მეცნიერებათა წინააღმდეგ. ეს ჩვენში კანტიკუნტათ წარმოებდა და ეს, რომელიც ეხლა მოგახსენეთ, გაშლილი

ბრძოლა ბუნებრივი არის, რომ აქ, ჩვენში ბუნებრივათ ისმის საკითხი ამ ფრონტზე გადასვლისა. პედ. ინსტიტუტი, როგორც ვაშაყმაძემ აღნიშნა, ისეთი ადგილია, სადაც უფრო არის თავმოყრილი მეცნიერთა ძალები, რომელიც 80 პროცენტით ჯერ კიდევ არ არიან გადასინჯული და ამიტომ ეხლა, რომელმაც იჩინა თავი იმ მიმდინარეობამ, რომელმაც აქტიურობა ჰპოვა ჩვენ მეცნიერებაში, ბუნებრივია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი ინსტიტუტის ახალი მმართველობა მოვიდა, როგორც ვარიაგები მოსკოვიდანო. ბუნებრივია, როგორც იცით, მოსკოვი არის მსოფლიო რევოლიუციის ცენტრათ გადაქცეული და მოსკოვში ხდებოდა პირველი ამაფეთქებელი და პირველი თაზარის დამცემი ბრძოლა. სწორეა, ჩვენ მოვედით როგორც ვარიაგები, მაგრამ ეს თავიანთი სურვილის მოხვევა სხვაზე არ არის, არამედ, ჩვენი მიზანია, რომ ძირფესვიანათ იქნეს გადასინჯული მთელი შემადგენლობა. მხოლოდ ჩვენ მოწვევას, უნდა ითქვას, რომ ძალიან ღიმილით არავინ არ შეხვედრია და ყოველ კათედრის ბრძოლით აღება გვიხდებოდა და ეს ფაქტია, რომ ჩვენი ახალგაზრდა სტუდენტობა გამოდის, როგორც კარგათ მომზადებული ახალგაზრდები, მარქსისტები. იმ ახალ მმართველობასთან, რომელიც ჩვენთან მუშაობს, შესაძლებელია, რომ ეს ბრძოლა წარმატებით დამთავრდეს და კიდევაც დამთავრდება (*ტაში*).

ჩვენი მუშაობის დროს ვეყრდნობოდით იმ მემარცხენე პროფესურას, როგორც დამხმარე ძალას. როგორ ბატრაკულ ძალას წარმოადგენს და განსაკუთრებით ამ დისკუსიის პროცესმა ჩვენ გვიჩვენა, რომ გამოერკვიათ თავისი ფიზიონომია იმ ჯგუფებს, რომელიც მომხსენებლის მიერ ჭაობში იქნებოდნენ მოქცეულნი. თუმცა ეხლა ზამთარი არის და დიდი ხნით ჭაობში ბანაობა არ არის კარგი, მაგრამ მე უნდა ვსთქვა, რომ ისინი ფაქტებით თავიანთ ფიზიონომიას გამოარკვევენ ... გამოკვლევას. რაც შეეხება მემარჯვენე პროფესურას, ჯერ მრავალია მათ გარეშე დაჯგუფება. მთავარია, ვინ არიან ესენი. ეს არის გრიგოლ წერეთელი. როდესაც აქ მიმდინარეობს დისკუსია, ის ავად ხდება. ერთ ერთ ჩვენ თანამშრომელს, ბიბლიოტეკის მომუშავეს ეუბნება, ეხლა მე გრიპით ავად გავხდები და სანამ დისკუსია იქნება, კარში ვერ გამოვალო. შეიძლება მას გრიპი შკაფში ჰყავდეს დამწყვდეული, როდესაც უნდოდეს მაშინ გამოიღოს (*დარბაზში სიცილია*). მაგრამ, სამწუხაროთ, ფაქტია ის, რომ არ მოდის აქ და არ ამბობს, რა იყო იგი, როგორი არის ამ ჟამად და როგორ უნდა იმუშაოს შემდეგ. მეორე არის ჯაჯაბიშვილი. მას ჯერ ჯერობით არაფითარი ცნობა არ წარმოუდგენია, არ უნდა ამ დისკუსიას დაესწროს. მას არ სურს მოისმინოს ჩვენი დისკუსია. აგრეთვე არიან სხვა პროფესორებიც, რომლებსაც არ აინტერესებს დღევანდელი ჩვენი ცხოვრება. აქ უნდა გამოვიდნენ პროფესორებმა და გულახდილად გვითხრან, თუ რას აპირებენ ისინი შემდეგში. ჩვენ გვაინტერესებს გარკვეული პასუხი ყოველ გვარი მოკიბულ-მოკიბულ განცხადებების გარეშე, სცდილობენ თუ არა ისინი ჩვენთან თანამშრომლობას. მათი გამოსვლა აქ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, თქვენ უნდა დაუმტკიცოთ დღევანდელ ხელისუფლებას, რომ თქვენი მეთოდოლოგია არის მიმართული საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. იმ მეთოდოლოგიას, რომელსაც თქვენ ემსახურებით, პრაქტიკულ საქმიანობაში დაანახოთ ჩვენ ახალგაზრდობას მეცნიერულად და თეორიულად, რომ თქვენ ჩვენთან ხართ. თქვენ უნდა უარყოთ თქვენი წარსული და უნდა დაადგეთ ახალ გზას. აქ ერთ ერთმა პროფესორმა განაცხადა, რომ მე მარქსიზმზე კარგა ხანია ვმუშაობო. ამხანაგებო, არაფრის თქმა არ შეგვიძლია პროფესორ უზნაძეზე. მან აღნიშნა, რომ მისი თეორეტიული ნამური ეს არის ნაკადი, შრომის ურთი ერთობა მარის...

მე აუცილებლად მის გამოსვლაზე უნდა შევჩერდე. ვიმეორებ, იმისათვის, რომ აქ იყო გარკვეული პრეტენზია. 25 წლიდან უზნაძე ექსპერემენტალურ ფსიქიოლოგიის საფუძველზე მუშაობდა იმ დროს, როდესაც მთელ მსოფლიოში ხდება გარდატეხა, როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთში, ისე განსაკუთრებით ამერიკაში. რაც შეეხება რუსეთს, საბჭ. კავშირს, აქ უკვე ამ დროს, 1925 წელს პსიხ. მატერიალიზმი. პსიხოლოგიას განვ-

ლილი ჰქონდა თავისი პერიოდი. ნიჭიერი პროფესორი, რომელიც ამ დროს სწერდა წიგნებს, რა თქმა უნდა, ცხადია, არ დასტოვებდა იმას, რაც ხდებოდა ფსიხოლ. მეცნიერებაში. ეს თუ არის, ანდა თუ არის, ცალმხრივი არის. პროფ. უზნაძე ამ წიგნში საზღვრავს ისე, როგორც რომელიმე...

მე მხედველობაში გერმანიის წარმომადგენელი ხრისტიან ვოლტი მქონდა. დიტო უზნაძე აღნიშნავდა, ფსიხიური მოვლენას აქვს ამ შემთხვევაში დიდი ადგილი. მის შემდეგ განვლო დიდმა ხანმა და ეს ემპირიული მეცნიერება დარჩა უცვლელი და როდესაც, რომ რეპლექსიური მიმართულებაში საფრანგეთში გამოდიან ბელკრუა და სხვები, სრულიად გარკვეულად და ამის შემდეგ ასეთნაირად საკითხის დასმა ფსიხოლოგიის მეცნიერების უკან დაყენებაა. ამ დროს, როდესაც დ. უზნაძე ეხება დიხვეიროეიზმს, რომელსაც შეეტ...

და დიტო უზნაძე იდეალისტი (*კითხულობს*). ეს არის, თუ როგორ კონცეპციაზე იდგა დიტო უზნაძე. რას გულისხმობს ... რაც შეიძლება ვგულისხმობ დიმიტრი უზნაძეს. ფაქტი ცხადია, მისი განცხადების შემდეგ უზნაძე ძველად უნდა ფიქრობდეს მთელი დანარჩენი მსჯელობა უნდა გამომდინარეობდეს იმ ძირითად გამოკვლევის მეცნიერულ გამოკვლევით...

ამის ფსიქიურად არ შეიძლება გამოდევნა. მას არ შეუძლიან იყოს ჩვენი თანამგზავრი... (*არ ისმის*).

თავის თავად ცხადია, ამხანაგებო, ლაპარაკი აქ მატერიალიზმზე ძალიან ძნელია. აქ არაფერი არ არის მატერიალიზმის. მეორე გამოკვლევა, რომელიც არის სტრუქტურა ფენომენალური, რომლებსაც ელემენტებთან აქვთ საქმე. ფსიქოლოგ-მეცნიერს შესაძლებლობა აქვს არა მარტო ერთი მიდგომით, არამედ ასჯერ და ათასჯერ თვალსაზრისით. ჯერ კიდევ მეცნიერებას არ აქვს ისეთი გარეშეობა, რომ ათასგვარი თვალსაზრისი ჰქონდეს. ბოლოს და ბოლოს ასეთი სტრუქტურა ყოველად შეუძლებელი არის. ყველა ფენომენები გვაქვს. შეიძლება ერთი თვალსაზრისით აქ აშკარად სჩანს ... დიალექტიურ მატერიალიზმთან არაფერი საერთო არა აქვთ, მაგრამ მთავარი, რასაც აქ ეყრდნობა, პროფესორი დიმიტრი, რომ მან გარკვეული პროტესტი განაცხადა ამ გარემოების შესახებ ექსპერიმენტალური ... აშკარად ეყრდნობა თავის ბიოსფეროს კონცეფციას.

რა არის ბიოსფერო. ეს არის სუბიექტივიზმი და გარეშე გაერთიანებათა სფერო, რომელიც, მისი აზრით, არის საფუძველი სიცოცხლის სფეროსი. ეს სასიცოცხლო სფერო მიუწვდომელი სფეროა ადამიანში და ეს მიუწვდომელი სფერო არის ბიოსფერო. როგორც ხედავთ, მაშასადამე, ჩვენ არა გვაქ საქმე მატერიალისტურ საგნებთან. ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ დიმიტრის ბიოსფერო არის მამოძრავებელი იმპულსი ადამიანის მოქმედებასთან. ადამიანის მოქმედება, ამბობს ის, ეს არის ნაკარნახევი ამ ბიოსფეროს მიერ. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ადამიანის მოქმედება განსაზღვრულია მისი დამოკიდებულებით საწარმოო ძალთა და საწარმოეო ურთიერთობათა და მისი მოქმედება, მისი ყოფნით საზოგადოება, რომელიც გაერთიანებულია და, საერთოდ, როგორც მარქსი აღნიშნავდა...

დიტო უზნაძე გვეუბნება, რომ ადამიანის ნაკარნახევი ხშირად ამ ბიოსფეროში არის სინამდვილეს მიუწვდომელი სფერო. რა თქმა უნდა, არავითარი მთელი ჩვენი ცნობიერება. მისი განმარტება ეძიებს მას მაშინ. რაც შეეხება ქვეფსიქოლოგიას, მეორე გამოცდილება არის იგივე. მეორე ბიოსფერო შემდეგ ცნობიერების საშუალებით ხდება ჩვენთვის ხელმისაწვდომი, როგორიც არის თავის ცნობიერების აბსოლიუტური სინამდვილე. ამით ჩვენი ცნობიერება, დიმიტრი ლაპარაკობს, აბსოლიუტური სინამდვილე თვით ცნობიერება. ეს ცნობები მიღებულია, რომ ლანშდაფი გამოარკევეს ფირფიტაზე და ამ ფირფიტის გამოვლინება აღიარებულია ლანშდაფის, რომელსაც ირკვევს მეცნიერება. ეს, მისი აზრით, გარკვეული ყოფილა ცნობიერება, ვერ აღწევს ამ მხრივ მიზანს...

ეს არის, რომ თავში დავაშაოთ მატერიალიზმი და ამას კარგი არაფერი არ აქვს...

მაგრამ უზნაძე სდგას კონცესიისკენ. ის გვიმტკიცებს. ეს არ კმარა, საჭირო

არის ერთ გარემოებას შევეხოთ ფსიქიო-ფიზიკის პრობლემაში. არ ურთიერთ შორის ... რა თქმა უნდა, უზნაძე იძულებული არის, ეს საკითხი დასვას და გაერკვიოს ისე, როგორც თანამიმდევარი იდეალის გალაშქრებაზე ფსიქიო ფიზიკის პრობლემის შესახებ. ეს ასე უნდა მომხდარიყო. რა თქმა უნდა, თქვენ უნდა აღიაროთ მონიზმი. ამ საკითხის გადაწყვეტაში ერთი საკითხი არის იდეოლური მონიზმი, ანდა მატერიალური მონიზმი. მაშასადამე, პარალელიზმზე თქვენ წინააღმდეგი ხართ. თავის თავად ცხადია, პროფესორი უზნაძე ბოლოს და ბოლოს მიდის, რა თქმა უნდა, სუსტ იდეოლოგიურ მონიზმისაკენ. მე არ შევეხები და არ შევჩერდები მის ციტატაზედ. არ შეიძლება არ წაიკითხო, ვინაიდან აქ უფრო აშკარად გამოსჭვივის დ. უზნაძის კონცეპცია, კრედო. მე არ ვიცი, თუ შეიძლება კიდევ სადმე წასვლა იდეალიზმის უკან დასახევად. ის უნდა მიკუთნებოდა, როდესაც პროფ. უზნაძის შესახებ არის ფსიქიურ და ფიზიოლოგიურ ურთიერთობათა — კაუზაური ურთიერთობა. მას შესაძლებლად მიაჩნია, როგორც ზოგადად, რომელიც ურთიერთ კავშირში გამოიხატება. აი, რას სწერს (*ციტირებულობს*).

მაშასადამე, როდესაც ის უარყოფს ფსიქ. და ფიზიოლოგ. ურთიერთობას, კაუზაურ ურთიერთობას. შეიძლება, ის ამბობს, რაიმე ძალა არის, რომელიც ამყარებს მათ შორის კავშირს. პროფ. უზნაძე ძალიან მოხერხებულად გაურბის ამ საკითხს, რომ პასუხი გასცეს. მართლა, ჩვენ გვარწმუნებს ის, რომ რაღაც იდუმალი ძალას ხედავს დ. უზნაძე, რომელიც ამყარებს მათ შორის კავშირს. თავის თავად ცხადია, რომ ის გარკვეულად, ცხადათ პასუხს არ გვაძლევს. ვიმეორებ, რომ ის ამას გვერდს უხვევს. შეიძლება თუ არა სპირიტალისტური მიმართულება განვამტკიცოთ და მართლა, აი, რას სწერს (*ციტირებულობს*).

განა შესაძლებელია, რომ აქ სდგას ამ ტრიბუნიდან და ლაპარაკობს, რომ ჩემი მეცნიერება თქვენ გამ... და შესაძლებელი არის, რომ სპირიტუალიზმი მივიღოთ. აქ ეს ვიტალისტური თეორიის მიღებამდე უნდა მივიდეს ის. აი, მე თქვენ წაგიკითხავთ (*ციტირებულობს*).

მაშასადამე, ეს არის დაგვირგვინება მთელი კონცეპციისა, რომელსაც პროფესორი უზნაძე განაგებს. შესაძლებელია, არ იქნეს მოცემული იმ ფორმალ კონტეკებში, როგორც აქ არის, მაგრამ აქ არის ადგილები წიგნში. ეს არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, მთელი მიმდინარეობა. ეს ციტატა უზნაძესი იდეოლოგიურ კონვენციაზე სდგას. მე ვთქვი, ცნობიერება არსებითად მიჩნეული არის იმენიტიზმზე. ეს ნამდვილი რეაქციონურია. ლენინი ასე სვამდა საკითხს...

პროფესორმა უზნაძემ მეცნიერება დაუკავშირა აღმომავალ თეორიებს. ეს ახასიათებს ექსპერემენტალიზმის საფუძველს. თქვენ ხართ ცუდი ექსპერემენტ... მეორე სახე არის ფილოსოფიის...

მე აქ მაქვს დებულება და შემიძლია დავახასიათო. ზოგიერთი ამხანაგები შეიძლება, როგორც უზნაძე...

მატერიალისტური ნაკადის ურთიერთობა ჩვენ არ მოგვიხდენია. აუცილებლად ეს ასე უნდა იყოს. მისი დაწერილი არ არის მტრული წიგნი...

არსებული გამოკვლევა უნდა იყოს აღნიშნული. დღემდე ასე იყო. დღეს შემდეგ მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. ჩვენ რას ვთხოვთ ამის შესახებ. აქ იყო ნათქვამი ამის შესახებ. ჯერ ჯერობით არ არის გამონაკლისი სხვა პროფესორებისა მარქსისტურ ფსიქიოლოგიაში. მარქსის ფსიქოლოგიის შესახებ სტუდენტი ეკითხება მას — როგორ უყურებს მარქსი და ენგელსი ფსიქოლოგიას. მან ასე უპასუხა: „მარქსს და ენგელსს ფსიქოლოგია არ შეუქმნია". ასეთ პასუხი არის საკითხის გვერდის ახვევა. მე აღვნიშნე ამის შესახებ. თუ გნებავთ სისტემა შექმნილი არ არის. განა ბურჟუაზიული მეცნიერები არ ლაპარაკობენ განვითარების ტემპზე, მიღწევებზედ. არავის არ უთქვამს, რომ ეს წერტილი არის დასრულებული და არც ერთი მეცნიერი ამას არ იტყვის. განა ახალგაზრდა მარქსისტი ... საქმე არის. საკმარისი არის რამოდენიმე ფაქტები, რომლებიც აქ ჩვენ სტუდენტებმა მოიყვანოს ფაქტათ. შეიძლება ეს გაზეთების საშუალებით იყოს და შეიძლება სხვა და სხვა წიგნებით. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი სტუდენტები ჩვენი თანამედროვე პროფესორებისაგან მეტს თხოულობენ, ვიდრე

ეს ეხლა არის. ლენინი ჯერ კიდევ მაშინ ამბობდა, რომ სულ უნდა ვეძიოთ მატერ. სუბექტ. ამას ლენინი სწერდა 30 წლის წინეთ და თუ ლენინი არ უყვარდათ, პლეხანოვი სად არის. და ამ თორმეტი წლის განმავლობაში განა არ იძლევა იმას, რომ ... (*ხმაურობა*).

და ჩვენ თუ ვამბობთ იმას, რომ საყოფაქცეო ყრილობაზე, რომელიც ლაპარაკობდა და რომელიც დანიშნული იყო წელს რუსეთში, ლენინგრადში. არ იყო ისეთი ყრილობა, რომელიც ეყრდნობოდა ახალგაზრდებს. არ არის ეს ყრილობა ისეთი, რომელიც ეყრდნობოდა მარქსიზმის მსოფლმხედველობას. ბოლოს და ბოლოს ზალკინი, რომელიც ამ ყრილობის მეთაური იყო, არ იყო მარქსისტი. ეს ყრილობაც არ იყო მარქსისტული ყრილობა. ბოლოს და ბოლოს მარქსისტული ფსიხოლოგია საჭიროა აუცილებლად, რომლის განვითარება ყოველ მიზეზების გარეშე უნდა მოხდეს.

თავმჯდომარე: დრო გაგითავდათ (*ადგილიდან ხმები*: გაუგრძელდეს).

თავზარაშვილი: რადგანაც დრო გამითავდა, ამიტომ, ამხანაგებო, გადავდივარ მეორე საკითხზე. მეორე საკითხი არის ჩვენი ისტორიული ფრონტი. მე, ამხანაგებო, არ გამოუდგები მტკიცებას ისტორიის მნიშვნელობის შესახებ. ეხლა, რა თქმა უნდა, სრულიად მართებულია ის აზრი, რომ ეს ისტორია მეცნიერულად ჩვენ გვინდა ვისწავლოთ, დავამკვიდროთ. ამის გარდა, ეპო... ისტორიულ მეცნიერება გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა რომელიმე ეპოქას. განსაკუთრებით აღზრდითი საქმეში, პედაგოგიურ სფეროში გავლენას ახდენს ამ საქმეზედ. ლენინი ლაპარაკობდა ... თავის შესახებ. თქვენ, ჰგონიათ, აღზრდით კომუნისტ მოქალაქეს. თქვენ როგორ აზრდით ბავშს დღევანდელ ხელისუფლებისათვის. თქვენ უნერგავთ თქვენ თვალსაზრისს... ექსპლოატაციის წრეში. ეს არის თვალ სახეები. ბურჟუაზიული წესწყობილებაში ბავშს უნდა აჩვენონ, თუ როგორ იტანჯებიან მათი მამები, როგორ ექსპლოატაციას უკეთებენ. ჩვენში ასეთებს ადგილი არ აქვთ. ჩვენში მეცნიერულ ისტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს საბოლოოდ ისტორიულად და არას დროს არ იქნება, ჩვენ, როდესაც ფინიკიელები, ბაბილონელები და სხვები (*კითხულობს*).

თავის თავად ცხადია, ასეთი შეხედულება ისტორიისა გამოსადეგარი არის ჩვენი ცოდნისათვის. ჩვენთვის ჯერჯერობით საკითხი არ არის დასმული, ვინც ისტორიას აკეთებს. ის ხალხი იქნეს ნაჩვენები. თუ ჩვენ არ ვიღებთ პროფ. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომს, რომელმაც მრავალი რამ გააკეთა. აი, თუ ავიღებთ ამ მეცნიერებას, ჩვენ აქ არ გვაკმაყოფილებს ის, რომ ვერ ვხედავთ საზოგ. სტიმულებს. თქვენ თავიდან იცით, ვინ ქმნის ისტორიას. მარი ლაპარაკობდა, რომ ჯავახიშვილს მეთოდი აქვს, მაგრამ თავისი საკუთარიო. მაგრამ ისტორიას თავისი საკუთარი მეთოდი არ გააჩნია და ისტორიის, ისტორიული ფაქტების ჩამოყალიბება მეთოდის გარეშე არ შეიძლება. ეს ის არის, რომ მან არ იცის კლასთა ბრძოლის თეორია (როგორც ამას სტუდენტობა ლაპარაკობდა).

თავმჯდომარე: დროა, უკვე გაათავოთ.

თავზარაშვილი: ბურჟუაზიის დროის ისტორიკოსები მივიდნენ ამ ხანამდე, რომ დღესაც ჩვენთან აქ კლასთა ბრძოლა არის და ეს კლასთა ბრძოლის ისტორიის აღწერა მოითხოვს ზუსტ აღწერას. არავითარი ზედმეტი ლაპარაკი და ფაქტებზე დაყრდნობა მხოლოდ. ერთი ფაქტი ის არის, რომ ჯავახიშვილმა ვერ ახსნა, როგორ ვითარდებოდა თამარ მეფის წინააღმდეგ. ვერ ახსნა ფაქტები სწორათ, ზუსტათ ფეოდალების მოდგმისაც, თუმცა უმეტესათ ამ კლასის აღწერას მოანდომა მან მთელ ძალღონე. აი მთელი ეს მდგომარეობა მან კონკრეტიულათ ფაქტებით ვერ ახსნა, ვერ გვიჩვენა. მას უნდა დაეკაშირებინა, მით უმეტეს, მაშინ მთელს საქართველოში, მეთორმეტე საუკუნეში გვქონია კლასთა ბრძოლა. მას ეს არ აღუნიშნავს. ის არ აჩვენებს ნამდვილ ფაქტებს, არ აჩვენებს მიზანს, რომ რა იყო და რა არის პოლიტიკური დანაშაული, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს.

თუ ერკვევიან ჩვენს მშენებლობაში, ურომლისოდაც ჩვენ თაობას ვერ აღვზრდით, ჩვენმა მეცნიერებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.

ჯავახიშვილის ნაწარმოებს ძალიან ნაკლებათ იცნობენ, მხოლოდ მას ძალიან აქებენ. ერთმა ცნობილმა მეცნიერმა სთქვა: „სჯობია, მე ნაკლებათ მაქონ და მეტი იკითხონო“. პროფესორები ზოგიერთები ამბობენ, რომ ჩვენ თქვენი თანამშრომლები ვართ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მარქსიზმს არ ვიცნობთ. პროფესორი ახვლედიანი ძალიან დაინტერესებული არის ჩვენი პრაქტიკულ მუშაობით. ის ამბობს, რომ პრაქტიკულ მუშაობაში მე თქვენთან ვარ, მხოლოდ იდეოლოგიურად კი არა. ეს არის სამკუთხედი ისტორიისა, ის არის რამოდენიმე იაფეტელოგიის წინააღმდეგი. ის არ იცნობს მარქსიზმს...

თუ თქვენ არ იცით ენათ მეცნიერების განვითარება...

ეს არის ლიქმისტიკა...

მარი ამის წინააღმდეგია. გარკვეული მისტიციზმის წინააღმდეგია,...

ამხანაგებო, უნდა აღვნიშნო, რომ ამხ. კოტე ბაქრაძის გამოსვლა არ არის დამაკმაყოფილებელი. ის არის მემარცხენე პროფესორი. მას უნდა გარკვევით და გულახდილათ ეთქვა, თუ ვისთან არის. ეხლა ჩვენ გვედავება თეორიაში. მისი გამოსვლა არავითარი დამაკმაყოფილებელი არ არის. შემდეგ არის პროფესორი რამიშვილი. მან თითქმის მემარჯვენე ფრონტს გადააბიჯა. ეს სასახელო არის. აგრეთვე არის კეკელიძე, პირველ პერიოდის ძლიერი ფრონტია. ბოლოს ვათავებ რა, უეჭველად გარკვეულად უნდა იქნეს ის, რომ მეცნიერება უნდა შეიგნონ, რომ საჭიროა პოლიტიკური საქმე. ბოლოს და ბოლოს, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ეს არის პარტ. საქმე. მაინც და მაინც პარტბილეთი უნდა გქონდეს ჯიბეში...

ვათავებ რა (*ტაში*), ვამბობ, რომ ჩვენთან უნდა ხორცი შეასხას ყოველ გაბატონებულ კლასთა იდეას და ის იდეები, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის საკეთილდღეოთ უნდა იქნეს ცხოვრებაში რეალურად განხორციელებული (*ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის *პროფესორ ბერიტაშვილს.*

ამხ. ბერიტაშვილი: პედაგოგიურ ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა იდეოლოგიის და მეთოდოლოგიის შესახებ ჩვენი დირექტორის მოხსენებას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა დასახული.

პირველი მიზანი მდგომარეობდა იმის გამორკვევაში, აქვს თუ არა ჩვენ მეცნიერ თანამშრომლები ისეთი იდეოლოგია, რომელიც თავდები იქნებოდა, რომ ისინი გამოზრდიან ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისათვის და აგრეთვე კლასთა ბრძოლისათვის სრულიად გამოსადეგ კადრებს. უბრალო ანბანური ჭეშმარიტებაა. არ შეიძლება მესაკუთრეობის მომხრე იყო, ღმერთის ან უზენაესი ძალის მორწმუნე, ფეოდალური ანუ თემური წყობილების მოტრფიალე შოვინიზმით გამსჭვალული და ამავე დროს შეგნებულად და გულწრფელად სოციალისტურ აღმშენებლობას ემსახურებოდე და გაჭირვების დროს კლასთა ბრძოლაში პროლეტარიატს მხარი დაუჭირო და ამასთან ერთად, ამ მშენებლობისათვის და ბრძოლისათვის გამოსადეგი კადრები მოუმზადო. ეს შეუძლებელია. მ. ს. შ. ჩვენ მოგვეთხოვება ისეთივე იდეოლოგიის ქონა, რომელიც თავდები უნდა იყოს იმისა, რომ ჩვენ მუდამ, ლხინშიაც და ჭირშიაც მუშათა კლასთან ერთად ვიქნებით და იმასთან მოვამზადებთ ნამდვილ სოციალისტურ მშენებლობისათვის თავდადებულ კადრებს.

მაგრამ კარგათ მოგეხსენებათ, რომ იდეოლოგია ზედნაშენია მთელი ჩვენი სოც. ეკონომიურ ცხოვრებისა. ვისაც ბურჟუაზიული იდეოლოგია აქვს, მისი უკუგდება სიტყვიერი განცხადებით ადვილია, მხოლოდ ნამდვილად მისი თავიდან მოშორება ძალიან ძნელი საქმეა. თვითეული მეცნიერისათვის ძველი იდეოლოგია დაკარგავს თავის მომზიდველობას, თავის ძალას, როდესაც განვითარდება ახალი, მისი მეტოქე პროლეტარული იდეოლოგია. ეს უკანასკნელი კი უნდა წარმოიშოს და განმტკიცდეს ახალი ცხოვრების პირობების მიხედვით. უსათუოდ დადგა ისეთი მომენტი, როდესაც ამ ორ მეტოქეთა იდეოლოგიათა შორის პირდაპირი სიკვ-

დილ-სასიცოცხლო შებრძოლება ხდება. უმრავლეს შემთხვევაში ახალი — პროლეტარული იმარჯვებს, მაგრამ უეჭველია, ჩვენ მეცნიერთა შორის ზოგიერთ შემთხვევაში ისევე ბურჟუაზიული იდეოლოგია რჩება. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს წლოვანებას, შემდეგ მის სოციალურ ჩამომავლობას, ე. ი. წარსულში რომელ სოციალურ ფენაში აღიზარდა, შემდეგ რომელ სოციალურ ფენასთან ჰქონდა მას ყოველდღიური კავშირი და სხვა. ჩვენ შორის არიან მეცნიერნი, რომელნიც სწორედ ამ წარსული ცხოვრების პირობების გამო ვერ შესძლებენ, გინდაც რომ მოისურვონ, მიანებონ თავის აწინდელი იდეოლოგია და ახალი შეითვისონ.

ხოლო ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ყველა პირობებში ასეთი ბურჟუაზიული სპეცები ჩვენს პირობებში სრულიად გამოუსადეგარი მასწავლებელნი უნდა იყვენ. სათანადო სამოსწავლო პროგრამა და კრიტიკული გამომჟღავნება მათი იდეოლოგიისა სემინარებზე და კონფერენციებზე, და აგრეთვე ბეჭდვითა, სრულიად მათი მუშაობის ნაყოფიერებას. ... ასეთი პი.... ჩვენ შორის სულ რამდენიმე იყოს. ... ხნოვან.... დიდ უმრავლესობას და თითქმის ყველა ახ... მეცნიერთ სრული საშუალება აქვთ ახალი ... და მოთხოვნილების მიხედვით შეიც... ძველი იდეოლოგია. და აი, აქ თქვენ უკვე იყავით მოწამე, რომ მრავალ ჩვენ თანამშრომელს უკვე შეუცვლია თავისი იდეოლოგია სწორეთ ამ უკანასკნელ წლებში ცხოვრების ახალი პირობების გავლენით.

მეორე მიზანი, რომელიც დირექტორს დაესახა, ეს იყო გამორკვევა იმის, თუ როგორია ამა თუ იმ მეცნიერების მეთოდოლოგია. როგორც მოსალოდნელი იყო ნამდვილი მარქსისტული მეთოდოლოგია დიალექტიული მატერიალიზმის სახით, თითქმის არავის ჰქონია. პირველად ყოველისა უნდა შევნიშნო, რომ მეთოდოლოგია მე მესმის როგორც მთელი ჩვენი აზროვნების მიმართულება, რომ ყველაფერი საზოგადოებაში, თუ საერთოდ ბუნებაში, უნდა ვითარდებოდეს დიალექტიკური კანონების მიხედვით. მაშ, დიალექტიური მატერიალიზმი არ არის ჩვეულებრივი კვლევა ძიების, როგორც ამ დისკუსიის დროს ზოგიერთ ორატორისაგან მესმოდა. მაგრამ თვითეულ მეცნიერებას აქვს ტეხნიკური საკვლეო მეთოდები. დიალექტიკური მატერიალიზმი კი აზროვნების პრინციპიალური მიმართულებაა, რომელიც უზრუნველჰყოფს სხვა და სხვა ტეხნიკურ კვლევა ძიების მეთოდებით მოვლინების საუკეთესო და გაადვილებული გზით შესწავლას (ამიტომ სრულიად დაუშვებელია ამა თუ იმ კვლევის მეთოდთან ერთად დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც კვლევა-ძიების მეთოდის დასახელება).

ეხლა ვიკითხოთ, თუ რატომ ეძიებდა ჩვენი დირექტორი დიალექტიკურ მატერიალიზმს ჩვენს მეცნიერულ შრომებში. ჩემის აზრით, პირველად ყოვლის, პოლიტიკურ მოსაზრებით დიალექტიკის ერთ ერთი პრინციპი გვეუბნება, რომ ყოველივე საზოგადოებრივ თუ ბუნებრივ მოვლენაში ალაგი აქვს ორ მეტოქე ძალთა ბრძოლას. მრავალი პირობების მიხედვით შეიძლება ერთმა ძალამ გაიმარჯვოს, გაბატონდეს, მაგრამ ეს არ შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ თანდათანობით განვითარების გზით, ე. ი. ევოლიუციის გზით. ამ ძალთა განვითარების ერთ ერთ საფეხურზე უნდა მოხდეს მეტოქე ძალთა კრიტიკული საბოლოო შეჯახება, ე. ი. რევოლიუცია. მხოლოდ ამის შემდეგ ერთი მეტოქე ისპობა, მეორე კი ბატონდება. ამას სხვა ნაირად ნახტომით განვითარებას უწოდებენ. აქედან ცხადია, რომ ვინც თავის შრომებში არ ემხრობა დიალექტიკის ამ კანონს, ამ რევოლიციონურ პრინციპს, ის არ შეიძლება იყოს შეგნებულათ მუშათა მხარეზე კლასთა ბრძოლაში რევოლიუციის დროს. იგი უსათუოდ პასიურათ მყურებელი იქნება. ცხადია აგრეთვე, რომ ასეთი მეცნიერი ვერ მიიღებს სათანადო მონაწილეობას ამ ბრძოლისათვის გამოსადეგი კადრების მომზადებაში. თუ თვითონ გამსჭვალული ევოლიუციის პრინციპით, იგი ვერ შთაუნერგავს ვერავის რევოლიუციის აუცილებლობას. აი, ეს პოლიტიკური მომენტი უსათუოდ მთავარი სტიმული უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ჩვენი დირექტორი ჩვენს სამეცნიერო შრომებს ათვალიერებდა და იქ დიალექტიკური მატერიალიზმის გამოვლინებას ეძიებდა. მეორე სტიმული იმისადმი გამომდინარეობდა იმ რწმენიდან, რომ მატერიალისტური დია-

ლექტიური აზროვნება აუცილებლად საჭიროა ჩვენი კვლევა-ძიების უაღრესი ნაყოფიერებისათვის. მართალია, ყველა ჩვენგანი უკვე დიდი ხანია მუშაობს მეცნიერულად, შეიძლება მრავალი შრომებიც ჰქონდეს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მას დიალექტიკა არას არ არგებს. დარვინის წინა ეპოქაშიაც უმრავლესი მეცნიერი მუშაობდა კარგათ და ნაყოფიერად, მიუხედავად იმისა, რომ მათ ევოლიუციის პრინციპის შესახებ ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდათ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველა ნამდვილი მეცნიერული შრომა შეუგნებლად, სტიქიურად ევოლიუციის პრინციპს იცავდა, მას ემსახურებოდა. ამნაირადვე უნდა ითქვას დიალექტიკური მატერიალიზმის შესახებ.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის *ასპირანტ ყალიჩავს.*

ყალიჩავა: მეცნიერებამ სოციალიზმში დიდი როლი უნდა ითამაშოს. ეხლა არის გარდამავალი ხანა, ეს არის ოქტომბრის რევოლიუციის მეთოთხმეტე წელი. ბურჟუაზიამ დაისახა მიზნათ, რომ ჩვენ მშენებლობას ხელი შეუშალოს და წარმოიშვა ახალი ბურჟუაზია კონდრატიევშრინის სახით. მე ვფიქრობ, რომ ეს არის კულაკების წერილ ბურჟუაზიული სტიქია, მემარჯვენე გადახრები. პარტიამ თავისი გენერალური ხაზი გაამაგრა და მუშათა კლასი ანხორციელებს მარქსიზმს. ჩვენმა მეცნიერებამ მიზნათ უნდა დაისახოს ქვეყნის გარდაქმნა, ის უნდა დაადგეს ახალ გზას. ეხლა ჩვენს წინაშე სდგას საკითხი, რამდენად ეგუება ამ ახალ გარდამავალ ხანას. უნდა გადისინჯოს მათი პროგრამა. აქ მომხსენებელმა ზოგადათ დაახასიათა ჩვენი მეცნიერება და მე ამის დახასიათებას არ შევეხები, მე გადავალ პირდაპირ საკითხზე. განსაკუთრებით მეცნიერ პედაგოგიურ ინსტიტუტში გამოსული ამხანაგები, როგორც მეცნიერები, ისტორიკოსები, ვერ ამართლებდნენ იმ თვალსაზრისს, რომელიც უნდა იყოს. ეს ვერ სდგას კარგ ნიადაგზე, საჭირო არის მისი გაშუქება და გარჩევა. როგორი პირობები არის დღეს ინსტიტუტში. მე უნდა დავიწყო პროფესორ პოლიექტოვისაგან. 25 წელში, როდესაც მე ჯერ ვიყავი პირველი კურსის სტუდენტი, მან შემდეგი დებულება წამოაყენა — დღევანდელი ლენინგრადი ეს არის ბოროტება ისტორიის წინაშეო. ლენინგრადი ლენინმა კი არ შექმნა, არამედ პეტრემო და ამისათვის კამათობდა.

მეორე ფაქტი — კათედრის სხდომაზედ დასვეს საკითხი, რომ შესწავლილი ყოფილიყოს უნივერსიტეტში ოქტომბრის რევოლიუცია. მან წამოაყენა დებულება, რომ ჯერ არ არის საჭირო შესწავლა ოქტომბრის რევოლიუციის უნივერსიტეტში. პროფ. პოლიექტოვი ჯერ კიდევ ვერ გასცილებია მონარქიზმს, ვერ აღწევს თავს, ასეთ პროფესორებს ადგილი არ უნდა ქონდეს ჩვენ ინსტიტუტში. პროფ. პოლექტოვი საქართველოშია და მან თავი შეაფარა აქ. პროფ. პოლიექტოვის მოღვაწეობა არის აშკარა მაგნებლობა და მას ადგილი არ უნდა ქონდეს აქ.

ეხლა რაც შეეხება ენათმეცნიერებას. მე არ ვილაპარაკებ დასავლეთ ევროპის მეცნიერებაზე, მაგრამ რაც შეეხება საქ. ისტორიას, ჩვენ არა გვაქვს არავითარი კონცეპცია და საჭიროა გადასინჯული იქნეს ყველა იმ დარგში არიან. აქ თქმული იყო, რომ ჯავახიშვილი არის უდიდესი მეცნიერი და დიდი ღვაწლი აქვს და აღიარებული არის საპატივცემულო ადამიანათ. მე საჭიროდ მიმაჩნია მოგონება, თუ რას წარმოადგენს ისტორიოგრაფიაში. აქ თქმული იყო, რომ ჯავახიშვილს არავითარი მეთოდი არა აქვს, მაგრამ ტყვილია. მას აქვს საკუთარი მეთოდი, რის მიხედვით დალაგებული აქვს ისტორიოგრაფია და კლასიფიკაცია ქმნილი, მხოლოდ აქ აუარებელი ფაქტები მოგროვდა ისტორიაში და შეუძლებელი აქ არის აღნუსხვა ფაქტებისა. ამიტომ მეთოდოლოგია უეჭველად უნდა მოხდეს. უნდა მოხდეს ფაქტების შერჩევა და სწორედ ის ადამიანი, რომელიც წაიკითხავს მის ნაწერს, თქვენ იქ ვერ გაიგებთ, ან და თქვენ იქ ნახავთ მიწერ მოწერას და ქეიფს, ან და ვინ იყო საქართველოში ანდრია მოციქული, ვინ მონათლა ის პირველად და სხვა. ასეთი ფაქტთა გროვა არის მის ნაწერებში. აი, მე თქვენ წაგიკითხავთ ერთ ადგილს და რას სწერს ჯავახიშვილი (*კითხულობს*).

ამხანაგებო, ისტორიას, მეცნიერულ ისტორიას ერის ისტორია არ აინტერე-

სებს, თუ ვინ იყო პირველი განმანათლებელი მეფისა და სხვა. და ასე მთელ რიგ ამ გვარ სახის ფაქტები შეგვხვებათ თქვენ მის ნაწერებში, მაგრამ თამამად უნდა ითქვას, რომ მის ნაწერებს ახასიათებს ფაქტების აღნუსხვა და მეტი არაფერი. მისი წიგნის 480 გვ. სწერს შემდეგს, რომ სადაც ბერების შესახებ არის ლაპარაკი (*კითხულობს*).

ბერების მოღვაწეობა მის ისტორიაში შედის და ეს მას მთავარ ფაქტორად მიაჩნია. ჯავახიშვილი, როდესაც ეხება მე-13 საუკ., ის პირდაპირ ლაპარაკობს შემდეგს ზეშთაგონებრივი ძალით (*კითხულობს*).

რომელია, ამხანაგებო, ის ძალა, რომელიც აერთიანებს სილამაზეს და სივაჟკაცეს. აი, ეს არის მეცნიერული ისტორია ამით არავითარ მიზანს ვერ მიაღწევს. აგრეთვე ეკლესიის ისტორია ჯავახიშვილის წიგნში პირველ ტომში აი, რას სწერს (*კითხულობს*).

ის ასაბუთებს, რომ .... კათალიკოსის და მეფის შორის არის წინააღმდეგობა, საერთოდ ეკლესიის უფლება ივ. ჯავახიშვილს თავის წიგნში აქვს ვახტანგ გორგასალის დრო, ეს არის კათალიკოსის...

ეს არის შეცდომა, ეს არის პირდაპირ მავნებლობა. აგრეთვე ისტორიაში აქვს, რომ ქართველები მიტომ არიან უფრო წმინდები, რომ მათ სომხობის არაფერი აქვთო და ისინი, ე. ი. ქართველები ებრძვიან სომხებსაო, ქართველების ეკლესია სჯობია სომხების ეკლესიასაო. მას საზოგადოება მიჩნეული ჰყავს კათალიკოსები და სხვა სასულიერო წოდება. საზოგადოება არის ქართველი მშრომელი ხალხი და სომეხი მშრომელი ხალხი. ბერები არ შეადგენენ ქართველ საზოგადოებას. აგრეთვე ლაპარაკი იყო სინდისის შესახებ, რომ კათალიკოსები — ქართველები უფრო სინდისიერი არიანო. სად არის ის მშრომელი ხალხი, აქ ეს გამოშვებული არის. კიდევ მეტი. ჯავახიშვილის წიგნი მტკიცება არის გიორგი მთაწმინდელის — შევისწავლოთ ეპისკოპოსი ლეონიდი, ჯავახიშვილის წიგნი ამ წიგნთან არაფრით არ განსხვავდება. თუ გაინტერესებთ, მე წაგიკითხავთ გიორგი მთაწმინდელის ვინაობას (*კითხულობს*).

ამაში ამინი არ არის ნათქვამი, თორემ შინაარსი ერთი და იგივეა. ჯავახიშვილი სცდილობს, ქართველი ერის დაარწმუნოს ეპისკოპოს... ამაში რომ დარწმუნდეს მართლაც ხალხი, უნდა უკან დაიხიონ მეთორმეტე საუკუნეს ის ლაპარაკობს შემდეგს და როცა ეხება დავით აღმაშენებელს, აქ ნახავთ თქვენ აბდაუბდას და რომელიც გამოდგება მხოლოდ უტილსირიით და მეტი არაფრისთვის არ არის საჭირო. რად გვინდა ჩვენ იმის საბუთი, რომ ლიპარტიის ... ბაგრატიონმა ომის შემდეგ (*დარბაზში ხმაურობა*) (*კითხულობს მის ნაწერიდან*).

ამხანაგებო, გვირგვინოსანი და ღვთაებრივი, ეს არ არის მეცნიერული ტერმინი, ისტორია საჭიროებს მეცნიერულად მიდგომას საკითხისადმი. შემდეგ საგულისხმოა შემდეგი: ის ლაპარაკობს (*კითხულობს*).

ე. ი. თავის წიგნში ის ხაზ გასმით აღნიშნავს, რომ ქართველი ერის გამარჯვების სიმბოლო არის დავით აღმაშენებელი. რევოლიუციის აღმშენებლობისათვის არ არის დავით აღმაშენებელი საჭირო, არამედ ის წითელი დროშაა, რომელსაც აწერია: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით (*ტაში*). შემდეგ ის ლაპარაკობს, რომ ის პოლიტიკის გარეშე სდგას, მაგრამ ყოველად დაუშვებელი არის პოლიტიკის გარეშე დგომა. ის აქ მოკლე განმარტებას იძლევა სუბიექტივის და ობიექტივების შესახებ. ლაპარაკობს, რომ სუბიექტივი არის თავისთვის და ობიექტივი კი სხვისთვისო. ცხადია, რომ ჯავახიშვილი არის გამომხატველი ფეოდალიზმის და გახვეულია მის მანტიაში. მე მაქვს აქ ერთი წერილი და აი, რას სწერს მენშევიკების შესახებ. ის ლაპარაკობს (*კითხულობს*).

აი, აქ ასეთი დევიზია მოცემული, რომ ერი ერს ებრძვის სასიკეთილოდ და ლაპარაკობს, რომ ერთა სისხლის ალება მათ პოლიტიკურ მიზანს შეადგენს. ის ლაპარაკობს, რომ სომხები უდიდესი დამნაშავენი არიან ქართველების წინაშე და ქართველებს უნდა გასცენ პასუხიო.

განა შესაძლებელია ასეთი სახით კითხვისადმი მიდგომა. აი, აქ საინტერესოა და მე წაგიკითხავთ და ის ლაპარაკობს, რომ მე ვდგევარ პოლიტიკის გარეშე.

ეხლა დაინახავთ, რასაც წაგიკითხავთ (*კითხულობს*).

მისი აზრით, ჟორდანიას და წერეთლის სწორი პოლიტიკა იყო საქართველოში კვადრატების მოხაზვით. სომხებთან ქონდათ დავა (*კითხულობს*).

ე. ი. ასაბუთებს, რომ არც ერთი ეტნოგრაფია საზოგადო შემოხაზვაში არ არის სწორი, არამედ სწორი არის სამხედრო საზღვრების შემოხაზვა (*კითხულობს*).

ე. ი. ასე სვამს საკითხს მენშევიზმის იმპერიალიზმზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ჯავახიშვილი პოლიტიკის გარეშე არ სდგას. ის დაწერილი არის მენშევიზმის სულის კვეთებით. როდესაც რეორგანიზაციის დროს პედაგ. ინსტიტუტში თავზარაშვილი და მე მივედით ჯავახიშვილთან ერთი საკითხის გასარკვევათ, მან ასე გვიპასუხა: ჯერ ჩამაბარეთ ეს საგანი და შემდეგ მოვილაპარაკოთო. ცხადია, მას დირექტივები ჰქონდა მენშევიკებისაგან. ეს კონდრატიევშინა კი არ არის, პირდაპირ რამზინი არის. ის უქადაგებს დავითის ტახტს. აქ გამოდიან მისი მოწაფეები პირდაპირ დაგეშილები და ჯავახიშვილის ბრძანებას ასრულებენ. აქ მისმა მოწაფეებმა აღნიშნეს, რომ ჯავახიშვილს ჩვენ პატივს ვსცემთო. ჩვენ ასეთი ხალხი არ გვინდა ჩვენს უნივერსიტეტში, მისი კულტურას, მართალია, ვერ აფასებენ ვაშაყმაძე და შარია. ჯავახიშვილის კულტურა, ამხანაგებო, აქ არის, ე. ი. აშკარა კუშიზმი და აბდაუბდა. მიტომ იყო, რომ ნიკო ბერძენიშვილი გამოვიდა და დაიწყო კითხვა ჯავახიშვილის მიცემული ნაკაზების.

შემდეგ ჯანაშია ლაპარაკობს, რომ მან მას მისცა ისეთი გზა, რომლითაც ის გზას ირკვევს შემდეგისათვის და თუ თქვენ ასე განაგრძეთ, მაშინ დარჩებით გარიყული ჩვენგან (*ტაში*). შემდეგ რა სთქვა ყაუხჩიშვილმა. მართალი იყო ვაშაყმაძე, როდესაც მან სთქვა და ყაუხჩიშვილი მიუახლოვდა ჯავახიშვილის ჯგუფში. ის არის გამოცდილი დურუშნიკი, ის არის აგენტი ჯავახიშვილის და ჩვენს შორის. აქ სთქვა, რომ მან მიიღო ლაბორატორიული მეთოდი, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომუნისტი გახდით. მის წიგნში არ არის არავითარი ისტორიული ცნობა, მაგრამ ჯავახიშვილის მეთოდოლოგიას რომ მისდევს, ეს ფაქტია.

შემდეგ რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთ ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენი გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკეტაო. ეს არის კონტრევოლიუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები. ჩვენ კი ვერ დაგვამარცხებს ვერავითარი დაბრკოლება, გადავლახავთ ყველაფერს და წავალთ წინ სოციალიზმისაკენ.

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეკუთვნის *დოცენტ ზანდუკელს*.

ზანდუკელი: ამხანაგებო, პატივცემულ მომხსენებელის მიერ საკითხი ასე იყო დასმული თანამგზავრი მსოფლმხედველობა. არაჩვეულებრივ გარდატეხის და გარდაქმნის ხანაა, რადგანაც ჩვენ ვართ ძველი ქვეყნის წარმომადგენელნი და ეს ძველი ქვეყანა უნდა გარდაიქცეს ახალ ქვეყნად და ჩვენ უნდა გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა ძველ ქვეყანას. პედაგ. ინსტიტუტის მიღწევები რაღაც უჩინარ გამოურკვეულებაში არის. არის თუ არა ამ მხრივ რაიმე ნაბიჯი გადადგმული. სოციალისტური აღმშენებლობა გიგანტიური ნაბიჯით მიდის წინ. აუცილებლად ჩვენ ამას ხელი უნდა შეუწყოთ. აუცილებლად ამ მხრივ უნდა მოხდეს კულტურული რევოლიუცია, რამდენადაც ეს ეხება ახალ ყოფას, ახალ ცხოვრებას და ახალ ადამიანობას. ამ მუშაობაში ჩვენ უნდა დავეხმაროთ, ჩვენი მუშაობა ამ ფრონტზე უნდა მიმდინარეობდეს. საქ. გასაბჭოების პირველ დღიდანვე მე ვმუშაობ სახალხო განათლების დარგში. სახ. განათლების კომისარიატმა მიმიწვია მე ერთ ერთ სასუხო თანამდებობაზე. სწორეთ ჩემი მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ როდესაც სახ. განათლ. კომისარიატი ატარებდა სკოლების რეორგანიზაციის რეფორმას მთელ რესპუბლიკაში. ჩვენგან თხოულობდა დიდ ენერგიას და ამ რეფორმის ერთ

ერთი მოღვაწე ვიყავი მე. ეს მთელი სიმძიმე გადავიტანე მე. შემდეგ ამისა საჭირო იყო სკოლების გარდაქმნა. ეს ადვილი საქმე არ იყო. ჩემს წინაშე დაისვა საკითხი, რომ სკოლაში მომხდარიყო გარდატეხა. დავიწყე მძიმე და შავი მუშაობა. უნდა შეგვექმნა პროგრამა ახალ პრინციპზედ, ჩამოგვეყალიბებინა ახალი ცხოვრება ამ მუშაობაში. ამის აქტიური მოღვაწეც მე გახდით. გარდა პროგრამისა, ახალი ცხოვრებისათვის იყო საჭირო თავისი დებულებანი, ამისათვის საჭირო იყო მოგვემზადებინა მასწავლებელთა კადრები. ჩვენ ავიღეთ რუსეთის მაგალითი, ჩამოვაყალიბეთ კურსები და ამის ხელმძღვანელი ვიყავი მე, როგორც აქტიური თანამშრომელი, შემდეგ აქ (*ხმაურობა, ყვირილი*) ეხლა მეორე საკითხი...

თავმჯდომარე: ამხანაგებო, ზანდუკელმა გაიგო, თუ რაშია საქმე. მან გაიგო, თუ რატომ ხმაურობს აუდიტორია და გასცემს პასუხს და თუ არა, მაშინ ჩვენ გავცემთ მას პასუხს.

ზანდუკელი: ეხლა ნება მიბოძეთ, საბჭოთა აღმშენებლობაზე ვილაპარაკოთ, რომელიც ეხლა გიგანტიური ნაბიჯით ვითარდება (*ადგილიდან*: მეთოდი როგორია თქვენი). როგორი მეთოდი უნდა მქონდეს. მე, უმთავრესად, ლიტერატურის დარგში ვმუშაობ. ჩემი გზა გარკვეულია ამ მიმართულებით და ნათელია, რომ ლიტერატურაში მეთოდოლოგია აუცილებელია, მის გარეშე ყოვლად დაუშვებელია და ეს არის დაკავშირებული დიალექტიურ მატერიალიზმთან. ამ საკითხს მე ვამუშავებ რამოდენიმე წელია, მაგრამ უყარ.... ვერ დავბლიე (*ადგილიდან*: ფაქტები!). აქ რომ გამოვიდენ და სთქვენ, რომ მიხ. ზანდუკელი ჩვენთან მოდისო, მაგრამ ზანდისხან პერევერზევიაკენო, მაგრამ ეს არ შეიძლება რომ იყოს პერევერზევი. შემდეგ ჩემი ნაშრომის შესახებ ერთი რამ. შესაძლებელია, ჩემი მსმენელები ვერ დააკმაყოფილა ჩემმა შრომამ და მე სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ის კრიტიკა, რომლითაც აქ სტუდენტები მე მომართავენ. მარქსისტულ მეთოდის დამტკიცებისათვის რუსეთში 1927 წ. მოწვეული იყო ყრილობა, რომელ ყრილობაზედაც მე გამოვედი და ვსთქვი ჩემი აზრი მარქსისტული-სოციალური მეთოდის შესახებ.

მე ამ ყრილობაზე გამოვედი და ვსთქვი, რომ ერთ ერთი მეთოდია სოციალისტური სოციოლოგია — მარქსისტული მეთოდი. აქ არავითარი განსხვავება არ არის ვაშაყმაძისა და ჩემს შორის. ჩვენ აქ არ უნდა დავიწყოთ ის, რომ საქმის გარეშე, ლიტერატურის გარეშე არ შეიძლება-მეთქი. ამისათვის მე ვსთქვი, რომ მივაქციოთ ორივე მხარეს ყურადღებაო. მე 1927 წ. წარვადგინე სოციალოგიურ ფორმალური მეთოდი, ეს მე მივიღე საკუნინისაგან. ეს, მართალია, მე ეხლა ვამუშავებ ამ მეთოდს და წარმოგიდგენთ მთლიანად. ამასთანავე ერთად, მე წარმოგიდგენთ, რომ მე გავერკვიე ამ მეთოდში სავსებით. პოლიტიკაზედ უნდა მოგახსენოთ შემდეგი. ჩვენი მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება ხელი შეუწყოთ კადრების მომზადებას. უნდა გამოვზარდოთ ისეთი კადრები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალ ქვეყანას და იმუშავებენ მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის. მე სწორედ ამ მიზნით ვმუშაობ, სადაც გამოიჭედება მშრომელი ხალხის ბედ-იღბალი.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის *ასპირანტ ხარატიშვილს*.

ხარატიშვილი: ამხანაგებო, იმ დისპუტის შესახებ, რომელიც აქ მოისმინეთ, ეს საკითხი დაიბადა ჩვენს ... აქ გარკვეული არის ყველაფერი, რომ ყველა ჩვენ, მშრომელი მოქალაქეები, უნდა ვიყოთ ხელის შემწყობი მშრომელი ხალხის კეთილდღეობის და სწორედ ამაზე ჰკიდია მომავალი ბედ-იღბალი. ინსტიტუტში უნდა მომზადდეს ისეთი კადრები, რომლებიც გარდაქმნიან ძველ ცხოვრებას, უნდა მოხდეს კულტურული რევოლიუცია. აი, სწორედ ჩვენ ინსტიტუტში უნდა მოხდეს კულტურული რევოლიუცია, რადგან ახალი კადრები აქ იჭედება. აი, საითკენ უნდა დაბრუნდეს წისქვილი. აქ გამოდიან პროფესორები და არ აშუქებენ სწორეთ თავიანთ მსოფლმხედველობას. რა საჭირო არის ჩვენთვის მათი ავტობიოგრაფია, ჩვენთვის საჭირო არის, გვითხრათ, როგორ გსურთ მუშაობა. თქვენ უნდა უარ-

ჰყოთ თქვენი ძველი იდეოლოგია. ეხლა ჩვენ ვიწყებთ კულტურულ რევოლიუციას, ჩვენ ვლაპარაკობთ ბოლშევიკური ენით. თქვენ იყავით მენშევიკები, სოციალ-დემოკრატები, გვითხარით, იყურებით თუ არა შავი ზღვისაკენ, გაქვთ თუ არა იმედი, რომ მოვიდნენ ჟორდანიები და მენშევიკები. გასწყვიტეთ თუ არა თქვენ კავშირი მათთან. სცნობთ თუ არა საბჭოთა ხელისუფლებას, გვითხარით, სცნობთ თუ არა ბოლშევიკურ მუსიკას, ასეთია იდეოლოგიის საკითხი. აი, თავს როგორ არშ... ეს მათ კარგათ იციან. მათ იციან, როგორ უნდა სთქვან. აი, საკითხი ასე სდგას, ყველამ იცის, ვინ სად მუშაობდა.

შემდეგ ჯავახიშვილზე ვიტყვი. მე ისტორიკოსი არა ვარ, მაგრამ მაინც ვერკვევი ამ საკითხებში. მე, რა თქმა უნდა, ვლაპარაკობ ეხლა ჯავახიშვილზე და წერეთელზე. მე მაგონდება საფრანგეთში, გერმანიაში, კაფე შანტანში რას ჩადიოდნენ ისინი ... რა უნდა ამ ხალხს, რას გვედავებოდენ? კულტურული ძალაუფლება ჩვენ ხალხს აქვს ხელთ და ეჭნება, ისინი გაიხიზნენ კრიტიკულ მომენტში, თითქოს, ეგონათ, უიმისოთ ფეხს ვერ წავდგამდით. ისინი ადგენდენ დირექტივებს და იმუშავებდენ იმ სექციებს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ. პროლეტარიატი მუდამ ყოფილა და იქნება გულახდილი და არ შეუშინდება არავითარი დაბრკოლებას, როგორც ამას ფიქრობენ ჩვენი მტრები ჯავახიშვილი და წერეთელიც (*ტაში*). შემდეგ ზოგიერთი მოვლენები, ე. ი. კონდრატიევშჩინას მოვლენა ჩვენში, თუ რას წარმოადგენს ეს. მე ვამბობ, რომ კონდრატიეველები არის ის, ვინც აბრკოლებს მუშაობას თავის კათედრასთან და საერთოდ. მე ჩემ მასწავლებელს შევეხები, პატივცემულ იასონ მოსეშვილს. თუმცა მოწაფე ვარ, მაგრამ მე მაქვს უფლება, რომ ჩემ მასწავლებელზე ვილაპარაკო. იასონ მოსეშვილს ჩვენ კარგათ ვიცნობთ, როგორც კარგ ქიმიკოსს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა ახალი მოზარდი თაობის აღზრდა ქიმიაში. თუმცა ჩვენი პროფ. მოსეშვილი აღზრდილია ძველ პირობებში, მაგრამ განრისხებას აქ ადგილი არ უნდა ქონდეს. თუმცა ძნელია ძველი კაცისათვის, რომ ემსახურებოდეს პროლეტარიატის დიქტატურას. როდესაც საქმეს შეუდგები, ბოლომდე უნდა დაამთავრო. ჩვენთან სდგას საკითხი პროლეტარული კადრების აღზრდის შესახებ. ამას კი ხელს უშლის ჩვენი პატივცემული იასონ მოსეშვილი. როდესაც მასთან მიდის სტუდენტი, ეკითხება: „შენ რამდენი ენა იცი"-ო (*მოსეშვილი*: როდის იყო ეს?). მე ტყვილს არ ვლაპარაკობ, პატივცემულო მოსეშვილო. მე ვმუშაობდი ქიმიურ ლაბორატორიაში, მაგრამ რა ხდება? — ზედა ლაბორატორიის მომუშავენი ქვედა კათედრის მომუშავეებს არ ელაპარაკებიან. განა დასაშვებია, რომ ასისტენტები ერთი და იმავე კათედრისა გაყოფილი არიან ოთახებით და ერთი მეორეს არ ელაპარაკებოდენ. აი, ამას ჩადის პატივ. მოსეშვილი. ეს ფაქტია, რომელიც ყოველად დაუშვებელი არის (*ტაში*). აქ გამოვიდა ერთ ერთი სტუდენტი და თავის მასწავლებელი. კოტეტიშვილი, რომელიც იძახდა — გულახდილად ვარ თქვენთან, მეც მომეცით საშუალება, რომ გულახდილათ ვილაპარაკო, ერთი ასისტენტი თქვენ გაგექცათ. თქვენ ხელს უშლით კადრების წამოწევას (*ტაში*). თორმეტი წელი არის, რაც თქვენ სახელმძღვანელოს სწერთ და ეს სახელმძღვანელო ვერ გადაათეთრეთ. რამდენი წელი მოუნდება მის წაკითხვას. შემდეგ. ეს დაწერილი წიგნი რედაქციაში იყო, რეცენზიისათვის გამოიტანა, მას აქეთ სახლში აქვს, აქვს თუ არა ამას კავშირი კონდრატიევშჩინასთან. ჩვენ ამ წიგნით უნდა ვისწავლოთ (*ტაში*). მე ვარ თქვენი მოწაფე, მე ვლაპარაკობ გულახდილათ. შემდეგ. მოსეშვილს ჰყავდა ასისტენტი. მე ვლაპარაკობ კონკრეტულ ფაქტზე, მათ შორის იყო ერთ ერთი არევაძე. თავის კათედრაში მან არც ერთი ასისტენტი არ წასწია, რადგან მას არ უყვარს კომუნისტი და პროლეტარული ხალხი. ადგა და მან მოიწვია კათედრაში მომუშავე ასისტენტათ ბებერი კაცი (*ადგილიდან*: ვინ მოვიწვიე?). აბულაძე მოიწვიე, მგონი. შემდეგ. ამხანაგებო, ჩვენ ვამბობთ, უნდა შევქმნათ მომავლისათვის კადრები, ახალი კადრები. ისეთი კაცი იყო მოწვეული იქ ასისტენტათ, რომელსაც თავზე ბალანი არ აქვს, ეს არის ჩხენკელი. მოწვეული იყო, როგორც ბატანიკოსი. ამ კაცს არაფერი მომავალი არ აქვს, გარდა სიკვდი-

ლისა. ნუ თუ ქიმიისათვის არ შეიძლებოდა მოწვევა ახალგაზრდა ასისტენტის, რომ ბებერი არ მოგეწვიათ. როგორ გნებავთ ასეთი ხალხით მოამზადოთ ახალი კადრები. მათთვის მახვილი არის ახალი კადრების წინ წამოწევა (*ადგილიდან: გმადლობთ!*). ეს არის დაცინება. თქვენ გვერდზედ არის მეორე ლაბორატორია, მაგრამ თქვენ ერთი მეორეს არ ელაპარაკებით იმ დროს, როდესაც უნდა იყოს კოლექტიური მუშაობა. თქვენ კაბინეტში კარ ჩაეტილი ხართ. ეს არ შეიძლება, არ იქნება იმიტომ, რომ ეს აბრკოლებს საქმეს. შემდეგ. ვათავებ, უკანასკნელად რა მინდა შევეხო აქ გამოსულ არატორს ბერძენიშვილს. მან სთქვა, რომ მე ვიყავი რევოლიუციონერი, ვარ რევოლიუციონერი და ვიქნები რევოლიუციონერი, მაგრამ მე მაქვს ღრმა პატივისცემა პროფ. ჯავახიშვილისადმი და თავი დახარა მის წინაშე, რეაქციონერი პროფ. წინაშე. მას უნდა, რომ არც შამფური დასწვას და არც მწვადი, მაგრამ რევოლიუციამ დასწვა მწვადი და დასწვა შამფურიც და გაიმარჯვა რევოლიუციამ (*ტაში*).

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეძლევა *თოიძეს*.

თოიძე: ამხანაგებო, მე ვიყავი ამხ. ვაშაყმაძის მიერ მოხსენიებული, თუ როგორი პრინციპისა და დებულების მომხრე ვარ. ამხანაგებო, არასდროს გადახრაში არ ვყოფილვარ. სდგას საკითხი, ვარ საბჭოთა ხელისუფლებასთან, კომუნისტურ პარტიასთან თუ არა. დღიდან საქ. გასაბჭოებისა მე ვიდექი სახალხო ხელოვნების პრინციპზე პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის, მხოლოდ დღეს უფრო გართულებულია პირობები, მაგრამ ამით უფრო განმტკიცდება საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც, უნდათ რომ ხელი შეუშალონ ჩვენმა მტრებმა. უფრო გართულებულია პირობები, რომელსაც ჩვენი ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ აწარმოებენ გააფრთებულ შეტევას. მე, ამხანაგებო, მინდა შევეხო მსახიობთა ხელოვნების დარგს. ყველა მხატვარი სხვა და სხვა მიმართულების არის, განსაკუთრებით ორი დებულება არის. პირველი დებულება წარმოიშვა იდეოლოგიური მსოფლმხედველობით. ეს იყო ხელოვნება ხელოვნებისათვის. მეორე დებულება იყო ხელოვნება პროლეტარულ რევოლიუციისათვის. პირველი დებულების მუშაობა არის ოპოლიტიკეტური, თავისი თეორიით ეს იყო ჩვენთვის მიუღებელი. ამან დაკარგა თავისი ღირებულება. მეორე დებულებით აუცილებლად საჭირო იყო პროლეტარიატის იდეების განმტკიცება ქ... და შინაარსის. მთელი ეს მსახ ... დამტკიცებულია. ხელოვნების დარგში მოხდა ერთგვარი გარდატეხა, რომელიც გამომხატველია კლასობრივი ბრძოლის. მართალია, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ჩვენ გადავედით სრულიად მარქსისტულ იდეოლოგიაზე, მაგრამ დღევანდელი მიღწევები კი სრულიად თვალსაჩინო არის. გუშინ კაკაბაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, თურმე საქართველოში არ ყოფილა იდეოლოგიური მარქსიზმი 1925 წლამდინო. ეს ისტორიის დამახინჯებაა. კაკაბაძის მიერ დაწერილი თეორეტიული წერილი იდეოლოგიური თვალსაზრისზედ, ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთ ერთ ამონაწერს ჟურნალ მნათობიდან (*კითხულობს*) (*ხმაუროა, არ ისმის*).

თითქოს საქართველოში არ იყოს წინააღმდეგობა, გვახსოვს, რომ პლაკატები კომუნისტური პარტიის მიერ გამოფენილი სასა... როგორც ისტორიული ზეიმი პროლეტარული რევოლიუციის. ეს არის მაგ. ჩვენი გზა იდეოლოგიური ფრონტის ბრძოლისა. მე მოვიყვან მეორე ფაქტს. საქ. გასაბჭოების დროს ... პარტიას და შემდეგ წლებში ვის არ ახსოვს თბილისის ქუჩები უზარმაზარი პლაკატებით მოფენილი იყო და განა ეს მხატვრობა არ არის. აგრეთვე ასეთი მხატვრობას ვეწეოდით ჩვენ სხვადასხვა მხარეებში. შემდეგ კაკაბაძე რომ დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან, იდეოლოგიური მხატვრობისათვის ბრძოლა დაიწყო. ეს იცის ამხ. ბ. ბუაჩიძემ და სხვა ამხანაგებმა და ამას თავის დროზე კიდევაც არ აღნიშნავდენ. რაც შეეხება რეგმას და სარმას, რომელიც ჩვენ ასოციაციაში გვაქვს, რა თქმა უნდა, შეცთომა იყო, მაგრამ ამავე დროს დიდ მითქმა მოთქმას ქონდა ადგილი სარმას ხელმძღვანელის შესახებ, მაგრამ არ არის მართალი ეს. მის ირგვლივ დიდი პროლეტარული ახალგაზრდობა იყრის თავს და

დღეს ჩვენ ვხედავთ სარმებს დარაზმულებს. ჩვენ გვიყვარდა და გვიყვარს მხატვრები მებრძოლი პროლეტარიატის რიგებში გადასული. ჩემი დიდი სურვილია, რომ სარმასი და რევმასის გაერთიანება მოხდეს და რომ განმტკიცდეს პროლეტარული ხელოვნება. ეს კიდევ იმას მოწმობს, რომ ჩვენ კიდევ ვამზადებთ კადრებს პროლეტარულ ასოციაციაში და მე, როგორც რევმასის თავმჯდომარე, მიღებული მაქვს ცნობები, რომ საკავშირო რევმასი გადაკეთებული იქნება პროლეტარულ ასოციაციად და ის განაგრძობს ბრძოლას ხელოვნების ფრონტზე. მე გამოვსთქვამ სურვილს ამ ორი ასოციაციის გაერთიანებისას, რომელიც მიზნად ისახავს მუშათა კლასის საქმეს პროლეტარული კულტურის განმტკიცებას და მსოფლიო ოქტომბრის გამარჯვებისათვის (*ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა *პროფ. მოსეშვილს.*

მოსეშვილი: ამხანაგებო, მე ასეთ დიდი აუდიტორიას არ ვარ დაჩვეული, ამისათვის გთხოვთ, სიწყნარე და მომისმინეთ (*ბმაურობა*).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, ამხანაგებო, დაწყნარდით და მოუსმინეთ.

მოსეშვილი: უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ იმ მოწაფემ, რომელმაც მე მშვენივრად შემამკო, მას მე თითქმის ორი წელიწადი კარგათ უცლიდი (*ბმაურობა*. ნურავის ნუ ეხებით!). დაწყნარდით და მომისმინეთ. მომეცით საშუალება, რომ ვილაპარაკო (*სიცილი*). მომეცით ნება, რომ ვილაპარაკო ისე, როგორც მე მომესურვება და არა ისე, როგორც თქვენ მოგეპრიანებათ (*რეპლიკები*).

თავმჯდომარე: მე რეპლიკებს ვერ აუკრძალავ. პროფესორო, ილაპარაკეთ არსებითად.

მოსეშვილი: როდესაც ასპირანტი ხ... გამოვიდა, შემეხო მე, მე ხელს არ უშლიდი. აქ აღნიშნული იყო, რომ თითქოს ჩემთან მოსულიყვენ სტუდენტები და მე შემეკითხოს მათთვის — იცით თუ არა ენები. მე ეხლაც ყველას ურჩევ, რომ ისტორიისათვის საჭირო არის ენების შესწავლა (*ბმაურობა*). რას მიშლით ხელს, მე არავის არ გავექცევი და მე ვლაპარაკობ, რომ ის, ვინც მოსულა ობსტრუქციის მოსაწყობად, თქვენივე მხრივ იქნებიან გაყვანილი. მე, ამხანაგებო, ყოველთვის ურჩევ უცხო ენების ცოდნას სტუდენტებს იმიტომ, რომ უცხო ენების ცოდნა საჭიროა. ისე ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამენ და მას ურჩევდი და ურჩევ ეხლაც. ამით არავითარი საბუთი არა აქვს აქ გამოსულ არატორს ყოფ. ჩემ მოწაფეს, რომ ეს სთქვას, თითქოს მე ხელს არ უწყობდე კადრების დაწინაურებას. არ ვიცი, რა საბუთი აქვს და რით ლაპარაკობს, როდესაც ის ამბობს, რომ ცაგარელი გაიქცაო. ცაგარელი არ გაქცეულა. შემდეგ უნდა ითქვას, რომ პროფესორობა არც ისე ადვილია. ცოტა უნდა გაისარჯოთ, იმუშაოთ და მერე მიაღწევთ პროფესორობას. მანჯგალაძე ჩვენმა კათედრამ აღზარდა და წავიდა იმიტომ, რომ მან უფრო უკეთესი ადგილი იშოვა. თუ თქვენ გგონიათ, რომ გაპროფესორობა ჩემი საქმეა, ეს ტყუილია. ეს არის პროფესურის საქმე. წელან ილაპარაკა ერთმა ასისტენტმა, რომ თითქოს მე წინააღმდეგობას უწევდი დაწინაურებას და მოიყვანა ფაქტად ერთი ამხანაგი. მაგრამ, უკაცრავად, რა გააკეთა იმ კაცმა (*დარაზში დიდი ბმაურობაა*). როდესაც შემოდის ახალგაზრდა ასისტენტი დაწესებულებაში და, მით უმეტეს, ლაბორატორიაში და, მით უმეტეს, ქიმიურ ლაბორატორიაში, მას უნდა დიდი შრომა, უნარიანობა, დიდი ყურადღება და დიდი გაგონება თავისი მასწავლებლისადმი. ერთი ფეხის გადადგმით არ შეიძლება ასისტენტი რომ გახდე. ასისტენტი ხუნდაძე ჯერ სექტემბერში მოვიდა და როგორ შეიძლება რომ ლექციები წაიკითხოს. ამის დავალებას მას მე ვერ მივცემ. თუ დართავს ნება პროფესურა, თქვენი ნებაა (*ადგილიდან*: ეხლა ჯგუფი რომ მაბარია?). არეკაძეს ჩვენ ჯერ ვერ დავავალებთ იმის გაკეთებას, რაც მას არ ძალავს. გიორგი თავზარაშვილმა კარგათ სთქვა. რაკი მათქმევინებ, ვიტყვი. საერთოდ ოთხი თვის განმავლო-

ბაში ასისტენტს არ მიაჩნია დირექტივების შესრულება. არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე, არც კი მოდის სამუშაოდ. მე სხვა დეკანი არ მომიწვევია, ვინაიდან ინსტიტუტში იყო ახალი გამგეობა დანიშნული. მე არ მინდოდა ახალ ამბათ მიმეხარებინა, რომ ეს კაცი არ მუშაობს. მე ვფიქრობდი, რომ ახალგაზრდა არის ეს კაცი და გამოსწორდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კაცი არ ასრულებს თავის მოვალეობას. მე არ შემიძლიან სიმპატიით ველაპარაკო. რამოდენიმე ჯერ თავზარაშეილს მოვახსენე, მთელი დღეობით არ მოდის, მე ეს დაუშვებლად მიმაჩნია. აქ არის აუცილებლად საჭირო მუშაობა. ეს როგორ ხდება, უნდა გაიგოთ, როგორი მდგომარეობა არის, ესეც უნდა იცოდეთ (*ხმაურობა. ჩვენ ეგ არ გვინდა!*).

თავმჯდომარე: ეს არ არის პრინციპიალური საკითხი, თქვენ ილაპარაკეთ კადრების მომზადების შესახებ.

მოსეშვილი: მე მოგახსენებთ, თუ როგორ მესმის კათედრაში მუშაობა. აუცილებლად ეს დირექციამ უნდა გაარჩიოს. ეხლა გადავალ პრინციპიალურ საკითხზე. კადრების მომზადება ექსპერიმენტის დარგში და შემდეგ ქიმიაში როგორ ვაწარმოვებ, თქვენ უნდა იცოდეთ. თორმეტი წელიწადია, რაც აქ ვმუშაობ. ამის შესახებ არის ოქმებში შეტანილი. აგრეთვე იცის კარგათ განათლების კომისარიატმა და უფრო მაღლაც. თქვენ თუ გგონიათ, რომ მე მძინავს, ეს არ არის მართალი. მე ვამუშავებ წიგნს. ჩემი მდგომარეობა საშინელი არის. ამის შესახებ მე დირექციას მოვახსენე, აუხსენი, იქ რა მდგომარეობა არის ჩემს კათედრაში. მე აქ ვკითხულობ ლექციებს და სამ ვერსზე კი მაქვს ლაბორატორია. ეს შეუძლებელი არის, ამის შესახებ პროფ. ვაშაყმაძეს თავის დროზედ გავახსენე. აგრეთვე ფინანსიურ დარგში უბადრუკული მდგომარეობაა, დღეს ჩვენ გვჭირდება ფული სამუშაოდ (*ხმაურობა. კადრების შესახებ გვითხარი!*). გეტყვით მე კადრების შესახებ. იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც ჩვენ ვიმყოფებით, არ შეიძლება კადრების მომზადება. არა თუ მარტო ჩემ კათედრაში არის ასეთი მდგომარეობა, სხვა კათედრებიც არ ვარგა. ქალალდი მოვიდა მოსკოვიდან. მოსკოვში ვწერდი, რომ კადრების მომზადების საქმე მეტის მეტად უმწეო მდგომარეობაშია იმიტომ, რომ არ გაგვაჩნია ლიტერატურა და ჩვენ გვჭირია უფრო მეტი ლიტერატურა, ვინემ ეს ეხლა არის. ეს საკმარისი არ არის. რაც შემიძლია ჩემ ლაბორატორიაში მე სტუდენტებს ვასწავლი იმას, რის საშუალებაც მაქვს და როდესაც მელაპარაკებიან, რომ წიგნები არ დგიწერიაო (*ადგილიდან: თქვენი დაპირება წიგნების დაწერის შესახებ სად არის?*). ფიზიკური შესაძლებლობა უნდა ქონდეს კაცს, რომ დასწეროს რაიმე შრომა. მე თქვენ ამით ვერ შემაშინებ.

თავმჯდომარე: ეხლა, პროფესორი ილაპარაკებს ჭაობში მოქცევის შესახებ.

მოსეშვილი: ჭაობში კი არასდროს არ მიგვრძვნია თავი და არც ვიგრძნობ. მე მხოლოდ მაღლობებზე ვატარებ დროს. აი, პროფ. ვაშაყმაძემ იცის ის, რომ მე ბახმაროზე ვიყავი და მაღლობი ადგილები მიყვარს (*ვაშაყმაძე: პოლიტიკური ჭაობიც არის. ბმები ადგილიდან: მართალია, მართალია!*).

თავმჯდომარე: პროფ. ვაშაყმაძემ გაახსენა, თუ რაზე უნდა ილაპარაკოს. თქვენ კი დაწყნარდით, ნუ ხმაურობთ.

მოსეშვილი: მე არ ვარ მარქსისტი და, საუბედუროთ, ვერ მოვიცალე ამისათვის და თუ მოვიცლი, შევისწავლი. მე ყველას ურჩევ, რომ მე თვითონ ბუნების მეტყველი ვარ და ყველას ურჩევ, ბუნების მეტყველება შეისწავლოს და თქვენც გირჩევთ ყველას. ბუნების მეტყველების ცოდნა აუცილებელია. ახლეთ თუ გნებავთ დიდი დარგები, ნახეთ და წაიკითხეთ, რომ მას კარგათ აქვს შეთვისებული ბუნების მეტყველება (*ადგილიდან: ძირს, ძირს!*). რასაკვირველია, ჩამოვალ, ტრიბუნაზე, ხომ არ დავრჩები (*ორატორი ჩამოდის*).

თავმჯდომარე: კრება წყდება ათი წუთით.

ამხანაგებო, ჩვენ მივცეთ განცხადებისათვის სიტყვა პროფესორებს უკანასკნელი ორატორების შემდეგ. უკანასკნელი სიტყვა უნდა მივცეთ ამხ. მელიქაძეს და ამით კამათი შესწყდება. სიტყვა ეძლევა *ამხ. მელიქაძეს.*

მელიქაძე: ამხანაგებო, მომხსენებლის მიერ გაკეთებული ... როდესაც მთელი რიგი პედაგ. პერსონალის მოთავსებული იყო ჭაობში. მათი მოთავსება აღნიშნავდა მათ პოლიტიკურ მოღვაწეობას. მათი თანამედროვე მოღვაწეობა. ხელისუფლების მეცნიერებისათვის ეს განსაკუთრებულ მოვალეობას შეადგენს, მოსთხოვოს ჭაობში მყოფთ პროფესორებს, გამოსულიყვნენ და ელიარებიათ პოლიტიკური მრწამსი, თუ როგორ გზას ადგანან. გიგანტიურ მშენებლობას, რომელსაც საბჭ. ხელისუფლება აწარმოებს, ეს გიგანტიური მშენებლობა საბჭ. კავშირის სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში სწორედ ამ დროს ამ ჭაობებს ავსებს. ესენი ძალიან ჩლუნგათ მოჰყვებიან ჭაობის ქვეშ. რომ ისინი არ მოჰყოლოდენ ამ ჭაობის ქვეშ, მათ უნდა ელიარებინათ, სად არიან ისინი. მე მინდა თქვენი ყურადღება განსაკუთრებით მივაქციო პროფესორ გ. ჩუბინიშვილს. არც ისეთი პატარა პროფესორი არის, რომ მის შესახებ არაფერი ითქვას. აქ იყო ნათქვამი პროფ. ჯავახიშვილის შესახებ, მისი მეთოდოლოგიის და ემპირიზმის შესახებ, ჯავახიშვილის რეაქციონერობის შესახებ. პროფესორი ხელმძღვანელობს და დიდი მეგობარია ჩუბინიშვილის და სწორეთ ამ ჩუბინიშვილს შორს ვერ დავაყენებთ. ეს უნდა იდგეს ჯავახიშვილის გვერდით. ჩვენ, ამხანაგებო, გვაქვს მისი შრომის რამოდენიმე თავი ქართულ ხელოვნების ისტორიიდან. თქვენ, ამხანაგებო, შეგიძლიათ განსაჯოთ თვითონვე. აქ ლაპარაკია ძველ ჯვარზე, ახალ ჯვარზე, მცირე ჯვარზე (*კითხულობს*).

როგორ სვამს საკითხს აქ, რას ლაპარაკობს თავის ნაშრომში? ის ლაპარაკობს, თუ რამდენი ყუთი აქვს, რამდენი გუმბათი აქვს ეკლესიას და ვერ ნახავთ ერთ ადგილს, სადაც საყდარზე არ იყოს ლაპარაკი და აგრეთვე ვერ ნახავთ ისეთ ადგილს, რომ სადმე იყოს ნახსენები, თუ რატომ აშენდა ეს საყდარი და რომელ საზოგადოებრივ ფენას ესაჭიროებოდა. რატომ იყო სხვადასხვა დროს სხვადასხვა სტილის. რატომ ხდებოდა სტილის შეცვლა, თუმცა პროფ. ჯავახიშვილს შემდეგ არაფერი არ უთქვამს. თუმცა ძალიან მცირეა, მაგრამ შეიძლება მაინც მისი მოყვანა აქ, სადაც პროფესორი ბიუ... ეძებს რაღაც დასაბამს, გვერდი 10. აი, მე თქვენ წაგიკითხავთ (*კითხულობს*).

რას ნიშნავს, ამხანაგებო, ეს, სად იწყება, ვინ მისცა დასაბამი, ვინ დაიწყო ეს ფილოსოფია? ეროვნული კულტურული ძალის გამაერთიანებელი არის რელიგია ან და როდის ხდებოდა საზოგადოების გაერთიანებისათვის რელიგია იყო საჭირო, ქრისტიანობა იყო საჭირო. მე ვლაპარაკობ, რომ ჩვენ ერი არ გვესმის ცალკე უკულტუროთ. შემდეგ, ამხანაგებო, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ აქ და სად მიდის ეს ამ მე-4 საუკ. მეშვიდე მერვე საუკუნამდე მიდის და მხოლოდ და მხოლოდ რელიგიით გამოდის ხელოვნების ნიმუშების ასახსნელად. ბევრი არ არის, არის სულ ორი სამი, რომელსაც ახასიათებს ემპირიზმი, რომელიც მშრალ ნარკვევებს იძლევა ძველი დღევანდელი პირობები. გარდა ამისა, ამხანაგებო, რომ პროფ. ჯავახიშვილის დაწერილი წიგნები არ შეეგუება დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას. ამიტომ მე მინდა მოვიყვანო რამოდენიმე ფაქტი მისი მოღვაწეობისაგან. ყველაფერი ის, რაც სამხატვრო ინსტიტუტში ანალოგიური მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტში, რეორგანიზაციის დროს მარქსიზმის შემოჭრის შემდეგ. ეს პროფესორი წინააღმდეგი იყო მარქსიზმის შემოჭრაში. ის წინააღმდეგი იყო საბჭოთა ელემენტების. როდესაც ჩუბინიშვილი სამხატვრო ინსტიტუტში მუშაობდა, ის ატარებდა თავის პრაქტიკულ მოღვაწეობას 27 წლამდე. ათასჯერ მისულა ჯგუფი ამხანაგებისა და სამი ოთხი წლის განმავლობაში სისტემატიურად მიდიოდნენ მთელი რიგი ამხანაგებისა, კომუნისტები და კომკავშირელები, რომ მიღებული ყოფილიყვნენ ამ ინსტიტუტში, მაგრამ არ ღებულობდენ. მათი მიღების ფაქტი 27 წლამდე ვერ ვნახეთ. 27 წლიდან მოხდა ამ უნივერსიტეტში გარდატეხა. ამ უნივერსიტეტში არ იყვნენ ჩვენი წრიდან გა-

მოსული ახალგაზრდობა. ამხანაგებო, არ შემიძლიან მე კიდევ გამოვტოვო სხვა პროფესორები, რომლებიც მოქცეული არიან სხვა და სხვა ჯგუფში, პროფესორი ლ... რომელიც აწყობდა საიდუმლო კენჭის ყრას. ასეთი პროფესორი ჩვენ ვერ აგვიზრდის ახალ კადრებს. ესენი აუცილებლად გადარიცხულნი უნდა იქნენ რეაქციონურ ბანაკში (*ბანგრძლივი ტაში*).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, წინადადებაა შემოსული, შევწყვიტოთ კამათი და საბოლოო სიტყვა მივცეთ ამხ. ვაშაყმაძეს. ვინ არის ამისი მომხრე (*მიღებულია ერთხმად*).

სიტყვა ეკუთვნის ამხ. ვაშაყმაძეს (*ბანგრძლივი ტაში*).

ვაშაყმაძე: (*მჭუხარე ტაში*). ამხანაგებო, უკვე ოთხი დღეა, რაც ეს ზალა გაჭედილია ხალხით და ისმენს ჩვენი მეცნიერული ძალების გამოაშკარავებას და გამომზეურებას და სასტიკ ბოლშევიკურ კრიტიკას. ოთხი დღეა, რაც ტფილისის საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენს ამ საქმისადმი და მართალია ეს. მართალია ის, რომ ტფილ. უნივერსიტეტს ასეთი ამბავი არ სმენია და გასაკვირი არ არის, რომ პროფესორებში დიდი ყვირილი, დიდი წუწუნი, დიდი ცრემლების ღვრა გაისმის, რომ მოხვდათ მათ თვითკრიტიკა. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ეს ძალიან დაგვიანებულია იმიტომ, რომ ჩვენ თითქმის მეთოთხმეტე წელს ვამთავრებთ და დღეს თუ ხვალ საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავს ვიდღესასწაულებთ და ჩვენ კი ეხლა ვიწყებთ პროფესორების ფიზიონომიის გამოაშკარავებას. თქვენ კარგათ იცით, რომ ყოფილი უნივერსიტეტის ლექტორები დღიდან დაფუძნებისა ჩვენი უნივერსიტეტისა, ზოგიერთის გამოკლებით მუშაობდენ და მათთვის, რა თქმა უნდა, ეს ახალი ამბავია. დღემდე მათ შესძლეს თავიანთი ფიზიონომიის დამალვა, დღეს კი ჩვენ გამოვააშკარავეთ მათი მოქმედება და მიუთითებთ სწორ გზას. უნდა მოგახსენოთ, რომ მათი აქ გამოსვლა უსაფუძვლოა დღევანდელ ისტორიულ მომენტში. როგორც იცით, ჩვენ ასეთი გამოსვლებით არ ვკმაყოფილდებით. ნუ თუ ასეთი ისტორიულ მომენტის მნიშვნელობას ვერ ამჩნევენ და ვერ ამჩნევდენ დღემდე. აქ ბევრნი იძახდნენ, რომ უნივერსიტეტი ეს არის მეცნიერების ტაძარი და აქ, რა თქმა უნდა, ვზრდით უდიდეს კადრებს სოციალ. მშენებლობისთვისო, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე, ამხანაგებო, წილათ მზედა მუშაობა იმ კომისიაში, რომელ კომისიაშიც საკითხი იდგა უნივერსიტეტ დამთავრებულ ხალხის და რომელ კომისიის თავმჯდომარეც მე ვიყავი. თუმცა ეს იმას მოწმობს, სახ. უნივერსიტეტი თავისი წარსულით, მისი ისტორიით დამახასიათებელია იმ მოქმედებით, რომელიც მე აქ ჩამოვთვალე. საბჭ. ხელისუფლება და პარტია დაადგა ამ ჭაობის ამოშრობას. საჭირო არის შემოტანა პროლეტარული სულისკვეთების (*ბანგრძლივი ტაში*). აი, სწორედ ჩვენ მოვალეობას შეადგენს, შეეპყრათ ჩვენი პროფესორები. ჩვენ გვინდა გამოვზარდოთ ახალი პროლეტარული კადრები. ამ უნივერსიტეტში, სადაც იჭედება პროლეტარული რევოლიოციონური მეცნიერება, სოციალისტური მეცნიერება, უნდა იყოს დამცველი პროლეტარიატის. აი, მე ვამბობ, აქამდეც ვერ ჩავატარეთ რეორგანიზაცია, რადგან არ გვქონდა სათანადო მომზადებული ძალები, მაგრამ ეხლა უკვე გვყავს ძალები და 30 წელში ჩვენ მოვახდინეთ უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. რეორგანიზაცია ჩატარებულია როგორც ორგანიზაციულად, ისე იდეოლოგიურ ფორმებში. ამას დასჭირდა, რასაკვირველია, დიდი მუშაობა. და სწორედ რეორგანიზაციის დამთავრების შემდეგ ჩამოგვეყალიბებინა ახალი ფორმები უნივერსიტეტში და სწორედ ამის შემდეგ ჩვენს უნივერსიტეტში შეუდექით პროფესორების განცხრილვას. თუ რას წარმოადგენენ ისინი, რომელიც გვიზრდიან ახალ კადრებს. მეცნიერებაში არ იყო კარგი მუშაობა. მე აქ მომიწვიეს. უნივერსიტეტში ჰქონდა ადგილი დახავსებულ იდეოლოგიას, უშინაარსოს და რასაც სახ. უნივერსიტეტში ქონდა დიდი გასავალი (*ტაში. არ ისმის*).

აი, ამ შრომაში ჩვენ ვხედავთ მიღწევებს მეცნიერების სიტყვებით, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეზე მაღლა არ სდგას დღევანდელი დისკუსია არის ისტორიული დისკუსია. განდევნილია ძველი

სახ. უნივერსიტეტი. ეხლა აქ შემოიჭრა პროლეტარიატი და კომუნისტური პარტია, კომპარტიის იდეოლოგია (*ბუნტარძლიში ტაში*). ნურას უკაცრავათ, თუ მოლიბერალო მეცნიერები და ძველი კულტურის წარმომადგენელნი ასეთ კრიტიკას ბოვშურ ახალგაზ... ეძახიან. მე მგონია, შემთხვევითი არ არის. ერთ ერთი პროფესორი, რომელიც არ მოვიდა დისკუსიაზე და სთქვა, რომ მე იქ რა უნდა ვსთქვა, იქ ციგნობააო, მე უნდა ვსთქვა, რომ ეს პროფესორი ღირსი არ არის, რომ მუშაობდეს პედაგოგიურ ინსტიტუტში. თქვენ, მართალია, მეცნიერი ხართ, მაგრამ ვერ გაიგეთ, რომ ჩვენ აღარ ვციგნობთ. აქ არის პროლეტარული მეცნიერული მუშაობა. მეცნიერული მუშაობა მჭიდროთ არის დაკავშირებული პროლეტარიატთან. ჩვენ ვზრდით ახალ კადრებს დღევანდელ პირობისათვის, რადგან თქვენ ეს ვერ გაიგეთ, ღირსი არა ხართ, აქ იმუშაოთ. დღეს აქ მოხდა გასაბჭოება უმაღლეს სასწავლებელში, რომლებიც ჩამოსულნი არიან და რომელსაც პატივს არ სცემენ ჩვენი პატივცემული პროფესორები და არ სურდათ მათთან საუბრის გამართვა. მიუხედავად ამისა, ჩვენი კომუნისტური ძალები წინ მიდის და კიდევ უფრო მეტი სიმარდით წავა წინ (*ტაში*).

დასკვნა. მტკიცება, რომ მეცნიერული ძალები, კომუნისტური ძალები, ახალგაზრდა კადრები, როგორც თქვენ აქ დაინახეთ, არ არიან ბავშვები, არამედ ისინი არიან უმაღლეს მწვერვალზე ასულნი. ჩვენი პროფესორები თავისი აპოლიტიკური გამოსვლებით სცდილობდენ, რომ დაემტკიცებინათ, რომ ისინი არაფერ შუაში არ არიან, მაგრამ როგორც თქვენ აქ დაინახეთ, მათ აჯობა ახალგაზრდა მარქსისტულმა ძალებმა და თამამად ჩაატარეს გაკვეთილი. აქ თამამად ილაპარაკა ამხ. შარიამ და სწორად გამოსთქვა აზრი და მართალი იყო ის, როდესაც ნუცუბიძე ლაპარაკობდა, მე, როდესაც მარქსისტი ვიყავი, თქვენ მაშინ პროტაპლაზმებიც არ იყავითო, შარიამ ამაზე უპასუხა, რომ ეს პროტაპლაზმები გაიზარდა, გამრავლდა და ეხლა შენ დაგამარცხაო (*ტაში*).

აი, სწორეთ აქაც ასე სდგას საკითხი. ჩვენი კომუნისტური მეცნიერული ძალები გაიზარდენ როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად და უფრო წინდაწინ მიდიან, როგორც თქვენ აქ დაინახეთ მათი გამოსვლებიდან და კითხვა-პასუხიდან. თქვენ დაინახეთ აშკარად, რომ ჩვენ უკან არა ვართ, არამედ უფრო წინ. ამისი მტკიცება მგონი ზედმეტია. როგორც ხედავთ, ძალები უფრო ჩვენს მხარეზეა, ვინემ მათ მხარეზე (*ტაში*). ჩვენმა მტრებმა — მენშევიკებმა უნდა გაიგონ, რომ დადგა დრო და მონოპოლია აიღო მარქსისტულ მსოფლმხედველობამ. თავი მონოპოლიათ გამოაცხადა მარქსისტულ იდეოლოგიამ. მე ჩემი მოხსენება, რომელსაც სამი საათი მოვანდომე, განგებ გავაგრძელე, რომ ის მეცნიერულად გამეხადა.

მე არ მინდოდა, რომ ეთქვათ, აქ პოლიტიკური ანაბანა მოგვცაო. მე მინდოდა, რომ სწორათ გაეგოთ აქ ეს საკითხი და სხვანაირი ხასიათი არ მისცემოდა მას. ბევრმა ვერ გაიგო ჩემი პირველი მოხსენების ადგილი, სადაც მე ვსთქვი — სოციალისტური ძალთა განვითარებაში ორი ტენდენცია არის-მეთქი, კაპიტალისტური და სოციალისტური ტენდენცია, ერთი მეორეს გამორიცხავენ-მეთქი. და ის თანამგზავრობა, რომელიც მე ვსთქვი, შემდეგ უნდა გადავიდეს მგზავრობაზე-მეთქი, როდესაც მე ეს ასე ვსთქვი, მეცნიერ მუშაკებმა აქ გაიგეს სხვანაირად. სხვანაირად გაიგეს ჩემი პრობლემა და სთქვეს, რომ პროფ. ვაშაყმაძემ ... ობიექტური მიდგომა გვინდა სუბიექტური გაზომვით. ჩვენი მეცნიერები ამაში შემცდარნი არიან, რომ მოყვა ჭაობში და მემარჯვენე და მემარცხენე ჯგუფში. მე თვითეული პროფესორი და მეცნიერი შევისწავლე და ამისათვის მოვახვედრე ან ერთ ჯგუფში და ან მეორე ჯგუფში. მე არ ვცდილობ, რომ ვისმეს შეურაცყოფა მივაყენო. მე აქ ვიდექი ბოლშევიკური თვითკრიტიკის თვალსაზრისზე და ამისათვის დავყავი ასე ჯგუფურად. მოსე გოგიბერიძეს ყველა წმინდანათ სთვლის. ბიძინა რამიშვილმა აღიარა თავისი შეცდომა და ამასაც ეხლა წმინდანს უწოდებენ. ეს არის შეცდომა ჩვენი მეცნიერების. მე ყველას სწორი ანალიზი გაუკეთე და მოვაქციე ამა თუ იმ ჯგუფში.

ეხლა მე მინდა შევეხო დედა აზრს ჩვენი დისკუსიისა, რომელიც ჩვენ ჩავატა-

რეთ. რა თქმა უნდა, ჩვენ ამაში გვაქვს უდიდესი მიღწევა. ამაში ჩვენ დავაინტერესეთ არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ძველი მეცნიერები და ყველა შეეცდებიან, თავიანთ მსოფლმხედველობაში მოახდინონ გარდატეხა და შეისწავლონ მარქსიზმი. თვითეული მათგანი ლაპარაკობს, რომ საჭირო არის მარქსიზმის შესწავლა, მარქსიზმის მეთოდოლოგიით გამჭვალვა. თუ ეხლა შევისწავლით, ეს გამოაცოცხლებს ჩვენს მეცნიერულ ძალას, ამას მოითხოვს დაჟინებით ჩვენი ცხოვრება. რევოლიუციონური ქარტეხილი შეეჯრა დრამატიზმით მათ ცხოვრებაში (*ბანგრძლივი ტაში*). აქ უნდა ელიარებინათ, სად იყვნენ აქამდის ისინი. კეკელიძე, რომელიც მოხუცებული არის, უდიდესი ტკივილით აღიარებს, რომ ახალგაზრდობისას მას არ ჰქონდა საშუალება, რომ შეესწავლა მარქსიზმი, მოუწოდებს მთელ ახალგაზრდობას, რომ შეისწავლონ მარქსიზმი. კეკელიძის გამოსვლა არის თუ არა ძველი თაობის გადაფასება და თავისი წარსულის, სცდილობს, შეისწავლოს ახალი ცხოვრება და წესწყობილება. ჩვენში კონდრატიევშჩინა, ეს კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციაა, ჩვენ კი ეს მეცნიერული მუშაკები ვერ აღგვიზრდიან კადრებს. მე გეუბნებით თქვენ, რომ ჩვენ გვესმის კადრების აღზრდა არა ისე, რომ ხელს უშლის საბჭ. ხელისუფლებას, არამედ მათ უნდა აღზარდონ ისეთი კადრები, რომლებიც მთავარ როლს ითამაშებენ საბჭ. აღმშენებლობაში... ჩვენ აქ ვსვამთ კითხვას, შეიძლება კონდრატიევშჩინას ორგანიზაციასა და ამ ორგანიზაციის შორის რაიმე კავშირი იყოს. აი, ასე იდგა საკითხი. ჩვენ დავსვით საკითხი პოლიტიკური იდეოლოგიაზე დადგომის ნიადაგზე. ვსვამთ ასეთ საკითხს, მაგრამ ჩვენმა პროფესორებმა ვერ გაიგეს, ეს მათ არ ესმით. არ ესმით კრიტიკა ბოლშევიკური, რომელი კრიტიკაც ამხანაგური კრიტიკა არის და შემოაქვთ განცხადებები, რომ „შეიძლება ხვალ ლექციაზე მოვიდეთ"–ო. ზოგიერთებმა კი „ატსტავკაც" კი შემოიტანეს, ე. ი. მათ ეს თვითკრიტიკა ესმით ისე, რომ ჩვენ გაგვაკრიტიკეს და ეხლა უნივერსიტეტიდან გაგვყრიანო. როგორც სჩანს, მათ აინტერესებთ არა იდეოლოგიური ბრძოლა, სასტიკი ბრძოლა, არამედ მათ აინტერესებთ მხოლოდ და მხოლოდ ადგილები. ჩვენ დავსვით აქ საკითხი, ჩვენს პროფესურას, ჩვენს დოცენტურას როგორი აზრი აქვთ, რას ფიქრობენ ისინი და იყურებიან თუ არა ძველი ქვეყნისაკენ. აი, სწორედ ასეთ ნაირად იდგა დღევანდელი ჩვენი მოხსენება და ასეთი სახით მიმდინარეობდა ჩვენი დისკუსია ჩვენი მეცნიერული ძალებისა, მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენმა მეცნიერულმა ძალებმა ეს ასე არ გაიგეს და გვერდი აუარეს პირდაპირ საკითხს. ჩვენი მიზანი არის, რომ გამოაშკარავოთ ეს იდეოლოგიური ნაშრომი, ვნახოთ, რა არის შიგ და როგორც აქ გოგიბერიძემ განაცხადა – აიღე დანა და დასჭერი ყველა ის ძაფები, რომელიც შენ გაერთიანებს ძველ ქვეყანასთანო. აი, სწორეთ მეც ვიმეორებ მის აზრს და ასე უნდა მოქცეულიყვნენ ჩვენი პროფესორები. თუ სურთ მათ ჩვენთან მუშაობა, ჩვენთან თანამზავრობა, უკან აღარ უნდა მოიხედონ, ძველი ქვეყანა უნდა დაგმონ. ჩვენ ვსთქვით, რომ გვითხარით, რას ფიქრობთ, ჩვენთან მობრძანდებით სამუშაოდ – მობრძანდით, მხოლოდ გვითხარით, ვისთან მუშაობთ, ჩვენთან თუ მათთან. თუ ჩვენთან, მაშინ უნდა გადაიარაღდეთ და უნდა გვითხრათ, როგორ უყურებთ კონდრატიევშჩინას. აი, ეს უნდა განაცხადოთ თქვენ აქ. მაგრამ როგორ მოხდა, მოხდა ის, რომ გამოვიდნენ აქ პროფესორები...

რა მოხდა თვით პროფესორებში, მეცნიერულ მუშაკებში, რომლებიც აქ გამოდიოდნენ. ყველას ახასიათებდა ის, რაც პირველად მოგახსენეთ, აკადემიური აპოლექტიკი, ტეკლეტიკი, ნაციონალიზმი და სხვა, რაც მე ჩემ შესავალ სიტყვაში ვთქვი, დავახასიათე ყველა აქ გამოსული პროფესორები, რომლებმაც გვითხრეს თავიანთი პასუხი. ყველას ახასიათებს ის დებულება. ამით ვამტკიცებ გამოსვლას თვითეულ პროფესორის, რომ იმათმა ჩასთვალეს პოლიტიკურ სერიოზულ კრებათ.

ეხლა დავიწყოთ მათი გამოქმული აზრის დახასიათება. შევეხები პირველ გამოსულს, რომელსაც მე ვთვლი აბსოლიუტურად არა დამაკმაყოფილებლად და რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს პასუხად იმ საკითხზედ, რომელიც მე აქ დავსვი. ეს გამოსული ხალხი არ გვაძლევდა სწორ პასუხს.

პროფ. გრიგოლ წერეთლის და და ჯავახიშვილის დახასიათება სწორია და ყველა გამოსული ამხანაგები გრიგოლ წერეთელს და ჯავახიშვილს ახასიათებდენ როგორც რეაქციონერებს. ამ კრებას არ დაესწრნენ. ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ის გრიპით გახდება ავად და კარში არ გამოვა მანამ, სანამ კრება არ დამთავრდებო, აგრეთვე არ გამოუგზავნია წერილობითი განცხადება. აგრეთვე მან 29 წელში პოლონეთის საწინააღმდეგო პროცესში ხელი არ მოაწერა. ეს მოწმობს, რომ ის არის ძველი ფეოდალიზმის წარმომადგენელი, როგორ გამოგვიზრდის ჩვენ ახალგაზრდა კადრებს სოციალისტურ მშენებლობისათვის? ვერ გაგვიზრდის ჯავახიშვილი. ბევრი გამოდიოდნენ და ლაპარაკობდნენ, ჩვენ ჯავახიშვილს პატივს ვცემთ, მაგრამ მეთოდოლოგიური კავშირი არ გვაქვსო. ეს განცხადება მოწმობს სწორედ პოლიტიკურ ფრაქციის მუშაობას. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიის და მის სკოლის მომხრეებს ლექტორებს ახასიათებს ჯავახიშვილის მეთოდოლოგია. ისინი ჩვენ უნდა გადავისროლოთ მე-17 საუკუნეში. არც დიდი საქმე არის მისი გაკრიტიკება. აქ გამოდის დახასიათება, როგორც ნაციონალური, რომელიც დაჯგუფებაა პროფესორებში. მისი დახასიათება, როგორც ნაციონალისტისა, არავინ არ შეეცადა. ხუნდაძის გამოსვლა, როგორც კომუნისტური პარტიის წევრი მემარჯვენე პროფესურაზე, ერთი სიტყვაც არა სთქვა. ჯავახიშვილი, რომელიც ერთ ერთ ჯგუფს მეთაურობს, მის შესახებაც არაფერი სთქვა. ეს არის მისი უდიდესი შეცდომა. ეს არის ტროცკიზმი, რომელიც იყო ჩვენს პარტიაში. იმ კავშირში, რომელი კავშირიც ახასიათებს იმ მოწაფეებს, რომელიც გამოვიდნენ აქ და ივ. ჯავახიშვილის შესახებ ილაპარაკეს და დაიცვეს ის. იმათმა საკითხს მიუდგენ დვურუშნიკულად, ივ. ჯავახიშვილს არაფერი ეწყინოსო. და აი, სწორეთ უნდა აღვნიშნო შემდეგი: ივ. ჯავახიშვილმა წერილობითი განცხადება გამოგზავნა თუ არა აქ, რომ მას სხდომაზედ მოსვლა არ შეეძლო. მან განცხადება არ გამოგზავნა და არც ღირსათ სცნო ძველ ფეოდალურ პროფესორმა, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა. და ის, ვინც ჩვენთან არ იკადრებს მოსვლას, არ უნდა ჩვენთან თანამშრომლობა, ასეთი პიროვნება ჩვენ არ გვინდა. ჩვენ სათანადოთ გავიზარდეთ. განა ვინმე იტყოდა იმას და ან წარმოიდგენდა, რომ პროფ. ნუცუბიძე, რომელიც ითვლებოდა ერთ ერთ კარგ ორატორათ და ყოველთვის ტაშის კვრით ადიოდა ტრიბუნაზე და ტაშის კვრით ჩამოდიოდა, აქ კი პირიქით მოხდა. ეს იმის მაჩვენებელია, ჩვენი სტუდენტების ზრდის და უნდა გითხრათ, ჩვენ არ შეუშინდებით ეხლა ისეთ ორატორებს და მედგრათ შევებრძოლებით მას და უფრო დიდი ნაბიჯით წავალთ წინ. ჩვენ მართლაც მოვამზადებთ იმ კადრებს, რომელიც ესაჭიროება სოციალისტ. მშენებლობას, მაგრამ არ შემიძლიან არ გამოვსთქვა ის აღშფოთება, რომელსაც კრება გამოსთქვამს. კრება უდიდეს აღშფოთებას გამოსთქვამს, რომ მან არაფერი არ გამოგზავნა აქ.

ეხლა მე გადავდივარ ცოცხალ ხალხზე. ეს ხალხი მკვდარია, რომლებიც, მართალია, ცოცხალი არიან, მაგრამ ბევრი აკლიათ სიცოცხლის (*ადგილიდან*: კანდიდატებია). ავიღოთ ჩვენ პროფ. პოლიექტოვი. პროფ. პოლიექტოვი, მართლაც მას თუ შევხედავთ ჩვენ, ის მოხუცებულია და პოლიექტოვთან ჩვენ უფრო ლმობიერი უნდა ვიყოთ და კრიტიკის ქარცეცხლში არ უნდა გავატაროთ. მან ჩაიდინა შეცდომა, რომელიც მისი ნაშრომიდან გამოსჭვივის. ის არის გაჟღენთილი რუსული ნაციონალიზმით, უყვარს რუსული ნაციონალიზმი. ამავე დროს ვსთქვი, რომ მას აქვს ნაწერი .... როგორც გადმომცემენ სწავდაო. მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ თითონ მომიტანა მან ეს წიგნი და რომლის წაკითხვის შემდეგ ავათაც გავხდი. ავათ გავხდი არა ფიზიკურად. შეცოდებით ლაპარაკობდენ ჩვენი პროფესორები. 1917 წელში ოქტომბრის წლებში ასეთი წიგნის დაწერა მეთოდოლოგიურად ეს არის ზღაპრული, ვინემ მეცნიერული. ივანე ჯავახიშვილის ნაწარმოებში...

მეტეხი რუსეთიდან მოდის საქართველოში მოქალაქეობის დასამყარებლად. მე მგონია, ვიდრე რუსეთის არმიამ; მაშინდელმა ქართველებმა უფრო კარგათ იცოდნენ მოქალაქეობრივი უფლება. გარდა ბიუროკრატობისა, ისინი ვერაფერს ვერ ჩამოაყალიბებდნენ. რაც შეეხება საერთოდ ბოლო სიტყვაობაში, იქ იმდენი

ცოდვა არ არის, პირველ ნაწილში კი არის. იქ დაშვებული არის ძველი დროის ..., რომელიც არ შეეგუება ახალ დროებას. აი, ბოლო სიტყვაობაში რას სწერს. დაუკვირდით კარგათ, ისე გასაგები არ იქნება *(ციტირებულია რუსულად)*.

პროფ. პოლიექტოვი სიტყვის თავისუფლების მომხრე არის, ერთ მხრივ არის ბოლშევიკური დემოკრატი და მეორე მხრივ, ნიკოლოზ პირველის თვითმპყრობლობა. სიტყვის თავისუფლება გვესმის ჩვენ, მაგრამ ვისი, რომელ კლასის, ეს უნდა გაიგოთ. პოლიექტოვი არის მიმდევარი კონტრრევოლიუციის, ჩვენი მოწინააღმდეგების და რაც გულში ჰქონდა, ის სთქვა. მართალია, მოხუცებული კაცი არის, მას უნდა ლმობიერად უნდა მოეპყროთ, მაგრამ როდესაც სდგება საკითხი პრინციპზე, მაშინ თქვენ არ გექნებათ ადგილი საბჭოთა ხელისუფლების დროში *(ტაში)*. რა თქმა უნდა, პოლიექტოვზე არ ღირს მეტი გაჩერება, რადგანაც მე გითხარით ამისი მიზეზი.

გადავდიეართ ეხლა ჩვენ შემდეგზედ: აქ გამოვიდა პროფ. უზნაძე. მართალი უნდა გითხრათ, მე პირადათ მეტი პატივისცემა მქონდა მისი მანამ, სანამ ის აქ გამოვიდოდა და ამიტომ შეეცადე ჩემს მოხსენებაში რბილ ფორმებში გამეკრიტიკებინა და მივაკუთნე მემარცხენე პროფესურას. მაგრამ გაგვცა თუ არა მან პასუხი ჩვენ პოლიტიკურ კითხვაზე? პოლიტიკურ საკითხზე ერთი სიტყვაც არ გვითხრა. აპოლიტიკურათ დასხა თავისი თავი. პროფ. უზნაძემ განაცხადა, რომ მარქსისტული ფსიხოლოგია არ არსებობსო, მხოლოდ მისი დამუშავება ეხლა ხდებაო. მე ვამბობ, რომ მარქსისტული ფსიხოლოგია არსებობს და მისი სკოლაც. ის ამბობს, რომ ეხლა ჩვენ ვაწარმოებთ ამის შესახებ ცდას და თუ გაგვიმართლდა იმედები, მაშინ სხვა არისო. აქ თავზარაშვილმა მოიყვანა ერთი ციტატა, რომელიც მართლაც რომ სწორე იყო. მაგრამ ჩვენ დ. უზნაძეს უნდა მოვაგონოთ ის, რომ ჩვენ აქ ამისათვის გვაქ კათედრა და ამ კათედრის დისკუსიაზე გეტყვით. ის ამბობს, რომ მარქსს ამის შესახებ არაფერი დაუწერიაო, მაგრამ, პირიქით, მარქსმა ამის შესახებ დასწერა და ჩვენი ფსიხოლოგია მარქსისტული ფსიხოლოგიის გარეშე არ იქნება. ის სცდილობს, რომ ეს საკითხი მიჩქმალოს. მარქსს უმთავრესი დამსახურება აქვს ამ დარგში. უმთავრესად ის არის, რომ კვალიტეტური მსოფლმხედველობა, ის სცდილობს და ეძებს იმ სინტეზს, რომელიც შეიძლება საზოგადოების მიერ იქნება დაკმაყოფილებული, მაგრამ უზნაძეს არ აკმაყოფილებს ეს. მაგრამ ეს პროფესორი უნდა შეეცადოს, რომ ჩვენ მოგვცეს ისეთი კადრები და აღგვიზარდოს ჩვენ ისეთი მარქსისტული ძალები, რომელიც გამოადგება საბჭ. ხელისუფლებას. ჩვენ უნდა აღგვიზარდოს უზნაძემ ძალები მარქსისტულად და არა იდეალისტურად. ეს არის პროფესორი უზნაძე. კონდრატიევშინის თქვენ გაიგეთ თქვენი თეორიის დებულება, მოგახსენებთ, რომ არა მარქსისტული შეხედულებისა. მე არა მაქვს ბევრი დრო, რომ აქ დავიმტკიცოთ. მე ვდებ აქ ფიცს, რომ ამა წლის განმავლობაში კათედრების ღია სხდომაზე გაგცემთ თვითეულს პასუხს *(ბანგრძლივი ტაში)*.

მე არ ვაპირობ პროფესორების გალანძღვას, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მეცოდება პროფესორი სერგო დანელია. მეცოდება იმისათვის, რომ შეიძლება მართლა სცდილობს შეითვისოს დიალექტიური მატერიალიზმი და სურს მოვიდეს ჩვენთან. ჩვენ ამაში დავეხმარებით, ჩვენი მიდგომა არის მეგობრული. ბევრმა პროფესორებმა შემოიტანეს განცხადება. მე აქ მოვიყვან ერთ ციტატას, ისტორიის დუღაბთან დაკავშირებულია ხალხის ურთი ერთობა. სინიდისი არის პრინციპი, ეს იდეოლოგიურ ჰერბახტში არ განსხვავდება. ეს კაცი ამას სცდილობს და გვაძლევს განცხადებას, თხოულობს, რომ წაეკითხოთ *(ციტირებულია დანელიას განცხადება)*.

დანელიას განცხადება

პატივცემულო თავმჯდომარე, გთხოვთ ეს განცხადება წაიკითხოთ კრებაზე და შეიტანოთ ოქმში.

ჩემს წიგნში ვაჟა ფშაველაზე მოთავსებულია წინადადება: ,,სინიდისი არის ის დუღაბი, ურომლისოდ ისტორია არ შენ-

დება“. დულები ნიშნავს არა საფუძველს, არა საძირკველს, არამედ მხოლოდ შემაკავშირებელ ფერმენტს. მთელი წინადადების აზრი ის კი არ არის, თითქო ისტორია შენდებოდეს სინიდისზე ან შეგნებაზე, როგორც საძირკველზე. წინადადების აზრია ის, რომ ისტორია არ შეიქმნება შეგნების გარეშე, ისტორია არ აშენდება, თუ სინიდისი არ გაურიეს შიგ. არც მარქსს, არც ლენინს არ უთქვამთ არაფერი ამის საწინააღმდეგო. არ უთქვამთ, რომ ისტორია შენდება სინდისის ან შეგნების ჩაურევლად. ამიტომ ზემოყვანილი ჩემი წინადადება არ არის არც მარქსიზმის უარყოფა, არც პროლეტარული ხელისუფლებისათვის ღალატი და არც კონდრატიევშჩინა, რომელსაც მე ზიზღით ვუცქერი.

აქვე ვაცხადებ, რომ სინიდისი ან საზოგადოებრივი შეგნება მუდამ არსებობდა ჩვენს ქვეყანაში, თუ ხელმძღვანელ წრეებში არა ყოველთვის, ხალხის ქვედა მასაში მაინც ყოველთვის.

ს. დანელია

ვაშაყმაძე: რა თქმა უნდა, მარქსისტული კრიტიკის უნარი არ აქვს, მართალი უნდა გითხრათ, მეცოდება ეს კაცი გულახდილათ. არ შეიძლება ასეთი თეორიით გამოსვლა, როგორც აქ პროფ. დანელია გამოდის. არ შეიძლება ასეთი თეორიით აქ გამოსვლა. რაც შეეხება მის გამოსვლას აი აქ, მან არ გასცა არც ერთი პასუხი იმ პოლიტიკურ კითხვებს, რომელიც აქ იყო დასმული. მან დაიწყო იქედან, რომ როგორ მოხდა ის მემარცხენე ჯგუფში. დანელიასათვის არ უნდა იყოს ის პრინციპი მიღებული, რომ როგორ იქნა და როგორ მოხდა ის მემარცხენე ჯგუფში.

შემდეგ. გამოვიდა აქ ჩვენი დოცენტი ვახტანგ კოტეტიშვილი. უნდა მოგახსენოთ, რომ ვახტანგს ძალიან უყვარს იმის თქმა, რომ სჯობს, შვილი სჯობდეს მამასო, და სწორედ აქ გუშინწინდელმა მისმა გამოსვლამ აშკარად დაამტკიცა, რომ ახალი თაობა სჯობნის ძველს (*ტაში*).

მან დაიწყო იქედან, რომ არ მეგონა მომხსენებელი თუ მემარცხენე პროფესურას მიმაკუთვნიდაო. შემდეგ სთქვა, რომ ის იყო სოც. ფედერალისტი, მაგრამ სოც. ფედერალისტობა თუ თავის ქებათ მიაჩნია, მაშინ უნდა უთხრა კოტეტიშვილს, რომ ის არ უნდა სცხოვრობდეს სულ ამ ქვეყნათ. პირიქით, მას ეს მიაჩნია საამაყოთ. მან მემარცხენე ჯგუფში მოთავსება, როგორც საერთოდ უყვარს ყოყოჩობა, ყოყოჩობათ მიიღო.

რაც შეეხება მეთოდოლოგიას, პრიულარიზმს, როგორც აქ თქვენ დაინახეთ გამოსული ორატორებიდან, მას სრულებით არ უვარგა მეთოდოლოგია (*კითხულობს მის ნაწერიდან*).

კაცო, რაშია საქმე, შეიძლება თუ არა ამის ... რა თქმა უნდა, თუ სწორათ დაისა... შესაძლებელია. ჯერ უნდა გესმოდეს უნდა დაივიწყო მთელი ძველი წარსული კავშირი, და დაიწყო ახლად მუშაობა აი, ბერძენიშვილი აქ გამოდის და კითხულობს დაწერილს, და მე მგონია, რომ ყველამ მიხვდა ის, თუ ვისი დაწერილი იყო. უნდა ითქვას, რომ ჯავახიშვილის მოწაფეები აქ შეთქმულები გამოვიდნენ და ლაპარაკობს, რომ ის პატივს სცემს ჯავახიშვილს, მხოლოდ მეთოდოლოგიურათ არ ეკუთვნიო. ჩვენ გვსურდა, რომ მასთან გაგვეწყვიტა კავშირი. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ს. ჯანაშია, რომელიც მემარცხენეშია მოყოლებული, შორიდან ეარშიყება მას. არ უნდა არც იმასთან გასწყვიტოს კავშირი და არც ჩვენთან, ორპირობს, როგორც ვხედავთ. ერთი ნაბიჯი მან ჩვენსკენ გადმოდგა, მაგრამ უსურვებ, რომ საბოლოოდ გადმოედგას ჩვენსკენ ნაბიჯი და ძველებთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტოს (*ტაში*). ამავე დროს უნდა აღვნიშნო, რომ მისი გამოსვლა არ არის დამაკმაყოფილებელი.

რაც შეეხება ჩიქობავას გამოსვლას, რომ ის არი, იყო ჯავახიშვილის მოწაფე და ის იყო სოც. რევოლიუციონერი. ის, რა თქმა უნდა, არის ყოფილი სოც. რევოლიუც., მაგრამ მისი გამოსვლა ჯერ პოლიტიკურად არ არის სწორი. ის უნდა გამოსულიყო აქ და ეთქვა, რომ მას არავითარი კავშირი არ აქვს პროფ. ჯავახიშვილთან, მაგრამ მას აქ აშკარათ ეტყობოდა დვურუშნიკობა და მისი სიტყვიდან

ეს გამომდინარეობდა, გამომდინარეობდა ნამდვილი ორპირობა.

ეხლა რაც შეეხება მის მეთოდოლოგიას. აქ გამოდის ჩიქობავა, ახვლედიანი და სხვები და ამბობენ, რომ ისინი არიან დამკვრელები. მაგრამ ჩიქობავას, როგორც ეტყობა, დღემდე არც კი წაუკითხავს მარქსიზმი. შანიძე, ჩიქობავა, ახვლედიანი, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილნი აი, განწყობილება ინდო-ევროპიულ თეორიასთან. უნდა გითხრათ, თქვენ აკრიტიკებთ იაფეტოლოგიურ თეორიას, ეს არ არის დასაშვები მეცნიერების განვითარებაში. თვით დიალექტიური მატერიალიზმის ჩამოყალიბება იაფეტოლოგიური თეორიის გარეშე ეს კრიტ... მარცხნივ. რას ხედავთ თქვენს გამოთქმაში, ანალიზში, იაფეტოლოგიურ იაფეტოლოგიური თეორია არის დიალექტიური მატერიალიზმი. რაც შეეხება თქვენ თეორიას, ყველაფერს მე აქ არ ვიტყვი, წარსული თეორია ეს ფორმაა მეთოდოლოგიის იდეოლიქტიური. თქვენი წერილი წავიკითხე. თქვენი თეორია არის თქვენ უფრო მარჯვნივ ხართ რეაქციონერი (*ხანგრძლივი ტაში. არ ისმის*).

დიალექტიური მატერიალიზმი არ არსებობს და რა საჭიროა მისი განვითარება იაფეტელოგიურ თეორიაში. დარწმუნდით, რომ ასეთი მეთოდოლოგია არ არის მარქსიზმში. თქვენ, მართალია, ეხლა დაიწყეთ მარქსიზმის შესწავლა, დაიწყეთ მარქსის კაპიტალის დამუშავება (*ტაში. ხმაურობა, არ ისმის*).

ამაღლდა დიალექტიური მატერიალიზმი. ჩვენთვის არ არის მისაღები. ინდო... კონტრევოლიუციის იდეოლოგია და ბურჟუაზიული იდეოლოგია. თქვენ ეს უნდა შეიგნოთ, თქვენ უნდა სთქვათ სწორი გაკვეთილ გზის შესახებ და აი, სწორეთ ჩვენ შეგამოწმეთ და მიგაკუთნეთ სათანადო ჯგუფს. აი, თქვენ სიტყვაში რომ ამბობთ, რომ თქვენ გცოდნიათ რა არის მარქსიზმი. ამას ვიწროთ ახასიათებთ, ვიდრე დიატერმიას. მარქსიზმი ერთად ერთი დებულებაა. ამისათვის გეუბნებით თქვენ, თუ წახვალთ იმ გზით, რომ ორი მეთოდი გინდათ, და თქვენ თუ წახვალთ, მაშინ ორი გემი გინდათ. ამაზე ჩვენ კი გეტყვით პასუხს, პასუხს გარკვეულს. ჩვენ ვიცით ორი მეთოდი, ეკლექტიური და მარქსისტული მეთოდი (*ტაში. დარბაზში ხმაურობა*).

რაც შეეხება იმ ადამიანს, რომელიც ჭაობში იყო მოყოლებული, ე. ი. აქ მე ლაპარაკი მაქვს აკ. შანიძეზე. მან არაფერი არ სთქვა, არ იკადრა და არ გამოვიდა აქ. წაიკითხეს მისი ლექსები, სადაც ის დიდ მეცნიერად გრძნობს თავს. ეს მეცნიერი ეკუთვნის ანტიიაფეტიტურ დაჯგუფებას და რომელიც სცდილობდა გამასხარაობას მარის ნაწერებისას, ისეთი პიროვნებისას, რომელიც შევიდა 1930 წელს პარტიაში. ამაზე აქ ერთი სტუდენტი გამოვიდა და გასცა პასუხი. მან აქ არ გამოაშკარავა თავისი ფიზიონომია. ჩვენ ვიცით, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ გვინდოდა, რომ მას ეთქვა თითონ. მას უნდა ეთქვა, რომ ჩვენ არ ვართ მომხრე ჯავახიშვილისო. უნდა ეთქვა, რომ ჩვენ არ გვინდა ის გზა, რომელი გზითაც ის მიდის. აი, ყველაფერი ის, რაც მე გითხარით იმ დაჯგუფებაზედ, რომელიც ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილის დაჯგუფებას. არც ერთი ამ ჯგუფიდან გამოსულ ორატორმა არ მოგვცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. და ვერც ვერცერთს გადავსვამთ ვერც მემარჯვენეებში და ვერც მემარცხენეში. დარჩა ყაუხჩიშვილი ისევ ჯავახიშვილის ჯგუფში. მას აქ აშკარათ უნდა ეთქვა, რომ პოლიტიკურათ მე თქვენთან ვარ, მაგრამ მან ეს არ სთქვა. ამიტომ მისი გამოთქმა დამაკმაყოფილებელი ვერ არის. არ არის დამაკმაყოფილებელი ის, რომ მე თქვენთან ვარ თეორეტიულადო.

აი, ზარაძემ დაიწყო საიდან. მოყვა მის მეთოდოლოგიაზე ლაპარაკს, მაგრამ არც ბოლო სჩანდა და არც თავი, მაგრამ ის შეუდგა დაეკავშირებინა მარქსიზმთან. რა თქმა უნდა, ასეთი უნდა იყოს მეთოდი კლასობრივი ბრძოლის. მეთოდი და თავისი მსოფლმხედველობა ზარაძემ აღიარა, რომ მათემატიკა მეცნიერებაში კლასობრივი უნდა იყოსო. ის ამით ჭაობიდან გადასვა მემარჯვენე ჯგუფში. მისი გამოსვლა იყო პირდაპირ დაუშვებელი. სთქვა, რომ მუშტიკრივით გვაშინებო. ვინ აშინებს, შეიძლება მე მგულისხმობს, შეიძლება მე დავემუქრე იმ ხალხს, რომლებიც შემთხვევით არიან მოსულები და ობსტრუქციას აწყობენ. ეს გამოდის დამცველად იმ ხულიგნების, რომლებიც

აქ არიან, მაგრამ პოლიტიკაში მუშტიკრივი არ არსებობს, ეს არის მხოლოდ მეცნიერული პოლიტიკა და ვინც ამას ვერ გაიგებს, მაშინ მოხდება მუჯლუგუნი თეორეტიკაში (*გაგრძელება ტაში*).

ბევრს სიცხე მისცა ამ დისკუსიაში. ეს არის პრინციპი ბრძოლის, ეს არის თეორეტიული ბრძოლა, და ეს არის შესწავლა ჩვენი მეცნიერების.

რაც შეეხება ჭიქოძეს, არაა გამოაშკარავებული მისი ფიზიონომია, მაგრამ აშკარად არის მისი ფიზიონომიის გამომხატველი მისი მანიკურებით მოსვლა ჯგუფში სამეცადინოთ და ამ ჯგუფმა ეს გამოაგდო. მის გამოსვლას აქ ფასი არ აქვს. ჭიქოძე უნდა გამოსულიყო, ამისათვის ჩვენ მას რეზოლიუციაში მოვსცხებთ.

შემდეგ. მემარჯვენე ჯგუფს ეკუთვნის რამიშვილი ჭაობში. მე მოვათავსე მემარჯვენე ჯგუფში იმისათვის, რომ მან ერთი ფრაზა წარმოსთქვა საფინანსო კოოპერატიულ ინსტიტუტში. შეიძლება ეს არ უნდოდა მას, რომელიც მან იქ წარმოსთქვა. ჩვენ მოვათავსეთ მემარჯვენე ჯგუფში, მაგრამ ჩვენ დავსვით საკითხი პირდაპირ და მკაფიოთ — გაგვეცი პასუხი. რამიშვილმა ეს დააკმაყოფილა, მან გამოვიდა და სთქვა, თავისი თავმოყვარეობა აქ სთქვა, რომ ის მენშევიკი არ არის, მის წარმოთქმულმა სიტყვამ დისკრედიტაცია მოახდინა მენშევიკებს შორის, მაგრამ მან უნდა გამოვიდეს ამ წლის განმავლობაში და მართლაც თავისი აქტიური მოქმედებით დაგვიმტკიცოს, რომ ის თავისი სიტყვით მართალი არის მთელი ასი პროცენტით. ფაქტია, უნდა აღინიშნოს, რომ მის ცხოვრებაში მოხდა დიდი გარდატეხა და დადგა ის პროლეტარიატის დიქტატურასთან (*ტაში*). ამიტომ ჩვენ ეხლა საშუალება გვაქვს, ვინაიდან დამაკმაყოფილებელია ბ. რამიშვილის გამოსვლა, მემარჯვენე სკამიდან მემარცხენეში გადავსვათ (*ტაში*).

ეხლა მე მინდა ჩვენ ჭაობს შევეხო. მართალია, მე და მოსეშვილი ვიყავით ბახმაროზე, მაგრამ მე აქ პოლიტიკურ ჭაობზე მქონდა ლაპარაკი და არა ისეთ ჭაობზე, რომელიც მან განაცხადა. ის ჭაობი, რომელზედაც მას ჰქონდა ლაპარაკი პოლიტიკური ჭაობი არ არის, მაგრამ სადაც მე მოვათავსე ჭაობში, ის ხალხი ჭაობში ზის და ჭაობში არიან ჩაძირული. და მართლაც იმ ხალხმა დაამტკიცა, რომ ჭაობია. ამ დასკვნით გამოვიდა ხარაძე და გადაჯდა მარჯვნივ, ჭაობის შიგნიდან არ გამოდის (*ადგილიდან*: ეშინიათ ჭაობში სხვა არ ჩაჯდეს!). მაგრამ აი, ამ ჭაობს ის შეანჯღრევს, რომ ისინი, ვინც ჭაობში მოხვდნენ, ძალაუნებურად და გადაჯდებიან ან მარჯვნივ და ან მარცხნივ. ჭაობში ყოფნა არ არის კარგი, ეს პოლიტიკურად უნდა გაიგოს მოსეშვილმა. სტუდენტები აქ გამოვიდნენ და გააკრიტიკეს სწორათ, იმიტომ, რომ ის დიდი მუშაკია, დიდი მოღვაწეა და დიდ პატივს ვსცემთ მას ჩვენ, მაგრამ ვაკრიტიკებთ. ის ქიმიკოსია, მაგრამ მან უნდა მიიღოს კრიტიკა. ის კარგი მუშაკია, მაგრამ უნდა გამოუშვას კადრები ჩქარი ტემპებით და ამავე დროს ხარისხიც კარგი უნდა იყოს. მოსეშვილს ჩვენ კონდრატიევშჩინასთან არ ვაკავშირებთ, მხოლოდ საჭიროა, რომ კადრების აღზრდის საკითხი... ბოლშევიკურად ხდება შეგნება, ბოლშევიკურად აღზრდა ამ კადრების (*ადგილიდან*: ფულები, ბატონო!). რაც შეეხება ჭაობის წარმომადგენელს ზანდუკელს, მისი გამოსვლა არ მიმაჩნია დამაკმაყოფილებლად, მისი მეთოდოლოგია იგივე არის, როგორც ყველა გამოსულების. მან დიწყო თავისი წარსულიდან. მისი აზრით, მაზედ უკეთესი საქართველოში არავინ არ იყო. ზანდუკელი სცდილობს, ჯავახიშვილის სკოლა გაანვითაროს. პედაგოგიურ ინსტიტუტში ასწავლის ისტორიას, ეს უფრო მომზადებული არის მაგრამ თქვენი გამოსვლა არ იყო არც პოლიტიკურათ სწორი, არც მეთოდოლოგიურად განსხვავდებოდა ყველა სხვის მეთოდებისაგან. თქვენზე უარესი მტრები ბევრი გვყავს, თქვენ იმდენად არა ხართ ჩვენი მტერი, თქვენ სცდილობთ, მარქსისტულ იდეოლოგიას დაუკავშირდეთ, თქვენი შეხედულება და გამოსვლა არის ეკლექტიური, თქვენ უნდა გეთქვათ ახალი მეთოდის შესწავლაზე. ეხლა თქვენ უნდა შეეცადოთ, გადაიარაღდეთ და ამოხვიდეთ ჭაობიდან (*ბანგრძლივი ტაში*). უნდა ითქვას, რომ ნიკოლაძე ცუდათ არ გამოსულა, მაგრამ მან შეეარდენზედ არაფერი სთქვა და ნაციონალიზმზე. ეს შეცდომა უნდა

ელიარებინა, უნდა უთხრათ ნიკოლაძეს: თქვენ პატივს გცემთ, როგორც კარგ სპეცს, მხოლოდ თქვენი გამოსვლა არ არის დამაკმაყოფილებელი. თქვენი მოთავსება შეიძლება მემარცხენე ჯგუფში. ჩვენ ეს უნდა შევაგნებინოთ, ჩვენ ეს კაცი უნდა გავარკვიოთ და მოვიგოთ.

შემდეგ მე უნდა გავჩერდე მემარცხენე პროფესურაზე, ეს გახლავთ ახველედიანი და ნუცუბიძე. ახველედიანი მემარცხენე პროფესორია ენათ მეცნიერებაში მუშაობაში ის ყოფილა მხოლოდ კრიტიკულად განწყობილი ინდო-ევროპიული თეორიისადმი და ეცდილობ, რომ გადავამუშაო ეს ინდო-ევროპიული თეორიაო. ჩვენ პატივცემულ ახველედიანს ჩვენ ვგმობთ, როდესაც დაკავშირებულია კონდრატიევშჩინასთან, მაგრამ ახველედიანი არ არის კონდრატიევშჩინასთან დაკავშირებული იმიტომ, რომ ახველედიანი ყოველთვის მემარცხენე პროფესორი იყო და ამიტომ ის ჩვენ გავაკრიტიკეთ მეგობრულად, ბოლშევიკურათ და ახველედიანს კი, როგორც ჩვენი ოჯახის წევრს, უფლება გვაქვს გავაკრიტიკოთ. ის არის კრიტიკულათ განწყობილი ინდო-ევროპიული თეორიისადმი. ჩვენ კი ვამბობთ, რომ იაფეტიდოლოგიის თეორიამდე და დიალექტიურ მატერიალიზმამდე უნდა მივიდეს ეს...

გარდა ამისა, მან ქიმია, ფიზიკა მოიყვანა, მან დაადგა მეტაფიზიკის თვალთასაზრისს და მას ეს მემარცხენეობა მემარჯვენეობაში გადაიყვანს. ჩვენ გავაკრიტიკეთ აგრეთვე მოსე გოგიბერიძეც, მაგრამ ის ჩვენგან კი არ წავიდა, არამედ ჩვენთან უფრო მოვიდა. ის არ შეუშინდა ჩვენ კრიტიკას.

ეხლა რაც შეეხება პროფ. ნუცუბიძეს, შეეძლო მეტი ეთქვა, ვიდრე სთქვა და მეტს მოველოდით ჩვენ მისგან. ჩვენ ვიცით, რომ ის თავიდან მემარცხენე იყო. ეს კაცი არის სწვ... პერიოდის და აქ კლასთა ბრძოლის პერიოდში მან არ გაარკვია გარკვევით, თუ რომელ მხარეს არის. მან კარგათ არ გამოხატა თავის აზრი, არ სთქვა აშკარათ, რომ ის პოლიტიკურათ ჩვენთან არის და აგრეთვე იდეოლოგიურათ, ვინაიდან მათ შორის მჭიდრო კავშირი არის. მისი ასეთი გამოსვლა მან ერთი ახსნა ფიზიკური სისუსტით, მაგრამ ის არა მარტო ფიზიკურათ დასუსტდა ... არა მარტო. მას აუდიტორიამ ტაში არ დაუკრა, რადგან იცავდა თავის დებულებას. მისი ფიზიკური სახე და თეორეტიული სახე უფრო წააგავს მენშევიკების პროტოპლაზმს. მარქსისტულად გამოდიან და ამარცხებენ მას. სტუდენტობის კრიტიკას ვერ იტანს, უნდა მოითმინოს, უნდა გაიგოს, თუ რა უნდა სტუდენტებს. მართალია, დიდი მეცნიერი არის, მას აქვს ბურჟუაზიული იდეოლოგია და მან ეს იდეოლოგია უნდა მოიცილოს და ჩვენი პროლეტარიატის კანონები უნდა შეეასწავლოთ. ნუცუბიძისაგან მოველოდით უფრო მეტს. ჩვენ პოლიტიკურად მას არ ვცნობთ მიუღებლად, მაგრამ აქ რომ გამოვიდა და ამტკიცებდა ეროვნულ საკითხის შესახებ, ამაში ის გაღასცდა. მან სთქვა: დადგა დრო ერთი კლასის გამარჯვების, ვინ გაჰყვება ამ კლასს. ამ კლასს თუ გაჰყვება ხალხი, მაშინ გაიმარჯვებს (*ხანგრძლივი ტაში. არ ისმის*). ერთ კლასის მეთაურათ აყენებს თეორეტიულათ ფედერალისტებს. აი, გვიგზავნის თავის განცხადებას და რას სწერს ამ განცხადებაში. ის სწერს, რომ კონდრატიევშჩინას პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოსთან (*კითხულობს ნუცუბიძის განცხადებას*).

განცხადება
პროფესორ ნუცუბიძისა

როგორც გადმომცეს, ჩემს განცხადებას ეროვნული კულტურისა და კონდრატიევშჩინის შესახებ გაუგებრობა გამოუწვევია.

საქმის ნათელსაყოფად მინდა ..., რაც ვთქვი:

1. ეროვნულ კულტურის აღორძინებას მე ვსთვლიდი ... მე სიტყვაში, როგორც რევოლიუციის მონაპოვარს პროლეტარიატის, როგორც კლასის ხელმძღვანელობით. აქედან ნათელია, რომ ისტორიულად და შინაარსიდან მე მას უყურებ, როგორც პროლეტარულ შინაარსის მქონეს.

2. კონდრატიევშჩინა მე მივიჩნიე საერთო მოვლენათ როგორც რუსეთში, ისე ჩვენში და მისი წინააღმდეგ ბრძოლა ყველგან ერთნაირად აუცილებლად და სავალდებულოდ. ამის შემდეგ შეუძლებე-

ლია, ჩემი აზრით, ისე გაგება, თითქოს ჩვენში რაიმე სახით ან რაიმე პირობებში კონდრატიევშჩინის შესაძლებლობა და მასთან ბრძოლის აუცილებლობა გამორიცხული იყოს.

ვისაც ჩემი აზრის სწორედ გაგება სურდა, ვფიქრობ, აქ ორაზროვან ვერაფერს ნახავდა. ვისაც ეს არ სურს, მას არაფერი ეშველება.

პროფესორი შალვა ნუცუბიძე.

კამაყმაძე: რა თქმა უნდა, შეცდომა არის მისი ისტორიულ წარსულში. რაც შეეხება მის ფილოსოფიას, ნუცუბიძე იდეალისტი არის. მე ასე ვთქვი, მე ვალიარე ერთ ერთი წარმოსთქმული სიტყვა შარიას წინააღმდეგ. შემდეგ ამბობს, რომ მე მინდა, რომ მივიდე დიალექტიურ მატერიალიზმამდე ისე, რომ ჰეგელის გადმოტრიალება არ დამჭირდესო. სხვათა შორის ნუცუბიძეს უყვარს რეალიზმზე და მატერიალიზმზე ლაპარაკი, მაგრამ აქ დასმულ საკითხს კი სწორათ არ შეხედა და არ უპასუხა.

ჰეგელი შეიძლება კარგათ დაამუშაო, მაგრამ ჰეგელიდან პირდაპირ რომ გადახვიდე დიალექტიურ მატერიალიზმზე, ეს არ იქნება სწორი. და რომელსაც არ უნდა ილაპარაკოს სწორათ, ის დარჩება იდეალისტათ. მაგრამ ჩვენი გულწრფელი თქმა იქნება, რომ ის მალე დაიეწყებს თავის იდეალისტურ ფილოსოფიას და დადგება მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე, როგორც აქ სტუდენტებმა მიუთითეს მას (*ტაში*).

შემდეგ. სარ. კაკაბაძეს არავინ არ სთვლის მარქსისტათ. ის ჯავახიშვილთან იდგა წინეთ, მეთვრამეტე საუკუნის მეთოდზეა დაყრდნობილი, მაგრამ ის კიდევ უფრო ახლო არის და ვიმედოვნებ, რომ მალე მიანებებს თავს ზოგიერთ გადახრებს, რომელიც მას აქვს. ს. კაკაბაძე მოწაფეა ჯავახიშვილის, მაგრამ მას სდევნიან. ჩვენ არ მივსცემთ უფლებას, რომ ის, ვინც ჩვენთან მოვა, სდევნონ და მოშხამონ. ჩვენ მას არ დავინდობთ, ვინც ამას ჩაიდენს (*ტაში*).

შემდეგ აქ გამოვიდა დავით კაკაბაძე სახვითი ფრონტიდან. დავით კაკაბაძე მეცარცხენე პროფესორია, მაგრამ ის არ არის თავისუფალი ფორმალიზმისაგან და ამიტომ მე ვთქვი, რომ სარმა მე არ მიმიკუთნებია კაკაბაძისათვის. მან სთქვა, რომ მე არ უდგებოდი პროლეტარიატის პრინციპით...

ფროიძის ჯგუფი უფრო წვრილბურჟუაზიულია, ლემანსის და სარმას შეჯიბრი ეს იყო ბურჟუაზიული. ჩვენ ამას დავარტყით. საჭირო იყო სოციალისტური შეჯიბრი. ბოლოს ისინი გაერთიანდნენ. ფროიძე პროლეტარი არ იყო, მაგრამ ახლო იყო მუშათა კლასთან, რევოლის ხელოვნება პროლეტარიატის სოციალისტური შეჯიბრის მეშვეობით თანამშრომლობა გადმობრუნდა და დადგა პროლეტარულ რელსებზე. ჩვენ გვინდა ახალი მუშაობა, სჯობია უნივერსიტეტში დავანებოთ თავი ინტრიგებს. არის თუ არა ეს სწორი პოლიტიკა, როგორც ჯავახიშვილზე იყო სწორი, ისე ეს იქნება (*ტაში*).

ეხლა მე მინდა შევეხო პროფ. კეცხოველს. ავათმყოფობის დროს მე წავიკითხე მისი ნაშრომი თოვლიან მთებში. ეს უფრო წვრილი ნაციონალისტია. ამის შესახებ თითონ უნდა გამოსულიყო კეცხოველი და ეთქვა სიტყვა. მართალია, მე ბევრი პროფესორები გამომრჩნენ, მაგრამ ეხლა შევეხები ალიოშა წერეთელს. ძალიან გაგვიჭირდა, რომ ის მოგვეთავსებინა რომელიმე ჯგუფში. მას ძალიან სწამლავენ. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში შეიძლება გაკონტრრევოლიუციონერდეს. უნივერსიტეტიდან განდევნეს. მისი გამოსვლა არ მიმაჩნია დამაკმაყოფილებლად. მან სთქვა, რომ მე მოსანანიებელი არაფერი მაქვსო. ეს კაცი იყო სოციალისტ. მაშველთა პარტიის წევრი და იმ ხალხის კეთილდღეობა მინდოდაო და ამით მე უნდა დამაფასათო. სოციალისტ. ფედერალ. პარტია, ყველა მისი ჯგუფები პროლეტარიატს ძალიან აქუცმაცებდა, მუშათა კლასს აბნევდა, ეს პარტია იყო არა რევოლიუციონური, არამედ კონტრრევოლიუციონური. ბევრი გაქვთ მოსანანიებელი, მაგრამ თქვენი გამოსვლა ამ მხრივ არ არის დამაკმაყოფილებელი. დამაკმაყოფილებელი არის ალიოშას გამოსვლა. მან გულწრფელად აღიარა, რომ გულწრფელად მოვიდა ჩვენთან და მუშაობს. ის, ყველა პროფესორთა შორის, რომელიც აქ გამოვიდა, ყველაზე უკეთე-

სათ გამოსთქვა თავის აზრი, მაგრამ მე უსურვებ, რომ შემდეგში კიდევ უფრო ნათლად, უფრო კარგათ გამოსულიყოს და ნათლათ გამოემყღავნებინოს თავის ფიზიონომია (*ტაში*). შეიძლება მე ბევრი დამრჩა, მაგრამ ყველას ხომ დასკვნას ვერ გაუკეთებ, ყველას ხომ ვერ დავახასიათებ. ბენაშვილი დარჩა ჭაობში. რომ გამოსულიყო, მაშინ მოხდებოდა მისი გამოყვანა. ბაქრაძე ახალგაზრდა ინტელიგენტი არის და დარჩა ინტელიგენტათ. გამოვიდა, მაგრამ საკმარისათ ვერ მოგვცა პასუხი, როგორც პროფ. ნუცუბიძემ. მაგრამ ბაქრაძე არის მემარცხენე პროფესორი, მხოლოდ მას აკლია ბოლშევიკური ცეცხლი. თუ ეს არ მოგეცემათ, ისე ვერ შესძლებთ მუშაობას.

შემდეგ. ბევრი დარჩა, მაგრამ ამას გავარჩევთ კათედრაზე. შეიძლება ბევრს ჩვენ ვაწყენიეთ, მაგრამ დღევანდელი ჩვენი დისკუსია ყველას ვერ დაფარავს. მე აქ ბევრ პროფესორებს შევეხე და ის პროფესორები, რომლებიც აქ დამაკმაყოფილებლად არ გამოვიდნენ, ვიმედოვნებ, რომ გაასწორებენ თავიანთ შეცდომას და დაიწყებენ ჩვენთან ერთად მუშაობას. უსურვებ მათ, გადმოსულიყვენენ ჩვენთან რამოდენიმე თვის განმავლობაში (*ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა პირადი განცხადებისათვის ეკუთვნის *პროფ. პოლიექტოვს.*

პოლიექტოვი: (*ლაპარაკობს რუსულად*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა *ამხ. არევაძეს.*

არევაძე: ამხანაგებო, მე არ მქონდა აზრათ, გამოვსულიყავი და მელაპარაკა. მხოლოდ მე გამოვედი მის შემდეგ, როდესაც მე შემეხო პროფ. მოსეშვილმა. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი სემესტრის მუშაობა არ არის მოწესრიგებული და საერთოდ კადრების მომზადების საკითხი ცუდ მდგომარეობაშია. ჩვენი კათედრა არ არის სწორ ნიადაგზე დაყენებული. ამის შესახებ პროფესორმა არაფერი სთქვა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ უკანასკნელ დროს მე ვარ საბუნებ-მეტყველო ... დიდი მუშაობა იყო და ამისათვის ხანდისხან მიგვეიანდებოდა. რომ გამეცდინოს, ასეთი არ მომხდარა, ეს აშკარა ბრალდება არის უმართებულო.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის *შანიძეს.*

შანიძე: ამხანაგებო, შინ მე მყავს სამი ავათმყოფი. გუშინ მე წაველი ადრე. ჩემს წინააღმდეგ ულაპარაკნიათ და წაუკითხნიათ ჩემი ლექსი, რომელიც დაწერილია 17 წ. 5 დეკემბერს (*კითხულობს ლექსს*).

ეს ლექსი უნდა გახსოვდეთ, რომელ თარიღშია დაწერილი. იმ დროს ხდებოდა რევოლიუცია, ჯერ ლენინგრადში იყო, შემდეგ მოსკოვში. კავკასიის მთები შორს იყო და დენიკინის ჯარი იდგა და მე მის წინააღმდეგ ვწერდი. რაც შეეხება ნაციონალიზმს, პროფ. ვაშაყმაძის შეხედულებით შესაძლებელია ვიყო, მაგრამ რაც შეეხება, რომ აღნიშნა ბერიტაშვილმა, ეს არ არის სწორი. მე ვამბობ, რომ მარის ცდა უდიდესი არის. მე კი გამომიყვანეს შოვინისტი და მემარჯვენე (*ტაში*). როდესაც მან ერთხელ მკითხა, შენ ნაციონალისტი ხარ? უპასუხე, რათ გიკვირს, შენი გაზრდილი ვარ-მეთქი (*ხმაურობა*).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, ყოველად შეუძლებელია ცილისწამება იმ პიროვნებისადმი, რომელიც შემოსულია კომუნისტურ პარტიაში და ითვლება კომპარტიის წევრად ნ. მარი. თუ მასში მოხდა გარდატეხა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ მას ცილი დასწამოთ. ამას კომუნ. პარტია არ მოითმენს და გასცემს სასტიკ პასუხს. მე ამით გამოვხატავ, ამხანაგებო, კრების სურვილს (*ადგილიდან*: გმობთ თუ არა თქვენ პოზიციას?).

შანიძე: ვგმობ ამ პოზიციას (*ხმაურობა, არ ისმის*).

რაც შეეხება პარტიასთან და ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, მე მგონია, რომ ამას ადგილი აქვს და ჰქონდა ყოველთვის. მე ვსთქვი და ვამბობ, რომ 1927 წლის პერიოდი ეს რეკონსტრუქციის პერიოდია, ეს დიდი საქმეა და კიდევაც პროლეტარიატი ამით თავის მიზანს მიაღწევს (*ადგილიდან*: საკითხზე ილაპარაკე! *ბმაურობა დარბაზში*). უარყოფა არ შეიძლება (*ბმაურობა, არ ისმის*) (*იმავდრ*: გმობ თუ არა ნაციონალიზმს?). კი, ვგმობ (*ადგილიდან ხმები*: ჯავახიშვილზე, არ არის დეკლარაციები საჭირო! *დიდი ბმაურობა დარბაზში*).

თავმჯდომარე: პროფესორი შეეხო პროფ. მარის, რომელიც ეხლა ამ ჟამად აქ არ იყოფება და რომელიც 1930 წელს შევიდა კომ. პარტიაში. ეხლა აქ ამაზე ლაპარაკი არ იყო საჭირო აქ საჭირო არის (*ადგილიდან*: თქვენი დამოკიდებულება ჯავახიშვილთან?).

შანიძე: მე არ ვეკუთნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის ჩაწიხვლით გაიკეთონ თავიანთი კარიერა. მე გულწრფელათ ვილაპარაკე ყველაფერი. მე გულწრფელათ ვაღიარებ, რომ მონდომებული ვარ ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაში. მე არ შემიძლია ბევრის ლაპარაკი, რადგან მე პრაქტიკული მომუშავე ვარ და მე მგონია, რომ აუცილებლად ყველა მიიღებს მონაწილეობას ამ მშენებლობაში, რომელიც წამოწყებული არის ჩვენი მთავრობის და პარტიის მიერ. მე ამას დავამტკიცებ საქმით. სადაც კი დასჭირდებათ ჩემი დახმარება, მე დიდი სიამოვნებით ვეხმარები. რაც შეეხება სტუდენტობას, რომ მე ასე მახასიათებენ, ალბათ, სხვა რამე იქნება და ჯავახიშვილის წინააღმდეგ გალაშქრებით იკეთებენ კარიერას. მე ეს კაცი არა ვარ.

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეკუთნის *პროფ. ჩუბინიშვილს*.

ჩუბინიშვილი: (*ლაპარაკობს რუსულად*).

თავმჯდომარე: შემოსული არის განცხადება და *პროფ. გოგიბერიძე* წაიკითხავს (*გოგიბერიძე კითხულობს განცხადებას*).

ნ. კეცხოველის განცხადება

ამხ. თავმჯდომარე, მომხსენებელი ამხ. ი. ვაშაყმაძემ სხვათა შორის მოიხსენია ერთი ჩემი წიგნი, სადაც „ჩვილი და ნაზი ნაციონალიზმი გამოსჭვივის". მე მაშინ გთხოვეთ, რათა ორატორთა სიაში შეგეტანეთ. „ახალ კომუნისტში" დაბეჭდილ ანგარიშში მე უკვე გ. ქიქოძეს და სხ. გვერდით ვარ, როგორც ნაციონალიზმის ჭაობში მოქცეული. ვინაიდან ეს ფრიად დიდ გაუგებრობად მიმაჩნია, ამიტომ გთხოვთ, თუ ორატორთა სიაში არ შემიტანთ, პირად განცხადებისათვის მაინც შემიტანეთ.

I. სხვა არა იყვეს რა, ჩემი დაწერილია ბუნების მეტყველების სახელმძღვანელოები, პროგრამები და განმარტებითი ბარათები ჩვენი სკოლებისათვის.

II. დაწერილი მაქვს 7 მეც. შრომა და ერთი მათგანი ჭაობების დაშრობას შეეხება ნამდვილად და ეხლა კიდევ „ჭაობში" ვექცევი. ვფიქრობ, შემთხვევით და მცირე გაუგებრობაზეა აგებული.

თვით ჩემი მუშაობაც წარსულში და ამ ჟამად იყო ის, რასაც ეხლა თხოულობთ სხვათაგან.

პროფ. ასის. ნ. კეცხოველი
19/12-30 წ.

და აი, ვგზავნიდი ამ ბარათს. თავმჯდომარე უკანასკნელ სიტყვას აძლევს. იქნება, საპასუხო სიტყვაში მომაკუთვნოს ადგილი ჩემი მუშაობის მიხედვით.

არნოლდ ჩიქობავას განცხადება

კრების პრეზიდიუმს

საჭიროდ ვსთვლი დემეტრაშვილისა და ამხ. გაბუნიას სიტყვებთან დაკავშირებით განვმარტო:

1. როცა მე ვთქვი, მატერიალისტურ დიალექტიკის გამოყენებისათვის ენათმეცნიერებაში საჭიროა მარქსიზმის საფუძვლიანი ცოდნა გაზეთის საშუალებით ასეთ ცოდნის მიღება არ შეიძლება-მეთქი, მე პირდაპირ მივუთითებდი იმ მოთხოვნილებებზე, რომელსაც ვუყენებთ მკვლევარს ენათმეცნიერებაში და არა საერთოდ და არა საერთოდ მოქალაქეს.

თცინიზმის დაბებნა ამაში წარმოუდგენელი გაუგებრობაა.

2. ქართულ ენის მასწავლებელთა ყრილობაზე 1927 წ. მასწავლებლების მიერ დასმული იყო კითხვა: შეიძლება თუ არა გავარჩიოთ კლასობრივის თვალსაზრისით ისეთი ლექსები, როგორიცაა: „გაზაფხულდა ბუჩქის ძირას, თავს იწონებს ნაზი ია“. მე მეგონა (ახლაც მგონია), რომ ასეთ ლექსების კლასობრივი თვალ საზრისით გარჩევა მარქსიზმის მხოლოდ ვულგარიზაციას მოგვცემდა. მე მივუთითებდი ვულგარიზაციის საფრთხეზე (თუ მასწავლებელს სათანადო მითითება არ ექნებოდა) და დავასახელე რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი მაგალითი ასეთი ვულგარიზაციისა, როდესაც ფრაზებს (ლექსში): "Черная Ночь" "Белое поле" – კრიტიკოსი განმარტავდა: შავი ღამე – ეს რეაქციაა; თეთრი, თოვლიანი მინდორი – თერთგვარდიელთა თარეშად უნდა გავიგოთ შავბნელ რეაქციაშიო. ამგვარად, კონტექსტში ლაპარაკი იყო უშუალოდ კლასობრივის თვალსაზრისით ინტერპრეტაციაზე ვულგარიზაციის საფრთხესთან დაკავშირებით და არა ზოგადად მარქსიზმზე.

სხდომის ოქმი ჩემთვის არავის უჩვენებია (თუმცა გამოუქვეყნებიათ კიდეც). დამახასიათებელია, რომ იქ არაფერია ნათქვამი ჩემ მიერ მოყვანილ მაგალითის შესახებ.

არნოლდ ჩიქობავა.

როგორც გადმომცეს, ზემოხსენებული სიტყვის შესახებ, შემეკითხენ რეპლიკაშიც, მაგრამ მე ვერ გავარჩიე. თვით ეს ფაქტი მხოლოდ მაშინ მომაგონდა, როცა მასწავლებელთა ყრილობა ახსენეს.

ღ. უზნაძის განცხადება

მე მისაყვედურებენ, თითქოს გვერდი ავუქციე იმ საკითხს, რომელიც პროფ. ი. ვაშაყმაძის მოხსენებაში იყო აღძრული და ჩემი გამოსვლა ჩემი თეორიული შეხედულებების გასაშუქებლად გამოვიყენე. ამის გამო საჭიროდ მიმაჩნია, მივაწოდო კრებას შემდეგი განმარტება.

1. რამდენადაც მომხსენებელმა ჩემი მემარჯვენედ კვალიფიკაციის უმთავრეს საბუთად ჩემი თეორიული შეხედულებების „ეკლექტური“ ბუნება დასახელა, მე არ შემეძლო ჩემს გამოსვლაში განსაკუთრებით არ მელაპარაკა ამ უმთავრესისა და თითქმის ერთად ერთის საბუთის შესახებ.

2. მაგრამ ჩემი გამოსვლა მარტო ამით არ განმისაზღვრავს. მას შემდეგ, რაც მომხსენებლის საბუთებს შევეხე, მე ჩემი „მემარჯვენეობის“ საწინააღმდეგოთ დადებითი საბუთიც წარმოვადგინე, რადგანაც ნამდვილ საბუთად მხოლოდ საქმე უნდა ჩაითვალოს და არასდროს ლიტონი სიტყვა. მე კრებას ჩემს საქმიანობაზე მივუთითე. მე აღვნიშნე, რომ მთელი ამ ათი წლის განმავლობაში არა მარტო ჩემთვის ხელმოსაწვდომი ენერგიით, არამედ გატა-

ცებითაც ვმუშაობდი და დღესაც ვმუშაობ საბჭოთა აღმშენებლობის ყველა იმ დარგებში, სადაც სარგებლობის მოტანა შემეძლო.

ვფიქრობდი, ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ენერგიით და გატაცებით მუშაობა საბჭოთა აღმშენებლობის წინსვლისათვის მხოლოდ მისთვისაა შესაძლებელი, ვინც დარწმუნებულია, რომ ამ აღმშენებლობის სწორი და ქვეყნის კეთილდღეობის უზრუნველყოფილი პოლიტიკა წარმართავს. მე ამას ხაზგასმით აღვნიშნავ და ვიმეორებ, რომ მთელს ჩემს მოღვაწეობას სწორედ ეს რწმენა ასაზრდოებდა და ასაზრდოებს მომავალშიაც. ეს არის ჩემი პირდაპირი პასუხი მოხსენებაში აღძრულ საკითხზე.

პროფ. დ. უზნაძე
15/12-30 წ.

სუიცსა, ფონდი 476, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცლები 35-40, 51-102, 155-230, 231-334. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ

(1936 წლის 23 მარტი – 2 აპრილი)

დოკუმენტები და მასალები

სტალინის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ნაწილი

ფონდი №1

ანაწერი №1

შესანახი ერთეული №4

დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ

დაიწყო – 23/III – 1936 წ.

დამთავრდა 2/IV – 1936 წ.

ტფ. სახ. უნივერსიტეტის
ისტორიული ფაკულტეტი

დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ

გ ა მ ო ს ვ ლ ე ბ ი:

23 მარტი	1) პროფ. ორაგველიძე (მოხსენება)
26 მარტი	1) ასპ. ვ. ცინცაძე
	2) დოც. ნ. ბერძენიშვილი
	3) ასპ. კიკვიძე
	4) დოც. ციხისთავი
	5) ასპ. ჯინჭველაშვილი
	6) პროფ. ნათაძე
	7) პროფ. პოლიექტოვი
	8) პროფ. ჯანაშია
28 მარტი	9) დოც. გოზალიშვილი
	10) დოც. გ. ჯანელიძე
	11) პროფ. სურგულაძე
	12) პროფ. სოსელია
	13) პროფ. ყაუხჩიშვილი
31 მარტი	14) პროფ. ს. კაკაბაძე
	15) პროფ. ტალახაძე
	16) პროფ. ა. გეგენავა
2 აპრილი	17) დოც. დღვილავა
	18) დოც. მახარაძე
	19) პროფ. ჯანაშია
	20) პროფ. კაკაბაძე
	21) პროფ. ორაგველიძე (საბოლოო სიტყვა)
	22) პროფ. კაკაბაძე (წერილ-განცხადება)

პირველი სხდომა

1936 წ. 23 მარტი.

თავმჯდომარეობს ამხ. ნ. მახარაძე.

თავმჯდომარე: ისტორიული ფაკულტეტის საჯარო სხდომას გახსნილად ვაცხადებ. დღის წესრიგში გვაქვს უნივერსიტეტის რექტორის პროფ. კ. ორაგველიძის მოხსენება საკითხზე: საკავშირო კ.პ.ც.კ.-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებები ისტორიის საკითხზე და ჩვენი ამოცანები.

სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს ამხ. ორაგველიძეს (*ბანგრძლივი ტაში*).

კარლო ორაგველიძე

საქართველოს ისტორიის საკითხისათვის*

1. შესავალი

სამოქალაქო ისტორიის შესწავლის სამეცნიერო ლიანდაგზე დაყენებას, სახელმძღვანელოების შედგენას ისტორიაში და მისი სწავლების სათანადო სიმაღლეზე აყვანას უდიდესი პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ყოველად შეუძლებელია ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ახალგაზრდობის ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური, კომუნისტური აღზრდა ისე, თუ აღნიშნული საკითხებიც ჯეროვანად არ გადაწყდა.

თითოეული კომუნისტის წმინდა მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს თავისი საკუთარი ხალხის წარსულის შესწავლაზე ზრუნვა, რადგან უამისოდ იგი უთმობს ისტორიას ფაშისტურ ფალსიფიკატორებს.

სავსებით მართალი იყო ამხ. დიმიტროვი, როდესაც იგი კომუნისტური ინტერნაციონალის მეშვიდე კონგრესზე ამ საკითხის შესახებ ამბობდა: „ის კომუნისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ყოველივე ეს შეეხება მუშათა კლასის საქმეს და რომლებიც არაფერს აკეთებენ, რათა ისტორიულად მართებული, ჭეშმარიტად მარქსისტული, ლენინურ-მარქსისტული, ლენინურ-სტალინური გაგებით გაუშუქონ მშრომელ მასებს მათი საკუთარი ხალხის წარსული, რათა ახლანდელი თავიანთი ბრძოლა დაუკავშირონ ამ ხალხის რევოლუციურ ტრადიციებსა და წარსულს — ეს კომუნისტები ნებაყოფლობით უთმობენ ფაშისტ ფალსიფიკატორებს ხალხის მასების გასაბრიყვებლად ყველაფერს, რაც კი ძვირფასია ერის ისტორიულ წარსულში“.[1]

ზემოთქმულის შემდეგ გასაგებია ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აქცევს ისტორიის საკითხებს.

---

* მოხსენება, წაკითხული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის სხდომაზე 1936 წლ. 23 მარტს.

[1] გ. დიმიტროვი, ფაშიზმის შემოტევა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ, ტფ., პარტგამომცემლობა, 1935 წ., გვ. 79.

ჯერ კიდევ 1934 წლის 16 მაისს საკავშირო სახ. კომ. საბჭომ და ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნეს დადგენილება სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ.

1934 წლის 9 ივნისს იმავე ორგანოებმა გადასწყვიტეს დაწყებითსა და არასრულ საშუალო სკოლებში საბჭოთა კავშირის ისტორიის ელემენტარული კურსი შემოეღოთ.

1934 წლის 14 აგვისტოს საკავშირო სახკომსაბჭომ და ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონეს ამხ. სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის მიერ წარდგენილი შენიშვნები საბჭოთა კავშირის ისტორიისა და ახალი ისტორიის სახელმძღვანელოთა კონსპექტების შესახებ.

მაგრამ აღნიშნული ორგანოები იძულებული იყვნენ 1936 წლის 27 იანვარს გამოქვეყნებულ დადგენილებაში აღენიშნათ, რომ „ახლად წარმოდგენილი ისტორიის სახელმძღვანელოებიც მეტ წილად არადამაკმაყოფილებელი არიანო". სახ. კომ. საბჭომა და ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცეს კომისია ამხ. ჟდანოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც მიანდო უკვე დაწერილი სახელმძღვანელოების გადასინჯვა და ძირიან-ფესვიანი გაუმჯობესება, ხოლო საჭირო შემთხვევაში გადაკეთებაც კი.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ „პრავდაში" 4 მარტს გამოქვეყნებული სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით გამოცხადებულია კონკურსი ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე.

ყველაფერი ეს მომასწავებელია იმისა, რომ ჩვენი პარტია უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს ისტორიულ მეცნიერებას, სახელმძღვანელოების შედგენას ამ დარგში, მის სწავლების საქმეს. არ შეიძლება, რომ ქვეყანას, რომელმაც პირველად შექმნა სოციალისტური წყობილება, არ ჰქონდეს საუკეთესო სახელმძღვანელოები ისტორიაში. დიადია ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, დიადია ჩვენი სოციალისტური სამშობლო, მაგრამ იგი დიად ისტორიულ მეცნიერებასაც მოითხოვს.

ყოველად დაუშვებელია უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ისტორიის საკითხებისადმი. ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენა უაღრესი სახელმწიფოებრივი და პარტიული საქმეა. სახელმძღვანელოს სწავლობს ათეული მილიონები ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობისა, ამიტომ თითოეულ ყალბ განსაზღვრას აქ შეუძლია განუზომელი ზიანი მოიტანოს. სახელმძღვანელოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითოეულ სიტყვას და თითოეულ განსაზღვრას. ჩვენი პარტიის საუკეთესო ხელმძღვანელები პირდაპირ მიგვითითებენ, რომ „საქმე ეხება სახელმძღვანელოს შექმნას, სადაც ყოველი სიტყვა და ყოველი განსაზღვრა აწონილ-დაწონილი უნდა იყოს".[2]

როგორ შეიძლება შეიქმნას ასეთი სახელმძღვანელო ისტორიისა?

ამ საკითხზე გარკვეულ და ამომწურავ პასუხს აძლევენ ამხ. სტალინი, ჟდანოვი და კიროვი თავის გენიალურ შენიშვნებში, რომლებიც მოწონებული იყო 1934 წლ. 14 აგვისტოს, მაგრამ მხოლოდ 1936 წლ. 27 იანვარს იქნა პირველად გამოქვეყნებული.

ეს შენიშვნები უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. აქ სავსებით ნათელი ხდება ის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენი პარტია აკუთვნებს ისტორიულ მეცნიერებას. მაგრამ მარტო ამით როლი ამოიწურება ამხ. სტალინის, ჟდანოვის და კიროვის შენიშვნები, რომელთაც აგრეთვე უდიდესი თეორიული მნიშვნელობა აქვთ.

---

[2] მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი, სახელგამი, ტფ., 1936 წ., გვ. 20.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია სახელმძღვანელოს ავტორებს წარმოდგენილი ჰქონდათ არა როგორც საბჭოთა კავშირში მოსახლე ხალხების ისტორია, არამედ როგორც ველიკოროსიის ისტორია. ამავე დროს ეს ისტორია წარმოდგენილი იყო მოწყვეტილად დასავლეთ ევროპისა და მსოფლიო ისტორიისაგან.

ეს იყო უეჭველად შედეგი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ზეგავლენისა. რუსეთის „ძველი მემამულურ-ბურჟუაზიული მეცნიერება აშუქებდა თითქმის მხოლოდდამხოლოდ ველიკოროსთა ისტორიას".[3]

სწორედ ამ მეცნიერების ზეგავლენას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ისტორია (გარდა ველიკოროსიისა) არ იყო სათანადოდ დამუშავებული და გადმოცემული სახელმძღვანელოში.

ყოველად დაუშვებელია აგრეთვე უგულებელყოფა მსოფლიო ისტორიისა საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის სახელმძღვანელოში. შეუძლებელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ საბჭოთა კავშირის ისტორიაზე, თუ მაგალითად, ცნობილი არ არის „დასავლეთი ევროპის ბურჟუაზიულ-რევოლუციურ და სოციალისტურ მოძრაობათა როლი და გავლენა რუსეთის ბურჟუაზიულ-რევოლუციური მოძრაობისა და პროლეტარულ-სოციალისტური მოძრაობის მიმართ".[4]

ამხ. სტალინმა, ჟდანოვმა და კიროვმა თავის შენიშვნებში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს სახელმძღვანელოს ავტორების ასეთი შეცდომები. „ჩვენ გვესაჭიროება, ამბობდენ ისინი, სსრკ-ის ისტორიის ისეთი სახელმძღვანელო, სადაც ველიკოროსიის ისტორია არ იქნება მოწყვეტილი სსრკ-ის სხვა ხალხთა ისტორიას, — ეს ერთი, და სადაც სსრკ-ის ხალხთა ისტორია არ იქნება მოწყვეტილი საერთო ევროპულ ისტორიას და, საერთოდ მსოფლიო ისტორიას, — ეს მეორე".[5]

სხვა მეტად მნიშვნელოვან შენიშვნებს შორის უნდა აღინიშნოს ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის შენიშვნა იმის შესახებ, რომ სახელმძღვანელოს „კონსპექტში არაა ბაზგასმული ანექსიონისტურ-კოლონიზატორული როლი რუსეთის ცარიზმისა რუსეთის ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან ერთად".[6]

ეს მეტად დიდი პოლიტიკური შეცდომაა, რომელიც კონსპექტის ავტორებმა არც შემდგომ, სახელმძღვანელოს შედგენის დროს, არ გამოასწორეს. ამ შეცდომას ემატება ისიც, რომ კონსპექტში არაა გაშუქებული ცარიზმის მიერ დაპყრობილ ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მისი პირობები და სათავეები, რის გამო დაუსაბუთებელი რჩება ოქტომბრის რევოლუცია და თვით სსრკ-ის შექმნა.

დაუფასებელია ამხ. სტალინის, ჟდანოვისა და კიროვის შენიშვნების მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისათვის. ამ შენიშვნების საფუძველზე წარმოებულ ინტენსიურ მუშაობას პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკ-ისტორიკოსებისას, შეუძლია მოგვცეს ისტორიის ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური სახელმძღვანელო.

აღნიშნული შენიშვნები დაწერილია „საბჭოთა კავშირისა" და „ახალი ისტორიის" კონსპექტების შესახებ.

---

[3] „პრავდა", 1936 წ. 27 იანვარი.
[4] „პრავდა", 1936 წ. 27 იანვარი.
[5] მარქსისტული ისტ. მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი, გვ. 20.
[6] იქვე, გვ. 16.

ისმება საკითხი, თუ რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ ჩვენ ამ გენიალური შენიშვნებისაგან საქართველოს ისტორიისათვის, და რა ამოცანები ისახება ჩვენს წინაშე საკავშირო კომპარტიის ცეკასა და სახკომსაბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით.

ეს საკითხი მოითხოვს ჩვენს უდიდეს ყურადღებას.

2. საქართველოს ისტორიის ფრონტი

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ საქართველოს ისტორიაზე ლაპარაკიც კი არა ღირს, რომ აქ არაფერი არის საინტერესო და გამოსაკვლევი. ასეთი ნიღილისტური შეხედულება საქართველოს ისტორიის შესწავლის საკითხისადმი, სამწუხაროდ, აქა-იქ გავრცელებული იყო და დღესაც კი არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი. აღსანიშნავია, რომ ასეთივე თვალსაზრისს ავითარებდა ერთ დროს ამხ. ფილიპე მახარაძე თავის ნაშრომში დანიელ ჭონქაძის შესახებ (გამოიცა პირველად 1904 წელს).

აი, რას სწერდა ამხ. ფ. მახარაძე: ჩვენ ხშირად გვესმის საყვედური, რომ ქართულ ისტორიას ჯერ არა ყავს გამოჩენილი ისტორიკოსიო; მაგრამ ასეთი საყვედური რამდენათაც მართალია, იმდენათ იგი უსაფუძვლოა. და მართლაც, კარგიც რომ გვყოლოდენ, რას იზამდენ ჩვენში გიზო, ლუი-ბლანი, ტიერი, ბოკლი, ნიბური და სხვ.? რომელი მოძრაობა, ან რომელი ისტორიული ცვლილება უნდა გაეხადათ მათ თავიანთ გამოკვლევათა საგნათ, რაზე უნდა მიეპყრათ თავიანთი ყურადღება?“.[7]

გამოდის, რომ ქართველ ისტორიკოსს არა აქვს თვით კვლევის საგანიც კი, რადგან საქართველოს ისტორიას არ ახსოვს მნიშვნელოვანი მოძრაობა ან ცვლილება.

საქართველოს ისტორიაში ამხ. ფ. მახარაძე მხოლოდ სისხლის ღვრასა და ხოცა-ჟლეტას ხედავს, რომელიც წარმოებდა ბატონყმური წყობილების ნიადაგზე. „მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება მოუნდა ამ ბატონყმური წესწყობილების შექმნას და გაძლიერებას. შესანიშნავი აქ მხოლოდ ის გარემოებაა, რომ ეს პროცესი გაგრძელდა დიდხანს“.[8] ანდა კიდევ: „ჩვენი ხალხის წარსულმა ცხოვრებამ არ იცის არავითარი პოლიტიკური გინდ წმინდა გონებრივი ხასიათის მოძრაობა“.[9]

ამხ. ფ. მახარაძე გრძნობს, რომ შეიძლება ვინმემ დაასახელოს ისეთი გამოჩენილი პირი საქართველოს ისტორიაში, როგორიც იყო შოთა რუსთველი თავისი „ვეფხის-ტყაოსნით“. მაგრამ ამხ. ფ. მახარაძის აზრით, ამ პოემაში „გაღმერთებულია ქალ-ვაჟის სიყვარული, მონური წესწყობილება და მონური ცხოვრება. ამნაირი შინაარსის პოემამ შეიძლება მოიპოვოს მრავალი მკითხველი, რომელიც უსაქმოთ და უდარდელათ ატარებს დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს, მაგრამ იგი არასოდეს არ შეიძლება გახდეს რომელიმე ნაყოფიერი მოძრაობის ან მოვლენის სათავეთ“.[10]

საჭიროა გადაჭრით იქნას უარყოფილი ასეთი შეხედულებები საქართველოს ისტორიის შესახებ საზოგადოდ და რუსთველის პოემის შესახებ კერძოდ. ყოვლად მიუღებელია

---

[7] ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. V, სახელგამი, ტფ., 1926 წ., გვ. 102-103.
[8] იქვე, გვ. 104.
[9] იქვე, გვ. 105.
[10] იქვე, გვ. 103.

ამხ. ფ. მახარაძის დებულება „ვეფხის-ტყაოსნის“ — ამ გენიალური ნაწარმოების შესახებ, რომელმაც წარუხოცელი გავლენა მოახდინა მთელი ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. ჩვენი პარტიის მიერ კარგა ხანია დაგმობილია ასეთი დამოკიდებულება კლასიკური მემკვიდრეობისადმი, რომლის კრიტიკულ ათვისებას მოითხოვდა და მოითხოვს იგი ყველასაგან.

საქართველოში ადგილი ჰქონდა მრავალ ხოცვა-ჟლეტას და სისხლის ღვრას, და სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო ფეოდალიზმის არსებობის პირობებში. მრავალმა სხვა ხალხმაც განვლო ასეთი სისხლიანი და ნარეკლიანი გზა.

მაგრამ სად ან ვის უარუყვია ამის გამო ისტორიული კვლევის საჭიროება? განა თვით ხოცვა-ჟლეტის ფაქტიც არ მოითხოვს გამოკვლევასა და გაგებას? და მერე ვინ შეისწავლა ქართველი ხალხის ნამდვილი ისტორია? ვინ შეეცადა მოეცა დაჩაგრული კლასების მოძრაობის ნამდვილი სურათი? ვინ გამოარკვია საკითხი ყმების აჯანყებისა ბატონების წინააღმდეგ?

ისტორიული კვლევის საგანი არსებობდა და არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდენ ისტორიკოსები, რომლებსაც დაეძლიათ მისი შესწავლის ამოცანა.

ქართველი ხალხის ისტორია მდიდარია თავისი შინაარსით. საქართველოს ისტორიაში ძალიან ბევრი რამ არის ძვირფასი და საინტერესო. ეს შეეხება არა მარტო უახლოეს პერიოდს საქართველოს ისტორიისას, არამედ მის ძველ პერიოდსაც.

საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მოლოტოვმა საბჭოთა საქართველოს დელეგაციის კრემლში მიღების დროს თავის მშვენიერ სიტყვაში თქვა: „რომ მოსულიყო დღევანდელ დღემდის, როდესაც დაიწყო ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების აყვავება, საქართველოს თავისი ისტორიის მრავალი საუკუნე უნდა გაეელო. შორეულ, შორეულ წარსულში აქვს სათავე ამ ისტორიას, რომელიც აღსავსეა ხალხის მძიმე ტანჯვითა და მისი გმირული ბრძოლით თავისი ბედნიერებისათვის, თავისი მომავლისათვის.

საქართველოს ხალხმა განიცადა მრავალსაუკუნიანი ჩაგვრა გარეშე დამმონებელთაგან, გათავებული რუსეთის მეფის ხელისუფლებით. თუ შორეულ წარსულში დამპყრობთა თავდასხმებმა და მათ მიერ ჩაგვრამ ვერ სძლია ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისა და ეროვნული განვითარებისაკენ, ჩაიფუშა აგრეთვე იძულებითი რუსიფიკაციის ცდაც, რასაც ცარიზმი აწარმოებდა. ქართველმა ხალხმა ბევრი რამ აიტანა როგორც საკუთარი ქვეყნის მჩაგვრელთაგან, მემამულეებისაგან, მემამულეებისაგან და მეფის ადგილობრივი მოხელეებისაგან.

ამასთან ერთად, საქართველომ თავის ისტორიაში ჩაწერა საკმაოდ ბევრი ფურცელი ხალხთა მასების სასახელო ბრძოლისა როგორც გარეშე, ისე შინაურ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამას ნათლად მოწმობს მემამულეთა და თავად-აზნაურთა წინააღმდეგ გლეხობის რევოლუციური მოძრაობები. მუშების საბრძოლო გამოსვლებს ტფილისსა, ბათომსა, ჭიათურასა და ფოთში ხშირად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რუსეთისათვის, განსაკუთრებით იმ პერიოდიდან, როდესაც ამიერ-კავკასიისა და, უწინარეს ყოვლისა, ტფილისისა და ბაქოს მუშათა მოძრაობა დადგა რევოლუციური მარქსიზმის დროშის ქვეშ, ბოლშევიკების დროშის ქვეშ. საქართველოს ბოლშევიკები ჩვენი პარტიის ისტორიის დასაწყისიდანვე იყვნენ მის პირველ რიგებში და მათ თვალსაჩინო როლი ითამაშეს ბოლშევიკური იდეების შემოქმედების განვითარებაში და მეფის თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში და მისცეს საკმაოდ ბევ-

რი გამოჩენილი რევოლუციური მოღვაწე არა მარტო საქართველოსა და ამიერ-კავკასიას, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანასაც"...[11]

ქართველმა ხალხმა ბევრი რამ მისცა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირსაც, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს. საკმარისია ითქვას, რომ საქართველომ ჩვენ მოგვცა ამხანაგი სტალინი".[12]

ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის რკინის სარდალმა, საბჭოთა კავშირის პირველმა მარშალმა ამხ. ვოროშილოვმაც თავის მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს ცაკის საიუბილეო სხდომაზე აღნიშნა ქართველი ხალხის ისტორიის დიდი მნიშვნელობა.

ამხ. ლ. ბერიას ისტორიულ მოხსენებაში — „ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის ამიერ-კავკასიაში" — შესანიშნავად არის გაშუქებული ის შეურიგებელი რევოლუციური ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა კლასი და გლეხობა მემამულეებისა და ბურჟუაზიის და მათი პარტიების წინააღმდეგ მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ გამოჩენილი და მტკიცე ლენინელის ამხ. სტალინის მეთაურობით. ბევრი ბრწყინვალე ფურცლები ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში ამ ბრძოლის შედეგად.

მაგრამ ეს გმირული ბრძოლა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მუშებისა და გლეხების და ამხ. სტალინის უდიდესი როლი ამ ბრძოლაში არ იყო ცნობილი ამხ. ლ. ბერიას მოხსენებამდის. ის ისტორიკოსები, რომლებიც ამ საკითხებზე წერდნენ, იძლეოდნენ არა ნამდვილს, არამედ ფალსიფიცირებულ ისტორიას. ამხ. ლავრენტი ბერიამ პირველად დააყენა და ბრწყინვალედ გააშუქა ბოლშევიკური მოძრაობის ჩასახვის, მისი განვითარებისა და ბრძოლის საკითხები საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. მან პირველად მოგვცა ნამდვილი მეცნიერული ისტორია ქართველი ხალხისა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება ძვირფასს განძს წარმოადგენს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ისტორიულ ლიტერატურაში. ამ მოხსენებით იწყება ღრმა გარდატეხა ჩვენს ისტორიულ ფრონტზე. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიკოსებმა ჯერ კიდევ ვერ გააკეთეს ჯეროვანი დასკვნა ამხ. ლ. ბერიას მოხსენებიდან თავისი მუშაობისათვის. საქართველოს წარსული ძველს, საშუალო და ახალ საუკუნეებში არ არის მეცნიერულად შესწავლილი და გამორკვეული. ნამდვილი ისტორიის ფალსიფიკაციას მთელი რიგი ისტორიკოსების მხრივ აქაც ადგილი აქვს, რაც ჯერჯერობით სათანადოდ გამომჟღავნებული არ არის.

ამის დასამტკიცებლად საკმარისია ორიოდე მაგალითი მოვიყვანოთ.

მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი გლეხობა არა ერთხელ აჯანყებულა მეფის მთავრობისა და მემამულეების წინააღმდეგ.

ამ გლეხურმა მოძრაობამ წამოაყენა თავისი ბელადები (მიქავა და სხვ.), რომლებიც სათავეში ედგა რევოლუციურ ბრძოლას. მაგრამ ჩვენ სათანადოდ არ ვიცნობთ ან ცუდად ვიცნობთ გლეხობის გმირული ბრძოლის ნამდვილ ისტორიას და ამ მოძრაობის ბელადებსაც.

[11] „კომუნისტი", №66, 21 მარტი, 1936 წ.
[12] იქვე.

გლეხთა აჯანყებებს, მათ რევოლუციურ ბრძოლას ადგილი ჰქონდა მეფის რეჟიმის განმტკიცებამდისაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. ეს აჯანყებები და ბრძოლა ხომ სულ ბურუსით არის მოცული!

ამავე დროს ამ ბრძოლას, ამ რევოლუციურ ტრადიციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ჩვენი ახლანდელი ბრძოლა, როგორც ამას აღნიშნავდა ამხ. დიმიტროვი, დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენი ხალხის რევოლუციურ ტრადიციებსა და წარსულთან, ყოველივე იმასთან, რაც ძვირფასია ჩვენს ისტორიაში.

რა გავაკეთეთ ჩვენ იმისათვის, რომ შეგვესწავლა ქართველი ხალხის წარსული?

საქართველოს სამოქალაქო ისტორიის დარგში არსებული ლიტერატურის შესწავლა გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ აქ მდგომარეობა სავსებით არადამაკმაყოფილებელია.

თუ ამხ. სტალინის, ჟდანოვისა და კიროვის შენიშვნებში ასე მკაცრად არის მოცემული დახასიათება რუსულ ენაზე გამზადებული ისტორიის სახელმძღვანელოებისა, რაღა უნდა ითქვას ჩვენი ხალხის ისტორიის სახელმძღვანელოებზე? თუ რუსეთში ისტორიულ ფრონტზე არსებული მდგომარეობა და ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ამ ბრძოლის დროს არსებობდა, არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, რაღა უნდა ითქვას ჩვენს ისტორიულ ფრონტზე და, კერძოდ, საქართველოს ისტორიის ფრონტზე?

დღეს საბჭოთა სკოლებში საქართველოს ისტორია არ ისწავლება. ის ისწავლება ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ აქაც არ შეიძლება ეს სწავლება დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ. დღემდის ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ არცერთი კომუნისტი მეცნიერი მუშაკი, რომელიც საქართველოს ისტორიას ასწავლიდეს უმაღლეს სასწავლებლებში. უნდა ითქვას პირდაპირ, რომ ქართველ მეცნიერ-მუშაკებს კომუნისტებს დღემდის სერიოზულად არ მიუწნევიათ საქართველოს ისტორიის ფრონტი და სერიოზულად არ დაუწყიათ ბოლშევიკური მუშაობა ამ საკითხზე.

დამახასიათებელია ისიც, რომ არც ახლა ჩანს სერიოზული ინტერესი საქართველოს სამოქალაქო ისტორიის საკითხისადმი მეცნიერ-მუშაკ კომუნისტების მხრივ. მათ ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ თავისთვის სათანადო დასკვნა ამხ. ლ. ბერიას მოხსენებიდან.

ახალი კადრების მომზადების საქმეც ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ასპირანტებს შორისაც თითო-ოროლა თუ მოიპოვება ისეთი კომუნისტი და კომკავშირელი, რომლებიც საქართველოს ისტორიაზე მუშაობდენ.

სერიოზულ დაბრკოლებას აქ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს შესახებ მთელი რიგი ისტორიული ძეგლები გამოუქვეყნებელია. ისინი მისაწვდომი არიან მხოლოდ სპეციალისტების პატარა ჯგუფისათვის, მაშინ როდესაც ახალგაზრდა მზარდ მეცნიერულ კადრებს არა აქვთ საშუალება მათზე მუშაობისა. ძალიან ბევრი მასალა მოიპოვება უცხო ენებზე (ბერძნულ, ირანულ, სირიულ, არაბულსა და სხვ. ენებზე), მაგრამ ისინიც არ არიან შეკრებილი და გამოქვეყნებული. აღნიშნული ენების უცოდინარობა კი ჩვენი ახალგაზრდობისათვის შეუძლებლად ხდის ამ უცხოურ, ხშირად ძვირფასი მასალების გამოყენებას.

მეტად ღარიბია ჩვენი ლიტერატურა ცალკე ისტორიული მონოგრაფიებითაც. ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდა კი შეუძლებელია ისე, თუ ასეთი იდეოლოგიურად გამართული მონოგრაფიები არ არსებობს.

მომზადებული მარქსისტულ-ლენინური კადრების არ არსებობა საქართველოს ისტორიის დარგში და ის გარემოება, რომ დღემდის არ არის გამოქვეყნებული საჭირო ისტორიული დოკუმენტები და ძეგლები და მეტად მცირეა მონოგრაფიების რაოდენობა, ხელს

უშლიდა და უშლის სათანადო ღირსების სახელმძღვანელოს შედგენას. თავის მხრივ გამართული მარქსისტულ-ლენინური სახელმძღვანელოს უქონლობა ხელს უშლის ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეს.

სახელმძღვანელოები არსებობდა საქართველოს ისტორიაში (ქვარიანისა, გორგაძისა, ს. კაკაბაძისა და სხვ.), მაგრამ განა შესაძლებელია ამ სახელმძღვანელოებისათვის სერიოზულად გვეწოდებია სახელმძღვანელოები? განა შესაძლებელი იყო მათი ხმარება საბჭოთა სკოლებში?

ეს სახელმძღვანელოები უფრო ლეგენდას წარმოადგენს, ვიდრე ისტორიას. მათი ავტორები ლეონტი მროველს ვერ გასცილებიან და მოგვითხრობენ ზღაპარს ქართველების წარმოშობის შესახებ. მათი შემწეობით სავსებით შეუძლებელია გათვალისწინება ქართველი ხალხის ცხოვრების ნამდვილი ისტორიული განვითარებისა.

ისტორიის სახელმძღვანელოების მხრივ ჩვენში გაცილებით უფრო უარესი მდგომარეობაა, ვიდრე რუსეთში. იქ დაწუნებულ იქნა ახლად შედგენილი სახელმძღვანელოები. იქ ლაპარაკია ბურჟუაზიული ისტორიკოსების ზოგიერთი გავლენებისა და პოკროვსკის შკოლის შეცდომების დაძლევაზე.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ხდება რუსეთში მას შემდეგ, რაც დიდი ბრძოლები იქნა გადახდილი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც გაიზარდა ახალი სამეცნიერო კადრები და საერთოდ წინ წავიდა ისტორიული მეცნიერება.

მიუხედავად ამისა, საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა ამხ. სტალინის მეთაურობით თავის შენიშვნებში აღნიშნეს უდიდესი ნაკლი ისტორიის სახელმძღვანელოების კონსპექტებისა და მისცეს მათ ავტორებს სათანადო მითითებები.

საქართველოს სამოქალაქო ისტორიის უწინდელ სახელმძღვანელოებზე და მონოგრაფიებზედაც ზოგადად შეიძლება ითქვას შემდეგი:

1) იქ ქართველი ხალხის ისტორია მოწყვეტილია სხვა მეზობელი ხალხებისა და მსოფლიო ისტორიისაგან. არ არის სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული მეზობელი სახელმწიფოების ურთიერთობა საქართველოსთან. თუ მათ შესახებ ლაპარაკია, მხოლოდ იმდენად, რამდენად ისინი საქართველოს დამპყრობელები იყვნენ და მას ეომებოდნენ. მაგრამ რა ედვა სარჩულად ამ დაპყრობასა და ომიანობას, ამის შესახებ ამ სახელმძღვანელოებიდან ვერაფერს გაიგებთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქ საკითხები ურთიერთობისა ირანთან, ბიზანტიასთან, თურქეთთან და მეფის რუსეთთან.

გარეშე სახელმწიფოებისა და ხალხების გავლენა საქართველოზე უეჭველია. ამ დებულების სისწორეს განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში განიცდიდა სხვადასხვა დამპყრობელი სახელმწიფოს უღელსა და მათ ზეგავლენას.

2) სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები ეხება თითქმის მარტო ქართველი ხალხის ისტორიას და არა ყველა იმ ხალხის ისტორიას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ (ოსები, აფხაზები და სხვ.). ამრიგად, ქართველი ხალხის ისტორია განხილულია ამ ხალხებთან ურთიერთკავშირის გარეშე.

3) ისინი არ იძლევიან ნათელ სურათს ქართველი ხალხის მიერ დამპყრობლების (კერძოდ, მეფის მთავრობის) წინააღმდეგ წარმოებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლისას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სრულიად არ არის განხილული საკითხი იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც აწარმოებდენ ქართველ მემამულეთა და ბურჟუაზიის

ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხები.

4) გაშუქებული არ არის საქართველოს მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლა ქართველი და რუსი მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რუსეთის მუშებთანა და გლეხებთან. განხილული და სათანადოდ შეფასებული არ არის რუსეთის რევოლუციური და სოციალისტური იდეებისა და მოძრაობის ზეგავლენა საქართველოს რევოლუციურსა და სოციალისტურ მოძრაობაზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მხედველობაში არ იყო მიღებული ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიერ მითითებული შემდეგი გარემოება: „იმ დროს, როდესაც მეფის თვითმპყრობელობა ამყარებდა ბლოკს ნაციონალურ ქართულ ბურჟუაზიასთან, თავადებთან, აზნაურებთან და მემამულეებთან დამონებულ ეროვნებათა მშრომელ მასებზე თავისი ჩაგვრის გასამტკიცებლად და ცდილობდა ეროვნებათა შორის მტრობის გაღვივებას, მოწინავე წარმომადგენლები რუსეთისა და საქართველოს მუშათა კლასის და მშრომელთა მასებისა ამყარებდნენ ერთმანეთს შორის მჭიდრო ინტერნაციონალურ კავშირს ბრძოლისას თვითმპრობელობის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ“.[13]

5) მათი მეთოდოლოგია და მთელი იდეური მიმართულება უმრავლეს შემთხვევაში მიუღებელია. ამ მეთოდოლოგიას არაფერი საერთო არ აქვს მარქსისტულ მეთოდოლოგიასთან. ისტორიული მოვლენები განხილულია იდეალისტურ-სუბიექტივისტური თვალსაზრისით. ფაქტიურად წარმოდგენილია მეფეთა ისტორია და არა ქართველი ხალხის ნამდვილი ისტორია. მეფეებისათვის მიკუთვნებულია მეტად გადაჭარბებული როლი. ამრიგად, გაყალბებულია მთელი ისტორია.

6) სახელმძღვანელოები არ იყო დაწერილი წარმტაცი ცოცხალი ენით, მოცემული არ იყო მხატვრული სახეები, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ზემოთ აღნიშნული იქნა ზოგიერთი მთავარი უარყოფითი მხარე წინათ არსებული სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიებისა საქართველოს ისტორიაში. აქედან აშკარა უნდა იყოს ის გარემოება, რომ მათ არ შეეძლოთ და არც შეუძლია მოგვცეს გაგება საბჭოთა ბოლშევიკური რევოლუციისა და იმ მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა მის საფუძველზე მთელ საბჭოთა კავშირში, კერძოდ, ყოფილი დაჩაგრული ჩამორჩენილი ხალხებისათვის.

ამხ. მოლოტოვმა ზემოაღნიშნულ სიტყვაში თქვა:

„ძალების, ნიჭისა და ტალანტის ზრდის ნამდვილი შესაძლებლობა ჩვენ შეგვექმნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაიმარჯვა რევოლუციამ, რომელმაც ცარიზმი დაამხო. მაგრამ საჭირო იყო, რომ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია გადაზრდილიყო ოქტომბრის პროლეტარულ რევოლუციაში, რათა საბოლოოდ უზრუნველგვეყო ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძალების განვითარების თავისუფლება და აყვავება...

მხოლოდ რუსეთის დიდი ოქტომბრის რევოლუციის მხრივ მოსულმა დახმარებამ ხელი შეუწყო მენშევიკთა დამხობას და ბოლო მოუღო საქართველოში მათი ბატონობის კოშმარულ პერიოდს. ქართველი ხალხის ძალების ნამდვილი და სრული განთავისუფლების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, როცა ლენინის ხელმძღვანელობით გამარჯვებული საბჭოთა, ბოლშევიკური რევოლუცია, ჩვენი დიდი ქვეყნის მუშათა ცენტრებსა და

[13] **Л. Берия,** Победа ленинско-сталинской национальной политики, Тифл., 1936 г., стр. 8-9.

მუშურ-გლეხურ წითელ არმიაზე დაყრდნობით 1920 წელს მოვიდა ამიერ-კავკასიაში და შემდეგ ამხანაგ სტალინის ყოველმხრივი ხელშეწყობით ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინა ქართველ ხალხს და შევიდა საქართველოში ამხ. ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით".[14]

ყოველივე ამის გაგება შეუძლებელი და წარმოუდგენელია საქართველოს სამოქალაქო ისტორიაში არსებული სახელმძღვანელოებიდან და სათანადო მონოგრაფიებიდან.

ჩვენ აქ მეტად ზოგადად შევჩერდით საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებისა და ისტორიული ლიტერატურის შეფასებაზე. მაგრამ ასეთი ზოგადი შეფასება საკმარისი როდია. საჭიროა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ მდგომარეობა საქართველოს ისტორიის ფრონტზე. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მუშაობის უფრო სწორად წარმართვას მომავალში.

3. პროფ. ივ. ჯავახიშვილი და მისი შეფასება ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ

ვისაც უნდა შეისწავლოს და შეაფასოს საქართველოს ისტორიის თანამედროვე მდგომარეობა, მას არ შეუძლია გვერდი აუაროს ისეთ ისტორიკოსს, როგორიცაა პროფ. ივ. ჯავახიშვილი. მას მრავალი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის შესახებ და თავისი მიმდევრებიც ჰყავს.

შეიძლება ითქვას, რომ დღესაც საქართველოს ისტორიულ ლიტერატურაში ივანე ჯავახიშვილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ზოგიერთი იმათგანიც კი, რომლებსაც თავისი თავი მის მომხრეებად არ მიაჩნიათ, მაინც უდავოდ ცნობენ მის ავტორიტეტს და მის ისტორიულ ნაშრომებს უსაზღვრო ხოტბას ასხამენ.

დამახასიათებელია ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების შეფასება ისტორიკოსის პროფ. გ. ნათაძის მიერ.

პროფ. გ. ნათაძე, ეხება რა პროფ. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიას, წერს: „ისტორიული კვლევა-ძიების „მეცნიერულ ნიადაგზე დაყენება წილად ხვდა პროფ. ჯავახიშვილს, რომელმაც მთელი საუკუნის განმავლობაში დასმული და გადაუწყვეტი საკითხები სულ მოკლე ხანში გადაწყვიტა".[15] კიდევ მეტი: „ზუსტი კვლევა-ძიება, ნამდვილი ფაქტების გადარჩევა და დამტკიცება მრავალნაირი წყაროს ცნობების შედარების ნიადაგზე, დათარიღება, გენეალოგიური საკითხების გამორკვევა და სხვა ამგვარი ამოცანები ისე შეასრულა პროფ. ჯავახიშვილმა, რომ მისი მეოხებით, შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, საქართველოს ისტორიული მეცნიერება ამ მხრივ ერთბაშად დასავლეთი ევროპის ისტორიული მეცნიერების სიმაღლეზე დადგა".[16]

ამრიგად, პროფ. გ. ნათაძის აზრით, ი. ჯავახიშვილმა ზუსტი კვლევა-ძიებით მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დასმული საკითხები მოკლე ხანში გადაწყვიტა და

[14] „კომუნისტი", №66, 1936 წ.
[15] პროფ. გ. ნათაძე, საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები, ნაკვეთი I. ტფილისი, 1931 წ., გვ. 80.
[16] იქვე, გვ. 80-81.

ჩვენი ისტორიული მეცნიერება დასავლეთ-ევროპის ისტორიული მეცნიერების სიმაღლეზე აიყვანა. პროფ. ნათაძეს აქ ერთი კრიტერიუმი აქვს ჯავახიშვილის ისტორიული კვლევა-ძიების ხარისხისათვის. ეს არის დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების სიმაღლე.

აცხადებს რა, რომ ი. ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიულ მეცნიერებაში ბადალი არა ჰყავს, პროფ. ნათაძე გადადის მისი მეთოდის განხილვაზე. მისი აზრით, ივანე ჯავახიშვილს სწამს „სრული ობიექტივიზმის შესაძლებლობა კვლევა-ძიებაში და არა ცნობს კლასობრივი სუბიექტივიზმის აუცილებლობას".[17] მხოლოდ იშვიათად თუ გამოიჩენს იგი „ერთგვარ სუბიექტივიზმს",[18] საერთოდ კი ის „სრული ობიექტივიზმის მომხრეა".[19]

პროფ. ნათაძეს ძალიან მოსწონს ჯავახიშვილის სრული ობიექტივიზმი ისტორიული კვლევის დროს. საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ ჯავახიშვილის ამ მეთოდს ნათაძე ადარებს და უთანაბრებს მარქსის მეთოდს. „კვლევა-ძიების ამგვარი წესი ერთად-ერთია, რომელსაც კი შეუძლია მეცნიერული სინამდვილის ამოცნობამდის მიგვიყვანოს. თვით მარქსი, ეს უალრესი მომხრე სინთეტიური მუშაობისა ისტორიაში, ამგვარ ემპირულ კვლევა-ძიებაზე აფუძნებს მეცნიერულ აზროვნებას".[20]

როგორც ვხედავთ, მარქსიც თურმე ისეთივე მეთოდით აწარმოებდა კვლევა-ძიებას, როგორც ჯავახიშვილი. თუ აქ რაიმე განსხვავება არსებობს, მხოლოდ ის, რომ ჯავახიშვილი მარქსზე უფრო მეტად არის ობიექტივისტი, რადგან იგი ზეკლასიურ თვალსაზრისზე დგას. ეს ნათლად ჩანს პროფ. ნათაძის შემდეგი სიტყვებიდან: „მარქსიზმიც არ არის მთლად ობიექტური, რამდენადაც იგი განსაზღვრული კლასობრივი იდეოლოგიის გამომხატველია, მაგრამ შედარებით პიროვნულ სუბიექტივიზმთან, ის უფრო ბევრად ობიექტიური მიდგომაა კვლევა-ძიებისადმი".[21]

ასეთია პროფ. ნათაძის მიერ მოცემული შეფასება ივ. ჯავახიშვილის ისტორიული ნაშრომებისა.

ამ შეფასებას ჩვენ არ მივაქცევდით ყურადღებას, რომ ის შემთხვევითი იყოს, რომ მას არ ჰქონდეს ერთნაირი გასავალი ქართველ ისტორიკოსებში. ჯავახიშვილის ასეთ შეფასებას რომ ადგილი აქვს ზოგიერთ საბჭოთა ისტორიკოსის მხრივ, ესეც მომასწავებელია იმისა, რომ პროფ. ჯავახიშვილის ზეგავლენა ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაზე დღესაც საგრძნობია.

ამიტომ საჭიროა დეტალურად შევჩერდეთ ამ საკითხზე და გამოვარკვიოთ ჯავახიშვილის ისტორიული ნაშრომების ნამდვილი შინაარსი, გამოვამჟღავნოთ მისი სკოლის ნამდვილი ხასიათი.

---

[17] პროფ. გ. ნათაძე, საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები, ნაკვეთი I. ტფილისი, 1931 წ., გვ. 82.
[18] იქვე, გვ. 83.
[19] იქვე, გვ. 84.
[20] იქვე, გვ. 83.
[21] იქვე, გვ. 9-10.

4. პროფ. ივ. ჯავახიშვილი და დიალექტიკური მეთოდი

პროფ. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიის გამორკვევა შეიძლება ერთი მხრით ამ საკითხზე მის მიერ სხვადასხვა ადგილას მოკლედ გამოთქმული შეხედულებების მიხედვით და მეორე მხრით თვით კვლევის მეთოდის მომარჯვებით ისტორიული მოვლენების ახსნის დროს.

თავისი „ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის წინასიტყვაობაში პროფ. ჯავახიშვილი შემდეგს წერს: „ადვილად წასაკითხი და ლამაზი დაუსაბუთებელი თეორიებისა და დებულების წამოყენებას, ვფიქრობ, რომ ყოველმხრივ დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია. მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოიდგინოს. საქართველოს ისტორიის მეცნიერულ, კრიტიკულ შესწავლას ჯერ იმ დონემდე არ მიუღწევია, რა დონეზედაც ძველი საბერძნეთისა, რომისა და დასავლეთი ევროპის ისტორია იმყოფება, რომ ისტორიკოსმა ძირითადი ფაქტების უცილობლობის წყალობით თითქმის დაუსაბუთებლად სწეროს და მარტო ზოგადი პრობლემების განხილვით იყოს გატაცებული".[22]

გამოდის, რომ ქართველი ისტორიკოსების მისწრაფება უნდა იყოს — აიყვანოს საქართველოს ისტორია ძველი საბერძნეთისა, რომისა და დასავლეთი ევროპის ისტორიის დონემდის, რადგან ეს ყველაზე უფრო მაღალი მიღწეული დონეა. რუსეთის ისტორიის დონეზე ხომ ლაპარაკი არ შეიძლება, მარქსისტული ისტორიოგრაფია საბსენებელიც კი არ არის. მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ისტორიული ნაშრომები უგულებელყოფილია, რადგან ისინი, ჯავახიშვილის აზრით, არ დგანან აღნიშნულ დონეზე.

ამ დებულებაშიაც ნათლად მჟღავნდება ჯავახიშვილის მეთოდოლოგიის ანტიმარქსისტული არსი, მაგრამ ზემოთ მოყვანილ ამონაწერში სხვა დებულებებიც არის მოცემული, რომლებზედაც ჩვენ ახლავე უნდა შევჩერდეთ.

ჯავახიშვილი ერთმანეთს უპირდაპირებს „ლამაზ დაუსაბუთებელ თეორიას" და „დასაბუთებულ ისტორიას". საქართველოს ისტორიკოსები მხოლოდ მაშინ უნდა გაიტაცოს ზოგადმა პრობლემებმა, როდესაც მათ მიერ მიღწეული იქნება რომისა, ძველი საბერძნეთისა და დასავლეთი ევროპის ისტორიის დონე.

გამოდის, რომ ამ „უმაღლესი დონის" მიღწევამდის არ შეიძლება დაუსაბუთებელ თეორიებსა და ზოგადი პრობლემების დაყენებას ადგილი ჰქონდეს. გამოდის, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული დონის მიღწევის შემდეგ.

მაგრამ სად გაგონილა, რომ დაუსაბუთებელი თეორიების წამოყენება ოდესმე დასაშვებია? სად გაგონილა, რომ ზოგადი პრობლემების დაყენება შესაძლებელია მხოლოდ ისტორიულ კვლევა-ძიების მაღალ დონეზე აყვანის შემდეგ?

დაუსაბუთებელი თეორია არ შეიძლება თეორია იყოს. დაუსაბუთებელი არც თეორია ვარგა და არც ისტორია. მაგრამ განა შეიძლება ასეთი დაპირდაპირება თეორიისა და ისტორიის? განა თვით თეორია იმისთვის არ არის საჭირო, რომ ისტორიული მოვლენების კვლევის საქმე მაღალ დონეზე იქნას აყვანილი? განა იგი იარაღი არ არის ამ მიზნის მისაღწევად?

---

[22] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1928 წ., გვ. IX-X.

მაგრამ ვერაფერს გააწყობთ, ასეთია აზრი ივ. ჯავახიშვილისა. მისი ასეთი შეხედულება არ არის შემთხვევითი; არა, იგი ფარდას ხდის ჯავახიშვილის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვან მხარეს.

საქმე ისაა, რომ ჯავახიშვილს ისტორიული კვლევის დროს არ მოსწონს თეორიული მსჯელობა, ზოგადი პრობლემების დაყენება. „ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოირკვიოს, რა და რა პირობებისა და მიზეზისაგან დამოკიდებული იყო სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ, ან არა და ზნეობრივ-გონებრივი განვითარებისა და წარმატების მიმდინარეობა“.[23]

მაგრამ ერის წარსულის მეცნიერული შესწავლა არ შეიძლება ნამდვილი მეცნიერული მეთოდის მომარჯვებისა და ჭეშმარიტი თეორიის გარეშე. ნამდვილი მეცნიერული მეთოდი კი დიალექტიკური მეთოდია.

დიალექტიკური მეთოდისათვის არ არის დამახასიათებელი მსჯელობის მარტო ანალიტიური მომენტი. დიალექტიკური მეთოდი ანალიტიურია, მაგრამ იგი ამავე დროს სინთეტურიც არის. არ შეიძლება ისტორიული კვლევის დროს მივიღოთ ჩვენ მარტო ანალიტიური ან სინთეტიური მეთოდი. ეს არ იქნებოდა ნამდვილი მეცნიერული მეთოდი და მის შედეგად ჩვენ ვერ მივიღებდით ნამდვილ მეცნიერულ დასკვნებს.

ზოგადი პრობლემების დაყენება, მეცნიერული აბსტრაქციები, კონკრეტულისაგან აბსტრაქტულისაკენ სვლა სრულიად არ მოასწავებს ჭეშმარიტებისაგან გაქცევას, არამედ, პირიქით, მასთან მისვლას. მაგრამ ამ ანალიტიურ მომენტს უნდა მოჰყვეს სინთეტური მომენტიც. „ცოცხალი შეგრძნობისაგან (созерцания) აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და მისგან პრაქტიკისაკენ — ასეთია ჭეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“.[24]

ამრიგად, მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით არ შეიძლება მეცნიერული კვლევა ნამდვილი მეცნიერული იყოს, თუ ის არ მიდის ანალიტიური და სინთეტიური გზით, თუ ადგილი არ ექნება ზოგადი პრობლემების დაყენებასაც და სხვ. მაგრამ სწორედ ასეთ მეთოდს (დიალექტიკურს) არ ცნობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

ამის შემდეგ საკვირველია, როდესაც ჯავახიშვილის კვლევის წესს პროფ. ნათაძე ერთად-ერთ სწორ წესად თვლის და ამ მხრივ მას მარქსსაც კი ადარებს. სწორია ის, რომ მარქსი უამრავ ემპირიულ მასალას სწავლობდა ცალკე ისტორიულ-ეკონომიური საკითხების კვლევის დროს, მაგრამ აქ ამ ანალიტიურ მუშაობას მოსდევდა სინთეტური მუშაობაც. ამნაირი მეთოდით სავსებით მეღავნდებოდა ისტორიული კანონზომიერება და მეცნიერულად შეუქდებოდა მოვლენების მიზეზი.

ჯავახიშვილიც ემპირიულ მასალებს შეისწავლის, მაგრამ აქ ანალიზს თან არ მოჰყვება სინთეტური მუშაობა და ეს არც საჭიროდ მიაჩნია ჯავახიშვილს. მისი აზრით, თეორიასა და ზოგად პრობლემებს შეუძლია დაიცადოს მანამდის, სანამ ისტორიული კვლევის საქმე მაღალ დონეზე არ ავა. სინამდვილეში კი მხოლოდ მარქსისა და ლენინის დიალექტიკურ მეთოდს შეუძლია აიყვანოს მაღალ საფეხურზე ისტორიული კვლევა.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჯავახიშვილი აკეთებდა სასარგებლო საქმეს, როდესაც იგი ფაქტებს აგროვებდა და მათ ერთნაირ სისტემატიზაციას ახდენდა. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჯერ კიდევ თითქმის სავსებით ხელუხლებელი ემპირიული მასალების

---

[23] ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფილისი, 1904 წ., გვ. 9.
[24] Ленинский Сборник, IX, Гиз., გვ. 183-185, 6. აგრეთვე გვ. 273-307.

შესწავლის მხრივ ივ. ჯავახიშვილს მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის. სწორია ისიც, რომ ჯავახიშვილი თავის წინამორბედებზე მაღლა დგას.

მაგრამ აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ ლენინის ცნობილი სიტყვები ბურჟუაზიული პროფესორების შესახებ. ლენინი ამბობდა:

„არც ერთ ამ პროფესორს, რომელსაც შეუძლია მეტად ძვირფასი შრომები მოგვცეს ქიმიის, ისტორიის, ფიზიკის სპეციალურ დარგებში, ერთ სიტყვასაც ვერ ვენდობით, რაკი ლაპარაკი ფილოსოფიაზე ჩამოვარდება. რატომ? იმავე მიზეზის გამო, რომლითაც პოლიტიკური ეკონომიის პროფესორს, რომელსაც შეუძლია ძვირფასი შრომა მოგვცეს, როცა საქმე ფაქტიურ, სპეციალურ კვლევა-ძიებას ეხება, ვერც ერთ სიტყვას ვერ ვენდობით, როცა ლაპარაკი პოლიტიკური ეკონომიის ზოგად თეორიაზე იწყება“.[25]

ლენინის ეს სიტყვები სწორია პროფ. ჯავახიშვილის მიმართაც, რომელიც თეორიისა და ზოგადი პრობლემების დაყენებას განსაზღვრულ დრომდი... უარყოფს და აცხადებს, რომ „თითოეული ხალხის ისტორიის შესწავლაზეა დამოკიდებული ბევრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან და რომელიც შეადგენს ჩვენის მეცნიერების უზენაესს მიზანს“.[26]

ჩვენი აზრით, ეს უზენაესი მიზანი მიღწეულია. მარქსის მიერ აღმოჩენილია მეთოდი, რომლის საშუალებით შესაძლებელია ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა. ისტორიკოსების წინაშე ახალი მეთოდის აღმოჩენის საკითხი არა დგას. მათ არ სჭირდებათ ახალი „ისტორიის ფილოსოფიაც“, არამედ მართებთ მარქსის დიალექტიკური მეთოდის სწორი მომარჯვება ისტორიული მოვლენების კვლევის დროს.

5. ივ. ჯავახიშვილი და მატერიალისტური თეორია

ი. ჯავახიშვილი უარყოფს არა მარტო მარქსის დიალექტიკურ მეთოდს, არამედ მის მატერიალისტურ თეორიასაც. მართალია, ის ამ საკითხზე უშუალოდ არ გვაძლევს თავის შეხედულებას, მაგრამ მის გამოსარკვევად საკმარისია აღვნიშნოთ ჯავახიშვილის მიერ ზოგიერთი ისტორიული მოვლენის ახსნა.

საინტერესოა, როგორ ხსნის ი. ჯავახიშვილი ერთ-ერთი ომის მიზეზს, რომელიც დაიწყო 1416 წ.: „მართალია, 1416 წელს თომა მეწობლის სიტყვით საქართველოს თურმე მტერი შემოესია. ამ შემოსევის მიზეზად ერთი გაუქრისტიანებელი სპარსელის უგუნური და აღმაშფოთებელი საქციელი ყოფილა. ის ქალაქ ახალციხეში მისულა და ერთხელ, ღორის ხორცი უჭამია, ქართველ და სომეხ ყმაწვილებთან ერთად ღორის ძვლები მაჰმადიანთა მიზგითში შეუყრია“.[27]

აი, როგორ მარტივად იხსნება ჯავახიშვილის მიერ მიზეზი ისეთი დიდი ისტორიული მოვლენისა, როგორიც ომია. ამ მოვლენას თომა მეწობლის სიტყვებით ახსნა ხომ პირწავარდნილი იდეალიზმია. აღნიშნული მოვლენის ასე აშკარად იდეალისტური გაშუქება დიდად გაბედულ ანტიმატერიალისტებსაც კი გაუძნელდებოდა.

მაგრამ ავიღოთ მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა — აჯანყება დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. როგორ ხსნის ამ აჯანყების მიზეზებს პროფესორი ჯავახიშვილი?

---

[25] ლენინი, თხზულებანი, ტ. მე-13, სახელგამი, 1930 წ., გვ. 348.
[26] ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 10.
[27] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, ნაწ. I, გვ. 24.

მოუსმინოთ! "Столь решительная и бесцеремонная деятельность по отношению к груз. церкви со стороны экзарха Феофилакта встретила убежденних противников в лице иерархов имеретинской эпархии. На это русский архипастырь ответил грубой политической мерой; было решено выслать в Россию Гелатского и Кутаисского митрополитов, при чем были пущены в ход приклады и штыки, один из архипастырей, избитый и окровавленный, был связан и силой посажен на лошадь. Возмущенный народ поднял в 1819 г. восстание".[28] აქაც აღნიშნული აჯანყების მიზეზები იდეალისტურად არის ახსნილი. გელათისა და ქუთაისის მიტროპოლიტების გადასახლება და მათდამი უხეში მოპყრობა საკმარისი იყო იმისათვის, რომ რიონის პირზე შეკრებილიყო თავადები, აზნაურები, სამღვდელოება და მთელი ხალხი და დაეწყოთ აჯანყება მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ნამდვილი მიზეზები იმერეთში მომხდარი ამ აჯანყებისა ჯავახიშვილის ისტორიული „კლეკნის" შემდეგ მაინც გამოურკვეველი რჩება.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი ჯავახიშვილის მიერ ისტორიული მოვლენების „მეცნიერული" გაგებისა. „ფაქიზმა ზნეობრივმა მოძღვრებამ ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ დაარწმუნა, რომ მხოლოდ საკუთარი მუშაობით შეძენილი ქონება აკეთილშობილებდა ადამიანს. თავისთავად ცხადია, რომ საზოგადოების ეს შეხედულება დიდად ამაღლებდა გლეხკაცობისა და ყმების ცხოერების მძიმე ტვირთის და პირადი შრომით მოპოებული ლუკმა-პურსა და ქონებას ზნეობრივი სიფაქიზის შარავანდედსა და კეთილშობილებას ანიჭებდა".[29]

ჯერ ერთი, საკითხავია, რატომ ამ ზნეობრივმა მოძღვრებამ არ დაარწმუნა მუქთახორა ფეოდალები იმაში, რომ საკუთარი მუშაობით შეძენილი ქონება გაკეთილშობილებდა მათ? მეორე მხრით, ბუნებრივი იქნება, პროფ. ჯავახიშვილს ასეთი საკითხი დავუსვათ: რომ ზნეობრივ მოძღვრებას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არ „გაეკეთილშობილებია" გლეხკაცობა და ყმები, ვინ მისცემდა მათ ნებას, რომ არ ემუშავათ ფეოდალებისათვის?

განა ნათელი არ არის, რომ აქ ფაქიზი ზნეობრივი მოძღვრების გავრცელებითა და გავლენით იჩქმალება გლეხების საშინელი ექსპლოატაცია მემამულეების მიერ? განა ნათელი არ არის, რომ ზნეობრივი მოძღვრებით ცვლის პროფ. ჯავახიშვილი ფეოდალების მხრივ იძულებას გლეხებზე და მათზე ეკონომიურსა და პოლიტიკურ ბატონობას?

აქ თვალსაჩინოდ მჟღავნდება ის გარემოება, რომ ჯავახიშვილის მიერ ისტორიის იდეალისტური გაგება სამსახურს უწევს და ამართლებს ფეოდალურ ექსპლოატაციას.

6. ჯავახიშვილი და პიროვნების როლი ისტორიაში

რომ ჯავახიშვილს ისტორიული მოვლენები იდეალისტურად აქვს გაგებული, ეს აშკარაა ისეთი საკითხებიდანაც, როგორიცაა პიროვნების როლი ისტორიაში.

ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ისტორიკოსები „ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალას მეფეებსა და მათ მოქმედებაში ხედავდენ".[30]

---

[28] Энцик. словарь Граната, т. XVII, статья **Джавахова**, стр. 209-210; იხ. აგრეთვე **მისი** Полит. и соц. движение в Грузии в XIX в., СПБ, 1906, стр. 20-23.

[29] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკეთი II, 1929 წ., გვ. 104.

[30] „პრავდა", 1936 წ. 27 იანვარი.

ი. ჯავახიშვილიც ამ თვალსაზრისზე დგას. მოვიყვანოთ ამის დასამტკიცებლად მისი ნაშრომებიდან ზოგიერთი ადგილი.

აი, მაგალითად, როგორ ხსნის ი. ჯავახიშვილი საქართველოს გაერთიანებას: „თანდათან ეს განცალკევებული სამეფოები და საერისთავოები ერთი ერთმანეთს უერთდებოდენ, ანუ უფრო სწორე იქნება რომ ვთქვათ, ერთი რომელიმე უფრო ძლიერი და მოხერხებული მეფე თავის საბრძანებელს სხვათა სამფლობელოებსაც შემოუერთებდა ხოლმე. ამ ხანას და თვით ამ მოღვაწეობას გაერთიანების ხანა და გაერთიანების პოლიტიკა უნდა დაერქვას; ვიდრე დავით აღმაშენებელი ტფილისს არ აიღებდა და სამეფოს სატახტო ქალაქად არ აქცევდა, ყველა ჩვენი მეფეები ამ გაერთიანების განხორციელებასა ცდილობდენ. ცდით კი რამდენჯერმე უცდიათ სხვებსაც, მაგრამ ბედი, პირადი გამჭრიახობა და გარემოება ისე არავისა სწყალობდა, როგორც ტაო-კლარჯეთის მფლობელთ, აშოტ კურაპალატის ჩამომავლობას“.[31]

როგორც ვხედავთ, აქ სრულებით ადგილი არ აქვს მეცნიერულ მსჯელობას. ისეთი დიდი საკითხი, როგორიც საქართველოს გაერთიანების საკითხია, სულ უბრალოდ წყდება. აქაო და ტაო-კლარჯეთის მფლობელთ ბედი სწყალობდა და პირადი გამჭრიახობაც ჰქონდათ და ამიტომ საქართველოს გაერთიანებაც შესაძლებელი გახდაო. იდეალიზმი აქ თავის უკიდურესობამდის მიდის.

იმის ნაცვლად, რომ გამორკვეულიყო საქართველოს გაერთიანების ნამდვილი მიზეზები, ჯავახიშვილი იძლევა ცალკე მეფეების როლის გაზვიადებას და აქცევს მათ და მათს მოქმედებას ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ აფასებს ი. ჯავახიშვილი დავით აღმაშენებელს: „დავით აღმაშენებლის პოლიტიკური სიბრძნე და შორს გამჭვრეტელობა, სახელმწიფოს შინაური საქმეების მოწესრიგების ნიჭიც ჯერ სათანადოთ დაფასებული არ არის“.[32]

გამოდის რა იქიდან, პროფ. ჯავახიშვილი ცდილობს დაწვრილებით დაახასიათოს დავით აღმაშენებელი და ამით შეაჯეროს დიდი „ხარეზი“ საქართველოს ისტორიაში. ასე მაგალითად, ჯავახიშვილი წერს: „დავით აღმაშენებელი ხედავდა, რომ ურჩი აზნაური მოხელეები ხშირად შეერთებულის ძალით ებრძოდენ საქართველოს ბატონს და მეფის ლაშქრის წინააღმდეგ თავიანთ შეერთებულს ჯარს წამოაყენებდენ ხოლმე და ამგვარს გარემოებაში მეფეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო გაემარჯვნა, თუ რომ ძლიერს საკუთარს და მუდმივს მხედრობას გაიჩენდა. რაკი დიდებულმა მეფემ ეს შეიგნო, ის ამ აზრის განხორციელებას შეუდგა“.[33]

გამოდის, რომ თითქოს სხვა მეფეები ვერ ხედავდენ, რომ მათ აზნაურები ებრძოდენ, გამოდის რომ მათ ასეთი შეგნება არ ჰქონდათ. მაგრამ აი, გამოჩნდა შორსმჭვრეტელი და ბრძენი დავით აღმაშენებელი, რომელმაც შეიგნო მდგომარეობა და სათანადო ზომებიც მიიღო.

ასე უბრალოდ წყდება ჯავახიშვილის ისტორიაში უდიდესი საკითხები. მეორე ადგილას, ჯავახიშვილი, ეხება რა თამარის ღვაწლს, წერს: „მართალია, თამარის დროსაც საქართველომ ბევრი ახალი მიწები შეიძინა და შემოიერთა, დაიპყრო სამხრეთით მდებარე ხლათის სულტანისა, რუმის სულტანისა და კარის მფლობელის ქვეყნები, თურქ-სპარსთა შეერთებული ჯარები მრავალგზის დაამარცხა, სპარსეთში რომ-გურამდის გამარჯვებით

[31] ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, 1905 წ., გვ. 7.
[32] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1929 წ., გვ. 129.
[33] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1914 წ. გამოცემა, გვ. 534.

ილაშქრა, მაგრამ ეს უფრო დავით აღმაშენებლისა და გიორგი III სამხედრო მოღვაწეობის ნაყოფიერი შედეგი იყო, ვიდრე თვით თამარ მეფის პირადი ღვაწლი".[34]

ამ მსჯელობიდან დავით აღმაშენებლის, გიორგი III და თამარის პირად ღვაწლზე, მკითხველი გაიგებს მხოლოდ იმას, რომ სწორედ ეს მეფეები იყვნენ ისტორიის მამოძრავებელი ძალა და მისი შემოქმედი.

რადგან აღნიშნული ქართველი მეფეები ასეთი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორები იყვნენ, რადგან მათ გამჭრიახობაზე, შეგნებაზე და ნებაზე იყო დამოკიდებული ისტორიის ბორბლის ტრიალი, ბუნებრივია, რომ მხოლოდ მათი ცხოვრების აწერას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება.

შეიძლება ხალხის ნამდვილი ისტორია ამით დაიჩრდილოს, მაგრამ ეს არ აშინებს პროფ. ჯავახიშვილს. ისიც გულმოდგინედ უდგება თავის ამ მუშაობას და არ ზოგავს მშვენიერ ეპითეტებს, რომ ყოველმხრივად დახატოს აღნიშნული მეფეების სურათები. „დავით აღმაშენებელი შესანიშნავი პიროვნება იყო, შორსგამჭვრეტელი და ბრძენი პოლიტიკოსი, უებრო სარდალი და მეომარი, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნავი".[35]

თამარის შესახებ: „საქართველომ თავის სათაყვანებელს გვირგვინოსანს დიდებული ქორწილი გადაუხადა".[36] საქმე ისეთ დეტალებამდისაც კი მიდის როგორიცაა: „ეხლა საქმე თარიღების გამორკვევაა, ან როდის შეირთო თამარმა პირველი ქმარი, ან როდის გაეყარა მას. მკვლევართა შორის აქ დიდი უთანხმოება სუფევს".[37] ანდა: „ტახტის მემკვიდრის დაბადება მეტად სასიხარულო ამბავი იყო საქართველოსათვის და სამეფომ შესაფერისად იდღესასწაულა".[38] ანდა კიდევ: „ქართველ ერს ერთად-ერთი საზრუნავი აწუხებდა: თამარის უშვილობა და სამეფო ტახტის უმემკვიდრეობა".[39]

როგორც ვხედავთ, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ჯავახიშვილი მეფეების ცხოვრებას ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავის ისტორიაში. აქ მას მცირეოდენი წვრილმანებიც კი არ ავიწყდება. მთელი თავები და წიგნებია ფაქტიურად მიძღვნილი მეფეების ცხოვრების ცალკე წვრილმანების გამორკვევისათვის. ქართველი ერის ისტორიის მეოთხე წიგნის პირველი ნაწილიც თითქმის მარტო მეფეების ბიოგრაფიას წარმოადგენს.

ჯავახიშვილი აქ, რა თქმა უნდა, თანმიმდევარია. ის, გამოდის რა თავისი ანტიმარქსისტული კონცეპციიდან, იდეალისტურად აშუქებს პიროვნების როლის საკითხსაც ისტორიაში.

როგორია მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისი პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში? უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ თუ არა დიდი ისტორიული პიროვნებები?

ამხ. სტალინმა თავის საუბარში ემილ ლუდვიგთან ამ საკითხებს ამომწურავი პასუხი გასცა.

ამხ. სტალინი ამბობდა: „ჩვენ, ბოლშევიკებს ყოველთვის გვაინტერესებდა ისეთი ისტორიული პიროვნებები, როგორიცაა ბოლოტნიკოვი, რაზინი, პუგაჩოვი და სხვ. ამ ხალხის გამოსვლებში ჩვენ ვხედავდით ჩაგრულ კლასების სტიქიური აღშფოთების, ფეოდალუ-

---

[34] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1914 წ. გამოცემა, გვ. 635.
[35] იქვე, გვ. 536.
[36] იქვე, გვ. 586.
[37] იქვე, გვ. 589.
[38] იქვე, გვ. 599.
[39] იქვე, გვ. 592.

რი ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხების სტიქიური აჯანყების გამოხატულებას. ჩვენთვის ყოველთვის წარმოადგენდა ინტერესს ამგვარ აჯანყებათა პირველი ცდების ისტორიის შესწავლა".[40]

როგორც ეხედავთ, ამბ. სტალინი გადაჭრით აცხადებს, რომ ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებდა ისტორიული პიროვნებები. სტალინის აზრით, ეს ისტორიული პიროვნებები არ შეიძლება მოწყვეტილი იქნას თავის კლასიდან, რომელსაც ისინი ხელმძღვანელობენ. ეს შეეხება არა მარტო ბოლოტნიკოვს, რაზინს, პუგაჩოვს და სხვ., არამედ აგრეთვე ისეთ ისტორიულ პიროვნებას, როგორიც პეტრე დიდი იყო; მაგრამ პეტრე დიდი მეორე კლასის წარმომადგენელი და ხელმძღვანელი იყო და ეს არ შეიძლება დავიწყებულ იქნას. „პეტრე დიდმა ბევრი რამ გააკეთა მემამულეებისა და ვაჭრების ნაციონალური სახელმწიფოს შესაქმნელად და განსამტკიცებლად. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ მემამულეთა კლასის ამაღლება, ახლად ჩასახული ვაჭართა კლასისათვის ხელის შეწყობა და ამ კლასების ნაციონალური სახელმწიფოს განმტკიცება წარმოებდა ყმების ხარჯზე, რომელთაც ტყავს აძრობდენ".[41]

მაშასადამე, დიდ ადამიანებს, ისტორიულ პიროვნებებს მარქსისტულ-ლენინური თეორია განსაზღვრულ როლს ანიჭებს და მათ მოღვაწეობას სათანადო ისტორიულ-კლასობრივ შეფასებას აძლევს. ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ იმოქმედონ ისე, როგორც ეს მათ სურთ. საქმე აქ მარტო პირად ნებისყოფაში როდია. ამბ. სტალინი ამ საკითხზე შესანიშნავ პასუხს იძლევა: „მარქსიზმი სრულებითაც არ უარყოფს გამოჩენილ პიროვნებათა როლს ან იმას, რომ ადამიანები ქმნიან ისტორიას... მაგრამ, რა თქმა უნდა, ადამიანები ისტორიას ქმნიან არა ისე, როგორც ეს მათ მოესურვებათ. ყოველი ახალი თაობა ხვდება გარკვეულ პირობებს, რომლებიც უკვე არსებობდა ჩამოყალიბებული სახით იმ მომენტში, როცა ეს თაობა გაჩნდა და დიდ ადამიანებს მხოლოდ იმდენად აქვთ ფასი, რამდენადაც მათ შეუძლიათ სწორად გაიგონ ეს პირობები და მიხვდენ, როგორ უნდა შესცვალონ ისინი. თუ მათ ეს პირობები არ ესმით და სურთ ამ პირობების ისე შეცვლა, როგორც მათ უკარნახებს მათი ფანტაზია, მაშინ ისინი, ეს ადამიანები ვარდებიან დონ-კიხოტის მდგომარეობაში. ამრიგად, სწორედ მარქსის მიხედვით სრულიადაც არ შეიძლება დაეუპირისპიროთ ადამიანები პირობებს. სწორედ ადამიანები ქმნიან ისტორიას, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ სწორად ესმით პირობები, რომლებიც მათ დახვდათ მზა სახით და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ ესმით, თუ როგორ შესცვალონ ეს პირობები".[42]

ამბ. სტალინის ეს დებულებები უდიდესი მნიშვნელობის მქონეა კერძოდ ისტორიული მეცნიერებისათვის. ამ დებულების საფუძველზე უნდა გაშუქდეს გამოჩენილ პიროვნებათა როლი საქართველოს ისტორიაში.

საქმე, მაშასადამე, ის კი არ არის, რომ მარქსისტ-ლენინელები უარყოფენ დიდი ადამიანების როლს და სუბიექტივისტები (კერძოდ, ი. ჯავახიშვილი) კი მას ცნობენ. საქმე ისაა, რომ ეს როლი სწორად უნდა იქნას შეფასებული, რომ მათზე ისტორიული სიმართლე იქნას თქმული, რომ ამ გამოჩენილ ადამიანებს თავისი ნამდვილი ადგილი მიენიჭოს ისტორიაში. დიდი ადამიანები არ შეიძლება მოწყვეტილი იქნას თავისი კლასისაგან და იმ პირობებისაგან, რომლებშიაც მათ უხდებათ მოღვაწეობა. მათი როლის წარმოდგენა არც

[40] ამბ. სტალინის საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან, ტფ., სახელგამი, 1932 წ. გვ. 12.
[41] იქვე, გვ. 3-4.
[42] იქვე, გვ. 4-5

გაზვიადებულად შეიძლება, ან ისე, თითქოს ისინი იყვნენ ისტორიის მამოძრავებელი ძალები.

დიდ ადამიანებს სწორად უნდა ესმოდეთ ის პირობები, რომელშიაც მათ უხდებათ მოქმედება, მათ სწორად უნდა ესმოდეთ აგრეთვე ის, როგორ შეიძლება ამ პირობების შეცვლა.

ამ თვალსაზრისს, როგორც ეს ჩვენ გამოვარკვიეთ, არ იზიარებს ივ. ჯავახიშვილი. გამოდის რა თავისი იდეალისტური შეხედულებებიდან, იგი იდეალისტურად აშუქებს გამოჩენილი პიროვნებების როლსაც ისტორიაში.

7. ჯავახიშვილი და მისი ობიექტივიზმი

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა მოგვეყვანა პროფ. გ. ნათაძის აზრი ი. ჯავახიშვილის ობიექტივიზმის შესახებ. პროფ. ნათაძე დარწმუნებულია, რომ ი. ჯავახიშვილი სრული ობიექტივიზმის ნიადაგზე დგას, რომელსაც იგი უპირისპირებს კლასობრივ სუბექტივიზმს. სრულ ობიექტივობას, ნათაძის აზრით, პროფ. ჯავახიშვილი ცალკე შემთხვევაში თუ არღვევს და ისიც ძალაუნებურად, მაგრამ ეს მისთვის საერთოდ დამახასიათებელი არ არის. ასეთ კარგ ფერებში ხატავს პროფ. ნათაძე ჯავახიშვილის ობიექტივობას და იგი წასაბაძ მაგალითად მიაჩნია.

ქართველ ისტორიკოსთა შორის ბევრნი მოიპოვებიან ისეთნი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჯავახიშვილი სრული ობიექტივიზმის საფუძველზე დგას და რომ მისგან უნდა ვისწავლოთ ჩვენ კვლევა-ძიების მეთოდი.

ერთი შეხედვით მკითხველმა შეიძლება მართლაც იფიქროს, რომ ჯავახიშვილი კვლევის დროს სრულ ობიექტივობას იჩენს, რომ იგი ცდილობს ყოველმხრივ შეაფასოს მოვლენა. ავიღოთ, მაგალითად, ერთი ადგილი ჯავახიშვილის ნაწარმოებიდან: „თუ აქ რაიმე გაუგებრობა არ არის და ალექსანდრე მეფეს მართლაც ორი თანამეცხედრე ჰყავდა — რომელთაგან მეორეს თამარი ერქვა, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ როდის უნდა შეერთო ალექსანდრეს მეორე ცოლი. რაკი 1417 წ. სიგელში უკვე ალექსანდრე მეფის ორი შვილიც გიორგი და დავითიც იხსენიება, ამიტომ ცხადია გიორგი ბატონიშვილი დაახლოებით 1414 წ. დასასრულს უნდა დაბადებულიყო, ხოლო თამარს, მეფე ალექსანდრე ალბათ 1414-15 წ.წ. მოიყვანდა თანამეცხედრედ“.[43]

როგორც ვხედავთ, ჯავახიშვილი ძალიან ფრთხილია მსჯელობის დროს და სადაც სათანადო საბუთები არ არსებობს, ის გადაჭრით ამა თუ იმ დასკვნას არ აკეთებს.

იმ ფაქტს, რომ ჯავახიშვილი აღნიშნული საკითხის შესახებაც დიდი სიფრთხილით მსჯელობს, შეუძლია შექმნას შთაბეჭდილება მისი კვლევის ობიექტივობის შესახებ.

თვით ჯავახიშვილი ერთ თავის ნაშრომში ამბობს, რომ ისტორიული კვლევა-ძიების დროს სრული მიუდგომლობაა საჭიროო. ამ საკითხში ი. ჯავახიშვილი ი. გოგებაშვილსაც კი ეკამათებოდა და უსაყვედურებდა მას, რომ იგი ცდილობს ისტორიული მეცნიერება ნაციონალურ ხოტბად გადააქციოს. „ბ-ნ გოგებაშვილს ვურჩევთ პრ. მილიუკოვის "Главней шие течения русской историч. мысли" წაიკითხოს და იქ დაინახავს, რა დღეც დაადგ კარამზინს. ბ-ნ გოგებაშვილისებური ისტორია უფრო ნაციონალური ხოტბაა, ვიდრე მეც

[43] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 4, ნაწ. I, გვ. 20.

ნიერება. ამნაირი მიმართულება ისტორიას პირველ ხანებში, დასაწყისში ჰქონდა და ეხლა მე-20 საუკუნის დამდეგს ამ მიმართულების განახლება, მგონი, რომ ძალიან დაგვიანებული უნდა იყოს".[44]

განაგრძობს რა თავის მსჯელობას ამ მხრივ, ჯავახიშვილი მოითხოვს, რომ ისტორია იყოს „პირუთვნელი, უტყუარი, ჭეშმარიტი და არა გაზვიადებული და ყალბი". მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, მისი აზრით, გექონდეს ჩვენ მეცნიერული ისტორია.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჯავახიშვილი მართლაც ნამდვილი ობიექტივობის საფუძველზე დგას და ებრძვის, ვინც სუბიექტივიზმს იჩენს (გოგებაშვილი და სხვ.) ისტორიული კვლევის დროს. ერთი წუთით დავუჯეროთ მას ამაში და შევჩერდეთ თვით ცნების — ობიექტივისტის — განმარტებაზე.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ობიექტივისტი ეს იგივე მატერიალისტია. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ლენინი ერთმანეთისაგან არჩევს ამ ცნებებს. თუ ობიექტივისტი ლაპარაკობს ისტორიული პროცესის აუცილებლობაზე, მატერიალისტი ზუსტად შეისწავლის ამა თუ იმ „საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას და მისგან წარმოშობილ ანტაგონისტურ ურთიერთობას". ობიექტივისტი ძალიან ადვილად შეიძლება ახოლოგეტის როლში მოგვევლინოს, მაშინ როდესაც მატერიალისტი ამჟღავნებს კლასობრივ წინააღმდეგობებს.

ლენინის აზრით, „მატერიალისტი ერთი მხრით ობიექტივისტზე უფრო თანამიმდევარია და ღრმა, მას ობიექტივიზმი უფრო საკმაებით აქვს გატარებული. ის არ კმაყოფილდება პროცესის აუცილებლობაზე მითითებით, არამედ, არკვევს, სახელდობრ, რომელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია აძლევს შინაარსს ამ პროცესს, სახელდობრ, რომელი კლასი განსაზღვრავს ამ აუცილებლობას... მეორე მხრით მატერიალიზმი შეიცავს, ასე ვთქვათ, პარტიულობას, რაც მოვლენათა ყოველი შეფასების დროს სავალდებულოდ ხდის პირდაპირსა და აშკარა დადგომას განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალთახედვაზე".[45]

ისტორიული კვლევა-ძიების დროს ჩვენ სწორედ მატერიალისტურად უნდა მივუდგეთ მოვლენების ახსნას. არა „ობიექტივისტური", არამედ მატერიალისტური გაგება ისტორიისა, აი, რა უნდა ახასიათებდეს ნამდვილ მეცნიერ ისტორიკოსს, მკვლევარს.

ლენინი არა ერთხელ მიუთითებდა სტრუვეს მისი პროფესორული მსჯელობის ნაკლზე, იმაზე, რომ იგი ცდილობდა დამდგარიყო განსაზღვრულ ქვეყნებზე, განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდებზე, განსაზღვრულ კლასებზე მაღლა. მკვლევარის ამოცანას უნდა შეადგენდეს, ლენინის აზრით, კლასობრივი წინააღმდეგობების გამორკვევა.[46] კლასობრივი საზოგადოების გამოკვლევის დროს დავიწყება კლასობრივი წინააღმდეგობებისა მიუტევებელია ისტორიკოსისათვის. მიუდგომლობაზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია, რადგან ისტორიკოსის ასეთი მიუდგომლობა ფაქტიურად წყალს უშვებს გაბატონებული ბურჟუაზიისა და მემამულეების კლასის წისქვილზე. კლასობრივი ბრძოლის დროს არ შეიძლება ვინმე ნეიტრალური იყოს. გულგრილობა და „მიუდგომელი" მსჯელობა ასეთ პირობებში მოასწავებს ბურჟუაზიისა და მემამულეებისათვის მხარის დაჭერას. თავის ცნობილ წერილში: „სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი მარქსიზმისა" ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ „მიუდგომელი" სოციალური მეცნიერება „არ შეიძლება იყოს საზოგადოებაში, რომელიც აშენებულია კლასობრივ ბრძოლაზე".

---

[44] ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 9.
[45] ლენინი, თხზულებანი, ტ. I, სახელგამი, 1928 წ., გვ. 373-374.
[46] იქვე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 410-411.

მაშასადამე, ნამდვილი მეცნიერი ისტორიკოსები ობიექტივისტებივით არ უნდა კმაყოფილდებოდენ მარტო პროცესის აუცილებლობის აღნიშვნით. ისინი უნდა ააშკარავებდენ კლასობრივ წინააღმდეგობებს, იხილავდენ ისტორიულ ურთიერთობათა თავისებურებებს და იმას, თუ რომელი კლასი განსაზღვრავს პროცესის აუცილებლობას, ნამდვილი მეცნიერი ისტორიკოსები უნდა იდგენ განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასის — პროლეტარიატის — თვალსაზრისზე და ზუსტად ატარებდენ პარტიულობას მეცნიერული კვლევის დროს. ამაში მდგომარეობს თანმიმდევარი და ღრმა, ნამდვილი და სრული ობიექტივიზმი ანუ მატერიალიზმი.

ასეთი მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრა ობიექტივისტისა და მატერიალისტის ცნებებისა გაგვიადვილებს ჩვენ ჯავახიშვილის „ობიექტივიზმის" გამორკვევას.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, თუ რა უდიდეს როლს ანიჭებს ჯავახიშვილი გამოჩენილ ადამიანებს ისტორიაში. სწორედ ეს გამოჩენილი ადამიანები იყვნენ, მისი აზრით, მთავარი ბერკეტები ისტორიული პროგრესისა, მთავარი კანონმდებელი ისტორიული პროცესისა. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ის, ვინც ასე აზვიადებს გამოჩენილ პიროვნებების როლს და მათ თვლის ისტორიის მამოძრავებელ ძალად, იწოდება სუბიექტივისტად, რომელიც დიდად დაშორებული არ არის სტრუვესებურ ობიექტივიზმს.

ლენინი სუბიექტივისტების შესახებ შემდეგს ამბობს: „სუბიექტივისტები ვერ ახერხებდენ ამ ანტაგონისტური ურთიერთობის გაგებას, ვერ პოულობდენ მასშივე ისეთ საზოგადოებრივ ელემენტებს, რომლებთან მიკედლებაც ამ „განმარტოებულ პიროვნებებს" შესძლებოდათ, ამიტომ ისინი კმაყოფილდებოდენ ისეთი თეორიების შეთხზვით, რომლებიც „განმარტოებულ" პიროვნებებს ანუგეშებდა იმით, რომ ისტორიას „ცოცხალი პიროვნებები" ქმნიან. ცნობილი „სუბიექტური მეთოდი სოციოლოგიაში" გარდა კეთილი სურვილისა და ცუდი გაგებისა, სრულებით არაფერს არ გამოხატავს".[47]

ჯავახიშვილიც ასეთი კეთილი სურვილებით ჰკვებავს თავის მკითხველს. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი საკითხი, როგორიცაა ქართველების ლაშქრობა XII საუკუნეში სხვა ქვეყნების დასაპყრობად. საჭირო იყო ამ მოვლენის მიზეზების გამორკვევა, ჯავახიშვილი კი აღნიშნავს რა ამ ფაქტს, წერს: „ადამიანი სწორედ თავისი თავის მტერი უნდა იყოს, რომ ყველა თავისი მეზობლები ტყუილ-უბრალოდ გადიკიდოს და თავისადმი სიძულვილი ჩაენერგოს. განა ასე არ იქცეოდენ დიდებულები და ლაშქარი? ქართველები ისეთ თავდავიწყებამდე მივიდენ, რომ ომიანობა სასიამოვნო ხელობად გაიხადეს".[48]

მეორე ადგილას ამ საკითხზე ჯავახიშვილი შემდეგს წერს: „ქართველთა ამგვარი ქცევა, მეზობლების ქვეყნებში შეჭრა და ხშირი ლაშქრობა, ერთის სიტყვით, ამნაირი აგრესიული მოქმედება დიდი შეცდომა იყო იმიტომ, რომ ტყუილ-უბრალოდ მეზობლებში სიძულვილს იწვევდა და ქართველ-მაჰმადიანთა ურთიერთობას მეტად ამწვავებდა".[49]

ამრიგად, ჯავახიშვილი, თავისი ისტორიული კვლევის შედეგად „აშკარავებს" ქართველების შეცდომას და თავის კეთილ სურვილსაც გამოთქვამს. მაგრამ საქმე აქ კეთილ სურვილებში როდია. არც „ქართველების შეცდომაზე" მითითება უშველის საქმეს. ერთი, რომ დაპყრობითი პოლიტიკის გატარების დროს XII საუკუნეში არაფერ შუაში იყო ყველა ქართველი, მეორე — საჭირო იყო ახსნა ამ მოვლენისა, გამორკვევა ამ დაპყრობითი პოლიტიკის გამომწვევი მიზეზებისა და მისი გამტარებელი კლასის ბუნებისა.

---

[47] ლენინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 370-371.
[48] ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონ. ისტორია, ტფილისი, 1907 წ., გვ. 71.
[49] მისივე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1914 წ., გვ. 652.

ამ საკითხებზე ჯავახიშვილი დუმს. მას არ უნდა დაარღვიოს „ქართველთა ჰარმონია“ XII საუკუნეშიაც. ის არ ლაპარაკობს კლასობრივ ბრძოლაზე და კლასობრივ წინააღმდეგობებზე, ის არ იკვლევს ეკონომიურ მიზეზებს დაპყრობითი პოლიტიკისას. აი, ის ორიოდე სიტყვა, რომელსაც ჯავახიშვილი ამბობს მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ამ საკითხთან დაკავშირებით: „როცა მკვლევარი იმ დროინდელ ეკონომიურ მდგომარეობას ღრმად ჩაუკვირდება, უეჭველია შეამჩნევს, რომ საქართველოს უზომო, განმაცვიფრებელი სიმდიდრე ნამდვილს ბუნებრივს და საღს საფუძველზე არ იყო დამყარებული, რომ ამის გამო საქართველოს ქონებრივ შეძლებას მტკიცე ნიადაგი არ ქონდა“[50] (ხაზი ავტორისაა).

აქ ლაპარაკია ბუნებრივ და საღ საფუძველზე, მაგრამ რაში გამოიხატება იგი და რატომ სწორედ მასზე არ აშენებდენ XII საუკუნის გაბატონებული კლასები თავის ეკონომიურ მოღვაწეობას, — ამის შესახებ პასუხს ვერ მიიღებთ პროფ. ჯავახიშვილისაგან.

ისტორიკოსმა მეცნიერული კვლევის დროს არ უნდა დაიცვიწყოს საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია და მოგვცეს ნამდვილი კონკრეტული სურათი კლასობრივი ბრძოლის გაშლისა. ისტორიული ფაქტები უსისტემოდ კი არ უნდა იყოს დალაგებული და გაშუქებული.

ჩვენ მოვითხოვთ ისტორიკოსისაგან მრავალს და პირველ რიგში კი მნიშვნელოვანი ფაქტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემას, მაგრამ ეს ფაქტები მარქსისტულ-ლენინურად უნდა იქნას გაშუქებული და დალაგებული. ზოგადი, არაფრის მთქმელი ფრაზები და მკვდარი სოციოლოგიური აბსტრაქტული სქემები საჭირო არ არის და მავნებელია, მაგრამ ისტორია არც ფაქტების გოდორს წარმოადგენს, რომ ისინი იქ უსისტემოდ იყოს ჩაყრილი. ამ ისტორიულ ფაქტებს უნდა ზუსტი შესწავლა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე. კლასობრივი მიდგომა ამ კვლევის დროს, პარტიულობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყოველი ნამდვილი მეცნიერული მუშაკისათვის.

ჯავახიშვილი იძლევა მრავალს, ხშირად მნიშვნელოვან ფაქტებს თავისი ისტორიული კვლევის დროს, მაგრამ ფაქტებიც აქ ისეა შერჩეული და დალაგებული, რომ ისინი ეხებიან და ამოლოგეტურად აშუქებენ გაბატონებული კლასებისა და მათი ცალკე წარმომადგენლების ცხოვრების ცალკე მომენტებს. არ არის მოცემული კლასობრივი ბრძოლის ისტორია, საკვირველია გაუშუქებელია გაყვლეფილი კლასების ცხოვრება და მოძრაობა. ფაქტების ასეთ შეკრებასა და დალაგებაშიაც თავის როლს თამაშობს ის მიუღებელი ბურჟუაზიული იდეალისტური მეთოდოლოგია, რომელსაც იზიარებს პროფ. ჯავახიშვილი.

ჯავახიშვილი თითქმის მუდმივად ლაპარაკობს ქართველებზე და არ ცდილობს გამოარკვიოს კლასობრივი ბრძოლა მათ შორის. ამას მოითხოვს ვითომ მეცნიერული მიუდგომლობა. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასეთი მიუდგომლობა არ არსებობს. სინამდვილეში, თავისი ისტორიული კვლევის დროს პროფ. ჯავახიშვილი ატარებს ბურჟუაზიულ-მემამულურ ნაციონალისტურ თვალსაზრისს. მისი მიუდგომლობა მხოლოდ გარეგნულია და ობიექტივიზმი კი — ფიქტიური.

რომ ეს ასეა, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ჯავახიშვილის თანაგრძნობა აშკარად მჩაგვრელი კლასებისა და მათი წარმომადგენლების მხარეზეა. ჯავახიშვილი არ ზოგავს ძალას, რომ მთელი რიგი ქართველი მეფეები შესანიშნავ ფერებში დახატოს.

[50] ჯავახიშვილი საქართველოს ეკონ. ისტორია, გვ. 81.

ჯავახიშვილის აზრით, XII საუკუნეში ქართველი ერი და მოღვაწეები თავიანთი მდგომარეობის კმაყოფილნი იყვნენ. უკმაყოფილების საფუძველი არ იყო. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა დავით აღმაშენებლისა და თამარის წყალობით, რომელთაც ჯავახიშვილი ხოტბას ასხამს. დავით აღმაშენებელი „უცხო ეროვნების შვილებსაც თავის განათლებულს და ძლიერ მფარველობას არ აკლებდა; მას, ქრისტიანეს მაჰმადიანთა პოეზიისა და მეცნიერებისადმიც უძგერდა სიყვარულით გული“.[51] „დავით აღმაშენებელი საქართველოს ეკონომიურს წარმატებაზეც დიდად ზრუნავდა და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ აღებმიცემობა გაცხოველებულიყო. იგი მფარველობას უწევდა არაბ და სპარსელ ვაჭრებს“.[52]

რით იყო გამოწვეული ასეთი „სიყვარული“ დავით აღმაშენებლისა მაჰმადიანთა პოეზიისა და მეცნიერებისადმი და არაბ და სპარსელ ვაჭრებისადმი, ჯავახიშვილი არ გვეუბნება. იგი განაგრძობს დავით აღმაშენებლის ქებას: „დავით აღმაშენებელი კაცთმოყვარე და გულშემატკივარი ადამიანი ყოფილა; იგი ავადმყოფ და დავრდომილთა შესახებაც ზრუნავდა“.[53] მაგრამ ეს ცოტაა. „ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავ ჰყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებელის და აღმაშენებლის, მისის პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქნელის, სოციალურ სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს“.[54]

განა ეს არის მიუდგომლობა და ობიექტივიზმი? განა ეს არ არის აშკარა აპოლოგეტიკა და ნაციონალური ხოტბა?

თამარის ქებათა-ქებისათვისაც ჯავახიშვილი არ ზოგავს მშვენიერ ეპითეტებს. „საქართველომ დაკარგა დიდებული მეფე და მოამაგე, თავისი საუკეთესო მშვენება და სიამაყე“.[55] „იგი მეტად ლმობიერი და სათნო პიროვნება იყო, მოწყალე და განურისხებელი, ძალმომრეობისა და მიმძლავრების წინააღმდეგი“.[56]

თამარის განდიდება, მისდამი ხოტბის შესხმა აპოგეას აღწევს, როდესაც ჯავახიშვილი წერს მის შესახებ: „ვინ არ იცის, რომ ბუნებამ გასაოცარის სილამაზით შეამკო დიდებული თამარ მეფე და ამ მხრივაც იგი ქართველ განთქმულ სილამაზის საუკეთესო სწორუპოვარი წარმომადგენელი იყო. ქართველი ერისათვის მაშინაც და შთამომავლობისთვის დიდი თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ ზესთაბუნებრივის ძალით მასში შეერთებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოველად მოწყალე, განურისხებელი გული. მარტო ის რადა ღირდა, რომ საქართველოს უუმწვერვალეს სამხედრო ძლიერების დროს ისტორიამ ნაზს და სათუთს არსებას, უმშვენიერეს ქალს არგუნა მეფობა, რომელმაც საქართველოში დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა ამოჰკვეთა და დამასახიჩრებელი სასჯელები მოსპო“.[57]

---

[51] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 537.
[52] იქვე, გვ. 539.
[53] იქვე, გვ. 540.
[54] იქვე, გვ. 542.
[55] იქვე, გვ. 635.
[56] იქვე, გვ. 637.
[57] იქვე, გვ. 639.

განა ნათელი არ არის, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, რომ „ობიექტივისტს“ ჯავახიშვილს ობიექტივიზმისაგან ფეხი აუცდა და აპოლოგეტის თვალსაზრისზე დადგა?

განა ზემოთმოყვანილი ხოტბების შესხმა დავითისა და თამარისადმი შესაძლებელია „მიუდგომლობის“ ჩარჩოებში?

არა, ეს სიტყვები შეეძლო დაეწერა ისეთ ისტორიკოსს, რომელიც აშკარად დგას გაბატონებულ მემამულეთა კლასის თვალსაზრისზე. „მეცნიერულ მიუდგომლობაზე“ ლაპარაკი ეს მხოლოდ გულუბრყვილო მკითხველისათვის არის განკუთვნილი, ხოლო სინამდვილეში საქმე გვაქვს ნამდვილ ნაციონალურ ხოტბასთან, რომლის შესახებ ერთ დროს თვით ჯავახიშვილი უსაყვედურებდა გოგებაშვილს.

მემამულეთა კლასის ისტორიული პიროვნებების შესახებაც ამბ. სტალინმა ამომწურავად გააშუქა საკითხი. გაბატონებულ კლასებს ჰყავდათ, რასაკვირველია, თავისი გამოჩენილი ადამიანები, მაგრამ მათი წარმოდგენა ზეკლასიურ პიროვნებებად ყოვლად დაუშვებელია. პეტრე დიდი რუს მემამულეთა გამოჩენილი ადამიანი იყო. მან ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ მთელ მის ამ მუშაობას კლასობრივი დახასიათება უნდა მიეცეს, როგორც ეს მშვენიერად აღნიშნა ამბ. სტალინმა.

დავით აღმაშენებლისა და თამარის როლიც კლასობრივი თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული. მათ გასწიეს დიდი მუშაობა თავიანთ მემამულეთა კლასის ასამაღლებლად. მაგრამ ეს ამაღლება ხდებოდა მაშინდელი დაჩაგრული კლასის — ყმების ხარჯზე.

ჯავახიშვილი უარყოფს საკითხის ამნაირად დაყენებას. მისთვის არსებობს ზეკლასიური დავით აღმაშენებელი და ზეკლასიური თამარი, რომლებიც ამყარებენ საზოგადოებრივ ჰარმონიას და ეშახურებიან მთელ ერს. ამიტომ ერიც, მისი აზრით, თავის მხრივ უაღრესი სიყვარულით იყო მათდამი გამსჭვალული. რა თქმა უნდა, ჯავახიშვილის ეს შეხედულება არ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს, არამედ წარმოადგენს ამ სინამდვილის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ფალსიფიკაციას.

8. ჯავახიშვილი და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი

სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი საქართველოში დღესაც სადავო საკითხადაა დარჩენილი ქართველ ისტორიკოსთა შორის. ამ მდგომარეობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სათანადო ისტორიული წყაროები ამ საკითხის გადასაწყვეტად მეტად მცირეა.

ძირითად წყაროს, რომელსაც ემყარებიან ისტორიკოსები საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის გამოკვლევის დროს, წარმოადგენს ცნობილი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობა, რომელიც შეეხება იბერიის ქვეყანას პირველ საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდის. საჭიროა აქვე მოვიყვანოთ ეს მნიშვნელოვანი ცნობა: „ოთხგვარი ხალხი (ადამიანთა ოთხი გვარი) სახლობს ამ ქვეყანაში. პირველია მათ შორის ის, რომლიდანაც მეფეებს სვამენ (ტახტზე), ახლობელი ნათესაობისა და ასაკის უხუცესობის მიხედვით; მეორე მოსამართლეობს და სარდლობს. მეორე (გვარი ხალხი შედგება) ქურუმებისაგან, რომლებიც განაგებენ აგრეთვე მეზობლებთან სადავო საქმეებს. მესამე — მეორეებისა და მიწის მოქმედთაგან. მეოთხე — მდაბიო ხალხისაგან („ლაოი“), რომელიც სამეფო მონები არიან და ასრულებენ ყოველგვარ სამსახურს, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის. ქონება მათი

საერთოა საგვარეულოთა მიხედვით, რომელშიაც თითოეულში მეთაურობს და განაგებს უხუცესი. ასეთია იბერები და მათი ქვეყანა".[58]

ემყარება რა ამ ცნობას, პროფ. ი. ჯავახიშვილი ავითარებს იმ აზრს, რომ სტრაბონის დროს საქართველოში ადგილი ჰქონდა საგვარეულო წყობილებას, რომელსაც იგი უკავშირებს სახელმწიფოს წარმოშობის საკითხსაც.

ყველაზე უფრო სრულად თავისი აზრი ამ საკითხზე ჯავახიშვილმა გამოსთქვა თავის სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც დაიბეჭდა 1905 წ. რუსულ ენაზე სახელწოდებით: "Государственный строй древней Грузии и древней Армении. ამიტომ ჩვენც პირველ რიგში ამ ნაშრომს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ჯავახიშვილი წერს: "Из описания Страбона ясно видно, во первых, что **в начале первого века нашей эры в Грузии частная собственность еще не существовала, имения составляли общую** родовую собственность; более того, автор указывает также на одну черту уясняющую положение дела, — он говорит "управляет же и распоряжается имуществом (каждого рода) старейший (член рода)", следовательно у них не только имение, но и способ эксплоатации и пользования имуществом был общиннородовым; таким образом, **род представлял из себя основу социального строя тогдашнего грузинского общества**; управление и власть принадлежали старейшему члену рода... **Царская власть в Грузии была организована на подобие власти старейшего в любом отдельном роде**; разница заключалась только в том, что царь был в то же время главой рода, пользовавшегося привилегией выставлять из своей среды суверенов грузинского народа. Отсюда мы заключаем, что **род и родовой строй должны считаться основой не только социальной жизни, но и основой царской власти в Грузии**".[59]

როგორც ვხედავთ, პროფ. ჯავახიშვილი საგვარეულო წყობილებას უდებს სარჩულად იმდროინდელ საქართველოს სოციალურსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ეს არის მთავარი დასკვნა ჯავახიშვილის გამოკვლევისა, რომელზედაც იგი პირდაპირ მიგვითითებს. "Таким образом мы приходим к главному общему выводу о том, что **родовой строй является основой не только социального, но и государственного строя Грузии**".[60]

იძლევა რა ასეთ დასკვნას, ჯავახიშვილი ცდილობს მოგვცეს თავის აღნიშნულ ნაშრომში უფრო დაწვრილებითი სურათი საგვარეულო წყობილებისა.

რაც შეეხება მონებს, ჯავახიშვილის აზრით, ისინი ჰყავდა მხოლოდ მეფეებს. "Судя по краткому описанию Страбона, — рабство еще не составляло общего явления, ни земледельцы, воины, ни жрецы не владели ими; к началу первого века нашей эры в Грузии рабы имелись еще только у царского рода... Таким образом, за исключением царских рабов, вероятно немногочисленных, все население в Грузии было свободно само и не владело с своей стороны несвободными; указаний на существование при этом сословий или иных различий в населении у Страбона совершенно не имеется. **Это свободное население Грузии занималось земледелием, а когда того требовали обстоятельства и военным делом**".[61]

---

[58] სვ. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, განაკვ. №2, დაუსწრ. პედინსტიტუტის გამოცემა, გვ. 9.
[59] И. Джавахов, Госуд. строй древней Грузии и древней Армении, т. I, СПБ, 1905 г., გვ. 9.
[60] იქვე, გვ. 16.
[61] იქვე, გვ. 55-56.

ამ აზრს თავისუფალ მიწათმოქმედთა არსებობისა და სპეციალური სამხედრო ორგანიზაციის უქონლობის შესახებ პროფ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად ავითარებს: "Такое положение дел заставляет предполагать, что страна еще не знала строгой специализации, что еще не существовало лиц, занимавшихся весь свой век военным делом, **не было организованного войска, а имелось на лицо только народное ополчение:** вчерашний земледелец превращался сегодня, в минуты опасности или предпринимаемого похода, в воина. Подобное положение вещей застал и Ксенофонт среди всех картвельских племен, живших по юго-восточному побережью Черного моря: стоило только появиться эллинскому войску в той или иной местности как все мирное мужское население вооружалось и становилось в ряды сражающихся. Таким образом, народ становился войском, и войско представляло из себя народ".[62]

თუ ორგანიზებული ჯარი საგვარეულო წყობილების დროს არ იყო, ვინ ედგა მაინც სათავეში სახალხო შეიარაღებას ომიანობის დროს? ემყარება რა სტრაბონის ცნობას, ჯავახიშვილი ამ კითხვას შემდეგნაირად უპასუხებს:

"Страбон сообщает, что командование над всеми войсками Иберийского царства было сосредоточено в руках ближайшего после суверена члена царского рода; кроме войска в его компетенцию входила и гражданская сфера деятельности, а именно отправление правосудия".[63]

ჯავახიშვილი აკეთებს რა თავის დასკვნებს საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის შესახებ, გადადის იმ მასალების განხილვაზე, რომელიც შეეხება სომხეთს. ამ მასალების მიხედვითაც იგი აკეთებს იმავე დასკვნებს. სომხეთშიაც სახელმწიფო, ჯავახიშვილის აზრით, წარმოშობილა საგვარეულო წყობილების ნიადაგზე. ასეთივე დასკვნა გამოჰყავს მას სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ მთელი რიგი აღმოსავლეთი ქვეყნებისთვისაც.

მოვიყვანოთ ეს ადგილი: "Таким образом наблюдения показывают, что общинно-родовой строй в территориальной и административной терминологии персиян, сирийцев и арабов нашел себе яркое отражение, что результаты, к которым мы пришли при изучении государственного строя грузин и армян не представляют из себя особенности, присущей только этим двум народностям... Изучение государственного строя древней Грузии показывает, что организация царского рода была совершенно такая же, как обыкновенных родов, что вся административная система опиралась на тех же основаниях; тоже самое наблюдается и в древней Армении, Персии, у сирийцев и т. д.".[64]

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჯავახიშვილს არ უყვარს თეორიები და ზოგადი მსჯელობა, მაგრამ თავისი გამოკვლევის შედეგად ის მაინც აკეთებს ზოგად დასკვნას სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, რომელიც ყველა ქვეყანას შეეხება. ის წერს:

"Одним словом, государственный строй первичных, употребляя выражение проф. Еллинека, государств есть не что иное, как родовой строй; поэтому нужно ли еще ставить вопрос о превращении род и племен в государства? При родовой орга-

[62] И. Джавахов, Госуд. строй древней Грузии и древней Армении, т. I, СПБ, 1905 г., გვ. 62.
[63] იქვე, გვ. 67.
[64] იქვე, გვ. 145-146.

низации уже имеется государство; где есть родовая организация, будут ли это кочевые племена или оседлые, там уже существует государство".[65]

ჩვენ ასე ვრცლად შევჩერდით პროფ. ჯავახიშვილის ზემოაღნიშნულ ნაშრომზე იმიტომ, რომ იქ სპეციალურად არის განხილული საკითხი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ საქართველოსა და სომხეთში და დაწვრილებით არის გადმოცემული მისი აზრები.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ პროფ. ჯავახიშვილმა აღნიშნული შრომის დაბეჭდვის შემდეგ შეიცვალა თავისი აზრი. მაგრამ ეს მართალი არ არის. პროფ. ჯავახიშვილი თავის ზემოთ მოყვანილ შეხედულებებს ავითარებს მთელ რიგ თავის სხვა შრომებში.

1905 წ. ცალკე წიგნად გამოიცა პროფ. ჯავახიშვილის წერილები საქართველოს მეფისა და მისი უფლების ისტორიის შესახებ. ამ წიგნში ჯავახიშვილი წერს, რომ საქართველოში „მეფის უფლება საგვარეულო წესწყობილებაზე იყო დაფუძნებული და IX-XIII საუკ. დროინდელ საქართველოს მეფის უფლებასთან პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონდა".[66]

თავის „ქართველი ერის ისტორიაში" ჯავახიშვილი წერს: „იბერიის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წესწყობილებაზე ყოფილა დამყარებული. იმ დროს, როცა რომაელებმა ჩვენს სამშობლოს თავისი მძლავრი კლანჭები ჩაუჭირეს, მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა თურმე და მთელი უძრავი ქონება მთელ საგვარეულოს ეკუთვნოდა; ამ ქონებას თითოეული გვარიშვილი ან სახლობა კი არ უელიდა, არამედ მთელ უძრავ ქონების ერთად ერთ გამგედ და მეურნედ გვარის უფროსი ითვლებოდა, და „მამასახლისად" იწოდებოდა. გვარი და საგვარეულო წესწყობილება მაშინდელი ცხოვრების დედაბოძი იყო".[67]

პროფ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში" კვლავ უბრუნდება იმავე საკითხს და წერს: სტრაბონის სიტყვით „ქონება იბერებს საერთო ჰქონდათ საგვარეულოთა მიხედვით და ამ საერთო საგვარეულო ქონებას გვარის უხუცესი წევრი განაგებდა. მაშასადამე, კერძო საკუთრება მაშინ უძრავი მაინც არ ყოფილა, უძრავი ქონება გვარის საერთო საკუთრება იყო და თვით ამ ქონების მოვლა-გამგეობაც საერთოვე ყოფილა, რადგან მისი მართვა-გამგეობის უფლება გვარის უხუცესს წევრსა ჰქონდა ხელთა".[68]

სახელმწიფო წარმოიშვა, ჯავახიშვილის აზრით, საგვარეულო წყობილების ნიადაგზე არა მარტო იბერიაში, არამედ დასავლეთ საქართველოშიაც. იგი წერს: „უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოშიაც მეფის ხელისუფლება საგვარეულო წესწყობილების ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული".[69]

ამრიგად, უძველეს საქართველოში „გვაროვნული წესწყობილება მარტო სოციალურის კი არა, არამედ სახელმწიფო წესწყობილების საფუძველიც ყოფილა".[70]

თავის წერილში საქართველოს შესახებ, რომელიც დაბეჭდილია რუსულ ენაზე გრანატის ენციკლოპედიაში, ჯავახიშვილი ჩვენთვის უკვე ცნობილ აზრებს ავითარებს სახელმწიფოს წარმოშობაზე.

---

[65] **И. Джавахов**, Госуд. строй древней Грузии и древней Армении, т. I, СПБ, 1905 г., გვ. 147.
[66] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, 1905 წ., ტფილისი, გვ. 1.
[67] მისივე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1913 წ. ტფილისი, გვ. 172.
[68] მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფილისი, 1928 წ., გვ. 148; 6. აგრეთვე გვ. 152, 183.
[69] იქვე, გვ. 182.
[70] იქვე, გვ. 185-186.

არ შეიძლება სპეციალურად არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჯავახიშვილის შეხედულებებმა ამ საკითხზე ჰპოვა ადგილი დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაშიაც, 1930 წელს. თავის საქართველოს ისტორიის მიმოხილვაში ჯავახიშვილი წერს: "Подавляющее большинство населения Грузии той поры занимались в мирное время сельским хозяйством, а в военное – составляло народное ополчение. Правителем всей страны являлся царь ("мамасахлиси"), получавший власть по праву старшинства в роде и по близости к умершему предшественнику. Второму лицу после царя принадлежала власть над ополчением во время войны, в мирное же время отправляло объязанности верховного судьи. В области социальных отношений в эту эпоху заметны лишь зачатки неравенства: рабы имелись только у представителей царского рода, а вся остальная масса племени состояла из свободных. К началу 2 в. христианской эры процесс социально-экономической дифференциации делает значительные успехи и приводит к возникновению частной собственности на землю".[71]

ამრიგად, ჯავახიშვილის აზრი საქართველოს სახელმწიფო წარმოშობის შესახებ შეიძლება შემდეგ დებულებებში ჩამოვაყალიბოთ:

1) ქრისტიანული წელთაღრიცხვის დაწყებისას როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში არ არსებობდა კერძო საკუთრება. მთელი უძრავი ქონება მაინც ეკუთვნოდა საგვარეულოს და არა მის ცალკე წევრებს.

2) ქვეყანას სათავეში ედგა მეფე-მამასახლისი, რომელიც ღებულობდა ძალაუფლებას უხუცესობის მიხედვით გვარში და გარდაცვლილი წინამორბედის ახლობელი უნდა ყოფილიყო. მეორე პირი მეფის შემდეგ განაგებდა სამხედრო საქმეს ომის დროს და გამოდიოდა უმაღლესი მსაჯის როლში მშვიდობიანობის დროს.

3) მოსახლეობის უმეტესი ნაწილი შედგებოდა საგვარეულოს თავისუფალი წევრებისაგან, რომლებიც მშვიდობიანობის დროს მიწათმოქმედებას ეწეოდნენ.

4) სოციალურ უთანასწორობას ადგილი არ ჰქონდა, ან მისი ჩანასახები თუ იყო მხოლოდ. მონების რიცხვი მეტად მცირეა და ისინი მარტო მეფეს ჰყავს.

5) ორგანიზებული მუდმივი სამხედრო ძალა არ არსებობს. ომიანობის დროს ადგილი აქვს მთელი ხალხის შეიარაღებას მტრის წინააღმდეგ.

6) არსებობდა სახელმწიფო ძალაუფლება, რომელიც აღმოცენდა და განვითარდა ამ საგვარეულო წყობილების ნიადაგზე.

7) ასეთივე პირობებში წარმოიშვა სახელმწიფო სომხეთში, ირანში, არაბეთში, სირიაში და სხვ.

ჯავახიშვილის აქ მოკლედ გადმოცემულ კონცეპციაში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა დებულება იმის შესახებ, რომ ძველ საქართველოში არსებობდა საგვარეულო წყობილება, რომ იქ ადგილი არ ჰქონდა კერძო საკუთრებას.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიული მკვლევარები უარყოფენ პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების არსებობას. მათი აზრით, ისტორიაში არ ყოფილა იმნაირი დრო, როდესაც კომუნისტური წყობილება არსებობდა, როდესაც კერძო საკუთრებას ადგილი არ ჰქონდა. ისინი ამტკიცებდენ, რომ კერძო საკუთრება მუდამ არსებობდა, რომ იგი თვით ადამიანის ბუნებისაგან გამომდინარეობს.

---

[71] Большая Советская Энциклопедия, т. XIX, Москва, 1930 г., გვ. 559.

კერძო საკუთრების მარადიულობის თეორიის მომხრეების მიზანი ნათელია. მათ უნდათ დაამტკიცონ, რომ კერძო საკუთრება არ თუ მუდამ არსებობდა, არამედ მუდამაც იარსებებს, რომ არავითარი კომუნისტური წყობილება მომავალში არ შეიძლება განხორციელდეს.

მარქსმა და ენგელსმა დაანგრიეს ეს თეორია. მრავალი ისტორიული მასალის საფუძველზე მათ დაამტკიცეს, რომ უწინ, ადამიანთა საზოგადოების ისტორიის პირველ ხანებში, არ არსებობდა კერძო საკუთრება და კლასები, რომ ეს პირვანდელი საზოგადოება კომუნისტურ საფუძველზე იყო აგებული.

სტრაბონის ცნობა და პროფ. ჯავახიშვილის გამოკვლევა ადასტურებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ამ დებულებას. საქართველოს, სომხეთის, ირანის, არაბეთისა და სხვა აღმოსავლეთი ქვეყნების ისტორიული მასალის შესწავლის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ამ ქვეყნებშიაც უწინ საგვარეულო კომუნისტური წყობილება არსებობდა და რომ იქ კერძო საკუთრებას ადგილი არ ჰქონდა.

რამდენადაც პროფ. ჯავახიშვილი ასეთ დებულებას ამტკიცებს, იმდენად მისი გამოკვლევა მნიშვნელოვანია, იმდენად მას აქვს მეცნიერული ღირებულება.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ დებულების დამტკიცების შემდეგ, ჯავახიშვილი აყენებს თეორიას სახელმწიფოს წარმოშობისას საგვარეულო კომუნისტური წყობილების საფუძველზე, ე. ი. იქ, სადაც საზოგადოება კლასებად არ არის დაყოფილი, სადაც ადგილი არ აქვს კერძო საკუთრებას და გაყვლეფას.

სახელმწიფოს წარმოშობის ასეთი თეორია აშკარა ანტიმარქსისტული ბურჟუაზიული თეორიაა,[72] რომლის პროპაგანდას ეწეოდა პროფ. ჯავახიშვილი მთელი ათეული წლების განმავლობაში.

საჭიროა ამ საკითხზე დაწვრილებით შევჩერდეთ.

ენგელსის აზრით, სახელმწიფო დასაბამიდან როდი ყოფილა. „წარსულში არსებულან საზოგადოებანი, რომელნიც იოლად მიდიოდენ უსახელმწიფოდ, რომელთაც სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრივ ხელისუფლებაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონიათ. საზოგადოებრივი ეკონომიური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვასთან, სახელმწიფო აუცილებელი გახდა თვით ამ გათიშვის გამო. ჩვენ ამჟამად ჩქარის ნაბიჯით ვუახლოვდებით წარმოების განვითარების საფეხურს, სადაც ამ კლასების არსებობა არა თუ საჭირო აღარ იქნება, არამედ წარმოების ნამდვილ დაბრკოლებად გადაიქცევა. კლასები ისევე აუცილებლად მოისპობიან, როგორც წარმოიშვენ. მათთან ერთად სახელმწიფოც აუცილებლად მოისპობა. საზოგადოება, რომელიც წარმოებას ხელ-ახლა მოაწყობს მწარმოებელთა თავისუფალი და თანასწორი ასოციაციის ნიადაგზე, მთელ სახელმწიფოს მანქანას იქ მოათავსებს, სადაც მას შეეფერება: სიძველეთა მუზეუმში, სადაც ჯარა და ბრინჯაოს ცული აწყვია“.[73] სახელმწიფოს არსებობა იმის მომასწავებელია, რომ „საზოგადოება გარდაუვალ წინააღმდეგობაში გაიხ-

---

[72] ჯავახიშვილის სახელმწიფოს წარმოშობის თეორიის ანტიმარქსისტული ხასიათი აღნიშნა ამხ. გ. სოსელიამ თავის ნაშრომში: „სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის“. ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოიცა 1934 წ.

[73] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, სახელგამი, ტფილისი, 1932 წ., გვ. 208-209.

ლართა თავის თავთან, რომ იგი შეურიგებელ მოპირდაპირე ძალებად გაითიშა, რომელთა შერიგება მას არ ძალუძს".[74]

სახელმწიფო წარმოიშვა იმიტომ, რომ საჭირო შეიქნა მოპირდაპირე კლასისათვის ლაგამის ამოდება და მისი გაყვლეფის სისტემის დაცვა. აუცილებელი ხდება გაყვლეფილი კლასის დამორჩილებისათვის სატუსაღოები, ჟანდარმერია, ჯარი და სხვა ატრიბუტები სახელმწიფოსი.

ისტორიიდან ჩვენ ვიცით არსებობა ანტიური, ფეოდალური და ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა. ეს სახელმწიფოები საჭირო შეიქნა იმისათვის, რომ გაბატონებულ კლასებს მორჩილებაში ემყოფებიათ და ექვლიფათ მონები, ყმები და დაქირავებული მუშები.

მაგრამ იყო დრო, როდესაც სახელმწიფო არ არსებობდა, რადგან არ არსებობდენ მაშინ კლასები და კლასობრივი ბრძოლა. საჭირო არ იყო ვისიმე დამორჩილება, ვინმესათვის ლაგამის ამოდება. უაზრო იყო არსებობა სატუსაღოებისა, ჟანდარმერიისა, მუდმივი ჯარისა და სხვ. ასეთი იყო საგვარეულო საზოგადოება, რომელიც არ იცნობდა სახელმწიფო ორგანიზაციას.

დადგება ისეთი დრო, სახელმწიფო საჭირო აღარ იქნება. იგი გაუქმდება მას შემდეგ, რაც კომუნისტური საზოგადოება თავის უმაღლეს საფეხურზე ავა. მაგრამ იგი საჭიროა პროლეტარიატისათვის, ამ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში, როგორც ბასრი იარაღი კლასიური მტრების წინააღმდეგ და მათ გასანადგურებლად.

ბურჟუაზიული „მკვლევრები" უარყოფენ სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. მათი აზრით, სახელმწიფო მუდამ არსებობდა და იარსებებს. სახელმწიფო სრულებითაც არ არის დაკავშირებული კლასობრივი საზოგადოების განვითარებასთან, რადგან იგი თავისი ბუნებით ზეკლასიურ ორგანიზაციას წარმოადგენს.

სახელმწიფოს ამ ბურჟუაზიულ-ფაშისტური თეორიის მიზანს წარმოადგენს დასაბუთება იმ დებულებისა, რომ კომუნისტური წყობილება არასოდეს არ არსებულა და არც შეიძლება ოდესმე შეიქმნას, რომ მუდმივად არსებობდა და იარსებებს კერძო საკუთრება. ეს თეორია ცდილობს, დაარწმუნოს, კერძოდ, მშრომელები, რომ უსაფუძვლოა ბრძოლა კაპიტალისტური წყობილებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომ კლასობრივ ბრძოლას ადგილი არ უნდა ექნეს, რადგან იგი მხოლოდ მარქსისტების გამოგონებას წარმოადგენს. სინამდვილეში, მათი აზრით, არსებობს და იარსებებს მუდმივი კლასობრივი მშვიდობიანობა და ჰარმონია.

ჯავახიშვილი ცნობს საგვარეულო წყობილების არსებობას. მაგრამ ის უკავშირებს სახელმწიფოს წარმოშობას საგვარეულო წყობილებას. ხოლო თუ სახელმწიფო შესაძლებელია არსებობდეს კერძო საკუთრებისა და კლასების არ არსებობის პირობებში, მაშინ, ბუნებრივია, რომ იგი ყოველთვის უნდა არსებობდეს, რომ მისი გაუქმება შეუძლებელია. სახელმწიფოს ამ ზეკლასიური თეორიის ვარიანტის ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური ხასიათი ნათელია.

ჯავახიშვილის სახელმწიფოს თეორიას არ შეუძლია მოგვცეს სურათი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა. ის უსუსურია, გასცეს პასუხი მთელ რიგ საკითხზე. ავიღოთ, მაგალითად, ზოგიერთი მათგანი. ჯავახიშვილის აზრით, IX-XIII საუკუნეებში საქართველოში არსებული სახელმწიფოებრივი ძალაუფლება სულ სხვა

[74] ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, სახელგამი, ტფილისი, 1932 წ., გვ. 203-204.

საფუძველზე იყო წარმოშობილი, ვიდრე სტრაბონის დროინდელი სახელმწიფო. ბუნებრივია, ასეთი საკითხის დასმა: როგორ მოხდა სახელმწიფოს საფუძვლის შეცვლა? რა გავლენა მოახდინა ამ გარემოებამ თვით სახელმწიფოზე?

ჯავახიშვილი ამ საკითხებს მარტივად წყვეტს. იგი აცხადებს, რომ „საგვარეულო" წესწყობილებაზე დამყარებული მეფის უფლება სპარსელებმა გაუქმეს კიდეც და ამის გამო მერმინდელ მეფობის უფლებასა და პირვანდელ დროის მეფობის შორის კავშირი არ არსებობდა".[75]

მაშასადამე, ჯავახიშვილის თეორიის მიხედვით, სპარსელებმა მოსპეს ქართველთა პირვანდელი სახელმწიფო. მაგრამ თუ სახელმწიფო მაშინ მართლა არსებობდა, მისი მოსპობა დამყრობელი სპარსელების მიერ არ შეიძლებოდა და არც მიზანშეწონილი იყო. შეიცვლებოდენ მხოლოდ ბატონები. სპარსეთის მეფე გახდებოდა ამ დაპყრობის შედეგად ქვეყნის ბატონ-პატრონი, მაგრამ მას დასჭირდებოდა ადგილზე დარაგვრის სახელმწიფოებრივი აპარატი.

დავუშვათ, რომ ჯავახიშვილი მართალია, სპარსელებმა გაუქმეს სახელმწიფო საქართველოში. მერმე როგორ მოხდა სასწაული ახალი მეფის უფლებისა, ახალი სახელმწიფოს წარმოშობისა IX საუკუნეში?

ამ კითხვაზე ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ მეცნიერული პასუხი, რადგან არსებული სახელმწიფოს გაუქმება აქ ისევე დაუსაბუთებელია, როგორც ახალი სახელმწიფოს წარმოშობა.

დებულება სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ საგვარეულო წყობილების საფუძველზე აშკარა ანტიმარქსისტული დებულებაა. ასეთ სახელმწიფოს არსებობას არ აქვს გამართლება, რადგან იგი თავის ნამდვილ საფუძველს — კლასობრივ საზოგადოებას — მოკლებულია.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ რადგან სტრაბონი პირდაპირ მიგვითითებს მეფის არსებობაზე იბერიაში, როგორ შეიძლება ამის შემდეგ ამ ფაქტის უარყოფა. მართლაც, სტრაბონის ცნობაში არის ლაპარაკი მეფის შესახებ. მაგრამ ბერძნულად სტრაბონს ნახმარი აქვს სიტყვა „ბაზილევსი", რაც ქართულად ჩვეულებრივად ითარგმნება მეფედ, მაშინ როდესაც სინამდვილეში ლაპარაკი შეიძლება იყოს მამასახლისის შესახებ.

არ შეიძლება ცნებების ერთმანეთში არევა და საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს მაშინდელი „ბაზილევსი" მერმინდელ მეფეს უდრის. საინტერესოა, რომ ამის შესახებ ჩვენ პირდაპირ გვაქვს მოცემული გაფრთხილება ცნობილი მკვლევარის მორგანის მიერ. მორგანი წერს: "Современные писатели, почти все без исключения, переводят "басилевс" термином "царь", а "басилея" — термином "царство" без всяких оговорок, в качестве совершенно равнозначных. Я желал бы обратить внимание читателя на эту должность басилевса в том виде, в каком она существовала у греческих племен, и на вопрос о правильности такого толкования. Между басилеей древных афинян и современным царством или монархией нет никакого сходства, во всяком случае недостаточно для того, чтобы оправдать употребление одного и того же термина для обозначения обоих понятий".[76]

მორგანის ეს სიტყვები სავსებით შეეხება პროფ. ჯავახიშვილსაც.

---

[75] ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, გვ. 1.
[76] Люис Морган, Древнее общество, 1934 г., გვ. 143.

საჭიროა ხაზი გაესვას აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სახალხო შეიარაღება, რომელზედაც მიგვითითებს ჯავახიშვილი, სრულებით არ არის დამახასიათებელი კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის. სახალხო შეიარაღებას ადგილი ჰქონდა საგვარეულო წყობილების დროს, მაგრამ შესაძლებელია იგი არსებობდეს და ამავე დროს სახელმწიფო არ არსებობდეს. აქ არ არის აუცილებელი კავშირი და ამიტომ ერთის არსებობით არ შეიძლება დამტკიცდეს მეორის არსებობა.

ამის შესახებ ნათლად დააყენა საკითხი და მას ამომწურავი პასუხი გასცა ამხ. სტალინმა. აი, რას ამბობდა ამხ. სტალინი კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესზე. „ თეორიულად სრულიად შესაძლებელია დავუშვათ საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, რომელშიაც არ არის კლასები, არ არის სახელმწიფო, მაგრამ არის შეიარაღებული ხალხი, რომელიც იცავს თავის უკლასო საზოგადოებას გარეშე მტრებისაგან. სოციოლოგია ცოტა მაგალითს როდი იძლევა იმისას, რომ კაცობრიობის ისტორიაში არსებობენ საზოგადოებანი, რომელთაც არ ჰყავდათ კლასები, არ ჰქონდათ სახელმწიფო, მაგრამ ასე თუ ისე თავს იცავდენ გარეშე მტრებისაგან. იგივე უნდა ითქვას მომავალ უკლასო საზოგადოებაზე, რომელსაც არ ეყოლება რა კლასები და სახელმწიფო, შეუძლია მაინც ჰყავდეს სოციალისტური მილიცია, აუცილებელი გარეშე მტრებისაგან დასაცავად. მე ნაკლებად სარწმუნოდ მიმაჩნია, რომ ჩვენში შეეძლოს საქმეს ასეთი მდგომარეობის მიღწევა, ვინაიდან ეჭვს გარეშეა, რომ სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში და მით უმეტეს სოციალიზმის გამარჯვება და კლასების მოსპობა, — ეს ისეთი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებია, რომელთაც არ შეუძლიათ არ გამოიწვიონ კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარების ლტოლვა სოციალიზმისადმი, რომელთაც არ შეუძლიათ არ გამოიწვიონ რევოლუციური აფეთქებანი სხვა ქვეყნებში. მაგრამ თეორიულად სრულიად დასაშვებია საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, რომელშიაც წარმოსადგენია სოციალისტური მილიციის არსებობა კლასებისა და სახელმწიფოს არსებობის გარეშე".[77]

ჯავახიშვილის სახელმწიფოს წარმოშობის თეორია, როგორც ვხედავთ, არამეცნიერული ბურჟუაზიულ-ათოლოგეტური თეორიაა. საჭიროა ამ თეორიის წინააღმდეგ მარქსისტულ-ლენინური თეორიის კრიტიკული იარაღის მომარჯვება და მისი განადგურება.

ჯავახიშვილის თეორიის ზეგავლენა ემჩნევა მთელ რიგ ისტორიკოსებს. ავიღოთ, მაგალითად, ქრ. რაჭველიშვილის ნაშრომი „საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია". ამ ნაშრომში ქრ. რაჭველიშვილი პირდაპირ იმეორებს ჯავახიშვილის შეხედულებებს. იგი ამბობს: „იბერია და კოლხეთი გვაროვნული წყობილების ნიადაგზე წარმოშობილი სახელმწიფოებია და საკუთარი „მეფეები" ჰყავთ".[78]

საინტერესოა, როგორ განმარტავს ქ. რაჭველიშვილი სახელმწიფოს ცნებას: „საზოგადოდ, როცა ძველებურ „სახელმწიფოზე" ვლაპარაკობთ, ჩვენ გვაქვს მხედველობაში სამი უმთავრესი დამახასიათებელი თვისება. ერთი ხელისუფლების, განსაზღვრული ტერიტორიისა და ამ ტერიტორიის მოსახლეობის არსებობა. სიტყვა „სახელმწიფოს" ამიტომ ჩვენ აქ ვხმარობთ მისი ვიწრო მნიშვნელობით, ვინაიდან თანამედროვე სახელმწიფოსთან მას ძალიან ცოტა რამ ჰქონდა საერთო. და აი, რამდენადაც არსებობდა განსაზღვრული მოზრდილი ტერიტორია და იქაური მოსახლეობა ემორჩილებოდა ერთს ხელისუფლებას, იმდენად ამ ერთეულს შეიძლება სახელმწიფო ვუწოდოთ".[79]

---

[77] **Сталин**, Об оппозиции (сборник), გვ. 532-533.

[78] ქრ. რაჭველიშვილი, საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, სახელგამი, 1927 წ., გვ. 12.

[79] იქვე, გვ. 25.

რაჭველიშვილის ამ „აღმოჩენიდან“ გამოდის, რომ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო ვიწრო მნიშვნელობით და ფართე მნიშვნელობით. იბერია და კოლხეთი ეკუთვნის იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებიც რაჭველიშვილს აღებული აქვს ვიწრო მნიშვნელობით. მაგრამ აქაც, მისი აზრით, უკვე არსებობს სამი უმთავრესი დამახასიათებელი თვისება: 1) ერთი ხელისუფლება, 2) განსაზღვრული ტერიტორია და 3) ტერიტორიის მოსახლეობა. გამოდის რა ამ ანტილენინური აბდაუბდიდან, რაჭველიშვილი დაასკვნის, რომ „პირველ საუკუნეში ქრისტეს წინ საქართველოში უკვე ორი ჩამოყალიბებული სახელმწიფოა: კოლხეთი და იბერია“.[80]

როგორც ვხედავთ, რაჭველიშვილის თვალსაზრისი უბრალო განმეორებაა ჯავახიშვილის შეხედულებისა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ისტორიკოსების დიდი ნაწილი ჯერჯერობით ვერ გასცილებია ამ დამყაყებულ ბურჟუაზიულ შეხედულებას.

პროფ. ს. ჯანაშიამ სცადა მოეცა კრიტიკა ჯავახიშვილის შეხედულებისა, მაგრამ ეს კრიტიკა სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. მოჰყავს რა სტრაბონის ცნობა იბერიის შესახებ, პროფ. ჯანაშია წერს: „მისი (ე. ი. ამ ცნობის) განმარტებისას ყველა მკვლევარი, რომელიც ამ საკითხს ეხებოდა, იმ მოსაზრებას ადგებოდა, რომ აქ ჩვენ გვაროვნული საზოგადოების სურათი გვაქვს. ამასთან ერთად გამოითქმებოდა ხოლმე ის აზრიც, რომ ამ ცნობაში გვაროვნულ წყობილების რღვევის ნიშნებია უკვე მოცემული. ასე ფიქრობს, მაგ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ჩვენ იძულებული ვართ ასეთი შეხედულება უარვყოთ“.[81]

როგორც ვიცით, ჯავახიშვილის თეორიის ანტიმარქსისტული ბურჟუაზიული ბუნება მდგომარეობს არა იმაში, რომ იგი ცნობს გვაროვნული საზოგადოების არსებობას სტრაბონის დროინდელ იბერიაში, არამედ იმაში, რომ იგი ცდილობს დაამტკიცოს ამ გვაროვნული წყობილების ნიადაგზე სახელმწიფოს არსებობის ფაქტი.

ს. ჯანაშია თავისი კრიტიკის მახვილს მიმართავს ჯავახიშვილის არა ამ ბურჟუაზიული შეხედულების წინააღმდეგ, არამედ იმ დებულების წინააღმდეგ, რომ სტრაბონის დროს იბერიაში გვაროვნული წყობილება არსებობდა.

ჯანაშია უარყოფს სტრაბონის დროინდელ იბერიაში არსებული საზოგადოების გვაროვნულ ხასიათს. მისი აზრით, იქ უკვე კლასობრივი საზოგადოებაა. მოუსმინოთ მას: სტრაბონის „ძვირფას ლიტერატურულ ცნობაში წარმოდგენილია არა გვაროვნული საზოგადება თუნდაც რღვევის გზაზე შემდგარი, არამედ გარკვეული კლასობრივი საზოგადოება, ერთგვარი გვაროვნულ გარდმონაშთების მქონე. უკანასკნელი გარემოება ხელს სრულებით ვერ შეგვიშლის ეს საზოგადოება სწორედ როგორც კლასობრივი დავახასიათოთ, იმიტომ, რომ გვაროვნული წყობილების ნაშთებს ჩვენ ფეოდალური საზოგადოების განვითარების მთელ სიგრძეზე ვხედავთ, ისინი კაპიტალისტურ საზოგადოებასაც კი გადმოჰყვებიან და ზოგჯერ ჩვენს დროშიც იჩენენ თავს. ბევრად უფრო შესუსტებული სახით. რა თქმა უნდა, მათი არსებობა იმ შორეულ ხანებში ჩვენ ამიტომ სრულიადაც ვერ გაგვაკვირვებს“.[82]

ჯანაშიას თვალსაზრისი აქ ნათელია: სტრაბონის დროს იბერიაში გვაროვნული წყობილება უკვე არ არსებობდა. იქ უკვე გარკვეული კლასობრივი საზოგადოება იყო. მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით კი სახელმწიფო წარმოიშვა კლასობრივ საზოგა-

---

[80] ქრ. რაჭველიშვილი, საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, სახელგამი, 1927 წ., გვ. 25.
[81] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, დაუსწრ. პედ. ინსტიტ. გამოც., 1932 წ., განაკვ. №2, გვ. 9-10.
[82] იქვე, გვ. 10.

დოებაში. რადგან იბერია კლასობრივი საზოგადოება იყო, ამიტომ იქ, ჯანაშიას აზრით, სახელმწიფოც უკვე არსებობდა. ასეთი იყო მდგომარეობა არა მარტო იბერიაში, არამედ კოლხეთშიაც. კოლხეთში „უკვე კლასობრივი საზოგადოებაა საგულისხმებელი, ამდენადვე თვით მეტნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებრივ აპარატის არსებობაც საგულვებელი ხდება. კერძოდ, ერთხელ კიდევ მოვიგონოთ ადგილობრივ კოლხურ ფულის მოჭრის ფაქტი — ლითონის ფული კლასობრივ საზოგადოების კუთვნილებაა და მონეტის მოჭრაც სახელმწიფოს საქმეა".[83]

საქართველოს ისტორიის პროგრამაშიაც ჯანაშიას იგივე აზრი აქვს მოკლედ გამოთქმული. იქ წერია: „სახელმწიფო, როგორც კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია და მისი ფორმა იმ პერიოდის საქართველოში".[84] პროგრამაში გარკვევით არის ლაპარაკი სტრაბონის დროინდელ საქართველოს „კლასობრივ სტრუქტურაზე" და „სოციალურად დიფერენცირებულ ფენებზე", მონათმფლობელებზე, მონებზე, თავისუფალ წვრილ მწარმოებლებზე და კოლონებზე.

ამრიგად, ჯანაშიას აზრით, სტრაბონის დროს საქართველო წარმოადგენდა ჩამოყალიბებულ კლასობრივ საზოგადოებას, რომლის ნიადაგზე სახელმწიფოც წარმოიშვა, როგორც კლასობრივი ჩაგვრის იარაღი.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ დებულების დასაბუთებისათვის საჭიროა ითქვას აგრეთვე ისიც, — გვქონდა თუ არა სტრაბონის დროს საქართველოში ახალი ეკონომიური ფორმაცია და როგორი იყო მაშინდელი საზოგადოების კლასობრივი სახე. საჭიროა ითქვას, თუ რომელი კლასები არსებობდენ იმ დროს და რა ფორმებში მიდიოდა მათი ბრძოლა.

მართლაც, რას ნიშნავს დამტკიცება კლასობრივი საზოგადოებისა სტრაბონის დროინდელ იბერიაში?

ეს ნიშნავს დამტკიცებას იმისას, რომ მაშინ უკვე გაბატონებული იყო მონათმფლობელური წყობილება ანდა ფეოდალური წყობილება. მონათმფლობელური წყობილება საქართველოში, ჯანაშიას აზრით, არასოდეს არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების სამირკველი. ფეოდალური წყობილება კი სტრაბონის დროინდელი საქართველოსათვის ნაადრევია და ასეთ დებულებას არც აყენებს ს. ჯანაშია.

თუ ახალი ეკონომიური ფორმაცია არ შექმნილა გვაროვნული წყობილების შემდეგ, მაშინ არც „გარკვეულ კლასობრივ საზოგადოებაზე" შეიძლება ლაპარაკი.

ყოველ შემთხვევაში ასეთი დასკვნების გაკეთების საბუთს არ იძლევა სტრაბონის ცნობა. სტრაბონს თვით ცნობაში არა აქვს ლაპარაკი კლასებზე. მეფე იბერიისა არ წარმოადგენს ნამდვილ მეფეს. ის ნამდვილად მამასახლისია და მას ბატონობისათვის არ გააჩნია ეკონომიური საფუძველი. მიწა არც მას და არც ჭურუმებს არ ეკუთვნის. იგი მთელი გვარის საერთო საკუთრებას შეადგენს. არ არსებობს ორგანიზებული ჯარი. მოსახლეობა შედგება თავისუფალ მიწათმოქმედთაგან, რომლებიც ომის დროს სახალხო შეიარაღებას წარმოადგენენ. მონების განსაზღვრული რაოდენობა მხოლოდ მამასახლისს ჰყავს.

ეს ნიშნები იბერიის საზოგადოებისა, რომლებიც მოცემულია სტრაბონის ცნობაში, არ წარმოადგენს კლასობრივი საზოგადოების ნიშნებს. ისინი დამახასიათებელი არიან სწორედ გვაროვნული საზოგადოებისათვის, რომელშიაც რღვევის პროცესი დაწყებულია, გან-

[83] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, დაუსწრ. პედ. ინსტიტ. გამოც., 1932 წ., განაკვ. №2, გვ. 38.

[84] საქართველოს ისტორიის პროგრამა, 1935 წ., გვ. 6.

საკუთრებით იქ, სადაც ვაჭრობა შედარებით უფრო განვითარებული იყო (კოლხეთის ზღვის განაპირა ნაწილი და მცხეთა).

9. ჯავახიშვილი და ფეოდალიზმის საკითხი საქართველოში

პროფ. ჯავახიშვილს ფორმაციების საკითხი სრულებით არ აინტერესებს. ის არ იკვლევს ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციის შინაგან წინააღმდეგობებს. ამიტომ მას არ შეეძლო მოეცა და არც მოუცია ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სურათი.

მაგრამ ჯავახიშვილს არ შეუძლია უარყოს ისეთი წყობილების არსებობა, როგორიცაა ფეოდალიზმი, მონობა და სხვ. „როგორც ქართული სამართლის ისტორიის 1 წიგნში (გვ. 198) აღნიშნული გვაქვს, I-VII და X-XIII ს. ს. საქართველოს სოციალურ წყობილებას შორის მაინც არსებითი განსხვავებაა იმ მხრივ, რომ ძველად მონობა იყო, X-XIII სს-ში კი მონობა აღარა ჩანს და სამაგიეროდ პატრონ-ყმობაა გაბატონებული".[85]

მეორე ადგილას ჯავახიშვილი წერს: „სრული სიცხადით ირკვევა, რომ საქართველოში I-VII სს-ში მხოლოდ მონობა იყო, პატრონ-ყმობა მაშინ არ არსებობდა. X ს-ის მეორე ნახევრითგან კი საქართველოში მარტო პატრონყმობა-და იყო, მონობა, როგორც საზოგადო მოვლენა, უკვე აღარ არსებობდა".[86]

საქართველოში მონების არსებობის შესახებ ცნობა სტრაბონსაც აქვს მოცემული; სტრაბონის მიხედვით ისინი მხოლოდ „მეფეს" ჰყავდა; არსებობს აგრეთვე ცნობა მონების არსებობის შესახებ კოლხეთში. იქ ერთ დროს მონები ყიდვა-გაყიდვის საგნად იყვნენ გადაქცეულნი. „ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა მეექვსე საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვით, რომ დასავლეთ საქართველოს მთავარ საექსპორტო საგანს მონები შეადგენდენ".[87]

საკითხი მონების არსებობის შესახებ საქართველოში დიდად საინტერესო საკითხია. მათი არსებობის ფაქტი აქ უეჭველია, მაგრამ რამდენად მრავალრიცხოვანი იყვნენ ისინი და შეიძლება თუ არა ჩვენ ვილაპარაკოთ მონათმფლობელურ ფორმაციაზე საქართველოში, ამის შესახებ სათანადო ცნობები გამომჟღავნებული და შესწავლილი არ არის. არც უცდია დღემდის ვინმეს ამ მეტად საინტერესო საკითხის სპეციალური გამორკვევა. ამავე დროს ამ საკითხის დაწვრილებით გამოკვლევას შეეძლო სინათლის ახალი შუქი შეეტანა ქართველი ხალხის ისტორიის საკითხებში.

ჯავახიშვილი საკითხს მონობის შესახებ საქართველოში მხოლოდ გაკვრით ეხება. უფრო ვრცლად ჩერდება იგი „პატრონ-ყმობის" საკითხებზე. აქ მას გარკვეული შეხედულებები აქვს გამოთქმული, რომელთა განხილვაზე ჩვენ ახლა უნდა გადავიდეთ.

რა არის პატრონ-ყმობა?

ჯავახიშვილი ლაპარაკობს პატრონ-ყმობაზე, როგორც უმთავრეს საზოგადოებრივ დაწესებულებაზე, რომელზედაც ერთ დროს საქართველოს წესწყობილება დამყარებული იყო. „ეს დაწესებულება პატრონ-ყმობა გახლავთ, ის პატრონ-ყმობა, რომელიც შემდეგ ბატონ-ყმობად გადაიქცა. პატრონ-ყმობა მთელ სახელმწიფო და კერძო ცხოვრებას თავისე-

---

[85] ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 1, 1928 წ., გვ. 107.
[86] მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1, გვ. 198.
[87] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, განაკვეთი №3, გვ. 38-39.

ბურს მიმართულებასა და ელფერს აძლევდა. სიტყვა „პატრონი“ ქართული არ არის და რომაელების ენისა და სამართლის საკუთრებას შეადგენს“.[88]

ამრიგად, პატრონ-ყმობა თავიდან არ იყო ბატონ-ყმობა, იგი მხოლოდ შემდეგ გადაიქცა ბატონ-ყმობად. ჯავახიშვილი ადარებს პატრონ-ყმობას ფეოდალიზმს და მათ შორის მსგავსებას პოულობს. „ქართული პატრონ-ყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების წესწყობილებას, ე. ი. ფეოდალიზმს“.[89]

თუ ქართული პატრონ-ყმობა იგივეა, ან დაახლოვებით იგივეა, რაც დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმი, თუ მისგან შემდეგ განვითარდა ისეთი საზიზღარი ინსტიტუტი, როგორიც ბატონ-ყმობა იყო, თუ ყველაფერი ეს გამორკვეულია, ამის შემდეგ საჭირო იყო დაწვრილებითი განხილვა ამ ფეოდალური წესწყობილების წარმოშობისა და განვითარებისა.

სტრაბონის ცნობით, იბერიის მოსახლეობა შედგებოდა უმთავრესად მიწათმოქმედთაგან, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ და არავითარ ეკონომიურ ჩაგვრას არ განიცდიდენ. შემდეგ საუკუნეებშიაც იყვნენ საქართველოში თავისუფალი გლეხები. თვით ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი ცნობით „საქართველოში IX-XIII საუკუნეებში თავისუფალი გლეხები იყვნენ“.[90] მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ დროს უკვე ყმებიც არსებობდენ და მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა. თავისუფალი გლეხები კარგავდენ მიწას და ყმებად იქცეოდნენ.

ჯავახიშვილი იხსენიებს 1250-60 წლის ერთ სიგელს, სადაც უმიწაწყლო, „არამემამულე გლეხები არიან მოხსენებულნი, რომელთაც ალბათ თავიანთი მიწა არ ჰქონდათ, ან აღარა ჰყოფნიდათ და სხვის მიწებს საველახედ იღებდენ იჯარით. ეტყობა ფუძე ისე დაჭუცმაცებული იყო, რომ დასამუშავებლად აღარა ღირდა და იძულებული იყვნენ, სხვაგან წასულიყვნენ და იქ ეშოვათ ლუკმა პური. მაშასადამე, XIII ს. საქართველოში უკვე უმიწაწყლო გლეხები ყოფილან, რომელნიც მუშაობით ირჩენდენ თავსა. საბუთებიდან ჩანს, რომ ისინი მიწებს იღებდნენ ვენახის გასაწმენდად, ან კორდსა სტეხავდნენ, ე. ი. ახალ სახნავ მიწებს აკეთებდნენ“.[91]

როგორ მოხდა ასეთი დიდი ისტორიული ცვლილება? როგორ გადაიქცნენ საუკუნეების განმავლობაში თავისუფალი მიწათმოქმედნი ბატონების ყმებად?

ისტორიკოსი ვალდებულია გამოარკვიოს ფეოდალიზაციის ეს პროცესები, მოგვცეს ბატონ-ყმობის განვითარების ნამდვილი და არა ფალსიფიცირებული სურათი. ბატონები და ყმები — აი, ორი ძირითადი საზოგადოებრივი კლასი მაშინდელი საქართველოსი. ისტორიკოსმა ნათლად უნდა წარმოგვიდგინოს ჩვენ ამ ორ ძირითად კლასს შორის წარმოებული მწვავე კლასობრივი ბრძოლის ისტორია.

ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯავახიშვილი უარყოფს კლასების არსებობას ფეოდალურ საქართველოში. არა, იგი ამას ცნობს, მაგრამ წარმოდგენილი აქვს მათი ურთიერთობა მშვიდობიან ფორმაში, მწვავე კლასობრივი ბრძოლების გარეშე. მოვიყვანოთ ერთი დამახასიათებელი ადგილი ჯავახიშვილის ნაშრომიდან. იგი წერს: „საქართველოს მკვიდრნი მარტო თემობრივ და ტომობრივ კი არ ყოფილან დანაწილებულნი, არამედ სოციალურად რამდენსამე ერთეულად იყვნენ დაყოფილნი. იმგვარადვე, როგორც ეროვნული გრძნობა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხისა და ტომის შვილს ერთეულად ჰქმნიდა და აერთებდა, საზოგადოებრივი მდგომარეობა და წოდებრივი კუთვნილებაც საქართველოს მცხოვრებთ

[88] ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, გვ. 23-24.
[89] ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკვ. 1, გვ. 95.
[90] მისივე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგ. 1, გვ. 12.
[91] იქვე, გვ. 17.

ტომობრივ-თემობრივობის მიუხედავად რამდენსამე განსაკუთრებულ ერთეულად აყალიბებდა. წოდებრივი და საზოგადოებრივი ერთობის გრძნობა მეტადრე მაღალ წოდებათა და მმართველ ჯგუფების წრეებში იყო ძლიერი. საერთო მიზანი და ინტერესი მაღალი წოდებისა და საზოგადოებრივი ჯგუფის წევრებს ზოგჯერ უფრო მჭიდროდ აკავშირებდა, ვიდრე თვით ეროვნული გრძნობაც-კი და ჯგუფობრივი და წოდებრივი გამორჩენის წადილი ზოგჯერ ეროვნულ თვითშემეცნებასაც სჭარბობს ხოლმე".[92]

მაგრამ წოდებების არსებობის აღიარება მარტო საკმარისი როდია. საჭიროა მათი ურთიერთობის, მათი ბრძოლის ნამდვილი სურათის გამორკვევა.

ჯავახიშვილი ცნობს, რომ „იმ დროს მაინც-და-მაინც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმთავრეს და დამახასიათებელ მოვლენას სწორედ ეს „პატრონ-ყმობა" შეადგენდა".[93] ჯავახიშვილი ცდილობს მოგვცეს „პატრონების" და ყმების დახასიათება. მაგრამ ეს ცდა უფრო ტერმინოლოგიურ ვარჯიშობას წარმოადგენს, ვიდრე მასების ცხოვრების დასურათებისა და მათი ბრძოლის ისტორიას.

ავიღოთ, მაგალითად, შემდეგი განმარტება პატრონის და ყმის ცნებებისა ჯავახიშვილის მიერ. „პატრონი" მეფესაც ჰნიშნავდა, მზრუნველსაც და მფარველსაც, მესაკუთრესაც, — „ყმა" ქვეშევრდომსაც ეწოდებოდა და სხვის მფარველობის ქვეშე მყოფსაც, სხვის უფლების მორჩილსაც, რომელიც ამასთანავე „პატრონის" საკუთრებად ითვლებოდა".[94]

როგორც ეხედავთ, მჩაგვრელთა კლასი „პატრონებისა" დახასიათებულია ჯავახიშვილის მიერ როგორც მზრუნველები, მფარველები და მესაკუთრეები. ისმება საკითხი: ვისზე „ზრუნავდენ" ან ვისზე უნდა „ეზრუნათ" ამ მფარველ მესაკუთრეებს — პატრონებს? პასუხი ერთია: მათ უნდა „ეზრუნათ" ყმებზე, რომლებიც ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილია, როგორც „მფარველობის ქვეშე მყოფნი", „სხვისი უფლების მორჩილნი". ერთის სიტყვით, პატრონებსა და ყმებს შორის ადგილი აქვს არა კლასობრივ ურთიერთობას და ბრძოლას, არამედ მამაშვილურ დამოკიდებულებას.

ჯავახიშვილის აზრით, ქართული „პატრონ-ყმობის" ნამდვილი ბუნების გამორკვევისათვის საჭიროა „შეწყალებისა" და „შეწყალებულის" მნიშვნელობის გათვალისწინება. „შეწყალებული" ყმობის გავრცელებული ფორმა იყო. საინტერესოა, როგორ განმარტავს ყმების ამ კატეგორიას პროფ. ჯავახიშვილი. იგი ამბობს: „პატრონ-ყმური დამოკიდებულების ჩამოგდებას, როდესაც ყმობა ნასყიდობისა და შეუძლებლობითი მოვალეობისაგან არ წარმომდინარეობდა, არამედ ნებაყოფლობითი იყო და შეწყალებულ ყმობას-კი ყოველთვის ყმობის მსურველის შესაფერისი აჯა და მოხსენება წინ უძღოდა. პატრონის თანხმობის შემდგომ შეწყალებული ყმა დაილოცებოდა ხოლმე, „წყალობა-ხელდასხმული" უნდა ყოფილიყო. ყმის მოვალეობას პატრონის ყმებრივი სამსახური და ერთგულება შეადგენდა, განსაკუთრებით ლაშქრობაში".[95]

აქ ბატონ-ყმობის იდეოლოგიაა მოცემული მთელი თავისი აპოლოგეტური საზიზღრობით.

მართლაც, წარმოიდგინეთ, მკითხველო, ასეთი სურათი: ყმობა „შეწყალების" ფორმაში ნებაყოფლობითი იყო; თურმე არსებობდენ ისეთი ადამიანები საქართველოში, რომლებიც თავისი საკუთრი ნებით უარს ამბობდენ თავისუფლებაზე და ყმობის მძიმე უღელს კისერზე

---

[92] ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკვ. I, გვ. 26.
[93] იქვე, გვ. 95.
[94] იქვე, გვ. 69; იხ. აგრეთვე გვ. 94-95.
[95] იქვე, გვ. 95.

თვითონ იდგამდენ. მემამულეც შეიბრალებდა ასეთ ყმობისაკენ მლტოლველ გლეხებს, ყმობის უსაზღვროდ მსურველებს, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მათ ბატონისათვის სათანადო მოხსენება წარედგინათ. ყმა ერთგული უნდა ყოფილიყო თავისი ბატონისა, ხოლო ისინი ორივენი ჭირში თუ ლხინში „ერთი მეორეს უნდა მიჰშველებოდენ".

არცერთი სიტყვა ექსპლოატაციაზე, არცერთი სიტყვა კლასობრივ ჩაგვრაზე! ასეთია იდილიური „პატრონ-ყმობა" ჯავახიშვილისა.

მაგრამ საკითხავია, საიდან ან როგორ გახდა მემამულეთა მეურნეობა მსხვილი? რატომ სწორედ მათ ხედათ წილად „ზრუნვა" სხვებზე? ამ კითხვაზე ჩვენ პასუხს ვერ ვიპოვით ჯავახიშვილის ნაშრომებში.

ჯავახიშვილის თეორიას ქართული ფეოდალიზმის საკითხშიაც თავისი მიმდევრები ჰყავდა. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენ მიერ უკვე მოხსენებული ქ. რაჭველიშვილი. მას მემამულე წარმოდგენელი ჰყავს როგორც მფარველი, უფალი, მოსახლეობის დაცვის ორგანიზატორი. რაჭველიშვილი წერს: მამასახლისია „ბატონ-პატრონი თავის ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობისა. იგი იცავს მას გარეშე მტრებისაგან და ორგანიზატორის როლს თამაშობს. ბატონი პატრონად იწოდება, უფლად, რომელიც თავის მცხოვრებთ მფარველობს. მტრის შემოსევისა თუ შიშიანობის დროს მოსახლეობა ამ პატრონის ციხე-კოშკში იხიზნება და თავს იფარავს. სამაგიეროდ, იგი ყმაა ციხე-კოშკის მბრძანებლისა. იგი ინახავს მის ოჯახს, მის გვარს".[96]

ამრიგად, რაჭველიშვილის აზრითაც ყმობა ნებაყოფლობითი გზით აღმოცენდება. აქ არავითარ ძალადობას არ ჰქონია ადგილი ბატონების მხრივ. ისინი მხოლოდ დამცველები და მზრუნველები იყვნენ მფარველობის მსურველთა. არავითარი კლასობრივი წინააღმდეგობა და გაყვლეფა. აქაც ბატონ-ყმობის სისტემაა გამართლებული, მისი იდილიაა მოცემული.

ჯავახიშვილის თეორია ქართულ ფეოდალიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხში არამეცნიერული და აშკარად აპოლოგეტურია. ის გარკვევით დგას ბატონ-ყმობის სისტემის გამართლების ნიადაგზე — ცდილობს წარმოგვიდგინოს იგი იდილიურ ფორმაში, კლასობრივ წინააღმდეგობათა გარეშე, როგორც ჰარმონიული სისტემა. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ გლეხთა მოძრაობას ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორაში" ადგილი არ აქვს. ან რად უნდა ებრძოლათ გლეხებს თავისი მზრუნველობისა და მფარველების — პატრონების წინააღმდეგ? ჯავახიშვილის თეორიის მიხედვით ეს სულ გაუმართლებელი იქნებოდა და მისი ახსნა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა.

ჩვენთვის აღარ არსებობს დღეს საკითხი ჯავახიშვილის თეორიის გარშემო დისკუსიისა. ეს საკითხი თვით პრაქტიკამ გადაწყვიტა ჯავახიშვილის წინააღმდეგ, მაგრამ მისი აპოლოგეტური იდეები მაინც დარჩა და მათ ზოგიერთი მომხრეებიც აღმოაჩნდა. ამიტომ ზედმეტი არ იყო და არ არის ამ აპოლოგეტური თეორიის წინააღმდეგ ყურადღების გამახვილება.

[96] ქრ. რაჭველიშვილი, საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, გვ. 38.

10. ჯავახიშვილი და ნაციონალური საკითხის თეორია და პრაქტიკა

ინტერესს მოკლებული არ არის პროფ. ჯავახიშვილის შეხედულებათა გამორკვევა ნაციონალური საკითხის თეორიასა და პრაქტიკაზე. ეს ამოცანაც ერთნაირ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან ჯავახიშვილს სპეციალური ნაშრომები არ აქვს ნაციონალურ საკითხზე. მაგრამ მას არაერთხელ გამოუთქვამს ამ საკითხზე თავისი აზრები, რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა ნაშრომში.

როგორია ჯავახიშვილის თეორიული წარმოდგენები ნაციონალურ საკითხზე? პირველ რიგში საჭიროა გამოვიკვლიოთ მის მიერ მოცემული განსაზღვრებები ერისა და ეროვნების ცნებებისა.

ჯავახიშვილის აზრით, ქართველი ერი არსებობდა ქრისტეს დაბადების წინათაც. „რამდენადაც ასურულ წყაროებიდან სჩანს, ქართველები 1100 წლამდე ქრ. წ. ვიდრე მათ ასურეთის ბატონი ტიგლიტ-პილესარ I დაამარცხებდა, უძლეველ ერად ითვლებოდენ. თვით ასურეთის მეფე ამბობს, მუსკები ჯერ არცერთ მეფეს არას დროს არ დაემარცხებინაო. მაშასადამე, წინათ ქართველები არამც თუ დამოუკიდებელნი უნდა ყოფილიყვნენ, ძლევამოსილ ერის სახელიც ჰქონიათ მოხვეჭილი“.[97]

მეორე ადგილას ჯავახიშვილი კვლავ აღნიშნავს, რომ წინათ ქართველები „ძლიერ და მდიდარ ერად ითვლებოდენ, აღებ-მიცემობისათვის შორეულ ქვეყნებში მიდიოდენ და ყველგან სახელი გავარდნილი ჰქონდათ“.[98]

ქართველები ამიერ-კავკასიას შემოეხიზნენ, მაგრამ, ჯავახიშვილის აზრით, მათ ძველი სამშობლოს ხსოვნა მაინც შერჩათ. „სამშობლოს ხსოვნა ქართველების მესამე შტოს წარმომადგენელს სვანებსაც აქვთ შერჩენილი. სვანეთში ეხლა მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც „კალდე“ ანუ ხალდე ჰქვიან. ერთის სიტყვით ხალდე, ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს კარდუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის“.[99]

მაშასადამე, ქართველები, ჯავახიშვილის აზრით, დიდი ხნის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდის ძლიერ და მდიდარ ერს წარმოადგენდენ და მათ ჰქონდათ თავისი სამშობლო ქალდეაში.

ამიერ-კავკასიაში გადმოსვლას არ მოჰყოლია ქართველებისათვის თავისი ეროვნების დაკარგვა. მართალია, ისინი, ჯავახიშვილის აზრით, IV საუკუნეში ქრ. წინ ცალკე ტომებად იყვნენ დანაწილებული, მაგრამ მაინც წარმოადგენდენ ეროვნებას. „ქართველი ერი ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდა ისტორიულად, ვითარცა განვითარებული და წარმატებული მოქალაქეობის მქონებელი ეროვნება“.[100]

თუ ასეთი მდგომარეობა იყო ქრისტეს დაბადების წინ, რაღა უნდა ყოფილიყო მას შემდეგ, კერძოდ, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს? ჯავახიშვილის მიხედვით, აქ ხომ უფრო მეტი საბუთით შესაძლებელია თქმა იმისა, რომ არსებობდა ერი და ეროვნება.

---

[97] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 1, 1913 წ., გვ. 163.
[98] იქვე, გვ. 25.
[99] იქვე, გვ. 35.
[100] ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1, გვ. 152. იხ. აგრეთვე მისივე, საქართველოს საზღვრები, გვ. 3.

და ამას ჯავახიშვილი პირდაპირ ამბობს:

„ამ ხანაშივე მომწიფდა და ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული თვითშემეცნებაც და ბევრი იმ აზრთაგანი, რომელიც შემდეგ საუკუნეებში, ჩვენ დრომდისაც-კი ჩვეულებრივ მიღებული და გაბატონებული იყო და არის, სწორედ იმ დროს იყო შემუშავებული და გამოთქმული. ქართველ ეროვნულ თვითშემეცნების განმტკიცების და გამორკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში მდებარე ქართველთა მონასტრებს, სინას მთისას და პალესტინისას, შავის მთისას და განსაკუთრებით ათონის ივერთა დიდებულს ლავრას, მის დამაარსებლებს იოანეს და ექვთიმეს, და გიორგი მთაწმინდელს“.[101]

როგორ წარმოიშვა და განვითარდა ქართველი ერი და ქართველთა ეროვნული თვითშემეცნება, ამის შესახებ ჩვენ ვერ ვიპოვით მეცნიერულ პასუხს ჯავახიშვილის ნაშრომებში. აქ მოყვანილი ციტატიდან კი ნათელია, რომ ჯავახიშვილი უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს ქართული ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცების საქმეში ქართველთა მონასტრებს.

უპირველესად ყოვლისა ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ საკითხი იმის შესახებ, მართლაც არსებობდა თუ არა ქართველი ერი ძველ დროში?

ცნობილია, რომ ქართველი ბატონები თითქმის განუწყვეტლივ ებრძოდენ თავიანთ მეფეს იმ მიზნით, რომ იგი დაესუსტებიათ და თვით კი მეტი ძალაუფლება და უპირატესობა მოეპოვებიათ. ქართველი მსხვილი ფეოდალები ცდილობდენ სრული ბატონ-პატრონნი ყოფილიყვნენ თავიანთი ფეოდისა და განცალკევებულად ეცხოვრათ.

ბუნებრივია, რომ თუ ჩვენ ერისა და ეროვნების არსებობასთან გვაქვს საქმე, ასეთ დაჭაჭანებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. სინამდვილეში კი რას ვხედავთ?

ფეოდალები ხშირად ეყრდნობოდნენ უცხო ძალებს ერთმანეთისა და მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას, რა თქმა უნდა, არც მეფე თაკილობდა. მეფე იძულებული იყო შეექმნა მუდმივი ჯარი არაქართველთაგან და მათ დაყრდნობოდა ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაშასადამე, ქართველი ერისა და ეროვნების საქმე უნდა გაკეთებულიყო უცხო ძალების შემწეობით. თვით ჯავახიშვილი წერს:

„დავით აღმაშენებელი ხედავდა, რომ ურჩი აზნაური-მოხელეები ხშირად შეერთებულის ძალით ებრძოდნენ საქართველოს ბატონს და მეფის ლაშქრის წინააღმდეგ თავიანთ შეერთებულს ჯარს წარმოაყენებდნენ ხოლმე და ამ გვარს გარემოებაში მეფეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო გაემარჯვნა, თუ რომ ძლიერს საკუთარს და მუდმივს მხედრობას გაიჩენდა. რაკი დიდებულმა მეფემ ეს შეიგნო, ის ამ აზრის განხორციელებას შეუდგა. სხვათა შორის ამისთვის შემოიღო დავით აღმაშენებელმა საქართველოში 40000 ყივჩაყთა მუდმივი მხედრობა. როდის და როგორ გაჩდმოყვანა მეფემ ყივჩაყთა ლაშქარი საქართველოში, ამაზე ზემოთ იყო უკვე საუბარი (გვ. 514-516) და აქ საჭიროდ მიმაჩნია მხოლოდ განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ მუდმივი ჯარის შემოღება დავით აღმაშენებლისათვის მარტო გარეშე მტერთან საომრად იყო საჭირო, არამედ შინაურ მტრისათვის, ურჩ და თვითნება აზნაურებთან საბრძოლველად და ასალაგმავადაც“.[102]

ყივჩაღებისაგან შექმნილი მუდმივი ჯარის შექმნა არ არის იმის მომასწავებელი, რომ ფეოდალები ქართველი ერის საქმეზე დარდობდენ, რომ ისინი ეროვნული გრძნობის მატარებელი იყვნენ. თვით მეფე მსხვილი ფეოდალი იყო. სხვა ფეოდალებთან ბრძოლასა და

---

[101] ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1914 წ., გვ. 472.

[102] იქვე. გვ. 534.

ჭიშპობის დროს მუდმივ ჯარს შეეძლო უდიდესი როლი ეთამაშა. „თავის თავის გასაძლიერებლად მეფემ ყივჩაღთაგან გადმოსახლებული 50000 მეომრისაგან შემდგარი ჯარი შექმნა, კარგად გაწვრთნა და მუდმივ დამზადებული ჰყავდა საბრძოლველად“.[103]

თუ რამდენად იყო ქართველი ფეოდალები ეროვნული შეგნების მატარებელი, ამას თვით ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი სხვა ფაქტებიც ამტკიცებს. მოვუსმინოთ მას:

„უბედურება ის იყო, რომ ამ ბრძოლის დროს დიდებული აზნაურები არავითარ საშუალებას არ ზოგავდენ, უცხო სახელმწიფოს, საქართველოს მეტოქე სამეფოს დახმარებასაც კი არ თაკილობდენ, ოღონდ თავიანთი საქმე გაეკეთებინათ. რომ ასეთი საქციელი სამშობლოს და საქართველოს ღალატი იყო, ამაზე ბევრი მათგანი, როგორც ეტყობა, თავს არ იწუხებდა. მეტად დამახასიათებელია, რომ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეც კი, როგორიც იყო ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი, ბერძენთა კეისრის მეშველ ჯარით ებრძოდა ბაგრატ მეფეს და სამშობლო ქვეყანას აოხრებინებდა“.[104]

როგორ შეიძლება ასეთ პირობებში ჩვენ ვილაპარაკოთ ეროვნების არსებობის შესახებ? როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ ერთ ქართველ ერზე მაშინ, როდესაც ფეოდალები თვით იყვნენ ბატონ-პატრონნი თავიანი კუთხის და იბრძოდნენ სხვა ფეოდალებისა და მეფის წინააღმდეგ? სად არის აქ ეროვნული გრძნობა?

ჯავახიშვილი გრძნობს, რომ ასეთი საკითხი შეიძლება მას ვინმემ დაუსვას. ამიტომ ის იძულებულია გააკეთოს „დათმობები“ და აღნიშნოს, რომ ფეოდალებს სამშობლოც უყვარდათ, მაგრამ ამავე დროს თავის თავსაც არ ივიწყებდენ. აი რას წერს ჯავახიშვილი:

„თუმცა მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიანი აზნაურები თავის სამშობლოსათვის ზრუნავდნენ, მაგრამ მაინც მათთვის პირადად და წოდებრივის თვალსაზრისითაც სრულიად საქართველოს მეფის უფლების გაძლიერება ხელსაყრელი არ იყო და ამ ნიადაგზე აღმოცენებული იყო გამწვავებული ბრძოლა მეფეთა და დიდებულ აზნაურთა შორის. სულ სხვანაირად დატრიალდებოდა საქართველოს ბედიღბალი, დიდებულ აზნაურებს რომ ძლიერი საზოგადოებრივ-ეროვნული თვითშემეცნება და შეგნება ჰქონოდათ და პირადი თავმოყვარეობა და წოდებრივი სარგებლობა საქართველოს საზოგადო კეთილდღეობისათვის შეეწირათ. ვინ მოსთვლის რამდენი ძალა იკარგებოდა მაშინ ტყუილ-უბრალოდ და უნაყოფოდ ამ ძმათა შორის ბრძოლაში“.[105]

ერთი მთლიანი სახელმწიფოს შექმნამაც XII და XIII სს-ში ვერ მოსპო პროვინციალური განცალკევებისაკენ მისწრაფება ქართველი ფეოდალებისა. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროებითი გამარჯვება მათზე სრულიად არ მოასწავებდა იმას, რომ მათ დაყარეს თავის იარაღი და მეფეს დანებდენ. არა, დავითის და თამარის დროსაც ადგილი ჰქონდა მკაცრ ბრძოლებს ფეოდალებისა და მეფის შორის. ამას აღნიშნავდა თვით ჯავახიშვილიც.

„წარმოიდგინეთ, მე-12 საუკუნის უმაღლესმა სახელმწიფო ძლიერებამ და პოლიტიკურმა ერთობამაც-კი ვერ გააკარწყლა სამუდამოდ სათემო განცალკევებისადმი მიდრეკილება, დრო გამოშვებით ამგვარი კერძოობის გრძნობა და პროვინციალურ განცალკევების წადილი თავს ამოჰყოფდა და თავის გესლიან ნაყოფს გამოიტანდა ხოლმე. ქართველმა ერმა

---

[103] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1914 წ., გვ. 134.
[104] იქვე, გვ. 471.
[105] იქვე.

თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრების განმავლობაში დიდი ძალღონე შეალია ამ განცალკევების წინააღმდეგ ბრძოლის დროს".[106]

მუდმივი ბრძოლა და ჭიშპობა ქართველ ფეოდალებს შორის, მათი ბრძოლა მეფის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ყივჩაღთაგან მუდმივი ჯარის შექმნა ქართველ ფეოდალებთან საბრძოლველად, ამ უკანასკნელთა გახშირებული ღალატი და უცხოელთა ძალებზე დაყრდნობა, შეუნელებელი მისწრაფება პროვინციალური განკერძოებისადმი, – ყველაფერი ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ქართველები, არა თუ მრავალი საუკუნის წინ ქრისტეს დაბადებამდის, არამედ დვით აღმაშენებლისა და თამარის დროსაც კი არ წარმოადგენდა არსებითად ერთ ერს. ეს საკმაოდ მეღავნდება თვით იმ ფაქტებიდანაც, რომლებიც ჯავახიშვილს მოჰყავს, მაგრამ რომელთაგან იგი არ აკეთებს მეცნიერულ დასკვნებს.

ჯავახიშვილის აზრით, ერი მუდმივი კატეგორია არის. ერი და ეროვნება ისტორიულად არ არის აღმოცენებული, ისინი მუდამ არსებობდენ და იარსებებენ. კერძოდ, ერი შეიძლება არსებობდეს ფეოდალიზმის დროსაც.

ეს არის ბურჟუაზიულ-იდეალისტური თვალსაზრისი, რომელსაც ჩვენ უნდა დავუპირდაპიროთ ლენინურ-სტალინური თვალსაზრისი.

სტალინმა თავის გამოკვლევაში ნაციონალური საკითხის შესახებ მოგვცა კლასიკური განსაზღვრა ერის ცნებისა. სტალინის აზრით, „ერი — ესაა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა ენისა, ტერიტორიისა, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიური წყობისა, რომელიც კულტურის ერთობაში იხატება. ამასთან, თავისთავად გასაგებია, რომ ერი, ისე როგორც ყოველი ისტორიული მოვლენა, ცვალებადობის კანონს ექვემდებარება, მას აქვს თავისი ისტორია, დასაწყისი და დასასრული".[107]

არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ ერისა და ტომის ცნება, როგორც მას ბაუერი და ჯავახიშვილი ჩადის. თუ ტომი ეთნოგრაფიული კატეგორიაა, ერი ისტორიულ კატეგორიას წარმოადგენს. მაგრამ ერი არის „ისტორიული კატეგორია განსაზღვრული ეპოქისა, – ალმავალი კაპიტალიზმის ეპოქისა. ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ამავე დროს ადამიანთა ერებად ჩამოყალიბების პროცესია. ასე ხდება, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში. ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, იტალიელები და სხვ. ერებად ჩამოყალიბდენ მაშინ, როდესაც კაპიტალიზმი ფეოდალურ დაქუცმაცებაზე იმარჯვებდა და ძლევამოსილად წინ მიდიოდა".[108]

ქართველები ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობდენ მრავალი საუკუნის განმავლობაში და ერთ ენაზე ლაპარაკობდენ. მაგრამ მარტო ეს ორი ნიშანი როდია საკმარისი იმისათვის, რომ ერი არსებობდეს. საჭიროა სხვა ნიშანიც, კერძოდ, კი ეკონომიური ცხოვრების ერთობა.

რა მდგომარეობა გვქონდა ჩვენ საქართველოში? შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ ქართველი ერის არსებობაზე წინა პერიოდებში?

ამბ. სტალინი თვითონ ეხება ამ საკითხს თავის გენიალურ ნაშრომში ნაციონალური საკითხის შესახებ და იძლევა მის მარქსისტულ-ლენინურ გადაწყვეტას. სტალინი ამბობს: „ავიღოთ თუნდაც ქართველები. რეფორმების წინა ხანაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდენ; მიუხედავად ამისა, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდენ, ვინაიდან, ნაწილდებოდენ რა ერთმანეთისაგან მოწყვეტილ მთელ

[106] ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, გვ. 11.
[107] სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი, ტფილისი, 1934 წ., გვ. 10.
[108] იქვე, გვ. 15.

რიგ სამთავროებად, მათ არ შეეძლოთ საერთო ეკონომიური ცხოვრებით ეცხოვრათ, საუკუნეების განმავლობაში ომობდენ ურთიერთ შორის და ანადგურებდენ ერთმანეთს, უსისიანებდენ ერთიმეორეს სპარსელებსა და თურქებს. სამთავროების ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესათუის იღბლიანი მეფე ახერხებდა, და ეს გაერთიანება ჩქარა ინგრეოდა თავადების ჟინიანობით და გლეხების გულგრილობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ეკონომიური დაქუცმაცების პირობებში. საქართველო როგორც ერი გაჩნდა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბატონყმობის დაცემამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დააწესა შრომის დანაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროების სამეურნეო კარჩაკეტილობა და შეაკავშირა ისინი ერთ მთელად".[109]

ქართველი ერი, მაშასადამე, მე-19 საუკუნეში გაჩნდა მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე მოისპო ეკონომიური კარჩაკეტილობა; მას შემდეგ, რაც განვითარდა გზები და შრომის დანაწილება. უწინ საქართველო არ იყო ერთიანი. თუ საქართველოს გაერთიანებას ადგილი ჰქონდა, ეს იყო მხოლოდ ეფემერული და შემთხვევითი ხასიათის გაერთიანება და ამიტომ იგი ხელახლა ინგრეოდა.

ასეთია სტალინის შეხედულება აღნიშნულ საკითხზე.

მაგრამ ჯავახიშვილი, დგას რა თავის ბურჟუაზიულ-იდეალისტურ თვალსაზრისზე, უარყოფს სტალინის შეხედულებას. მისი აზრით, ერი არ არის ისტორიული კატეგორია, იგი მუდამ არსებობდა და იარსებებს. ჯავახიშვილს არ შეუძლია ისტორიული მასალებით დაასაბუთოს თავისი დებულება. პირიქით, ფაქტები, რომელთაგან ნაწილი თვით მას მოჰყავს თავის ნაშრომებში, მის წინააღმდეგ ლაპარაკობს.

ჯავახიშვილის განმარტებით, ქართველ ერს, რომელიც რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში არსებობდა და რომლის წარმოშობა მას არ შეუძლია მეცნიერულად ახსნას, ახასიათებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი სპეციფიკური თავისებურება. ეს სპეციფიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ „საქართველოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა".[110]

ასეთი მდგომარეობა, ჯავახიშვილის აზრით, შედეგი იყო იმისა, რომ ქართველი მეფეები და ფეოდალები მუდმივად ზრუნავდენ სხვა ეროვნების და სარწმუნოების ხალხზე. თავის მიზანს ისინი აღწევდენ და ამიტომ საქართველოში მუდამ ეროვნულ მშვიდობიანობას ჰქონდა ადგილი. ჯავახიშვილი წერს: „რომ საქართველოში მშვიდობიანობა და კეთილი განწყობილება სუფევდა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების შვილთა შორის და სარწმუნოებრივ სიძულვილს სახელმწიფო ცხოვრებაში არამც თუ არავითარი ძალა არ ჰქონდა, არამედ, პირიქით, სარწმუნოების სხვა და სხვაობისადა მიუხედავად საერთო საკულტურო მუშაობა სუფევდა, ამას საუცხოოდ, სხვათა შორის, ის საგანგებო სასამართლოც ამტკიცებს, რომელიც, ივანე ათაბაგის ბრძანებით, მოწვეული იყო სომეხთა მონასტრებს შორის ჩამოვარდნილ დავის გასარჩევად".[111]

ხატავს რა საუკეთესო ფერებში მშვიდობიანობას საქართველოში და აღფრთოვანებულია რა თავისი ფანტაზიის შემოქმედებით, ჯავახიშვილი წერს: „აი, ეს არის საქართვე-

[109] სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი, ტფილისი, 1934 წ., გვ. 9.
[110] ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919 წ., გვ. 28.
[111] მისივე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 654.

ლოს უალრეს კულტუროსნობის დამამტკიცებელი საბუთი, საერთაშორისო თანამშრომლობის იმ დროისათვის გასაოცარი და მომხიბლავი მაგალითი... ქართველების მაშინდელ მთელს სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევამოსილების გარდა მათ თავიანთ სახელმწიფოში სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შეჰქმნეს, რომ ისინიც, როგორც მაგ. სომხები, ოსები, თვით მაჰმადიანებიც ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვისა და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღვწოდნენ".[112]

როგორც ვხედავთ, ჯავახიშვილის აზრით, საქართველო მუდამ ინტერნაციონალური სოლიდარობის ქვეყანა ყოფილა. ქართველი, სომეხი, ოსი და სხვ. ყველა შეერთებული ძალით მუშაობდა საერთო მიზნისათვის.

თუ ასეთი ინტერნაციონალისტები იყვნენ ქართველი მეფეები და ფეოდალები, თქმა არ უნდა, მათდამი სიყვარულის გრძნობით იქნებოდნენ აღვსილნი მეზობლები, კერძოდ კი სომხები. ეს სიყვარულის გრძნობა ქართველებისადმი, ჯავახიშვილის აზრით, არსებობდა მაშინაც კი, როდესაც ისინი თავის მეზობლებს იპყრობდენ. თურმე ნუ იტყვით, სომხობა „სიხარულით ეგებებოდა საქართველოს სამხრეთისაკენ წინსვლას. ქართველთა ბატონობას მათთვის ფიზიკური განადგურებისაგან და მაჰმადიან მმართველთა აუტანელი და თავმოყვარეობის შემლახველი ძალმომრეობისაგან ხსნა მოჰქონდა".[113]

კიდევ მეტი: სხვა სახელმწიფოებში დევნილნი საქართველოში პოულობდენ თავშესაფარს. კერძოდ, „დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებოდენ, ჩვენში ეძებდენ და პოულობდენ კიდეც თავიანთვის თავშესაფარს".[114]

მიუხედავად ამისა, ჯავახიშვილის აზრით, სომხები მაინც უმადურნი იყვნენ და „მადლობის მაგიერ კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება ჰსურდათ".[115]

მაგრამ ასეთი უმადურობა, ჯავახიშვილის „თეორიის" მიხედვით, სომხებისათვის დამახასიათებელია და ქართველი ფეოდალები კი მაინც არ ღალატობდენ თავის კულტუროსნობას და ეროვნული მშვიდობიანობის იდეას.

საჭიროა ქართველი მეფეებისა და ფეოდალების ამ „თავისებურებაზე" სპეციალურად შევჩერდეთ და გამოვარკვიოთ, ჰქონდა თუ არა მათ მხრივ ადგილი სხვა არაქართველი ხალხების ჩაგვრას. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ ვისარგებლებთ იმ ფაქტებით, რომლებიც თვით ჯავახიშვილს მოჰყავს.

დავით აღმაშენებლის დროს ქართველი ფეოდალები თავს ესხმოდენ სხვა ხალხებს. „დავით აღმაშენებელმა შეცვალა თვით ომიანობის წესიც და მოსაგერებელ ომის მაგიერ თვითონ დაიწყო მტერზე იერიშის მიტანა.

ყივჩაღების ლაშქრის მოწვევამ და მათმა დასახლებამ საქართველოში, საგანგებოდ გაწვრთნამ და მოწყობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს: სახელმწიფო მეტად გაამაგრა და გააძლიერა. როგორც ერთ არაბ ისტორიკოსის სიტყვებითგანა სჩანს, დავით

[112] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 655.
[113] მისივე, საქართველოს საზღვრები, გვ. 23.
[114] იქვე, გვ. 28.
[115] იქვე, გვ. 31.

აღმაშენებლის გაწვრთნილი ყიჩაღთა ლაშქრის ნავარდობა მეზობლებს შიშის ზარსა სცემდა თურმე".[116]

სხვა ხალხების დაპყრობას რაიმე შედეგები უნდა მოჰყოლოდა ქართველი ფეოდალებისათვის. ეს ასედაც იყო. ისინი დიდი ალაფით ბრუნდებოდენ ომის შემდეგ უკან. „ალაფის აღება, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დაეწყოთ საქართველოში, როცა დავით აღმაშენებლის შესანიშნავ სამხედრო წესწყობილების შემოღების წყალობით ჩვენმა ხალხმა ზურგი გაიმაგრა, თავისი ქვეყნები დაიბრუნა და მერმე მეზობელ სამეფოების დაპყრობას შეუდგა. რაც უფრო მდიდარი და ძლიერი იყო დამარცხებული მოპირდაპირე, მით უფრო მეტი ნატყვენაკი ქონება ჩაუვარდებოდა ხოლმე ხელში ჯარსა. ერთი დიდი ომი ისე არ გათავდებოდა, რომ აუარებელი ალაფი არა რგებოდათ ქართველებს".[117]

მაგრამ ქართველი მეფე და ფეოდალები მარტო ალაფით როდი კმაყოფილდებოდენ. ისინი ამავე დროს ხარკს ადებდენ დაპყრობილ ხალხებს, ხდიდენ მათ თავიანთ მოხარკედ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით დაპყრობილ ხალხების ხარკის საერთო ჯამი XII საუკუნეში 75.228.000 დირჰემი მაინც უნდა ყოფილიყო. იგი წერს: „ის ქვეყნები, რომელნიც მე-12 საუკუნეში საქართველოს მოხარკეთ გახდნენ, მე-9 საუკუნეში ყოველ წლივ 75.228.000 დირჰემს იხდიდნენ და გზავნიდნენ ბაღდადში. უეჭველია, მე-12 საუკუნეში ქართველები გაცილებით უფრო მეტს გამოართმევდნენ ხარაჯად. მაშასადამე, ჩვენ თამამად შეგვიძლიან საქართველოს მარტო ხარაჯის ჯამი 75.228.000 დირჰემი ჩავთვალოთ. ცხადია, ერთი ორად მეტი იქნებოდა და არა ნაკლები, მაგრამ თუნდაც რომ მარტო ეს ფული ჩავთვალოთ, მაინც დიდძალი შემოსავალი დგება".[118]

ჯავახიშვილის აზრით, „მუდმივმა გამარჯვებამ და დიდძალმა დავლამ, რომელიც რჩებოდა ხოლმე ქართველ ლაშქარს, იმდენად წაახალისა, გაიტაცა და გაათამამა ქართველი მეომრები, რომ სულ ომიანობის ნატვრაში იყვნენ ხოლმე".[119] ქართველი ფეოდალების ომები, მათი თავდასხმები მეზობელ ხალხებზე თურმე სულ უბრალოდ აიხსნება. მეომრები, ჯავახიშვილის აზრით, იმდენად შეეჩვივნენ ომს, რომ მუდამ თავდასხმაზე ოცნებობდენ. ომიანობის გარეშე სრული მოწყენილობა იყო. და აი, „მარტო იმის გულისათვის, რომ ჯარი უსაქმოდ არ ყოფილიყო და არ მოეწყინა, დიდსა და მეტად გაბედულ ომს იწყებდნენ – მთელ სამეფოსა სძრავდნენ, მეზობლებს უმიზეზოდ იკიდებდნენ... საქართველოს გარეშე პოლიტიკა სამხედრო დასის, ჯარის ხელში იყო ჩავარდნილი".[120]

მაშ ასე, მოწყენილობა და უსაქმობა, როგორც ომიანობისა და თავდასხმების მიზეზი. მაგრამ გავანებოთ თავი ასეთ „მეცნიერულ" მსჯელობას პროფ. ჯავახიშვილისას; დავივიწყოთ დროებით მისი ის დებულება, რომ ქართველი ფეოდალები მშვიდობიანობის მოყვარული იყვნენ, რომ ისინი სხვა ხალხებს არ სჩაგრავდენ; დავივიწყოთ ისიც, რომ ეს მშვიდობიანობის მოყვარული ხალხი მოწყენილობის გამო ომს იწყებდა.

ხომ ფაქტია მაინც, რომ ქართველი ფეოდალები და მეფეები ანექსიონისტების, სხვა ხალხების დამპყრობლებისა და დამჩაგვრელების როლში გამოდიოდენ? ხომ ფაქტია, რომ ქართველი ფეოდალები აუარებელი ალაფითა და დაელით ბრუნდებოდენ უკან ომის შემდეგ და რომ ისინი დიდ ხარკს ადებდენ დაპყრობილ ხალხებს?

---

[116] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 516.
[117] ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომ. ისტორია, გვ. 49.
[118] იქვე, გვ. 52.
[119] იქვე, გვ. 70.
[120] იქვე, გვ. 72.

აი, კიდევ ორიოდე ფაქტი ამისათვის: „არაბი ისტორიკოსიც მოგვითხრობს, რომ ქართველები მაჰმადიანთა ქვეყანას არბევდნენ, განსაკუთრებით მას შემდგომ, რაც სულტანი მუჰამმედი გარდაიცვალაო. 1120-21 წ. ისინი ყივჩაღებითურთ თავს დაესხნენ მაჰმადიანებს“.[121]

ანდა: „1123 წ. ქართველებმა წინანდელზე ერთი-ორად უფრო მეტი ზარი მიაყენეს მუსულმანთა ქვეყანას. ეს ძნელი ასატანი იყო ხალხისათვის, განსაკუთრებით დარუბანდელთათვის შირვანშიო, მოგვითხრობს არაბი ისტორიკოსი“.[122]

მაგრამ მარტო დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს როდი იყო ასეთი მდგომარეობა. ერეკლე მეფის დროსაც იყვნენ საქართველოს მოხარკე ქვეყნები.

"Благодаря осторожной и мудрой политике, Ираклию удалось не только прекратить уплату Персии ежегодной дани, но даже подчинить себе и обложить данью в свою пользу ханов гянджинского и эриванского".[123]

ასეთია საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ასეთია ფაქტები ქართველი ფეოდალების მიერ სხვა ხალხების ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრისა.

ქართველი ხალხი არა ერთხელ ყოფილა დამონებული სხვა ქვეყნების ფეოდალების მიერ, არა ერთხელ ყოფილა იგი მოხარკედ სხვა ქვეყნებისა. არა ერთხელ დაურბევიათ და აუწიოკებიათ კოლონიზატორებს საქართველო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი ფეოდალები მეტად სათნო და კეთილი ხალხი იყო და მშვიდობიანობისათვის იღვწოდენ. არა, თვით ისინიც მრავალჯერ გამოსულან სხვა ხალხების დამპყრობლებისა და დამჩაგვრელების როლში.

საქართველოს ისტორიამ, თუ იგი ნამდვილი მეცნიერული ისტორიაა, უნდა შეისწავლოს ქართველი ხალხის კოლონიალური მდგომარეობა და მისი ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა ყველა კოლონიზატორის წინააღმდეგ. მაგრამ მან გულდასმით უნდა შეისწავლოს აგრეთვე ის პერიოდებიც ისტორიისა, როდესაც თვით ქართველი გაბატონებული კლასები გამოდიოდენ კოლონიზატორების, ამწიოკლებისა და დამჩაგვრელების როლში სხვა ხალხების მიმართ. ასევე გულდასმით უნდა იქნას შესწავლილი ამ დაპყრობილი ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლა ქართველი კოლონიზატორების წინააღმდეგ.

ცხადია, ყველა ამ საკითხის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე. ჯავახიშვილს თავისი მეთოდოლოგიით, თავისი მიდგომით ამ საკითხისადმი არ შეუძლია მოგვცეს მეცნიერული ახსნა აღნიშნული მოვლენებისა.

აი, მაგალითად, კიდევ ზოგიერთი მარგალიტი პროფ. ი. ჯავახიშვილისა. ჩერდება რა რომაელების მიერ ამიერკავკასიის ხალხების დაპყრობაზე, იგი წერს: "Отныне все Закавказье находилось под сильным политическим и культурным влиянием Рима. Отношения Иберии к римским императорам и обратно установились самые дружеские".[124]

თურმე ნუ იტყვით, შესაძლებელი ყოფილა დამპყრობელ იმპერატორსა და დაპყრობილს, აწიოკებულ ხალხს შორის ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა. და ამას ჰქვია ისტორია!

---

[121] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 519.
[122] იქვე, გვ. 525.
[123] Энциклопедический Словарь Граната, статья Джавахова, т. 17, გვ. 205.
[124] იქვე, გვ. 195.

საინტერესოა მოვუსმინოთ პროფ. ჯავახიშვილს კიდევ ზოგიერთ სხვა საკითხზედაც. ჯავახიშვილი იძლევა რეცეპტს იმისას, თუ როგორ შეიძლება ეროვნული გრძნობის გაკაჟება.

„ადამიანის სულიერი ბუნება იმგვარია, რომ ეროვნული გრძნობა უცხოობაში უფრო ცხოველდება ხოლმე; ხოლო საღს ეროვნულს სხეულს ისეთი თვისება აქვს, რომ რაც უფრო ბევრი ბრძოლა მოუხდება სხვათა ეროვნულ მძლავრ გრძნობასთან, ეროვნული გრძნობა უფროდაუფრო გაკაჟდება ხოლმე და თვითშემეცნება უფრო გარკვეული და მკაფიო ხდება. ეროვნულ დევნას მუდამ დევნილთა უფრო მჭიდრო შეკავშირება და შერთება მოჰყვება ხოლმე შედეგად. სწორედ ამიტომაც იყო, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბერები ცდილობდენ ერთი-ერთმანეთთან დაახლოვებას და ერთ ადგილას თავის მოყრას“.[125]

მაშ ასე, რაც უფრო მეტი ბრძოლა ექნება ერთ ეროვნულ სხეულს სხვა ეროვნულ გრძნობებთან, მით უკეთესია, მით უფრო გაკაჟდება და განმტკიცდება ამ ერის ეროვნული შეგნება და თვითშემეცნება. ხოლო რადგანაც ეროვნული შეგნების განმტკიცება, ჯავახიშვილის აზრით, მეტად საჭირო საქმეა, ამიტომ აღარ უნდა მოვერიდოთ ეროვნული გრძნობების შეჯახებას, მათ ბრძოლას.

უფრო ნათლად ნაციონალისტური აზრის გამოთქმა შეუძლებელია.

თავისმა ნაციონალურმა იდეოლოგიამ ჯავახიშვილი მიიყვანა იქამდის, რომ იგი მენშევიკების ანტისომხური პოლიტიკის დამსაბუთებლადაც კი მოგვევლინა. შემთხვევითი არ არის ჯავახიშვილის „შრომა“ საქართველოს საზღვრების შესახებ. მენშევიკების დაკვეთით აქ ჯავახიშვილი ცდილობს თეორიული საფუძველი შეუქმნას მათ იმპერიალისტურ ზრახვებს სომხეთის მიმართ. ჯავახიშვილი ურჩევს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ლაქიებს — მენშევიკებს და მათ მთავრობას, სომხეთთან საზღვრების საკითხის გადაწყვეტის დროს დაადგნენ სახელმწიფოებრივ და არა ეთნოგრაფიულ თვალსაზრისს.

იგი წერს: „საქართველოს საზღვრების საბოლოო მოხაზულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს. მართალია, სომეხთა მმართველი წრეები და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა ჩვენს ერსა და მთავრობას მხოლოდ ეთნოგრაფიულ თვალსაზრისით ხელმძღვანელობას ურჩევენ, მაგრამ რამდენად მათი რჩევა გულწრფელია და გამოსადეგი, ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ თვით მათ პირადად ამ თვალსაზრისით არას დროს თავიანთ პოლიტიკურ გეგმაში არ უხელმძღვანელებიათ“.[126]

ჯავახიშვილს არ მოსწონს, როდესაც ჟორდანიას მთავრობას იმპერიალისტობას აბრალებენ და იგი ცდილობს მთელი თავისი „მეცნიერული“ არგუმენტაციით დაიცვას ქართველი იმპერიალისტები სომხის იმპერიალისტებისაგან: „სწორედ გასაცარია, როდესაც სომეხთა პოლიტიკური და გავლენიანი წრეები ჩვენი მთავრობის წევრებს ნ. ჟორდანიას და ე. გეგეჭკორს და საქართველოს საზავო დელეგაციის წარმომადგენლებს კ. ჩხეიძეს და ირ. წერეთელს, სტამბოლის სომხურს პრესაშიაც კი პრინციპების ღალატსა და იმპერიალისტობას სწამებდენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების შემოხაზვის დროს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობენ და არა მარტო ეთნოგრაფიულით...

---

[125] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 476.
[126] მისივე, საქართველოს საზღვრები, გვ. 49.

ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომაელობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს".[127]

ასე მიიყვანა პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავისმა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ მენშევიკების სამსახურში.

ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული თეორია ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ პრაქტიკაში გადაიზარდა.

დასკვნა

ზემოთ ჩვენ დაწვრილებით შევჩერდით პროფ. ჯავახიშვილის ისტორიულ ნაშრომებზე და გავარჩიეთ მისი ზოგიერთი ანტიმარქსისტული დებულება.

შეიძლება დაგვიყენონ ასეთი საკითხი: ყველაფერი, რაც ჯავახიშვილზე ითქვა, მართალია, შეიძლებოდა გაცილებით მეტის თქმაც მის შესახებ, მაგრამ რა საჭიროა ახლა ეს? ეს ხომ ჯავახიშვილის ძველ ნაშრომებს შეეხება? ხომ არ არის ახლა ისეთი მდგომარეობა, რომ ჯავახიშვილის სკოლა ბატონობდეს?

ზოგიერთები მართლაც ასე ფიქრობენ. მათ მიაჩნიათ, რომ ჯავახიშვილის სკოლა სავსებით განადგურებულია და რომ აქ ჩვენს წინაშე უკვე არავითარი ამოცანა აღარ დგას.

ეს, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომაა. ვინც ასე ფიქრობს, იგი ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს ჯავახიშვილის ანტიმარქსისტული და, მაშასადამე, ანტიმეცნიერული დებულებების არსებობის გახანგრძლივებას.

ჯერ ერთი, რომ ჯავახიშვილს არსად და არასოდეს არ უარუყვია თავისი ანტიმარქსისტული შეხედულებები, მას არსად არ მოუხდენია ფასეულობათა გადაფასება და არ გაუკრიტიკებია თავისი ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული დებულებები.

მეორე, ჯავახიშვილის ისტორიული სკოლა არ შეიძლება განადგურებულად ჩაითვალოს, რადგან მისი გავლენა ლიტერატურაში და ახალ კადრებზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია.

მესამე, ჩვენში მოიპოვება არა ერთი და ორი ისტორიკოსი, რომელიც ფორმალურად ჯავახიშვილის სკოლის მიმდევარი არ არის, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად. სინამდვილეში ისინი მისი მიმდევარი არიან და თავისი მუშაობის პროცესში, შეიძლება ცალკე შემთხვევაში უნებლიეთ, მაგრამ მაინც მისი იდეოლოგიის გამტარებელია. არიან ისეთი ისტორიკოსებიც, რომლებიც ჯავახიშვილის ცალკე დებულებებს მიუღებლად თვლიან, მაგრამ საერთოდ კი მის „ისტორიას" სცნობენ. უნდა ითქვას, რომ ორივე ასეთი ტიპის ისტორიკოსები ჩვენ არა ნაკლებ ზიანს გვაყენებენ, ვიდრე ჯავახიშვილის აშკარა მიმდევრები.

როგორც ვხედავთ, ჯავახიშვილის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ სკოლასთან ბრძოლის საკითხი სრულებითაც არ მოხსნილა. ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დგას როგორც აქტუალური ამოცანა. მაგრამ ამ ამოცანასთან არის დაკავშირებული მეორე ამოცანაც – ბრძოლა იმ ცალკე ისტორიკოსების წინააღმდეგაც, რომლებიც აღნიშნული სკოლის მიმართ შემარიგებელ პოზიციაზე დგანან და ამით მის არსებობას მოხერხებულად ხელს

[127] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 50-51.

უწყობენ. ჯავახიშვილის სკოლის საბოლოო დაძლევა შეუძლებელია, თუ დაძლეული არ იქნა შემარიგებლის პოზიციაც.

ჯავახიშვილის სკოლის მიმდევრების გაელენით ერთი მხრით, და ცალკე ამხანაგების ნიღილისტური დამოკიდებულებით საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი მეორე მხრით, აიხსნება ის აშკარა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რომელიც ჩვენ გვაქვს საქართველოს ისტორიის ფრონტზე ამჟამად. ნიღილისტები ამ შემთხვევაში გამოდიან ჯავახიშვილის ნამდვილ მოკავშირეებად, რადგან ისინი უთმობენ მას პოზიციებს და უგდებენ მას ხელთ ქართველი ხალხის ისტორიის საქმეს.

რუსეთშიაც მდგომარეობა ისტორიის ფრონტზე არადამაკმაყოფილებლად არის ცნობილი, მაგრამ ისტორიული მეცნიერება იქ საერთოდ გაცილებით მაღალ დონეზე დგას, ვიდრე ჩვენში.

მთავარი მიზეზი ისტორიის ფრონტზე ასეთი მდგომარეობისა, როგორც რუსეთში, ისე განსაკუთრებით ჩვენში, მდგომარეობს იმაში, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორია ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილი საფუძველი ისტორიკოსების კვლევისათვის, რომ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მეცნიერული მეთოდი ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილი იარაღი ისტორიკოსებისათვის მთელი მათი მუშაობის პროცესში.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის საქმე ისტორიის დარგში ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. თვითკრიტიკა ზოგიერთებს, რომლებიც მას მხოლოდ სიტყვით სცნობენ, ასე ესმით: თუ შენ არ გამაკრიტიკებ, არც მე გაგაკრიტიკებ. მათ ავიწყდებათ, რომ ბოლშევიკური თვითკრიტიკა თვით მათთვის, როგორც ისტორიკოსებისათვის, წინსვლისა და ზრდის საუკეთესო იარაღია, რომ უამისოდ შეუძლებელია ისტორიის საქმე მაღალ საფეხურზე ავიდეს.

ასეთი უნუგეშო მდგომარეობაა საქართველოს ისტორიის ფრონტზე. მაგრამ ჩვენ, მარქსისტ-ლენინელები ხომ რეგისტრატორები არა ვართ, რომ ასეთი მდგომარეობა მხოლოდ აღვნიშნოთ და იგი სათანადო წიგნებში გავატაროთ.

არა, ჩვენ მოვალენი ვართ საქართველოს ისტორიის ფრონტზე აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად დავსახოთ სათანადო ღონისძიებები და კიდევაც გავატაროთ ისინი ცხოვრებაში.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილებები ისტორიის ფრონტის შესახებ და ამხ. სტალინის, ჟდანოვისა და კიროვის შენიშვნები ისტორიის სახელმძღვანელოების კონსპექტებზე იძლევიან ნათელ სურათს ისტორიული მეცნიერების მდგომარეობისა საბჭოთა კავშირში და აყენებენ ჩვენს წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებს.

ეს ისტორიული ხასიათის დოკუმენტები გვაკისრებს ყველა ჩვენთაგანს და უწინარეს ყოვლისა საქართველოს ისტორიკოსებს მთელ რიგ საპასუხისმგებლო კონკრეტულ ამოცანებს.

როგორია ეს ამოცანები?

პირველი: ჩვენ უნდა დავძლიოთ ნიჰილისტური დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი, რომელიც, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, მავნებლობას უდრის. ჩვენ გაბურებული შანთით უნდა ამოვწვათ იგი, როგორც უდიდესი პოლიტიკური ბოროტება. ჩვენ უნდა მოვახდინოთ რადიკალური გარდატეხა საქართველოს ისტორიის საკითხებში, გავხადოთ ისინი ჩვენი მეცნიერული მუშაკების — მკვლევრების ყურადღების ერთ-ერთ მთავარ საგნად.

მეორე: უნდა გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა საქართველოს ისტორიის ფრონტზე. თითოეულ ისტორიულ ნაშრომს უნდა შეეხოს ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის იარაღი. შეურიგებელი ბრძოლით საბოლოოდ დაძლეულ და განადგურებულ უნდა იქნეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და სხვა ანტიმარქსისტული მიმართულებანი, სულ ერთია, იქნებიან ისინი აშკარა თუ შენიღბულ ფორმაში მოცემული, კიდევ უფრო მაღლა უნდა ავსწიოთ მებრძოლი მარქსიზმის, მებრძოლი ლენინიზმის დიადი დროშა; მხილებულ უნდა იქნას თითოეული ანტილენინური ხასიათის შეცდომა და მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველგვარი დამახინჯება.

მესამე: უნდა დაიწყოს და მაღალი ტემპებით გაიშალოს მუშაობა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შესადგენად როგორც საშუალო სკოლისათვის, ისე უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მთელი ეს მუშაობა უნდა ემყარებოდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველს და აშენებული უნდა იყოს იმ მითითებებზე, რომელიც მოცემულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებაში და ამხ. სტალინის, ჟდანოვისა და კიროვის შენიშვნებში.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენის და სწავლების დროსაც ჩვენ გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ იმ დიდ ნაკლს, რომელიც საკავშირო კომპარტიის ცეკასა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 16 მაისის დადგენილებაში შემდეგნაირად არის გამოხატული:

„ნაცვლად იმისა, რომ სამოქალაქო ისტორია ასწავლონ ცოცხალი, მიმზიდველი ფორმით, გააშუქონ უმნიშვნელოვანესი ამბები და ფაქტები მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათებით, მოსწავლეებს აწვდიან საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების აბსტრაქტულ განმარტებებს და, ამრიგად, სამოქალაქო ისტორიის თანმიმდევარ გაშუქებას ცვლიან განყენებულ სოციოლოგიური სქემებით“.[128]

საჭიროა საქართველოს ისტორიის ახალი მარქსისტულ-ლენინური სახელმძღვანელო ისე იქნას შედგენილი და მისი სწავლების მთელი საქმე ისე იქნას დაყენებული, რომ განუხრელად გატარდეს ჩვენი პარტიის და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შემდეგი მითითება: „მოსწავლეების მიერ ისტორიის კურსის მტკიცედ შეთვისების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ისტორიულ-ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვა ისტორიულ ამბების გადმოცემაში, მასთან, აუცილებელი ალბეჭდვა მოსწავლეთა მეხსიერებაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენებისა, ისტორიული მოღვაწეებისა და ქრონოლოგიური თარიღებისა. ისტორიის მხოლოდ ასეთ კურსს შეუძლია უზრუნველჰყოს ის, რომ ისტორიული მასალა იყოს მისაწვდომი, თვალსაჩინო და კონკრეტული, რაც მოსწავლეთათვის აუცილებელია და მხოლოდ ამ საფუძველზე არის შესაძლებელი ისტორიული ამბების სწორი განხილვა და სწორი განზოგადება, რაც მიიყვანს მოსწავლეს ისტორიის მარქსისტულ გაგებამდე“.[129]

სახელმძღვანელოსათვის დამახასიათებელი უნდა იყოს კონკრეტულობა და ისტორიული სიმართლე. მკვდარ სოციოლოგიურ სქემებს არაფერი საერთო არ აქვს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან. სახელმძღვანელოში მოცემული უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინურად გაშუქებული მდიდარი ფაქტიური ისტორიული მასალა, ამავე დროს სახელმძ-

[128] მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი, 1936 წ., გვ. 11.
[129] იქვე, გვ. 12.

ღვანელო დაწერილი უნდა იყოს ცოცხალი, მიმზიდველი ენით და მდიდარი მხატვრული სახეებით.

მეოთხე: უნდა გამოკვლეულ იქნას ცალკე ჯერ-ჯერობით შეუსწავლელი საკითხები საქართველოს ისტორიიდან და შედეგები კი გამოქვეყნდეს სპეციალური მონოგრაფიების სახით.

მეხუთე: უნდა მოეწყოს ქართულსა და სხვა ენებზე არსებული ისტორიული ძეგლებისა და დოკუმენტების გამოცემის საქმე სათანადო კომენტარიებითა და აპარატურით. უამისოდ მეტად გაძნელებული და შეუძლებელიც იქნება მეცნიერული მუშაობის წარმოება და ახალი კადრების აღზრდა.

მეექვსე: უფრო გაძლიერებული უნდა იქნას მუშაობა ისტორიკოსების კვალიფიციური კადრების, კერძოდ კი, საქართველოს ისტორიკოსების კადრების მომზადების ხაზით, განსაკუთრებით კომუნისტებისა და კომკავშირელების რიგებიდან. ჩვენ ამ დარგში გვჭირდება გაცილებით უფრო უკეთესი ხარისხობრივი და რიცხობრივი მაჩვენებლები, ვიდრე ახლა გვაქვს.

მეშვიდე: ახალი კვალიფიციური კადრების მომზადების დროს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, კერძოდ, ენების შესწავლის საქმეს. საქართველოს ისტორიის შესახებ მრავალი მასალა მოიპოვება სომხურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ბერძნულ, არაბულ და სხვ. ენებზე. ამ მასალების შეუსწავლელად და გამოუყენებლად შეუძლებელია ისტორიული კვლევის საქმის მოგვარება. ახალი მზარდი კადრები ვალდებული არიან დაისაზონ თავის წინაშე აღნიშნული ენების შესწავლა, როგორც დიდი მნიშვნელობის საპასუხისმგებლო ამოცანა.

ასეთია ჩვენი ძირითადი ამოცანები.

ქართველი ხალხის მეცნიერული ისტორია ჯერ არ დაწერილა. ჩვენთვის უცნობია გლეხთა მოძრაობა, უცნობია ქართველ ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა, ნამდვილი ისტორია ქართველი ხალხის მასებისა ისტორიის ნალექების ქვეშ მოქცეული. საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება, რომ ქართველი ხალხის ისტორიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ფალსიფიკატორებს ნილაბი ჩამოვაგლიჯოთ, მასების ნამდვილი მოძრაობა აღმოვაჩინოთ და იგი ნალექებისაგან გავათავისუფლოთ.

ქართველი ხალხის ნამდვილმა მეცნიერულმა ისტორიამ უნდა მოგვცეს ჩვენ ნათელი სურათი იმ ნარ-ეკლიანი გზისა, რომელიც განვლო მრავალი საუკუნის განმავლობაში ფეოდალებისა და ანექსიონისტ-კოლონიზატორების მძიმე უღლის ქვეშ.

ამ ისტორიამ უნდა მოგვცეს ჩვენ გაგება იმ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენისა, რომელიც გამოიხატებოდა საქართველოს, მთელი ამიერ-კავკასიისა და რუსეთის მუშებისა და გლეხების ხელიხელ ჩაკიდებულ ბრძოლაში ქართველ, მთელი ამიერკავკასიისა და რუსი მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ნამდვილმა მეცნიერულმა ისტორიამ უნდა მოგვცეს ჩვენ გაგება და დასაბუთება იმისა, რაც ახლა აქვს ქართველ ხალხს ლენინისა და სტალინის დიდი პარტიის ხელმძღვანელობით.

ამ ისტორიამ უნდა მოგვცეს ჩვენ გაგება და მეცნიერული დასაბუთება იმ ფაქტისა, რომ ქართველი ხალხი მხოლოდ ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში განიცდის პირველად თავის ხანგრძლივ ისტორიაში ნამდვილ თავისუფალ ცხოვრებას, რომელმაც მისცა მას საშუალება მძლავრად გაეშალა თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი.

ამ ისტორიამ უნდა მოგვცეს ჩვენ გაგება იმ ფაქტისა, რომ ქართველი ხალხი, დიდ რუსისა და სხვა ხალხებთან ძმურ კავშირში მყოფი, მათთან ერთად აშენებს სოციალისტური ცხოვრების გრანდიოზულ შენობას.

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ჯერ ასეთი მეცნიერული ისტორია. იგი უნდა დაიწეროს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი ისტორიკოსების მიერ, მათი თავდადებული მუშაობით და გულწრფელი სიყვარულით ამ საქმისადმი.

ამხ. სტალინი ამბობდა: „ჩვენს წინაშე დგას ციხე-სიმაგრე. მას, ამ ციხე-სიმაგრეს, ეწოდება მეცნიერება, ცოდნის მრავალი დარგით. ეს ციხე-სიმაგრე ჩვენ უნდა ავიღოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს".[130]

ჩვენ წინაშე ამ შემთხვევაში დგას ციხე-სიმაგრე, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება და რომელიც ჯერ აუღებელია. მაგრამ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ.

საჭიროა ენერგიული მუშაობა და მტკიცე ბოლშევიკური ნებისყოფა ამ ციხე-სიმაგრის ასაღებად.

ამხ. ლავრენტი ბერიამ თავის ისტორიულ მოხსენებაში მოგვცა ჩვენ ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იქნას დაყენებული ნამდვილ მეცნიერულ ლიანდაგზე ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისა და ხალხის ისტორიის შესწავლის საქმე. ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ სასტიკი ომი გამოუცხადა რევოლუციური მოძრაობის ფალსიფიკატორებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში და ლენინურ-სტალინური კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მათი შეხედულებანი.

საქართველოს ისტორიის ფრონტზე მომუშავე მეცნიერული მუშაკები ვალდებული არიან გააკეთონ სათანადო დასკვნები ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენებიდან თავისი შემდგომი მუშაობისათვის.

პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი ისტორიკოსები და ჩვენი საამაყო საბჭოთა ახალგაზრდობის რიგებისაგან გამოსული მზარდი ახალი კადრები, ჩვენი პარტიის და დიდი სტალინის მითითებების საფუძველზე, ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, გამარჯვების მტკიცე რწმენით გამსჭვალულნი, შეუნელებელი ბრძოლით შესძლებენ საქართველოს ისტორიის მეცნიერების მწვერვალების დაუფლებას.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. V. პირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, 1936, გვ. 3-60

[130] Сталин, О комсомоле, 1934 г., изд. "Мол. Гвардия", გვ. 88.

მეორე სხდომა

1936 წ. 26 მარტი

თავმჯდომარეობს ამხ. მახარაძე

თავმჯდომარე: ისტორიული ფაკულტეტის მორიგ საჯარო სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

ვიწყებთ კამათს პროფ. ორაგველიძის მოხსენების გარშემო.

სიტყვა ეკუთვნის ამხ. *ვ. ცინცაძეს.*

ამხ. ვ. ცინცაძე: შენიშვნებში „ს.ს.რ.კ. ისტორიის“ და „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოს კონსპექტების შესახებ“ პარტიის ბელადი ამხ. სტალინი, ამხ. ჟდანოვი და ამხ. კიროვი გადაჭრით აყენებენ საკითხს, კიდევ უფრო სასტიკი, შეურიგებელი ბრძოლა იქნეს წარმოებული იმ ბურჟუაზიულ ანტიმარქსისტულ-ანტილენინურ ტიპის ისტორიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც ასე უნიადაგოდ დღესაც ტკეპნიან ძველ გზას და კიდევ მეტი, თავგამოდებით იცავენ თავიანთ შეცდომებს, არ ცდილობენ ფხიზელი თვალით კვლავ კრიტიკულად გადახედონ თავიანთ შრომებს და შექმნან მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ნამდვილ მეცნიერულად დამუშავებული ახალი სახელმძღვანელოები. „მოსწავლეთა მიერ ისტორიის კურსის მკვიდრი შეთვისების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ისტორიული ამოცანების გადმოცემაში ისტორიული ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვა და მოსწავლეთა მიერ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების, ისტორიული მოღვაწეობის ქრონოლოგიური თანრიგების აუცილებლად დამახსოვრება. ისტორიის მხოლოდ ასეთ კურსს შეუძლია უზრუნველყოს ისტორიული მასალის მისაწვდომობა, თვალსაჩინოება და კონკრეტობა, რაც საჭიროა მოსწავლისათვის, და მხოლოდ ამ საფუძველზე არის შესაძლებელი ისტორიული ამბების სწორი გარჩევა და სწორი განზოგადება, რომლებსაც მოსწავლე ისტორიის მარქსისტულ გაგებამდე მიჰყავს.“[1]

ასეთია პარტიისა და მთავრობის მითითებანი ისტორიის ახალი სახელმძღვანელოობის შექმნის შესახებ. ასეთ ამოცანებს აყენებს პარტია და მთავრობა ისტორიის ფრონტის წინაშე.

კონსპექტების შესახებ შენიშვნებში გარკვევით მოცემულია გეზი სახელმძღვანელოების შექმნის, მეთოდისა და მასალის დალაგების შესახებ, კონკრეტულად მითითებულია ისტორიის სახელმძღვანელოების გზები.

პარტიის ბელადი ამხ. სტალინი, ამხ. ჟდანოვი და ამხ. კიროვიც სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებელ საჭიროებას აყენებენ: „ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კონსპექტების რადიკალურად გადამუშავება ზემოთმოყვანილ დებულებათა მიხედვით. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ლაპარაკია სახელმძღვანელოების შექმნაზე, სადაც ყოველი სიტყვა და ყოველი განსაზღვრა აწონ-დაწონილი უნდა იყოს და არა უპასუხისმგებლო საჟურნალო სტატიებზე, სადაც შეიძლება ყველაფერზე და როგორც გნებავთ ილაყბოთ, თუ პასუხისმგებლობის გრძნობას დაკარგავთ“. (*იქვე*) ასე დგას საკითხი ისტორიული სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ, ისეთი სახელმძღვანელოებისა, რომლებიც ჩვენს ახალგაზრდობას მისცემს სწორ მარქსისტულ ლენინურ ცოდნას სამოქალაქო ისტორიიდან.

პროფ. კ. ორაგველიძის მიერ წაკითხულ მეტად მნიშვნელოვან მეცნიერულ, საპროგრამო მოხსენების შემდეგ, რომელიც იძლევა საერთოდ საქართველოს ისტორიისა და კერძოთ პროფ. ი. ჯავახი-

[1] გაზ. „კომუნისტი“, №22, 1936 წ. 28 იანვარი. ისტორიის მეცნიერების ფრონტზე. ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს და ს.კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტში.

შეილის შრომების და მისი მეთოდოლოგიის ანალიზს — ამავე დროს ნიღაბს ხთის სხვა თანამედროვე ისტორიკოსების (პრ. ნათაძე, ს. კაკაბაძე და სხვები) ანტიმარქსისტულ კონცეპციებს ჩვენი პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის მშობლიური დიდი ბელადის ამხ. სტალინის და მთავრობის მითითებათა საფუძველზედ, საერთოდ ისტორიის და, კერძოთ, საქართველოს ისტორიის ფრონტზედ, დროს მოგების მიზნით საჭიროდ მიმაჩნია ამ გარკვეულ საკოგრაძო მოხსენების შემდეგ პირდაპირ შევეხო 19-20 საკ. საქ. ისტ-ში პრ. ი. ჯავახიშვილის შრომებიდან ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხებს.

ვეხებით რა პროფესორ ივ. ჯავახიშვილის შრომებს მე-19-20 საუკუნის ისტორიის შესახებ თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ მისი შეხედულება საქართველოს ისტორიის მთელ სიგრძეზე ემყარება მოვლენათა აღწერის ემპირიულ-ფორმალისტურ მეთოდს. დგას რა სუბიექტური სოციოლოგიის თვალსაზრისზე იძლევა საქართველოს ისტორიის ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ (პომეშჩიკურ) კონცეფციას.

პროფ. ჯავახიშვილის ისტორიული კვლევა მოკლებულია ფაქტების ობიექტურ-მეცნიერულ ანალიზს, იზიარებს რა, ნაწილობრივ, ვინდელბანდ რიკერტის კონცეფციას მხოლოდ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შემეცნება-გაგების საქმეში. ჯერ კიდევ 1925 წ. აკადემიკოსი ნიკო მარი შემდეგნაირად აფასებდა ერთი კერძო საკითხისადმი პროფ. ი. ჯავახიშვილის მუშაობას:

"Целю построение И. А. Джавахишвили, это традиционное национальное в облечении научной фразеологии, такая действительно мертвенная схема, отсекающая все живые соки врождения и роста культуры вообще, следовательно и языческой, в частности самой родной грузинской, что совершенно не пришлось использовать важности местных языческих переживаний в грузинских версиях св. писания для их реальной датировки, лишь вскользь коснулся я их при одном термине".[2]

[2] Н. Марр, Тексты грузин. кавк. филолог. (т. I, ст. 6).

კრიტიკის სამართლიანობა მოითხოვს შევნიშნოთ, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილი რიკერტის მეთოდის მზგავსათ არჩევს „მნიშვნელოვან" ფაქტებს „კულტურული ღირებულების" თვალსაზრისით (საზღვრები, მამულიშვილობა და სხვ., ვ. ც.) აძლევს მას თავისებურ ინტერპრეტაციას და ცდილობს ნაციონალისტურ ბურჟუაზიული კონცეფციით ფაქტების ობიექტურ კანონ-ზომიერებას ნიღაბი ჩამოაფაროს და ისტორიული სინამდვილე დაამახინჯოს და გააყალბოს.

პროფ. ჯავახიშვილს ეტყობა (ობიექტურად) არასოდეს არ უცდია, თავი დაეხწია დახავსებული აზრებისაგან, თვალი გადაეკლო და პრაქტიკა მიეღო იმ უდიდეს ისტორიულ ცვლილებებისაგან, რომლითაც ხასიათდება ახალ საუკუნეთა პერიოდები.

ჩვენი მსჯელობა იმ მიმართულებით არ მიმდინარეობს, თუ რამდენად შეიცავს პროფ. ივ. ჯავახიშვილის შრომები ისტორიულ ყაქტების მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს და შესაძლებელია თუ არა ამ შრომების გამოყენება სახელმძღვანელოდ ფართო მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, აქ პასუხი უარყოფითია.

მსჯელობა არც იმის შესახებაა, რომ პროფესორის ეს შრომები ისტორიოგრაფიის „ფაქტოლოგიის" თვალსაზრისით მნიშვნელობას მოკლებული იყოს. ითქვას, რომ პრ. ჯავახიშვილს დამსახურება მიუძღვის ფაქტების დაგროვება გამოცემის საქმეში საქ. ისტორიის თითქმის მთელ სიგრძეზე.

საქმე იმაშია, რომ ისტორიული ფაქტების სწორი განზოგადება, გარჩევა ჯავახიშვილის მიერ მისი ნაციონალისტურ ბურჟუაზიულ (პომეშჩიკური) კვლევის მეთოდისა და სუბიექტური სოციოლოგიის თვალსაზრისის გამო ობიექტურ რეალობას მოწყვეტილი რჩება და მეცნიერულ შინაარსისაგან გამოცლილი, რითაც მახინჯდება ისტორიული სინამდვილე სწორი ობიექტური კანონ-ზომიერების აღიარება საქართველოს ისტორიაში.

„ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი პარტიის ისტორიის ისეთი შესწავლა, — ამბობს ამხ. ლ. ბერია — რომელიც უზრუნველყოფს ლენინიზმის მრავალრიცხოვანი

მტრების წინააღმდეგ ბოლშევიკთა ბრძოლის გმირული გამოცდილების შეთვისებას და რომელიც შეიარაღებს პარტიისა და კომკავშირის წევრებს პარტიის მტრებთან საბრძოლველად, ყველა განმანადგურებელი კონტრევოლიუციონური, ანტიპარტიული ჯგუფების იდეათა და შეხედულებათა გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად.[3] ამხ ბერიას ეს მითითება მტკიცედ გვავალებს რევოლიუციონური სიფხიზლით ბრძოლას ყოველგვარი გადმონაშთებისა და ლიბერალიზმის წინააღმდეგ; ანტიპარტიული, კონტრევოლიუციონური შემარიგებლობის წინააღმდეგ. მით უმეტეს ეს მითითება ბასრი იარაღია პროფესორ ჯავახიშვილის ნაც. ბურჟუაზიულ კონფერენციის, მისი ემპირისტულ-ფორმალისტური მეთოდის წინააღმდეგ და ჩვენგან აუცილებლობა მოითხოვს მის ობიექტურ მხილებას. პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავის შრომებში არასოდეს არ ცდილა საზოგადოების მთელი ისტორია შინაგან ობიექტური წინააღმდეგობით — კლასთა ბრძოლის ანალიზით მოეცა ქართველი ხალხის მრავალ და სხვადასხვა გვარი ფორმებით დანგრევა-აწიოკების ფაქტების მიხედვით მარქსისტული თვალთახედვით გაეშუქებინა როგორც შინაგანი, ისე გარეშე ბრძოლების მიზეზი, რომ ამ მიზეზებიდან გამომდინარე მეცნიერული ანალიზი გაეკეთებინა თავის შრომებში საქართველოს ისტორიისათვის.

პირიქით, ის თავის „მეცნიერულ შრომებში“ მეფეებისა და ფეოდალების ისტორიის გადმოცემის დროს, უარყოფს რა შინაგან წინააღმდეგობას — საზოგადოებრივ მოძრაობას, ცდილობს ნიღაბი ჩამოაფაროს თვით ფეოდალური და ნაციონალ-ბურჟუაზიული „არისტოკრატიის“ კლასობრივ მუდმივ წინააღმდეგობასაც.

"В восточной Грузии в эпоху присоединения к России существовали три партии, из которых одна стояла на почве договора Ираклия II-го с Екатериной II и признавала лишь протекторат России, другая шла на большия уступки и во внутренних делах требовала лишь туземнаго царскаго правительства, третья партия, немногочисленная по составу не имели ничего и против утверждения в стране русскаго управления, так как членам ея казалось, что Россия обезпечит Г. политическую безапасность и мир, которые дадут грузинам возможность пойти быстро по пути культурнаго прогресса."[4]

სიტყვა „პარტია“ აქ შეუფერებლადაა ხმარებული, იგი რომელიც სცდილობდა სტალინურ განსაზღვრას.

რუსეთის მიერ აღმოსავლეთ-საქართველოს „შეერთებისას“ პროფ. ივ. ჯავახიშვილი სამ „პარტიას“ ხედავს, რომლებიც მეტნაკლებად მომზრე არიან რუსეთის საქართველოში შემოსვლისა.

აქ მის მიერ დამახინჯებულად არის წარმოდგენილი ის ობიექტური რეალობა — ისტორიული ფაქტი, რომელიც მაშინ აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში არსებობდა.

იმ ფეოდალურ ჯგუფებს შორის, რომლებიც მეტნაკლებად მხარს უჭერდენ რუსეთის აქ შემოსვლას, წინ ედგა რუსეთის აქ შემოსვლის მოწინააღმდეგე ჯგუფი ს. ლეონიძის მეთაურობით. ეს ჯგუფი მოითხოვდა აღმ. საქართველოს დამოუკიდებლად ყოფას უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, ევროპისა და შემდეგ სპარსეთ-ოსმალეთისაკენ იშვერდენ ხელს. რადგან ამ ჯგუფმა კარგად იცოდა რუსეთის თვითმპყრობელური ცარიზმის კოლონიალური ზრახვები, ერეკლესაც ეს შეგნებული ჰქონდა, მაგრამ შინაგან და გარეშე მტრების წინააღმდეგობის აღვირახსნილობის გამო ის მაინც ილტვოდა ქრისტიანულ სახელმწიფოსაკენ, სადაც ეკონომიკა და კულტურა საქართველოსთან შედარებით წინ იდგა. ერეკლე დებს კავშირს 1783 წ. ტრაქტატით, რომლის ძალითაც საქართველო დამოუკიდებლად რჩებოდა და უკეთ წინმსვლელობის შესაძლებლობა ეძლეოდა, რაც საბოლოოდ არ გატარებულა და ცდილობდა ამისაგან განთავისუფლებას. ამიტომ ლეონიძე შეთქმულებასაც კი უწყობს ერეკლეს და სურს ის რუსეთს ჩამოაცილოს, პირადი უკმაყოფილებაც კი მოსდის

[3] ლ. ბერია, ა/კ ბოლშევიკური ორგ. ისტ. საკითხისათვის, გვ. 14.

[4] **И. Джавахишвили**, Энцикл. словарь Граната. 7-е перераб. изд., стр. 206-207.

ერეკლესთან და მის შვილიშვილთან დავითთან, რომელიც უნდა ჩაითვალოს ერთერთ მიზეზად სოლომონის (ლეონიძის) დასავლეთ საქართველოში გადასახლებისა. აი, რას ამბობს ლეონიძე ერეკლე მეფის დასაფლავებისას წარმოთქმულ სიტყვაში: „იმისი ტკბილი პატრონყმობა ვიტირო, თუ თავის უნებურად ჩემის შეწუხების შენანება, რომელიც თავისის უმაღლესის ხელით მომწერა და სოფელმან აღარ დააცალა".[5]

ქვემოთ; ლეონიძის პირადი უკმაყოფილება დავითთან: „დავითმან დაღუპა ოჯახი მეფეთა, გამოსჭრა ყელი მეფობასა და დაამცირა ერთ თვისი და თვით თავი თვისი".[6]

პროფესორი ჯავახიშვილი ვერ აფასებს ლეონიძისა და ამ ჯგუფის როლს და დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის 1790 წელს ურთიერთ მფარველობით ხელშეკრულებას, სადაც ერეკლე შედარებით პროგრესიულ გამაერთიანებელ როლში გამოიყენება.

მრავალი სხვადასხვა ფაქტების მოყვანაა შესაძლებელი სხვადასხვა საკითხებიდან, რომლებიც ნათლად აშკარავებს პროფ. ჯავახიშვილის კონცეპციას საერთოდ და კერძოდ მოყვანილ ციტატაში მის ნაც. ბურჟუაზიულ ფეოდალურ ისტორიკოსის ბუნებას, ვიდრე რეალურად და იმ დროინდელ მოვლენების მარქსისტულად ამსახველის სახეს. აქ პროფ. ჯავახიშვილს გათანაბრებული აქვს, უკეთ რომ ვთქვათ, ვერ ამჩნევს იმ ფეოდალურ სულით გაჟღენთილ და ბურჟუაზიული სახეებით შეფერადებული ჯგუფების არსებობას, რომლებიც მაშინ არსებობდენ და ერთმანეთს მწვავედ უპირისპირდებოდენ საზოგადოების შიგნით.

რუსეთის აქ შემოსვლის მხოლოდ მეტნაკლებ მოშრეებათ კი არ გამოდიოდა ყველა, არამედ იყვნენ რუსეთის აქ შემოსვლის სასტიკი მოწინააღმდეგენიც.

ვებრძვით იმ აზრს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში საქართველო რუსეთიდან და მის მეზობელ ერებიდან მოწყვეტილი გვყავდეს წარმოდგენილი. „ამით შეგნებული პროლეტარიატის ! ამბობს ამხ. სტალინი — პოლიტიკა არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიის პოლიტიკისაგან, იმ ბურჟუაზიის, რომელიც ცდილობს ნაციონალური ბრძოლის გაღრმავებას და გაღვივებას, ნაციონალური მოძრაობის გაგრძნობასა და გამწვავებას.

სწორეთ ამიტომ შეგნებულ პროლეტარიატს არ შეუძლია ბურჟუაზიის „ნაციონალური" დროშის ქვეშ დადგეს[7] (სტალინი), მაგრამ ბავშური თამაში იქნებოდა და მარქსიზმის უდიდეს დამახინჯებამდე მივიდოდით, თუ სათანადო ანალიზს ვერ გაუკეთებდით თვითმპყრობელური რუსეთის ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას, მის აბსოლუტიზმს და ვიტყოდით, რომ საქართველოში მაშინ მხოლოდ რუსეთის მოწინააღმდეგე ჯგუფი იყო და არა მომხრენიო. ისიც შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საქართველოში ამ დროში მხოლოდ რუსეთის შემოსვლის მომხრე ჯგუფი არსებობდა და არა მოწინააღმდეგენიო. რადგან ფეოდალიზმის ბუნება და მათი მმართველობის საკითხები ვერ ითმენს ხალხთა სოლიდარობის და ერთიანობის პრინციპს, ეს მხოლოდ სოციალისტურ სამყაროს შეუძლია. ფეოდალიზმის აღნიშნულ ბუნებას თან ემატებოდა ერეკლე და გიორგი მეფეების პოლიტიკაც, რამაც მწვავე დაპირისპირების შინაარსის და ფორმების შემუშავებას შეუწყო ხელი მაშინდელ აღმოს. საქართველოს სინამდვილეში (მეფობის, საფეოდალო ადგილების მიღება და სხვა საკითხებზე, ვ. ც.).

ამიტომ ჯავახიშვილის ზემომოყვანილი ციტატა უნიადაგოა, უშინაარსო და არა მარქსისტულია.

ასეთივე აზრს ატარებს პროფ. ჯავახიშვილი თავის მეორე შრომაში. მოვიყვანოთ ეს ციტატა უფრო ფართო სახით:

Всеобщий дружный протест, быть может, и имел бы свое действие, но дело как раз было в том, что в это время и Грузии были три партии и действия их были не только о не солидарны, но даже большею частью враждебны друг другу.

[5] პ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი მე-XIII-სა, გვ. 69.

[6] პ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი მე-XIII-სა, გვ. 282–283.

[7] ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაც. კოლ. საკითხი, გვ. 21.

Одну партию образовывали стороники царевича Давида, наследники грузю престола, другую стороники предендента царевича Юлона; Третию партию составляли стороники рус. правительства; они стояли за уничтожение независимости Грузии и полное присоединение ея к России. Правда, эта партия был немногочисленна, но зато в виду присутствия русю войск весьма опасна для двух первых партий, стоявших на требовании точнаго исполнения заключенного трактата со стороны рус. правительства. Партия стороников рус. правительства состояла из двух категорий; они были личными врагами царевича Давида, другая группа была искоренно убеждена, что Россия принесет Грузии мир и благоденствие, защитит от вражеских нашествий и внесет порядок (П. Иоселиани. Жизнь царя Георгия XIII,' на груз. стр. 191, 259, 256, 275). Партия царевича Давида и цар. Юлона одинакого стояли за сохранение целости грузинского царства, но, в то время как стороники первого стояли на точке зрения желания последная цара Георгия XIII и довольствовались даже удержанием царского титула и его наследственности в роде груз. Багратидов, а во всем остальном согласны были следовать велениям из Петербурга — стороники Юлона требовали выполнения трактата, заключенного и Ираклием II с императрицей Екатериной II и Грузию считали только под протекторатом России, во внутренных же делах независимой.[8]

პროფ. ივ. ჯავახიშვილი ისტორიულ ფაქტების განხილვის დროს ხშირად ცდილობს, როგორც სურს, ისე გამოიყენოს ეს ფაქტები, სუბიექტურად ჩამოაცილოს ის თავის დროსა და სივრცის სინამდვილეს, თითქოს შორებული გზით, სხვანაირ ფორმაში გამოხვიოს ის, მაგრამ ხომ ფაქტი ჯიუტია და არც ძალუძს სუბიექტს მისი უარყოფა. რომ ის მართლაც ცდილობს „დაკვეთის“ წყალობით დაფაროს ობიექტური ჭეშმარიტება და ერთი ფაქტი სხვადასხვა შემცდარ ფორმაში გამოიხატოს, ამას გვიმტკიცებს თვით მისივე შრომა „რუსეთ საქართველოს დამოკიდებულების შესახებ“, რომელიც სტამბოლშია დაწერილი 1919 წელს, მაშინ, როდესაც თავის წინა შრომებში, რომელთა შემცდარი აზრები ჩვენ ზევით განვიხილეთ, იქ ერთს ამბობს, ამ შრომაში სულ სხვანაირად აქვს ეს გადმოცემული: „საქართველოში რომ არც ხალხი და არც თვით გიორგი მეფე თავის სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობის მოსპობაზე არ ფიქრობდა, ამას ის გარემოებაც ნათლად ამტკიცებს, რომ მაშინ ჩვენ სამშობლოში მოწინავე წლებში ინტენსიური კულტურული მუშაობა წარმოებდა და მტკიცე სამხედრო იყო როგორც სახელმწიფო წესწყობილების გასაუმჯობესებლად და ევროპულის მსგავსად გადასაქმელად, ისევე ევროპული მეცნიერების, ფილოსოფიისა და მწერლობის საქართველოში გადმოსანერგავად (გვ. 62).

აი, სანამდე დაიქანა პროფ. ჯავახიშვილი, გამოზეული მენშევიზმის ქურქში — ნაციონალიზმის ქურქში. აქ ის ცდილობს დაგვიმტკიცოს საქართველოს ხალხის ერთსულოვნება შინაგან კლასთა ბრძოლის გარეშე მოწინააღმდეგეობის თვალსაზრისით (იქ კი მომხრეებად გამოყავთ კავშ. შეერთებაზე, ვ. ც.) და ცდილობს ახსნას ეს ერთსულოვნება საქართველოში კულტურული მშენებლობის შემოტანით ევროპიდან (და არა რუსეთიდან, ვ. ც.). თუ რატომ ევროპისაკენ იხედება ის და არა რუსეთისაკენ, ეს გარემოებაც ადვილი ასახსნელია ჩვენთვის, რადგანაც ვიცით, რომ მენშევიკების საბჭოთა რუსეთი მტრად მიაჩნდათ და მის პროლეტარიატის დიქტატურას და ბოლშევიკების პარტიას გაურბოდა, „ებრძოდა მას“. პროფ. ივ. ჯავახიშვილიც ამ მოტივაციით ცდილობს ევროპასთან იქონიოს კავშირი და საქართველო რუსეთიდან მთლიან მოცილებულად წარმოუდგინოს საზოგადოებას ისტორიულადაც. ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ მისი ეს ნაც. ბურჟუაზიული მენშევიკური კონცეპცია მენშევიკმემამულე ბუნებიდან გამომდინარეობს, რომელსაც სურს ლიბერალიზმისა და ანტიმარქსისტული ანტილენინური შეხედულების გზით საზოგადოების უმრავლესი ნაწილი უფსკრულში გადაჩეხოს. საინტერესოა, რა მოუვიდა მის მიერ დასახე-

[8] Проф. **Ив. Джавахов**, Политическое и социальное движение в Грузии в XIX г., стр. 10.

ლებულ „პარტიებს“. საინტერესოა, რატომ ვერ ხედავს და ვერ აფასებს ამ ჯგუფს, რომელიც რუსეთის მხარეზედ იდგა, მაგალითად: თორნიკეს, მიხეილს, სოლომონს, ელიზბარ და სხვა ერისთავებს, ქსნისა და არაგვის აზნაურების და მათი მომხრეების „ხროვას“. ესენი მაშინაც ხომ გადაჭრით ემხრობოდენ რუსეთს, როდესაც 1804 წელს მთიულეთში ამბოხება მოხდა, ამბოხებულებმა მათი ნაწილი დატყვევა (თორნიკე, შანშე, ელიზბარი და სხვები) და განუცხადეს, რომ თუ რუსეთს არ დაეხმარებით და ჩამოეთხოვით, გაგანთავისუფლებო. ერისთავები ამაზედაც არ თანხმდებიან და ტყვეობიდან უთვლიან რუსეთის მთავრობას, მიეშველონ მის ერთგულებას.[9]

რუსეთის ამ მომხრე ჯგუფიდან ზოგი ტყვეობაში, ზოგიც კი მთიულეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველი მხრით ხელს უწყობდენ რუსეთის გამარჯვებას; აგროვებდენ ჯარს, აწვდიდენ ცნობებს თვითმპყრობელის მოხელეებს ციციანოვს-ვოლკონსკის ამბოხებულთა მდგომარეობის შესახებ. გიორგი ამილახვარმა 1804 წელს 21 ივნისს იმერეთიდან გადმოსულ ბორჯომის ხეობაზე ბატონიშვილების წერილიც კი გაუგზავნა ვოლკონსკის. სთხოვდა ჯარსა და 100 მანეთს ფულს ფარნაოზისა და იულონის დასაჭერად, თანაც დასძენდა, რომ მე თქვენგან დაჯილდოებული არ ვარ და ისინი (ბატონიშვილები, ვ. ც.) მენდობიანო.[10]

ბატონიშვილები ფარნაოზი და იულონი კი გიორგი ამილახვარს დახმარებას სთხოვდა რუსეთის წინააღმდეგ და ამავე დროს ემადურებოდა, მათთვის შეეტყობინებინა აღმოსავლეთ საქართველოს მთლიანი ვითარება.

ისტორიკოსი ხელს აფარებს იმ ჯგუფს, რომელიც ერეკლეს და გიორგის მეფობის დროს გაძევებულ იქნა „თავიანთ სამფლობელოდან“, ჩამოყენებულ იქნა სამოხელეო თანამდებობიდან და განიცდიდა შევიწროვებას თვით ერეკლე და გიორგი მეფეების პოლიტიკის გამო.

ზემოაღნიშნული ფაქტების შემდეგაც კი ასე უნიადაგოთ ამტკიცებს პროფ. ჯავახიშვილი, რომ „არც გიორგი და არც ხალხი რუსეთთან შეერთების მომხრე არ იყოო“.

კიდევ ერთი საინტერესო ცნობა: მეფის მოხელე რეიხი 1803 წელს 15 იანვარს ციციანოვს სწერს, რომ მასთან მისულა ივანე ციციშვილის შინა ყმა ქალი და განუცხადებია, „რომ ყველა ყმა გლეხები რუსების ერთგულია, მხოლოდ თავადებსა და აზნაურებს რუსები სძულთო.

აქ დაჭარბებულია საყველური თვითმპყრობელი რუსეთისადმი, მაგრამ ჯავახიშვილის მიერ აღიარებული ხალხის ერთსულოვნების ფაქტი სრული სიყალბეა. გლეხობა, რომელიც გმინავდა რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის საქართველოში შემოსულამდე ბატონყმობის ულის ქვეშ, რუსეთიდგან შველას მოელოდა, მაგრამ მოტყუვდა. პროფ. ჯავახიშვილს კი სურს დაამტკიცოს ფეოდალიზმის „სიმტკიცე“, მისი „სოლიდარობის პრინციპი“ იმისთვის, რომ ქართველი ერი ისტორიულად მენშევიზმის სამეფოშიაც ერთსულოვან, შეკავშირებულად წარმოადგენს საზოგადოებას, ეს ააშკარავებს პროფ. ჯავახიშვილის ისტორიულ კონცეპციის ანტილენინურ ბუნებას.

"Первое серьезное возстание произошло в 1804 г., когда горцы-грузины поднялись против рус. правительства, заявив, что владычество русск. довело их до крайности, что они смягчены поборами и требованиями натуральной повинности, и потому решили не пропускать больше ни одного русского в Г."[11]

განა შეიძლება ოდნავადაც უყურადღებობა იმ ფაქტისადმი, რომლის გატარებას შეუდგა თვითმპყრობელური ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა. ისტორიამ კარგად იცის ის ამბავი, რომ თვითმპყრობელურმა რუსეთმა თავისი „გარუსების“ პოლიტიკით აქ მკვეთრად მოიკიდა ფეხი: გაამეფა სასტიკი რეჟიმი, ჩამოაყალიბა

[9] აქტი – №№600, 602, 605, 607, 615, 619, 630 (იგულისხმება „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ მეორე ტომი – მ. ვ. ვ. გ.).

[10] აქტი – ტ. 2, №626 (იგულისხმება „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ მეორე ტომი – მ. ვ. ვ. გ.).

[11] Энциклопед. словарь. 7-ое изд., стр. 208. Гранат.

ფორმალური სასამართლოები, აუკრძალა ხალხს თავის ენაზე საჩივარი და პასუხი, დაურიგა ჩინები მის ერთგულ თავად-აზნაურობას, მიაკაჭვა გლეხები კიდევ უფრო მეფის ერთგულ მებატონეებს, თავად-აზნაურობას, გაამეფა მოხელეების ცუდი საქციელი, მექრთამეობა და სხვა-დასხვა.

მაგრამ საკითხისადმი ცალმხრივი მიდგომა იქნებოდა ჩვენს მიერ, თუ არ აღნიშნავდით იმ უდიდეს შეცდომებს გლეხობისას, რომელსაც უკანასკნელი აგრეთვე განიცდიდენ თავის მებატონეებისაგან, თავად-აზნაურობისაგან: მრავალნაირი გადასახადები, ერისთავების მიერ ჯარში გაწვევა ისე, როგორც ეს თითოეულ ფეოდალს მოესურვებოდა, ტყეთა გაყიდვა ხომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო და სხვ. საკითხის იმნაირი დაყენება, რომ მხოლოდ თვითმპყრობელური მეფის რუსეთის შემოსვლამ გამოიწვია 1804 წლის მთიულეთის ამბოხებაო, შემცდარი დებულებაა. საქმე იმაშია, რომ არა მარტო რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკამ გამოიწვია საქართველოში 1804 წლის გლეხთა ამბოხება, არამედ მან ხელი შეუწყო და გააღვივა ის მძიმე პირობები და მოპყრობა გლეხობისადმი, რომელსაც ადგილობრივი თავად-აზნაურობისაგან და მათი მოხელეებისაგან განიცდიდენ. პროფ. ჯავახიშვილს აქ უგულებელყოფილი აქვს კლასობრივი დამოკიდებულება გლეხობისა და თავ. აზნაურობას შორის, ის მარტო რუსეთის მაძაგებელთა როლში გამოდის. მთიულეთის ამბოხების დროს, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდა მისი მეზობელი რაიონები, ამბოხებულებმა, ნიშნად მტრობისა, მებატონეებს ბაღები გაუნადგურეს, თავადიშვილები დახოცეს და სხვ.

ასე მაგ. 1804 წლის 30 სექტემბრის აღმასრ. ექსპედიციის პატაკი ციციანოვისადმი ამბობს, რომ ანანურის კაპიტან ისპრავნიკის (20 აგვისტოს) პეტროვსკის ცნობით მეამბოხეები შეიჭრენ დუშეთის ფეოდალების და, მათ შორის, ვახტანგ ბატონიშვილის ბაღებში და აოხრეს ისინი, დიდებულები ამოსწყვიტეს, სახელმწიფო ყაზარმა გადასწვეს, მცხოვრებთა დიდი ნაწილი გაცარცეს და სომეხი შერმაზაროვი ტყუედ წაიყვანესო.[12]

[12] აქტი – №2, საქმე 658.

გლეხთა მოძრაობის ეს სახე შემდეგ პერიოდებში უფრო მკვეთრად მჟღავნდება, კახეთისა და შემდეგ იმერეთ-გურია-სამეგრელოს მოძრაობა-ამბოხებანი განსახიერებაა იმ კლასობრივ დაპირისპირების, რომელიც არსებობდა ფეოდალ-თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის.

პროფ. ჯავახიშვილი აქაც თავისებურ მეთოდს მიმართავს და იმერეთის მნიშვნელოვან ამბოხებაში მიზეზს მხოლოდ საეკლესიო რეფორმაში ხედავს, აღნიშნავს, რომ ეკლესიის რეფორმამ, მიწების აღწერამ, გელათის და ქუთაისის მიტროპოლიტების გადასახლებამ უთანხმოება და ხალხთა აჯანყება გამოიწვიაო. კიდევ უფრო ფართოდ გადმოგვცემს ამ შემცდარ აზრს პროფ. ჯავახიშვილი თავის შრომაში. В 1820 году вспыхнуло возстание в Западной Грузии, Имеретию "Бывший правитель Империи ген. Курнатовский, по словам одного из участников подавления этого бунта, по ограниченности ума и по малодушию довел народ до возстания" На самом деле виновником является первый русский иерарх, экзарх Грузии феофилакт. Дело в том, что согласно трактату, о положении грузинской церкви должен был быть составлен особый артикул, но это русское правительства сочло излишним. После присоединения Грузии к России католикоса Антония до 1811 года не трогали, но в этом году его вызвали в Петербург, якобы для участия в заседаниях Синода: еще до того времени, пока глава грузинской церкви был вызван в Петербург, правительство помимо католикоса вело дело об уничтожении афтокефалии грузинской церкви. Угодливому архиепископу Вардааму было предложено составить проект подчинения грузинской церкви Синоду. Но было запрошено мнение всего остального грузинского духовенства ..."

ეყრდნობა რა ჯავახიშვილი მოყვანილ ჩანაწერს დუბერკოისაგან ციტირებულ ადგილიდან, როგორც ჩანს, პროფ. ჯავახიშვილს მხოლოდ საეკლესიო რეფორმა და თვითმპყრობელური რეჟიმი გამოყავს მიზეზად იმერეთის ამბოხებისა. ცხადია, მის „კონცეპციას და მეთოდს" მეტის გაკეთება არ ძალუძს – იმერეთის ხალხთა მოძრაობის მიზეზი კი სულ სხვაა. აჯან-

ყების მთავარი მიზეზი რუსეთის მოხელეების ცუდ საქციელთან ერთად ადგილობრივი ფეოდალების, მებატონეების მიერ გლეხობის თავგასული შევიწროვება იყო. აქ ხომ ყმათა გაყიდვა, წამება, გაჩუქება, მრავალ ნაირი გადასახადები როგორც მიწაზე, ისე სამუშაო ძალაზე, წყალზე „კანონით“ გათვალისწინებული იყო. ამასთან ერთად დას. საქართველოში მებატონეების სიმრავლე და მათი მადა გახსნილი მოთხოვნილება შავი ზღვიდან შემოსული კაპიტალის გამო, გადასახადების მომატებას, ახალის გამოგონებას და ნორმების გადიდებას ხომ საზღვარი არ ჰქონდა. „წლიდან წლამდე ეითარდებოდა გლეხთა ექსპლოატაცია, თავად-აზნაურობის შემწეობით ყმებს უკანასკნელ სისხლის წვეთს სწოვდენ, მებეგრეებს ახალ გადასახადებს და ბეგარას აკისრებდენ და ამისთვის სხვადასხვა საბაბსა და სახელს იყენებდენ. საბატონო ბეგარას, ათის თავს, ღალას, სამხედროს და სხვას თვითნებურად უმატებდენ ძველი ხელშეკრულების მიუხედავათ. გერმანიის გლეხთა მოძრაობიდან მოყვანილი ადგილი ანალოგიურია იმერეთის მოძრაობა-ამბოხებისა. ამას თან დამატა საეკლესიო რეფორმა, მიწების ჩამორთმევა, მიტროპოლიტების დაპატიმრება-გადასახლება, თავად-აზნაურობის და გლეხობის შევიწროვება რუსეთის პოლიტიკით.

იმერეთის მოძრაობაში თავად-აზნაურობამ და საეკლესიო წოდებამ სცადა გლეხობის მთლიანად მისი გამოყენება ამ ბრძოლაში, მაგრამ გლეხობის აუტანელი პირობები, რომელიც შექმნილი იყო თავად-აზნაურობისა და რუსეთის მოხელეების წყალობით, ხელს უშლიდა ამას. გლეხობის მიერ თავიდანვე აღებული გეზი: 1) პირველი — რუსეთის მოხელეების გარეკა, 2) მეორე — ბატონყმობის ურთიერთობისაგან თავის დახსნა, 3) მესამე — სახელმწიფო გადასახადებზე უარის თქმა — ვერ ურიგდებოდა ეკლესიისა და თავად-აზნაურობისაგან დასახულ ამოცანებს (საამისო მასალას აქტებიც გვიდასტურებს: ტომ. №621). გლეხობამ კარგად იცოდა რომ ისინი რუსეთის გარეკვის შემდეგ კვლავ შეავიწროვებდენ მათ. მაგრამ გლეხობა, რომლის ბუნება ისეთია, რომ მას არ შეუძლია თავისი მოძრაობის გამარჯვებამდე მიყვანა, მხოლოდ საკუთარი ძალღონით ფთა შეკვეცილი რჩებოდა. გლეხთა აჯანყება, ამბობს ამხ. სტალინი — შეიძლება გამარჯვებით გათავდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მუშათა აჯანყებასთან ერთად ხდება, თუ მუშები ხელმძღვანელობენ გლეხთა აჯანყებებს, მხოლოდ ასეთი კომბინირებული აჯანყება მუშათა კლასის მეთაურობით მიაღწევს მიზანს. გლეხობა არა მარტო თავად-აზნაურობასთან დამოკიდებულების საკითხს უკეთებდა თავისებურ შენიშვნებს, რომ მისგან დიდს ვერაფერს მიიღებდა მეფის რუსეთის მოხელეებთან ბრძოლაში, არამედ იცოდა ისიც, რომ ეკლესია თავის ავტოკეფალიისათვის იბრძოდა, მაგრამ ვინაიდან ერთი საერთო მაინც ჰქონდათ სამივე მიმართულებას, რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის თავიდან მოცილება და გლეხობა ხელმძღვანელობას ვერ კისრულობდა მუშათა კლასობრივი რევოლიუციონური სულისკვეთების უქონლობის გამო, ამიტომ გლეხობა თავად-აზნაურობასა და სამღვდელოებასთან აღმოჩნდა, მაგრამ არა მთლიანად, რამაც ხელი შეუშალა ბატონყმობის წინააღმდეგ ფართო მოძრაობის გაშლას. რომ ბატონყმობის წინააღმდეგ მართლაც ყოფილა მიმართული ბრძოლა გლეხობის მიერ, ამას ნათლად ააშფოთებს მეფის მოხელის სისოევის რაპორტი უმაღლეს მთავრობისადმი, რომ „ამბოხების ჩაქრობა იმიტომ ძნელდება, რომ გლეხობა ბატონყმობის წინააღმდეგ არის აგრეთვე აჯანყებულიო“.[13]

არ შეიძლება, ვფიქრობ, ერთი შესტყვისი ადგილი არ მოვიყვანოთ გერმანიის გლეხთა ომებიდან, რომელიც იმერეთის მოძრაობის ბუნების ზუსტ განსაზღვრას მოგვცემს: „არც თავად-აზნაურობა იყო იძულებული თავისი პოლიტიკური პრივილეგიები და თავისი ფეოდალური სამართალი დაეთმო გლეხობისათვის, არც რევოლიუციონურ გლეხობას შეეძლო ზოგადი და გაურკვეველი პერსპექტივების მქონე კავშირი დაემყარებია თავად-აზნაურობასთან, ე. ი. წოდებასთან, რომელიც მას ყველაზედ მტრად მიაჩნდა“.[14] იმერე-

[13] საქ. ცენტ. არქივის №4. იმერ. ამბოხების შესახებ. ეს ამავე უფრო ფართოდ მოცემული იქნება სპეც. მონოგრაფიაში.

[14] ფ. ენგელსი, გლეხთა მოძრაობა გერმანიაში, გვ. 99.

თის ამბოხებაში მოსჩანს კლასთა დაპირისპირების მწვავე სახეები. პროფ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული ახსნა ამბოხებისა და მისი მიზეზად აღიარება შეცდომაა, ის მხოლოდ შეიძლება საბაბად იქნეს გამოყენებული. ამიტომ ვამბობთ, რომ მისი ნაც. ბურჟ. ბუნება ისტორიული კვლევის შეთდისა მის შრომებს სრულიად მიუღებლად ხდის. დაპირისპირება თავად-აზნაურობასა, სასულიერო წოდებასა და გლეხობას შორის ჯავახიშვილს მოცემული აქვს სოლიდარობის პრინციპში.

"Это вызвало взрыв негодования среди населения. В 1819 году на берегу Риона состоялось чрезвычайное собрание князей, дворян, духовенства и нескольких тысяч народа. В этом собрании положено было истребить всех русских и избрать своего царя. Положение это написано на бумаге, утверждено подписью и печатами главных, а клятве запечатлена торжественного присягою на кресте и Евангелии. После чего избраны были начальники войск" (Началось восстание).[15]

ეხება რა 1840-იანი წლების რეფორმას ა/კავ. სისტემის დარგში, რომლის საკითხი 1830 წლებიდან მიმდინარეობს, დაასკვნის:

"В Грузии вспыхнул благадаря этой знаменитой реформе бунт, в Осетии и Велоканах начались волнения, всюду разгуливали шайки разбойников".[16]

აქ საკითხი ისეა დასმული, რომ თითქოს მხოლოდ რეფორმის შედეგი იყოს გურიის, ოსეთის და ბელაქანის გლეხთა მოძრაობანი. ფაქტის სისწორით აღნიშვნისათვის უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულმა რეფორმამ, რომელსაც სენატორი პანი ხელმძღვანელობდა, ხელი შეუწყო იმ უდიდეს უკმაყოფილებას, რომელიც შექმნილი იყო გურიის, ოსეთის, ბელაქანის და სხვათა კუთხეების მშრომელ საზოგადოებაში რუსეთის ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკისა და ადგილობრივი ბატონყმობის — თავად-აზნაურობის აღვირახსნილი საქციელის გამო.

იმერეთზე უკეთ გურიაში მოსჩანდა შავი ზღვის გავლენა ეაჭრობის დარგში. აქ უკვე თითქოს პროცესი იწყებოდა ძველი ნატურალური მეურნეობის დაშლისა და ახალი სახე შემოდიოდა შიგ. ფეოდალები, თავად-აზნაურობა, მებატონეები, მადა გახსნილი კაპიტალის წყალობით, ადიდებდენ უსაზღვროდ გადასახადს. მთავრობამ შეღავათიანი ტარიფებიც მოსპო, რითაც ადგილობრივ მოსახლეობას მოუსპო შესაძლებლობა ევროპიდან შემოსული იაფ ფასიანი და კარგი საქონელი შეეძინა ევროპის სახელმწიფოს კაპიტალის შიშის გამო, აგრეთვე რუსეთის ამ დროს საფეიქრო მრეწველობის გაზრდის გაშლისათვის, რამაც დიდად დააზარალა გლეხობა, რადგან მათ უფრო ადვილად, ხელმისაწვდომად შეეძლოთ შეეძინათ შავი ზღვიდან ევროპიდან შემოსული საქონელი, ვიდრე რუსეთიდან. ადგილობრივ თავგასულ მოქმედებას და ძარცვას გლეხობისას თავად-აზნაურობის მიერ ემატებოდა თვითმპყრობელური ცარიზმის მოხელეების ცუდი საქციელი. მეტი გამოსავალი არ იყო — გურია უნდა აჯანყებულიყო და სხვებიც. ამ აჯანყებას, შედარებით სხვა აჯანყებებთან, ორგანიზაციული სახე ჰქონდა, გლეხური აჯანყება იყო და კავშირი ჰქონდა მეზობელ რაიონებთან (იმერეთი და სხვ.).

არ არის სწორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი, რომ აჯანყების მიზეზად რეფორმებსაც ასახელებს. აი, როგორ მიზეზებს ასახელებდა თვითონ გლეხობა აჯანყების დაწყებისას:

1) 1840 წელს შემოიღეს მძიმე სახელმწიფო ბეგარა, რომლის ასრულება გლეხობის ძალას აღემატებოდა.

2) ნატურალური საერობო ბეგარათა მაგიერ შემოიღეს ერთიანი ფულადი გადასახადი.

3) შემოიღეს სულადი გადასახადი.

4) ხაზინა გადასახადში ღებულობდა მხოლოდ რუსული ფულის ნიშნებს, გურიაში კი უმთავრესად ოსმალური ვერცხლის ფული იყო გავრცელებული.

5) ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელნი ავიწროვებდენ გლეხებს, უხეშად ექცეოდენ, აპატიმრებდენ და ციხეში ალპობდენ უდანაშაულო პირებს.

6) გლეხთა შორის გავრცელდა ხმები: რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს

[15] Пр. **И. Джавахов**, Политическ. и социальное движение в Грузии в 19 в., стр. 22, 23.

[16] стр. 32.

გურიაში ჯარის კაცები, რეკრუტები შეკრიბოსო.

7) სამღვდელოება უზომო ფულს თხოულობს მღვდელმსახურების შესრულებისათვის.

8) გლეხები გაბოროტებული იყვნენ მებატონეთა წინააღმდეგ ათასგვარი შეურაცხოების, მკაცრი მოპყრობისა და ბეგარის მომატების გამო.[17]

პროფ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი მიზეზები გურიის გლეხთა აჯანყებისა ნათესაურ კავშირში იმყოფება დ. ყიფიანის მიერ მოცემულ აჯანყების მიზეზთან, რომელსაც ასეთ მიზეზად „ქართფილის თესვის" შემოღება მიაჩნია. ჯავახიშვილი და ყიფიანი გურიის აჯანყებაში მეტს ვერ ხედავენ, ასეთი სხვა აჯანყებების ახსნაც ისინი სინამდვილეს დაშორებული არიან, ნამდვილ რეალურ ფაქტს გვერდს უვლიან, ამახინჯებენ გურიის გლეხური მოძრაობის ბუნებას, რომელიც შედარებით ორგანიზებული იყო და მით დაფარული აქვთ კლასთა წინააღმდეგობა თავადაზნაურობისა, მებატონეებისა და გლეხობას შორის.

ვორონცოვის პოლიტიკის განხილვის დროს პროფ. ჯავახიშვილი წმინდა შემარიგებლურ როლში გვევლინება:

"Воронцов признавал своей задачей способствовать культурному возрождению груз. народа, оказывать и моральную и материальную подержку груз. культурно-национальным учреждениям и деятелям, покровительствовал и груз. издательской деятельности, в том числе к периодической прессе".

"Появились в печати сочинения груз. писателей эпохи возрождения, вышел в 1952 г. и журнал "Цискари" (Заря). Редакция органа принадлежала почти исключительно и вышему слою груз. Общества, точно так-же, как и читатели и подписчики.

Под влиянием культурной политики кн. Воронцова выработалось чувство доверия и лойального отношения к вышей власти крае.[18]

პროფ. ჯავახიშვილი სწორი მეც. მეთოდის არ ქონების გამო ეყრდნობა მთლიანად იმ აზრს, რომ ვორონცოვის ეს პოლიტიკა მიმართული იყო ქართული ნაციონალური კულტურის ზრდისა და წინ მსვლელობისაკენ. ეს ერთხელ კიდევ მთლიანად ააშკარავებს მის ბურჟ. ნაც. ბუნებას, რადგან ვორონცოვის ეს პოლიტიკა, მაღალი წრისაკენ მიმართული, ჯავახიშვილის მიერ მოწონებულია. მას სრულიად უგულებელყოფილი აქვს მშრომელი მასების იმდროინდელი მდგომარეობა, აგრეთვე შეუფასებელია მის მიერ ის აზრი, რომ მეფის მოხელის ეს პოლიტიკა, თავის ფორმითა და შინაარსით, უფრო ადრე აყენებდა საკითხს ქართველების „გარუსებისა", ვიდრე მის პროგრესიულ მდგომარეობაში ჩაყენებისას.

როდესაც წინანდელ წლეებში, ამბობს ამხ. სტალინი, სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში რუსეთის ძველი საადგილმამულო არისტოკრატია იდგა, ნაციონალურ ჩაგვრას შეეძლო მიეღო და ნამდვილად იღებდა ხოცვა-ჟლეტის და „პროგრამების საზიზღარ ფორმას" (სტალინი).[19]

სურათი ნათელია, საქმე არა მარტო იმაშია, თუ რა კეთდებოდა, არამედ საკითხავია, თუ ვისთვის და რატომ კეთდება ის, როგორც ამას ამხ. ლ. ბერია გვასწავლის. ნოე ჟორდანია 1898-1899 წ.წ. აშკარად გამოდიოდა დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის აპოლოგიით, იგი იცავდა კაპიტალიზმის ცივილიზატორული მისიის იდეას კოლონიალურ და ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის, იგი ამტკიცებდა, ჩამორჩენილმა კოლონიურმა ხალხმა უცხოეთის კაპიტალის გაბატონება ისტორიულად აუცილებელ, პროგრესიულ მოვლენათ უნდა მიიჩნიოს და სათანადოთ შეაფასოს კაპიტალიზმის დახმარებაო".[20]

ჟორდანიას ნაც. ბურჟუაზიული კონცეპცია მისთვის კანონზომიერია, მაგრამ უკუგდებულია მარქსიზმის მიერ. ასეთივე სახე ჰქონდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს.

[17] გ. ბაჭაურიძე, გლეხთა ომები, 19 გვ. 54.

[18] И. Джавахов, Энцик. Словарь, 7-е издан., стр. 13.

[19] სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ კოლონ. საკ. გვ. 64-65.

[20] ლ. ბერია, ა/კავ. ბოლშ. ორგან. ისტ. საკითხ., გვ. 8-29.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ ვორონცოვი იმ რუსეთის შვილი იყო, სადაც ჯერ კიდევ ნიკოლოზ I-მა 30 წლებში საიდუმლო კომისია შეჰქმნა ბატონ-ყმობის საკითხების გადასასინჯავად, რომლის გადაჭრა მან ვერ შესძლო. ვორონცოვი კარგად აფასებს იმას, რომ სწორედ ამ მოწინავე არისტოკრატიის მოსყიდვით მას „ყოველივესი გაკეთება შეუძლია. აქ სწორედ ეს მოწინავე კლასი მისი „ჭრაქია“, რომ ვორონცოვმა გზა გაინათოს ამ „სიბნელეში“ და რაც სურს, ის გააკეთოს. ზოგიერთ ჩვენს ისტორიკოსს ისიც კი აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, როდესაც ვორონცოვი 1850 წლებში მოწინავე კლასის მდგომარეობას „ამტკიცებდა“, ეს ხალხი მის საბოლოოდ დასაყრდენ ძალად აქვს წარმოდგენილი. ეს კი შეცდომაა. ვორონცოვის დიპლომატია შემდეგს „ღაღადებს“:

„მეფის მოხელე თავადი ვორონცოვი თავის მოხსენებაში 1846 წელს ასეთ ნაირად ასაბუთებს ბატონყმობის საჭიროებას: ყველგან, სადაც კი ხალხი მოქალაქეობრიობის დაბალ საფეხურზე იმყოფება, მთავრობისათვის გაცილებით უფრო ძნელია მთელ მასაზე მოქმედება, ვიდრე ეს წოდებაზე, რომელიც უფრო განათლებულია და როდესაც, მაშასადამე, მეტი გავლენა აქვს. აქ კი (კავკასიაში) ამ მხრით პოლიტიკური მდგომარეობის გამო სიძნელეები კიდევ უფრო საგრძნობია. ამიტომ არამც თუ არ შეიძლება უმაღლესი უფლების „შეკვეცა“, არამედ საჭიროა ამ უფლებათა დაცვა და გაძლიერება, ვინაიდან მხოლოდ არისტოკრატიულ საწყისს შეუძლია დასძლიოს დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც განვითარდა და ღრმად გაიდგა ფესვები და რომლის წინააღმდეგაც აქამდე მიმართული იყო მხოლოდ იარაღი, მეტი დასაყრდენი კი არ არსებობდა“.[21]

აქ საკმაოდ ნათელია, თუ რატომ სურს ვორონცოვს მოწინავე არისტოკრატიულ ფენებზე დარყდნობა, იმ ფენებზე, მისი გამოთქმით რომ ვთქვათ, მხოლოდ რომელთაც შეუძლიათ დასძლიონ დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც განვითარდა და ღრმად გაიდგა ფესვები“.

დასკვნისათვის ავღნიშნავთ, რომ ფაქტები ყველაფერს არ ნიშნავს. პროფ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილ ფაქტებზე მკითხველს ისეთი შეხედულება რჩება, რომ თითქოს საქართველო განვითარების რელსებზე შედგაო. რომ ამ „განვითარებით“ მშრომელ მოსახლეობას მართლა მიეღო რაიმე, ეს არსად ჩანს. პირიქით, როგორც ამას პროფ. ორაგველიძე სამართლიანად აღნიშნავს, „როდესაც რუსეთში მზადდებოდა დიდი საგლეხო რეფორმა, ა/კავკასიაში მიმდინარეობდა ბატონყმობის კიდევ უფრო გაძლიერების პროცესი“. ვფიქრობ, ამის შემდეგ საქართველოში მშრომელ მოსახლეობისათვის, და საერთოდ საქართველოს, შინაარს მოკლებულია პროგრესიულობის მტკიცება კი ამ დროს თვითმყრობლური ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წყალობით. საკითხი გარკვეულია.

ჩემს მიერ დასახელებულ საკრიტიკო ობიექტებში არის მრავალი სხვა ადგილები მეტად მნიშვნელოვანი და ისტორიკოსის მიერ დამახინჯებულად გადმოცემული, რაც აგრეთვე მკვეთრ კრიტიკას მოითხოვს, თანაც მეტ დროსა და ადგილს, განსაკუთრებით 50-80 წლებამდეც, სადაც გვაქვს ამხ. ლ. ბერიას ზუსტი განსაზღვრა ამ პერიოდის საზ. აზროვნებისა და ბრძოლის შესახებ, რომელსაც სცილდება აგრეთვე პროფ. ჯავახიშვილი. მაგრამ ეხლა საინტერესოა განვიხილოთ მისი კონცეპციით მოცემული მუშათა მწვავე ბრძოლის პერიოდი 90-იან წლებიდან:

"Аграрное движение, вспыхивавшее в различных местностях еще с 90-х гг. XIX ст. схватило в 1904-05 г. г. всю Г. возникнув на чисто экономической почве с единственной целью добиться от земледельцев улучшения арендных условий, это движение правительством было признано политическим и повлекло за собою репресивные меры со стороны местных властей".

აქაც, როგორც ყველგან, პროფ. ჯავახიშვილი ცდილობს მოგვაჩვენოს გლეხობის არა რევოლიუციონური სახე, რომელსაც მხოლოდ ეკონომიური პირობების გაუმჯობესება აინტერესებს და პოლიტიკას ის არ ცნობს. საკმაოა ზოგადად გა-

[21] პროფ. კ. ორაგველიძე, კაპიტ. განვითარება ა/კავ. სოფლის მეურნეობაში, გვ. 10.

დაველოთ თვალი საქართველოს მაშინდელ მოძრაობას, რომ დარწმუნდეთ იმაშიც, რომ არამც თუ საქართველოს შედარებითი განვითარებული კუთხეები, არამედ იმ ადგილშიც-კი, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამდე „ბატონყმობა იყო, ხალხი რევოლიუციონურად იყო განწყობილი. აი, რას იწერებიან ზემოსვანეთიდან". ეს აშკარა მაგალითია იმის (ლაპარაკია ექიმის შესახებ, რომელიც სვანეთისათვის იყო დანიშნული და უმთავრეს დროს ქუთაისში ცხოვრობდა, ე. ც.) თუ როგორც ზრუნავს მთავრობა ხელისუფლებისათვის. დროა, რომ ამ უსამართლობას ბოლო მოეღოს თვით ხალხმა, იმ ხალხმა, რომელსაც აქამდე ასე მასხრად იგდებდენ, რომელსაც ასე ატყუებდენ".[22]

აშკარაა ის ამბავი, რომ პროფ. ჯავახიშვილს სურს დაამახინჯოს რეალური არსებობა მდგომარეობისა — ფაქტისა, მაშინაც კი, როდესაც თვითონვე ამბობს, რომ მთავრობის მიერ ეს ამბობება აღიარებული იყო პოლიტიკურად. ეს იმიტომ, რომ ის, როგორც ნაციონალური ბურჟუაზიის სულისკვეთებით გაჟღენთილი, ვერ ხედავს მუშათა კლასის რევოლიუციონურ სახეს მის კლასობრივ ფორმაში, ვერ აფასებს მისი ბრძოლის როლს, მის ხელმძღვანელ როლს გლეხთა მოძრაობაში და არ უნდა გაიგოს საკითხი პროლეტარიატის ჰეგემონობისა და როლის შესახებ, პროლეტარიატის, რომელმაც საქართველოში მხარში ამოუდგა რუსეთს და გლეხობასთან ერთად ცარიზმის პოლიტიკას სასტიკად შეუტია. განა შეიძლება ასე უპასუხისმგებლოდ მტკიცება იმისა, რომ გლეხთა მოძრაობას საქართველოში წმინდა ეკონომიური ხასიათი ჰქონდაო მაშინ, როდესაც ამბ. სტალინის ინიციატივით და ხელმძღვანელობით არსებობდა გურიის, იმერეთის, სამეგრელოს გლეხთა კომიტეტები. განა შეიძლება იმ ფაქტის ასე გულუბრყვილოდ უგულებელყოფა, რომ ბათუმის მუშათა გაფიცებებმა და მუშათა გადასახლებამ სოფლებში, იმ მუშათა, რომელთა მოძრაობის და ჩამოყალიბების სულის ჩამდგმელი ამბ. სტალინი იყო და რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს გლეხობაში მისი ორგანიზაციულად და რევოლიუციურად დასარაზმავად პროლეტარიატის ხელმძღვანელობით? ამაზე შორს ვერ წავა ისტორიის ფალსიფიკაცია, მაგრამ პროფ. ჯავახიშვილს ჯერ არტამის გამოსწორებაზე არ დაუძრავს სიტყვა. აი, რას მოგვითხრობს ამბ. ლ. ბერია გლეხთა მოძრაობიდან: „რევოლიუციის განსაკუთრებით დიდ აღმაელობას ვხედავთ ა/კავკ. მთელ სოფლებში. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (ოზურგეთი, ზუგდიდი, სენაკი, გორი, დუშეთის, ტფილისის და თელავის მაზრებში), მეტადრე გურიის (ოზურგეთის მაზრა), გლეხთა დიდი შეიარაღებული აჯანყებები ხდებოდა. გლეხთა რევოლიუციონური კომიტეტები — რევოლიუციონური გლეხობის შეიარაღებული აჯანყებების ორგანოები ახორციელებდენ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას, ყოველგვარი გადასახადების გაუქმებას, მემამულეთა, სამღვდელოების, მთავრობისა და დაწესებულებათა ბოიკოტებს".[23]

როგორც ვხედავთ, აქ არა მარტო ეკონომიურ საკითხებთან ჰქონია გლეხობას საქმე, არამედ მთავარი ყოფილა გლეხობის პოლიტიკურ-რევოლიუციონური დარაზმვა. ხოლო რომ ამ რევოლიუციონურ მოძრაობას რუსეთის მასშტაბითაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ამას ჩვენ ამბ. ლენინი გვიმტკიცებს: „ჩვენ გაგვასწრეს ამ მხრივ კავკასიამაც, პოლონეთმაც და ბალტიის მხარემაც, ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცილდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთესად არის მომზადებული, სადაც პროლეტარიატის ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე ძლიერ და მკაფიოდ არის გამოხატული" (ლენინი, თხზ., ტ. 9(27).

პროფ. ჯავახიშვილს სძაგს საზოგადოებაში არსებული კლასთა წინააღმდეგობის სახელის ხსენებაც კი, მაგრამ მისი ანტიმარქსიზმი კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ გაბატონებული ნაციონალური ბურჟუაზიის არსი კალთებიდან ფოველგვარ შინაგან წინააღმდეგობის გარეშე — იცავს ნიღაბ ჩამოფარებული მის შე-

[22] ჟურნალი „მოგზაური", 1905 წ., გვ. 182.

[23] ლ. ბერია, ა/კავკ. ბოლშევიკურ. ორგ. ისტ. საკითხი.

ნარჩუნებას და მოითხოვს ძველი „სამართლიანობის“ აღდგენას: „წინამდებარე მონოგრაფია მხოლოდ საქართველოს საზღვრებს არკვევს ისტორიულადაც, თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში, ან როგორ იცავდა ამ საზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაშიც და რანაირად უნდა შემოისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის (ლაპარაკია მენშევიკურ რესპუბლიკაზე, ვ. ც.) სახელმწიფოს საზღვრები ამჟამად, როგორც საერთაშორისო სამართალიო. 1783 წლ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებათა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილ იქნეს“.

მენშევიზმის ქურქში გამოხვეული პროფ. ჯავახიშვილი ცდილობს საზღვრების დაცვისათვის ყველაფერი შეასრულოს, დათმოს საქართველოს მენშევიკურ დამოუკიდებლობისათვის ყოველივე, მაგრამ ის არ ცდილობს ფაქტები ისე განაზოგადოს, რომ ამით ფარდა ახადოს „მონურ“ სიბნელეს და მენშევიკურ ბუნებას. ერის პოლიტიკური უფლების საკითხი ჯავახიშვილისათვის საზღვრებია და არა მუშათა კლასის და გლეხობის ბრძოლის ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა მათი განთავისუფლებისათვის ექსპლოატატორებისაგან. ბოროტად გაგებულია სტალინური დებულება ერთა თვით გამორკვევის უფლების შესახებ. „თვით გამორკვევის უფლება მხოლოდ თვითონ ერს აქვს, უფლება, გაიბასწყვიტოს თავისი ბედი, არავის არ აქვს უფლება ძალდატანებით ჩაერიოს ერის ცხოვრებაში, დაანგრიოს მისი სკოლები და სხვა დაწესებულებები, შეშუშაროს მისი ზნენი და ჩვეულებანი, შეავიწროვოს მისი ენა, შეკვეცოს მისი უფლებები“.

„ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია ერის ყოველ მოთხოვნილებას დაიცავს. ერს უფლება აქვს დაუბრუნდეს თავის ძველ წესებსაც კი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია ხელს მოუწერს ერის ამა თუ იმ დაწესებულების ასეთ დადგენილებას. მოვალეობა სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც პროლეტარიატის ინტერესებს იცავს და უფლება ერისა, რომელიც სხვა და სხვა კლასებისაგან შედგება, ორი სხვადასხვა საგანია.[24] პროფ. ჯავახიშვილის აზრი ქართველი ერის პოლიტიკური თავისუფლების შესახებ უკუგდებულია მისივე განსაზღვრით, რადგან ის გამოდის იმ ერის თვითგამორკვევის უფლებისაგან, რომელიც სხვადასხვა კლასისაგან შედგება და მხარს უჭერს მაღალი წრის, გაბატონებული კლასის სურვილებს. ის საზღვრების გაფართოებით, იმ საზღვრების, რომლის ბატონ-პატრონი ბურჟუაზიაა და არა პროლეტარიატი, ცდილობს მრავალი ტერიტორია შემოიფარგლოს, რომ შიგ ჩამთრეული ხალხი ერთიმეორეს წაკიდოს, როგორც ეს მენშევიკების დროს იყო“. გვ. 34.

ამრიგად, თვით გამორკვევის პრინციპის ძველი ბურჟუაზიული დემოკრატიული განმარტება იქცეოდა ფიქციად, კარგაუდა თავის რევოლიუციონურ აზრს. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა ეროვნული ჩაგვრის მოსპობაზე, წერილ და ნაციონალურ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობაზე. აშკარა ხდება, რომ ჩაგრული ერების მშრომელთა მასების განთავისუფლება და ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა წარმოდგენილია იმპერიალიზმთან კავშირის გაწყვეტის გარეშე, თავის ნაციონალური ბურჟუაზიის დამხობისა და თვით მშრომელთა მასის მიერ ხელისუფლების აღების გარეშე.[25]

როგორც სტალინი გვასწავლის, ერთა თვით გამორკვევის პრინციპის მიზნები და ამოცანები განხორციელებული იქნება ნაციონალური ბურჟუაზიის დამხობის, პროლეტარიატის ჰეგემონიის გატარებით და არა საზღვრების გაფართოებისა და მშრომელთა მასის ამოჟლეტით, როგორც ეს ჯავახიშვილს ჰგონია. „იბრძვის რა ერთა თვით გამორკვევის უფლებისათვის, სოციალ-დემოკრატია მიზნათ ისახავს, ბოლო მოულოს ერთის ჩაგვრის პოლიტიკას, შეუძლებელი გახადოს იგი და ამით ერთა ბრძოლას ძირი გამოუთხაროს, მოაწლუნგოს, მინიმუმამდე დაიყვანოს“ (სტალინი, *იქვე*).

---

[24] სტალინი, მარქსიზმი და ნაც. კოლ. საკითხი, გვ. 20.

[25] იქვე, გვ. 59.

აქ პროფ. ჯავახიშვილი კი ქართველ და სომეხ ხალხთა ურთიერთობის საკითხს ასე უყენებს: „ძველი წარმოსადგენია, როგორია ძმობა-ერთობის ჰანგზედ დამღერდენ დაშნაკთა ბელადები, რა საზღვრებს მიაკუთვნებდენ ისინი საქართველოს, მათ მოუფიქრებელ მოქმედებას მთელი ქართველობა, დიდით-პატარამდე, კიდით-კიდემდე არ შეეძრა და შემოსული მტერი მედგრად არ უკუეგდო“.[26]

„ამხ. სტალინმა ტფილისის პარტორგანიზაციის კრებაზე – აღნიშნავს ამხ. ლ. ბერია – 1920 წლის 6 ივნისის წაკითხულ მოხსენებაში „კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ა/კავკასიაში“, ა/კავკასიის კომუნისტების ძირითად პოლიტიკურ ამოცანად დასახა დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალიზმთან.

იგი ამბობდა:

„1905-1917 წლ., როცა ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მუშებსა და, საზოგადოთ, მშრომელთა შორის არსებობდა სრული ძმური სოლიდარობა, როცა ძმური კავშირი სომეხ, ქართველ, აზერბაიჯანელ და რუსს მუშებს აერთებდა ერთ სოციალისტურ ოჯახად. ეხლა ტფილისში ჩამოსულისას მე გაოცებული ვიყავი, რომ ა/კავკ. ეროვნებათა მუშებს შორის ყოფილი სოლიდარობა აღარ არსებობს. გლეხებსა და მუშებში განვითარებულა ნაციონალიზმი, გაძლიერებულა უნდობლობის გრძნობა სხვა ნაციონალურ ამხანაგებისადმი: ანტი სომხური, ანტი ქართული, ანტი თათრული, ანტი რუსული და სხვა“.[27]

პროფ. ჯავახიშვილს „ხელდაფარებული აქეს“ მენშევიკების ცუდი საქციელი, რომლის წინააღმდეგ მუშები და გლეხები ირაზმებოდენ, მაგრამ ამავე დროს მენშევიზმის ნაციონალიზმით მოწამლული ქართული მშრომელი მასა სომხეთის დაშნაკების პოლიტიკით მოწამლულ მშრომელ მასასაც უპირისპირდებოდა, რადგან მათ შორის დარღვეული იყო ძმური სოლიდარობის პრინციპი. თუ რატომ იყო გამოწვეული ყოველივე ეს, ჯავახიშვილი აქ ამის შესახებ არაფერს ამბობს, ჩქმალავს ყოველივე რეალურ არსებობას და აღვივებს მომძე ხალხთა შორის მტრობასა და წინააღმდეგობას.

ქვევით: თვით სომხებმა და არარატის რესპუბლიკის მთავრობამ ამ მხრივ ქართველობას, რასაკვირველია, თავისდაუნებურად, დიდი სამსახური გაუწიეს და მეზობელ ძმობა-ერთობაზე ტკბილ საოცნებო საზღვრებიდან გამოაფხიზლეს, როდესაც წინასწარ ფარული სამხედრო მომზადების შემდგომ მოულოდნელად საქართველოს სამხრეთის საზღვრები გადმოლახეს და დაუნდობელი საომარი მოქმედება დაიწყეს“.

ერებს შორის შუღლი და მტრობა პროფესორს აუცილებლად მიაჩნია, რადგან ეს გამოაფხიზლებს ქართველებს და უფრო უკეთ შეუძლებს საზღვრების დაცვასო. განა ასეთი კონცეპციით გაულენთილ ისტორიკოსს ოდნავად შეუძლია ერთა თვითგამორკვევის უფლებებზე და ხალხთა თავისუფლებაზე იმსჯელოს. შეცდომა იქნებოდა ყურადღება შეგვენელებია იმ მიმართულებით, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი თავის საზღვრების შენარჩუნებისათვის არ იბრძოდეს, რომელსაც დაიცავს სისხლის წვეთამდე. მაგრამ საინტერესოა, რატომ მხოლოდ ყოველთვის მოწინავე კლასის ერთი მუჭა ხალხის ნაციონალური ბურჟუაზიის კეთილდღეობისათვის ზრუნავს პროფ. ჯავახიშვილი და არა მშრომელი მასების კეთილდღეობისათვის, მათი სოლიდარობის – ინტერნაციონალური კავშირის შექმნისათვის. რა უნდა უწოდოთ, თუ არა ისტორიის ფალსიფიკაცია იმ აზრის უგუნებელყოფას, რომ მშრომელი მოსახლეობა შეივიწროებული მენშევიკების მიწის რეფორმით და მუდმივი ომიანობით სომხებთან, თათრებთან და მათ მომძე ხალხებთან, რომელშიდაც ნაციონალიზმი გააღვივეს მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელებმა. ეს მდგომარეობა სხვებთან ერთად მეტად ცუდ პირობებს უქმნიდა ქართველი ერის მშრომელებს. მათ ნაციონალური ბურჟუაზიის საზღვრებისა და მიწის დარაჯი კი არ აინტერესებდა, არამედ თვითონ სურდათ გამხდარიყვნენ მიწების, ხელისუფლებისა და სხვათა ბატონ-პატრონი.

ამრიგად, პროფ. ივ. ჯავახიშვილის შეხედულება და მისი ფაქტების კვლევა-

---

[26] პროფ. ივ. ჯავახიშვილი, საქართ. საზღვ. გვ. 57-59.

[27] ამხ. ლ. ბერია (მოხსენებიდან), ა/კ. ბოლშ. ორგან. ისტ. საკითხი, გვ. 146.

ძიების სფერო მე-19, 20 საუკ. საქართველოს ისტორიაშიც სუბიექტური სოციოლოგიის თვალსაზრისით, იმპერიალისტური მეთოდით, ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ (პომეშჩიკურ) კონცეპციიდან გამომდინარეობს. როგორც ჩანს, ის არასოდეს არ ცდილა თვალი გადაევლო და ობიექტურად შეეფასებინა სოციალისტური მშენებლობის ბრძოლის სახეები და ის უდიდესი მიღწევები, რომელთაც მშრომელი მასები პროლეტარიატის ჰეგემონობით ატარებდა და ატარებს საბჭოთა კავშირში მთელი მსოფლიოს წინაშე.

მაშინაც კი, როდესაც საბჭოთა რევოლიუციის დროს საბჭოთა კავშირში მშრომელმა ხალხმა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ხელთ აიღო ჰეგემონია და გიგანტური ტემპებით ეწეოდა ბურჟუაზიული მშენებლობას, ამ დროს პროფ. ჯავახიშვილმა ანტიმარქსისტული, ანტილენინური, ანტისტალინური დებულებებით გაჟღენთილი მშრომელები მოგვცა და მას შემდეგ არ უცდია აღეარებინა მის მიერ დაშვებული ეს უდიდესი შეცდომები.

ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ და პედ-პერსონალმა ჩვენი პარტიისა და მსოფლიო მუშათა კლასის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის და ა/კაეკასიის საუკეთესოდ გამობრძმედილ ბოლშევიკის ამხ. ლ. ბერიას მითითებების საფუძველზე კლავ უნდა გავამახვილოთ ყურადღება საქართველოს ისტორიის ფრონტზედაც და შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ ყოველგვარ დამახინჯებათა, ჩვენი კლასობრივ იდეური პოლიტიკური მტრების და ისტორიის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ, რომ მაღლა გვეჭიროს მარქს-ენგელსის-ლენინ-სტალინის დიდი და უძლეველი დროშა.

ნ. ბერძენიშვილი: სრულიად ბუნებრივია, რომ საკითხი საბჭოთა სასწავლებლებისათვის ისტორიის კურსის შექმნის შესახებ ჩვენს უნივერსიტეტში უპირატესად საქართველოს ისტორიის საკითხად იქცა: ჩვენი ისტორიის კურსის შექმნის საკითხი, მარჯვე და მართებულია, საქართველოს სამეცნიერო ძალებით გადაწყდეს და, უპირველეს ყოვლისა, საამისოდ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია მოწოდებული.

ასევე ბუნებრივია, რომ საქმე არსებულის შეფასებით იწყება: ნამემკვიდრევის კრიტიკული შეფასება მისი მართებულად გამოყენების აუცილებელი პირობაა.

შენიშვნა: ისტორიოგრაფიულ ნამემკვიდრევის კრიტიკული შეფასება მხოლოდ დღეს არ დაწყებულა ჩვენს უნივერსიტეტში.

ჩვენ, უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიაში მოღუშავენი, ყოველ ცისმარე დღეს ამ ნამემკვიდრევის კრიტიკულ შეფასებას ვაწარმოებთ. ყოველი ჩვენი ლექცია, მოხსენება თუ სამეცნიერო წერილი ასეთ შეფასების საფუძველზედ არის აგებული, ამ ნამემკვიდრევის პოზიტიური კრიტიკაა; ამის შედეგია ის, რომ დღეს საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო კურსი სრულიად ის არ არის, რასაც ფართე საზოგადოება დაბეჭდილ ისტორიების სახით იცნობს. ამის მოწმობაა საქართველოს ისტორიის კურსის ჩვენი საუნივერსიტეტო პროგრამა და ყველა ეს კარგად მოეხსენებათ ჩვენს მსმენელებს ამხ. სტუდენტებს და ამხ. ასპირანტებს.

ქართული ისტორიოგრაფია მე-19-ე საუკუნეში არ დაწყებულა და ძველად ფეოდალურ საქართველოში იყვნენ ისტორიკოსები, რომელნიც „ცხორება“ „მატიანეებით“ თავიანთ კლასს პირნათლად ემსახურებოდნენ. ხელისუფლების გარშემო ბრძოლის ქარცეცხლმა არა ერთი ისტორიული ნაწარმოები გაანადგურა. ჩვენ საამისო პირდაპირი ჩვენებაც კი მოგვეპოვება. ამასვე მოწმობს „ქართლის ცხოვრებაში“ — საქართველოს ისტორიის ამ კანონიზებულ ტექსტში შესულ თხზულებათა ხასიათი, მათი გარკვეულის ტენდენციით შერჩეულობა. ცხადია, კარგად იცოდნენ, თუ რას ემსახურება ისტორიული ნაწარმოები: კარგად ხედავდნენ, რომ მიუხედავად ამ დროის ერთ-ერთი ისტორიკოსის განცხადებისა, რომ ისტორია „შუამდებარე არს კეთილის მოქმედთა და ბოროტის მოქმედთა“, ე. ი. ობიექტურია და რომ ისტორია „ჭეშმარიტების მეტყველება არს“, — ეს მეტყველება სწორედ ამავე დროს მთლიანად ერთის ან მეორე კლასის სასარგებლოდ ჭეშმარიტობდა.

ჩვენ მოგვეპოვება ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიის კლასიკური ნიმუშები, რომლებშიაც ავტორები მოზარდ ფეოდალურ საზოგადოების ახალგაზრდული ენერგიით თამამად და უმეშველოდ „მეტყველებენ ჭეშმარიტებას“ მფლობელ საზოგადოების (მეფე-ფეოდალების) სასარგებლოდ. მათ შემუშავებული აქვთ თავის დროისათვის უზადო ფორმულები (იდეოლოგია) მეფის ხელისუფლების რაობისა, ფეოდალთა უფლებებისა, სახელმწიფო და ეკლესიის ურთიერთობისა, ფეოდალებისა და მონასტრების თანამშრომლობისა, მშრომელ საზოგადოების მოვალეობისა და სხვა. ბასილ ზარზმელი, გიორგი მერჩული, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარის ისტორიკოსი და სხვები ამ მხრივ სანიმუშოთ არიან.

გადაჭრით შეიძლება ითქვას: იმ დროინდელი ქართული ისტორიოგრაფია ისე როდი ჩამორჩებოდა თავის დროს, როგორც აწინდელი ჩამორჩება ჩვენს პრაქტიკას, პირიქით, იმდროინდელი ჩვენი ისტორიოგრაფია ფეოდალურ პრაქტიკას გვერდში უდგა და მის პროგრესსა და გამარჯვებას ემსახურებოდა. ის მოწინავე ისტორიოგრაფია იყო.

ისტორიოგრაფია იგივე იდეოლოგიაა. ის კლასობრივ-პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი სახეობაა. ამდენადვე მისი მოწინავეობა თუ ჩამორჩენილობა, ძირითადად და საბოლოოდ, მის წარმოშობ კლასის ვითარებით განისაზღვრება. მოზარდი, ჯანსაღი, პროგრესიული კლასის ისტორიოგრაფია პროგრესულია, გარდამავალის, ჩამორჩენილის, რეაქციონული კლასის ისტორიოგრაფიაც ჩამორჩენილი და რეაქციონულია.

„ფეოდალურ ჩიხის“ საქართველო, ბუნებრივია, პოლიტიკურ აზროვნების განვითარების ნიმუშებს ვერ მოგვცემდა და გვიან ფეოდალურ ხანის ისტორიკოსები ამ მხრით უკვე ჩამორჩენილი არიან. ეს ჩამორჩენა უკვე მე-14-ე საუკუნის სწორედ იმ ისტორიკოსს ეტყობა, რომელიც ისტორიის ობიექტიურობა-ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობს, რაც თავის თავად ფრიად სიმპტომატიურია. ვერც ერთი გვიან ფეოდალური ხანის ისტორიკოსი ვერც კი უახლოვდება პოლიტიკურ აზროვნების იმ სიმაღლეს, რომელსაც X-XII საუკუნის ისტორიკოსები აგრე ადვილად აღწევენ... ისეთი მაღალ ნიჭიერი ისტორიკოსიც კი, როგორიც იყო ვახუშტი ბატონიშვილი, დიდად ჩამოუვარდება ამ მხრით რომელიმე დავითის ისტორიკოსს. რას იზამთ, აქ ნიჭიერება არ სწყვეტს საკითხს.

მხოლოდ მე-18-ე საუკუნის მიწურულში ეტყობა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას რამოდენადმე გაცხოველება და პროგრესიულობა, რომლის საფუძვლები საძიებელია არა მხოლოდ მოწინავე ქვეყნების კულტურულ გავლენებში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმ საინტერესო სოციალ-ეკონომიურ ვითარებაში, რომელიც ამ დროისათვის საკმაოდ ახალ ნიშნებს იძლევა (იოანე ბატონიშვილი, დავით ბატონიშვილი, ანონიმი, სოლომონ ლეონიძე).

მე-19-ე საუკუნეში ქართულ ისტორიოგრაფიის განვითარებას კიდევ ერთი დაბრკოლება დაერთო. საქართველო რუსეთის კოლონიად იქცა და რუსეთის თვითმპყრობელობამ არა მარტო ქვეყნის დამოუკიდებელ ეკონომიურ განვითარების საწყისები ჩაახშო. მან საბელმწიფო პოლიტიკისაგან „გაათავისუფლა“ ქართველი მფლობელი კლასი და არც სოციალურ პოლიტიკის საკითხებით აწუხებდა მას მაინც და მაინც. ამრიგად, რუსეთის კოლონიად ქცეულ საქართველოში ჩვენი ისტორიის პრაქტიკული მოთხოვნილება ერთობ შესუსტდა. საქართველოს ისტორია სიძველის მოყვარე მოცლილთა და პოლიტიკურ რომანტიკოსთა საქმე შეიძლებოდა მხოლოდ ყოფილიყო და მიუხედავად აკადემიკოს მარი ბროსეს მიერ საქართველოს ისტორიის მასალების შეგროვების საქმეში ჩატარებულ კოლოსალურ შრომისა, ჩვენი ისტორიოგრაფია უიმედოდ ჩამორჩა როგორც ტექნიკურად, ისე იდეურად ამავე დროის ევროპის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას. ქართულ მხატვრულ მწერლობაში რომანტიზმის გვერდით ამ დროინდელი ქართული ისტორიოგრაფია დრომოჭმულ ფეოდალურ საზოგადოების უილაჯო სამსახურს ეწეოდა (თეიმურაზი, პლატონ იოსელიანი, სულხან ბარათოვი, ალ. ორბელიანი).

60-იან წლებში დანიელ ჭონქაძისა და ილია ჭავჭავაძის მიერ ხაზგასმულ მოვლენებმა ქართულ ისტორიულ აზროვნებაში სათანადო გამოხატულება ვერ ჰპოვა: ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ გლეხობას ისტორიკოსი არ ჰყოლია.

ამიერიდან კიდევ უფრო ცხადი ხდება ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობა. ქართული ისტორიოგრაფია ჩვენი საზოგადოების მოწინავე კლასის ისტორიოგრაფია არ არის. ის ჩამორჩება ქართულ სოციალურ განვითარებას, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას. ქართულ მხატვრულ ლიტერატურამ მას ერთობ გაუსწრო წინ. ეს არ არის პროგრესიული ისტორიოგრაფია, ის გარდამავალ თავადაზნაურობის იდეოლოგიაა.

არც მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს ამ მხრივ რაიმე გაუმჯობესება.

გასაგებია, რომ ასეთი ისტორიოგრაფია ვერაფერი დამხმარე და გამოსადეგი რამ იქნებოდა მუშათა რევოლუციონურ მოძრაობისათვის, მე-19-ე საუკუნის მიწურულში რომ იწყება ჩვენში. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, როცა ამ დროინდელი ქართველი რევოლუციონური მოღვაწეები ასეთ ისტორიოგრაფიას ემიჯნებოდნენ: ისინი მასში სამართლიანად ჭეშმარიტ ისტორიას კი არა, მოწინააღმდეგე კლასის ხოტბის ფურცლებს ხედავდნენ.

მხატვრულ მწერლობამ ეგნატე ნინოშვილის სახით ერთხელ კიდევ მჭევრმეტყველურად მიუთითა ჩვენს ისტორიკოსთ, თუ რა უნდა ჰქონდეთ მათ სახელმძღვანელო იდეათ რთულ ისტორიულ მოვლენათა ანალიზის დროს: — კლასთა ბრძოლა. სამწუხაროდ, „ჯანყი გურიაში“-ჰ ისტორიოგრაფიაში რეზონანსი ვერ იპოვა.

და მოხდა მეტად სამწუხარო ამბავი. ქართველი რევოლუციონერები გაემიჯნენ საქართველოს ისტორიას და საკუთარი ხალხის წარსული თუ საზიზღრად არა, უკეთეს შემთხვევაში, უშინაარსოდ, არა საინტერესოდ და უსარგებლოდ იქმნა აღიარებული. ეს იყო სრულიად უმართებულო გაგებევება ქართულ ისტორიოგრაფიისა საქართველოს ისტორიასთან. შეცთომასთან ერთად ეს ქართველ რევოლუციონერთა უეჭველი სიუკეტიც იყო: იმის მაგივრად, რომ კლასობრივ მტრების ხელიდან გამოეტაცნათ ქართულ ისტორიოგრაფიის საქმე, იდეოლოგიურ ზეგავლენის ეს უძლიერესი იარაღი, ეცადნათ თვით მიეცათ ჭეშმარიტი ისტორია, ისინი სიძნელეს გაექცნენ და ეს სარბიელი უბრძოლველად დასთმეს, რითაც არამცირე ზიანი მიაყენეს თავისივე რევოლუციონურ საქმის წარმატებას. გამონაკლისის სახით აქ უნდა აღინიშნოს ამხ. ფ. მახარაძე, რომელიც თანამოსაგრეთა უმრავლესობის მსგავსად კი არ გაუბრდა საქართველოს წარსულს, არამედ ნაყოფიერად და წარმატებით აშუქებდა თავის შრომებში აღ ჰოც წამოჭრილ ისტორიულ საკითხებს.

აღნიშნული შეცდომა ერთობ ღრმა აღმოჩნდა. მისი შედეგები, როგორც ვხედავთ, დღევანდლამდისაც კი არ არის საბოლოოდ ლიკვიდირებული და, ამხ. ორაგველიძის სიტყვით რომ ვსთქვათ, საქართველოს ისტორია ბოლშევიკების მიერ ჯერ კიდევ აუღებელი ციხე-სიმაგრეა.

„905“ წელმა ქართულ ისტორიოგრაფიაზედ იმოქმედა. საქართველოს ძველს ისტორიაში აქამდის უწევნო მომენტებსაც მიექცა ყურადღება. „დემოკრატიული იდეები“ თურმე XI საუკუნეშიაც არ იყო უცხო ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებისათვის (პროფ. ივ. ჯავახიშვილი) ... სამწუხაროდ, საქმე ამაზე შორს არ წავიდა. მარქსიზმისათვის ქართულ ისტორიოგრაფიის ჭიშკარი დაკეტილი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ჩემი ეს შენიშვნა საქართველოს ისტორიის ძველს პერიოდს შეეხება.

„905“ წელს შემდგომ ოცი წლის მანძილზე საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდის ისტორიოგრაფია თითქმის მთლიანად პროფ. ივ. ჯავახიშვილის ხელთაა.

ქართველი ერის ისტორიის ავტორი ტექნიკურ მომზადებულობით უეჭველად მაღალი ტიპის ისტორიკოსია. ევროპულ და აღმოსავლურ ენების მცოდნე, ფილოლოგი და ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი, ფრთხილი და დინჯი მკვლევარი — ის სწორედ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა, რომ საქართველოს ისტორიის

შენობის საშენი მასალა, ჯიშია სალოცავის ბურუსში მიმალული ფაქტები აღმოაჩინა, გამოემეცნიერებინა. პროფ. ივ. ჯავახიშვილის დამსახურება ქართულ ისტორიოგრაფიის წინაშე დიდი და საპატიოა. მან პირველმა გაბედა და საქართველოს ისტორიის ძველი ხანა გასწმინდა ზღაპართა ბურუსისაგან, რომელიც აგრე სქლად შემოხვეოდა მას. მაღალ ტექნიკური ხერხებით მოიპოვა და დაადგინა აურაცხელი ფაქტები.

ჩვენ დღეს, რა თქმა უნდა, მის მიერ მოპოვებულ ისტორიულ ფაქტებს თუ დადგენილ მოვლენებს კრიტიკულად უდგებით და მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეთოდის მიხედვით ზოგს მივიღებთ, ზოგს კიდეც უკუვაგდებთ ან გადავაფასებთ და შევავსებთ; მრავალ ახალსაც აღმოვაჩენთ იქ, სადაც მან ეს ვერ შენიშნა (და არც შეეძლო შეენიშნა: ფაქტის მოპოვება ხდება არა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რაც არსებობს, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რას ეძებ...).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ივანე ჯავახიშვილმა ძლიერად წასწია წინ ქართული ისტორიოგრაფიის საქმე.

მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ მან ქართული ისტორიოგრაფია სამარცხვინო ჩამორჩენილობიდან ვერ გამოიყვანა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენი დღევანდელი სხდომა სულ სხვა ხასიათისა იქნებოდა...

„ქართველი ერის ისტორიის“ ავტორი ღვიძლი შვილია წვრილ ბურჟუაზიულ-ქართულ ინტელიგენციის ოჯახისა და მისი ინდივიდუალისტურ-იდეალისტურ იდეების მატარებელია. კვლევის ანალიტიკურ-ინდუქტიური მეთოდით და იდეალისტური მსოფლმხედველობით მოწინავე ისტორიოგრაფიის შექმნა ამ მარქსიზმის ეპოქაში, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო.

შეეხება საკითხი სახელმწიფოს რაობას და მის წარმოშობას ქართლში, არანისა და იბერია-კოლხეთის ურთიერთობის საფუძვლებს, სხვა და სხვა სარწმუნოებათა გავრცელების მიზეზებს, ფეოდალურ ურთიერთობის წარმოქმნას, ფეოდალურ მონარქიის ჩამოყალიბებას, ე. წ. „სამონასტრო მოძრაობას“, ბრძოლას მეფესა და დიდ აზნაურთ შორის, პატრონყმობა-ბატონ-ყმობას, ფეოდალურ მონარქიის ძლიერების საფუძვლებს, ამ მონარქიის დაცემისა და დაშლის მიზეზებს. ყველა ეს და მრავალი სხვა ძირითადი საკითხები საქართველოს ძველი ისტორიიდან პროფ. ივ. ჯავახიშვილის შრომებში კლასობრივ ურთიერთობის გარეშე, ე. ი. არა კლასთა ბრძოლის საფუძველზე და ამდენადვე არა სწორედ არის დაყენებული და გადაჭრილი.

პატივცემულ მომხსენებელს, ამხ. ორაგველიძეს ასეთივე წარმატებით, როგორც ეს მან წარმოგვიდგინა, და საფუძვლიანობით ადვილად შეეძლო კიდევ უფრო გაემრავლებია პროფ. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებიდან ანტიმარქსისტულ დებულებათა მაგალითები.

ეს ასეა და არც დასაფარავია. პირიქით, როგორც ეს მომხსენებელმა სამართლიანად აღნიშნა, სამხილებელია და გამოსამჟღავნებელი. ასეთი ოპერაცია საშუალებას მოგვცემს უარსაყოფს გავემიჯნეთ, უკუვაგდოთ, ხოლო ის დადებითი, რაც პროფ. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში მოიპოვება, კრიტიკულად, საღად შევითვისოთ. ასეთი დადებითი კი იქ არც თუ მცირეა. ეს იქნება ნამემკვიდრევის მარქსისტული დაუფლება; ასეთია მოსმენილ მოხსენების ძირითადი და მთავარი აზრიც.

მე-15-ე საუკუნის შემდგომი ხანის კურსი, ვიდრე მე-19-ე საუკუნის დასაწყისამდის, ამხ. ს. კაკაბაძეს ეკუთვნის.

„ახალ საუკუნეების ეპოქა“ 1922 წელსაა გამოცემული. ამ ნაშრომის ღირსება-ნაკლზე ალბათ თვით ავტორი იტყვის: ზოგადად კი ითქმის, რომ ტექნიკურ ხერხების გამოყენების საქმეში ამ შრომის ავტორი ერთობ ჩამოუვარდება წინა ავტორს, ხოლო იდეოლოგიურად ეს წიგნიც ისევე მიუღებელია, როგორც „ქართველი ერის ისტორია“. ამ მხრივ წინა ავტორისაგან განსხვავება იმაშია, რომ პროფ. ივ. ჯავახიშვილს დიდ აზნაურთა ქება არ წამოსცდება (მისი სიმპატიები ცენტრალურ ხელისუფლების, მეფის მხარეზეა), ხოლო სარგის კაკაბაძე ერთობ ხშირად აღმოაჩენს საკადემიალახორებში „კარგ მამულიშვილებს“ (გვ. 59, 149) და გაფთრებულ კლასობ-

რიეი ბრძოლის დროს გლეხთა წინააღმდეგ მებრძოლ თავად აზნაურობაში ჰხედავს „ეროვნულ კულტურისა და ვინაობის მეფგარ დამცველებს“ (გვ. 152, 178, 179).

კლასთა ბრძოლა, როგორც ისტორიის ღერძი კლასობრივ საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, არც ამ ნაშრომმა იცის.

პირიქით, მე-XVIII საუკუნის ისტორიკოსთა უაღრესად საინტერესო ჩვენებებიც კი იმის შესახებ, რომ საგარეო ხასიათის შემოსევები არა ერთხელ გადაზრდილა ჩვენში კლასთა ომად, ამხ. კაკაბაძეს შეუმჩნეველი რჩება. ამ მხრით ჩვენი ისტორიკოსი თავის წყაროსაც კი ჩამოუვარდება და ჩამორჩება.

ასეთია ჩვენი მემკვიდრეობა.

ოქტომბრის რევოლუციიდან, ე. ი. საქართველოს მშრომელთა ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრისაგან განთავისუფლების დღიდან, ქართულ ისტორიოგრაფიის განვითარებისათვისაც მტკიცე საფუძველი დაიდო. საქართველოს ისტორიამ დაკარგული უფლებები აღიდგინა, მაგრამ საბჭოთა საზოგადოებამ მას ეხლა სამართლიანი მოთხოვნილება წარუდგინა: არა მეფეების გმირობის ისტორია, არა ფეოდალების, ღვდლების და ბერების ყოფა, არამედ ჭეშმარიტი ისტორია, ისტორია საწარმოო ძალთა განვითარებისა, ისტორია სოციალურ ბრძოლებისა, ისტორია ხელისუფლებისათვის ბრძოლისა და ქართული ისტორიოგრაფია სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა.

და იწყება „მარქსისტობა“ საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდის ისტორიოგრაფიაშიც.

სახელდახელოთ გადაიარაღებული ხალხი, თანაც ზოგი მათგანი საქართველოს ისტორიის ფაქტების უცოდინარიც კი, გასაგებია, ფასიან რასმე ამ დარგში ვერ მოგვცემდენ. უილაჯო ეკონომიზმი, გეოგრაფიული ფაქტორის ან კიდევ საჭრო კაპიტალის ყოვლად მძლეობის უსაბუთო ვარაუდი, სენსაციურ აღმოჩენათა სურვილით ფაქტების უხერხო გაწამწყია, — ასეთია ამ „მომარქსისტოთა“ ცდების პირველი შედეგები. გადაიარაღება არც ისე მარტივი და ადვილი საქმე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ამ ცდებს მაინც ერთგვარი გამართლება აქვთ.

დღეს ეს ეტაპიც განვლილია.

ეხლა ჩვენ გაცილებით უფრო სერიოზული ცდები მოგვეპოვება მარქსისტულ მეთოდოლოგიის გამოყენებისა საქართველოს ძველს ისტორიაში...

ის განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა, როგორსაც პარტია და ხელისუფლება და, კერძოდ, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იჩენენ საქართველოს ისტორიის საკითხისადმი და ამ დარგში მუშაკთადმი, გარანტიაა იმისა, რომ ეს დიდი საქმე წარმატებით შესრულდება.

ძნელი საქმეა გასაკეთებელი, მაგრამ ჩვენ, საქართველოს ისტორიის კურსის შექმნაზე მომუშავეებს, ყველა სიმძიმეებთან ერთი დიდი უპირატესობა გვაქვს: ჩვენ ვმუშაობთ ისეთ ისტორიულ მითითებათა შემდეგ, რომელთა სათანადო მომარჯვებით საქართველოს ისტორიის იდეოლოგიურ-ფაქტოლოგიური გამართულობა უზრუნველყოფილია.

კოკეიძე. პროფ. კ. ორაგველიძის მეტად საყურადღებო მოხსენება იძლევა მკაფიო განმარტებას საისტორიო ფრონტის თანადროულ აქტუალურ საკითხებზე. ეს მოხსენება სრულიად მართებულ და სწორ შეფასებას აძლევს საისტორიო მეცნიერების დღევანდელ დონეს საქართველოში, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი საინტერესოა იმ მხრითაც, რომ სპეციალისტი ისტორიკოსი გრძნობ, რომ შენში ასეთი მოხსენებით იზრდება სიახლე და პასუხისმგებლობა. საისტორიო ფრონტი ეხლა ჩვენი მეცნიერების ფრიად პასუხსაგებ უბანს წარმოადგენს, როცა ჩვენ გვაქვს დიდი ბელადის ამხ. სტალინის მითითება, პარტიისა და ხელისუფლების უკანასკნელი დადგენილება საისტორიო მეცნიერების და ისტორიის სწავლების ძირითადად გარდაქმნის შესახებ.

ამხ. სტალინის, კიროვის, ჟდანოვის სარეცენზიო წერილი ჩვენ გვითვალისწინებს, რომ ისტორიულ პროცესის პერიოდიზაცია, მოვლენათა კლასიფიკაცია თხოულობს ზუსტ განსაზღვრავს მის დეტალებში, რომ საჭიროა კონკრეტული ისტორია და არა სქემა.

ეს გარემოება გვავალებს, ჩვენი ისტორიული მოვლენების ინდივიდუალურ გამოხატულებას შესაფერი ადგილი დაუთმოთ, მაგრამ, ამასთანავე, იმასაც გვავალებს, რომ შეგვეწევდეს უნარი ამ მოვლენათა და ფაქტთა განზოგადების, რომ ყოველ მოვლენას და ფაქტს თავისი ადგილი მიუჩინოთ.

მეთოდოლოგიური სიზუსტე თვით ფაქტების სიზუსტეს ემყარება, მაგრამ თვით მეთოდოლოგია და მხოლოდ მეთოდოლოგია ხსნის და შუქს ჰფენს ფაქტებს.

ჩვენი მეთოდოლოგია მხოლოდ მარქსისტული მეთოდოლოგია შეიძლება იყოს, რომელიც კლასთა ბრძოლის ისტორიის თვალსაზრისით, დიალექტიურ მატერიალიზმის თვალსაზრისით ხსნის მთელ ისტორიას მის ფაქტიურ გამოვლინებაში, მოვლენათა განვითარებაში.

საქართველოს ისტორიის, როგორც მეცნიერების წინაშე დღეს პრობლემათ სწორეთ ეს კლასთა ბრძოლის თვალსაზრისი სდგას. ჩვენ არა გვაქვს მარქსისტულათ ახსნილი, მარქსისტულ სისტემაზე აშენებული ერთიანი ისტორია, გვაქვს მხოლოდ ცალკე ეპიზოდები — ისიც ცალკეულათ აღებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული ისტორია.

ჩვენს მატიანეს მხოლოთ პოლიტიკური ბრძოლის მშრალი ქრონიკა დაუცავს, მეფეთა პოლიტიკის მომხრე მეისტორიეების ცნობების გარდა გულმოდგინეთ წარხოცილია სწორეთ კლასობრივ ბრძოლის ისტორიის შემცველი ცნობების კვალი, მაგრამ თვით ამ ოფიციალურ მეისტორიეების ცნობების ანალიზიდან, თვით საეკლესიო მწერლობის ანალიზიდან, რომელიც ყველაზე მეტად შემოგვრჩა და რომელმაც ყველაზე მეტად გაანადგურა სოციალური ბრძოლის, მასების მოძრაობის კვალი და საბუთები. უცხოელ მწერლობაში დაცულ ცნობების გამოყენებით ჩვენ გვამართებს შევქმნათ მარქსისტული ისტორია, ისტორია ხალხის ცხოვრების, მისი ბრძოლის და შემოქმედების.

დღევანდელ დისპუტზე მე მინდა შევეხო ორ საკითხს: მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის საკითხს საქართველოში.

უძველეს ქართულ საისტორიო ძეგლებში (შუშანიკის ცხოვრება და ევსტ. მცხ. მარტვილობა) დაცული თუმცა მცირე, მაგრამ საყურადღებო ცნობები ჩვენ გვითვალისწინებს, რომ მონობას საქართველოში მეხუთე მე-6 საუკუნემდე ხანგრძლივი ისტორია გაუვლია. ის გარემოება, რომ ამ ძეგლების მიხედვით მონებს ფლობს როგორც დიდი თანამდებობის პირი — მთავარი, ანუ პიტიახში, ისე ხელოსანი — დამახასიათებელია. ეს ხომ პირდაპირ იმაზე მიგვითითებს, რომ მონობის წყარო ვეძიოთ ამ დროის ეკონომიურ და სოციალურ ვითარებაში. ეს სოციალ ეკონომიური ვითარება თავის წინამავალ საფეხურს პოულობს ადრინდელ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში მონური წარმოების საწყისებში, ხოლო დასავლეთ საქართველოში, შეიძლება ითქვას, სრულიად გარკვეულ მონურ წარმოებაში.

პლინიუსის ცნობით, პომპეუსს კავკასიაში ყოფნის დროს პირველი საუკუნის მეორე ნახევარში (ჩვენს ერამდე) აღმოუჩენია სახმელეთო სავაჭრო აღებმიცემობის გზა ინდოეთიდან შავ ზღვამდი. კასპიის ზღვიდან, ანუ კასპიის კარიდან ეს გზა მტვერის საშუალებით უერთდებოდა ხუთი დღის სავალ სახმელეთო გზით ფაზისსა და ევქსინის პონტოს. უფრო დაწვრილებითი განმარტება ამ გზის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს აერთიანებს, სტრაბონს აქვს აღწერილი.

სტრაბონის მიერ ნიშანდობლივი აღწერილობა როგორც ამ გზისა (რომ საქონელი ფაზისიდან მიმავალი იტვირთებოდა სარაპანში), ისე იბერიის და კოლხიდის, მრავალმხრივ არის საგულისხმო, მაგრამ ჯერ ჩვენ იმ ცნობებზე შევჩერდეთ, რომლებიც გვითვალისწინებენ კოლხიდის საკუთარ სახეს ელინებისა და აღმოსავლეთის ხალხებთან სავაჭრო წარმოებაში.

სტრაბონის აღწერილობის თანახმად, კოლხიდა, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპირო ქვეყანას წარმოადგენს, იწყება ტრაპიზონიდან და მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს. გარდა სვანეთისა, რომლის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ სტრაბონი

კოლხიდაზე განსხვავებულ ცნობებს იძლევა, დასავლეთ საქართველოს მთიანი ნაწილი, რასაკვირველია, კოლხიდის მჭლობელობაში შემავალ ერთეულად უნდა ვსცნოთ მარტო იმითაც, რომ კოლხიდის გეოგრაფიულ აღწერილობაში სტრაბონი ისეთ ბუნებრივ სიმდიდრეს ასახელებს, რომელიც დასავლეთ საქართველოს მარტო დაბლობ ნაწილს არ მიეკუთვნება. ასეთია: საშენი ხეტყე, ფისი და სხვა. კასპიის ზღვიდან ინდოეთის სავაჭრო საღებ მიმცემო გზა იბერიაზე მიმავალი (მტკვარის საშუალებით) გადადიოდა ეხლანდელ სურამის ულელტეხილით სარაჰანში (შორაპანი). შორაპანიდან, უეჭველია, ყვირილას ხეობით (ყვირილაზე 20 ხიდი ყოფილა გაყოლებული სტრაბონის ცნობით) და აღწევდა გზა ფაზისამდე, ანუ რიონამდე და აქედან ქალაქ ფაზისსა და, საზოგადოდ, შავ ზღვამდე. ქალაქ ფაზისს, სტრაბონის ცნობით, ერთი მხრით მდინარე ზღუდავდა, მეორეს მხრივ ტბა და მესამე მხრივ ზღვა. კოლხიდის აღებ მიცემობაში ეს ქალაქი ცენტრს წარმოადგენდა სტრაბონის თანახმად, აქედან, გარდა იმ გზისა, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნეთ, ინდოეთის სავაჭრო საღებ-მიმცემო გზის გაგრძელებას წარმოადგენდა, მეორე გზა გადიოდა ზღვის ნაპირზე სინოპამდი. ქალაქ ფაზის გარდა აღსანიშნავია დიოსკურია.

„დიოსკურია არის ზღვის ყურე და პონტოსპირზე მდებარეობს. დიოსკურიამდე ზღვით სწარმოებს მიმოსვლა“ (სტრაბონი). საფიქრებელია, რომ დიოსკურია მდებარეობდა ჩრდილოეთით თანამედროვე სოხუმის მიდამოებში. ის საზღვაო გზა, რომელიც დიოსკურიამდე მიდიოდა, უეჭველია, ქალაქ ფაზისიდან მიმავალი გზა იყო. გარდა ზღვის სანაპირო გზისა, მაშასადამე, ამავე მიმართულებით საზღვაო სანაოსნო გზაც გადიოდა.

დიოსკურია ყოფილა სავაჭრო საღებმიცემო ცენტრი მის გარშემო დასახლებულ ხალხთათვის (სტრაბონი).

ამრიგად, კოლხიდის ქალაქების: ფაზისის, დიოსკურიის, სარაჰანის სავაჭრო და სატრანზიტო მნიშვნელობა ნათელია. მაგრამ შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მხოლოთ კოლხიდის გეოგრაფიული მდებარეობა, ის გარემოება, რომ ეს მხარე ელინური დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკონომიურ დამოკიდებულებაში შემაერთებელი ხიდი გახდა, მხოლოთ ეს ყოფილიყო საფუძველი კოლხიდის ქალაქების წარმოშობის და ეკონომიურ განვითარების.

ეს ქალაქები, უპირველესად, თვით კოლხიდის სამეურნეო და საწარმოო ცხოერების ცენტრებს წარმოადგენენ და მათი წარმოშობა და განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ მხარის სამეურნეო ცხოერებაში მომხდარ გარდატეხის ძალით. უკვე სტრაბონის დროს პირველი საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენს ერამდი კოლხიდაში, სტრაბონის ცნობით, კანაფის, სელის და ხეტყის წარმოებას აქვს ადგილი, აქაური ტილოები, სტრაბონის ცნობით, თვით კოლხიდის ვაჭრებს გაჰქონდათ შორეულ ქვეყნებში გასასყიდათ.

„კოლხიდა (ამბობს სტრაბონი) მდიდარია საზღვაო შეიარაღებისათვის აუცილებელი მასალით, რადგან ის იძლევა საშენ ტყეს, რომელსაც აცურებენ ქვევით მდინარეების საშუალებით. ამას გარდა, აქ აწარმოებენ ბევრ სელს, კანაფს, ფისს და თაფლს, აქაური ტილო განთქმულია და ის შორეულ ქვეყნებში გააქვთ“.

სახელდობრ, თუ რა საფეხურზე იდგა კოლხიდაში საქსოვი წარმოება, ამის შესახებ ჩვენ არა გვაქვს ცნობები. არავითარი ნივთიერი წყარო შრომის ფორმების შესახებ არ შენახულა. ერთი სიტყვით, ჩვენ არა გვაქვს ამ დროის არქეოლოგია, მაინც სტრაბონის ცნობა დამახასიათებელია და ამ ცნობის საფუძველზე ჩვენ სრული სისწორით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კლასობრივ საზოგადოების არსებობა კოლხიდაში უკვე ამ დროს. შეუძლებელია, რომ პირველყოფილ კომუნისტურ ან გვაროვნულ თემის ფარგლებში ადგილი ქონოდა შრომის პროდუქტის ამ გარდა მეტს, რომელიც ტილოს სახით კოლხიდიდან გადიოდა შორეულ ქვეყნებში. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გარდა საქსოვი წარმოებისა, ხეტყის დამუშავებას ფართოდ ჰქონდა გზა გახსნილი და ხეტყეც ერთი მთავარი საექსპორტო საგანი უნდა ყოფილიყო. კოლხიდაში განვითარე-

ბული უნდა ყოფილიყო ფლოტის მშენებლობა.

რა და რა კლასები უნდა გავარჩიოთ ჩვენ ამ დროის კოლხეთში?

სტრაბონის ცნობა ჩვენ გვითვალისწინებს, რომ საქსოვი წარმოება შინამრეწველობის ფარგლებს გაცილებული უნდა ყოფილიყო. ჩვენ აქ შრომის ერთგვარ კოოპერირებულ ფორმასთან გვაქვს საქმე. სისტემატიური ვაჭრობა კი ყოველ ეჭვს გარეშეა.

წარმოებისათვის ნედლეულის ბაზის აუცილებლობა იწვევს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მსხვილ მიწათმფლობელობის განვითარებას. ამის თანახმად, კოლხიდაში, ცოტათ თუ ბევრათ, უნდა მომხდარიყო მიწების კონცენტრაცია. წვრილ მესაკუთრეობას მიწისას უნდა დაჰკარგოდა მნიშვნელობა. ამ ნიადაგზე მოსახლეობის ერთი ნაწილის გაღატაკება და დამონება ადვილი იყო. ეს დამონებული მასა, უცხო ქვეყნებიდან ნასყიდ ტყვეებთან ერთად, ერთი სამუშაო ძალა უნდა ყოფილიყო კოლხეთის ფლოტის მშენებლობასა, მიწათმოქმედებაში, ხოლო საქსოვ წარმოებაში იმდენათ, რამდენათ ეს თხოულობდა მძიმე ფიზიკურ შრომას. ეს გარემოება, მით უმეტეს, ტეხნიკის დაბალ დონეზე არ რიცხავს, რასაკვირველია, ხელოსნების წვრილი მიწათმომქმედი მოსახლეობის არსებობას კოლხეთში, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა.

მეორე საუკუნიდან (ჩვენ წელთაღრიცხვით) კოლხეთის შესანიშნავი საქსოვი წარმოების კვალი ქრება და რომ შინამრეწველობას, ხელოსნობას, ამის თანახმად, ხელოსნებს და დამოკიდებულ მოსახლეობას რაიმე უპირატესობა ჰქონოდა კოლხეთში მონათწარმოებასთან — ისინი შეირჩენდენ თავის მნიშვნელობას და ხელოსნობა აღარ დაქვეითდებოდა ისეთ საექსპორტო საგნებამდე, როგორიც იყო ტყავსაფარები და ტყავები (ს. ჯ. გეორგიკა, გვ. 46-48). ამრიგად, შეძლებულ კლასებს: ვაჭარმწარმოებლებს, მიწათმფლობელებს აქ უპირისპირდებიან მონები. მიწათმფლობელებზე და ვაჭრებზე დაყრდნობილი ხელისუფლება მერყეობს ცენტრსა და პერიფერიას შორის.

„შემდეგ დროინდელ მეფეებს, დაუგვიათ ეს მხარე რა საბატონოებად, მნიშვნელობა აღარ ჰქონდათ“ (სტრაბონი).

საგულისხმოა ეს ცნობა. მაინც რამდენი საბატონო უნდა ყოფილიყო, როცა ამ დროისათვის ცნობილია სამი ქალაქი: სარაპანი, ფაზისი და დიოსკურია. სიმართლესთან ახლო იქნება თუ ვიტყვით, რომ ქალაქის გარშემო კონცენტრირებული ხელისუფლება ვაჭარ მწარმოებელთა და მიწათმფლობელთა უნდა იყოს სტრაბონის მიერ მოცემული ადგილობრივი საბატონოები, რომლებიც მეფის უფლებას არ სცნობენ. ადვილი შესაძლებელია, ფაქტიურათ, არც არსებობდა ამ დროს მეფის ხელისუფლება და ის ფორმალური გამოძახილი ყოფილიყო ახლო წარსულისა.

ჩვენს ერამდე მესამე საუკუნიდან ბერძნული სავაჭრო კაპიტალის იმიგრაცია აღმოსავლეთში უშედეგო არ უნდა ყოფილიყო კავკასიისათვის, კერძოთ, დასავლეთ საქართველოსათვის. დასავლეთ საქართველოს მდებარეობა — შავი ზღვის აღმოსავლეთ ზოლი — ეს სანაპირო ზაზი კოლხეთისა ხომ შემაერთებელი მაგისტრალი გამოდის ჩვენამდი მოღწეულ ცნობებიდან ელინური დასავლეთის და აღმოსავლეთის. რადგან ფაზისი, ევქსინის პონტო და სარაპანი ჩვენ მიერ აღნიშნული სავაჭრო გზის მნიშვნელოვანი სადგურებია, ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ბერძნულ სავაჭრო კაპიტალს იმგვარიეე გავლენა უნდა ჰქონოდა კოლხეთში და კავკასიაშიც, როგორც მას ჰქონდა აღმოსავლეთში. მას, ისევე როგორც აღმოსავლეთში, საქართველოშიც, კერძოთ, კოლხეთშიც უნდა დაერღვია თემური კარჩაკეტილობა და კოლხეთის საქსოვო წარმოებისათვის საქონლითი ხასიათი მიეცა, შეეყვანა კოლხეთი ელინური ვაჭრობის და აღებ მიცემობის ორბიტში. მარქსიზმის თანახმად, სავაჭრო კაპიტალი ხომ წარმოების საქონლითი ხასიათს იწვევს, მაგრამ ეს ვერ სცვლის წარმოების წესებს (შეადარე ტუმენევი, გვ. 105). მარქსიზმი გასაღებს გვაძლევს ავსხნათ, თუ რატომ მოხდა, რომ ელინური გაელენის სულ ორი საუკუნის შემდეგ კოლხეთის წარმოების კვალი ქრება და მთელ დასავლეთ საქართველოდან ოთხი დამოუ-

კიდებელი, ეგრეთ წოდებული, სამეფო (Βασιλεία), უფრო კი სამფლობელო წარმოიშვა. რა და რა ახალი სამფლობელოებია ესენი.

114 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით ფლაბიოს არიანე ადრიანე კეისრისადმი მიმართულ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჯერ ლასთა სამეფო იყო იყო (sic), შემდეგ ჩრდილოეთით აფშილების, ხოლო ამის კიდევ ჩრდილოეთით აფხაზთა და სანიკთა სამეფო.

ამის გარდა ჩვენ არავითარი ცნობები არა გვაქვს იმის შესახებ, სახელდობრ, რა ცვლილებებს უნდა ქონოდა ადგილი, რომ კოლხეთის ადგილზე უკვე 134 წელს ლაზიკა გამოდის, რომელიც, როგორც არიანეს ცნობიდან სჩანს, მთელ დასავლეთ საქართველოს აღარ უდრის და აფშილების, სანიკების და აფხაზების მმართველები, დამოუკიდებლათ ლაზიკისა, მტკიცდება კეისრისაგან (ლატიშევი, გვ. 222). ფოთში, ანუ ფაზისში და დიოსკურიაში, რომელსაც ამ დროს სებასტოპოლს უწოდებენ, რომის კეისარს ჯარი ყოლია ჩაყენებული და ფოთის ციხის კედლები კარგათ გაუმაგრებიათ, დიოსკურიაში მეციხოვნე ჯარი მდგარა და იქვე მოწყობილი ყოფილა სურსათის ბეღლები (ლატიშევი, გვ. 222).

რომის მიერ კოლხეთის დაპყრობა ამ უკანასკნელიდან ცხადია. მე-3 საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველო გაანადგურა სკვითების შემოსევამ. როგორც ცნობებიდან სჩანს, ფოთი ან ფაზისი და ბიჭვინთა ძალზე დაზიანებულა. სკვითებს მთელი აქ მდგომი რომაელების ჯარი ამოუწყვეტიათ და მოსახლეობა მთებში გახიზნულა (ი. ჯ. ქართ. ერის ისტორია, გვ. 162).

ამ პოლიტიკური ამბების ქრონიკა, ერთად ერთი წყარო, მოიყვანეთ ქრონოლოგიური სიზუსტისათვის, რომ გათვალისწინებული ქონდეს თანმიმდევრობით, რა პირობებში მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოს შემდგომი ისტორია.

დაბალ ტეხნიკაზე აგებული კოლხეთის საფეიქრო წარმოება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აუტანელ ფიზიკურ შრომას ეყრდნობოდა, ბერძნულ სავაჭრო კაპიტალის მიერ გაზრდილი, ადვილად ისპობა მაშინ, როცა ელინური გავლენა სუსტდება და ბერძნულ სავაჭრო კაპიტალს პირველი საუკუნის დასასრულიდან ბოლოს უღებს მთელ მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში რომის იმპერია.

Торговля никогда не была делом господствующих над народами римлян; только в сфере что было до и после них. Существовавшая и сохранившаяся торговля погибла из-за чиновников (ენგელსი).

ნება მომეცით, ამ დისპუტზე აღარ გაუკეთო კომენტარია ენგელსის ამ დებულებას, რომელიც გვითვალისწინებს, თუ რას უნდა გამოეწვია, რომ მეორე საუკუნეში კოლხეთში არა სამეფოები, არამედ დამოუკიდებელი სამფლობელოები წარმოქმნილან, რომლებსაც ეპატრონებოდნენ რომაელი მოხელეები. მონობა, რომელიც შეადგენდა საფუძველს კოლხეთის წარმოებისას, მაინც რჩება, დამახასიათებელი ხდება ლაზიკეს საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის. მე-6 საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი გვაძლევს ცნობას, რომელიც, როგორც მისი ტექსტის ხასიათიდან სჩანს, მე-4, მე-5 საუკუნეს უნდა ეხებოდეს.

„ლაზები თავდაპირველად კოლხიდაში მოსახლეობდენ და რომაელების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდენ მათ, გარდა იმისა, რომ როდესაც მეფე მოუკვდებოდათ მათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა ტახტის მემკვიდრეს – ძალაუფლების სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები მათი მოსაზღვრე კავკასიის მთებიდან ლაზიკაზე გამოვლით რომაელთა მიწა-წყალში არ შემოჭრილიყვენ. რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს, მუდამ აწარმოებენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას. თვით მათ არც მარილი ქონდათ, არც ხორბალი, არც სხვა რამ სიკეთე. ისინი მხოლოდ აწვდიდენ რომაელებს ტყავებს, ტყავსაფარებს და მონებს[28] (ბაში ჩვენია) და თავისთვის საჭირო საგნებს იძენდენ.

[28] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, გვ. 45-46.

მონები, მაშასადამე, ლაზების სისტემატიური საჭირო საგანი ყოფილა. საიდან შეულობდენ ლაზები მონებს, როცა ისინი დამყრობლებთ არ ყოფილან, თუ არა იმ ეკონომიური და სოციალური პირობებიდან, რომელსაც კოლხეთში ქონდა ადგილი, მაგრამ ჯერ ჯერობით ჩვენ ცნობების უქონლობის გამო არ შეგვიძლია ავღნიშნოთ, სახელდობრ, როგორი იყო მონების წყაროები.

თუ რამ გამოიწვია მონათმფლობელურ კოლხეთის ფეოდალიზაცია, სახელდობრ, რა ეკონომიურ და სოციალურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე, ჯერ ჯეროვნად ეს გამოურკვეველი რჩება. პროფ. ს. ჯანაშიას საყურადღებო გამოკვლევა — „ფეოდალური რევოლიუცია საქართველოში“ — ამ ცვლილებებს არ ეხება. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ პროფ. ს. ჯანაშია თავიდანვე კოლხეთის (ლაზიკეს) სახელმწიფოებრიობაში ფეოდალურ საფუძველს ხედავს და, მაშასადამე, რა საჭირო იყო მე-6 საუკუნეში ეკონომიურ და სოციალურ წყობაში ცვლილებები გვეძია, მაგრამ მაშინ გაუგებარი რჩება, რატომ ეწოდა რევოლიუცია იმ ამბავს, რომ წარჩინებულები ბიზანტიელების მიერ გუბაზ მეფის მკვლელობის გამო პოლიტიკურ ასპარეზზე სჩანან. მათი მონაწილეობა მმართველობაში ხომ იმავე კლასობრივ საფუძველს ემყარება, რასაც ემყარებოდა თვით გუბაზის მმართველობა.

მე-8 საუკუნიდან როგორც კოლხეთში (ლაზიკეში), ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ფეოდალიზმი გარკვეულად სჩანს და მისი ადრეულ ხანებში ძიება სრულიად საფუძვლიანია.

აღმოსავლეთ საქართველოში, იბერიაში გვაროვნულ თემური წყობილების დაშლიდან მიწათმოქმედების ნიადაგზე წვრილმიწის მესაკუთრე დამოუკიდებელი მოსახლეობის გალატაკების პროცესი საფუძვლად უნდა დასდებოდა მონობის ფართოდ განვითარებას. ამის საბუთს უპირველესად წარმოადგენს სტრაბონის ცნობა იბერიის შესახებ, სახელდობრ ის, რომ ბაზილევსის (მეუფის)[29] მონები მიწაზე სხედან და როგორც მიწათმოქმედებით, ისე ყველაფრით ემსახურებიან მას, მაშინ, როდესაც საერთოდ ბატონობს თემური მიწათმოქმედების წესი და გვაროვნული წყობა. მეორე საბუთი იმისა, რომ სწორეთ მიწათმოქმედების ნიადაგზე განვითარებულა მონობა, ის არის, რომ მე-5 საუკუნეში აზნაურებს უპირისპირდებიან მონები, როგორც უაზნონი, სახელდობრ, იმ აზნაურებს, რომლებიც მიწათმფლობელებს წარმოადგენენ.

მე-5 საუკუნეში მონური წარმოება, რომელსაც, როგორც ამას ქვემოდ შევეხებით, ებრძვის ფეოდალიზმის ტენდენცია, საფუძველს უქმნის როგორც პიტიახშს, ანუ მთავარს, ისე დიდ აზნაურს და აზნაურს და ხელოსანსაც იყოლიონ მონები. აღსანიშნავია საქმიანობის მიხედვით მონობის გარკვეული სახეები. მონების ერთ ნაწილს წარმოადგენს „მსახური“, რომლებიც სახლეული მონებია, უფრო მამაკაცებია ესენი. მათ გვერდით შეიძლება დავასახელოთ „მონამხევლები“ — მონა ქალები, რომლებიც მათ მფლობელს თან სდევენ და ყველაფრით ემსახურებიან. მაზრპანთან დაბარებულ ევსტათე მცხეთელს თან გაჰყვნენ მონამხევლები.

მესამე სახე — მონები, რომლებიც მიწაზე საბუშაოთ უნდა ყოფილიყვნენ გამოყენებული. ეს ის დროა, როცა შინამრეწველობას სპეციალური ხელოსნობა გამოყოფია და საკმაოდ ხვედრითი წონა მიუღია.

პროფ. ი. ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ ამ დროს (მე-5 მე-6 საუკუნე) მცხეთაში ასურელ და ირანელ ხელოსნების — მეხამლეების და მეჯადაგეების ახალშენები არსებობს. ამ დროს მსხვილ მწარმოებელ ხელოსანთა და მსხვილ მიწათმფლობელ აზნაურ მოხელეთა ერთგვარ შუალედს შეადგენდენ ვაჭრები.

როგორც შუშანიკის ცხოვრებიდან სჩანს, საქართველოში ამ დროს ძვირფასი ქსოვილი პალეკარტი ანტიოქიდან შემოდიოდა. ეს ვაჭრები უნდა ყოფილიყვნენ მონების შემსყიდველნი და მონებით მოვაჭრენი. ამ ვაჭრების საშუალებით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი, რომ ხელოსნებს მონები ეყიდნათ. მე-VI საუკუნეში

[29] ვხმარობ მეუფეს გვართა წინამძღოლის მნიშვნელობით.

უაზნოთა, ანუ უთავისუფლოთა ჯგუფის დიდ ნაწილს, უკეთ, მიწის წვრილი მწარმოებელი დამოკიდებული მოსახლეობას შეადგენდა. ამ დამოკიდებული მოსახლეობის ზრდაში და მონური წარმოების შესუსტებაში დიდი როლი ითამაშა მმართველობის და სამეურნეო ცხოვრების დეცენტრალიზაციამ განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში.

ქვეყნის მმართველები ამ დროს, ე. ი. ირანის ბატონობის ხანაში, იყვნენ ადგილობრივი მთავრები და მამასახლისები. ძეგლებში იხსენიება ქართლის მამასახლისი.

რასაკვირველია, ეს მამასახლისი გვაროვნული წყობილების მამასახლისი კი არ არის.

ირანის ხელისუფლება ხელს უწყობდა და ამტკიცებდა მთავართა და მამასახლისთა უფლებას ირანისავე ეკონომიური და პოლიტიკური სარგებლიანობისათვის.

პროფ. ი. ჯავახიშვილმა, რომელმაც პირველმა აღნიშნა უაზნონი და აზნაურნი, უაზნოთა ჯგუფში, ანუ, მისი სიტყვით, უაზნოთა წოდებაში მარტო მსახურნი და მონამხევალნი მოაქცია. სხვა ჯგუფს თითქოს არ უნდა გულისხმობდეს უაზნონი. ამასთანავე, მონამხევალნი პროფ. ი. ჯავახიშვილმა სოციალური ცხოვრების უმდაბლეს საფეხურზე მდგომათ ცნო. თუ რამდენათ სწორია მონების უფლებრივი განსხვავება მონური კლასის კიდევ კლასებათ დაყოფა, ამას ჩვენ ქვემოთ შევეხებით. ეხლა ჩვენ ის უნდა დავამტკიცოთ, რომ დამოკიდებული წვრილი წარმოების მოსახლეობა, რომელიც კაბალურ მდგომარეობაში იყვნენ და მონებს უახლოვდებოდენ, მართლაც არსებობდენ მე-6 საუკუნეში.

მე-7 საუკ. პირველ ნახევარში (643-45 წლებში) საქართველოში არაბები გაბატონდა. ამ დროს არაბებსა და ქართველებს შორის, როგორც თვით პროფ. ი. ჯავახიშვილმა გამოარკვია, დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც არაბებისათვის საქართველოდან ყოველთვიურად ხარკი უნდა ეძლიათ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხარკის გაღებას კომლობრივათ და ითვალისწინებდა, რომ ხარკის შემცირების მიზნით მეკვამურნი არ შეერთებულიყვნენ და არც ხარკის გადიდების მხრივ არაბებისაგან არ ყოფილიყო დაშვებული მეკვამურთა დაყოფა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მეკვამურნი სხვა ვინმე ყოფილიყო, თუ არ დამოკიდებული მიწის წვრილი მწარმოებელი მოსახლეობა, რომლებსაც უნდა გაეღოთ ეს ხარკი. ეს დამოკიდებული მიწის მოსახლეობა უნდა ყოფილიყო ხარკის გადამხდელი და არა დიდი აზნაურნი და აზნაურნი. ეს მოსახლეობა ხომ მაშინ არ გაჩნდებოდა, როცა არაბები საქართველოში შემოვიდენ.

ამრიგად, მე-5, მე-6 საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების დამახასიათებელი, მისი საფუძველი ორ დაპირისპირებულ ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულ კლასთა შორის წინააღმდეგობა და ბრძოლაა. პირველს შეადგენდენ მსხვილი მიწათმფლობელები — სახელმწიფო მოხელეები და აზნაურები, ქალაქის ვაჭრები. მეორეს — მონები და დამოკიდებული მიწის წვრილი მწარმოებელნი, კაბალურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა.

ის გარემოება, რომ ხელოსანს ყოლია მონები, სრულიად იმის საბუთად არ გამოდგება, რომ თითქოს მონათა შორის რაიმე უფლებრივი სხვაობა იყოს, როგორც ამას პროფ. ჯავახიშვილი ფიქრობს. სხვა და სხვა ხასიათი მონათა შრომისა, ამის მიხედვით მათი სახელწოდება: მონა, მონა მხევალნი, მსახურნი — სრულიად არ ასხვავებს მონებს უფლებრივათ, რომ ერთნი სოციალური ცხოვრების მაღალ საფეხურზე იდგნენ და მეორენი დაბალ საფეხურზე. რაკი არსებობს მონობა, მონური წარმოების წესები, არსებობს მონების ყიდვა გაყიდვა, არსებობს, მაშასადამე, მონათა ერთნაირი ჩაგვრა ექსპლოტატორთა კლასის მიერ.

პროფ. ს. ჯანაშია სრულიად სამართლიანად აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალიზმის საფუძველს ხედავს საეკლესიო იერარქიაში, რომელიც ერთგვარი ანალოგია უნდა ყოფილიყო, მისი სიტყვით, ფეოდალური ურთიერთობისა საქართველოში საერო ხელისუფლების სფეროში. თუმცა ჩვენ სრულიად იმ აზრის არა ვართ, რომ ფეოდალიზმს ჰქონდეს ადგი-

ლი ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში. რადგან უაზნოთა ჯგუფში მე-5, მე-6 საუკუნეში უმეტესათ დამოკიდებული მიწის წვრილი მწარმოებელი მოსახლეობა სჩანს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოებრივი განვითარების საფუძვლათ ფეოდალურ და მონურ წარმოების წესთა შორის ბრძოლა ავიღოთ. ეს ბრძოლა მომდინარეობს გვაროენული წყობილების რღვევიდან უკვე პირველი საუკუნიდან. გარეშე დამპყრობელმა პოლიტიკურმა ძალამ ერთგვარი როლი ითამაშა ამ ბრძოლის სიხანგრძლივეში. პირველი საუკუნიდან ჯერ რომი და შემდეგ მე-4 საუკუნიდან ბიზანტია და ირანი იბრძვის საქართველოზე ბატონობისათვის. მე-7 საუკ. პირველ ნახევრამდე გასტანა ამ ბრძოლამ. ქრისტიანიზმი ბიზანტიისათვის და მაზდიანიზმი ირანისათვის შეიქნა ამ ბრძოლის ერთ ერთი მთავარი იარაღი — სოციალური აღთქმა. რასაკვირველია, ქრისტიანიზმი, ისე როგორც მაზდიანიზმი ვრცელდებოდა ძალათ და ქრისტიანიზმის გამარჯვება იყო ბიზანტიის გამარჯვება ირანზე. რამდენათ სუსტი იყო როგორც ფეოდალური ბიზანტია, ისე ირანი, იმდენად მათ ვერ დაიპყრეს საქართველოს საწარმოო ძალები, თუმცა ქვეყნის სამეურნეო დეცენტრალიზაციას მათ მაინც შეუწყვეს ხელი და ამით უნდა აიხსნას, კერძოთ, აღმოსავლეთ საქართველოში ფეოდალიზმის თანდათანი უპირატესობა მონურ წარმოებაზე.

მე-7 საუკუნის დასასრულს, პროფ. ს. ჯანაშიას მტკიცებით, მხოლოდ ფეოდალიზმს აქვს ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში.

ეხლა ფეოდალიზმის შესახებ მოგახსენებთ. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც არ არის დარღვეული პროფ. ი. ჯავახიშვილის დებულება პატრონყმობის წარმოშობისა და მისი რაობის შესახებ. პროფ. ი. ჯავახიშვილი პატრონყმობის წარმოშობის დროთ სთვლის მე-10 საუკ. მეორე ნახევარს. აიგივებს რა პატრონყმობას ფეოდალიზმთან, ამ ფორმაციას, ე. ი. ფეოდალიზმს საქართველოში მხოლოდ ტერმინების წარმოშობით, ამ ტერმინთა ანალიზის საფუძველზე ხსნის იმ გარდატეხის და ცვლილებების გარეშე, რომლებიც გულისხმობენ ერთი ფორმაციიდან მეორეში გადასვლას. ტერმინოლოგიური მიდგომაც, რომელიც ამ შემთხვევაში სრულიად ვერ გვშველის ნამდვილ ვითარების გასარკვევად, შეუსაბამოდ არის დაცული პროფ. ი. ჯავახიშვილისაგან. საკმარისია ავღნიშნოთ ამისათვის ის, რომ მოვლენის წარმოშობა წინ უსწრებს მისი შესატყვისი ტერმინის განმტკიცებას და შემდეგ მისი კვალი მწერლობაში რჩება.

1929 წელს პროფ. გ. ნათაძემ სცადა, ეკონომიური განვითარების საფუძველზე (როგორც ამას ის აღნიშნავდა) გამოერკვია კლასობრივი ბრძოლის ფორმები შავშეთ-კლარჯეთის მე-9-10 საუკ. მიხედვით (იხ. „მნათობი", მარტ-აპრილის ნომრები, 1929 წ.).

პროფ. გრ. ნათაძემ პირველ წყაროების შესწავლით წამოაყენა დებულება ფაქტიური მიწათმფლობელობის შესახებ მე-9 საუკ. და რომ არავითარი კანონიერი მფლობელობა მაშინ არ იყო ძალაში. ეს დებულება მან დაამყარა ოპიზის მონასტრის ცნობილ სიგელზე, მაგრამ თვით ეს სიგელი, რომლის მიხედვით წყალობა არ იყო ერთხელ დამტკიცებული მუდმივი კატეგორია, არამედ ის ისაზღვრებოდა ყოველი მართველი ხელისუფლების მიერ, უარყოფს ფაქტიურ ფლობელობას და ცხადყოფს კანონიერ ფლობელობას მიწისას.

ფაქტიური ფლობელობა მიწისა და ამ ნიადაგზე აშენებული პოლიტიკურათ დამოუკიდებელ აზნაურთა უჯრედები, რომლებიც მხოლოდ ზნეობრივად სცნობდენ აშოტ კუროპალატის უფლებას, ეს თეორია პროფ. გრ. ნათაძისა სრულიად ისტორიულ სინამდვილეს არ გამოხატავს.

დიდებულები აშოტ კურაპალატის რწმუნებულები კი არ ყოფილან ზნეობრივ მორჩილების საფუძველზე, როგორც ამას პროფ. გრ. ნათაძე ამტკიცებს, არამედ კურაპალატის ხელქვეშეთი მოხელე ყმები, იმგვარადვე, როგორც ამ დიდებულებს კიდევ სხვა ხელქვეშეთი ყმები ყავდათ, როგორც ეს ძეგლებიდან მტკიცდება.

ამრიგად, არა თუ ფეოდალიზმის ელემენტები არა სჩანს შავშეთ-კლარჯეთში, როგორც პროფ. ნათაძე ამტკიცებს, არამედ აქ ჩვენ ფეოდალიზმთან გვაქვს საქმე.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია შეხედულება თითქოს ფეოდალური მონარქია ბაგრატ მე-3-ის დროს ჩნდება. ეს შეხედულება ყალბია, რადგან ბაგრატ მესამის და ბაგრატ მე-4-ის გაერთიანებული საქართველო წარმადგენს ცალკე ფეოდალურ სამთავროთა კონგლომერატს, რომ არავითარი ბაზა ამ დროს არა აქვს ცენტრალურ ხელისუფლებას, არც შეიძლებოდა ქონოდა, რადგან საწარმოო ძალთა განვითარების დონე ამის საშუალებას არ იძლეოდა და მეფეთა ეგრეთწოდებულ ზნეობრივ შეგნებას ხომ არ შეეძლო მონარქიის შექმნა.

ფეოდალური მონარქია იქმნება დავით აღმაშენებლის დროს, როცა გატარებული იქმნა სამხედრო და ადმინისტრატიული რეფორმები, მაგრამ ამით ფეოდალიზმი უფრო განმტკიცდა მხოლოდ.

ლ. ციხისთავი: საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1934 წ. დადგენილება სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ, ამხ. სტალინის, ჟდანოვისა და კიროვის მითითებანი სამოქალაქო ისტორიის სახელმძღვანელოების კონსპექტების შესახებ, საბჭოთა მასწავლებლობისა და მეცნიერ მუშაკ ისტორიკოსთა ყოველდღიურ მუშაობის საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს.

ცეკას დადგენილებამ და დიდი ბელადის ისტორიის სწავლების საკითხის გადაწყვეტაში უშუალო მონაწილეობამ აღფრთოვანება გამოიწვია საბჭოთა მასწავლებლობასა და მეცნიერ მუშაკთა შორის, გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ბოლშევიკური ისტორიის სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაჰგმო ისტორიის სწავლებაში არსებული დამახინჯებანი, ამხილა მავნებლობა მარქსისტულ-ლენინური კონკრეტული ისტორიის შეცვლისა აბსტრაქტული სოციოლოგიური სქემებით.

ცეკას მიერ დროულად დაყენებული ამოცანა ისტორიის სწავლების შესახებ, ცხადია, ჩვენც, ტფილისის უნივერსიტეტის მუშაკთ დიდს პასუხისმგებლობას გვაკისრებს იმ დიდსა და მეტად საპასუხისმგებლო მუშაობაში, რომელიც საბჭოთა კავშირში სწარმოებს.

ჩვენი წვლილი საქართველოს ისტორიის კურსის ბოლშევიკურად დამუშავებით უნდა შევიტანოთ. აქეთ იყო მიმართული რექტორის უაღრესად სერიოზული, ჩვენი დღევანდელი ამოცანების ნათელი შუქის მომფენი ბოლშევიკური მოხსენება. ამხ. კარლომ უაღრესად სწორად დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს ისტორიის ბოლშევიკური სახელმძღვანელოს შექმნისათვის აუცილებელია ისტორიული მემკვიდრეობის, ქართული ისტორიოგრაფიის მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიურ კრიტიკის ფილტრში გატარება, გამომჟღავნება და ღღის სინათლეზე გამოყვანა ქართული ბურჟუაზიულ-მემამულური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებისა, მხილება და დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადება ისტორიის ყოველგვარ ფალსიფიკაციების წინააღმდეგ. მომხსენებელმა უაღრესი ზუსტი და მრავალი ფაქტებით ილუსტრირებული ბოლშევიკურ ლენინურ-სტალინურ სიმაღლეზე აიყვანა ბურჟუაზიულ მემამულური ქართული ისტორიოგრაფიის კრიტიკა და ამით საზღვარი დაუდო იმ კუსტარობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღევანდლამდე ჩვენს უნივერსიტეტში.

ქართული ბურჟუაზიულ იდეალისტური ისტორიოგრაფიის მამამთაურის ივანე ჯავახიშვილის შრომების ღრმა ბოლშევიკურ-აკადემიური კრიტიკით მომხსენებელმა ფარდა ახადა ივ. ჯავახიშვილის ყველა მიმდევრებს და მეცნიერულ აკადემიური მახვილი ჩასცა მათ აშკარა ყალბსა და ფალსიფიკატორულ შეხედულებებს საქ. ისტ. მოვლ. ჩემი მიზანია, თქვენი ყურადღება შევაჩერო საქართველოს ისტორიის იმ ნაკვეთზე, რომელიც უღრმესად რთულია, მდიდარია მრავალსახოვან მოვლენებით და რომელიც, ჩემის აზრით, მეტად ნაკლებად არის შესწავლილი. ისიც კი, რაც ისტორიის ამ ნაკვეთის შესახებ მოგვეპოვება მეტწილად ან თვითმპყრობელობის ოფიციალურ ისტორიკოსთა კალამს ეკუთვნის, ანდა პირწავარდნილ ბურჟუაზიულ მემამულურ ისტორიკოსთა ნამდვილი ისტორიის ფალსიფიკაციის ცდის ნაყოფია. საქართველოს ისტორიის ამ ნაკვეთს მე-19 ს. წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, მე-19 ს. დამდეგი საქართველოსა და ა/კავკასიის ხალხთა ისტორიაში აღინიშნა ამ ხალხების

მიერ დამოუკიდებელი არსებობის დაჯარებით. მეფის რუსეთის ფეოდალურ-იმპერიალისტურმა პოლიტიკამ 1801 წლიდან ხელი მიჰყო ჯერ აღმოსავლეთ საქართველოსი, ხოლო მალე მთელი ა/კავკასიის დაპყრობას. ამ ისტორიული ფაქტის შემდეგ საქართველო და ა/კავკასია ცხოვრებას იწყებს როგორც მეფის რუსეთის თვითმყრობელობის კოლონია. ვისთვის არ არის ცნობილი, რომ მეფის რუსეთმა ვერ შესძლო ამ ქვეყნის ერთი დაკვრით ხელში ჩაგდება, კოლონიალურ-დაპყრობითი ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ცხადია, თანდათანობითი გზის გაკაფვის საჭიროება კასპიისა და შავი ზღვებისაკენ უკვე დაპყრობილ აღმოსავლეთ საქართველოდან, თვითმპყრობელობის პოლიტიკურ წრეებს – დიპლომატიას სულ სხვა ენით ალაპარაკებდა, საფუძველი ჩაეყარა და მტკიცედ გაიდგა ფესვი ლეგენდამ ე. წ. ნებაყოფლობით შეერთების შესახებ, ე. წ. აღმოსავლეთის ქრისტიანების დაცვისა და გადარჩენის შესახებ ბარბაროს მაჰმადიანთაგან. თვითმპყრობელი მეფის ოფიციალური ისტორიკოსები მთელი საუკუნის მანძილზე დიდის გულმოდგინებითა და მთელი ისტორიული გამჭრიახობით ასაბუთებდენ და ამტკიცებდენ ლეგენდას თვითმპყრობელობის კეთილი სურვილებისა და საქართველო-ა/კავკასიის ნებაყოფლობით შეერთების შესახებ თვითმპყრობელობასთან. ეს ლეგენდა საუკუნის მანძილზე თანდათანობით იზრდებოდა, ფართოვდებოდა და, წარმოიდგინეთ, მისი შემთხზველნი მის დასასაბუთებლად ღრმა ისტორიულ ფესვებსაც კი ეძებდენ. საქმე იქამდესაც კი მივიდა, რომ ბერჟემ, მე-19 საუკუნის ნამდვილი ისტორიის და მთელი ისტორიული საბუთების ამ ყველაზე საზიზღარმა ფალსიფიკატორმა, პირიქით, ბრალი დასდო საქართველოს ხალხს. „რუსკაია სტარინაში“, ტ. 28, 1880 წ., ბერჟე მთელი გულმოდგინებით ამტკიცებდა, რომ მეფის რუსეთი დაიღუპა საქართველოს „შეერთებით“, რომ ამ შეერთებამ თვითმყრობელობა აიძულა დაეპყრო მთელი ამ/კავკასია, გაეკაფა გზა კასპიისა და შავი ზღვებისაკენ და ამის გამო გადაეხადა მრავალი ომიო. რასაკვირველია, ბერჟე მარტო არ არის, მას გვერდს უმშვენებდენ დუბროვინები, ბუტკოვები, პოტოები, ანოსოვები და მრავალი სხვა შავრაზმელი მონარქისტი ისტორიკოსები. საქართველოსა და ა/კავკასიაში ისინი მხოლოდ „ბრწყინვალე“ წოდებას ხედავდენ და აკი საჭირო პოლიტიკურ მომენტებში გარკვეულ რევერანსებსაც უკეთებდენ მათ, პოლიცია და ჯარი მზათ ყავდათ მათ დასაცველად ამბოხებულ გლეხთა შეტევისაგან. მეფის ისტორიკოსებისათვის ქართველი მშრომელი ხალხი, რასაკვირველია, არ არსებობდა, მშრომელთა დრტვინვა კოლონიალურსა და ბატონყმურ უღელ ქვეშ ამ ისტორიკოსებისათვის შეუმჩნეველი რჩება, მათი სქელკანიანი ტომები სრული დუმილით უპასუხებენ მშრომელთა ცხოვრებისა და ბრძოლის საკითხებს.

შეიძლება ზოგიერთი გააკვირეოს ამ თითქოს ნათელსა და გასაგებ საკითხზე რამდენიმედ დეტალურმა შეჩერებამ, მაგრამ, მე ვფიქრობ, ეს საკითხი უფრო მეტსა და ღრმა განხილვას საჭიროებს.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ჩვენი უნი-სათვის არნახული მუშაობა გააჩაღა საქართველოს ისტორიის კვლევა ძიების საქმეში. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ფაქტიური მასალების დამუშავება-გამჟღავნებაზე და, როგორც ამხ. კარლო სამართლიანად მოგვიწოდებდა, ამ ფაქტისადმი ფხიზელი ბოლშევიკური მობყრობაა საჭირო, საჭიროა ისტორიული მოვლენის სწორად განხილვა. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საჭიროა ყოველგვარ ზნეობრივ, რელიგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ ფრაზებს, განცხადებებსა და დაპირებებს იქით (მიღმა) ვეძებოთ ამა თუ იმ კლასების ინტერესები“ (ტ. XVI, გვ. 353). და აი, სწორედ ეს სახელმძღვანელო დირექტივა უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, როდესაც ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შესწავლას ვაწარმოებთ საერთოდ და კერძოდ და განსაკუთრებით კი მე-19 საუკუნის ფაქტიური მასალის დამუშავებისას. ვისთვის არ არის ცნობილი, რომ ზემოდ აღნიშნული ლეგენდების ყველაზე გულმოდგინე დამცველი ბერჟე იმავე დროს მთელი მე-19 ს. ისტორიულ დოკუმენტების ბატონატრონი იყო. ბერჟე ხომ კავკ. არქეოგრაფიული კომიტეტის თავმჯდომარე

იყო და როგორც არც თითონ მალავს აქტების შედგენისას, არა საჭირო, მისი აზრით, მეორე ხარისხოვან დოკუმენტებს ანადგურებდა. ცხადია, ბერჟე შეეცდებოდა, და ეს ასეც არის, აქტებში შეეტანა ისეთი მასალა, რომელიც მის და მის თანამოკალმეთა მიერ შეთხზულ ნებაყოფლობით შეერთებისა იმპერატორ ალ. I კეთილსურვილებს და მოწყობილობას დასაბუთებდა.

მეორე — მე-19 საუკ. ოფიც. ისტორიოგრაფიის დეტალური გარჩევა მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის თვალსაზრისით იმიტომაც არის საჭირო, რომ ამ ისტორიოგრაფიის ძირითადმა დებულებებმა საყრდენი ჰპოვა მე-19 საუკ. ქართველ ბურჟუაზიულ-მემამულურ-იდეალისტ ისტორიკოსთა მსოფლმხედველობასა და შრომებში. უფრო მეტიც, ჩვენი ეპოქის ქართულს ისტორიოგრაფიაში ამ ლეგენდებმა ერთგვარი ნიღილიმზი წარმოშვეს. დიდი ხნის ამბავი არ არის ის გარემოება, რომ ტროცკისტი პლ. ქიქოძე და კომპ. საქვეყნოთ გაჰკიოდენ, რომ ქართველ ხალხს ისტორია არა აქვს, რომ ჩვენი ხალხის წარსულში არავითარ პროგრესიულ აზრსა და იდეას არ დაუსადგურებია და სხვა.

განა მეტად თვალსაჩინოთ არ ამხილა ამხ. კარლომ ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც აბსოლიტურად ამახინჯებენ მე-19 საუკ. ისტორიულს მოვლენებს ნაც. გამანთავისუფლებელ მოძრაობის მიზეზად მღვდლების და ეპისკოპოსების შეურაცყოფას ასაღებენ და სხვა. უდაოა ერთი — ქართულმა ბურჟუაზიულ მემამულურმა ისტორიოგრაფიამ თვითმყრობელობის ოფიციალურ ისტორიოგრაფიაზე წინ ვერ წარდგა ფეხი ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ჩვენი წარსულის ისტორიული მოვლენების შეფასებაში.

ამის საუკეთესო ნიმუშს სარგის კაკაბაძის შრომა წარმოადგენს. „საქართველოს მოკლე ისტორია" 1920 წ. და „საქართველოს ისტორია, ახალი საუკ. ეპოქა". 1922 წ. უდაოა, ავტორი თვითონ უარყოფს თავის შრომას, მაგრამ რამოდენიმე მაგალითს მაინც მოვიყვან უფრო ზოგადი მიმოხილვის სახით, რადგან შრომის ყველა სტრიქონი თითქმის სანიმუშოა როგორც მეთოდოლოგიით, ასევე მეტნაკლებად ფაქტოლოგიურ სიზუსტის მხრივაც. ავტორი მთლიანად ემყარება ნებაყოფლობით შეერთების ლეგენდას, მე-19 საუკ. მთელს მანძილზე უაღრესად ზერელედ იხილავს მოვლენებს, ამ მოვლენათა მიზეზს, არც შედეგს არ ეხება, ცურავს ფაქტების ზედაპირზე, მეცნიერისა და დიდ ფეოდალთა მეხოტბეობას იჩენს: „თავისი სამართლიანი და სათნოიანი მოპყრობით და ჰუმანიური პოლიტიკით სოლომონ მეორეს საერთო სიყვარული ჰქონდა დამსახურებული"... გლეხობა, მშრომელი ხალხი კაკაბაძისათვის არ არსებობს მთელს მე-19 ს. სიგრძეზე, ავტორი დიდი სიმპატიებით არის გამსჭვალული მენშევიკების დიქტატურის მიმართ, ამართლებს და ხოტბას ასხავს მენშევიკური მთავრობის ყოველ კონტრევოლიუციონურ ნაბიჯს. სიძულვილით არის გამსჭვალული ბოლშევიკებისადმი. როდესაც ლაპარაკობს ოქტომბრის რევოლიუციაზე, ის სწერს: „რუსეთი ამის შემდეგ დაეშვა ახალ სოციალურ ექსპერიმენტების გზაზე, რამაც ფრიად არია ქვეყნის შინაური ცხოვრება და რუსის ხალხი დიდს განსაცდელში ჩაგდო და სხვა". უფრო მეტი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ ავტორი სწერს:

„1918 წ. 26 მაისს გამოცხადებულ იქმნა საქ. დამ. დემ. რესპუბლიკა, რასაც ახალი რუსეთის, — ს. ს. რ. და ახალი ლოზუნგებით, — ამიერ კავკასიაში ისევ დაბრუნების შემდეგ შეუდგა, რუსის ჯარის მიერ 1921 წ. 25 თებ. ტფილისის დაპყრობის დღიდან".

მრავალია ასეთი ადგილები. ერთი, რომ გარკვეულად უნდა ითქვას, რომ ამ შრომებში ს. კაკაბაძე მემამულეების, ბურჟუაზიის და მათი ინტერესების დამცველ მენშევიკთა მეხოტბეა.

მაგრამ ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დღესაც, როდესაც ჩვენი ისტორიის საუკეთესო ნაწილის შესახებ, ქართველი პროლეტარიატის თავგანწირულ რევოლიუციონური ბრძოლის შესახებ უკვე მოგვეპოვება მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის იშვიათი ნიმუში ამხ. ლ. ბერიას შრომის სახით,

შრომა, რომელიც ძვირფას სახელმძღვანელოს წარმოადგენს ჩვენი შორეული წარსულის შესასწავლადაც, სწორედ ამ დროს ჩვენში კიდევ მოიპოვებიან ნიღილისტები, მოიპოვებიან ისეთი არამკითხე ისტორიკოსები, რომელნიც ცდილობენ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული მთლად შავად წარმოადგინონ.

თუ ისტორიკოსთა ერთი წყება, ფრონელი და სხვები, მე-19 საუკუნის მთელს მანძილზე წარმოებულ გამანთავისუფლებელ მოძრაობას ქართველ თავადთა „სამშობლოსათვის" თავგანწირვას მიაწერენ, თუ ისინი აშკარად ხელს აფარებენ, მალავენ მშრომელთა ბრძოლას ბატონყმობისა და კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ, მალავენ გაბატონებული წოდების ექსპლოატორულ, გამყიდველ პოლიტიკას, ეს ახალი ისტორიკოსები ქართველ ხალხს წარსულში პირაღებით თათქარიძეებათ ასაღებენ, იმ ხალხს, რომელმაც, ამბ. მოლოტოვის სიტყვებით რომ ვსთქვათ, ბრწყინვალე ნიჭით აღჭურვილი სოციალიზმის მშენებლობის ორგანიზატორ შემომქმედები მისცა საქართველოს, ამ/კავკასიას და საბჭოთა კავშირს. ხალხს, რომლის მშრომელებმა ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის ისტორიაში რუსეთის ძლევამოსილ პროლეტარიატთან ერთად.

ამბ. კარლო თაყის მოხსენებაში მიგვითითებდა და ხაზს უსვამდა ბოლშევიკური დაუნდობელი კრიტიკის, ობიექტიური კრიტიკის აუცილებლობას, მეტად ნათლად აღნიშნა ამ კრიტიკის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ბოლშევიკური ისტორიის შექმნის საქმეში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში კიდევ მოიპოვებიან დამპალი ცილისმწამებლები, რაც მეტად სამწუხაროა. ეს, ე. ი. ისტორიკოსები და კრიტიკოსები, აბერხებენ თავის აშკარა მავნე ტროცკისტული კონცეპციის გამომზეურებას, ჩვენი ხალხის წარსულის აბსოლიტურ უარყოფას, შავათ დახატვას.

ერთ ასეთ კრიტიკოსად მე მიმაჩნია ჩხეტია, რომელმაც ჟურნალ „მნათობის" №11-12 რეცენზია მოათავსა გ. გოზალიშვილის მიერ გამოცემულ 1832 წ. შეთქმულების ისტორიული მასალების შესახებ.

ეს რეცენზია არა მარტო წარმოადგენს არა ბოლშევიკური, აშკარა უსაფუძვლო და უმსგავსი კრიტიკის ნიმუშს, უკეთ, თავიდან ბოლომდე ცილის წამების ნიმუშს, არამედ ამავე დროს ამჟღავნებს რეცენზიის ავტორის უაღრესად დამპალ ნიღილისტურ შეხედულებას ქართველი ხალხის წარსულს ცხოვრებაზე. მას ვერ წარმოუდგენია, რომ მე-19 საუკ. საქართველოს ხალხის ცხოვრებაში შესაძლებელი იყო რაიმე პროგრესიულ მოვლენას, მოძრაობას ქონოდა ადგილი. მისი აზრით, მეფის რეჟიმის წინააღმდეგ გალაშქრება კოლონიალურ ქართველ ხალხის მიერ რეაქცია იყო თვითმყრობელობის წინააღმდეგ. ამაზე დამყაყებული რეაქციონური მსოფლმხედველობა უკვე წარმოუდგენელია.

გავყვეთ რეცენზენტს კვალდაკვალ:

ჩხეტია სწერს: „დაუსაბუთებლად გამოსჩანს ავტორის სურვილი, დაამტკიცოს, რომ 1832 წლის შეთქმულება პროგრესიული და გამანთავისუფლებელი მოძრაობა იყო და რომ ამ მოძრაობას ერთგვარი კავშირი ჰქონდა დეკაბრისტების მოძრაობასთან რუსეთში... და სხვა.

ბოლოს დაასკვნის, რომ ამ მაღალი კლასის წარმომადგენლებს არ შეიძლებოდა რაიმე პროგრესიული მიზნები ჰქონოდათ და საქართველოს მართლაც განთავისუფლების იდეებით ყოფილიყვნენ ისინი გამსჭვალულნი და სხვა.

რეცენზენტი მხოლოდ იმიტომ, რომ შავად მოაჩვენოს მკითხველს მთელი წარსული, რომ ქართველი ხალხი ხელაღებით თათქარიძეებათ დასახოს, განგებ მალავს შეთქმულთა მთავარ მიზნებს, მას ავიწყდება, ან და შეიძლება არც წაუკითხავს სარეცენზიო წიგნში, რომ შეთქმულთ, გამარჯვების მეორე დღეს ორ პალატიანი მართველობის შემოღება უნდოდათ, მართალია, მეფეს ინარჩუნებდნ ასეთ მართველობაში, მაგრამ განა დეკაბრისტების, მურავიოვის პროექტი, მართველობისა სხვა გვარი იყო, განა ლენინმა ეს მოძრაობა პროგრესიულ მოძრაობათ არ შეაფასა.

მაგრამ არა. ჩხეტია ხომ ბერჟეებისა და მათი მსგავსი ისტორიკოსების ლეგენდებით არის გაზავებული და როგორ შეუძლიან „ყოველად მოწყალე“ იმპერატორის წინააღმდეგ კოლონიალური ხალხის ბრძოლა პროგრესიულ მოვლენად ჩათვლოს; ანდა განა ჩხეტიამ ვერ ამოიკითხა საბუთებში რუსებისა და უცოლოების მონაწილეობის შესახებ შეთქმულებაში, ან განა ვერ მიხვდა მათი მონაწილეობის მიზეზს. უდაოა, მას აკვიატებული აზრი აქვს, ხელაღებით გააშუქოს წარსული და ამიტომ სათვალებს ზევით უყურებს ისტორიის ნამდვილ ფაქტებს. ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც კმარა. საჭიროა ბოლშევიკური კრიტიკა და არა კრიტიკიანობა, საჭიროა ქართული ისტორიის მასალების გამეცნება, ფაქტების მარქსისტულ-ლენინური შერჩევა, ხოლო ეს საქმე ფხიზელ ბოლშევიკურ თანამშრომლობას მოითხოვს და არა კრიტიკულ ფეხის წამოკრას და საქმის შეფერხებას.

ამხ. კარლოს მოხსენების მეორე ნაწილი, უკეთ, ჩვენი სამოქმედო პროგრამა გარკვეულათ მიგვითითებდა მოკლე დროში ბოლშევიკური სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობას, პარალელურად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მეთაურობით დიდი სამეცნიერო საკვლევი მუშაობაა გაშლილი საქ. ისტორიის დარგში, მაგრამ, როგორც მომხსენებელიც აღნიშნავდა, აქ დიდ ნაკლთან გვაქვს საქმე, სახელდობრ, მეტად მცირეა საქართველოს ისტორიაში მომუშავეთა კადრები. ამას ისიც ემატება, რომ ეს მცირე კადრებიც ჩვეულებრივ კუსტარულ კარჩაკეტილ მუშაობას განაგრძობენ. კოლეგიალობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა-გაზიარება არ ხდება, ერთგვარ გულჩათხრობილობასა და რაღაც მიმალვასა აქვს ადგილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრძოლის ერთი მთავარი მახვილი აქეთ უნდა წარმართოს, დროა ვისწავლოთ კოლექტიური მუშაობა, დროა წავბაძოთ ამ საქმეშიაც და საბჭოთა რუსეთის დიდ მეცნიერებს, სხვაგვარად, ერთ ადგილზე მოგვიბდება ხტომა.

განძრახული მქონდა საქართველოს ისტორიაში არსებულ სახელმძღვანელოების განხილვა, მაგრამ ამ სახელმძღვანელოების ახლად გადახედვამ (ქვარიანი, ფერაძე, ჭაჭულიშვილი, უჩანეიშვილი და სხვა) ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ ყველა მათი აეტორები ძირითადათ ემყარებიან პროფ. ჯავახიშვილის შრომებს, რომლის ძირითად შეცდომებზე ვრცლად ილაპარაკა ამხ. კარლომ და მეტის დამატება აღარ საჭიროებს, რომ გამეორება მოსაწყენი იქნებოდა.

პარტია, ხელისუფლება, დიდი ბელადი ამხ. სტალინი და ამ/კავკ. ბოლშევიკების საუკეთესო ხელმძღვანელი ამხ. ბერია იმდენ მზრუნველობას იჩენენ ისტორიის საკითხებისადმი, ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ისე ფართედ გაშალა მუშაობა საქ. ისტორიის და, საერთოდ, ისტორიის დარგში, რომ ჩვენ, საქ. ისტორიის დარგში მომუშავეებს, ერთი დაგვრჩენია ღრმად შევისწავლოთ პარტიისა და დიდი ბელადის მითითებანი, კიდევ უფრო შევიარაღდეთ მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკით და განვაგრძოთ და გავაღრმავოთ საქართველოს ისტორიის ბოლშევიკური დამუშავება.

ამხ. ჯინჭველაშვილი: ამხანაგებო, პროფ. ორაგველიძის მოხსენება უდიდეს მნიშვნელობის არის. მოხსენება შეიცავდა არა მარტო განმარტებას საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსკომსაბჭოს დადგენილებათა ისტორიის სახელმძღვანელოების შესახებ, არამედ აქ მოცემული იყო, საქართველოს ისტორიის კრიტიკასთან ერთად, გაშლილი პროგრამა ჩვენი მომავალი მუშაობის, კერძოდ, საქართველოს ისტორიკოსების მუშაობისათვის. მომხსენებელმა გადავიშალა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთაც უნდა იმუშაონ მეცნიერულმა ძალებმა საქართველოს ისტორიაში, რომ უახლოეს პერიოდში ხარვეზები ამ საქმეში ამოვსებული იქნეს, რომ ჩვენს ახალ თაობას ჭონდეს ბოლშევიკური ისტორია, კლასთა ბრძოლის ნამდვილი ისტორია, სადაც ასახული იქნება ჩვენი ხალხის წარსული ცხოვრება, კლასთა ბრძოლის ყველა მომენტები. ამ მხრივ პროფესორ ორაგველიძის მოხსენებას კიდევ მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ამის შემდეგ, ნება მომეცით, შევაჩერო თქვენი ყურადღება პროფ. ჯავახიშვილის შესახებ. ცხადია, იმ გამოსვლების შემდეგ, რომლებსაც აქ ადგილი ქონდა ხსენებული ისტორიკოსის შრომების გარშემო, მე მომიხდება მხოლოდ მოკლედ შეჩერება რამოდენიმე საკითხზე; მაგრამ სანამ მასზე პირდაპირ გადავიდოდე, საჭიროთ მიმაჩნია გაკვრით გავაშუქოთ საქართველოს ისტორიაში არსებული მდგომარეობა ჯავახიშვილის ამ ასპარეზზე გამოსვლამდე. უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკ. განმავლობაში საქართველოს ისტორიის მეცნიერული დამუშავების საქმეში უსათუოდ გადადგმული იქნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. წინა ხანის ისტორიკოსები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მხოლოდ ფაქტების მოძებნა-დაგროვებას და აღწერას. მასალების კლასიფიკაციის, კრიტიკული განხილვის და მასზე ახალი მეცნიერული შეხედულებათა დამყარების საქმეში უკანასკნელთ ან სულ არაფერი გაუკეთებიათ, ან სავსებით უმნიშვნელო. უდავოა ის შეხედულება, რომ ფაქტების ღრმა ანალიზი, მისი მრავალმხრივ დადგინება, მასალების განლაგება-განხილვა საზოგადოებრივ ეკონომ. ფორმაციების, საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობის თვალსაზრისით, მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიის საფუძველზე, თითოეული მოვლენებისადმი ღრმა კრიტიკულ-რევოლუც. მიდგომა იძლევა საშვალებას ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის ღრმად შესწავლისათვის. ასეთ სიმაღლემდე ასვლა წინ ხანის ისტორიკოსებმა ვერ შესძლო. როდესაც მათ შრომებს მკითხველი ეცნობა, ვერ გამორკვეულა, თუ სად მთავრდება ლეგენდები და სად იწყება ნამდვილი ისტორიული მასალები (მაგ., ლეგენდები წმინდა ნინოს ან სხვათა შესახებ...). ხშირად თავის გენეოლოგიით ისინი მოგვაგონებენ ძველ ბიბლიურ თხრობას: „აბრამ შვა ისაკ, ისაკ შვა იაკობ და ძმანი მისნი და სხვა“...

ჩვენ ამით სრულიად არ გვინდა იმის თქმა, რომ თითქოს მე-19-ე საუკ. არ ყოფილიყოს ერთგვარი ცდა ლეგენდებისაგან ზუსტი ფაქტების გამიჯვნის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელი რიგი ძირითადი პირობების უქონლობის გამო, რაც აუცილებელია დაგროვებული ფაქტების დამუშავებისათვის, ამ მიმართულებით თვალსაჩინო წარმატებას ვერ ვხედავთ. ეს ოდნავადაც არ გვაძლევს უფლებას უგულებელ ვყოთ მათი შრომანი, პირიქით, საჭიროა კრიტიკულად მოვეპყრათ მათ ჩატარებულ მუშაობას და გამოვიყენოთ ისინი.

ამგვარად, მიუხედავად ღრმა დეფექტებისა, ადრინდელი ისტორიკოსების მუშაობას ქონდა მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში.

პროფ. ივ. ჯავახიშვილმა ამ მხრივ თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა; მთელი რიგი დაბრკოლებანი, რაც ელობებოდა ადრინდელ ისტორიკოსებს, მან უსათუოთ გადალახა. ცნობილია, რომ ისტორიკოს-მკვლევარისთვის ძველი კულტურულ ხალხთა ენების ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა (და არა მარტო ისტორიული) ენიჭება. ეს უკანასკნელი აადვილებს იმ მდიდარ მასალის მოძებნა-გამოყენებას, რომელიც ამ ხალხების ისტორიულ წყაროებშია გაბნეული. ბევრი წინანდელი საქართველოს ისტორიკოსი ამ იარაღს მოკლებული იყო, რისთვისაც უკანასკნელთ ხშირათ წართმეული ქონდათ საშუალება, პირდაპირი წყაროებით ესარგებლათ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ისტორიის დაწერის დროს, მოეძებნათ სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ისტორიულ შრომებში მასალები, მოეხდინათ მისი ღრმა ანალიზი და დაესაბუთებიათ ესა თუ ის მოვლენა. ასეთი გარემოება შესამჩნევ უარყოფით დაღს ასვამდა მათ შრომებს.

როგორც მოხსენებული გვაქვს, ი. ჯავახიშვილის მიერ, რომელსაც მის წინა ისტორიკოსებთან შედარებით გაცილებით ხელსაყრელ პირობებში მოუხდა მუშაობა, ენის მხრივ დაბრკოლებანი დაძლეულ იქნა. მას კარგად ქონდა და აქვს შესწავლილი დასავლეთ და აღმოსავლეთ მოსახლე ხალხთა ენები (ლათინური, ბერძნული, სპარსული, არაბული, სომხური და სხვა). აღნიშნულ პირობამ კიდევ მეტად შეუწყო ხელი, რომ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში მეტი მუშაობა ჩაეტარებია. ივ. ჯავახიშვილს ყველაზე ბევრი შრომები აქვს დაწერილი და გამოქვეყნებული საქართვე-

ლოს ისტორიაში, რომელშიაც მოცემულია ფაქტების უამრავი გროვა. ამ მხრივ შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მას ჩვენში მეტოქე დღემდე არ ყავს. მაგრამ პატ. პროფესორი თავის შრომებში გამოკვლევას ახდენს ფორმაციების გარეშე, რაც ყოვლად დაუშვებელია. მისი აზრით, ისტორიკოს-მკვლევარი ყოველგვარ პარტიულობის გარეშე უნდა იდგეს, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიაჩნია შესაძლებლად საკითხების მიუდგომლათ გადაჭრა... კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისის უარყოფას ის მიყავს იქამდე, რომ ორბელიანებს, ერისთავებს და სხვა თავადებს შორის გაჩაღებულ დაუსრულებელი ბრძოლის აღწერას ხალხის ისტორიათ ასაღებს.

პატ. ჯავახიშვილის შეხედულებით, შეუძლებელია განზოგადებითი მუშაობის ჩატარება მანამ, ვიდრე „ძირითადი ფაქტების“ საკმაო რიცხვი არაა დაგროვებული. მაშ, აგროვე და აგროვე ფაქტი, სანამ არ მოსულხარ „დონემდე“, რომ შესაძლებელი შეიქმნეს განზოგადება, მეცნიერული დასკვნების გაკეთება. „საქართველოს ისტორიის მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლას ჯერ იმ დონემდე არ მიუღწევია“, დაასკვნის ისტორიკოსი. ამ რეცეპტს თუ მივიღებთ, ისტორიკოსის-მკვლევარის მუშაობა ფაქტების დაგროვების იქით ვერ გადადგამს ნაბიჯს, მით უმეტეს, რომ თვით ავტორისათვის გაურკვეველია, თუ სანამდე უნდა ვიაროთ ასე, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, სად იწყება და სად მთავრდება „დაგროვების დონე“. ალბათ, ფაქტები თვითონ გვიყვებიან: „გეთაყვათ, დაანებეთ თავი ჩვენს დაგროვებას, დროა ხელი მიჰყოთ განზოგადებასო“...

ჯერ-ჯერობით არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ მომხდარა მსგავსი „სასწაული“, არავის მოუცია ისეთი ფორმულა (როგორც ხედავთ, ჯავახიშვილმაც ვერ მოგვცა), სადაც განსაზღვრული იყო „ფაქტების დაგროვების დონე“. როგორც ხედავთ, ეს გზა მარქსისტ-ისტორიკოსისათვის სავსებით მიუღებელია... თუ გადავთვალიერებთ ჯავახიშვილის შრომებს, მას უამრავი ფაქტების და მოვლენათა აღწერა აქვს მოცემული ურთიერთ დაკავშირების გარეშე. ფაქტების ანალიზი და სინთეზი, რომელიც მთლიანობაში უნდა იყოს მეცნიერული მუშაობის დროს, მის მიერ უარყოფილია. თუმცა, მე კვლავ მინდა გავიმეორო ის აზრი, რომ ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიაში უდიდესი ფაქტოლოგია, მაგრამ მარტო ეს მხარე, თუ გინდ მის გვერდით ძველი ქრონოლოგიის აღმოჩენაც და დადგენაც ოდნავათაც არ არის საკმაო ისტორიის ღრმად შესწავლისათვის...

მიუხედავად მრავალი შრომებისა, რომელიც დასწერა ჯავახიშვილმა, კერძოთ, საქართველოს ისტორიაში, ვერ მოგვცა ჩვენი ხალხის ნამდვილი, კლასთა ბრძოლის ისტორია. მას, თითქმის გამოუკლებლივ, აღწერილი აქვს ყველა „მეფეების“ ისტორია, მათი თავგადასავალი, ომები, დეტალურათაც კი, მაგრამ მთავარი, რაც ამოძრავებს ისტორიას, კლასთა ბრძოლა, რომლითაც ხასიათდება საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ხალხთა ცხოვრება, მთლიანად დავიწყებულია. სად დაიკარგა გლეხობის ბრძოლა ფეოდალ-მემამულეების წინააღმდეგ, ნუ თუ ასეთს არ ქონდა ჩვენში ადგილი მრავალი საუკუნეთა განმავლობაში, ნუ თუ აქ არ იყო ისეთი რთული ამბები (გლეხთა ომები, რეფორმაცია), რომელიც რუსეთში ბურჟუაზიულ ისტორიკოსებმა „სმუტას“ ხელით მონათლეს? მით უმეტეს, როგორც თვით ჯავახიშვილი სწერს, საქართველოს წესწყობილება დამყარებული იყო ისეთ დაწესებულებაზე, როგორიც „პატრონყმობა გახლავთ, ის პატრონყმობა, რომელიც შემდეგ ბატონყმობად გადაიქცა“-ო (იხ. ი. ჯავახიშვილი, „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“, გვ. 24, გამ. 1905 წ.). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მან განგებ დაფარა გამწვავებული კლასთა ბრძოლა, რომელსაც ძველ საქართველოშიაც ქონდა ადგილი.

ჯავახიშვილი კრინტსაც არ ძრავს განაპირა (окраина) ხალხთა წარსულ ცხოვრებაზე და ზოგან თუ მათ იხსენიებს, ეს მხოლოდ სხვათა შორის. ეს, მეტი რომ არ ვსთქვათ, იგივეა, რასაც ჩადიოდენ „ოკრაინების“ მიმართ რუსეთის თვითმპყრობელობის დროინდელ ბურჟუაზიული-ნაციონალისტურ მიმართულების

დამცველი ისტორიკოსები, რომლებიც, გარკვეული პარტიულ-კლასიური მოსაზრებათა გამო, მათზე გაკვრით, სხვათა შორის იხსენებდენ.

"Я буду излагать главным образом", ასე სწერდა რუსეთის სამეფო ისტორიკოს კორნილოვი – историю русского народа, останавливаясь на истории прочих частей населения лишь постольку, поскольку события составляющие эту историю, вопросы тут возникающие и процессы среди этих народностей развивающиеся, касаются интересов всего русского государства" (см. **Корнилов**, "Курс рус. истории", ч. 1, ст. 4).

აი, როგორ უყურებდა განაპირა ხალხთა ისტორიას მეფის მონარქიის აშკარა დამცველნი ისტორიკოსები, აი, როგორ სწერდენ ისინი იმ ხალხის ისტორიაზე, რომელთა ექსპლოატაცია მეფის რუსეთში ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. ეს აზრი საქართველოს პირობებში სავსებით შეითვისა ჯავახიშვილმა და, ცხადია, გარკვეული მოსაზრებით დაადგა პროლეტარიატისათვის მიუღებელი შეხედულებათა დაცვას-გამაგრებას.

თუ გინდ ერთი წუთით დაუჯეროთ სრულიად უიმედო და გაუმართებელ ისეთ ფაქტის არსებობას, რომ თითქოს მე-12 საუკ. საქართველოში თავმოყრილნი იყვნენ ყველა ქართველთა ტომნი, ერთის ენით მოსაუბრენი, ერთის სარწმუნოებით შეკავშირებულნი და ერთის ინტერესებით გამსჭვალულნი" (იხ. დ. კარიჭაშვილი, „საქართველო მე-12 საუკუნეში", გამ. 1902, გვ. 4). ნუ თუ სხვა საუკუნეებში არ იყო შესაძლებელი ისეთი ისტორიის დაწერა, რომელშიაც მოცემული იქნებოდა კლასთა ბრძოლა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ პატივ. ისტორიკოსი საქართველოში ვერ ხედავდა მოწინააღმდეგე კლასებს, მათ ბრძოლას. მან თავიდანვე უარი განაცხადა კლასთა ბრძოლის თეორიაზე, მემამულე-მებატონეთა და გლეხობას შორის არსებულ მწვავე კლასიური ბრძოლის ისტორიის მოცემაზე. სამაგიეროდ, ზედმიწევნით ზუსტად მოგვცა თითქმის ყველა ფეოდალების, მეფეების ისტორია – ფარნავაზის, ვახტანგის, გიორგის, დავითის, თამარის, ერეკლეს და სხვების. აი, ვინ იცვლებიან საზოგად. სცენაზე, აი, ვინ მეთაურობს ისტორიას და ვის ხელთაა მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი.

კიდევ მეტი. ხსენებული ფეოდალების, მეფეების მოღვაწეობა ისე აქვს მოცემული, რომ გეგონებათ ჩვეულებრივ ადამიანებთან კი არა გაქვთ საქმე, არამედ ლეგენდალურ გმირებთან, „სასწაულის" მომქმედ ძალებთან. გაოცებული და გაკვირვებული შეჰყურებ ასეთ მოვლენას და თან ფიქრობ: ნუ თუ 5000 კაცით შეიძლებოდა 40.000 და ზოგჯერ მეტი მტრის ძალის შემუსვრა, მაგრამ მოდი და ნუ დაჯერებ, როდესაც ამას გიმტკიცებენ. ალბათ „ბედი, პირადი გამჭრიახობა და გარემოება" (ჯავახიშვილი) სწყალობდა მათ.

მცდარ მეთოდოლოგიას ისტორიკოსი მიყავს იქამდე, რომ მას არ შესწევს უნარი, გაარკვიოს ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ნამდვილი მიზეზი, მისი სოც. ეკონომ. მხარე იმის მაგიერ, რომ წინ წამოსწიოს ეკონომიური ფაქტორი და მმართველ წრეების საგარეო პოლიტიკა ახსნას ქვეყნის შიგნით არსებულ კლასთა ურთიერთობით. მას მკითხველთა ყურადღება გადააქვს ისეთ მიზეზების დასახელებაზე, როგორიცაა:

... „ქართული ენის წიაღში არსებული ტომობრივ, გეოგრაფიული პირობების წყალობით ყოველთვის ძლიერი თემობრივ თავისებურება (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ნაწ. 1, გვ. 100), „მმართველთა შინაური შუღლი", ფსიქოლოგიური მომენტები, „ბედი და პირადი გამჭრიახობა მეფეთა". „შინაურ ძალთა შორის ბრძოლა" და სხვ., რომელთა მიხედვით საქართველოს დაქუცმაცება ან გაერთიანება ხდებოდა თურმე, მისთვის სრულიად გაუგებარია ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთი დამოკიდებულების საკითხი, ამიტომაცაა, რომ ის ისტორიათა მოვლენათა სოციალ-ეკონომიურ მხარეს ვერ იძლევა. ცხადია, ასეთ მდგომარეობას არავითარი კავშირი არა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმთან.

ისტორიკოსი ცდილობს, ნაციონალშოვინიზმი დანერგოს თავის მკითხველში და, ბუნებრივია, რომ უკანასკნელი შრომებში მძლავრ მომენტთაა მოცემული. „ეროვნული თვითშემეცნების და გაღვივე-

ბისათვის“ — აღნიშნავს ჯავახიშვილი — განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის, წარსულის ცოდნას აქვს მნიშვნელობა“ (იხ. ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18-ე საუკ. გამ. 1919 წ., გვ. 3), მოყვანილ წინადადებაში ისე მკაფიოდ არის გამოცემული ავტორის შეხედულება, რომ არ საჭიროებს რაიმე კომენტარიებს, დავასკვნით მხოლოდ, რომ ჯავახიშვილმა მთელი ძალღონე შეალია „ეროვნული თვითშემეცნებისა, გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის“ ბრძოლას თავის მოძმე ქართვ. თავად-აზნაურთა სასარგებლოდ.

რომ ვინმემ ეჭვი არ შემოიტანოს ზემოთ დასახელებულ შეხედულებათა სიმართლეში, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნებოდა თვით პატ. ისტორიკოსიც დავიმოწმოთ.

... „მაშ, რა მიზეზით იყო — ჰკითხულობს ჯავახიშვილი — რომ საქართველოს მთლიანობა მაინც დაირღვა და დანაწილებისადმი მისწრაფებამ გაიმარჯვა, თემობრივობამ თავისი გაიტანა და სრულად საქართველოს მეფე დამარცხდა“ და თითონ იძლევა პასუხს.

„რასაკვირველია — განაგრძობს ის, დიდი მნიშვნელობა ამ ბრძოლის ბედიღბალის გადაწყვეტაში ქართველი ერის წიაღში არსებულს და ტომობრივ-გეოგრაფიული პირობების წყალობით ყოველთვის ძლიერს თემობრივ თავისებურობასა ჰქონდა“-ო (იხ. ჯავახიშვილი, „ქართ. ერის ისტორია“, წიგნი მე-4, ნაწ. 1, გვ. 191... მე-15 საუკ.“).

პატივც. ისტორიკოსს ხსენებულ შრომაში რამდენჯერმე აქვს განმეორებული მსგავსი შეხედულება, თითქოს „ტომობრივი თავისებურების“ გარდა არაფერი არსებობდეს... ომების გამოწვევის მიზეზად უმნიშვნელო მოვლენებს ასახელებს. ჯავახიშვილის შრომები ვერ იძლევა ხალხთა ნამდვილ ისტორიას, რომ მასში მოცემულია მხოლოდ ფეოდალებს შორის ბრძოლა, რომ ის იდეალისტური შეხედულებათა ნიადაგზე სდგას, ამაში არავინ გამოგველაპარაკება. ბუნებრივია ისიც, რომ ხსენებულ შრომებში მარქსიზმის ნატამალიც არ მოიძებნება. ჯავახიშვილი ნაციონალ-შოვინისტური შეხედულებას მტკიცედ იცავს დღემდე. საკმაოა გადაშალოთ რომელიმე გვერდი მისი ნაწერებიდან, რომ დარწმუნდეთ იმაში. რომელი საკითხიც არ უნდა აიღოთ, პატ. ისტორიკოსს ანტიმარქსისტულად აქვს გაშუქებული. ასეთია თუ გინდ საკითხი კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის, ნაციის და სხვ.

როგორც ცნობილია, საკითხს სახელმწიფოს შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ-პოლიტიკური მხრით. ბურჟუაზ. თეორიები სახელმწიფოს გაგების საკითხში თავგამოდებით იცავდენ და იცავენ გაბატონებული კლასების ინტერესებს. უკანასკნელნი ცდილობენ, დაასაბუთონ, გაამართლონ გაბატონებული კლასების არსებობა. მოსკოვის სახელმწიფოს გარშემო შემუშავებული ბურჟუაზ. თეორიები მხოლოდ იცავდენ ამ სახელმწიფოს წარმოშობის და მისი მარადიული არსებობის აზრს... (კარამზინი, ჩიჩერინი, სოლოვიევი, მილიუკოვი და სხვა).

მიმდინარე ეტაპზე საკითხს სახელმწიფოს შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ოდნავადაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, პირიქით, საბჭ. კავშ. გამარჯვებული მუშათა კლასისათვის, რომელიც ლენინის პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა.

აი, როგორი აზრი გამოსთქვა ლენინმა ხსენებულ საკითხზე 1919 წ. სექდღეების სახ. უნივერსიტეტის მსმენელებთან წაკითხულ ლექციაში:

... „სწორედ ამ საკითხმა, სახელმწიფოს შესახებ — სწერდა ლენინი — ახლა, მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დაწყების დროს და სწორედ ზოგიერთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვების დროს, როცა განსაკუთრებით გამწვავდა მსოფლიო კაპიტალთან ბრძოლა, საკითხმა სახელმწიფოს შესახებ მიიღო უდიდესი მნიშვნელობა და იქცა, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხად, ყველა თანამედროვე პოლიტიკურ საკითხებისა

და პოლიტიკურ დავათა ფოკუსათ“ (იხ. ლენინი, „ლექცია სახ. შესახებ“).

აქედან ცხადია ჩვენი პარტიის დამოკიდებულება ზემოთ ხსენებულ საკითხისადმი. მარქსიზმის მტრებმა სასტიკი იერიში მიიტანეს სახელმწიფოზე მარქსენგელსის მოძღვრების წინააღმდეგ (დიურინგი, კაუცკი და სხვ.), „მაგრამ ისინი იმნაირად „ასწორებდენ“ მარქსს, რომ სახელმწიფოს სახავენ კლასთა შერიგების ორგანოდ“ (იხ. ლენინი, „სახ. და რევ.“). მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინააღმდეგენი სავსებით უარყოფენ დიალექტიურ თვალსაზრისს სახელმწიფოს წარმოშობაზე, მის არსს, მის ისტორიულ როლს და მნიშვნელობას. ცნობილია, რომ ყველა ჯურის რევიზიონისტებმა ყველაზე მეტი იერიში მარქსის მოძღვრების წინააღმდეგ პროლეტარიატის დიქტატურაზე მიიტანეს. იგივე კაუცკი ასე უსირცხვილოდ აცხადებს, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა მარქსის მიერ შემთხვევით წამოცდენილი სიტყვაა“-ო. პლეხანოვი, კაუცკი და მათი „კომპანია“ მოსკოვის სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ გამოდიან, არსებითად ბურჟუაზიულ კონტრევოლუციურ თეორიებს იცავენ. ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია აქ ყველა ანტილენინურ თეორიების და მათი კრიტიკის მოცემა სახელმწიფოს წარმოშობაზე.

როგორც ვიცით, სოციალ-ფაშიზმის მამამთავარი კ. კაუცკი, როდესაც ეხება კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს, სავსებით არ უწევს ანგარიშს შინაგან მიზეზებს, არამედ გარეგან ფაქტორებს ანიჭებს გადამწყვეტ როლს. ესეთ ფაქტორებათ მიაჩნია ომი და დაპყრობა, ძალდატანება „კლასობრივი სახელმწიფოს ახსნის ცდა, ამბობს ის, იმ ფაქტებით, რომლებიც პირველყოფილი თემის შიგნით მოქმედებენ, არ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგს“-ო (იხ. კ. კაუცკი, „ისტ. მატ. გაგება“, გვ. 202-203). ბ. კაუცკი მეორე ადგილას ყველაზე აშკარად გამოხატავს თავის შეხედულებას ამ საკითხზე...

„გამარჯვებული ტომი — განაგრძობს ის — იმორჩილებს დამარცხებულ ტომს, ითვისებს ამ უკანასკნელის მთელ მიწაწყალს და შემდეგ აიძულებს დამარცხებულს, იმუშაოს სისტემატიურად გამარჯვებულებისათვის, უხადოს მას ხარკი. ასეთი დაპყრობის ყოველ შემთხვევაში ხდება კლასებათ დაყოფა, მაგრამ არა თემის დაყოფით სხვა და სხვა ფენებათ, არამედ ორი თემის ერთად შეერთებით, რომლისაგან ერთი იქცევა გაბატონებულ და ექსპლოატატორულ კლასად, მეორე კი — დაჩაგრულ და ექსპლოატირებულ კლასად. ის იძულების აპარატი, რომელსაც გამარჯვებული აძალებს დამარცხებულს, იქცევა სახელმწიფოდ“ (იგივე, გვ. 77). განა ასეთი აზრი დიურინგის „ძალდატანებითი თეორიის“ გადამღერებას, განმეორებას არ წარმოადგენს. კაუცკი აქ აშკარად აღიარებს ისეთ შეხედულებას, რომელსაც მარქსიზმთან არავითარი კავშირი არ აქვს. გარეგანი ძალა, ძალდატანება, ორი თემის ერთად შეერთება კაუცკით არის მიზეზი კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის. მარქსიზმის კლასიკოსებს არა ერთხელ მოუციათ ამ საკითხზე ამომწურავი პასუხი. ცნობილია, რომ ენგელსი დიურინგთან გაცხარებული კამათის დროს ბევრ ადგილას იძლევა კლასიკურ შეხედულებას კლასებსა და სახელმწიფოს შესახებ. „კლასების წარმოშობის საფუძველს — ამბობს ენგელსი — წარმოადგენს შრომის განაწილების კანონი“ (იხ. ენგელსი, „ანტიდიურინგი“, გვ. 226). შრომაში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ“ ენგელსი ამბობს:

„სახელმწიფო პირდაპირ და უმთავრესად იმ კლასობრივ წინააღმდეგობისაგან წარმოსდგება, რომელიც თვით გვაროვნულ საზოგადოებაში განვითარდა“ (იხ. იგივე შრომა, გვ. 202-203, გამ. 1933 წ).

ან კიდევ... „საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასების გათიშვისაგან, სახელმწიფო აუცილებელი გახდა თვით ამ გათიშვის გამო“ (ენგელსი, იქვე, გვ. 208, გამ. 1933 წ.) და კიდევ ციტატა.

ვფიქრობ, მოყვანილი ადგილები სრულიად საკმაოდ ადასტურებენ კაუცკის და

მისი კამპანიის შეხედულებათა უსაფუძვლობას კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, სახელდობრ: სახელმწიფო, როგორც განსაკუთრებული აპარატი, „მანქანა, რომლის საშუალებით ერთი კლასი ინარჩუნებს ბატონობას მეორე კლასზე“ (ლენინი) საზოგადოების კლასებად დაყოფამდე არ არსებობდა, რომ ის წარმოიშვა „პირდაპირ და უმთავრესად კლასობრივ წინააღმდეგობებისაგან, რომელიც თვით გვაროვნულ საზოგადოებაში განვითარდა (ენგელსი) და როცა კლასები არ იქნება, მაშინ ისიც ზედმეტი გახდება, „მაშინ ამ მანქანას დავამსხვრევთ“ (ლენინი). აი, რას უარყოფს კაუცკი და მისი მომხრეები. ზოგიერთ შემთხვევაში კაუცკის ენათესავება ისტ. ჯავახიშვილი.

როგორც ზემოთ გვაქვს ნათქვამი, ჯავახიშვილი კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში არაჩვეულებრივად შორს მიდის. მისი მტკიცებით გამოდის, რომ სახელმწიფო ადრე შეიქმნა, ვიდრე კლასები. ამგვარად, ჯავახიშვილით სახელმწიფო არაა დაკავშირებული კლასობრივ საზოგადოებასთან. მაშ როგორ მოხდა, რომ კლასობრივ საზოგადოებამდე შეიქმნა სახელმწიფო. ამ დაუჯერებელ ამბაზე პასუხს თვით ჯავახიშვილი იძლევა.

„განა — ამბობს ის — საჭიროა კიდევ დაისვას საკითხი უდროებისა და ტომების სახელმწიფოდ გადაქცევის შესახებ. საგვარეულო წყობილებაში, ასკვნის ის, უკვე არის სახელმწიფო, სადაც არის საგვარეულო წყობილება. იქნება ეს აღგილნაცვალი თუ მობინადრე ტომები, იქ უკვე არსებობს სახელმწიფო (ივ. ჯავახიშვილი, Госуд. строй ... გვ. 147). საკვირველია, მაგრამ ჯავახიშვილი გაბედულად აცხადებს ამ უცნაურ შეხედულებას: „საგვარეულო წყობილებაში უკვე არის სახელმწიფო“. განა ამის შემდეგ შეიძლება ასეთ კაცს რაიმე ჭეშმარიტება ათქმევინო, რადგან კიდევ მეტი სიცხადე აქვს ასეთი უცნაური აზრებს განმეორებულ სხვა შრომებშიაც.

არც ერთი ქვეყნის ისტორია არ იძლევა მსგავსი აზრის გამოთქმის საფუძველს. მარქსიზმის კლასიკოსების — მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის შრომებში, რომელშიაც ყოველი ფრაზა უმდიდრეს ისტორიულ პოლიტიკურ მასალებზეა დამყარებული, არც ერთი სიტყვაც არ არის ასეთი შეხედულების სასარგებლოდ ნათქვამი. არც საქართველოს ისტორიის ფაქტიური მასალების ღრმად შესწავლა იძლევა ასეთ შეხედულებას. დამნაშავეს ბოლომდე უნდა მიჰყვეო, იტყვიან. მოვიყვანოთ სხვა ადგილებიც ჯავახიშვილიდან, რადგან კიდევ მეტი სიცხადით აქვს ასეთი უცნაური აზრები განმეორებული სხვა შრომებშიაც.

... „გამოჩენილი ბერძენთა გეოგრაფის აღწერილობა, ამბობს ჯავახიშვილი, ქართული წყაროებისა და ტერმინების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ივერიის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წესწყობილებაზე ყოფილა დამყარებული“... ივერიის უზენაესი მმართველის უფლება ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ამ საგვარეულოს უფროსი წევრი, მაშასადამე, მამასახლისი, იმავე დროს ქვეყნის მეფედ ითვლებოდა“-ო (ჯავახიშვილი, „ქართ. ერის ისტ.“, გამ. 1928 წ. გვ. 154). აქედან საკმაოდ მისახვედრია ჯავახიშვილის დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხისადმი, რომელშიაც არაფერია, გარდა პირწავარდნილი იდეალისტური მსოფლმხედველობის ჰაპულიარიზაციისა, ვითომც საქართველოს ისტორიის ფაქტიურ მასალებზე დაყრდნობით.

1. მაშასადამე, ჯავახიშვილი ადასტურებს: რომ საგვარეულო წესწყობილებაში არსებობს სახელმწიფო; 2. რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბება წინ უსწრებს კლასების წარმოშობას; 3. რომ საგვარეულოს წევრი, მამასახლისი, იმავე დროს „ქვეყნის მეფედ ითვლებოდა“. ანვითარებს რა თავის იდეალიზმს, ჯავახიშვილი ისე შორდება ამ ქვეყნიურ ამბებს, რომ სახელმწიფოს ქართველ ტომებში შუა მდინარეშიაც კი ხედავს. ამას ადასტურებს იმ გარემოებით, რომ ... „მეფის სახელწოდებათ უძველეს ეპოქაში იხმარებოდა იგივე სიტყვა, რომელიც გვარის მეთაურს ნიშნავდა“-ო, დასძენს ჯავახიშვილი. მაშ, ამ ტომებში ჯ. დ. წინ არსებობდა სახელმწიფო, ყაენათ მეფეები. ამ აზრს ის მტკიცედ იცავს. მოვიყვანოთ დამატებითი ციტატები:

„მაშასადამე, 545 წ., ეტყობა, მეფის უფლება საქართველოში უკვე გაუქმებული ყოფილა და სპარსნი ქართლს უფლებდეს... ამის გამო, ამბობს ის, ზემოთმოყვანილი მეფობის მოსპობის თარიღი (500 წ.) სწორე არ უნდა იყოს, სპარსეთის მთავრობას, სჩანს, იგი მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში მოუსპია“ (იხ. ჯავახიშვილი, „საქ. მეფე და მისი უფლების ისტორია“, გვ. 3, გამ. 1905 წ.). თუ დაუჯერებთ ჯავახიშვილს, უნდა დავასკვნათ: „რომ მეფობა ქართ. ტომებში ძველი ამბავია, რომ ის მე-6 საუკ. სპარსელებს მოუსპიათ, შემდეგ მომხდარა მეფობის აღდგენა, კიდევ მეტი, ქართველებს რამდენიმე მეფე ყოლია და სხვ. მართლაც, რომ „თავისებური“ აზრებია, ამ შემთხვევაში ის ნოვატორადაც შეიძლება ჩაითვალოს. განა ვისმეს შეუძლია მსგავსი აზრის დაჯერება. ცხადია, არა. საკითხის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ ლენინის შეხედულება:

„ისტორია გვიჩვენებს, ამბობს ლენინი, რომ სახელმწიფო, როგორც ადამიანთა იძულების განსაკუთრებული აპარატი, ჩნდებოდა მხოლოდ იქ, სადაც ხდებოდა საზოგადოების დაყოფა კლასებად და ე. ი. ადამიანთა დაყოფა ისეთ ჯგუფებად, რომელთაგან ერთი ნაწილი განუწყვეტლივ ითვისებს სხვების შრომას, სადაც ერთი ეწევა მეორის ექსპლოატაციას“ (იხ. ლენინი, „ლექცია სახელმწიფოს შესახებ“, გვ. 17, გამ. 1931 წ., ქართ. ენაზე).

რადგან ჯავახიშვილისათვის საერთოდ გაუგებარია კლასების წარმოშობის საკითხი, ცხადია, სახელმწიფოს მცნებაც მას თავისებურად ესმის. ლენინის შრომიდან მოყვანილი ადგილი სავსებით ცხადად არკვევს სახელმწიფოს საკითხს. აქედან ისიც ნათელია, რომ უკანასკნელი ყოველთვის და ყველგან არ არსებობდა, როგორც ამას ჯავახიშვილი ფიქრობს. იყო ისეთი საზოგადოება, რომელშიაც სახელმწიფოს საჭიროებას არ განიცდიდენ, რომელთაც კი არც ქონდათ წარმოდგენა მასზე და სახ. ხელისუფლებაზე, „რომელნიც იოლად მიდიოდენ უსახელმწიფოდ“ (ენგელსი). მხოლოდ საზოგადოებრივ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე“, „რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვისაგან, სახელმწიფო აუცილებელი გახდა თვით ამ გათიშვის გამო“ (ენგელსი, „სახელმწიფომ წარმოშობა“, გვ. 208, გამ. 1933 წ.). ასე უყურებენ მარქსიზმის კლასიკოსები კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს.

სავსებით უმართებულოა ჯავახიშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს მეფის ხელისუფლება წარმოიშვა საგვარეულოს მეთაურის, მამასახლისის, უფლებისაგან, თითქოს მამასახლისის გაზრდილ ხელისუფლებამ მეფის ხელისუფლება მოგვცა — კონკრეტ. ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით სრულიად საწინააღმდეგო მტკიცდება. დასაბუთებული აზრია, რომ მეფის ხელისუფლება წარმოიშვა და განვითარდა ომის მეთაურის ფუნქციიდან. ასეთი თანამდებობის პირი მამასახლისიდან ცალკე იდგა. მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები, რომელიც მოცემულია ენგელსის შრომებში უძველესი ხალხთა ისტორიიდან, უდაოდ ამტკიცებს ამ შეხედულების მართებულებას. მხედართ მთავარი მეფედ გადაიქცაო — ამბობს ენგელსი. მოვიყვანოთ ეს შესანიშნავი მაგალითიც.

... „დაპყრობილი ხალხის უახლოესი წარმომადგენელი, სწერს ენგელსი, მხედართ მთავარი იყო, დაპყრობილი ტერიტორიის უზრუნველყოფა შიგნით და გარეთ მისი ხელისუფლების გაძლიერებას მოითხოვდა. დაჭრა ჟამმა, როცა მხედართმთავრობა მეფობად უნდა გადაქცეულიყო. ეს ცვლილებაც მოხდა... უბრალო მთავარ სარდლიდან ნამდვილ მეფედ გადაქცეულმა ფრანკების მეფემ — განაგრძობს ენგელსი — უწინარეს ყოვლისა, საუფლისწულო ქონებად აქცია ეს სახალხო საკუთრება, ხალხს მოპარა იგი და თავის ამალას აჩუქა და დაუმკვიდრა“ (იხ. ენგელსი, სახ. წარმოშობა, გვ. 181). ამის შემდეგ სავსებით ცხადი უნდა იყოს, რომ ჯავახიშვილის შეხედულებაში იოტის ოდენი სიმართლეც არ მოიპოვება. მას უნდა ყველგან და ყოველთვის დაინახოს სახელმწიფო. ასეთი მტკიცებით ის უდიდეს სამსახურს უწევდა და უწევს პროლეტარიატის კლასობრივ მტრებს.

ჯავახიშვილი უარყოფს რა სახელმწიფოს კლასობრივ შინაარსს, აღიარებს რა ყველა საფეხურზე მისი არსებობის აზრს, ამით ცდილობს შეესუსტებია საქართველოს მუშებისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლა ექსპლოატატორების, მემამულე-ბურჟუაზიის წინააღმდეგ. გაბატონებული კლასი მუდამ იარსებებს. ერთნი ყოველთვის უნდა მორჩილი იყოს მეორენის — აი, რას ქადაგებს ისტორიკოსი. როგორც ვიცით, სახელმწიფოს მარადიული არსებობის თეორია ახალი არ არის. ამას ქადაგებდენ და დღესაც ქადაგობენ ჩვენი მტრები, პროლეტარიატის დიქტატურის მტრები და მრავალი ბურჟუაზიულ-ფაშისტურ ბანაკიდან. „სახელმწიფო — სწერს ენგელსი — აუცილებლად მოისპობა, საზოგადოება, რომელიც წარმოებას ხელახლა მოაწყობს მწარმოებელთა თავისუფალი და თანასწორი ასოციაციის ნიადაგზე, მთელ სახელმწიფოს მანქანას იქ მოათავსებს, სადაც მას შეეფერება — სიძველეთა მუზეუმში, სადაც ჯარა და ბრინჯაოს ცული აწყვია“ (ენგელსი, „სახელმწიფოს წარმოშობა“, გვ. 209, გამ. 1933 წ.).

აი, რა არ სწამს ჯავახიშვილს. ასეთია მის ღრმა რწმენა, რომლისთვის მას დღემდე ოდნავადაც არ ულალატნია...

არა ნაკლებ როლს თამაშობს ჯავახიშვილის „შრომაში“ ძალდატანებითი თეორია. ამ შემთხვევაში კაუცკისა და ივ. ჯავახიშვილის ნათესაობაც აშკარად ირკვევა... „როგორც გვარი — სწერს ის — ისე მისი ცალკე წევრი, იმდენად მაღლა სდგას, იმდენად მეტი გავლენიანია, რამდენათ მრავალრიცხოვანი და რამდენად დიდი იყო გვარი. ეს გასაგებიცაა, რომ ძალა ყოველთვის მის მხარეზე იყო“ (ივ. ჯავახიშვილი).

ძლიერისაგან სუსტის დამორჩილება კანონად აღიარა ჯავახიშვილმა. მე არ შევეხები, თუ საიდან ისესხა მან ასეთი შეხედულება, რომ ამ თეორიას ხშირად იყენებდენ მუშათა კლასის ყველაზე საზიზღარი მტრები. ამ იარაღით ისინი თავგამოდებით იცავდენ გაბატონებული კლასების არსებობას.

დროა, ერთხელ კიდევ გამოვამზეუროთ ჯავახიშვილის შეხედულება, რეაქციონური შინაარსი და შესაფერისი ადგილი მიუჩინოთ ისტორიულ მეცნიერებაში.

როგორც იცით, პროფ. ნათაძეს დაწერილი აქვს საქართველოს ისტორიაში რამდენიმე შრომა. ცნობილია, რომ ის საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არ არის. მთელ რიგ საკითხებში ნათაძე არამც თუ ებრძვის ჯავახიშვილს, მის რეაქციონურ შეხედულებებს (თუმცა ის თითქოს ცდილობს აწარმოოს ბრძოლა), არამედ ხშირად ის ადასტურებს ჯავახიშვილის მიერ წამოყენებულ დებულებებს (სახელმწიფოს, ბატონყმობის და სხვ. საკითხებზე).

ერთ ერთ შრომაში, „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა“, რომელიც 1925 წ. გამოიცა, ბევრი რამ არის ისეთი, რომელიც სავსებით მიუღებელია, მაგალითად, საკითხში „პატრონყმობის“ შესახებ. ნათაძე არამც თუ აწარმოებს ბრძოლას ჯავახიშვილის შეხედულებათა წინააღმდეგ, არამედ ის პირდაპირ იმეორებს უკანასკნელის მიერ წამოყენებულ დებულებას. ამით, რა თქმა უნდა, ის ადასტურებს პროფ. ჯავახიშვილის დებულებებს. ეს აზრი მოთავსებულია აღნიშნული წიგნის 23 გვ. მე ვფიქრობ, არ არის საინტერესო, რომ ეხლა წავიკითხო.

შემდეგ ყმების წარმოშობის შესახებ მასაც იგივე აზრი აქვს გატარებული, რაც პროფ. ჯავახიშვილს — „ნებიერნი“, „შეწირულნი“ და სხვა. „იყო შემთხვევა, რომ მიწის მუშა თავისი ნებით გახდებოდა ყმად“ (იხ. ნათაძე, იგივე შრომა, გვ. 63).

გარდა ამისა, არის ერთი მომენტი, სადაც ლაპარაკობს კლასთა ბრძოლის უარყოფაზე, მოწინააღმდეგე კლასების ინტერესების ერთიანობაზე, როდესაც გარეშე მტერი თავს ესხმის საქართველოს. „აქაც, როგორც ძველად, ამგვარად კლასობრივი განსხვავების და ბრძოლის სიმწვავე ჩლუნგდებოდა გარეშე მტრის მძვინვარების გამო“ (ნათაძე, იგივე შრომა, გვ. 100).

თქვენ ალბად მოგეხსენებათ ჟორდანიას ცნობილი შეხედულება ამ საკითხის გარშემო, თავს ესხმის სახელმწიფოს, მოწინააღმდეგე კლასები სახელმწიფოს

შიგნით სტოვებენ კლასობრივ ბრძოლას და გაერთიანებული ებრძვის გარეშე მტერს. და აი, პროფესორ ნათაძეც ასევე ლაპარაკობს თავის წიგნში. ეს პირდაპირ დაუშვებელი ამბავია. მე ვფიქრობ, პროფ. ნათაძე გამოვა და აღნიშნავს ამის შესახებაც.

შემდეგ პროფ. ნათაძე სწერს, რომ ბატონყმობა საქართველოში საქონლის მეურნეობაზე იყო დაფუძნებული.

„ზემოთ აღწერილი პროცესი — ამბობს ნათაძე — საზოგადოების ფეოდალიზაციისა, წარმოადგენს მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ მხარეს. მეორე მხარე მისი არის ბატონყმობის წარმოშობა. ეს ურთიერთობა — ამტკიცებს ის — დაფუძნებული იყო საქონლის მეურნეობის არსებობაზე, რომელიც შეთავსებული იყო ნატურალური მეურნეობის ზოგიერთ თვისებებთან“ (იხ. ნათაძე, იგივე შრომა, გვ. 76).

ეს აშკარა არა მარქსისტული დებულება არის, რომლის კრიტიკას აქ არ გამოუდგებით.

შემდეგ იმავე შრომაში მას გამოჰყავს ეროვნული გმირებათ ლუარსაბ მეფე და ქეთევან დედოფალი, რომლებიც წამებული იყვნენო. „იყო მომენტები, როდესაც ის ცდა სპარსელების ხელიდან მთლად განთავისუფლების იმედად გადიქცეოდა, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ამ ბრძოლის ხანამ შექმნა მხოლოდ ეროვნული გმირები — ლუარსაბ მეფე და ქეთევან დედოფალი, რომელნიც წამებულნი იყვნენ“ (მისივე წიგნი, გვ. 106). შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიაში ბევრი სადაო საკითხი არის, რომლებიც გადაჭრილი უნდა იქნენ. კერძოდ, გაურკვეველია საკითხი საქართველოში ფეოდალიზმის ჩამოყალიბების შესახებ. ამ საკითხის გარშემო არსებობს სხვადასხვა ვარიანტი. უკანასკნელი შრომა ამ საკითხზე ეკუთვნის ჯანაშიას. ეს არის უსათუოდ სერიოზული შრომა, მაგრამ, ჯანაშიას აზრით, მე-6 საუკ. ჩამოყალიბდა ფეოდალიზმი, პროფ. ჯავახიშვილის შეხედულება ყველასათვის ნაცნობია. პროფ. ნათაძე ფიქრობს, რომ მე-9 საუკუნიდან მე-11 საუკუნემდე ფეოდალიზმის შემზადების პერიოდია და მხოლოდ მე-XI-XII საუკ. გაბატონებულ ფორმად გადაიქცაო. შემდეგ ამბ. სოსელია ნარკვევში სახელმწიფოს შესახებ სწერს, რომ ფეოდალიზმი მე-5 საუკუნეში ჩამოყალიბდა. შეიძლება ეს მოხდა მე-5 საუკუნეში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მასალები ამ საკითხზე ცოტა არის, რაიც უკანასკნელის საბოლოო გადაჭრას აძნელებს. მე პირადად ვფიქრობ, რომ იმ მასალების მიხედვით, რომელიც ჩვენ გვაქვს მოცემული, უფრო უნდა მივიღოთ მე-6-7 საუკ., ვიდრე მე-9-ე ან V საუკ.

დასასრულ, ამხანაგებო, უეჭველია, ამ ჩვენს დისპუტს თავისი პრაქტიკული შედეგები უნდა მოყვეს. უნივერსიტეტმა, მისმა მეცნიერულმა ძალებმა, ისტორიკოსებმა უნდა მოკიდონ ხელი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის საქმეს. ჩვენმა მეცნიერულმა ძალებმა კოლექტიურად უნდა იმუშაონ, რომ უახლოეს პერიოდში შეძლოთ მივაწოდოთ ჩვენს ახალგაზრდობას ჩვენი ქვეყნის ნამდვილი, მარქსისტულ-ლენინურად გამართლებული ისტორია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს საუკეთესო ლენინელ სტალინელი ამხ. ლ. ბერია, ჩვენ ამას შევძლებთ (*ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის *პროფ. ნათაძეს.*

პროფ. გ. ნათაძე: ამხანაგებო, ამ მოხსენების გამო, როდესაც გავიგე სათაური თემისა, სხვანაირად ვაპირებდი გამოსვლას. ის მითითებები, რომელიც მიიღეთ ეხლა მოსკოვიდან, ისეთი მნიშვნელობისაა, რომ ამაზე საუბარი უფრო ფართედ უნდა გაშლილიყო არა მარტო საქართველოს ისტორიის ხაზით, არამედ საერთოდ უნდა ფართოდ გაშლილიყო, მაგრამ შეიძლება ეს ერთ კრებაზე ვერ მოესწრობოდა და ჯერ ერთი სპეციალური საკითხი დაისვა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ თუნდაც საქართველოს ისტორიის დამუშავებისათვის მსოფლიო ისტორიის კარგი ცოდნაა საჭირო, ეს მრავალჯერ არის დამტკიცებული და მომავალ-

შიც დამტკიცდება ალბად იმიტომ, რომ მსოფლიო ისტორიის ცოდნა მრავალ ნიმუშებს გვაძლევს, ისეთ ნიმუშებს, რომლებიც საქ. ისტორიის საკითხებს ასე თუ ისე მიუდგება და ნათელს მოჰფენს. ეს გარემოება მოგვცემს საშუალებას, გავარკვიოთ ისეთი მომენტები, რომლებიც პირველი შეხედვით გაუგებარია.

ასეთი მსოფლიო ისტორიის ცოდნა რომ ჭირდათ იმ ისტორიკოსებს, რომლებიც ძველად მუშაობდენ, რა თქმა უნდა, ბევრად მეტს გააკეთებდენ და ჩვენ ამ საზომით უნდა მიუდგეთ საკითხს, რომ თუ მითითება დასჭირდა მსოფლიო ისტორიას, მით უმეტეს საჭიროა მსოფლიო ისტორიაში გავერკვეთ. აი, მაგალითად, მაგონდება ასეთი მაგალითები მსოფლიო ისტორიიდან, რომლებიც არ არის სახელმძღვანელო წიგნებში.

აი, მაგალითად, უნდა შევისწავლოთ ისეთი მოვლენები, როგორიც არის დეველუციონურიუმი, უტრეხტის ზავი, რისფიკის ზავი, რიშელიეს მოღვაწეობა ან კიდევ უფრო შორს რომ წავიდეთ, როგორ გავეცნოთ სტრასბურგის ფიცს, ამას გარკვევა უნდა. მე ვისაუბრებდი ამაზე, მოგახსენებდით ჩემს აზრს, მაგრამ ეს საკითხი არ არის დასმული, საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებით მსოფლიო ისტორიაზე ლაპარაკი. ეს რომ გავარკვიოთ, ეს საქართველოს ისტორიასაც დაეხმარება. მსოფლიო ისტორიის ცოდნა უფრო მეტ გამოცდილებას გვაძლევს, გვაძლევს ისეთ ნიმუშებს, რომლებზედაც შეიძლება არც კი ფიქრობდეს კაცი, მაგრამ რომლებიც გამოადგება ამა თუ იმ პერიოდს საქართველოს ისტორიისა. ამ განზრით ვიყავი მე მზათ და ასე მინდოდა გამოსვლა, მაგრამ ეხლა საკითხი ასე არ არის დასმული.

საკითხი არსებითად შეეხო პროფ. ჯავახიშვილს და გაკვრით, დაუმსახურებლათ შეეხო ჩემს პერსონასაც, თუმცა არ მოველოდი. ვამბობ დაუმსახურებლად არა იმ მხრივ, რომ კრიტიკა არ დავიმსახურე, არამედ იმიტომ, რომ ამ საკითხში არ მაქვს ისეთი კვალი დატოვებული, მაგრამ რაკი შეეხენ ჩემს პერსონას, მეც უნდა მოგახსენოთ.

უპირველესათ ყოვლისა, კრიტიკა თავის თავად, ცხადია, ძალიან კარგი რამ არის, მეტადრე თვითკრიტიკა. ყოველი ჩემი წიგნი გასაკრიტიკებელია. სადაც მაქვს საშუალება, მე თვითონ ვაკრიტიკებ და ვასწორებ ჩემს ლექციებს, რამდენადაც შემიძლია, ხოლო რამდენადაც მე არ შემიძლია, სხვა გააკრიტიკებს. ვიმეორებ, ეს კარგია, მაგრამ ერთი უფლება უნდა გამოცხადდეს ყველა ადამიანისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი მეცნიერული მუშაობა კარგავს მნიშვნელობას, სტიმულს უკარგავს კაცს, რასაც სინამდვილეში ებრძვი. არავინ არ უნდა სთქვას, რომ შენ იმას კი არ ებრძვი, არამედ ემხრობიო.

წიგნი დაწერილია, ავათ თუ კარგათ, ეს სხვა არის, მაგრამ წიგნი დაწერილია (მეთოდოლოგიაზე მოგახსენებთ) იმ მიზნით, რომ თავიდან ბოლომდის იქნეს გაკრიტიკებული რიკერტიანიზმი.

პირველი თავი იწყება რიკერტიანიზმის წინააღმდეგ, მერე მომყავს მაგალითები და მათ შორის პროფესორი ჯავახიშვილი, როგორც რიკერტიანიზმის მაგალითი და რანაირათ უნდა გამოვიდეს, რომ მე ჯავახიშვილს ვემხრობი? საიდან არის გამოყვანილი, რომ მე ჯავახიშვილის სკოლას როდისმე ვეკუთვნოდი, მერე ჩამოვშორდი, მაგრამ მთლად ვერ ჩამოვშორდი. ეს სრულიად მართალი არ არის. ჩემი ბიოგრაფია საინტერესო არ არის არავისათვის, მაგრამ იძულებული ვარ, მოგახსენოთ შემდეგი: პროფ. ჯავახიშვილი ორი სამი წლით არის ჩემზე უფროსი. მე გახლდით მოწაფე ლუჩიცკის, ბიპერის და, ნაწილობრივ, პეტრუშევსკის. ბიპერთან მე სადიპლომო შრომას ვწერდი, ისინი იყვნენ ეკონომიური მატერიალიზმის მიმდევრები. ვიპერის იმ დროის შრომაში მოცემული არის რიკერტის სასტიკი კრიტიკა. მაშასადამე, მე თავიდანვე ჯავახიშვილის სკოლის წინააღმდეგი ვიყავი. ძალიან დიდი პატივისმცემელი ვიყავი პროფ. ჯავახიშვილის, დღესაც ვარ მისი დიდი პატივისმცემელი, ამას არ დავმალავ, ეს სამართლიანად მიმაჩნია, მაგრამ მის მსოფლმხედველობას არასოდეს არ ვეთანხმებოდი. შევხვედრივათ ერთმანეთს საზოგადოებრივ მუშაობაში და კარგადაც გვიმუშავნია, მაგ. 1901 წელს. მაშინ, როცა მე ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი,

იმართებოდა დღესასწაული საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო. ჩვენ, სტუდენტებს, სამარცხვინოდ მიგვაჩნდა ეს და რუსეთიდან წერილებს ვწერდით თავადაზნაურობას, რომ პროტესტს ვაცხადებთ ამის გამო. მერე აქ რომ ჩამოვედით, თავადაზნაურობის წინამძღოლმა დაგვიბარა, პროფ. ჯავახიშვილიც იქ იყო, მეც იქ ვიყავი, აგრეთვე კაკი წერეთელი. ერთი ფრონტი გვქონდა. მაშინ, რა თქმა უნდა, ჯავახიშვილი გარკვევით წინააღმდეგი იყო თვითპყრობელობის, რა თქმა უნდა, ნაციონალურ ნიადაგზე იდგა, მაშინ ამაზე უარს ვერ ვიტყოდით, მაგრამ შინაურ პოლიტიკურ ფარგლებში ბრძოლა სხვადასხვანაირი გვქონდა. შემცდარი ვიყავ თუ არა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მე სხვა მიმართულება მქონდა. ლუჩიცკი იყო ეკონომიური მატერიალისტი, მაგრამ რაც შეეხება ვიპერს, ის კი დარწმუნებული მატერიალისტი იყო. ბოლოს ვიპერი გაიქცა უცხოეთში იმიტომ, რომ ვერ გაიგო, თუ რათ მოხდა, რომ ბოლშევიზმმა, რომელსაც არ უნდა ქონოდა, იმის თვალსაზრისით, ეკონომიური ნიადაგი, გაიმარჯვა. თვალსაზრისი შეიცვალა, იდეალისტი გახდა და წავიდა რიგაში, მაგრამ მანამდე ის იყო ეკონომიური მატერიალისტი.

რაც შეეხება ჩემს წიგნს მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საფუძვლების შესახებ, იქ ჯერ გაკრიტიკებულია რიკერტიანიზმი, ნათქვამია მის ობიექტივიზმზე, რომელზედაც ბრძანებდა ამბ. კარლო, ნათქვამია, რომ რიკერტიანიზმი ჩემულობს ობიექტივიზმს, სინამდვილეში კი ვარდება უაღრეს სუბიექტივიზმში.

როცა ჯავახიშვილზე გადავდივარ, ჯერ ვამბობ, რომ მას დიდი დამსახურება მიუძღვის ფაქტების დადგინებაში, გენეალოგიის გამორკვევაში, რაც დღეს აქ ყველამ გაიმეორა და რაც სრული სიმართლეა. შემიძლია ვთქვა, რომ რაც 1925-26 წელს მე ვთქვი, სხვა არავინ ამბობდა ამას, დღეს კი ყველა ლაპარაკობს, რა თქმა უნდა, არა ჩემი გაელენის ქვეშ, მაგრამ, ასე თუ ისე, ჩემი სიტყვა გამართლდა. შემდეგ იმისა, როცა ვამბობ ჯავახიშვილის დამსახურებაზე, შემდეგ გვერდზე ვამბობ, რომ ჯავახიშვილი სინტეტიურ მუშაობას არ აწარმოებს და ის ციტატა, რომელიც ამბ. კარლომ მოიყვანა ჯავახიშვილის წიგნის წინასიტყვაობიდან, მეც მაქვს მოყვანილი და გაკრიტიკებული იმნაირადვე, როგორც ეს გააკრიტიკა თავის მოხსენებაში პროფ. ორაგველიძემ. „ეს, ფაქტიურათ, სინტეტიური მუშაობის უარყოფა არის-მეთქი“. შემდეგ ნათქვამია გეოგრაფიული ფაქტორების მნიშვნელობაზე. მე იქ ვამბობ შემდეგს: „მარქსისტ ისტორიკოსებზე რომ არც ვილაპარაკოთ“, შტორხმაც და სხვებმაც კი იცოდენ კავშირი გეოგრაფიული ფაქტორებისა საზოგადოების განვითარებასთან და გამოდის, რომ პროფესორი ჯავახიშვილი მეთოდოლოგიის მხრივ ჩამორჩება ბურჟუაზიული ისტორიის უმაღლეს საფეხურსაც კი.

ნუ თუ ეს ნიშნავს, რომ მე მას არ ვაკრიტიკებ? რა თქმა უნდა, კილო მკაცრი არ არის. მე არ ვიცი, ეხლა ეს საჭიროთ მიგაჩნიათ, მაგრამ იმ დროს საჭირო არ იყო მკაცრი კილო. შეიძლება მე ვცდებოდე, მაგრამ კილოსათვის ხომ არ გაასამართლებთ კაცს? მე ვფიქრობ, რომ მაშინ მოხდა ერთგვარი შეცთომა, რომ პროფ. ჯავახიშვილი დაითხოვეს უნივერსიტეტიდან. მე ამას არ ვემხრობოდი. სწორეთ იმ დროს ეს წიგნი იბეჭდებოდა და განგებ შევიტანე ასეთი კილო, რომ არავინ იფიქროს-მეთქი, რომ მონაწილეობა მაქვს რამე ამ საქმეში და ბოლოს დაუმატე, რომ ხელისუფლება დაადასებს-მეთქი ჯავახიშვილს, როგორც მეცნიერს და მართლაც, ორი წლის შემდეგ ის დააბრუნეს და ეხლა მუშაობს ჩვენს ხელისუფლებასთან.

მაშასადამე, მართალი მითქვამს? მართალი მითქვამს. ტაქტიკა ჩემი სწორი ყოფილა? სწორი ყოფილა.

(ვ. ჯანელიძე: იმ ადგილზე არ დაუბრუნებიათ).

მე ვლაპარაკობ გამოყენებაზე. როგორ დაბრუნეს, ეგ სულერთია. საქმე იმაშია, რომ გამოვიყენეთ მისი ცოდნა.

რაც შეეხება „სოციოლოგიურ განხილვას“, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს წიგნი ძალიან დაძველებულია არა ხნით, რა თქმა უნდა, არამედ იმითი, რომ წიგნის გამოსვლის შემდეგ ძალიან წინ წავიდა მეცნიერება, მაგრამ ის კი უდავოა,

რომ წიგნის მთელი კონცეპცია სულ სხვა არის, სულ სხვა ნიადაგზე ვდგევარ, ვიდრე ჯავახიშვილი. ის ადგილები, რომლებიც აქ მოიყვანეს, რაღაც ჩემს ნათქვამს არ გავს, არ მეცნობა ეს ამონაკრეფები. ჯინჭველაშვილმა ალბათ ცუდათ ამოარჩია ციტატა, კონტექსტი ვერ გაიგო. კონტექსტში რომ წაეკითხა, სულ სხვა გამოვიდოდა. ამიტომ ამაზე არ ვთვლი საჭიროდ, შევჩერდე.

რაც შეეხება კიკვიძეს, რომელიც შეეხო ჩემს გამოკვლევას, გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს გამოკვლევა თავისი ვიწრო მიზანდასახულობით ერთგვარ მნიშვნელობას არ არის მოკლებული, რამდენადაც გ. ხანძთელის ნაწერს სრულიად ახალი თვალსაზრისით უდგება. რაც შეეხება მის მფლობელობას IX-X ს., ეს დიდი ისტორია არის და კიკვიძეს სრულიად ვერ გაუგია ჩემი თვალსაზრისი და ამაზე კამათი ძნელია.

საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მოხსენება ჩვენი პატივცემული რექტორის, ამხ. კ. ორაგველიძის მნიშვნელოვანი მოხსენება არის და განსაკუთრებით მომეწონა იმ მხრივ, რომ ის კონკრეტულ საკითხებსაც შეეხო. ამხ. ნ. ბერძენიშვილმა კარგი პერსპექტივა გაშალა მუშაობისა მოხსენებასთან დაკავშირებით და ალბათ, ავრეთვე, პატივცემული სიმონიც იტყვის ამაზე. განსაკუთრებით მომეწონა მოხსენებაში გამოყოფა პირველი საკითხისა, რომელშიაც სხვანაირი თვალსაზრისი გატარდა, ვიდრე აქამდე იყო — სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ და გვაროვნული წყობილების შესახებ. ეს მოწმობს, რომ ჩვენში მომწიფებულია სპეციალური საკითხები საკვლევაძიებოთ და სპეციალისტები, რომელთაც კარგი შესაძლებლობა აქვთ ეხლა. მე ვფიქრობ, დიდი შედეგებს მიაღწევენ ახლო მომავალში და საქართველოს ისტორია იქნება უზრუნველყოფილი.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის *პროფ. პოლიექტოვს.*

პროფ. Полиевктов: ვინაიდან მე ქართული ენა საკმაოდ არ ვიცი, ნება მიბოძეთ, რუსულად მოგახსენოთ.

Мое сегодняшнее, на этой кафедре, появление может показаться несколько не обоснованным. Наша главная тема сегодня разбор концепции выдающегося грузинского историка проф. И. Джавахишвили и попутно с этим других концепций. Наша главная тема — история Грузии. Я не специалист по истории Грузии. Я работаю в очень определенной области, в области русско-грузинских отношений и русско-кавказских отношении и при том до последняго времени работал главным образом как публикатор документов. Постепенно в связи этими публикациями стали возникать и мои самостоятельные исследования, которые остаются на почве источниковедения, иногда расширяясь за пределы Грузии.

Я знаю, что и в моих публикациях и в моих исследованиях есть целый ряд методологических ошибок, которые мне сейчас видны и которые я стараюсь изживать в каждой моей последующей работе. Если бы кто нибудь выступил с развернутой критикой моих ошибок в методологических установках, я первый был бы ему очень благодарен и несмотря на то, что я работаю в этой узкой сфере, мне кажется, что тот доклад, который сделал уважаемый проф. Орагвелидзе дает некоторый мост, который позволяет и мне взойти на эту кафедру.

В результативной части доклада проф. Орагвелидзе заострил внимание на необходимость изощрения марксистско-ленинской методологии и как вывод отсюда наряду с другими пунктами указал на необходимость расширения круга привлекаемых к исследованию документов и при том не только опубликованных, но и еще остающихся неопубликованными.

Вот эти положения, с которыми нельзя не согласиться, дает мне повод быть может несколько уточнить и углубить эти положения. Много говорится о том и в тех основных руководящих установках, которые нам даны в настоящее время руководящими органами о необходимости базироваться на конкретном материале, много говорилось о том, что тот или иной историк собирает факты, но иногда не дает им удовлетворительного освещения.

Но откуда мы узнаем эти факты. Мы узнаем им с исторческих источников,

отчасти имея их в том сыром виде, как они до нас дошли, а отчасти как эти источники отразились в публикации.

Историк, изучая факты, должен к каждом случае преодолеть источник, а в некоторых случаях преодолеть и публикацию этого источника. И вот в этом отношении у историков самых разнообразных направлений замечается неудовлитворительное углубление анализа, редко ставиться вопрос о классовой сущности и о социально-политических корнях этого источника и отсюда при правилной передаче факта получается искажение исторических перспектив.

Возьмем один пример. Вопрос о присоединении Грузии к России, в самой общей форме излогается так: Грузия (на каких причинах вопрос другой) обратилось за помощью и покровительством к России. С формальной стороны это совершенно признали не все историки, которые подходят к этому вопросу упускают из вида одно, что при несомненном факте обращения Грузии к России было другое явления, а именно со стороны России и не только, а еще гораздо раньше, когда Россия была Московским государством и начала свою коллониальную агрессию в юго-восточном направлении, это Московское государство не подстрекало, то во всяком случае культивировало в крутах грузинской феодальной аристократии обращение к нему за помощью. Однако все историки и в том числе и профессор И. Джавахишвили характеризуя отношения различных кругов Грузии к вопросу о соединении с Россией и тов. Ф. Махарадзе на конференции историко-марксистов опять таки говорят о факте обращения Грузии к России, но указанный мною второй момент не учитывают, о чем однако можно найти даже в публикациях Белокурова. При сопоставлении политики Московского государства в Грузии с ее политикой в других областях Кавказа это делается очевидным. Это стало ходячей фразой, ходячим положением, но положение которое, как видите, не полное, что Грузия обратилась к России. Полная формула будет такая: Грузия предполагала туда обратиться и обращалось, но и Москва с своей стороны опираясь на определенные круги всячески культивировало эту ориентацию. Вот это будет полная формула, но этого историки не договоривают потому, что эта односторонная формула обращение к России берется ими без критики из официальных дипломатических документов XVII века, где как всегда в дипломатических документах не все договаривается. Вот эта односторонная фраза перешла к Карамзину, который в своей истории зачастую без критики облекает лишь в литературную форму, язык исторических документов. Оно перешло дальше и когда факт присоединения Грузии к Российской империи стал совершившимся фактом, эта формула легла в основу всего русского великодержавного кавказоведения. Это великодержавное кавказоведение всячески поддерживал и министр родного просвещения Уваров, который старался поддержать загнивающий царизм. Одним из тех, кто выполнил в данном случае политический заказ Уварова, был не кто иной, как тот, кто считается родоначальником грузинской историографии — академик Броссе. В одной подготовляемой мною работе я развертываю более обоснованно это положение. Отсюда и вся дореволюционная публикация русских документов по истории Грузии и Кавказа в сущности выполняет этот классовый политический заказ и здесь мы опять подходим к такому явлению: часто историк и даже марксистского направления, берет ту или иную публикацию, не углубляя вопроса, какова классовая сущность этой публикации. Ведь каждый знает, что мы ссылаемся на акты кавказской археографической комиссии и кто то и сегодня сослался на эти акты, не указавши точно какой он имеет в виду документ. Это нельзя, нужно указать именно какой документ в актах имеется в виду, а мы знаем, что у актов была ясная установка, указать на цивилизирующее значение русского коллониального царистского режима на Кавказе и в Грузии. Проф. И. Джавахишвили, которого вряд ли можно упрекать в русском великодержавничестве и он в некоторых своих работах берет из актов материалы, не отмечая что в этих актах этот материал профилтрован под определенным углом зрения, а если обратиться в архив можно бы получить другие, гораздо более яркие материали.

Вот почему я могу приветствовать результативную часть доклада тов. Оргвелидзе. Нам нужна изощренная марксистско-ленинская методология не только в исследованиях, но и в документов.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის *პროფ. ს. ჯანაშიას.*

პროფ. ს. ჯანაშია: ამხანაგებო, ჩვენი ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მიერ მოწყობილი აზრთა გაცვლა-გამოცვლა უეჭველად დროულია და ჩვენს მნიშვნელოვან საჭიროებებს უპასუხებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ფაკულტეტის ცხოვრებაში ეს არ არის, ასე ვთქვათ, პირველი ფაქტი. ჩვენ გვქონდა ამ სემეტრის სიგრძეზე კიდევ სხვა სხდომებიც, სადაც, დაახლოებით, ასეთივე კატეგორიის საკითხს ვეხებოდით, როგორც წამოყენებული იყო აქ პროფესორ ორაგველიძის მოხსენებაში.

დროული არის იმიტომაც ეს წამოწყება, რომ, მართლაც, ის უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილებები, რომლებიც სადირექტივო ორგანოებმა გამოიტანეს ჩვენი მეცნიერების შესახებ, საჭიროა სრულიად მართებულად იყოს გაგებული, მართებულად შეთვისებული და მართებულად დაედოს საფუძვლად ჩვენს სამუშაო გეგმა და პროგრამას. მოხსენებაში დაწვრილებით იყო ამის შესახებ ლაპარაკი. გამეორება, რა თქმა უნდა, საჭირო არ არის.

მე მხოლოდ, ასე ვთქვათ, ჩემი შემდგომი მსჯელობის ინტერესისათვის ნებას მივცემ ჩემს თავს ამ ძირითად დადგენილებიდან კიდევ ორიოდე აბზილი წავიკითხო.

აი, რას ამბობს საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (*კითხულობს*).

"Совнарком и ЦК ВКП(б) установили, что главным недостатком учебников истории и самого преподавания является их отвлеченный, схематический характер. "Вместо преподавания гражданской истории в живой занимательной форме с изложением важнейших событий и фактов в их хронологической последовательности, с характеристикой исторических деятелей-учащимся преподносят абстрактные определения общественно-экономических формаций, подменяя таким образом связное изложение гражданской истории отвлеченными социалогическими схемами (На постановления Совнаркома и ЦК ВКП(б) от 16 мая 1934 года).

Совнарком и ЦК указали, что "решающим условием прочного усвоения учащимся курса истории является соблюдение историко-хронологической последовательности в изложении исторических событий с обязательным закреплением в памяти учащихся важнейших исторических явлений, исторических деятелей, хронологических дат. Только такой курс истории может обеспечить необходимые для учащихся доступность, наглядность и конкретность исторического материала, на основе чего только и возможны правильный разбор и правильное обобщение исторических событий, подводящие учащегося к марксистскому пониманию истории" ("**На фронте историч. науки**", 1936, стр. 7-8).

"В этих замечаниях были подчеркнуты обстоятельному разбору и суровой критике обе конспекта, причем, как было установлено, особенно неудосмотрительно был составлен конспект по истории СССР, который нанаблюдал большим количеством ненаучных, неграмотных, с точки зрения марксизма, определений, страдал особенно недопустимой при создании "учебников, где должно быть взвешено каждое слово и каждое определение". Крупными, хотя и меньшими, недостатками страдал также конспект учебника по "новой истории" ("**На фронте историч. науки**", 1936, стр. 9).

То обстоятельство, что авторы указанных учебников продолжают настаивать на неоднократно уже ярких перипетией и явно несостоятельных исторических определениях и установках, имеющих в своей основе известные ошибки Покровского, Совнарком и ЦК не могут не расценивать, как свидетельство того, что среди некоторой части наших историков, особенно историков СССР, укоренились анти-марксистские, анти-ленинские, по сути дела, ликвидаторские, анти-научные взгляди на историческую науку. Совнарком и ЦК

ВКП(б) подчеркивают, что эти вредные тенденции и попытки ликвидации истории, как науки, связано в первую очередь с распространением среди некоторых наших историков в ошибочных исторических взглядов, свойственных так называемой "исторической школе Покровского". Совнарком и ЦК указывают, что задача преодоления этих вредных взгядов является необходимой предпосылкой как для составления учебников по истории, так и для развития марксистско-ленинской исторической науки и подъеме исторического образования в СССР, имеющих важнейшее значение для дела нашего государства, нашей партии и для обучения подрастающего поколения" (**"На фронте историч. науки"**, 1936, стр. 10).

აი, მაშასადამე, ეს ძირითადი მითითებები, გაშლილი შემდეგ ამხ. სტალინის, ჟდანოვის და კიროვის რეცენზიებში, შემდეგ ამხ. რადეკის და სხვა ამხანაგების წერილებში, აი, ის მითითებები, რომლებიც ჩვენთვის სახელმძღვანელო მითითებებს წარმოადგენენ.

ამით მე, რა თქმა უნდა, სრულებით არ მინდა ვთქვა, რომ თუ აქ უმთავრესი ცეცხლი იყო მიმართული საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის ანტიმარქსისტულად ამშენებელთა წინააღმდეგ, რომ ეს ჩვენ საშუალებას არ გვაძლევდეს მოვიქცეთ ისე, როგორც მართებულად მოიქცა ამხ. ორაგველიძე, ვინაიდან ჩვენს სინამდვილეში საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი მთავარი საკითხია, ამიტომ თავის თავად ცხადია და ბუნებრივია, რომ ჩვენი ფაკულტეტის საჯარო სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფაკულტეტი, რა თქმა უნდა, შეიცავს სხვა ისტორიულ დისციპლინებს, ძირითად მსჯელობის საგნად გადაიქცა საქართველოს ისტორია, ეს მე სრულიად სამართლიანად მიმაჩნია.

სამართლიანად მიმაჩნია აგრეთვე ის ძირითადი დებულებები, რომლებზედაც აშენებული იყო პროფ. ორაგველიძის მოხსენება.

კერძოთ, მე არ შემიძლია არ მივესალმო ამხ. კარლოს იმ მხრივ, რომ მან მსჯელობა ამ საკითხის შესახებ დაიწყო მსჯელობით ნიღილიზმის შესახებ. მართლაც, ჩვენს სფეროში ეს ნიღილისტური დამოკიდებულება ჩვენი საგნისადმი წარმოადგენს ძირითად წყაროს იმ მავნე შეცთომებისათვის, რომლებისაგან ჩვენ მთლად თავისუფალნი ჯერ ჯერობით არა ვართ.

ნიღილიზმი, რა თქმა უნდა, სრულებით არ არის პროლეტარიატის მსოფლმხედველობის ნაწილი, იგი სრულებით არ ეგუება პროლეტარიატის მეცნიერულ თეორიას, იგი არსებითად წვრილ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის გამოხატულებაა. თვით ჩვენი საგნის ისტორია რომ აიღოთ, ამ ჩვენი საგნის ისტორიაში ნახავთ, რომ წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლები ნერგავდნენ და ზრდიდნენ ამ ნიღილიზმს.

მე მაგონდება და არ შემიძლია არ ავღნიშნო ხაზგასმით მენშევიკების ერთ ერთი ბელადის უბადრუკი სიბრძნე, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგ სიტყვებში: „მეზიზღება ჩვენი ქვეყნის წარსული". აი, საქართველოს „ისტორია".

დაუპირისპირეთ ეხლა ამას საქართველოს რევოლიუციური მარქსიზმის ფრთის წარმომადგენლების შეხედულება ამ საგანზე და თქვენი ნახავთ, როგორი უფსკრული არის ამ ორ მიმართულებას შორის.

ამხ. სტალინმა და მისმა თანამებრძოლმა ამხ. წულუკიძემ მოგვცეს უღრესად საყურადღებო შენიშვნები, რომლებიც ჩვენდა სამარცხვინოთ მთლად შეთვისებული არა გვაქვს.

არ შემიძლია არ მოვიგონო ამხ. წულუკიძის უაღრესად საყურადღებო, მართლაც სანიმუშო დიალექტიურ მატერიალისტური შეხედულება საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ, რომლის შეხედულებებმაც ჩემს სიყრმეში ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს, თუნდაც ეროვნული საკითხის შესახებ. საქართველოში ეროვნული კულტურის მშენებლობის შესახებ ამხ. წულუკიძემ პირველმა მაშინ სთქვა, რომ არ შეიძლება ასე მექანისტურათ განვიხილოთ ისტორიის მიმდინარეობა, როგორც ეს ზოგს უნდა ჩაიდინოს, რომ თუ ევროპაში ეროვნულ კულტურას აშენებდა ბურჟუ-

ზია, ამიტომ ჩვენშიც ბურჟუაზიამ უნდა აშენოს ეროვნული კულტურა. ის ლაპარაკობდა, რომ საქართველოში ამ საქმეს პროლეტარიატი გააკეთებს და ჩვენ მოწმე ვართ, რომ ქართულმა ეროვნულმა კულტურამ აყვავებას მიაღწია მაშინ, როცა პროლეტარიატმა დაიპყრო ძალა უფლება.

და აი, მე ვამბობ, რომ სრულიად სამართლიანად მოიქცა ამხ. კარლო, როდესაც აქედან დაიწყო.

ნიღილიზმი არ შეიძლება იყოს ჩვენი მეთოდი. ჩვენი მეთოდი კრიტიკული ათვისების მეთოდია, დაძლევით მოხსნის მეთოდია.

ამით უნდა მიუდგეთ აგრეთვე დიდ საკითხს მემკვიდრეობის შესახებ ჩვენს დარგში.

საქართველოს მშრომელებს, გამარჯვებულ მშრომელებს მდიდარი მემკვიდრეობა ერგოთ კულტურის მრავალ სფეროში. მე ეფიქრობ, მდიდარი მემკვიდრეობა ერგოთ მათ ისტორიის სფეროშიც და საკმაოთ მდიდარი მემკვიდრეობა: ძველი ისტორიული მწერლობა, შემდეგ ახალი ისტორიული მწერლობა, რომლის შესახებ ამხ. ბერძენიშვილი ლაპარაკობდა. ამ მწერლობამ მრავალი საკითხი წამოაყენა საქართველოს ისტორიიდან, ზოგი მათგანი, შეძლებისდაგვარათ, გადაჭრა, ზოგი გადაუჭრელი დაგვიტოვა, ზოგის შესახებ ფალბი შეხედულება მოგვცა, მაგრამ მაინც გარკვეული ნიადაგი მოგვიმზადა.

რა თქმა უნდა, როდესაც საქართველოს ახალ საისტორიო მწერლობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, პროფ. ი. ჯავახიშვილს ვგულისხმობთ.

მე ვეთანხმები იმ ძირითად დებულებას, რომელიც მოხსენებაში იყო წამოყენებული პროფ. ჯავახიშვილის შესახებ. ეხლა სასაცილო იქნებოდა დაგვეწყო იმის მტკიცება, რომ ჯავახიშვილი მარქსისტი არ არის, ამას არც თვითონ ამტკიცებს და არც არავის სჯერა, რომ ის მარქსისტი არის.

რა თქმა უნდა, საქმე ამაში არ არის, არამედ საქმე იმაშია, რომ, როგორც აქ სამართლიანად იყო აღნიშნული, ჩვენ ახალგაზრდობას უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა მივიდეს ჯავახიშვილთან. ჩვენ ხომ ჯავახიშვილს ნიღილისტურათ ვერ შევხედავთ, რადგან ნიღილიზმი ჩვენი მეთოდი არ არის.

მაშ როგორღა უნდა მივიდეთ მასთან? ამის შესახებაც იყო აქ ნათქვამი და მეც იგივე შემიძლია გავიმეორო. ჩვენ ყოველთვის ვესაუბრებით აუიდიტორიას და კონკრეტულ პრაქტიკულ მასალაზე (აი, ეს არის ჩვენი მეთოდი) უჩვენებთ, თუ როგორ უნდა მივიდეთ ჯავახიშვილთან, რა უნდა მივიღოთ მისგან, რა არ უნდა მივიღოთ და რაც უნდა მივიღოთ, როგორ უნდა მივიღოთ.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჯავახიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის. საკმარისია, მარტო ჩამოვთვალოთ ის შრომები, რომლებიც მას დაუწერია ან შეხედოთ ნიგნთსაცავში იმ თაროებს, რომლებზედაც ჯავახიშვილის წიგნები აწყვია, რომ დაინახოთ, თუ ამ ადამიანს რა კოლოსალური შრომა ჩაუტარებია, რომლის ნაყოფი ასეთი მრავალრიცხოვანი ტომების სახით არის ჩვენს წინაშე წარმოდგენილი.

არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ პროფ. ჯავახიშვილის დამსახურება მდგომარეობს მხოლოდ ფაქტების შეგროვებაში. არა ერთი შეხედულება განზოგადებულიც აქვს მოცემული, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ. არ იქნებოდა ეს სწორი ორის მხრივ. ეს ქმნის, ჯერ ერთი, ისეთ ფალბ შეხედულებას, რომ ყველა ის ფაქტი, რომელიც დაგროვილია ჯავახიშვილის მიერ, სწორი ფაქტია და უნდა მივიღოთ ისე, როგორც ჯავახიშვილს აქვს მიღებული. მეორე, ეს ჰქმნის ფალბ შეხედულებას, თითქოს ამიერიდან ფაქტიურ სფეროში აღარაფერია გასაკეთებელი.

მე ვერ დავმალავ, რომ იყო ჩვენში დრო, როდესაც ზოგიერთები გვარწმუნებდნენ (აი, რაშია საქმე, გთხოვთ, ამას მიაქციოთ ყურადღება), რომ პროფ. ჯავახიშვილმა და სხვებმა გააკეთეს უკვე გარკვეული საქმე, დააგროვეს ფაქტები და ეხლა ჩვენ შეგვიძლია მის ფაქტებს მიუდგეთ ჩვენი მსოფლმხედველობით და მარქსისტული საქართველოს ისტორია აშენებულია.

აი, ეს არის ლიკვიდატორული დამოკიდებულება ჩვენი საგნისადმი. ეს არ

არის სწორი თუნდაც იმიტომ, რომ (ესეც იყო აქ აღნიშნული) ახალი მსოფლმხედველობა ნიშნავს ახალ ფაქტებსაც და ძველი ფაქტების ახალ გაშუქებას, იმიტომ, რომ არ შეიძლება ფაქტების დანახვა აბსტრაქტული თვალებით; შეიძლება დანახვა მხოლოდ კონკრეტული თვალებით, რომლებიც სოციალური თვალებია, რომ არ შეიძლება მიეცეთ ყველა ფაქტი იმ სახით, როგორც მას აქვს მოცემული.

გარდა იმისა, რომ შესაძლებელია ფაქტებში შეცთომები გვქონდეს და ეს ასე არის, ეს ბუნებრივია, გარდა ამისა, მაშასადამე, ჩვენთვის სრულებით არ არის საკმარისი ის ფაქტიური მასალა, რომელიც ჯავახიშვილის ან სხვა ისტორიკოსების შრომებში არის დღემდის მოცემული. საქ. ისტორიის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუკვლეველია.

ეხლა შემდეგი. მეორე მხრივ მე ვამბობ: რა თქმა უნდა, პროფ. ჯავახიშვილის მუშაობა მარტო ფაქტების შეკრებით არ ამოიწურებოდა. იგი გარკვეული მსოფლმხედველობის ისტორიკოსია. მე, რა თქმა უნდა, გაუგებრობათ მიმაჩნია, როდესაც პროფ. ჯავახიშვილს მიაკუთვნებენ რიკერტის ან ვილდენბანდის სკოლას. არავითარ მაგისთანა სკოლას ჯავახიშვილი არ ეკუთვნის, არავითარი მაგისთანა ფილოსოფიური კონცეპცია მას არ მოეპოვება.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მას, როგორც მოაზროვნეს და მკვლევარს, თავისი მსოფლმხედველობა არ ქონდეს. მას აქვს მსოფლმხედველობა, რომელიც მკაფიოდ გამოსჭვივის ყოველგვერდზე.

(*მეგრელიშვილი* ადგილიდან: როგორი არის მისი მსოფლმხედველობა).

თქვენ, ამხანაგო გაბრიელ, ხშირ ხშირად მომეცით ეგეთი შეკითხვა, თორემ შეიძლება დამავიწყდეს ჩემი სათქმელი.

(*სოსელია*: მაინც საინტერესოა, როგორი მსოფლმხედველობა აქვს ჯავახიშვილს).

მოგახსენებთ, როგორი მსოფლმხედველობა აქვს ჯავახიშვილს და სხვებსაც, რომლებიც ცდილობენ საქართველოს ისტორიაში იმუშაონ (*დარბაზში მოძრაობა, სიცილი*).

ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის განსაზღვრის დროს მე ვეთანხმები იმ ძირითად დებულებას, რომელიც მოხსენებაში იყო მოცემული.

ძირითადი არის, რა თქმა უნდა, ნაციონალიზმი. ნაციონალიზმი, რომელიც წინა რევოლიუციურ საქართველოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა და რომელიც დამახასიათებელი არის იმ საზოგადოებრივი წრისათვის, რომელსაც პროფ. ჯავახიშვილი ეკუთვნოდა და რომლის მეთაურად მე ილია ჭავჭავაძე მიმაჩნია.

ეს შეხედულება პროფ. ჯავახიშვილისა გამოსჭვივის, ვამბობ მე მისი ნაწერების ყოველგვერდზე. ასე რომ, იმისი თქმა, რომ პროფ. ჯავახიშვილს თავისი მსოფლმხედველობა არა აქვს, არ შეიძლება. ხოლო თუ ეს...

(*მეგრელიშვილი* ადგილიდან: ნაციონალიზმი მსოფლმხედველობაა?)

ხოლო ეს ასე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ ის ფაქტები, რომლებსაც ჯავახიშვილი აგროვებდა, გარკვეული ელფერით არ იყოს შეფერილი...

შეიძლებოდა ბევრი რამ გვეთქვა ჯავახიშვილის დამოკიდებულების შესახებ წყაროებისადმი და დიდი დამსახურების შესახებ ისტორიის წყაროთმცოდნეობის დარგში და სხვა. ამის შესახებ ბევრი რამ ითქვა და ეხლა აღარ გავიმეორებ. რა თქმა უნდა, ჩვენი ახალგაზრდობა ვერ იმუშავებს იმ მეთოდით, რომლითაც მუშაობდა და მუშაობს პროფ. ჯავახიშვილი.

პროფ. ჯავახიშვილი ჩვენი ახალგაზრდობისათვის არის მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც მან უნდა შეითვისოს დაძლევისა და კრიტიკული ათვისების გზით. ეს ამბავი უნდა გამომყღავნებულ იქნეს თითოეულ ცალკე ისტორიულ პრობლემის, კონკრეტულ ეპოქის დაპირისპირებული შესწავლის გზით. ნაწილობრივ ეს კეთდება და კიდევ მეტად ეს მომავალში უნდა გაკეთდეს.

სწორად იყო ნათქვამი მოხსენებაში, რომ ჯავახიშვილის მეთოდი არ არის ობიექტური მეთოდი, რომ მისი მეთოდი სუბიექტური მეთოდია. ეს, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ (მე ვფიქრობ ჩვენი აუდიტორია იმდენად მომზადებულია, რომ ასე არ იქნება გაგებული) თითქოს ყველა მისი ფაქტი არის სუბიექტური და ყველა

უნდა უკუვაგდოთ. აქ ლაპარაკია იმ განზოგადებათა შესახებ, რომელიც ჯავახიშვილს მოეპოვება და რომლებიც სუბიექტური არიან.

აქ სამართლიანად იყო აღნიშნული ჯავახიშვილის შეხედულების სიმცდარე, მაგალითად, საქართველოს გაერთიანების საკითხის შესახებ. პროფ. ჯავახიშვილი საქართველოს გაერთიანებას ხსნის მზარდ ეროვნულ შეგნების ნიადაგზე. ეს სწორი არ არის. აი, ეს არის სუბიექტური ახსნა ისტორიული მოვლენისა, რომელსაც ჩვენ ვერ მივიღებთ. ამის ნაცვლად ჩვენ უნდა ობიექტური ახსნა მივცეთ იმავე პროცესებს და ეს ობიექტური ახსნა ყველა ისტორიული ეპოქისა შესაძლებელია მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდის მოშარჯვების გზით.

ამხანაგებო, არ იქნებოდა ისიც სწორი რომ გვეთქვა, თითქოს პროფ. ჯავახიშვილამდე საქართველოში არაფერი გაკეთებულა, ან თითქოს მას შემდეგ, რაც პროფ. ჯავახიშვილი გამოვიდა ასპარეზზე, სრულებით არავინ არაფერს აკეთებდა. არიან აგრეთვე სხვა პირებიც, რომლებიც ჯავახიშვილამდე მუშაობდენ, ჯავახიშვილის დროსაც მუშაობდენ, რომელთაც ჩვენ იმავე თვალსაზრისით უდგებით, როგორც მე ეხლა დავახასიათე. მე შემიძლია დავასახელო დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც თავის დროზე ბევრი რამ გააკეთა და რომელიც ზშირად უსამართლოდ არის ხოლმე დაგიწყებული. შემდეგ სხვა პირები, საბჭოთა საქართველოს შრომის გმირი მოსე ჯანაშვილი და სხვები, რომელთაც ბევრი რამ გააკეთეს. რა თქმა უნდა, ისინი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდენ ჯავახიშვილს თვითკლევის ტეხნიკის დონის მხრივ, მაგრამ მათაც გარკვეული საქმე გააკეთეს. მე მესიამოვნა, რომ ამხ. ჯინჭველაშვილმა ეს აღნიშნა. მას ეს სცოდნია, თუმცა საქართველოს ისტორიაში სპეციალურად არ მუშაობს. ჩვენმა ახალგაზრდობამ ეს ყველაფერი უნდა იცოდეს. მთელი ეს ქართული საისტორიო ლიტერატურა ჩვენთვის ამჟამად არის მემკვიდრეობა, რომელსაც ჩვენ გარკვეულათ უდგებით.

მე მინდა კიდევ თქვენი ყურადღება ერთ მხარეზე შევაჩერო, რომელიც მოხსენებაში, თუ არ ვცდები, არ იყო აღძრული.

ეს არის ჩვენი სამეცნიერო მუშაობის საზოგადოებრივი და ეთიკური მხარე.

აი, ამ სფეროში ჩვენ არა ერთი მავნე ტრადიცია გვაქვს დასაძლევი და როდესაც ვლაპარაკობთ, რომ მეორე ხუთწლედის ერთ ერთი ძირითადი ამოცანა არის აღმოფხვრა ადამიანის შეგნებიდან იმ ცუდი ნაშთებისა, რომლებიც წინა საზოგადოებრივმა ფორმაციებმა დასტოვეს. ჩვენს დარგში ამ ამოცანის კონკრეტულ გამოხატულებას ჩვენ უნდა ვხედავდეთ იმაში, რომ დავძლიოთ ის საძაგელი ტრადიციები, რომლებიც ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ მოგვეპოვება.

აქ მე ვგულისხმობ ინდივიდუალიზმს კვლევის სფეროში, პერსონალიზმს, უფრო სწორათ რომ ვთქვათ, არა ეთიკურ დამოკიდებულებას ლიტერატურულ მოვლენებისადმი და მრავალ სხვას.

ამ მხრივ ჩვენში, მე ვიმეორებ კიდევ, ძალიან ცუდი ტრადიციები არის. ჩვენს ცხოვრებას, რა თქმა უნდა, ეს ტრადიციები არ შეუფერება. იმ დიდის საქმის გაკეთება, ამხ. კარლო რომ ლაპარაკობდა, შეუძლებელია, თუ ამ საქმეს კოლექტიურათ არ მოვაწყობთ. კოლექტიური მოწყობა ამ საქმისა ჩვენ გვესმის არა როგორც გაუპიროვნება, არამედ როგორც პიროვნების ინტერესებისა და საქმიანობის დაქვემდებარება საზოგადოებრივ ინტერესისადმი.

აი, მაშასადამე, ამ მხრივ ჩვენ აგრეთვე გარკვეული საქმე გვაქვს გასაკეთები. მე პირადათ ეს მხარე ყოველთვის მაწუხებდა, ასე ვთქვათ, და ვცდილობდი ჩემ საკუთარ საქმიანობაში როგორმე აი ამ ცუდი ტრადიციების წრიდან გამოვსულიყავი და სწორეთ ამიტომ თვითკრიტიკის წესით აქ ერთი ამბავი უნდა ავღნიშნო.

ჩემი უკანასკნელი წიგნის გამოსვლის რამოდენიმე ხნის შემდეგ გადმომცეს, რომ ამხ. ს. კაკაბაძე ნაწყენია იმის გამო, რომ მე მისი ერთ ერთი შეხედულება არ მოვიხსენიე ამ წიგნში. მე იძულებული შევიქენი, ღრმა არქეოლოგიური გათხრები მეწარმოებინა, რომ აღმომეჩინა, რაში იყო საქმე და აღმოჩნდა შემდეგი ამბავი.

როდესაც ვლაპარაკობ მე-6 საუკუნის დამლევს საქართველოში მომხდარ ფეოდალური გადატრიალების შესახებ და

ვლაპარაკობ მისი წინამძღოლის გურგენის შესახებ, მე ვამბობ, რომ ამ გურგენს უნდა ეკუთვნოდეს პირველი ქართული ფული. პირველი „ქართული“ იმ თვალსაზრისით, რომ მასზე პირველად არის ამოჭრილი ქართული წარწერა: „გ. ნ.“ მე მოსაზრება გამოვთქვი, რომ ამ ასოებში არის მოცემული სახელი ამ პირისა. მართალია, ეს პატარა ფაქტია და იგი ჩემ მიერ დამოუკიდებლად არის დადგენილი, მაგრამ თუ ასეთი მოსაზრება უკვე იყო აღნიშნული მწერლობაში, რა თქმა უნდა, მე მევალებოდა ეს აღმენიშნა. ასეთი განმარტება ჰქონია მოცემული ს. კაკაბაძეს, მაგრამ მე ეს გამომეპარა, რის გამო მე საჯაროთ ბოდიშს ვიხდი ამხ. ს. კაკაბაძის წინაშე. მაგრამ ერთი რამ უნდა ავღნიშნო, ბრალი მიუძღვის თვით ამხ. კაკაბაძესაც. ეს განმარტება მას მოცემული აქვს პატარა, რუსულად დაწერილ ნაწარმოებში, რომელიც, მგონი, დაიბეჭდა 1927 წელს და რომელსაც აქვს ასეთი წარწერა: "Временный оттиск без предварительной исправления" ასეთი წიგნი მე ვნახე პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ სწორეთ ამ წარწერის გამო მე მას ყურადღება არ მივაქციე, რადგან დროებით ამონაბეჭდი, რომელსაც წინასწარი კორექტურა არ გაუვლია, არ უნდა შეიცავდეს ავტორის ისეთ დებულებას, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ.

შემდეგ. ამხ. კარლომ მე საშუალება მომცა, რომ ერთ კონკრეტულ მაგალითზე განვიხილო საქართველოს ისტორიაში არსებული სხვა და სხვა სკოლების და სხვადასხვა მიმართულებების მეთოდოლოგია და, კერძოთ, ჩემი საკუთარი თვალსაზრისიც გამოვამჟღავნო აქ.

ეს გაბლავთ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი საქართველოში. მართალი მოგახსენოთ, ამხანაგებო, მე პირადათ ამ საკითხის შესახებ, ცოტა არ იყოს, მომწყინდა ლაპარაკი, ბევრი ილაპარაკეთ, მაგრამ, რადგან მასალა ყოფილა კიდევ სალაპარაკო, ამიტომ კიდევ შეიძლება ვთქვა ჩემი შეხედულებები ამ საკითხის შესახებ.

დაუსწრებელ პედაგოგიურ ინსტიტუტის მსმენელებისათვის 1932-34 წლებში დაიბეჭდა ჩემი განაკვეთები. პირველი ორი განაკვეთი დაიბეჭდა 1932 წლის თებერვალსა და მარტში, მესამე განაკვეთი დაიბეჭდა 1934 წლის დამდეგს. სხვათა შორის, განსაკუთრებულ პირობებში იწერებოდა ეს განაკვეთები, ეჭქარობდით ძალიან. აქ არის ამხ. ლ. ციხისთავი, რომელიც მაშინ დაუსწრებელ პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორიულ განყოფილების ხელმძღვანელი იყო და რომლის მრავალი წერილი მაქვს შენახული, სადაც ლაპარაკია, რომ თქვენ აგვიანებთ, არ გზავნით და სხვა. მართლაც უნდა ითქვას, რომ შეუწყნარებელი მდგომარეობა იყო, როდესაც დაუსწრებელ პედაგოგიურ ინსტიტუტის მსმენელებს არაფერი ამ მხრივ არ ქონდათ და ამიტომ ჩვენ ვჭარობდით. ეს სიჩქარის მომენტი, ამხანაგებო, გათვალისწინებული უნდა იყოს უეჭველად. ეხლაც, მაგალითად, ამხ. კარლო ძალიან გვაჩქარებს, პირდაპირ გეზი უჭირავს ხელში და გვერეკება, აბა, რაც შეიძლება ჩქარა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. მართალია თუ არა ამ შემთხვევაში კარლო, რა თქმა უნდა, მართალია. ჩვენს ახალგაზრდობას აუცილებლათ სჭირია სახელმძღვანელო. ჩვენთვის, როგორც მკვლევარებისათვის, თავის თავად ცხადია, რომ სახელმძღვანელოზე გადასვლა მონოგრაფიული კვლევიდან გარკვეულ მსხვერპლს შეიცავს. ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ იმის გამო, რომ ასე ეჩქარობთ, ბევრი რამ შესაძლებელია დეფექტურათ გამოგვივიდეს. მიუხედავად ამისა, წინასწარ გურიგდებით და ალბათ ამხ. კარლოც ურიგდება, რა ვუყოთ, შემდეგ გამოვასწორებთ, ან თვითონ დაეინახაეთ ან სხვები დაინახავენო. ასე იყო მაშინაც და მაშინ კიდევ უფრო მეტად. გარდა ამისა, მე გახლდით კიდევ ავათ. ამხ. ბერძენიშვილი და ციხისთავი აქ არიან და დამიმოწმებენ, რომ როცა მზადდებოდა მეორე განაკვეთი, მე ვერ მოვახერხე ამ გამოკვლევის ბოლომდე დაწერა, ავადმყოფობის გამო იძულებული გავხდი, წავსულიყავი აფხაზეთში, კორექტურა გაასწორა ბერძენიშვილმა და მეორე განაკვეთის ბოლო გადავიდა მესამე განაკვეთში.

ყველაფერი ეს უნდა მოგახსენოთ იმისათვის, რომ არსებობს ნაწილობრივ ობიექტური მიზეზები, რომლებიც ზოგიერთ ჩემ შეცთომებს ამართლებენ. მაგრამ მარტო ამ ობიექტურ პირობებზე გადატანა არ მინდა. მე ვაცხადებ, რომ აქ, ამ განაკვეთებში არის ზოგიერთი ისეთი გა-

მოთქმები, რომლესაც დაზუსტება სჭირიან და რომლებიც არა სასურველია იმიტომ, რომ ეს განაკეთები სახელმძღვანელოებს წარმოადგენენ, მათი გადამუშავება ჩემს მორიგ ამოცანას წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, მე მაინც ვიცავ იმ შეხედულებებს, რომლებიც ამ განაკეთებში არის მოცემული, კერძოთ, სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ საქართველოში.

ჩვენ გვაქვს ამის შესახებ რამოდენიმე შეხედულება. ეხლა ისტორიას რომ გამოუდგეთ, ძალიან შორს წაგვიყვანს. მე მხოლოდ ზოგიერთი მკვლევარს დავასახელებ.

პროფ. ჯავახიშვილმა, რომელმაც ამ საკითხს უძღვნა სადისერტაციო ნაშრომი, ასეთი შეხედულება წამოაყენა, რომ ჩვენ აქ გვაქვს გვაროვნული წყობილება და, ამავე დროს, სახელმწიფო. თავის სადისერტაციო შრომით მან სცადა ამისათვის მიეცა უნივერსალური მნიშვნელობა, თითქოს ამრიგად წყდება საერთოდ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი არამარტო საქართველოსათვის, მაგრამ ქართული სამართლის ისტორიის გამოცემაში მან ეს უნივერსალური ხასიათი თავისი დებულებისა მოხსნა, თუმცა აღნიშნული არა აქვს, რა მოსაზრებით.

იყვნენ აგრეთვე სხვა მწერლები, რომლებიც ამ საგანს ეხებოდნენ. ეხლა ყველაზე არ შევჩერდები, ავღნიშნავ მხოლოდ ამხ. სოსელიას წიგნს.

ამხ. სოსელიამ გამოაქვეყნა სპეციალური ნარკვევი ამ საკითხის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1930 წელს ჟურნალ „მნათობში“. მე იმ დროს საქართველოში არ გახლდით და, სამწუხაროთ, მაშინვე ეს ნაწარმოები არ გამიცანია. როგორღაც ისე მოხდა, რომ არავის ჩემი ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის, ასე რომ, ჩემს განაკეთში, მიუხედავათ იმისა, რომ დაწერილია 1931 წლის დამლევს, მისი ნაშრომის შესახებ არაფერია ნათქვამი. ესეც, რა თქმა უნდა, უმართებულო იყო ჩემის მხრივ.

ამხ. სოსელიას გარკვეული დამსახურება მიუძღვის ამ სფეროში. მან სცადა საკითხის მარქსისტულად დაყენება. თუ არ ვცდები, ეს არის ამ მხრივ პირველი ცდა. სოსელიამ სამართლიანად აღნიშნა, რომ პროფ. ჯავახიშვილის შეხედულებები ერთი მეორესთან შეუთავსებელია, რომ სახელმწიფოს არსებობა გვაროვნული წყობილების პირობებში მიუღებელია, რომ სახელმწიფო კლასობრივი ორგანიზაციაა.

შემდეგ მან თავისი საკუთარი შეხედულება გადმოგვცა ამ საკითხში, შეხედულება, რომელსაც მე არ ვეთანხმები.

ამხანაგებო, მე ამ საკითხზე ვწერდები იმისათვის, რომ ამხ. კარლომ ეს საკითხი სპეციალურად გამოყო და თავისი გარკვეული შეხედულებაც მოგვცა.

ჯერ ერთი, მე არ მაკმაყოფილებს ის კრიტიკა, რომელსაც ამ შემთხვევაში ამხ. სოსელია პროფ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ აწარმოებს. მე ეფიქრობ, რომ ეს კრიტიკა არ არის მთლად ის კრიტიკა, რომელიც მარქსისტულ მეთოდოლოგიას და ტრადიციას შეეფერება.

როგორ არღვევს ჯავახიშვილის აზრს სოსელია. ძალიან მარტივად ის ამბობს: პროფ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ პირველ საუკუნეში არის გვაროვნული წყობილება. პროფ. ჯავახიშვილი კარგი ფაქტოლოგია, ამიტომ ეს უნდა დაუჯეროთ, მაგრამ პროფ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ მიუხედავათ იმისა, რომ აქ გვაროვნული წყობილებაა, აქ არსებობს სახელმწიფოც. ამაში ჩვენ ვერ დაუჯერებთ ჯავახიშვილს, რადგან მარქსიზმი გვასწავლის, რომ გვაროვნულ წყობილებაში სახელმწიფო არ შეიძლება იყოს.

(*სოსელია*: ასე არა მაქვს, მარქსი და ენგელსი არ მიხსენებია სრულებით).

(ამხ. *ჯანაშია* კითხულობს ციტატას სოსელიას წიგნიდან).

„სტრაბონის სიტყვით, მაშინდელ იბერიაში, ანუ აღმოსავლეთ საქართველოში — გადმოგვცემს პროფ. ჯავახიშვილი — ოთხგვარი მოსახლეობა ყოფილა. მოსახლეობის პირველ წრეს შეადგენდა ის, რომლისაგანაც მეფეებს სცამენ, სახელდობრ, გარდაცვლილი მეფის შემდგომ წლოვანებითა და მახლობლობით უხუცესს წევრს. ხოლო მეფის შემდგომ მეორე, ალბათ ამავე ასაკისა და მახლობლობის თვალსაზრისით, უფროსი წევრი მოსამართლებდა და სარდლობდა. მოსახლეობის მეორე წრეს ჭურუმნი შეადგენდენ, რომელთაც მეზობელ ერებთან საცილობელი საქმეების, ე. ი. საერთაშორისო საქმეების მოწესრიგებაც ებარათ. მოსახლეობის მესამე წრეს ისინი შეადგენდენ,

რომელნიც სამხედრო საქმეებსა და მიწათმოქმედებას მისდევდენ. დასასრულ, მოსახლეობის მეოთხესა და უკანასკნელ წრეს ის ხალხი შეადგენს, რომელნიც მეფის მონები არიან და ყველაფრით, რაც საცხოვრებლად საჭიროა, მეფეს ემსახურებიან. ხოლო ქონება იბერებს საერთო აქვთ საგვარეულოებისდამიხედვით, რომელსაც საგვარეულოს უხუცესი წევრი განაგებს".

„მაშასადამე — განაგრძობს ი. ჯავახიშვილი — კერძო საკუთრება მაშინ, უძრავი მაინც, არ ყოფილა. უძრავი ქონება გვარის საერთო საკუთრება იყო და თვით ამ ქონების მოვლა-გამგებლობაც საერთო ყოფილა". „არამც თუ ქონება, არამედ უკანასკნელის სარგებლობის და ექსპლოატაციის წესიც სათემო-საგვარეულო ყოფილა." ამრიგად, დასკვნის სრულიად მართებულად აეტორი, გვარი წარმოადგენდა ქართველების მაშინდელი სოციალური წყობილების საფუძველს". „უძველეს დროს საქართველოში სუფევდა საგვარეულო წყობილება".

ამ აზრის არიან ამ საკითხზე საქართველოს სხვა ისტორიკოსებიც.

თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ საგვარეულო წყობილების ნაშთები საქართველოში მრავლად არის დარჩენილი უკანასკნელ დრომდისაც (ასეთ ნაშთებს ახლაც მრავალს ვიცნობთ), არაფერი არაჩვეულებრივი არ არის იმაში, თუ ორი ათასი წლის წინათ ქართველებში ტიპიური საგვარეულო წყობილება იყო. მართალია, აქ ჩვენ საქმე გვაქვს საგვარეულო წყობილების უმაღლეს საფეხურთან, როცა უკვე მომწადებულია ნიადაგი მისი დაშლისათვის, მაგრამ არც მონობის არსებობა, არც ქურუმების ცალკე გამოყოფა და არც არსებობა საზოგადოების ისეთი წრის, რომელიც „მეფეს სვამდა" (სტრაბონის ეს სიტყვები სულ სხვაგვარად უნდა გავიგოთ, ამაზე ქვემოთ), არც ერთი ეს გარემოება სტრაბონის მიერ აწერილ პირობებში არაფერს ამბობს იმაზე, რომ საგვარეულო წყობილება ამ დროს საგრძნობლად შერყეული ყოფილიყოს".

(*სოსელია.* სახელმწ. წარმოშობის საკითხისათვის, 1934, გვ. 10-11).

„სრულებით არაითარი საფუძველი არა გვაქვს დაუშვათ, რომ I საუკ. ქართველ გვარის რომელიმე მამასახლისის „დანართი წოდებულობა" შესაძლებელია მეუფე თუ მეფე ყოფილიყო. პირიქით, გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ასეთი რამ წოდებულობა საგვარეულო წყობილებაში, როცა სოციალური ჯგუფები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, როცა ჯერ კიდევ არ ჰქონდა ადგილი კერძო საკუთრებას, როცა არ არსებობდა საზოგადოებისაგან გამოყოფილი და მასზე მდგომი რაიმე ძალა, როცა საგვარეულოთა მეთაურებს არავითარი დამოუკიდებელი „ძალა", „ძალაუფლება" არ ჰქონდათ (ამაზე კიდევ ქვემოთ), ასეთ პირობებში ისეთი წოდებულობა, როგორ არის „მეფე" თუ „მეუფე" ან „ხელმწიფე" შეუძლებელია რომ ყოფილიყო".

(*ვ. სოსელია.* სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, ტფ., 1934 წ., გვ. 44-45).

(ავტორი უმართებულოდ აიგივებს სახელმწიფოსა და მეფის ხელისუფლებას. უზენაეს სახელმწ. ხელისუფლების მატარებელი შესაძლოა, იყოს არა მარტო მეფე, არამედ მთავარიც, ტირანიც და მრავალი სხვაც).

ამხანაგებო, საქმე ის გახლავთ, რომ პროფ. ჯავახიშვილისათვის როგორც გვაროვნული წყობილება, ისე სახელმწიფოც ფაქტებია. პროფ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ სახელმწიფოც ისეთივე ფაქტიური მონაცემია იმ დროისათვის, როგორც გვაროვნული საზოგადოება. ასე რომ, თუ ჩვენ ისეთ თვალსაზრისზე დავდგებოდით, რომ ჯავახიშვილი უცთომელი ფაქტოლოგია, მაშინ უნდა მიგვეღო სწორედ ასე, მაგრამ ჩვენ ასეთ თვალსაზრისზე ვერ დავდგებით.

ჯერ ერთი, რა თქმა უნდა, ასეთი საკითხის დასმა არ შეიძლება, რომ რაკი გვაროვნული წყობილება არსებობს, არავის აქვს უფლება ილაპარაკოს სახელმწიფოს შესახებ. თქვენ იცით, რომ ენგელსი თავის შრომაში უჩვენებს მაგალითს, როდესაც გვაროვნულ წყობილების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იქმნება სახელმწიფოს მსგავსი ორგანიზაცია. ის მიუთითებს იმაზე, რომ ეს სახელმწიფო არის ჩაგვრის იარაღი, რომ ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ტომი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იპყრობს მეორე ტომს.

(*სოსელია*: ეს არ არის ტიპიური, ეს არ არის მარქსისტული).

ჯანაშია: თუ ეს შეხედულება ენგელსისა მარქსისტული არ არის, მაშინ არ ვიცი, რა არის მარქსისტული და რა არა.

ტალახაძის რეპლიკა:

ჯანაშია: ამბ. ტალახაძე ამბობს, რომ ასეთი შეხედულება არა აქვს ენგელსს (*ხმები*: აქვს!).

წაიკითხეთ ენგელსის წიგნში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ გერმანულ ტომებში („ოჯახი, კერძო საკუთრება და სახელმწიფო", 1932 წ., გვ. 173-181) განსაკუთრებით შემდეგი ადგილი: „თუ სისხლის კავშირი გვარში ჩქარა გაჰქრა, ეს იმის შედეგი იყო, რომ დაპყრობის გამო ამ კავშირის ორგანოები გადაგვარდა ტომსა და მთლიან ერშიც. ჩვენ ვიცით, რომ ბატონობა დაპყრობილ ხალხზე არ ეგუება გვაროვნულ წესწყობილებას. აქ ამას უფრო დიდი მასშტაბით ეხდათ. გერმანელ ხალხებს, რომელნიც რომაული პროვინციების ბატონები გახდენ, ეს დაპყრობილი პროვინციები ორგანიზაციულად უნდა მოეწესრიგებიათ. მაგრამ შეუძლებელი იყო როგორც რომაელთა მასების მიღება გვაროვნულ ორგანოებში, ისე მათზე გაბატონება ამ უკანასკნელთა შემწეობით. იმ ადგილობრივი რომაული თვითმართველობის ორგანოების სათაეში, რომელიც თავდაპირველად, უმეტეს ნაწილად, შენარჩუნებულ იქნა, რომის სახელმწიფოს შემცვლელი ძალა უნდა ჩამდგარიყო. ეს კი შეიძლებოდა მხოლოდ სხვა სახელმწიფო ყოფილიყო. ამგვარად, გვაროვნული წესწყობილების ორგანოები სახელმწიფოებრივ ორგანოებად უნდა გადაქცეულიყო და ეს რაც შეიძლება ჩქარა უნდა მომხდარიყო მდგომარეობის კარნახით. დამპყრობელი ხალხის უახლოესი წარმომადგენელი მხედართმთავარი იყო. დაპყრობილი ტერიტორიის უზრუნველყოფა შიგნით და გარეთ მისი ხელისუფლების გაძლიერებას მოითხოვდა. დაჰკრა ჟამმა, როცა მხედართმთავრობა მეფობად უნდა გადაქცეულიყო. ეს ცვლილებაც მოხდა (გვ. 180-181).

(*სოსელია*: იცით თუ არა, ვინ სარგებლობს ამ ადგილით ისე, როგორც თქვენ სარგებლობთ).

ჯანაშია: განვაგრძოთ. ეს, რა თქმა უნდა, ტიპიური შემთხვევა არ არის. ამბ. სოსელია მართალი არის, როდესაც ამბობს, რომ ტიპიური შემთხვევა არ არის, მაგრამ ამასვე ამბობს თვითონ ენგელსი, რომ ეს ტიპიური შემთხვევა არ არისო. ყოველთვის ჩვენ კონკრეტული მასალის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ.

როგორ არის ეხლა კონკრეტულ მაგალითებზე გაშლილი მსჯელობა?

დავიწყოთ პროფ. ჯავახიშვილიდან. ჯერ ერთი, პროფ. ჯავახიშვილი ფაქტიურ შეცთომებს უშვებს ამ ცნობის განმარტებისას. ასეთი შეცთომა შეიძლება ყოველთვის მოუვიდეს მეცნიერს, მაგრამ მე ამას იმისათვის ავღნიშნავ, რომ უჩვენო, რომ ამ ცნობაში არც ერთი ფაქტი არ შეიძლება დარჩეს გამოუკვლეველი. პროფ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ ცნობა, რომელსაც ის განიხილავს, ე. ი. სტრაბონის ცნობა, ეკუთვნის პირველ საუკუნის დამლევს ქრისტეს წინ, რომ თითქოს „სტრაბონის სიტყვით... ქონება იბერებს საერთო აქვთ საგვარეულოების და მიხედვით, რომელსაც საგვარეულოს უხუცესი წევრი განაგებს". ამ ცნობის განხილვისას ავტორი არ უწევს ანგარიშს მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხს სტრაბონის ცნობის შედგენილობისა და წარმოშობის შესახებ. ამ შეცთომებს იმეორებს და მათ საკუთარსაც უმატებს ამბ. სოსელია. იგი მაგ. ყველგან ამტკიცებს, რომ სტრაბონის ცნობა ეკუთვნის I ს. დასაწყისს ქ. შ.

ეს ცნობა არ შეიძლება ეკუთვნოდეს პირველი საუკუნის დასაწყისს ქრისტეს შემდეგ, იგი შეიძლება ეკუთვნოდეს ხანას არაუგვიანეს პირველი საუკუნის პირველი ნახევრისა ქრისტეს წინ, მაშასადამე, თითქმის მთელი ერთი საუკუნით ადრე, მაგრამ, გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ სტრაბონის შესახებ შემდეგიც: რომ ის არის კომპილიატორი, შემკრები, რომ ის ჰკრებს სხვა და სხვა მწერლების ცნობებს. ასე რომ, შესაძლებელია, მისი ცნობები იყოს უფრო ადრინდელიც, ამას უნდა განვხილვა. ჩვენ ვიცით, რომ ის სარგებლობს ეფორით (მესამე საუკუნის მწერალი ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდის), ჰეკატაიოსით (მე-6 საუკუნე ქრისტეს წინ), ჰეროდოტეთი (მე-5 საუკუნე ქრისტეს წინ) და სხვებით და, გარდა ამისა, იგი ყველგან არ ასახელებს თავის წყაროებს, თვითნებურად უკავშირებს ერთ ცნობას მეორე ცნობას. ასე რომ, შესაძ-

ლებელია, აღმოჩნდეს ერთ მშვენიერ დღეს, რომ არავითარი სელის წარმოება არ იყო კოლხეთში I ს-ში და რომ აქ ძველი ცნობის განმეორებაა. შესაძლებელია იყო, მაგრამ მე ვამბობ, რომ ამას უნდა კონკრეტული განხილვა.

ეხლა განვაგრძოთ. ამხ. სოსელიამ მიიღო პროფ. ჯავახიშვილის ეს შეხედულებები.

(*სოსელია*: ორაგეელიძემაც მიიღო, რატომ იმასაც არ ეკამათებით).

რას ამბობს ეხლა ამხ. სოსელია ამის შესახებ. ის ლაპარაკობს შემდეგს (*კითხულობს*): „ამგვარათ, ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისს ქართველებში გვაროვნული წყობილება ყოფილა", გვ. 13. „მართალია, აქ ჩვენ საქმე გვაქვს საგვარეულო წყობილების უმაღლეს საფეხურთან, როცა უკვე მომზადებულია ნიადაგი მისი დაშლისათვის, მაგრამ არც მონობის არსებობა, არც ქურუმების ცალკე გამოყოფა და არც არსებობა საზოგადოების ისეთი წრის, რომელიც „მეფეს სვამდა" (სტრაბონის ეს სიტყვები სულსხვაგვარად უნდა გავიგოთ, ამაზე ქვემოთ), არც ერთი ეს გარემოება სტრაბონის მიერ აწერილ პირობებში არაფერს ამბობს იმაზე, რომ საგვარეულო წყობილება ამ დროს საგრძნობლად შერყეული ყოფილიყოს (გვ. 11, ხაზი ჩემია. ს. ჯ.).

ამხ. სოსელიას სხვაგანაც მრავალ ადგილას აქვს გამოთქმული მოსაზრება, რომ პირველი საუკუნის დასაწყისს ქრისტეს შემდეგ საქართველოში არსებობს გვაროვნული წყობილება (მოიგონეთ, რამდენი ჟურადღება ექცეცა დათარილებას უმაღლეს ორგანოების მითითებებში). შემდეგ ის სვამს საკითხს, როდის დაიშალა იგი და როდის წარმოიშვა კლასები. რა თქმა უნდა, ეს საკითხი უნდა დაესვა, რადგანაც სამართლიანად სახელმწიფოს წარმოშობას ის უკავშირებს კლასების წარმოშობას, მაგრამ ვნახოთ, როგორ სწყვეტს კონკრეტულად ამ საკითხს. ამავე გვერდზე ამხ. სოსელია ამბობს (*კითხულობს*): „მაშასადამე, მე-5 ს. ქრ. შ. ქართველ ტომებში საგვარეულო წყობილება უკვე დაშლილი ყოფილა, ჩამოყალიბებულია ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასი"... (გვ. 13) „მე-5 საუკუნეში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, უკვე გვაქვს სრულიად ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობა. საგვარეულო წყობილებაც ამ დროს, ცხადია, უკვე დაშლილია" (იქვე, გვ. 62) და სხვ.

ერთი სიტყვით, ამხ. სოსელია ფიქრობს, რომ მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში უკვე ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობა არის. საინტერესოა ეხლა, როგორ მოხდა ეს პროცესი (*კითხულობს*):

უდავოა, რომ სოციალური უთანასწორობა ქართველებში ჩამოყალიბდა 1-4 ს.ს.-ში. აშკარაა, ამ პერიოდში ქართველები რაღაც განსაკუთრებულ პირობებში უნდა ყოფილიყვნენ, რაკი მოხდა მათი სოციალურ წყობილებაში ასეთი დიდი გარდატეხა.

რა იყო ეს პირობები?

როგორც ვიცით, ამ დროს (65 წ.-დან ქრ. წ.) ქართველები რომაელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მაშ, შესაძლებელია, რომ სოციალური უთანასწორობაც რომაელების უშუალო გავლენით, ჩარევით წარმოიშვა. „რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც რომაელებმა საქართველოს თავისი შეგობრობა ძალად დააკისრეს, ადგილობრივი სახელმწიფო წესწყობილება დაუსტიეებელი სტუმრების ძლიერი გავლენის ქვეშ შეიძლებოდა შელახულიყო... მაგრამ ძველი წესი მაინც ძლიერი იყო"-ო, ამბობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართ. ერის ისტორიაში"-ში. ვფიქრობთ, უკანასკნელში ისტორიკოსი მართალია. უცხო გავლენას, რაც გინდ ძლიერი ყოფილიყო ის, არ შეეძლო უშუალოდ სოციალური წყობილების ძირიან-ფესვიანად შეცვლა, არ შეეძლო მოეხდინა ისეთი დიდი რევოლიუცია, როგორც ეს საგვარეულო წყობილების კლასობრივ საზოგადოებად შეცვლა არის. რომაელების ბატონობას შეეძლო, და ეს ასეც იყო, არაპირდაპირი გავლენა მოეხდინა ქართველების სოციალურ წყობილებაზე, აღებმიცემობის განვითარებით დააჩქარა ის პროცესი, რომელიც თავისთავად უნდა დაწყებულიყო.

სტრაბონის აღწერილობიდან ვიცით, რომ იმდროინდელი აღმოსავლეთი საქართველო მშვენიერი შენობებით, სავაჭ-

რო მოედნებით, გზებითა და ხიდებით ყოფილა მოფენილი, ალბათ ვაჭრობას უკვე ჰქონდა ადგილი. მაგრამ სტრაბონი ვაჭართა ცალკე წრეს არ ასახელებს. ეს იმიტომ, რომ ვაჭრობა ამ დროს გვარის ხელშია და არა ცალკე პირების ხელში (და არა იმიტომ, როს სტრაბონს ეს „გამორჩა", როგორც ამას პროფ. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს). რომაელებთან „დამეგობრების" შემდეგ ქართველებში ვაჭრობა, გასაგებია, ჩქარის ტემპით უნდა განვითარებულიყო. ალებ-მიცემობის განვითარებასთან ერთად უნდა განვითარებულიყო ხელოსნობაც, მესაქონლეობაც და მიწის დამუშავების ტექნიკაც. ყველაფერს ამას უნდა მოჰყოლოდა, ერთის მხრივ, ქონების დაგროვება გვარში, მეორე მხრივ, შრომის საზოგადოებრივი განაწილება (გვარში შრომის პირვანდელი ბუნებრივი განაწილების ნაცვლად). ეს უკანასკნელნი კი თავისთავად ხელს შეუწყობდენ გვარში ცალკე წევრთა შორის ქონებრივი განსხვავების გაჩენას.

მაგრამ ქართველ ტომებში სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია განსაკუთრებით ერთმა გარემოებამ. მესამე საუკუნიდან საქართველოში ვაჭრობა ეცემა. მიზეზი — რომის გავლენის შესუსტება და სპარსეთის გავლენის გაძლიერება" (იქვე, გვ. 26-27).

ეხლა საინტერესოა შემდეგი გარემოება: მესამე საუკუნიდან საქართველოში ვაჭრობა ეცემა. მიზეზი — რომის გავლენის შესუსტება და სპარსეთის გავლენის გაძლიერება (*კითხულობს*):

„რაკი უკანასკნელი მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს აღარ წარმოადგენს, ქართველებს შთავარი ყურადღება მეურნეობის სხვა დარგისათვის უნდა მიექციათ. ასეთი დარგი მიწათმოქმედება იყო. უკანასკნელზე, როგორც მეურნეობის უმთავრეს დარგზე, გადასვლას უნდა მოჰყოლოდა მთელი რიგი შედეგებისა: თუ მანამდის ყოველი ქართველი ერთსა და იმავე დროს მეურნეც იყო და მხედარიც, ახლა ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია გაგრძელდეს, ვინაიდან იგი მეტად საზიანოა მეურნეობისათვის. მიწათმოქმედი ვერ დაშორდება თავის მეურნეობას. ამიტომ ქვეყნის დაცვის საქმისათვის, ქვეყნის „პატრონობისათვის" უნდა გამოყოფილიყო ცალკე წრე, მხედართა წრე. უკანასკნელთ, რამდენად ისინი საზოგადოებრივ საჭირო ფუნქციას ასრულებენ, გვარი ინახავს. მხედრობა თანდათან სპეციალურ, არა ყველასათვის ხელმისაწვდომ ხელობად იქცევა. ბოლოს სამხედრო წრე წყვეტს გვართან ყოველგვარ სამეურნეო კავშირს, ის მხოლოდ ქვეყნის დამცველად ითვლება. ქვეყნის მიწა-წყლის „პატრონიც" მხოლოდ ეს წრეა. ამისათვის დანარჩენებისაგან ის „ბეგარას" ღებულობს.

ასე ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, მაღალი კლასი, კლასი „პატრონთა", ანუ „თავის უფალთა", რომელთაც აზნაურები ეწოდათ და, მეორე მხრივ, დაბალი კლასი, კლასი „მებეგრეთა", ან მიწის მუშათა, რომელთაც გლეხები ეწოდათ" (იქვე, გვ. 27).

ეხლა მესამე ფაქტი (*კითხულობს*):

აი, ამას ჰქვიან ისტორიული განმარტება. მესამე საუკუნემდე მთელი ქართველი ხალხი ვაჭრობს და მხოლოდ მესამე საუკუნის დამლევს სპარსელების გავლენით ვაჭრობას თავს ანებებს ქართველი ხალხი და მიწის დამუშავებაზე გადადის, მაგრამ რაზე იყო დამყარებული ეს წინანდელი გრანდიოზული ვაჭრობა, რომელიც მთელ ქართველ ხალხს არჩენდა. რა იყო საქონელი, რომელიც ბაზარზე გაჰქონდათ და როგორ სწყვეტს ამ საკითხს ამხ. სოსელია. ასახელებს იგი თუნდაც ერთ ფაქტს, რომ ასეთი ვაჭრობა მართლაც იყო საქართველოში? არც ერთ ფაქტს არ ასახელებს. აი, ეს არის სწორედ ის აბსტრაქტული მსჯელობა და „სოციოლოგიზაცია", რომლის შესახებ უმაღლეს ორგანოების დადგენილებაში არის ნათქვამი (*დარგში მოძრაობა, სიცილი*).

ეხლა შემდეგი. ამხ. სოსელია ამბობს: მესამე საუკუნიდან ვაჭრობა ეცემა, მაგრამ ფაქტები არ მოჰყავს, ასე უნდა დაუჯეროთ. ჩვენ კი ვიცით, რომ 298 წელს დაიდო ნიზიბინის ზავი, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა ის უღელი, რომელიც ედო საქართველოს რომის იმპერიისაგან. მხოლოდ მეოთხე საუკუნის მე-60 წლებიდან მოყოლებული აღმოსავლეთ საქართ-

ველოში იწყება რომის გაელენის შესუსტება, მაგრამ მომდევნო წლებში რომმა ისევ აღადგინა თავისი გავლენა. აი, მეორე ნიმუში იმისი, თუ როგორი მსხვილი ქრონოლოგიური შეცთომა არის დაშვებული და ამას, რა თქმა უნდა, მარტო ქრონოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს.

ეხლა მესამე ფაქტი (*კითხულობს*):

„დაახლოვებით ასეთი მდგომარეობა უნდა გაგრძელებულიყო იბერიაში სტრაბონის შემდეგაც, მაგრამ მე-5 საუკუნეში, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, უკვე გვაქვს სრულიად ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობა. საგვარეულო წყობილებაც ამ დროს, ცხადია, უკვე დაშლილია. საინტერესოა, რომ ეს ის ხანაა, როდესაც, ისტორიკოსების აზრით, იბერიაში უქმდება „საგვარეულო წყობილებაზე დამყარებული მეფის უფლება“. მემატიანეს ცნობაში, რომლის განმეორებას აქ მოყვანილი ისტორიკოსების აზრი წარმოადგენს, ერთი რამ არის სწორად გაღმოცემული. დაახლოვებით ამ დროს საბოლოოდ ჯვარი უნდა დასმოდა იბერიაში საგვარეულო წყობილებას და ეკონომიურად გაბატონებულ კლასსაც თავისი ორგანიზაცია უნდა ჩამოეყალიბებია. ამის დამადასტურებელი საუცხოო ცნობები გვაქვს ისტორიიდან. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ამბობს: ამ დროიდან „ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთაო“. ქვეყნის პატრონად, მისი შინაური საქმეების გამგედ აზნაურები გამხდარან“ (იქვე, გვ. 62).

საიდან, ამბ სოსელია? ეს არის მე-5 საუკუნის ამბები, მეფობა კი გაუქმდა 50 წლის შემდეგ.

(*სოსელია*: რა მნიშვნელობა აქვს რამოდენიმე წლებს).

ამრიგად, შემატიანეს ცნობა „საგვარეულო წყობილებაზე დამყარებულ მეფის უფლების გაუქმების“ შესახებ ნიშნავს საგვარეულო წყობილების დაშლას, საგვარეულო ორგანოების გაუქმებასა და აზნაურების მიერ თავისი ხელისუფლების შექმნას.

მე-5-6 ს. ს. უკვე ჩამოყალიბებულია აზნაურთა მმართველობა-ბატონობის ორგანიზაცია“ (იქვე, გვ. 62).

მაშასადამე, სოსელიას თქმით, საქართველოში სახელმწიფო პირველად ჩნდება მე-5 საუკუნეში, ხოლო მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში არის ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობა. ჩამოყალიბებულ სოციალურ უთანასწორობას სახელმწიფო არ სჭირია, აი, ეს არის მარქსიზმი (*დარბაზში მოძრაობა, სიცილი*).

მე-5 საუკუნის მეორე ნახევარი თქვენ იცით რა ხანაა. ეს არის ვახტანგ გორგასალის მეფობის ხანა. ნუთუ ვინმე იტყვის, რომ ვახტანგ გორგასალი მეფე არ იყო.

ეხლა კიდევ ერთი მომენტი. უკანასკნელი ჩამოყალიბებული ფორმულა: მე-5 საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში ყალიბდება ფეოდალური წყობილება, მაშასადამე, არა მარტო სოციალური უთანასწორობა ჩამოყალიბდა, არამედ ფეოდალური წყობილებაც არის ჩამოყალიბებული.

(*კითხულობს ამბ. სოსელიას წიგნიდან*):

„ერთი სიტყვით, მე-5 საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში ყალიბდება ფეოდალური წყობილება. მთელი ტერიტორია განაწილებულია ერისმთავრებს შორის. თითოეული მათგანი სრული დამოუკიდებელი ბატონ-პატრონია თავისი სამფლობელოსი. არაბების ბატონობა, განსაკუთრებით მე-7 ს. უკანასკნელი წლებიდან, კიდევ უფრო ხელს უწყობს ამ წყობილების განმტკიცებას“ (იქვე, გვ. 65).

ეხლა სხვა შეხედულებები. როგორ ახასიათებს ამბ. სოსელია ცალკე ფორმაციებს, მაგალითად, გვაროვნულ წყობილების არსებით ნიშნებს (*კითხულობს*).

„როგორც ვიცით, საგვარეულოს წყობილების დამახასიათებელი ერთ ერთი არსებითი ნიშანი ცალკე გვარის განსაკუთრებული, ე. წ. საგვარეულო სახელწოდების არსებობაა. სწორედ უკანასკნელი ანიჭებს გვარის თითოეულ წევრს თავის გვარის უფლებას, გვაროვნულ ღირსებათვისებას“ (იქვე, გვ. 18).

განა ეს არის გვაროვნული წყობილების არსებითი ნიშანი? (*სოსელია*: არის, ჩემო ძმაო, არ იცი და რა ეკნა).

ეხლა რას წარმოადგენს ფეოდალიზმი (*კითხულობს*: „როგორც საისტორიო მასალებიდან ვრწმუნდებით, ძველად საქართველოში მნიშვნელობა ჰქონდა არა საგვარეულო ღირსებას, გვარიანობას თუ გვარიშვილობას, არამედ ადამიანის პირად თვისებებს (იქვე, გვ. 19).

როგორ ფიქრობთ, როდის იყო, რომ თურმე გვარსა და გვარისშვილობას

მნიშვნელობა არ ქონდა და პირად ღირსებას ქონდა მნიშვნელობა (*კითხულობს*):

„ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლევა ე. თაყაიშვილის „საქართ. სიძველენი", ტ. I, II და III. აქ მოყვანილ მრავალ ასეულ სიგელ-გუჯრებში ერთსაღ ვხვდებით: ესა თუ ის პირი მეფისაგან თუ რამე წყალობას ღებულობს, ეს მხოლოდ და მხოლოდ პირადი ღირსებისათვის, „ერთგული სამსახურისათვის", ომში სამსახურის გაწევისათვის. ყველგან ერთი და იგივე არის: „ერთგული", „თავდადებით", „მრავალფერად", „სამსახური" და მისი „სანუქფოდ" სხვადასხვა წყალობის ბოძება... გვარიანობაზე მითითებას არ ვხვდებით არც მეფის წყალობაში და არც მეფისადმი აჯაში (თხოვნაში) სულ უკანასკნელ დრომდის (მე-18-ს-დის)" (იქვე, გვ. 19-20).

მაშასადამე, ასე ყოფილა ქართ. ფეოდალიზმის ისტორიის მთელ სიგრძეზე.

აი, ამხ. სოსელიას ისტორია!

ამხ. კარლო შეეხო თავის მოხსენებაში პატრონყმობის საკითხს. სამართლიანად აღნიშნა, რომ განმარტება პატრონყმობისა, ჯავახიშვილის მიერ მოცემული, არ არის სწორი. როდესაც ჩვენი მონოგრაფია ამ საკითხის შესახებ გამოქვეყნდება, მაშინ, მე ვფიქრობ, ვნახავთ, რომ ეს საკითხი ჩვენ სრულიად სხვაგვარად უნდა გავიგოთ, მაგრამ აი, რა აზრისა არის ამხ. სოსელია პატრონყმობის შესახებ (*კითხულობს*):

„ჩვენი თვალსაზრისი მშვენივრად ხსნის აგრეთვე ქართველების სოციალურ ცხოვრებაში ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას — პატრონ-ყმობას. სამხედრო წრის ფუნქციას ქვეყნის დაცვა, მფარველობაა, ანუ, როგორც იტყოდენ, „პატრონობა" შეადგენს. აქ პატრონი ნიშნავს მფარველს. ამ საზოგადოებრივ ფუნქციისათვის ის გასამრჯელოს — ბეგარას — ღებულობს. დროთა განმავლობაში ქვეყნის „პატრონი"-მფარველი იქცევა ქვეყნის „პატრონად", მესაკუთრედ („პატრონი" აქ უკვე მესაკუთრეს ნიშნავს). მფარველი-პატრონი ხდება პატრონი-მესაკუთრე. ქვეყნის, მიწა-წყლის დასაკუთრების შემდეგ იგი თავის ბატონობას ავრცელებს ამ მიწა-წყლის ფაქტიურ მფლობელზე. უკანასკნელი მიემაგრება მიწას. პატრონყმობა იქცევა ბატონ-ყმობად" (იქვე, გვ. 29-30).

ეხლა უნდა მოგახსენოთ, რომ პატრონყმობა მართლაც ჩამოყალიბებულ სახეს იღებს მე-11-12-13 საუკუნეში, ე. ი. იმ ხანაში, რომელსაც ვთვლით ქართული ფეოდალიზმის კლასიკურ ხანად. პროფ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ პატრონყმობა არის ფეოდალიზმი, რამდენად ეს სწორია, ამის შესახებ ვილაპარაკებთ შემდეგ. რა ყოფილა ეხლა ეს პატრონყმობა სოსელიას აზრით (*კითხულობს*):

„ამიტომ ქვეყნის დაცვის საქმისათვის, ქვეყნის „პატრონობისათვის" უნდა გამოყოფილიყო ცალკე წრე, მხედართა წრე. უკანასკნელთ, რამდენად ისინი საზოგადოებრივ საჭირო ფუნქციას ასრულებენ, გვარი ინახავს. მხედრობა თანდათან სპეციალურ, არა ყველასათვის ხელმისაწვდომ ხელობად იქცევა. ბოლოს სამხედრო წრე წყვეტს გვართან ყოველგვარ სამეურნეო კავშირს, ის მხოლოდ ქვეყნის დამცველად ითვლება. ქვეყნის მიწა წყლის „პატრონიც" მხოლოდ ეს წრეა. ამისათვის დანარჩენებისაგან ის „ბეგარას" ღებულობს.

ასე ჩამოყალიბდა, ერთის მხრივ, მაღალი კლასი, კლასი „პატრონთა, ანუ „თავის უფალთა", რომელთაც აზნაურები ეწოდათ და, მეორე მხრივ, დაბალი კლასი, კლასი „მებეგრეთა", ან მიწის მუშათა, რომელთაც გლეხები ეწოდათ" (იქვე, გვ. 27).

აი, ამხ. კარლო, რა აზრის არის ამხ. სოსელია ამის შესახებ (*სიცილი*). აი, ეს არის განმარტება ფეოდალიზმისა.

ეხლა კიდევ ფეოდალიზმის დამახასიათებელ თვისებაზე (*კითხულობს*): „უკვე მე-8 საუკ. აშკარად ჩანს ფეოდალური სისტემის დამახასიათებელი მთავარი თვისება: ცალკე სამთავროთა ბატონები იბრძვიან ერთმანეთზე გაბატონებისათვის (იქვე, გვ. 65).

მაშასადამე, როცა ისინი არ ებრძვიან ერთმანეთის გაბატონებისათვის, მაშინ არა გვაქვს ფეოდალიზმი.

აი, ასე ამხანაგებო. ამ განმარტებებს ჩვენ ვერ მივიღებთ. მე კიდევ ვიმეორებ, რომ სოსელიას მიუძღვის გარკვეული

დამსახურება, მაგრამ არ არის სამართლიანი, როდესაც ის მოითხოვს, რომ მისი თეორია მივიღოთ მთლიანად (*სოსელია*: რექტორის თეორია მიიღეთ, ჩემი იყოს).

რა იცით, იქნება მე და რექტორი შევთანხმდეთ და რექტორმა მიიღოს ჩემი თეორია.

ამხ. რექტორმა დააყენა ეს საკითხი მეთოდოლოგიურად. რა თქმა უნდა, სწორია, თუ ჩვენ მივიღებთ გვაროვნულ წყობილებას, იქ სახელმწიფოს ადგილი არა აქვს. თუ ჩვენ რაიმე ნიშნების მიხედვით დავადასტურებთ სახელმწიფოს არსებობას საქართველოში, მაშინ უნდა ვეძიოთ თვით იმ სოციალური პირობების გასაღები.

ამრიგად, მე ვფიქრობ, ამხანაგებო, ჩემი დაყენება საკითხისა მეთოდოლოგიურად არ არის მცდარი დაყენება. მე ვამბობ, რომ აქ ჩვენ გვაქვს სრულებით არა ის ხანა, რომელზედაც ლაპარაკია, რომ ეს არის ხანა არა უგვიანეს პირველი საუკუნის დამდეგის ქრისტიანულ წელთ აღრიცხვის წინ, რომ ჩვენ გვაქვს სრულიად განსაზღვრული უთანასწორობა და განსაზღვრული, თუმცა განუვითარებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. იყო კიდევ ერთი საბუთი, რომელიც ჩემს წინააღმდეგ იყო წამოყენებული, სახელდობრ, ამბობენ, თქვენ გინდათ გაახანგრძლივოთ საქართველოს ისტორია, შორიდან დაიწყოთ საქართველოში სახელმწიფოს არსებობა, შორს გადაიტანოთ ქართველი ხალხის წარსულიო. რა თქმა უნდა, ეს სწორი არ არის. ამაში აშკარად სჩანს ის ნიღილიზმი, რომლის შესახებ ამხ. კარლო ლაპარაკობდა და რომლის შესახებ მეც ორიოდე სიტყვა მოგახსენეთ. თუ ქართველი ხალხის ისტორია გრძელი იყო, ამაში სამარცხვინო არაფერია, ეს იმ ხალხის ისტორია არის, რომელმაც კაცობრიობას ამხ. სტალინი მისცა (*ტაში*).

ამხანაგებო, მე ვიმეორებ, ჩემი თავი შეუცთომლათ არ მიმაჩნია. ჩემმა ამხანაგებმა, სტუდენტებმა, მსმენელებმა იციან, როგორი ყურადღებით უსმენ მათ შენიშვნებს. მე ხშირად ისეთი შენიშვნები გამიგონია მათგან, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში არ დამეწყვია. მაგ. ამხ. მესხიამ მომცა სამი წლის წინათ მნიშვნელოვანი შენიშვნა. ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო, რომ ვახერხებდი ჩემს აუდიტორიაში კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციას. ამიტომ, რა თქმა უნდა, ამხ. სოსელია და სხვა ამხანაგებიც შესძლებენ ჩემს ნაშრომებში შეცთომების აღნიშვნას და ამ შეცთომებს სიამოვნებით მოვისმენ, მაგრამ არა იმ ფორმით, როგორც დღემდე კეთდებოდა. ეს საჭირო არ არის.

ერთი მომენტი კიდევ. მიუხედავათ იმისა, რომ დიდი წარმოდგენის არა ვარ იმ მუშაობის შესახებ, რომელიც დღემდე ჩავატარე, მაინც ერთი რამ უნდა ვთქვა, რომ ჩვენ თავიდანვე საკმაოთ სწორი გეზი აგვიღია. მე უნდა წავიკითხო აქ ერთი ადგილი ჩემი განაკვეთების პირველ წიგნში, რომელიც დაწერილია 1931 წელს. თავშივე მე ვცადე მომეცა ჩემი მსოფლმხედველობა, ე. ი. ეს ჩემი მსოფლმხედველობა კი არ არის, არამედ ეს არის მარქსიზმი, რომლის ნიადაგზე მე უყოყმანოდ ვიდექი და ვდგევარ. აი, რა მაქვს მე აქ ნათქვამი (*კითხულობს*):

„საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესი ისეთივე ობიექტურ ხასიათის პროცესია, როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, მაგრამ თვითეულ მათგანს საკუთარი კანონზომიერებანი ახასიათებენ, რომელთა შორისაც ერთიანობა არსებობს და არა იგიეობა... ჩვენი წინამდებარე ამოცანის (იგულისხმება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა, ს. ჯ.) განხორციელების პროცესში ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს, რომ სინამდვილესთან მკაცრ შესატყვისობის დაცვით, თვითეულ მოვლენას მივუდგეთ ისტორიულად, განვიხილოთ ეს მოვლენა განვითარებაში, მის მამოძრავებელ შინაგან წინააღმდეგობათა წარმოჩენით, შევისწავლოთ იგი ყოველმხრივ და გავითვალისწინოთ მისი ყველა კავშირი გარესამყაროსთან. ყოველთვის გვახსოვდეს, რას მოითხოვდა ენგელსი მატერიალისტ ისტორიკოსისაგან (ს. ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ქართულ ტომებში, ტფ., 1932 წ., გვ. 3-8, დაუსწრებ. პედ. ინსტ. გამოც.). შემდეგ მოყვანილია შესანიშნავი ციტატა ენგელსიდან გერმანელ ცრუ მატერიალისტების შესახებ.

შეიძლება მე ვცდებოდე, მაგრამ მგონია, რომ ის შეხედულება, რომელიც აქ არის გამოთქმული, ეთანხმება იმ მითითებებს, რომლებიც მოცემულია ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ და მე დღეს შემიძლია ეს პროგრამა ჩემ სამუშაო პროგრამად მივიჩნიო.

ვთავაზობ, ამხანაგებო, მე მინდა ერთი რამ ავღნიშნო. არ არის მაინც ისე ცუდად საქმე საქართველოს ისტორიაში. ამის თქმა ჩვენ ეხლა თამამად შეგვიძლია, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ის ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მთელს მსოფლიოში დადის და რომელსაც მილიონები კითხულობს. მე მოგახსენებთ ამხ. ბერიას ისტორიულ მოხსენებაზე (*ტაში*), რომელიც შეეხება საქართველოს და ა/კ. ისტორიის ერთ პერიოდს. მე ვამბობ, ამხანაგებო, რომ არ არის საქმე სრულიად უიმედოთ; ამის თავდებია ის, რომ დღესაც ჩვენს მუშაობას, კერძოთ, ამ სფეროშიც ხელმძღვანელობს იგივე ამხ. ლ. ბერია, რომელმაც ისტორიაში ასეთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და რომელიც ისტორიის საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს, რომელიც უდიდეს ყურადღებას აქცევს ისტორიული კვლევის ორგანიზაციას. ამის თავდებია ისიც, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ამხ. ბერიას მითითების საფუძველზე ასევე დიდ ყურადღებას აქცევს საისტორიო კვლევის საქმეს და მის პედაგოგიურ დაყენების საქმეს (*ბანგრძლივი ტაში*).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, ეხლა უკვე 12 საათია, სხდომა და კამათი გადადებულია 28 მარტისათვის. სხდომა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

[მესამე სხდომა
1936 წლის 28 მარტი]

დოც. გოზალიშვილი: ჩვენი დისკუსიის მეცნიერულ-მეთოდოლოგიურსა და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე აქ უკვე საკმაოდ ითქვა და მასზე სიტყვის გაგრძელება ტაეტოლოგია იქნებოდა. მე მინდა მხოლოდ რამოდენიმე საკითხზე მოკლედ და არსებითად მოგახსენოთ.

აქ ნიჰილიზმზე ილაპარაკეს. მე შორსა ვარ საქართველოს წარსულის იდეალიზაციისა და გლორიფიკაციისაგან, მაგრამ ამდენადვე შორსა ვარ ამ წარსულისადმი ნიჰილისტურად განწყობილებისაგანაც.

ბერჟეს ერთ თავის წერილში, რომელიც ქართველთა მოძულეობისა და ქართველი ხალხის არარაობად აღიარების ცდის ნიმუშია, სხვათა შორის, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგის დახასიათებაში ნათქვამი აქვს, რომ გიორგი მეფე იყო ის, რის წარმოშობაც ბაგრატიონთა დაძაბუნებულ დინასტიას შეეძლო. იგი ამით იმის დასაბუთებასა ცდილობს, რომ ქართველი ხალხი მეცხრამეტე საუკუნის განთიადზე უფსკრულის პირად იყო მისული და მხოლოდ რუსეთის ცარიზმის მშობლიურმა მზრუნველობამ იგი დაღუპვისაგან იხსნა.

ბერჟე საქართველოში ბაგრატიონთა მართლა დაძაბუნებული დინასტიის მეტს ვერავის ხედავდა. მან ვერ შეამჩნია, რომ ამ სამარისკენ მიმავალი დინასტიის გვერდით არსებობდა ქართველი ხალხი, რომელსაც უნდა მოეცა, და ეს არც დაყოვნებულა, თავისი ცხოვრების ახალი ხელმძღვანელნი და წინამძღოლნი.

მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ერის ისტორიის იმ თვალსაზრისით განხილვა, თუ როგორ და რა გზით მიმდინარეობდა ძველი მეფეთა დინასტიის ისტორიისათვის ჩაბარება და მათ ადგილას ხალხის (ერის) ახალი მეთაურების გამოჩენა, ამასთანავე, გარკვეულ ეკონომიურ და სოციალურ ვითარებათა ნიადაგზე ამ მეთაურთა სოციალური ფიზიონომიის თანდათან ცვლილების აღნუსხვა, ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემდა, ამოგვეცნო ის ხარვეზი, რომელიც მასში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჯერ არ ვიცით: „ცარიზმის მიერ დაჩაგრობილ რუსეთის ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირობები და სათავეები და ამ რიგად, ოქტომბრის რევოლიუცია, როგორც რევოლიუცია, რომელმაც ეს ხალხები ნაციონალურ ჩაგვრისაგან გაანთავისუფლა, დაუსაბუთებელი რჩება“.[30]

აღნიშნული თვალსაზრისით, საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი განეკუთვნება ამ

[30] „კომუნისტი“, 1936 წ.

მოვლენას, რომელსაც 1832 წლის შეთქმულება ეწოდება და იმ ადამიანებს, რომელთა სახელებიც ამ მოვლენასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე, ფ. კიკნაძე, რომელიც მისდამუნებულ მოწყობილი მისი ცხოვრების პირობების გამო იძულებულია, ავკანყების სურვილით აღტყინებული, ბერის ფლასებში გამოეხვიოს.

დიახ, ბაგრატიონთა დინასტიას გიორგი მეფეზე მეტის წარმოშობა არ შეეძლო, მაგრამ ქართველი ხალხის იმ ძირითადმა ფენამ, გლეხობა რომ ეწოდება, რუსეთის იმპერიას სოლომონ დოდაშვილის სახით მისცა ის ადამიანი, რომელმაც ამ იმპერიაში ფილოსოფიურ მეცნიერებას დასაბამი დაუდვა. მან რუსეთში პირველმა რუსულ ენაზე ფილოსოფიური თხზულებები დასწერა.

თუ მე-19-ე საუკუნის დასაწყისში ქართველმა გლეხობამ ჭიზიყის უმნიშვნელო სოფლიდან რუსეთის იმპერიის მეცნიერების ერთი მეთაურთაგანი წარმოშვა, მე-19-ე საუკუნის დასასრულს ახალი ეკონომიური და სოციალური მოვლენების შედეგად ცხოვრების ასპარეზზე წინ წამოწეულმა მოსახლეობის ახალმა ელემენტმა — საქართველოს მუშათა კლასმა — საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიო პროლეტარიატის სწორუპოვარი ბელადი ამხ. სტალინი აღზარდა.

დოდაშვილიდან სტალინამდე ქართველი ერის მიერ განვლილი ცხოვრების გათვალისწინება იმ ცხოვრებისა და პირობების თვალის გადავლება იქნებოდა, რომელმაც ქართველი ხალხი ბაგრატიონთა დინასტიის დასამარებიდან ოქტომბრის რევოლიუციამდე მიიყვანა.

მე-19-ე საუკუნეში ქართული შემოქმედებითი პოტენციის კერა გლეხობისა და მუშათა კლასის ფენებში ღვიოდა.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ საქართველოს წარსულისადმი ნიჰილისტურად განწყობილების შედეგია, აგრეთვე, ის გარემოება, რომ საქართველოს სხვა ქვეყნებთან — სპარსეთთან, რომთან, ბიზანტიასთან და სხვებთან ურთიერთობაში საქართველო ყოველთვის რაღაც მაჩანჩალად წარმოედგინათ, რომელიც თითქოს ყოველთვის სხვის ხელში შემხედვარი იყო, სულ სხვისგან მოპქონდა და თვითონ კი არაფრის მიწოდება არ შეეძლო შემოქმედების დარგში. ეს შეხედულებაც უმართებულოა და სასტიკ კრიტიკას საჭიროებს.

ამის შემდეგ განა სასაცილო და ჩვენთვის სამარცხვინოც არ არის, რომ ამხ. ზაქ. რამიშვილი, ეხება რა ჩემს მიერ გამოკვლეულ და გამოქვეყნებულ, ცარიზმის მიერ ცხრაკლიტულში დამალული 1832 წლის შეთქმულების მასალების გამოცემას, ამბობს, რომ ამ მასალების გამოცემა სრულიად ზედმეტია და უმჯობესია ზემოხსენებულ ბერჟეს თავმჯდომარეობით გამოქვეყნებულ ამ მოვლენის შესახებ, ჟანდარმერიის შეფის ბენკენდორფის კარნახით სრულიად ტენდენციურად შერჩეულ და დამახინჯებულ მასალებს დაუკეროთო.

პროფ. კ. ორაგველიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა ჩვენთვის საღი აკადემიური კრიტიკის საჭიროება. ამ საქმეს დროზე უნდა ეშველოს. დროა, ბოლო მოეღოს ისეთ პირობებს, როდესაც კალმით ბოროტმოქმედებს საშუალება ეძლევათ კრიტიკის ნიღაბ ქვეშ ბნელ საქმეებს ემსახურონ და შრომა გადახდილი მუშაკი იძულებულია, ყველაფერი ეს აიტანოს, რადგან ე. წ. „კრიტიკაზე" პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ არსებობს.

დისკუსიის დროს აღძრულ სხვა მრავალ საკითხზე, რომელთა შესახებაც ისტორიის დარგის მუშაკებს არა ერთი სერიოზული საუბრისა და მსჯელობის გამართვა მოუხდებათ, მე აქ აღარ მოგახსენებთ. მე მხოლოდ მინდა ერთი საკითხი წამოვაყენო, რომელიც, თუ არა ვცდები, დისკუსიაში გვერდაუვლელი დარჩა. მე მინდა შევეხო საქართველოს ისტორიის შესასწავლად ერთ ერთ მნიშვნელოვან და სასარგებლო უბანს, რომელიც კვლევითი მუშაობის დროს სრულიად დაუმსახურებლად ჩრდილში რჩება და სათანადოდ არ არის გამოყენებული.

მე ვლაპარაკობ მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლასა და გამოყენებაზე.

მართალია, აქ ასპ. აბ. კიკვიძემ გაკვრით ახსენა, რომ არ არსებობს საქართველოს არქეოლოგია, რომლის გამოყენებაც მას საჭიროდ მიაჩნია და ეს შეგნება მას

საქმრად უნდა ჩაეთვალოს, მაგრამ საკითხი ამით როდი შეიძლება ამოიწუროს. საქართველოს უძველესი ისტორიის შესასწავლად ერთ ერთ აუცილებელსა და თვალსაჩინო წყაროს მატერიალური კულტურის ძეგლები შეადგენს.

ლიტერატურული წყაროების ავტორებისა და დაწერის თარიღის ზუსტად დადგენა ყოველთვის არ ხერხდება, უამისოდ კი ამ წყაროთი სარგებლობა სახიფათოა და მრავალი გაუგებრობის წარმოშობა შეუძლიან. ამასთანავე, ლიტ. წყარო ხშირად მისი ავტორის სუბიექტივობასა და მიდგომილობას არ არის მოკლებული, ხოლო უფრო ხშირად კი გარკვეული ტენდენციურობის გამომხატველია, მაშინ როდესაც მატერიალური კულტურის ძეგლები მათი კარგი შემსწავლელის ხელში არასოდეს არ სცრუობენ. თუ ლიტერატურული ძეგლის სხვა და სხვა ნაირი გრამატიკულ სტილისტური განმარტების ნიადაგზე სულ სხვადასხვა ნაირი დასკვნებისა და ვითარების ამოკითხვა შეიძლება, მატერიალური ძეგლი ასეთ რყევას სავსებით გამოჰრიცხავს. მატერიალურ ძეგლს მხოლოდ ერთი ენით ლაპარაკი შეუძლიან. რამდენადაც საქართველოს ძველი ისტორიისათვის წერილობითი წყაროების სიმცირისა და მათი სხვა და სხვა ნაირად გაგების შესაძლებლობის წინაშე ვდგევართ, ამდენად, მეტი ყურადღება უნდა მატერიალური ძეგლების მოპოვებას მივაპყროთ.

მაგრამ არსებობს კი შესაძლებლობა ასეთი ძეგლების მოპოვებისა, გვეგულება საქართველოში სადმე ისეთი ადგილები, სადაც მათ აღმოჩენას უნდა მოველოდეთ.

საქართველოს მიმართ ამგვარი კითხვა სრულიად უადგილო იქნებოდა. პირიქით, ჩვენ შეგვიძლიან დარწმუნებით ვთქვათ, რომ საქართველოში არ გვეგულება არც ერთი ისეთი ადგილი, რომელიც ამგვარი ძეგლებით სავსე არ იყოს. საქართველოს თვითეული კუთხე ამ მხრივ უხვსა და საინტერესო მასალას იძლევა... მაგრამ თვითკრიტიკის წესით უნდა ითქვას, რომ ის, რაც ოცეული საუკუნეების მანძილზე ცხოვრების ორომტრიალს გადარჩენია, ჩვენს, ამ ნივთთა დასაცავად და შესასწავლად მიწოდებულთა წინაშე, ჩვენივე დაუშვებელი გულგრილობის გამო უწყალოდ ნაგვურდება და მეცნიერებას აუნაზღაურებელი ზიანი ადგება.

თვითეული სიძველის მოსპობა წარსულის მატიანედან თვითეული ფურცლის ამოგლეჯას უდრის, რომლის აღდგენა აღარავითარ ძალას არ შეუძლიან.

აუცილებლად საჭიროა ისტორიის ამ უბანსაც მივხედოთ.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ ძეგლებს, როგორც სასტორიო მასალის გამოყენებას საქართველოს სინამდვილეში, ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ.

ამ რამოდენიმე წლის წინად სპეციალური ექსპედიცია ნოქალაქევში (სამეგრელოშია) არქეოლოგიურ გათხრას აწარმოებდა. სხვათაშორის, ნოქალაქევს სამი სხვა და სხვა დროის კედელი აქვს შემოვლებული. ყველაზე უძველესი კედელი ექსპედიციის მონაწილე გერმანული მხარის მიერ მესამე საუკუნეში აგებულად, ხოლო ქართველი მხარის მიერ უფრო ადრინდელად იქნა აღიარებული.

ამ კედლის პარალელურად მოიპოვება მე-VI-ე საუკუნის კედელი, რომელიც ბიზანტიასა და სპარსეთის შორის ლაზიკასა და იბერიაში გაბატონებისათვის წარმოებული საუკუნოვანი ომის დროს არის აშენებული. ბუნებრივად წამოიჭრა კითხვა, თუ რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ის ძველი კედელი მაშინ, როცა ეს მეორე კედელი შენდებოდა, ე. ი. იყო იგი მთლად დანგრეული, რომელსაც თავისი ფუნქციის შესრულება აღარ შეეძლო, რამაც ალბად საჭირო გაჰხადა მეორე კედლის აგება, თუ ამ მეორე კედლის საჭიროება სხვა რამ საჭიროებამ გამოიწვია. ამ კითხვის გადაწყვეტაში რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი იგულისხმება და ერთი დიდი მოვლენის ახსნაც არის ჩამარხული.

თუ გამოირკვეოდა, რომ ძველი კედელი მე-VI-ე საუკუნეში თავისი ფუნქციის შესრულებას განაგრძობდა, ჩვენ ამის შემდეგ გვეცოდინებოდა, რომ 2-6 საუკუნეებში ისეთი დიდი ცენტრი, როგორიც იყო არხაიოპოლის ნოქალაქევი, ფეხზე მდგარა და ამ კუთხის ცხოვრებას თავის არსებაში ასე თუ ისე გამოავლენდა.

ექსპედიციის ქართველი მხარისთვის ამგვარი შესაძლებლობა გამორიცხული არ იყო, გერმანული მხარე კი ამას არ ეთანხმებოდა.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი დავის გადაწყვეტა ერთი თავისთავად პატარა ამბის საშუალებით მოხერხდა. იმ ძველი კედლის ერთ ერთ კოშკში, რომელიც რამოდენიმე მეტრის სიღრმეზე მიწით იყო დაფარული, ექსპედიციამ იპოვა 23 ცალი ბიზანტიური ოქროს ფული, რითაც უდავოდ დამტკიცდა, რომ მე VI ს-ში ეს შენობა გამოყენებული ყოფილა. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს, კოლხეთის ისტორიაში ფრიად საინტერესო მომენტები ვეძიოთ. კოლხეთის ისტორიის მკვლევარმა ამ მოვლენას ანგარიში უნდა გაუწიოს.

ამაზე მეტის თქმაც შეიძლება.

1932-34 წ. ზაფხულში არქეოლოგიური გათხრა სწარმოებდა კახეთის ცნობილ პუნქტში, იყალთოში. ითხრებოდა ძველი სამარხები, იქ აღმოჩენილი ნივთები, ისეთი ავტორიტეტული მეცნიერის აზრით, როგორც არის აკადემიკოსი ივანე ივანეს ძე მეშჩანინოვი, ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველ ათასეულს მიეკუთვნება. ამ თარიღის ზუსტად განსაზღვრაც შეიძლება და, მაშასადამე, აღმოჩენილი ნივთების, როგორც გარკვეული ეპოქის უტყუარი საისტორიო მასალის, გამოყენებაც შესაძლებელი ხდება. ეს მასალა ჩვენ საშუალებას გვაძლევს იმ დროინდელი სოციალური და ეკონომიური მოვლენები თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ.

რომ ეს უფრო ნათელი გახდეს, ამ სამარხების საერთო სურათს გავაცნობთ.

თვითეულ სამარხში თითო ადამიანია დასაფლავებული. მიცვალებულს, ჩვეულებრივ, ირგვლივ შემოწყობილი აქვს მრავალი სხვა და სხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულების ორნამენტირებული ჭურჭელი, რომელშიაც მრავლად მოიპოვება შინაურ ცხოველთა: ძროხის, ცხვრის, კამეჩის და ფრინველების: ქათმის, მტრედის ძვლები. ხშირად კი ამ აღნიშნულთან ერთად ძროხისა და ცხვრის მთელი ჩონჩხებიც გვხვდება.

თუ რა იყო სითხისთვის დანიშნულ ჭურჭლებში, აგრეთვე იმაში, რომელშიც ძვლები არა ჩანს, ქიმიურმა ანალიზმა უნდა გამოარკვიოს, რისგანაც დიდ შედეგებს უნდა მოველოდეთ.

ამის გარდა, მიცვალებულს ჩვეულებრივ თან ახლავს ბრინჯაოს (და იშვიათად რკინისაც) სამკაულები და იარაღი.

ეს არის საერთო სურათი ერთი გარკვეული ხანის სამარხებისა. მაგრამ, რასაკვირველია, ყველა სამარხი აღნიშნულ ნივთებს ერთი და იმავე რაოდენობით არ იძლევა. სამარხთა ამ მონაცემების მიხედვით ქონებრივი გრადაციის გარკვეული სურათის გათვალისწინება შეიძლება.

ამგვარად, სამარხები იძლევა იმდროინდელი ცხოვრებისა და საზოგადოების ეკონომიური და სოციალური ვითარების თავის თავად უტყუ, მაგრამ მკვლევარისათვის ბევრი რამის მომთხრობელ ძვირფას მასალას.

ამასთანავე, ამავე იყალთოში მოიპოვება სხვა სამარხებიც, რომელთა ერთი წყება უკვე მოხსენებულ სამარხებს წინ უსწრებს, მეორე წყება კი ამ უკანასკნელის შემდგომ ხანას ეკუთვნის და ამ სამი სხვა და სხვა ხანის სამარხთა ინვენტარი სრულიად სხვა და სხვაა. მათი ერთი მეორესთან შედარებითი შესწავლით ამ ეპოქების და მათ მიერ განვლილი გზების, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სხვა და სხვა ეტაპების აღდგენა და გათვალისწინება სულ ადვილი ხდება.

ამას გარდა, ალაზნის ველის მთელ სიგრძეზე არა ერთი პუნქტი მოიპოვება, რომლის მიწის წიაღში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთებიც იყალთოს ნივთების სინქრონისტულია. ეს კი ჩვენ ამდროინდელ კახეთისა და, შეცთომა არ იქნებოდა გვეთქვა, მთელი იბერიის პოლიტიკურ და ეკონომიური ცხოვრების შესწავლისათვის ფრიად საინტერესო და აუცილებელ მასალას გვაწვდის.

ყველა აღნიშნულის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენ ამიერიდან ისეთი საისტორიო მასალის უგულებელყოფა, როგორიც მატერიალური ძეგლებია, არ გვეპატიება და საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევარისთვის მისი გამოყენება სავალდებულო უნდა იყოს. ეს კი აყენებს კითხვას ამ ძეგლებისადმი ყურადღებისა და მზრუნველობის გამახვილებისა, მათი მოპოვებისა და დამუშავება-გამოყენების შესახებ.

დასასრულ არ შემიძლიან გულწრფელად არ მივესალმო ამხ. ს. ჯანაშიას განცხადებას ჩვენს მეცნიერ მუშაკთა შორის გათიშვისა და ერთი მეორის უგულებელყოფის ცუდი ტრადიციის აღმოფხვრის შესახებ. სასურველია, ამ განცხადების უმოკლეს ხანში განხორციელება, რადგან ეს საზღვარს დაუდებს ჩვენი ისედაც მცირე მეცნიერული ძალების დაქვაქსულობას და ჩვენს მუშაკებს მათთვის საერთო საქმის ირგვლივ გააერთიანებს. ეს კი იქნება ერთ ერთი საამედო საწინდარი ჩვენს წინაშე საისტორიო ფრონტზე წაჩოჩქილი ამოცანებისა და სიძნელეების წარმატებით დაძლევისათვის.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის *ამხ. ჯანელიძეს.*

გ. ჯანელიძე: საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს დადგენილება სამოქალაქო ისტორიის შესახებ, რომელზედაც აქ ამხ. კ. ორაგველიძის საფუძვლიანი მოხსენება მოვისმინეთ, უდიდესი ისტორიული დოკუმენტია. ის ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენში, გამარჯვებულ პროლეტარიატის ქვეყანაში, ისტორიის შესწავლას იმ ამოცანების გადაჭრისათვის, რომლებიც კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის გზაზე გვხვდება. მისი დიდი მნიშვნელობა ნათლად სჩანს იქიდან, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა კომუნისტურმა პარტიამ და თავის უშუალო მონაწილეობით დიდმა სტალინმა (*ტაში*).

საბჭოთა კავშირის ხალხთა და, მათ შორის საქართველოს, ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური ისტორიის დაწერა ეს ჯერ კიდევ ასაღები ციხე-სიმაგრეა. ამ ციხე-სიმაგრის ასაღებად ჩვენს საბჭოთა მეცნიერებს ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია ამხ. სტალინის მეთაურობით და განა შეიძლება არსებობდეს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომელიც მან ვერ აიღოს. რა თქმა უნდა, არა. „ისეთი ციხე-სიმაგრე არ არსებობს, რომელიც ბოლშევიკებმა ვერ აიღონ“ (სტალინი). ისტორია სახალხო საქმეა, მის შესწავლაში მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მარტო პროფესიონალმა ისტორიკოსებმა, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, არამედ ყველა უაღრესად კვალიფიციურმა საზოგადოებათ მეცნიერების მუშაკებმა. ისტორიკოსების მუშაობაში ამ დახმარების გარეშე მოსალოდნელია შეცდომები და ზოგიერთ შემთხვევაში ჩავარდნებიც კი. ამიტომ სწორად იქცევიან, როცა ამ სხდომაზე გაცხოველებულ მონაწილეობას ღებულობენ მოხსენების გარშემო არა მარტო ისტორიკოსები, რომლებიც უშუალოდ ამ საგანს იკვლევენ და ასწავლიან, არამედ სხვა ამხანაგებიც. ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართალი, ისე როგორც სხვა მეცნიერებანი, მოვლენების გარკვევისათვის აუცილებლად საჭიროებენ მარქსისტულ-ლენინური მეთოდის მომარჯვებას. სხვანაირად საკითხი მეცნიერულად არ გადაიჭრება. თუ ისტორიკოსი წინააღმდეგია მარქსიზმის ან ვერ იმარჯვებს მარქსიზმის მეთოდს კვლევა-ძიებისათვის, გასაგებია, ჩვენ უფლება გვაქვს უთხრათ მას, რომ ის ვერ აკეთებს ხალხის ნამდვილი ისტორიის საქმეს. ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს. კ. ორაგველიძე სამართლიანად მოიქცა, როდესაც მან ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხები თავის მოხსენების ყურადღების ცენტრში დააყენა. ის შეეხო ჩვენ ისტორიკოსების მსოფლმხედველობას და მეთოდს, კერძოთ, პროფ. ი. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიას და აგრეთვე იმას, თუ როგორ არა სწორად აშუქებენ მის მეთოდოლოგიას ზოგიერთი სხვა ჩვენი ისტორიკოსები, მაგალითად, პროფ. გ. ნათაძე და სხვები.

მე ვფიქრობ, რომ კამათის მთავარი დანიშნულება არის, რომ მთელი სიღრმით გამოაშკარავოს საქართველოში პროფ. ი. ჯავახიშვილის სკოლის ბურჟუაზიულ ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის ბუნება, გამოამჟღავნოს ჩვენი სხვა ისტორიკოსების მუშაობაშიაც დეფექტები და დასახოს ამოცანები მომავალში სწორი მუშაობისათვის, საქართველოს ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური ისტორიის შექმნისათვის. ცხადია, ამ დიდ საქმის შესრულებას ბურჟუაზიულ პროფესორებს ვერ მივანდობთ, ჩვენი ისტორიის საკითხებზე

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ პროფესორების და, კერძოთ, პროფ. ი. ჯავახიშვილის მუშაობამ ვერ მოგვცა ნამდვილი „საქართველოს ისტორია“, სწორეთ ისეთი ისტორია, რომლის შინაარსს საგანგებულო წესწყობილების დანგრევის შემდეგ კლასთა ბრძოლა წარმოადგენს, ისტორიის, რომელიც რამოდენიმე ათასი წელი გრძელდება და მდიდარია ამ შინაარსით. ამის მიზეზი ის არის, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილი ერთგულად, თანმიმდევრობით დაადგა იმ გზას, რომლითაც მისი კლასი მიდიოდა. ის გაბატონებული კლასის ინტერესების გამომხატველი გახდა. მართალია, გაბატონებულ კლასმა არა ერთი და ორი გამოჩენილი რევოლუციონერი ისტორიკოსი მისცა პროლეტარიატს, მაგრამ მათ რიცხვში არ არის პროფ. ი. ჯავახიშვილი. ის, პირიქით, ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი კლასის.

კამათში გამოსულ ამხანაგებიდან, კერძოთ, ამხ. ს. ჯანაშიას და ბერძენიშვილის მიერ აღნიშნული იყო, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა არ არის მარქსისტული. ისინი მოითხოვენ მისი მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისება-გამოყენებას. მე ვფიქრობ, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილის საკითხი არ არის მარტო მემკვიდრეობის საკითხი. პროფ. ი. ჯავახიშვილი დღესაც მეცნიერულ მუშაობას ეწევა, ამიტომ ის ჯერ კიდევ აქტიური ძალაა, ის თავისი არა მარტო წარსულით, არამედ დღევანდელობითაც ანტიმარქსისტულ ბანაკს ეკუთვნის მეცნიერულ ფრონტზე, ამიტომ ამ მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო აქტუალური უნდა იყოს, ვინემ ფარგლები მემკვიდრეობის „კრიტიკულად“ ათვისება-გამოყენების.

ამხ. ს. ჯანაშია არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ივ. ჯავახიშვილის ისტორია იდეალისტურია, მიუღებელია. მას კონკრეტულ მაგალითებზე შეეძლო ეჩვენებია ჩვენთვის ი. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და მეთოდის მიუღებლობა, მისი არამეცნიერული ხასიათი, მისი იდეალისტური და ნაციონალისტური ხასიათი. მან მოკლედ აღნიშნა, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილი ნაციონალისტია. ეს არ არის საკმარისი. აქედან შეიძლება ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ: პროფ. ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიას“ რომ ნაციონალიზმი ჩამოვაცილოთ, ისტორიის დაწერის საკითხი ამით გადაწყვეტილი იქნება, სხვა მხრივ მისი ისტორია მისაღებია, მაშასადამე, მისაღებია მსოფლმხედველობაც ჯავახიშვილის. ეს არ არის სწორი. საჭიროა მისი მსოფლმხედველობის დახასიათება. მისი მეთოდის გამომჟღავნება და არა ნამდვილი მეცნიერული ხასიათის ჩვენება.

ამხ. ს. ჯანაშია ამ საკითხებზე საკმაოდ არ შეჩერდა, მან მთავარი ცეცხლი ამხ. გრ. სოსელიას დაუნთო და თავისი გამოსვლის მთავარი ნაწილი მას მოანდომა.

მე, რა თქმა უნდა, სრულიად არა ვარ წინააღმდეგი ამხ. სოსელიას შეცდომების კრიტიკის, ეს საჭიროა და აუცილებელიც, მაგრამ მთავარი დღეს ჩვენთვის პროფ. ი. ჯავახიშვილის და მისი სკოლის კრიტიკაა. ამ რგოლის ამოწევა მთელი ჯაჭვის ადგილიდან დაძვრას ნიშნავს. ამხ. ს. ჯანაშიას, რომელიც ი. ჯავახიშვილის სკოლას უსათუოთ სცილდება, სურს იყოს მარქსისტ-ლენინელი. ის არ არის თავისუფალი ი. ჯავახიშვილის გავლენისაგან და არც შეცდომებისაგან, ამიტომ საჭირო იყო მას თავის გამოსვლაში მეტი ყურადღება არა სოსელიას მიმართ, არამედ პროფ. ჯავახიშვილისაკენ მიემართა.

ამხ. ს. ჯანაშიას, როგორც ისტორიკოსს, შეეძლო ი. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის გაცნობის დროს ერთგვარი პარალელი გაევლო და შეედარებია იგი სხვა ბურჟუაზიულ ისტორიკოსებთან, მაგალითად, რუსეთის ისტორიკოსებთან, განა რუსეთში ცოტა იყო ისტორიკოსები, რომლებიც აიდეალებდენ ბატონყმობას (კარამზინი და სხვა). პროფ. ი. ჯავახიშვილისებური შეფასება ბატონყმობისა, ბატონისა და ყმის ურთიერთობისა, მარტო საქართველოში არ ხდებოდა. ასეთ შეფასებას ადგილი ჭონდა სხვა ისტორიკოსების მიერაც, ბურჟუაზიულ-ფეოდალურ მიმართულებათა მატარებელ ისტორიკოსების შორის. საჭირო იყო ერთგვა-

რი პარალელის გატარება და ჩვენება, რომ პროფ. ივ. ჯავახიშვილის შეხედულება არ წარმოადგენს ორიგინალურს. მისი აზრები არ არის ახალი ისტორიაში, არამედ ის ისევე მოიქცა, როგორც სხვა ქვეყნებში მოიქცნენ თავად-აზნაურობის ინტერესების დამცველნი. ამხ. ს. ჯანაშიას ამის ჩვენება, რა თქმა უნდა, შეეძლო. მას არ შეუძლია არ იცოდეს, თუ ნამდვილად როგორი დამოკიდებულება იყო თავადაზნაურობისა და გლეხობის შორის საქართველოში. ამიტომ საჭირო იყო ამ საკითხებშიც პროფ. ი. ჯავახიშვილის კონცეპციის კრიტიკა. ამას მოვითხოვთ ამხ. ს. ჯანაშიასაგან იმიტომ, რომ ის მსურველია ჩვენთან მოვიდეს და მოდის კიდეც. ის სამუდამოდ უნდა დადგეს მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ეხლა მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო პროფ. გ. ნათაძეს ერთ ნაშრომზე. ეს ნაშრომი მეთოდოლოგიური ხასიათისაა, სადაც პროფ. გ. ნათაძემ შემარიგებლური დამოკიდებულება გამოიჩინა პროფ. ი. ჯავახიშვილის მიმართ. ამ ნაშრომებზე შეჩერება მით უფრო აუცილებელია, რომ თავის გამოსვლებშიც აქ გ. ნათაძემ არაფერი თქვა თავის შეცდომების შესახებ, რაც, მე ვფიქრობ, საჭირო იყო.

პროფ. გ. ნათაძე დასავლეთ ისტორიის სპეციალისტია, მაგრამ მას აქვს შრომები საქართველოს ისტორიის საკითხებზედაც, მათ შორის, ჩვენი დასახელებული მიზნისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომი „საზოგადოებათ მცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები“, უნივერსიტეტის გამოცემა 1931 წ. ამ ნაშრომში პროფ. გ. ნათაძე არკვევს ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებს საერთოდ და იხილავს კერძოდ პროფ. ი. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიას.

როგორ არკვევს ამ საკითხებს პროფ. გ. ნათაძე.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ის ვერ აკრიტიკებს პროფ. ივ. ჯავახიშვილს, მან ვერ შესძლო მისი ნამდვილი ბუნების გამომჟღავნება. პროფ. ნათაძეს ვერ აქვს მოძარჯვებული მარქსისტული მეთოდი, თითონ მისი მეთოდოლოგია არამარქსისტულია. პროფ. ნათაძე ამახინჯებს მარქსიზმს, გამოდის ჯავახიშვილთან შემარიგებლობის როლში. აქედან ცხადია, რომ მისი შრომის შედეგიც არ არის დადებითი, პირიქით, უარყოფილია.

ამის ნათელ საყოფად მოვიყვან რამოდენიმე ადგილებს მისი ხსენებულ ნაშრომიდან. პროფ. ნათაძე ამბობს: „მეცნიერთა შორისაც რწმენა ლეგენდალური გადმოცემისა ისევე უკრიტიკოთ არსებობდა, როგორც ფართო მკითხველ საზოგადოებაში. ისტორიული კვლევა-ძიების ამ მხრივ მეცნიერულ ნიადაგზე დაყენება წილად ხვდა პროფ. ჯავახიშვილს, რომელმაც მთელი საუკუნის განმავლობაში დაბმული და გადუწყვეტელი საკითხები სულ მოკლე ხანში გადასწყვიტა...

მისი მეთხებით შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, საქართველოს ისტორიული მეცნიერება ამ მხრივ ერთბაშათ დასავლეთ ევროპის ისტორიულ მეცნიერების სიმაღლეზე დადგა“ (გვ. 80-81, 1931 წელი).

ამის შესახებ თქვენ მოისმინეთ საფუძვლიანი კრიტიკა, რომელზედაც მე ეხლა არ შევჩერდები, მხოლოდ მინდა ზოგიერთი სხვა ადგილებიც დავუმატო და ამას მივაქციო თქვენი ყურადღება. „უდავოა, რომ ყოველი მკვლევარისათვის აუცილებელია მის მასალებს დაემყაროს, ფაქტიური იქნება იგი, თუ ამა თუ იმ ყოფაცხოვრების დამახასიათებელი“ (იქვე).

როგორც ვიცით, ისტორიკოსებს შორის გავრცელებულია ის აზრი, რომ ჯავახიშვილის ფაქტებს უსათუოდ უნდა დავემყაროთ, ხოლო დასკვნები შეიძლება არა. შეიძლება თუ არა პროფ. გ. ნათაძე მივაკუთვნოთ ისეთ ისტორიკოსთა რიცხვს, რომელთაც ჯავახიშვილის ფაქტებით უნდათ ისარგებლონ, ხოლო მის დასკვნებს არ იზიარებენ. სამწუხაროდ, ეს არ შეიძლება ითქვას პროფ. ნათაძეზე. აქ საქმე გვაქვს როგორც ფაქტების და იმ დასკვნების მიღებასთან, რომელსაც პროფ. ი. ჯავახიშვილი აკეთებს. პროფ. გ. ნათაძის თქმით: „იმას (ჯავახიშვილს) უმჯობესად მიაჩნია მეცნიერება არც ერთი ნაბიჯით არ გამოსცილდეს იმას, რაც წყაროში პირდაპირ არის ნათქვამი (ხსენებული ნაშრომის გვ. 82). მაშასადამე, პროფ. ნათაძე იზიარებს პროფ. ჯავახიშვილის არა მარტო ფაქტებს, არამედ იმ

დასკვნებსაც, რომლებიც, როგორც ის ამბობს, წყაროებში პირდაპირ არის ნათქვამი და ერთი ნაბიჯით არ სცილდება სინამდვილეს. ახლა ვნახოთ, როგორ შეფასებას აძლევს პროფ. ნათაძე ივანე ჯავახიშვილის მეთოდს. „ცხადია, ამბობს ნათაძე, პროფესორს სწამს სრული ობიექტივიზმის შესაძლებლობა კვლევა-ძიებაში და არა სცნობს კლასობრივი სუბიექტივიზმის აუცილებლობას"...

ზოგ ადგილზე პროფესორი იჩენს ერთგვარ სუბიექტივიზმს და ატარებს თავის გრძნობებს და აზრებს შეთვისებულს იმ წრეებში, რომლებშიც სრულიად ბუნებრივად ტრიალებდა ბოლმა პატარა ერების მჩაგვრელ პოლიტიკის ბატონობის გამო რუსეთის თვითმპყრობელობის დროს. აქ პროფესორს, ჩვეულებრივ, ძრიელ თავდაჭერილს და ინტელექტის ჩარხში ყოველი გრძნობების გამტარებელს, ყოველგვარი ჰიპოტეზების უარის მყოფელს და სრული ობიექტივიზმის მომხრეს ერთგვარი პათოსიც კი ემჩნევა" (იქვე, გვ. 84).

როგორც ვხედავთ, პროფ. ნათაძის აზრით, სუბიექტივიზმი, რომელსაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი „ზოგ ადგილზე" იჩენს, გამართლებულია და ამით მის კვლევას ობიექტიურობაში რაიმე ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ასე ესმის პროფ. გ. ნათაძეს ივ. ჯავახიშვილის როლი საქართველოს ისტორიის შექმნაში. ასე ესმის ის მეთოდი, რომელიც პროფ. ჯავახიშვილმა ისტორიის მოვლენების კვლევაძიების დროს გამოიყენა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პროფ. გ. ნათაძე ამახინჯებს მარქსის მეთოდს. აი, ამის მაგალითიც. ის ამბობს: „მარქსი უაღრესი მომხრეა სინთეთიური მუშაობისა ისტორიაში, ამგვარ ემპირიულ კვლევაძიებაზე აფუძნებს მეცნიერულ აზროვნებას". გამოდის, რომ მარქსის მეთოდი სინთეთიურია. ეს ასე არ არის. მარქსის მეთოდი არ არის მარტო სინთეთიური. ანალიზს და სინთეზს მარქსი ერთმანეთს არ აცილებს. მარქსის მეთოდოლოგიის თანახმად, ერთი უმეორედ არ არის მეცნიერული მეთოდი, ორივე ესენი დიალექტიური მეთოდის მომენტებია. პროფ. გ. ნათაძე კი ამახინჯებს მარქსიზმს, როცა მარქსის მეთოდის არსი ამ მეთოდის ერთ ერთ მომენტამდე დაჰყავს. კიდევ მეტი, პროფ. ნათაძის აზრით: „მარქსიზმი არ არის მთლად ობიექტური, რამდენადაც იგი განსაზღვრულ კლასობრივ იდეოლოგიის გამომხატველია, მაგრამ შედარებით პიროვნულ სუბიექტივიზმთან ის უფრო ბევრად ობიექტური მიდგომაა კვლევა ძიებაში". როგორც ვხედავთ, პროფ. ნათაძის შეხედულებით, რადგან მარქსიზმი გარკვეული კლასის (პროლეტარიატის) იდეოლოგიაა და ამ კლასის ინტერესების გამომხატველია, ამიტომ მის ობიექტიურობაზე ლაპარაკი ზედმეტია. გამოდის, რომ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება არ არის ობიექტიური მეცნიერება.

ასე წარმოიდგინეთ, პროფ. გ. ნათაძის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, მარქსიზმი მაშინ იქნება ობიექტიური, რომ ყველა კლასების იდეოლოგიურ გამომხატველი იყოს. რადგანაც ეს ასე არ არის, ცუდია, მაგრამ რას იზამ. კიდევ კარგი, რომ შედარებით პიროვნულ სუბიექტივიზმთან უკეთესია. როგორც ვხედავთ, ობიექტიურობა პროფ. ნათაძეს არ ესმის მარქსისტულად. მისთვის მიმართულება, თუ ის გარკვეული კლასობრივი ინტერესების გამომხატველია, არ არის ობიექტიური. აქედან დასკვნა: პროფ. ნათაძე თავისი ხსენებული ნაშრომის მიხედვით უფრო ჯავახიშვილის მიმდევრათ ჩაითვლება, ვიდრე მის კრიტიკოსათ. პროფ. გ. ნათაძეს ერთხელ, მართალია, წამოსცდა, რომ ი. ჯავახიშვილი იჩენს ერთგვარ სუბიექტივიზმს, მაგრამ ეს სუბიექტივიზმიც არ მიაჩნია მას დასაგმობად. მისი აზრით, „პიროვნული სუბიექტივიზმი, თუ მისი მატარებელი მაღალი ნიჭით არის აღჭურვილი, საკაცობრიო თვალსაზრისამდის ამაღლდება". როგორც ვხედავთ, ნათლად არის ნათქვამი, რომ პიროვნული სუბიექტივიზმიც მისაღებია, თუ მისი მატარებელი ნიჭიერი ადამიანია. ცხადია, პროფ. ნათაძეს ბრალს ვერ დავდებთ იმაში, რომ ის ამცირებდეს პროფ. ი. ჯავახიშვილის როლს და ნიჭს ისტორიაში, არამედ, პირიქით, აქედან დასკვნა: ი. ჯავახიშვილის მეთოდი მისაღებია მაშინაც, როდესაც ის „ზოგ ადგილას" სუბიექტივიზმს იჩენს. სხვანაირი დასკვნა აქედან არ გამოიტანე-

ბა. როგორც ვხედავთ, პროფ. ნათაძე ივანე ჯავახიშვილის კრიტიკოსათ ვერ გამოდგა. პირიქით, ის მოექცა მისი გავლენის ქვეშ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ უდაო დებულებას, რომ ი. ჯავახიშვილის კონცეპციის მეცნიერული კრიტიკა არ შეიძლება მარქსიზმის მეთოდოლოგიის სწორად მომარჯვების გარეშე, ამიტომ, ვინც ამ გზას არ დაადგება, ან აცდება, იქნება ის პროფ. ნათაძე თუ სხვა, აუცილებლად დაამახინჯებს მარქსიზმს და, მაშასადამე, სინამდვილეს, რაგინდ დაინტერესებული იყოს სუბიექტურად და მით ფაქტიურად წყალს უშვებს მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა წისქვილზე.

პროფ. გ. ნათაძე რომ დიდ სისუსტეს იჩენს მარქსიზმის მომარჯვების საქმეში, ამისი სხვა მაგალითებიც არის, გარდა ჯავახიშვილის კრიტიკისა. ავიღოთ საკითხი სახელმწიფოს შესახებ. ამ საკითხშიც პროფ. გ. ნათაძეს არა უკეთესად აქვს საქმე, ვიდრე პროფ. ჯავახიშვილს.

რაც მთავარია, პროფ. ნათაძეს სახელმწიფო წარმოდგენილი აქვს არა როგორც ერთი კლასის მეორეზე ბატონობის იარაღი, არამედ როგორც ზეკლასიური ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს საზოგადოების კეთილდღეობაზე. რომ ეს ასეა, ნათლათ სჩანს მისი ნაშრომის შემდეგი ადგილიდან: „სახელმწიფოს აპარატი ასეა მოწყობილი: თავის დროზე, თავის ალაგას შემოდის ყოველი საჭირო სანოვაგე თუ სხვა მასალა. მზადდება ყოველი ნივთი და საგანი, რომელსაც მსურველი შეიძენს და მოიხმარს. ეს იქამდე თავისთავად და მექანიკურად ხდება, რომ ჩვენ ეს არც კი გვახსოვს, ამაზე არც კი ვფიქრობთ. ერთ წამს წარმოვიდგინოთ, რომ ეს მექანიზმი დაიშალა, მაშინვე თვითოეული ჩვენგანი იძულებული იქნება, წავიდეს და თვითონ იზრუნოს თავისი თავისა და თავისი ოჯახის გამოკვებაზე: მოხნას, დათესოს, მოხარშოს, მოქსოვოს, შეკეროს და სხვ. ამიტომ სხვა მუშაობისათვის ჩვენ სრულიად არ გვექნება დრო და საშუალება. ამგვარად, სახელმწიფოს მექანიზმი ნივთიერი ინტერესების ნიადაგზეა მოწყობილი, რომ ნივთიერი მოთხოვნილებაზე ზრუნვის ორგანიზაციის საშუალებით ადამიანს გაუადვილოს ეს აუცილებელი და მძიმე საქმიანობა, რომ მას მეტი დრო და ენერგია გადარჩეს, რათა იზრუნოს ხელოვნებაზე და კულტურულ წარმატებაზე.

ამაში გამოიხატება ერის ძალთა ეკონომია. შრომის განაწილებისა და ტექნიკის გაუმჯობესების საშუალებით სახელმწიფო აღწევს იმას, რომ ერის ერთი ნაწილი (რასაკვირველია, ჯერ ჯერობით უმცირესი) ფიზიკური საარსებო წყაროს გამოძებნისათვის მუშაობისაგან განთავისუფლებულია, რომ თავისი ენერგია შესწიროს მეცნიერებას, ხელოვნებას და სხ.“ (ხს. ნაშრომი, გვ. 22).

როგორც ხედავთ, პროფ. გ. ნათაძის აზრით, სახელმწიფოს არსებობის გარეშე ცხოვრება არაფრად ეღირება, კიდევ მეტი, თუ სახელმწიფოს გარეშე ადამიანებისათვის საჭირო საგნები არ დამზადდება, ე. ი. მეურნეობა არ შეიძლება. ცხადია, სახელმწიფო მუდმივი კატეგორია ყოფილა. პროფ. გ. ნათაძის აზრით, სახელმწიფო იმისათვის არის მოწყობილი, რომ ადამიანებს გაუადვილოს ეს აუცილებელი და მძიმე საქმიანობა, რომ მათ მეტი დრო და ენერგია დარჩეს, რათა იზრუნონ ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე და კულტურულ წარმატებაზე. როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია მეცნიერებაზე და ხელოვნებაზე მუშაობა და, მაშასადამე, მისი არსებობაც. ცხადია, ასეთ შეხედულებას მარქსიზმთან საერთო არაფერი აქვს. ავიღოთ კიდევ შემდეგი ადგილი მისი ნაშრომიდან: პროფ. ნათაძე სვამს შემდეგ კითხვას: „რატომ მოხდა, რომ სახელმწიფოს დაარსებისას ეს უთანასწორობა თან დაჰყვა კაცობრიობას“. ჯერ გავარკვიოთ რამდენი შეცდომაა თვით ამ კითხვის დასმაში. ჯერ ერთი, სახელმწიფო არ დაარსებულა. ასეთი თქმა — „სახელმწიფოს დაარსებისას“ — არ არის სწორი, სახელმწიფო კი არ დაარსებულა, არამედ წარმოიშვა-აღმოცენდა. მეორე — უთანასწორობა სახელმწიფოს თან კი არ დაჰყოლია, პირიქით, სახელმწიფო ამ კლასიურ უთანასწორობის ნაყოფია და მის ნიადაგზეა ამოცენებული. შემდეგ: პროფ. ნათაძის აზრით, სახელმწიფო ორგანიზაციის აღმოცენების დროს

ეკონომიურად ძლიერი კლასი კი არ ბატონებდა, არამედ ნიჭიერნი: სახელმწიფოში ადგილების დაკავება განისაზღვრება არა ადამიანების ეკონომიური მდგომარეობით, არამედ, როგორც პროფ. ნათაძე ამბობს: „ყველა თავისი უნარის და მიდრეკილების თანახმად ცდილობდა ადგილი დაეჭირა ამ ახალ ორგანიზაციაში (სახელმწიფოში) და ვინც თავის ნიჭით ორგანიზატორის როლში გამოდგებოდა, ის თანდათან უდგებოდა სათავეში მშრომელთა ჯგუფებს და ცდილობდა შრომის ტექნიკური საშუალებები თითონ ჩაეგდო ხელში“ (ხს. ნაშრომი, გვ. 22).

ნუ გამოვეკიდებით სიტყვას „შრომის ტექნიკური საშუალებები“, ჩაუთვალოთ ეს პროფ. ნათაძეს საწარმოო საშუალებებათ. რა გამოდის აქედან? ნიჭიერი და უნარიანი ხალხი ჯერ სახელმწიფო ორგანიზაციას მოექცევა სათავეში, შემდეგ იძენს კერძო საკუთრებას. ესე, რასაკვირველია, საკითხის უკუღმა დაყენებაა. სინამდვილეში პირიქით იყო, ჯერ კერძო საკუთრება გაჩნდა უთანასწორობა და ამის საფუძველზე წარმოიშვა სახელმწიფო, როგორც კლასობრივ ბატონობის იარაღი.

შემდეგ: „ჯერ ხელში იგდებენ მიწას და ჩნდება კერძო საკუთრება, ამბობს პროფ. ნათაძე, მერე, როცა რთულდება ტექნიკა და კაპიტალისტური წარმოება, მყარდება საწარმოო იარაღიც“.

გამოდის, რომ საწარმოო საშუალებების მფლობელი გაბატონებული კლასი მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესის დროს არის. განა საწარმოო საშუალებები და თვით ადამიანები მონათმფლობელებს არ ეკუთვნოდა. ცხადია, რომ ეკუთვნოდა. აქედან პროფ. გ. ნათაძის მსჯელობა მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და არ არის სწორი...

შემდეგ: პროფ. გ. ნათაძის აზრით, მიწაზე კერძო საკუთრება უსწრებს საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრებას, რაც შეცდომაა. ეს ერთი, მეორე — საწარმოო იარაღებზე კერძო საკუთრება ჩნდება მაშინ, როდესაც კაპიტალისტური წარმოება მყარდება. პროფ. ნათაძის აზრით, გამოდის, რომ წინაკაპიტალისტურ კლასიურ ფორმაციებში გაბატონებულ კლასს არავითარი საწარმოო იარაღები არ ჰქონია, ეს მეორე შეცდომაა. მესამე შეცდომა: „კაპიტალისტურ წარმოების დამყარების შემდეგ არის სახელმწიფო, როგორც ამას პროფ. ნათაძე ამბობს, ბრძანებლობისა და უმრავლესობის ექსპლოატაციის იარაღი“. როგორც ვხედავთ, წინა კაპიტალისტური სახელმწიფოები არ ყოფილა ბრძანებლობისა და უმცირესობის მიერ უმრავლესობის ექსპლოატაციის იარაღი — ესეც მესამე შეცდომა. განა შეიძლება ასეთი შეფასება წინაკაპიტალისტური სახელმწიფოს ბუნების. რა აქვს ასეთ შეფასებას საერთო მარქსიზმლენინიზმთან. ცხადია, არაფერი.

უკანასკნელათ რამოდენიმე სიტყვა ფორმაციების შესახებ. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფორმაციების საკითხს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა გარკვევისათვის. ისიც ცნობილია, რომ ეს საკითხი მეცნიერულ სიმაღლეზე მხოლოდ მარქსმა აიყვანა. ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის ფორმაციების პრობლემა არ დგას მათი თანმიმდევრობითი გამოკვლევის თვალსაზრისით. მათთვის ფორმაციების პრობლემა იმ მიზნით დგას, რომ დაამტკიცონ პირველყოფილ უკლასო საზოგადოების არ არსებობა. უარყოფენ ისეთ პერიოდს ადამიანთა საზოგადოებაში, როდესაც კერძო საკუთრება საწარმოვო საშუალებებზე და კლასები არ არსებობდა. ამით უნდა დაამტკიცონ მარადისობა კერძო საკუთრების და კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილი წარმოების წესისა.

ისინი ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ არსებითად ერთი ერთი ფორმაცია გვაქვს, რომელიც კერძო საკუთრებაზე არის დამყარებული (კაპიტალისტური წესწყობილება) და რომელიც მუდამ უნდა იქნეს. ისინი კაპიტალისტურ წესწყობილების დამახასიათებელ ნიშნებს ეძებენ ფეოდალიზმის და მონათმფლობელობის დროსაც იმ მიზნით, რომ დაასაბუთონ კაპიტალიზმის მარადისობა.

პროფ. ნათაძე ამ ფორმაციების გაგების საკითხში დგას ამ ბურჟუაზიულ ისტორიკოსების თვალსაზრისზე. ის გარკვევით ამბობს: რომ „პირველ საზოგადოებრივ ფორმაციათ საქართველოში

შეიძლება ჩაითვალოს მარტივი შოვნითი, ანუ მოპოებითი სატყეო მეურნეობა და მასზე აგებული სოციალურ დიფერენციაციის ჩანასახი“ (გვ. 87). მაშასადამე, პროფ. ნათაძის აზრით გამოდის, რომ საქართველოში საგვარეულო წყობილება არ ყოფილა. კიდევ მეტი, ის პირდაპირ ამბობს: რომ არასოდეს არ ყოფილა ისეთი პერიოდი, რომ სოციალური დიფერენციაცია არ ყოფილიყოს. ეს არ არის სწორი, ეს აზრი ანტიმარქსისტულია. აქ დაფარულ ფორმაში უარყოფილია უკლასო საზოგადოების არსებობა ჩვენში. მართალია, სოციალური დიფერენციაცია პირველყოფილ საზოგადოებაშივე იწყება მის შემდგომ მაღალ საფეხურზე, მაგრამ აქედან სრულიად რა გამომდინარეობს ის, რომ პირველყოფილი კომუნიზმი სოციალურ დიფერენციაციას, კლასებათ დაყოფას შეიცავდა.

ეს აზრი ჩვენთვის მიუღებელია.

„შემდეგი ფორმაცია ნატურალური მეურნეობაა, განაგრძობს პროფ. ნათაძე. ეს მეორე ფორმაცია არასოდეს არ შეცვლილა სავსებით და მთლიანად, თუ შემდგომ ფორმაციათ კაპიტალიზმი მივიღეთ. დრო და დრო მხოლოდ სავაჭრო კაპიტალიზმი შემოიჭრებოდა ხოლმე, მაგრამ მას არასოდეს სავსებით არ მოუსპია ნატურალური მეურნეობა. მხოლოდ მე-18 საუკ. ვხედავთ მანუფაქტურული, ნაწილობრივ მსხვილი მრეწველობის ელემენტებს, მაგრამ აქაც დომინანტი მაინც სავაჭრო კაპიტალიზმის და ნატურალური მეურნეობის რყევადი წონასწორობაა, რის გამოც სახელმწიფოს სტრუქტურაშიც ბრძოლა და რყევა იყო, რომელიც გადაწყდა რუსეთთან შეერთებით“.

გავარჩიოთ ეს ადგილი. მარქსიზმის კლასიკოსების მიერ გარკვეით არის ნათქვამი, რომ ისტორიულ სინამდვილეში საქმე გვაქვს პირველყოფილ საზოგადოებასთან, მონათმფლობელობასთან, ფეოდალიზმთან, კაპიტალიზმთან და შემდეგ უკლასო კომუნისტურ საზოგადოებასთან. პროფ. ნათაძემ საქართველოში მონათმფლობელური ფორმაცია გამოსტოვა და პირველყოფილ საზოგადოებიდან პირდაპირ ფეოდალიზმზე გადავიდა. საქართველოში მონობის არსებობის შესახებ, როგორც აქ ისტორიკოსები აღნიშნავენ, ცნობები ჯერ არ მოიპოვება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მონური წყობილების ან ჩანასახი არ რაიმე ფორმა არ ყოფილიყოს. როდესაც ნათაძემ გამოტოვა მონათმფლობელური ფორმაცია, მას უნდა დაესაბუთებია, აეხსნა, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია ამ საფეხურის გამოტოვება საქართველოში, თორემ მარტო იმის განცხადება — ყოველგვარი ფაქტების გარეშე — რომ მონათმფლობელობა არ არსებობდა, მეცნიერულ დასაბუთებას მოკლებულია.

ფეოდალიზმი, პროფ. ნათაძის აზრით, მეორე ფორმაციაა, რომელიც დიდხანს დარჩა უცვლელი, რომელიც „ვერ დაარღვია სავაჭრო კაპიტალიზმმა“. აქაც შეცდომაა. სავაჭრო კაპიტალიზმი ისტორიაში არასოდეს არ ყოფილა. სინამდვილეში იყო სავაჭრო კაპიტალი და არა სავაჭრო კაპიტალიზმი. სავაჭრო კაპიტალი და სავაჭრო კაპიტალიზმი, როგორც ვიცით, სხვა და სხვა ამბავია. პირველი სინამდვილეა, მეორე შემცდარი გამოგონება. აქ საქმე გვაქვს კიდევ პროფ. ნათაძის მიერ ბოგდანოვის მექანისტურ კონცეპციის გაზიარებასთან. ის ამბობს: „მე-18 საუკუნეში ვხედავთ მანუფაქტურული, ნაწილობრივ, მსხვილი მრეწველობის ელემენტებს, მაგრამ აქაც დომინანტი მაინც სავაჭრო კაპიტალიზმის და ნატურალური მეურნეობის რყევადი წონასწორობაა“ და სხვა. არასოდეს, არც მე-18 საუკუნეში და არც მანამდე და არც მის შემდეგ საზოგადოებაში „რყევა წონასწორობასთან“ საქმე არ ქონია. ეს ბოგდანოვის და ბუხარინის წმინდა მექანისტური კონცეპციაა და, ვფიქრობ, რომ პროფ. ნათაძეს შეცდომებს ამის მიმატება აღარ ესაჭიროებოდა.

საერთოდ, პროფ. ნათაძის მეთოდოლოგია არ არის თანმიმდევნო, მაგრამ ის თანმიმდევნოთ არამარქსისტულია, ის უფრო იდეალისტურია, მაგრამ დიდათ შეჭრელებული მექანისტურ საკერველით.

საქართველოს ისტორიის საკითხების გარკვევის დროს ის მთლად მოექცა ჯავახიშვილის ბრჭყალებში. მართალია, პროფ. ნათაძე ცდილობს დადგეს მარქსისტულ მსოფლმხედველობის თვალსაზრისზე, ჩვენ ვიცით მისი პედაგოგიური მოღ-

ვაწეობა, მისი სურვილი, მოვიდეს ჩვენთან, მაგრამ ეს მისთვის მიუხწეველი იქნება მანამდი, სანამ ის შემარიგებლობას თავს არ დაანებებს და ბურჟუაზიულ შეხედულებებს, მათ შორის ივ. ჯავახიშვილისასაც, შეუპოვარ ბრძოლას არ გამოუცხადებს. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მეთოდის და მარქს-ლენინის მეთოდის შეზავება-შეგუება არ შეიძლება. მარქსიზმ-ლენინიზმთან ის ვერ მივა, ვინც პირველს არ ააფეთქებს. პროფ. ნათაძემ კი ეს ვერ შესძლო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი ნაწარმოების კრიტიკული შეფასება და შეცდომების გამომჟღავნება, ხელს შეუწყობს პროფ. ნათაძეს გამოასწოროს თავისი შეცდომები და მოვიდეს ჩვენთან ამ კრიტიკით. ჩვენ გვინდა ხელი შეუწყოთ, დავეხმაროთ პროფ. გ. ნათაძეს ჩვენთან მოსვლის საქმეში. ბურჟუაზიული პროფესორის ჩვენთან მოსვლის პროცესი არ წარმოიდგინება ბრძოლის გარეშე. ის უნდა განიარაღდეს თავისი ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ კონცეპციისაგან და ისე უნდა მოვიდეს ჩვენთან. მან უნდა დასძლიოს თავისი თავი, მან უნდა გააკრიტიკოს თავისი არა სწორი შეხედულებანი, მან უნდა მოსძებნოს ისინი და თუ ჩვენ უჩვენებთ, რაში ცდება, ამით ჩვენ მას ვეხმარებით, ხელს უწყობთ და არა ვასამართლებთ.

საქართველოს ისტორიის საკითხი საიმედო ხელშია. ამ საქმეს მაგრად მოჰკიდა ხელი ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხ. ლ. ბერიამ. გასულ წელს მან მოგვცა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია, ამხ. სტალინის რევოლუციონური მუშაობის ისტორია ამიერ-კავკასიაში. ამით მარქსიზმის საუნჯე კიდევ უფრო გამდიდრდა. ეს საქართველოს ისტორიაა მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. ეს უდიდესი მარქსისტულ-ლენინური განძია, საშუალება რომ საქართველოს ისტორიის დამუშავების საქმე ჩქარი ტემპით წავიდეს წინ. როგორც მთელ კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით არც ერთი ციხე-სიმაგრე აუღებელი რჩება, ისე ამიერ-კავკასიაში და საქართველოში იგივე კომუნისტური პარტიის მიერ ამხ. სტალინის მეთაურობით და ამხ. ლ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით არც ერთი ციხე-სიმაგრე აუღებელი არ დარჩება. საქართველოს ისტორიის ციხე-სიმაგრეც აღებული იქნება (*ტაში*).

პროფ. ი. სურგულაძე: ამხანაგებო, დისკუსიას, რომელიც აქ მიმდინარეობს ეხლა, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმ ამოცანების მხრივ, რომელიც მან უნდა დასძლიოს და გადასჭრას. მისი ამოცანაა, შეამოწმოს ის, თუ რა გაკეთებულა ჩვენს სინამდვილეში ისტორიულ ფრონტზე საერთოდ და, კერძოთ კი, საქართველოს ისტორიის დარგში, შეამოწმოს არა მხოლოდ შინაარსობრივი სისწორის, არამედ მეცნიერულ-მეთოდოლოგიური გამართულობის თვალსაზრისით. ჩვენთვის, ამხანაგებო, ერთად ერთი მეცნიერული მეთოდი არის მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდი და ამიტომ, როდესაც აქ ვეხებით ჩვენი ისტორიული ლიტერატურის მეთოდოლოგიურ გამართულობის საკითხს, მხედველობაში გვაქვს, თუ რამდენად ეს ლიტერატურა აკმაყოფილებს მარქსისტულ ლენინურ მეთოდოლოგიის ძირითად მოთხოვნილებებს. ამავე დროს დისკუსიამ უნდა დასახოს ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც უნდა გადაჭრან ისტორიული აზრის დაუღალავი მუშაობის შედეგათ. უახლოეს მომავალში ამ ამოცანების მოკლე ფორმულა იქნება საქართველოს ისტორიული მეცნიერების რეკონსტრუქცია დიელექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე. სავსებით გასაგებია, რომ ამ ამოცანის ასე ფართო მასშტაბით დაყენება და მისი სიზუსტით განსაზღვრა მოითხოვს დისკუსიაში არა მხოლოდ ისტორიკოსების, არამედ მონათესავე მეცნიერებათა წარმომადგენლების მონაწილეობასაც. პირადათ ჩემს მონაწილეობას მიმდინარე დისკუსიაში მე ამ დასაბუთებას ვაძლევ.

ამ გარემოებით განისაზღვრება იმ საკითხების წრეც, რომელთა შეხებას მე შესაძლებლად ვსთვლი ჩემთვის. კონკრეტათ მე შევეხები მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სახელმწიფოს და სამართლის შესახებ მეცნიერებათა დარგს, მაგრამ რომელთა გაშუქება ამავე დროს შეიძლება გახდეს ისტორიული

კვლევა ძიების ობიექტათ. თავის თავად გასაგებია, რომ ეს არის საკითხები, სახელმწიფოს და სამართლის გარკვეულ მხარეებს რომ აშუქებენ.

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ყველაზე უფრო ფართოდ აღნიშნული საკითხები პროფ. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებშია განხილული და ამიტომ მეც უმთავრესად ამ ნაშრომებზე დამჭირდება შეჩერება. ცხადია, რომ მოკლე გამოსვლის ფარგლებში შეუძლებელია ყველა იმ დებულებების განხილვა, რომლებსაც ჩვენ პროფ. ჯავახიშვილის ნაშრომებში სახელმწიფოს და სამართლის შესახებ ვხვდებით. მე შევეხები ამიტომ, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო ძირითადი მნიშვნელობის მქონე საკითხებს.

ამ საკითხებს შორის პირველ რიგში განვიხილოთ, თუ როგორ არის გაშუქებული პატივცემული პროფესორის ნაწარმოებებში საკითხი სახელმწიფოს და საზოგადოების ცნების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, ვინაიდან სახელმწიფოს რაობის სისწორით გარკვევის დროს ამ საკითხსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს. პროფ. ი. ჯავახიშვილის ნაშრომებში პირდაპირ ეს საკითხი განსახილველად დასმული არსად არ არის, მაგრამ ის ისტორიული დახასიათება, რომელიც ამ ნაშრომებში მოცემული აქვს საქართველოს სახელმწიფო წყობილებას უძველეს პერიოდში, გულისხმობს სავსებით გარკვეულ კონცეპციას საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხში, „ქართული სამართლის ისტორია“ პირველ წიგნში (გვ. 185) აღნიშნულია, რომ „უძველეს საქართველოში გვაროვნული წყობილება... სახელმწიფო წესწყობილების საფუძველი ყოფილა“. ეს დებულება, რომელიც ავტორის მსჯელობის დასკვნას წარმოადგენს, გულისხმობს, რომ ავტორისთვის სახელმწიფო და საზოგადოება მთლიანად ემთხვევიან ერთმანეთს. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს და საზოგადოების ერთმანეთისაგან განსხვავების ერთ ერთ ძირითად არგუმენტს ისეთ საზოგადოებათ ისტორიულად არსებობის უდავო ფაქტი წარმოადგენს, რომლებშიდაც სახელმწიფო მოცემული არ ყოფილა და რომლებიც სწორედ საგვარეულო საზოგადოების და საგვარეულო წყობილების სახელწოდებით არიან ცნობილი. ამიტომ კონცეპცია, რომელიც შესაძლებლად სთვლის საგვარეულო წყობილების საფუძველზე სახელმწიფოს არსებობას და ეს არა როგორც მოკლე პერიოდის განმავლობაში მოცემულს, არამედ მთელი საუკუნეების გასწვრივ (ი. ჯავახიშვილის აზრით, I-VI საუკუნემდე. იხ. გვ. 183). ასეთი კონცეპციის თავის თავად ნაგულისხმევი თეზა საზოგადოების და სახელმწიფოს იგივეობის დებულებაა, ე. ი. იმის ცნობა, რომ სახელმწიფო საზოგადოებრივი ცხოვრების მუდმივი და აუცილებელი ფორმაა. ასეთი კონცეპცია ბუნებრივათ გულისხმობს როგორც სახელმწიფოს მარადიულობას, ისე კლასთა წინააღმდეგობის შეურიგებლობის და კლასთა ბრძოლის, როგორც იმ მიზეზის უარყოფას, რომლითაც გამოწვეულია სახელმწიფოს წარმოშობა, ე. ი. იმ ძირითად დებულებების უარყოფას, რომლების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს რაობის და მისი ისტორიული ცვალებადობის მეცნიერული გაგება. რომ ეს მართლაც ასე არის, რომ მართლაც ავტორი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს სრულებით არ უკავშირებს საგვარეულო საზოგადოების ფარგლებში მომხდარ ძირითად ცვლილებებს, ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ავტორის ჰიპოტეზის მიხედვით, ისტორიული თანამიმდევრობის თვალსაზრისით პირველობა პირველ საუკუნეში და შემდგომ არსებულ საგვარეულო წყობილებას კი არ ენიჭება, არამედ სახელმწიფოს, რომლის ფარგლებში შემდგომ შესაძლებლობა იქმნება საგვარეულო წესწყობილების ახალი რეციდივისათვის. ასეთი მოვლენის შესაძლებლობის დასამტკიცებლად ავტორი უთითებს შეურილობის ინსტიტუტს, რომლის ქვეშ განაყოფთა კვლავ ერთ ოჯახად გაერთიანების ხელშეკრულებაა ნაგულისხმევი. ავტორი ფიქრობს, რომ ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე დაშლილი ოჯახების კვლავ გაერთიანება, შესაძლებელია, გამხდარიყო გვაროვნული წესწყობილების განახლების საფუძვლად. ჩვენი აზრით, ასეთი შესაძლებლობა, უდაოთ, უარსაყოფია. ეს იმიტომ, რომ საგვარეულო წყობილების ძი-

რითად პრინციპს კერძო საკუთრების არ არსებობა წარმოადგენს, შეყრილობის ინსტიტუტი კი არსებითად კერძო საკუთრების პრინციპს ემყარება და იმგვარადვე არ შეიძლება ჩაითვალოს კერძო საკუთრების მოსპობის და საგვარეულო წყობილების აღდგენისაკენ მიმართულ ინსტიტუტათ, როგორც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოცემული ცალკე სამეურნეო ერთეულების გაერთიანების ფორმები (მთლიანი ამხანაგობა, საკვიცო საზოგადოებანი და სხვა) შეუძლებელია მივიჩნიოთ კერძო საკუთრების საწინააღმდეგო ტენდენციების გამომხატველ ინსტიტუტათ. ამას უნდა მიუმატოთ ის არსებითი მოსაზრება, რომ საგვარეულო წყობილების დაშლა, კლასობრივ საზოგადოების და მის შედეგათ სახელმწიფოს წარმოშობა საზოგადოებრივი განვითარების აუცილებლობას გამოხატავენ და ამიტომ ავტორის ზევით მოყვანილი ჰიპოტეზა საზოგადოებრივი განვითარების ძირითად კანონზომიერების უარყოფას ნიშნავს. ამ გვარად, არა სწორი თვალსაზრისი საზოგადოებრივი განვითარების ზოგად კანონიერების შესახებ, მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიის იგნორირება ისტორიული მოვლენების შემეცნების დროს, პროფ. ი. ჯავახიშვილის ნაშრომებში შედეგათ გვაძლევს შინაარსობრივად არა სწორ დასკვნებს საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში.

იგივე მიზეზი არასწორი დასკვნების საფუძველია ავტორისაგან იმ საკითხების გაშუქების დროს, რომლებიც ქართული სამართლის ისტორიას და მის რაობის განსაზღვრას ეხებიან. ერთ ერთი ძირითადი შეცდომა, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით, იმაში მდგომარეობს, რომ სამართლის გაგებაშიდაც შეტანილი იგივე მარადიულობის პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს საკითხშიც აღმოვაჩენთ ავტორთან. ამის დასამტკიცებლად საკმარისია ავღნიშნოთ, რომ ავტორის აზრით, უძველეს ხანაში სამართალი არსებობდა ზნეჩვეულების სახით (გვ. 9). თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქ აღნიშნულ უძველესი ხანის ქვეშ, წიგნის სხვა ადგილების მიხედვით (იხ. მაგ., გვ. 134, გვ. 152 და სხვ.) უნდა საგვარეულო წყობილების პერიოდი უნდა ვიგულისხმოთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ავტორის აზრით, სამართალი არსებობდა საგვარეულო წყობილების დროს. უდავოა, რომ ასეთი მცდარი დებულება სამართლის რაობის არა სწორი გაგების შედეგი არის. მართალია, ავტორი ვრცლად არ ჩერდება თავის ნაშრომში იმ საკითხზე, თუ რა უნდა გვესმოდეს სამართლის ქვეშ, მაგრამ ზოგიერთ გაკვრით, გზა და გზა მოყვანილი წინადადებები შესაძლებლობას იძლევიან დახლოებით აღვადგინოთ ის, თუ როგორ ესმის ავტორს სამართლის ბუნება. მაგ. წიგნის მე-7 გვერდზე ავტორს შემდეგი დებულება აქვს მოყვანილი: „იმას, რაც თითეულ ერს კაცთა საზოგადო ყოფა ცხოვრებისა და მოქმედება დამოკიდებულებათა უზენაეს და ჭეშმარიტ გაშაზღვრელ მცნებათ მიაჩნია... იმას ქართულად სამართალი ჰქვიან“. სამართლის ამ განმარტებაშიც მთლიანად ამოღებულია სამართლის კლასობრივობა, ე. ი. ის გარემოება, რომ სამართალი, ისე როგორც სახელმწიფო, შედეგია კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობისა. კლასობრივი ბატონობის ერთ ერთი საშუალების და კლასობრივი ნებისყოფის გამოაშკარავების ერთ ერთი ფორმის ნაცვლად სამართალი აქ გაგებულია როგორც ერის შეხედულებათა და ნებისყოფის გამოაშკარავების ფორმა. სამართლის ასეთი გაგება კი ავტორს შესაძლებლობას აძლევს, იგულისხმოს მისი არსებობა საგვარეულო საზოგადოებაშიდაც კი. ცხადია, რომ ასეთი შეხედულება არსებითად მიუღებელია, ამავე დროს, ეს მცდარი შეხედულება სამართლის ბუნების შესახებ არის იმის მიზეზი, რომ ავტორი თავისი გამოკვლევის მთელ სივრცეზე შესაძლებლობას მოკლებულია, მოგვცეს იმ ძირითადი თვისებების განმარტება, რომლებითაც ქართული სამართალი ხასიათდებოდა ისტორიის სხვა და სხვა საფეხურებზე. ცნობილია, რომ სამართლის სისტემები იცვლებიან საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციებთან დაკავშირებით და ამ ცვალებადობის, ისე როგორც იმ ძირითადი თვისებების გაგება, რომლებიც ამა თუ იმ ფორმაციის სამართალს ახასიათებენ, აბსოლუტურად შეუძლებელია იმ განყენებულ, ზოგად და

მცდარ განმარტების საფუძველზე, რომელიც ავტორს მოცემული აქვს სამართლისათვის. ამ პირობის გარეშე კი, ე. ი. თითეული ფორმაციის სამართლის სისტემის ძირითად თვისებების და სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი არის სამართლის ისტორიის სავსებით დამაკმაყოფილებელი დალაგება.

ასეთია ის მოკლე შენიშვნები, რომლებიც მე მინდოდა აღმენიშნა ჩემს გამოსვლაში.

აძხ. სოსელია: ცნობილია, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენში სამოქალაქო ისტორიას და მის სწავლებას სკოლებში. 1934 წლის 16 მაისის პარტიისა და ხელისუფლების დადგენილება, სამოქალაქო ისტორიის ახალი სახელმძღვანელოებზე მუშაობა, ამ სახელმძღვანელოთა კონსპექტებზე ამხ. სტალინის, კიროვის და ჟდანოვის შენიშვნები და ხელისუფლების მთელი რიგი სხვა ღონისძიებები ნათლად მოწმობენ იმაზე, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა ჩვენში მეცნიერების ამ დარგს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, კერძოდ, ძველი ისტორიის შესწავლას. ეს უკანასკნელი ვერ აუვლის გვერდს ჩვენთვის ისეთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა საკითხი კლასობრივი საზოგადოების აღმოცენება-განვითარების შესახებ, საკითხი კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. კარგად არის ცნობილი ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარქსიზმ-ლენინიზმში ამ საკითხს კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს ბუნების გაგებისათვის, მათი ისტორიული როლის და მნიშვნელობის შესწავლისათვის. საკმარისია აღინიშნოს ის გარემოება, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი დებულება სახელმწიფოს არსის, მისი როლის და მნიშვნელობის შესახებ, სახელმწიფო პროდუქტთა კლასობრივი წინააღმდეგობათა შეურიგებლობის, ეს დებულება წარმოადგენს სახელმწიფოს ისტორიული ანალიზის და, განსაკუთრებით, სახელმწიფოს წარმოშობის გამოკვლევის შედეგს. საკმარისია აღინიშნოს ის გარემოება, რომ კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს ისტორიული ხასიათის დასასაბუთებლად მარქსი და ენგელსი იკვლევენ სწორედ მათ წარმოშობას (იხ. ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა").

ძველ ისტორიას, ცივილიზაციის წინა პერიოდის ისტორიას ყურადღება ექცევა არა მარტო მარქსიზმ-ლენინიზმში. მისადმი დიდ ინტერესს იჩენენ განსაკუთრებით უკანასკნელ დროს ბურჟუაზიული მეცნიერები და მათთან ერთად II ინტერნაციონალის თეორეტიკოსები. ჯერ კიდევ მე-19 ს. პირველ ნახევრიდან ბურჟუაზიული მეცნიერები დიდ ყურადღებას აქცევენ ძველ ისტორიას, იყენებენ რა მას ბურჟუაზიის კლასობრივი ზრახვების გასამართლებლად (მაგ. გროფი, მომზენი). რაც დრო გადის, რაც უფრო მეტი უჭირს ბურჟუაზიას, მით უფრო ხშირად იხედება იგი უკან, მიმართავს რა, როგორც მარქსი ამბობდა, „წარსულის სულებს". ბურჟუაზიის იდეოლოგიურ არსენალში ძველი ისტორია, „პრეისტორია", ეთნოგრაფია, არქეოლოგია სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს. ძველი ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის მონაცემებით ცდილობს ბურჟუაზიული მეცნიერება დაასაბუთოს კერძო საკუთრების, კლასების, სახელმწიფოსა და სამართლებრივი წყობილების მარადიულობა, განუმტკიცოს საფუძველი კაპიტალისტურ წყობილებას.

და ამ საქმეში ბურჟუაზიულ მეცნიერებთან ერთად არიან, მათთან ერთად იღვწიან II ინტერნაციონალის თეორეტიკოსებიც. ცნობილია ის, თუ რა დიდ ინტერესს იჩენენ პირველყოფილობის პრობლემებისადმი, მაგალ. კ. კაუცკი, ჰ. კუნოვი. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელთა ნაშრომების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანაში, მიძღვნილია პირველყოფილი საზოგადოების შესწავლისათვის, კერძო საკუთრების, კლასების, სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობის საკითხისათვის. დაწყებული ედ. ბერნშტეინიდან II ინტერნაციონალის თეორეტიკოსები განსაკუთრებული გულმოდგინეობას იჩენენ პირველყოფილ საზოგადოებაზე მარქსისა და ენგელსის მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლაში. II ინტერნაციონალის თეორეტიკოსები უარ-

ყოფენ პირველყოფილ კომუნისტურ წყობილების არსებობას, სთხზავენ ანტიმარქსისტულ, რეაქციულ თეორიებს კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, ან უფრო სწორად, სდგებიან ამ საკითხში აშკარა ბურჟუაზიულ თეორიების თვალსაზრისზე. საყურადღებოა აქ ერთი გარემოება: ეს ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ ამ მხრივ ნებისმიერ საკითხში სწარმოებს ხშირად არა აშკარად, არა პირდაპირ. ქ. კაუცკი, მაგალ. არ უარყოფს პირველყოფილი კომუნისტური წყობილების არსებობას. იგი კიდევაც „იცავს" მას კუნოისა და სხვებისაგან, მაგრამ ამ „დაცვაში" კაუცკი ხელში გვჭირის ჩვენ პირველყოფილ კომუნიზმის ნაცვლად კლასობრივ საზოგადოებას, პირველყოფილ კომუნისტურ საზოგადოებაში ეძებს კლასობრივი წყობილების ყველა ნიშნებს, ასაბუთებს რა ამით კერძო საკუთრების, ხელისუფლების სპეციალური აპარატის, სამართლებრივი ნორმების — კაპიტალიზმის ამ ბურჯების — მარადიულობას...

ასეთია მდგომარეობა. ასე იყენებენ ძველ ისტორიას მარქსიზმ-ლენინიზმის მტრები.

რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ ძველ ისტორიაში. რა მდგომარეობაა ქართველების ძველი და უძველესი დროის ისტორიაში? — მეტად სამწუხარო და სავალალო. ჩვენს ისტორიოგრაფიაში კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში დღემდე ბატონობენ აშკარა ანტიმარქსისტული, რეაქციული შეხედულებები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

სულ უკანასკნელ დრომდე, 1932 წლამდე, საქართველოს ისტორიკოსებში უდაოდ ითვლებოდა კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობაზე პროფ. ივ. ჯავახიშვილის შეხედულება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ქრისტ. წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის ქართველ ტომებში გვაროვნული (უკლასო) წყობილებაა და ამავე დროს არსებობს სახელმწიფო ხელისუფლებაც, სახელმწიფოც. აქედან დასკვნა: სახელმწიფოს არსებობა არაა დაკავშირებული კლასების არსებობასთან, სახელმწიფო — ზეკლასობრივი ორგანიზაციაა. ამასთან, პროფ. ჯავახიშვილი იძლევა კლასების წარმოშობის ცნობილ ძალდატანების (დაპყრობის) თეორიას.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მთელ ამ შეხედულებას აწვდიდა საქართველოს ისტორიის გამოუკლებლივ ყველა სახელმძღვანელო ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას. მეტიც: ამ შეხედულებამ გვაროვნული საზოგადოებაში სახელმწიფოს არსებობის შესახებ გზა გაიკვლია, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის წყალობით, სამჭოთა დიდი ენციკლოპედიაშიაც. საჭირო შეიქმნა გამოსვლა სპეციალური შრომით (იხ. ჩვენი: „ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხებისათვის") იმისათვის, რომ ნათელგვეყო პროფ. ჯავახიშვილის შეხედულების სრული უსაფუძვლობა და რეაქციულობა.

ამის შემდეგ, იმათთვის მაინც, ვინც თავს მარქსისტ-ლენინელად სთვლიდა, უხერხული შეიქმნა პროფ. ჯავახიშვილთან ერთად იმის მტკიცება, რომ გვაროვნული საზოგადოებაში სახელმწიფო არსებობდა. და აი, 1931-1932 წ. წ. შეიქმნა პროფ. ჯავახიშვილის მოწაფეების — ჯანაშია-ბერძენიშვილის ახალი „სკოლა", რომელიც შეეცადა ჯავახიშვილის აშკარა რეაქციულ შეხედულებისათვის ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობაზე დაეპირისპირებია ამ საკითხზე ახალი შეხედულება. ჩვენ ხელთაა ამ „სკოლის" საკმაო პროდუქცია: ტფილ. სახ. უნივ-ს პროგრამა საქარ. ისტორიაში, განათლ. კომ-ს პროგრამა საშუალო სკოლებისათვის, დაუსწრებელი პედ. ინსტ-ს მშმ-ნელთათვის განაკვეთები, სადისერტაციო ნაშრომი და სავარო გამოსვლების ანგარიშები.

რას გვაძლევენ ჯანაშია-ბერძენიშვილი ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში.

სანამ ამ საკითხის — ჩემს გამოსვლაში ძირითადი საკითხის — გარჩევაზე გადავიდოდე, უნდა შევჩერდე ამ ამხანაგების (ჯანაშია-ბერძენიშვილის) აქ გამოსვლაზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც ერთის მათგანს ერთი სიტყვაც არ წამოუდენია თავის შეცდომების შესახებ. მეტიც: ამხ. ჯანაშიამ თავისი სიტყვა ძირითადად მოანდომა თავის გამართლებას. ყურადღების ღირსია განსაკუთრებით ის ხერხი, რომელსაც უკანასკნელი ამისთვის მიმარ-

თავს: თავისი შეხედულების გამართლება დასაბუთებისათვის. ჯანაშია აკრიტიკებს ჩემს ერთ ნაშრომს, იმ ნაშრომს, სადაც მოცემულია კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობაზე საქართველოს ისტორიკოსების შეხედულების მარქსისტულ-ლენინურ პოზიციიდან გარჩევის პირველი ცდა. საინტერესოა, რას უშველის ეს ჯანაშიას. ვსთქვათ, ჩემ ნაშრომში, რომელიც მიმართულია პროფ. ჯავახიშვილის სკოლის წინააღმდეგ, მართლაც არის ყველა ის შეცდომები, რომელზედაც ჯანაშიამ ილაპარაკა, გაამართლებს განა ეს ჯანაშიას ანტიმარქსისტულ-ანტილენინურ შეხედულებებს? ან შეიძლება ჯანაშია ცდილობს დაიცვას ჩემი კრიტიკისაგან ჯავახიშვილის სკოლის ზოგიერთი პოზიციები მაინც — ჯანაშიას აქ გამოსვლა, სამწუხაროდ, ამასაც გვაფიქრებინებს... ასე თუ ისე, ჯანაშიამ თავისი გამართლება დაუკავშირა ჩემ გაკრიტიკებას. ამიტომაც ჩვენც იძულებული ვხდებით შევჩერდეთ იმაზე, თუ რა შესძლო მან ამ მხრივ.

ჩემ ნარკვევში: — „ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის“ — მე მიზნად ვისახავდი დამესაბუთებია ორი ძირითადი დებულება: 1. ქრისტ. წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის ქართველ ტომებში (იგულისხმ. განს. იბერები) გვაროვნული წყობილების პირობებში სახელმწიფო ორგანიზაცია არ არსებობდა. საქართველოს ისტორიკოსებს არა აქვთ არავითარი მასალები იმისათვის, რომ ილაპარაკონ ამ დროს სახელმწიფო ხელისუფლების არსებობაზე. 2. საქართველოს ისტორიკოსების კლასების წარმოშობის ძალდატანებითი თეორია მოკლებულია ყოველგვარ ისტორიულ საფუძვლებს.

ამ ჩემი დებულებების დასასაბუთებლად მე მომყავს საკმაოდ დიდი ისტორიული მასალები. მე ვარჩევ და უკუვაგდებ ყველა იმ მოსაზრებებს, რომელნიც საქართველოს ისტორიკოსებს მოყავთ ამ დებულების წინააღმდეგ.

შეეცადა თუ არა ჯანაშია ამ ჩემი დებულების დარღვევას, იმ მასალების და მოსაზრებათა გაბათილებას, რომელნიც მე ამ დებულებების დასაცავად მომყავს.

სრულებით არა. ჯანაშია შეჩერდა ჩემს ნარკვევში მხოლოდ იმ ადგილებზე, სადაც მე ვიძლევი — მასალების უქონლობის გამო — ჰიპოტეზას, ელაპარაკობ იმაზე, თუ როგორ შეიძლება „დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ“ მდგომარეობა იმ ადგილებზე, რომელთაც კავშირი არა აქვთ ზემოთაღნიშნულ ჩემი ძირითადი დებულებათა დასაბუთებასთან. აქაც ჯანაშია არჩევს არა ჩემს ჰიპოტეზას მთლიანად, არა ჩემს აზრს, არამედ ცალკე წინადადებებს, ცალკე მოვლენათა დათარიღების საკითხს, მიმართავს რა ამისათვის კამათის მეტად თავისებურ ხერხს.

ჯანაშია ცდილობს, მაგ. დაარწმუნოს აუდიტორია, რომ მე არ ვიცი ფაქტები (და, მაშასადამე, საერთო არაფერი მაქვს ისტორიის მეცნიერებასთან). იგი ცდილობს დამტკიცოს, რომ მე არეული მაქვს თარიღები. ესეც რომ მართლა ასე იყოს, ვფიქრობ, მეპატიება მე — სპეციალობით არაისტორიკოსს, რამდენადაც თვითონ საქართველოს ისტორიკოსებს ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდი აქვთ (*ბიცილი*). მაგრამ, საინტერესოა, მაინც რა ცოდვები აღმომიჩინა იქ ისტორიკოსმა ჯანაშიამ.

უკანასკნელი მიმითითებს ორ შემთხვევაზე: ჩემს ნარკვევში მე განვიხილავ იბერიაში მეზუთე საუკუნიდან (ქრ. შ.) სოციალური უთანასწორობის უდავო არსებობის ფაქტს და დავსძენ: ეს ის ხანაა, როდესაც, ისტორიკოსების აზრით, იბერიაში უქმდება ე. წ. მეფობა... ჯანაშია მისწორებს: ასახელებს ზუსტად „მეფობის გაუქმების“ თარიღს. რას გავს ეს? მე ვლაპარაკობ ხანაზე, მთელ პერიოდზე, როდესაც გვაროვნული წყობილება იშლება და კლასობრივი საზოგადოება აღმოცენდება და ვითარდება, აღმოცენდება და ვითარდება სახელმწიფო ორგანიზაცია. რა მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში რამოდენიმე წელს ან, თუნდაც, ათეულ წლებს. შეიძლება თქვენ ეხლანდელ სახმით უდგებით ამ დროს და გგონიათ, რომ ოთხი-ხუთი წელი ათასი ხუთასი წლის წინათაც ისე ქმნიდა ეპოქას, როგორც ეხლა (*ტაში*). მაგრამ ხომ არც ეხლა შეიძლება ზუსტად განისაზღვროს, მაგ. სახელმწიფოს სიკვდილი, დავათარიღოთ ეს მოვლენა.

მეორე. ჯანაშიამ აღმომიჩინა ფაქტების ისტორიის უცოდინარობა იქ, სადაც მე ელაპარაკობ ბერძენ გეოგრაფი სტრაბონის მიერ მოცემულ იბერების აღწერი-

ლობაზე. ჯანაშიამ ამოიკითხა ჩემი ნარკვევიდან ის ადგილი (გვ. 10), სადაც მე ვამბობ, რომ ეს აღწერილობა ეკუთვნის ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისს. დიდი შეცდომაა ეს, ამბ. ჯანაშია? თუ დიდი შეცდომაა, თქვენც გაქვთ ეს „დიდი შეცდომა“ თქვენი „განაკვეთის“ №1-ში (გვ. 28). თქვენ სწერთ: „რა დროს ეკუთვნის ეს ჩვენება. სტრაბონის თხზულება ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგსაა შედგენილი“... მე ვწერ: „დასაწყისს“, თქვენ — „დამდეგს“. შეიძლება უკანასკნელი სიტყვა სჯობია პირველს (თქვენ ხომ ენათმეცნიერი ხართ, ამას დაგიჯერებთ), მაგრამ არსებითად, ვფიქრობ, განსხვავება არაა (*ტაში*). ჯანაშია: „მე წყაროზე ვლაპარაკობ“! მართალი ხართ: თქვენ წყაროზე, თხზულებაზე, აღწერილობაზე ლაპარაკობთ, მაგრამ აბა ხელმეორედ წაიკითხეთ ჩემ ნარკვევში ის ადგილი, რომელიც თქვენ წეღან ამოიკითხეთ და შემცდარათ მიიჩნიეთ: მეც სწორედ წყაროზე, აღწერილობაზე ვლაპარაკობ. რაო? თქვენ მეორე გვერდში დაზუსტებული გაქვთ? ამაშიც მართალი ხართ, მაგრამ აბა წაიკითხეთ ჩემი ნარკვევის მეორე გვერდიც: მეცა მაქვს დაზუსტებული (*სიცილი*). მე დავწერე 1930 წელს, რაც თქვენ დასწერეთ 1932 წელს.

აი, როგორ მაკრიტიკებს ისტორიკოსი ჯანაშია.

ჯანაშიას უკვირს ის, რომ მე პროფ. ჯავახიშვილს ვეთანხმები ერთში — ქრისტ. წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების არსებობის საკითხში და ვებრძვი მეორეში — ამავე დროს სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობის საკითხში. ჯანაშიას აზრით, ან ორივე საკითხში უნდა დავეთანხმო ჯავახიშვილს ან არც ერთში. სწორია ასეთი მსჯელობა. მე ვეთანხმები ჯავახიშვილს იქ, სადაც იგი სწორს პოზიციაზე სდგას, სადაც მისი პოზიცია დასაბუთებულია ფაქტებით, მიაღებია ჩემთვის. არ ვეთანხმები მას იქ, სადაც მისი დასკვნა არაა დასაბუთებული ფაქტებით, სადაც იგი ვერ დაეყრდნობა ისტორიულ მასალებს, სადაც მისი შეხედულება მიუღებელია ჩემთვის.

ჯანაშიას ეყო კადნიერება, წამოეყენებინა ჩემთვის, ჩემი ნარკვევისათვის ბრალდება სქემატიზმში, ფაქტების უგულებელყოფაში, თითქოს ჩემს დებულებებს საქართველოს ისტორიკოსების წინააღმდეგ მე ვასაბუთებდე არა ფაქტებით, არამედ მარქსისტულ-ლენინურ სქემაზე, ზოგად დებულებებზე მითითებით. იმან, ვისაც არამც თუ წაუკითხავს, არამედ ისე გადაუფურცლავს ჩემი ნაშრომი იცის, რომ ეს ბრალდება აშკარა და ყოვლად გაუმართლებელი ცილისწამებაა. ჩემ ნარკვევში არსად, არც ერთ სტრიქონში არ ვეყრდნობი მე მარქსიზმ-ლენინიზმის ზოგად დებულებებს, არსად, არც ერთ დებულების დასასაბუთებლად არ მივმართავ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს, საქართველოს ისტორიკოსების ყოველი დებულების წინააღმდეგ მე მომყავს ფაქტები, ისტორიული მასალები და, რაც მთავარია, არა ერთი და ორი. საქართველოს ისტორიკოსების არც ერთი მოსაზრება, რომელიც შეიძლება წამოყენებული იქნეს მათი დებულების დასაცავად, არ დამიტოვებია გაურკვეველად. მხოლოდ კვლევის ბოლოს, ყველა იმ მასალების განხილვის ბოლოს, რომელიც მოეპოვება საქართველოს ისტორიულ მეცნიერებას, მე ვასკვნი, რომ აქაც — ქართველ ტომებში კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ისტორიული მასალების განხილვის დროსაც — დასტურდება ჩვენთვის სრულიად უდავო ჭეშმარიტება, მარქსისტულ-ლენინური შეხედულება კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ.

ეს სქემატიზმია? ფაქტების უგულებელყოფა?

უნდა გავახსენო ჯანაშიას, რომ მე ჯერ კიდევ 1931 წ. მოუწოდებდი ჩვენ ამხანაგებს, შეესწავლათ ისტორიული ფაქტები (წარმოიდგინეთ: მეფეების, დედოფლების და ბერების ისტორიაც).

თუ ვილაპარაკებთ სქემატიზმზე, ფაქტების უგულებელყოფაზე, უნდა განვაცხადო, რომ ეს სწორედ თქვენ გაქვთ, ისტორიკოსო ჯანაშია. აბა აიღეთ თქვენი საქართველოს ისტორიის „განაკვეთი“ №2 — სახელმწიფოს საკითხი: ნახეთარზე მეტი რომ სახელმწიფოზე ზოგად მსჯელობას აქვს დათმობილი, ციტატებს მარქსის, ენგელსის და ლენინის შრომებიდან (*ხმა:* კარგია, სწორია!). რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებები კარგია და სწორია, ეს უდავოა, მაგრამ როცა ისტორიკოსი იკვლევს სახელმწიფოს წარმოშობას და განვითარებას ქართველ ტომებ-

ში, აქ აუცილებელია ამ უკანასკნელთა შესახებ ფაქტიური მასალების გარჩევა მარქსისტულ-ლენინურ მეთოდზე დაყრდნობით და არა იმის მტკიცება, რომ მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი „საერთოდ“ მართალნი არიან, მარქსიზმ-ლენინიზმი „საერთოდ“ სწორია.

შემდეგ ჯანაშია თავის „ისტორიულ“ კვლევებში ამტკიცებს, რომ ქურუმები (ქართველ ტომებში კლასების აღმოცენებისას) გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ. ხომ ამბობთ ასე, ამხ. ჯანაშია? (ჯანაშია: არ ვამბობ, მე ვამბობ, რომ ისინი მონათმფლობელები არიან). მაშინ მეხსიერება გღალატობთ. მე ეხლავე გაგახსენებთ. ამას თქვენ ამბობთ არა ერთ ადგილას. „საშუალო სკოლის პროგრამებში“, გვ. 43: „მონათმფლობელი ქურუმები, როგორც გაბატონებული კლასი“. „საქ. ისტ.“ განაკვ. №2, გვ. 22: ... „ქურუმების გაბატონებულ კლასად ჩამოყალიბება მეურნეობის ხასიათზეა დამოკიდებული“... და სხვა (ეხლა ალბად გაგახსენდათ).

აბა, სად მოგეძებნებათ რამე საბუთის მსგავსი იმისათვის, რომ ასე ამტკიცოთ. რა არის ეს, თუ არა სქემატიზმი და მერე, როგორც შემდეგ ვნახავთ, სრულიად არამარქსისტული რამ?! (ჯანაშია: სტრაბონის ცნობაშია მეორე გენეს შესახებ, მათ ხელში იყო საგარეო საქმიანობა, დიპლომატია. *ტაში*). აჰა, ეს იყო, ეხლა უარყოფდით იმას, რომ ნათქვამი გაქვთ რამე ქურუმებზე, როგორც გაბატონებულ კლასზე. ეხლა კი, როცა ეს გაგახსენეთ და ამის უარყოფა არ ძალგიძთ, ცდილობთ დაასაბუთოთ, რომ ქურუმები მართლაც გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ. თქვენი უბედურებაც იმაშია, რომ სტრაბონის ცნობა სრულებით არაფერს ლაპარაკობს იმაზე, რომ ქურუმები გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ. ქურუმები არიან, უნდა იცოდეთ, ისტორიკოსი ჯანაშია, გვაროვნულ წყობილებაში და აქ ისინი ხშირად ასრულებენ იმ როლს, რომელზედაც ლაპარაკი აქვს სტრაბონს. ეს კიდევ ძალიან შორსაა თქვენებურ „დიპლომატობისაგან“, ეს გარემოება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ქურუმები გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ. მერე: ყველაფერი ის, რაც ქართველ ტომების ისტორიაში მოგვეპოვება (5-8 ს. ს. ქრ. შ) ხომ სრულიად საწინააღმდეგოს ამბობს.

ან, ამხ. ჯანაშია, ვისი კვლევებშია ფაქტების უგულებელყოფა, სქემატიზმი.

დასასრულ, ჯანაშია მიყენებს ერთი პრინციპიალური ხასიათის ბრალდებას. მე ვასაბუთებ, რომ საქართველოს ისტორიკოსების მიერ შეთხზული კლასების წარმოშობის ძალდატანების თეორია (დიდი, ძლიერი გვარი იმორჩილებს პატარებს, სუსტებს) მოკლებულია ყოველგვარ საფუძვლებს. ისტორიული მასალების საფუძველზე ვცდილობ ვაჩვენო, რომ შრომის განაწილების საფუძველზე ხდება გაბატონებულ კლასებად. ამასთან დაკავშირებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ შრომის განაწილების საფუძველზე შიგნით გვარში აღმოცენებული გაბატონებული ფენა (თავის აღმოცენებისას) ასრულებს „საზოგადოებრივ საჭირო ფუნქციას“. ჯანაშიას ეს მიაჩნია მარქსიზმ-ლენინიზმის აშკარა ღალატად. ამას ჯანაშია უპირისპირებს გერმანელებში კლასების და სახელმწიფოს აღმოცენების მაგალითს. აქ (ამ დისკუსიაში) მან ჩემს წინააღმდეგ მოიყვანა ენგელსის წიგნიდან („ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“) ის ადგილი, სადაც ლაპარაკია გერმანელებში სახელმწიფოს აღმოცენებაზე. იცის თუ არა ამხ. ჯანაშიამ, რომ ეს შემთხვევა არ არის კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ტიპიური შემთხვევა, რომ სწორედ ამ ადგილს ეყრდნობიან და მას ანზოგადოებენ კუნოვი და კაუცკი, რომ მას იყენებენ უკანასკნელნი თავიანთი რეაქციული თეორიის დასასაბუთებლად (ჯანაშია: ამხ. თავმჯდომარე, მე ვაცხადებ პროტესტს ასეთი კამათის წინააღმდეგ. გთხოვთ გასინჯოთ სტენოგრამა და დაადასტუროთ, რომ მე ვთქვი ჩემს სიტყვაში, რომ ეს არ არის ტიპიური შემთხვევა და სოსელია მართალი არის მეთქი. *ტაში*). მართალი ხართ, ამხ. ჯანაშია, თქვენ მართლაც სთქვით, რომ ეს (გერმანელებში სახელმწიფოს აღმოცენება) არაა ტიპიური შემთხვევა. მაგრამ მით უარესი თქვენთვის. თქვენ გცოდნიათ, რომ გერმანელებში კლასების და სახელმწიფოს აღმოცენება

არაა ტიპიური, რომ იქ სახელმწიფო აღმოცენდა დაპყრობით, რომ ამ გარემოებას იყენებენ კუნოვი და კაუცკი თავიანთი რეაქციური თეორიის დასასაბუთებლად და თქვენ, მიუხედავად ამისა, რომ ეს იცით, მაინც მოგყავთ ეს ადგილი, კლასების და სახელმწიფოს აღმოცენების შემთხვევა დაპყრობის საშვალებით და ამას უპირისპირებთ ჩემს იმ შეხედულებას, რომელიც მიმართულია დაპყრობითი, ძალადობითი თეორიის წინააღმდეგ, ე. ი. თქვენ, გამოდის, შეგნებულად დგებართ დაპყრობითი თეორიის თვალსაზრისზე. მართალი უნდა გითხრათ: როცა თქვენ ეყრდნობით გერმანელებში კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის შემთხვევას, იცით რა ამასთან თურმე, რომ ეს შემთხვევა „ტიპიური არ არის“ — და როცა ამ შემთხვევაში ტაშს გიკრავთ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, ეს მე ძალიან მაფიქრებს. მე მგონია, ამან უნდა დააფიქროს ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც...

ამის შემდეგ ნება მომეცით, დაუბრუნდე ჩემი აქ გამოსვლის ძირითად საკითხს. რა მოგვცენ ჯანაშია-ბერძენიშვილმა ქართველ ტომებში სახელმწიფო ჯავახიშვილის რეაქციული შეხედულებებისათვის დაპირისპირებიათ მარქსისტულ-ლენინური შეხედულება ამ საკითხზე?

მარტო ის გარემოება, რომ ჯანაშიას (და ალბად ბერძენიშვილსაც) ჰგონიათ, რომ ჯავახიშვილს არავითარი მსოფლმხედველობა არა აქვს ან თუ აქვს, ეს მისი ნაციონალიზმია და მეტი არაფერი (იხ. ჯანაშიას აქ გამოსვლა). მარტო ეს გარემოებაც გვაძლევს უფლებას დავეჭვდეთ იმაში, რომ ჯანაშია-ბერძენიშვილის ცდა ჯავა ხიშვილის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთ საკითხში, როგორიც ეს სახელმწიფოს საკითხი არის, დამაკმაყოფილებელი იქნეს...

მართლაც, ამხ. ჯანაშია-ბერძენიშვილმა სამტრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს პროფ. ჯავახიშვილს სწორედ იმ საკითხში, სადაც ეს უკანასკნელი სდგას სავსებით სწორ პოზიციაზე. მათ მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარეს ჯავახიშვილის იმ მტკიცების უარყოფას, რომლისთვის უნდა ჩაეჭიდა ხელი მარქსისტ-ლენინელს. თუ პროფ. ჯავახიშვილი მე-19 ს. ასეთ ბურჟუაზიულ მეცნიერებთან ერთად, როგორიც იყვნენ პოსტი, მენი, კოვალევსკი და სხვ., ფაქტებმა იძულებული ჰყო, ელიარებია გვაროვნული წყობილების არსებობა, თუ მან ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით დაასაბუთა ქრისტ. წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების არსებობა, ჯანაშია-ბერძენიშვილმა სწორედ ამაში დაინახეს ჯავახიშვილის მთელი რეაქციულობა. მომხსენებელი მაგ. ასე ახასიათებს ჯანაშიას (იგივე ითქმის ბერძენიშვილის შესახებ): „როგორც ვიცით, ჯავახიშვილის ანტიმარქსისტული, ბურჟუაზიული ბუნება მდგომარეობს არა იმაში, რომ იგი სცნობს გვაროვნულ საზოგადოების არსებობას სტრაბონის დროინდელ იბერიაში, არამედ იმაში, რომ იგი ცდილობს დამტკიცოს ამ გვაროვნულ წყობილების ნიადაგზე სახელმწიფოს არსებობის ფაქტი. ს. ჯანაშია თავის კრიტიკის მახვილს მიმართავს ჯავახიშვილის არა ამ ბურჟუაზიულ შეხედულების წინააღმდეგ, არამედ იმ დებულების წინააღმდეგ, რომ სტრაბონის დროინდელი იბერიაში გვაროვნული წყობილება არსებობდა“.

ე. ი. ჯანაშია-ბერძენიშვილი შეებრძოლენ პროფ. ჯავახიშვილის არა ანტიმარქსისტულ, ბურჟუაზიულ შეხედულებას, არამედ მის სავსებით სწორ პოზიციას. თუ პროფ. ჯავახიშვილი გვაროვნულ საზოგადოებაში ეძებდა სახელმწიფო ორგანიზაციას, ჯანაშია-ბერძენიშვილი სახელმწიფოსაც და კლასობრივ საზოგადოებას ეძებენ იქ, სადაც გამოუკლებლივ, ყველა ისტორიკოსების მტკიცებით, არსებობდა გვაროვნული წყობილება...

ქართველ ტომების შესახებ ქრისტ. წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის ყველაზე უფრო სიმედო ცნობად ბერძენ გეოგრაფის სტრაბონის აღწერილობა ითვლება. აქ არის მოცემული იბერიის (ეხლანდ. აღმოს. საქართვ.) საზოგადებრივი წყობილების აღწერილობა. ლაპარაკია იმაზე, რომ იბერიაში ოთხგვარი ხალხია: ერთნი ბაზილევსს სვამენ, მეორენი ქურუმობენ, მესამენი მეომრები და მიწის მომჭედნი არიან, მეოთხენი ბაზილევსის მონებს წარმოადგენენ. ქონება მათი საერთოა სა-

გვარეულოთა მიხედვით... არც ერთ ისტორიკოსს (მხედველობაში გვაქვს ასე თუ ისე ცნობილი ისტორიკოსი) არსად და არასოდეს ეჭვი არ შეუტანია იმაში, რომ სტრაბონის ეს აღწერილობა ლაპარაკობს იბერიაში გვაროვნული წყობილების არსებობაზე. ჯანაშია-ბერძენიშვილი კი სწორედ აქ ცდილობენ გამოქექონ კლასობრივი საზოგადოების ნიშნები. აქ წარმოდგენილია თურმე „არა გვაროვნული საზოგადოება, თუნდაც რღვევის გზაზე შემდგარი, არამედ გარკვეული კლასობრივი საზოგადოება". სტრაბონის მიერ მითითებულ ოთხგვარ ხალხში მოცემულია თურმე „დიფერენცირებული, დანაწევრებული, საზოგადოების სოციალურად განსხვავებული ერთეულები". კლასობრივ საზოგადოებაში კი სახელმწიფო აუცილებელია (ს. ჯანაშია. „საქართ. ისტორია", განაკ. №2).

რა საბუთი მოყავთ ჯანაშია-ბერძენიშვილს ამ აზრის დასამტკიცებლად?

პირველი: სტრაბონი ლაპარაკობს ბაზილევსზე, რაც თურმე მეფეს, მონარქს ნიშნავს.

მეორე: სტრაბონი ლაპარაკობს მონებზე, მაშასადამე, მონობა არსებულა.

მესამე: სტრაბონის დროს და მასზე წინათ არის ხმარებაში თურმე ლითონის ფული, რაც ხელმწიფის არსებობას გულისხმობს.

მეოთხე: სტრაბონი ლაპარაკობს თურმე ქალაქებსა და დაბებზე, სადაც „გხედება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესების თანახმად აგებული სახლები". ამის გარდა, ბერძნული მეფის თანახმად, არგონავტები კოლხიდაში ოქროს ვერძს დაეძებენ.

მეხუთე: ტაციტის ცნობით, „იბერებს ჰფლობს ფარსმონი, მფლობელობს ძველის-ძველი უფლების თანახმად", რაც თურმე ხელისუფლების მემკვიდრეა.

მეექვსე: რომელიღაც რომაელმა სარდალმა (65 წ. ქრ. წ.) მძევლები მოსთხოვა ქართველთა ბაზილევს და არა ხალხს, რაც თურმე სახელმწიფო წყობილების არსებობას გულისხმობს.

მეშვიდე: ქართველ ბაზილევსებს უცხოეთის მეფეები უგზავნიან სამეფო ტანსაცმელებს, სპილოს, მეომრებს და სხვა საჩუქრებს, რაც თურმე იმას ნიშნავს, რომ ბაზილევსი ნამდვილი მონარქია, სახელმწიფო უეჭველად ჩამოყალიბებულია.

აი, სია იმ „საბუთებისა", იმ ისტორიულ მასალებისა, რომელნიც ხდიან თურმე უეჭველს იბერიაში ქრისტ. წელთაღრიცხვის დამდეგისათვის სრულიად ჩამოყალიბებული კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობის ფაქტს.

განა ძნელი დასანახია, რომ არც ერთი აქ მოყვანილი მითითება არაფერს ლაპარაკობს სტრაბონის დროინდელი იბერიაში კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობაზე?

პირველი: ბერძნული ბაზილევსი სრულებით არ ნიშნავს მეფეს — მონარქს. საქართველოს ისტორიკოსები ატყუებენ პირდაპირ ჩვენს ახალგაზრდობას, როცა ბაზილევსს სთარგმნიან მეფედ. ბაზილევსს მეფედ გვიხატავდენ, როგორც მარქსი და ენგელსი შენიშნავენ, „ევროპიელი მეცნიერები, რომელნიც, უმეტეს ნაწილად, მეფეების მსახურებად არიან დაბადებულნი". სტრაბონის ბაზილევსი ნიშნავს წინამძღოლს, სამხედრო ხელმძღვანელს, ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების დროინდელ მამასახლისს ან სამხედრო წინამძღოლს. ქართველ ტომთა ისტორიაში მრავალი მასალა მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ ამ მამასახლისებს არაფერი საერთო მეფესა და მეფის ხელისუფლებასთან არ ჰქონდათ (იხ. ჩვენი „ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის").

მეორე: სტრაბონი ამბობს მხოლოდ მონებზე, რომელნიც ემსახურებოდნენ ბაზილევს. მონების ამ სახით არსებობა სრულებით არაფერს ლაპარაკობს კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს არსებობაზე (ამაზე იხ. ქვემოთ).

მესამე: სტრაბონის დროს და მასზე წინათ ადგილობრივი მკვიდრთა ფულის მოჭრის შესახებ ისტორიაში არაფერი ცნობები არ არის. ჯანაშია-ბერძენიშვილს მხედველობაში აქვთ „კოლხური თეთრი", მაგრამ ეს, ჯერ ერთი, კოლხეთში ყოფილა და არა იბერიაში და, მეორე, როგორც თითონ ჯანაშია სწერს, „ჯერ გარკვეული არ არის „კოლხური თეთრის"

„მომჭრელთა ვინაობა“ (ჯანაშია: არსებობს მეფის არისტარხის ფული წარწერით: კოლხეთის მეფის არისტარხისა. ბერძნიშვილი: ამაზე თქმული იყო და ანგარიში უნდა გაგეწიათ). არისტარხის ფულის არსებობა თქვენ სასარგებლოდ არაფერს ლაპარაკობს. პირიქით. თქვენ ჩემზე უფრო კარგად უნდა იცოდეთ, რომ რექსი (არა მეფე) არისტარხი დაყენებული იყო რომაელების მიერ დაპყრობილ კოლხეთის ტომების მმართველად. სწორედ რომაელების მიერ არის მოჭრილი ის ფული, რომელსაც თქვენ ებღაუჭებით (წარწერაც ხომ რომაულია). არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ „კოლხური თეთრი“ ან სხვა რომელიმე ფული, მოჭრილი ადგილობრივი მკვიდრთა — ქართველ ტომების მიერ, იყო ხმარებაში ქრისტ. წელთაღრიცხვის დამდეგამდე ან ამ დროს თუნდაც კოლხეთშიაც. პირიქით, სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ფული, თუ ფულები შემოტანილი იყო უცხოელების მიერ ან მოჭრილი კოლხეთში უცხოელთა კოლონიებში (ეს კოლონიები შავი ზღვის ნაპირას ხომ ბევრი იყო). კოლხეთის მუზეუმში, მაგ. ნეოლიტიური ადამიანის იარაღების გვერდით ნახავთ არა მარტო „კოლხურ თეთრს“. აქ არის ფული ალექსანდრე მაკედონელის, ანტონის და კლეოპატრას, ნერონის, დიდი მიტრიდატის, დიდი ტიგრანის, იმპერატორ კონსტანტინეს და ელენეს და სხვ. ამ ფულების არსებობის ფაქტი არა რას ამბობს ქართველ ტომებში კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობის შესახებ.

მეოთხე: არც ქალაქებზე მითითება და არც „ოქროს ვერძის“ არსებობა კოლხეთში (მითებში კი არა, სინამდვილეშიც) არაფერს ლაპარაკობენ აუცილებლად კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის ფაქტზე. ოქროს და სხვა კეთილშობილი ლითონი შეიძლება ბლომად მოპოვებოდეს პირველყოფილი გვაროვნულ თემსაც. ქალაქებისა და ხუროთმოძღვრების ისეთი განვითარება, რომელზედაც არის მითითება სტრაბონის დროინდელ იბერიაში და კოლხეთში, სავსებით და თავისუფლად თავსდება გვაროვნული საზოგადოების ფარგლებში (შეად. ქვემოთ ჰომეროსის დროინდელი ბერძნების აღწერილობა).

მეხუთე: ტაციტის თუ სხვა უცხოელი მწერლის მითითება იმაზე, რომ ბაზილევსი (მამასახლისი, სამხედრო წინამძღოლი) მართაედა „ძველის-ძველი უფლებით“, სრულებით არ ნიშნავს ხელისუფლების აუცილებლად მემკვიდრეობით მიღებას. აქ უფრო საფიქრებელია, რომ ლაპარაკია ძველის-ძველი ადათის საფუძველზე ბაზილევსის წინამძღოლობის შესახებ. მაგრამ კიდევაც რომ დამტკიცდეს სტრაბონის დროინდელ ხანაში ბაზილევსობის მემკვიდრეობით გადასვლა, არც ეს ლაპარაკობს კიდევ კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობის ფაქტზე. როგორც ვიცით, იროკეზების კონფედერაციაში (გვაროვნული წყობილების პირობებში) შექმნილი სამხედრო ხელმძღვანელის ორი მუდმივი თანამდებობა მემკვიდრეობით იყო: ერთი — ერთ გვარში, მეორე — მეორე გვარში. ბერძნებშიც ჰომეროსის დროინდელ გვაროვნული წყობილების დროსაც გვაქვს მემკვიდრეობით წინამძღოლობა და მემკვიდრეობით მონარქიის ჩანასახიც კი (იხ. ქვემოთ).

მეექვსე და მეშვიდე: არც ის გარემოება, რომ რომაელი სარდალი მძევლებს მოსთხოვს ქართველთა ბაზილევს და არა ხალხს და არც ის, რომ ქართველ ტომების თუ გვარების ბაზილევსის უცხოეთის მეფეები უგზავნიან სამეფო ტანსაცმელს, სპილოს, მეომრებს ან კიდევ სხვა საჩუქრებს, რაც ერთი ეს გარემოება არაფერს ამბობს მაშინდელ ქართველ ტომებში კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობის შესახებ.

კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფო ორგანიზაციის სხვა რა ნიშნები მოპოვებათ ჯანაშია-ბერძენიშვილს ორი ათასი წლის წინანდელ იბერიელებში?

ვის რა საბუთი აქვს ამტკიცოს, რომ იმდროინდელი ქართველი ტომები თავის განვითარების გზაზე უფრო შორს იყვნენ წასულნი, ვიდრე ჰომეროსის დროინდელ ბერძნები?

„განვითარებული რკინის იარაღი, სამჭედლოს საბერველი, ხელის წისქვილი, კეცი, ზეთის და ღვინის მომზადება,

განვითარებული, მხატვრული ხელოსნობაში გარდამავალი მელითონეობა, ურემი და საომარი ეტლი, გემების აშენება ძელებისა და ფიცრებისაგან, ხუროთმოძღვრების დასაწყისი როგორც ხელოვნებისა, გალავნით და კოშკებით გარს შემორტყმული ქალაქები" — აი, როგორ აგვიწერს ფრ. ენგელსი ბარბაროსების ზედა საფეხურს, ე. ი. ისეთ პერიოდს, სადაც ჯერ კიდევ ძალაშია გვაროვნული საზოგადოება (იხ. ფრ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა", გვ. 27).

ვის რა საბუთი აქვს ამტკიცოს, რომ ორი ათასი წლის წინათ ქართველი ტომები განვითარების ამ საფეხურს გადაცილებული იყვნენ?

ფრ. ენგელსის აზრით, გვაროვნული საზოგადოებიდან კლასობრივ საზოგადოებაში (ბარბაროსობის ზედა საფეხურიდან ცივილიზაციაში) გადასვლის დამახასიათებელი ნიშანია „ასოებად განწევრებული დამწერლობის გამოგონება და მისი გამოყენება სალიტერატურო მიზნებისათვის". აბა ვინ იტყვის, რომ ასეთი დამწერლობა ჰქონდათ ქართველ ტომებს ქრისტ. წელთაღრიცხვის დამდეგს?

ფრ. ენგელსი აი როგორ აგვიწერს ჰომეროსის დროინდელ ბერძნების საზოგადოებრივ წყობილებას: „შემოღებული იყო მამის უფლება და ქონების გადაცემა შვილებზე. ეს ხელს უწყობდა სიმდიდრის დაგროვებას ოჯახის ხელში, რის წყალობითაც ოჯახი ძალად იქცა გვარის წინააღმდეგ. სიმდიდრე-სიღარიბის წარმოშობა ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებრივ წესწყობილებაზე იმით, რომ ხელს უწყობდა მემკვიდრეობითი თავადაზნაურობის და მონარქიის ჩასახვას. იქმნებოდა მონობა ჯერ მხოლოდ სამხედრო ტყვეებისაგან, მაგრამ ტენდენციით საკუთარი მეტომეებისა და მეგვარეების დამონებისაკენ. ძველებური ბრძოლა ტომებს შორის უკვე სისტემატიურად ყაჩაღობად იყო გადაგვარებული, იგი რეგულაციული შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა და შინაური საქონლის, მონების განძეულობის ხელში ჩაგდებად ხდებოდა. ერთი სიტყვით, ამ დროს ბერძნები სიმდიდრეს პატივს სცემდენ და შესხმას უძღვნიდენ როგორც უდიდეს სიკეთეს, ხოლო ძველ გვაროვნულ წესწყობილებას ბოროტად იყენებდენ, რათა სიმდიდრის მოტაცება გაემართლებიათ" („ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა", გვ. 125) (ჯანაშია: მონეტა იყო ჰომეროსის ხანაში?) არ იყო. მაგრამ მონეტა, როგორც ვაჭვენეთ, არც ქართველ ტომებს ჰქონიათ ქრ. წელთაღრიცხ. დამდეგისათვის...

და აი, ასეთ სიმაღლემდე ასული საზოგადოებაც ენგელსს მიაჩნია გვაროვნულ საზოგადოებად. აქ, ენგელსის აზრით, ჯერ კიდევ სრულ ძალაშია გვაროვნული წყობილება, გვაქვს მხოლოდ დასაწყისი მისი დაშლის. ამ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არაა სახელმწიფო ორგანიზაცია.

ამასვე ამბობს ფრ. ენგელსი ე. წ. მეფობის დროინდელ რომაელების შესახებაც. ამ დროს, ე. ი. მაშინ, როცა, ისტორიკოსების მტკიცებით, რომში მეფობაა, ენგელსის აზრით, ჯერ კიდევ ძალაშია გვაროვნული წყობილება, ჯერ კიდევ არ არსებობს სახელმწიფო ორგანიზაცია („ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა", გვ. 151-152).

ვის რა საბუთი აქვს სთქვას, რომ ქრისტ. წელთაღრიცხვის დამდეგისათვის ქართველი ტომები საზოგადოებრივი წყობილების განვითარების მხრივ უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე ენგელსის მიერ აღწერილი ბერძნები და რომაელები?

ვიმეორებთ: ჯანაშია-ბერძენიშვილი ეძებენ კლასობრივ საზოგადოებას და სახელმწიფო ორგანიზაციას იქ, სადაც, უდავოდ, გვაროვნულ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე (ჯანაშია: ეგ არ არის მართალი).

ნუ თუ არ იციან ჯანაშია-ბერძენიშვილმა ის, თუ ვის საქმეს აკეთებენ ამით? ნუ თუ მათ არ იციან ის, თუ როგორ ებრძოდენ მარქსი და ენგელსი იმ ისტორიკოსებს (გროტს, მომზენს და სხვ.), რომელნიც ასე გულმოდგინედ (სწორედ ისე როგორც ჯანაშია-ბერძენიშვილი) ეძებდენ კლასობრივ საზოგადოებას და სახელმწიფო ორგანიზაციას იქ, სადაც გვაროვნული საზოგადოება არსებობდა? ნუ თუ რა იციან ჯანაშია-ბერძენიშვილმა ის, თუ როგორ გულმოდგინედ ეძებდა ფრ. ენგელსი ძველ ისტორიასა და ეთნოგრაფიაში არა კლასობრივი საზოგადოებასა და სახელმწიფო ორგანიზაციას,

არამედ, პირიქით, გვაროვნული წყობილების ნიშნებს? ნუ თუ რა იციან ჯანაშია-ბერძენიშვილმა, რომ თავიანთი „ისტორიული კვლევით" ისინი აკეთებენ II ინტერნაციონალის თეორეტიკოსების საქმეს.

გვაროვნული წყობილების კლასობრივი საზოგადოებად გასაღების ცდასთან ერთად ჯანაშია-ბერძენიშვილი ღებულობენ პროფ. ჯავახიშვილის ძალდატანების თეორიას კლასების აღმოცენების საკითხში (ჯანაშია. მაგალ., ტფილის. სახ. უნივერსიტეტში თავის საჯარო გამოსვლაში პირდაპირ დადგა კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის ძალდატანების (დაპყრობის) თეორიის თვალსაზრისზე), გვაძლევენ სხვა და სხვა საკითხებში აშკარა ანტიმარქსისტულ შეხედულებებს.

მოვიყვანთ ორ მაგალითს.

სტრაბონის მიერ მოცემულ იბერების აღწერაში, ჯანაშიას აზრით, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ნაგულისხმევია აშკარა კლასობრივი საზოგადოება. საინტერესოა, ვინაა გაბატონებული კლასი? — მონათმფლობელი ქურუმები (განათლ. კომის პროგრამა საშუალო სკოლებისათვის, 1933, გვ. 43; ჯანაშიას „საქ. ისტ." განაკვ. №2, გვ. 21 და სხვა). როგორ ჩამოყალიბდენ ქურუმები გაბატონებულ კლასად? — „შრომის საზოგადოებრივი განაწილების პროცესის სპეციფიურ პირობებში ქურუმები წარმოების ორგანიზატორებად იქცევიან, რადგანაც — გვეხსნის ჯანაშია — მათ ხელთ არის მთელი იმ დროინდელი „მეცნიერება" (განაკ. №2, გვ. 22). (ჯანაშია: თქვენ სწორედ ამოიღეთ ჩემი აზრი, აიღეთ სხვა ადგილი, სადაც მე განვმარტავ, ვინ არიან ქურუმები). მე წავიკითხე ის, რაც თქვენ გიწერიათ, თუ გნებავთ წავიკითხავ მთელ ორ გვერდს. გიწერიათ სადმე, რომ ამ შემთხვევაში თქვენ ცდებით? კარგი საქმეა, მაგრამ ასეთი განცხადება თქვენ არსად არა გაქვთ (ჯანაშია: მარქსს...) მარქსი არაფერ შუაშია. მარქსი ლაპარაკობს ინდოეთის თემზე. ინდოეთის თემი, უნდა იცოდეთ, პირველყოფილი თემი არაა. სწორედ მარქსის ამ ადგილს ცდილობენ დაეყრდნონ ზოგიერთები თავიანთი ანტიმარქსისტულ შეხედულების დასასაბუთებლად (*ხმა:* მართალია, სწორია!).

იცის თუ არა ჯანაშიამ ის, თუ ვისია ეს შეხედულება? იცის თუ არა მან, რომ ეს ფიუსტელ დე-კულანჟის, ფრეზერის და სხვ. რეაქციონერ ისტორიკოსების, რუსეთში კი ბოგდანოვის შეხედულებაა? საინტერესოა, რა ისტორიული საბუთი მოეპოება ჯანაშიას ამ ანტიმარქსისტული შეხედულების დასასაბუთებლად? — არავითარი (ჯანაშია: ასე კამათი არ შეიძლება. თქვენ სწორეთ არ განმარტავთ).

შემდეგ. სტრაბონის მითითებაში ოთხგვარ ხალხზე იბერიაში, ჯანაშიას აზრით, ლაპარაკია კლასებზე, კლასობრივ დიფერენციაციაზე. გაბატონებული კლასი მეორეგვარი ხალხი (ქურუმობა) ყოფილა. მეფეს კი რომელი კლასი სჭამს? სახელმწიფო ხელისუფლება ვის ხელშია? პირველი გვარი ხალხის ხელში, ე. ი. გამოდის, ეკონომიურად გაბატონებული კლასი ერთია, მმართველი კლასი კი — მეორე.

შეიძლება, ჯანაშია-ბერძენიშვილს ესეც მარქსიზმ-ლენინიზმად მიაჩნიოთ?

ვათავებ რა ჩემს სიტყვას, აღვნიშნავ ერთ გარემოებას: ჯანაშია-ბერძენიშვილის სახით ჩვენ გვყავს ახალგაზრდა, ენერგიით სავსე ისტორიკოსები, რომელთაც ჰსურთ მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებიდან იბრძოლონ საქართველოს ისტორიის საკითხებში. მაგრამ მარტო სურვილი (იყო მარქსისტ-ლენინელი) არ კმარა. ამხანაგები უნდა დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმს და მაშინ, თუ აღნიშნული ამხანაგები გულწრფელად იმუშავებენ, ჩვენ ასე არ დავშორდებით ერთმანეთს, ყოველთვის მოვნახავთ საერთო ენას (*ტაში*).

თავმჯდომარე: შემდეგი სიტყვა ეძლევა *პროფ. ყაუხჩიშვილს.*

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი: ამხანაგებო, სამწუხაროთ, ჩვენი რექტორის მოხსენება არ მომისმენია, რადგან მაშინ ტფილისში არ გახლდით, მაგრამ ორი საღამოა კამათს ვისმენ და სრულიად ნათელია ჩვენთვის ის საკითხები, რომლებიც ჩვენს სხდომებზე დასმული არის. ეს საკითხები გახლავთ საერთო მდგომარეობა ჩვენს ისტორიულ ფრონტზე, მდგომარეობა საქართველოს საისტორიო კვლევა-ძიებისა და მეორე საკითხი, კერძოდ, პროფ. ი. ჯავახიშვილის შესახებ.

ისტორიის დარგში ყოველი მომუშავე ჩვენს უნივერსიტეტში უსათუოთ ვალდებულია ამ საკითხებს გამოეხმაუროს და მეც ჩემს მოსაზრებებს მოგახსენებთ ორივე ამ საკითხზე.

უდავოა, ამხანაგებო, რომ საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევა-ძიება არ არის სასურველ მდგომარეობაში. რომ დღემდე ჩვენ საქართველოს ისტორიაში არც ერთი დამაკმაყოფილებელი სახელმძღვანელო არ მოგვეპოვება, უსათუოთ არის იმის შედეგი, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩვენი მუშაობა ამ დარგში მოისუსტებდა. შეიძლება ითქვას თვით ჩვენს უნივერსიტეტში წარსულ წლებში ადგილი ქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც საისტორიო წყაროებს უგულებელყოფდნენ თვით ჩვენი ზოგიერთი ხელმძღვანელები, როდესაც საისტორიო წყაროების მიწოდების მაგიერ აუდიტორიაში სტუდენტებისათვის უფრო მიზანშეწონილად იყო დანახული ზოგადი მოხაზულობის მიცემა.

დღეს ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ მხრივ სწორედ ისტორიის ფაკულტეტზე სათანადო ნაბიჯები არის გადადგმული იმისათვის, რომ წყაროები, რომელთაც ერთი მკვლევარი ერთნაირ ინტერპრეტაციას უკეთებდა, მეორე კიდევ სხვანაირს და მასობრივად ეს წყაროები მიუწდომელი იყო, რომ ეს წყაროები მისაწვდომი გამხდარიყო. დღეს უკვე ჩვენ იმის მოწმე ვართ, რომ ამ მხარეს უაღრესად დიდი ყურადღება ექცევა.

ყველას კარგათ მოეხსენება ის ზომები, რომლებიც მიღებული არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა მიერ ამ მხრივ.

რამდენადაც საკითხი საქართველოს ისტორიის კვლევითი საკითხებს შეეხება, მე მინდა დაუმატო მხოლოდ ის, რაც გამორჩათ აქ გამოსულ ამხანაგებს. სახელდობრივ ის, რომ საქართველოს ისტორიის კვლევის საკითხი ხშირად წარმოუდგენიათ ცალმხრივათ, უშუალოთ იმ წყაროების მიხედვით, რომლებიც მეტ წილათ ქართულია. ამ მხრივ, მე ვფიქრობ, მართალი იყო პროფ. გ. ნათაძე, რომელიც მოითხოვდა, რომ თვით საქართველოს ისტორიაში სხვა ქვეყანათა ისტორიის საკითხების მოშველებაც უთოდ საჭიროა. ამ მხრივ უკანასკნელ წლებში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული არის სათანადო ნაბიჯები იმდენად, რამდენადაც ხელი მოკიდეს საისტორიო ფაკულტეტებმა. საქ. ისტორიის საკითხების დამუშავებას ყოველმხრივ და არამარტო ქართული წყაროების მიხედვით.

მეორე საკითხი, რომელმაც აქ ყველაზე მეტი ყურადღება მიიპყრო, ეს არის პროფ. ი. ჯავახიშვილის შესახებ. მე არა მგონია, ვინმე ფიქრობდეს, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილს აკრიტიკებენ იმიტომ, რომ უნდოდეთ პროფ. ჯავახიშვილის საბოლოოდ განადგურება, ხელი აიღონ მასზე ან და თვლიდეს მას უმნიშვნელო ფიგურათ საქ. ისტორიის კვლევა ძიების საკითხში. თვით ის გარემოება, რომ ამ საკითხს უაღრესად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, რომ მოხსენებაში მთავარი ადგილი ამას ქონდა დათმობილი და მოკამათენიც ამას ეხებოდნენ, მე მგონია, ჩვენ სხვა რამეზე მიგვითითებს, სწორეთ იმ გარემოებაზე, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილის მუშაობა საქ. ისტორიის კვლევა ძიების საკითხებისათვის უაღრესად საჭირო საქმეს წარმოადგენს ჩვენთვის. არც იმას ვფიქრობთ, როგორც ზოგიერთი აქ გამოსული ამხანაგი აღნიშნავდა, თითქოს ი. ჯავახიშვილის ღვაწლი იმიტომაც არის დასაფასებელი, რომ მას, სხვა არა იყოს რა, დიდი ფიზიკური შრომა გადაუტანია. არც იმას ვიზიარებ, როგორც ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ი. ჯავახიშვილის მიერ მოწოდებულ ფაქტებს სრულიად ვერ ენდობა ადამიანი. იყო ზოგჯერ ასეთი რამე აქ ნათქვამი. სწორედ ის ხელმძღვანელობა, რომელიც სამ სალამოს ანდომებს ამ საკითხების კვლევას, მე ვფიქრობ, პირიქით, ჰფიქრობს ი. ჯავახიშვილზე, მაგრამ აქ დამაფიქრებელი გარემოება სხვა არის. რასაკვირველია, პროფ. ი. ჯავახიშვილის ძველ ნაშრომთა გამოყენება და შეფასება შეიძლებოდა როგორც ერთგვარი სალიტერატურო შემკვიდრეობისა, მაგრამ როგორც გრ. ჯანელიძემ დღეს აღნიშნა, როგორ ჩავთვალოთ მემკვიდრეობაში ის, ვინც დღეს ჯანღონით სავსე განაგრძობს კიდევ მუშაობას საქართველოს ისტორიაში. ჩვენი კამათის მიზანი სწო-

რედ ის არის, რომ პროფ. ჯავახიშვილი თავის კვლევა-ძიებას მიმართავდეს ისე, რომ ჩვენ შეგვეძლოს თავისუფლად დავეყრდნოთ მას საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიების საკითხში, როგორც ჩვენ ეს გვესაჭიროება და გვესმის ამ ჟამად.

ბევრი იყო, ამხანაგებო, აქ აღნიშნული პროფ. ჯავახიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ. დღევანდელ სხდომაზე აქ იურისტებმაც დაუმატეს თავისი მოსაზრებები და გამოირკვა, რომ ქართული სამართლის ისტორიაშიც პროფ. ჯავახიშვილს მოუპოვება ბევრი ისეთი ნარკვევი, რომელთა საფუძველზე ჩვენ იურისტები დღეს თავიანთ ახალ თეორიას გავაწოდებენ. ამისათვის შეგვეძლო ჩვენ დაგვემატებია მისი მუშაობა ისტორიის დამხმარე დისციპლინებში, პალეოგრაფიაში, დიპლომატიკაში და სხვა და სხვა.

მოქალაქენო, ჩვენთვის უდავო არის, რომ პროფ. ჯავახიშვილის ნაშრომები არ გვაძლევენ დღეს იმას, რაც ჩვენ საბჭოთა საზოგადოებრივობას ესაჭიროება ისტორიიდან. ჩვენ, მე ვფიქრობ, ვაკრიტიკებთ პროფ. ჯავახიშვილს არა იმ მხრივ, რომ ის ფაქტებს ამახინჯებს, არამედ, აი, კონკრეტულად რაში: მაგალითად, პროფ. ჯავახიშვილს თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ დაწვრილებით აქვს განხილული ის ფაქტები, რომლებიც ეხება უაღრესად მნიშვნელოვან ეპოქას, სწორედ იმ ეპოქას, რომელიც დღევანდელ სხდომაზე იყო მთავარი საკითხი დავისა — მე-6 საუკუნეს. როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს დავა, იქნება მართალი ამხ. სოსელია თუ ამხ. ჯანაშია, ყოველ შემთხვევაში ეს ეპოქა დიდი გარდატეხის მომენტებს წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში. პროფ. ჯავახიშვილი დაწვრილებით ეხება ამ ფაქტს, მას ამოწურვით აქვს გამოყენებული ყველა ის მასალა, უცხოური მასალა, რომელიც არსებობს, რომლებსაც ემყარება როგორც ჯანაშია, ისე სოსელია ამ საკითხის განხილვის დროს...

მაგრამ მეტი არაფერი. არც ერთი სიტყვა იმ შინაგანი ბრძოლის შესახებ, იმ კლასიური ბრძოლის შესახებ (რადგანაც ჯერ სახელმწიფოს საკითხი გადაწყვეტილი არ არის საბოლოოდ), რომელიც ამ დროს აქ იყო, მხოლოდ მშრალი მასალა და მეტი არაფერი.

უდაოა, როგორც აქ ითქვა, რომ კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით საქართველოს ისტორია არ არის დაწერილი პროფ. ჯავახიშვილის მიერ. რა თქმა უნდა, მე თქვენთვის ახალი არაფერი არ მითქვამს. მე ვთქვი ის, რის შესახებაც სხვა ამხანაგებმაც ილაპარაკეს. მხოლოდ მე როგორ მესმის ამ საკითხისათვის თავის დახწევა, ე. ი. რა მიზანი გვაქვს ჩვენ, როდესაც ვაწარმოებთ ამ კრიტიკას. მე ვფიქრობ, ჩვენი მიზანი არის ის, რომ სწორეთ იმ პირებმა, რომლებიც პროფ. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით არიან აღზრდილნი და რომლებიც დღეს სრულიად ახალ კლასიური ბრძოლების საფუძვლებზე ამუშავებენ საქართველოს ისტორიის საკითხებს, სწორეთ ამ პირებმა, რომლებიც დღესაც აქ, უნივერსიტეტში, პროფ. ჯავახიშვილთან ერთად მუშაობენ, უნდა შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ შეიძლებოდეს პროფ. ი. ჯავახიშვილის უაღრესად დიდი ცოდნის და ერუდიციის გამოყენება ჩვენი თვალსაზრისისათვის.

მე სხვანაირად არ მესმის ამ კრიტიკის წარმოება. ვფიქრობ, რომ ის ახალგაზრდები, რომელთა ხელშიც არის დღეს არსებითად მეთაურობა საქართველოს ისტორიის ფრონტზე მუშაობისა, ამას შესძლებენ თავიანთი უნარის და ენერგიის წყალობით (*ტაში*).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, რადგანაც კამათში კიდევ არიან ჩაწერილი ამხანაგები, ამიტომ შემოვიდა წინადადება, შევწყვიტოთ სხდომა და განვაგრძოთ კამათი 31 მარტს, საღამოს 8 საათზე.

1936 წ. 31 მარტი

თავმჯდომარე: ისტორიული ფაკულტეტის მორიგ სხდომას გახსნილათ ვაცხადებ. სიტყვა ეკუთვნის პროფ. *ს. კაკაბაძეს.*

პროფ. ს. კაკაბაძე: ამხანაგებო, მე არ ვაპირებდი ეხლა აქ მიმდინარე აზრთა გაცვლა გამოცვლაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ვინაიდან მეც საქართველოს საისტორიო დარგში ერთ ერთი მომუშავეთაგანი ვარ, ამიტომ ბოლოს მაინც, როგორც მე ეს ვიგრძენი, საჭირო შეიქნა ჩემი გამოსვლა.

თავის თავად იგულისხმება, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილება და ამხ. სტალინის მითითებები საისტორიო საბელმძღვანელოების და საისტორიო ფრონტის შესახებ გვავალებს ჩვენც, აგრეთვე საქართველოს ისტორიის დარგში მომუშავეთ, გადავსინჯოთ ჩვენი მუშაობის ხაზები და შეძლებისდაგვარათ მოვახდინოთ ჩვენი მუშაობის წესების რეკონსტრუქცია, მაგრამ როგორ მოვახდინოთ ეს.

პროფ. ორაგველიძე თავის საინტერესო და დასაბუთებულ მოხსენებაში აღნიშნავდა, სხვათაშორის, საქართველოში არსებულ ისტორიულ ფრონტზე ორ მოშენტს — ორგანიზაციულს და იდეოლოგიურს და ამბობდა, რომ მაშინ, როდესაც ორგანიზაციულ ფრონტზე ჩვენ გვაქვს უკვე სრული გამარჯვება მოპოვებული, იდეოლოგიური თვალსაზრისით კი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასასწორებელი. მე მგონია, რომ ამხ. ორაგველიძის ეს დებულება რამდენადმე უნდა საჭიროებდეს შესწორებას იმ მხრივ, რომ ორგანიზაციულის მხრივაც აგრეთვე ჩვენში, საისტორიო ფრონტზე, ბევრი რამ არის შესასწორებელი და არა ნაკლებ, ვიდრე იდეოლოგიურ სფეროში. უნდა ითქვას, რომ იდეოლოგიურ სფეროში საქართველოს ისტორიის ფრონტზე მარქსისტულ მეთოდოლოგიაში პრინციპიალურათ უკვე სრული გამარჯვება მოპოვებული არის, საძნელო ხდება მხოლოდ ამ გამარჯვების ფაქტიური რეალიზაცია ჩვენი ისტორიული მეცნიერების სისუსტის გამო და, მართლაც, რომელი ისტორიკოსი ან, საზოგადოთ, სამეცნიერო მუშაკი არის, რომ ეხლა უარყოფდეს ჩვენში მარქსისტულ მეთოდოლოგიის საფუძველზე მუშაობის აუცილებლობას. ასეთი მუშაკი არ მოიძებნება. მაშ, რაშია საქმე, რატომ ზოგი მაინც გამოდის 100%-იანი მარქსისტი და ზოგი კი ნაკლებათ. საქმე ის არის, რომ მარქსიზმი ისტორიაში თხოულობს, უპირველეს ყოვლისა, გარკვეულ ისტორიულ სინამდვილესთან მიდგომას, კონკრეტულ ისტორიულ მასალების და ფაქტების გამოყენებას და განა ეს ისე ადვილია საქართველოს ისტორიის სინამდვილეში. პირიქით, ეს არის ფრიად ძნელი, რადგან, მართალია, ჩვენ გვაქვს მემკვიდრეობა, მაგრამ ეს მემკვიდრეობაც არ კმარა ეკონომიური და სოციალურ პრობლემების და საკითხების გასაშუქებლად და გადასაწყვეტათ სწორედ მარქსისტულ მეთოდოლოგიის მიხედვით.

საჭიროა უკვე შეგროვილ ფაქტების ხელმეორეთ შეჯერება, მათი ახალი მიდგომით გამოყენება, ფაქტების თავიდანვე სისტემატიზაცია. ასე რომ, როგორც ხედავთ, მარქსისტული მეთოდოლოგიის მოთხოვნილებანი მეტად ართულებენ ამ მემკვიდრეობის გამოყენების საკითხსაც კი. ისმება ახალი პრობლემები, ახალი საკითხები და ყოველივე ამისათვის კი საჭირო არის მასალების ხელმეორეთ გადასინჯვა და მეტიც, ახალი მასალების დაგროვება, მაშასადამე, ფაქტიური მარაგის გადიდება. ავიღოთ მაგალითად, საკითხები მონათმფლობელური ფორმაციის შესახებ, რომლის არსებობის შესახებ საკითხის დასმას და წამოყენებას მე ვცდილობდი ჯერ კიდევ 5 წლის წინათ სასწავლო კურსში, ვინადან ხანგრძლივი მუშაობის შედეგათ მე დავრწმუნდი, რომ ცალკეული სახე ამ მონათმფლობელური ფორმაციისა იყო ჩვენში და აგრეთვე ჩვენს მე-

ზობელ ქვეყნებში, კერძოთ, სომხეთშიც. ან და ავიღოთ კიდევ საკითხი ფეოდალური ფორმაციის შესახებ. ორივე ამ ცალკე შემთხვევაში სდგას მეტის მეტად რთული ამოცანები მეურნეობის სისტემის შესწავლის შესახებ, წარმოების წესის გამორკვევის შესახებ. მეტად ძნელია აგრეთვე სოციალ ურთიერთობათა განვითარების ცალკე ეტაპების დადგინებაც, სოციალურ წინააღმდეგობათა ფაქტების შეგროვება და ამოცნობა და კლასთა ბრძოლის მოვლენების გაშლა. თავის თავად იგულისხმება, რომ მუშაობის ეს მეტად რთული პროცესი აუცილებლად გულისხმობს შეცთომების დაშვებას და ცალკეულ შემთხვევებში შემდეგ შესწორებების შეტანასაც.

მაშასადამე, ამისდა მიხედვით, საქართველოს ისტორიის დარგში მომუშავე პირისათვის არ არის ასე ადვილი მარქსისტული მეთოდოლოგიის ყველგან და ყოველთვის საქართველოს ისტორიის ფაქტებზე კონკრეტულად გამოყენება და ზშირად ისტორიკოსი ფაქტების უქონლობით ან და სიმცირის გამო ვარდება მეტად მძიმე მდგომარეობაში. მაშასადამე, ძნელი არის ასეთი მუშაკისათვის, თუ ის სერიოზულად უყურებს თავის დანიშნულებას, ძალიან ძნელია ას პროცენტიან მარქსისტათ თავის თავის გამოცხადება, რადგან მის შრომებში ყოველთვის აღმოჩნდება რაიმე დაუმთავრებელი, არა გარკვევით წამოყენებული დებულებები.

ამიტომ მე მესმის მაგ., რომ ამხ. ვ. ციხისთავს, რომელიც აქ გამოვიდა, ახლაც ადვილად შეუძლია თავის თავი გვამცნოს სწორუპოვარ მარქსისტად, ვინაიდან მას საქართველოს ისტორიის შესახებ არავითარი შრომები არ მოეპოება. ამიტომ არ შეეძლო მას რაიმე შეცთომა დაეშვა და ეს, მიუხედავათ იმისა, რომ ის ჩვენში დიდხანს ითვლებოდა საქართველოს ისტორიის ფრონტის ერთ ერთი და ხან და ხან ერთად ერთ ხელმძღვანელათ, მის განკარგულებაში იყო კათედრები, ადგილები სამეცნიერო დაწესებულებებში, ასე რომ, მას უხვად ჰქონდა მუშაობის და ბეჭდვის საშუალება.

ასევე ადვილი არის შეუმცდარ მარქსისტად გამოცხადება ნ. ბერძენიშვილისათვის, ვინაიდან არც მას აქვს რაიმე შეცდომა დაშვებული, რადგან მასაც თითქმის არავითარი შრომა არ მოეპოება, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც პროფ. ყაუხჩიშვილმა აქ გვამცნო, ამხ. ბერძენიშვილი ითვლება საქართველოს ისტორიის ფრონტის ერთ ერთ მთავარ ხელმძღვანელათ და პირობების მხრივაც მას ყოველთვის ჰქონდა და აქვს მუშაობის და ბეჭდვის სრული შესაძლებლობა.

შეუცდომელ მარქსისტად ითვლებოდა ჩვენში დიდხანს პროფ. გ. ნათაძე, რომელსაც ხელი მოკიდებული ჰქონდა სხვა საგნებთან ერთად, აგრეთვე, საქართველოს ისტორიაშიც. მე აქ არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რამდენად რთულია საერთოდ ცალკეულ საისტორიო დისციპლინებში მუშაობა, ასე რომ, თუნდაც რომ პროფ. ნათაძეს თავიდანვე აეღო ისტორიული მეცნიერების რომელიმე ნაწილი, ვთქვათ, ანტიკური ქვეყნების ისტორია ან საშუალო საუკუნეების ისტორია, ან ახალი საუკუნეებისა, მაშინაც მის წინაშე იდვა აუარებელი სამუშაო კვალიფიკაციის გაღრმავების მხრივ და წყაროების და ლიტერატურის შესასწავლათ, მაგრამ პროფ. ნათაძემ მოინდომა საქართველოს ისტორიაშიც თავისი კვალის დაჩენა. ამიტომ მან მოგვცა ორ წიგნად სოციოლოგიური მიმოხილვა საქართველოს ისტორიისა, რომელიც ძალიან ზშირად წყაროების არ ცოდნის და ლიტერატურის შემცდარ გამოყენებას ლაპარაკობს ან და ავიღოთ პროფ. ნათაძის მეორე ნაშრომი: „შავშეთ კლარჯეთის ეკონომიური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა მე-9, მე-10 საუკუნეებში“ („მნათობი“, 1930 წ.), რომელიც მან აქ თავის გამოსვლაში დაასახელა და რომელიც, მის გარეგნულ მარქსისტულ სათაურის მიუხედავად, თავიდან ბოლომდე ისევე გაუგებრობაზეა აგებული. საკმარისია ითქვას, რომ ავტორს ამ წერილში გ. მერჩულის პოეტური გამოთქმა, რომ გრიგოლ ხანძთელი იმდენათ ჭკუიანი და ბრძენი იყო, რომ „სიბრძნისა მისი მდინარეთაგან ირწყოდეს უდაბნონი კლარჯეთისანი“, მას გაგებული აქვს როგორც კლარჯეთში სარწყავი არხების მაჩვენებელი ან და ავიღოთ ძველი ქართული სიტყვის „მაღნარის“ (ტყეს ნიშნავს) საძოვარ ადგილათ გაგება სათანადო დასკვნების გამოსაყვანად, ვითომდა მარქსისტული სქემის მიხედვით. და ეს ყველაფერი მოხდა, მიუ-

ხედავად იმისა, რომ გრ. ხანძთელის ტექსტს თანდართული აქვს საუცხოოდ შესრულებული რუსული თარგმანი პროფ. მარისა. ან და კიდევ პროფ. ნათაძის ცნობილი მოხსენებები და დისპუტები რამოდენიმე წლის სიგრძეზე იმის შესახებ, რომ სამღებრო საქართველოში არ იყო სამღებრო, არამედ იყო საბაჟო, ე. ი. რომ კურდღელი კურდღელი კი არ იყო, არამედ აქლემი. და ეს გასაოცარი სიჯიუტე, რომელსაც ამ შემთხვევაში რამოდენიმე წლის სიგრძეზე ირენდა ამ საკითხში პროფ. ნათაძე, მაჩვენებელია იმისი, რომ მას მეტად სუსტი წარმოდგენა ჰქონდა და აქვს ქართულ საისტორიო წყაროების შესახებ. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ წყაროების ცოდნას მას არც არავინ მოსთხოვდა, თუ კი ის მხოლოდ მსოფლიო ისტორიის რომელიმე ნაწილს ან ნაწილებს ამოირჩევდა თავის სპეციალობათ, მაგრამ საქართველოს ისტორიისაკენ თავისი მოუმზადებელი პრეტენზიებით, შესაძლებელია, თაეის უნებურად, მაგრამ მოეტანა აუარებელი ზიანი.

ბევრი წლების სიგრძეზე პროფ. ნათაძე ითვლებოდა ერთად ერთ და ძლიერ საქართველოს ისტორიის მარქსისტ-სპეციალისტად თავისი დამატებებით, ადგილებით სამეცნიერო დაწესებულებებში საქართველოს ისტორიის ხაზით და სხვა პირი კი, რომელიც მასავით მეცხრე საუკუნეში შავშეთ კლარჯეთში არხებს და საძოვრებს ვერ გამოიყვანდა, რჩებოდა ცარიელზე.

რა იყო ეხლა პროფ. ნათაძის მუშაობის შედეგი? შედეგი არავითარი და კრიტიკაც გაჩუმებული იყო, არა იმიტომ, რომ პროფ. ნათაძის მუშაობის და მარქსისტობის ზერელობა ჩვენთვის არ ჩანდა, არამედ იმიტომ, რომ ნათაძეს აქვს ერთი დადებითი თვისება, რომელიც თითქოს თავის თავად იგულისხმებოდეს ლიტერატურულ და მეცნიერულ წრეებში, სახელდობრ, ის არ მიმართავდა და ეხლაც არ მიმართავს ცალკე მუშაკების წინასაბჭოურ საზოგადოებრივ წარსულის შესახებ პოლიტიკურ ტენდენციურ გამოსვლებს. ეს კი ეთიკური თვალსაზრისით, როდესაც ცალკე მომუშავეები ამ დანოსებზე ფიქრობდენ და ფიქრობენ კარიერის გასაკეთებლად, პროფ. ნათაძის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს.

მართლაც, რა საჭირო იყო, რომ ამხ. ლ. ციხისთავს ჩემი მენშევიკების დროს დაბეჭდილი საქართველოს ახალი საუკუნეების ისტორიის წიგნიდან ციტატის მოყვანა (და ეს ბევრჯელ არის მოყვანილი სხვადასხვა დისპუტების დროს), რომ რუსეთი იმ დროს სოციალურ ექსპერიმენტის პირობებში იმყოფებოდა. ნუთუ ამხ. ციხისთავმა არ იცის, რომ ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრებულია მხოლოდ 1921 წლის 25 თებერვლიდან და, გარდა ამისა, განა ამხ. ციხისთავმა არ იცის, რომ მე უკვე კარგა ხანია დაწერილი მაქვს საქართველოს ისტორიის სხვა წიგნი, შეძლებისდაგვარათ, მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე დამყარებული, რომელიც ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ჯერ დაბეჭდილი არ არის. ან და რატომ ამხ. ციხისთავი და ბერძენიშვილი ამ ჩემი ძველი წიგნის ხსენების დროს გვერდს უვლიან იმას მაინც, რისი დაბეჭდვა მე მოვახერხე, სახელდობრ, დასკვნითი ხასიათის წერილები, რომლებიც, შეძლებისდაგვარათ, მარქსისტულ მეთოდოლოგიის გამოყენებით, ცოტათ თუ ბევრათ, მასალების სიმცირის პირობებში არის ჩემ მიერ დამუშავებული. ეს წერილები „საქართველოს ეკონომიური ეითარება 13-18 საუკ." დაბეჭდილია „მნათობში", 1924 წ. რუსულად ჩემი წერილი "Из социально-экономич. вопросов срединвек. Грузии", 1927 г., სადაც მოცემულია მოკლე შინაარსი ჩემი დიდი შრომისა, რომელიც აქამდე დაბეჭდილი არ არის, სადაც მოცემული არის სქემა საქართველოს ისტორიის განვითარებისა ეკონომიურ და სოციალურ საკითხებისა, უმეტეს ნაწილათ, პირველ საუკუნიდან, ვიდრე მე-13 საუკუნემდე, რუსულადვე 1930 წ. დაბეჭდილი ჩემი გამოკვლევა წერილი „გლეხობის საკითხი და გლეხთა მოძრაობანი აღმოსავლეთ საქართველოში მე-18 საუკუნეში".

(ბერძენიშვილი: ეს უარესია, ვიდრე თქვენი კურსი, ამიტომ არ დავასახელე).

როდესაც თქვენ უკეთესად დასწერთ და გამოაქვეყნებთ, ამხ. ბერძენიშვილო, მაშინ ვილაპარაკოთ. მე რომ არაფერი არ დამეწერა, მაშინ ვიქნებოდი თქვენსავით 100%-იანი მარქსისტი.

(ბერძენიშვილი: თქვენ, ყოველ შემთხვევაში, მარქსისტული არაფერი არ დაგიწერიათ).

თქვენ დაწერეთ და გვაჩვენეთ.

ამასთანავე, ჩემ მიერ არის ფაქტიურათ დაწერილი (არ ვიცი, ამხ. ციხისთავმა იცის თუ არა) თავიდან ბოლომდე დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოთავსებული წერილი საქართველოს ისტორიის შესახებ ამხ. ფ. მახარაძის რედაქციით. წერილის ძველი პერიოდის შესახებ ნაწილში რედაქციის მიერ მოთავსებულია გრანატის ენციკლოპედიაში დაბეჭდილი პროფ. ჯავახიშვილის წერილიდან ადგილები, მე-19 საუკუნის და საბჭოთა პერიოდის ისტორია კი დაწერილია ჩემ მიერ ამხ. ს. ხუნდაძის, მართალია, აქტიური დახმარებით.

მაშასადამე, მე შესაძლებლობის ფარგლებში გავასწორე უკვე ის შეცთომები, რომლებიც მე დაუშვი საქართველოს ისტორიის ახალი საუკუნის ეპოქის წიგნში. რასაკვირველია, ამ 17 წლის წინათ დაწერილი წიგნი დიდი ხანია უკვე მეტად ჩამორჩენილათ უნდა ჩაითვალოს და ეს მე არა ერთხელ განმიცხადებია იქ, სადაც მე ვასწავლიდი ხოლმე. აი, ამ წიგნის შესახებ ამხ. ნ. ბერძენიშვილი მე მისაყვედურებს, მისაყვედურებს მენშევიკების დროს გამოსულ წიგნის შესახებ.

(ვ. ცინცაძე: არ არის მენშევიკების დროის, 1922 წელს არის გამოსული).

1922 წელს გამოცემული არის 1919 წლის წიგნის ვარიანტი და ეს მოხსენებულია წინა სიტყვაობაში, რომ ეს წიგნი დაიბეჭდა მენშევიკების ხელისუფლების დროს. მხოლოდ გარეკანი დაიბეჭდა 22 წელს. ეს არის წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა და შესრულებულია მენშევიკების დროს. დაწერილი არის 1919 წელს შემდეგ პირობებში. ბრალდება არ არის მთლად სწორი, ჩვენ უნდა შევხედოთ საქმის მდგომარეობას ისტორიულადაც. 1919 წელს სპეციალური თათბირი გაიმართა, რომელსაც პროფ. ჯავახიშვილიც დაესწრო, საჭირო იყო გაეროვნებულ სკოლებისათვის ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენა. პროფ. ჯავახიშვილმა უარი განაცხადა ახალი საუკუნეების შესახებ ისტორიის შედგენაზე, მე ამ საუკუნეების მასალებზე არ ვმუშაობო. ძალაუნებურად ეს მუშაობა უნდა შემესრულებია მე მოკლე ხანში. მაშასადამე, დამწერიც არავინ იყო და არც არავითარი ახალი მასალები მაშინ არ მოიპოვებოდა.

(ბერძენიშვილი: ძველის გადახედვა იყო საჭირო, მასალები ბევრი გვაქვს, მაგრამ უკუღმართად გაქვს გაშუქებული).

თქვენ 10 წელი ხართ უკვე დამოუკიდებელ სამეცნიერო მუშაობაზე გამოსული, ნუთუ 10 წელი არ კმაროდა იმისათვის, რომ ახალი საუკუნეების შესახებ ერთი წიგნი დაგეწერათ. 1919 წლიდან, როდესაც ეს წიგნი დაიბეჭდა და რომელიც შეეხება ახალ საუკუნეების ეპოქას მე-16 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე, გავიდა უკვე 17 წელიწადი და დაასახელოს ამხ. ბერძენიშვილმა, რომელი შრომები გამოვიდა ამდენი ხნის განმავლობაში მე-16-18 საუკუნის შესახებ, თუ არა, თითქმის მხოლოდ ისინი, რომლებიც ისევ ჩემ მიერ არის დაბეჭდილი. სხვა ავტორი ან მკვლევარი ამ ეპოქის შესახებ (ბეჭდით, ყოველ შემთხვევაში) არ გვინახავს ჯერ და, მით უმეტეს, არ იყვნენ მენშევიკების დროს.

ეხლა როგორი იყო მდგომარეობა მასალების მხრივ. 1919 წელს ტფილისში ასეთი მდგომარეობა იყო: არქივები გადატანილი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ისინი იღუპებოდნენ უპატრონობის გამო. საისტორიო საეტნოგრაფიო საზოგადოებას ქონდა კოლექცია დაახლოებით 4000 საბუთისაგან შემდგარი. სამი ათასი საბუთი წაღებული ქონდა ექვთიმე თაყაიშვილს სახლში და მის ნახვა არ შეიძლებოდა, ყოფილი კავკასიის საჯარო ბიბლიოთეკა ჩაკეტილი იყო ყუთებში და იქიდან წიგნის ამოღების შესაძლებლობა არ იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხანაში 1921 წელს ასეთივე მდგომარეობა იყო. მაშასადამე, შეიძლება ითქვას სრული არა რაობა მასალების მხრივ და ეხლა გეკითხებით, საიდან უნდა ამომეღო კლასთა ბრძოლის ფაქტები, ან საიდან უნდა მეპოვნა ის ფაქტები, რომლებიც მე თვითონ შევკრიბე მერე უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს და რომლებიც დავდვა საფუძვლათ ჩემს გამოკვლევას „გლეხთა საკითხი და გლეხთა მოძრაობანი აღმოსავლეთ საქართველოში მე-18 საუკუნეში“, რომელიც დაბეჭდილი არის რუსულათ ა/კ. კომუნისტური უნივერსიტეტის კრებულში.

მაშ, როგორ იყო საქმე ან რა მუშაობა გვედვა ჩვენ ისტორიკოსებს ასეთ პი-

რობებში. რასაკვირველია, უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო მასალების შეგროვება და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მე საბჭოთა ხელისუფლებას პირველ დღეებშივე ვთხოვე, მოეცათ დანიშვნა საარქივო საქმის მოსაწყობათ და დამნიშნეს კიდევაც. მე შეუდექი მუშაობას. ჩემს განკარგულებაში იყო სამი ოთახი. არ ღირს ეხლა იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენი ენერგია, თაოსნობა და უნარი დაიხარჯა საარქივო საქმის ჩვენში მოსაწყობათ. საკმარისია აღინიშნოს, რომ თვით სამეცნიერო წრეებში იმ დროს საარქივო საქმისადმი არსებულ ნიღილისტურ განწყობილების დროს, თითქმის უფულოდ, 1921 წლიდან 1925 წლამდე შესაძლებელი შეიქნა ბევრი საქმის გაკეთება. ჯერ ერთი, რომ ის საარქივო ფონდების ნაშთი, რაც არსებობდა სადმე თბილისში ან საქართველოში, შეგროვილ იქნა. შემდეგ მე თვითონ წაველი ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩამოვიტანე არქივების ნაშთი. გარდა ამისა, საჭირო იყო ძველი ქართული საბუთების შეგროვების დაწყება, ვინაიდან, როგორც მე წელან მოვიხსენიე, ჩვენ გვქონდა ამ მხრივ სრული სიცარიელე. გაწელილი იყო ამ მხრივ მეტად დიდი მუშაობა და 1925 წლამდე, თან ჩათვლით, შეგროვილ იქნა ათასამდე ქართული ხელნაწერი და 8 ათასამდე ძველი ქართული საბუთი. გარდა ამისა, მე პირადათ მოვძებნე ერთ სარდაფში და გადავარჩინე დაღუპვას 56 წიგნი ძველი ქართული საბუთების ასლების შემცველი (სხვათა შორის მე ამ წიგნებს ვეძებდი მთელი ერთი თვე, ვინაიდან უდიდესი მნიშვნელობა ქონდა საქართველოს ისტორიისათვის). მაშასადამე, გადარჩენილი იქნა 56 წიგნი ძველი ქართული საბუთების შემცველი (12.000 საბუთი). 13 წიგნი კი, რომელიც უნდა ყოფილიყო არქივში, მიუხედავათ ბევრი ძებნისა, აღარ აღმოჩნდა.

მაშასადამე, მთავარი ყურადღება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მიპყრობილი იყო საისტორიო მასალების შეგროვებისაკენ, ვინაიდან ეს მასალები ჩვენ არ გაგვაჩნდა და თუ როგორი მდგომარეობა იყო მაშინ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში მასალების მხრივ, საკმარისია დასახელებულ იქნეს ის გარემოებაც, რომ ე. თაყაიშვილის კოლექცია სამი ათასი საბუთისაგან შემდგარი შემოვიდა საისტორიო საზოგადოების მუზეუმში მხოლოდ 1924 წელს. აქედან უკვე ცხადია თქვენთვის, რომ მეტი ნაწილი საისტორიო მასალებისა საქართველოს შესახებ, შემდეგ მე-16 საუკუნისა შეგროვილ იქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს და ეხლა მე გეკითხებით თქვენ, საიდან შეიძლო ამ მასალებით სარგებლობა მენშევიკების პერიოდში, 1919 წლ.

ვინაიდან დრო აღარ მრჩება, ამიტომ მე მოკლეთ აგიწერშავ მხოლოთ, რომ ეხლაც, ჩემის რწმენით, პირველი სამუშაო, რომელიც ჩვენ გვიდევს საქართველოს ისტორიის სფეროში, ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მასალების შეგროვება. მასალების მხრივ, შეიძლება ითქვას, ჩვენ ვართ პირდაპირ კატასტროფიულ მდგომარეობაში. რომ ამხ. ბერძენიშვილი არ გვეკიჟინებდეს ყოველ დისპუტის დროს, რომ თქვენ არა ხართ მარქსისტიო და ბრალიან უბრალოთ ხშირად ცრუ ბრალდებებს მიყენებს ხოლმე, მე მის წინააღმდეგ დღესაც არ გამოვილაშქრებდი და არც მას არაფერს მოვთხოვდი, ვინაიდან ცხადია ჩემთვის, რომ მასალების სიმცრის გამო მეტის მეტად ძნელ და საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენს ჩვენში ცალკე პერიოდების ეკონომიურ და სოციალურ ვითარების გამორკვევა და გაშლა. პირდაპირ სირცხვილია ჩვენთვის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასიროლოგები ძველი ბაბილონის და ასურეთის შესახებ მასალების მხრივ ბევრათ უკეთ არიან შეიარაღებულნი, ვიდრე ჩვენ ვართ შეიარაღებულნი საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ეპოქის შესახებ. მეტიც, ხეთოლოგებს ძველი ხეთების შესახებ რამდენჯერმე მეტი მასალა აქვთ ეხლაც, ვიდრე ჩვენ გვაქვს, მაგალითად, მთელი დასავლეთ საქართველოს შესახებ. მე არაფერს ვიტყვი მესხეთზე. მესხეთის შესახებ თითქმის არაკითარი მასალა არ მოგვეპოვება.

დავსვათ ეხლა საკითხი, როგორ და რა ნაირათ უნდა დაიწეროს მარქსისტულ მეთოდოლოგიის გამოყენებით, ვთქვათ, დასავლეთ საქართველოს ან მესხეთის ის-

ტორია. ნუთუ შესაძლებელია ვიყოთ 2.500 ძველი ქართული საბუთის ამარა, მით უმეტეს, რომ ეს საბუთები წარმოადგენენ მხოლოდ ყიდვა გაყიდვის საბუთებს და როგორ შეიძლება ამის მიხედვით ჩვენ აღვადგინოთ დასავლეთ საქართველოს სოციალური სტრუქტურა, ეკონომიური მდგომარეობა და ვილაპარაკოთ კიდევ კლასობრივ წინააღმდეგობაზე. დასავლეთ საქართველოს შესახებ ჩვენ უნდა ჩავატაროთ ისეთივე მუშაობა, რომელიც ჩატარებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, ე. ი. უნდა შეგროვილ იქნეს მასალები.

(თავმჯდომარე: მაშასადამე, თქვენის აზრით, ჯერ კიდევ მარქსისტული ისტორიის დაწერა არ შეგვიძლიან და კიდევ უნდა 15 წელიწადი უცადოთ?).

როდესაც მე ვასწავლიდი ქუთაისის პედ. ინსტიტუტში, უკვე მქონდა ამ მხრივ მუშაობა გაშლილი და წინასწარი ცნობის მიხედვით ირკვეოდა, რომ გასულ შემოდგომაზე შეეძლებდით დაახლოვებით 500 საბუთის შეკრებას დასავლეთ საქართველოს შესახებ. ეს იქნებოდა პირველი ცდა. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ცდას მოყვებოდა შემდეგი ეფექტები: საქმე ის არის, რომ დასავლეთი საქართველო ამ მხრივ არის თითქმის ხელუხლებელი ქვეყანა და ჯერ კიდევ სანამ გვიან არ არის, შესაძლებელია, ბევრ რამეს მივაღწიოთ. ზედმეტია იმის თქმაც, რომ ჩვენ თითქოს მომზადებული ვიყოთ მასალების მხრივ საქართველოს ისტორიის ყველა პერიოდის შესახებ.

(ვ. ცინცაძე: არის მასალები, მაგრამ თქვენ ვერ ხედავთ!).

პირადათ ჩემ შესახებ უნდა ავღნიშნო, რომ მე უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში არავითარი შრომა თითქმის არ დამიბეჭდია და ეს არ არის ჩემი მიზეზი, ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში მე არ ვითვლებოდი არც ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში და რადგანაც მასალების და გამოკვლევების ბეჭდვა ყველაზე უფრო შეიძლება მხოლოდ სამეცნიერო დაწესებულებების ხაზით, ამიტომაც, ცხადია, მე ამ მხრივ ჩავარდნილი ვიყავი მეტის მეტად ჩემთვის არა სახეირო მდგომარეობაში. მე ეხლა, რასაკვირველია, აქ რა გამოუდგები იმას, თუ რამდენი მაქვს გაკეთებული. გაკეთებული მაქვს ძალიან ბევრი, ყველაფერი ეს უცდის ზოგი საბოლოოდ დამუშავებას, ზოგი კი უკვე დაბეჭდას. თითონ ის წიგნი, რომელიც ამი წელიწადია დაწერილი მაქვს, რომ დაბეჭდილიყო აქამდის, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ბრალდებები, რომელიც აქ იყო წამოყენებული ჩემს წინააღმდეგ ამხანაგების მიერ, უსათუოდ თვალსაჩინოდ შენელებული იქნებოდა. მე, რასაკვირველია, იმის თქმა არ შემიძლია, რომ ეს წიგნი არის უნაკლო, უსათუოდ ამ წიგნს ექნება ბევრი ნაკლი. ისტორიული მეცნიერება, არა თუ ჩვენში, არამედ თვით რუსეთში, ჯერ ჯერობით არ არის მიღწეული სრულ უნაკლულობამდის. მით უმეტეს შეიძლება ეს ითქვას ჩვენში, სადაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი და სადაც ახალი ეპოქის საუკუნეების შესახებ ჯერ ჯერობით არც ერთი მკვლევარი არ გამოსულა ახალი ჩემს გარდა (ვ. ცინცაძე: რას სწერთ?) არ ვიცი, ამხ. ცინცაძემ იცის თუ არა რუსული კითხვა, დაბეჭდილი არის ამიერ კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის კრებულში პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგების მიერ რედაქცია გაკეთებული ჩემი გამოკვლევა „გლეხობის საკითხი და გლეხთა მოძრაობანი აღმოსავლეთ საქართველოში მე-18 საუკუნეში“ (ვ. ცინცაძე: მე-19 საუკუნეზე რა დაწერე-მეთქი?). თუ ამხ. ცინცაძემ არც ქართული იცის, მაშინ რა ვქნა. წაიკითხეთ ის წერილი და მაშინ დაინახავთ, რომ ამ წერილში მოცემული არის მარქსისტული გაშლა მე-17 და მე-18 საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიისა. კლასთა ბრძოლის ფაქტები, რომლებიც არ არის მოყვანილი, გლეხთა აჯანყებები მე-18 ს.-ში პირველად ჩემ მიერ არის აღმოჩენილი.

(ბერძენიშვილი: თუ გგონიათ, რომ მარქსისტულათ არის გაშლილი, სჯობან მეორეჯერ აღარ გაშალოთ ასე!).

ამ წერილს გაუკეთეს რედაქცია მთელმა რიგმა პასუხისმგებელმა ამხანაგებმა და კერძოთ ამხ. სეფმა. ნუთუ ბერძენიშვილი მარქსისტი არის, თუმცა მას არავითარი მარქსისტობა არ გამოუჩენია,

ვიდრე სეფი (ბერძენიშვილი: იქ თქვენ ფაქტებს იგონებთ!).

დაბეჭდეთ და გვიჩვენეთ, როგორ არის მოგონილი ფაქტები.

ერთი სიტყვით, მე არ ვუარყოფ, რომ შეცთომები მჭონია საისტორიო კვლევაში და მომავალშიც მექნება შეცთომები (ხმა: ეს არ არის სავალდებულო!). არ არის სავალდებულო, მაგრამ არ სცდება ის, ვინც არ მუშაობს. მუშაობის პროცესში შეცთომები აუცილებელია. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ წინსვლით, მიღწევებით და ჩადენილ შეცთომების გასწორებით მეც შემეძლება მივიღო მონაწილეობა იმ დიად საქმეში, რომელიც ჩვენ დავალებული გვაქვს პარტიის და ხელისუფლების მიერ, ე. ი. რომ ავიყვანოთ საქართველოს ისტორიოგრაფია იმ დონემდე მარქსისტულ მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, რომლის ღირსიც არის ჩვენი ეხლანდელი ცხოვრება და ჩვენი ქვეყანა.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. *ტალაბაძეს.*

ამხ. ტალაბაძე: ამხანაგებო, მე არა ვარ ისტორიკოსი, მაგრამ ამ დისკუსიაში მონაწილეობას ვღებულობ ორი გარემოების გამო. ერთი იმიტომ, რომ თვით ისტორიკოსები შეეხებიან ისეთს სფეროს, რომელშიც მე ვმუშაობ და უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე უფრო ცუდათ სწორეთ ეს სფერო აქვთ დამუშავებული. მეორეც იმიტომ, რომ ალბათ ვერ მოხერხდა ჯერ ჯერობით საქართველოში, რომ სპეციალისტმა ისტორიკოსმა, პარტიულია თუ უპარტიო ბოლშევიკი ის, იკისროს ამ ფრონტის ამომწურავი ხელმძღვანელობა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამხ. კარლოც არ არის ისტორიკოსი, მაგრამ მას მოუხდა ამ ფრონტზე ბრძოლის მართლაც ბოლშევიკური დაწყება. ალბათ, ცხადია, ყველა უნდა შეუდგეს ამ დარგში მუშაობას და, შეძლებისდაგვარათ, რაც შეუძლიათ შეიტანონ.

ამხ. კ. ორაგველიძის მოხსენება საქართველოში ისტორიულ ფრონტის შესახებ მე მიმაჩნია იმ შესანიშნავ მიჯნად, რომლიდანაც დაიწყება მართლაც ნამდვილი მარქსისტული ისტორიული მუშაობა ჩვენს ქვეყანაში. თავისი შინაარსით და კონკრეტულათ დაყენებული ამოცანებით ეს მოხსენება, ამხანაგებო, მეტად დიდი მნიშვნელობის არის. ეს გვიჩვენა ჩვენ გამართულმა დისკუსიამაც და ამას გვიჩვენებს ჩვენ ის მრავალი მასალები, რომლებიც მოცემული არის თვით მოხსენებაში, აგრეთვე ის შეფასება, რომელიც ამ მოხსენებამ მიიღო პოლიტ. ორგანოებში.

თვითკრიტიკა განვითარების კანონია, ჩვენს პარტიაში და სოციალისტურ აღმშენებლობაში თვითკრიტიკა აუცილებელია. თვითკრიტიკის გარეშე შეუძლებელია ავაშენოთ ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს და არც აშენებულა სადმე, მაგრამ აქ, ისტორიის ფრონტზე გამარტულმა თვითკრიტიკამ, სამწუხაროდ, მე მიჩვენა, რომ ჯერ ისტორიის ფრონტზე თვითკრიტიკა არ არის. არც ერთ ისტორიკოსს, რომელიც გამოვიდა აქ, არაფერი უთქვამს თავის თავზე და თუ თქვა რამე, იცავდა მხოლოდ თავის თავს, ხოლო სხვებს კი, ბევრად თუ ცოტად, აკრიტიკებდა. თვითკრიტიკა, ამხანაგებო, არ ნიშნავს მარტო სხვების კრიტიკას. თვითკრიტიკა ნიშნავს, პირველყოვლისა, თავის თავის კრიტიკას. სამწუხაროდ, ამისი მაგალითი არადადებითი მოგვცეს თითქმის ისტორიკოსების აქ გამოსულმა უმრავლესობამ, ხოლო სარგის კაკაბაძემ დღეს პირდაპირ ცივი წყალი გადმამასხა. ნუთუ ს. კაკაბაძეს ხუთი შეცთომა მაინც არ მოეპოვება, რომლებზედაც უნდა შეჩერებულიყო (ვ. ცინცაძე: მთლიანად შეცთომაა და აბა რას იტყოდა?). და რას ნიშნავს, ამხანაგებო, ასეთი დაცინვა, რომ, ამხანაგო ცინცაძე, რუსული თუ არ იცოდა, მე რა ვქნა. რა არის ეს, ამხანაგებო, ვის მიმართავთ თქვენ ასეთი სიტყვებით, თქვენს ასპირანტს, რომელსაც თქვენ ასწავლით. თუ თქვენ ვერ გისწავლებიათ რუსული ენა, თქვენ ხართ საცემი, რადგან ვეფხის ტყაოსნიდან ვიცით, რომ „ცემა გვმართებს გამზრდელისა, თუ ყმა არის ცუდათ ზრდილი".

ჩვენი კრიტიკის მთავარი გმირი, ამხანაგებო, არის პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. რატომ არის პროფ. ჯავახიშვილი ამ კრიტიკის მთავარი მისამართი? იმიტომ, ამხანაგებო, რომ ის საქართველოს ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში თვით ისტორიკოსების მთავარი დასაყრდენი არის. სხვათაშორის, მე არ ვიცი,

სწორია თუ არა პროფ. ს. კაკაბაძის განცხადება, თითქოს პროფ. ჯავახიშვილს ეთქვას, რომ ახალის საუკუნეების ისტორია მე არ ვიცი და კაკაბაძემ დაწეროსო. ასეთი განცხადების სინამდვილეში მე ეჭვი მეპარება. ცუდათ გაუგია ს. კაკაბაძეს, თუ უფიქრია, რომ პროფ. ჯავახიშვილმა არაფერი იცის იმ საუკუნეებზე, რომლებზედაც კაკაბაძე სწერს.

მაშასადამე, ამხანაგებო, მე ვამბობ, რომ პროფ. ჯავახიშვილი არის ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დასაყრდენი, ბურჯი და დანარჩენი ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, მე მყავს მხედველობაში ახალი ისტორიკოსები, ასე თუ ისე სარგებლობენ მით და სამწუხარო ის არის, რომ ისინიც კი, ვისაც უდაოთ სურს გაწყვიტოს პროფ. ჯავახიშვილთან და მიუახლოვდეს მარქსიზმს, 99%-ს სესხულობენ ჯავახიშვილისაგან და მხოლოდ 1%-ს ეძებენ მარქსიზმში. ასე რომ, პროფ. ჯავახიშვილის გავლენა არსებობს არა მარტო ძველი საზოგადოების ისტორიკოსებზე, არამედ არსებობს მათზედაც, ვისაც სურს გააკრიტიკოს ჯავახიშვილი და გადავიდეს მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, მე არ მინდა ვთქვა, ვითომ პროფ. ჯავახიშვილმა ამოსწურა ქართულ ისტორიაში ყველა საბუთები, ვითომ მეტი არაფერი არ არის არც საძებნი და არც გასაკეთებელი. ასეთი აზრი არ იქნებოდა სწორი. რა თქმა უნდა, ბევრი არის საბუთები, რომლებიც ჯავახიშვილს რაიმე მიზეზების გამო ვერ მოუნახავს, რომელიც უნდა მონახოს ახალგაზრდა ისტორიკოსმა, მაგრამ პროფ. ჯავახიშვილმა რაც გააკეთა ქართულ ისტორიაში, რომ ეს დადო სასწორის ერთ მხარეზე, ხოლო ყველა დანარჩენ ისტორიკოსების მუშაობა სასწორის მეორე მხარეზე, მე მგონია, რომ ჯავახიშვილის მუშაობა გადასძლევს ყველა დანარჩენის მუშაობას. აი, რატომ ვამბობ, რომ ჯავახიშვილი არის მთავარი ფიგურა, გეზის მიმცემი საქართველოს ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიისათვის, აი, რატომ უნდა იქნეს მიქცეული ყურადღება იქითკენ, რომ დავიწყოთ ჩვენ კრიტიკა პროფ. ჯავახიშვილის ნაწარმოებებიდან და იმდენად, რამდენად მის გავლენის ქვეშ იმყოფება ესა თუ ის პირი, ამდენად იმასაც გავახსენოთ, რომ ის ეყრდნობა არა მარქსისტულ ფაქტებს, არამედ ჯავახიშვილის ფაქტებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, პროფ. ჯავახიშვილმა მოაგროვა რა ვეებერთელა განძი, ისტორიული საბუთები სხვადასხვა წყაროებიდან, საბერძნეთის, ბიზანტიის, რომის, სომხეთის ისტორიიდან, ძველი ქვეყნების ისტორიიდან და წარწერებიდან, მან ეს ვეებერთელა განძი გადააღნო ბურჟუაზიულ, იდეალისტურ, მტაცებლურ, მყვლეფელურ სახელოსნოში და მიართვა ძღვნად და ფეხ ქვეშ ჩაუყარა საქართველოს მეფეებს, თავადაზნაურებს, ეპისკოპოსებს, ერთის სიტყვით, ყველა მყვლეფელებს.

ჩვენი ახალგაზრდა ისტორიკოსების ვალია, ამხანაგებო, რომ ეს განძი ხელახლა გადაადნონ მარქსისტულ, კომუნისტურ, ინდუსტრიალურ დიდ მიღწევების საფუძველზე აგებულ მეცნიერულ კოცონზე და მიართვან ის არა თავადებს და აზნაურებს, არამედ ქართველ მშრომელებს, მუშებს და გლეხებს (*ტაში*).

ეს განძი, ამხანაგებო, შექმნილია მშრომელების ხელით. მყვლეფელები არ ჰქმნიდნენ მას, არამედ მხოლოდ ცარცავდენ და აი, ქართველი ისტორიკოსი და ყველა ისტორიკოსი, ვინც ამ საკითხს შეუდგება, რომელი ეროვნების არ იყოს, ვალდებულია ეს განძი დაუბრუნოს იმ მშრომელებს, რომლებსაც მოსტაცეს იგი თავადებმა და მეფეებმა.

მაშასადამე, ერთი მხრივ, ჩვენ ვაფასებთ იმ ვეებერთელა შრომას, რომელიც გასწია ჯავახიშვილმა ამ ვეებერთელა საბუთების და განძის შეგროვებას, მეორე მხრივ, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს განძი გადაიდნოს მარქსისტულ სახელოსნოში, შესწორებულ იქნეს ის, რაც დამახინჯებულია სუბიექტიურ, იდეალისტურ შეხედულებით და დაუბრუნდეს მის პატრონთ — მშრომელებს. რა თქმა უნდა, ამით არ მინდა ვთქვა, რომ ჯავახიშვილის მასალები ყველა უნდა წყალში გადავყაროთ, ეს იქნებოდა ბარბაროსობა. ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც გვასწავლის გენიოსი ბელადი ლენინი. ლენინი ამბობს (*ციტატულობა*): „პროლეტარიატის... კულტურა არ იბადება სათბურებში და არ ვარდება ციდან. ის გამომდინარეობს ისტორიის განმავლობაში შეგროვილ და დამუშავებულ აღმოჩენების და დაგროვილ

კულტურულ მასალებიდან მათი კრიტიკული გადამუშავებით, მარქსისტულ გადაფასების და გადადნობის საშუალებით".

მაშასადამე, ყველაფერი უნდა გამოყენებული იქნეს, მაგრამ, ამბობს ლენინი, რადგან თეორია პარტიულია, ამიტომ ყველაფერი ეს უნდა იქნეს ხელახლა გამოკვლეული, კრიტიკულათ გადამუშავებული. აი, ამ კრიტიკულ გადამუშავებისათვის ჩვენ გვაქვს, ამხანაგებო, შესანიშნავი მეთოდი, ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმი.

მაშასადამე, ჩვენ უარს არ ვყოფთ მივიღოთ ის, რაც მისაღებია პროფ. ჯავახიშვილის ნაწერებიდან. არ მახსოვს, აქ ერთ ერთი გამოვიდა, მგონია, პროფ. ყაუხჩიშვილი და ასე დაიწყო ლაპარაკი, ვითომ ჯავახიშვილის გაძევება უნდათო. როდის იყო, რომ მარქსისტ-ლენინელები აძევებდნენ რომელიმე იმ პროფესორს, რომლის ნაშრომები თუ გინდ ერთ კაპიკათ გამოდგება, როდის იყო რომ საბჭოთა ხელისუფლება უარს ეუბნებოდა რომელიმე მეცნიერს, რომლის თუგინდ ერთი დოკუმენტი სასარგებლო იქნება ჩვენი ახალგაზრდობის მუშაობისათვის. სამწუხაროა ამ მხრივ გამოსვლა თვითონ პროფ. ყაუხჩიშვილისა, რომელმაც თავის გამოსვლაში არაფერი მოგვცა, ის არც თვით კრიტიკას შეიცავდა, არც სხვის კრიტიკას.

პროფ. ჯავახიშვილის მეთოდი არის იდეალისტურ სუბიექტივისტური და არ ვიცი, რატომ უსაყვედურა ამხ. ჯანაშიამ პროფ. ნათაძეს, როდესაც ნათაძე აქ ამბობდა, რომ მე დიდი ხანია ვამტკიცებდი, რომ პროფ. ჯავახიშვილის მეთოდი რიკერტიანულია. დიახ, რიკერტიანულია. შეიძლება მთლად მისი მიმდევარი არ არის და ამას არც სწერს, მაგრამ რიკერტი არის ყველაზე რეაქციონური ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევარი, ის არის ნეოკანტიანური მოძღვრების მიმდევარი, ნეოკანტიანიზმი კი არის ყველაზე რეაქციონური მიმართულება და პროფ. ჯავახიშვილი ამ ნეოკანტიანიზმის მიმდევარია. მე არ ვიცი, ჯანაშიამ რატომ ასე გაბიბრუა პროფ. ნათაძის განცხადება და ნაწერები, არ ვიცი ეს შეცნობით მოუვიდა, თუ უმეცრებით.

მე, ამხანაგებო, მინდა შევეხო იმ საკითხს, რომელზედაც მე აქ სპეციალურათ გამოვდივარ, ეს არის სამართლის და სახელმწიფოს საკითხები და თქვენი ნებართვით მინდა ორი-სამი მაგალითი მოვიყვანო პროფ. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიის შესახებ.

მე მოგახსენებთ, რომ მისი მეთოდოლოგია არის იდეალისტურ სუბიექტიური, ნეოკანტიანისტური მეთოდოლოგია. მართალია, მას სპეციალური მეთოდოლოგიური და ფილოსოფიური ნაკლევი არა აქვს, მაგრამ თუ ვნახავთ მის წიგნებს, ალაგ ალაგ თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს სწორი არის. აი, მაგალითად ასეთი ადგილი აქვს მას სამართლის წიგნში, სადაც ის ასე ახასიათებს სამართალს (*კითხულობს*): „ყოველი ერის სისხლის სამართალი და კანონმდებლობა გარკვეული უფლებრივ შეგნების ნაყოფია და გარკვეული სისტემის განსახიერებას წარმოადგენს". მაშასადამე, მისი შეხედულებით, სამართალი ეკონომიური მდგომარეობის ნაყოფი კი არ არის, არამედ უფლებრივი შეგნების ნაყოფია. თქვენ იცით, ამხანაგებო, კანტის სწავლება, რომ სამართალი არის იდეების, გონების ნაყოფი, რომელიც მოწოდებულია, შექმნას სისტემა, წესრიგი იმ ქაოტიურ მდგომარეობაში, რომელიც არსებობს მატერიალურ ქვეყანაში.

ავიღოთ მეორე ადგილი. ქართველი ერის ისტორიაში მას ასეთივე მეთოდოლოგიური შეხედულება აქვს, მაგრამ არა სამართალზე, არამედ სხვა საკითხებზე (*კითხულობს*): „ყველასათვის ცხადია, რომ ჭურჭლისა და ოარალის სხვადასხვა ნიმუშები რომელიმე ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანების ნაწარმოები უნდა იყოს, მაგრამ რაკი მეცნიერებას არ შეუძლია გამოარკვიოს, ვინ იყვნენ, სახელდობრ, ეს ნიჭით დაჯილდოებული პირები, თვით საგნებს აქცევს ყურადღებას".

ერთი შეხედვით თითქოს გეგონებათ, რომ ეს ციტატა მატერიალისტურია, მაგრამ როდესაც კარგათ დაუკვირდებით ამ ციტატას, დარწმუნდებით, რომ აქ ადამიანის ნაწარმოები მოყვანილია მხოლოდ ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანების იდეურ სიმაღლის გამოსარკვევად.

ამხანაგი ორაგველიძე დაწვრილებით შეჩერდა პროფ. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიაზე, მან მოგვცა აუარებელი ნიმუშები და ამიტომ ამაზე ლაპარაკით თავს აღარ შევაწყენთ. მით უმეტეს, რომ ეს

საკითხი სადაო არ გახდება და ჯავახიშვილი თავის ნაწარმოებებს მარქსისტულათ არ გამოაცხადებს.

პროფ. ჯავახიშვილმა ქართული სამართლის შესწავლისათვის აუარებელი საბუთები მოაგროვა, აუარებელი ტერმინები, აუარებელი ზნეჩვეულებები, რომლებიც გაფანტული იყო ხალხში და თანდათან ისპობა. ასე რომ, მე შემიძლია აქ სრულის შეგნებით განვაცხადო, რომ მისგან დაწერილი საქართველოს სამართლის ისტორიის წიგნები ჩვენთვის ძალიან გამოსადეგი, დიდი ღირებულების მქონე წიგნებია, ოღონდ მათში დამახინჯებულია ისტორიული ფაქტები, გაშუქებულია ისინი ეკსპლოატატორთა კლასის თვალსაზრისით, ისტორიული ფაქტები მოცემულია არა იმ გაგებით, როგორც ობიექტურად უნდა გაეგოთ, არამედ იმ გაგებით, როგორც ჯავახიშვილს ესმოდა და ეს კორექტივი რომ შევიტანოთ, ამ წიგნების გამოყენება შეიძლება.

მაგრამ რაშია, ამხანაგებო, ეს დამახინჯებანი — უმთავრეს ძარღვებში. პირველი — ბატონყმობის გაჩენის მიზეზს ჯავახიშვილი ხედავს იმაში, რომ თვითონ ხალხმა მოისურვა, რომ ყოფილიყვნენ უბატონოთ, ხალხს უნდა ყმობა და ეძებს ბატონს. აი, თურმე ასე შეიქმნა ბატონყმობა. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ეს არის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია, იგი ამახინჯებს მთლიანად ბატონყმობის საკითხს და მე მგონია, რომ ასე ძალიან თითქმის არც ერთ ბურჟუაზიულ ისტორიკოს ბატონყმობის საკითხი არ დაუმახინჯებია. ჯავახიშვილი ამბობს (*კითხულობს*): „ქართული პატრონყმობის სრული ბუნებისა და დამახასიათებელ თვისებათა შეგნებისათვის სწორედ რომ „შეწყალებისა“ და „შეწყალებულის“ მნიშვნელობის გათვალისწინებაა საჭირო. „შეწყალება“ პატრონ-ყმობის აუცილებელი და არსებითი თვისება იყო“ („ქარ. სამ. ისტ.“, წიგნი პირველი, გვ. 81).

დაახლოებით 20 გვერდზე პროფ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ შეწყალებამ შექმნა საქართველოში პატრონყმობა, ე. ი. თვითონ გლეხები თავს უკრავდენ და სთხოვდენ, მიგვიღეთ ყმებათ და ბატონები ხანდახან არც კი თანხმდებოდენ.

მეორე — სამართლის ბაზა საქართველოში. მე მოგახსენებთ, რომ ბევრი რამ შეკრიბა საქართველოში, მაგრამ საიდან წარმოსდგა სამართალი. ის ამბობს, რომ სამართალი არის შეგნების ნაყოფი, მაგრამ თვით შეგნება საიდან წარმოსდგა. თურმე ნუ იტყვით, რომ სამართალი, როგორც ფორმა საზოგადოების რეგულირებისა, წარმოიშვა რელიგიისაგან. აქ, მაშასადამე, პროფ. ჯავახიშვილი ეყრდნობა ყველაზე უფრო რეაქციონურ იდეალისტურ სამართლის თეორიას, თუ გნებავთ, თეოლოგიურ თეორიას. აი, რას ამბობს ჯავახიშვილი ერთ ადგილას (*კითხულობს*): „შემოქმედმა პირველ ადამიანსა და საერთოდ მთელ ადამიანთა მოდგმას მათი ყოფაცხოვრებისა და მოქმედების „სჯული“ დაუწერა. ეს „სჯული“ თვით ადამიანთა ბუნებასაც ჰქონდა თანდაყოლილი და მცნებითაც შთაგონებულ იქნა“ („ქარ. სამ. ისტ.“, წ. 2, ნაკ. 2, გვ. 251).

ასე რომ, პირველი წყარო თურმე არის რელიგია, ღმერთი, უფალი და შემდეგ რამდენადაც თვითონ ღმერთი არც პრისტავად, არც მამასახლისათ, არც მეფეთ ქვეყანაზე არ ყოფილა, ამიტომ ადამიანის გონება, რომელიც წარმოსდგება ამ ღვთაებრივი ძალის შთაგონებიდან...

აი, ასე აქვს ჯავახიშვილს მოცემული სამართლის გენეზისის ანალიზი. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ამას ჩვენ ვერ მივიღებთ, მაგრამ რომ გადაათვალიეროთ ეს წიგნები და განიხილოთ ის ფაქტები, რომლებიც მას მოჰყავს, დარწმუნდებით, რომ არც ღმერთი, არც ანგელოზი არაფერ შუაშია. ამას იყენებდნენ მოსამართლეები, რომლებიც უსამართლოდ სჯიდნენ ყმებს და მონებს. მაშასადამე, ეს ფაქტები შეიძლება ჩვენგან იქნეს გამოყენებული სათანადო შესწორებით.

ისტორიის მამოძრავებელ ძალათ ჯავახიშვილმა აღიარა მეფეები და ცალკეული გამოჩენილი პიროვნებები. სრული ნეოკანტიანური განხრით გვაქვს ჩვენ აქ მიდგომა. მართალია, ჯავახიშვილი ხშირად იხმარიებს რელიგიას და უნდა მოგახსენოთ, რომ ნეოკანტიანობას სრულიად არ ეყრდნობა რელიგია, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ ძნელი არის რელიგიაზე დაყრდნობა, მაგრამ, ყო-

ველ შემთხვევაში, ნეოკანტიანელები იყენებენ ამას, თუ რელიგიის სახით არა, სხვა სახით, ფატალისტური და სხვა შეხედულებით.

უკანასკნელი რაც ყველაზე უფრო დიდი დანაშაული არის პროფ. ჯავახიშვილისა ისტორიის მიმართ, ეს არის მისი დამახინჯებული შეხედულება სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ჯავახიშვილმა მონახა ყველაზე საუკეთესო და ყველა დღემდე არსებული საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ დოკუმენტები, გადაათვალიერა, შეაფასა და მოგვცა ყოველად მიუღებელი მათი ახსნაგანმარტება. მისი აზრით, საქართველოში დაახლოვებით მე-9 მე-11 საუკუნემდე იყო გვაროვნული წყობილება. ეს საკითხი, მე მგონია, ჯერ არავის გადაუწყვეტია, მართლა ასე იყო, თუ არა. აქ ჩვენ არც ვედავებით მას, მაგრამ ამავე დროს მისი აზრით, თურმე ყოფილა სახელმწიფოც, მეფეც და სამართალიც, სასამართლოც ყოფილა, ერთი სიტყვით, პოლიცია, სამართალი ყველაფერი ყოფილა ამ პირველყოფილ კომუნიზმში, გვაროვნულ წყობილებაში და აი, აქ სწორეთ ჯავახიშვილს ეტყობა თავისი ბურჟუაზიულ, ექსპლოატატორულ სულისკვეთებით ფაქტების ახსნაგანმარტება. აი, მაგალითად, პროფ. ჯავახიშვილი თავის წიგნში "Государственный строй древней Грузии и древней Армении" სწერს: "Род представлял из себя основу социального строя тогдашнего грузинского общества... следовательно, царская власть в Грузии была организована на подобие власти старейшего в любом отдельном роде; разница заключалась только в том, что царь был в то же время главой рода... Отсюда мы заключаемб что род и родовой строй должны считаться основой не только социальной жизниб но и основой царской власти в Грузии" (გვ. 9, გამოცემა პეტერბურგი, 1905 წ.).

აი, თურმე, მაშასადამე, პირველყოფილ კომუნისტურ საზოგადოებაში იყო მეფეც და სამართალიც ჰქონია მას. შემდეგ ქვევით მას აქვს გაგრძელება ამის შესახებ და დასახელებულიც კი ყავს ის პირები, ვინც იყო ეს მოსამართლეები. ისინი იყვნენ მეფე მამასახლისები. მაშასადამე, იყო მეფე ხელმძღვანელი ჯარისა და იყვნენ მამასახლისები. ეს წიგნი ასეთ აზრს შეიცავს და მე მეტ ადგილებს არ მოვიყვან, მინდა დროის ეკონომია გავაკეთო.

დაბოლოს, ამხანაგებო, პროფ. ჯავახიშვილს აქვს ნამდვილი ზოოლოგიური შოვინიზმი. თუმცა ადრინდელ ნაწარმოებებში, როცა ის სომხებზე სწერს, ალაგ ალაგ ის ლოიალურია, მაგრამ თუ დაუკვირდებით ფაქტებს, ცხადყოფენ სომხებისადმი არასწორ და დაუშვებელ მიდგომას. ყველგან შეხვდებით ასეთ გამოთქმებს სომხების შესახებ: გამცემლები, გამყიდველები, ვერცხლის მოყვარულები და სხვა. სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ ამ ფაქტებს ხშირად იყენებენ ის ისტორიკოსებიც კი, რომლებიც აქ გამოვიდენ და ჯავახიშვილზე სთქვეს, რომ ჯავახიშვილი შოვინისტიაო.

ამრიგათ, ამხანაგებო, ჯავახიშვილის ისტორია მოკლებულია თეორიულ ობიექტივობას და წარმოადგენს ექსპლოატატორთა ქებას. ექსპლოატირებულნი მის ქვეყანაში თურმე არ არსებობდნენ, თურმე ქვეყანაზე ბედნიერება არის, უმრავლესობა ეძებს ბატონებს და ბატონები არიან არა ექსპლოატატორები, არა დამსჯელები, არამედ არაჩვეულებრივი სათნოების ხალხი, რომლებიც დღედაღამ იმაზედ ფიქრობენ, თუ რით მოეხმარონ თავის ყმებს. არავითარი კლასთა ბრძოლა, არავითარი ექსპლოატაცია, არც ექსპლოატატორები, არც ექსპლოატირებულნი მის ისტორიაში არ არიან მოხსენებულნი.

როგორ ახასიათებენ ისტორიის შინაარსს მარქსი და ენგელსი. კომუნისტურ მანიფესტში მარქსი და ენგელსი სწერენ, რომ ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია და შემდეგ (მარქსს და ენგელსს არ უყვართ დაუმტკიცებელი განცხადება) დასახელებული ჰყავთ პატრიციები და პლებეები, მონათმფლობელები და მონები, ბატონები და ყმები. ერთი სიტყვით, კაცობრიობის ისტორია მარქსს წარმოდგენილი აქვს როგორც კლასობრივი ბრძოლა, ვეშაპი, რომელზედაც აშენებულია კაცობრიობის ისტორია, არის კლასთა ბრძოლა. თუ კლასთა ბრძოლა არ მოგვეცით, თუ კლასები არ გვიჩვენეთ, თუ არ აგვიწერეთ მათი ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა, ისე ისტორიას ვერ დაწერთ. აი, სწორედ იმიტომ, რომ ჯავახი-

შვილს არა აქვს არც კლასები, არც ფორმაციები, მას აქვს ისტორია მხოლოდ მეფეების და ომების, თუ რომელი მეფე როდის გამეფდა, როგორ იზრუნა მან თავის სამფლობელოზე, ვის რამდენჯერ ეომა და როდის გაიმარჯვა. აი, მთელი მისი ისტორია. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი ისტორია არ იქნება მეცნიერული.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა ახალგაზრდა ისტორიკოსებმა ჯავახიშვილისაგან ასევე ისწავლეს. მათ ნაწარმოებებში ვერ ნახავთ კლასებს, ვერ ნახავთ ვერც გაბატონებულებს, ვერც დაჩაგრულებს, არამედ ნახავთ რომ არის მეფე, არიან წარჩინებულები, რომლებიც ხანდახან ეომებიან მეფეს ან სხვა წარჩინებულებს, ხან იმარჯვებენ, ხან მარცხდებიან. შეიძლება თუ არა უწოდოთ ისტორია ისეთ ნაწარმოებებს, რომელშიც არ არის მოცემული კლასები, ფორმაციები, წარმოების წესი. ყოვლად შეუძლებელია ასეთ ნაწარმოებს ისტორია უწოდოთ. შეგიძლიათ დასწეროთ ასეთი რამ, მაგრამ ეს არ იქნება ისტორია.

პროფ. ჯავახიშვილის გავლენა ისტორიკოსებზე, როგორც მოგახსენეთ, დიდი არის. მართალია, ისინი აკრიტიკებენ ჯავახიშვილს, მაგრამ არსებითად ისევ ჯავახიშვილის ინტერპრეტაციაზე დგანან.

პროფ. ნათაძე აქ გამოვიდა და ამტკიცებდა, რომ ის ჯავახიშვილს დიდი ხანია აკრიტიკებს, რომ ის აკრიტიკებდა მას როგორც რიკერტიანელს. ეს პროფ. ნათაძეს ახსოვს, მაგრამ ის ჯავახიშვილს აქებდა, ეს მას დავიწყებია და როცა ამხ. კარლომ მოაგონა, მან სთქვა, ეს ჩემს წიგნში თუ სწერია, არ მახსოვსო. საქმე ქებაში, რა თქმა უნდა, არ არის, არამედ იმაში, რომ პროფ. ნათაძეს ბევრი აქვს ნასესხები ჯავახიშვილისაგან. სამწუხაროთ, მე ეხლა იმდენი დრო არა მაქვს და ამიტომ არ შემიძლია ამაზე შევჩერდე.

მე მინდა შევეხო ერთ წიგნს, რომელიც გამოვიდა უკანასკნელ დროს, პროფ. ს. ჯანაშიას წიგნს „ფეოდალური რეცოლიუცია საქართველოში“.

პროფესორი ჯანაშია არის ახალგაზრდა ისტორიკოსი, ჩემის აზრით, ნიჭით დაჯილდოებული, ენერგიით და სურვილით აღჭურვილი, ყოფილი მოწაფე ი. ჯავახიშვილისა, რომელიც, თუ არ ვცდები (მგონია, არ ვცდები), უპარტიო ისტორიკოსთაგანია. პირველი აპირებს თავი დაახწიოს ჯავახიშვილის გავლენას და მივიდეს მარქსთან (*ტაში*). ეს მეტად სასიამოვნო ფაქტია, ამხანაგებო, და ყველა ჩვენგანი ვალდებულია, ასეთ ფაქტს შეხვდეს სიხარულით, ტაშის კვრით, ხელი შეუწყოს, რომ მან ეს თავისი გარდაქმნის პროცესი ჩქარა დაამთავროს და მოგვცეს პროდუქცია მართლა მარქსისტული. მაგრამ არ იქნებოდა, ამხანაგებო, სწორი, რომ როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანი სცილდება ძველ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიას და მიდის მარქსიზმისაკენ, მაგრამ შეცთომებს უშვებს, არ იქნებოდა-მეთქი სწორი, რომ ჩვენ ის არ გავაკრიტიკოთ. ეს არ იქნებოდა დახმარება, რომ რაც შეიძლება დაუახლოვდეს მარქსიზმს, არამედ ეს იქნებოდა მისი მოტყუება და ღალატი. მე მგონია, სადაც მას აქვს ანტიმარქსისტული დებულებები, ჩვენ უნდა მიუთითოთ ამის შესახებ. მაგრამ, ამხანაგებო, მითითებაც არის და მითითებაც. პროფ. ჯავახიშვილს რომ უთითებ, იმას ჩვენ უთითებთ, როგორც კლასობრივ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს. მე ძალიან მოხარული ვიქნები, რომ ჯავახიშვილმა დაიწყოს გადაიარაღება და გახდეს მარქსისტი, ამაზე კარგი რამ არ შემიძლია ვუსურვო მას, მაგრამ ამის იმედი ჩვენ ნაკლებად გვაქვს. ამიტომ ჩვენ ვაწარმოებთ მის წინააღმდეგ კრიტიკას, რომელიც მიმართული არის ჯავახიშვილის იდეალისტურ, რეაქციონურ კონცეპციის დასამსხვრევათ. მეორე ნაირი კრიტიკა ჩვენ გვაქვს მათ მიმართ, რომლებიც უკვე ეყრდნობიან ჯავახიშვილს, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მათ გადაწყვეტილი აქვთ, მოშორდნენ მის სუბიექტურ იდეოლოგიას და მოდიან მარქსიზმისაკენ. აი, აქ ჩვენი კრიტიკა იქნება ამხანაგური და მეგობრული, ე. ი. ჩვენ არც დავმალავთ იმ შეცთომებს, რომელიც აქვს ამ ამხანაგებს, არც ვეტყვით, რომ უნდა დაგამხოთ, არამედ ვეტყვით, რომ გეხმარებით და გამოიყენეთ ეს ჩვენი მითითება.

აი, სწორეთ ასეთი ამხანაგური, მეგობრული შეხედულებით ვუყურებთ ჩვენ იმ ახალგაზრდა ისტორიკოსებს, რომლებიც ჯავახიშვილის გავლენებს თავს აღწევენ და მოდიან ისტორიული პროცესების გასაშლელად ობიექტურად, მარქსისტულათ.

სამწუხარო არის, ამხანაგებო, ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ამხანაგი ჯანაშია ძალიან ახლო დგას ჯავახიშვილთან, მაგრამ მე არ ვკარგავ იმედს, რომ მას შეუძლია მალე დაახწიოს თავი მის გავლენებს და დაუახლოვდეს მარქსიზმს. ძალიან ნელი ნაბიჯით მიდის წინ, ორიენ ფეხი მორჩება ჯავახიშვილის ნიადაგზე, მაგრამ მაინც მას ამის შესაძლებლობა აქვს.

როგორც მოგახსენეთ, ჯავახიშვილს ყველაზე უფრო დიდი დამახინჯება აქვს საკითხში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ სახელმწიფო მუდამ იყო და მუდამ იქნება. ჯავახიშვილიც ასე ამტკიცებს და აი, სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ ამხ. ს. ჯანაშიაც ამ საკითხში ორიენ ფეხით მოიკოჭლებს.

ჯანაშიას წიგნში „ფეოდალური რევოლიუცია საქართველოში“ ბევრი არის სიტყვები: ფორმაციები, კლასები, ბატონები, ყმები, მეფეები, ეკონომიკა, ერთ ადგილს მარქსიც არის მოყვანილი, მაგრამ, სამწუხაროთ, ისეთ კონტექსტშია მოცემული, რომ ეს ჯავახიშვილის კონცეპციას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე მარქსისა.

მე ვერ შევეხები ეხლა მთელ ამ წიგნს, ეს რთული საკითხია, მე შევეხები მხოლოდ ერთ ადგილს, რომელიც დამახასიათებელია ამ წიგნისათვის. ეს გახლავთ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი და ეგრეთწოდებული ფეოდალური რევოლიუცია აბაზგეთში, ანუ აფხაზეთში. პირველყოვლისა, ის უდგება იმავე ფაქტებს და დოკუმენტებს, საიდანაც იწყებს სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს ჯავახიშვილი. სამწუხაროთ, ამ დარგში ძალიან ცოტა საბუთები მოიპოვება. შეიძლება გადაწყვეტით დაეეთანხმო ამხ. ქ. ორაგველიძეს, რომ არც ერთ აღმოჩენილ ფაქტებიდან არ არსებობს უფრო დაწვრილებით, უფრო სწორი და დადებითი, ვიდრე სტრაბონის ჩანაწერი. ამაზე დაწვრილებითი სწორი და გასაგები არ არსებობს არაფერი საქართველოს ან, უკეთ რომ ვთქვათ, კოლხეთის, ან კიდევ ეგრისის, ან კიდევ იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ.

სტრაბონს აწერილი აქვს იბერია, ე. ი. აღმოსავლეთი საქართველო და, სხვათა შორის, დაწვრილებით აქვს აწერილი მას მაშინდელი ქართველ ტომების საცხოვრებელი ადგილები, გასაოცარი სისწორით აქვს აწერილი მდინარეების მიმდინარეობა, მთები, საძოვრები და წარმოიდგინეთ ისიც, რომ სვანეთში ოქროს მადანი იყო. სხვათა შორის სტრაბონის შემდეგ ამაზე არავის უზრუნვია და შარშანწინ მართლა საბჭოთა ხელისუფლებამ ნახა ოქროს მადანი და იქ შესაფერი წარმოებაც არის დაწყებული. ჯანაშია ამტკიცებს, რომ სტრაბონს საქართველო არ უნახავს. მე არა ვარ სტრაბონის არც მეზობელი, არც მაშინდელი მცხოვრები, მაგრამ, მე მგონია, რომ თუ მას საქართველო არ უნახავს და ასეთი სისწორით დასწერა, პირდაპირ ძეგლი უნდა დაუდგათ ასეთ კაცს საქართველოში.

მე წავიკითხავ ადგილს სტრაბონის ჩანაწერიდან (*კითხულობს*): "Жители страны делятся также на четыре класса: один из них считающийся первым тот, из которого ставят царей, выбирая ближайшего по родству (с прежним царем) и старейшего по летам, второе за ним лицо творит суд и предводительствует войскам. Второй класс составляют жрецы, которые ведают также спорные дела с соседями, к третьему классу относятся воины и земледельцы, к четвертому простонародье, которое служит рабами у царей и доставляет все необходимое для жзни. Имущество у них общее по родам; заведует и распоряжается им в каждом роде старейший. Таковы Иверы и их страна".

(ჯანაშია: ვისი თარგმანია?)

მერე მოგახსენებთ. აი, ამ ადგილს ი. ჯავახიშვილი იყენებს თავისი ბურჟუაზიული ანოლოგეტური შეხედულების დასამტკიცებლად. ის სწერს, რომ სტრაბონი ამბობს, რომ ქონება არის საერთო, რომ თვითეულ ტომში, გვარში ირჩევენ ყველაზე უფრო ხნიერს, რომელიც არის მამასახლისი, მაგრამ, განმარტავს ჯავახიშვილი, სტრაბონი ამბობს, რომ იქ არის მეფე და რაკი მეფე არის, მაშასადამე, სახელმწიფოც არის და სამართალიც. მაშასადამე, რა დამახინჯება შეაქვს ჯავახიშვილს ამ კონკრეტულ ფაქტში? ეთანხმება რა სტრაბონს, რომ აქ იყო გვაროვნული წყობილება, რომ ქონება იყო საერთო, რომ თვითეულ გვარს ხელმძღვანე-

ლობდა ამ გვარის ყველაზე უფროსი, ის, ამავე დროს, სტრაბონის მიერ მოყვანილ ბერძნულ სიტყვას „ბაზილევს“-ს სთარგმნის როგორც მეფეს, მაშასადამე, როგორც სახელმწიფოს მეთაურს და ხელმძღვანელს. ჯავახიშვილის დამახინჯება მდგომარეობს იმაში, რომ მან სახელმწიფო, სამართალი შეათრია გვაროვნულ წყობილებაში, რადგან ბურჟუაზიულ მეცნიერს არ წარმოუდგენია არც ერთი წყობილება, თუ არ იქნა ჟანდარმები და პოლიცია.

ეხლა მარქსისტს რა ევალება, როგორ უნდა შეხედოს ამ დოკუმენტს. რაკი ჯავახიშვილმა იხმარა ეს დოკუმენტი, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უფლება არ გვაქვს შევეხოთ მას. მარქსისტს ევალება შეისწავლოს ეს დოკუმენტი მარქსისტულად და მოგვცეს ის დოკუმენტი, რომელიც დასწერა მართლა სტრაბონმა.

თარგმანში, რომელიც მე ეხლა ხელთ მაქვს, ნათარგმნია იმნაირად, რომ, სტრაბონის ცნობით, იბერიაში ოთხი წოდება იყო. ზოგან კი ნათარგმნია კლასებად.

(პოლიექტოვი: თქვენ ორგინალში არ წაგიკითხავთ? მარქსისტ ისტორიკოსს, მე მგონია, ეკალება, მიმართოს ორგინალურ წყაროებს!).

მე წყაროებს მივმართავ, ამხანაგებო, და მივმართავ ისეთ წყაროებს, როგორიც არის მარქსის და ენგელსის ნაშრომები.

რა არის ეს ოთხი, რომელიც გადმოთარგმნილია ხან კლასათ, ხან წოდებათ. არ ვიცი მაშინ ბერძნულ ენაში იყო თუ არა სიტყვა კლასი, მაგრამ ის, რასაც სტრაბონი სწერს, არის არა კლასი, არამედ გენე (გვარი). რატომ სწერს სტრაბონი გენეს? ნუთუ სხვა სიტყვა არ იყო საბერძნეთში კლასის გამომხატველი. მე მგონია, აუცილებლად იყო, რადგან გენეტიური წყობილება საბერძნეთში მოსპობილი იყო 500-600 წლის წინათ და იქ იყო სხვა სიტყვა წოდების, კლასის გამოსახატავათ. მაშ, რატომ ხმარობს სტრაბონი სიტყვა გენეს? ალბათ იმიტომ, რომ აქ კლასები და წოდებები კი არ იყო, არამედ იყო გენე (გვარი, ტომი), რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს არც კლასს, არც წოდებას.

(ჯანაშია: ჩემს თარგმანში როგორ არის გადმოთარგმნილი?).

ნება მომეცით, ჯერ ენგელსიდან მოვიყვანო სათანადო ადგილი და მერე თქვენს თარგმანზე მოგახსენებთ.

მეტად საინტერესოა, ამხანაგებო, მორგანის წიგნიდან ერთი ადგილი. მორგანი უდიდესი მკვლევარია, რომლის ავტორიტეტს მაღლა აყენებს ენგელსი. მართალია, ჯანაშია შეეცადა მორგანი დაემცირებია ერთ ერთ კამათში, მაგრამ მე მოვიყვან ადგილს ენგელსიდან (*კითხულობს*).

...

ეხლა, მე მგონია, ვერ იკადრებს ვინმე, რომ მორგანის დამცირება მოინდომოს და ეხლა, ნება მომეცით, წავიკითხო ის ადგილები, რომლებიც ჩვენ მოგვეხმარება ჩვენ ამ საკითხის გაშუქებაში (*კითხულობს*).

მორგანი სწერს, რომ ინგლისელი ისტორიკოსები ამერიკელ ტომებსაც ასე ახასიათებენ, რომ იყო ოთხი კლასი და მეფეო. სხვათაშორის, ძალიან საინტერესოა, ამხანაგებო, ეს ციფრი ოთხი. ამხ. ჯანაშია, არ ვიცი, დაუფიქრდა ამას თუ არა. კლასობრივ წინააზანაში არის ხშირად ორი, ოთხი და ხშირად არის სამი, ხუთი, რატომღაც წყვილწყვილად იყოფა გვარები. როდესაც ინგლისელმა ისტორიკოსებმა ასწერეს ამერიკელი ტომები, რატომღაც აქაც მოხსენებულია ოთხი (*კითხულობს*): "А Эррера, разделив эти должности на четыре степени, говорит: Эти четыре класса дворян входили в верховный совет, без мнения которого король не мог предпринять ничего значительного, причем король мог быть избран только из числа членов одного из этих четырех классов". Употребление терминов "король" для обозначения внешнего военного вождя и "принцы" для означения индейских вождей не могут создать государство, или политическое общество там, где их не существовало, то эти ложные наименования придают несвойственный характер и искажают нашу туземную историю, почему должны быть отброшены". Моргап. "Древнее общество", стр. 119).

აქედან, როგორც მორგანი სწერს, იმ პატივცემულმა ისტორიკოსმა გამოიტანა ის დასკვნა, რომ ამერიკელ იროკეზელ ტომებს ყავდათ ოთხი კლასი. ერთი მათგანი იყო აზნაურების კლასი, აქედან გა-

მოლიოდენ მეფეები და აქ იყო სახელმწიფოებრივი წესწყობილება. მე ეხლა წავიკითხავ, რას სწერს მორგანი (*კითხულობს*): "Наши взгляды на вопросы греческой и римской истории сложились под влиянием писателей, привыкших к монархическом правлению и привилегированным классам писателей, которые, быть может, были рады сослаться на самый ранный, какой нам известен, образ правления греческих племен для оправдания этой формы правления как естественной, необходимой и первоначальной" (**Л. Морган.** "Древнее общество", стр. 143).

ქვეცით მორგანი სწერს, რომ ეს შეფასება აიხსნება იმით, რომ ექსპლოატატორულ და პოლიციურ თვალსაზრისით იხილავდა ეს ისტორიკოსი ყოველ საზოგადოებას. გარდა ამისა, ამ ამერიკელ ტომების ისტორია შეეხება მე-15-16 საუკუნეს.

ამგვარათ, ამხანაგებო, მაშასადამე, ის გარემოება, რომ ოთხი გვარის მაგივრათ მთარგმნელები იძლევიან ოთხ წოდებას, არ არის სწორი და თქვენი თარგმანიც ამხ. ჯანაშია დამახინჯებულია და არამარქსისტულია.

(ჯანაშია: წაიკითხეთ ჩემი თარგმანი).

რა წაიკითხო, თქვენ აქ კლასებათ ასახელებთ.

მეორე მომენტი, რომელიც ამ თარგმანშია დამახინჯებული, ეს გახლავთ ეგრეთწოდებული მეფე, ბაზილევსი, რომელსაც ყველა თარგმნის მეფეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ცოტა უფრო ნაკლები საყვედური გვმართებს თვით სტრაბონისადმი. სტრაბონი სრულებით არ იხსენიებს მეფეს. აუარებელი ტერმინები არსებობდა მასში, რომლებიც შეუძლებელი იყო, არ სცოდნოდა სტრაბონს, როგორც გეოგრაფს. ის ასახელებს არა მეფეს, არამედ „ბაზილეუსს".

რა არის ბაზილეუსი. ეს სიტყვა ნიშნავდა I საუკუნეში ტომის წინამძღოლსაც და მეფესაც. ჯერ მივმართოთ მორგანს. მორგანი დაწვრილებით ეხება ამ საკითხს. ბაზილევსი, მორგანის გამორკვევით, არის მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ხელმძღვანელი ტომისა და აცხადებს, რომ ვინც იტყვის, რომ ის არის მეფე, ის არის ექსპლოატატორების ისტორიკოსი (*ბრძა*: რეგლამენტი). თუმცა თქვენ ყველა მარქსისტები ხართ და არ გინდათ მოსმენა, მაინც ნება მომეცით, ერთი ადგილი წავიკითხო, რომ მარქსისტული ერბოთი გაეამდიდროთ ზოგიერთის ქაში.

ნგელსი ამბობს, რომ ბაზილევსს მეფედ მხოლოდ ბურჟუაზიის ლაქიები თარგმნიანო. „სამხედრო ხელმძღვანელი" (ბაზილეუს) — მარქსი ამ სიტყვის შესახებ ამბობს: „ევროპელი სწავლულები, თვის უმრავლესობით სასახლის ლაქიებათ არიან დაბადებულები და ამიტომ ბაზილევსს თარგმნიან როგორც მონარქს დღევანდელი აზრით. ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს რესპუბლიკელი ანკ მორგანი... გამოთქმა ბაზილეია, რომელსაც საბერძნეთის მწერლები ხმარობენ გომერის დროინდელ ე. წ. „სამეფოს" აღსანიშნავად, რადგან მის უმთავრეს განმარჩეველ ... ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო დემოკრატიას".

ერთი სიტყვით, აქ ენგელსს მოყვანილი აქვს ამონაწერი მარქსიდან, ეთანხმება მას და ამბობს, რომ ევროპელი ბურჟუაზიის ლაქიებია ის ხალხი, ვინც ბაზილევს უწოდებენ მეფეებს და მე უსურვებ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა ისტორიკოსებმა არც ერთმა არ დაიმსახუროს ეს სახელი მარქსის და ენგელსის მიერ მოცემული.

მესამე. სტრაბონი პირდაპირ გვეუბნება — საკუთრება არ არსებობს. არის საერთო საკუთრება და რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ის, რომ სტრაბონი ამბობს, რომ იყო ბაზილევსი, მაგრამ არსად არ გვეუბნება, ყავდა თუ არა მას მინისტრები, მუდმივი ჯარი, პოლიცია. ნუთუ შესაძლებელი რომ ყოფილიყო ქვეყნად მეფე და მას არ ჰქონოდა რაიმე სამმართველო აპარატი. როდესაც სტრაბონი გვეუბნება ბაზილევსზე, ის არის ბაზილევსი ტომური წყობილებისა, თორემ მეფე რომ იყოს, ერთხელ მაინც დასახელებდა, ვინ ყავს და ვისი საშუალებით განაგებს სამეფოს. მერე რა ფორმაციაა, რომელიც ოთხი გვარისაგან შესდგება.

ამრიგათ, ამხანაგებო, სტრაბონის ჩანაწერი გენოს და ბაზილევსი უნდა იყოს გადმოთარგმნილი არა როგორც კლასი და მეფე, არამედ როგორც გვარი, ტომი და მისი სამხედრო ხელმძღვანელი.

ეხლა, როდესაც ჯავახიშვილმა დამახინჯა ეს საკითხი, მან შეათრია სახელმწიფო ამ ტომურ წყობილებაში.

სამწუხაროდ, ამხ. ჯანაშია, რომელმაც მოინდომა ჯავახიშვილის გასწორება ამ საკითხში, აქეთ კი არ წამოვიდა მარქსიზმისაკენ, არამედ, პირიქით, იქით წავიდა. მან დაიწყო იმის მტკიცება, რომ სწორეთ იმ საზოგადოებაში არის კლასები და ამიტომ უნდა იყოს მეფეც და სახელმწიფოც. იმის მაგიერ, რომ გაეწმინდა სახელმწიფოდან ის საზოგადოება და ელიარებინა, რომ ეს არის ტომური წყობილება, რომ ჯავახიშვილი სცდება, იგი მოეხმარა ჯავახიშვილს. მან ბაზისი გაუკეთა ჯავახიშვილს, რაკი ის სახელმწიფოს ახსნებს, მოდი მე კლასებსაც შევთხზავ და გამოვა, რომ სახელმწიფოც ყოფილა და კლასებიც. ასე ქმნა ჯანაშიამ და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, ამას იცავდა ის ზეპირადაც, გუშინაც გამოვიდა ის ამ ნაწარმოების დასაცავად, აქაც ამ ახალ წიგნში ასე აქვს მოცემული. მხოლოდ ერთი რამ დაავიწყდა, რა კლასები იყო, როგორი ფორმაცია იყო, ვინ იყვნენ ექსპლოატატორები და ექსპლოატირებული, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოეპოვება.

პირიქით, ის სწერს: „წყაროების უაღრესი სიმცირე და ცალმხრივობა საშუალებას გვისპობს ღრმად შევიხედოთ აღებულ და წინამორბედ პერიოდების საწარმოო ურთიერთობის კონკრეტულობაში“-ო.

აი, ის საბუთები, რომელზედაც პროფ. ჯანაშიას „ანალიზი“ ეყრდნობა.

ეს გასაკვირი ამბავია პირდაპირ. ის ეხება ტომური წყობილების დარღვევას და არ მოჰყავს არც ერთი საბუთი. ამხ. ჯანაშია ალბათ ასე ფიქრობს, რომ რა საჭიროა საბუთი, ისედაც უნდა დამიჯეროთ, რომ კლასები იყოო.

რომ ჯანაშიამ როგორმე მოაწყოს საკითხი ფეოდალური რევოლიუციისათვის, მან ჯერ უნდა დამტკიცოს, რომ საქართველოში იყო მონობა, თუ მონობა იყო, შემდეგ ალბად ფეოდალიზმი იქნებოდაო (აბა, რა იქნებოდა). მაგრამ ეს საკითხი მეტად საინტერესო საკითხია და ეხლა შეგეზებით თქვენ, ამხანაგო კიკვიძე, ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდე არ შეგეზეთ. ეს ამხანაგი ამტკიცებს (*კითხულობს*).

ამხანაგი ამბობს არა საქართველოში, არამედ კოლხეთშიო, მაგრამ საქართველოს ხმარება არ არის, ამხანაგო, ბოროტება. საქართველო ქვეყანა არის და არა ერი. თურმე ამ ქვეყანაში მონობა ყოფილა, ის კვლევას ახდენს და ამბობს, რომ თურმე კოლხეთში იმ დროს ფაბრიკა ქარხნები იყო (კიკვიძე: სტრაბონის ცნობა მოვიყვანე!). პირდაპირ ასე სთქვა, რომ ყოფილა ფაბრიკა ქარხნები, რომლებიც აკეთებდნენ ქსოვილებს, რომლებიც გაჰქონდათ ბიზანტიაში. ალბათ ეს ამხანაგი ფიქრობს, რომ ბარბაროსებს არაფერი ეცვათ. ბარბაროსობის ხანაში თითონაც იცვამდნენ და ზედმეტს რომ დააგროვებდნენ, გაჰქონდათ კიდეც. თქვენ რომ წაიკითხოთ ეს წიგნი ნახავთ, რომ ატსტეკების ტომს, რომელსაც არც მეფე ჰყავდა, არც კლასები, ჰქონდათ წარმოებაც, მხატვრობაც, წერაკითხვაც და ფულებიც.

ეს საკითხი საქართველოში მონობის არსებობის შესახებ მეტის მეტად საინტერესო საკითხია. ვერც ერთ წყაროში ვერ ნახავთ, რომ საქართველოში იყო მონები. ჯერ ასეთი წყარო არ არის აღმოჩენილი.

(კიკვიძე: თუ ვიცოცხლე, ერთ წელიწადში დავამტკიცებ!).

მე ვთხოთ სტენოგრაფს, შეიტანოს სტენოგრამაში ეს მისი განცხადება. დღეს, როდესაც ჩვენ შევხვდით ჩვენს ორდენოსან გმირებს, ჩვენ მივიღეთ ჩვენს თავზე მრავალი ვალდებულება და მოდი, ეგეც შევიტანოთ ამ ოქმში. ჯერ, ამხანაგებო, არ აღმოჩენილა ასეთი საბუთები, იყო თუ არა საქართველოში მონობა, პირიქით, არის იმის საბუთები, რომ მონობა არ ყოფილა, რადგანაც, როგორც სტრაბონის, ისე პირველ შემდგომი საუკუნეების ისტორიკოსების აღწერილობაში საქართველოს ტომების საცხოვრებელი ადგილებისა, არსად ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი მონობაზე. მე, ამხანაგებო, ამ საკითხზე გადავათვალიერე 90-მდე ძველ ისტორიკოსთა აღწერილობა საქართველოს ტომების, ყველა ეს ისტორიკოსები – ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი ისტორიკოსები არიან, ე. ი. წარმომადგენლები გაბატონებული კლასისა, წარჩინებული პირების, თავადების წარმომადგენლები, ან მზედრები, ან გამოგზავნილი მინისტრები და არც ერთი მათგანი თავის ნაწარმოებებში არ ასახელებს მონათმფლობელს ან და მონას. განა ბერძნებს, ბიზანტიელებს და რომაელებს მონური ფორმაცია არ ენახათ და არ იცოდენ, ეს რა იყო. ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ მათ არაეი-

თარი მონობა არ უნახავთ საქართველოში არც პირველ, არც მეექვსე და მეშვიდე საუკუნეში. ერთ ადგილას მოგვითხრობს ჩვენ ბერძენი ისტორიკოსი, რომ კოლხები, ანუ ლაზები, აგრეთვე აბხაზები ყიდნენ ბიზანტიაში (შავი ზღვის ნაპირებზე) მონებად ხალხს. ვინ იყო ეს ხალხი? თურმე ნუ იტყვით, არც ერთი მათგანი ქართველი არ ყოფილა, ყველა ყოფილა ტყვეთ წამოყვანილი ჩრდილო კავკასიიდან. მაშასადამე, ვის შეუძლია მოგვახვიოს თავზე საქართველოში მონობის არსებობა, რომელი ისტორიული ჩანაწერების წყალობით, რომელი არქეოლოგიური აღმოჩენის წყალობით. თუ ამხ. კიკვიძე ამ წელიწადში ამას დაამტკიცებს, მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ მისი ქების მეტს არაფერს გავაკეთებ. მაგრამ თუ თქვენ დამტკიცებას უძახით იმ საბუთებს, რომლითაც აქ გამოხვედით, მაშინ შეიძლება ამას ისეთი დამტკიცება უწოდოთ, როგორც თქვენ ფაბრიკა ქარხნების არსებობა დაამტკიცეთ.

ერთ ადგილას ნათქვამია, რომ აბაზგეთის მთავარი ჰყიდდა ბიზანტიაში საჭურისებს, ასაჭურისებდა ახალგაზრდა ლაგაზ ბიჭებს და აგზავნიდა ბიზანტიაში. 60 არის სულ დასახელებული, მეტი არ გაუგზავნიათ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იხსენიება მონათ, პირიქით. ვინ ყოფილან ისინი? როგორც სწერს ამხ. ჯანაშია, ისინი ყოფილან წარჩინებული პირების შვილები და აი, სწორეთ ამიტომ ეს წარჩინებულნი ავკანყდნენ და ჩამოაგდეს მთავარი, ჯანაშია კი ამის გამო ამბობდა, რომ აბაზგეთში მომხდარა თურმე ფეოდალური რევოლიუცია.

მარქსის გაგებით, რევოლიუცია არის ფორმაციის ცვლა. მაშასადამე, თუ აბაზგეთში რევოლიუცია მოხდა, იქ უნდა ყოფილიყო სხვა ისტორიული ფორმაცია, რომელიც შემდეგ უნდა გამოცვლილიყო სხვა ისტორიული ფორმაციით, მაგრამ სრულებით არ იწუხებს თავს ჯანაშია ამის დასამტკიცებლად. ის ამბობს, რომ, როგორც სწერს პროკოფი კესარელი, მე-6 საუკ. ისტორიკოსი, აბაზგეთში იყო ორი მეფე. მე ვაცხადებ მთელის ჩემის შეგნებით, რომ ასეთი განცხადება, რომ იყო ორი მეფე, თქვენი მოგონილია. პროკოფი კესარელს არამცთუ არ უწერია არსად მეფე, არამედ ბაზილევსიც არ უწერია... მას უწერია, რომ იყო ორი არხონტი აბხაზეთში. ჯერ ბაზილევსიც რომ ეწეროს, ჩვენ ვამბობთ, რომ ბაზილევსი მეფეს არ ნიშნავს, მაგრამ მას ყველგან უწერია არხონტები.

(ჯანაშია: თქვენ მართალს არ ამბობთ, მე ყველგან ელაპარაკობ აბაზგეთის მთავრების შესახებ!).

მე ვაცხადებ, ამხანაგებო, რომ პროკოფი კესარელის წიგნში მხოლოდ ერთ ადგილას არის ბაზილევსი დასახელებული, დანარჩენ 30 ... ადგილას ყველგან ლაპარაკია არხონტებზე და რა უფლება გვაქვს, მეფეები დავარქვათ და მერე დესპოტებად გადავაქციოთ, როგორც ამხ. ჯანაშია სჩადის. მაგრამ რისთვის არის საჭირო. თუ დესპოტები და მეფეები არ დაარქვა, აბა რევოლიუცია როგორ მოხდება. როგორ ესმის რევოლიუცია ამხ. ჯანაშიას. მას ესმის რევოლიუცია არა მარქსისტულათ. შეთქმულებმა ჩამოაგდეს ბატონი და დასვეს მეორე ბატონი, განა ეს არის რევოლიუცია. მე, სამწუხაროდ, არა მაქვს დრო, რომ ამაზე დაწერილებით შევჩერდე. მე მგონია, ეს წივნი გარჩეული იქნება სპეციალურად და მაშინ მე დავამტკიცებ, რომ ფეოდალური რევოლიუცია კი არ მომხდარა აბაზგეთში, არამედ ორ არხონტს დაუწყიათ უზურპატორობა და საჭურისები გაუგზავნიათ ბიზანტიაში, არ მოსწონებიათ ეს წარჩინებულებს, ჩამოუგდიათ ორივე, მაგრამ ცოტა ხანი რომ გასულა, ამოურჩევიათ ახალი არხონტები. სად მტკიცდება, რომ მონათმფლობელობა იყო და რომ შემდეგ მომხდარა რევოლიუცია. არც ერთ ისტორიულ ნაწარმოებში არ სჩანს, რომ მონობა და მონათმფლობელობა იყო.

ცხადია, ამხ. ჯანაშიამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები პროფ. ჯავახიშვილის გაელენიდგან გასათავისუფლებლად. ამის დამამტკიცებელია უკვე ის, რომ მთელ რიგ კონცეპციებში არ ეთანხმება ჯავახიშვილს და ეძებს ახალ გზას. ამხ. ჯანაშია აპირებს გაბდეს მარქსისტი, მაგრამ ჯერ ჯერობით უნდა ითქვას, რომ აქ მარქსისტული არის მხოლოდ ცალკეული ტერმინები: კლასები, ფორმაციები, ეკონომიკა და სხვა. თვითეულ გვერდზე არის ეს, ამის ჩამოთვლა შეუძლებელია და ამით ვამთავრებ ჩემს სიტყვას.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის *ამბ. გეგენავას.*

ამბ. ა. გეგენავა: ამხანაგებო, თქვენც დაქანცული ხართ, დროც გვიანია, ამიტომ მე თქვენს ყურადღებას დიდი ხნით არ შევაჩერებ.

ჩემი გამოსვლა გაძნელებულია ამბ. ს. კაკაბაძის გამოსელის შემდეგაც, რადგან მე იმ პირთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც საქართველოს ისტორიის საკითხებზე არაფერი აქვთ დაწერილი და თუ ეს ითვლება ძირითად გარემოებათ, მაშინ არც მე მეკნებოდა უფლება, გამოვსულიყავი. მაგრამ, მაინც ვფიქრობ, რომ საქართველოს ისტორიის საკითხებში მთელი რიგი ისეთი საკითხებია, რომლებიც ჩვენც გვეხება და იმდენად მნიშვნელოვანი საკითხებია, რომ ყოველ მეცნიერულ მუშაკს კიდეც რომ არაფერი დაეწეროს, უფლება აქვს და მოვალეც არის გამოვიდეს, შემჩნეული უსწორმასწორობა, უმართებულობა შენიშნოს და მათ გამოსწორებაში ხელი შეუწყოს.

ამბ. ორაგველიძემ თავის მოხსენებაში მოგახსენათ იმის შესახებ, რომ საქართველოს ისტორიის მდგომარეობა, ამ ისტორიის შექმნის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, რომ ჯერ ჩვენ არა გვაქვს დაწერილი ისტორია ქართველი ხალხისა და ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ ჩვენ არ მოგვიმარჯვებია ამ ისტორიული კვლევის ერთად ერთი სწორი მეთოდი მეცნიერული კვლევა ძიებისა — მარქსისტულ-ლენინური მეთოდი. სწორია, ამხანაგებო, ეს დებულება და მიზანი ფაკულტეტის სხდომისა, მოხსენებისა და დისპუტისა, რომელიც აქ გაიმართა, ის უნდა ყოფილიყო, რომ კრიტიკის, თვითკრიტიკის საშვალებით არსებული მდგომარეობა გაგვეთვალისწინებია, გვეთქვა, სად რა ვიწრო ადგილებია, რის გასწორებაა აუცილებელი, რა დაბრკოლება არის საჭირო, ვინაიდან მთელ რიგ საკითხებში გარკვევა შეუძლებელია, თუ არ იქნება შეთანხმებული მუშაობა არქეოლოგებისა, კერძოთ და ვიწროთ, და საერთოდ მატერიალისტური კულტურის ისტორიისა, ეტნოგრაფიის, სამართლის მეცნიერების, დაგვესახა გეგმა იმ მუშაობისა, რომლითაც უნდა გადაწყვეტილ იქნეს უდიდესი ამოცანა, დავალებული პარტიისა და ხელისუფლების მიერ, ამოცანა — შეიქმნეს ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური ისტორია ქართველი ხალხისა.

უნდა მოგახსენოთ, რომ დისკუსიამ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა იქონია, მაგრამ ჩვენს მოკამათეებს აკლდათ ერთ ერთი ძირითადი პირობა — თვითკრიტიკა. თუმცა, მართალია, ბევრი გამოსული ამხანაგი ამბობდა, რომ შეცდომები გვაქვს, მაგრამ როგორც აქ იყო შენიშნული, მაინც და მაინც რაში მდგომარეობს ეს შეცთომები, ეს სათანადოთ და საკმაოთ გაშლილი არ იყო.

საკითხი, რომელიც ჩემს ყურადღებას იპყრობს ამ ხნის განმავლობაში, ბუნებრივია, არის საკითხი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სავსებით სწორად აღნიშნა ამბ. სოსელიამ, რომ დღეს გაცხოველებულია ინტერესი პირველყოფილ საზოგადოებისადმი ბურჟუაზიული მეცნიერებისა, მეორე ინტერნაციონალის, პარტიების ხელმძღვანელების მხრივ, კაუცკის, კუნოვის და სხვების მხრივ, გაცხოველებულია ინტერესი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისადმი. იმის მიხედვით, თუ როგორ იქნება გადაწყვეტილი საკითხი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, როგორ იქნება დადგენილი კანონზომიერება სახელმწიფოს წარმოშობისა, აქედან შეიძლება სხვა და სხვა დასკვნის გამოტანა ჩვენი დამოკიდებულების შესახებ სახელმწიფოს მიმართ.

ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით და, კერძოთ, აგრეთვე იმიტომ, რომ ეს არის საკითხი ქართველი ხალხის ისტორიის მთელი ორიენტაციისა. იმის მიხედვით, თუ როგორ გადაწყდება საკითხი, რა იყო პირველ საუკუნეში, იყო გვაროვნული წყობილება, თუ იყო სახელმწიფოებრივი წყობილება, ამის მიხედვით, შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ შემდეგ ისტორია პირველი საუკუნის აქეთ და პირველი საუკუნის იქეთ. ამას გარდა, ამ საკითხს ის მნიშვნელობა აქვს, რომ იმ დროინდელ საქართველოში გადაკვანძულია მთელი რიგი ხალხების გაჯლების ურთიერთობა და აქაც ბევრი საკვლევი არის.

საქართველოში ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე

აქვს სპეციალური შრომები პროფ. ჯავახიშვილს. როგორც აქ ითქვა, პროფ. ჯავახიშვილს ეს საკითხი გადაწყვეტილი აქვს იდეალისტურად, არამარქსისტულად. გვაროვნული წყობილების არსებობის აღიარება სტრაბონისეულ საქართველოში და იმავე დროს სახელმწიფოს არსებობა ამ გვაროვნულ წყობილებაში არის უსათუოდ მიუღებელი რეაქციური შეხედულება სახელმწიფოს წარმოშობის და რაობის საკითხზე. ამაზე მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. რომ პროფ. ჯავახიშვილის კონცეპცია მიუღებელია, ეს მშვენივრად იყო თავის დროზე გამორკვეული ამხ. სოსელიას მიერ და იმ ნაწილში, რომელიც შეეხება პროფ. ჯავახიშვილის არა სწორ შეხედულებათა კრიტიკას, ამხ. სოსელიას მიუძღვის სწორეთ დიდი დამსახურება. ეს საქმე მის მიერ კარგათ არის შესრულებული, მაგრამ თუ პირველ საუკუნეში სტრაბონისეულ საქართველოში სახელმწიფოს ადგილი არ ქონდა, მაინც დგას მკვლევარის წინაშე საკითხი იმის შესახებ, თუ როდის და როგორ წარმოიშვა სახელმწიფო ქართველ ტომებში.

ახი, ამ საკითხის გადაწყვეტას ამხ. სოსელია შეეცადა და მე უნდა ავღნიშნო, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მისი დებულება არ არის, ჩემის აზრით, დამარწმუნებელი და სწორი. მე წავიკითხავ ამ ადგილს და გთხოვთ მოუსმინოთ. ამხ. სოსელია ეთანხმება ჯავახიშვილს, რომ სტრაბონისეულ საქართველოში საქმე გვაქვს გვაროვნულ წყობილებასთან. შემდეგ რა ხდება. მოუსმინოთ ამხ. სოსელიას: „რომაელებთან დამეგობრების შემდეგ ქართველებში ვაჭრობა, გასაგებია, ჩქარი ტემპით უნდა განვითარებულიყო, აღებ-მიცემობის განვითარებასთან ერთად უნდა განვითარებულიყო ხელოსნობაც“, ასე ამბობს ამხ. სოსელია.

ნუ მივაქცევთ ყურადღებას აქ იმ გარემოებას, რომ აღებ-მიცემობის განვითარების შედეგი კი არ არის ხელოსნობის განვითარება, არამედ, პირიქით, და გავყვეთ ამხ. სოსელიას შემდეგ.

ამხ. სოსელია ამბობს: „ყველაფერს ამას უნდა მოჰყოლოდა ერთის მხრივ ქონების დაგროვება გვარში, მეორე მხრივ შრომის საზოგადოებრივი განაწილება“.

აქაც ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ გვარში ქონების დაგროვება უნდა ყოფილიყო შრომის საზოგადოებრივ განაწილების შედეგი და არა პირიქით, როგორც ეს სოსელიას აქვს. ამაში არ არის აქ საქმე, არამედ ძირითადი დებულება ამხ. სოსელიასი მდგომარეობს შემდეგ სიტყვებში: „ქართველ ტომებში სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია განსაკუთრებით იმ გარემოებამ, რომ მესამე საუკუნიდან საქართველოში ვაჭრობა ეცემა რომაელების გაელენის შესუსტების გამო და ირანელების გავლენის გაძლიერების გამო“. აქედან, სავაჭრო მეურნეობიდან, ანუ ვაჭრულ მეურნეობიდან ქართველი ხალხი გადადის მიწადმოქმედების მეურნეობაზე.

ნუ მივაქცევთ ყურადღებას აქაც იმ გარემოებას, რომ ვაჭრობა და მიწადმოქმედება დაპირისპირებულია, როგორც ორი ძირითადი დარგი მეურნეობისა. წინათ ყველა ქართველი ვაჭრობდა, შემდეგ ყველა ქართველი მიწადმოქმედებდა. თუ ასე იყო, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ვაჭრობა უკვე იბერიაში გამოყოფილი იყო ხელოსნობიდან და მიწადმოქმედებიდან, ე. ი. შექმნილი იყო სპეციალური ვაჭართა კლასი, რაც ხდება ენგელსის მიხედვით ცივილიზაციის პერიოდში და რაც მომასწავებელია და დამამტკიცებელია იმ გარემოების, რომ თუ ეს ასე იქნებოდა, ამ შემთხვევაში იბერიაში სახელმწიფოც უნდა არსებულიყო...

ამას, ამბობს ამხ. სოსელია, უნდა მოჰყოლოდა ის გარემოება, რომ თუ მანამდე ყოველი ქართველი ერთ და იმავე დროს მეურნეც იყო და მხედარიც, ეხლა უკვე მიწადმომქმედი ვერ დაშორდება თავის მეურნეობას. ამიტომ ქვეყნის დაცვისა და პატრონობისათვის უნდა გამოყოფილიყო ცალკე მხედართა წრე, რომელიც თან და თან იქცევა გაბატონებულ კლასათ და სახელმწიფოს მართველებად.

ამ საქმის მიხედვით, ჯერ ერთი, ის გამოდის, რომ რომაელების გაელენის ქვეშ ყოფი გვაროვნული საზოგადოება განიცდის რეგრესიულ განვითარებას და ამიტომ გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება გვაროვნული საზოგადოების რეგრე-

სიულ განვითარების შედეგათ მივიღოთ სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც გვაროვნულ საზოგადოებასთან შედარებით წარმოადგენს განვითარების უმაღლეს საფეხურს. თურმე ამბ. სოსელიას მიხედვით თავის თავად სამიწადმოქმედო მეურნეობა გულისხმობს ცალკე სამხედრო კლასის გამოყოფის აუცილებლობას და აუცილებლობას სამხედრო კლასის გაბატონების და გადაქცევისა სახელმწიფო ხელისუფლებათ. აი, ეს დებულება სავსებით ანტიმარქსისტული დებულებაა. ამ წესით სახელმწიფო არ წარმოშობილა არც იბერიაში და არც სადმე სხვაგან. და თუ ამას იმასაც მიუმატებთ, რომ, ამბ. სოსელიას თქმით, ეს გაბატონებული სამხედრო წოდება, შემდეგში აზნაურები, უმრავლესათ უცხოელები იყვნენ, მივალთ იმ აშკარა ანტიმარქსისტულ დასკვნამდე, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობის კაუცკიანურ თეორიასთან დაგვაახლოვებს. თუმცა ამბ. სოსელია ლაპარაკობს შრომის განაწილებაზე, მაგრამ ამ შრომის განაწილებას არაფერი აქვს საერთო იმ შრომის საზოგადოებრივ თეორიასთან, რომელზედაც ენგელსი ლაპარაკობს. ენგელსი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჰპრველ უდიდესი შრომის ნაწილები იყო, როდესაც ჰპრველყოფილ კომუნიზმის მეურნეობრივ მასას გამოეყო მიწადმოქმედება. სხვათა შორის, ამხანაგო ვალიკო, ეს იყო ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე გადასვლისას და მაშინვე წარმოიშვა საზოგადოების გახიშვა ორ ძირითად კლასად: მონათმფლობელებათ და მონებათ. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ თუ საქართველომ პირველსაუკუნისათვის ბარბაროსობის საშუალო საფეხურს მიაღწია (ჩვენ კი გვგონია, რომ მან მიაღწია ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურს) საქართველოში მონობას ადგილი შეიძლებოდა ჰქონდა და უნდა ჰქონოდა.

მეორე ცდა ამავე საკითხის გადაწყვეტისა, მაგრამ სხვა გზით სცადა ამბ. ჯანაშიამ. რამოდენიმე სიტყვას მოგახსენებთ ამ ცდის შესახებ.

საქმე იმაში კი არ არის, თითქოს სტრაბონის „გენე“-ს ერთი სთარგმნიდა როგორც გვარს, ხოლო მეორე როგორც კლასს, საქმე იმაშია, რომ სტრაბონის „გენე“ არავითარ შემთხვევაში არ ითარგმნება როგორც გვაროვნება, არამედ ითარგმნება როგორც გვარი, გვარი არა როგორც სოციალური კატეგორია, როგორც ლოღიკური ცნება.

სტრაბონი ამბობს, რომ იბერიაში ოთხ გვარი ხალხი სცხოვრობს, ე. ი. ოთხი სხვადასხვანაირი, სხვადასხვა — ხალხის სცხოვრობს და არა ის, რომ ოთხი გვაროვნების ხალხი სცხოვრობსო. გვაროვნებათ რომ ვთარგმნოთ სტრაბონის „გენე“, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ იბერიელნი შეადგენდენ ოთხ გვაროვნებას და ამავე დროს მათ შეეძლოთ გამოეყვანა მხედრები 80.000 კაცის შემადგენლობით. თუ ვიანგარიშებთ, რომ იბერიაში გარდა მხედრებისა, სხვა არავინ სცხოვრობდა, არც სრულ წლოვანნი, არც მცირეწლოვანნი, მაშინაც უნდა დაუშვათ თითო გვაროვნებაში დაახლოებით 20.000 მოსახლეობა. ამბ. ტალახაძის ეს დაშვება წარმოადგენს მორგანისა და საერთოდ ეტნოგრაფიული მეცნიერების წინააღმდეგ ისეთ რევოლიუციას, რომლის მსგავსი ჯერ არავის მოუსმენია. არ შეიძლება ავრეთვე სტრაბონის „გენე“ ვთარგმნოთ როგორც ტომი. სტრაბონი მიგვითითებს, რომ ერთი წრე იყო ის, რომლიდანაც მეფეებს სვამდნენ, მეორე, საიდანაც ქურუმები იყვნენ. შეუძლებელია ისეთი გვაროვნული წყობილება, სადაც ერთი ტომი მეფობდეს და მეორე ქურუმობდეს და სხვა. ესეც ისტორიას და მეცნიერებას არ ახსოვს.

აშკარათ სტრაბონი იძლევა სურათს ისეთი საზოგადოებისა, სადაც ოჯახი გვაროვნებისაგან გამოცალკევების პროცესში იმყოფება, როდესაც ოჯახი ღებულობს ერთგვარ დამოუკიდებლობას და ავანყდება გვაროვნების წინააღმდეგ, როდესაც მეფეების არჩევა ოჯახში ჯერ გადაიქცა ჩვეულებათ, ხოლო შემდეგ კი უფლებათ. ენგელსი ამბობს რომაელების შესახებ, რომ რომაელი ხალხი მეფეების არჩევის მემკვიდრეობით შეცვლას განსაკუთრებულ ოჯახებისთვის თან და თან შეურიგდა და რომ შემდეგ ხანებში სათანადო ლეგენდაც იქნა შეთხზული იმის შესახებ, რომ პატრიციანული ოჯახების შექმნა თვით რომულმა და მანვე დაამკვიდრა მათი პატრიციატის და მეფეების მემკვიდრეობით უფლებები.

ნება მომეცით, ხუთი წუთის განმავლობაში აღვადგინო, რაში არის დავა.

საქმე იმით არ წყდება, თუ ბაზილევსი როგორ ითარგმნება ქართულად. დავა სხვა რამეშია. სავსებით სამართლიანი იყო პროფ. პოლიევქტოვის შენიშვნა, როდესაც მთელი სიმძიმე საკითხის გადაწყვეტისა ამა თუ იმ ტექსტზეა დაწოლილი, განსაკუთრებით მინიატურულ გამოკვლევების დროს, როდესაც მთელ პრობლემას სწყვეტს ის, თუ როგორ იქნება ამა თუ იმ წყაროს ესა თუ ის ცალკე სიტყვა გაგებული, აუცილებელია იცოდე სათანადო, ამ შემთხვევაში კი ბერძნული ენა. სამწუხაროთ, ბერძნული ენა არც მე ვიცი, მაგრამ ის თარგმანი, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს და ამხ. ჯანაშია სარგებლობს, აქვე დამსწრე სპეციალისტების აზრით, სავსებით ჩვენი სპეციალური შემთხვევისთვისაც სწორია.

სტრაბონი ამბობს, რომ იბერიაში ოთხი გვარი ხალხი სცხოვრობდა. პირველნი იყვნენ ისინი, ვისგანაც სვამდენ მეფეებს და აგრეთვე მხედართ მთავრებს, მეორენი ქურუმობდნენ და მათვე ებარათ საერთაშორისო საკითხების მოგვარებაც. მესამენი იყვნენ მიწათმომქმედნი და მეომრები. მეოთხენი კი ისინი, ვინც ემსახურებოდნენ მეფეს. ქონება მათ საერთო ქონდათ საგვარეულოთა მიხედვით, ხოლო განაგებდა მათ მათივე არჩეული მამასახლისები.

პროფ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ სტრაბონის ფრაზა, ქონება მათ საერთო ქონდათ საგვარეულოთა მიხედვით, მიეკუთვნება იბერიელების ყველა ზემოთ ჩამოთვლილ წრეებს, ხოლო პროფ. ჯანაშია ამტკიცებს, რომ ეს ფრაზა სტრაბონისა „ქონება მათი და სხვ.“ შეეხება არა ყველა იბერიელებს, არამედ მხოლოდ მეოთხე მოხსენებულ გენეს. პროფ. ჯანაშია ამტკიცებს, რომ სტრაბონის კონტექსტი არ გვაძლევს უფლებას, გავავრცელოთ ეს უკანასკნელი ფრაზა მთელს იბერიაზე, არამედ ეს უნდა გავრცელდეს მხოლოდ უკანასკნელ გვარზე.

ამჟამად არ შევეხები საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია პროფ. ჯანაშიას მოსაზრება სტრაბონის კონტექსტის თვალსაზრისით. ჩვენ უნდა შევნიშნოთ შემდეგი. პროფ. ჯანაშია სთვლის რა, რომ ეს უკანასკნელი ფრაზა შეეხება მხოლოდ იბერიელების მეოთხე გენეს, გულისხმობს, რომ ეს მეოთხე გენე იყო მონები. როდესაც ამას გულისხმობს პროფ. ჯავახიშვილი, არა სამეფო მონები, არამედ ეს უკანასკნელი გენე წარმოადგენდა კოლონადს. არ შეიძლება ამხ. ჯანაშიას დავეთანხმოთ ამაში, ვინაიდან კოლონადი ჩაისახა რომის იმპერიის უკანასკნელ პერიოდში, მაშინ, როდესაც ამ იმპერიას გამოეცალა მონათმფლობელური საფუძველი, როდესაც ლატიფუნდიალური მეურნეობა შეუძლებელი გახდა და მონათმფლობელები იძულებული შეიქნენ, დაენაწილებინათ ეს ლატიფუნდიები ცალკე პარცელებათ, გაეთავისუფლებინათ მონები და დაესვათ ამ პარცელურ მეურნეობის უშუალო მწარმოებლებათ. კოლონებს სწორეთ ეს მონები შეადგენდნენ პირველყოვლისა და მათ შემდეგში მიემატათ თავისუფალი წვრილი მიწადმომქმედნი, რომლებიც გაურბოდნენ რა პარაზიტად ქცეულ რომის იმპერიას, მიეკედლებოდნენ „ნებიერათ“ მსხვილ მემამულეებს. სხვათა შორის, როდესაც ამხ. ორაგველიძე თავის მოხსენებაში ი. ჯავახიშვილის „ნებიერ ყმებს“ შეეხო, პროფ. შ. ნუცუბიძეც იქ იყო და ის აზრი გამოსთქვეს, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილს „ნებიერ ყმებზე“ როცა აქვს ლაპარაკი, მაშინ ის ლაპარაკობს ე. წ. კომმენდირების შესახებ, თითქოს და ჩვენ უარყოფდეთ კომმენდირების ფაქტს. ჩვენ ფაქტებს არ უარყოფთ. ფაქტებს უარყოფა კი არ უნდა, არამედ ახსნა სჭირდება (ენგელსის ციტატა).

მესამე კატეგორია იყო ტყვეები, რომლებსაც ბარბაროსებთან ომები იძლეოდენ. ისინი შეადგენდენ, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, კოლონადს. შეუძლებელია, რომ ამ ხალხს ჰქონოდა საერთო ქონება გვაროვნების მიხედვით და გვაროვნული მართვა გამგეობა მამასახლისების საშუალებით. ჯანაშიას, სხვათა შორის, მოყავს თავის აზრის დასამტკიცებლად, რომელიღაც საუკუნეში ერთ ერთმა სენიორმა ხელშეკრულება დაუდო გლეხებს იმის შესახებ, რომ მათ სენიორალური მიწა უსათუოდ თემურის წესით უნდა დაემუშავებინათ და ეს ამბავი მოტანილია აქ ამხ. ჯანაშიას იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ, მაშასადამე, პირველ საუკუნეში კოლონები გვაროვნული წყობილებათ უნდა ყოფილიყვნენ ორგანიზებული და ფეოდალიზმის ჩანასახს უნდა შეადგენდენ, მაგრამ არ არის აქ გათვალისწინებული ის ამბავი, რომ მე-18 საუკუნის საფრანგეთის

ფეოდალიზს აქვს თავისებურებანი, რომელთა მოტანა და გამოყენება საქართველოს პირველ საუკუნისათვის ყოვლად შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც ფეოდალიზმი დამტკიცებულია, მას შეუძლია მთელი თემები და გვაროვნებანიც კი ყმებათ აქციოს, მაგრამ ფეოდალიზმის ფორმირების დასაწყისში ეს პროცესი შეუძლებელია. ჯანაშიამ სხვადასხვა ხანის ამბავი აურია ერთმანეთში და ამით აიხსნება, რომ ის ურევს ფორმაციებს. მან წამოაყენა დებულება, რომ ფეოდალური ფორმაციის წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის. ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. კლასობრივ ენაზე გადაყვანილი ეს ნიშნავს, რომ წინააღმდეგობა არის ბურჟუაზიასა და ფეოდალიზმს შორის, მაგრამ ფეოდალიზმს ახასიათებს წინააღმდეგობა არა ბურჟუაზიასა და ფეოდალიზმს შორის, არამედ ფეოდალიზმს და გლეხობას შორის და თუ ეს ამბავი არ გაეითვალისწინეთ (კლასობრივი ბრძოლის ისტორია არის საქართველოს ისტორია), ისე საქართველოს ისტორიაში ვერაფერს გაიგებთ.

საკითხი ისმის იმის შესახებ, რომ გვაროვნული წყობილება სტრაბონისეულ საქართველოში გადავიდა თუ არა სახელმწიფოში. გახსოვთ ალბათ, რომ ამხ. სოსელიამ წაიკითხა ციტატა საზოგადოების აგებულების შესახებ და იკითხა, როგორ ჰფიქრობთ, არსებობს თუ არა აქ სახელმწიფო?

ენგელსი ამბობს (ენგელსის ციტატა). ამხ. ჯანაშია, როდესაც სწერს იმის შესახებ, თუ როგორ ესმის სახელმწიფო, აღნიშნავს, რომ ენგელსის მიხედვით სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანი არის მოსახლეობის განაწილება ტერიტორიალური პრინციპით. მაგრამ მე ვერ ვნახე ვერც ერთი საბუთი, რომელიც დაამტკიცებდეს, რომ სტრაბონისეულ საქართველოში მოსახლეობა განაწილებული იყო ტერიტორიალური პრინციპის მიხედვით. სანამ ეს დამტკიცებული არ არის, მანამდე ჩემთვის, როგორც მარქსისტისათვის, სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებობს.

მე წარმომიდგენია იბერიის მდგომარეობა ისეთ ნაირად, რომ სადაც გვაროვნული წყობილება გადადის სახელმწიფო წყობილებაში, მაგრამ მოხდა თუ არა ეს გადასვლა სტრაბონისეულ დროს, ამისათვის ჩვენ საკმაო მასალები არა გვაქვს, ეს შემდგომი კვლევის საგანს უნდა შეადგენდეს (*ტაში*).

თავმჯდომარე: პრეზიდიუმში შემოვიდა ყაუხჩიშვილის განცხადება (*კითხულობს*):

„აქ ახსენეს, თითქოს მე მეთქვას, რომ პროფ. ჯავახიშვილის გაძევება უნდათო. პირიქით, ჩემ მიერ ხაზგასმული იყო, არავინ იფიქროს, რომ აქ ვაკრიტიკებთ მას იმ მიზნით, რომ გვსურდეს მისი საბოლოოდ განადგურება. სიტყვა „გაძევება“ ჩემს მიერ ნახმარი არ ყოფილა“. (*ბმები*: სწორია!).

იმ დღეს არ ვყოფილვარ, პროფ. ყაუხჩიშვილის სიტყვის დროს, მაგრამ როგორც დამსწრე ამხანაგები აღნიშნავენ, ეს მისი განცხადება სიმართლეს შეეფერება.

ეხლა, ვინაიდან უკვე 12 საათია, ამხ. ორაგველიძის საბოლოო სიტყვა არ მოესწრება, ამიტომ ასე მოვიქცეთ. სხდომას გადავდებთ ორი მარტისათვის, საღამოს 8 საათისათვის.

ჩაწერილი არის კიდევ რამოდენიმე ამხანაგი, მოვისმენთ მას გამოსვლას და ამხ. ორაგველიძის საბოლოო სიტყვას.

სხდომას დახურულათ ვაცხადებ.

მე-5-ე სხდომა

1936 წ. 2 აპრილი

თავმჯდომარეობს ამხ. ჯანელიძე.

თავმჯდომარე: ისტორიული ფაკულტეტის მორიგ საჯარო სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

სიტყვა ეკუთვნის *ამხ. დღვილაჯას.*

ამხ. დღვილაჯა: ამხანაგებო, უდიდესი მნიშვნელობის დადგენილება, რომელიც გამოტანილი არის საკ. კ. პ(ბ) ც. კ. და სახკომსაბჭოს მიერ სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ და ის უდიდესი მნიშვნელობის მითითება საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ისტორიის და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის კონსპექტზე, რომელიც ამხ. სტალინმა, კიროვმა და ჟდანოვმა მოგვცა, თვითეული ისტორიკოსისათვის, თვითეული მეცნიერული მუშაკისათვის წარმოადგენს სამუშაო პროგრამას, თვითეული ჩვენგანის მიერ უნდა იქნეს გამოყენებული ის უდიდესი მნიშვნელობის ანალიზი, რომელიც მოგვცა ჩვენ თავის ფრიად შესანიშნავ მოხსენებაში ბოლშევიკ-პროფესორმა ამხ. კ. ორაგველიძემ. იგი ისტორიულ ფრონტზე მომუშავე მეცნიერულ მუშაკის წინაშე სვამს უდიდეს მნიშვნელობის ამოცანებს. ძირითადად პროფ. ორაგველიძეს თავის მოხსენებაში მოცემული აქვს საკავშირო კომპარტიის ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე სამოქალაქო ისტორიის სწავლებაზე საქართველოს ისტორიის საკითხები, მაგრამ ამავე დროს საკმაო ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა კავშირის ხალხების სამოქალაქო ისტორიასაც. სამოქალაქო ისტორიის საკითხებში დაშვებული იყო დიდი შეცთომები პოკროვსკის და მისი სკოლის მიერ. პოკროვსკიმ დაუშვა მთელი რიგი უდიდესი მნიშვნელობის საკითხებში პრინციპიალური, აშკარა არამეცნიერული ხასიათის შეცთომები, რომლებმაც ნაღილიზმამდე მიიყვანა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ფაქტები საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიისა.

მაგრამ მე შევეხები, ამხანაგებო, მდგომარეობას, რომელიც ჩვენ გვაქვს აქ, საქართველოს ისტორიაში, პირველ რიგში კი პროფ. ი. ჯავახიშვილს და მის კონცეპციას.

მოგეხსენებათ, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილი მთელი წლების მანძილზე საქართველოს ისტორიის მესვეური იყო, მისი ლექციებით იკვებებოდა ჩვენი ახალგაზრდობა და მისი წიგნები არის ხმარებაში ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებში. პროფ. ი. ჯავახიშვილს მარქსისტული მსოფლმხედველობა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ცალკე ისტორიული მოვლენების გაშუქება არც ჰქონია, არც აქვს თავის ნაშრომებში და არც არის ცდა იმისა, რომ მან მოახდინოს თავისი ძალების მობილიზაცია და ისე გადააწყოს თავისი აზროვნების ფონდები, რომ მისი ნაწერებით სარგებლობა შეეძლოს ჩვენს ახალ თაობას.

როგორც სრულიად სამართლიანად იყო აღნიშნული პროფ. ორაგველიძის მოხსენებაში, ი. ჯავახიშვილი, როგორც ისტორიკოსი, წარმოადგენს ფეოდალურ ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობის ისტორიკოსს. არ შეიძლება ითქვას, რომ ის წმინდა წყლის ბურჟუაზიული ისტორიკოსია, არამედ მასში არის დიდი დოზა წმინდა ფეოდალურ, მემამულურ, პომეშჩიკურ შეხედულებების, რასაც გვერდს ვერ აუვლით, როდესაც ვიხილავთ მის ნაწარმოებებს.

სანიმუშოთ ავიღოთ მისი „ქართველი ერის ისტორია", ტ. 1, რომელიც შეეხება სპეციალურათ მე-15 საუკ. მოგეხსენებათ, რომ საერთო საკითხს პერიოდიზაციისა ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერთის მხრივ მასალების განლაგებისათვის, მეორე მხრივ აქ მჟღავნდება თვით ისტორიკოსის მეთოდოლოგია. და უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ჯავახიშვილს პერიოდიზაცია არც აქვს.

თავს საქართველოს სოციალური ურთიერთობის შესახებ იწყებს თითქოს

კლასობრივი ანალიზიდან და მოჰყვება ეკლესიების დახასიათებას, როდისაა დაარსებული, როდის მოღვაწეობდა ივანე, როდის გარდმოთარგმნა სახარება და სხვა. ასე რომ, გარკვეული პერიოდიზაცია, რომელსაც თქვენ ნახავთ ისეთ მსხვილ ბურჟუაზიულ ისტორიკოსების ნაშრომებში, როგორიც არიან სოლოვიოვი, კლიუჩევსკი, პლატონოვი, შაპოვი და სხვები, სქემა პერიოდიზაციისა ჯავახიშვილს არ მოეპოება.

მაგრამ ჯავახიშვილს აქვს სქემა, რომელიც აშკარა ბურჟუაზიულ მემამულურ ისტორიოგრაფიის სქემაა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს მარქსისტულ ისტორიოგრაფიასთან.

მოგეხსენებათ, რომ ისტორია არ არის მარტო მეფეების ყოფაცხოვრების შემსწავლელი მეცნიერება. ჯავახიშვილი კლასების მდგომარეობის, მათი ურთიერთობათა და ბრძოლის ფორმების მაგივრად მოგვითხრობს მეფეების დაბადებაზე, მათი ნათესაური კავშირზე, მათი პირადი განწყობილებაზე. მისი ნარკვევში არ ჩანს კლასების ფიზიონომია, მაგრამ ის ძალიან ბევრს წერს, თუ რომელი თავადი ან მეფე როგორ იზრდებოდა, ვინ იყო მისი აღმზრდელები და სხვა. მართალია, ჩვენ გვაინტერესებს პიროვნება იმდენად, რამდენად პიროვნებასთან დაკავშირებული არის ცალკე ისტორიის მომენტები, მოვლენები. ჩვენ ვსწავლობთ პიროვნებას არა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ იზრდებოდა ბავშობიდან, რამდენი გამზრდელები გამოიცვალა და ვინ იყო მასწავლებელი პირველ, მეორე, მესამე წელს, როგორც ჯავახიშვილი სჩადის, არამედ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მისი მოღვაწეობა დაკავშირებული არის ისტორიულ მოვლენებთან, კლასობრივი ბრძოლის საკითხებთან, ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებასთან.

აიღეთ მისი სქემა, სადაც ი. ჯავახიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი სცხოვრობს მე-20 საუკუნეში, მას გაუსწრო ბურჟუაზიულმა, ფეოდალურმა ისტორიკოსმა სოლოვიომა. მე გამოგონია საქართველოს ისტორიკოსებისაგან, რომ ჯავახიშვილი არის ისეთივე ისტორიკოსი, როგორიც იყო რუსეთში კლიუჩევსკი, რაც არსებითად შეცთომად უნდა ჩაითვალოს, რადგან კლიუჩევსკის აქვს მოცემული მთელი რიგი მომენტები კლასთა ბრძოლაზე რუსეთში, რასაკვირველია, მას ის იხილავდა ბურჟუაზიულ თვალსაზრისით.

აიღეთ ი. ჯავახიშვილის შეხედულება ალექსანდრე მეფეზე (*კითხულობს*): „ალექსანდრე მეფე თავის ბებიად რუსას სთვლის, არა ჩანს კი მამისა თუ დედის მხრივ. თუ რუსა ალექსანდრე მეფის დედის დედა იყო, იქნება ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე რუსა იყოს, რომელთა ასული „დედოფალი ნათია“ ეგების ალექსანდრე მეფის დედა ყოფილიყო. ქუცნა ამირეჯიბი თავისი ალაპების ნუსხაში თუმცა იხსენიებს — „ოთხი დღე მეუღლისა ჩემისა რუსასთვის, სამი დღე მეფის ალექსანდრესათვის, ორი დღე მეფისა კონსტანტინესათვის, ერთი დღე დედოფლისა ნათიასათვის, ორი დღე გიორგი მეფისა“, მაგრამ არც დედოფალი ნათიას ნათესაობრივი დამოკიდებულება აღნიშნული არა აქვს“ და სხვა.

აიღეთ მეორე თავი ბაგრატ მეუფეზე (*კითხულობს*):

ბიოგრაფიული ცნობები ბაგრატ მეფის შესახებ 100-106, მისი გამეფების თარიღი 100-102, დამოკიდებულება მეფე ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის 102-103, ბაგრატ მეფის მფლობელობა 103-105, ბაგრატ მეფის პიროვნების შესახებ 105-106 — ასეთია თემატიკა, სქემა ჯავახიშვილის. თავი „ქვეყნის დაქვეითების ფსიქოლოგიური საფუძველი“ აშკარა ანტი-მეცნიერული დასაბუთებაა საქართველოს დაცემის, დაქვეითების შესახებ.

აიღეთ კიდევ შემდეგი მომენტები (*კითხულობს*): „ამ დაშლა-დანაწილებისადმი მისწრაფების დროს სახელმწიფოებრივობის განვითარების გზა თითქოს კვლავ განვლილი უნდა იყოს ხოლმე მხოლოდ უკუქცევითი მიმართულებით, იმავე საფეხურზე თანდათანი ჩამოქვეითების, რომელიც მას სახელმწიფოს შექმნის დროს ზეაღმავლობით განვლილი ჰქონდა. სახელმწიფო შემდგენელ ნაწილებად, წინანდელ სამეფოებადა და თემებად იწყებს განკერძოებას: გაჟღენიან წრეებში და

ხალხში თემობრივობისა და ტომობრივობის გაბატონებას ველარაფერი ეღობება, თვით გაყრილი გვარიშვილებიც კი თავიანთ საგვარეულოს იგონებენ და განსაცდელ-გაჭირვების წინააღმდეგ საერთო ძალით იწყებენ ბრძოლას: გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესს უთმობს ადგილს და შესაძლებელია ასეთ პირობებში გვაროვნული წესწყობილებაც-კი აღდგეს“ (ხაზი ჩემია. ა. დ.).

(იხ. ქართველი ერის ისტორია, მეოთხე წიგნი, I ნაწილი, XV საუკ., გვ. 196-197).

ივანე ჯავახიშვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ XV საუკუნეში საქართველო გვაროვნული წყობილების აღდგენის წინაშე იდგა. ასეთი კონცეპციის მქონეს არ შეიძლება წარმოდგენა ქონდეს მარქსისტულ-ლენინურ ისტორიაზე და საზოგადოებრივ ურთიერთობის განვითარების მოვლენებზე. პროფ. ჯავახიშვილის ნაშრომს შეცთომით ქვია ისტორია. ეს არის უბრალო ყოფა-ცხოვრებითი პირობების აღწერა.

ავიღოთ შემდეგი საკითხები. საკითხი ფეოდალიზმის შესახებ. ბუნებრივია, რომ საქართველომ ფეოდალური ურთიერთობა იცოდა ისე, როგორც ფეოდალური ურთიერთობა ცნობილი იყო საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებისათვის, კერძოთ, რუსებისათვის, ისე როგორც დასავლეთ ევროპისათვის. მოგეხსენებათ ჯავახიშვილს აქვს ორ ტომიანი წიგნი ქართველი ერის ისტორიის სახელწოდებით, სადაც უსათუოდ უნდა ეპოვა გამოხატულება საზოგადოებრივ ურთიერთობის განვითარებას საქართველოში. საზოგადოებრივ ურთიერთობა, როგორც თვითონ ჯავახიშვილი სწერს, მეტად საინტერესო და მიმზიდველია, ურომლისოდაც საქართველოს ისტორია არ იქნება გაგებული, მაგრამ ქართველი ერის ისტორიაში არ არის გაშუქებული საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის მდგომარეობა. აიღეთ მისი დაყენება. ჯავახიშვილი ფეოდალიზმს უწოდებს უფლებრივ ატრიბუტებს. ბენეფიციების წესები, რომლებიც არსებობდა დასავლეთ ევროპაში, იყო საქართველოში და ამბობს, რომ ფეოდალური ურთიერთობის და ფეოდალიზმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები არის ეს ატრიბუტები წმინდა უფლებრივი ხასიათის, რომელიც არ შეიძლება იყოს ფეოდალური ურთიერთობის ნიშანი, არამედ ფეოდალური ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშანი არის, პირველ რიგში, გლეხების მიჯაჭვა მიწაზე, მათი ყმათ ქცევა, ნატურალური მეურნეობა და სხვა. ჯავახიშვილის მიხედვით, გამოდის, რომ ფეოდალური იერარქია არის ძირითადი ნიშანი ფეოდალური ურთიერთობისა და უფლებრივი მაჩვენებლები.

შემდეგ საკითხი, თუ ვინ იყო ყმად ქცეული საქართველოში და რას წარმოადგენს საქართველოს ფეოდალური ურთიერთობა. როგორც მოგახსენებთ, ფეოდალური ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშნები არც ერთი არა აქვს პროფ. ჯავახიშვილს წამოყენებული, არამც თუ ეს ილუსტრირებული არ არის სათანადო მასალით, არამედ წამოყენებული არ არის და სრულებით არ არის მოცემული ამ დიდ ტანიან წიგნებში. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. თუ ვინ იყო ყმა და ვინ იყო ბატონი ამ ფეოდალურ ურთიერთობის დროს. ერთ თავში, რომელსაც უწოდებს საქართველოს სოციალური და კულტურული მდგომარეობას, წამოსცდება ფეოდალურ ურთიერთობის დამახასიათებელი ამბები ძალიან ვიწროთ გაგებული პროფ. ჯავახიშვილის მიერ. მას აქვს მასალა, მაგრამ ამ მასალებით ის სრულებით არ სარგებლობს, არამედ ფეოდალურ ურთიერთობის საკითხებს სჭრის ძალიან უბრალოდ ბურჟუაზიულ მემამულურ გემოვნებით და აგრძელებს ეკლესიების მშენებლობის და საეკლესიო მოღვაწეობის ისტორიას. აი, ადგილი პროფ. ჯავახიშვილის ნაწარმოებიდან (*კითხულობს*): „სამეფოს სოციალურ-უფლებრივ წესწყობილების ქვაკუთხედად პატრონყმობა იყო (ხაზი ავტორისაა, ა. დ.). ხელმწიფე პატრონი იყო, მისი ქვეშევრდომნი კი ყმები, წოდებათა მიუხედავად, დიდებული აზნაურები იქმნებოდენ ისინი, თუ უბრალო სოფლელი გლეხები“ (იხ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია, გვ. 467). მაშ, გამოდის, რომ აზნაურები იქნება ის, დიდებული თუ არა დიდებული და გლეხები მთლიანად სახელმწიფოს

მიერ ყმებად არიან ქცეული. აი, ამხანაგებო, ბურჟუაზიულ მემამულურ კონცეპცია პროფ. ჯავახიშვილის, რომელსაც მეცნიერული ნატამალი არ სცხია და რომელსაც რუსეთში ანვითარებდენ რუსი ბურჟუაზიულ-მემამულური ისტორიკოსები, რომ რუსეთმა არ იცოდა ისეთი სახეები ფეოდალიზმის, როგორიც ევროპაში, რომ რუსეთში ყმად იყო როგორც გლეხი, აგრეთვე აზნაურებიც. აი, ანალოგიური დასკვნები პროფ. ჯავახიშვილის, რომლებიც მონათესავეა პლეხანოვის და ტროცკის კონტრევოლიუციონური შეხედულებების.

მეორე საკითხი, ამხანაგებო. პროფ. ჯავახიშვილის ასეთ არამეცნიერულ დასკვნებს, რომლებსაც ის აკეთებს საქართველოს ისტორიის მიმოხილვის დროს, უდიდესი ზიანი მოაქვს არა მარტო მოსწაველ ახალგაზრდობისათვის, არამედ ზოგიერთი მოზრდილებისათვისაც. ზოგიერთი ისტორიკოსები, საქართველოს ისტორიაზე მომუშავენი მთლიანად განტვირთული არ არიან იმ ბარგისაგან, რომლის მეპატრონე გახლავთ პროფ. ჯავახიშვილი და ხშირად ცდილობენ თავის დახწევას, მაგრამ ვერ აღწევენ მიზანს. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ქ. რაჭველიშვილის წიგნი საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შესახებ, სადაც თვითეულ თავის წინადადებას ასაბუთებს პროფ. ჯავახიშვილის ავტორიტეტით, რომ ასე ლაპარაკობს ჯავახიშვილი და, მაშასადამე, საქართველოს ისტორიის ეს მომენტები ასე უნდა იქნეს გაგებული. მაგალითად, რაჭველიშვილი სწერს (*კითხულობს*): „ცხადია, გვაროვნული სახელმწიფო შეიძლება ჩაისახოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ესა თუ ის ხალხი უკვე ბინადარ ცხოვრებას ეწევა“ (ხაზი ჩემია, ა. დ.). იხ. ქ. რაჭველიშვილი, საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, გვ. 26. ქ. რაჭველიშვილი ხსენებული ნაშრომის გვ. 32 წერს აზნაურების წარმოშობაზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირვანდელი არისტოკრატია ჩვენში მართლაც უცხოელ დამპყრობელთა ჩამომავალია.

ჯავახიშვილი-რაჭველიშვილის აზრით, გვაროვნული წყობილების დროს ყოფილა სახელმწიფო, რაც ბურჟუაზიული კონტრევოლიუციური კონცეპცია გახლავთ, რასაც მზგავსება აქვს რუსეთის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიასთან, მათი აზრთან, რომ სახელმწიფო რუსეთში შეიქმნა მანამდე, სანამ რუსეთში ეკონომიკა ჩაისახა, რომ პირველი, საიდანაც დაიწყო რუსეთში საზოგადოებრივი ურთიერთობა, ეს არის სახელმწიფოს წარმოშობა.

რაჭველიშვილი აყენებს საკითხს, რომ აზნაური არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველი და მოყვება იმ ლეგენდას, რომელიც დაკავშირებულია ალექსანდრე მაკედონელის სარდალ აზონთან, რომ პირველი აზნაურები და მჩაგვრელები იყვნენ არა ადგილობრივი მემამულეები, არამედ უცხოელი მემამულეები და აქაც მისი კვლევას საფუძვლად უდებს პროფ. ჯავახიშვილის განმარტება აზნაურთა წოდების წარმოშობის შესახებ.

ანალოგიურ მდგომარეობას ვხვდებით რუსეთის ბურჟუაზიულ ისტორიკოსებში, რომელნიც წერდნენ პირდაპირ, რომ აზნაურები პრივილეგიური წოდება რუსები კი არ ყოფილა, არამედ ეს სახელწოდება დაკავშირებული არის ვარიაგებთან, რომ პირველი არისტოკრატები იყვნენ არა რუსები, არამედ ვარიაგები. აი, ანალოგიური ბურჟუაზიული კონცეპცია პროფ. ჯავახიშვილის ნაშრომში და მისი გავლენით მთელ რიგ სხვა ნაშრომებში, სახელდობრ, რაჭველიშვილის ნაშრომი. ს. ჯანაშიას შესახებ, მე საშუალება არ მჭონდა მომესმინა მისი სიტყვა, მაგრამ გაეცანი მისი სიტყვის სტენოგრამას. როდესაც ამხ. ჯანაშია აფასებს ჯავახიშვილის შრომებს, ის მხედველობაში იღებს სისქელეს მისი წიგნებისა, რომ ეს დიდ ტანიანი წიგნები არის და რომ მისი წიგნებით თაროებიც დამშვენებულია. ეს კარგი ამბავი არის, რომ ასეთი სქელტანიანი წიგნები გვაქვს, რომ აქ ფაქტიური მასალა არის და სხვა. მაგრამ ჩვენ ვაყენებთ საკითხს ისტორიის, როგორც მეცნიერების, შესახებ. საჭიროა მთელი სიმძიმე გადავიტანო არა მეფეების აღწერილობაზე ან და ეკლესიების აშენების დატებზე, არამედ ისტორიაზე, როგორც მეცნიერებაზე. როდესაც ჯავახიშვილზე ვმსჯელობთ, ვმსჯელობთ როგორც მეცნიერზე, არა იმ

მხრივ, რომ მან მოიცა ნედლი მასალა, არამედ საჭიროა მას ქისდეს განზოგადება. განზოგადების გარეშე ისტორია არ არსებობს. მოგეხსენებათ მარქსის დაყენება და საყველური გერმანიის ბურჟუაზიულ ისტორიკოსებისადმი, რომ უამრავი მასალები აქვთ, მაგრამ, სამწუხაროთ, ჯერ გერმანიას არც ისტორიკოსები ჰყავს და არც ისტორია აქვს დაწერილი.

შემდეგ, როდესაც ამბ. ჯანაშიას შეეკითხენ, როგორი მსოფლმხედველობა აქვს პროფ. ჯავახიშვილს, მან საკითხზე არაფერი სთქვა იმ დროს, როდესაც ყველა ჩვენგანისათვის ნათელია მისი მსოფლმხედველობა. მისი შრომები ამტკიცებენ, რომ ის მარქსისტი არ არის და არც გახდება ამ შრომების მიხედვით მარქსისტი. მარქსიზმთან მას საერთო არაფერი აქვს.

(გ. ჯანელიძე: ამბ. ჯანაშიას არ უთქვამს, რომ ის მარქსისტია).

ამბ. ჯანაშიას არ უთქვამს, რომ ჯავახიშვილი მარქსისტია, მაგრამ როდესაც მას შეეკითხნენ, როგორი მსოფლმხედველობა აქვს ჯავახიშვილს, მან ამაზე არ უპასუხა.

(*ადგილიდან:* როგორ არა, მან უპასუხა, რომ ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა ნაციონალისტური არის!). ამბ. ჯანაშიას უნდა შეეფასებინა ის მემკვიდრეობა, რომელიც მოცემული არის ჯავახიშვილის ნაშრომების სახით. შემდეგ საკითხი კაკაბაძის შესახებ. ყველას გახსოვთ კაკაბაძის გამოსვლა აქედან, რომელსაც მიეცა საშვალება, ელაპარაკა ერთი საათის განმავლობაში, მაგრამ მან არ ილაპარაკა ისტორიულ მეცნიერების ამოცანებთან ახლო მდგომ საკითხებზედაც. მან ილაპარაკა იმაზე, რომ ბერძენიშვილი ისტორიკოსია თუ არა. შეეხო ცინცაძეს, ნათაძეს, ციხისთავს და ამტკიცებდა, რომ ისინი საქართველოს ისტორიის ისტორიკოსები არ არიან. შეიქნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ნამდვილი ისტორიკოსი არის ს. კაკაბაძე, მაგრამ ფაქტები სულ სხვას მეტყველებენ. მისი გამოსვლა იყო არა მეცნიერული ხასიათის, ძალზე ზერელე. მისი გამოსვლიდან გამოჰკვიოდა, რომ მას არ გაუგია ის უდიდესი მნიშვნელობის დადგენილებები, რომლებიც ეხება სამოქალაქო ისტორიის ფრონტზე მთელ შავე მეცნიერულ მუშაკებს. მას სათანადო დასკვნა არ გამოუტანია უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. ორაგველიძის მიმართვიან მოხსენებიდანაც. მისი გამოსვლა იყო გამოსვლა გამოსვლისათვის, რომ არსებობს ს. კაკაბაძე, რომელსაც მოეპოვება ღვაწლი საქართველოს ისტორიის წინაშე, რომ მას მთელი რიგი გამოკვლევები აქვს და სხვა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს გამოკვლევები ძალიან საეჭვო ხასიათის არის, რომლებიც მეცნიერებასთან ახლო არ დგანან.

აიღეთ მისი უკანასკნელი ნაშრომი გლეხთა მდგომარეობის შესახებ საქართველოში, სადაც ის ეითომ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის მარქსისტულათ აშუქებს ეკონომიურ ფაქტებს. მოგეხსენებათ, რომ ეკონომიური ფაქტების იულისტრაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს მარქსიზმს. მოგეხსენებათ, რომ ეკონომიკას ძალიან ხშირათ მიმართავს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია და ეკონომიკა ყოველ ისტორიულ მოვლენას არ სწყვეტს. ეკონომიური მხარეების წამოყენებით ყველა მომენტების ახსნა არ შეიძლება, არამედ ეკონომიკასთან ერთად საკითხი პოლიტიკური ურთიერთობის, საკითხი ადამიანის შეგნების თამაშობს უდიდეს როლს. რასაკვირველია, მხედველობაში უნდა მივიღოთ დრო და სივრცე, როდის ხდება და სად, მაგრამ რაც შეეხება ს. კაკაბაძის ნაშრომებს, ეს მარქსისტული ნაშრომები არ არის. ეს არის ფაქტოლოგია, რასაც უსაყვედურებთ პროფ. ჯავახიშვილსაც.

მაგრამ თუ ავიღებთ ს. კაკაბაძეს ნაშრომებს კიდევ უწინდელს, აქ უარესი მდგომარეობა გვაქვს. აიღეთ მისი ძველი ნაშრომები, რომელსაც მარქსიზმთან, ისტორიის მეცნიერულ გაგებასთან არაფერი არ აქვს საერთო. მაშინდელი შრომები მისი არის ფაქტების ღეჭვა და სურვილი დაუმტკიცოს ცარიზმს, რომ ის არის რუსეთის თვითმყრობელობის ერთგული მოსამსახურე.

მაგრამ არის კიდევ ფაქტები, რომლებიც ლაღადებენ, თუ რას წარმოადგენს ს. კაკაბაძე. ის აცხადებდა პრეტენზიას მარქსისტობაზე, მაგრამ როდესაც მას რეალიკებს აძლევდენ ადგილიდან, ის

მოითხოვდა, მოგვეცით თხზულებები თხზულებებისათვის, საჭირო მასალებს ჩვენ ვაგროვებთ და ვცდილობთ ამხანაგების დახმარებით ჩვენც გავაკეთოთ რაიმე ამ მიმართ უფლებით.

მას აქვს ერთი მნიშვნელოვანი შრომა, რომელიც, სამწუხაროთ, ნ. ბერძენიშვილმა, რომელსაც ეს წიგნი გაცნობილი აქვს, არ გაარიტიკა, მიუხედავათ იმისა, რომ იცოდა, თუ რა შინაარსის წიგნი არის (*ადგილიდან*: ლიბერალობა გამოიჩინა!). დიახ, ს. კაკაბაძის ამ ნაშრომიდან მტკიცდება, რომ ს. კაკაბაძე უწევდა დიდ მომსახურეობას, წარმოადგენდა მენშევიკების აგენტს, გამავრცელებელს იმ იდეებისა, რომლებიც ამტკიცებენ და ამაგრებდნენ მენშევიკების კონტრევოლიუციონურ პოლიტიკას მათი ბატონობის დროს. აბა სხვანაირად რით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ როდესაც სწერს სახელმძღვანელო წიგნს და იძლევა მთელ რიგ ისეთ ადგილებს, რომლებიც აშკარა კონტრევოლიუციონური ენით არის დაწერილი, ნამდვილი მენშევიკის ენით. აიღეთ, მაგალითად, ასეთი ადგილები, სადაც კაკაბაძე სწერს რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შესახებ და ძალიან სწუხს, რომ იქ ამბები განვითარდა მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის სასარგებლოთ. ს. კაკაბაძე სწერს (*ციტატა*): „რუსეთი ამის შემდეგ დაეშვა ახალ სოციალურ ექსპერიმენტების გზაზედ, რამაც ფრიად არია ქვეყნის შინაური ცხოვრება, დასცა მისი კეთილდღეობა და სასტიკ სამოქალაქო ომის გაჩაღებით რუსის ხალხის მომავალი დიდს განსაცდელში ჩაგდო“ (ს. კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, ახალი საუკუნოების ეპოქა, გვ. 212).

აი, ს. კაკაბაძის კონცეპცია. აქ ჩვენს წინაშე არის ს. კაკაბაძე, როგორც კონტრევოლიუციურ მენშევიზმის სამსახურში მყოფი. შემდეგ მის წიგნს აქვს თავი „ა/კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება“ (*ციტატა*): „სწორედ იმ დროს, როდესაც ოსმალნი ბათომს შემოდგომოდენ, ბოლშევიკებს გორის მაზრის ოსებში ავანყება მოეწყოთ და ცოტა ხნის შემდეგ ასეთივე არეულობა მოხდა ოლიშის და ლეჩხუმის ჩამორჩენილ კუთხეებში“ (გვ. 216).

კონტრევოლიუციური მენშევიზმის მოსამსახურე, თუ არ დაგმო მან შეცდომები, არ შეიძლება იყოს ჩვენი ახალგაზრდობის მასწავლებელი. აიღეთ მის მიერ ფაქტების დამახინჯება დამფუძნებელი კრების შესახებ, რომ იქ იყო მარტო იდეოლოგიური ბრძოლა. ის ვერ ხედავს იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო კანონები მიწის, წარმოების და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამ კანონების და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაილაშქრა დამფუძნებელმა კრებამ. აიღეთ წერეთლის, ჩერნოვის გამოსვლები, რომელთაც მოქონდათ თავი ხალხის წარმომადგენლად. აიღეთ თქვენ ის მომენტი, როდესაც მათ დამფუძნებელი კრების მოწვევა უნდოდათ, გამოეყენებინათ ავანყების მოწყობისათვის, ვითომ ხალხის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი და არ აძლევენ თავისუფალი ლაპარაკის ნებას და სხვა. ს. კაკაბაძე კი სწერს, რომ იქ მარტო იდეოლოგიური ამბები იყოო. რა თქმა უნდა, ეს არის მენშევიკური მსოფლმხედველობის შეპარჩინკება კაკაბაძის მიერ.

შემდეგ (*ციტატა*): „კომისარიატი (ლაპარაკია ა/კ. კომისარიატზე, ა. დ.) იდგა მთლიან რუსეთის საფუძველზე და ამიტომ უცდიდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც 1918 წ. 5 იანვრისათვის იყო დანიშნული პეტრბურგში. მაგრამ დამფუძნებელი კრება ბოლშევიკებმა გარეკეს, რადგან თვით ისინი მასში უმცირესობას შეადგენდენ და გარდა ამისა, საყოველთაო არჩევნების პრინციპზე აგებული სახალხო წარმომადგენლობა იდეოლოგიური მოსაზრებით საბჭოთა მთავრობისათვის მიუღებელი იყო“ (იქვე, გვ. 214).

კაკაბაძე ლაპარაკობს, საქართველო თავ მინებებული შეიქნა რუსეთისაგან, თქვენ კი მოგეხსენებათ, რომ მენშევიკებმა საქართველოს მშრომელებს არ მისცეს საშუალება, ოქტომბრის რევოლიუციასთან ყოფილიყვნენ. თქვენ იცით, რომ მენშევიკებმა მიიღეს ყოველგვარი ზომები რევოლიუციონური პროლეტარიატის და საქართველოს გლეხობის იზოლიაციისათვის. მოიგონეთ მათი დამსჯელი ექსპედიციები, ზარბაზნების ქუხილი, ჯუღუ-

ლის დღიური და სხვა. ამ ამბის მოწმე კაკაბაძე კი სწერს ამგვარ „ისტორიას“: „1918 წ. საქართველო, თვითმინებებული რუსეთისაგან იქ ამტყდარ არევდარევის გამო, აცხადებს თავის დამოუკიდებლობას“ (იქვე, გვ. 219) და არ გეგონოთ, რომ ეს დაწერილი იყოს 1918 წელს, არამედ ეს დაწერილი არის 1920 წლის თებერვალში (*კითხულობს*): „1918 წ. კი სახელმწიფო ცხოვრებას სათავეში მოექცა გათავისუფლებულ და დაკავშირებულ ხალხის მოწინავე ნაწილი და თავისი ძალის მოიმედე მტკიცედ დადგა მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცებისა და ახალ ცხოვრების მოწყობის გზას“ (იქვე, იხ. გვ. 219). თურმე ნუ იტყვით, კაკაბაძის „მეცნიერული გამოკვლევის“ შედეგათ მენშევიკები, ეს ხალხის მოწინავე ნაწილი იყო.

შემდეგ ნ. ჯორდანიას არჩევაზე ლაპარაკობს (*კითხულობს*): „რესპუბლიკის შინაური მდგომარეობა ამ დროს მეტად გამოურკვეველი იყო. ამასთანავე, რუსის ბოლშევიკები შემოჭრილიყვნენ აფხაზეთ-სამურზაყანოში და ზოგან ადგილობრივი შეუგნებელი ელემენტებიც თავის მხარეზე გადაებირებინათ. როგორც წინათ, ბათომზე ოსმალების გალაშქრების დროს, ისე ეხლაც, ბოლშევიკები ცდილობდენ თავისი აგიტაციის გაღვივებას ყველაზე უფრო ჩამორჩენილ მხარეებში განუეითარებელ მასის თავის მხარეზე გადასაბირებლად“ (იქვე, იხ. გვ. 221).

აი, ს. კაკაბაძე, რომელსაც თქვენ ამ ტრიბუნიდან მოუსმინეთ, რას სწერს იმ პარტიაზე, რომელიც სასწაულებს ახდენს. აი, ს. კაკაბაძის კონტრევოლიუციონური დებულებები, რომ ბოლშევიკებს გაელენა ქონდათ ჩამორჩენილ მასებში. შემდეგ (*კითხულობს*): „ბოლშევიკების საფრთხე ამის შემდეგაც (ლაპარაკია გენ. მაზნიაშვილის მიერ ჩრდილოეთში მოწყობილ ექსპედიციის შემდეგ დროზე, ა. დ.) არ მოსპობილა. ამავე 1918 წლის ივლისში ბოლშევიკებმა თავი წამოყვეს დუშეთის მაზრაში, რომლის ჩამორჩენილობა მათი აგიტაციის საქმეს ფრიად ადვილებდა და მოვიდნენ თითქმის მცხეთამდის. სახალხო გვარდიამ და ჯარმა ჩააქრო ეს აჯანყება“ (იხ. იქვე, გვ. 221). სიამაყით სწერს ამხ. ს. კაკაბაძე და ცამდის აყავს მენშევიკური გვარდია, მისი მეთაურები, რომელნიც აწიოკებდენ მშრომელთა მასებს.

შემდეგ ყველას მოგეხსენებათ ნ. ჯორდანიას განცხადება 1920 წ., რომ მენშევიკური საქართველო მიდის კატასტროფის გზით, რომ ეკონომიკა საქართველოსი განადგურდა, რომ კულტურულათ საქართველო ეცემა. ასეთ დაცემულ მდგომარეობას აღნიშნავდა თვით მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელი ნ. ჯორდანია და ამის შემდეგ ს. კაკაბაძეს გაბედობა შესწევს აღნიშნოს, რომ (*კითხულობს*): „პოლიტიკური თავისუფლების მოპოების შემდეგ თვალსაჩინო გამოცოცხლება და წინსვლა დაეტყო მრეწველობას, ხელოვნებას და მეცნიერებას“ და სხვა (იხ. იქვე, გვ. 227).

აი, ს. კაკაბაძის ცნობები. მაშინ, როდესაც მენშევიკების დროს სკოლები იხურებოდა, როდესაც ნ. რამიშვილი თავის თანაშემწით, ცინცაძით დადიოდა და გზა და გზა კეტავდა ხალხის მიერ გახსნილ სკოლებს. სასტიკათ შემცირდა სასწავლებლების და მოსწავლე ახალგაზრდობის რიცხვი, გაზეთები, თეატრი და სხვა. ამის შემდეგ ს. კაკაბაძე აკეთებს მენშევიკურ დასკვნებს და ცდილობს, გაამართლოს მენშევიკების პოლიტიკა, რომ მათ მიჰყავდათ „რესპუბლიკა აყვავების გზით“.

რასაკვირველია, ეს დებულებები ყველა კონტრევოლიუციურია და ეს დებულებები წარმოადგენენ იმის ნიმუშს, თუ რამდენად შეიძლება კაცი გაკოტრდეს და რამდენად შეიძლება ის მთლად მოწყდეს მეცნიერებას.

რაც შეეხება პროფ. გ. ნათაძეს, ჩვენ მის მიმართ გვაქვს სრულიად სხვა დაყენება და სხვა მიდგომა. ეს ის კაცი არის, რომელიც 1921 წელს, გასაბჭოების პირველ დღიდანვე მოვიდა ჩვენთან, მუშაობდა და მუშაობს ჩვენთან. პატიოსანი შრომით მან დაიმსახურა პატივისცემა როგორც ჩვენი მთავრობის, აგრეთვე ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის. ჩვენ მას მაშინაც ვცემდით პატივს და დღესაც, როგორც პიროვნებას და როგორც მოღვაწეს.

მაგრამ ეს არ ანთავისუფლებს პროფ. ნათაძეს მთელი რიგი საპასუხისმგებლო მომენტებისაგან ისტორიის ფრონტზე.

ობიექტივიზმის და სუბიექტივიზმის საკითხში მან ვერ დასძლია შეცთომები და ვერც დასძლევს, რადგან ეს არ არის ისეთი იოლი საკითხი ვიპერის შრომებზე აღზრდილ 60 წლის კაცისათვის. ის თვითონ აღიარებს, რომ ვიპერის მოწაფე იყო. ის იყო ვიპერის მოწაფე და დარჩა მის მოწაფეთ, როგორც ისტორიკოსი. აიღეთ თუ გინდ საქართველოს ისტორიის „სოციოლოგიურ მიმოხილვა": საქართველო მთიანი ქვეყანა იყოო და ამან შეუწყო ხელი ფეოდალურ ურთიერთობის ხანგძლივობასო. როგორც შეიძლება საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობით აიხსნას ფეოდალიზმი. რასაკვირველია, გეოგრაფიული ფაქტორს აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ეს არ არის ძირითადი მიზეზი ფეოდალური ურთიერთობის ხანგძლივობისა საქართველოში. ასე აქვს საკითხი მცხეთის წარმოშობის შესახებაც.

აი, ამით მინდა, ამხანაგებო, ჩემი სიტყვა დავასრულო და ავღნიშნო, რომ როგორც მეცნიერული მუშაკები ჩვენი ისტორიული ფრონტისა, აგრეთვე ჩვენი მოწინავე საუკეთესო ახალგაზრდობა გამოიტანენ სათანადო დასკვნებს პროფ. ორაგველიძის მოხსენებიდან და აგრეთვე კამათიდან.

დაკავშირებით ამასთან კიდევ კადრების საკითხი. მოგეხსენებათ, რომ არაჩვეულებრივი სიმშილია ისტორიულ ფრონტზე კადრების მხრივ. ცხადია, ის კადრები, რომლებსაც ზრდიდენ ძველი ბურჟუაზიული ისტორიკოსები ან მათი მსოფლმხედველობით აღზრდილი ხალხი, აბსოლიტურად ჩვენს იმედებს ვერ გაამართლებს. ასე რომ, ჩვენი ახალგაზრდების წინაშე დგას უდიდესი ამოცანები, დაეუფლონ ისტორიულ დისციპლინებს და იმ საგნებს, რომლებსაც კავშირი აქვთ მათთან, რათა აქედან მიეცეთ ჩვენ ის რეზერვი, რომელიც შეავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ჩვენ გვაქვს საქართველოს და სხვა ისტორიის დარგში (*ტაში*).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. *ნ. მახარაძეს.*

ნ. მახარაძე: ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ ისტორიის სწავლების დაყენების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ამხ. სტალინის, ჟდანოვის და კიროვის შენიშვნები, რომლებიც მოცემული აქვთ ახალი ისტორიის კონსპექტზე და საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კონსპექტზე, წარმოადგენენ საისტორიო მეცნიერებათათვის იმ იშვიათ თარიღს, რომელთა საფუძველზე ჩვენ უნდა გავშალოთ ფართო მუშაობა და წინ წავიყვანოთ მარქსისტული სამოქალაქო ისტორიის შექმნის საქმე.

სხვა სფეროში, ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის სფეროში მარქსისტულ-ლენინური მეთოდის გამოყენების იშვიათი მაგალითი მოგვცა ჩვენ ამხ. ბერიამ თავის შესანიშნავ მოხსენებაში: „ა/კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

რაც შეეხება სამოქალაქო ისტორიის ფრონტს საქართველოში, ეს საკითხები ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ქართველი ხალხის მარქსისტულ ისტორიის შექმნა წარმოადგენს ჩვენი ისტორიკოსების განსაკუთრებულ ამოცანას.

აქედან, ბუნებრივია, რომ ამხ. ორაგველიძის მოხსენების ცენტრში საქართველოს ისტორიის საკითხები იყო. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამხ. ორაგველიძის მოხსენება საქართველოს მეცნიერულ ფრონტზე და განსაკუთრებით ისტორიის ფრონტზე წარმოადგენს უდიდეს მეცნიერულ ლიტერატურულ მნიშვნელობის ფაქტს.

უდავოა, რომ საქართველოს მარქსისტული ისტორიის შექმნა შეუძლებელია ისე, თუ ჩვენ კრიტიკულად არ გავიგეთ ყველაფერი ის, რაც დაწერილია, რაც გამოქვეყნებულია საქართველოს ისტორიის დარგში. წინათაც იყო ცდები მიმართული იქითკენ, რომ ჩვენ მარქსისტულათ გადაგვესინჯა, მარქსისტული ხარაზით მიეღგომოდით საქართველოს ისტორიის საკითხებს. გარკვეულმა ჯგუფმა ამხანაგებისა უდაოთ ერთგვარი მუშაობა ჩაატარეს ამ მიმართულებით, მაგრამ ასე მთლიანი, ასე გაშლილი, ასე დასაბუთებული კრიტიკა ჩვენი მემკვიდრეობისა ისტორიის დარგში ჯერ არავის გაუკეთებია ისე, როგორც ამხ. ორაგველიძემ გააკეთა.

რატომ დგას საქართველოს ისტორიის საკითხები ყურადღების ცენტრში?

იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული მარქსისტულად დამუშავებული ისტორია ქართველი ხალხისა. ეხლა, როცა იქმნება საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია, საქართველოს ისტორიის დამუშავებაც განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან საკითხათ ხდება. მე არ ვიცი, რით გათავდება დავა, რომელიც არის ამხ. ს. ჯანაშიას და გ. სოსელიას შორის ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, მაგრამ მაინც უდაოა, რომ ქართველ ხალხს აქვს ხანგრძლივი, მდიდარი ისტორია, ისტორია კლასობრივი ბრძოლებისა, ბრძოლებისა, როგორც შინაური მტრების, ისე გარეშე მტრების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ქართველმა ხალხმა საბჭოთა ქვეყანას და მსოფლიოს მუშათა კლასს მისცა გენიალური ბელადი ამხ. სტალინი (*ტაში*). ქართველ ხალხს უნდა ქონდეს მარქსისტულ-ლენინურ მეთოდით დაწერილი თავისი ისტორია, მაგრამ, ეიმეორებ, ჯერ არა თუ არა გვაქვს მარქსისტული დაწერილი ისტორია, არამედ არა გვაქვს საკმაოდ დამუშავებული ის მასალებიც კი, რომელიც წარმოადგენს ამ ისტორიის შექმნის საფუძველს. ის, რაც გააკეთეს ამ მიმართულებით საქართველოს ისტორიის მკვლევარებმა, სრულიად საკმარისი არ არის. მუშაობა უნდა სწარმოებდეს საქართველოს ისტორიის კურსის შექმნასთან ერთად სწორედ იმ მიმართულებითაც, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ახალი მასალების შეკრება და გადამუშავება.

შემდეგი გარემოება, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ბურჟუაზიული ისტორიკოსები თავის დროზე საკმაოდ მკაცრად იყვნენ გაკრიტიკებულნი. ასევე ითქმის დასავლეთ ევროპის ისტორიკოსებზე. მაგრამ რაც შეეხება საქართველოს ისტორიოგრაფიას, ჩვენ ვხედავთ, რომ პირველი მართლაც სერიოზული მარქსისტული ნაბიჯი ამ მიმართულებით ამ დისპუტის დროს გადაიდგა. აქედან ცხადია, რომ მემკვიდრეობის დაძლევა, მისი კრიტიკული შეთვისება უნდა სწარმოებდეს საქართველოს ისტორიის კურსის დამუშავებასთან ერთად.

ასეთია ის განსაკუთრებული სიძნელეები, რომლებიც საქართველოს ისტორიკოსების წინაშე არის, მაგრამ ამავე დროს საქართველოს ისტორიის კურსის შექმნა ეხლა ადვილდება მთელი რიგი გარემოებებით. პირველი გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ხელისუფლება და ჩვენი პარტია თეორიული ფრონტის ცენტრში ისტორიის საკითხებს აყენებს. შემდეგ ისტორიის საკითხებზე ჩვენ გვაქვს შესანიშნავი მითითებები ამ. სტალინის, ჟდანოვის და კიროვის. არ იქნება სწორი, ვთქვათ, რომ ის შენიშვნები, რომლებიც გაკეთებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კონსპექტზე ან ახალი ისტორიის კონსპექტზე, შეეხება მარტო ამ ისტორიებს. არა, აქ მოცემულია ისეთი გაშლა ამ საკითხებისა, რომელიც სახელმძღვანელოდ ხდება ისტორიულ მეცნიერების ყველა დარგისათვის. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი მაგალითი ისტორიული კვლევისა, რომელიც მოგვცა ამხ. ბერიამ თავის მოხსენებაში: „ა/კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

აი, ეს გარემოებები უდავოთ აადვილებენ საქართველოს ისტორიკოსების ამოცანას.

ჩვენ სრულიად სამართლიანად ყურადღების ცენტრში დავაყენეთ საქართველოს ისტორიის საკითხები. გავარჩიეთ ის ლიტერატურა, რომელიც საქართველოს ისტორიაში არის, გავარჩიეთ ზოგი ახალი, ზოგი ძველი და, რაც მთავარია, გავარჩიეთ საფუძვლიანათ საქართველოში ძველი თაობის ყველაზე მსხვილი ძველი მიმართულების ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის კონცეპცია. მაგრამ გვაქვს სხვა დარგები ისტორიის და უნდა ითქვას, რომ ისტორიის სხვა დარგებში ჩვენ აგრეთვე გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენ გავარჩიეთ ქართულ ენაზე არსებული ძველი ისტორიის ლიტერატურა. ლიტერატურის დიდი ნაწილი, რომელიც გამოცემული იყო ალ. წერეთლის აეტორობით, მოკლებული ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას, წარმოადგენდა რა ბურჟუაზიულ ისტორიკოსების შეხედულებათა

განვითარების ცდას, შეიცავდა სრული უვიცობის ანეგდოტურ ნიმუშებს. ჩვენ მოვახთინეთ აღნიშნული, ყოვლად უვარგისი ლიტერატურის ხმარებიდან ამოღება. ჩვენ გავარჩიეთ საშუალო საუკუნეების ისტორიაში სახელმძღვანელოთ მიჩნეული კუშნერის წიგნის „დასავლეთ ევროპის ისტორიის“ ქართული გამოცემა და მოგვიხთა მისი განდევნა ხმარებიდან.

მუშაობა ამ მიმართულებით დამთავრებული არ არის, საჭიროა ბოლშევიკური კრიტიკის ჭარცეცხლში გავატაროთ სამოქალაქო ისტორიის თითეული წიგნი, რომელიც უნივერსიტეტში იხმარება.

ბოლშევიკური კრიტიკა ისტორიის მეცნიერების განვითარებისა და წინსვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ასეთი კრიტიკა საუკეთესო დახმარებაა იმ მეცნიერულ მუშაკებისათვის, რომლებიც საკლეო თუ პედაგოგიურ მუშაობას აწარმოებენ ან ცდილობენ აწარმოონ მარქსისტული თვალსაზრისით.

აქ გარჩეულ იქნა მთელი რიგი ნაშრომები პროფ. ნათაძის, ს. კაკაბაძის და სხვების. თუ გავარჩევთ კიდევ სხვა ლიტერატურას, თუ გნებავთ ძალიან ხილრმეში რომ არ წავიდეთ, მაინც ვნახავთ, რომ ბევრია ჩვენში ისეთი ისტორიული ნაშრომები, რომელიც ანეგდოტებს უფრო შეიცავს და რომელიც ისტორიას და მეცნიერულ ფაქტს არ წარმოადგენს. მე არ მინდა ვისარგებლო, ასე ვთქვათ, აი ამ გარემოებით და მოვიტანო ისეთი მასალები, რომელიც ამხანაგებმა თვითონ კარგათ იციან. მე მინდა სანიმუშოთ ავიღო ერთი წიგნი მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ სხვა დარგებში ისტორიისა ჩვენ არა გვაქვს საქმე დამაკმაყოფილებლად და სერიოზულ გადასინჯვა არსებულ ლიტერატურას ესაჭიროება მთლიანად.

მე ვიღებ პროფ. ნათაძის ნაშრომს „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია“, რომელიც გამოცემულია 1933 წელს, ე. ი. იმას, რომელიც ყველაზე ახალია და წარმოადგენს ჩვენი უნივერსიტეტისათვის ერთად ერთ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე.

უნდა აღინიშნოს, უპირველეს ყოვლისა, რომ ჩვენ ამ ლიტერატურას, რომელიც არსებობს, უდგებით, რასაკვირველია, თანამედროვე მოთხოვნილების თვალსაზრისით. თუ ამ თვალსაზრისით მიუდგებით ჩვენ პროფ. ნათაძის ამ ნაშრომსაც, აღმოჩნდება, რომ ის სრულიად არ უპასუხებს იმ მოთხოვნილებებს, რომელიც მოცემულია ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის და სახკომსაბჭოს 1934 წლის 16 მაისის დადგენილებაში და კიდევ უფრო არ უპასუხებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც უყენებენ წინ ისტორიის სახელმძღვანელოს ამხ. სტალინის, კიროვის და ჟდანოვის შენიშვნები საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის და ახალი ისტორიის კონსპექტზე. წიგნი წარმოადგენს განყენებულ სოციოლოგიურ სქემის შექმნის ცდას და არა კონკრეტულ ისტორიულ მასალის შემცველ ნარკვევს. ის, რაც პოკროვსკის და მისი სკოლის შეცდომებს შეადგენდა, აქ უხვათ ნახავთ. წიგნში იშვიათად ნახავთ ისტორიულ მოვლენათა დატებს (მხოლოდ ზოგჯერ დასახელებულია საუკუნეები) და ისტორიულ პიროვნებათა დასახელებას.

ავტორი რატომღაც სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო „ფეოდალიზმის ისტორიას“ მე-XIII საუკუნის დასწყისით ათავებს. სად წაიღო ავტორმა ფეოდალიზმის ისტორიის დანარჩენი 6 საუკუნე.

წიგნს ემჩნევა ბურჟუაზიული ისტორიკოსების, განსაკუთრებით დოპშის და პეტრუშევსკის გავლენა და მთელ რიგ შემთხვევებში ამ ისტორიკოსთა დებულებას იმეორებს.

წიგნში ბევრია ერთი მეორეს საწინააღმდეგო დებულებები. ავტორი მარქსისტულ მეცნიერებაში საბოლოოდ გადაჭრილ მთელ რიგ დებულებებს საკმაოდ ხთის და ბურჟუაზიული ისტორიკოსების დებულებათა უკრიტიკო განმეორებით სრულიად უსაფუძვლოდ კითხვის ქვეშ აყენებს.

წიგნში ისტორიული პროცესის ძირითად ფაქტორებათ ხშირათ მოტანილია შემთხვევითი მომენტები, საზოგადოებრივი ურთიერთობა და კლასთა ბრძოლა ავტორს ხშირათ საესებით თავისებურად აქვს გაგებული.

ეხება რა ავტორი ანტიკურ მონათმფლობელურ საზოგადოების და რომის დაცემას, ავტორი ამ დაცემის მთავარ მიზეზად ხედავს პროვინციებსა და რომს შორის არსებულ წინააღმდეგობას. ავტორი არც ერთი სიტყვით არ აღნიშნავს

წინააღმდეგობას მონებსა და მონათმფლობელებს შორის და იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა მონათა აჯანყებებს და მონათა რევოლიუციებს მონათმფლობელურ წყობილების შერყევისა და დანგრევის საქმეში. ავტორი სწერს: „ის ცვლილებები რომის ცხოვრებაში, რომელიც მოხდა პირველ საუკუნეებში ქრისტეს დაბადების შემდეგ, გამოწვეული იყო იმ წინააღმდეგობით, რომელიც შეიქმნა ახალ პირობებში. ეს წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთის მხრივ რომი გადაიქცა მსოფლიო მონარქიად და მის გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდა, გარდა მთელი იტალიისა, მის გარშემო მყოფი კუნძულები, საბერძნეთი, აფრიკის ჩრდილოეთი ნაპირი, ესპანეთი, მცირე აზია, კართია, გალია, გერმანია და სხვა. მეორე მხრივ კი თვით რომი თავის ტექნიკური ძალებით და შესაძლებლობებით, თავის საწარმოო ძალთა განვითარების დონით, აგრეთვე მართვა გამგეობის ორგანოების თვისებით უფრო ადრინდელ სახელმწიფოს შეეფერებოდა, ვიდრე დიდ მონარქიას“ (გვ. 2). ავტორი ამ დებულებას ანვითარებს თავის წიგნის შემდეგ გვერდებზე და მასში ხედავს რომის დაცემის მიზეზს.

შემდეგ. ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარების დახასიათების დროს ავტორი ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს. წიგნში არა თუ სრულიად არ არის მოცემული გლეხთა მოძრაობანი და გლეხთა ომები, არამედ საგსებით მიჩქმალულია გლეხობის როლი ისტორიულ პროცესში. სამაგიეროთ ავტორი თავის წიგნში დიდ ადგილს უთმობს მეფეებისა და ფეოდალების ურთიერთ შორის ბრძოლას. ავტორს ეს ბრძოლა არსებითად ფეოდალიზმის ისტორიის მთავარ ფაქტორად გამოჰყავს და ამ საკითხის განხილვის დროს იმ ბურჟუაზიული თეორიის მხარეზე იხრება, რომელიც თვითმყრობლობის ზეკლასიურობის თეორიის საბით არის ცნობილი და მეფის მიერ ყველა კლასების დაჩაგვრა-დამონებას გულისხმობს. მართალია, ამ შეხედულებას ავტორი თანმიმდევრათ არ ანვითარებს, მაგრამ მისი განმარტება წინააღმდეგობის შემცველია და არა დამაკმაყოფილებელია.

ეხება რა ფეოდალების ცდას, მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში თავის მხარეზე გადმოებირებია გლეხობა, პროფ. ნათაძე სწერს: „რადგანაც მათი (ფეოდალების, ნ. მ.) ვასალური დამოკიდებულება მეფისადმი ანალოგიური იყო გლეხობის მათდამი დამოკიდებულებისა, ამიტომ, როდესაც მათ მეფეს მოსთხოვეს, რომ მას თავისი სუზერენული უფლებები შეეზღუდა, თვითონაც აგრეთვე უფლებები შეზღუდეს გლეხობის მიმართ, მაგრამ ეს გარემოება საზოგადოდ გლეხობის მდგომარეობას არ ცვლიდა, რადგანაც გლეხობის დამოკიდებულება მემამულეებისადმი ძლიერ განსხვავდებოდა ფეოდალურ წრეების სუზერენ-ვასალური დამოკიდებულებისაგან“ (გვ. 155). ეს დებულება არ არის სწორი, რიგ წინააღმდეგობებს შეიცავს. ფეოდალის დამოკიდებულება მეფესთან და გლეხის ფეოდალის მიმართ „ანალოგიური“ იყო, ამბობს პატ. პროფესორი ციტატის დასწყისში, ეს დამოკიდებულებანი ერთი მეორესაგან ძლიერ განსხვავდებოდა, ამბობს ის იმავე ციტატის ბოლოს. შემდეგ ფეოდალებმა გლეხობის მიმართ „უფლებები შეიზღუდეს, მაგრამ ეს გარემოება გლეხობის მდგომარეობას არ ცვლიდა“.

შემდეგ გადავიდეთ ზოგიერთ ცალკეულ მომენტებზე. ეხება ჩვენ ისეთ პერიოდში ვიმყოფებით, როცა ცალკეულ გამოთქმასაც კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პროფ. ნათაძის წიგნში მთელ რიგ შეცთომებთან ერთად ადგილი აქვს არასწორ გამოთქმებს. ასე მაგალითად, ის ცდილობს ანტიკური ქვეყნების პროლეტარიატი გაიიგივოს კაპიტალისტურ წყობილების პროლეტარიატთან. ის სწერს: „მართალია, არსებითად პროლეტარიატის ინტერესები ეწინააღმდეგებოდა პროვინციების ამგვარ ექსპლოატაციას, მაგრამ ვის ჰქონდა მაშინ ამის შეგნება? არა მწარმოებელი პროლეტარიატი შორს იყო თავის კლასობრივ ინტერესების შეგნებიდან“ (აღნიშნ. წიგნი, გვ. 31). ანდა კიდევ: „გრაკხების რეფორმა გლეხობის ინტერესებს იცავდა და არა პროლეტარიატისა და ამ მხრივ რეაქციონური დემოკრატიზმის გატარებას ცდილობდა“ (იქვე).

ეხლა ისმება საკითხი. ამ ანტიკურ პროლეტარიატს, რომელიც საზოგადოებრივ ხარჯებს თხოულობდა, რა საკუთარი კლასობრივი შეღება უნდა ჰქონოდა, რატომ იყო გლეხთა ინტერესების დაცვა „კონსერვატორული დემოკრატიზმი“, ან რა არის ეს კონსერვატორული დემოკრატიზმი? პროფ. ნათაძე არჩევს კარლ ბიუხერის სქემას ისტორიული განვითარებისა და უპირისპირებს ამ სქემას პეტრუშევსკის და დობმის კონცეპციას. ის სწერს: „პროფ. პეტრუშევსკი უარყოფს კ. ბიუხერის თეორიას ცნობილ პროფ. ედ. მაიერთან ერთად, რომელიც არსებითად ბიუხერის სქემის წინააღმდეგაც ილაშქრებს და ანტიური კაპიტალიზმის წინააღმდეგაც. მისი აზრით, ბიუხერის სქემა სრულიად მიუღებელია, თუნდაც იმიტომ, რომ კაცობრიობის განვითარება არ წარმოადგენს შეუწყვეტელ პროგრესის გზას, რომელშიაც თითეული ერი ამ პროგრესიულ მსვლელობაში თითო რამე საფეხურს წარმოადგენს. პირიქით, თითეული ერი იწყებს თავის განვითარებას პირველი საფეხურიდან, განვლის ყველა საფეხურებს და მიდის უკანასკნელ საფეხურამდე. ასევე ანტიკურმა ქვეყანამ სამეურნეო განვითარების ყველა საფეხურები განვლო და მიაღწია კაპიტალიზმს. ედ. მაიერი ნახულობს რომში სახალხო მეურნეობას, განვითარებულ მრეწველობას და ვაჭრობას, მწარმოებლებს და მუშებს. ჩვენ შეგვიძლია პროფ. პეტრუშევსკისთან ერთად დავეთანხმოთ ედ. მაიერს ბიუხერის საზოგადო სქემის წინააღმდეგ გამოსვლაში“ (აღ. წიგნი, გვ. 7). ამ პატარა ამონაწერში მთელი რიგი წინააღმდეგობანი და შეცდომებია. ციტატის პირველ ნაწილში პროფ. ნათაძე ამტკიცებს, რომ ედ. მაიერი ილაშქრებს ანტიკური კაპიტალიზმის წინააღმდეგ, უკანასკნელ ნაწილში პროფ. ნათაძე აღნიშნავს, რომ ედ. მაიერის აზრით, „ანტიკურმა ქვეყანამ სამეურნეო განვითარების ყველა საფეხურები განვლო და მიაღწია კაპიტალიზმს“. რომელია აქ მართალი, როგორია სინამდვილეში ედ. მაიერის აზრი ანტიკური ქვეყნის სამეურნეო წყობაზე პროფ. ნათაძის წიგნიდან ვერ გაიგებთ. შემდეგ ავტორი სწერს, რომ ბიუხერის სქემის კრიტიკაში პეტრუშევსკის და მაიერს უნდა დავეთანხმოთ, რატომ, განა მაიერი იძლევა ბიუხერის ისტორიული განვითარების ანტიმეცნიერული თეორიის კრიტიკას, განა თვით ედ. მაიერი არ ანვითარებს საზოგადოებრივი განვითარების ციკლიურობის კონცეპციას? ნათაძე ამტკიცებს, რომ ბიუხერის წინააღმდეგ პეტრუშევსკი და ედუარდ მაიერი სწორი არის, ე. ი. ამ შემთხვევაში ის ეთანხმება მათ ისტორიულ სქემას, რაც სრულიად მიუღებელია, ე. ი. ის უარყოფს იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი ფორმაციები, როგორც ლენინი აღნიშნავს, წარმოადგენენ პროგრესიულ ფორმაციებს და კაცობრიობა ერთი ფორმაციიდან მეორეში გადადის.

აქვე უნდა ითქვას, რომ კ. ბიუხერის საზოგადოებრივი განვითარების სქემის კრიტიკა, რომელსაც პროფ. ნათაძე იძლევა, სრულიად არა დამაკმაყოფილებელია და როგორც დავინახეთ ის ამ კრიტიკის დროს თვით ეშვება პეტრუშევსკის აშკარა ანტიმარქსისტულ ბურჟუაზიულ კონცეპციამდე.

ძნელი დასაჯერებელია, რომ პროფ. ნათაძემ არ იცოდეს საკითხი რომის სამეურნეო წყობის შესახებ, მაგრამ აღნიშნული წიგნის მთელ რიგ ადგილებში მას ამ საკითხზე მოცემული აქვს მცდარი, ყოველ შემთხვევაში, უაღრესად ბუნდოვანი განმარტებანი. მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები. ეხება რა რომის დაცემის პერიოდს, პროფ. ნათაძე სწერს: „ძველი ლატიფუნდიური წარმოების მოსპობა და მსხვილ მემამულეებთან წვრილი მეურნეობის დაკავშირება ნიშნავდა მეურნეობის დაქვეითებას და ნატურალური წარმოების გამეფებას რომში“.

„საკითხი რომის იმპერიაში ნატურალური მეურნეობის დაბრუნების მიზეზებისა მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი საბოლოოდ“ (გვ. 24). „მონური შრომა გამოუსადეგარი გახდა და რომი ისევ ნატურალურ მეურნეობას დაუბრუნდა“ (გვ. 25).

როგორი იყო მონათმფლობელური მეურნეობის ბუნება რომში წინეთ, სანამ იქ „ნატურალური“ მეურნეობა გამეფდებოდა. როგორც სჩანს, პროფ. ნათაძე სთვლის, რომ ანტიკური მეურნეობა კაპიტა-

ლისტურ მეურნეობას წარმოადგენდა. მას მონათმფლობელურ მეურნეობიდან ფეოდალურ სამეურნეო წყობაზე გადასვლის ძირითად მომენტად სამეურნეო განვითარების უკან დახევა და ნატურალური მეურნეობის გამეფება მიაჩნია.

შემდეგ პროფ. ნათაძე არჩევს გერმანულ ტომების სოციალურ ეკონომიურ სტრუქტურას და ამტკიცებს, რომ იქ იყო აგრარული კომუნიზმი, საგვარეულო წყობილება და სხვა, ე. ი. ამტკიცებს იმას, რაც ცნობილია კარგა ხანია და მარქსისტული მეცნიერების მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს. საინტერესოა, როგორ აჯამებს აეტორი ამ დებულებას და რა დასკვნას აკეთებს. „აქედან არ უნდა ვიფიქროთ, რომ მეცნიერებაში სრული თანხმობა იყვეს კეისრის და ტაციტუსის ცნობების განმარტებაში. ბევრს სრულიად დაუშვებლად მიაჩნია ის აზრი, ვითომ გერმანელებს აგრარული კომუნიზმი ოდესმე ჰქონოდეს. მაქს ვებერიც წინააღმდეგია ამისი (Die Deutung auf Agrar Kommunismus sei Keine absolut gebotene. ციტატა დოპშიდან). წინააღმდეგია აგრეთვე ფიუსტელ დე კულანჟი.

კამათი ამ საკითხის გარშემო კარგი ხანია მეცნიერებაში აღარ ყოფილა. თითქოს უმრავლესობა მაინც მაიერთან ერთად სცნობდა, რომ მიწის საზოგადოფლობელობა ჰქონდა გერმანელებს. ეხლა დოპშმა ხელახლა აღძრა ეს საკითხი და სრულიად სხვა გვარად გადაწყვიტა, ვიდრე სხვებმა (გვ. 36). ჩვენ ვიცით, რომ პროფ. ნათაძე ცდილობს მარქსისტული პოზიციებიდან აწარმოოს კვლევა-ძიება. რათ დასჭირდა პროფ. ნათაძეს, საკამათოდ გაეხადა დიდი ხანია გადაჭრილი საკითხი გერმანელთა ტომებში მიწის საზოგადომფლობელობის არსებობის შესახებ. პროფ. ნათაძე სწერს, რომ უმრავლესობა მაიერის აზრს ეთანხმებოდა, მან იცის, როგორც სჩანს, მარქსის დამოკიდებულება მაიერის თეორიის მიმართ, მაგრამ ამის შემდეგ მას მაინც მოჰყავს და ისიც უკრიტიკოთ ბურუაზიული ისტორიკოსების მაქს ვებერის ან ფიუსტელ დე კულანჟის შეხედულებანი და ამით სრულიად უსაფუძვლოთ კითხვის ქვეშ დაუყენებია ამ საკითხში მარქსისტული თეორიის სისწორე. კიდევ უფრო მიუღებელია, არა სწორია პროფ. ნათაძის აზრი, რომ ეხლა დოპშმა ხელახლა აღძრა ეს საკითხი და სრულიად სხვაგვარად გადაწყვიტა, ვიდრე სხვებმა. ეს წიგნი დაწერილია ორი წლის წინათ, რომლითაც ჩვენი სტუდენტობა ხელმძღვანელობს. ეს წიგნი მე გადავათვალიერე არა როგორც სპეციალისტმა და აღმოვაჩინე, რომ ასეთ ამბებს შეიცავს. რა თქმა უნდა, სპეციალისტმა რომ ეს წიგნი გასინჯოს, ალბათ უფრო სხვაგვარ ნაკლსაც აღმოაჩენს. სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წიგნი როდი წარმოადგენს ქართულ ენაზე დაწერილ ყველაზე ცუდ წიგნს სამოქალაქო ისტორიაში. ეს კი იმას მოწმობს, რომ ჩვენ სამოქალაქო ისტორიის ჯერ კიდევ გადაუსინჯავი ლიტერატურა მთლიანად უნდა გადავსინჯოთ.

ეხლა შემდეგ დისკუსიის ყურადღების ცენტრში სრულიად სამართლიანად პროფ. ჯავახიშვილის კონცეპცია იყო. მე, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ იმ საფუძვლიანად კრიტიკას, რომელიც აქ იყო წარმოებული, რაიმე მნიშვნელოვანი მომენტი მიუმატო, ვინაიდან მე მგონია, რომ სურათი ამ მიმართულებით საკმაოდ ნათელია.

მე მინდა შევეხო ერთ მომენტს პროფ. ი. ჯავახიშვილის წარსულ და, თუ გნებავთ, საზოგადოებრივ მუშაობიდან. ვიღებ მარტო ორ დოკუმენტს-მოხსენებას უნივერსიტეტის დაარსების გამო და მის მოხსენებას 1918 წლის 20 დეკემბერს, გაკეთებულს სწორეთ მაშინ, როცა დაშნაკებს და ქართველ მენშევიკებს შორის ომი სწარმოებდა.

ცნობილია, რომ მენშევიკების და დაშნაკების სისხლიან ბატონობის პერიოდში მენშევიკ დაშნაკების ომი, რომელშიც ქართველი ხალხიც იქნა ჩათრეული, წარმოადგენს ერთ ყველაზე უფრო საზიზღარ ფურცელს მათი ისტორიისა.

აი ამ დროს, პროფ. ჯავახიშვილი გამოდის სპეციალური მოხსენებით, რომელშიც განვითარებული არის ის დებულება, რომელიც მან წამოაყენა სხვა წიგნებში (მაგალ. იხ. „საქართველოს საზღვრები“). აი, რას ამბობს ის ამ მოხსენებაში (მომყავს კორესპონდენტიული ჩანაწერით).

„ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა“. მან ადგილების სახელწოდებებით და სხვა დროს ისტორიული ფაქტებით დამტკიცა, რომ ეს მაზრები (ლორე, ბამბაკი და სხვა) ისტორიულადაც საქართველოს ეკუთვნიან. ერთად ერთი საფუძველი, რომელსაც ამის შემდეგ სომხეთი უნდა ემყარებოდეს, რეალური მოსახლეობის პრინციპია. რუსეთის მოსვლის დროს ამ რაიონებიდან აიყარა ქართველი მახმადიანობა და მის ადგილზე მშვიდობიანი გზით შემოსული სომხობა დასახლდა. ამიტომ არის, რომ ისინი დღეს ამ ადგილებში მოსახლეობის მეტ პროცენტს შეადგენენ.

მაგრამ არც ეს აძლევს სომხეთს საბუთს, რომ ეს ადგილები მოითხოვონ, გარა ამერიკაში გადასახლებული 10 მილიონ გერმანელს ნება აქვთ ის ადგილები, რომელზედაც ცხოვრობენ, გერმანიის კუთვნილებათ გამოაცხადონ.

„ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფები უნდა დარწმუნდნენ, რომ იმ ერთან, რომელიც წარსულშიც და ეხლაც საქართველოს საფრთხეს უმზადებს, არავითარი კონფერენციის მართვა არ შეიძლება“.

„თუ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა გვსურს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვებრძოლოთ სომხის ერს, რომელიც ამ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უმზადებს“.

„საქართველოს — სთქვა მან — არასოდეს რა გასჭივრებია სომხეთთან ომი და არც ეხლა გაუჭირდებაო“ (ხახი ყველგან ჩემია, ნ. მ.). გაზ. „საქართველოს“ 20/XII-1918 წ.

აქ პირდაპირ ზოოლოგიური შოვინიზმი არის განვითარებული. ის ამბობს, რომ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება შეთანხმებაზე და კონფერენციაზე, ვინაიდან ცნობილია, რომ საქართველო ყოველთვის ჯობნიდა სომხებს და ეხლაც დაჰკარით მათ. ასეთია პროფ. ჯავახიშვილის მოწოდება.

ზოგიერთები ამბობენ, რომ ჯავახიშვილი არის ისეთი ობიექტური მეცნიერი, რომელსაც მიწიერი არაფერი აინტერესებს, რომ ის არ არის პოლიტიკოსი, რომ პოლიტიკაში მას გარკვეული როლი არ ქონია და სხვა. მაგრამ ეს დოკუმენტები და ის წიგნები, რომელიც აქ დასახელეს, ამტკიცებენ სრულიად სხვა ამბავს. აქ პროფ. ჯავახიშვილი გამოდის გარკვეულ პოლიტიკურ პამფლეტით, ის ამ შემთხვევაში ნამდვილი პუბლიცისტია, რომელიც გარკვეულ სოციალურ დაკვეთას ასრულებს, როდესაც ასეთ წერილებს სწერს და ასეთ მოხსენებებს აკეთებს.

ამ მხრივ დამახასიათებელია კიდევ მეორე მოხსენება გაკეთებული 1917 წ. მიწურულში ტფილისში და ქუთაისში. ივ. ჯავახიშვილი ამბობს: ეკლესიაში ღვიოდა კულტურის ლამპარი და როცა დაეცა ეკლესია, მერე ქართველი ერის ბედი უკუღმა წავიდაო და ეხლა უნდა უშველოთ საქმეს, უნივერსიტეტი მოვაწყოთო და სხვა. „ქართველი მეფეები და მაღალი წრეები მშვენივრად გრძნობდენ ქართველი მეცნიერების აყვავების აუცილებლობას და თითონაც პირად შრომას და ქონებას არ ზოგავდენ, რომ ჩვენ ქვეყანას ამ უმწეო მდგომარეობიდან თავი დაეხწია და რაკი მონასტრებში უმაღლესი მეცნიერების და განათლების ცეცხლი აღარ ღვიოდა უნდა მათ მაგიერ უმაღლესი დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულიყო“. („სახ. საქმე“, №63).

როგორც ვხედავთ, როცა საქმე ეხება საქართველოს ფეოდალურ პერიოდის წარსულს, ივ. ჯავახიშვილი ფეხებს არ ზოგავს ქართველი მართველი წრეების და მეფეების შესაქებად. მისი აზრით, ის რომ ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი ენა და კულტურა, შედეგია არა თვით ამ ხალხის გმირული ბრძოლებისა კულტურის შენარჩუნებისათვის, არამედ მეფეებისა და მართველი წრეების საქმიანობის, რომლებიც „პირად შრომასა და ქონებას არ ზოგავდნენ“ და აგრეთვე თითო ოროლა პირების „დაუცხრომელი პირადი მხნეობისა“.

მენშევიკური დიკტატურის ისტორიის დაწერა ჯავახიშვილს არ მოუსწრია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჯავახიშვილი ამ პერიოდში აქტიურ იდეურ პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდა და ხშირად გამო-

დიოდა მენშევიკურ პოლიტიკის ყველაზე უფრო აგრესიული, შოვინისტური პოლიტიკის დაცვის მიზნით. ,,ჩვენი ენა, საუკუნოებით შემუშავებული და მდიდარი, უცხო გავლენით წაირყვნა და შესაბრალისათ გაღატაკდა. თუ ჩვენი ხალხი ეროვნულათ არ გადაგვარდა და ჩვენი დედა ენა ესოდენ უმწეო მდგომარეობაში თანდათანობით კვლავ მოღონიერდა და ნელნელა კვლავ აღორძინებაც კი დაეტყო, მხოლოდ ქართველი მოღვაწეებისა, პოეტებისა, მსახიობთა და თითო ოროლა მეცნიერების თავგამოდებულ და დაუცხრომელ პირადი მხნეობის წყალობით იმ თავგანწირულ მუშაკებს მარტოთ და მხოლოდ საკუთარი თაოსნობით უნდა ეწარმოებიათ თავისი საყვარელი ეროვნული საქმე“ (,,სახ. საქმე“, №66).

და აი, იმ ადამიანს, რომელიც მოხსენებებით გამოდიოდა მენშევიკური ხელისუფლების დროს, ფულს აგროვებდა და მოწოდებებს სცემდა, რომ როგორმე მოეწყოთ უნივერსიტეტი. რა უშლის ასეთ ადამიანს ერთხელ მაინც აღნიშნოს ის ვეებერთელა კულტურული წარმატებები, რომლებიც საბჭოთა საქართველოს აქვს. მართლაც თუ ის ასე დაინტერესებული იყო, რომ საქართველოში ძლიერად დანთებულიყო კულტურის ჩირაღდანი, თუ ის დაინტერესებული იყო, რომ საქართველო კულტურულად და ეკონომიურათ წინ წასულიყო, დღეს ხომ საქართველოს ისეთი წარმატებები აქვს, რომლებიც მას არასოდეს არ ქონია და რატომ არ შეუძლია მას გარკვეული დადებითი დამოკიდებულება გამოამჟღავნოს ამ ფაქტის მიმართ.

რა შეიძლება ეხლა მივიღოთ ჩვენ გარკვეულ დებულებათ ჯავახიშვილის კონცეპციის შესახებ. იქ იყო ნათქვამი, რომ მისი მსოფლმხედველობა არის ნაციონალიზმი. ეს, მე მგონია, არ არის სრული და სწორი. ნაციონალიზმს ყოველთვის გარკვეული სოციალური საფუძველი აქვს. შეიძლება ერთ შემთხვევაში ნაციონალიზმი გამოხატავდეს წვრილ ბურჟუაზიულ განწყობილებას ან მემამულურ განწყობილებას. შემდეგ აქ იყო ნათქვამი, რომ ჯავახიშვილი არის წვრილ ბურჟუაზიული ისტორიკოსი, ესეც, მე მგონია, მართალი არ არის. იყო დავა იმ საკითხზე, არის თუ არა ის რიკერტიანელი, თუ არ არის რიკერტიანელი. შემდეგ იყო დავა იმის შესახებ, ავიდა თუ არა ის ბურჟუაზიულ მეცნიერების უკანასკნელ საფეხურზე.

პროფ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის გასაგებათ გარკვეული უნდა იქნეს ის პირობები, რომელშიაც ყალიბდებოდა ჯავახიშვილი, როგორც მეცნიერი. ჯავახიშვილი ეკუთვნის ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც პროლეტარიატის მოწინააღმდეგ გაბატონებული კლასების თუ სოციალური ფენების რეაქციონური ბანაკის იდეოლოგად გამოდიოდენ. ამ ინტელიგენციის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა მაშინ, როდესაც რუსეთი და მასთან საქართველოც ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლიუციის წინ იდგა. ამ პერიოდში ინტელიგენციის ამ ნაწილის შეხედულებებში შეიძლება მოინახოს თვითმპყრობელობის მიმართ ოპოზიციონური განწყობილების ცალკეული მომენტები.

მაგრამ როცა მათთვის ნათელი ხდება, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის მთავარად გამოდის პროლეტარიატი, რომელიც შეეცდება გასცილდეს ამ რევოლიუციის მიმართ ბურჟუაზიის მიერ განკუთვნილ ჩარჩოებს, ბურჟუაზია, ისე როგორც მისი იდეოლოგები, რევოლიუციას ზურგს აქცევს, მის აქტიურ მოწინააღმდეგეთა ბანაკში იბუდებს.

თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის ინტერესთა ჭიდილს არც რუსეთში და, მით უმეტეს, არც საქართველოში მნიშვნელოვან სიმწვავისათვის 1905 წლის რევოლიუციის წინეთაც არ მიუღწევია. პროფ. ჯავახიშვილი იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ახერხებდნენ პროლეტარული რევოლიუციის საფრთხის წინაშე ქართველი თავად აზნაურობის და ქართველი სუსტი ბურჟუაზიის შეხედულებანი შეეთვისებიათ. შემთხვევითი როდია, რომ თავიანთი არსებობის უკანასკნელ პერიოდშიაც კი, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე ქართველმა თავად-აზნაურობამ და ბურჟუაზიამ ერთიანი ნაციონალური დემოკრა-

ტიული პარტია შექმნა. მენშევიკების ბატონობის დროს, 1917-20 წელს, ხდება პროლეტარული რევოლიუციის მოწინააღმდეგე ყველა ძალების შეკავშირება, სწარმოებს ენერგიული მუშაობა ამ ძალების იდეური შეიარაღებისათვის. ის მასალები, რომელიც პროფ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის ამ პერიოდს ეკუთვნის, ამ ძალების იდეურ შეიარაღებას ემსახურება. ამასთან, მე მგონია, საკმაოდ ნათლად იქნა ნაჩვენები მთელ რიგ ძირითად დებულებებზე (იდეოლოგიის და საწარმოო ურთიერთობის საკითხი, რომ სახელმწიფო ზეკლასიური და ზეისტორიული არის, გარკვეული ნათესაობა იმ თეორიასთან, რომ ისტორია მეორდება. ციკლიურობის ამბები და სხვა), რომ ჯავახიშვილის მეთოდოლოგია იდეალისტურია, უდავოა, რომ ის ბურჟუაზიულ მეცნიერების უმაღლეს საფეხურზე არ ასულა, ამბობენ, რომ ის რანკეს მოწაფე არისო. რანკე წარმოადგენს ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ერთ ერთ ყველაზე უფრო რეაქციონურ მიმდინარეობას გერმანიაში. მარქსი სპეციალურათ აფასებს რანკეს და ამბობს, რომ ის არის ადამიანი, რომელიც ფაქტებს უთავბოლოდ თავს უყრის და ანეგდოტებს აგროვებსო. ეს ნათესაობა, მე მგონია, უდავოთ სჩანს ჯავახიშვილის თვალსაზრისში და შრომებში.

ეხლა ზოგიერთი საკითხები კიდევ და ამით გავათავებთ. პროფ. პოლიევექტოვმა წამოაყენა ერთი საინტერესო საკითხი. საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ეს, უდავოთ, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია და თუ გნებავთ, სხვადასხვა თვალსაზრისის გამომჟღავნება ჩვენს ისტორიაში უკანასკნელ მკვლევარებს შორის ამ საკითხის გარშემო ხდებოდა. პროფ. პოლიევექტოვმა აღნიშნა, რომ აქ ჩვენ გვაქვს ორი შემხვედრი ამბავი. ერთის მხრივ რუსეთის თვითმპყრობელობის ექსპანსია და, მეორე მხრივ, შემხვედრი ტენდენცია, რომელიც საქართველოდან მოდიოდა. მე მგონია, რომ ეს საკითხი ფრიად სერიოზული საკითხია და საჭიროებს განსაკუთრებულ კვლევა-ძიებას. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე ბევრი დაიწერა, მაგრამ არავინ ცდილა ამ საკითხს მიდგომოდა ფეოდალიზმის კრიზისის თვალსაზრისით, რომელსაც ადგილი ქონდა მე-18 საუკ. მიწურულში საქართველოში. მე მგონია, ამ სიბრტყეზე უნდა დაისვას საკითხი და მაშინ გავიგებთ ამ ტენდენციის შინაგან ბუნებას, გავიგებთ სოციალურ მოტივებს იმ დაჯგუფებისა, რომელიც ამ საკითხის გარშემო შეიქმნა.

ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციო ყურადღება. ხშირად ხდება, რომ საქართველოზე რუსეთის მფლობელობის გავრცელება, იძულებითი ანექსია საქართველოსი არეული არის იმ ობიექტურ შედეგთან, რომელიც მოყვა საქართველოს შეერთებას თუ დაპყრობას. არსებობს ენგელსის და ლენინის შეხედულებები ამ საკითხზე. აღნიშნავენ განსაკუთრებით იმ გარემოებას, რომ საბოლოო ანგარიშში რუსეთის მიერ თავის ექსპანსიის გავრცელებას საქართველოზე და ა/კავკასიაზე ის შედეგი მოჰყვა, რომ საქართველო ჩართული იქნა მსოფლიო ბაზარში, საქართველო მოექცა იმ საერთო ორბიტაში, რომელშიც რუსეთი იმყოფებოდა.

სულ უკანასკნელი საკითხი შეეხება, რა თქმა უნდა, იმ გარემოებას, რომ, როგორც უკვე აღნიშნული იყო მთელი რიგი ამხანაგების მიერ, ჩვენ ამ კამათის დროს შედეგათ მივიღეთ ძალიან დიდი მასალა, მივიღეთ ფრიად მნიშვნელოვანი შედეგი, მაგრამ ერთი ნაკლი მე მაინც მინდა აღვნიშნო. საკითხი შეეხება დამოკიდებულებას თავის შეცდომების მიმართ ან, და უკეთ რომ ვთქვათ, თვითკრიტიკას. მე მგონია, რომ საკმაოთ გაშლილ თვითკრიტიკას, თავის შეცთომების კრიტიკას აქ იმდენათ ადგილი არ ქონდა, რამდენათაც ეს საჭირო იყო.

მე ვლაპარაკობ განსაკუთრებით ს. კაკაბაძეზე. მე შემეძლო მომეყვანა მისი ერთ ერთი წერილი, დაწერილი 1921 წლის დასაწყისში — „ორი ისტორიული პარალელი". მე მგონია, რომ გაზეთის ფურცელზე ასეთი სისაძაგლე იშვიათად ყოფილა.

შეიძლებოდა კიდევ სხვა ადგილები მომეყვანა, ამიტომ ის რაც ითქვა, მისი, განსაკუთრებით ძველი ნაწერების შესახებ. წარმოადგენს არა შეცდომებს, არა-

მედ ეს გარკვეული თვალსაზრისი იყო. ს. კაკაბაძეს უნდა ეთქვა, რომ მისი გარკვეული დროის ნაწერები ყოველად დაუშვებელი, ყოველად მიუღებელი დოკუმენტებია. ეს არის ისეთი მასალა, რომლის დაწვა უნდა მოეთხოვა მას.

(ვ. ცინცაძე: დაცვა მოითხოვა და არა დაწვა!).

რაც შეეხება საკითხს ჩვენი მუშაობის შემდგომი განვითარების შესახებ, ამხ. კარლო ორაგველიძე თავის საბოლოო სიტყვაში შეჩერდება. მე მინდა მხოლოდ ერთი პატარა საკითხი გამოვჰყო. ეს საკითხი შეეხება ჩვენს კადრებს, მათ აღზრდას. ამ მიმართულებით უნივერსიტეტი გარკვეულ მუშაობას აწარმოებს განსაკუთრებით საქართველოს ისტორიაში. ცნობილია, რომ გავზარდეთ ასპირანტთა რიცხვი, მაგრამ ამ მიმართულებით გაკეთებული მუშაობა, მე მგონია, საკმარისი არ არის. საქმე ის არის, რომ ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი სასწავლებლებისა თბილისიდან დაწყებული ბათომამდე. 400 კილომეტრის მანძილზე მოგზაურობენ ამხ. ბერძენიშვილი და სხვები და ამ ინსტიტუტებს მომსახურეობა უნდა გაუწიოს სამმა-ოთხმა კაცმა. რა თქმა უნდა, ეს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაძლიერებულ იქნეს. შემდეგ. ჩვენ ხშირად ისტორიული ნაწარმოების დაწუნება გვიხდება, ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ამ ლიტერატურის უმთავრესი ნაწილი სრულიად არ ვარგა სახელმძღვანელოთ. აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დიდ დახმარებას გვიწევს, ჩვენ შეუდექით რუსულ ენაზე არსებულ სახელმძღვანელოების გადმოთარგმნას. საჭიროა ამ საქმის დაჩქარება იმ ანგარიშით, რომ მომავალი წლის დასაწყისში ეს სახელმძღვანელოები მივიღოთ. ვაკეთებთ კიდევ ერთ პატარა, მაგრამ სერიოზულ საქმეს. საქმე იმაშია, რომ ცენტრალურ კომიტეტის და სახკომსაბჭოს დადგენილება მოითხოვს იმას, რომ ისტორია ისწავლებოდეს შესაფერი თვალსაჩინო იარაღების მოხმარებით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ ამბებს, როგორიც არის ფოტოიოლუსტრაციები, ქარტები და სხვა. ქართულ ენაზე, სამწუხაროთ, გარდა რუქებისა, სხვა რამ არ მოიპოვება. ჩვენ განზრახული გვაქვს გამოვსცეთ ისტორიული ატლასი. ყველა სიხარულით ეგებება ამას, რადგან ჩვენ სკოლას ასეთი დახმარება ესაჭიროება. შემდეგ ის, რომ მარქსის კრიტიკის ქარცეცხლში გატარება ჩვენი ისტორიული ლიტერატურისა დასრულებული არ არის. ჩატარებული მუშაობა არ კმარა. დისკუსიის შედეგები უნდა ფართოთ გამოვიყენოთ ცენტრალური კომიტეტის, ამხ. სტალინის, ჟდანოვის და კიროვის ისტორიულ მითითებათა საფუძველზე მთელი ჩვენი მუშაობის გარდასაქმნელად როგორც საკლეო, ისე პედაგოგიური მუშაობის გარდასაქმნელად.

ამხ. ს. ჯანაშია: როგორც მოგახსენათ თავმჯდომარემ, მე ამ თავაზიანობით, რომლითაც საშუალება მეძლევა მეორეჯერ გამოვიდე, სრულებით არ მინდა ვისარგებლო კამათის გაგრძელებისათვის ან გამწვავებისათვის. მე მხოლოდ განმარტებისათვის ავიღე სიტყვა. ჩვენს დისკუსიას მეცნიერულ აზრთა გაცვლა გამოცვლის დანიშნულება ქონდა და ასეთ პროცესში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ გაუგებრობას.

კერძოთ, ამხ. სოსელიამ, ამასაც აგრეთვე კამათის წესით არ ვამბობ, განმარტების წესით ვამბობ, აღნიშნა ჩემი ერთი შეცთომა. მე საჭიროთ მიმაჩნია ამ შეცთომის ხასიათი გავარკვიო, თორემ ისე გამოვიდა, რომ ეს ისეთი შეცთომა არის, რომელზედაც დამყარებულია მთელი ჩემი კონცეპცია. ეს ასე არ გახლავთ. საქმე შეეხება ქურუმების ბატონობის საფუძველს იბერიაში. ამხ. სოსელიამ წაიკითხა ციტატა 22-ე გვერდზე დაბეჭდილი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ციტატის სწორათ გაგებისათვის საჭირო არის ჩვენ წავიკითხოთ ის, რაც არის აგრეთვე წინა გვერდზე და შემდეგ მომდევნო გვერდზე. ციტატის ამოგლეჯა საერთო კონტექსტიდან საქმის სწორ ვითარებას ჩვენ ვერ გაგვირკვევს.

აი, პირველ გვერდზე რა სწერია (*კითხულობს*):

(იხ. განაკვ. II, გვ. 21).

შემდეგ არის მარქსიდან მოტანილი ციტატა, რომელიც მიუთითებს ჭურუმების როლზე არა კლასობრივ საზოგადოებაში, არამედ პირველყოფილ თემის შიგნით. მარქსის ციტატის შემდეგ მე ვსწერ (*კითხულობს*), იქვე, გვ. 24.

ხომ გასაგებია, მაშ როგორ მაქვს წარმოდგენილი ჭურუმების ბატონობის საფუძველი ივერიაში.

ეხლა, ამხანაგებო, სადაც ელაპარაკობ, „ამაზე ქვემოდ ვისაუბრებთ", ხომ უნდა ვნახოთ, რა სწერია ქვემოთ. მეცნიერული კამათის წესი ამას მოითხოვს (*კითხულობს*), განაკვ. III, გვ. 20-21.

ეხლა კიდევ მეორე განმარტება. ესეც აგრეთვე ფაქტიურ ამბებს ეხება.

ამხ. ტალახაძე აქ შეჩერდა დაწვრილებით სტრაბონის ცნობაზე და ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ჩვეულებრივ სტრაბონის ცნობას აყალბებენ. მაგალითად, „გენე"-ს ზოგი თარგმნის კლასად, ზოგი წოდებათ, რომ ეს არ არის სწორი და წაიკითხა ცნობილი განის თარგმანი. განი ტფილისელი მასწავლებელი იყო და ცუდ მთარგმნელად არის მიჩნეული. მე ყოველთვის ვცდილობდი მარქსისტული სიზუსტე დამეცვა ლიტერატურული ცნებების გადმოცემაში, მკითხველის მიმართ არაეთარი ჩემი სუბიექტური განმარტება არ შემეტანა და მე ვთარგმნე სტრაბონის ცნობა ამნაირად (*კითხულობს*), გვ. 9.

მაშასადამე, აქ მე შევნებულად ხაზს უსვამ, თუმცა ეს ჩემს საკუთარ შეხედულებას თვით გაელენის ბუნების შესახებ არ ეთანხმება, რომ სტრაბონი ხმარობს სიტყვა გვარს და შემდეგ დაწერილებით ელაპარაკობ, თუ რამდენათ სწორი იქნება, რომ გავიგოთ გვარი სოციალური ორგანიზაციის მნიშვნელობით. აქ ამხ. ტალახაძე ამბობდა, რომ უნდა გავიგოთ როგორც გვარი, მაგრამ ეს უაზრობამდე მიგვიყვანს. ოთხი გვარი ცხოვრობს იბერიაში. გვარში მაქსიმალური რაოდენობა შესაძლებელია ყოფილიყო ათასი კაცი, მაშ, ოთხი ათასი კაცი ცხოვრობდა იბერიაში? ჩვენ ვიცით, რომ რომაელებთან ბრძოლაში 65 წელს ქრისტეს წინ იბერიაში (არა სტრაბონის, არამედ სხვა რომაელ მწერლის ცნობით) ივერიელებმა დაკარგეს დაჭრილი და მოკლული ოცი ათასი კაცი. ამას გარდა, სტრაბონისავე ტექსტში დაცულია ცნობა, რომ იბერიაში შეუძლიათ ომში გამოიყვანონ 80.000 კაცი. სტრაბონი სვანეთის შესახებ ლაპარაკობს 200.000 კაცზე (*ბმა*: ეს შეცდომაა!). ეს შეცდომაა, მაგრამ ამასაც განმარტება უნდა. მე ვლაპარაკობ იმის შესახებ, რომ ჯარის სტრუქტურა სხვადასხვანაირი იყო, სვანეთში გვაროვნული წყობილება იყო და მთელი მოსახლეობა გამოდის ჯარში. რა თქმა უნდა, შეცთომა არის 200.000 კაცი, მაგრამ შეცთომა არ არის, რომ ივერიელებს გამოყავდათ რამოდენიმე ათეული ათასი კაცი. მაშასადამე, სიტყვა გენეს განმარტება სტრაბონის ცნობაში, როგორც გვარისა, შეუძლებელი არის. სტრაბონი თვითონ ლაპარაკობს, რომ იბერია მჭიდროთ არის დასახლებული და ბლომათ არის მოსახლეობა.

შემდეგ ბაზილევსის შესახებ. ამხ. ტალახაძე ლაპარაკობდა, რომ არ შეიძლება ბაზილევსი ვთარგმნოთ, როგორც მეფე, არამედ უნდა ვთარგმნოთ, როგორც სამხედრო წინამძღოლი.

(ტალახაძე: ენგელსი წავიკითხე!). დიახ, მეც წავიკითხავ ენგელსს.

საქმე ის გახლავთ, რომ სტრაბონს, როგორც იმ დროინდელ ბერძენ მწერალს, ბაზილევსი ესმის როგორც მეფე და შეუძლებელია სხვანაირად ესმოდეს. მე გეკითხებით, ხომ არსებობდა ცნება „მეფე" ბერძნულ ენაში? რა თქმა უნდა, ვერავინ იტყვის, რომ არ არსებობდა ეს ცნება იმიტომ, რომ მათ ყავდათ მეფე (ტალახაძე: არც ვდავობ!). თქვენ ბრძანეთ, რომ არ გვაქვს უფლება, რომ ბაზილევსი გადმოითარგმნოს როგორც მეფე.

(ტალახაძე: ამ შემთხვევაში).

ამ შემთხვევაში და იმ შემთხვევაში როგორ შეიძლება, სიტყვას აქვს გარკვეული მნიშვნელობა და მერე რეალურად უნდა განმარტო. მაშასადამე, მეფე ჰყავდათ, ამ ცნების გამოსახატავათ მათ ჰქონდათ სიტყვა ბაზილევსი. იხმარებოდა სხვა სიტყვებიც, რომლებსაც რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგ. დესპოტი. ჯერ კიდევ მე-5 საუკ. ქრისტეს წინ ცნობილი ჰეროდოტე აქმენიდების მეფეს ბაზილევსს უწოდებს. იყო თუ არა ის ნამდვილი მეფე? მე მგონი,

ამხ. შურა დამეთანხმება, რომ მეფე იყო. თქვენ ბრძანეთ, რომ ტერიტორიალური დანაწილება არის ძირითადი ნიშანი აქემენიდების სამეფოში. ტერიტორიალური დანაწილება მოცემულია, მათ ხელშია ჯარი. რა თქმა უნდა, ისინი მეფეები იყვნენ. თვითონ სტრაბონი მცირე აზიელი ბერძენი იყო, ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეთა ქვეყანაში ცხოვრობდა, იქ კი ეს ტერმინი — ბაზილევსი აღნიშნავდა სწორედ მეფეს. მაშასადამე, შესაძლებელია ბაზილევსს ქონდეს მეფის მნიშვნელობაც. ამიტომ არ არის დანაშაული, როცა რომელიმე ისტორიკოსი სტრაბონის ცნობაში სიტყვა ბაზილევსს გადმოთარგმნის როგორც მეფეს.

ეხლა მეორე ამბავი. შესაძლებელია, სტრაბონს ამ თანამდებობის პირი მეფეთ მიაჩნდა, მაგრამ ის ნამდვილად მეფე არ იყო. აქ საჭიროა რეალურ-ისტორიული განმარტება. მე იმავე გამოკვლევაში ვამბობ, რომ როდესაც სტრაბონი სვანეთის მეთაურს უწოდებს ბაზილევსს, ეს შეცთომა არის-მეთქი.

ეხლა ენგელსის ტექსტის შესახებ. ენგელსი ლაპარაკობს იმ ბურჟუაზიულ ისტორიკოსების შესახებ, რომლებიც აყალბებენ ისტორიას, როდესაც ბაზილევსს თარგმნიან მეფეთ. რაშია საქმე? საქმე მარტივათ იხსნება. თვითონ ამ სიტყვას, როგორც ყველა დანარჩენი სიტყვას, თავისი საკუთარი ისტორია ქონდა და სიტყვა ბაზილევსს ერთი და იგივე მნიშვნელობა არ ქონდა ყველა ეპოქაში. აი, ჩაუკვირდით, რას ლაპარაკობს ამის შესახებ ენგელსი (*კითხულობს*).

იხ. „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“. ქართ. თარგმან., გვ. 122.

მაშასადამე, აქ ლაპარაკია იმ ბერძენ ბაზილევსების შესახებ, რომლებიც გმირულ ხანას ეკუთნოდენ და რომლებიც სტრაბონის ეპოქიდან სულ ცოტა ცხრა საუკუნით იყვნენ დაშორებულნი. გმირულ ხანაში სამხედრო წინამძღოლი იყო ბაზილევსი, მაგრამ შემდეგ მოხდა ცვლილება, იგი გადაიქცა მეფეთ.

(ტალახაძე: ამერიკელ ტომებზე ლაპარაკობს ენგელსი, მანდ საბერძნეთზე არ არის დავა!).

საბერძნეთზე არის დავა, ამხ. ვალიკო (*კითხულობს*).

ენგელსი. დასახ. ნაშრ., გვ. 124-125.

ამხ. ტალახაძე ამბობს, რომ სტრაბონის ცნობაში ბაზილევსი ნიშნავს არა მეფეს, არამედ სამხედრო წინამძღოლს. მეთოდოლოგიურად საკითხის ასე დაყენება შესაძლებელია, ე. ი. საკმარისი არ არის დავადგინოთ, რომ სტრაბონს იბერიის მეთაური წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც მეფე. ჩვენ უნდა გავმარტოთ მისი რეალური შინაარსი. ეს შეიძლება მხოლოდ ისტორიული ცნობებით, მაგრამ ერთი საუცხოო ცნობა აქვს თვითონ სტრაბონს, რომელიც უარყოფს თქვენს შეხედულებას. სტრაბონი ლაპარაკობს, რომ ბაზილევსი არის პირველი გენეს უხუცესი წარმომადგენელი, ხოლო მეორე პირი მის შემდეგ მოსამართლეობს და სარდლობს. ე. ი. ბაზილევსი კი არ არის აქ სარდალი, არამედ მეორე პირია სარდალი. მაშასადამე, ბაზილევსი არ ყოფილა მხედართ მთავარი, არამედ მხედართ მთავარი იყო მომდევნო პირი დინასტიიდან.

შემდეგ კიდევ ერთი ფაქტიური ცნობა. ჩემი წიგნის წინასიტყვაობაში სწერია შემდეგი (*კითხულობს*).

იხ. ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. წინასიტყვაობა.

(ტალახაძე: ეს ვთქვი, მეტი არაფერი მითქვამს, მაპატიეთ, თუ გადავაჭარბე!).

არა, ეს სრულებით ის არ არის, რაც თქვენ ბრძანეთ. შეიძლებოდა კიდევ ბევრი რამ მეთქვა, მაგრამ ეს კამათის ფარგლებში გადავიდოდა და მე ამის ნებას არ მივცემ ჩემს თავს.

თავმჯდომარე: ფაქტიური შენიშვნისათვის იტყვა ეძლევა ამხ. *ს. კაკაბაძეს.*

პროფ. ს. კაკაბაძე: მე მინდა აქ ფაქტიური შესწორება შევიტანო იმ სიტყვების გამო, რომლებიც აქ იყო ნათქვამი, რომ თითქოს მე გუშინ მეთქვას, რომ მარქსისტული ისტორია საქართველოზე ჯერ არ შეიძლება დაიწეროს. მე ეს არ მითქვამს. მე მხოლოდ ავღნიშნე ის პრაქტიკული სიძნელენი, რომელიც მკლევარს ყოველ წუთში წინ ეღობება. მე ეს არ შემიძლო მეთქვა იმიტომ, რომ მე თვითონ სამი წელიწადია დაწერილი მაქვს წიგნი და უცდის გამოცემას (*ხმა*

ადგილიდან: მარქსისტულია?). მე ვფიქრობ, რომ ეს არის მარქსისტული და ვისაც უნახავს და წაუკითხავს, დადებითად იხსენიებს. ყოველ შემთხვევაში, თუ ასი პროცენტით არ შეიძლება მიღებულ იქნეს, არის იქ ძალიან ბევრი მიღწევები.

(ვ. ცინცაძე: რამ შეუშალა ხელი გამოცემას?).

მე მგონია, ეს წიგნი წელს გამოიცემა.

(ვ. ცინცაძე: რაც დაწერეთ, იმაზე რას იტყვი?).

რაც დავწერე იმაზე გავიმეორებ იმას, რაც ვთქვი გუშინ და რაც ვთქვი ხუთი წლის წინათ გარკვეული ამავე კათედრიდან. ხუთი წლის წინათ მე ვთქვი, რომ ახალ საუკუნეებზე იმ დროს არსებულ მასალების პირობებში, თუ გნებავთ ამავე დროს იდეოლოგიურათ მოუმზადებლობის გამო, არ შეიძლებოდა უკეთესის დაწერა. მე არ შემეძლო უკეთესის დაწერა...

(ვ. ჯანელიძე: კი მაგრამ, სავალდებულო ხომ არ იყო მენშევიკების შექება. აქ წაიკითხეს თქვენი წიგნიდან ადგილები, რომ რუსეთში დიდი საშინელი ამბავი მოხდა, ლენინი რომ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, რომ რუსეთი დაღუპვის გზაზე დადგა, რომ მენშევიკები იხსნიდნენ საქართველოს კულტურას და აი, ამაზე უნდა სთქვათ, რომ ეს იყო თქვენი მხრივ დაშვებული შეცდომები).

ს. კაკაბაძე: რა თქმა უნდა, ეს იყო უდიდესი პოლიტიკური შეცთომა ჩემის მხრით, მაგრამ ეს შეცთომა გამოვასწორე ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან, როდესაც მე ოშვიათად აქტიურათ ვმუშაობდი კულტურული მუშაობის იმ დარგებში, რომლებიც მე მჭონდა მინდობილი (ვ. ცინცაძე: სადაც მასალები დაწვით!).

მე მასალები კი არ დავწვი, ეს არის საზიზღარი ცილის წამება, არამედ გადავარჩინე აუარებელი საარქივო მასალები. ამის თქმა შეუძლია მხოლოდ საზიზღარ ადამიანს, ვინაიდან ჩემი უდიდესი დამსხურებაა, რომ იმ დროს თვით სამეცნიერო წრეებში საარქივო საქმისადმი უაღრესად ნილილისტურ პირობებში მოვკიდე ხელი მუშაობას თავგამოდებით და გადავარჩინე აუარებელი საისტორიო მასალები. რომ არ ჩავდგომოდი მე ჩემივე თხოვნით ამ საქმეს, მაშინ ეს დაწესებულება, ცენტრარქივი არ გვექნებოდა იმ სახით, როგორიც ეხლა არის. ჩრდილო კავკასიიდან მე თვითონ გადავარჩინე და ჩამოვიტანე მასალები, სადაც ის საშინელ პირობებში იმყოფებოდა. გარდა ამისა, შეკრებილი არის აუარებელი მასალები ჩემი ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით.

(ტალაბაძე: როდის ჩამოიტანეთ?).

1923 წელს.

(ტალაბაძე: ნუთუ 1923 წელს საბჭოთა ხელისუფლება იყო და ასეთ ბარბაროსობას ქონდა ადგილი, რომ არქივი იღუპებოდა?).

საბჭოთა ხელისუფლება არაფერს შუაში არ იყო, ვინაიდან თავის დროზე აქედან მენშევიკური ხელისუფლება არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ხოლო 21-22 წელს არ იყო ნორმალური მიმოსვლა ჩრდილოეთ კავკასიასთან. 1922 წლის დასასრულს წავედი და რაც გადარჩენილი იყო, ჩამოვიტანე. გარდა ამისა, შეკრიბე აუარებელი მასალები საქართველოში. რასაკვირველია, ყველაფერი ეს ხდებოდა პარტიის და ხელისუფლების დახმარებით და ხელმძღვანელობით, მაგრამ მაინც ამას შემსრულებელი ხომ უნდოდა და აი ეს დიდი ფიზიკური და ორგანიზაციული შრომა გადავიტანე ჩემს თავზე.

შეცთომები, რომლებიც წინათ მჭონდა დაშვებული მეცნიერული ხაზით და გარდა ამისა, შეცთომები, რომლებიც დაშვებული მქონდა პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ესა შეცთომები დავგმე და გამოვასწორე, როგორც ეს განვაცხადე 5 წლის წინათ ბეჭდვითაც. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მთელი წერილი, რომელიც ეხება საქართველოს ისტორიას, თავიდან ბოლომდე დაწერილია ჩემს მიერ. მხოლოდ ძველ პერიოდში, როგორც გუშინ განვაცხადე, ჩამატებულია შიგა და შიგ რედაქციის მიერ გრანატის ენციკლოპედიიდან ამოღებული ცალკე ნაწყვეტი პროფ. ჯავახიშვილის წერილიდან. შემდეგ მე-19 საუკ. და საბჭოთა პერიოდის ფაქტების დამუშავების დროს მე მეხმარებოდა განსვენებული ს. ხუნდაძე, მაგრამ თავიდან ბოლომდე ეს წერილი დაწერილია ჩემს მიერ. ბოლოს და ბოლოს შავები მაქვს ამ წერილებისა. გარდა ამისა, ჩემი

აეტორობა მოხსენებული არის შენიშვნაში.

(*ბმა*: იქ არის ძალიან დიდი შეცთომა, იცით რა შეცთომა არის?).

დიახ, ვიცი, მაგრამ ეს შეცთომები არ იყო ჩემგან დამოკიდებული.

(ვ. ცინცაძე: სამხედრო ცენზორი რომ იყავით, იმაზე რას იტყვით?).

ნება მომეცით მაგაზედაც ვილაპარაკო, ერთხელ მაინც ამ სამხედრო ცენზორობის შესახებ ვთქვა საჯაროთ. შვიდი რვა წელიწადია ეს ამბავი გრძელდება ზოგიერთ პირების მიერ.

თავმჯდომარე: ზოგიერთ პირების შესახებ თქვენ ბევრი ილაპარაკეთ ამხ. ბერძენიშვილზე და სხვებზე, თქვენზე კი არაფერი სთქვით. ეხლა თქვენ გეძლევათ სიტყვა იმისათვის, რომ ილაპარაკოთ თქვენს შესახებ.

ს. კაკაბაძე: მე არ ვიცოდი, თუ საჭირო იყო, რომ რევიზია მომეხდინა ძველი ნაწერებისა, თორემ მე გავაკეთებდი რევიზიას ჩემი წინა მუშაობისას. თაეის თავად ცხადია, შეცთომები მქონდა დაშვებული, მაგრამ ამ შეცთომების გასწორებაზე ვმუშაობდი ამ წლების სიგრძეზე და ვმუშაობ ეხლაც. ამ თვენახევრის წინათ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-სთან არსებულ საისტორიო კომისიას, რომელიც დაარსდა ამხ. ჟდანოვის თავმჯდომარეობით, მე გაუგზავნე მათი მოთხოვნით რუსულად დაწერილი კონსპექტი საქართველოს ისტორიისა და ამავე დროს ვთხოვე ამ კომისიას, რომ ეს კონსპექტი ეჩვენებიათ სათანადო მარქსისტ ისტორიკოსებისათვის და მოეცათ მათ თავისი დასკვნა. მე ველი ამ დასკვნას. მაშასადამე, მე ვმუშაობ ჩემი შეძლებისდაგვარათ. მე ვცდილობ, რამდენად შეძიძლია, დავამზადო უნაკლოთ და მაღალ ხარისხოვანი ისტორია საქართველოსი. შევძლებ თუ არა, სხვა საქმეა, მაგრამ მაინც ვცდილობ, რომ ნიადაგი მოვამზადო ახალი კადრებისათვის, რომლებიც არ დაიწყებენ ასე გაუცნობლად ადამიანის ტყუილა უბრალოდ შეურაცყოფას, როგორც ამას ზოგიერთები ადგილიდან შვრებიან.

ეხლა მაინც გთხოვთ ნებას ამ შეურაცყოფის გამო მოგახსენოთ სამხედრო ცენზორობის შესახებ.

თავმჯდომარე: თქვენ მიგითითეს თქვენს შეცთომებზე, ილაპარაკეთ თქვენს შეცთომებზე და არა ცენზორებზე.

ს. კაკაბაძე: ეხლა ერთობაში დაბეჭდილ წერილის შესახებ. ამ წერილის შესახებაც იყო წამოყენებული ხუთი წლის წინადაც საყვედური და მე საჭიროთ ვთვლი, პატარა განმარტება მოგცეთ. მე არასოდეს ერთობის თანამშრომელი არ ვყოფილვარ, მთლიანად ეს წერილი ჩემი დაწერილი არ არის.

(ვ. ცინცაძე: შენი სახელი და გვარი აწერია!).

ჩემი სახელი და გვარი არ აწერია.

(ვ. ცინცაძე: „ს. კ.“ აწერია, სთქვი, კაცო!).

მე არც მეშინია, ბოლოს და ბოლოს, თქვენი, ამხ. ცინცაძე, მე ისეთი არაფერი ჩამიდენია ჩემს სიცოცხლეში, რომ არ შემეძლოს ბოდიშის მოხდა და შეცთომის აღიარება. მე მაქვს საკმაოთ ხანგრძლივი პუბლიცისტური და ჟურნალისტური წარსულიც. აუარებელ წერილები ჩემი, როგორც ჟურნალისტის, თბილისის პრესაში არის დაბეჭდილი 1915-16-17-18 წლებში. მე ვიყავი რუსული გაზეთების თანამშრომელი, ვიყავი აქტიური ჟურნალისტი, გარდა ამისა, მეთაური წერილების ავტორი, ეხლაც შემიძლია მაშინდელი ჩემი წერილები გამოვიტანო საჯაროთ. მე ვწერდი ბურჟუაზიულ გაზეთებში, მაგრამ მე ვწერდი ისეთ საკითხებზე, რომ შეიძლება ეხლაც პასუხი ვაგო. ყოველთვის ჩემი თემა იყო კავკასიის ხალხთა სოლიდარობა. შემდეგ ყველა ჩემი წერილები ომის შესახებ დაბეჭდილი „ზაკავკასკაია რეჩ“-ში არის პორაჟენცული ხასიათის, რადგან ბევრი ჩვენგანი ვიდექით პორაჟენცულ პოზიციებზე. ერთობის თანამშრომლად არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ ქუთაისში მენშევიკების ევაკუაციის წინა დღეებში ერთობის მაშინდელმა ერთ ერთმა ხელმძღვანელმა, განსვენებულმა ლევან ნათაძემ მომართა თხოვნით, მომეცა იქვე ცნობები თბილისის ისტორიის შესახებ.

და თუ წაიკითხავთ წერილს, ნახავთ, რომ იქ არის დაწერილი თბილისის ისტორიაზე, თუ თბილისი რომელ საუკუნეში ვის ხელში იყო, ბოლო კი ამ წერილს რედაქციაში გაუკეთეს ცალკე და დაბეჭდეს. მე მგონია, ის გარემოება, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ ერთობის თანამშრომელი, რომ ამ წერილს არ აწერია ჩემი სახელი და გვარი, სრულებით მხსნის პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, სტილის მიხედვით შეატყობთ, რომ წერილის მთავარი ნაწილი დაწერილი არის ისტორიკოსის მიერ, რომელსაც მოჰყავს პირუთვნელი ცნობები თბილისის შესახებ, ბოლო კი არის მიმატებული სულ სხვა სტილით, გაზეთის სტილით. ასეთია, მაშასადამე, ისტორია ამ წერილისა.

(*ვ. ჯანელიძე*: ბოლო იყო მიწერილი, მაგრამ ეს ხომ თქვენი დაწერილია) (*კითხულობს*): „ბოლშევიკები ფეხს იკიდებდენ ყველაზე განუვითარებელ მხარეებში, რომ განსაკუთრებით მტკიცე ნდობით აღჭურვილი მთავრობა იყო საჭირო, რომ ეს მთავრობა იყო მენშევიკური მთავრობა, რომ ბოლშევიზმის საფრთხე ამის შემდეგაც არ მოსპობილა, ჩამორჩენილობა მათ საქმეს უადვილებდა“ და სხვა).

ს. კაკაბაძე: ეხლაც მოგახსენეთ და ხუთი წლის წინათაც ვთქვი, რომ ეს არის შეცთომა, მაგრამ ეს შეცთომა გავასწორე, დაბეჭდილი მაქვს დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ახალი გამართული ისტორია. ჩემს წარსულ მუშაობაში არ შეიძლება სხვანაირად ყოფილიყო იმიტომ, რომ ხანგრძლივი სტაჟი მაქვს და მჭონდა დიდი პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის შეცთომები. მარტო ის რათ ღირს, რომ ორჯერ ვიყავი იძულებული, გამომეცვალა შეხედულება ვეფხის ტყაოსნის შესახებ. მჭონდა დიდი შეცთომები დაშვებული კერძოთ ამ წიგნში, მეტის მეტად სამწუხარო და დიდი ამაევე დროს პოლიტიკური ხასიათის შეცთომები.

თავმჯდომარე: საბოლოო სიტყვა ეძლევა ამხ. *კ. ორაგველიძეს.*

ამხ. კ. ორაგველიძე (საბოლოო სიტყვა): ამხანაგებო, უკვე მეხუთე დღეა, რაც ჩვენ ვიხილავთ იმ საკითხებს, რომლებიც დაისვა ჩემი მოხსენების გარშემო და მასთან დაკავშირებით ეს დისკუსია უფრო მეტად ცხოველი იყო, ვიდრე ის დისკუსია, რომელიც საქართველოს ისტორიის კათედრის ხაზით იქნა მოწყობილი. აღნიშნულმა კათედრამ განიხილა საკითხი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ საქართველოში, მაგრამ ეს მოხდა შედარებით ძალიან ვიწრო წრეში. ეხლა კი ჩვენ საქმე გვაქვს მთელ ისტორიულ ფაკულტეტთან. ეს საკითხები გამოვიდა ვიწრო წრიდან და გახდა საკითხებად, რომელთა გარშემო მსჯელობაში მონაწილეობა მიიღო უკვე ოციოდე ამხანაგმა.

უნდა ითქვას, რომ მეტად სასიამოვნო მოვლენა არის ასეთი ცხოველი ინტერესი საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილი აღარ აქვს იმ ნიღილისტურ განწყობილებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში. მე მგონია, რომ ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ერთნაირი პროგრესი.

მეორე გარემოება, რომელიც მე მინდა აღვნიშნო, მდგომარეობს იმაში, რომ დისკუსიამ უეჭველათ მოგვცა თვითკრიტიკის გაშლა, რომელიც ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა და ძალიან გვჭირდება. აქ განხილული იყო მთელი რიგი ისტორიკოსების ნაშრომები. თვითკრიტიკა საქართველოს სამოქალაქო ისტორიის ფრონტზე სათანადოთ არ იყო გაშლილი. შეიძლება ზოგიერთი ამხანაგი არ დარჩა კმაყოფილი ამ თვითკრიტიკით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დიდი დადებითი მოვლენა არის საქართველოს ისტორიის ფრონტისათვის.

მე მინდა აქ თქვენი ყურადღება კიდევ მივაქციო პროფ. ჯავახიშვილის სკოლის და მასთან დამოკიდებულების საკითხს. შემთხვევითი რიგი იყო ის გარემოება, რომ მოხსენებაში მე ასეთი დიდი ადგილი დავუთმე პროფ. ჯავახიშვილის სკოლის ზოგიერთ დებულებების გარჩევას. პროფ. ჯავახიშვილის ნაშრომებს საქართველოს საისტორიო ლიტერატურაში, დღეს დღეობით, მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იმის გამო, რომ იქ ამდენი მიუღებელი აზრები არის განვითარებული, საჭირო იყო მეტი ყურადღების მიქცევა მათდამი. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აქ გამოვიდნენ ისეთი ამხანაგე-

ბი, რომლებმაც აშკარად განაცხადეს, რომ ისინი პროფ. ჯავახიშვილის სკოლის პოზიციებზე არ დგანან და შეეცადენ ამ პოზიციების გაკრიტიკებას. ეს დღებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან პროფ. ჯავახიშვილი ისეთ ისტორიკოსს წარმოადგენს ჩვენს პირობებში, რომლის შესახებ ძალიან ბევრნი, არა მარტო ახალგაზრდები, არამედ დიდებიც ვერ ბედავენ სიტყვის გაბედულათ თქმას იმიტომ, რომ ჯავახიშვილის მთელი ლიტერატურა და მისი მოძღვრება თავზე ზევიდან აწვათ და ფიქრობენ, რომ მის წინააღმდეგ გამოსვლამ შეიძლება მათ ზიანი მოუტანოს და ეს მიზანშეწონილი არ არისო.

რაში მდგომარეობდა ამოცანა ჩატარებული დისკუსიისა. ამოცანა არ მდგომარეობდა მარტო იმაში, რომ ვინმე გაგეკრიტიკებია და ამით დავკმაყოფილებულიყავით. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ საქართველოს ისტორიულ კვლევაძიების საქმე უნდა ავიყვანოთ გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე ეს ჩვენ გვქონდა უწინ. ამას პირდაპირ გვავალებს ის მითითებები, რომლებიც მოცემულია უმაღლეს ორგანოების დადგენილებებში და ამხ. სტალინის, კიროვის და ჟდანოვის გენიალურ შენიშვნებში. ეს გამომდინარეობს აგრეთვე ამხ. ბერიას მოხსენებიდან, რის შედეგათ საქართველოს ისტორიკოსებსაც დასკვნა უნდა გაეკეთებინათ თავისი მუშაობისათვის, უნდა მოეხდინათ გარდატეხა. საუბედუროთ, ეს ჯერ ჯეროვნად არ მოხდა და ჩამორჩენას აქვს ადგილი, გაცილებით უფრო მეტ ჩამორჩენას, ვიდრე რუსეთში.

ამოცანა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ეს ფრონტი გაცილებით წინ წავწიოთ და მაღალ დონეზე ავიყვანოთ საისტორიო კვლევა ძიების საქმე.

როგორ შეიძლება ეს მოხდეს?

ეს შესაძლებელია იმ პირობებში, თუ ჩვენ შევძლებთ არსებულ ანტიმარქსისტულ მიმდინარეობების დაძლევას. თუ ჩვენ ვერ დავძლიეთ ეს მიმდინარეობანი, ისე შეუძლებელია მაღალ საფეხურზე აყვანა ჩვენი საისტორიო მეცნიერებისა.

წარმოიდგინეთ მთის მწვერვალი, რომელზედაც უნდა ავიდეთ, იქ ასვლა ერთნაირ სიძნელეს წარმოადგენს. ჩვენი ისტორიკოსები (ძველები და ახლები) უნდა ზრუნავდენ იმაზე, რომ ამ მწვერვალს დაეუფლონ, მაგრამ თუ ამ ისტორიკოსებს ზურგზე აკიდებული აქვთ ძალიან დიდი ტვირთი ძველი შეხედულებების, რომელნიც მათ უკან მიაქანებს, ასეთ პირობებში ძალიან ძნელი იქნება ამ მწვერვალის დაუფლება.

სადაო არ უნდა იყოს, რომ თუ ეს მძიმე ტვირთი არსებობს, საჭირო არის მისგან განთავისუფლება ყველასათვის — იქნება ის ახალი თუ ძველი ისტორიკოსი. რამდენადაც უფრო ადრე მოხდება ეს და მალე განთავისუფლდება ცალკე ისტორიკოსი ამ ტვირთისაგან, მით უკეთესია ეს როგორც მათთვის, ისე ჩვენთვის და მთელი საქართველოს საისტორიო ფრონტისათვის, მით უფრო ადრე შეძლებთ ჩვენ ამ ისტორიის მწვერვალის დაუფლებას.

სამწუხაროთ, ამოცანა ჩვენი დისკუსიისა სათანადოთ ვერ იქნა გაგებული ზოგიერთ ამხანაგ ისტორიკოსების მიერ. ის თვითკრიტიკა, რომელიც აქ იქნა გაშლილი ჩვენს მიერ, ზოგმა გაიგო ისე, თითქოს ვისმე სპეციალურათ დამუშავება გვინდა და არ დაფასება იმ მუშაობისა, რომელიც მათ ჩატარებული აქვთ ისტორიის ფრონტზე წარსულში. ამიტომ ამ ამხანაგებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს პირადი ხასიათის ამბებს და შეურაცყოფილის გრძნობით გამოდიოდენ აქ და უფრო თავის დამსახურებაზე ლაპარაკობდენ, ვიდრე თავის შეცდომებზე.

მე არ შემიძლია აქ არ შევჩერდე პროფ. ნათაძის გამოსვლაზე. პროფ. ნათაძეს ყველა ჩვენგანი იცნობს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებზე მდგომს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობს ჩვენს უნივერსიტეტში, მუშაობდა ა/კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში, მუშაობდა და მუშაობს ეხლაც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში და სხვაგან. მისი დამსახურება უეჭველია. ჩვენ ისტორიკოსების კადრები არ გვყავდა და არც ეხლა გვყავს საკმაოთ. პროფ. ნათაძემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში.

მაგრამ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ამა თუ იმ ისტორიკოსის ცალკე შეცდომებზე, ეს არ უნდა იყოს გაგებული ისე,

რომ ვინმეს უნდა გააუქმოს მისი დამსახურება. არავის შეუძლია წაართვას არც პროფ. ნათაძეს, არც სხვებს ის დამსახურება, რომელიც მათ აქვთ, მაგრამ საქმე იმაში ხომ არ არის, რომ თვითეულმა ჩვენგანმა ილაპარაკოს თავის თავის დამსახურებაზე. ლაპარაკი არის იმ მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლებაზე, რომელიც მეტათ თუ ნაკლებათ აწევთ ზურგზე ცალკე ისტორიკოსებს, შეიძლება ხშირად შეუგნებლათ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შეგნებულადაც.

პროფ. ნათაძეს მისი კონცეპციის შინაარსის მხრივ მე არ შევხებივარ. მე ეს არ დამისახავს მიზნათ. მე არ მითქვამს არც ის, რომ პროფ. ნათაძე ემხრობა პროფ. ჯავახიშვილს და ანვითარებს მის შეხედულებებს. ეს საკითხი მე არ დამისვამს. მე მხოლოდ მაინტერესებდა გამომჟღავნება ცალკე ისტორიკოსების დამოკიდებულებისა პროფ. ჯავახიშვილისადმი. პროფ. ნათაძე მე მოვიყვანე, როგორც ერთი ტიპური მაგალითი. არის თუ არა სწორი ჩემი დებულება პროფ. ნათაძის შესახებ, რომ მის მიერ მოცემული შეფასება პროფ. ჯავახიშვილისა არ არის სწორი შეფასება, არ არის ისეთი შეფასება, რომელიც საჭიროა ისეთი პროფესორის მხრივ, რომელიც თავის თავს სთვლის მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე მდგომათ.

პროფ. ნათაძემ ჩემი გამოსვლა გაიგო იმნაირათ, რომ ის არ აკრიტიკებდა ჯავახიშვილს თავის ნაწარმოებებში. მე იმის თქმა არ მინდოდა, რომ ის არ აკრიტიკებდა ჯავახიშვილს. საქმე ამაში კი არ არის, არამედ იმაში, თუ როგორია ეს კრიტიკა. კრიტიკაც არის და კრიტიკაც. ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ ერთი რომელიმე ბურჟუაზიული პროფესორი აკრიტიკებდეს მეორე ბურჟუაზიულ პროფესორს. ასეთი რამ ყოფილა ისტორიაში. ბურჟუაზიულ ისტორიულ ლიტერატურაში არის სხვა და სხვა მიმდინარეობანი, რომელთა შორისაც იყო ბრძოლა და კრიტიკა. საქმე იმაშია, როგორი პოზიციებიდან ხდება კრიტიკა, რამდენად არის მარქსისტულ-ლენინური ის პოზიციები, რომლებზედაც ვითომ დგას პროფ. ნათაძე. აი, იმის შესახებ იყო ჩემს მოხსენებაში ლაპარაკი. პროფ. ნათაძე არ შეეხო იმ ციტატებს, რომელიც მოყვანილი იყო ჩემს მოხსენებაში მისი წიგნიდან. ის ამბობდა, რომ მე გავაკრიტიკე ჯავახიშვილი, მხოლოდ ტონი არ იყო მწვავეო და თუ გინდათ ამისათვის გამასამართლეთო. მან თვით კრიტიკა ისე გაიგო, როგორც გასამართლება.

თუ ჩვენ სრულებით არ ვილაპარაკებთ პროფ. ნათაძის კრიტიკის ტონზე, უნდა ვთქვათ, რომ მიუღებელი არის, პირველ რიგში, სწორეთ შინაარსი და ის პოზიციები, რომლებიდანაც აკრიტიკებს პროფ. ნათაძე ჯავახიშვილს. აქედან, ამ შინაარსიდან გამომდინარეობს ტონიც. თუ დამტკიცდება, რომ არა მარქსისტულია ჯავახიშვილის კონცეპცია, ტონიც ამას უნდა შეეფერებოდეს. თუ მას აქვს ნაციონალისტური მიმართულება, ამას თავისი სახელი უნდა დაერქვას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ პროფ. ნათაძის ტონს შეეფერება შინაარსიც, არც ტონი არის მისაღები და არც პოზიციები, რომლებზედაც დგას პროფ. ნათაძე პროფ. ჯავახიშვილის მიმართ.

პროფ. ნათაძემ უნდა გადაბედოს თავის მეთოდოლოგიას, მას ძალიან ბევრი რამეს გადაფასება დასჭირდება, რომ განთავისუფლდეს მიუღებელ შეხედულებებისაგან. რამდენადაც ის ადრე გამოასწორებს თავის შეცდომებს, ეს მით უკეთესია.

ეხლა მეორე საკითხი. პროფ. ნათაძემ განაცხადა: მე ჩემს წიგნში აღვნიშნე, რომ პროფ. ჯავახიშვილმა მოგვცა ბევრი ფაქტები, რომ დიდი დამსახურება მიუძღვის მას და ეხლა თქვენ იმას იმეორებთო, რაც ბევრჯერ იყო ჩემს მიერ ნათქვამიო. არ იქნება სწორი ისე წარმოვიდგინოთ საქმე, რომ პროფ. ჯავახიშვილმა მოგვცა ფაქტები და ეხლა ამ ფაქტებით შეგვეძლიან ვისარგებლოთ პირდაპირ. როგორ ახდენს მკვლევარი ფაქტების შეგროვებას, ფაქტების სისტემატიზაციას? ეს ხდება განსაზღვრულ მეთოდოლოგიის საფუძველზე. მკვლევარი, რომელიც უდგება ფაქტების ძებნას, შეიარაღებული არის განსაზღვრული მეთოდოლოგიით და ამ ნიადაგზე აწარმოებს კვლევა-ძიებას. ამიტომ ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ როგორ არის დალაგებული ეს ფაქტები. ამ დალაგებასაც ჩვენ კრიტიკულად უნდა შევეხოთ.

ამხ. ჯანაშიამ აქ განაცხადა, რომ ჯავახიშვილის ფაქტებს ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ახალი ფაქტებიო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მარტო ფაქტებთან ფაქტების დაპირისპირებით არ შეიძლება საკითხი გადაწყდეს. ხომ შეიძლება აღმოჩნდეს მეორე ბურჟუაზიული ისტორიკოსი, რომელსაც შეუძლია ახალი ფაქტები დაუპირისპიროს ჯავახიშვილის მიერ მოტანილ ფაქტებს.

აქ საჭიროა გაცილებით მეტი. ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ჯავახიშვილის კონცეპციას ფაქტები, რომლებიც გაშუქებულია განსაზღვრულ მეთოდოლოგიის საფუძველზე. თვითონ ჯავახიშვილს აქვს საკუთარი კონცეპცია და როდესაც თქვენ მას მარტო ახალ ფაქტებს უპირისპირებთ, ეს საკმაო არ იქნება. უნდა იყოს მოცემული ამ ფაქტების მარქსისტულ-ლენინური გაშუქება. ამიტომ ვამბობ, რომ ჯავახიშვილის კრიტიკის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მეთოდოლოგიური ხასიათის კრიტიკასაც.

რა თქმა უნდა, საჭირო არის ახალი ფაქტები იქნეს მოტანილი, მაგრამ ყველა ეს ფაქტები, შეეხება ისინი რელიგიას, ზნეობრივ მხარეებს, ყოფაცხოვრებას, თავადების და აზნაურების ცხოვრებას თუ სხვას, ყველა ეს ფაქტები უნდა იქნეს გაშუქებული მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე

როდესაც მეთოდოლოგიაზე ვლაპარაკობთ, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მეთოდოლოგიით ამოიწურება ისტორია. არა, ის უნდა იყოს კომპასი, რომელიც წარუმართავს გზას ისტორიკოსს კვლევაძიების საქმეში. უფაქტებოთ არ შეუძლია იმუშაოს ისტორიკოსმა, მაგრამ თუ ის ცურავს ამ ფაქტებში და თუ მას არა აქვს ეს კომპასი მარქსისტულ-ლენინური მეთოდის სახით, მას გაუძნელდება კლასობრივ პოზიციებიდან გააშუქოს ისტორიული ფაქტები. რომელი ფაქტიც არ უნდა ავიღოთ, ცხადია, რომ ის სინამდვილის ნაკვეთი არის, მაგრამ საქმე იმაშია, როგორ უნდა შეხედოს მას ისტორიკოსმა.

ავიღოთ, მაგალითად, ტერმინოლოგიური ფაქტები, ტერმინები: „შეწყალებული ყმა", „ნებიერი ყმა" და სხვა. აქ შეიძლება დავსვათ საკითხი, საიდან შეიძლება წარმოშობილიყო, ვთქვათ, ტერმინი „შეწყალებული ყმა", ვისი გამოგონილია ის? თვითონ ყმების მიერ? მე მგონია, არა. ამას კლასობრივი საფუძველი აქვს და აქაც საჭირო არის კლასობრივი მიდგომა, ამ ფაქტების გაშუქება კლასობრივი თვალსაზრისით, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ისტორია გამოვიდეს ისეთი, როგორიც ის სინამდვილეში იყო. საქმე იმაშია, რომ ეს ისტორიული სიმართლე და ობიექტივობა არ გააჩნია ბურჟუაზიულ ისტორიულ სკოლას და კერძოთ, პროფ. ჯავახიშვილის სკოლას. ჩვენ კი, მარქსისტულ პოზიციებზე მდგომთ გვინდა, რომ ისტორიული მოვლენები გაშუქდეს კლასობრივი თვალსაზრისით, მატერიალისტურ-დიალექტიკური თვალსაზრისით.

შემდეგ ამხ. ბერძენიშვილის გამოსვლა. მე არ შემიძლია არ მივესალმო ამხ. ბერძენიშვილის გამოსვლას. მისი გამოსვლა წარმოადგენს ნაბიჯს წინ. შეიძლება ნაწერები მას მცირე ჰქონდეს, როგორც კაკაბაძე ამბობდა, მაგრამ, მე მგონია, ბერძენიშვილმა საკუთარი განვითარების თვალსაზრისით, იმასთან შედარებით, თუ რა პოზიციებზე იდგა უწინ, უსათუოდ ნაბიჯი გადადგა წინ. მაგალითად, მართალია თუ არა მისი განცხადება, რომ კლასობრივი ბრძოლის ისტორიკოსი ჩვენ არ გვყავდა? სავსებით მართალია. ან კოდევ, ვის აქვს აწერილი, რომ გლეხები ებრძოდნენ ბატონებს? არავის.

მე ვფიქრობ, რომ თუ ასეთი შეხედულებით მიუდგება ამხ. ბერძენიშვილი საკითხებს თავის მუშაობის პროცესში, მას შეუძლია დიდი ნაყოფი ექმნეს. ამ განცხადებას უთუოდ რეალიზაცია უნდა. ამ განცხადებას უნდა მოჰყვეს საქმე, ძალიან ძნელი საქმე, მაგრამ თუ ის ამნაირ ხაზს გაჰყვება, უეჭველად დიდ შედეგებს მიაღწევს.

ეხლა ნება მომეცით, გადავიდე ამხ. ჯანაშიას გამოსვლაზე. თავის გამოსვლაში მან ვერ შეაფასა ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური კრიტიკის საჭიროება და სიმძიმის ცენტრი ფაქტებთან ახალი ფაქტების დაპირდაპირებაში გადაიტანა. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიაზეც ამხ. ჯანაშიას არ აქვს სწორი წარმოდგენა. მას ჯავახიშვილის მსოფლმხედველობაში მთავარათ მიაჩნია ნაციონალიზმი. ნაციონალიზმი რომ არის, ეს უეჭველია, მაგრამ ვთქვათ, რომ ჯავახიშვილი არ ყოფილიყო ნაციო-

ნალისტურ პოზიციებზედ მდგომი, მისი სუბიექტივისტურ-იდეალისტური პოზიციები ხომ მაინც დარჩებოდა. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია ჯანაშიამ უნდა მოიმარჯვეს არა მარტო ჯავახიშვილის ნაციონალიზმის წინააღმდეგ, გაკრიტიკებული უნდა იქნეს სუბიექტივისტურ იდეალისტური კონცეპცია, რომელიც მოცემულია ჯავახიშვილის ნაშრომებში. აი, ამისათვის უნდა მიექცია ამხ. ჯანაშიას სერიოზული ყურადღება, რადგან მასზე შენდება ნაციონალიზმიც.

შემდეგი საკითხი, რომელმაც გამოიწვია ცხოველი კამათი, ეს არის საკითხი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. აქ იყო ხმარებული ასეთი გამოთქმები: ჯანაშიას თეორია, სოსელიას თეორია და ამ თეორიებს შორის ბრძოლა. გამოდის, რომ ჩვენ უნდა მივემხროთ ერთ რომელიმე შეხედულებას, ან სოსელიასი, ან ჯანაშიასი. მე მგონია, რომ საკითხის ამნაირი დაყენება არ არის სწორი, რომ თითქოს აქ ჩვენ გვაქვს ერთის მხრივ ჯანაშიას თეორია და, მეორე მხრივ, სოსელიას თეორია. მე მგონია, ასეთი გამოთქმები არ უნდა ვიხმაროთ თეორიების არსებობის შესახებ. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა ამ თეორიებზე, არამედ იმაზე, რომ არსებობს მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომლის ნიადაგზე უნდა გადაეწყვიტოთ ცალკე საკითხები.

ეხლა ნება მომეცით, მოხსენებაში გამოთქმულ შეხედულებებს დავუმატო კიდევ ზოგიერთი მომენტები.

როდესაც ჩვენ კლასობრივ საზოგადოებაზე ვლაპარაკობთ, მოცემული უნდა გვქონდეს განსაზღვრული ეკონომიური ფორმაცია. სხვანაირად წარმოუდგენელია კლასობრივი საზოგადოება. ჩვენ ვიცით შემდეგი, ექსპლოატაციაზე დამყარებული ფორმაციები: მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალისტური საზოგადოება. ისმება საკითხი: ამ სამი კლასობრივი საზოგადოებიდან რომელი უნდა არსებულიყო სტრაბონის დროის იბერიაში? რა თქმა უნდა, სტრაბონის დროინდელ იბერიაში არ შეიძლება ლაპარაკი კაპიტალისტურ ფორმაციაზე, შეიძლება ვილაპარაკოთ ან მონათმფლობელობაზე ან ფეოდალიზმზე, მაგრამ ამხ. ჯანაშია არც იმას ამბობს, რომ მონათმფლობელობა იყო გაბატონებული, არც იმას, რომ ფეოდალიზმი იყო. მაშასადამე, რა საბუთით შეიძლება ვთქვათ, რომ კლასობრივი საზოგადოება იყო სტრაბონისდროის იბერიაში.

ერთად ერთი წყარო, რომლის სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია ხდება, არის სტრაბონის ცნობა. მე მოვიყვანე ჩემს მოხსენებაში სტრაბონის ცნობა ამხ. ჯანაშიას თარგმანით. სწორია ის დებულება, რომ ამ ცნობის თარგმანი ძალიან დამახინჯებული ფორმით არის მოცემული რუსულადაც და ქართულადაც. ბერძნულ სიტყვას „გენეს" ზოგი სითარგმნის წოდებათ, ზოგი კლასად. ასეთი თარგმანი ყოველად მიუღებელია.

სტრაბონის ცნობით, მაშასადამე, იბერიაში ყოფილა ოთხგვარი ხალხი. პირველი და მეორე ჯგუფი — მეფე და ჭურუმები, ხოლო მესამე ჯგუფი — მიწათმომქმედნი და მეოთხე ჯგუფი — ლაოები, მდაბიო ხალხისაგან შემდგარი. კლასობრივი თვალსაზრისით თუ მივუდგებით, ეს მესამე და მეოთხე ჯგუფი შეიძლება წარმოვიდგინოთ დაჩაგრულებათ, ხოლო მეფე და ჭურუმები, ე. ი. პირველი და მეორე ჯგუფი წარმოვიდგინოთ, როგორც გაბატონებული კლასი. თუ კლასობრივი საზოგადოება არსებობდა, მაშასადამე, უნდა ყოფილიყო ორი ძირითადი მოწინააღმდეგე კლასი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მონათმფლობელობა იქ არ არსებობს, ჯანაშიას აზრით, როგორც გაბატონებული წესი. რომ ვიგულისხმოთ მესამე და მეოთხე კატეგორია, ე. ი. მიწათმომქმედნი და ლაოები, დაჩაგრულ კლასად, ხოლო პირველი და მეორე ჯგუფი გაბატონებულ კლასად, უნდა რაიმე საფუძველი იყოს, რომ ჩავთვალოთ პირველნი დაჩაგრულ კლასად, ხოლო მეორენი გაბატონებულ კლასად, მაგრამ ასეთი საფუძველი არ არის მონახული.

როგორია ფორმა საკუთრებისა? ჯანაშია არ ლაპარაკობს, გააჩნდათ თუ არა მეფეებს და ჭურუმებს კერძო საკუთრება. თვით მის მიერ თარგმნილ სტრაბონის ცნობაში ნათქვამია, რომ ჭონება მათი საერთოა, ე. ი. საკუთრება ყოფილა საერთო საგვარეულოსი, რომ ცალკე ყოფილა საკუთრება მეფისა და ჭურუმებისა, მე

ვფიქრობ, ეს იქნებოდა აღნიშნული ამ ცნობაში. ამით მე სრულებით არ მინდა იმის მტკიცება, რომ აქ ჩვენ გვაქვს ნამდვილი გვაროვნული წყობილება, მაგრამ სტრაბონის ცნობაზე დამყარებით არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ მაშინ გვქონდა კლასობრივი საზოგადოება. ეს დებულება არ არის დასაბუთებული.

რა თქმა უნდა, მარქსიზმ-ლენინიზმი არ დაირღვევა იმით, თუ დამტკიცდება, რომ პირველ საუკუნეში არ არსებობდა იბერიაში საგვარეულო წყობილება, რომ იგი არსებობდა ერთი ორი საუკუნის წინ. საქმე იმაში კი არ არის, ისტორიული დატა შეიძლება ერთი ან ორი საუკუნით წინ იყოს, ან შემდეგ. საქმე იმაშია, თუ როგორ უნდა შევაფასოთ ის ფაქტი, რომელიც მოცემული არის სტრაბონის ცნობაში. ეს ცნობა არ იძლევა სრულებით საბუთს იმისათვის, რომ მაშინ იბერიაში არსებობდა კლასობრივი საზოგადოება.

აქ იყო ლაპარაკი კოლხური თეთრის (ფულის) არსებობაზე. საერთოდ ფულის არსებობა ნიშნავს იმას, რომ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა არის გაერცელებული და ეს უკვე მომასწავლებელია სახელმწიფოს არსებობისა.

ენგელსი გვეუბნება, რომ სადაც ფული ტრიალებს, იქ აღარ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ გვაროვნული წყობილების არსებობაზე. ამხ. ჯანაშიას მოჰყავს საბუთად (სტრაბონის ცნობაში ეს არ არის) ცნობა სხვა წყაროებიდან, რომ კოლხეთში არსებობდა ფული (უჩვენებს აუდიტორიას მონეტას). აი, ამ პატარა ფულით ამხ. ჯანაშიას უნდა დაამტკიცოს სახელმწიფოს არსებობა იბერიაში და კოლხეთში. ამ პატარა ფულზე სრულებით არაფერი არ სწერია. აქ ერთის მხრივ გამოყვანილი არის ღვთაების სახე (ნამდვილად არ ვიცი, რა არის, სპეციალისტი არა ვარ), მეორე მხარეზე კი გამოყვანილია ხარის თავი. ამბობენ, ეს ფული კოლხეთში ტრიალებდაო, მაგრამ თუ ეს ფული ტრიალებდა კოლხეთში, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ იბერიაშიც იყო იგი. თუ ეს დადასტურდა, ეს იქნება სერიოზული საბუთი ჯანაშიას ხელში. მაგრამ, მე მგონია, რომ ამ საკითხში ჩვენ ძალიან დიდ ეჭვები უნდა შევიტანოთ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ჩვენთვის ცნობილია, რომ ბერძნებს თავისი კოლონიები ჰქონდათ მცირე აზიაში და შავი ზღვის ნაპირებზე, მათ ჰქონდათ აღებ-მიცემობა და მუდმივი კავშირი ამ კოლონიებთან და რატომ არ შეიძლება დაეშვათ, რომ ამ კოლონიებს ჰქონდათ ფული ან და, რომ იქ ბერძნული ფული ტრიალებდა. ასე რომ, კოლხური ფულის შესახებ საკითხი არ არის გამორკვეული, არ შეიძლება ჯერ დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ კოლხური თეთრი არის მართლა ქართული ფული, აღმოცენებული ქართული ვაჭრობის განვითარების ნიადაგზე.

მე სრულებით არ მინდა იმის თქმა, რომ ისტორიულ კვლევა-ძიებას არ შეუძლიან გამოამეღავნოს რაიმე ახალი ფაქტები, რომლითაც სტრაბონის ცნობა შეიძლება ნაწილობრივ სხვანაირად იქნეს გაგებული, მაგრამ ახლა ვლაპარაკობთ არა ახალი შესაძლებელი ფაქტების აღმოჩენაზე, არამედ იმ ფაქტებზე, რომლებიც გვაქვს დღესდღეობით.

შეიძლება თუ არა ამ ფაქტებით ვიგულისხმოთ მაშინდელ იბერიაში კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს არსებობა? მე ვფიქრობ, არ შეიძლება.

აქ იყო კიდევ გამოსვლა ამხ. ს. კაკაბაძის. უნდა მოგახსენოთ, რომ მისი გამოსვლა, არც პირველი და არც მეორე, არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მას შეეძლო უკეთესად გამოსულიყო, მას შეეძლო შეხებოდა პრინციპიალურ საკითხებს და ამაზე თავისი აზრი მოეცა. მაგრამ ძალიან ხშირად (მარტო აქ არა) მას ლაპარაკი აქვს მუდამ იმაზე, რომ მას სდევნიან, რომ მას არც წიგნს უბეჭდავენ, არც სტატიებს და არც ლაპარაკის საშუალებას აძლევენ. ეს, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ცილისწამება არის და სიმართლეს სრულებით არ შეეფერება.

ერთი, რომ სრულებით არ არის საჭიროებულო, რომ აუცილებლად დაიბეჭდოს ყოველი ნაწარმოები, იქნება ეს კაკაბაძის, ჯავახიშვილის თუ ჯანაშიასი. შეიძლება რომელიმე ნაწარმოები მართლაც არ იქნეს დაბეჭდილი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია წარმოდგენილი ნაშრომი, დამოკიდებულია იმაზე, შეუძლია თუ არა მას სარგებლობა მოუტანოს მკითხველს და მოსწავლე ახალგაზრდობას. მთელი რიგი რეცენზიები, რომლებიც იყო მოცემული კაკაბაძის სახელმძღვანელოს შესახებ, გვეუბნება, რომ ეს სახელმძღვანელო არ არის მისაღები

და დასაბეჭდი. ამიტომ უმჯობესი იყო, რომ ამხ. კაკაბაძეს ამ დღესაზე და თავის თავზე ლაპარაკისათვის არ მოენდომებია დრო, არამედ შეხებოდა თავის შეცდომების სისტემას და მიუღებელ მსოფლმხედველობას, რომელიც მას გატარებული ჰქონდა მთელ რიგ ნაშრომებში. შემდეგ ის ლაპარაკობდა, რომ უწინ პორაჟენცულ პოზიციებზე ვიდექი ომის საკითხშიო. რათ არის საჭირო ასეთ ფერებში თავის თავზე ლაპარაკი მაშინ, როდესაც მის მიერ მოცემული იყო მიუღებელი მსოფლმხედველობა. კაკაბაძემ სთქვა, რომ მე შეცდომები ვაღიარეო. შეიძლება ეს სადმე ზეპირად ითქვა, მაგრამ არსად არ არის დაბეჭდილი. კაკაბაძის მიერ გამოცემული წიგნი არის დოკუმენტი, ამას ყურადღება უნდა მიექცეს და სადმე ითქვას, რომ ამ სისტემას თქვენ ჰგმობთ და რომ ეხლა სულ სხვანაირ პოზიციებზე დგებართ.

ჩვენ უნდა გადავიდეთ ახალ ეტაპზე, უნდა დავსწეროთ მარქსისტულ-ლენინური სახელმძღვანელო. ისეთ პირობებში, როდესაც არ არის სათანადო ტრადიცია, როდესაც ფაქტები დაგროვილი არ არის, როდესაც არ არის გამოცემული მონოგრაფიები, დოკუმენტები, ისტ. ძეგლები და სხვა, რა თქმა უნდა, ერთნაირ სიძნელეს წარმოადგენს მუშაობა სახელმძღვანელოზე, მაგრამ ჩვენ ეს სიძნელე უნდა დავსძლიოთ. ამ მხრივ ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა ბოლო ხანებში, რასაც არ შეიძლება არ მივესალმოთ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მაისში გვექნება საქ. ისტორიის კონსპექტი. შეცდომები, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი არის, ასეთი მუშაობის დროს ეს შეცდომები გაკრიტიკებული უნდა იქნეს. იქ, სადაც თვითკრიტიკა არ არის, იქ სადაც ჭაობია, იქ არ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ, რომ ისტორიული კვლევა-ძიება სერიოზულ შედეგებს მოგვცემს.

არის შემთხვევები, როდესაც ჩვენს ისტორიკოსებს შორის არ სწარმოებს პრინციპიალური ბრძოლა და თვითკრიტიკა, არამედ ადგილი აქვს ინტრიგებს. ასეთი მდგომარეობა გადაჭრით უნდა იქნეს დაგმობილი. ჩვენ გვესაჭიროება გაერთიანება ისედაც მცირე ძალებისა მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე, სხვანაირი შეერთება ჩვენ არა გვწამს.

ეხლა ორიოდე სიტყვა კიდევ იმის შესახებ, რომ აქ ცალკე პროვოკაციულ ხმებს ჰქონდა ადგილი, რასაც არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს. ზოგს ჩვენი კრიტიკა იმნაირად ესმის, რომ დღეს მოსცხეს ჯავახიშვილს, კაკაბაძეს ან სხვებს, ხვალ და ზეგ მათ მოხსნიან, დასამარებენ და სხვა ასეთი. ვინც ამას ლაპარაკობს, ის პროვოკაციას აწყობს. ძალიან არა სერიოზული ვიქნებოდით ჩვენ, რომ ასეთი პოლიტიკა ოდესმე ყოფილიყო გატარებული, რომ ვინმე ყოფილიყო გაკრიტიკებული და ხვალ მოეხსნათ. ასეთი პოლიტიკა არც ყოფილა ჩვენს ისტორიაში, არც არის და არც იქნება. აქ იყო კრიტიკა პროფ. ჯავახიშვილის მიმართულებისა, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ ჯავახიშვილი იქნება განდევნილი უნივერსიტეტიდან, რომ ამას ეფიქრობთ ჩვენ და იმიტომ არის ეს დისპუტი მოწყობილი, ეს არის წმინდა წყლის პროვოკაცია.

რა ამოცანა დავისახეთ ჩვენ, ამხანაგებო?

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო შეფასება მიეცეს იმ სკოლას და მიმართულებას, რომელიც ანტიმარქსისტული და ანტილენინური არის. ჩვენ ვზრდით სოციალისტური სამშობლოს ახალგაზრდობას და არ შეიძლება ამ საქმეს არა სერიოზულად და უპასუხისმგებლოთ მოვეპყრათ.

მთელი ის მუშაობა, რომელიც ჩვენ აქ ჩავატარეთ, უდიდესი ღირებულების არის. ამოცანა მდგომარეობს დაშვებული შეცდომების გამოსწორებაში და ანტიმარქსისტულ კონცეპციების დაგმობაში. ჩვენ ამას არ ვმალავთ, მაგრამ ამას სრულებით არ მოჰყვება ის ღონისძიებები, რომელზედაც ზოგიერთები ფიქრობენ. რა თქმა უნდა, ჩვენ ვეგეტარიანელები არა ვართ და მივმართავთ ცალკე პროფესორების ან მასწავლებლების მოხსნასაც, თუ კი ამას საჭიროდ დავინახავთ პროლეტარული ახალგაზრდობის აღზრდის თვალსაზრისით. თუ ვინმემ მოისურვა ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის აღზრდა ანტიმარქსისტულად, ნაციონალისტურად, იდეალისტურად, რა თქმა უნდა, მაშინ ვიტყვით, რომ ჩვენ ვეგეტარიანელები არა ვართ და ხანდახან, ფიგურალურად რომ ვთქვათ, სისხლის დაღვრასაც არ მოვერიდებით.

ნამდვილი მეცნიერების მედროშე არის პროლეტარიატი და მისი პარტია. ავიღოთ ის მითითებები ისტორიის დარგში, რომლებიც მოცემული გვაქვს ჩვენი პარტიის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის მიერ. ვის შეუძლიან სთქვას, რომ ამ მითითებებში ჩვენ არა გვაქვს მოცემული ის გენიალური რამ, რაც საფუძვლად უნდა დაედვას მთელს ჩვენს მუშაობას ისტორიის დარგში. ვის შეუძლიან სთქვას, რომ აქ არ არის მოცემული ახალი სიტყვა ისტორიის დარგში. ფაქტია ის, რომ ჩვენი პარტია და მისი გენიალური ხელმძღვანელი ამხ. სტალინი არის ნამდვილი ბელადი ამ მეცნიერების დარგში და წინ მიუძღვის მას.

ავიღოთ ისეთი საკითხი, როგორიც არის ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები საქართველოში და ამიერ-კავკასიაში. მთელი საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივობისათვის ცნობილი არის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ამხ. ბერიას მოხსენებისა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ. ფალსიფიცირებული ისტორია განადგურებულია და მოცემულ იქნა ნამდვილი მეცნიერული ისტორია. აქაც მეღავნდება ის, რომ ჩვენი პარტია, მისი ხელმძღვანელები არიან მედროშეები ნამდვილი მეცნიერული მოძრაობისა საერთოდ და კერძოთ იმ უდიდესი მნიშვნელობის ფრონტზე, როგორიც არის ისტორია.

ამხ. სტალინი არის სული და გული, ტვინი ჩვენი მეცნიერული პროგრესისა. მისი სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე მუშაობა, ამხ. ბერიას მოხსენების საფუძველზე მუშაობა ჩვენი ისტორიკოსების მხრივ, თვით ამხ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობა და აქტიური დახმარება უტყუარი თავდებია იმისა, რომ საქართველოს ისტორიის ფრონტს მართლაც ავიყვანთ უფრო მაღალ საფეხურზე და რომ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი დროშა ამაყად იფრიალებს საქართველოს ისტორიის მეცნიერების მწვერვალებზედაც (*ბანგრძლივი ტაში*).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, ამით გამთავრებთ კამათს ამხ. ორაგველიძის მოხსენების გარშემო. არის წინადადება, მიენდოს ფაკულტეტს მოხსენების საფუძველზე და აგრეთვე კამათში გამოთქმულ აზრების საფუძველზე გამოიმუშაოს ღონისძიებები და გადასცეს უნივერსიტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომას დახურულად ვაცხადებთ.

სტენოგრაფი გრ. ... (გვარი არაა მინიშნებული — მ. ვ., ე. გ.)

პროფ. ს. კაკაბაძის წერილობითი განცხადება

გთხოვთ, ისტორიული ფრონტის შესახებ დისკუსიის სტენოგრამას დაურთოთ შემდეგი ჩემი განცხადება.

1. ორ აპრილს კრებაზე მე დამაგვიანდა 1 საათით (გაკვეთილზე ვიყავი) და ამიტომ არ მომისმენია ამხ. დღვილავას სიტყვა, რომელშიდაც ის შეხებია ჩემს 1920 წ. გამოცემულს საქართველოს ისტორიის წიგნს. მე ეს რომ მცოდნოდა, ჩემს სიტყვას სწორეთ ამ 1920 წ. გამოცემულ წიგნში დაშვებული შეცთომების აღნიშვნით დავიწყებდი.

2. ხსენებული 1920 წ. გამოცემულ წიგნში ჩემ მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცთომები და ფაქტიური დამახინჯებანი წინა რევოლიუციონური და მენშევიკური ხანის შესახებ მე საჯაროთ ვაღიარე და დავგმე, სხვათაშორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც 1930 წ. და 1932 წ. ისტორიული ფრონტის შესახებ გამართულ დისკუსიებზე და ეხლა კიდევ მიმდინარე დისკუსიის დროს. ეს გარემოებანი და უფრო კიდეე მთელი ამ 15 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩემ მიერ წარმოებუ-

ლი მუშაობის ხაზი სრულებით საკმარისი უნდა ყოფილიყო ხსენებულ განცხადებათა როგორც გულწრფელის ალიარებისათვის.

საჭიროდ ვსთვლი, ამასთანავე, აღვნიშნო, რომ საქართველოს ისტორიის 1920 წ. გამოცემაში დაშვებულ უხეშ პოლიტიკურ შეცთომათა ჩემ მიერ უარყოფის და დაგმობის შესახებ მე 5 მაისს სათანადო განცხადება გადაეცი გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას.

7/V-36 წ.
კაკაბაძე სარგის

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, აღწერა 19, საქმე 4, ფურცლები 1-160.

დ ა ნ ა რ თ ი

1. ფილიპე მახარაძის ნაშრომიდან „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ (1904 წ.)

III. „სურამის ციხე“

ჩვენში რომ ვისმეს კითხოთ: რომელი წიგნია ხალხში უფრო გავრცელებულიო? — უეჭველია პასუხს მიიღებთ, რომ „ვეფხის-ტყაოსანიო“. მართალია, რომელიმე წიგნის გავრცელება მის შინაგან ღირსებას სრულებით არ ამტკიცებს, მაგრამ ამ გარემოებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ დროს მართლაც „ვეფხის-ტყაოსანი“ დიდათ გავრცელებული იყო ჩვენში და თუ მივიღებთ მხედველობაში მის ხშირ გამოცემას ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ეს პოემა დღესაც საკმარისათ გავრცელებული უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ მაინც იმ აზრის ვართ, რომ დღევანდელი მშრომელი ხალხი, ე. ი. რომელსაც დაბალი ხალხი ეწოდება თანამედროვე ენაზე, „ვეფხის-ტყაოსანს“ ნაკლებათ ეტანება, და რაც დრო მიდის, მისი ინტერესი კიდევ უფრო კლებულობს. „ვეფხის-ტყაოსანს“ უფრო ეტანება და გასაგები აქვს საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც დაჩვეულია უსაქმობას და რომელსაც მოსწონს აღმოსავლეთის რაინდული ცხოვრება. თუ ოდესმე ხსენებული პოემა, როგორც ზღაპრული მოთხრობა, იპყრობდა ხალხის ყურადღებას, დღეს ეს სრულებით აღარ ითქმის. შოთა რუსთაველის მეტათ მდიდარი ფანტაზია, გარმონიული ლექსი, სიტყვების და ანდაზების დაუშრეტელი წყარო, ეს გარეგანი ღირსებანი დიდხანს ხიბლავდენ მკითხველის თუ მსმენელის გრძნობას და გონებას. დღევანდელი ცხოვრების პირობები კი სულ სხვანაირია: ცხოვრება რთულდება და ხალხში ისეთი მოთხოვნილებები ჩნდება, რომლებიც წინათ სრულებით არ არსებობდენ, ამასთანავე, ძველი წარმოდგენები და შეხედულებები სამუდამოთ ქრებიან. დღეს მკითხველი წიგნში ეძებს აზრს, მიმართულებას და პასუხს ათასგვარ „დაწყვეტილ“ კითხვებზე, რომლებსაც მას წინ უყენებს ყოველ-დღიური ჭაპან-წყვეტა. აშკარაა, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ მას დღეს ვეღარ უშველის, იქ გამოხატული და დასურათებული გმირები დღევანდელი მკითხველისთვის სრულებით გაუგებარი და უსარგებლოა; მას ესაჭიროება თანამედროვე ცხოვრების ახსნა და განმარტება, თანამედროვე ცხოვრების დახატვა, ჩვენი დროის გმირების გაცნობა. მხოლოთ ის წიგნი, ის ლიტერატურული ნაწარმოები მიიპყრობს დღეს ხალხის ყურადღებას, რომელიც დააკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნილებათ.

სამწუხაროთ ჩვენდა უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი მწერლობა მეტათ ღარიბია ასეთი წიგნებით. მაგრამ არც ის ითქმის, რომ სრულებით არ მოგვეპოებოდეს რა. დ. ჭონქაძის „სურამის ციხით“ იწყება ჩვენში თანამედროვე სახალხო წიგნების ხანა. ეს ერთად ერთი მოთხრობაა, რომელმაც პირველათ გაიკვალა გზა ჩვენს ხალხში და პირველ გაცნობისათანვე მოიპოვა მის გულში მხურვალე თანაგრძნობა და მკვიდრი საბუდარი. დღეს ჩვენში იშვიათათ უნდა მოიპოვებოდეს ისეთი მკითხველი, რომელსაც წაკითხული თუ არა, გაგონილი მაინც არ ჰქონდეს „სურამის ციხის“ შინაარსი.

ფილიპე მახარაძე. თხზულებათა კრებული. ტომი V. სიტყვა-კაზმული მწერლობა და მისი კრიტიკა. სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1926, გვ. 166-167.

2. ფილიპე მახარაძე. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

(ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, თფილისი, 1907 წ., გვ. 110. ფასი 40 კ.)

ამ ცოტა ხანში ქართულ ენაზე დაისტამბა ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის წიგნი: „საქართველოს ეკონომიური ისტორია". დასახელებული წიგნის საგანი იმდენათ საინტერესოა, რომ ეს წიგნი უეჭველათ მიიპყრობს მკითხველი საზოგადოების ყურადღებას. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ ბ-ნ ჯავახიშვილის შრომის შესახებ.

ამ უკანასკნელ დროს ბ-მა ჯავახიშვილმა რამდენიმე ნაწერი გამოაქვეყნა როგორც ცალკე წიგნებში, ისე ჟურნალ-გაზეთებშიაც, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. სამწუხაროთ, არც ერთი მისი ნაწერი, გარდა იმ ნაწერისა, რომლის სათაური ზემოთ მოვიყვანეთ, ჩვენ შემთხვევა არ გვქონდა გაგვეცნო. ბ. ჯავახიშვილის ნაწერების შესახებ აქ ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ ის შევნიშნოთ, რომ იმათ უმთავრეს საგანს შეადგენს საქართველოს წარსულის შესწავლა. ამასთანავე, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის კულტურულ ისტორიას. თავის თავად იგულისხმება, რომ საქართველოს წარსულის მეცნიერულათ გამოკვლევა და შესწავლა მეტად საინტერესოა და ყველა მხრით ყურადღების ღირსი. რამდენათაც ჩვენ ვიცით, აქამდის ბ. ჯავახიშვილის ნაწერების შესახებ ქართულ მწერლობაში არავის გამოუთქვამს თავის მსჯელობა. აშკარაა, რომ ასეთი ნაწერის ღირსება-ნაკლულევანების ჩვენება და დაფასება მეტათ საჭიროა როგორც მკითხველისათვის, ისე თვით ავტორისათვისაც. ჩვენ აქ გვინდა შევეხოთ, და ისიც მხოლოთ რაც შეიძლება ძლიერ მოკლეთ, ბ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიას".

როგორც საზოგადოთ, ისე ამ შემთხვევაშიაც ბ-ნ ჯავახიშვილს მეტათ საჭირო საგნისათვის მოუკიდია ხელი, მაგრამ რამდენათ საჭიროა იგი, იმდენათ საძნელოცაა, თუ კიდევ უფრო არა. თუ საქართველოს წარსული ცხოვრება ჩვენთვის დღეს ბურუსით არის მოცული, ეს განსაკუთრებით იმით აიხსნება, რომ ქართველი ხალხის ეკონომიური ვითარება წარსულში თითქმის სრულებით შეუსწავლელი და გამოუკვლეველია. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ეკონომიური განვითარება კიდევაც ემსგავსება ევროპის ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას და კიდევაც განირჩევა მისგან, მაგრამ ეს არის ზოგადი აზრი, რომლის დასაბუთებისათვის საჭიროა საფუძვლიანი გამოკვლევა.

რას გვაძლევს ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის შრომა საქართველოს ეკონომიურ ისტორიის შესახებ? რა ნათელს ფენს იგი ქართველი ხალხის ეკონომიურ ვითარებას წარსულში? გვიხატავს თუ არა ბ. ჯავახიშვილი ძველი საქართველოს ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას?

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის" გადათვალიერებამ ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ ბ-ნ ივ. ჯავახიშვილს არც მომზადება აქვს და არც ცოდნა საქართველოს ეკონომიური ყოფა-ცხოვრების გამოსაკვლევათ. მართალია, ავტორს გადაუკითხავს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი წყაროები; მართალია, მას აქედან რამდენიმე საინტერესო ცნობებიც ამოუკრეფია, რომლებიც შეიძლება მეცნიერმა გამოიყენოს ძველი საქართველოს ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების დახასიათებლათ, მაგრამ აშკარაა, რომ მარტო ეს არ არის საკმარისი საქართველოს ეკონომიური ისტორია დაიწეროს. ვინც ამ საქმეს ხელს მოკიდებს, იგი, უწინარეს ყოვლისა, კვლევის იმ იარაღით უნდა იყოს აღჭურვილი, რომელსაც მეცნიერული მეთოდი ეწოდება. მეცნიერული მეთოდი მკვლევარის ხელში ჩვენ გვაწვდის მეცნიერის გამოკვლევის გასაღებს; იგი ის უებრო საშუალებაა, რომლის მეოხებით გაფანტული, ერთი მეორისაგან დაშორებული ფაკტები და მოვლენები ერთმანეთს უახლოვდებიან და მათ შო-

რის დაფარული, შინაგანი კავშირი გამოჩდება; ეს ის საშუალებაა, რომელიც ბრწყინვალე გზის შუქივით ანათებს სიბნელით მოცულ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს. ბ-ნ ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონ. ისტორია“ აშკარათ გვიმტკიცებს, რომ ავტორი ხსენებული წიგნის შედგენის დროს სრულებით არავითარი მეთოდით არ ხელმძღვანელობდა. ამიტომ მისი შრომა არ არის მეცნიერული გამოკვლევა, როგორიც იგი უნდა ყოფილიყო თავის დანიშნულებისამებრ.

ასეთი მეთოდის უქონლობა ბ. ჯავახიშვილის შრომის პირველ გვერდიდანვე ემჩნევა. რადგანაც ავტორმა საქართველოს ეკონომიური ისტორიის დაწერა მოინდომა, იგი ჯერ უნდა შედგომოდა წარმოების იმ წესის გამოკვლევას, რომლებიც ძველ საქართველოში არსებობდნენ და შემდეგ უნდა ეჩვენებია, თუ წარმოების განსაზღვრული წესი რა გვარ საზოგადოებრივ ურთიერთობას ბადებდა. ძველი საქართველოს უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ბატონ-ყმური ურთიერთობა და ფეოდალური წესწყობილება. ბ. ჯავახიშვილმა თავიდან აიცილა იმ კითხვის გამორკვევა, თუ როგორ მოხდა საქართველოში ბატონ-ყმობის დამყარება, რადგანაც, მისი აზრით, „ამის შესახებ არავითარი წყაროები არ მოიპოვებაო“ („საქ. ეკონომ. ისტ.“, გვ. 3). რაც შეეხება ფეოდალური წესწყობილების დასასიათებას, ავტორმა გვაკმარა მხოლოთ აზნაურების ხარისხების ჩამოთვლა, როგორც ეს მოხსენებულია IX-XIII საუკუნეების წყაროებში. გლეხების შესახებ ბ-ნი ჯავახიშვილი სწერს: „ზოგი თავისუფალი იყო, ზოგი კიდევ ყმებათ ითვლებოდაო“ (გვ. 10) და შემდეგ მოჰყავს ორნაირი ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ როგორც თავისუფალი გლეხების, ისე ყმების არსებობას 9-13 საუკუნეებში. მერე რა? განა როგორც ერთნი, ისე მეორენი არ არსებობდნენ როგორც წინეთ, ისე იმის შემდეგაც? საქმე მარტო ის კი არ არის, იყვენ თუ არა 9-13 საუკუნეებში თავისუფალი გლეხები და ყმები, ეს ჩვენ ისედაც კარგათ ვიცით. საქმე ის არის, თუ რანაირი პირობები უწყობდენ ხელს ან აფერხებდენ იმათ არსებობას. რა უწყობდა ხელს გლეხობის, ე. ი. მიწის მომუშავეთა თავისუფალი მდგომარეობის თანდათან გაქრობას და ბატონ-ყმური ურთიერთობის აღორძინებას? რა როლი ითამაშა მთელ ამ პროცესში, მაგ. ქრისტიანობის შემოღებამ საქართველოში, ან გამუდმებულმა ომიანობამ? რამდენათ ემსგავსება ამ მხრით საქართველოს ეკონომიური განვითარება ევროპის ქვეყნების განვითარებას? აი, კითხვები, რომლების დაბეჯითებით გამოძიება ნათელს მოფენდა საქართველოს ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას წარსულში. სამწუხაროთ, ბ. ჯავახიშვილმა ყველა ამ კითხვების გარკვევას გვერდი აუქცია და დაკმაყოფილდა მხოლოთ იმის ჩვენებით, რომ საქართველოში 9-13 საუკუნეებში იყვენ ერთი მხრით დიდი და მცირე ციხიანი და უციხონი აზნაურები და მეორე მხრით თავისუფალი გლეხები და ყმებიო.

აქ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ. ავტორს ერთი მხრით თავისუფალ გლეხათ მიაჩნია ისეთი გლეხი, რომელსაც საკუთარი მამული აქვს და მეორე მხრით ისეთი გლეხიც, რომელიც თავის საკუთარ მამულს სრულებით მოკლებულია და აქეთ იქით დაძრწის, რომ სადმე რაიმე ნაირათ მიწა იქირაოს ან იჯარით აიღოს. ჩვენი აზრით კი, ამ შემთხვევაში ან ხიზნებზე არის ლაპარაკი და ან პირდაპირ ბოგანო, უმიწა-წყლო გლეხებზე და არა თავისუფალ გლეხებზე. გლეხის მეურნეობის შესახებ ბ. ჯავახიშვილი სხვათა შორის ამბობს: „ნახნავის გარდა მეურნეობა „ვენახისა“, „ხილნარისა“ და „ბოსტნისაგან“ შესდგებოდაო; ვენახი ვაზისათვის იყო და ახალ გაშენებულს „ახალნერგი ვენახი“ ერქვა. ვაზს დიდი მოვლა უნდოდა: ჯერ „ასარვა“, მერე „ავჯოჯგა“, რომ მომწიფდებოდა, „მოსთვლა“, „რთველი“ და სხვ. (გვ. 19). ჩვენ ვერ გაგვიგია ყველა ამ „ცნობებს“ რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს საქართველოს ეკონომიურ ისტორიისათვის! ან შეიძლება იყო ისეთი დრო, რო-

ცა ვენახი ვაზისთვის არ იყო დანიშნული? ან შეიძლება იყო ისეთი დრო, როცა ვაზს ჯერ „მოსთველა“ და შემდეგ „ასარა“ ან „აჯოჯგა“ არ ეჭირვებოდა? ბ. ჯავახიშვილმა უნდა იცოდეს, რომ საზოგადოთ ისტორიის საგანს არ შეადგენს ადამიანის ისეთი მოქმედება ან აქტი, რომელიც მუდამ ერთნაირია. იცვლება შრომის სოციალური ორგანიზაცია, შრომის საზოგადოებრივი პირობები, მაგრამ ვენახი მუდამ ვაზისთვის იყო, არის და იქნება; ამ მხრით არც ერთ ფორმას შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციისას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია და ვერც მოახდენს.*

(შემდეგი იქნება)

ფილიპე მახარაძე. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

(ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, თფილისი, 1907 წ., გვ. 110. ფასი 40 კ.)

(დასასრული)**

საღი ისტორიული შეხედულების უქონლობასთან ერთათ, ბ-ნი ჯავახიშვილი ეკონომიური ისტორიის თითქმის სრულ გაუგებრობასაც იჩენს. ავტორი, მაგ. ამბობს: „შიგ საქართველოში ამ დროს (IX-XIII საუკ.), რასაკვირველია, აღებ-მიცემა გაჩაღებული უნდა ყოფილიყო. საზოგადოთ ერთი ახირებული აზრი არსებობს, ვითომც მეთვრამეტე საუკუნემდე საქართველოში „საოჯახო მეურნეობა“ (ალბათ ავტორს ნატურალური წარმოება აქვს მხედველობაში) ყოფილიყოს, ვითომც ყველაფერს, რაც კი ადამიანისთვის საჭირო იყო, თვითოეულ ოჯახში თავიანთვის ეკეთებინოთ. ეს აზრი დიდი შეცდომაა. საქართველოში თუნდაც იმ ხანას, რომელსაც ჩვენ ახლა ვიკვლევთ, არ მოიძებნებოდა ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არ ტრიალებდა, რომელიც სოფლადაც-კი არ გაყიდულიყოსო“*** (ხაზს ჩვენ ვუსობთ). ამნაირათ, ბ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ ის აზრი, ვითომც საქართველოში მეთვრამეტე საუკუნემდე „საოჯახო მეურნეობა“, ანუ უფრო მართლა რომ ვთქვათ, ნატურალური წარმოება არსებობდა, დიდი შეცდომააო. ჩვენ მწერლობაში კი დღემდის თითქმის საყოველთაოთ მიღებულია ის აზრი, რომ საქართველოში ნატურალური წარმოე-

---

* ამგვარი უმნიშვნელო ცნობები სხვაც ბევრი მოიპოვება ბ-ნ ჯავახიშვილის წიგნში. მაგალითისათვის ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდენსამე. „რაკი სწორე ადგილი საქართველოში იშვიათათ თუ სადმე მოიძებნება, ამიტომ მანამ შენობის აგებას შეუდგებოდენ, თავდაპირველათ ნიადაგს გაასწორებდენ ხოლმეო (გვ. 29). ავტორს ისიც უნდა ეთქვა, რომ სანამ შენობის კედელს ამოიყვანენ, ჯერ საძირკველს ჩაყრიდენ! აი კიდევ: „მოლესვის შემდეგ (ეკლესიის გაკეთებაზეა ლაპარაკი) „მოხატავდენ“, „მოჯიქავდენ“ და დაჭრელებდენ ხოლმეო“ (იქვე). „თაღების გადაყვანას რომ შეუდგებოდენ“, მოგვითხრობს ბ. ჯავახიშვილი, ჯერ „კალაპოტს შეუდგამდენ, ხოლო თაღი რომ გამაგრდებოდა, „კალაპოტს გამოუყრიდენ და მერე და მერე „მოლესავდენ კიდეც“ (იქვე).

ფ. მ.

** იხ. „ცისკარი“, №5.

*** „საქართვ. ეკონომ. ისტორია“, გვ. 31.

ბის ხანამ გასტანა თითქმის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე და მხოლოთ ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, ბატონყმობის გაუქმების, რკინის გზების გაყვანის და მრეწველობა-აღებ-მიცემის განვითარების წყალობით ნატურალური წარმოება თანდათან დაეცა და ბოლოს სულ გაქრა, გარდა ზოგიერთ მიუვალ ადგილებისა, როგორიც არის ხევსურეთი, სვანეთი და სხვ. თუ ბ-ნ ჯავახიშვილს დავუჯერებთ, გამოვა, რომ ნატურალური წარმოება საქართველოში ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინეთ გამქრალა! სამწუხაროთ, ბ. ჯავახიშვილი ჩვენ პირდაპირ არ გვეუბნება, თუ ნატურალური წარმოების ადგილი რა გვარმა წარმოებამ დაიჭირა. მარა მისი წიგნის ზოგიერთი ადგილები საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში, ე. ი. იმ დროს, როცა ევროპის მოწინავე ქვეყნებს ჯერ კიდევ ბარბაროსობისათვის თავი ვერ დაეხწია, ჩვენში გარეშე მტრებისაგან სრულებით უზრუნველყოფილი ხალხი გასაოცრათ მრავლდებოდა, სახელმწიფო ხაზინას დიდძალი შემოსავალი ქონდა, აღებ-მიცემობა და მრეწველობა ფართოვდებოდა და მატულობდა, ხალხი გამდიდრდა, „გასაოცარი აუარებელი ფული ტრიალებდა საქართველოში“ (გვ. 81, შეად. გვ. 73). ამ საუცხოო სურათის შესავსებლათ საჭიროა მოვიყვანოთ აქ კიდევ ერთი ადგილი ბ-ნ ჯავახიშვილის წიგნიდან. „ახლა (დღევანდელ დროზეა ლაპარაკი) ყველგან მიწის სიმცირის ჩივილი გაისმის; მეცამეტე საუკუნეში უფრო მჭიდროთ ყოფილა საქართველო დასახლებული, მაშასადამე, მიწის სიცოტავე უფრო მეტი იქნებოდა, აკი იყვენ კიდეც ამ დროს უმიწაწყლო გლეხები, რომლებიც მუშაობით* ირჩენდენ თავსა; მხოლოთ რაკი მაშინ აღებ-მიცემობა, ხელოსნობა და მრეწველობა განვითარებული იყო, უმიწობა ისე საგრძნობელი არ იქნებოდა, როგორც ახლა (გვ. 78). მაშასადამე, გამოდის, რომ რვა საუკუნის წინეთ საქართველოში აღებ-მიცემობა და მრეწველობა ბევრათ უფრო ყოფილა განვითარებული, ვინემ დღეს და ამიტომაც, ავტორის აზრით, იმ დროს უმიწობა ისე საგრძნობელი არ იყო, როგორც დღეს, ვინაიდან უმიწაწყლო გლეხები, ე. ი. ბოგანო ხალხი, აღებ-მიცემობაში და მრეწველობაში პოულობდენ ქირაზე სამუშაოსო. ერთი სიტყვით, ბ-ნი ჯავახიშვილი მეთორმეტე საუკუნის წარმოებას ახასიათებს პირდაპირ კაპიტალიზმის ნიშნებით; ე. ი. გამოდის, რომ საქართველოში კაპიტალისტური წარმოება აყვავებული ყოფილა იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ ამის ხსენება სრულებით არ იყო. ამნაირათ აქაც ჩვენს საქართველოს პირველობა თურმე ეკუთვნის და ჩვენ კი ეს დღემდის არ ვიცოდით! ლაპარაკი არ უნდა, რომ ბ-ნ ჯავახიშვილის აღმოჩენა ერთობ დიდია. ადვილი შესაძლებელია, რომ ძველი დროის მოტრფიალენი, ქართველი პატრიოტები, ასეთი აღმოჩენისათვის მაინცა და მაინც მისი მადლიერი არ შეიქნებიან, ვინაიდან იმათ სხვადასხვა მიზეზების გამო ძლიერ არ უყვართ კაპიტალიზმი. მარა ეს სულ სხვა საქმეა. სამაგიეროთ, ჩვენ შეგვიძლია გავახაროთ ჩვენი პატრიოტები მით, რომ ეს „აღმოჩენა“ მხოლოთ ბ-ნ ჯავახიშვილის ოცნების ნაყოფია და მეტი არაფერი, რომ ძველმა საქართველომ სრულებით არ იცის კაპიტალიზმი, ე. ი. აღებ-მიცემობის და მრეწველობის აყვავება, რომელზედაც ბ-ნი ჯავახიშვილი ასეთი რიხით მოგვითხრობს. საკვირველია, როგორ მოხდა, რომ ბ. ჯავახიშვილმა, რომელიც ყოველთვის მზათ არის ქართველი პატრიოტის გული გაახაროს, თუ „გენიოს მეფეთა“ ნამოღაწევით, თუ ძველი ქართველების სამაგალითო ცხოვრებით,** მოულოდნელათ ასეთი შეურაცხყოფა მიაყენა ძველ საქართველოს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ მაინც უნდა ვიცოდეთ, სახელდობრ: რამ მისცა საბაბი ბ-ნ ჯავახი-

---

*გამოდის, რომ დანარჩენი გლეხ-კაცობა, რომელსაც მიწა-წყალი ქონდა, მუშაობით არ ირჩენდა თავს.

**ავტორი სხვათა შორის ამბობს: ქართველებმა მაშინ (ე. ი. ძველათ) ბრძოლაც იცოდენ, ცხოვრებაც და სასოწარკვეთილებაში არასოდეს არ ჩავარდებოდენ ხოლმეო“ („საქ. ეკონომ. ისტ.“, გვ. 67).

შვილს კაპიტალისტური წარმოება აღმოეჩინა ძველ საქართველოში? ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ამისთვის ბ-ნ ჯავახიშვილს არავითარი სერიოზული საბუთი არ ქონებია და არც შეიძლება რომ ქონებოდა, ვინაიდან ასეთი საბუთი არსად არ მოიპოვება. მარა, სამაგიეროთ, ავტორს ქონდა ცნობები იმის შესახებ, რომ ძველ საქართველოში აღებ-მიცემობა არსებობდა, იყო საქონლის გაცვლა-გამოცვლა. ავტორმა აქედან ჯერ ის ყალბი დასკვნა გამოიყვანა, რომ რაკი საქონლის გაცვლა-გამოცვლა არსებობდა, ამიტომ ნატურალური წარმოება (საიჯარო მეურნეობა), მისი აზრით, გამქრალი ყოფილა. ავტორს რომ ეკონომიური ისტორია შესწავლილი ქონოდა, ასეთი დასკვნის გამოყვანაში არ აჩქარდებოდა. საქმე იმაშია, რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლა ჯერ კიდევ პირველ-ყოფილ კომუნიზმის დროსაც არსებობს, როცა ერთი თემი თავის ზედმეტ ნაწარმოებს უთმობს მეორე თემს ისეთ საგანზე, რომელიც მისთვის საჭიროა. სხვას რომ თავი დავანებოთ, საშუალო საუკუნოების ფეოდალურ ევროპაშიაც აღებ-მიცემობა საკმარისათ იყო განვითარებული, განსაკუთრებით იტალიის და ჰოლანდიის ქალაქებში, ბევრათ უფრო, ვინემ საშუალ საუკუნოების საქართველოში, მარა, მიუხედავათ ამისა, იქ მხოლოთ საშუალ საუკუნოების დასასრულს იწყება მრეწველობის, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების განვითარება, ე. ი. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ საქმე ის კი არ არის, არსებობდა თუ არა წინეთ აღებ-მიცემობა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა, არამედ ის, თუ რა როლს თამაშობდა ამა თუ იმ დროს აღებ-მიცემობა, შეადგენდა იგი თუ არა ცხოვრების დედა ძარღვს, როგორც მაგ. ჩვენ დროშია ეს ასე, თუ მას მეორე ან მესამე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აი, სწორეთ ამ მნიშვნელობის დაფასებაში საშინლათ ცდება ბ-ნი ჯავახიშვილი. მისი აზრით, მეთორმეტე საუკუნეში აღებ-მიცემობას ქართველი ხალხის ცხოვრებაში პირველი ალაგი ეჭირა. იგი ამბობს: „რამდენათ უნდა ყოფილიყო მეთორმეტე საუკუნეში თამარ მეფის დროს განვითარებული საქართველოში აღებ-მიცემობა, უფრო იქიდან შეიძლება დავინახოთ, რომ საუკეთესო მატყლი ვაჭრებს საქართველოში ისეთ შორეულ ქვეყნიდან შემოჰქონდათ, როგორც ქ. ალექსანდრია იყო. ისტორიკოსი (?) მოგვითხრობს, რომ თამარ მეფემ „იწყო ალექსანდრიით ვაჭართაგან მიღებულისა მატყლისაგან სთვად და ქმნათ შესამოსლისაო“ (ქარ. ცხოვ., გვ. 453. აქ ხაზს თვით ავტორი უსობს). ცხადია, რომ ასეთ შორეულ ქვეყნიდან საქონლის მომტანელ ვაჭარს დიდი შეძლება უნდა ქონოდა და თვით მოთხოვნილებაც დიდი ყოფილა, თუ კი მოტანილი საქონელი თავის ხარჯს ფარავდა და სარგებელსაც აძლევდა სოვდაგარს, რაკი აღებ-მიცემობა მაშინდელ საქართველოში ასე წარმატებული და განვითარებული ყოფილაო“ და სხვ. ვინც ამ ადგილს წაიკითხავს, იგი ალბათ იფიქრებს, რომ ალექსანდრიიდან იმ დროს საქართველოში შემოქონდათ ისე დიდძალი მატყლი, რომ მთელი ქართველი გლეხ-კაცობა თუ არა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც იმით იმოსებოდა. ბ-ნი ჯავახიშვილი პირდაპირ ამბობს, რომ „თვით მოთხოვნილებაც (ე. ი. ალექსანდრიიდან მიღებული მატყლის) დიდი ყოფილაო“. მარა გამოდის კი ასეთი დასკვნა „ქართლის ცხოვრების“ იმ ადგილიდან, რომელიც მას მოყავს ამ აზრის დასამტკიცებლათ? ჩვენ ვამბობთ, რომ აქ ავტორს მეტისმეტათ გადაუმეტებია. „ქართლ. ცხოვრება“ მოგვითხრობს მხოლოთ იმის შესახებ, რომ თამარ მეფემ თორმეტი მღვდლის შესამოსელი მოქსოვაო, მორჩა და გათავდა. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოთ ძვირფასი ნივთები ყოველთვის შორეული ქვეყნებიდან მოქონდათ, მარა ეს გარემოება სრულებით არ ამტკიცებს აღებ-მიცემობის ისეთ განვითარებას, როგორიც ეს წარმოდგენილი აქვს ბ-ნ ჯავა-

* გვ. 33.

ხიშვილს. აღებ-მიცემობის განსავითარებლათ ისეთი პირობებია საჭირო, რომლებსაც ჩვენ ამაოთ მოვძებნით არათუ მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნის საქართველოში, არამედ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშიაც კი. აქ ჩვენ უნდა შევწყვიტოთ საუბარი ბ-ნ ჯავახიშვილის წიგნის შესახებ. რა თქმა უნდა, რომ ჩვენ აქ არ შეგვიძლია ამ წიგნის ყველა ნაკლულევანება და შეცდომები აღგვენიშნა; უამისოთაც წერილი გაგვიგრძელდა.

დასასრულ, ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ისეთ დროს, როცა ათასგვარი საჭიროება და თავსატეხი კითხვებია წამოყენებული, ჩვენ მისი ყურადღება ისეთ საგანზე მივაპყარით, რომელსაც მარტო თეორეტიული ხასიათი აქვს. რა თქმა უნდა, საღ თეორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკაში და აი იმიტომ ჩვენ მეტათ არ მიგვაჩნია თეორიასაც ყურადღება მივაქციოთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ თეორიას რყვნიან და ამახინჯებენ. საზოგადოთ ცნობილია, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება სოციოლოგიის და პოლიტიკური ეკონომიის დარგებში სრულებით გამოიფიტა. მარა, როცა ბურჟუაზიულ მეცნიერებას ზედ ერთვის კიდევ სამშობლოს ცრუ სიყვარული, რომელიც გამოიხატება წარსულის განდიდების სურვილში და არა მეცნიერული თვალით მის გამოკვლევა-დაფასებაში. ამ შემთხვევაში ყოველგვარი საღი თეორიის, თუ მსჯელობის, ყოველგვარ ჭეშმარიტების გადამახინჯებას და შელახვას საზღვარი აღარ აქვს. ბ-ნ ჯავახიშვილს „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ამგვარი გადამახინჯების ერთ მაგალითს წარმოგვიდგენს. ჩვენ აქ იმას აღარ ვიმეორებთ, რომ „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ თვით ბურჟუაზიულ მეცნიერების თვალითაც კი უვარგისია.

ჟურნალი „ცისკარი“ (ქუთაისი), 1907, №5, გვ. 9-10; №6, გვ. 11-13.

3. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია

18 ქრისტეშობისთვეს, საღ. 6 ს., სახელმწიფო უნივერსიტეტის 1-ლ აუდიტორიაში, პროფ. ივ. ჯავახიშვილმა რიგს გარეშე წაიკითხა ლექცია „ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა“.

პატივცემულ პროფესორმა ლექციას მომენტის შესაფერი შესავალი წარუმძღვარა. შემდეგ დაამტკიცა, რომ სადავო ადგილები: ახალციხე-ახალქალაქი, ლორე და ბამბაკი ეკონომიურად სულაც არ არიან დაკავშირებული სომხეთთან, როგორც სომეხთა საზოგადო მოღვაწენი ამტკიცებენ. ამ ადგილებზე მცხოვრებთ ბუნებრივი სიმაღლეების გამო სომხეთისაკენ გადასვლა ძლიერ ეძნელებათ, მაშინ, როცა ჩრდილოეთისაკენ (ჩვენსკენ) მშვენიერი გზატკეცილები აქვთ, პურს ახალციხე-ახალქალაქიდან 300,000 ფუთს რომ საქართველოში შემოიტანენ, შეიძლება 2 ან 3 ათასი სომხეთში გადაიტანონ. ეს მტკიცება, რომ ამ მაზრებს [სომხეთთან] მეტი მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს, ვიდრე საქართველოსთან, ჭეშმარიტების უკუღმა შებრუნება იქნებაო.

ამ მაზრების სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ პატივცემულ პროფესორმა სთქვა: „ეს მაზრები ბუნებრივ მდებარეობის გამო, იმ დროს, როცა საქართველო სადრო-შეებათ იყო დაყოფილი, მოწინავე სადროშოდ იწოდებოდა და ამის მნიშვნელობა ადვილად გასაგებია, სამხრეთიდან შემოსეულ მტერს პირველად ამ მაზრებში მცხოვრებნი უნდა შეგებებოდნენო; აქ მცხოვრებთა სამხედრო წესრიგი საუკუნოებით იყო შექმნილი, საქართველოს სამხედრო მინისტრის საჯდომი ლორის მიუვალი ციხე იყოო. თვითონ ამ ადგილებს ბუნებრივი მდებარეობა იმ უპირატესობას აძლევს, რომ ვისაც ის უჭირავს, მის ხელშია ფაქტიურად აღმოსავლეთ საქართველოც. მან ადგილების სახელწოდებითა და სხვა და სხ. დროის ისტორიული ფაქტებით დაამტკიცა, რომ ეს მაზრები ისტორიულადაც საქართველოს ეკუთვნიან. ერთად-ერთი საფუძველი, რომელსაც ამის შემდეგ სომხეთი უნდა ემყარებოდეს, რეალური მოსახლეობის პრინციპია, რუსეთის მოსვლის დროს ამ მაზრებიდან აიყარა ქართველი მაჰმადიანობა და მათ ადგილზე კი მშვიდობიანობის გზით შემოსული სომხობა დასახლდა. ამიტომ არის, რომ ისინი დღეს ამ ადგილებში მცხოვრებთა მეტ პროცენტს შეადგენენ.

მაგრამ არც ეს აძლევს სომხეთს საბუთს, რომ მათ ეს ადგილები მოითხოვონ. განა ამერიკაში გადასახლებულ 10 მილიონ გერმანელებს ნება აქვთ, ის ადგილები, რომლებზედაც ისინი ცხოვრობენ, გერმანიის კუთვნილებად გამოაცხადონო?

შემდეგ აღნიშნა, რომ სომხეთის შემოსევა ამ ადგილების დასაპყრობად პირველი ცდა არ არის, რომ ეს საუკუნოებით შექმნილი მათი სურვილია, რომ საქართველოს არა ერთხელ შეხვედრია მოულოდნელად შემოსეულ სომხების წინაშე გალაშქრება. და დღესაც, როცა განახლებული საქართველო მათთან მეგობრული განწყობილების განმტკიცებას ცდილობდა, სომხეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს და ჰსურს მისი დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩაგდოს.

ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფები უნდა დარწმუნდნენ, რომ იმ ერთან, რომელიც წარსულშიაც და ახლაც საქართველოს საფრთხეს უმზადებს, არავითარი კონფერენციების მართვა არ შეიძლება. ჩვენ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა გვსურს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვებრძოლოთ სომხის ერს, რომელიც ამ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უმზადებსო.

„საქართველოს – სთქვა მან – არასოდეს არ გასჭირვებია სომხეთთან ომი და არც ახლა გაუჭირდება, მაგრამ, თუ ვინიცობაა გაუჭირდება, ქართველურად ქუდზე კაცი გაეალთ და საქართველო, რომელიც 30 საუკუნე არსებობდა, ჩვენი მკერდით დაცული კვლავ იარსებებსო. ასე დაათავა საყვარელმა პროფესორმა თავისი ლექცია.

მსმენელებმა ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა იგი.

დარბაზში ისმოდა: „გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ მხედრობას“.

ელპარიძე

გაზ. „საქართველო“, 1918, №244, 20 დეკემბერი, გვ. 3.

4. ქართულ უნივერსიტეტის შესახებ სიმართლე – ყველასათვის!

მუშათა კლასის რევოლიუციით და მრავალი მსხვერპლით ცარიზმის ბრჭყალებიდან განთავისუფლებულ საქართველოს ელირსა დიდი ხნის სურვილის განხორციელება და მან დააარსა თავისი მეცნიერების ტაძარი – ქართული უნივერსიტეტი. სულ რაღაც 8 წელიწადია იგი არსებობს და მისმა განვითარებამ და განმტკიცებამ მიაღწია საკმაოთ მაღალ დონეს, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ. ამ მხრივ ისეთი დიდია ჩვენი უნივერსიტეტი, რომ საზღვარგარეთ მომუშავე მუშათა ჯგუფი, საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომნი, ხშირად ვსარგებლობდით ამით და ვამარცხებდით მოწინააღმდეგე ბურჟუაზიულს, მენშევიკურს და საერთოთ მოპირდაპირეთა და მოკამათეთა პრესას და წრეებს, რითაც ჩვენ ვამტკიცებდით, თუ საბჭოთა ხელისუფლება როგორ ყურადღებას აქცევს ეროვნულ კულტურას და ერის დედა-ენით მეცნიერების შესწავლა-განვითარებას! ყველა ადამიანი ან და უვიცი უნდა იყოს, ან ბოროტი, რომ მან ვერ დაინახოს, ან არ დაინახოს, თუ საბჭოთა ხელისუფლებამ რა დიდი საქმე გააკეთა და ან რას აკეთებს საქართველოს უნივერსიტეტისათვის და საერთოდ მშრომელი ხალხის სწავლა-განათლებისა და კულტურულად აღორძინებისათვის! ადამიანი, ამასთანავე ერთად, ან უნდა უვიცი იყოს, ან ბოროტი, რომ ვერ, ან არ დაინახოს ის, თუ რა გააკეთა, ან რას აკეთებს ქართული უნივერსიტეტი საქართველოს მშრომელი ხალხისა და, განსაკუთრებით, საბჭოთა ხელისუფლებისათვის! მაშ, რაშია საქმე? ან რამ გამოიწვია ის დავა, რომელიც ასტყდა ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენს პრესაში. პირველად ყოვლისა, მე, როგორც მუშა, ვაცხადებ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ მეცნიერების ტაძართან, იმავე უნივერსიტეტთან არ შეიძლება მისვლა რაიმე პირადი განზრახვებით, ანდა უსაფუძვლო თავ-დასხმით. აქ საჭიროა მეცნიერული კრიტიკა და განხილვა-გადათვალიერება მეცნიერულივე თვალსაზრისით! ქართული უნივერსიტეტი, როგორც დღეს მისი მოწინააღმდეგეებიც აღიარებენ, ბევრს რუსეთისა და საზღვარ-გარეთის უნივერსიტეტებს არ ჩამოუვარდება და პროფესორებიც ისეთი ჰყავს, რომელითაც შეგვიძლია სხვაზე უფრო ვიამაყოთ. მაგ., პროფ. მელიქიშვილი, ჯავახიშვილი და სხვა. თითქმის ყველა მათგანი ითვლებიან მსოფლიო პიროვნებად! აი, ასეთ სიმაღლის მქონე უნივერსიტეტში თვით უნივერსიტეტის სისტემა და პროფესორთა კადრი კი არ არის დამნაშავე, თუ მას რაიმე ნაკლი აქვს, არამედ ვინმე ან ვიღაც პიროვნებები და როდესაც ამ უნივერსიტეტზე ვლაპარაკობთ, მაშინ უნდა მივიღოთ ეს მზედველობაში და იმ პირთ ვაძევებდეთ იქიდან, ვინც ამ ნაკლებს შიგნიდან ქმნის! ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ უნივერსიტეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები მეცნიერულად იქმნეს შესწავლილი და სახელი არ გაუტეხოთ საბჭოთა საქართველოს მეცნიერების ტაძარს! მე პირადად ვიცი და მოწმე ვარ ევროპაში ყოფნის დროს, რომ ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, ამერიკა და თვით საბჭოთა რუსეთიც, გათავებული აზერბეიჯანით და სომხეთით, თუ როგორი შეგნებით და პატივისცემით ეპყრობიან თავიანთ ნაციონალურ უნივერსიტეტის მნიშვნელობას! მაშ, რაღა დააშავა საბჭოთა საქართველოს უნივერსიტეტმა, რომ დღევანდლამდის მის თავდადებულ შრომას ასე მოუფიქრებლად ცილი დასწამეს და საბჭოთა მთავრობის წინაშე აბეზღებენ? ჩვენ ვიმეორებთ, რომ ვინც დამნაშავეა, საქართველოს მუშები მოითხოვენ მათ უნივერსიტეტიდან გაძევებას, რომ იგი გაიწმინდოს არა საიმედო ელემენტებისაგან და დამნაშავეები სისხლის სამართალში იქმნენ მიცემულნი. მაგრამ, ამასთან ერთად, ნუ დავივიწყებთ საბჭოთა ხელისუფლების მომხრე

პროფესორებისა და ჩვენ უნივერსიტეტის კულტურულ მეცნიერულ განვითარების ღვაწლს. როდესაც ჩვენ უნივერსიტეტის არსებით საკითხებზე ვლაპარაკობთ, კი არ უნდა დავიმყაროთ რაიმე მიზეზების გამო უკმაყოფილო ელემენტების მაცდურ ენას და განგაშს, არამედ მოწმეთ უნდა მოვიყვანოთ ცოცხალი საქმე და უტყუარი საბუთები. ჩვენი სურვილია შეცდომების თავიდან აცილება და ქართულ უნივერსიტეტის ნამდვილი სურათის გადაშლა საბჭოთა საზოგადოების თვალ-წინ. წარსულ დღეებში ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ კ. სულაქველიძის საქართველოს მუშათა პარტიის ბელად ფ. მახარაძის და ამავე პარტიის მუშაკ პ. საყვარელიძის წერილებმა უნივერსიტეტის შესახებ საბჭოთა საქართველოში გამოიწვია აზრთა შეხლა-შემოხლა და დიდი ქაოსი! იმდენად, რამდენადაც ვიცნობ საზღვარგარეთის ემიგრაციას და მის მეთაურებს და ევროპაში მყოფ ყოველგვარ მოპირდაპირეებს, აღნიშნულ წერილებს გამოიყენებენ საგიტაციო და საპროვოკაციო მასალათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც, ჩემის აზრით, ჩვენი მდგომარეობისათვის ცეცხლზე ნავთის დასხმას ნიშნავს. მაშ, რაც შეიძლება მალე ავიცილოთ გაუგებრობა თავიდან და შეცდომები გამოვასწოროთ. პირველ ბრალდება აღნიშნულ ავტორების მიერ ის არის, რომ თითქოს ჩვენი უნივერსიტეტი რეაქციონურ ბუდეთ იყოს გადაქცეული და შიგ ანტიმარქსიზმს ჰქადაგებდენ და, ერთი სიტყვით, შიგ ტრიალებს „არა მუშური სული“. რამდენად ეს მართალია, ამას დაინახავთ შემდეგით. ჩვენი ქართველი პროფესორები ცარიზმის დროს, მიუხედავად იმისა, რომ იგინი ფრიად პროგრესიულ ძალას წარმოადგენდნენ, მათ უფლებას არ აძლევდნენ თავისუფალ მოქმედებისას და ამიტომ იგი ყოველთვის იყო და არის უაღრესად დემოკრატიულ პრინციპებით აღჭურვილი! ამ ნიადაგზე ხშირად ატარებდნენ ისინი რევოლიუციონურ სახელს. და დღეს, როდესაც ისინი ნატრულ თავისუფლებას ეღირსენ, შეუძლებელია იმის თქმა, რომ იგინი რეაქციონერებია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცით არც ერთი მაგალითი იმისა, რომ რომელიმე ჩვენი პროფესორი გადასულიყოს რეაქციონერების ბანაკში, მსგავსათ რუსეთის ბევრს გამოჩენილ პროფესორებისა. მაშასადამე, ეს ტყუილია და კ. სულაქველიძე ალბად ჩვეულებრივად სცდება ისე, როგორც 1917-1925 წლამდე სცდებოდა რამიშვილის კამპანიაში ყოფნის დროს! ერთი წუთით დაუშვათ ის, რომ ჩვენი პროფესორები რეაქციონერებია და უნივერსიტეტში მთელი უწესობა სუფევს. მერე მათ ხომ სათავეში სახალხო განათლების კომისარი უდგას. რატომ გზა და გზა არ ამოუხვრა იგი შინაურ საშვალებით, რათ მისცა მათ ამდენი თავისუფლება, ანდა შიგ ხომ არსებობს კომუნისტური უჯრედი, რომელიც დიდი ნდობით სარგებლობენ, რატომ ისინი არაფერს გვეუბნებიან ამის შესახებ, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება! პარტიისმიერ დანიშნული იქმნენ ამხ. მამია ორახელაშვილი, მარო ორახელაშვილი, ფილიპე მახარაძე, მიშა ოკუჯავა, საყვარელიძე, ალ. ერქომაიშვილი და სხვა, რომელთაც უნდა ლექციები ეკითხათ შემდეგ საგნებში: მუშათა შრომის ისტორიაში, ისტორიულ მატერიალიზმზე, ინტერნაციონალ ისტორიაზე, საბჭოთა სამართალზე და სხვა. როგორც სჩანს, სახელმწიფოს მუშაობაში გართულმა ამხანაგებმა ვერ მოიცალეს უნივერსიტეტისათვის, გარდა ალ. ერქომაიშვილისა, რომელიც სისტემატურად კითხულობს ლექციებს. მუშათა კლასის ბელადს ფ. მახარაძეს ორჯერ დაუნიშნეს ოფიციალურად დღე და საათები შესავალ ლექციისათვის, მაგრამ ვერ მოიცალა. მაშინ მათ ადგილზე სხვები უნდა ყოფილიყვნენ დანიშნული, რაც არ მომხდარა. მაგრამ თუ მათ მიანდვეს ქართველ პროფესორებს უნივერსიტეტი, ახლა რაღაზედ ეჩხუბებიან უსაბუთოთ! ამავე მოვლენით შეგვიძლია ერთი დასკვნის გამოყვანაც შესახებ იმისა, რომ „ქართული უნივერსიტეტი არ მიიღებს, მკვდრეთით რომ აღსდგეს, ლენინსა და პლეხანოვს ლექტორებად, თუ მათ არ ექნათ

მაგისტრანტის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხი". ამ სიტყვების და აზრის გამომქვეყნებელმა საზოგადოების წინაშე პრესის საშვალებით წაიკითხოს ეს წერილი ცოტა ზემოთ და დარწმუნდება, რომ აქ მაგისტრსა და დოქტორს კი არა, ჩვენი უნივერსიტეტი უფლებას აძლევს ყველა იმათგანს, ვისაც კი საზოგადოებრივი და მეცნიერული ღვაწლი მიუძღვის, შეიძლება მას სკოლის კედლებიც არ ენახოს! ესეც ტყუილია! და ძალიან ვწუხვარ, რომ რევოლიუციის ბელადი საქართველოს კომუნისტურ პარტიისათვის და ამავე პარტიის მუშაკიც პ. საყვარელიძე შეცდომაში შეიყვანეს ასეთი პროვოკაციით და ამაზე დასტური დააცემინეს! ყველა ამეების შემდეგ რაღა დარჩენია პროფესორთა საბჭოს, რომ ვინც მას კათედრას სთხოვს, თუ უკანასკნელს არც მეცნიერული და არც საზოგადოებრივი შრომა მიუძღვის, რომ არ გამოსცადოს და ისე არ მიიღოს. ამავე მიზეზით აიხსნება ისიც, რომ გრ. რობაქიძეს და კ. გამსახურდიას უარი განუცხადეს ლიტერატურის ისტორიისა, ეთიკისა და სხვის ლექციების კითხვაზე, ვინაიდან ჩვენს საამაყო პროფესორთ კარგად ესმით, რომ მეცნიერებას და პოეზია-ხელოვნებას თავისებური ჩარჩოები აქვს და პოეტი მეცნიერად ვერ გამოდგება, თუ მას საამისო ცოდნა არ მიუღია! საკითხავია ახლა, ეს დასაძრახისია, თუ უნდა კათოლიკურ სამღვდელოების დოგმატიზმი არ გამოგვევიდეს, სადაც უმთავრესად ამ დოგმატიზმის მოწინააღმდეგენი გამოდიოდნენ. ავიღოთ მაგალითისათვის ფილოსოფოსი დეკარტე, რომელიც კათოლიკურ დოგმატიზმით იზრდებოდა და მის გარეთ არაფერს ასწავლიდენ, მაგრამ მასზე საშინელი მტერი მეცნიერულად იშვიათი მოვლენებია კათოლიკურ დოგმატიზმს. აიღეთ, თუ გნებათ, ჩვენი რევოლიციონერები, საქართველოს მუშათა კლასის ბელადები ამხ. ფილიპე მახარაძე და ამხ. მიხა ცხაკაია, რომელნიც სწავლობდნენ სემინარიაში და უკიდურესი რევოლიციონურ-კომუნისტები გამოვიდნენ. ასეთი მაგალითები ისტორიულად მრავალია და მე მეშინიან, რომ მარქსიზმიც ასეთ საფრთხეში არ ჩავაყენოთ. ამისათვის საჭიროა, რომ ყველა საგანს ჩვენი პროფესორი ობიექტურად ხსნიდეს და ასწავლიდეს იქ მყოფ სტუდენტობას, რომ მათ თავისით შეიძლონ თეთრისაგან შავის გარჩევა და ჩვენი ყველა პროფესორი ასეთია. მაგ., ჩვენი თანამშრომელი სტუდენტი მიცხადებს, რომ როდესაც ნუცუბიძე ფილოსოფიის შესავალს კითხულობს, ვერ გაიგებთ, რომელ მიმართულებას ეკუთვნის პროფესორი, ვინაიდან ივი ცალ-ცალკე ისე ხსნის ამა თუ იმ მიმდინარეობას, რომ თითქოს ყველას იზიარებს და სწორედ ასეთი უნდა მასწავლებელი და, მით უმეტეს, უმაღლეს სასწავლებელში. ჩვენ აქ დასამდური და გასაკიცხი კი არა, პირიქით, სამადლობელი და მართლა საამაყო პროფესორები გვყავს! საჭიროა ვიცოდეთ, ჩვენი პროფესორები წარმოადგენენ თუ არა პოლიტიკურად რაიმე საშიშროებას! ამ მხრივ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ არა! ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ აგვისტოს გამოსვლებში პროფესორთა მიერ გამოცემულმა დეკლარაციამ დიდი სამსახური გაუწია საბჭოთა ხელისუფლებას. პირადად ჩვენ, საზღვარგარეთ მომუშავე საბჭოთა ხელისუფლების მომხრე მუშები, უმთავრესად მათ მიერ გამოცემულ დეკლარაციით ვამარცხებდით მოწინააღმდეგეებს და დღესაც მთელ მსოფლიოს თითქმის გადაავიწყდა აგვისტოს გამოსვლები, მაგრამ მათი დეკლარაცია ისევ დიდ როლს თამაშობს საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოთ! აიღეთ, თუ გნებავთ, საკავშირო სესიაზე პროფესორ ჯავახიშვილის გამოსვლა და მხურვალე სიტყვით მიმართვა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, აგრეთვე, ლენინის გარდაცვალებისას მთელმა ქართველ პროფესორთა კადრმა პირველმა მიუსამძიმრა ა/კ. ცაკს. ყველა ესენი დიდი მნიშვნელობის მჭონეა და სრულიად აჭარწყლებს იმ შიშს, რომელიც ზოგიერთებს ჰგონიათ! გარდა მაგისა, საზღვარ-გარეთიდან ჩამოსულ დელეგატებს სულ მუდამ თარჯიმანად ჩვენ უნივერსიტეტის მოღვაწენი ჰყავს სხვა და სხვა მთავ-

რობის დაწესებულებებში თუ ფაბრიკა-ქარხნებში, რის დროსაც მათ შეუძლიათ, თუ კი ისინი რეაქციონერები არიან, ისარგებლონ ამით და დელეგატები შეიყვანონ შეცდომაში, მაგრამ ასეთი ჯერ არაფერი მომხდარა და ისინი მუდამ პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ეს ძალიან საგულისხმოა და კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ სხვა და სხვა მიზეზებით გადამტერებულებს და უკმაყოფილო პირების ენის ტანიანობას არ უნდა ავყვეთ, თორემ ასეთი უცაბედი და უსაბუთო გამოსვლებით ხელს შეუშლით და გულს გაუტეხთ ჩვენს პროფესორებს, რითაც ჩვენს ნორჩს პროლეტარულ სახელმწიფოს მრავალ ზიანს მივცემთ. დანგრევა და დაშლა ადვილია, მაგრამ მისი გაკეთება ძნელია!

როგორც ლენინმა და სტალინმა დაამტკიცეს, ეროვნულ დედა ენაზე ყველასათვის უფრო ადვილია მეცნიერებისა, კულტურისა და სხვ. შესწავლა და განვითარება. ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ, ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ბოლშევიკურმა პარტიამ დააარსა საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკები, რომლის ერთი თანასწორი წევრი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა არის. ლენინიზმის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა და მას ყველაზე მეტი უპირატესობა აქვს ადგილობრივ. ქართულ უნივერსიტეტში ყოველგვარ მეცნიერებას სტუდენტი უნდა სწავლობდეს ქართულ ენაზე, მხოლოდ, ამასთან ერთად, ყველა ფაკულტეტზე უსათუოდ უნდა იყოს რუსული საგნის შესწავლაც, როგორც საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკების საყოველთაო ენა. მხოლოდ ჩვენ ამით არ უნდა გადავაჭარბოთ და არ უნდა გადავსცდეთ ლენინიზმს. საკავშირო საბჭოთა ეროვნულ რესპუბლიკების უფლებისა და მათი ენების თანასწორობის დასამტკიცებლად ლენინი სწერდა 1913 წელს, რომ „არც ერთი ბეწო პრივილეგია არც ერთ ერს და არც ერთ ენას“ (იხ. ლენინის ეროვნული საკითხი. ქართული გამოცემა 1924 წლის, გვ. 32).

მარტო რუსული ენის კი არა, რომელთანაც ჩვენ მჭიდროთ დაკავშირებული ვართ, უცხო ენების ცოდნაც, მაგ., გერმანულის, ფრანგულის და სხვა გვჭირდება და აუცილებელიც არის, როგორც მეცნიერების უფრო ფართეთ შესწავლისათვის და ცხოვრებაში ბრძოლის იარაღათ გამოყენებისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსულ ენაზე უფრო უცხო ენები იყოს ჩვენთვის საჭირო. ეს ჩვენმა პროფესორებმაც კარგად იციან და მას არც უარყოფენ და საინტერესოა რომ ვიცოდეთ, საიდან მოდის ის ბრალდება, რომ მათ რუსული ენა ევჯავრებათ და სცდილობენ მის აღმოფხვრას და უნივერსიტეტშიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და სხვა. ესეც სრულიად მოკლებულია სიმართლეს. მე, როგორც მუშა, ვაცხადებ, რომ ქართველ ხალხს და ჩვენ პროფესორებსაც არავინ უყვართ ისე და არც ერთ ერთან არ არიან ისე კეთილ განწყობილებით, როგორც რუსის ერთან და რუსის ხალხთან. ეს თუნდა იქიდგანაც სჩანს, რომ ყველა ქართველი ახალგაზრდა სცდილობს რუსული ენა უსათუოდ შეისწავლოს და ამ ენაზე ილაპარაკოს. ვინც უნივერსიტეტის გამოცემულ ჟურნალზე მხოლოდ გერმანული და ქართული წარწერა ნახა, სამწუხაროდ, ალბად მას არ ჰქონდა შემთხვევა, რომ რუსულ ქართული წარწერით გამოცემული წიგნიც ენახა. პირიქით, როგორც ვიცით, ჩვენი პროფესორები თავის საკუთარ ჯამაგირიდან იღებენ 4% ასეთ გამომცემლობისათვის. თუ მაინც და მაინც ეს მიუღებელია, ჩვენ ვიტყვით, რომ ასეთი მოვლენა საყოველთაოა. გერმანულ, ფრანგულ და სხვა უცხო ენებზე წარწერებია თვით დღევანდელ რუსეთის უნივერსიტეტებშიაც და თუ კი ეს შეიძლება ლენინგრადსა და მოსკოვში, რატომ ტფილისში არ შეიძლება? იგივე საბჭოთა ქვეყანა არ არის? დღევანდელ მსოფლიო ენებათ აღიარებულია გერმანული, ფრანგული და ჩვენ ამ ენებზე წარწერილს მხოლოდ დასკვნებს ვხედავთ, ეს იმიტომ, რომ ყველასათვის გასაგები იყო.

ისე რომ, ამ მხრივ გალაშქრება პროფესორთა წინააღმდეგ უსამართლობაა! ყოველ ფაკულტეტზე რუსულ ენას გადიან, როგორც საგანს და ამ მხრივაც უნივერსიტეტს არავითარი ცილის წამება არ დაუმსახურებია! არის ინტერნაციონალური ჩვენი უნივერსიტეტი თუ არა? უსათუოდ არის! აქ ასწავლიან სომხურს, აფხაზურს, თათრულს და სხვა. სომხურ ფილოლოგიას კითხულობს ამავე ენაზე მელიქსეტბეგი. საინტერესოა ვიცოდეთ, ყველა რომ ქართველებს უკიჟინებს, თვით სასომხეთში ან ადერბეიჯანში გადიან თუ არა ქართულს! იქ ხსენებაც არ არის! ქართული უნივერსიტეტი კი დღიდან დაარსებისა, სულ მუდამ გადიოდა მეზობელ ერების ენებს „მეცნიერულად დაკავშირებისათვის", მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენი მეზობელი ერები არ სცდილობენ ჩვენთან „მეცნიერულად დაკავშირებას" და აი, ამ დეეიზის წამომყენებელი, პირველად ყოვლისა, ამ საკითხს იმას უნდა უყენებდეს, ვინც ამას არ ანხორციელებს და ყოველ შემთხვევაში, როდესაც საგანზე წერისათვის ემზადება, მოემზადოს, გაერკვიოს საკითხში, ასწონ-დასწონოს და ისე დაიწყოს პრესაში გამოსვლა, რომ მას, მისდა უნებურად, პროვოკაცია არ გამოუვიდეს! ჩვენ უნივერსიტეტშივე რუსულად კითხულობს პოლიექტოვი დასავლეთ ევროპის ისტორიას და ვენერიულ ავადმყოფობის კათედრა უჭირავს ბიუგრსდოფს, რომელიც აგრეთვე რუსულად კითხულობს და აი, ყოველივე ამით კარგათ სჩანს, თუ რაოდენი შოვინისტური სული ტრიალებს ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში და არა ინტერნაციონალისტურის! საგულისხმოა აგრეთვე ისიც, როდესაც შიგ სწავლის მეთოდსაც ეხებიან, უმთავრესი მითითება იმაშია, რომ აქ პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობა არ სწარმოებს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვით, ვინც ამაში ჩახედულია, ის ამას ვერ იტყოდა, ეს მხოლოდ ტყუილი უნდა იყოს. პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულია ყველა სპეციალური ფაკულტეტები, ასე მაგ., 1) აგრონომიულ ფაკულტეტს თვით უნივერსიტეტის მოთხოვნილებით და ინიციატივით გადაცემული აქვს მუხრაანში მამული, ამ მამულზე ყოველწლიურად იგზავნება 300 სტუდენტი. მიუხედავად იმისა, რომ მიწად-მოქმედების განყოფილებიდან უნივერსიტეტმა ჩაიბარა სრულიად გაპარტახებული მამული, დღეს იგი მშვენივრად დამუშავებულია და ვისაც იგი უნახავს, ამაში დარწმუნდება და გაკვირდება კიდევაც! სპეციალურ ფაკულტეტებზე ვერ გადავა სტუდენტი, თუ მას პრაქტიკულები ჩაბარებული არა აქვს და თუ ამას არ ასწავლიან, მაშ რაღათ სთხოვენ ჩასაბარებლად! 2) მედიკურ ფაკულტეტს ხელშეკრულება აქვს დადებული ჯანსაკომისარიატთან და მთელი თბილისის საავადმყოფოები ქართულ უნივერსიტეტის ხელშია, გარდა კამოსა და სამხედრო „რკინის გზის ცხოვრების სისტემა" და სხვა. საერთოდ კი ნათელსაყოფად ესეც კმარა და ვინც ეს აქამდის არ იცის, უნივერსიტეტი რა შუაშია, რომ მის მთელ შემადგენლობაზე იერიში მიაქვს. ასეევა სხვა ფაკულტეტებზედაც, მაგრამ ჩვენ რომ დაწვრილებით მოვყვეთ, ისედაც გრძელი წერილი გაგრძელდება. მხოლოდ ერთი კი უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენი სტუდენტობა კი არ გაურბის პრაქტიკულ მუშაობას, მას ეკონომიურ გაჭირვების გამო და ამისათვის ყოველდღიურ ლუკმაპურისათვის ბრძოლაში არა აქვს საშვალება პრაქტიკულებზე განუყრელად იაროს. ჩვენ ვიცით, რომ მთელი სტუდენტობის 80% მთაურობის აპარატის ამა თუ იმ დარგში მსახურებს და ბევრს ფრიად საპასუხისმგებლო ადგილი უჭირავს! მაშასადამე, როგორც ხედავთ, სტუდენტობა კი არ გაურბის პრაქტიკულ მუშაობას („ვითომც იგი მას არაფერს აძლევდეს და იმიტომ!"), არამედ ლუკმა პურის არსებობისათვის ბრძოლა მას ათმობინებს ასეთ მუშაობას და, სამწუხაროა, როდესაც ამ მოვლენებს იყენებენ უნივერსიტეტის წინააღმდეგ, რაზედაც მას ბრალი სულაც არ მიუძღვის! რაც შეეხება ლაბორატორიულ მუშაობას, აქ საკითხი უფრო მწვავედ სდგას, რომელი სულელი უარყოფს ამას? მაგრამ, სამწუხაროდ, უნივერსიტეტს

არა აქვს ფული, რომ იგი მრავლად მოაწყოს. ამაზე სათანადო ადგილას ბევრჯერ აღძრულა საკითხი, მაგრამ უშედეგოთ, ვინაიდან იგი დიდ ხარჯებს მოითხოვს და სახელმწიფოს ვერ მიუღია ჯერ-ჯერობით. ლაბორატორიებში მუშაობა მოითხოვს მთელ დღეებს და საამისოთ, როგორც მოგახსენეთ, რომ იყოს კიდეც, ალბად იგივე სურათი იქნება, რაც პრაქტიკულ მუშაობის დროს ხდება ხოლმე, მაგრამ მაინც კარგია! და ყველა პროფესორიც დიდი სურვილით მოითხოვს მის განხორციელებას, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ეს ისევ სურვილათ რჩება. ასე რომ, როგორც ხედავთ, უნივერსიტეტის სისტემა და პროფესორთა საბჭო სრულიად არ სტყუის ამ საკითხშიც! და ბოლოს, ჩვენი წერილის დასრულებისას მინდა მოგახსენოთ კეთილი რჩევა, სახელდობრ ის, რომ დღეს ჩვენ უნდა ვსცდილობდეთ მასების დამორჩილებას, ვინაიდან ჩვენი საბოლოო სიმტკიცე მათზეა დამყარებული და ჩვენ კი, პირიქით, ასეთი გამოსვლებით გულს ვუცრუებთ და დამერწმუნებით, საქართველოს შეგნებულ ნაწილზე, ვისაც კი ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტს, ასეთმა წერილობითმა გამოსვლებმა ცუდად იმოქმედა და ააღელვა იგი, რაც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი! ვიტყვი კიდევ ერთს, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს ადმინისტრატიულად და პოლიტიკურად სასტიკ კანტროლის გავლენის ქვეშ, რომ ჩვენ პროლეტარულ მეცნიერების განვითარებას ხელი არავინ შეუშალოს და ყველა თავის ადგილზე იქნას. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჩვენი ქართველი პროფესორები მუდამ მტკიცეთ იდგება საბჭოთა ხელისუფლების გვერდზე და საბჭოთა საქართველოს ის მისცემს პროლეტარულ მეცნიერებით და კულტურით აღჭურვილს მუშურ გლეხურ ახალ თაობას.

ვ. ალიხანაშვილი

31 მაისი – 1926 წელი
ქ. ტფილისი

სუიცსა, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 125, ფურცლები 17-26. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

5. ამხ. სერგო ორჯონიკიძეს

1 ივლისი – 1926 წ.

ქ. ტფილისი

სასწრაფოთ გადავდგათ გადამწყვეტი ნაბიჯი ქართულ ემიგრაციის დასაშლელათ

ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს საზღვარგარეთ მყოფი რუსის, სომხის, თათრის და ქართველი ემიგრაციის მეთაურები, ერთად შეთანხმებულნი, აწარმოებენ მძაფრ ბრძოლას საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკების წინააღმდეგ. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ზემოჩამოთვლილ ემიგრანტებს შორის აქვს სხვა და სხვა მნიშვნელობა საზღვარგარეთელ ბურჟუაზიულ სოციალისტებსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოების წინაშე. ქართველი მენშევიკური ემიგრანტების მეთაურები მეტი პრივილიგიებით სარგებლობენ მეორე ინტერნაციონალის ბელადებთან მოლაპარაკებისა და კავშირის დაჭერის დროს, მეორე ინტერნაციონალის, ბურჟუაზიულ სულისკვეთებით გაჟღენთილი სოციალისტები, ქართველ მენშევიკურ ემიგრაციას უწყობენ მოლაპარაკებას, უქმნიან კეთილს განწყობილებას კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან და ცრუ იმედებით ასაზრდოებენ მათ!.. ამრიგათ, ქართველი ემიგრანტები, როგორც უფრო მეტი პრივილიგიებით აღჭურვილნი, ახერხებენ თვის გარშემო შემოკრებას რუსის ემიგრაციის მეთაურებისას, სომხისას, თათრისას და სხვას, ირაზმებიან, ჰქმნიან ორგანიზაციებს და აწყობენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ათასგვარ მახინაციებს და პროვოკაციას. მაშასადამე, თითქმის მთელი ბრძოლის შეთანხმება და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთათ მოქმედებას აერთებს და აყალიბებს ქართველ ემიგრაციის მესვეურები ათი თვის წინად. როდესაც მე ემიგრაციიდან დავბრუნდი, მაშინაც აღვნიშნე და ახლა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ მხრივ, განსაკუთრებით საქართველოს საბჭოთა მთავრობას, მართებს უდიდესი ყურადღება, რომ რაც შეიძლება დააჩაროს ემიგრაციის სამუდამოთ დაშლა. ეს საჭიროც არის ორი მოსაზრებით: 1-ლი. საზღვარგარეთ მყოფი მუშურ-გლეხური ელემენტები ჯერ კიდევ უჯერიან იმ ბელადებს, რომელთაც ატყუებს კაპიტალისტური სახელმწიფოები და ცრუ სოციალისტები, ხოლო ზემოხსენებულს მუშებსა და გლეხებს კი თავის მხრივ ატყუებს და გაურკვეველს გზაზე აყენებს მათი მეთაურები, ვინაიდან მუშები და გლეხები უყურებენ და ხედავენ, რომ ემიგრაციაში მათი მეთაურები ხელს არ იღებენ მავნე ბრძოლისაგან და ფიქრობენ: „მათ ალბათ აქვთ რაღაცის იმედი, რომ იბრძვიან, თორემ სულელები ხომ არ არიან, კედელს უსაფუძვლოთ თავი ახალონო!“ 2-რე. არა ნაკლებ გაურკვეველობაშია ჩავარდნილი საქართველოს ზოგიერთი მცხოვრებნი. ამათ გონიათ, რომ იქ რაღაც ხდება და მათი გაქცეული მთავრობა იბრძვის ისევ დამოუკიდებელ საქართველოსათვის და ეს ბრძოლა შეიძლება მათი გამარჯვებით დათავდეს! მაშინ თავის თავათ ისმება კითხვა: რა მოელით მათ, ვინც საბჭოთა ხელისუფლებისაკენ გადავა? რასაკვირველია, მოელის მას სასჯელი. ასე და ამგვარათ გაურკვეველ მდგომარეობაში ჩაცვივნული ზოგიერთი გლეხები და მუშები ვერც მენშევიკებისკენ გადასულან და ვერც ბოლშევიკებისკენ და არიან გაჩერებულნი შუა წყალში და რაღაც ცრუ იმედების მოლოდინში! საჭიროა მდგომარეობის ასეთ ყოფნას მიექცეს ყურადღება და საბჭოთა ხელისუფლებამ შეეცადოს ქართველ ემიგრაციის დაშლა რაც შეიძლება მალე! ჩვენთვის აშკარაა,

რომ არც საზღვარგარეთის სახელმწიფოებში და არც ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში არავითარი გავლენის მოხდენა ან და პოლიტიკურად არავითარი მნიშვნელობის მქონენი არ არიან ქართველ ემიგრაციასთან შედარებით სომხისა, თათრისა და რუსის ემიგრაცია, მათ იქ იმდენ ყურადღებას და პოლიტიკურ ღირებულებას არ აძლევენ! აქვე ჩვენს რესპუბლიკებში არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ, ვინაიდან როგორც რუსეთში, ისე ადეირბეიჯანში და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დიდი ხნის დამყარებულია! მხოლოთ თუ დაშნაკცაკანები და მუსავატელები იქ კვლავ მოქმედობენ, იგინი უსათუოდ იმყოფებიან ქართველ მენშევიკურ ემიგრაციის გავლენის ქვეშ და მათი შემწეობით იბრძვიან! უნდა ვეცადოთ, ის ძალა დავშალოთ, რომელნიც ხელს უწყობენ სხვა და სხვა რეაქციონერებს, შოვინისტებს, თეთრ გვარდიელებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ საჭიროა ქართველ ემიგრაციის დაქსაქსვა, დაშლა და მისი სახლში მოყვანა საჭაროდ დღესვე! არც ერთი წუთით არ უნდა დავივიანოთ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასეთი ხელსაყრელი მომენტია ახლა შექმნილი! იმედ გაცრუებული კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობა და გრ. ვეშაპელის ტერორით სიკვდილი უსათუოდ დააჩქარებს ემიგრაციის დაშლას, ვინაიდან იქ მყოფთ ფსიქოლოგიური მშვიდობიანობა ძირ-ფესვიანად შერყეულია და თუ კი ჩვენ საზღვარგარეთ გვექნება მუშაობა გაჩაღებული, დარწმუნებული ვიტყვით, რომ ემიგრაციის დაქსაქსვა და შემოერთება საბჭოთა ხელისულებასთან უზრუნველყოფილი იქნება. დღეს ჩვენ, ამ ფაქტების წინაშე მდგომარეებმა, უნდა ვაწარმოოთ ქართველ ემიგრაციაში დაკვრითი მუშაობა. ნუ გაუშვებთ ამ ხელსაყრელ მდგომარეობას ხელიდან, „თონე მანამ ცხელია, პურს მაშინ მიიკრავს!“ ხოლოდ ვიდრე ამას დავიწყებდით, საჭიროა ანგარიში გაუწიოთ ემიგრაციის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მის მოთხოვნილებას. ჩემი იქ მუშაობის დროს მრავალჯერ მჭონია შემთხვევა, როდესაც ამხანაგები მეუბნეოდნენ, მაგ., ვლასა მგელაძე, გიორგი ფოფხაძე, არ. არაეიაშვილი, გ. ერაძე და სხვები, რომ „მიგვიყვანეთ ქართველთან და ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქვს რა მოლაპარაკების დასაწყებადო“. იყო შემთხვევა, როდესაც მუშები მოითხოვდნენ, ა/კ. წარმომადგენელ ფირომოვთან ნუ მიგვიყვან, ჩვენ მიგვიყვანეთ ბუდუ მდივანთან და საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენ შეურიგდებითო! რასაკვირველია, ეს შოვინიზმს არ უნდა მივაწეროთ, არამედ ეს ერთგვარი ინსტიქტიური თუ ფსიქოლოგიური ლტოლვაა უცხოეთში, რომ ქართველმა ქართველთან დაიწყოს თავის დედა-ენაზედ სადავო კითხვებზედ მოლაპარაკება, ამით იგი უფრო ერთგვარ სულიერ კმაყოფილებას გრძნობს. ამას უსათუოდ უნდა გაუწიოთ ანგარიში და რომ ასეთი შემთხვევებს პარიზში მართლა ჰქონდა ადგილი, ამას დაადასტურებენ ის ამხანაგები, რომელიც ჩემთან ერთად და ჩემ შემდეგ დაბრუნდნენ ემიგრაციიდან საქართველოში. ესეც რომ არ იყოს, მე თამამად ვიტყვი, რომ 3 წლის განმავლობაში სრულიად შეიძლებოდა ემიგრაციის დაშლა, მაგრამ ამას ხელს უშლიდა საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელის უყოლობა და ამის შემდეგაც რომ ღოღობერიძეს და მიწიშვილს არ ეწარმოებინათ მოლაპარაკება ჩვენთან, პირველ ჯგუფ მუშებთან, შეიძლება მდგომარეობა ესე არ შექმნილიყო. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ლევან ღოღობერიძის ჩამოსვლამდე პარიზში ვერ მოხერხდა ფირუმოვის საშვალებით იმის გაკეთება, რაც ამ ჟამად გაკეთებულია.* ჩვენ, რასაკვირველია, სრულებით წინააღმდეგი არა ვართ, რომ ფირუმოვი იყოს წარმომადგენელი ა/კ.

* ასევე იქნებოდა პრაგაში, რომ იქ ამხ. დათიკო ლომაძეს არ ეწარმოებინა დაუღალავი მუშაობა ქართველ ემიგრაციის შორის, რომელმაც, იქვე პრაგაში დაარსა საბჭ. საქ. მოქალაქეთა კოლონია და ბოლოს, პარიზშიც ლ. ღოღობერიძის წამოსვლის შემდეგ მანეე, ლომაძემ შესძლო ემიგრაციაში დიდი მუშაობის ჩატარება, რასაც არა ქართველი არ გააკეთებდა.

მთავრობების სახელით; მხოლოდ მინდა მოგახსენოთ, რომ აუცილებლად საჭიროა ქართველი ბოლშევიკი ქართველი ემიგრაციაში სამუშაოთ! არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსული მუშები ემიგრაციიდან დაბრუნებისას საჭიროებენ ათასგვარ მოწმობებს და ვიზებს, რაც აგვიანებს მათ სამშობლოში დაბრუნებას და ეს კი არა სასურველ ატმოსფერას ჰქმნის, ვინაიდან თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ვინც მენშევიკურ ბიუროს კარიერისტ მესვეურებს გადუდგება და საბჭოთა პლატფორმაზე დადგება, მას ათასგვარად ავიწროვებენ და ტერორებს უნიშნავენ, რასაც უსათუოდ შეასრულებენ, თუ იგი დღიდან თავის რწმენის შეცვლისა ოთხი თვე კიდევ დარჩა ემიგრაციაში (რაც ხშირად ღღეს ხვდება!). მოიგონეთ 1921 წლიდან დაწყობილი 25 წლის აგვისტომდე ჩვენს წინააღმდეგ თავდასხმები, ტერორები და დევნა, ამიტომ იგინი თავიანთ თავის განწირვას და სიკვდილს ისევ მათთან ძალაუნებურად დარჩომას და თანაგრძნობას რჩეობენ, რა გვარადაც ავანტიურისტები არ უნდა იყვნენ მენშევიკები. საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა კი ყველას არ შეუძლიან. ჩვენ შევსძელით ასეთი ბრძოლებს დავხვედროდით და ყველაფერი აგვეტანა, მაგრამ ყველას ვერ მოვთხოვთ ამას. აქ უკვე სასიკვდილოთ არის თავის გადადება საჭირო, რასაც მეტი ნაწილი კაცობრიობისაც კი ასე ადვილად ვერ გაბედავს! ამიტომ საჭიროა ამას მივაქციოთ ყურადღება და გავაადვილოთ, გავამარტივოთ ტეხნიკურად საბჭოთა ხელისუფლებისაკენ გადმოსულ მუშებისა და გლეხების სამშობლოში დაბრუნება, თორემ ბევრი დღეს ასეთი ხანგრძლივი და გაჭიანურებული დეკლარაციების, განცხადებების საშვალებით დაბრუნების გამო ვერ ბედავს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას და ძალაუნებურად მტრის ბანაკში რჩება! გარდა მაგისა, კიდევ საჭიროა დიდი ყურადღება მივაქციოთ ემიგრაციაში ქართული გაზეთის გამოცემას. ქართულ გაზეთს ქართულ ემიგრაციაში დიდი როლის შესრულება შეუძლიან და საჭიროა გამომცემლობას და გამომცემელს სიფრთხილით და მიზანშეწონილად მივუდგეთ. როდესაც გრ. ვეშაპელი „ახალ საქართველოს“ სცემდა პარიზში, იქ მყოფი ამხანაგები, განსაკუთრებით ნიკო ელიავა და ცინცაძე მეუბნეოდენ, რომ „ჩვენ მაგასთან რა მიგვიყვანს და რად ვითანამშრომლებთ, ეგ გუშინდელი რეაქციონერი და დაუძინებელი მტერი იყო ჩვენი და მომავალშიც საშიში იქნებაო“. ამიტომ ასეთ ფაქტის შემდეგ შეუძლებელია გაზეთის გამომცემლობა ჩავაბაროთ ისეთ პიროვნებას ან პირებს, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, რაიმე მტრული განწყობილებით იყვნენ მუშათა პარტიის მიმართ! ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ჩვენ შევადგენთ ერთგვარ კოლექტივს ძველი მომზადებული მუშებისას, რომელიც ყველას ეყვარებათ და ყველანი ენდობიან და უფრო მეტ ანგარიშსაც გაუწევენ.

ასე და ამგვარად, საჭიროა საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გადადგას ქართველ ემიგრანტების, კარიერისტურ რეაქციონურ ჯგუფების წინააღმდეგ გადამწყვეტი ნაბიჯი, რომ შესაძლებელი გახდეს მათი პოლიტიკის სასიკვდილო ლაბერის ჩაცემა, მათი მოსპობა და ქართველ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი გაიძერა, ეგოისტი ბელადების დასამარება. ამისათვის მიმდინარე ღონისძიებათ იქნება შემდეგი:

1) რამიშვილის და ჟორდანიას კომპანია ატყუებს საქართველოში მენშევიკურს და ნაციონალისტს, მათ მომხრე ქართველ საზოგადოებას მეორე ინტერნაციონალისა და კაპიტალისტურ ევროპის ცრუ იმედებით, ხოლო მოტყუებულ ქართველ საზოგადოების ფსიხოლოგიურ მდგომარეობით და ილუზიებით იღებენ ინფორმაციას და ამ ყალბი ინფორმაციით ისინი, ე. ი. რამიშვილისა და ჟორდანიას კომპანია, ატყუებს კაუცკის, ვანდერველდელს, რეონდელს, მაკდონალდს და საერთოთ მეორე ინტერნაციონალს, ხოლოდ ამათ შემწეობით ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მთავრობებს! ამნაირად ევროპაში მყოფ ემიგრაციას და

საბჭოთა ხელისუფლების შორის არის სრულიად ყალბ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება და მძულვარება, ამას ბოლო უნდა მოელოს!

2) აუცილებლად საჭიროა, დაინიშნოს პარიზში ქართულ ემიგრაციაში მომუშავეთა ხელმძღვანელად და პასუხისმგებელ პირად ეროვნებით ქართველი, დიდი ავტორიტეტის მქონე რომელიმე ბოლშევიკი!

3) უნდა დაავარსოთ პარიზშივე ქართული ყოველკვირეული გაზეთი, რომლის რედაქტორი პიროვნება კი არა, მომზადებული მუშური კოლექტივი უნდა იყოს, რომელიც იქნება, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მარქსისტული თვალსაზრისით გამმუქებელი ყველა საკითხისა, რომ ამ კოლექტივს საზღვარგარეთ დაეცალოს იდეური და პოლიტიკური მუშაობა!

4) საჭიროა უსათუოდ საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსვლა. მუშებს, გლეხებს და სხვა გულწრფელ მოქალაქეებს გაუადვილოთ სამშობლოში დაბრუნება, რომ შესძლონ დღიდან რწმენის შეცვლისა, სამ დღეში მაინც გამომგზავრება, რათა ამით შესაძლებელი გახდეს, რომ ბევრი საღი ნაწილი ავანტიურისტების ბანაკში არა რჩებოდეს ტერორის შიშის წყალობით!

5) ვინაიდან კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობით და გრ. ვეშაპელის სიკვდილით მეტის მეტი ხელსაყრელი მომენტია შექმნილი, ამიტომ საჭიროა საბჭოთა საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყოს დაკრძითი წესით მუშაობა ქართველ ემიგრაციაში ზემოთ ჩამოთვლილ საკითხების სასწრაფოდ განხორციელებისათვის!

6) ხაზს გასმით უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ წარმომადგენლობაში უსათუოდ უნდა იყოს ყველა დიდი და პატარა მოხელე, სულ უბრალო გადამწერი და შიკრიკიც კი, უმაღლესად ზნეობრივად სპეტაკი, თავგანწირული მუშა, რკინისებური ხასიათით და პოლიტიკურად ძლიერ მომზადებული. გახსოვდეთ, რომ ყველა ფრანგი და ინგლისელი, გერმანელი და ამერიკელი თანამედროვე საბჭოთა ხელისუფლებას სჯის და აფასებს იმისდამიხედვით, თუ როგორია მისი წარმომადგენელი მათ ქვეყნებში! თუ წარმომადგენლობა არ ვარგა, მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლებაც არ ვარგა! თუ წარმომადგენლობა კარგია, მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლებაც კარგია! გვახსოვდეს ქართული ანდაზა, რომ „ერთმა მურტალმა თაგვმა ცხრა ქვევრი წაბილწა“-ო.

ვ. ალიხანაშვილი
1 ივლისი – 1926 წ.
ქ. ტფილისი

კვლავ ვიმეორებ, რომ როგორც პარიზში, საზღვარ გარეთ ემიგრაციაში, ისე საქართველოშიც არიან თვით საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე გადმოსულნი და ჩვენი მთავრობის ნდობით აღჭურვილნი მომუშავე პირები, რომელნიც, რაღაცა ფარული მოსაზრებიდან და კომბინაციებიდან გამომდინარენი, ხელს უშლიდენ და ხელს უშლიან დღესაც ემიგრაციის დაშლას, მის სახლში დაბრუნებას და მის მოსპობას, რადგან მღვრიე წყალში ორგვარ თევზის დაჭერას ფიქრობენ შოვინისტურს თვალსაზრისით და პირადი ჯიშის სასარგებლოთ!

ვ. ალ.

სუიცსა, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 125, ფურცლები 3-9. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

6. ფილიპე მახარაძის ნაშრომიდან „მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები“

(სიტყვა წარმოთქმული ქართველ მწერალთა კავშირის ყრილობაზე 1926 წელს)

პროლეტარულ მწერლების საყურადღებოთ უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა: პროლეტარული მწერლობა, შემოქმედება, დაიწყო მის შემდეგ, რაც რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო. აი, თითონ რაჟდენ კალაძე, რომელიც თითქო მხოლოდ პროლეტარულ კულტურას, პროლეტარულ მწერლობას სცნობს. თითონ რაჟდენ კალაძეს აქვს ისტორია დაწერილი, თუ როგორ გაჩნდნენ ჩვენში მუშა და პროლეტარული მწერლები. აიღეთ დაეითაშვილი. შემდეგ ჩვენ გვაქვს ხელნაწერი ჟურნალი, რომელსაც მუშები სწერდნენ. არ აკმაყოფილებდა მუშებს არც „ივერია“, არც „დროება“ და თითონ მუშებმა იწყეს საკუთარი პრესის გაჩენა. ეს არის ჩანასახი ამ პროლეტარული მწერლობის. პროლეტარული მწერლობა დაიწყო მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ბატონობდა ბურჟუაზია და მეფე, შემდეგ მოხდა მხოლოდ გაფართოება.

მაგრამ რომ აქ არ მოხდეს რაიმე გაუგებრობა, მე ვამბობ, რომ თავისთავად პროლეტარული მწერლობა მაშინ შეიძლება გამაგრდეს, იქცეს ძალათ, თუ ის შეითვისებს წარსულს. რომ ვთქვათ — რაც იყო მორჩა, გათავდა, აღარ არსებობს, არც რუსთაველი, არც ბარათაშვილი, არც დავით გურამიშვილი და ეხლა იწყება ახალი რამ — ამხანაგებო, ეს შეცდომა იქნება. მეორე — მე ბევრჯერ შემიმჩნევია, რომ პროლეტარულ მწერლებში, როგორც სჩანს, ბევრი ნიჭიერი მწერლები არიან და ისინი გახდებიან მომავალში კიდევ მეტი, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ისინი არ იყვნენ ყალბ ნიადაგზე. მეორე მხრივ ჩვენ ვამბობთ, რომ ყოვლად შეუძლებელია მხატვრული ნაწარმოები იყოს გარეშე ცხოვრებისა. ეს ყოვლად შეუძლებელია, რომ მან არ განიცადოს ის, რაც ხდება ცხოვრებაში — ეს წარმოუდგენელი არის. მესამე — ის, რომ ვლებულობთ ჩვენ თუ არა რევოლიუციას, როგორიც ის არის, რომელმაც ხალხში გაიდგა ფესვები, გაიდგა ისე მაგრათ, რომ არავითარ ძალას მისი აღმოფხვრა არ ძალუძს, რაც არ უნდა მოხდეს. წარმოვიდგინოთ, გადატრიალებაც რომ მოხდეს, ის, რაც დაიწყო, იმის შეჩერება შეუძლებელია, არ შეიძლება. როგორ უნდა მიუდგეს ამას ჩვენი მწერლობა? საჭიროა, რომ სრულიად საქართველოს მწერლები ერთ კავშირში შევიდენ, დააარსონ ერთი დიდი კავშირი. ამას ხელს არ შეუშლის, რომ აქ სხვადასხვა მიმდინარეობა არის, სხვადასხვა გვარი მიმართულება, ყველას ამათგანს, თუ საჭირო იქნება, შეუძლია ქონდეს თავის სექცია. მაგრამ ერთი კავშირი უნდა იყოს, რომელიც აერთიანებდეს ყველა მწერლებს. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მთავრობა მხარს უჭერს ყველა მიმდინარეობას მწერლობაში, ოღონდ კი რევოლიუციის ნიადაგზე იდგენ და მასთან არც ერთ მიმდინარეობას არ შეიძლება ქონდეს გეგემონობა. რასაკვირველია, არის გეგემონია პროლეტარიატის, მუშათა კლასის ბატონობა, მაგრამ ლიტერატურაში რომელიმე ჯგუფის ხელოვნურათ გეგემონობა შეუძლებელია. აქ არის ყველა მწერლები, რომელნიც კი ღებულობენ, მიიღებენ მომხდარ რევოლიუციას. აი, მთავარი საკითხი ამ ორ სიტყვაში გამოიხატება.

ფილიპე მახარაძე. თხზულებათა კრებული. ტომი V. სიტყვა-კაზმული მწერლობა და მისი კრიტიკა. სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1926, გვ. 245-246.

7 ИЗ ДОКЛАДА ПРЕДСЕДАТЕЛЯ ГРУЗГЭПЭУ Л. Берия ОТ 5 АПРЕЛЯ 1928 Г

О Госунте Грузии. Несмотря на все чистки и ограничения в приеме, все же состав студенчества на добрую половину – не наш. Принятые меры по оздоровлению Госунта оказались недостаточными, половинчатыми и поэтому не дали желательных результатов. Масса студенчества, обнимающая до 8.000 чел., в идеологическом отношении находится в большинстве под влиянием шовинистически-антисоветски настроенных слоев населения. Немалое число студентов, в той или иной форме, участвует в работе антисовпартий.

Наибольшим влиянием среди студенчества по-прежнему пользуются шовинистически-антисоветски настроенные профессора.

Профессор **Джавахишвили** буквально боготворится. Это настоящий кумир студенчества. Характерно, что во время торжественного заседания по случаю десятилетия Госунта, студенчество довольно холодно приняло т. т. **Ф. Махарадзе, Тедо Глонти** и других представителей власти, но стоило кому-то предложить выбрать в президиум проф. **Джавахишвили** (он сам отсутствовал), как зал буквально стал греметь долго несмолкаемыми рукоплесканиями и приветственными выкриками. Это весьма смутило тов. **Филиппа.** Тут-то он наконец мог на деле убедиться, на чьей стороне находятся симпатии массы студенчества и чья идеология ее пленяет. А то бывало раньше, докладываешь об истинном положении вещей в Госутне, а тебе говорят "не может быть"

С таким студенчеством еще много придется повозиться, и кто его знает, что можно ожидать от него в случае каких-либо серьезных осложнений в стране.

საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღწერა 4, საქმე 82, ფურცლები 59-60.
პირველად გამოქვეყნდა: газ. "Свободная Грузия", 7 февраля 1998, №37–38, стр. 3.

8. ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 წლის დღესასწაულის გამო

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი ათი წლის ისტორიას დღესასწაულობს. რამდენი კაცი, რამდენი ახალგაზრდა, რამდენი საზოგადო მოღვაწე მიიღებს გულითად მონაწილეობას ამ დღესასწაულში! უდიდესი ნაწილი ჩვენი მოზარდი თაობისა დღეს აღტაცებით გაიხედავს ტფილისისაკენ, სადაც არის ამ მოზარდი მოსწავლე თაობის მომავალი სამეცნიერო ტაძარი, მისი იმედი, მისი გონებით დავაჟკაცების უმაღლესი სასწავლებელი.

ნურავის ჰგონია, რომ 26 თებერვალს, როცა ზეიმი უნდა გაიხსნას ტფილისის უნივერსიტეტისა, ყველა ერთნაირი სიხარულით შეხვდება ჩვენი კულტურის ამ ერთ ბრწყინვალე დღეს. არა, ბევრს არ უნდა და არ სურს ჩვენი უნივერსიტეტის დღესასწაული, მას არ სწამს ეს უნივერსიტეტი იმიტომ, რომ ის აღარ ემსახურება მათ იდუმალ ზრახვებს. თავადები და შეძლებული ხელისუფლების ხალხი ასე ადვილად ვერ შეურიგდებიან იმ გარემოებას, რომ უნივერსიტეტი დღეს სახალხო დაწესებულებად გადაიქცა, მათ ვერ წარმოუდგენიათ, თუ მათი „წარჩინებული" შვილების გვერდით უმაღლესი განათლება უნდა მიიღონ მუშისა და გლეხის შვილებმა, რომელთათვის გუშინ სოფლის სკოლის კარებიც არ იყო გაღებული.

მაგრამ ჩვენი სტუდენტობის დიდი უმრავლესობის გვერდით, ჩვენი პროფესორების საკმაო ნაწილთან ჩვენი მშრომელი ხალხი ერთი სულით და ერთი გულით იდღესასწაულებს უნივერსიტეტის ათი წლის ისტორიას.

26 თებერვალი უეჭველად დიდი დღეა ჩვენი ახალგაზრდა კულტურისა და მეცნიერებისათვის. ეს დღე ძვირფასია ყველა ჩვენთაგანისათვის იმისთვის კი არა, რომ ამ დღეს ჩვენ მოვისვენებთ, სახლში დავჯდებით და ან რუსთველის პროსპექტზე გავისეირნებთ, არა. მუშამ და გლეხმა დღესასწაულიც არ იცის უქმად დროს გატარებისათვის, ამ დღეს ნამდვილად იქნება დიდი ფიქრი, დიდი მუშაობა, საზეიმო გამოფენა არა მარტო უნივერსიტეტში მოქცეული ძალებისა. არა, ამ დღეს მთელი მშრომელი საქართველო თვალს გადაავლებს თავისი კულტურის უდიდეს სავანეს, ანგარიშს გაუკეთებს მის წარსულ მუშაობას და როგორც თავის გულში, ისე საჯაროდ გამოსთქვამს თავის აზრს მისი მომავალი მუშაობისათვის.

ჩვენ, ვინც უნივერსიტეტში ვმუშაობთ დღეს, სრულებით არ ვამწყვდევთ ჩვენს დღესასწაულს მხოლოდ უნივერსიტეტის საშინაო საქმეთა ფარგლებში. თუმცა რას ვამბობ, რომელი საშინაო საქმე აქვს უნივერსიტეტს ისეთი, რომ ის არ იყოს ამავე დროს საშინაო საქმედ ჩვენი სკოლის ყველა საფეხურისათვის. დღეს უნივერსიტეტში თითქმის 8 ათასი სტუდენტი მუშაობს, 400-ზე მეტი პროფესორი და აღმზრდელი ჰყავს მას, ეს ხომ მთელი ლაშქარია, მთელი კონაა მთელი ჩვენი კულტურული ძალებისა? როგორ შეიძლება აქ საშინაო საქმეებზე ლაპარაკი? ვერ აღმოაჩენთ საქართველოს ვერც ერთ ისეთ კუნჭულს, რომლის შვილის სვე-ბედი არ იყოს უნივერსიტეტთან დაკავშირებული. ჩვენი მოძმე აფხაზები და თვალწარმტაცი აჭარის შვილები, ჩვენი ამხანაგი ოსები, სომხები, ებრაელები, რუსები ხელიხელგადაბმულნი ერთად ეწევიან კულტურის უღელს და გაერთიანებული ძალით წინ მიაქანებენ ჩვენი გაზრდის, ჩვენი განვითარების, ჩვენი აღმშენებლობის საქმეს.

დიახ, ჩვენი საშინაო საქმეები მთელი ჩვენი ხალხის საშინაო კულტურული საქმეებია. ჩვენ ვიცით, რომ ამ დღეს მთელი ჩვენი ხალხი და ჩვენ ხალხთან ერთად მთელი კავშირის ჩვენი მოძმე ხალხები ჩვენსკენ გაღმოიხედავენ და მოისურვებენ ჩვენი მიღწევების გასინჯვას, ჩვენთვის სამოქმედო გზის გაშუქებას, იმის მოგონებას, რაც ჩვენ გვაიწყდება ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. მაგრამ თუ ჩვენ ასე გარკვევით ვხედავთ ჩვენსკენ მომართულ მილიონ თვალებს, ჩვენც გვინდა ირგვლივ მიმოვიხედოთ, გავშორდეთ უნივერსიტეტის კედლებს და დავინახოთ, პირველ ყოვლისა, ის ლაშქარი, რომელიც არის მომავალი ჩვენი უნივერსიტეტისა.

უნდა გულახდილად ვთქვათ, ჩვენ შებოჭილი ვართ ამ წუთში უნივერსიტეტის დღევანდელი საკითხებით, მისი ახლანდელი მდგომარეობით, მაგრამ ჩვენს მუშაობას დღევანდელი დღის პირობებში მიზნად აქვს იმდენად არა აწმყო, რამდენადაც მომავალი. მომავალი ჩვენ გვიდგას წინ, მაგრამ მომავალის ხალხი დგას ჩვენს უკან, ჩვენს ახალს სკოლებში, ჩვენს საშუალო და დაბალ სასწავლებლებში.

ნება მოგვეცით ამ უახლოეს ჩვენს მომავალს მივაქციოთ ყურადღება. ჩვენ ვერც იგი აღვნუსხეთ, რომ უნივერსიტეტში ჩვენი მოზარდი თაობის დიდი ძალაა დაგროვილი. მაგრამ თუ ჩვენ უშუალო საქმე გვაქვს რამდენიმე ათასთან, ჩვენი მომავალი ათეულ და ასეულ ათასების ლაშქარს წარმოადგენს. ეს ასეული ათასი ახალი თაობა დღეს ჩვენს ახალ სკოლაშია მოქცეული.

რა არის ეს ახალი სკოლა, რა არის მისი ამოცანები, საით არის მისი გზა მიმართული? ეს კითხვები ძირითადი საკითხებია არა მარტო ჩვენი განახლებული სკოლის, არამედ ეს უმთავრესი კითხვაა თვით ჩვენი უნივერსიტეტისათვის. უნივერსიტეტი ჩვენი ახალი სკოლის მხოლოდ დამთავრებაა, იგი გვირგვინია ჩვენი მოზარდებისა და ვაჟკაცებისა და ამ გვირგვინის სიმტკიცე იმდენად იქნება უზრუნველყოფილი, რამდენადაც მტკიცე ნებისყოფის, საკმაოდ გაწვრთნილი და ნავარჯიშევი გონებით მოვა უნივერსიტეტში ახალი სკოლის ეს ახალი თაობა.

უნივერსიტეტი მოსთხოვს ჩვენი ახალი სკოლების ახალ შეგირდებს განსაკუთრებით დიდ მუშაობას, უნივერსიტეტის პროფესორთა შემადგენლობა მოითხოვს ახალ სკოლათა მასწავლებელთაგან მეტ ყურადღებას ყმაწვილებისადმი, ვინაიდან, პირველ ყოვლისა, თვით ჩვენი ახალი თაობის მომავალი მასწავლებელთა დაუღალავსა და უანგარო მუშაობაზეა დამოკიდებული.

მაგრამ როგორ გვესმის ჩვენ იდეა ახალი სკოლისა, რას გვაუალებს ჩვენ, უნივერსიტეტის მომუშავეებს, ეს იდეა? სიძნელენი ჩვენი აკადემიური მუშაობისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გვიწევს ისეთივე რეორგანიზაციის მოხდება მთელი ჩვენი კულტურა-განათლების საქმის, როგორც მთელი ეკონომიური ცხოვრების. ჯერ არ იცის კაპიტალიზმის ისტორიამ სოციალისტურ ნიადაგზე აგებული ეკონომიური ცხოვრება და ასევე არ იცის სოციალისტურ შემეცნებაზე აგებული სკოლა. ძნელია ახალი სოციალისტური სკოლის ჩამოყალიბება, მაგრამ სოციალისტური სკოლა ათავისუფლებს ახალ თაობას მთელ რიგ წინააღმდეგობებით აღსავსე შემეცნებიდან, უადვილებს მას შედარებით ნაკლები ენერგიის დახარჯვით ადვილად შეითვისოს მეცნიერული დებულებანი და, ამგვარად, შესაძლებლად ხდის ცხოვრების ძირითადი კითხვების შესწავლას. თუ ძველი სკოლა ცხოვრების ამოცანებს მხოლოდ კანტიკუნტად გაჰკრავდა კბილს, ახალი სკოლა ცდილობს, თვით სკოლა ცხოვრებად გადააქციოს, შეიყვანოს ცხოვრება სკოლაში და სკოლის საგნებად გახადოს არა ის, რისი მოჩვენება და წარმოდგენა შეიძლება ზღაპრებისა და სახარების საშუალე-

ბით, არამედ რასაც ბავშვი ხედავს ყოველდღიურ ცხოვრებაში და რისი დაკვირვება და დამუშავება მას შეუძლია უშუალოდ. ამგვარად, ჩვენი ახალი სკოლა ფანტასტიურის, სქოლასტიურის, იდეალისტურის ნაცვლად არის სკოლა კონკრეტი საგნების, სკოლა ისტორიული, სკოლა მატერიალისტური.

საქართველოს უნივერსიტეტი არ შეიძლება არ იყოს დამყარებული ასეთსავე ისტორიულს, კონკრეტულ და მატერიალისტურ პრინციპებზე. სკოლის პირველ და უმაღლეს საფეხურს შორის გენეტიური კავშირის გაბმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა დედაზრი ორივეს არსებობისა სავსებით ერთიდაიგივე იქნება. სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველოს უნივერსიტეტი, შეიძლება ითქვას, რამდენადმე ჩამორჩა საშუალო სკოლასაც. ტფ. უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წლის 8 თებერვალს (ახ. სტილით) მენშევიკების ბატონობის დროს. ჩვენ თავის დროზე ვერ გავითვალისწინეთ და ვერ წარმოვიდგინეთ უნივერსიტეტის მდგომარეობა, ჩვენ ვერ შევაფასეთ ის დანაშაულობანი, რომელიც მიუძღოდა მენშევიკების მთავრობას უნივერსიტეტისადმი, რომ ყოველი წუთის დაუკარგველად დაგვენგრია ის საფუძვლები, რომელზედაც უნივერსიტეტი იყო აგებული, უნივერსიტეტისათვის ჩამოგვეშორებია ის ძალები, რომელნიც სრულიად არ შეეფერებოდენ ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს.

უნივერსიტეტი დაარსდა, როგორც კერძო დაწესებულება. ამჟამად ყოველი კულტურული სახელმწიფო იმას გაურბის, რომ კერძო პირების ხელში შედარებით უბრალო დაბალი სკოლა არ დატოვოს, თორემ ვინ ნახავს სადმე იმის მაგალითს, რომ სახელმწიფოში არსებობდეს ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი და მის საქმეებს კი კერძო პირების ხელში აქცევდეს? ეს საოცარი ამბავი შესაძლებელი იყო მხოლოდ მენშევიკური მთავრობის სამეფოში. შეეძლოთ კი პირებს გაეთვალისწინებიათ ქვეყნის, ხალხის და სახელმწიფოს ინტერესები? რასაკვირველია, ვერა! უფრო მეტად საყურადღებო ის იყო, რომ უნივერსიტეტი არსებობდა ახლად, უნივერსიტეტის შესაძლებლობა გახადა რევოლუციამ, მაგრამ უნივერსიტეტის დაარსების საქმეს კი სათავეში ჩაუდგენ ის პირები, რომელთაც რევოლუციასთან და ახალი ცხოვრების ახალ მოთხოვნილებასთან არ ჰქონდათ არავითარი კავშირი. მხოლოდ მენშევიკების უთავბოლობამ მისცა ამ „უპარტიო“ პირებს საშუალება, დაეარსებიათ ისეთი უნივერსიტეტი, როგორიც მათ უნდოდათ. საგულისხმიერო ის არის, რომ მას შემდეგაც, როცა ტფილისის უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოაცხადეს, ე. ი. 1918 წლის 8 ოქტომბერს, უნივერსიტეტის დამაარსებლების, კერძო პირების მიერ შემუშავებულ პროგრამაში მენშევიკებს არავითარი ცვლილება არ შეუტანიათ. მეფეთა და ეკლესიათა ისტორია, რომელიც შეადგენდა მთავარ ღერძს სიბრძნე-მეტყველების ფაკულტეტზე, თავის დაღს ასვამდა უნივერსიტეტის შემოქმედებას. ახალი ქვეყანა მოითხოვდა ახალ სკოლას, ახალი ცხოვრება საჭიროებდა ახალ სიტყვას, მაგრამ უნივერსიტეტის სულის ჩამდგმელნი მიაქანებდენ ამ უმაღლეს სასწავლებელს საშუალო საუკუნეების კულტურისაკენ. ჩვენი უნივერსიტეტისათვის მენშევიკების სამი-ოთხი წლის ისტორია სრულიად დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს, სწორედ ისე, როგორც საქართველოს აღმშენებლობითი საქმეებისათვის დაკარგულია ის წლები, რომლებშიაც ბატონობდენ მენშევიკები.

ტფილისის უნივერსიტეტი, როგორც თანამედროვე ცხოვრებისთვის შესაფერისი დაწესებულება, გაიშალა მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს. მენშევიკების დროს მხოლოდ ორი ფაკულტეტი არსებობდა — სიბრძნისმეტყველებისა და პოლიტეხნიკური ფაკულტეტი, სოციალ-ეკონომიური და აგრონომიული ფაკულტეტი დაარსებულ იქნენ 1922-

1923 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა წყობილება ახდენდა დიდ გავლენას უნივერსიტეტის აკადემიური მუშაობის ხასიათზე, მენშევიკების დროს ჩაყრილმა საძირკვლებმა მაინც მოახდინეს ცუდი გავლენა უნივერსიტეტზე და ეს გავლენა საბჭოთა წყობილების პირველ ხანას აჩნევდა თავის დაღს. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ 1921 წელშიევე უნივერსიტეტის საქმეებს ჩადგომოდენ კომუნისტები, დღეს იქ იქნებოდა უკვე საკმაოდ მძლავრი სამეცნიერო დაწესებულება. მთელი პერიოდი უნივერსიტეტის ცხოვრებისა 1925 წლამდე მატერიალურის მხრივ მაინც არის პერიოდი გაყინვის და დაჩაჩანაკების.

1926 წლიდან ტფ. უნივერსიტეტს განაგებენ კომუნისტები. ამ შემთხვევაში ჩვენი მოწინააღმდეგენი ავრცელებდენ ხმას, რომ კომუნისტებს სურთ უნივერსიტეტის დანგრევა, დაღუპვა, სწორედ ისე, როგორც მთელ საქართველოს შესახებ ისინიეე ამბობდენ: კომუნისტებს სურთ საქართველოს დაღუპვაო. ახლა ვინ არ ხედავს, თუ რა მიზნები აქვთ კომუნისტებს უნივერსიტეტში. როგორც მთელ საქართველოს კომუნისტები მიაქანებენ ფართო ეკონომიურ აღმშენებლობითი გზისაკენ, ისევე საჭიროა კომუნისტებისათვის, სწორედ ისე, როგორც მთელი ხალხისთვის, კულტურული აღმშენებლობა, აყვავება და გაძლიერება უნივერსიტეტის.

ერთი დიდი დანაშაული უნივერსიტეტში კომუნისტებმა უკვე ჩაიდინეს: სრულიად მოსპეს მთელი რიგი საგნებისა, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ჩვენი ცხოვრების ნამდვილ მთხოვნილებებთან. ჩვენ არც ის ისტორია გვწამს, რომელიც მხოლოდ მეფეების და მინისტრების ყოფა-ცხოვრების იდეალიზაციით კმაყოფილდება და არ გვიხატავს იმ სოციალ-ეკონომიურ პირობებს, რომელშიაც ქართველი ხალხი ჰქმნიდა როგორც საქართველოს აწმყოს, ისე მის მომავალს.

ბევრი ფიქრობს, რომ ჩვენ გვაინტერესებს უნივერსიტეტში პოლიტიკა. დიახ, ჩვენ ვატარებთ უნივერსიტეტში პოლიტიკას, და თუ პოლიტიკა ღრმად და ფართოდ ვერ გავატარეთ უნივერსიტეტში, ეს იქნება ჩვენი დიდი შეცდომა და სიუძლურე. მაგრამ ჩვენს პოლიტიკას არავითარი კავშირი არ აქვს ძველს წარსულს ცხოვრებასთან. კმარა, რაც ქართველმა ხალხმა იგემა წარსული პოლიტიკის მეოხებით. ჩვენი პოლიტიკა არის პოლიტიკა სოციალიზმის, პოლიტიკა აღმშენებლობის, პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად აყვავების.

რა ხასიათს ატარებს ჩვენი პოლიტიკა უნივერსიტეტში? ჩვენი პოლიტიკა არის პოლიტიკა მეცნიერების სამსახურის, პოლიტიკა პოზიტიური ცოდნის, პოლიტიკა უნივერსიტეტის სამეცნიერო ტეხნიკური იარაღებით აღჭურვის. აბა დააკვირდით: მენშევიკების დროს არსებობდა ერთი სპეციალური დარგი (სამკურნალო), ხოლო ერთი ჰუმანიტარული, საბჭოთა წყობილების დროს არის ორი ჰუმანიტარული დარგი — პედაგოგიური და სოციალ-ეკონომიური, ხოლო სამი სპეციალური — სამკურნალო, პოლიტეხნიკური და აგრონომიული. გინდათ კიდევ უფრო კარგად გაიგოთ შინაარსი ჩვენი პოლიტიკისა უნივერსიტეტში? მაშ კარგად დააკვირდით შემდეგ ციფრებს. 1927 წელში ფაკულტეტის მხოლოდ სამეცნიერო იარაღებით მოწყობაზე და ჯამაგირებს გარდა სამეცნიერო მუშაობაზე დაუხარჯავს უნივერსიტეტის კომუნისტურ გამგეობას:

პოლიტეხნიკურ ფაკულტეტისათვის	22. 000 მანეთი
სამკურნალო	21. 000
აგრონომიულ	19. 500
სოციალ-ეკონომიურ	500

ბრმას არ შეუძლია ახლა არ დაინახოს, თუ რა ხასიათის არის ჩვენი პოლიტიკა უნივერსიტეტში. აბა კიდევ ახალი ცნობა: 1928 წლისათვის უნივერსიტეტის ნორმალური ბიუჯეტის გარეშე საგანგებოდ გადადებულია პოლიტეხნიკური ფაკულტეტისათვის 62.000 მანეთი, ხოლო ჰუმანიტარული დარგებისათვის არც ერთი კაპეიკი! ზედავთ ახლა მაინც შინაარსს ჩვენი პოლიტიკისას? თუ ამ ციფრებში აშკარად მოსჩანს ჩვენი პოლიტიკა უნივერსიტეტში, ახლა გავსინჯოთ ჩვენი პოლიტიკა სამეცნიერო ძალების მომზადების დარგში. ჩვენს უნივერსიტეტს ყველაზე მეტად სჭირია ჩვენი მომავალი სტუდენტობისათვის მეცნიერულად მომზადებული პროფესორები. 1928 წლის 9 იანვრის სხდომაზე ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, შეიმუშავა სია საგნებისა, რომელთა შესასწავლად უცხოეთში უნდა გაგზავნილ იქნას ჩვენი ახალი თაობა პროფესორებად მომზადებისათვის. პირველ რიგში უნდა გაიგზავნოს ახალი ძალები შემდეგი საგნების შესასწავლად:

ფარმაკოლოგია
ბაქტერეოლოგია
პათოლოგიური ანატ.
სასამართლო მედიცინა
ფსიქიატრია
თვალების ავადმყოფ-ნი
სტომატოლოგია
ბიოლოგია
ბოტანიკა
პედაგოგიკა-პედოლოგ.
ფიზიკა
ფიტოპათოლოგია
სატყეო ტექნოლოგია
ცხოველთა ქირურგია
ელექტრო-ქიმია
ხუროთმოძღვრება
ჰიდროტექნიკა
მეტალურგია
მანქანათა ნაწილები
ჰიდრავლიური მანქან.
მელიორაცია
ელექრო რკინის გზები
პოლიტიკური ეკონომია
საბჭოთა სამოქ. სამარ.
სისხლის სამ. და პროც.
სავაჭრო სამართალი
სტატისტიკა

დაკვირდით ძალიან კარგად ამ სიას: თუ თქვენ გესმით მნიშვნელობა ამ სიის, მაშინ გვიპასუხეთ — გესმით თუ არა აქაც შინაარსი ჩვენი პოლიტიკისა უნივერსიტეტში? რასაკვირველია, ჩვენი ასეთი პოლიტიკა ჩვენს მოწინააღმდეგეებს არ ესმით. განა ჩვენ ამ პოლიტიკას მარტო უნივერსიტეტში ვატარებთ? არა, თუ დაკვირდებით ჩვენს პოლიტიკას პირველი და მეორე საფეხურის სკოლებში, თქვენ იქაც დაინახავთ, რომ სპეციალისტების გაზრდის და ტეხნიკური განათლების საქმეს ჩვენ უპირველეს ადგილს ვუთმობთ. არა თუ წმინდა ტეხნიკურ ფაკულტეტებში, არამედ ჰუმანიტარულ დარგებშიც ჩვენ შეგვაქვს ეს ტეხნიკურ-მატერიალისტურ შემეცნებათა პრინციპები. აიღეთ ჩვენი სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი. ჩვენ ეს ფაკულტეტი დაყოფილი გვაქვს ოთხ ნაწილად: ნაწილები ფინანსიური, კოოპერატიული, სტატისტიკური და იურიდიული. არც ერთ ამ დარგს ჩვენ არ ვუყურებთ, როგორც დარგებს, სადაც მარტო თეორიული საკითხები ისწავლება. არა, თითოეული დარგი დაყოფილია სპეციალურ ნაწილებად, სადაც სტატისტიკოსი ზოგადი სტატისტიკის შესწავლის შემდეგ ისწავლის კონკრეტულად დემოგრაფიულ სტატისტიკას, სამრეწველო სტატისტიკას, სატრანსპორტო სტატისტიკას და ასე ქვევით. არ იფიქროთ, რომ ჩვენ ჰუმანიტარულ დარგებისათვის ვკმაყოფილდებით აუდიტორიებში ლექციების კითხვით, არა, ჩვენ ვგზავნით ჩვენს სტუდენტებს სტატისტიკის პრაქტიკულად შესასწავლად სტატისტიკურ დაწესებულებაში, ფინანსისტ-სტუდენტს ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ბანკებში სამუშაოდ, იურისტებს სასამართლოში. ე. ი. სტუდენტი ჯერ ისევ უნივერსიტეტში ყოფნის დროს ეჩვევა პრაქტიკულ მუშაობას და იქიდან გამოდის საქმის სპეციალისტი და არა დილეტანტი. გესმით ახლა ჩვენი პოლიტიკა უნივერსიტეტში?

მთელი ჩვენი ყურადღება, მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი ცოდნა ჩვენ გვინდა მოვახმაროთ ჩვენი უნივერსიტეტის აღდგენის და აყვავების საკითხს. ჩვენს წინ არის გადაშლილი თვალუწვდენელი ასპარეზი მუშაობისათვის. საქართველოს უნივერსიტეტს არასოდეს არ მოსწრებია ისეთი ხელისშემწყობი პირობები განვითარებისათვის, როგორც აქვს დღეს, საბჭოთა წყობილების დროს. ჩვენს მთავრობას სურს და სჭირია ჩვენი უნივერსიტეტი, როგორც ერთი უდიდესი იარაღი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობისათვის. მთავრობა ცდილობს მოაწყოს უნივერსიტეტი საუკეთესო ტეხნიკური იარაღებით, მაგრამ ამავე დროს იგი მთავრობა ეუბნება უნივერსიტეტს და მის ძალებს: მობრძანდით, ყოველი ჩვენი ქარხანა, ყოველი ჩვენი სახელოსნო მზადაა თქვენთვის, რომ ეს ქარხნები გამოიყენოთ, როგორც ცოცხალი ლაბორატორიები. მობრძანდით და გამოიყენეთ ყოველი ჩვენი სახელმწიფო მამული თქვენი სტუდენტი აგრონომებისათვის, ინარგებლეთ ჩვენი საავადმყოფოებით, დაწესებულებებით და სხ. მართალია, ჩვენი უნივერსიტეტი ახალი და ნორჩია, ღარიბია და მოუწყობელი, მაგრამ ფაქტიურად ჩვენი ლაბორატორიები იმით კი არ ამოიწურებიან, რაც მათ გააჩნიათ უნივერსიტეტის შიგნით, არამედ ჩვენთვის სასარგებლოდ არსებობენ ის ლაბორატორიებიც, რომელნიც არც ასე მცირედად მოიპოვებიან ჩვენში. ამ მხრივ ჩვენი უნივერსიტეტის მდგომარეობა გაცილებით უმჯობესია, ვიდრე სხვა უნივერსიტეტებისა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც ფაბრიკა-ქარხნის კერძო მესაკუთრემ თუ ერთი ან ორიოდე სტუდენტი დაუშვა თავის დაწესებულებაში დიდ საქმედ არის მიჩნეული. საბჭოთა წყობილება, როგორც უდიდესი მეურნეობრივი ძალა, თავის სახელმწიფოებრივ დაწესებულებების კარებს აღებს სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის და ამგვარად სტუდენტს საშუალებას აძლევს შეითვისოს მეცნიერება, როგორც წიგნებით, ისე საწარმოო დაწესებულებებით, როგორც თეორიით, ისე პრაქტიკით.

ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოგვიყენებია აკადემიური მუშაობისათვის ის საშუალებანი, რომელნიც მოგვეპოვებიან, მაგრამ ჩვენ გვინდა ყველა ეს საშუალება საუსებით გამოვიყენოთ, ჩვენ გვინდა ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ წიგნებით ხელში ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აყვავებისათვის, ჩვენ გვინდა ხელი მოვკიდოთ ამ მუშაობისათვის ჩვენთან მდგომ ყველა ძალას, ვისაც კი სურს ეს აღმშენებლობა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვინდა მოვუხმოთ ჩვენს ნორჩ ახალთაობას, რომელიც მოდის ჩვენსკენ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოუღწევიათ ჩვენამდე: იმუშავეთ და იბრძოლეთ თქვენც, იმეცადინეთ დღით და ღამით, წიგნით და პრაქტიკით, ხელიხელ ჩაკიდებული ადგილობრივ ძალებთან ერთად, რომ გახსოვდეთ: თქვენს ნაყოფიერ მუშაობაზეა დამოკიდებული ღირსებანი იმ უფრო დიდი ზეიმისა, რომელსაც უკვე თქვენვე გამართავთ უნივერსიტეტის მეორე ათი წლის თავზე.

თედო ღლონტი

ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ", 1928, №1-2, გვ. 40-48.

9. კონდრატიევშჩინა საქართველოს სინამდვილეში

გამოვამჟღავნოთ კონდრატიევშჩინის კონკრეტული მატარებლები

დისაუტი საფინ. კოოპერატიულ ინსტიტუტში

30 ნოემბერს საქართველოს ფინ. კოოპ. ინსტიტუტში შესდგა ინსტიტუტის ყველა კათედრების ღია სხდომა სტუდენტებთან ერთად, რომელმაც მოისმინა — ამხ. ალ. ერჭომაიშვილის მოხსენება კონდრატიევშჩინის შესახებ.

მოხსენების პირველ ნაწილში — ამხ. ალ. ერჭომაიშვილი ვრცლად შეეხო კონდრატიევშჩინის წარმოშობას და მის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს. მომხსენებელმა კონდრატიევშჩინა დაჰყო სამ პერიოდად: პირველ პერიოდს მიაკუთვნა ოქტომბრის რევოლიუციიდან ახალი ეკ. პოლიტიკის შემოღებამდე; მეორე პერიოდს — ახალი ეკ. პოლიტიკის შემოღება (რომლის დროს განსაკუთრებული სახე მიიღო კონდრატიევშჩინამ). ამ ეტაპმა გაიარა აღდგენის პერიოდიც; ხოლო კონდრატიევშჩინის მესამე პერიოდი — ეს არის კონდრატიეველების მოღვაწეობა — გაშლილ სოცმშენებლობის დროს.

განვითარების პირველ ეტაპში კონდრატიეველები ილაშქრებდნენ მიწის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ (რომელიც ლენინმა წამოაყენა მეოთხე ყრილობაზე) კონდრატიეველები პირველ ეტაპში აწარმოებდნენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოფ. გენერლებთან ერთად (იმუშავებდნენ გეგმებს და სხვა).

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების დროს კონდრატიეველები ამბობდენ: — „უნდა მოხდეს მიწის ნაციონალიზაციის გადასინჯვა მიწის პატრონის მიწასთან განმტკიცების და აგრეთვე მიწის ბრუნვაში და მიწადსარგებლობის ფორმების არჩევის საქმეში უფრო მეტი თავისუფლების და მოქნილობის დამყარების მიმართულებით“. ამავე საკითხის შესახებ 1927 წელში გამოსცა გრომანმა წიგნი, სადაც იგი უფრო შორს წავიდა და ბურჟუაზიული მიმართულებით გააღრმავა კონდრატიევშჩინა. იგი ამბობს: — „მიწის სახელმწიფოს საკუთრება შეუფერებელია; საკუთრების სამი ელემენტიდან: მფლობელობა, სარგებლობა და განკარგულება სახელმწიფო იღებს განკარგულების რამოღენიმე მომენტს“. იმავე წიგნში იგი აშკარად ილაშქრებს კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. 1925 წელში მაკაროვი მოდის კულაკის ენერგიული დამცველის როლში: — „ჩვენ კვლავ დავინახავთ, რომ გვალვიან ოლქების ევოლიუციაში დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვილ მეურნეობებს; ახალი ეკ. პოლიტიკა გაუხსნის მათ ხელებს, გაუხსნის განმტკიცების გზას (ლაპარაკია მსხვილ ინდივიდუალურ მეურნეობებზე — ე. ი. კულაკობაზე). ამას მოითხოვს საწარმოო პირობები“. ამრიგად, ისინი ილაშქრებენ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის წინააღმდეგ. პროფ. მაკაროვს კოლექტივიზაცია წარმოუდგენია: — „კოლმეურნეობანი პირველ ყოვლისა აღდგენითი მოძრაობაა. გაღატაკებული და სუსტი ფენები ითვისებენ განსაზოგადოების იმ ფორმებს, სარგებლობენ მით, რომ ასწიონ თავის ცხოვრების ელემენტარულად გაღატაკებული დონე, არაფერია უარყოფითი იმაში, რომ 5 წლედის ბოლოს ეს ღარიბთა მეურნეობანი დაიშლებიან (აი მაკაროვის გეზი) საშუალო დონის ინდივიდუალურ მეურნეობათა სახით“. აქედან დასკვნა ერთია: ისინი ილაშქრებენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გადახალისების წინააღმდეგ.

პროფ. ჩაიანოვიც „კოოპერატიული გეგმა“-ში აყენებს ახალ „თეორიებს“, რომლის აზრით, ფიქრი გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმაზე შეიძლება მხოლოდ რამოდენიმე საფეხურის გავლის შემდეგ.

კონდრატიეველები ფაქტიურად აყენებდენ იმ თეორიას, რასაც ჩვენ ვეძახით კულაკის სოციალიზმში შეზრდას.

ასე მაგალითად, სუხანოვი ამბობს: — „შეზრდის თეორია, რომელიც ბურჟუაზიულ წყობილებაში წარმოადგენდა რეფორმიზს — ოპორტუნიზმისა და რენეგატობის სახის გამოხატვას — რევოლიუციის ამ მხარეზე (მხედველობაში აქვს საბჭ. კავშირი) გახდა სოციალისტური მშენებლობის ლოზუნგი“.

აქედან დასკვნა ერთია: ის, რომ კულაკობის სოციალიზმში შეზრდის თეორია ამხ. ბუხარინს (და მემარჯვენეობის ლიდერებს) ნასესხები აქვთ კონდრატიევშჩინის თეორიული არსენალიდან.

კონდრატიეველების ე. წ. წონასწორობის თეორია, რაც ნიშნავს: მოხმარებასა და წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის არსებობს ერთგვარი წონასწორობა, კანონზომიერება, რომელსაც, მათი აზრით, ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ — არის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა? რასაკვირველია, არა, რადგან წონასწორობის თეორია ნიშნავს სინამდვილის (მხოლოდ ფაქტების აღნუსხვას) და სრულიად არ გულისხმობს მის უარყოფით მხარეების შესწავლასა და შეცვლას. ეს თეორია წამოაყენა კონდრატიეველმა პროფ. იუროვსკიმ.

საკითხავია ეს (წონასწორობის) თეორია რად სჭირდებათ კონდრატიეველებს? ისინი ამ თეორიით ეწეოდენ სპეკულიაციას და უკანასკნელ პერიოდში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ საგეგმო პოსტებზე ყოფნის დროს აწარმოებდენ სოც. მშენებლობისათვის ხელისშემშლელ მავნებლურ მოქმედებას.

გარდა ამისა, ამხ. ერქომაიშვილმა მოიყვანა უამრავი მაგალითები კონდრატიეველების შესახებ, რის შემდეგ იგი გადავიდა საქართველოში კონდრატიევშჩინის წარმომადგენლების მოღვაწეობის შეფასებაზე.

ჩვენს სინამდვილეში საქართველოში ჩვენ გვაქვს ეკონომიურ მეცნიერებათა (საფ. კოპ.) ინსტიტუტი, რომლის ზოგიერთი პროფესორი და ლექტორი თავის ნაშრომებსა და ლექციებში არა მარქსისტულ-ლენინურად აშუქებს საკითხებს და განიცდიან კონდრატიეველობის უშუალო გავლენას. აი ფაქტებიც:

„თავის შინაარსით პროფ. გეხტმანის ნაშრომი ძლიერ წაგავს კონდრატიეველის ნამუშევარს. პროფ. გეხტმანის წიგნი: — „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“-ში ავტორი სავსებით ეყრდნობა გერმანელ ბურჟუაზიულ მეცნიერის — ჰილდებანდის ავტორიტეტს, ჰილდენბანდის აზრით კი: — „ინდუსტრია საერთოდ ქმნის აუტანელ პირობებს მშრომელ მასისათვის“, აქედან დასკვნა ასეთია — ხელი ავიღოთ ინდუსტრიაზე. არსებითად, ჰილდენბანდის თეორია ნიშნავს პირით უკან — ფეოდალიზმისაკენ. აი ასეთ თეორიებს ანვითარებს პროფ. გეხტმანი თავის წიგნში.

ჭოიავას წიგნს: — „საერთაშორისო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკა“-ს საფუძვლად არა აქვს დადებული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა. პირიქით, იგი ეყრდნობა ბურჟუაზიული მეცნიერების თეორიებზე.

მეტად კურიოზულია ლექტორ გოგებაშვილის „კოოპერატიული მოსაზრებები“, რითაც იგი გამოდის წიგნში: — „სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაცია და პრაქტიკა“. გოგებაშვილს არა აქვს ნათელი წარმოდგენა სამომხმარებლო კოოპერაციის როლზე. ამავე

წიგნში (რომელიც დაიბეჭდა 1929 წელში) ავტორს მოჰყავს მეტად „ორიგინალური“ აზრი — თითქოს აღდგენის პერიოდი ჯერ არ არის დასრულებული (!).

ამავე ავტორის წიგნს: — „კოოპერაციის განვითარების გზები“ (რომელიც, სამწუხაროდ, ჩინებულადაა გამოცემული) შეიცავს უამრავ ლიაპსუსებს. წიგნში ლაპარაკია ჭიანჭველების ისტორიის, ნორმანების ჩვეულებების, საფრანგეთის რევოლიუციის, წალკის რაიონის კოოპერაციის, ოქტომბრის რევოლიუციის, საერთაშორისო კოოპ. მოძრაობის შესახებ და სხვ. საკითხები ისეა დალაგებული, რომ მათ არავითარი კავშირი არა აქვთ ერთი მეორესთან და, რაც მთავარია, გოგებაშვილის აზრით, რუსეთის მეფის წესწყობილების შავრაზმელები მონათლულია ფაშისტებად (!) როგორ მოგწონთ გოგებაშვილის „ორიგინალური“ აზრი და შედარება. გოგებაშვილს აქვს უფრო დიდი კურიოზიც: საქონელი კოოპერაციაში მას წარმოდგენილი აქვს, როგორც ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესი, წიგნი სავსეა ამდაგვარი ლიაპსუსებით.

ამხ. ერქომაიშვილი შეეხო აგრეთვე საქ. ფინ. კოოპ. ინსტიტუტის იმ ლექტორებს, რომელთაც, მართალია, მეცნიერული შრომა არა აქვთ, მაგრამ ლექციებს არა მარქსისტულ-ლენინურად აშუქებენ.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

ლექტორმა გოგებაშვილმა თავის გასამართლებლად მოიყვანა „მოტივად“ ის გარემოება, რომ იგი აღიზარდა კაპიტალისტურ წესწყობილების დროს და ამიტომ განიცდის ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაელენას.

სხვათა შორის გოგებაშვილმა განაცხადა, რომ იგი სიამოვნებით იღებს ამხ. ერქომაიშვილის შენიშვნებს და ეცდება მოკლე ხანში გამოასწოროს შეცდომები.

ამავე სხდომაზე გოგებაშვილმა თავი გამოაცხადა დამკვრელად.

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა თავისი სიტყვა დაიწყო იმით, რომ იგი კარგად იცნობს მარქსიზმს და სხვა, მაგრამ რაც მარქსიზმის წინააღმდეგ დაუწერია 90-იან წლებში, მას ვერ წაშლის.

იგივე გოგიჩაიშვილი აცხადებს, რომ მას, როგორც ხანში შესულ კაცს, არ შეუძლია იყვეს დამკვრელი (თურმე, ნუ იტყვით, დამკვრელები მხოლოდ ახალგაზრდები არიან).

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ლექტორ ვ. თევზაიას გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ ის არ შეიძლება იყვეს კონდრატიევშჩინის მომხრე მხოლოდ იმიტომ, რომ კონდრატიევშჩინა ნიშნავს ველიკოდერჟავნიკულ პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში. თევზაიამ სავსებით მიჩქმალა კონდრატიევშჩინის მთავარი ამოცანები სახ. მეურნეობის დარგში.

ამხ. ალ. ერქომაიშვილის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. კამათი ისევ გრძელდება.

კ. ლ-ძე.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930 წლის 3 დეკემბერი.

10. კონდრატიევშჩინა ჩვენს სინამდვილეში

3 დეკემბერს საქ. კოოპერატიულ ინსტიტუტში გაგრძელდა კამათი ამხ. ერქომაიშვილის მოხსენების ირგვლივ. ილაპარაკეს ამხ. კვიცარიძემ, გორდელაძემ, შარიამ, მიხეილიძემ, გოგიჩაიშვილმა, თევზაიამ, რამიშვილმა და სხვებმა.

კრება განსაკუთრებული ყურადღებით შეხვდა კამათში გამოსულ ამხ. გორდელაძეს. იგი დაწვრილებით შეჩერდა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ეტაპებზე, გააშუქა მავნებელთა „მოღვაწეობა" მთელი ამ ხნის განმავლობაში, რომელიც მიმართული იყო პროლეტარიატის დიქტატურის დასამხობად.

ამხ. გორდელაძე აღნიშნავს, რომ საჭირო იყო აქ გამოსულ პედაგოგიურ ძალებს აშკარად ელიარებიათ თავიანთი ანტიმარქსისტული წარსული და გადაჭრით გამიჯნოდნენ როგორც კონდრატიევშჩინას, ისე მენშევიზმს. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. თუ პედაგოგების ერთმა ნაწილმა ამხ. გოგებაშვილის მეთაურობით გადაჭრით დაგმო თავისი ანტიმარქსისტული წარსული და გულწრფელად დაადგა ჩვენთან თანამშრომლობის გზას, მეორე ნაწილი პროფ. გოგიჩაიშვილის მეთაურობით მენშევიკებისაგან გატკეპნილ ორჭოფულ გზას გაჰყვა. პროფ. გოგიჩაიშვილი, დოც. რამიშვილი, გამყრელიძე, თევზაია, იმნაიშვილი და მიხეილიძე შეგნებულად უხვევენ გვერდს არსებითად დასმულ საკითხს და არ აცხადებენ გულწრფელად, თუ ვისთან არიან ისინი სოციალისტური მშენებლობის ფართოდ გაშლის პირობებში.

პირიქით, პედაგოგები, ამხ. გოგებაშვილი, მეგრელიძე, კარბელაშვილი და სხვ. გადაჭრით ემიჯნებიან კონდრატიევშჩინას და გულწრფელად სდგებიან ჩვენთან აქტიურ თანამშრომლობის გზაზე.

პროფესორი გოგიჩაიშვილი იუმორისტულადაა განწყობილი

როდესაც პროფესორს მრავალრიცხოვანმა კრებამ გადაჭრით მოსთხოვა გამოემჟღავნებინა თავისი პოლიტიკური ფიზიონომია, მან ოხუნჯობას მიჰყო ხელი და დაახლოვებით ასე განაცხადა: მე რათ ვიქნები კოლექტივიზაციის წინააღმდეგი. ჩემთვის მამული არაფის ჩამოურთმევია, ფეოდალი და თავადი მე არ ვყოფილვარ და სხვადასხვა, ისე რომ კოლექტივიზაციისაგან მე არაფერი ზიანი არ მიმიღია, ამიტომ მე არ ვიქნებოდი მისი წინააღმდეგიო. მით უმეტეს კოლექტივიზაცია გულისხმობს მსხვილ მეურნეობას და მე როგორც ეკონომისტი, რასაკვირველია, ამის მომხრე ვიქნებიო.

ასეთი სასაცილო არგუმენტებით მოინდომა პროფესორმა გოგიჩაიშვილმა თავის დაღწევა. არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, თუ რა სახის მსხვილ მეურნეობას ეხება იგი, არც ერთი სიტყვა თავის ანტიმარქსისტულ შრომების შესახებ, რადგან როგორც პროფესორი აცხადებს, არ შეიძლება მოშალოს მისი ხელმოწერა ამ შრომებზე — აი, მისი კიდევ უფრო გამოურკვეველი და ბურუსში გახვეული პოლიტიკური კრედო.

პროფესორი გოგიჩაიშვილი ცინიკურად არის განწყობილი ლაბორატორიული მეთოდისადმი.

„ეხლა მკვდარი საათია, გთხოვთ, ნუ შემაწუხებთ" — უცხადებს პროფესორი მსმენელებს მეცადინეობის დროს.

პროფესორი გოგიჩაიშვილი სიტყვით ყველაფრის „მომხრეა“, თქვენ წარმოიდგინეთ „მარქსისტიც“-კი, საქმით კი ყველაფერს ამას ამასხარაევებს, დასცინის სოცშეკიბრებას და დამკვრელობას და სხვა. დროა ბოლო მოეღოს ასეთ ამბებს და ის პროფესორები, რომლებიც არ გამოეთხოვენ თავიან ანტიმარქსისტულ წარსულს, ჩამოვაშოროთ ჩვენი კადრების აღზრდის საქმეს — ასეთი იყო აუდიტორიის მრისხანე განაჩენი გოგიჩაიშვილის და მისი დამჭაშების მიმართ.

დოც. რამიშვილი „ნაწყენია“

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ დოც. რამიშვილი ძალიან დიდ პრეტენზიებს აცხადებს და ისე მოაქვს თავი, თითქოს ის არის ერთად-ერთი „ჭეშმარიტი“ მარქსისტი. გადავაგლოთ მის წარსულს თვალი და ჩვენ დავინახავთ, თუ რაში მდგომარეობს მისი „ჭეშმარიტი“ მარქსიზმი.

მენშევიკების დროს იგი მიემგზავრება გერმანიაში გარკვეული მენშევიკური მსოფლმხედველობით, როგორც მარქსისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის დამთავრებისას ეს „ჭეშმარიტი“ ორტოდოქსალური მარქსისტი“ სწერს ანტიმარქსისტულ სადიპლომო შრომას. ამის შემდეგ ჩამოდის საქართველოში და მონოპოლიას აცხადებს მარქსიზმზე. ხელმეორედ გამოსული კრებაზე ის კიდევ უფრო აღრმავებს წინა კრებაზე დაშვებულ შეცდომებს. რამიშვილი აცხადებს, რომ „მისი გამოსვლა არასოდეს ასეთი გულწრფელი არ ყოფილა“. მიუხედავათ ამისა, ეს „გულწრფელი“ დოცენტი ერთი სიტყვითაც არ ეხება თავის მენშევიკურ წარსულს, არ ემიჯნება მენშევიზმს და ნამდვილ ორპირის, თვალთმაქცის როლში გამოდის. ბიძინა რამიშვილის ორჭოფულმა გამოსვლამ, რომლის იდეოლოგიური წარსულიც და აწმყოც არეულ-დარეულია, აუიდიტორიის სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა.

გიო გამყრელიძე უფასო დამცველის როლში

გამყრელიძე პროფესორ გოგიჩაიშვილის ერთგული მოწაფეა, რომელიც მის ნამდვილ ეპიგონად არის გადაგვარებული.

გამყრელიძეს ვერ წარმოუდგენია, თუ პროფ. გოგიჩაიშვილი რამეში შესცდება ამ ქვეყნად. ამიტომ, როგორც ეს მოსწრებულად შენიშნა ამხ. გიგლა კვიცარიძემ, თუ პროფესორი იტყვის ორჯერ-ორი — ვირის თავიაო — ისიც მორჩილად დაუდასტურებს ამ სისულელეს.

არც ქურძი გამოუცვლიათ – არც გული

ცნობილი მენშევიკები — იმნაიშვილი და თევზაია, თავიანთი წმინდა წყლის მენშევიკური გამოსვლებით გამართულ დისკუსიაზე ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმას, რომ ისინი დამძიმებული არიან მენშევიკური იდეოლოგიით და ვერ გასწყვიტავენ კავშირს მასთან.

იმნაიშვილი აცხადებს, რომ ის იცავს პლეხანოვის მარქსიზმს და ამას იგი პასუხად სთვლის მის წინაშე გარკვეულად დასმულ კითხვაზე. იჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ იმნაიშვილი მენშევიკ პლეხანოვის თვალსაზრისზე იდგა. მრავალფეროვანებისათვის მან პლეხანოვს ლენინიც მიუმატა. ცხადია, ასეთი მენშევიკური მანევრით იმნაიშვილი ვერ

შესძლებდა საბჭოთა საზოგადოებრივობის მოტყუებას ოქტომბრის რევოლიუციის მე-14 წლის თავზე.

მას არ ჩამორჩება მენშევიკურად საკმაოდ გაქექილი ვიქტორ თევზაია. იგი ღელავს, ბრაზობს, როგორ თუ კონდრატიევშჩინა, როგორ უბედავენ მას ასეთი კითხვის დასმას. რასაკვირველია, ის „სოციალისტია" და ამიტომ არავითარი საერთო არა აქვს კონდრატიევშჩინასთან, რომელიც, მისი თქმით, წარმოადგენს ველიკოდერჟავნიკულ მოძრაობას და ამიტომ არავითარი საბაბი არ არის იმისა, რომ საქართველოში ვეძიოთ მისი მომხრეები. აი როგორ აყენებს ეს, უკაცრავად პასუხია, „მარქსისტი" საკითხს.

„მარქსისტი" მარადიულ იდეების ძიებაში

ძალზე განაწყენებულია ლექტორი მიხეილიძე. როგორ გაბედეს სტუდენტებმა და ის დაიჭირეს დანაშაულობის ადგილზე. იგი კოოპერაციის ისტორიას კითხულობს. მან „გაფართოვა" ეს პროგრამა და ფილოსოფიაში შეყო თავი. ამ დროს ის ამტკიცებდა ინგლისის მუშათა კლასის ბუნებრივ კონსერვატიზმს. ეს „მარქსისტი" საფუძვლიანად შეუდგა იმის მტკიცებას, რომ არსებობენ მარადიული იდეები. თავის დროზე რომ გამომჟღავნებინათ მისი ანტიმარქსისტული ქადაგი სტუდენტებს, ეს სოციალისტი მალე დაიწყებდა ლაპარაკს ზებუნებრივ ძალთა შესახებ და ღმერთის არსებობას დაადასტურებდა ალბად.

მიხეილიძემ არ გასცა აუდიტორიას გადამჭრელი პასუხი. მისი ორპირული ლაპარაკი მიმართული იყო იქით, რომ თავისი ანტიმარქსისტული ფიზიონომიის რეაბილიტაცია მოეხდინა.

როგორ გვიბედავთ ასეთი შეკითხვების მოცემას?

ანტიმარქსისტული მსოფლმხედველობის დაცვა, თეორიული დომხალი მენშევიკური მანევრები და მრავალი ანტიმარქსისტული ხლამი, რაც ასე უხვად გამომდინარეობს ამ ვაჟბატონებიდან, თურმე არ წარმოადგენს იმის საკმაო საბაბს, რომ მათ აშკარად მოვსთხოვოთ, თუ ვისთან არიან ისინი სოციალიზმისათვის გადამწყვეტ ბრძოლების დროს.

ამიტომ პირდაპირ აღშფოთებული არიან პროფესორი გოგიჩაიშვილი, დოცენტები და ლექტორები რამიშვილი, გამყრელიძე, იმნაიშვილი, თევზაია, მიხეილიძე — თუ როგორ უბედავენ და არკვევენ კონდრატიევშჩინასთან მათ დამოკიდებულებას.

რასაკვირველია, ისინი „სოციალისტები" არიან, „მარქსისტებიც" და თუ გნებავთ... „ლენინელებიც".

საფ. კოოპ. ინსტიტუტის ყველა კათედრების გაერთიანებულმა საჯარო სხდომამ სათანადოთ შეაფასა ამ ხალხის თვალთმაქცობა და თავის ბოლშევიკურ რეზოლიუციაში სასტიკად დაგმო მათი ორჭოფული პოლიტიკა.

კრება მხურვალედ მიესალმა იმ პედაგოგიურ ძალებს, რომლებიც გულწრფელად დაადგნენ ჩვენთან აქტიურ თანამშრომლობის გზას და გადაჭრით უარყვეს თავიანთი ანტიმარქსისტული შეხედულებანი.

დამსწრე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1930 წლის 6 დეკემბერი.

11. კონდრატიევშჩინა საქართველოში

დისპუტი საქ. პედინსტიტუტში

13 დეკემბერს საქ. სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში შესდგა დისპუტი კონდრატიევშჩინის შესახებ. ამ საკითხის გარშემო მოსმენილი იქნა ინსტიტუტის დირექტორ ივ. ვაშყმაძის მოხსენება.

მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. ვაშაყმაძე შეეხო კონდრატიეველების და მათ მიმდევრების კონტრ-რევოლიუციონურ თეორიას და პრაქტიკას. დღევანდელი პერიოდი ხასიათდება კლასთა ბრძოლის გამწვავებით. განსაკუთრებით ეს საგრძნობი ხდება სოც. მშენებლობის ფართოდ გაშლის პირობებში. ჩვენი კლასიური მტრები ხედავენ რა, რომ თანდათან ძლევა-მოსილი ხდება სოციალისტური მშენებლობა, ისინი ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ ჩვენთან საბრძოლველად. კონდრატიევშჩინა, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტურაა საბჭოთა კავშირში, სხვადასხვა სახით გვევლინება ჩვენი განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე. კერძოდ, საქართველოში კონდრატიევშჩინა გვხდება იდეოლოგიის სფეროში. უკეთ საქართველოში კონდრატიევშჩინა ეძმობილება ანტიბოლშევიკურ პარტიებს: მენშევიკების, ეროვნულ-დემოკრატების, სოც.-ფედერალისტების, კადეტების და სხვა ჯურის ანტი-საბჭოთა იდეების მატარებელ პარტიების უბადრუკ ნაშთებს.

ყოფილების თაიგული

საქ. პედ. ინსტიტუტში ასწავლიან თითქმის მეცნიერების ყველა დისციპლინებს (იშვიათ გამონაკლისის გარდა) დაწყებული მათემატიკიდან და გათავებული სახვითი ხელოვნებამდე.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტში თავმოყრილია (პედაგოგებათ) ყველა ყოფ. ანტი-ბოლშევიკური პარტიების წარმომადგენლები. პროფესურას შორის შეხვდებით ყოფ. კადეტს, ყოფ. გენერალს, ხვთის მორწმუნეს, მენშევიკების, ეროვნულ-დემოკრატების, ფედერალისტების და სხვა პარტიების ყოფილ ლიდერებს, ეს გარემოება კი თავისებურ დაღს ასვამს ინსტიტუტის პროფესურის დიდი ნაწილის მოღვაწეობას.

ჩვენი პროფესურის დიდი ნაწილი პოლიტიკურად ვითომ პასიური ელემენტებია, ეს კი, ფაქტიურად, უდრის პოლიტიკურ აქტივობას, რადგან ამ პასიობაში მოსჩანს მათი პოლიტიკური ფიზიონომია და ამ პასიობით ისინი აკეთებენ პოლიტიკას.

ინსტიტუტის პროფესურის დიდ ნაწილს ახასიათებს წმინდა აკადემიზმი და პოლიტიკურ სფეროდან მოწყვეტა. ესეც თავისებური პოლიტიკაა. ეს ამტკიცებს, რომ მათ ვერ გამოუნახავთ საერთო ენა ახალ ცხოვრებასთან. პროფესურის დიდ ნაწილს ახასიათებს სოც. მშენებლობის პრაქტიკიდან მოწყვეტა.

ესეც თავისებური პოლიტიკაა, პოლიტიკური პასიობის ჟესტია. პროფესურის დიდი ნაწილი იმდენად მოწყვეტილი აღმოჩნდენ სოც. მშენებლობის პრაქტიკიდან, რომ მათ ვერ შესძლეს სამოსწავლო პროგრამების შედგენა სოც. მშენებლობის პრაქტიკასთან დაკავშირებით (ჩვენ არ ვიცნობთ პრაქტიკასო).

80 პროც. არაა მარქსისტი

ინსტიტუტის პროფესურის 80 პროცენტი არამარქსისტული სოფლმხედველობის ხალხია, ნაწილი მარქსიზმს მტრულად უცქერის, ხოლო პროფესურის ერთი ნაწილი არც კი იცნობს, რა ხილია მარქსიზმი.

ამის გამო ზოგიერთ პროფესორსა და მეცნიერების სხვა მუშაკს ჰგონია, რომ მარქსიზმი არის მარტო პოლიტიკური სოფლმხედველობა და მისი გამოყენება არ შეიძლება ბუნების მეტყველების, მეცნიერების რომელიმე სხვა დარგში. მარქსიზმისადმი ასეთ უყურადღებობას ბოლო უნდა მოელოს. მარქსიზმი ფართოდ უნდა შეიჭრას მეცნიერების ყოველ დარგში, უნდა დაისვას საკითხი მეცნიერების დისციპლინათა რეკონსტრუქციის შესახებ.

ევროპის ორიენტაციის ხალხი

მეცნიერების ერთ ნაწილს (და, სამწუხაროდ, დიდი ნაწილი) ახასიათებს მარქსიზმის განგებ არგაგება. ისინი მისდევენ პოზიტივიზმს, ეკლექტიზმს, იდეალისტურ სოფლმხედველობას. იყო შემთხვევები, როდესაც პროფესურა სტუდენტობას უსახელებდა არა მარქსისტულ ნაშრომებს. ამავე დროს ნაციონალისტურ სულისკვეთებით გაჟღენთილი პროფესურა მოწადინებული იყო, რომ სტუდენტებისათვის შეეძაგებია რუსული ენა. ამის გამო მეცნიერულ ნაშრომებს ასახელებდენ მხოლოდ ევროპიულ ენებზე, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წიგნები რუსულადაც მოიპოებოდა. ამავე დროს ზოგიერთი პროფესორები თავის ნაშრომებს ბეჭდავენ უცხო ენებზე.

პროფესურის სამი კატეგორია

ამის შემდეგ ამხ. ვაშაყმაძე გადადის ინსტიტუტის პედ-პერსონალის პოლიტიკურ დიფერენციაციაზე. ინსტიტუტის პროფესურას იგი ჰყოფს სამ ფენად:

მემარცხენე პროფესურა

პირველ ფენას მიეკუთვნება ის ხალხი, რომელიც თანაუგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას, აქტიურად თანამშრომლობს მასთან და ხელს უწყობს პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიებათა გატარების საქმეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მთელი თავის არსებით შეუერთდენ ოქტომბერს და სხვ.

ჯაობი

პროფესურის მეორე ფენა მომხსენებელმა მოათავსა ჭაობში. ეს ის ხალხია, რომელთა პოლიტიკური ფიზიონომია გამოურკვეველია. ისინი ჯერ კიდევ მერყეობენ, ორჭოფობენ და ვერ გადაუწყვეტიათ საბოლოოთ, რომელი გზა აირჩიონ.

პროფესურის მესამე ფრთა არის მემარჯვენეები, ხალხი, რომელიც მტრულად არის განწყობილი ჩვენს მიმართ. პროფესურა, რომელიც თავის პრაქტიკული და მეცნიერული მუშაობით ხელს უშლის ახალ კადრების რევოლიუციონურ მარქსიზმის ნიადაგზე აღზრდას. ეს ხალხი გამოხატავს დრომოჭმულ ქვეყნის სოფლმხედველობას.

„მე ძველი კაცი ვარ",
„რით ვერ გაიგეთ, რომ მე თქვენი არაფერი არ მწამს"

მემარჯვენე პროფესურას ბელადობს პროფ. გრ. წერეთელი და პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

პროფ. გრ. წერეთელი გულმოდგინეთ იცავს ძველ ანტიურ ქვეყანას, პროფესორი საგანებით ძველ ქვეყანას ეკუთვნის და სულდგმულობს მათი. როდესაც სტუდენტები შეეკითხნენ პროფ. წერეთელს: „შეუძლია თუ არა მას გაბედოს თანამედროვე კაცი", მან ამაყად განაცხადა: „მე ძველი კაცი ვარ"-ო. საოცარია, თუ როგორ გამოსცა ამ კაცის წიგნი ყოფ. უნივერსიტეტმა, სადაც იგი ანვითარებს ანტიმარქსისტულ შეხედულებებს. მას არ სწამს ლიტერატურის კლასიური და სოციალური განხილვა, არამედ მწერლობას იგი იხილავს წმინდა ფორმალისტური თვალსაზრისით, არავითარი კლასიური მიდგომა, თითქოს ლიტერატურა თავისთავად ვითარდებოდეს და იგი დაშორებული იყვეს სოც. ეკონომიურ ფაქტორებიდან. მას სწამს, რაღაც „ზესშთაგონება" და იმით ხსნის ლიტერატურის განვითარებას.

პროფესორი ოცნებობს ანტიურ ქვეყანაზე და გატაცებით მოსწონს ყოველივე ძველი და სძაგს ახალი ქვეყანა.

წერეთელს არა ნაკლებ უყვარს ეკლესიები და დაჯინებით სწამს ღმერთის არსებობა. ის სისტემატიურად დადის ეკლესიებში, ატარებს ხატს და არის საეკლესიო საბჭოს საპატიო წევრი.

ამავე დროს არ სწამს არავითარი ნებაყოფლობითი საზოგადოება. არაფერი არ სწამს საერთოდ სოციალისტურ მშენებლობის საქმის.

როდესაც კომკავშირელებმა მას მიმართეს, შეეწირა რაიმე რემედასის ფონდში, მან მკვახედ უპასუხა: „რით ვერ გაიგეთ, რომ მე თქვენი კაცი არა ვარ და თქვენი არაფერი არა მწამსო" (ალბად საეკლესიო შემოწირულებას დიდი ხალისით შეაგროვებდა).

პროფ. თავის მეთოდოლოგიით და ბუნებით არ არის ახალი ქვეყნის წარმომადგენელი. რა თქმა უნდა, ასეთი კაცი ჩვენ ვერ აღგვიზრდის სოც. მშენებლობისათვის გამოსადეგარ კადრებს.

„მკვახედ უპასუხე,
რადგან დაწინაურებული მუშა მეგონება"

მემარჯვენე პროფესორების ბელადათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე პროფ. ივ. ჯავახიშვილი. მისი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა დიდი ხანია, რაც გამორკვეულია.

მას არა თუ სწამს მარქსიზმი, არამედ უნივერსიტეტის რექტორად ყოფნის დროს (1926 წლამდე) იგი ენერგიულად იბრძოდა, რომ უნივერსიტეტში მარქსიზმი არ შემოჭრი-

ლიყო. მისი რექტორად ყოფნის დროს უნივერსიტეტში არ წაკითხულა არც ერთი მარქსისტული ლექცია და პროფესურის შორის არ იყო არც ერთი მარქსისტი.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავის წიგნში „საქ. საზღვრები" ერთგულ დამცველად გამოდის მენშევიზმისა და საჭიროდ მიაჩნია მენშევიკურ საქართველოს სომხეთთან ბრძოლის აუცილებლობა.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი წინააღმდეგი იყო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის (ასევე კონსერვატიზმით ხვდება იგი ხელისუფლების სხვა ღონისძიებებსაც).

ამ პროფესორის სწავლების პროგრამა არ შეეფერება სოც. მშენებლობისათვის დაჩქარებით კადრების მომზადების საქმეს.

პედ. ინსტიტუტის მე-3 კურსზე მას უნდოდა წელს წაეკითხა ლექციები მხოლოდ ქუთაისის ეკლესიის გუჯრების შესახებ.

როდესაც მას მიმართა ინსტიტუტის სამოსწავლო ნაწილის გამგემ, ამხ. გ. თავზარაშვილმა, რომ ასეთი ვიწრო პროგრამით სწავლება ყოვლად შეუძლებელია, ასეთი პროგრამა მეცნიერული მუშაკების საქმეა და არა სტუდენტებისო, მაშინ პროფესორმა უპასუხა: „ჯერ გამოცდა ჩამაბარე და მერე მელაპარაკეო". ამის შემდეგ ჯავახიშვილს გადასცეს, რომ ამხ. თავზარაშვილს დასრულებული აქვს უმაღლესი სასწავლებელიო, მაშინ ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ „მე ასე მკვახეთ მისთვის უპასუხე, რომ დაწინაურებული მუშა მეგონაო".

იგივე პროფესორი ვერ ითმენს თავის მონოპოლიის დანგრევას, მან დიდი წინააღმდეგობა გაუწია ინსტიტუტს ს. კაკაბაძის ლექტორად მოწვევის საქმეში.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის ირგვლივ თავს იყრის მემარჯვენე პროფესურა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ხალხი.

მართალია, ზოგიერთები ცდილობენ თავი დააღწიონ ჯავახიშვილის გავლენას, მაგრამ მათ ჯერაც ვერ გადაუდგამთ გადამწყვეტი ნაბიჯები.

წიგნი ნიკოლოზ I-ის შესახებ

პროფ. პოლიექტოვი წარსულში ეკუთნოდა პროფესურის მემარჯვენე ფრთას, მაგრამ ეხლა მარცხნივ იხრება. საინტერესოა მისი აზრი, რას იტყვის იგი წარსული შეცდომების შესახებ. მას დაწერილი აქვს სქელ ტანიანი წიგნი ნიკოლოზ I-ლის შესახებ.

„როგორ გაუძლებს საძართველო მზის სხივებს"

პროფ. ს. დანელია სუბიექტიურად ცდილობს, ჩვენთან იყვეს, მაგრამ ობიექტიურად პირიქით გამოუდის. მისი ნაშრომები ანტიმარქსისტულია. ამ პროფესორის სოფლმხედველობა ნათლად გამოსჭვივის მის წიგნში — „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი", სადაც იგი სწერს: „სად ქართველი და სად მისტიციზმი. განა საქართველოს მზის სხივებს მისტიციზმი გაუძლებდა", სად სჩანს აქ მარქსიზმი, რა შუაშია მზე, სად არის კლასიური მიდგომა? იმავე წიგნში იგი ანვითარებს ანტიმარქსისტულ აზრებს: „ქრისტემ მოაბრუნა კაცობრიობა და წარმართა იგი მომავლისაკენ", რაც მთავარია, მისი წარმოდგენით „სინდისი უდრის საწარმოო ურთიერთობას" — ნასესხები სინდისით ისტორია არ შეიქმნებაო" — სწერს დანელია იმავე წიგნში.

გამოურკვეველია ს. ყაუხჩიშვილის პოზიცია, იგი ჩვენთანაც არის და მემარჯვენეებთანაც. საბოლოოთ ჯერ-ჯერობით მემარჯვენეებისაგან თავი ვერ დაუხწევია.

პროფ. დ. უზნაძე სუბიექტიურად ცდილობს ჩვენთან იყვეს, მაგრამ თეორიულად და იდეოლოგიურად დაშორებულია მატერიალისტურ სოფლმხედველობისაგან.

იგი გულმოდგინეთ უმტკიცებს სტუდენტობას, რომ არ არის მარქსისტული ფსიქოლოგია.

დოც. ვ. კოტეტიშვილს იტაცებს ნაციონალისტური სულისკვეთება, ლაპარაკობს ქართველი ხალხის შესახებ და არა საქართველოს მშრომელებზე. მის ნაშრომებში სჩანს მარქსიზმი. იდეოლოგიურად უახლოვდება ფედერალიზმს (რომლის წარმომადგენელიც იყო წარსულში).

პროფ. გ. ნიკოლაძე წარსულში ხელმძღვანელობდა გეოგრაფიულ საზოგადოებას, რომელიც იყო ნაციონალისტური საზოგადოება, ეხლა რას ფიქრობს, გამოურკვეველია.

ლექტორი კეცხოველი გატაცებულია საქართველოს სილამაზით და ნაციონალიზმის ჭაობში ვარდება. ასეთივე განწყობილებით არის აღჭურვილი გ. ქიქოძე.

ჭაობის დახასიათება

ამ ჯგუფს ეკუთვნის პროფ. გეხტმანი. იგი უკვე განიარაღდა, მაგრამ საჭიროა მისი შეიარაღება.

პროფ. მოსეშვილი ხელს არ უწყობს ახალი კადრების წამოწევას (ქიმიაში).

პროფ. ბენაშვილი (ყოფ. გენერალი) გვიჩვენებს თავის პოლიტიკურ ფიზიონომიას.

ჭაობში მოთავსდება აგრეთვე დოც. ზანდუკელი, კაჭარავა, ჯანელიძე, ამირანაშვილი, პროფ. ჩუბინაშვილი და სხვ.

მემარცხენეთა ფრთა

პროფესორთა მემარცხენე ნაწილის საუკეთესო წარმომადგენელია პროფ. გ. ნათაძე რომელიც ყოველმხრივ ცდილობს მოსვლას.

დოც. მოსე გოგიბერიძე — ჩქარი ნაბიჯით გვიახლოვდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ მოსულა მთლიანად.

დოც. კ. ბაქრაძე პოლიტიკურად პასიურია.

პროფ. კ. კეკელიძე ცდილობს მარქსისტული ენით ალაპარაკდეს.

პროფ. შალვა ნუცუბიძე საბჭოთა ხელისუფლების 1-ლ დღიდანვე სდგას ჩვენს პლატფორმაზე, მაგრამ მეთოდოლოგიურად არ არის განთავისუფლებული იდეალისტური სოფლმხედველობისაგან.

პროფ. თვალჭრელიძე ენტუზიაზმით მუშაობს, რაც ჩვენც გვახალისებს.

ამხ. ვაშაყმაძემ დაახასიათა აგრეთვე პროფესურის სხვა წარმომადგენლებიც და მოუწოდა მათ, რომ საბოლოოდ ამოირჩიონ გზა, თუ ვისთან არიან ისინი სოციმშენებლობის ფართოდ გაშლის პირობებში.

ამხ. ვაშაყმაძის მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელიც ისევ გრძელდება.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1930 წლის 16 დეკემბერი

12. გრიგოლ ნათაძე. საქართველოს ისტორიის საერთო მეთოდოლოგიის საკითხი და მის სწავლების მეთოდები

I

ვახუშტის და დ. ბაქრაძის მეთოდოლოგია

საქართველოს ისტორიის მეცნიერული დამუშავების საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და რთულია სკოლისათვის. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია მისი საზოგადო მეთოდოლოგია, რომელიც ეხება ისტორიისადმი მიდგომას და ისტორიის კურსის სისტემატიზაციას. რა თქმა უნდა, თავისთავადაც ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და დიდი კვლევის საგანს უნდა შეადგენდეს, მაგრამ, რადგანაც ჩვენ მხედველობაში გვაქვს სკოლა და მისი საჭიროებანი, ამიტომ შევეხოთ მხოლოდ რამდენსამე ნიმუშს, ისიც არა სპეციალი კვლევაძიებისა, არამედ სისტემატიური კურსების და სახელმძღვანელოების შექმნისას.

მეცნიერული დამუშავება საქართველოს ისტორიისა ვახუშტის სამეცნიერო მოღვაწეობით იწყება. ამ შესანიშნავი ისტორიკოსის მუშაობა იმ დროის მიხედვით გასაოცარ მეცნიერულ სიმაღლეზე მდგარა, როგორც მას ახასიათებს პროფ. ჯავახიშვილი. ვახუშტის აზრით, ისტორია განიყოფება ოთხ ნაწილად: პირველია ადგილის აღწერა, მეორე — ნათესაოთა მეტყველება, მესამე — წლის მრიცხველობა და მეოთხე — მოქმედების აღწერა.[1] ამ ჩამოთვლიდან უკვე ჩანს, როგორ ესმის ვახუშტის ისტორია. რა თქმა უნდა, იმ დროს არ შეიძლება სხვანაირად ჰქონდა ვისმე წარმოდგენილი ისტორია, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაგებით ისტორია ჯერ არ არის საზოგადოებრივი მეცნიერება, იგი მხოლოდ ჰუმანიტარულია, მაგრამ საზოგადოებრივი არა. რაგვარ კვლევას აწარმოებს ვახუშტი თავის შრომაში? როგორც პროფ. ჯავახიშვილი ამბობს, „ვახუშტი კარგად გრძნობდა, რომ ისტორიისათვის მარტო თვით ამბების ჭეშმარიტების გამორკვევა და დამტკიცება კი არა კმაროდა, არამედ აუცილებლად საჭირო იყო თითოეული ისტორიული მოვლენა ქრონოლოგიურადაც განსაზღვრული ყოფილიყო“. იმისთანა შემთხვევებიც ყოფილა ვახუშტის მუშაობაში, როდესაც პირველ წყაროში აღნიშნული ყოფილა თარიღები, მაგრამ არეული. ამისთანა შემთხვევაში ვახუშტი „დიდი დაკვირვებით და გონებამახვილობით არკვევდა ხოლმე კვლევის საგანს“. ასე არკვევს იგი, მაგალითად, წმ. ნინოს მიცვალების ქრონიკონს (ვახუშტი — „საქ. ისტ“, გვ. III). ვახუშტს სცოდნია ისიც, რომ ამგვარი შეცდომები გადამწერთა ბრალია. ვახუშტი ცდილობს გამოარკვიოს აგრეთვე თამარ მეფის გამეფების თარიღიც (იქვე, გვ. 5). ასე კრიტიკულად არჩევს იგი „ვარაზ-ბაქარის და მცირე თეოდოსის“ თანამედროვეობის საკითხსაც (იქვე, გვ. III). მთავარ საშუალებად ამისთანა საკითხების გამორკვევაში ვახუშტს აქვს მიღებული თარიღების ერთმანეთთან და უცხოელ ისტორიკოსთა თარიღებთან შედარება, მათი „შეთანასწორება“ (იქვე, გვ. II). ვახუშტი იმ შემთხვევაშიც ცდილობს თარიღების გამორკვევას, „როდესაც ქართულ საისტორიო თხზულებაში აღნიშნული იყო მხოლოდ თვე, რიცხვი და დღის სახელი, წელიწადი კი აღნიშნული არ იყო“. როგორც პროფ. ჯავახიშვილის მიერ დახასიათებულია ხერხი ამგვარი თარიღე-

[1] პროფ. ჯავახიშვილი, „ისტ. მიზ. წყ. და მეთოდები“, 1916 წ., გვ. 234; ვახუშტი, „საქ. ისტ.“, გვ. 1.

ბის გამორკვევისა, ვახუშტი მართლაც ამგვარ შემთხვევაში ძლიერ მაზვილგონიერად იკვლევს საკითხს. ეს მეთოდი თხოულობს სამათემატიკო გამოანგარიშებას და ამგვარ შემთხვევაში მისი ხმარება ახლაც მიღებულია მეცნიერებაში. თავისი შრომის მეორე ნაწილში ვახუშტი ცდილობს აღადგინოს „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილი (ჯ,ავახ. იქვე, გვ. 292). ამისთვის იგი მთავარ ყურადღებას აქცევს ისტორიული კრიტიკის ქრონოლოგიურ და გენეალოგიურ მეთოდს.

ამ დახასიათებულიდანაც კი, რაც გინდა მცირე და არასაკმარისი იყოს იგი, უკვე ჩანს, რომ ვახუშტს, რასაკვირველია, არა აქვს მიზნად დასახული ისტორიული სინთეტიური მუშაობა და კანონების გამორკვევა. არც შეიძლება იმ დროის მეცნიერებას ეს მოვთხოვოთ. აქ პირდაპირ ემპირიული მუშაობაა, მოვლენების ინდივიდუალური თვისებების გამორკვევა და აღსანიშნავია, რომ ამისათვის ვახუშტს, მაშინდელი დროის მიხედვით, სათანადო მეთოდებიც აქვს, სათანადო იარაღით არის აღჭურვილი, მაგრამ ამ ემპირიული ობიექტივობის ნიადაგზე გაჩერება, როგორც ეტყობა, ვახუშტსაც ვერ მოუხერხებია, როგორც ზემოდასახელებულ ისტორიკოსებს დასავლეთ ევროპის ისტორიისას და ალაგ-ალაგ მაინც შეაქვს თავის კვლევაში სუბიექტიური ელემენტი. ასე მაგალითად, როდესაც ის ეხება საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის საკითხს, აქ მამულიშვილის მტკივნეული ადგილი საგრძნობელი ხდება და ჩვენი მეცნიერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ წინათ საქართველო გაერთიანებული იყო. თვით ამ საკითხის წამოყენება ბუნებრივია და ახსნება იმით, რომ ვახუშტის დროს საქართველო ისე იყო დანაწილებული, რომ „უცოდინარ ადამიანისათვის წარმოდგენაც კი ძნელი იყო მისი ერთიანობისა და მთლიანობისა“ (ჯავახ. იქვე, გვ. 294). ამიტომ, რასაკვირველია, სახელმწიფო მეთაურებისათვის და ერისათვის გულმტკივნეული მოღვაწეებისათვის ოცნებად იყო გადაქცეული საქართველოს გაერთიანება. ვახუშტიც ასე ყოფილა და სრულიად ბუნებრივია, რომ ის ცდილობს ხაზგასმით აღნიშნოს — წინათ საქართველო გაერთიანებული იყოო.

მაგრამ იმის დამტკიცება, რომ საქართველოში უწინ ერთმეფობა იყო, ვახუშტს, ეტყობა, გასაძნელებია და ამიტომ ერთმეფობის მაგივრად იგი ამტკიცებს მხოლოდ ქართველთა კულტურულ და ეროვნულ მთლიანობას. „ერთმეფობის დამამტკიცებლად მას მიაჩნია ქართველთა საერთო ენა, რჯული, ანბანი და მწერლობა“ (იქვე. გვ. 295). ეს უკვე კვლევა-ძიების ემპირიული წესის დარღვევას ნიშნავს, რადგანაც აქ ვახუშტს შეტანილი აქვს ტენდენცია, როგორც რიკერტი და მაქს ვებერი იტყოდენ, „კულტურული ღირებულების“ თვალსაზრისი, ხოლო, როგორც მარქსისტული მიმართულების სოციოლოგი-ისტორიკოსი იტყოდა, კლასობრივი თვალსაზრისი, კლასობრივი იმიტომ, რომ მტკივნეულობა საქართველოს დაქუცმაცების განცდაში იმ დროის მოწინავე საზოგადოების ოცნებასა და განცდას შეადგენდა. და ეს მოწინავე საზოგადოება განსაზღვრულ, ანტიფეოდალურ კლასებს ეკუთნოდა. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ თვით ფაქტების კვლევაშიც ვახუშტი მეტად მარტივ და მიამიტ ხერხებს მიმართავს, ვინაიდან მას აპრიორულად სწამს ყველა ლეგენდა, რომელიც კი ამოუკითხავს „ქართლის ცხოვრებიდან“ და მას კრიტიკულად არ იხილავს. ფარნაოზის მეფობა, წმინდა ნინოს ქადაგება, ვახტანგ გორგასლანის მოღვაწეობა — ყველა ეს მიღებული აქვს ისე, როგორც არის აღნიშნული მატიანეში. მიამიტობას იჩენს იგი ხშირად სახელების ახსნაში (მაგ., ივერია — ია ვერიესაგან) (ვახ. 22-23). ისე რომ ვახუშტმა, მიუხედავად მისი დიდი ცოდნისა მისი დროის შესაფერად, მაინც შემდეგ თაობას ვერ დაუტოვა ნამდვილი მეცნიერული კვლევა თვით ფაქტიური მასალისაც კი. იმაზე ხომ ნურას ვიტყვით, რომ სინთეტიური მუშაობა ან სისტემატიური კურსი ისტორიისა,

რასაკვირველია, მას არც მოუცია და არც მოეთხოვება. ამის შემდეგ უნდა შეეხოთ იმას, თუ როგორ შეასრულა მეცხრამეტე საუკუნემ ვახუშტის მიერ ნაწყებულები, მაგრამ ეს მეტად რთული ამოცანაა, რომელსაც ხანგრძლივი სპეციალური შრომა ესაჭიროება. ამჟამად დრო არ მქონდა, რომ ეს მეტად საინტერესო საგანი შემესწავლა. უნდა ვთქვათ, რომ ეს არც შეადგენს ამ წიგნის ამოცანას. რომ კიდევაც შესწავლილი მქონდეს საკითხი, ეს ცალკე წიგნის, ცალკე გამოკვლევის საგანს უნდა შეადგენდეს და, რასაკვირველია, ყველაზე უკეთესად ამის შესრულება საქართველოს ისტორიის სპეციალისტებს შეუძლიათ, მე კი ამ საკითხს იმდენად შევეხები, რამდენადაც ეს საჭიროა მეთოდიკისათვის, რაც შეადგენს ამ წიგნის მთავარ საგანს. ჩვენთვის საკმარისია მხოლოდ აღვნიშნოთ მთავარი მიმართულება და კვლევა-ძიების მეთოდი ამა თუ იმ მეცნიერისა, რომელიც გამეფებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამაში კი, იმედი მაქვს, დიდ შეცდომას არ დავუშვებ, მაგრამ ამასაც დავახასიათებ მხოლოდ ორი-სამი ნიმუშის მიხედვით.

მეცხრამეტე საუკუნეში ისტორიული კვლევა-ძიება პირველ ხანებში სრულიად დაცემულია. შემდგომ იწყება მისი აღორძინება და ისტორიკოსები ორ გზას ადგებიან, ორ ჯგუფად იყოფიან. ერთი ჯგუფი მუშაობს მასალის თავმოყრაზე და პოპულარიზაციაზე. სრულიად უკრიტიკოდ აგროვებენ ლეგენდებს, ისტორიული ხასიათის თქმულებებს, როგორც ბევრგან იქცევა პლ. იოსელიანი და გზადაგზა არკვევენ მხოლოდ გეოგრაფიულ სახელებს, ისტორიულ სახელებს, ხან თარიღებს, რომელიც ამ ლეგენდებში გვხვდება. კვლევა-ძიების მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დაყენების მხრივ საქართველოს ისტორიკოსთა შორის ცნობილია ყველაზე მეტად მ. ბროსსე, რომლის კალამსაც ეკუთვნის საქართველოს ისტორიის მასალების შესანიშნავი კრიტიკული გამოკვლევები, მაგრამ როდესაც ის ცდილობს სისტემატიური, მთლიანი ისტორია მოგვცეს, რაც ჩვენ ამჟამად უმთავრესად გვაინტერესებს, პირდაპირ მატიანეს ამბებს გადმოგვცემს, თანაც ისე უსისტემოდ, რომ არავითარი მეცნიერული, თუნდაც პოპულარულ-მეცნიერული მნიშვნელობა მას არა აქვს. მხედველობაში მაქვს მისი „საქართველოს ისტორია", გამოცემული 1895 წელს ნიკ. ღოღობერიძის მიერ. ამ წიგნში სრულიად არავითარი სისტემა არ არის და თვით მეცნიერის მიღწევათა შედეგები ძლიერ ნაკლებადა ჩანს. ეს წიგნი ჩვეულებრივი პრაგმატიული ისტორიის მოთხოვნასაც კი ვერ აკმაყოფილებს. უმთავრესი აქ ის არის, რომ არავითარი ცდა არა ჩანს ისტორიის აგებვისა, საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარებისა და საზოგადოებრივი ფორმაციების მხრივ და ამიტომ არც საშუალო და არც უმაღლეს სკოლაში არ გამოდგება, როგორც საქართველოს ისტორიის კურსი. თვით ძველ სკოლაშიც კი ეს წიგნი გამოუსადეგარი იყო და არასოდეს არც ყოფილა მიღებული არა თუ როგორც სახელმძღვანელო, არამედ როგორც საკითხავი წიგნიც კი.

სისტემატიური კურსის შექმნის ცდაში მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს დიმიტრი ბაქრაძეს. ეს ცდა მის მიერ გატარებულია უმთავრესად მის წიგნში: „ისტორია საქართველოსი უძველეს დროიდან მე-10 საუკუნემდის". საზოგადოდ ეს შრომა ნაყოფია მისი დიდი განსწავლულობისა. ქართველ მეცნიერთა შორის იგი პირველად უყრის თავს სხვადასხვა ენებზე გამოსულს და სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილ წყაროებს, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ როდესაც კითხულობთ თვით წიგნს და თავს უყრით იმ აუარებელ წყაროს, რომელიც პატივცემულ მეცნიერს გამოუყენებია, გრძნობთ, რომ განსწავლულობა და ერუდიცია დიდია, ხოლო შედეგები კი ძლიერ მცირე. თუნდაც ავიღოთ სანიმუშოდ რომაელი და ბერძენი მწერლებიდან ამონაწერი და ამონაკრები ცნობები და ამის დამუშავების შედეგები. ამ უნაყოფობის მიზეზი უნდა ვეძიოთ სინთე-

ტიური მუშაობისათვის აუცილებელი მეთოდის უქონლობაში, რაც ირკვევა თვით შრომიდანაც და მისი წინასიტყვაობიდანაც და აგრეთვე იმ გეგმიდან, რომელიც ბაქრაძის ისტორიის შესავალს აქვს ბოლოში დართული. ისტორიკოსი ამბობს, რომ ამ ბოლო დროს უძველესი ტომების ისტორიის შესახებ სწავლულები ახალ აზრს დაადგენო და ეტყობა, თვითონაც ამ ახალი აზრის მიხედვით იკვლევს ისტორიას. მაგრამ როგორც შემდეგიდან ჩანს, ეს „ახალი" მისთვის ისაა, რომ ისტორიას იწყებს დედამიწის გეოლოგიური შესწავლით და მასზე ადამიანის წარმოშობის აღწერით (ბაქრ., გვ. 1-2), თვით ისტორიის ხანაში საზოგადოებრივ ფორმაციებზე კი არაფერს ამბობს. ხოლო როგორც თვით ნაშრომიდანა ჩანს, საქართველოს დასაწყისის და სახელწოდების შესახებ ამონაწერების შემდეგ მოჰყვება ტრადიციულად მეფეების ცხოვრების აღწერას. წინასიტყვაობაში (გვ. 1) ავტორი კვლევის უფრო ფართო გეგმას ისახავს. მისი აზრით, ისტორიის მიზანს შეადგენს ის, თუ „როგორ და სად არსებულა ერი, რა ადგილებში უმგზავრია", „რა კულტურა შეუტანია", „რაგვარი გავლენა აღმოუჩენია ამ ქვეყნის მდებარეობას და თვისებას მის ტიპზე (ხაზი ჩემია, გ. ნ.), ხასიათზე, „მიმართულებაზე", რა დამოკიდებულება ჰქონია მას უცხო ტომებთან და რაგვარად მოუწყვია მას თავისი ყოფა-ცხოვრება, სოციალური და პოლიტიკური". ეს გეგმა უფრო ფართოა, ვიდრე თვით გამოკვლევა, მაგრამ ესეც მოწმობს იმას, რომ ამ გეგმით ვერ გაკეთდება ის, რაც ახლა ჩვენ გვესაჭიროება. აქ ყველაზე დამახასიათებელი ის არის, რომ ისტორია იყოფა ეპოქა ეპოქად, ცხადია, მხოლოდ ქრონოლოგიურად, როგორც თვით ნაშრომიც გვიჩვენებს. შემდეგ ის, რომ დასმულია საკითხი საერთაშორისო ურთიერთობისა, კულტურული გავლენისა, ბუნების გავლენისა ადამიანის ტიპზე და არა მეურნეობაზე და საზოგადოებრივ სტრუქტურაზე და თვით სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის საკითხი დასმულია, როგორც ყოფა-ცხოვრების საკითხი და არა ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობის ნიადაგზე განვითარების პროცესისა, რომ არა ვთქვათ რა, რაც ჩვენ ახლა აუცილებლად მიგვაჩნია საზოგადოებრივი ფორმაციისა და დიალექტიური განვითარების შესახებ, დ. ბაქრაძის მეთოდით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაში ეს, შეიძლება, იმ დროს მართლაც ახალი რამ იყო, რასაკვირველია, მკვლევარი ბევრს ვერაფერს მიაღწევდა, ის დიდძალი ცნობები, მდიდარი თავისი შინაარსით, რომელიც ჩვენ ავტორს ამოუწერია სტრაბონიდან (გვ. 111-122), რომ საზოგადოებრივი ფორმაციის თვალსაზრისით გამოეყენებინა, ის გამოარკვევდა მაშინდელი მეურნეობის ტიპს და მასზე აღმოცენებულ საზოგადოებრივს და საერთაშორისო ურთიერთობას. დ. ბაქრაძე კი ორგანიზმის ფორმაციაზე ლაპარაკობს (გვ. 3) და საზოგადოებრივზე კი ხმას არ იღებს. საინტერესო და დამახასიათებელია ის გეგმაც, რომელიც დართული აქვს წინასიტყვაობას. ამ გეგმით ირკვევა, რა უნდა გამოსულიყო, საქართველოს ისტორია ბაქრაძეს რომ ბოლომდე დაესრულებინა. ეს უფრო წარმოადგენს საქართველოს სიძველეთა შესწავლას, ვიდრე ისტორიას. „უმაღლესი გამგეობა", „უმაღლესი ხელისუფლება", „მაღალი და დაბალი წოდება", „მხედრობა", „კულტურა". ასეთი უნდა ყოფილიყო გეგმა ისტორიის მეორე ნაწილისა. მასში თითოეული დებულება წამოყენებულია, როგორც შემცველი უცვლელი მასალისა და კვალი ისტორიული ცვალებადობისა სრულიად არა ჩანს (გვ. 4-7). რაც შეეხება განკერძოებული ფაქტების კვლევა-ძიებას, აქ დ. ბაქრაძეს ბევრი რამ შეუქვს ახალი, მაგრამ შესაფერისი მეცნიერული მიდგომის უქონლობის გამო ბევრი სრულიად ლეგენდარული ამბავი ისევ ლეგენდარულად რჩება, ვინაიდან ჩვენს მეცნიერს იგი სწამს მიამიტად. ერთი მხრივ მას გადაუდგამს პირველი ნაბიჯი ვახტანგ გორგასლანის ლეგენდარული პიროვნების გამორკვევისათვის და აღუნიშნავს ორმაგობა მის შესახებ წყაროებში,

მაგრამ მეორე მხრივ ფარნაოზი მას სწამს ისტორიულ პირად სწორედ იმ დათარიღებით, რომელიც მატიანეშია (გვ. 162-169 და 79). ასე რომ, დიმ. ბაქრაძემ, მიუხედავად იმისა, რომ მან ძლიერ წინ წასწია საქართველოს ისტორია, თვით ფაქტების გამორკვევა-დადასტურების, თარიღების, გენეალოგიის და სხვა ამგვარი საკითხებიც კი უმეტეს შემთხვევაში შთამომავლობას დაუტოვა გადასაწყვეტად. სინთეტიურ მეთოდზე ხომ ლაპარაკიც საჭირო არ არის. ცხადია, რომ ამ მხრივ თანამედროვე მოთხოვნილებას ის მეტის-მეტად დაშორებულია. მიუხედავად ამისა, საქართველოს ისტორიოგრაფიის მიერ დასმული საკითხების გასაშუქებლად მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დიდი მუშაობა სწარმოებს მასალების დაგროვების მიმართულებით. ამისთანა საქმეს ჩვენი მეცნიერნი დიდის ენტუზიაზმით აკეთებენ, რადგანაც იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია რუსეთის იმპერიალიზმის მიერ ეროვნულ ჩაგვრას მეტად მწვავედ განიცდიდა და მის საწინააღმდეგოდ ეროვნულ საქმეს მეტი გატაცებით აკეთებდა, თითქოს ამით სურდა დაემტკიცებინა, რომ ქართველთ დიდი წარსული გვაქვს, ურუსეთოდ უკვე კულტურული ერი ვიყავით და ჩვენი ეროვნული ჩაგვრა, ჩვენზე, როგორც ჩამორჩენილ ერზე მზრუნველობის ნიღაბ ქვეშ, სრულიად გაუმართლებელია. ხოლო ჩვენი თავად-აზნაურობა საქართველოს წარსულის აღდგენაში თავის დიდებასაც ხედავდა და ამ მუშაობას ნიუთიერად მხარს უჭერდა.

ისტორიის სისტემატიზაცია და სინთეტიური მუშაობა და თვით ფაქტიური მასალების გამორკვევა და ლეგენდებიდან მათი გადარჩევა მეცხრამეტე საუკუნემ მეოცე საუკუნეს უანდერძა.

II

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მეთოდოლოგია

ამგვარად, მეოცე საუკუნეს საქართველოს ისტორიის დარგში წილად ხვდა იმ ამოცანის შესრულება, რომელიც მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში იყო დასმული, მაგრამ ვერ შესრულდა. მასალა გროვდებოდა, ფაქტების გამოკვლევის, წყაროების თაემყრის და შესწავლის, ლეგენდებიდან ნამდვილი, ზუსტი ფაქტების ამორჩევის ცდა ბევრი იყო, მაგრამ მაინც საქართველოს ისტორიულმა მეცნიერებამ მეოცე საუკუნეს მიაღწია ისე, რომ ლეგენდარული ცნობები და ნამდვილი ფაქტები სრულიად არეული იყო ერთმანეთში. მეცნიერთა შორისაც რწმენა ლეგენდარული გადმოცემისა ისევე უკრიტიკოდ არსებობდა, როგორც ფართო მკითხველ საზოგადოებაში. ისტორიული კვლევა-ძიების ამ მხრივ მეცნიერულ ნიადაგზე დაყენება წილად ხვდა პროფ. ჯავახიშვილს, რომელმაც მთელი საუკუნის განმავლობაში დასმული და გადაუწყვეტილი საკითხები სულ მოკლე ხანში გადასწყვიტა. წინათ თვით ისეთი მეცნიერიც კი, როგორიც იყო დიმიტრი ბაქრაძე, ყოველთვის პირველწყაროებით არ სარგებლობდა. ისეთი ცნობები, როგორსაც გვაძლევს ჩვენ, მაგალითად, სტრაბონი, დ. ბაქრაძეს ფრანგული თარგმანიდან აქვს ჩაწერილი. პროფესორი ჯავახიშვილი კი საუკეთესოდ აღჭურვილია იმისათვის, რომ უშუალოდ პირველწყაროებიდან ამოკრიბოს ცნობები. ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ, სომხურ, არაბულ, ევროპულ ენებზე არსებული წყაროები ყველა ხელმისაწვდომია იმისათვის და ამის მეოხებით მან შეასრულა ის, რაც არ გაუკეთებიათ მანამდე არც თვითეულ ქართველ მეცნიერს ცალკ-ცალკე, არც ყველას ერთად. ზუსტი კვლევა-ძიება, ნამდვილი ფაქტების გადარჩევა და დამტკიცება მრავალნაირი წყაროს ცნობების შედარების ნიადაგზე, დათარიღება, გენეალოგიური საკითხე-

ბის გამორკვევა და სხვა ამგვარი ამოცანები ისე შეასრულა პროფ. ჯავახიშვილმა, რომ მისი მეოხებით, შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, საქართველოს ისტორიული მეცნიერება ამ მხრივ ერთბაშად დასავლეთ ევროპის ისტორიულ მეცნიერების სიმაღლეზე დადგა.

რაც შეეხება მეცნიერული მუშაობის მეორე მხარეს — ისტორიის მთლიანი კურსის სისტემატიზაციას და მის სოციოლოგიურ გაშუქებას — ამ მხარისათვის პატივცემულ პროფესორს თავდაპირველად ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. მე ამას ერთი მხრით იმით ვხსნი, რომ მის წინაშე მწვავედ იდგა ის საკითხები, რომელიც დასმული იყო წარსულ საუკუნეში და რომლის გადაუწყვეტლად არავითარი მუშაობა არ იყო შესაძლებელი. ამიტომ მთელი თავისი ძალ-ღონე ამ საკითხის გადასაწყვეტად დაუგროვა და თავისი მეცნიერული საჭურველი ამ საკითხების გადასაწყვეტად მოიმარჯვა. მეორე მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით ინამა-შტერნეგის და სხვათა სოციოლოგიურ სინთეტიურ მუშაობას იქამდე არ ჰქონდა მოპოვებული ავტორიტეტი, რომ საქართველოს ისტორიკოსს ამისათვის მიექცია მთავარი ყურადღება. მეორე მხრივ გერმანიის ძველი ისტორიული სკოლა სისრულით ჰფლობდა იმ მეთოდებს, რომელსაც იმ დროს ეძებდა პროფ. ჯავახიშვილი და რომელიც აუცილებლად საჭირო იყო საქართველოს ისტორიისათვის, ურომლისოდაც ემპირიული სტადია მუშაობისა არ შეიძლებოდა. უამისოდ კი თავის მხრივ არც სინთეტიური მუშაობა შეიძლება.

რადგანაც ამჟამად საქართველოს ისტორიაში უზრუნველყოფილია ყოველ შემთხვევაში მრავალი ფაქტის გარკვეული და უდავო ცოდნა და სკოლის საჭიროებისათვის რა ცოდნაცა გვაქვს, იმის სისტემატიზაციაზე გვისხდება ზრუნვა, ამიტომ შევეხოთ ამ მხრივ პროფ. ჯავახიშვილის საერთო კურსს. მის დანარჩენ შრომებზე არას ვამბობ, რადგანაც უდავოა, რომ ყოველი მკვლევარისათვის აუცილებელია მის მასალებს დაემყაროს, ფაქტიური იქნება იგი თუ ამა თუ იმ ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი, როგორც, მაგალითად, საფას-საზომთა და ფულის ნიშანთა ცოდნა და სხვა ამგვარი. თვით „სამართლის ისტორიასაც“ არ ვეხები, როგორც ისეთ სპეციალურ გამოკვლევას, რომელიც დიდად საინტერესოა სხვისთვისაც და ჩემთვისაც, მაგრამ სკოლის მიზნებისათვის ჩვენ იძულებული ვართ ამჟამად მხოლოდ სისტემატიური კურსის აგებულებაზე ვილაპარაკოთ. ეს გახლავთ პროფ. ჯავახიშვილის ცნობილი „ქართველი ერის ისტორია“.

ეს შრომა ჯერჯერობით დაუმთავრებელია და გეგმით წარმოადგენს საქართველოს ისტორიის მთლიან განხილვას. ამას გარდა, დამახასიათებელი თვისება მისი გამოკვლევებისა იმაში მდგომარეობს, რომ ის ან მთლიანად იხილავს საქართველოს ისტორიას ან მის ერთ რომელსამე მხარეს გამოჰყოფს და მას იკვლევს ერის არსებობის დროთა მიმდინარეობაში. მონოგრაფიული გამოკვლევები ძლიერ ცოტა აქვს. ყოველ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი შრომები პროფ. ჯავახიშვილისა ისინია, რომელშიც მონოგრაფიულად კი არ იკვლევს ამა თუ იმ საკითხს რომელიმე განსაზღვრული ეპოქის შესახებ, არამედ ისტორიის მთელი მსვლელობის გამზირ ერთ რომელიმე საკითხს გამოყოფს და მას აშუქებს. მისი გამოკვლევების შინაგანი თვისება ის არის, რომ მკვლევარი, ასე ვთქვათ, ატრიალებს თავის გამოკვლევებში აუარებელ დოკუმენტალურ მასალას. ზედმიწევნით, ყოველმხრივად, დეტალურად შესწავლილი დოკუმენტალური მასალების ცოდნის მხრივ, მათი სიმდიდრის და კრიტიკულად განხილვის, აღდგენის და განმარტების მხრივ პროფ. ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიულ მეცნიერებაში ხომ ბადალი არა ჰყავს, რა თქმა უნდა, მაგრამ თვით ევროპის მეცნიერებაშიც ამ მხრივ, ე. ი. ყოველი მეცნიერის მიერ მასალის თავმოყ-

რის და კრიტიკულად შესწავლის მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი შრომები სხვებს არ ჩამორჩება.

კვლევა-ძიებაში პროფ. ჯავახიშვილი უდიდესად მტკიცე და თავდაჭერილი მეცნიერია. რომელიმე საკითხის შესახებ თუ საკმაო წყაროები არ არსებობს, რომ მასზე გარკვეული აზრი იყოს გამოთქმული, მას სრულიად ხელს არ ჰკიდებს. მას ჰიპოთეზების გამოთქმა არ უყვარს, მეცნიერების ზედმიწევნილობას დიდად აფასებს. პროფ. ჯავახიშვილი მუდამ, დაუსვენებლივ მუშაობს და ჩვეულებრივ თავისი შრომების დანაკლისს თვითონვე ავსებს. ამ სიფრთხილის საფუძველი ერთი მხრივ თვით პროფესორის პირადი ღირსებაა, მაგრამ მეორე მხრივ მის მეთოდოლოგიურ რწმენაზედაც არის დამყარებული, რომლის შესახებაც ვრცლად თავისი აზრი არსად გამოუთქვამს, მაგრამ მოკლედ კი აქვს იგი გამოთქმული „ქართველი ერის ისტორიის“ უკანასკნელი გამოცემის წინასიტყვაობაში.

იმას უმჯობესად მიაჩნია მეცნიერება არც ერთი ნაბიჯით არ გამოსცილდეს იმას, რაც წყაროში პირდაპირ, გარკვეულად არის ნათქვამი. ცხადია, პროფესორს სწამს სრული ობიექტივიზმის შესაძლებლობა კვლევა-ძიებაში და არა სცნობს კლასობრივი სუბიექტივიზმის აუცილებლობას. „საქართველოს ისტორიის მეცნიერების კრიტიკულ შესწავლას ჯერ იმ დონემდე არ მიუღწევია, რა დონეზედაც ძველი საბერძნეთისა, რომისა და დასავლეთ ევროპის ისტორია იმყოფება, რომ ისტორიკოსმა ძირითადი ფაქტების აუცილებლობის წყალობით თითქმის სრულებით დაუსაბუთებლად სწეროს და მარტო ზოგადი პრობლემების განხილვით იყოს გატაცებული“ — დასძენს ზემოთ ნათქვამს პროფესორი. აქაც იგივეა. თეორიები და განზოგადებითი მუშაობა არ შეიძლება, ვიდრე ძირითადი ფაქტების საკმარისი რიცხვი არ არის დაგროვილი. მაშასადამე, როდესაც მეცნიერი რომელიმე მოვლენას იკვლევს, იგი ამ მოვლენაზე უნდა აჩერებდეს მხოლოდ ყურადღებას, სხვაზე არ იფიქროს, სხვებს არ შეადაროს, ე. ი. როგორც რიკერტიც ამბობს თავის პირველ წიგნში, მხოლოდ მოვლენის ინდივიდუალური თვისებები გამოარკვიოს. მართალია, პროფესორი ივ. ჯავახიშვილი შესაძლოდ სცნობს სინთეტიურ მუშაობას, როდესაც ძირითადი ფაქტების საკმარისი რიცხვია დაგროვილი, მაგრამ რას ნიშნავს „საკმარისი“? საკმარისობის ცნება რელატიურია, მანამდის კი ისტორიკოსმა ფაქტები უნდა აგროვოს, მოვლენები იკვლიოს ერთის მეორესთან დამოუკიდებლად. მაშასადამე, უსინთეზოდ, განმაზოგადებელი (генерализирующий) მუშაობის გარეშე შეიძლება იყოს ისტორია.

„ქართველი ერის ისტორია“, განსაკუთრებით მისი ახალი გამოცემა რომ გადავათვალიეროთ, ცხადი იქნება, რომ მის სხვა და სხვა თავებში და პარაგრაფებში აწერილია ერთმანეთთან დამოუკიდებელი და დაუკავშირებელი ფაქტები. იმ თავებში, რომელშიც მკვლევარი ისახავს მიზნად საქართველოს საერთო — ეკონომიურ ან კულტურულ მდგომარეობის გამოკვლევას, აგრეთვე განკერძოებული მოვლენებია აღწერილი, ვინაიდან ისინი უკვე მოყვანილი ფაქტების სინთეზს კი არ წარმოადგენენ, არამედ უმეტეს შემთხვევაში ახალ ფაქტებს და ახალ მასალებს ემყარებიან. ისე რომ, კვლევა-ძიების დროს პროფესორი ჯავახიშვილი თავიდანვე არ ღებულობს ფაქტების ანალიზის დროს საზოგადოებრივი ფორმაციის ნიადაგზე კვლევის მიმართულებას და ამიტომ არც სინთეტიური მუშაობა მოსდევს ამგვარ ანალიზს. მის შრომებში საყურადღებო და მაჩვენებელია განსაკუთრებით მისი დახელოვნება და უნარი წყაროების განხილვის ნიადაგზე ფაქტების აღნიშვნა, გამოკვლევა ნამდვილად მომხდარი ამბებისა და დადასტურება. მრავალ მაგალითებს შორის მოვიყვან მხოლოდ ორს. ეს სრულიად საკმარისი იქნება, რათა ვიქონიოთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ აღწევს ჩვენი ისტორიკოსი კვლევის ზედმიწევნილობას. პირველი მაგალითი

ებება ვახტანგ გორგასლანის პიროვნებას და მოღვაწეობას. მატიანეში ეს მეფე დეე-გმირად და ბუმბერაზად არის დახატული. მთელი მისი მოღვაწეობის აღწერა ლეგენდურია. პროფესორი ჯავახიშვილი ამ ლეგენდიდან სინამდვილის გამოსარკვევად იკვლევს, თუ რა ცნობები აქვთ ამ ეპოქის და ვახტანგის მოღვაწეობაზე იმ დროის უცხოელ მწერლებს, მეტადრე იმ ქვეყნებისას, რომელშიც მწერლობა უკეთ იყო განვითარებული, რის გამოც მათ ლიტერატურაში უფრო სწორე ცნობები მოიპოვება ნამდვილად მომხდარ ამბების შესახებ. ამ ცნობებს ადარებს ერთმანეთს და ქართულ მატიანეს ცნობებს. ამ შედარების გაცხრილვის შემდეგ კი ჩვენ გვრჩება ნამდვილი ამბავი. მეორე მაგალითი: არაბების ხელშეკრულება ქართველებთან. ირკვევა, რომ ხელშეკრულება ერთი არ ყოფილა, არამედ რამდენიმე და სხვადასხვა ნაირი. ხელშეკრულებათა ტექსტების შედარებიდან მკვლევარი არკვევს მთავარ საფუძველს ხელშეკრულების პირობების და ამით შუქსა ჰფენს არა მარტო არაბების მიერ საქართველოს დაპყრობის ამბავს, არამედ თვით საქართველოს მდგომარეობასაც. კვლევა-ძიების ამგვარი წესი ერთად ერთია, რომელსაც კი შეუძლიან მეცნიერულ სინამდვილის ამოცნობამდის მიგვიყვანოს. თვით მარქსი, ეს უაღრესი მომხრე სინთეტიური მუშაობისა ისტორიაში, ამგვარ ემპირიულ კვლევა-ძიებაზე აფუძნებს მეცნიერულ აზროვნებას.

პროფესორი ჯავახიშვილი სრულ ობიექტივობას ძალაუნებურად არღვევს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სადაც მის მიერ აღწერილი ფაქტები აძლევენ მას საბაბს მამულიშვილური გრძნობების გამოთქმისას, ვინაიდგან აგონებენ საქართველოს მწარე ხვედრს იმპერიალისტური იერიშების ზეგავლენით. ამაში ის ნაწილობრივ ბრალსა სდებს თვით ქართველებსაც, რომელნიც თავის იერიშებით გატაცებულნი მიზეზს აძლევდნენ თავის მტრებს მათი ძლიერების პერიოდში აგრეთვე იერიშები მოეტანათ საქართველოზე. აქ გამოთქმულია სრულიად ბუნებრივი გრძნობები, მიმართული ყოველივე აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელი მხრიდანაც უნდა იყვეს ეს, მაგრამ თვით საიერიშო პოლიტიკა ამით ვერ აიხსნება, თუ ეს მოვლენები არ შეუფარდეთ შესატყვის საზოგადოებრივ ფორმაციას. რაკი წიგნში ეს ასე არ არის, ამიტომ ამ ადგილზედ პროფესორი იჩენს ერთგვარ სუბიექტივიზმს და ატარებს თავის გრძნობებს და აზრებს, შეთვისებულს იმ წრეებში, რომელშიც სრულიად ბუნებრივად ტრიალებდა ბოლმა პატარა ერების მჩაგვრელ პოლიტიკის ბატონობის გამო რუსეთის თვითმპყრობელობის დროს. აქ პროფესორს, ჩვეულებრივ ძლიერ თავდაჭერილს და ინტელექტის ჩარხში ყოველი გრძნობების გამტარებელს, ყოველგვარი წინასწარი ჰიპოთეზების უარმყოფელს და სრული ობიექტივიზმის მომხრეს, ერთგვარი პათოსიც კი ეშჩნევა.

თითქოს სტილი უფრო ზეშთაგონებით ხასიათისაა, რაც ჩანს იქიდან, რომ აქა-იქ გვხვდება სიტყვები: „დიადი“ (აღმშენებლობა), „დიდებული“ (გვირგვინოსანი), „საქართველოს უბედურება“, „საშინელი დანაკლისი“, „ჩვენი სამშობლო“ და სხვა. მეორე მოტივი მთელი ამ ადგილებისა არის აზრი, რომ საქართველოს უბედურება მის დანაწილებაში და თვით მართველთა შინაურ შუღლშია. ამას თვით ქვესათაურების ფორმულებიც ამტკიცებს: „საქართველოს დაყოფის დამღუპველობა“, „საქართველოს დარღვევის მიზეზები“, „თემობრივობა“. ყველა ეს, ერთად შეწყობილი, სრულიად გარკვეულ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ამ ადგილზე მკვლევარი უკვე გვარიგებს, ცდილობს მკითხველის გრძნობებზე იმოქმედოს, პოლიტიკურ ტრიბუნად და მორალის მასწავლებლად გამოვიდეს.

დამახასიათებელია პროფ. ჯავახიშვილის მიმართულებისათვის ის გარემოება, რომ იგი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიასაც სრულიად ცალკე, დამოუკიდებლად არკვევს. ის მდიდარი და კარგად დამუშავებული ცნობები საისტორიო გეოგრაფიიდან, რომელსაც

ვპოულობთ ,,ქართველი ერის ისტორია''-ში, მკითხველმა არ იცის, როგორ გამოიყენოს იმ ისტორიისათვის, რომელსაც იგი ეცნობა იმავე შრომაში. თითქოს ეს ცნობები იმისთვის არის მოცემული, რომ მკითხველმა იცოდეს მხოლოდ სახელები იმ ადგილებისა, სადაც ესა თუ ის ამბავი ხდებოდა. მეჩნიკოვის, ე. რეკლიუს და რატცელის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ პროფესორი საქართველოს გეოგრაფიულ აღწერას მისი ბუნებრივი სიმდიდრის აღწერას დაუკავშირებდა, ბუნებრივ საწარმოო ძალებს და ტერიტორიის მოხაზულობას დაუკავშირებდა ისტორიულ განვითარების პროცესს. ჯერ კიდევ რუსეთის ისტორიკოსმა სოლოვიოვმა იცოდა, რომ რუსეთის ბუნებას დიდი გავლენა ჰქონდა მის ისტორიაზე: როგორც ვაკე ტერიტორიას, ისე მდინარეების მიმართულებას. იმანვე იცოდა, რომ სამხრეთ რუსეთის ველებს დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთის პოლიტიკაზე. ჯერ კიდევ შტორხმა და, მით უმეტეს, კლიუჩევსკიმ და პლატონოვმა იცოდენ, რომ ვაჭრობას დნეპრზე და, მაშასადამე, მდინარე დნეპრსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ისტორიისათვის. იგივე ითქმის საბერძნეთის და რომის ისტორიკოსების შესახებ. მარქსისტ ისტორიკოსებს, რომ არც ვილაპარაკოთ საზოგადოდ ისტორიკოსების უმრავლესობა — გერმანიის ისტორიკოსი ინამა შტერნეგი წარსული საუკუნის ბოლოში, რუსეთისა და ინგლისის ისტორიკოსი ვინოგრადოვი, მოსკოვის პროფესორი პეტრუშევსკი, ვიპერი, თვით ფილოლოგი-ისტორიკოსებიც კი — ბელოხი, ნეტუშილი — დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მიმართულებას ეკუთნიან, მაინც ისტორიას იკვლევენ სოციოლოგიური თვალსაზრისით და ამიტომ თავის გამოკვლევებში შეაქვთ სისტემა, სრულიად გარკვეული და ნათელი. ესენი უფარდებენ ყოველ შემთხვევაში ერთმანეთს ეკონომიური, იდეოლოგიური და პოლიტიკური ხასიათის სხვადასხვა მოვლენას. ეს მეცნიერები, მიუხედავად თავისი რწმენისა და სხვადასხვა მიმართულებისა, ყოველ შემთხვევაში ისტორიულ მოვლენებს საერთო დამახასიათებელი თვისებებით აერთიანებენ და ამგვარად გვაძლევენ ამა თუ იმ საკითხის საერთო გაშუქებას. თვით დოპში, რომელიც ებრძვის იმ თვალსაზრისს, ვითომდა ფეოდალიზმი ნატურალურ მეურნეობაზეა დაფუძნებულიო, მაინც საერთო ტრადიციებს გვერდს ვერ უხვევს და თავის ახალ კონცეპციაში მაინც ახალი კატეგორიის მოვლენებს აერთიანებს და გამოჰყავს დასკვნები, ჩემი აზრით, მცდარი, მაგრამ მაინც საზოგადო, სინთეტური ხასიათის დასკვნები. პროფესორი პეტრუშევსკი, რომელიც თავის უკანასკნელ შრომაში დოპშზე უფრო შორს მიდის დღეს გაბატონებულ კონცეპციების წინააღმდეგ ბრძოლაში, თავის სპეციალურ გამოკვლევებში იმავე მეთოდებს ადგა, რომელსაც დანარჩენი ზემოჩამოთვლილი მკვლევარნი: ემპირიული ხასიათის კვლევა-ძიების ნიადაგზე სოციოლოგიური თვალსაზრისი შეაქვს და ნაპოვნ და გამოკვლეულ ფაქტიურ მასალას აძლევს აზრს, ეძებს მათში კანონზომიერებას. თვით პროფ. კარეევიც, რომელიც სოციოლოგიური მეთოდის წინააღმდეგია თეორიაში, პრაქტიკულად მაინც სინთეტიურ მუშაობას ვერ უხვევს გვერდს ვერცერთ შრომაში. ხოლო მისი ტიპოლოგიური კურსები ძველ და საშუალო საუკუნეების ისტორიაში ხომ თითქმის მთლად სოციოლოგიური შრომებია. მაგრამ პროფესორი ჯავახიშვილი ერთ ადგილზე არ არის გაჩერებული. ის იკვლევს თანდათან უფრო და უფრო მეტის ყურადღებით სოციალურ და ეკონომიურ საკითხებს და ამით ძვირფას მასალას აძლევს მარქსისტულ მეცნიერებას. ამიტომ მისი შრომები ყოველი სპეციალისტისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და პატივცემული პროფესორის ნაღვაწევს წარსულში და მის მომავალ მუშაობას უაღრესი ყურადღებით უნდა მოეპყრას ყველა, ვისაც კი აინტერესებს ბედი როგორც მეცნიერების განვითარებისა, ისე ჩვენი ქვეყნის მომავალი მშენებლო-

ბისა მშრომელი ხალხის მიერ გამოყოფილი ორგანოების მეთაურობით და მის საკეთილდღეოდ.[2]

III

საქართველოს ისტორიის მეცნიერულ გადამუშავებას, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე მშენებლობის თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ და გამოვარკვიოთ, თუ რამდენად იყო ქართველი ერი დაშორებული ამა თუ იმ ეპოქაში იმ ამოცანების დასმისა და გადაწყვეტისაგან, რომელიც დღეს აღელვებს და აინტერესებს მშრომელი ხალხის სახელმწიფოებრიობას. იმის მიხედვით, თუ სახალხო მშენებლობის საკითხი, რასაკვირველია, მშრომელი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით, როგორ ისმებოდა და როგორ და რა საშუალებით წყდებოდა, მაშასადამე, რა ურთიერთობა არსებობდა ბუნებრივ საწარმოო ძალებსა და ხალხის ორგანიზაციულ შრომა-საქმიანობას შორის, ჩვენ დავანაწილებთ საქართველოს ისტორიას ფორმაციებად და გამოვარკვევთ, თუ თვითოეულ ფორმაციაში რა ბუნებრივი საწარმოო ძალები არსებობდა, რა ტექნიკური საშუალებით და რა კლასობრივი ორგანიზაციით უდგებოდა ხალხი მის დამუშავებას და რა კლასობრივი დაჯგუფების მიხედვით ხდებოდა მოპოვებული დოვლათის განაწილება. ამგვარი მიდგომით, უპირველეს ყოვლისა, შესასწავლი ხდება საქართველოს ტერიტორია მისი ბუნებრივი სიმდიდრის, ოროგრაფიის და ჰიდროგრაფიის მხრივ. ყურადღება ექცევა იმ ბუნებრივ პირობებს, რომელიც ხელს უწყობდა ხალხს ამა თუ იმ დარგისათვის მიეპყრო ყურადღება და ამა თუ იმ მიმართულებით ჰქონდა ერთმანეთში და სხვასთან კავშირი. მადნეულის სიმდიდრის გამოყენება როდის დაიწყო, მანამდე როგორ იყენებდენ ნიადაგის და ჰავის თვისებებს, მასზე წინ როგორ იყენებდენ ტყეს — ყველაზე უფრო ძლიერ და ადამიანთან უშუალოდ დაკავშირებულ სტიქიას, როგორ იყენებდენ გზების და მდინარეების ბუნებრივ მიმართულებას. აი, ის საკითხები, რომელნიც, უპირველეს ყოვლისა, წამოიჭრებიან ჩვენს წინაშე. მაშასადამე, გეოგრაფიული აღწერა დამორჩილება განსაზღვრულ კანონშეზომილებას, რომელიც, უდაოდ, არსებობს ჩვენი ბუნების ზედაპირის მოსაზღვრულობასა და ჩვენს ისტორიას შორის. მტკვრის და რიონის ხეობის მთავარი არტერია, ხეობების თითქმის პარალელური მიმართულება და დაქანებულება ორივ ამ არტერიისაკენ, მთისა და ტყის სიუხვე, მადნეულობა და ტექნიკურად სახმარი მიწა, ჰავის და ნიადაგის თვისებები და სხვა, ყოველივე ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის შესწავლისათვის.

ჩემი წარმოდგენით, პირველი საზოგადოებრივი ფორმაცია, რომელიც პრეისტორიის და ისტორიის საზღვარზე დგას, არის სტრაბონის მიერ დახასიათებული ხანა. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ სტრაბონის აღწერაში უპირველესად ყურადღება უნდა შეჩერდეს მის მიერ აღწერილ ეკონომიურ მდგომარეობაზე და ამის მიხედვით გამოირკვეს მეურნეობის ტიპი. ეს არის პრიმიტიული სატყეო შოვნითი მეურნეობა მეჯოგეობასთან და საახოვე სისტემასთან დაკავშირებული. ამასთან დაკავშირებულია ვაჭრობა მტკვარ-რიონის ხეობით, ამ წესწყობილებას აძლევს მტკიცე ნიადაგს და ამ ნიადაგზე უკვე ისახება პირველი საფეხური კლასობრივი დაჯგუფებისა. ერთი მხრივ ტყეში მომუშავე გვარები, მეორე მხრივ — სავაჭრო ცენტრებში მცხოვრები ვაჭარ-მეომარნი, რომელნიც თანდათან იმორჩილებენ პირ-

[2] ეს წერილი დასაბეჭდად უკვე მიცემული იყო მაშინ, როდესაც პროფ. ჯავახიშვილის ახალი წიგნი საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესახებ არ იყო გამოსული.

ველთ, ამათ შორის თავის მონებსაც ასახლებენ და ამგვარად აძლევენ ერთგვარ მთლიანობას პირვანდელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ვაჭრობის ინტერესების კარნახის ნიადაგზე. შემდეგ ხდება ამ მეურნეობის დიალექტიკური გარდაქმნა, მიწის დამუშავების ნიადაგზე ნატურალური მეურნეობის დამყარება. ძველი სატყეო შოვნითი მეურნეობა თავის გაფართოების პროცესში ალაგ-ალაგ სპობს ტყეს და გამრავლებულ ახალ ადგილებზე დასახლებულ მოსახლეობას ველარ ჰკვებავს. დგება დრო, როდესაც მთელი ტერიტორია, რომელიც კი ხელმისწდომი იყო ხალხისათვის, გამოყენებულია და მის შემდეგ ხალხი იძულებულია თანდათან ტყისაგან გაშიშვლებულ ნაყოფიერ ნიადაგს შეებრძოლოს და მას მოაცემინოს ის დოვლათი, რომლის მოცემაც მას ძალუძს. ამას ხელს უწყობს აგრეთვე სპარსეთის ბრძოლა ბიზანტიელების წინააღმდეგ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც სპობს წინანდელ ვაჭრობას, რის გამოც ძველებურად ცვილის და კუპრის დამზადება აღარ არის ხელსაყრელი. ამიტომ იწყება ადგილობრივ მოსახმარი დოვლათის – პურეულის – დამზადება. ეს ახალი ხანა იწყება მეექვსე საუკუნიდან, როდესაც სპარსეთმა დაიპყრო აღმოსავლეთი საქართველო.

მეურნეობის ახალი ფორმის ნიადაგზე ახალ კლასობრივ ურთიერთობას ეყრება საფუძველი მიწათმფლობელობის ნიადაგზე, მაგრამ რადგანაც სპარსეთის და შემდეგ არაბეთის მფლობელობა საწარმოო ძალთა ბუნებრივ დამოუკიდებელ განვითარებას ხელს უშლის, ამიტომ გვაროვნული საკუთრების რღვევა და კერძო საკუთრების განვითარება ფერხდება და თუმცა ერისთავების უფლებები ფართოვდება, მაგრამ საზოგადოების სრულ ფეოდალიზაციას ხელს უშლის.

ბოლოს საქართველოს ეკონომიური დაცემა და ნოყიერი ადგილების დაცალიერება მეცხრე საუკუნიდან ჰქმნის ისეთ გარემოებას, რომლის მეოხებითაც ახალი პროცესი მიწის საკუთრების განვითარებისა სხვა მიმართულებას იღებს. ერთი მხრივ ერისთავები არსებობენ თავის შინაყმათა ორგანიზაციით, მეორე მხრივ, მიწაზე მოსახლეობა თითქმის აღარ არსებობს. ეს იყო საფუძველი მსხვილი სამემკვიდრეო სამამულო მიწათმფლობელობის წარმოშობისა. აქედან თანდათან იწყება მიწის გაცემა გლეხებსა და აზნაურობაზე და შემოდის მფარველობითი სისტემა, შემდეგ ბენეფიციალური, შეუვალობა და ბოლოს მყარდება პატრონყმობა, რომლის წიაღშიც თავიდანვე ისახება ბრძოლა მსხვილ მემამულეებსა და აზნაურებს შორის. მაგრამ რადგანაც საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა და მისი გზების მიმართულება მას ყოველთვის მსოფლიო ბაზრის კარნახს ძლიერ უმორჩილებს, ამიტომ ფეოდალური წესწყობილების დასაწყისშივე ძლიერ ვითარდება ვაჭრობა, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრიობაში ახალი ცენტრალისტური ელემენტი შეაქვს. ამიტომ საქართველოში ფეოდალიზმი ცენტრალიზებულ ხასიათს იღებს.

შემდეგს პერიოდში ისევ კარჩაკეტილი მეურნეობის გაძლიერების და ფართო ვაჭრობის დაცემის გამო საქართველოს ჩამოქვეითება იწყება და თუმცა ვაჭრობა არ წყდება, მაგრამ საქართველო ამ ვაჭრობაში სრულიად პასიურ როლს თამაშობს, რადგანაც მას არა აქვს არც ორგანიზაციული და არც ტექნიკური უნარი მთელი თავისი სიმდიდრის დამუშავებისა და მსოფლიო ბაზრისათვის მიწოდებისა, მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში იგი მსოფლიო ბაზარს მეტად ჩამოშორებულია.

შემდეგს პერიოდში საქართველო თანდათან იჩენს თავისი დოვლათის უკეთესად გამოყენების უნარს, მაგრამ შლილობის პერიოდში შექმნილი პირობების გამო აქედან ხალხის მასებს არაფერი რჩება რა. ბატონყმური ურთიერთობა მას მხოლოდ სამუშაო ძალად იყენებს და ეს გარემოება კი დოვლათის დამუშავების ახალი საშუალების განვითარებას

ხელს უშლის. არ არის თავისუფალი მუშა-ხელი, არ არის სპეციალური საქმის მცოდნე ხალხი, არ არის ხალხის მასების დაინტერესება ახალ მშენებლობაში. ამიტომ ვერც ახტალის და ალავერდის ქარხნები, ვერც ბამბის და აბრეშუმის დამზადება ვერ შველის საზოგადოების საქმეს. ამიტომ საქართველოს ჰყლაპავს რუსეთი, რომლის ხელშიც გადავიდა საქართველოსთან დაკავშირებული მსოფლიო ბაზარი და რომელმაც დაიმორჩილა საქართველო ჯერ ეკონომიურად, მერე პოლიტიკურად.

ამგვარად, პირველ საზოგადოებრივ ფორმაციად საქართველოს ისტორიაში შეიძლება ჩაითვალოს მარტივი შოვნითი, ანუ მოპოვებითი სტადეო მეურნეობა და მასზე აგებული სოციალური დიფერენციაციის ჩანასახი, შემდეგ ფორმაციად — ნატურალური მეურნეობა. ეს მეორე ფორმაცია შემდეგ ფორმაციად არასოდეს არ შეცვლილა სავსებით და მთლიანად, თუ შემდეგ ფორმაციად კაპიტალიზმი მივიღეთ. დროდადრო მხოლოდ სავაჭრო კაპიტალიზმი შემოიჭრებოდა ხოლმე, მაგრამ მას არასოდეს სავსებით არ მოუსპია ნატურალური მეურნეობა. მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში ეხედავთ მანუფაქტურული, ნაწილობრივ მსხვილი მრეწველობის ელემენტებს, მაგრამ აქაც დომინანტი მაინც სავაჭრო კაპიტალიზმის და ნატურალური მეურნეობის რყევადი წონასწორობაა, რის გამოც სახელმწიფოს სტრუქტურაშიც ბრძოლა და რყევა იყო, რომელიც გადაწყდა რუსეთთან შეერთებით.

მაშასადამე, საქართველოს ისტორიის ცვალებადობა მეექვსე საუკუნეში ნატურალურ მეურნეობასა და სავაჭრო კაპიტალიზმს შორის მუდმივ ბრძოლაზე და აქეთ თუ იქით მეტ-ნაკლებ გადახრაზე იყო დამყარებული. მეხუთე საუკუნიდან მიწის მეურნეობის განვითარების და ცენტრალური ხელისუფლების მოსპობის ნიადაგზე ერისთავების ადმინისტრაციული და ფისკალური უფლებები გლეხობაზე ფართოვდება და ძლიერდება. მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ მათი უფლება უკვე დამყარებული ყოფილიყოს მსხვილ მიწათმფლობელობაზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გვაროვნული მფლობელობის მოსპობის და ოჯახურის წარმოშობის პროცესი ჯერ კიდევ სრულიად არ არის დასრულებული. ამიტომ ამ ხანას ფეოდალურ წესწყობილებას ვერ ვუწოდებთ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიური განადგურება შლის გვარებს და სპობს გვაროვნულ მიწათმფლობელობას, უკვე გაძლიერებული ერისთავები ეპატრონებიან დიდ მიწებს და წარმოდგა შემზადება და შემდეგ განვითარება ფეოდალიზმისა. მაგრამ 11-12 საუკუნეებში სავაჭრო კაპიტალიზმის შემოჭრა სრულიად ახალ პირობებს ჰქმნის საქართველოში. ეს იქნება ისტორიის მესამე პერიოდი. შემდგომი ორი პერიოდის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი.

მე ვფიქრობ, რომ ამ სქემით შეიძლება ცოტა უფრო უკეთ იქნეს გამოყენებული ის დიდძალი მასალა, რომელიც საქართველოს ისტორიკოსებს მოეპოვებათ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ჩემ წიგნში: „საქართვ. ისტ. სოციოლ. მიმოხილვა". თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ეს წიგნი ძლიერ ნაჩქარევად არის დაწერილი და ბევრ რამეზე გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა, ბევრგან ვერც ფაქტების ანალიზია საკმაოდ ჩატარებული და ამიტომ მას საფუძვლიანი გადამუშავება ესაჭიროება, მაგრამ ცოტაოდენ დახმარებას მაინც გაუწევს მკითხველს, აქ აღნიშნული მიმართულებით თუ მოისურვა მან მუშაობა. მე-18 საუკუნისათვის იხ. "История классовой борьбы в Закавказии", ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გამოცემა, 1930 წ.

გრიგოლ ნათაძე, საზოგადებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები. ნაკეთი I. პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1931, გვ. 75-88.

13. ფილიპე მახარაძის ნაშრომიდან „მ. ნ. პოკროვსკი, როგორც ისტორიკოსი-მარქსისტი“

(მოხსენება, წაკითხული მ. ნ. პოკროვსკის ხსოვნის აღსანიშნავად საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სხდომაზე 26/IV – 32 წელს)

მე ზემოთ ვლაპარაკობდი, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემწეობით, ჩვენ გვაქვს სრული შესაძლებლობა ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების განშიფრებისა. ეს იმას არ გულისხმობს, რომ ჩვენ მთელი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია კიდეს იქით ვისროლოთ. არა, ჩვენ ისე უნდა გავატაროთ მთელი ისტორია მარქსისტულ-ლენინურ გაგების შუქში, ისე გავწმინდოთ, რომ ის ნამდვილად ხალხის ისტორიად იქცეს. ძველი ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების ისტორიკოსებს, რომელთაც გულწრფელად სურთ დაადგენ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციაზე, ჩვენ ყოველმხრივ დახმარება უნდა გავუწიოთ. არ შეიძლება არ მოვიგონოთ აქ ის, რაც ამას წინეთ განაცხადა თქვენთვის კარგად ცნობილმა აკადემიკოსმა ამხ. მარმა: „ვინც რევოლუციასთან არ არის, ის ჩვენ წინააღმდეგ არის“. ასევე ითქმის აგრეთვე ისტორიკოსების მიმართ. ამ შემთხვევაში მე ვლაპარაკობ ქართველ ისტორიკოსებზე. საქართველოს ისტორიკოს-მარქსისტების წინაშე ამჟამად ძლიერ სახასუხისმგებლო ამოცანა დგას. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს ისტორია აქამდე იმყოფებოდა თითქმის გამოუკლებლად ბურჟუაზიულ და შოვინისტურ ისტორიკოსების ხელში და ამიტომ მათ მიერ დაწერილი ისტორია არ წარმოადგენს ნამდვილ ისტორიას. ამის შესახებ ამას წინეთ ნ. მარმა ძლიერ მოხდენილად სთქვა: „რომ აღდგეს თამარ დედოფალი, უთუოდ გაკვირვებით იკითხავს: „რომელ თამარზე ლაპარაკობთ თქვენ ისტორიებში? რა თამარად თქვენ მსახავთ მე, ასეთი სინამდვილეში არ ყოფილა“.

მე ზემოთ ვთქვი, რომ რასაც მემატიანენი გვაწოდებდენ, ის არ ყოფილა ცხოვრებაში; მემატიანენი სწერდენ არა იმას, რაც იყო, არამედ იმას, რასაც მათ უკარნახებდენ ამათუიმ კლასის და წოდების ინტერესები. ხალხის ცხოვრების ისტორია არ არსებობს, ის უნდა შეიქმნას. ხალხი არ სწერდა თავის ისტორიას: საკუთარ გასაგები მიზეზების გამო, მას არ შეეძლო იმის დაწერა. ავიღოთ მაგალითისათვის პოეტი ნ. ბარათაშვილი: ის ძლიერ ნიჭიერი პოეტი იყო, სწერდა გრძნობით, მაგრამ სიტყვაც არ დაუძრავს ბატონყმობაზე, ყმა გლეხებზე, რომელთაც მის დროს სტანჯავდენ მემამულე ბატონები. მისი ნაწარმოებები გაჟღენთილია პატრიოტული გრძნობით, ბატონყმობაზე კი სიტყვაც არ უთქვამს. რას წარმოადგენს ეს კაცი? ის თითქოს ამ ქვეყნიური არ არის, როგორც ამას ამტკიცებს მისი ლექსი „მერანი“. მაგრამ ახლახან აღმოაჩინეს მისი ბარათი, მიწერილი ერთ თავადისადმი, რომელმაც ჩააქრო გურული გლეხების აჯანყება 1841 წელში. ამ წერილში ის აღტაცებით „ურა“-ს იძახის იმ ამბის გამო, რომ გურულ გლეხთა აჯანყება ჩახშობილია. აი, რამდენიმე ამისთანა სიტყვა სრულიად საკმარისია იმის გამოსაცნობლად, თუ ვისთან გვაქვს საქმე, რომ განვაგვირგვინოთ თითქოს არა ამ ქვეყნიური პოეტი, როგორადაც მას თავი მოაქვს თავის ლექსებში.

აი, ეს არის ნამდვილი ისტორია. ახლა სრული შესაძლებლობა გვაქვს დავწეროთ ნამდვილი ისტორია. ოდესღაც მე ეწერდი მწერალ დანიელ ჭონქაძეზე, რომ მას ძლიერ

სდევნიდენ მგოსნები და მწერლები თავადების წრიდან, რომლებიც ამავე დროს ნიანგის ცრემლებსა ღვრიდენ საბრალო გლეხებზე.

მე ავსხნი, რატომ იყვნენ ისინი ჩუმად: აქ გარკვეული კლასობრივი მიდგომაა, კლასობრივი ინტერესები. აი, ასეთი ფალსიფიცირებული ისტორია უნდა გავანგრიოთ საძირკვლამდე და ავაგოთ ნამდვილი ისტორია.

ამ მხრით ჩვენთვის წასაბაძი მაგალითია მ. ნ. პოკროვსკი.

ისტორიული კრებული. პარტგამომცემლობა. თბილისი, 1933, გვ. 22-23.

14. ИЗ ОТЧЕТА ЗАКАВКАЗСКОГО КРАЕВОГО КОМИТЕТА (Л. БЕРИЯ)

Значительных успехов достигли парторганизации края и в борьбе за марксистско-ленинскую науку. За последние три года были созданы институты марксизма-ленинизма в Грузии, Азербайджане и Армении.

Наша задача заключается в том, чтобы эти организации сделать не только учебными заведениями, но и центрами средоточия марксистско-ленинской научно-исследовательской работы.

Письмо тов. Сталина в редакцию "Пролетарской революции" сыграло огромную роль в деле усиления борьбы на идеологическом фронте, в деле разоблачения антиленинских теорий – контрреволюционных, троцкистских и националистических установок, проникших в нашу научно-теоретическую и партийную литературу.

В целях реализации указаний, данных тов. Сталиным, нами была просмотрена почти вся вышедшая печатная продукция, пересмотрен и качественно улучшен состав заведывающих соцэкономическими кафедрами и преподавателей общественных наук в вузах и втузах, проверены переводы классиков марксизма-ленинизма, причем были вскрыты грубейшие ошибки, в первую очередь, в переводах "Вопросов ленинизма" и в ряде других работ т. Сталина.

Во всех республиках Закавказья уже изданы многие важнейшие работы классиков марксизма-ленинизма.

Однако, наша научно-исследовательская работа отстает, особенно в области истории партии и революционного движения Закавказья.

В работах по истории большевизма и революционного движения в Закавказьи, мы до сих пор имеем ряд грубейших ошибок, факты протаскивания в нашу научно-теоретическую литературу антиленинских установок.

Надо прямо сказать, что история революционного движения в Закавказьи, история большевистских организаций во всех трех наших республиках недостаточно освещается. Я уже говорил на съезде компартии Грузии, что вся история революционного движения и большевистских организаций на Кавказе неразрывно связана с именем тов. **Сталина (аплодисменты).**

Тем не менее, все написанное до сих пор по истории большевизма в Закавказьи ни в какой мере не отражает действительной руководящей роли тов. Сталина в организации и развитии у нас большевистской партии.

Искажать историю партии мы никому не позволим, какого бы возраста и стажа он ни был.

Кому-кому, а закавказским большевикам надо в первую очередь и со всей тщательностью дать действительную картину революционного движения в Закавказьи, действительную историю большевистских организаций и гигантской роли тов. Сталина, как их основоположника, организатора и руководителя (аплодисменты).

Об этом мы крепко сказали на съезде компартии Грузии и повторяем здесь, на Закавказском съезде.

Наша задача в области научно-теоретической работы заключается в том, чтобы еще больше повысить бдительность партийных организаций и особенно товарищей, непосредственно работающих на идеологическом фронте.

Надо в самое ближайшее время закончить издание на национальных языках всех основных работ классиков марксизма-ленинизма, уделив особое внимание изданию отдельных брошюр Маркса, Энгельса, Ленина и Сталина для массового читателя.

Необходимо так перестроить работу организованного нами Института Сталина, чтобы превратить его в центре изучения и разработки вопросов истории большевизма и революционного движения в Грузии и Закавказьи, изучения руководящей роли вождя нашей партии тов. Сталина (аплодисменты).

Успех работы этого института будет зависеть от того, насколько нам удастся организовать вокруг него хороших марксистов-историков, и старых, и молодых, и от того активного участия, которое примет в работах Института бакинская организация. **Ведь, именно, Баку тов. Сталин за 2 года работы в нем, превратил в цитадель большевизма на Кавказе. Это определяет роль бакинской организации в разработке исторических материалов о тов. Сталине.**

VII съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет. Закпартиздат. [Тбилиси], 1934, стр. 29-30.

15. ВЫСТУПЛЕНИЕ **ФИЛИППА МАХАРАДЗЕ** НА VII СЪЕЗДЕ КОММУНИСТИЧЕСКИХ ОРГАНИЗАЦИЙ ЗАКАВКАЗЬЯ

(18 ЯНВАРЯ 1934 ГОДА)

Махарадзе. Товарищи! Я хочу остановиться только на одном вопросе, имеющем очень важное значение. Я говорю о том положении, которое у нас создалось на историческом фронте, в особенности по вопросам изучения истории революционного движения в Закавказьи. Вы слышали из доклада тов. Берия, из выступлений других товарищей, что положение здесь у нас очень неблагополучное. Если бы кто-нибудь попытался выразать в процентном отношении все то, что нами сделано до сих пор в этой области, то получил бы крайне мизерный процент.

Дело в том, что изучение истории большевистских организаций в Закавказьи, изучение истории революционного движения в Закавказьи до сих пор остается больше, чем какая-либо другая область. Мы имеем большие пробелы, большие ошибки в изучении истории большевизма в Закавказьи. Товарищи, мы не имеем до сих пор подлинной истории большевизма в Закавказьи. А раз этого нет, мы не имеем настоящего подлинного отображения роли тов. Сталина, в революционном движении Закавказья.

Тов. Сталин, прежде чем стать вождем нашей партии, вождем всего мирового рабочего движения, получил первую революционную закалку в Закавказьи. Он впервые здесь показал свои выдающиеся способности, в особенности свои организаторские способности. Впервые здесь он стал выразителем интересов рабочего класса. Впервые он здесь показал, как надо беззаветно бороться за интересы рабочего класса. Впервые он стал во главе большевистских организаций Баку, Тифлиса, Батума, Чиатур и т. д. Но тов. Сталин не забывал и идеологического фронта. Если взять хотя бы одну его статью, написанную им в 1905 году, "Вкратце о партийных разногласиях", то и эта статья уже является образцом применения диалектического метода и умения наносить самые решительные удары меньшевикам. Он возглавил у нас борьбу против меньшевизма. Роль тов. Сталина хорошо известна старым товарищам, но молодое поколение у нас в этом отношении поставлено в крайне трудные условия потому, что полностью история большевизма и роль тов. Сталина еще не отображены в печати.

Совершенно правильно поставил этот вопрос, поставил ребром, с большевистской резкостью, тов. Берия. Постановка эта является крайне необходимой и более, чем своевременной. Нельзя сказать, чтобы у нас не писали и не пишут о тов. Сталине. Дело в том, что все написанное по этому вопросу разбросано в разных изданиях, на разных языках, все это не сведено, не сконцентрировано, не изучено должным образом, в силу чего мы не имеем настоящего образа нашего вождя в тот период, когда он работал в Закавказьи.

В частности, товарищи, во многих моих писаниях имеются очень серьезные ошибки и пробели в этом вопросе. Об этих ошибках говорилось и на грузинском съезде и упоминалось также на этом съезде. Я со всей искренностью признал, что эти ошибки были недопустимы и хотя я в последнее время старался это выправить, мне это не удалось до сих пор.

Товарищи! Я на грузинском съезде заявил и здесь я повторяю, что мною уже приняты меры, чтобы как можно скорее исправить эти ошибки. Но понятно, одному человеку сделать это невозможно. Это в высшей степени громадная задача, это в высшей степени, вместе с тем, и естественная задача, потому что, если где-нибудь необходим самый бдительный революционный подход, это именно в этой области, потому что этим питается прежде всего молодое поколение. Поэтому нужно дать продукцию, которая во всех отношениях, с точки зрения марксизма-ленинизма была бы безукоризненной. Эти возможности у нас имеются, в особенности после того, как мы имеем прямые указания нашего вождя, как нужно писать историю большевизма.

Еще раз повторяю, что с моей стороны будет сделано все то, что в моих силах. Но, товарищи, за это дело должны вплотную взяться, как вчера здесь говорил тов. Сеф, наши научно-исследовательские институты, институт Сталина, институт Шаумяна, институт марксизма-ленинизма. При помощи всех заинтересованных в данном случае организаций мы сможем выправить это дело, дать нашему молодому поколению продукцию вполне доброкачественную и поставить изучение истории большевизма Закавказья на большевистскую принципиальную высоту, как этого требует наш вождь.

Товарищи, я уверен, что на основе указаний тов. Сталина, с помощью и под руководством ЗКК, ЦК АКИ (б), ЦК Грузии и Армении и лично тов. Берия, мы разрешим эту задачу с честью.

VII съезд коммунистических организаций Закавказья. Стенографический отчет. Закпартиздат. [Тбилиси], 1934, стр. 161-162.

16. შენიშვნები „სსრკ-ის ისტორიის“ სახელმძღვანელოს კონსპექტის შესახებ

ვანაგის ჯგუფმა ვერ შეასრულა დავალება და მას ვერც გაუგია ეს დავალება. მან შეადგინა არა სსრკ-ის ისტორიის, არამედ რუსეთის ისტორიის კონსპექტი, ე. ი. საკუთრივ რუსეთის ისტორიისა, და არ შეუტანია იმ ხალხთა ისტორია, რომლებიც სსრკ-ის შემადგენლობაში შეიდნენ (მხედველობაში არაა მიღებული უკრაინის, ბელორუსიის, ფინეთის და ბალტიის სხვა ქვეყნების ხალხთა, ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხთა, შუააზიისა და შორეულ აღმოსავლეთის ხალხთა, აგრეთვე ვოლგის მხარისა და ჩრდილოეთის ხალხთა — თათართა, ბაშკირთა, მორდვის, ჩუვაშთა და სხვათა ისტორიის ცნობები).

კონსპექტში არაა ხაზგასმული ანექსიონისტურ-კოლონიზატორული როლი რუსეთის ცარიზმისა, რუსეთის ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან ერთად („ცარიზმი — ხალხთა საპყრობილე“).

კონსპექტში არაა ხაზგასმული რუსეთის ცარიზმის კონტრრევოლუციური როლი საგარეო პოლიტიკაში ეკატერინე II დროიდან XIX საუკუნის 50-იან წლებამდე და მერეც („ცარიზმი, როგორც საერთაშორისო ჟანდარმი“).

კონსპექტში ერთგროვად არის მიყრილი ფეოდალიზმი და წინაფეოდალური პერიოდი, როცა გლეხები ჯერ კიდევ ყმებად ქცეულნი არ იყვნენ; სახელმწიფოს თვითმპყრობელური წყობილება და ფეოდალური წყობილება, როცა რუსეთი დაჭუცმაცებული იყო მრავალ დამოუკიდებელ ნახევარსახელმწიფოდ.

კონსპექტში ერთგროვად არის მიყრილი ცნებები — რეაქცია და კონტრრევოლუცია, რევოლუცია „ზოგადად“, ბურჟუაზიული რევოლუცია და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია.

კონსპექტში არაა მოცემული ცარიზმის მიერ დაპყრობილ რუსეთის ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირობები და სათავეები და, ამრიგად, ოქტომბრის რევოლუცია, როგორც რევოლუცია, რომელმაც ეს ხალხები ნაციონალურ ჩაგვრისაგან გაათავისუფლა, დაუსაბუთებელი რჩება ისე, როგორც დაუსაბუთებელი რჩება სსრკ-ის კავშირის შექმნაც.

კონსპექტში მრავლად მოიპოვება ათასგვარი გაცვეთილი, ტრაფარეტული განსაზღვრა, როგორიცაა — „ნიკოლოზ I-ის პოლიციური ტერორი“, „რაზინშჩინა“ და „პუგაჩევშინა“, „მემამულეთა კონტრრევოლუციის შემოტევა XIX საუკუნის 70-იან წლებში“, „სამრეწველო გადატრიალების პირველი ნაბიჯები“, „ცარიზმისა და ბურჟუაზიის პირველი ნაბიჯები 905-907 წლების რევოლუციასთან ბრძოლაში“ და ასე შემდეგ. კონსპექტის ავტორებს ბრმად გადმოაქვთ სხვადასხვა ბურჟუაზიული ისტორიკოსების გაცვეთილი და სრულიად არამეცნიერული განსაზღვრანი, მათ ავიწყდებათ, რომ ვალდებული არიან ჩვენს ახალგაზდობას მიაწოდონ მარქსისტული, მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრანი.

კონსპექტი არ ასახავს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ-რევოლუციურ და სოციალისტურ მოძრაობათა როლსა და გავლენას ბურჟუაზიული რევოლუციური მოძრაობისა და პროლეტარულ-სოციალისტური მოძრაობის ჩამოყალიბებაზე რუსეთში. კონსპექტის ავტორებს, ალბათ, დაავიწყდათ, რომ რუსეთის რევოლუციონერებს თავისი თავი მიაჩნდათ დასავლეთის ბურჟუაზიულ-რევოლუციური და მარქსისტული აზროვნების ცნობილი კორიფეების შეგირდებად და მიმდევრებად.

კონსპექტში ნაჩვენები არაა ფესვები პირველი იმპერიალისტური ომისა და ამ ომში როლი ცარიზმისა, როგორც დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა რეზერვისა; აგრეთვე ნაჩვენები არაა დასავლეთ ევროპის კაპიტალისაგან როგორც რუსეთის ცარიზმის, ისე რუსეთის კაპიტალიზმის დამოკიდებული როლი, რის გამოც დაუსაბუთებელი რჩება მნიშვნელობა ოქტომბრის რევოლუციისა, როგორც ნახევარკოლონიური მდგომარეობისაგან რუსეთის განმათავისუფლებელისა.

კონსპექტში ნაჩვენები არაა საერთო-ევროპული პოლიტიკური კრიზისის არსებობა მსოფლიო ომის წინ, რაც, სხვათა შორის, გამოიხატა ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის დაცემაში, რის გამოც საბჭოების მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით, როგორც პროლეტარული დემოკრატიის მატარებლისა და კაპიტალიზმისაგან მუშათა და გლეხთა განთავისუფლების ორგანოებისა, — დაუსაბუთებელი რჩება.

კონსპექტში არაა ნაჩვენები მიმდინარეობათა ბრძოლა სსრკ-ის მმართველ კომუნისტურ პარტიაში და ბრძოლა ტროცკიზმთან, როგორც წვრილბურჟუაზიული კონტრრევოლუციის გამოხატულებასთან.

და ამგვარად, და ასე შემდეგ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კონსპექტი შედგენილია მეტად დაუდევრად და მარქსისტული თვალსაზრისით — ნაკლები ცოდნით.

ჩვენ ალარ ვლაპარაკობთ კონსპექტის არაზუსტ სტილზე და „სიტყვების“ თამაშზე, როგორიცაა, ცრუდიმიტრის უწოდეს დიმიტრი „წოდებულიო“, ან როგორიცაა — „ძველ ფეოდალთა გამარჯვება XVIII საუკუნეში“ (გაუგებარია, საღ გაჰქრნენ და როგორ იქცეოდნენ „ახალი“ ფეოდალები, თუ ისინი მაშინ საერთოდ არსებობდნენ) და სხვა.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კონსპექტის რადიკალური გადამუშავება ზემოთმოყვანილ დებულებათა მიხედვით, ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ საქმე ეხება სახელმძღვანელოს შექმნას, სადაც ყოველი სიტყვა და ყოველი განსაზღვრა აწონ-დაწონილი უნდა იყოს, და არა უპასუხისმგებლო საჟურნალო სტატიებს, სადაც შეიძლება ყველაფერზე და როგორც გნებავს ილაყბო, თუ პასუხისმგებლობის გრძნობას დაჰკარგავ.

ჩვენ გვესაჭიროება სსრკ-ის ისტორიის ისეთი სახელმძღვანელო, სადაც ველიკოროსიის ისტორია არ იქნება მოწყვეტილი სსრკ-ის სხვა ხალხთა ისტორიას, — ეს ერთი, და სადაც სსრკ-ის ხალხთა ისტორია არ იქნება მოწყვეტილი საერთო-ევროპულ ისტორიას და, საერთოდ, მსოფლიო ისტორიას, — ეს მეორე.

ი. სტალინი
ა. ჟდანოვი
ს. კიროვი

8. VIII. 34 წ.

17. შენიშვნები „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოს კონსპექტის შესახებ

იმის გამო, რომ შინაარსით უმდიდრესი ახალი ისტორია ძლიერ დატვირთულია ამბებით, აგრეთვე იმის გამო, რომ ბურჟუაზიული ქვეყნების ახალ ისტორიაში თავიდათავი, — თუ მხედველობაში მივიღებთ პერიოდს ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთში, — არის საფრანგეთის რევოლუციის გამარჯვება და კაპიტალიზმის დამკვიდრება ევროპასა და ამერიკაში, — ვფიქრობთ, რომ უკეთესი იქნება ახალი ისტორიის სახელმძღვანელო იწყებოდეს კარით საფრანგეთის რევოლუციის შესახებ. წინამორბედ ამბებთან დასაკავშირებლად შეიძლებოდა სახელმძღვანელოსათვის წაგვემძღვარებინა პატარა შესავალი ნიდერლანდისა და ინგლისის რევოლუციების ძირითადი ამბების მოკლე გადმოცემით, ხოლო ნიდერლანდის და ინგლისის რევოლუციების ამბების დაწვრილებითი გაშუქება მოგვეცია შუასაუკუნეთა ისტორიის სახელმძღვანელოს ბოლოში.

ამრიგად, ჩვენ წინადადებას ვიძლევით — ამოღებულ იქნას კონსპექტიდან პირველი ნაწილი (6 თავი), ე. ი. მთელი პირველი კარი და შეიცვალოს იგი მოკლე შესავალით.

კონსპექტის მთავარ ნაკლად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ იგი საკმაო სიმკვეთრით არ აღნიშნავს საფრანგეთის რევოლუციისა (ბურჟუაზიული რევოლუციისა) და რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის (სოციალისტური რევოლუციის) განსხვავებისა და წინააღმდეგობის მთელ სიღრმეს. ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს ძირითადი ღერძი უნდა იყოს სწორედ ეს იდეა ბურჟუაზიული რევოლუციის და სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგობისა. იმის ჩვენება, რომ საფრანგეთის (და ყველა სხვა) ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, გაათავისუფლა რა ხალხი ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის ბორკილებისაგან, დაადო მას ახალი ბორკილები, კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის ბორკილები, მაშინ, როდესაც რუსეთის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამსხვრია ყველა და ყოველგვარი ბორკილები და გაათავისუფლა ხალხი ექსპლოატაციის ყველა ფორმისაგან, — აი, რაში უნდა მდგომარეობდეს ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს მთავარი ხაზი.

ამიტომ არ შეიძლება იმის შეწყნარება, რომ საფრანგეთის რევოლუციას უწოდებდნენ მარტო „დიდს“, — მას უნდა ვუწოდებდეთ და განვმარტავდეთ, როგორც ბურჟუაზიულ რევოლუციას.

ამგვარადვე არ შეიძლება ჩვენს სოციალისტურ რევოლუციას რუსეთში ვუწოდებდეთ მარტო ოქტომბრის რევოლუციას, — მას უნდა ვუწოდებდეთ და განვმარტავდეთ, როგორც სოციალისტურ რევოლუციას, საბჭოთა რევოლუციას.

ამის შესაფერისად უნდა გადაკეთდეს ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტი და შერჩეულ იქნას სათანადო განმარტებანი და ტერმინები.

კონსპექტში ახალი ისტორიის ორ ნაწილად გაყოფა მიგვაჩნია ნაკლებ დასაბუთებულად და შემთხვევითად, — იგი რაღაც გაუგებარი ნიშნეულობის მიხედვით არის გაკეთებული. ჩვენ მიზანშეწონილად ჩაეთვლიდით, რომ ახალი ისტორია სამ ნაწილად გაყოფილიყო:

პირველი ნაწილი — საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციიდან საფრანგეთ-პრუსიის ომამდე და პარიზის კომუნამდე (გამოკლებით). ეს იქნება მოწინავე ქვეყნებში კაპიტალიზმის გამარჯვების, დამკვიდრების პერიოდი.

მეორე ნაწილი — საფრანგეთ-პრუსიის ომიდან და პარიზის კომუნიდან რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე და იმპერიალისტური ომის დამთავრებამდე (ჩათვლით). ეს იქნება კაპიტალიზმის დაწყებული დაქვეითების, პარიზის კომუნის მიერ კაპიტალიზმისათვის პირველი ლახვრის ჩაცემის, ძველი, „თავისუფალი“ კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდისა და საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლუციის ძალებით

კაპიტალიზმის დამხობის პერიოდი, იმ ოქტომბრის რევოლუციის, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო.

მესამე ნაწილი — 1918 წლის დამლევიდან (ომის დამთავრების წელი) 1934 წლის დამლევამდე. ეს იქნება, ერთის მხრით, კაპიტალისტურ ქვეყნებში ომისშემდგომი იმპერიალიზმის პერიოდი, ამ ქვეყნებში ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის პერიოდი, პერიოდი ფაშიზმისა, კოლონიებისათვის და გავლენის სფეროებისათვის ბრძოლის გაძლიერებისა, და მეორე მხრით — სამოქალაქო ომისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის პერიოდი, საბჭოთა კავშირში პირველი ხუთწლედის პერიოდი და მეორე ხუთწლედის დასაწყისი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის პერიოდი, კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთების აღმოფხვრის პერიოდი, საბჭოთა კავშირში სოციალისტური ინდუსტრიის გამარჯვებისა და აღმავლობის, სოფლად სოციალიზმის გამარჯვების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამარჯვების პერიოდი. ჩვენ დიდ შეცდომად მიგვაჩნია, რომ კონსპექტის ავტორები ისტორიას 1923 წელზე სწყვეტენ. ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს და ისტორია 1934 წლის დამლევამდე უნდა იქნას მიყვანილი. ამასთან შეფარდებით საჭირო გახდება მასალის, განყოფილებებისა და თავების გადაკეთება და ხელახლა განაწილება.

კარგი იქნებოდა კონსპექტის განთავისუფლება ძველი გაცვეთილი გამოთქმებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, „ძველი წყობილება“, „ახალი წყობილება“ და სხვ. უმჯობესი იქნებოდა ასეთი გამოთქმები შეგვეცვალა სიტყვებით „წინაკაპიტალისტური წყობილება“ ან უფრო უკეთესი — „აბსოლუტისტურ-ფეოდალური წყობილება“, ხოლო „ახალი წყობილების“ ნაცვლად გვეთქვა — „კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის წყობილება“. ასეთი შეცვლის დროს ეგრეთწოდებულ „ახალ წყობილებას“, ე. ი. კაპიტალისტურ წყობილებას უკვე მიეცემა სახე ძველი წყობილებისა, სსრ კავშირის საბჭოთა წყობილებასთან შედარებით, რომელიც ადამიანთა საზოგადოების მოწყობის უმაღლეს ტიპს წარმოადგენს.

კარგი იქნებოდა აგრეთვე გაგვეთავისუფლებინა კონსპექტი „ეპოქების“ მეტისმეტი სიჭარბისაგან. „კონსულობის ეპოქა“, „ნაპოლეონის ეპოქა“, „დირექტორიის ეპოქა“, — განა ძალიან ბევრი ეპოქა არ გამოდის?

ჩვენ აგრეთვე უმართებულოდ მიგვაჩნია, რომ კოლონიურ საკითხს კონსპექტში შეუფერებლად მცირე ადგილი აქვს დათმობილი. იმ დროს, როცა ჟორჟ ზანდებს, შპენგლერებს, კიპლინგებს და სხვ. საკმაოდ დიდი ყურადღება აქვთ დათმობილი, კოლონიურ საკითხს და მდგომარეობას, ვთქვათ, ისეთ სახელმწიფოში, როგორიც ჩინეთია, მცირე ყურადღება ექცევა.

კარგი იქნებოდა აგრეთვე ფორმულა „გერმანიისა და იტალიის შეერთება“ შეგვეცვალა ფორმულით „გერმანიისა და იტალიის გაერთიანება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“. წინაალმდეგ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქოს ლაპარაკია არა ბრძოლაზე ისეთი, წინათ დაქუცმაცებული სახელმწიფოების გაერთიანებისათვის, როგორიც გერმანია და იტალია არიან, არამედ ამ სახელმწიფოების ერთ სახელმწიფოდ შეერთებაზე.

საერთოდ ახალი ისტორიის კონსპექტი, ჩვენის აზრით, შედგენილია უფრო მეტი გაგებულობით, ვიდრე სსრ კავშირის ისტორიის კონსპექტი, მაგრამ ამ კონსპექტში მაინც საკმაოდ დიდი სუმბურია.

ი. სტალინი.
ს. კიროვი.
ა. ჟდანოვი.

9. VIII — 34 წ.

18. СЕКРЕТАРЮ ЦК КП (Б) ГРУЗИИ – ТОВ. Л. БЕРИЯ

СЕКРЕТАРЮ ТК (Б) ГРУЗИИ – ТОВ. **АРУТЮНОВУ ГР.**
СЕКРЕТАРЮ РАЙКОМА КП (Б) ГРУЗИИ – ТОВ. **ЧИХЛАДЗЕ**

1. Довожу до вашего сведения, что за время моей работы в Госунте я на ряде фактов глубоко убедился, что ректор Госунта т. Л. Агниашвили не может по-большевистски обеспечить осуществление постановления ЦК КП (б) Грузии о Госунте. В условиях Госунта от руководства и всей партийно-комсомольской организации требуется проявление большой революционной бдительности, тем более, что профессорско-педагогический состав университета значительно засорен чуждыми советской власти элементами. Примерно: бывш. меньшевиков – 35, национал-демократов – 34, федералистов – 18, кадетов – 3, эсеров – 3, троцкистов – 11, из них: бывших членов Учредительного собрания – 7 и министров меньшевистского правительства – 2. Из беспартийных профессоров – 61,1 процента, бывшие члены других партий, из доцентов – 56 процентов и из лекторов – 41,3 процента.

Особо обращает на себя внимание слишком большой процент бывших князей и дворян в составе научно-педагогического и адм. технического персонала (...)

2. Тов. Агниашвили Л. игнорирует правильное решения парткома и с пренебрежением относится к членам партии: а) на чл. партии, работника издательства Данелия, в присутствии беспартийных накричал: "на черта мне коммунисты", "таких коммунистов буду выбрасывать через окно" (...).

3. Тов. Агниашвили смотрит на Университет не столько как на учебно-научное заведение, а как на учреждение на реставрации рукописей древности (...)

4. Он не терпит контроля и самокритики (...)

5. У тов. Л. Агниашвили притуплена классовая бдительность. Например: а) проф. Джавахишвили, который является представителем право-буржуазной профессуры, написал заявление на имя т. Сталина, в котором жаловался на Культпроп ЦК КП (б) Гр., который, по его мнению, тормозит развитие государственного университета, и передал это заявление т. Агниашвили Л. Тов. Л. Агниашвили держал это заявление 10 дней, не сообщив об этом никому, и при мне передал это письмо обратно, посоветовав порвать его. Мне же он передал содержание этого письма и просил не говорить об этом никому. Я сообщил об этом в ЦК, РК и НКВД; б) бывший член Президиума Учредительного собрания Ч. Шарашидзе, которая работает в Госунте зав. библиотекой, на вопрос о том, почему у нее подавленное настроение, она ответила: "Потому что убили одного какого-то Кирова, а расстреляли сколько невинных людей". Зная об этом, т. Агниашвили Л., вопреки нашему требованию, до сих пор еще не снял этого активного меньшевика.

6. Особо хочу подчеркнуть, что т. Л. Агниашвили, попав под влияние буржуазной профессуры, не желает выполнять указания ЦК о развертывании непримиримой борьбы на идеологическом фронте (...).

Секретарь Парткома Госунта
(С. Гегенава)

15 февраля 1935 г.
г. Тифлис

საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღწერა 9, საქმე 9, ფურცლები 130-132.
პირველად გამოქვეყნდა: **газ. "Свободная Грузия", 17 февраля 1998, №45–46, стр. 3.**

19. СЕКРЕТАРЮ ЦК КП (Б) ГРУЗИИ – ТОВ. Л. БЕРИЯ

(ПО ПОВОДУ ЗАЯВЛЕНИЯ СЕКРЕТАРЯ ПАРТКОМА ГОСУНТА ТОВ. С. ГЕГЕНАВА)

Тифлисский Государственный Университет основан по инициативе тов. Берия постановлением ЦК и ЦИКа Грузии от 28 января 1933 года.

За два года своей работы он выдвинулся в передовые ряды университетов, заняв среди них четвертое место по научной, учебной и организационно-хозяйственной работе, а по физической культуре – 7-е место на соревновании 2800 учебных заведений и специальных техникумов.

Университет насчитывает до 5000 студентов, собрал вокруг своей системы до 500 научных работников, из них – 69 профессоров, 62 доцента. В Университете сосредоточено: 704 члена партии 4 2379 чл. ЛКСМ. Он состоит из 9 факультетов, 37 отделений, 59 кафедр, до 350 преподаваемых дисциплин. Имеет 5 научно-исследовательских институтов, институт аспирантуры, со 106 аспирантами, Абастуманскую Астрофизическую обсерваторию (...). При Университете имеется до 25 специальных кабинетов и лабораторий, ценнейшая научная библиотека – 600.000 томов (...).

Очередная нездоровая тряска Университета, затеянная нынешним секретарем Парткома тов. Гегенава, далеко не способствует дальнейшей плодотворной работе Университета. Поданное им заявление на имя Центрального Комитета полно клеветы и инсинуаций, рассчитанных на мою дискредитацию перед ЦК как члена партии и ректора Государственного Университета.

I. Тов. С. Гегенава начинает свое заявление с решительного утверждения, что за время своей работы в Госунте он "на ряде фактов глубоко убедился, что ректор тов. Агниашвили не может по-большевистски обеспечить осуществление постановления ЦК КП (б) Грузии о Госунте" (...). Я не выхожу из рамок заявления и, придерживаясь схемы последнего, даю справки исключительно по затронутым т. Гегенава вопросам.

II. В заявлении указывается, что в Университете среди педагогов и административного персонала имеется большое количество выходцев из контрреволюционных партий. Это само по себе совершенно правильное утверждение – и об этом Центральный Комитет хорошо и правильно информирован – в контексте т. Гегенава рассчитано на дешевый эффект, тем более, что это "открытие" давно сделано без участия в этом т. Гегенава. Я сам неоднократно говорил об этом, а цифры эти приведены в моих данных (...). Наличие в Университете большого кадра научных работников, выходцев из контрреволюционных партий, да и сейчас, надо думать, частично подвизающихся на этом фронте – **величайшее несчастье нашего Университета** (...). Центральному Комитету хорошо известно, что я не только не приводил в Университет этих "бывших людей", наоборот, их число в новом Университете уменьшилось абсолютно, что сегодняшнее положение нельзя сравнивать с тем, что мы имели в последний год старого Университета (в 1930 г.) (...).

Какую же картину мы имеем сейчас? За два года работы Университета под руководством и по указаниям Центрального Комитета мы сумели значительно изменить по-

ложение, и об этом достаточно красноречиво говорят факты. Из всего проф.-пед., научного и адм. тех. состава Университета:

В 1924 г. членов КП и ЛКСМ было – 3 ч.

В 1928 г. членов КП и ЛКСМ было – 14 ч.

В 1930 г. (посл. год Университета) – 45 ч.

В 1934/35 г. – 260 ч.

Из 495 человек профессорского, педагогического персонала и аспирантов – 218 чел. – члены КП и ЛКСМ, т. е. 44 процента.

Это я считаю большим достижением нашего Университета (...).

III. В заявлении отмечено наличие в Университете "большого процента бывших князей и дворян". На 756 профпедперсонала, аспирантов, научных работников и административного, технического персонала (по социальному происхождению): рабочих – 69, колхозников – 157, индив. крест. – 259, князей – 12, дворян – 57, детей духовен. – 20, детей бывших торговцев – 13, служащих – 148, прочих – 21. Таким образом, дворянско-княжеская прослойка составляет 9,1 процента! Рабоче-крестьянская прослойка составляет 60,3 процента! (...).

V. Какими фактами располагает т. Гегенава, что я "отношусь либерально" к беспартийной профессуре? Никакими. Т. Гегенава не понимает всей сложности обстановки в таком большом и сложном организме, каковым является наш Университет. Он не понимает директив т. Сталина и ЦК ВКП (б) о "чутком, бережном и заботливом отношении" к беспартийному специалисту (...).

XII. Если бы я смотрел на Университет не как на научно-учебное заведение, а как на учреждение по "реставрации рукописей древности", то наш Университет не вышел бы в передовые ряды Университетов Союза. Затем, о какой "реставрации рукописей" говорит Гегенава? Я считаю гордостью нашего Университета, что мы, по указаниям ЦК, занялись, наконец, научной подготовкой ценнейших памятников грузинской письменности (...).

XVII. Гегенава пишет: "притуплена классовая бдительность"

а) Профессор Г. Джавахишвили назначен ЦК завед. кафедрой антропологии и исп. обязанности, зав. кафедрой зоологии. Г Джавахишвили – старый специалист, имеющий много трудов на русском, грузинском и немецком языках. Плохой педагог, хотя и знающий, интриган, систематически мешает работе, не воспитывает специалистов. Но его некем заменить. Он за 15 лет принял все меры, чтобы не создать себе преемника. Желая его сместить с кафедры зоологии, я пригласил из России профессора Федотова, но Джавахишвили написал ему угрожающее письмо, и Федотов отказался приехать (...). Однажды он заслал мне анонимку, где он жаловался т. Сталину на порядки, заведенные тогдашним деканом Андриадзе (...).

б) Зав. библиотекой исторического кабинета Ч. Шарашидзе, бывший член Учредительного собрания, сестра "Тагуна" (...). Однажды зашел ко мне Гегенава и заявил, что (...) она сказала ему по поводу убийства тов. Кирова (...). Так как этому можно было вполне поверить, я позвонил т. Гобечия и снял ее тотчас же с работы. Так как библиотека переходила в другое помещение, книги надо было уложить в шкафы и сдать новому заведующему (...). Освобождение ее несколько задержалось (...).

За два года работы из профессорско-педагогического персонала было снято по моему приказу за идеологические извращения и грубое нарушение дисциплины 44 человека, за то же из аспирантуры было снято 8 человек (...).

Л. Агниашвили

21 марта 1935 г.
г. Тифлис

საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღწერა 9, საქმე 9, ფურცლები 101-128.
Впервые опубликовано: газ. "Свободная Грузия", 17 февраля 1998, №45-46, стр. 3.

20. საკ. კომპ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს – ამხ. სტალინს
ტფილისის პარტაქტივის მისალმება

ძვირფასო კობა!

ტფილისის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. ბერიას მოხსენება: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გითვლის შენ, ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ფუძემდებელს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში და ლენინის უახლოეს თანამებრძოლს ბოლშევიკთა პარტიის ჩამოყალიბების, განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის გამარჯვებათა ორგანიზატორს, პარტიისა და ხალხის დიდ და საყვარელ ბელადს.

რევოლუციური მოძრაობის აღმოცენების გარიჟრაჟზე, როცა ლენინი საფუძვლებს უყრიდა ბოლშევიკურ პარტიას, შენ, ფოლადისებური ნებისყოფითა და მუშათა კლასის გამარჯვების ღრმა რწმენით აღჭურვილმა, ტფილისის, ბაქოს, ბათომის, ჭიათურის და სხვ. საუკეთესო რევოლუციური პროლეტარები ლენინური „ისკრის" დროშის ქვეშ დარაზმე ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მტკიცე, ბრძოლისუნარიან ორგანიზაციად.

მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებთან, ლეგალურ მარქსისტებთან, მენშევიკებთან, ლიკვიდატორებთან, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან, ტროცკისტებთან, შემარიგებლებთან და ლიბერალებთან ბრძოლაში შენ იცავდი და ახორციელებდი მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები აღზარდე ლენინური პარტიის ერთგულებისა და მუშათა კლასის მტრებთან შეურიგებელი ბრძოლის საფუძველზე.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში შენ ხელმძღვანელობდი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დასაპყრობად.

რეაქციის წლებში შენი ხელმძღვანელობით ბოლშევიკური ორგანიზაციები რაზმავდნენ და განამტკიცებდნენ არალეგალური პარტიის რიგებს და ამზადებდნენ ძლევამოსილ იერიშს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას.

ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც შენ უშუალოდ ხელმძღვანელობდი, რეაქციის წლებში ლენინური პარტიის ურყევი ციხე-სიმაგრე იყო და რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარული დიქტატურისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა.

ნაციონალურ საკითხში ლენინ-სტალინის პროგრამით შეიარაღებულმა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, შენი უშუალო ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის მტრებთან ბრძოლაში აგეს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის ურღვევი შენობა, შეჰქმნეს და განამტკიცეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

პროლეტარიატის დიქტატურის წლებში, საკ. კ. პ. (ბ) ცენ. კომიტეტის ხელმძღვანელობით და შენი პირადი ხელმძღვანელობით, ამხ. სტალინ, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამაყობენ იმით, რომ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ორგანიზაციას საფუძველი ჩაუყარე შენ, მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა, რომ იგი მტკიცდებოდა და იბრძმედებოდა შენი უშუალო ხელმძღვანელობით და გადაიქცა

ლენინ-სტალინის პარტიის ფოლადისებურ, ერთგულ რაზმად, მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ურყევ დასაყრდენად.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა გმირული ბრძოლის საბელოვანი ისტორია და ტრადიციები აღგვაფრთოვანებენ ჩვენ შემდგომი ბრძოლისათვის მუშათა კლასის განადგურებულ მტერთა ყოველგვარი ნაშთის წინააღმდეგ, აღგვაფრთოვანებენ თავდადებული მუშაობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ტფილისის ბოლშევიკები არწმუნებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, და შენ, ჩვენო ძვირფასო, საყვარელო სტალინ, რომ ისინი მოაწყობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმა შესწავლას, ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმის ისტორიის ღრმა მეცნიერულ დამუშავებას და შესწავლას, ლენინიზმის საფუძველზე აღზრდიან პარტიისა და კომკავშირის წევრებს, გააძლიერებენ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციათა რევოლუციურ სიფხიზლეს, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ დარაზმავენ მშრომელთა ფართო მასებს და გაემართებიან ახალ-ახალი გამარჯვებისკენ სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს პარტიის ბელადს დიდ სტალინს!

ლ. ბერია. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის. მოხსენება ტფილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წ. 21-22 ივლისს. „პარტგამომცემლობა“, [თბილისი], 1935, გვ. 11-13.

21. ლაპერენტი ბერიას მოხსენებიდან: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“

ამხანაგებო!

ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლა და გაგება წარმოადგენს პარტიისა და კომკავშირის წევრთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

ამხ. სტალინმა თავის ისტორიულ სტატიაში „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე“ (ჟურნალი „პროლეტარსკაია რევოლუცია“, №6, 1931 წ.) პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დააყენა ჩვენი პარტიის ისტორიის ბოლშევიკური შესწავლის ამოცანა.

აი, რასა სწერდა მაშინ ამხ. სტალინი ამ ამოცანის შესახებ:

„ სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები, ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე დავაყენოთ მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე და გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტული ფალსიფიკატორებისა და ყველა სხვა ფალსიფიკატორების წინააღმდეგ და სისტემატურად აცხადოთ მათ ნიღაბი“.

ეს ამოცანა მოითხოვს, რომ სათანადო სიმაღლეზე იყოს დაყენებული პარტიის ისტორიის სწავლება, ჩვენი პარტიის ისტორიაში ანტიპარტიულ დაჯგუფებათა და პარტიის ხაზთან მათი ბრძოლის ხერხების შესწავლა.

ეს ამოცანა მოითხოვს, რომ პარტიის წევრებმა იცოდნენ არა მარტო ის, თუ როგორ ებრძოდა და სძლევდა პარტია კადეტებს, ესერებს, მენშევიკებს, ანარქისტებს, არამედ ისიც, თუ როგორ ებრძოდა და სძლევდა პარტია ტროცკისტებს, „დემოკრატიულ ცენტრალისტებს“, „მუშათა ოპოზიციას“, ზინოვიეველებს, მემარჯვენე უკლონისტებს, მემარჯვენე-„მომემარცხენო“ მახინჯებს და სხვ.

სათანადო სიმაღლეზე რომ ავიყვანოთ რევოლუციური სიფხიზლე და შევაიარაღოთ კომუნისტები ჩვენი პარტიის ყველა მტრის წინააღმდეგ, საჭიროა პარტიის წევრი იცნობდეს ლენინურ-სტალინური პარტიის მშენებლობისა და ბრძოლის გმირულ გამოცდილებას; საჭიროა, მან იცოდეს და შეიგნოს არა მარტო პარტიის წარმატებანი და გამარჯვებანი, არამედ ისიც, თუ როგორ მოიპოვა პარტიამ ეს გამარჯვებანი ლენინიზმის ყველა მტერთან ბრძოლაში.

სოციალიზმის გამარჯვებისა, ფართო მშრომელი მასების უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური ზრდისა და განადგურებული კლასობრივი მტრის ნაშთთა წინააღმდეგობის გამწვავების პირობებში საჭიროა ყოველმხრივ ავამაღლოთ მარქსისტულ-ლენინური განათლების დონე და, პირველ ყოვლისა, ჩვენი პარტიის ბოლშევიკური ისტორიის ცოდნის დონე.

ახლა ჩვენ გვესაჭიროება, რომ პარტიისა და კომკავშირის წევრებმა უფრო სერიოზულად და ღრმად შეისწავლონ ბოლშევიზმის ისტორია, ყოველგვარი ანტილენინური გადახრებისა და მიმდინარეობათა წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის ისტორია.

ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი პარტიის ისტორიის ისეთი შესწავლა, რომელიც უზრუნველჰყოფს ლენინიზმის მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ ბოლშევიკთა ბრძოლის

გმირული გამოცდილების შეთვისებას და რომელიც შეაიარაღებს პარტიისა და კომკავშირის წევრებს პარტიის მტრებთან საბრძოლველად, ყველა განადგურებული კონტრრევოლუციური, ანტიპარტიული ჯგუფების იდეათა და შეხედულებათა გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკმაო მუშაობა ჩაატარეს პარტიის ისტორიის პროპაგანდისა და შესწავლის დარგში. მაგრამ ჩვენი მიღწეანი ამ უბანზე აშკარად საკმარისი არ არის. განსაკუთრებით ჩვენ ჩამოვრჩით ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის ბოლშევიკურ დამუშავებასა და შესწავლაში, ლენინ-სტალინის საქმისათვის ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლის შესწავლაში.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს მოეპოებათ ლენინური პარტიის მშენებლობისათვის იმ ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს მოეპოებათ ლენინური პარტიის მშენებლობისათვის იმ ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე, განუყრელად დაკავშირებულია ამხ. სტალინის მუშაობასთან და სახელთან (მჭუხარე ტაში).

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის დამუშავებისა და შესწავლის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ საკ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობამ და ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-7 ყრილობამ.

ყრილობებზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ცალკეულ კომუნისტ-ისტორიკოსთა ნაშრომებში დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი.

საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) მე-9 ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში მოგვცა დირექტივა:

„აღნიშნავს რა საქართველოს და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობისა და პარტიის ისტორიის დამახინჯების ფაქტებს მთელ რიგ კომუნისტ-ისტორიკოსთა ნაშრომებში, ყრილობა აუცილებელ საჭიროებად სთვლის უფრო მეტად გაამახვილოს საქართველოს ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღება ბოლშევიზმის ისტორიის ფალსიფიკაციის ცდების წინააღმდეგ“.

ყრილობის შემდეგ ჩვენმა ორგანიზაციებმა უკეთ მოჰკიდეს ხელი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მასალების შეგროვებასა და დამუშავებას.

მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული, ჯერ კიდევ მრავალი მასალა და დოკუმენტი არ არის შეგროვებული.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალმა დღემდე ვერ შესძლო გამოეშვა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის დოკუმენტთა და მასალათა კრებული, აგრეთვე არ გამოუცია არც ერთი ორიგინალური ნაშრომი.

უნდა აღვიაროთ, რომ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ისტორიის შესწავლას და დამუშავებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლის გაშუქებას ცალკეული ამხანაგების ნაშრომებში, როგორიცაა, მაგალითად, ნაშრომები ამხანაგ ფ. მახარაძისა („საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორია“, „1905 წელი ამიერ-კავკასიაში“, „ტფილისის ორგანიზაციის არსებობის 30 წლისთავისათვის“, „ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ნარკვევები“ და სხვ.), ა. ენუქიძისა („ჩვენი არალეგალური სტამბები კავკასიაში“), მ. ორახელაშვილისა („ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს“, რაჰ ისტორიის ქრესტომათია, „სოციალიზმისათვის ბრძოლის 25 წელი“ მ. ორახელაშვილის რედაქციით, გამოცემული საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ და სხვ.), — ისინი შეიცავენ პრინციპული და ისტორიული ხასიათის მთელ რიგ შეცდომებს, ამახინჯებენ ცალკეულ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს და არაკეთილსინდისიერად გადმოგვცემენ ცალკეულ მომენტებს პარტიის ისტორიიდან.

ამ ამხანაგებს დღემდე არ უზრუნვიათ იმაზე, რომ გადაემუშავებინათ თავიანთი ნაშრომები და გაესწორებინათ დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი.

პარტიის წევრები და კომკავშირის წევრები, უპარტიო მუშები და კოლმეურნეები უდიდეს ინტერესს იჩენენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლისადმი.

პარტიული ორგანიზაციები დაბეჯითებით მოითხოვენ ჩვენგან ისტორიულ ლიტერატურას, რომელიც სწორად გააშუქებს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ისტორიას.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-7 ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) მე-9 ყრილობის შემდეგ ჩვენ უკვე შევაგროვეთ მთელი რიგი მასალები და დოკუმენტები ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ისტორიიდან.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალეს მე, ამ მასალებისა და დოკუმენტების საფუძველზე, გავაშუქო ზოგიერთი საკითხი (ფაქტები და მოვლენები) ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან.

ლ. ბერია. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის. მოხსენება ტფილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წ. 21-22 ივლისს. „პარტგამომცემლობა“, [თბილისი], 1935, გვ. 17-21.

22. განაკ ბოლშევიზმის მატიანეში

აღმამფრენი და წარმტაცია ბოლშევიზმის ისტორია. ლენინ-სტალინის პარტიამ ათეული წლების მანძილზე განვლო ისეთი გზა, რომელსაც გამოცდილების სიმდიდრის მიხედვით მსგავსი არ მოეპოვება მთელს მსოფლიოში. მან გიგანტური მუშაობა ჩაატარა მრავალი საუკუნისა და თაობათა გამოცდილების ასათვისებლად და კრიტიკულად გადასამუშავებლად. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის სწორი მეცნიერული თეორიის შემუშავებასა და განხორციელებაში, იგი არის რევოლუციური მარქსიზმის ნამდვილი გამომხატველი. „მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, — სწერდა ლენინი, — რუსეთმა ჭეშმარიტად ტანჯვით დაიმკვიდრა გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერგიის და თავდადებული ძიებების, სწავლების, პრაქტიკაში გამოცდის, იმედების გაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილების დაპირისპირების ნახევარი საუკუნის ისტორიის მანძილზე“.

ბოლშევიზმის ისტორია დაუშრეტელია და მასზე სწავლობენ და მომავალშიაც ისწავლიან მრავალი და მრავალი თაობანი. იგი გვაიარაღებს ფაქტებისა და მოვლენების უმდიდრესი ცოდნით. იგი საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად შევითვისოთ, უკეთ გავიგოთ საზოგადოებრივი აზროვნების მიმდინარეობა და განვითარება. იგი დაწვრილებით გვაცნობს ლენინ-სტალინის პარტიის პირობებსა და საშუალებებს, ტაქტიკასა და სტრატეგიას.

ბოლშევიზმის ისტორია თვითეული ჩვენთაგანის მეხსიერებასა და შეგნებაში აღადგენს ჩვენი პარტიის შეურიგებელ და გმირულ ბრძოლას მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, ყველა რევიზიონისტისა და რენეგატის წინააღმდეგ, სოციალიზმის მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ, დაწყებული ძველი ნაროდნიკებით, მენშევიკებით და ესერებით და გათავებული ტროცკისტებით, ზინოვიეველებით, მემარჯვენე ოპორტუნისტებით და სხვა ანტილენინური დაჯგუფებებით. ამასთან ერთად, ბოლშევიზმის ისტორია მეხსიერებაში აღადგენს პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის უშიშარ და თავდადებულ მებრძოლთა სახეებს, უფრო მეტად ააშკარავებს ჩვენი პარტიის გენიალური ბელადებისა და ორგანიზატორების მთელს სიდიადეს.

და არ არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე მასების აღზრდის უკეთესი იარაღი, ვიდრე პარტიის ისტორიაა. ბოლშევიზმის ისტორიის შეუსწავლელად, პარტიის ცხოვრების თუნდაც უმთავრესი სამიჯნე სვეტების გაუცნობლად, შეუძლებელია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ნამდვილი შეთვისების უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ ამბობდა ლენინი თავის დროზე: „არ შეიძლება შეგნებული მუშა იყოს ის, ვინც ივანე უთვისტომოსავით ეპყრობა თავისი მოძრაობის ისტორიასო“. პარტიის ისტორია უნდა იყოს ცოცხალი გაკვეთილი ჩვენი ბრძოლისა და მუშაობისათვის, სოციალიზმის სულ ახალ-ახალი კადრების აღზრდისა და განუწყვეტლივ გამოზრდისათვის. და ამ თვალსაზრისით უდიდესი მოთხოვნები დგება ყველა პარტიული ორგანიზაციისა და მათი ხელმძღვანელების წინაშე.

ამხანაგი სტალინი თავის წერილში ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციას“ რედაქციისადმი 1931 წელს მიუთითებდა, რომ საჭიროა „სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები, მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე დავაყენოთ ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე, გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტული და სხვა ყოველგვარი ფალსიფიკატორების წინააღმდეგ და სის-

ტემატურად ჩამოვგლიჯოთ მათ ნიღაბი". უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში პარტიის ისტორიის შესწავლა უეჭველად წინ წავიდა. საუცხოო თაოსნობა, მშვენიერი ინიციატივა, რაც ყოველგვარი მოწონების ღირსია, გამოიჩინეს, კერძოდ და განსაკუთრებით, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა თავიანთი ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით. ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს ამხ. ბერიას მოხსენებას ტფილისის პარტაქტივის ა.-წ. ივლისის კრებაზე.

ამხ. ბერიას მოხსენება — უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში, იგი დეტალურად გვაცნობს ყოფილ მეფის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის დიდ ფაქტიურ მასალას და ჩვენი პარტიის ერთერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის განვითარებას. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლაზე, საიდანაც გამოვიდა დიდი ლენინის ყველაზე უფრო ახლობელი თანამოსაქმე, მისი ყველაზე უფრო ერთგული და თანმიმდევარი თანამებრძოლი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხანაგი სტალინი. იგი გვაცნობს პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის ნამდვილ გმირ მებრძოლებს, ამიერ-კავკასიის რევოლუციურ-მარქსისტული ინტერნაციონალისტური ფრთის საუკეთესო წარმომადგენლებს, ამხანაგ სტალინის უახლოეს მეგობრებსა და თანამშრომლებს. ამავე დროს იგი დაუნდობლად ამჟღავნებს მუშათა კლასის ყველა მტერს, ყველა მოღალატეს, ვისთანაც შეტაკება და შეუბრალებელი ბრძოლა უხდებოდათ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესწავლის დროს ვპოულობთ ახალ უმდიდრეს მასალას ამხანაგ სტალინის რევოლუციური როლის, რევოლუციური მუშაობის შესახებ.

„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, — ამბობს ამხ. ბერია, — მოეპოვებათ ლენინური პარტიის მშენებლობისათვის იმ ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე, განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან".

ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ისტორია ამდიდრებს პარტიას ამხანაგ სტალინის ჯერ კიდევ ხელახლად გამოუცემელი თეორიული ნაშრომებით და შეხედულებებით, გვაცნობს მის მუშაობას რევოლუციურ ასპარეზზე ჯერ კიდევ 90-იან წლებიდან დაწყებული.

ამხ. ბერიას მოხსენების განსაკუთრებული მნიშვნელობა აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამხელს მთელი რიგი ამხანაგების ცდებს — მრუდე, მახინჯ სარკეში გვიჩვენონ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ისტორია, მოახდინონ მისი ფალსიფიკაცია, დაამახინჯონ იგი. მაგალითად, ცნობილია, რომ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ისტორიის დარგში არის რამდენიმე ბროშურა, კერძოდ, ამხ. ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის და ა. ენუქიძის ბროშურები. ახლა უკვე საბოლოოდ დადასტურებულია, რომ ეს წიგნები შეიცავენ მთელ რიგ პრინციპული და ისტორიული ხასიათის შეცდომებს, ამახინჯებენ ცალკეულ ფაქტებს და მოვლენებს და არაკეთილსინდისიერად გადმოგვცემენ ცალკეულ მომენტებს პარტიის ისტორიიდან.

ამხ. ბერიას მოხსენება, რომელიც სისწორით აშუქებს ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასა და ბრძოლას, წარმოადგენს მძლავრ დასაყრდენს ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლისათვის. იგი ახალ ბრწყინვალე შუქს ჰფენს ჩვენი პარტიის

ბრძოლისა და განვითარების ყველა უმნიშვნელოვანეს ეტაპს. იგი ავსებს საგრძნობ ხარვეზს ჩვენს პარტიულ ისტორიულ ლიტერატურაში. და იგი უდაოდ წარმოადგენს იმის ნიმუშს და მაგალითს, თუ რა სერიოზულად და საქმიანად უნდა მოვეპყრათ პარტიის მოთხოვნებს ბოლშევიზმის ისტორიის გულდასმით შესწავლის შესახებ, რა შეუპოვრად და სიყვარულით უნდა ვიმუშაოთ ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შექმნაზე.

პარტიისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ისტორია უფრო მტკიცედ გვაიარაღებს სოციალიზმის ახალი, უმაგალითო გამარჯვებებისათვის. ჩვენ უფრო ძლიერ ვიმსჭვალებით მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებისადმი კლასობრივი სიფრთხილისა და შეურიგებლობის გრძნობით. ჩვენ უფრო მჭიდროდ ვირაზმებით ჩვენი პარტიის გარშემო, წვინდად ვინახავთ მის ერთგულ დაღუპულ შვილთა ხსოვნას და განუხრელად ვასრულებთ ლენინის ანდერძს და ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებებს.

გაზ. „პრავდა“, 1935 წლის 10 აგვისტო.

ლ. ბერია. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის. მოხსენება ტფილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წ. 21-22 ივლისს. „პარტგამომცემლობა“, [თბილისი], 1935, გვ. 5-9.

23. ივანე ჯავახიშვილის 34 კერძო წერილი*

წინასიტყვა

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა უთუოდ არ საჭიროებს მისი პუბლიკატორისგან განსაკუთრებულ რეკომენდაციებს ამ მემკვიდრეობისადმი მკითხველის საქმიანი ინტერესის გასამწვავებლად. ასეთი ინტერესის სიცხოველე ყველა შემთხვევაში თავისთავად სავარაუდებელია. ეს ვარაუდი გვაბედვინებს — ქვემორე დალაგებული და ჩვენ (მოკრძალებული ადრესატის) მიერვე კომენტირებული კერძო წერილები ივ. ჯავახიშვილისა, რიცხვით ოცდათოთხმეტი, ბოლოს და ბოლოს გამოვაქვეყნოთ.

საერთოდ, მწერლის ეპისტოლეთა შენაერთის ძალა და ღირებულება უწინასიტყვაობოდაც ნათელია, თუ რაში შეიძლება მდგომარეობდეს ეს ძალა და ეს ღირებულება. ამის შესაბამისად ჩვენი დიდი მეცნიერის წერილებსაც, რა თქმა უნდა, თან ახლავს „მომხმარებელისათვის“ სასიკეთო თვისებები. გარდა იმისა, რომ ჯავახიშვილის წერილებში, ამ თავისებურად უნიკალურ ძეგლში, მკვეთრად და მთელი თავისი უშუალობით გამოხატულა დაუვიწყარი მეცნიერისა და მამულიშვილის უღრმესად ინტიმური სულიერი განწყობილება, ადამიანური გულისთქმანი, ყოველდღიური ზრუნვა და დარდი, ყველა ამას გარდა, შიგ, ეპისტოლეებში, ფართოდ გაშლილია მისი აკადემიური, სამეცნიერო-საზოგადოებრივი, საქვეყნო-სამამულიშვილო და რომელი მათთანა საქმენი და ინტერესები.

მშვენიერი და მრავალმხრივი მასალაა. რამდენ რამეს სწვდება! თითქოს, იმთავითვე მიღებული გადაწყვეტილებით, აფიქსირებდეს ავტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროტოისტორიის უფიცხლეს მომენტებს, შლიდეს უნივერსიტეტის მღელვარე თავგადასავლის პირველ სცენებს, რომელთა სიდინჯით შემფასებელი დღევანდელი მკითხველი სამართლიანად დაასკვნის, რომ — მართლაც! რაკი ეროვნული მეცნიერების ტაძარს დრო დადგომოდა, ქართველი ხალხის საარსებო ინტერესების შესაბამისად მოეგვარებინა თავისი საუნივერსიტეტო გადაუდებელი საკითხები — თეორეტიული და ორგანიზაციული, მიეღო ქვეყნისათვის გასაზიარებელი სახელმძღვანელო პრინციპები სწავლა-აღზრდის სფეროში, დაედგინა საქართველოს ისტორიისა და სხვა მეცნიერებათა კვლევა-ძიების ფილოსოფიური და ზოგად მეთოდოლოგიური საფუძვლები, ასეთ ვითარებაში წარსული ცდების კრიტიკას, მეცნიერულ ძიებათა ძველი გზების გასუფთავების მცდელობას სჭოლასტიკის ქვა-ღორღიდან არ იქნებოდა არ მისცემოდა მძაფრი ხასიათი. შეუძლებელი იყო კამათში, ახლის ძიებაში, ძველის კრიტიკაში თავი არ ეჩინა ვნებათა ღელვას და ამის შედეგად სამართლიანობის საზღვრების გადალახვის უსიამოვნო ფაქტებსაც. წერილების ავტორი ამ ფაქტებს სიმწრით განიცდის, როგორც „დაუნდობელ ბრძოლას“ და ჭეშმარიტად, მკითხველი გაიკვირვებს კიდეცაც, რაოდენი ძალადობით, საბაკვიჩური უხეშობით, ნაზდრიოვისებური თავდაჯერებულობით იყო ჩვეულებრივ შეზავებული ბევრი იმდროინდელი მოღვაწის კრიტიკული ცდები. მაინც და მაინც მოწინააღმდეგისაგან გადაულახავი რჩებოდა მთავარი — ბედუკუღმართი წარსულის საზღვრების მთელ სიგრძეზე ფართოდ გახსნილი, მანამდე არნახული „საისტორიო ფრონტი“. დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება, აღმშენებლობითი მუშაობის გეგმების განხორციელება, რომელნიც დასახული-

* კომენტარები და შენიშვნები ეკუთვნის წერილების ადრესატს პროფესორ ვარლამ დონდუას.

ყვნენ მაშინ კიდევ ახალგაზრდა სოციალისტური საქართველოს წინაშე, ქვეყნის ჭირისუფალთაგან უკომპრომისო თავდადებას მოელოდა, საქმიან ბრძოლაში შეუპოვრობას საჭიროებდა („არა შემეშინოს, რაჲ მიყოს მე კაცმან").[1] საერთო საქმისათვის სასარგებლო იყო, რომ ივ. ჯავახიშვილს ხელმძღვანელ წრეებშიც შეეშველნენ (როგორც ამას ადასტურებს წერილები), თანაგრძნობის ძალამ თითქოს საბოლოოდ დაუყუჩა დიდი ხნიდან შეუნელებელი, მორალურთან ერთად, ფიზიკური ტკივილები (უკურნებელი სენი), მისთვის ულევი, „ზეცით მონაბერი" მხნეობით განაგრძობდა საოცრად დაუღალავ („დღედაღამ", როგორც იკითხება მის წერილებში) შრომას, ტიტანურ შემოქმედებით მუშაობას, მაგრამ რა და როგორ — ამაზე ცხოვლად პასუხობს თვით წერილები. იქნებ ბევრმა ამ წერილებიდან პირველად შეიტყოს — რას ნიშნავს თურმე მეცნიერის შრომის ინტენსიობა, რამდენი შეძლებია, ცოდნის გეერდით, ხალხის სამსახურის ტრფიალს.

ივ. ჯავახიშვილი ასწრებს და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევს საორგანიზაციო და აკადემიურ საქმიანობას ჯერ მისი თაოსნობით დაფუძნებულ უნივერსიტეტში, მერმე — ინსტიტუტებში, მუზეუმებში (მისივე დარსებული იყო შ. რუსთაველის მუზეუმი), არქეოლოგიურ ექსპედიციებში. მსგავსი მოღვაწეობა იშლებოდა დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფონზე. მრავალი ფუძემდებლური სამეცნიერო შრომის უწყვეტელ მზადება-ბეჭდვაში, სახელმძღვანელოთა ახალ პრინციპებზე დამუშავება-შედგენაში. წერილებში მკაფიოდ ჩანს გზაკვლევითი სურათი, თუ როგორი მზრუნველობით ქმნიდა თავის წიგნებს ავტორი, რა რუდუნებაში აგებდა იგი საიმისო სამეცნიერო აპარატს. წამქეზებელ მაგალითად გამოადგებათ მომავალ თაობებს ყოველივე ეს, სამარადისო სახსოვრად დარჩებათ წერილებში ძალდაუტანებლად გამოსახული შრომითი სიგმირე ჩვენი დიდი მოღვაწისა.

მომავალ თაობებსო, — ვამბობთ, და თითქოს მათთვისვე განახლებული ძალით იწყებდეს ჟღერას ცნობილი იესე ბარათაშვილის ანდერძის (XVIII ს.) სადა სიტყვით გამონათქვამი ჩაგონება შვილთა: „ერთი მცირე ბარათი არ დამიგდია, რომ გამოსაყენებელი არ იყოს"-ო.*

ვარლამ დონდუა

[1] ფს. 55, 11.

* შენიშვნა: აქ წარმოდგენილი წერილები (ისინი ნაწერნი არიან 1935-1940 წწ.) ადრესატს ეგზავნებოდა ქ. ლენინგრადის მისამართით, სადაც ადრესატი ეწეოდა სამსახურებრივ საქმიანობას.

ტფილისს
1935. 5. X.

I

დიდად პატივცემულო ბატონო ვარლამ!

უდიდესად გმადლობთ კონდაკოვის წიგნისათვის.[1] მაწუხებს მხოლოდ, რომ თქვენ წიგნთსაცავს ჩემი გულისათვის ასეთი ზიანი მოუვიდა. მას შემდგომ, რაც თქვენი ცნობა მომივიდა, რომ კოსტანიანცის „ვიმაკან ტარეგირ“[2] ტფილისში გინახავთ, დავეძებ ყველა მაღაზიებში, მაგრამ აღარსად აღმოჩნდა. თითო ცალი ჰქონიათ და გაუყიდიათ. ამიტომ ისევ მანდეთგან თუ გამომიგზავნით. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ კიდევ ერთი თხოვნით უნდა შეგაწუხოთ. ალ. სვანიძეს[3] შეგრ. გრამატიკა და ლექსიკონი[4] სჭირდება, როგორც მან შემატყობინა.[5] ტფილისში ვერ ეუშოვე: იოს. ყიფშიძის ქვრივსაც[6] ზედმეტი ცალი არ აღმოაჩნდა. რათგან ალ. სვანიძისაგან ძალიან დავალებული ვარ იმით, რომ გერმანიითგან ნ-ტომიანი წიგნისათვის[7] გამოსაწერად ვალუტის მიღება მომიხერხა სახ[ელმწიფო] ბანკში, ამიტომ მინდა სამაგიერო გადაეუხადო როგორმე. გთხოვთ ჩემი ფულით შეიძინოთ აკადემიის საწყობში იოს. ყიფშიძის Грам. Мингл. яз.[8] და ჩემ მაგიერ გადაეგზავნოთ მოსკოვში ამ მისამართით: Москва, Госбанк СССР, Иностранный отдел, директору Александру Семеновичу Сванидзе. დიდ ბოდიშს ვიხდი ამ შეწუხებისათვის. ჩემი ნაშრომი „სომხ. საისტ. მწერლობა“[9] თუმცა დაიბეჭდა, მაგრამ აქამდის ვერ დაკაზმეს და ამიტომაც ვერ მიმიღია, რომ თქვენთვის გამომეგზავნა. დასასრულ უნდა გთხოვოთ, რომ ჩემი გვარიც კონვერტზე ისევე იწერებოდეს რუსულად, როგორც ქართულად.[10] წინათ ჩვენ ყველანი იძულებული ვიყავით ისე გვეწერა ჩვენი გვარი, როგორც ოფიც.[იალურ] საბუთებში იყო შეტანილი.[11] რამდენჯერ ვეცადე მაშინ ქართულის აღდგენას, მაგრამ ნებართვა ვერ მივიღე. ეხლა საბედნიეროდ საბუთებშიც აღდგენილია ქართული მართლწერა, და წინანდელის გახსენებაც-კი ჩემთვის უსიამოვნო გარემოებაა. ამიტომ შემდეგში გთხოვთ თქვენც ქართ[ულად] და რუს[ულად] ერთნაირად მომწეროთ ხოლმე.

თქვენი პატივისმცემელი და ბედნიერების მონატრული ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1935. 19. X.

II

დიდად პატივცემულო ბ-ნო ვარლამ!

თქვენი მეორე წერილი და ბახტიარ-ნამე[1] მივიღე და ორივესთვის გულითად მადლობას მოგახსენებთ. მხოლოდ ბერტელსს რომ ფასი არ აუღია, უხერხულად ვგრძნობ თავს ერთგვარი ზარალის მიყენების გამო. მაინცდამაინც მადლობის მოხსენება მმართებს. მე კი მისი მამის სახელი[2] არ ვიცი (მისი სახელი წიგნზე სპარსულად სწერია, და ევგენი ჰრქმევია), რომ წერილობით მადლობა შევუთვალო, არც მისამართი მაქვს. ბოდიშს ვიხდი ამოდენა შეწუხებისათვის, მაგრამ მაინც უნდა გთხოვოთ, ორივე ღია წერილით მაცნობოთ. ბ-ნო ვარლამ! ვწუხვარ, რომ ამოდენი საქმე გაგიჩნდათ ჩემი გულისათვის, მეტადრე ის გარემოება მაფიქრებს, რომ ჩემთვის წიგნების შესაძენად ფული ცოტა გაგატანეთ. ის თანხა ტოლსტოის წიგნის[3] შესაძენადაც-კი არ იქნება საკმარისი! ამიტომ, როგორც წასვლის

წინაც გთხოვდით, მაცნობეთ, მაგ წიგნების შესაძენად რამდენი დაგჭირდებათ, და მე მაშინვე ტელეგრაფით ფულს მოგართმევეთ, ან იქნებ, თქვენ რომ გადმოგზავნით არ შესწუხდეთ ხოლმე, მაცნობეთ, რომელი მისამართით გადმოვუგზავნო ფული სამეც. აკადემიის წიგნების საწყობს ანუ ეგების ფასდადებით გადმოგზავნა ირჩიონ. ალ. სვანიძეს[4] ჩემ მაგიერ თუ მეგრ. გრამატიკას[5] გადაუგზავნით, დიდად დამავალებთ. მისი ფასიც მაცნობეთ, რომ მოგართვათ. ჩემი წიგნის[6] ბეჭდვა დამთავრდა, მაგრამ აქამდის ვერ დაუკაზმავთ და ამიტომ ვერ გაახელით.

თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1935. 22. X.

III

დიდად პატივცემულო ბ-ნო ვარლამ!

გუშინ საღამოს მომივიდა თქვენი გამოგზავნილი წიგნები: 1. ნ. მარრის ჰანური გრამატიკა,[1] 2. იოს. ყიფშიძის დამატ. ცნობები ჰანურზე[2] და 3. კოსტანიანცის[3] (სომხური ტექსტი), რისთვისაც გულითად მადლობას მოგახსენებთ.

თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1935. 12. XII.
კალინინის, 66
(ყ. ნიკოლოზის)

IV

დიდად პატივცემულო ბ-ნო ვარლამ!

ტფილისში გადამდები ავადმყოფობა ქუნთრუშა, რომელსაც ძველად ვარდკოხა ეწოდებოდა, და დიფტერიტი მოარულად იქცა, და მძვინვარებს. უფროსი შვილიშვილი, გოგონა დალი,[1] გაგვიხდა ჩვენც ქუნთრუშით ავად. ეხლა დასრულდა კარანტინის ხანა, და დეზინფექცია მოვახდინეთ. სამწუხაროდ ქუნთრუშის შედეგად თირკმელების გაღიზიანებაც აქვს და მოძრაობის დროსაც თითქმის ფეხების დახუთულობა ემჩნევა. ექიმი ამბობს, რომ ხანგრძლივი წოლის შედეგიაო, მაგრამ საკმაო საბუთი მაქვს ექიმების სიტყვას არ ვენდო!... შემომიგვიანდა ყველა ამის გამო მადლობის მოხსენება ჩემთვის შეძენილი წიგნების გადმოგზავნისათვის. იმედია მაპატიებთ ამ უნებლიეთს მდუმარებას. მე მეტადრე ის მაწუხებდა, რომ გატანებული ფული ამოდენა შენაძენს არ ეყოფოდა და თქვენს წინაშე დავალიანებული უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ თქვენ მწერთ, რომ თქვენ ამოდენა წიგნებში მხოლოდ 44 მან. და 80 კ. დაგხარჯვიათ და კიდეცაც გადაგრჩენიათ შესაძენად. სწორედ მოგახსენოთ, ვერ გამიგია, თუ როგორ მოხდა ეს, როდესაც, მარტო ტოლსტოის წიგნი[2] თითო თუმნად რომ ვიანგარიშოთ, უკვე 9 თუმანი გამოდის. ამას თუ იოს. ყიფშიძის,[3] ონიანის[4] და ნ. მარრის,[5] დასასრულ, კოსტანიანცის[6] წიგნების ფასსაც მივათვლით, გადმო-

საგზავნ ხარჯსაც მიეუმატებთ, სულ სხვანაირად წარმოგვიდგება თქვენი დანახარჯის ოდენობა. ეფიქრობდი და ვერ გამიგია, ნუთუ ტოლსტოის 9 წიგნის ფასად მთლიანად 10 მან. ჰგულისხმობდით? ეს ძნელი დასაჯერებელია, რათგან გამოცემის დროსაც მას ასეთი მცირე ფასი არ ჰქონია. ამიტომ ბოდიშს ვიხდი ამოდენი შეწუხებისათვის, მაგრამ მაინც გთხოვთ მაცნობოთ, რამდენი დახარჯეთ სულ ყველა წიგნების შეძენაზე და გადმოგზავნაზე, რომ ჩემზე ვალი არ იყოს. თქვენი წერილის მიღებისთანავე, ტელეგრამით გაახლებთ. — როგორც იყო გამოვიდა ჩემი ნაშრომი „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“, 1,[7] რომელსაც ამასთანავე ფოსტით მოგართმევთ. — თქვენ გეხსომებათ, რომ ამ ზაფხულს მთელ საქართველოში 23 კაცი* მყავდა წარვლენილი „საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის ზეპირგადმოცემითი მასალების“ შესაგროვებლად. წარვლინებულებმა საინტერესო ჩანახატი და ფოტ. სურათები (ნივთიერი ნაშთებისა) წარმოადგინეს, და ვერ აგიწერთ, რა უხვი, მრავალმხრივი, საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა შეგროვდა: წარსული კულტურის უკანასკნელი ანარეკლის მთელი ენციკლოპედიაა! მრავალი ახალი ტერმინი და გამონათქვამებია ჩაწერილი, ურომლოდაც ქართ. სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა სრულებით შეუძლებელი იქნება. მოხარული ვარ, რომ ჩემი მუდმივი ნატვრა და ოცნება შემისრულდა და აღბეჭდილია უკვე ის, რასაც ადამიანი მალე ვეღარც გაიგონებს და ვეღარც გაიგებს, რათგან საიქიოსკენ მიდის უკანასკნელი თაობა, რომელსაც წარსულისა კიდევ რამე ახსოვს და გაეგება, რომელსაც იმდროინდელი კულტურის ნივთიერი ნაშთიც კიდევ საკმაოდ შენახული ჰქონია ისე, რომ სამუზეუმოდ შესაძენიც ბევრი რამე ყოფილა. დღე-და-ღამე ამ ჩამოტანილი მასალების გამოსაცემად დამზადებისათვის ვმუშაობ. ისედაც საკუთარი კვლევა-ძიებით მოქანცულმა დიდი ზედმეტი და დამღლელი ტვირთი ავიკიდე, მაგრამ ისეთი მშვენიერი ცნობებია, რომ დაქანცულობასაც ყურადღებას არ ვაქცევ და გატაცებით ვმუშაობ. რომ დაიბეჭდება,[8] მაშინ ყველა დარწმუნდება, რამდენად დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. — გაგებული გექმნებათ საწყალი იური (ფრიდონ) მარრის გარდაცვალების ამბავი. სამწუხაროა, რომ ასეთი ნიჭიერი ჭაბუკი ასე უდროოთ დადუმდა და ვერ მოასწრო თავისი ზრახვებისა და დაწყებული მთავარი ნაშრომების გამოქვეყნება.[9] უბედური მისი დედა,[10] რომელსაც ამ სიბერის დროს ამოდენი მწუხარება არგუნა ულმობელმა ბედმა. გული მიკვდება, რომ მე, რომელიც თავის დროზე[11] ასე დაახლოებული ვიყავი, მას შემდგომ მომხდარი ამბების[12] გამო, ჩუმი, გულში ჩაკლული თანაგრძნობის გარდა, არაფერი დამრჩენია!

გაზეთებში[13] გუშინ აღნიშნული იყო, რომ ტფ. უნივერსიტეტს შეუხიბრებაში ჯილდო მიულია. არ ვიცი, რა ღვაწლისათვის? — თუ ჩვენი ახლანდელი უ-ტი** ჯილდოს ღირსი აღმოჩენილა, რანი ყოფილან სხვები! ვგონებ, რომ წერილი ძალზე გამიგრძელდა და დროა, რომ დავამთავრო. კვლავ გულითად მადლობას მოგახსენებთ წიგნებისათვის და ვეწუხვარ, რომ ამდენი საზრუნავი გაგიჩინეთ.

მარად თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი

---

* შდრ. წერ. V.

** უნივერსიტეტი.

ტფილისს
1936. 10. II.

V

დ-დ პატივცემულო ბ-ნო ვარლამ!

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ წერილის მოწერა ამდენ ხანს შემომგვიანდა და აქამდის გულწრფელი მადლობა ვერ მოგახსენეთ ჩემთვის შეძენილი და გადმოგზავნილი წიგნებისათვის. ისედაც უაღრესად დატვირთულს კიდევ ორი ახალი დიდი სამუშაო დამაწვა კისერზე და დღედაღამ ვმუშაობ, მაგრამ მაინც ვერ ვერევი. საქართველოს შინამრეწველობის და ხელოსნობის ისტორიისათვის მასალებს რომ ჰკრებდნენ ამ ზაფხულს* მთელ საქართველოში, საუცხოო ცნობები, დიდძალი ტერმინები ყოველი დარგისათვის და სურათები და ჩანახატები შეგროვდა.[1] ჩემი დაბეჭდილი გეგმა[2] 26 კაცმა მთლიანად შეასრულა, და არამცთუ იმედი არ გამმტყუნებია, მოლოდინსაც-კი გადაჭარბა. თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართ. სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას გააკეთებს. მოხარული ვარ, რომ ის საშვილიშვილო საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო და რომელზედაც ყოველთვის ვოცნებობდი, ბოლოს მაინც განხორციელდა. 6000-მდე გვერდია ზეპირგადმოცემითა და ცნობებით დაწერილი. ამოდენა მასალის გადაკითხვას, რედაქციასა და დასაბეჭდად დამზადებას დიდი მუშაობა სჭირდება. ეხლა კიდევ მოსკოვითგან მოსული შთაგონებით,[3] ქართ[ველ] ისტორიკოსთა თხზულებების გამოცემა უნდა დაიწყოს,[4] და ამ პასუხსაგები კრიტიკული გამოცემის ტვირთიც მაწვება. დიდი და აუცილებლად საჭირო საქმეა, უარის თქმა არ შემეძლო, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოვერიო ამოდენა მოვალეობას. — ბ-ნო ვარლამ! მცხვენიან, რომ ამდენს გაწუხებთ, მაგრამ ისევ გიგზავნით ფულს შესაძენად: Мат. Арх. Кав.[5]-საგან მაქვს მხოლოდ ჰადიშის სახარება[6] და ე. თაყაიშვილის არქ. მოგზაურობა,[7] დანარჩენი,** თუ იშოვება, შემიძინეთ. Зап. Арх. Общ.[8] გამოცემათაგან მჭირდება ლატიშევის[9] და ბელიაევის[10] ნაშრომები, რაშიდ-ედ-დინის ისტორია[11] და ინოსტრანცევის Торжеств. выезд фатымидских халифов,[12] აგრეთვე მელიორანსკის Араб–филолог о турецком языке[13] და Араб–филолог о монгольском языке[14] საერთოდ სადაც*** ბარტოლდის[15] და მარრის[16] მოზრდილი, მაგრამ ცალკეულად გამოცემული გამოკვლევებია. ნ. მარრის ამონაბეჭდები მაქვს,**** ბარტოლდისა-კი აღარაფერი შემრჩა. იშოვება თუ არა მაგ საზოგადოების[17] გამოცემათა სრული კომპლექტი და რა ღირს? როგორც ტფილისში ყოფნის დროს მოგახსენეთ, მინდოდა კონდაკოვის Иконография-ს ორიე წიგნის,[18] აღონცის Армения в эпоху Юстиниана-სი[19] და Дионисий Фракийский-ს,[20] აგრეთვე, Зимин-ის გამოცემული სპარს. ტექსტის Походы Тимура в Индию-ს[21] და ჟუკოვსკის აბუსაიდ ბენ-აბულ ხაირის სპარს. ცხოვრებისა და გამოკვლევის[22] და ბარტოლდის Туркестан в эпоху монгольск. нашествия-ს[23] შეძენა. უეჭველია, ჩემგან აწ გადმოგზავნილი ფული ამისათვის სამყოფი არ იქნება. მაგრამ, თუ გამოირკვევა, რომ მათი შოვნა შეიძლება, მაცნობეთ ღირებულება და ფულს დამატებით გადმოგიგზავნით. — მეშჩანინოვის ხელმოწერილი მომართვა მომივიდა განსვენებული ნ. მარრის ხსოვნისადმი მიძღვნილს კრებულში[24]

---

* 1935 წლის ზაფხულს.
** ნაკვეთები.
*** ე. ი. რომელ სერიებშიც, კრებულებშიც.
**** უნდა: „ზოგი მაქვს“.

მონაწილეობის მიღების შესახებ. მოუცლელობისდა მიუხედავად, რასაკვირველია, მონაწილეობის მიღება მინდა, მაგრამ მინდოდა თქვენგან გამეგო, ვინ იღებენ ამ კრებულში მონაწილეობას და რა ხასიათი ექმნება ამ კრებულს. დიდად დამავალებთ, თუ ამაზე მალე მიპასუხებთ. კვლავ დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისათვის.

თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1936. 14. III.

VI

დიდად პატივცემულო ბატონო ვარლამ!

აბუ საიდის ცა* და ოთხმუხლედთა განმარტება[1] ისევე, როგორც ЗВО[2] მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. რამასკვეიჩს[3] ჩემი მადლობა გადაეცით ხსოვნისათვის და, თუ მას აბუ საიდის ცი*ს მოკლე რედაქცია[4] აქვს, შეიძინეთ ჩემთვის, რათგან წიგნაცავის დაკარგვის გამო,[5] აღარც ისღა მაქვს. თუ Мат. по Арх. Кавказа[6] ჯერ არ შეგიძენიათ, ნუ შეიძენთ, რათგან აქ ტფილისში აღმოჩნდა. თუ შეძენილი გაქვთ, მალე მაცნობეთ. დანარჩენი წიგნების შესაძენად ამ დღეებში კიდევ გადმოგიგზავნით ფულს. ნ. მარრის სახსოვარი კრებულისათვის[7] წერილის წარდგენის უკანასკნელი ვადა მაცნობეთ.

ხომ არსად იშოვება მანდ ბრაუნის Разыскания в области гото-слав. отношений[8] თუ შეგხვდეთ, დიდად დამავალებთ, თუ შემიძენთ. მანდაც იქნებოდა გრიპი. თქვენ მოიხადეთ ეს მოარული, თუ არა? აქ ძალიან იყო მოდებული და ყველანი ავად ვიყავით. როგორ მიმდინარეობს მანდ სამეც[ნიერო] კვლევა-ძიება და თქვენ რაზე მუშაობთ? კვლავ მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისათვის.

მარად თქვენი ბედნიერების მოსურნე ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1936. 25. IV.

VII

დიდად პატივცემულო ბატონო ვარლამ!

აბუ საიდის ცა[1] და ლემმის Iberica[2] მივიღე, რისთვისაც გულითად მადლობას მოგახსენებთ. კარგი იქნებოდა, თუ ლემმისავე იბერიის მოქცევის შესახები ნაშრომიც[3] მანდ ვისმე აღმოაჩნდებოდეს. ბროსეს ქ-ცის** ქართ.[ული] ტექსტი არ მჭირდება, სამაგიეროდ მის ფრანგულად გამოქვეყნებულ ნაშრომებს[4] სიხარულით შევიძენდი. ამათგან მაქვს მხოლოდ Histoire de la Géorgie, trad., I-re Partie da II-e Partie, Histoire moderne, II-e livraison. მისი პირველი წიგნი*-კი არა მაქვს, არც Additions et éclaircissements. ერთი სიტყვით, ზემოაღნიშნულსა და Voyage en Transcaucasie-ს[5] გარდა, რომლის სამივე წიგნი ჩემ წიგნთ-

---

* ცა — ცხოვრება.
** „ქართლის ცხოვრების".
* livraison.

საცავითგან შემთხვევით შემრჩა, ყველაფერს შეეიძენდი. იქნებ მისი შვილის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიაც[6] იშოვებოდეს მანდ სადმე? ეგების დორნის "Beiträge zur Geschichte der Kaucasischen Länder und Völker aus morgenländischen Quellen-იც[7] იყოს კიდევ გადარჩენილი? მინდოდა კიდევ გამეგო, ხომ არ შეგხვედრიათ ბუკინისტებთან ბერძნული დაბადება, სასურველია ინგლისური, კემბრიჯის გამოცემა The old Testament in Greek, სამ წიგნად არის,[8] და ლათინური დაბადების[9] მე-II წიგნი. ეს ტექსტები ყოველთვის მჭირდება, აქამდის უნივერსიტეტის წიგნთსაცავითგან გამოტანილით ესარგებლობდი, ეხლა-კი, წინა წერილში აღნიშნული გარემოების გამო, უნდა დავუბრუნო და ამის გამო საქმე გამიძნელდება და, თუ მანდ იშოვება, შეეიძენდი. მცხვენიან, რომ ამდენს გაწუხებთ, და დიდ ბოდიშს ვიხდი ასეთი დაუსრულებელი თხოვნით თქვენი დატვირთვის გამო.

მარად თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1936. 7. V.

VIII

დიდად პატივცემულო ბატონო ვარლამ!

ღიას-ად-დინ ალი ჲეზდის „თემურის დღიური“,[1] მელიორანსკის „არაბი ფილოლოგოსი თურქული ენის შესახებ“[2] და ადონცის „სომხეთი იუსტინიანეს ხანაში“[3] მივიღე და გულითად მადლობას მოგახსენებთ ამისთვისაცა და წერილისთვისაც. ავად ვიყავი და ორიოდე დღეა, რაც ავდექი. ეხლაც ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს და მუშაობა, წერაც მიძნელდება. როგორც მოსალოდნელიც იყო, ამ დაუსრულებელი მღელვარებისაგან (წლეულს სწორედ ათი წელიწადი შესრულდა, რაც რექტორობას თავი დავანებე[4] და ეს დაუნდობელი ბრძოლა[5] სწარმოებს) გულის ავადმყოფობის უძლიერესი შემოტევა მქონდა საშინელი თავბრუსხვევით და სისუსტით. ამჟამად-კი გადავურჩი სიკვდილს, მაგრამ თუ კიდევ გამიმეორდა, საეჭვოა, რომ მისი ატანა შევძლო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის იქმნებ უცნაური იყოს კიდევაც წიგნების შეძენაზე ზრუნვა, მაგრამ მაინც კვლავ შეგაწუხეთ და ფული 1500 გაღმოგიგზავნეთ ტელეგრაფით. თუ ჩემი საქმე ისე წავიდა, რომ მათი გამოყენება აღარ დამცალდა, ჩემ შვილს[6] გამოადგება, თუ სამეცნიერო კვლევა-ძიებას შეუდგება. მელიორანსკისა[7] და ადონცის[8] ნაშრომებზე მწერთ, რომ გაცვლის წესით შეგიძენიათ. რა უნდა გავუგზავნოთ სამაგიეროდ და, რა მისამართით. გთხოვთ ეს მაცნობოთ. ამას გარდა ბროსეს H. de la G. Histoire moderne, livr. I[9] აქ ვიშოვე, და თუ ჯერ არ შეგიძენიათ, მისი შეძენით ნუღა შესწუხდებით. დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ასე მოურიდებლად ვსარგებლობ თქვენი თავაზიანობით, და უღრმეს მადლობას მოგახსენებ.

თქვენი მარად პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი

P. S. თქვენს ძმას ბ-ნ კარპეზს ჩემი სალამი მოახსენეთ.
ივ. ჯ.

ტფილისს
1936. 29. V.

IX

დ-დ პატივცემულო ბ-ნო ვარლამ!

წიგნებისა და წერილებისათვის გულითად მადლობას მოგახსენებთ. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა ჩემი წერილი, რომელშიაც გაცნობებდით, რომ ბროსეს ნაშრომთაგან ბლომად აქაც ვიშოვე შემთხვევით და მხოლოდ Add.[1]-იღა მჭირდება. როგორც ჩანს, ან იმ წერილმა დაიგვიანა, ანდა დაიკარგა. ამგვარად H. de la Gé.[2] ეხლა ორ ცალად მაქვს, მაგრამ ამის მსურველი ბევრია. თქვენი შეკითხვის თანახმად, ტელეგრამით გაცნობეთ, რომ მელიორანსკის Араб филолог о Монг. языке[3] არ მიმიღია, თანაც ბელიაევის[4] სახელიც დავუმატე. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ წინა წერილის შემდგომ ჩემი მდგომარეობა და ჩემდამი დამოკიდებულება ძირიანად შეიცვალა,[5] რაზედაც დაწვრილებით მოგახსენებთ, როცა ტფილისში განახავთ. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, შ. რუსთაველის დღესასწაულისათვის მოსაწყობი გამოფენის[6] ზოგად ხელმძღვანელობაზე დათანხმება მომიხდა. თუმცა ექიმები მუშაობას მიკრძალავენ და იმ ავადმ[ყოფობის შემდგომ[7] ჯერაც კარგად ვერ ვგრძნობ [თავს], მაგრამ რაკი საქართველოს ყოფაცხოვრებისა და ნივთიერი კულტურის ისტორიაზე ჩემს გარდა არავინ მუშაობს, ამიტომ უნებლიეთ ამ მძიმე ტვირთის აღება მომიხდა და პასუხსაგები საქმის („ქართ. კულტურა XI-XIII სს.“) მოწყობის ხელმძღვანელობა დამაწვა. დიდხანს უარს ვეუბნებოდი, მაგრამ დათანხმება მომიხდა: სხვა გზა არ იყო. რასაკვირველია, ხელმძღვანელობის გაწევა,* რაკი ამ დარგში მომზადებული პირები არ გვყვანან, უმეტესად მე მომიხდება, და ეს გარემოება მაფიქრებს და მაღელვებს. მართალია, ბევრი რამე გამორკვეული და დაწერილი მაქვს, მაგრამ ბევრი კიდევ გამოსარკვევია და ამისთვის წიგნები მჭირდება. ამიტომ იყო, რომ ბელიაევის სახელიც შევიტანე (Обзор главных частей Больш. Дворца Визант. царей. ЗРАОБ, Новая серия, т. V, 1891[8] და Выход виз. госуд.[9]). ვგონებ ასე ეწოდებოდა. დაბეჭდილი იყო არქ. საზ. კლასიკ. განყოფილების უწყებებში, მქონდა ორივე წიგნი, მაგრამ დამეკარგა და სათაური ზედმიწევნით აღარ მახსოვს. მჭირდება აგრეთვე ნ. კონდაკოვის Памятники христ. искус. на Афоне,[10] მერე Македония,[11] Сирия[12] მისივე. ამის გარდა, აქ არ მოსულა ნ. მარრის Ани[13] და იქნებ მანდ როგორმე მიშოვოთ. დიდი მადლობელი ვიქნებოდი, თუ მოიკითხავთ Ленц-ის Восточное оружие-ს,[14] რომელიც დიდი ხანია აღარ იშოვება. ეგების მანდ რამე ახალი გამოვიდა მაგ დარგში? – დაიწყეს ჩემი „ქართ. და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის“[15] აწყობა. მჭირდება Браун-ის „Раз. в области гото-слав. отн.“[16] და ლატიშევიც[17]. მრცხვენიან, რომ ამდენს გაწუხებთ, თანაც ვშიშობ, რომ უკვე დაგვიანებული იქმნება, რათგან თქვენ შესაძლებელია გამომგზავრებული იყოთ, ანდა წამოსასვლელად ემზადებოდეთ, და მე კიდევ ჩემი დავალებით მოსვენებას არ გაძლევდეთ. ამ უკანასკნელი გარემოების გამოვეა, რომ ფულის გამოგზავნა ვერ გამიბედნია, ვაი თუ მანდ აღარ იყოთ. – თქვენი სამუშაო გეგმის შეცვლაზე მწერდით, რომ ისტორიათა და აზმათა[18] რუს.[ულად] გადათარგმნა გაფიქრებთ ტექსტის სავალალო მდგომარეობის გამო. მართლაც, ძალზეა დამახინჯებული! მის აღდგენაზე ვმუშაობდი და ბევრი რამე უკვე გაკეთებული მაქვს, მაგრამ მოუცლელობის გამო მუშაობის შეწყვეტა მომიხდა. სამაგიეროდ ბასილი ეზოსმოძღვრის თამარის ისტორიის გამოცემას ვაპირებ[19] პირველად, როგორც ჯერ გამოუქვეყნებელს, შემოდგომას, იქნებ ეს ძეგლი აგერ-

* დედანში ამ სიტყვის ადგილზე იკითხება: „მაგიერ“!

ჩიათ გადასათარგმნელად?[20] კარგათ და მშვენიერი ენით არის დაწერილი და იმავე ხანას ეხება. საფიქრებელია, რომ მანდაც ამის წინააღმდეგ არა ექმნებათ რა. აბა ეხლა კი ჯერ არს ნავთსაყუდელსა დუმილისასა მისლვად. ბოდიშს ვიხდი დაუსრულებელი შეწუხებისათვის და თქვენცა და ბ-ნ კარპეზსაც მხურვალე სალამს მოგახსენებთ.

თქვენგან უაღრესად დავალებული ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1936. 26. IX.
კალინინის ქ. №66

X

დიდად პატივცემულო ბატონო ვარლამ!

ავადმყოფობამ კვლავ მომიკითხა: სხვილ ნაწლავში წყლული გამეხსნა და სისხლის მდინარება მქონდა. დასუსტებული ვარ და ყოველ დღე ტკივილი მაქვს. საქმე-კი აუარებელია და დასვენება ვერ მომიხერხებია. გასაკვირველიც არაფერია, რომ თავს ცუდად ვგრძნობდე. შ. რუსთაველის გამოფენის[1] მოწყობა მძიმე ტვირთად მაწევს ისედაც უაღრესად დატვირთულს. ამის გამო თქვენი შეწუხებაც მიხდება ამ პირველსავე წერილში: მუზეუმისათვის საბიბლიოთეკო ქარტაკები გეჭირდება ტერმინების წყაროებითგან ამოსაწერად. აქ სტანდარტული სიდიდის ოდნავ გამოსადეგ 300 ცალზე მეტი ვერსად ვიშოვეთ, მანდ-კი ასპ. შ. ხიდაშელის[2] სიტყვით, ბლომად მოიპოვება მაღაზიებში. დიდ ბოდიშს-კი ვიხდი შეწუხებისათვის და გთხოვთ მაცნობოთ, ეხლაც იშოვება, თუ არა, და ათასი ცალი რა ღირს. ძალიან სასწრაფოდ გვჭირდება, რათგან ამის გამო მუშაობა ფერხდება. ჯერ-ჯერობით 40.000 ცალი უნდა შევიძინოთ. ამ წერილს საჰაერო ფოსტით გიგზავნით და გთხოვთ ამავე გზით მიპასუხოთ. უმალ ტელეგრაფით ფულს გაახლებთ და გთხოვთ ეს ამანათი საჰაერო ფოსტითვე გამომიგზავნოთ. მაღაზიამ ანგარიში დასწეროს Музею имени Ш. Руставели. ამანათზეც ასე დააწერეთ. საქ. მუზ.[ეუმის] შენობაშია მოთავსებული. კვლავ ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.

თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი

1936. 19. X.
ტფილისს,
კალინინის, 66.

XI

დიდად პატივცემულო ბ-ნო ვარლამ!

მივიღე ორივე თქვენი წერილი და მუზეუმში ამანათიც მოგვივიდა. ორივესთვის გულითად მადლობას მოგახსენებთ. მერიდება მხოლოდ, რომ ამდენი შეწუხება მიხდება თქვენი. ქართაკები საუცხოოა. სამწუხაროდ, საქმეთა მმართველს დავიწყებია ამანათის გადმოგზავნისათვისაც ხარჯის აუცილებლობა და თქვენ საკუთარი ფული დაგიდეიათ. ამისთვის დიდ ბოდიშს ვიხდი და გთხოვთ, რომ იმ ათი თუმნითგან, რომელიც პირადად გამო-

გიგზავნეთ ტელეგრამით, მთელი დანახარჯი აინაზღაუროთ. რაც დარჩება, გთხოვთ იგი ჩემთვის წიგნების შესაძენად გამოიყენოთ (ეს თანხა მთლიანად ჩემი საკუთარია). თქვენ უკვე გიშოვიათ ჩემთვის ბელიაევის წიგნი,[1] რამაც დიდად გამახარა. ამ დღეებში კიდევ გადმოგიგზავნით ფულსაც და წიგნებსაც გასაცვლელად.[2] დიდი ხანია ეს წიგნები გადადებული მაქვს, მაგრამ აუარებელი საქმეების გამო გამოგზავნა ვერ მოვახერხებდი. მუზეუმისა და გამოფენის მოწყობაზე, არქ[ეოლოგიურ] კვლევა-ძიებაზე მზრუნველობა[3] უმძიმეს ტვირთად დამაწვა ისედაც უაღრესად დატვირთულსა და დაქანცულს. ყველაზე მეტად ამ ჟამად კონდაკოვის Иконография Спаса[4] და ლენცის აღმ. იარაღის[5] შესახებ მონოგრაფიები მჭირდება. თუ უკანასკნელს ველარსად იშოვის ადამიანი, იქნებ მანდ ახალი საფუძვლიანი წიგნი იყოს იარაღის ისტორიის შესახებ გამოსული. დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ლატიშევის SC-ს[6] და ბერეზინის რაშიდ-ედ-დინის წიგნსაც[7] მიშოვით. მოიპოვება, თუ არა მანდ Мат. по Арх[еологии] Кавказа-ს ის წიგნი, რომელიც სვანეთს ეხება.[8]

შემდეგს წერილში, როდესაც წიგნებსაცა და ფულსაც გაახლებთ, გაცნობებთ, რა უფრო მჭირდება.

პროფ. ვ. ბენეშევიჩს[9] ჩემ მაგიერ მოკითხვა მოახსენეთ და სთხოვეთ, რომ მაცნობოს, რა მოცულობისა გამოვა გამოსაცემი წიგნი[10] და რა პირობით მოისურვებს მის გამოცემას. ამას გარდა, გონიაშვილის ქალმა[11] სიტყვიერად მიამბო, რომ ბენეშევიჩს ჰსურდა დიდი შჯულის კანონის საერო ნაწილის[12] ტექსტის გამოცემა, თუ რომ მის ძველი ქართ[ული] თარგმანის[13] გამოცემას მე ვიკისრებდი. ეს ძალიან კარგი საქმე იქმნებოდა, მაგრამ მე პირადად ისე ვარ დატვირთული და თანაც ჩემი ჯანმრთელობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მე მაგაზე ფიქრიც არ შემიძლია. ეგების თქვენ გეკისრათ ეს საქმე. დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ მაგ ძეგლის გამოცემას ვღირსებოდით. ამის შესახებ ჰკითხეთ და დაწვრილებით მაცნობეთ. ცნობების მიღებისთანავე გამოვარკვევ ყველაფერს და შეგატყობინებთ. თქვენს გეგმას „კალმასობისას“[14] ვიზიარებ და, რაც უფრო მალე განახორციელებთ, მით უფრო უკეთესი იქმნება. ჩემი „ქ˚“ ერის ისტორიის შესავალის“[15] ბეჭდვა ჯერ-ჯერობით ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს. დაჩქარებას მპირდებიან, მაგრამ აქამდის 6 თაბახზე მეტი არა აქვთ აწყობილი. საქმეს დამატებითი ნიშნების შრიფტი აფერხებს, რომლის შეძენა ვერ მოუხერხებიათ. — დმანისი[16] ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, მაგრამ ამაზე შემდეგში, როდესაც იქიდან დავბრუნდები (24-ს მივდივარ კვლავ დასათვალიერებლად). კვლავ მადლობას მოგახსენებთ.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1936. 14. XI.

XII

ძვირფასო ბ˜ნო ვარლამ!

გულითად მადლობას მოგახსენებთ ლატიშევის შჩ-ს მე-II წიგნის ორი ნაკვეთისათვის.[1] თქვენ მეკითხებით, ნ. მარრის Крещение[2] მიღებული მაქვს თქვენგან, თუ არა? გაზაფხულზე მივიღე. კონდაკოვის „მაცხოვრის ხატის“[3] სრული ცალი თუ აღმოჩნდება, დიდი მადლობელი ვიქნები. ეს წიგნი უმთავრესად იქ თავმოყრილი სურათებით არის

˚ ქ˚ — ქართველი.

ამჟამად ჩემთვის მნიშვნელოვანი, რათგან რეალიების (ავეჯის და სხვ.) შესასწავლად მჭირდება. ამიტომ ყოველი სურათის დანაკლისი სამწუხაროა. თქვენგან მიღებულ ბელიაევის Ежеднев. приемы[4]-ს გარდა, ძალიან მჭირდება ამავე ავტორის Byzantina,[5] რომელშიც მოთავსებულია "Обзор главных частей Большого Дворца" საქართველოს მეფეთა დარბაზის გეგმის აღსადგენად შედარებითი მიზნით მესაჭიროება. მჭონდა ყველა ეს წიგნები, მაგრამ მთელ წიგნსაცავთან ერთად დამეკარგა. იქნება იშოვებოდეს ეგების მანდ Материалы по археологии Кавказа-ს ის წიგნიც იყოს, რომელიც უვაროვის ცოლის სვანეთისადმი მიძღვნილია?[6] ხომ არაფერი გამოსულა მანდ, რუსეთში, ტანისამოსისა, ავეჯისა და იარაღის ისტორიის შესახებ, რომ შეძენა ღირდეს? შ. რუსთაველის გამოფენისათვის მრავალი საკითხებია გამოსარკვევი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთვის აუცილებლად საჭირო წიგნები არა გვაქვს. სამზღვარგარეთითგან გამოვიწერე ზოგი რამე, მაგრამ ჯერ არაფერი მიმიღია და არც ისმის რამე. აუარებელი საქმე და საზრუნავი დამაწვა, დროც მეტად ცოტაა და მომზადებული ამ დარგში ხალხი არ მოგვეპოვება, ამიტომ თითქმის ყველაფრის გამორკვევა მევე მიხდება. ასეთ პირობებში სრულებით შეუძლებელია, რომ გამოსარკვევი საკითხები შესაფერისი საფუძვლიანობით იყოს შესწავლილი. მე-კი აჩქარებული, ზერელე მუშაობა არ შემიძლიან და ამიტომ, რომ საქმე ცოტად მაინც პირნათლად გაკეთდეს, დღედაღამ მუშაობა მიხდება. ამიტომვე, ჩემდა სამწუხაროდ, თქვენი დატვირთვაც მიხდება სხვადასხვა თხოვნა-დავალებით, ამ დღეებში წიგნებსაც გადმოგიგზავნით და ფულსაც გაახლებთ. კვლავ დიდ ბოდიშს ვიხდი დაუსრულებელი შეწუხებისათვის.

მარად თქვენი მოსიყვარულე და ბედნიერების მონატრული ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1937. 4. I.

XIII

ძვირფასო ბ~ნო ვარლამ!

თქვენი გამოგზავნილი წიგნისათვის მით უფრო მხურვალე მადლობას მოგახსენებთ, რომ იქ სწორედ ის ცნობები ვიპოვე, რომელსაც ვეძებდი. მე ძალიან დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, რომ აქამდის გასაცვლელი წიგნები ვერ გაახელით. დიდი ხანია გადავაწყე, მაგრამ მათი გამოგზავნისათვის ვერ მოვიცალე. ამ დღეებში მოვახერხებ. გთხოვთ ნ. მარრის Избр. работы-ს მე-III და V წიგნები[1] და ი. მეშჩანინოვის Халд. язык[2] (ეგონებ ასე ეწოდება) შეიძინოთ ჩემთვის. ბ~ნო ვარლამ, მანდ ყოფნის დროს სააზიო მუზეუმში[3] რომ ბროსსესაგან დარჩენილ მასალებზე[4] ვმუშაობდი, ხელთნაწერი კატალოგის მიხედვით ვიპოვე მცხეთის სვეტიცხოველის ტაძრის ფერადებით გადმოღებული ისტორიული პირების კედლის მხატვრობის გარდმონახატები. თუ არ ვცდები, ბროსსეს დავალებით პლატ. იოსელიანმა[5] ერთ იტალიელ მხატვარს[6] გადმოაღებინა ეს პირები. ამ გარდმონახატთა შორის ზოგიერთი უკვე აღარ არსებობს. მართალია, გადარჩენილთა ამ იტალიელი მხატვრის ნამუშევართან შედარებამ დამარწმუნა, რომ მას სახეების ხატვა არ სცოდნია და მისი გარდმონახატები დედანს არ მიაგავს, მაგრამ ამ მხრივ რაღა ეშველება, მე ეს პირები ქართული ტანისამოსის, თავსაბურავისა და ფეხსაცმელის ისტორიისათვის მჭირდება.[7] ამ მხრივ ის სანდოა. ამ ჟამად მაინტერესებს ერთი გარდმონახატი, რომელზედაც მეფე გიორგი და ძე მისი ბაგრატია კათალიკოზთან ერთად[8] გამოყვანილი. ამ პირის ფოტოგრაფიული გარდმო-

ნაღები ხელთა მაქვს, მაგრამ ფერადები არც ჩაწერილი მქონია და არც მაგონდება (30 წლის წინათ მაქვს ნანახი[9]). მინდა შ. რუსთაველის მუზეუმისათვის მაგისი პირი ფერადებითვე სანდო მხატვარს გადმოვაღებინო. დიდ ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის და გთხოვთ ეს სურათი მონახოთ (ქვევით ქართ. წარწერაც აქვს და ბროსსეს ხელით ფრანგულიც იმავე შინაარსისა). და მაცნობოთ, შეძლებისამებრ მალე, თუ რა დაჯდებოდა მისი გადმოხატვა, რომ უმალ ფული გადმომეგზავნა. გამოფენისათვისაც მინდა გამოვიყენო და აქ იმ ზომამდე გავადიდებინებ, რა ზომისაც დანარჩენი კედლის მხატვრობაა.[10] კვლავ ბოდიშს ვიხდი ამდენი დაუსრულებელი შეწუხებისათვის.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1937. 8. II.

XIV

ძვირფასო ბ˘ნო ვარლამ!

უგულითადეს მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისა და იმ სამი წიგნისათვის, რომელშიც ასეთი ძნელი საშოვნელი ლატიშევის ნაწარმოები[1] აღმოჩნდა. რაკი ეს მომიხერხეთ, ეხლა უნივერსიტეტის წიგნსაცავს შემიძლიან ეს ყველა ჩვენთაგანისათვის (მეტადრე ჩემთვის, მთელი წიგნსაცავის დაკარგვის გამო) საჭირო წიგნი დავუბრუნო. ბედმა ბევრი უსიამოვნება მარგუნა მეტადრე უკანასკნელ ათეულში[2] და ერთადერთი ნუგეში ჩემთვის სამეცნიერო კვლევა-ძიება იყო, ყოველთვის ასეთ შემთხვევებში თანდათანობით მღელვარება მიმშვიდდებოდა და მოყენებული უსამართლობის სიმწარეს მავიწყებდა ხოლმე. ეხლაც მუშაობა არ შემიწყვეტია, იმისდა მიუხედავად, რომ ასეთის საზიზღარი შეურაცხყოფა[3] ჩემი მოღვაწეობისათვის ჯერ არავის მოუყენებია. სწორედ ეხლა იბეჭდება ჩემი „ქ˘ერის ისტორიის შესავალი“-ს მეორე წიგნი,[4] რომელზედაც 12 წელიწადზე მეტია რომ გამოქვეყნებაზე ვოცნებობდი. 6 თაბახი უკვე დაბეჭდილია და 14 თაბახი კიდევ იკვრება და ამ ორ დღეში მივიღებ. კიდევ ათი თაბახია ასაწყობი. იქნებ როგორმე ამ ორ თვეში, აპრილის განმავლობაში მაინც დამთავრდეს მისი ბეჭდვა, და მაშინ გაახლებთ ამ ნაშრომს. ბევრი ძირითადი საკითხია აქ განხილული და ქ˘ერ ენისაცა და კავკ.[ასიის] ენების თავდაპირველ აგებულების გამორკვევის ცდაცაა. თუ ჩემი მოსაზრებანი და დებულებები მეცნიერებამ შეუმცდარად სცნო, მაშინ სრულებით უნდა შეიცვალოს მრავალი დებულება და ჩვენი უძველესი კულტურის ისტორიის გამოსარკვევადაც და აღსადგენად მტკიცე და სანდო ნიადაგი გაგვიჩნდება. აქაური ჩვენი ენათმეცნიერები ამ დებულებათა სისწორეს იზიარებენ,[5] ვნახოთ, როგორი მსჯავრი დაედება ამ ჩემს მრავალწლოვანს ნაფიქრსა და ნაშრომს, რომელიც ყველა ჩემ გამოკვლევათაგან ყველაზე უფრო პასუხსაგებად მიმაჩნია. თუ ჩემი იმედი გამართლდა, მაშინ ამას მოჰყვება პირველი და მესამე წიგნები.[6] პირველში საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემებია განხილული, მესამეში უძველესი კულტურის აღდგენის ცდაა ლინგვისტიკური და არქეოლოგიური ანალიზის გზით. ასეთი რთული და პასუხსაგები ამოცანების გა-

˘ უჭარაგმოდ: ქართველი, ქართული.

დაჭრისათვის დამშვიდებული მუშაობაა საჭირო, მაგრამ [illegible] ვიხდი ამ აშლილად* დაწერილი წერილისათვის.

თქვენი მარად ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1937. 7. III.

XV

ძვირფასო ბ[ატონო] ვარლამ!

ყველა თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები, წერილები და ტელეგრამები მივიღე და ყველა ამისთვის გულითად მადლობას მოგახსენებთ. მემჩანინოვის Хаджоведение-ს ნუ გამომიგზავნით. მაქვს. დიდი ხანია მჭირდება მხოლოდ მისი უკანასკნელი დიდტანიანი ნაშრომი,[2] რომელშიც ფრიდრიხსა[3] და წერეთელს[4] ეკამათება,[5] მაგრამ მაინც იძულებულია აღიაროს, რომ მათი გამოკვლევების შემდგომ მას თავისი წინანდელი დებულებების შეცვლა უხდება.[6] ეს წიგნი აქ ვერ ვიშოვე. – გენკოს წერილი[7] და ჩემს შესახებ ნახმარი გამონათქვამები, მრისხანე შეფასებაც წავიკითხე. მას შემდგომ, რაც** ჩემ მოღვაწეობაზე მოსმენილი თუ არა, გაგონილი და წაკითხული მაინც მაქვს იმ დაწესებულებაში მყოფ პირთაგან, რომელსაც მთელი ჩემი სუსტი ძალღონე და ჯანმრთელობა შევალიე, რალა უნდა გამიკვირდეს იმ გადამთიელისაგან, რომელსაც ჩემისთანა ადამიანის სულისკვეთების გაგებაც-კი არ შეუძლიან, რომლისთვისაც, რუსულის გარდა, სხვა ეროვნული კულტურისა და მეცნიერებისათვის ზრუნვა საძულველია. იმას მაინც ვერავინ დამწამებს და მისაყვედურებს, რომ მედიდურობის სენით შეპყრობილი ვარ! მაგ ბრძენს ის მაინც ეთქვა, თუ რაში განსჭვრიტა ივ. ჯავახიშვილის, „ქართველთა ისტორიკოსის" წყაროთმცოდნეობის საანბანო უვიცობა,[8] რომ ამ საბრალოს ეხლა მაინც ესწავლა ასეთი მცოდნე და უამრავ ნაშრომებით დატვირთული მეცნიერისაგან, როგორიც გენკო ბრძანებულა. თუ მრისხანება იმით ახსნება, რომ კრაჩკოვსკის[9] მისი კავკასიისმცოდნეობის წარმომადგენელ აკადემიკოსად გაყვანა სურს[10] და მას, თუ მათ, ივ. ჯავახიშვილის მეტოქეობა აფიქრებს, ორივენი სრულებით დამშვიდებული ბრძანდებოდნენ: აკადემიკოსობაზე მე არც მიფიქრია და არც მსურვებია: ჩემ სამშობლოთგან სხვაგან გადასახლება[11] ჩემი მოღვაწეობის არც გეზსა და არც გეგმას არ შეეფერება. არამცთუ აკადემიკოსობა, პროფესორობის მაძიებელიც-კი არ ვყოფილვარ არას დროს: ნ. მარრს[12] რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: გადმოთარგმნეთ ერთ-ერთი თქვენი ქართული გამოკვლევა და სადოქტორო დისერტაციად წარმოადგინეთ, რომ ეს ფორმალობა თავითგან მოიშოროთ. მაგრამ რაკი ეს ჩემთვის ზედმეტი დროს დაკარგვას უდრიდა, სამაგისტრო დისერტაციის შემდგომ[13] სადოქტორო დისერტაცია არ წარმიდგენია და არას დროს პირადად მე არამცთუ პროფესორის, არამედ პრივატ-დოცენტის წოდებულებითაც[14] არ მისარგებლია! ჩემს ნაშრომებს არაერთი ნაკლი აქვს, ეს მე თითონ სხვებზე უკეთესად ვიცი. მაგრამ მე ისეთ პირობებში მარგუნა ბედმა მოღვაწეობის დაწყება, როდესაც საქ. ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი არ არსებობდა, მ. პროსეს, დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, ექ. თაყაიშვილისა და მ. ჯანაშვილის თითო-ოროლა ნაშრომს გარდა, საქ. ისტო-

* წერილის ბოლო გადატანილია კიდეებზე.
** რაც-რა სიტყვებიც (შეფასებები).

რიაში თითქმის არაფერი იყო,[15] და ყველაფერი უნდა ერთს ადამიანს და შეძლებისამებრ მალე გაეკეთებინა. გზის გაკაფვა ადვილი საქმე არ არის და თვით გამკაფველისათვის უმადურს სამუშაოს წარმოადგენს. ასეთ გარემოებაში, რაც არ უნდა ვცდილიყავ, ჩემი გაკეთებული უნებლიეთ ჰავხელად[16] დაწერილის მსგავსი უნდა გამოსულიყო, მაგრამ თუ ვისმე ჩემზე უკეთესად შეეძლო მთელი ეს სამუშაო აესრულებინა, რატომ არ გააკეთა, მე ხომ არავისთვის დამიშლია?! განა ჩემთვის-კი უკეთესი არ იყო, რომ მე დამშვიდებული, აუჩქარებელი კვლევა-ძიების საშუალება მქონოდა. მაგრამ ჩემდა საუბედუროდ შრომისა და მძიმე ტვირთის გაინაწილებელი არავინ მყოლია და მოუცლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისათვისაც-კი დრო არ მქონია, და ეხლაც-კი მაინც არავინ მოსვენებას არ მაძლევს და ყველას მე უნდა დაუსახელო წყაროებიც და ცნობებიც მზამზარეულად გადმოვულაგო!.. წინა თქვენს წერილში ნათქვამი იყო, რომ გენკოს საპასუხო წერილი იწერებაო. მე გთხოვთ ამას თავი დაანებოთ, თუ თქვენა სწერთ, და თუ სხვა ვინმე სწერს ქართველი, ჩემ მაგიერ გადაეცით, რომ თავი დაანებოს. რაც არ უნდა დაიწეროს, მაინც იტყვიან: ქართველი ქართველს გამოექომაგაო. თქვენც შესაძლებელია ამან საქმე გაგიფუჭოთ. იმაზე მეტი ეელარაფერი გადამხდება, რაც მინახავს, და ოდესმე სიმართლე მაინც გაიმარჯვებს. გენკოსთანა კალმოსნის კლანჭსაც ავიტან.[17] ამას რომ გწერთ გული მწუხარებით სამსე მაქვს პირადი უსიამოვნების გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ხელითგან გვეცლება ისეთი პატიოსანი მუშაკი, როგორც მიხეილ შევარდნაძეა.[18] ტრამვაის ფეხის თითები მოსწყვიტა, ამას სისხლის მოწამლვა მოჰყვა, ამ სამი დღის წინათ მუხლის ზევით მოსჭრეს უკვე ფეხი, მაგრამ ვერც ამან უშველა და უკიდურეს განსაცდელშია. ვწუხვარ, რომ ამ წერილში ამდენი უსიამოვნო რამის მოწერა მომიხდა. ბრძანდებოდეთ ბედნიერად და ჯანმრთელად.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1937. 27. III.

XVI

ძვირფასო ბ˘ნო ვარლამ!

ამ წერილს ვატან ჩემს დისწულს ხუროთმოძღვარს ლეო რჩეულიშვილს,[1] გ. ჩუბინაშვილის[2] ასისტენტს „მეტეხის“ მუზეუმის[3] ხუროთმოძღვრების განყოფილებაში. მანდ ამ დარგის სპეციალისტებისათვის ორთვიანი კურსები ყოფილა,[4] და ამ მიზნით იგზავნება აქეთგან. თქვენი დავალებით გადმოხატულს ველი მოუთმენლად.[5] რაკი ორბელმა[6] გირჩიათ, კარგი იქნება, ის მკაცრი მსაჯულია. უკვე აპრილი დგება და ჯერ ბევრი რამე მაქვს დასამზადებელი გამოფენისათვის,[7] მაგრამ არაერთი საინტერესო ექსპონატი მაინც უკვე დამზადებულია. აუარებელი საქმე და სამუშაო დამაწვა და უკიდურესად დაქანცული ვარ, მაგრამ მერმე უფრო მეტი ჭაპანწყვეტა მოგვიხდება და არ ვიცი, როგორ ავიტან ასეთ ტვირთს. უკანასკნელმა თქვენმა წერილმა[8] გენკოს გამოლაშქრების გულისნადებს მიმახვედრა. ორბელის განზრახვის[9] შესახებ ვიღაცის მოწერილის ცნობით, ყურმოკრული ამბავის მსგავსად მოაღწია ჩემამდე, მაგრამ დანამდვილებით არაფერი ვიცოდი. სწორე მოგახსენოთ დ. კანდელაკის დროს[10] შემომთავაზეს წარგადგენთო, მაგრამ მისგან მოგზავნილის პირით მადლობა შევუთვალე, მაგრამ ჯანმრთელობის გამოცა და სხვა მოსაზრებითაც თავითგან

ავირიდე. მას შემდგომ მომდევნო წლებში[11] ჩემდამი დამოკიდებულება ისე შეიცვალა, რომ მით უმეტეს ასეთი შესაძლებლობა ჩემთვის წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო. მართალია, ამ უკანასკნელ წლებში[12] ჩემდამი დამოკიდებულება საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ორაგველიძის საქციელი[13] მაინც დამახასიათებელია: მტრულად განწყობილნი მაინც არ გამოლეულან, გენკოს საქციელიცა[14] და მის მფარველთა განზრახვაც მაფიქრებინებს, რომ მანდაც ზოგიერთ აკადემიკოსთა მხრივაც ჩემდამი მაინცდამაინც კეთილმოსურნეობით გაშსჭვალული დამოკიდებულება არ უნდა იყოს. ასეთ პირობებში კანდიდატურის წამოყენება სახიფათო იყო და ადვილად შესაძლებელია მარცხითაც დამთავრდეს, რაც ორაგველიძის მსგავსად განწყობილი პირებისათვის ფრიად სასიამოვნო იქმნებოდა მით უმეტეს, რომ ვერავის დაავჯერებთ, რომ აკადემიკოსობის პრეტენზიები არ გქონია და წარდგენის შესახებაც არა გცოდნია რა. — მაგრამ ამაზე საუბრით აღარ შეგაწუხებთ. — ჩემი წიგნის[15] აწყობა წინ არ წაწეულა. მე-18 თაბახს არ გასცილებია. მე-7 თაბახი დაიბეჭდა ამ დღეებში ისე, რომ მაისის დამლევისათვის თუ გამოვიდა, კარგი იქმნება. აუარებელი სამუშაო მაქვს და უაღრესად დაქანცული ვარ. ეხლა-კი შეწყვეტის დროცა არის. ველი სურათს.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1937. 26. IV.

XVII

ძვირფასო ბ~ნო ვარლამ!

უკიდურესი მოუცლელობის გამო წერილი შემომიგვიანდა, რასაც იმედია მაპატიებთ. დიდ მადლობას მოგახსენებთ როგორც წიგნისა და ისევე სვეტიცხოვლის კედლის მხატვრობის პირის გადმოღებინებაზე[1] მზრუნველობისათვის. მისი ღირებულების ფული გაახელით ტელეგრამით და გთხოვთ მხატვარს[2] შ. რუსთაველის მუზეუმის სახელობაზე შედგენილი ანგარიში გამოართვათ და გადმოგვიგზავნოთ კონტროლში წარსადგენად. როდესაც ამ პირს მივიღებ და ნამუშევარს ვნახამ, კიდევ სხვა პირების შეკვეთა მაქვს განზრახული და მაშინ ისევე თქვენი შეწუხება მოგვიხდება. დიდძალი სასწრაფო სამუშაო გვაქვს. მართალია, დღესასწაულები[3] დეკემბრისათვის არის გადადებული, მაგრამ მზადება $1\frac{1}{2}$ წ. მოგვიანებით დაიწყეს და მრავალგვარი დაბრკოლების გამოც ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, რომ ოდნავად მაინც საყურადღებო გამოფენის მოწყობა მოხერხდეს. ხელოვნების დარგში და ნივთიერი კულტურის ისტორიაში მომზადებული და ფართოდ განათლებული მუშაკების ჩვენში მეტისმეტი სიმცირე ძალიან მიძნელებს საქმეს და ამიტომაც მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა და ყოველ თანამშრომელთან საუბარი, თვალყურის დევნება და შემოწმება საშინელ ტვირთად მაწევს. საშინლად ვარ დაღლილი და არ ვიცი, როგორ აიტანს ჩემი სხეული ასეთ დაძაბულს მუშაობას. ამავე დროს ჩემი ნაშრომიც იბეჭდება „ქართული და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის“ შესახებ.[4] ესეც საკმარისია ადამიანის მოსაქანცავად, და კიდევ ასეთი პასუხსაგები გამოფენის მოწყობა! 18 თაბახი უკვე მთლიანად აწყობილია, 7 თაბახი აქეთგან უკვე დაიბეჭდა, და მინდა მაისის დამლევისათვის როგორმე ამ წიგნის აწყობა დავამთავრებინო. არ ვიცი, მოხერხდება, თუ არა. ამ სამუშაოსაგან რომ განვთავისუფლდები, მაშინ ცოტა მაინც შემომსუბუქდება საქმე

და თამარის ისტორიკოსის ბეჭდვას შევუდგები[5] და კორექტურულ ფურცლებსვე გამოგიგზავნით ხოლმე.[6]

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1937. 8. V.

XVIII

ძვირფასო ბ˘ნო ვარლამ!

სვეტიცხოვლის კედლის მხატვრობის პირი[1] თქვენი ნაშრომითურთ მივიღე. ორივესთვის გულითად მადლობას მოგახსენებთ. ამ პირის ფოტოგრაფიული სურათიც მაქვს და მანდ დაცული დედანიც კარგად მახსოვს; ნამუშევრით კმაყოფილი ვარ და ამ დღეებში კიდევ მომიხდება თქვენი შეწუხება: მინდა ერთი პირი საჯარო წიგნსაცავში[2] დაცული ე. წ. ბერძნულ-ქართული მინიატურიანი ხელთნაწერითგან (განზრახ გადატანილია ბიზანტ. განყოფ.[3]) გადმოვაღებინო, დანარჩენი-კი ისევ ბროსსეს ქაღალდებში[4] დაცულითგან. მხოლოდ გთხოვთ, მაგ მხატვარ ქალს[5] რუსთაველის მუზეუმის სახელობაზე დაწერილი ანგარიში გამოართვით და გადმოგვიგზავნეთ კონტროლში წარსადგენად. მეცნ. აკადემიის საწყობის წიგნების სიისათვის დიდად გმადლობთ, მხოლოდ არ ვიცი, როგორ მოვიქცე, აქაური ფილიალის[6] კომისიონერი ვიღაც სულიევი მოვიდა და მაგისთანა და სხვა ნაბეჭდი კატალოგები მომიტანა და ჩემთვის საჭირო წიგნების სია შემადგენინა ფასდადებით გადმოსაგზავნად. მას შემდგომ ის აღარ მინახავს, აკადემიის გამომცემლობითგან-კი ორი წიგნი მომივიდა, რომელთაგან ერთი ჩემთვის სრულებით გამოუდეგარია, რაც გამოვიწერე-კი, ის არ მომსელია. არ ვიცი ეხლა, მომივა კიდევ ის წიგნები და ვუცადო, თუ ასე არეულია საქმე: ვაითუ ორ-ორი ცალი მომივიდეს! თქვენ მწერთ, რომ კონდაკოვისა და ტოლსტოის Рус. др.[7] ყველა წიგნებს შოულობთ, მაგას არა ემჯობინება რა. ბერძნული დაბადების[8] ვეღარაფერი ხერხდება? ჩემი წიგნის[9] ბეჭდვას ვგონებ ეხლა-კი უნდა ეშველოს რამე და ეგების ამ სემესტრის დამლევისათვის მაინც მის დამთავრებას ვეღირსო. ეხლა კი უნდა გულითადი სალამი მოგიძღვნათ

მარად თქვენმა მოსიყვარულემ ივ. ჯავახიშვილმა.

ტფილისს
1937. 2. VI.

XIX

ძვირფასო ბ˘ნო ვარლამ!

მოუცლელობამ ისე გამიჭირა საქმე, რომ აღარ ვიცი [რა] ვუყო. აქაც ხომ აუარებელი სამუშაოა, მოსკოვითგან, ხარკოვითგან, ერევნითგან, ბაქოთგან, ვისაც-კი შოთას დღესასწაულებთან ან რამე კავშირი აქვთ, ან რამე მოუვათ ფიქრათ, ჩემთან მოდიან და წერილობით მეკითხებიან. წერილების საგაზეთოდ და საპასუხოდ წერა, საუბარი და მსჯელობა საშუალებას აღარ მაძლევს პირად ჩემს საქმეებზე ვიზრუნო. გუშინწინ მოვიხადე ილ. ჭავჭავაძის ხსოვნის წინაშე ვალი და აქაური ფილიალის სხდომაზე[1] წაეიკითხე მოხ-

სენება „ილ. ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, რომელზედაც ამ უკანასკნელ დროს ვმუშაობდი, რომელში აღნიშნული მაქვს ის დიდი ღვაწლი, მას რომ ამ დარგში მიუძღვის. ეს მოხსენება მალე დაიბეჭდება.[2] – ბ˜ნო ვარლამ! გულითად მადლობას მოგახსენებთ წიგნების გადმოგზავნისათვის, ამათგან მხოლოდ იურისა და კარპეზის ნაშრომები[3] მჭონდა უკვე. X. Вост.[4] და Я. и М.,[5] ისევე როგორც ან. შირაკელის[6] მიღებამ ძალიან გამახარა. – ეხლა კიდევ უნდა შეგაწუხოთ თხოვნით: 1. გთხოვთ მეცნ. აკადემიაში დაცული პორფირი უსპენსკის ქაღალდებში[7] альбом XXIV, л. 4, 5 მოითხოვოთ და იქითგან ფოტოგრაფიულად გადმოაღებინოთ დავით აღმაშენებლის სურათის კალკით გაკეთებული პირი (იხ. ამაზე ბენეშევიჩის წერილი X. В., I, I вып. გვ. 62[8]). 2. საჯარო სამკითხველოში, ხელნაწ. განყოფილებაში, ბიზანტ. სექტორში[9] განზრახ გადატანილია „ბიზანტ.–ქართულ“ ხელნ.[აწერად] წოდებული ნასურათები მინიატურებით სავსე კრებული,[10] რომელშიც სხვათა შორის მოიპოვება მხვნელის სურათი[11] და ეგონებ ეფთვმესი და გ˜ი მთაწმიდელების სურათები.[12] ამჟამად ამ მხვნელისა და სახვნელის მინიატურის ფერადი პირი მჭირდება. გთხოვთ გამოარკვიოთ, რა დაჯდება ორივე, და მაცნობოთ, რომ ფული ტელეგრაფით გადმოგიგზავნოთ. ჩვენი მუზეუმისათვის ბევრი სამუშაო დაგაწვათ თავს და დროსაც გაკარგვინებთ, მაგრამ აქ რომ ჩამობრძანდებით, აუცილებელი ფორმალური მხარის მოგვარებისთანავე, ამისთვის კუთვნილს გასამრჯელოს გადაიხდის მუზეუმი. ეხლა პირადად ჩემთვის შესაძენი წიგნებისათვის ტელეგრამით 200 მან. გაახლებთ და გთხოვთ, თუ ეს საკმარისი არ იქნება, მაცნობოთ, და დაუყოვნებლივ, რამდენიც საჭირო იქნება, გადმოგიგზავნით. თქვენ კონდაკოვისა და ტოლსტოის წიგნებზე[13] და ბერძ. დაბადებაზე მწერდით, კარგი იქმნებოდა, თუ ეს მოხერხდებოდა. კიდევ მინდა Кубе-ს История фаянса и История фарфора-ც[14] მჭონდა. ორბელისა და ტრევერის Сас. Металл[15] აქ ვიშოვნე და შევიძინე. სობოლევის История украш. тканей[16] ავრეთვე შეძენილი მაქვს. თუ ლენცის Вост. оружие[17] და ტანისამოსის ისტორიაზე რამე არის გამოსული ან კარგი ძველი, წინანდელი გამოკვლევა იშოვება მანდ გერმანულად ან ფრანგულად, ისიც ურიგო არ იქმნებოდა ჩემთვის, რათგან აქ ამ დარგის მწერლობა თითქმის არა გვაქვს. აბა ამაზე მეტად აღარ შეგახუწებთ, ისედაც მოჭარბებულია, რისთვის ძალიან ეწუხვარ და ბოდიშს ვიხდი,

მარად თქვენი ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს,
1937. 22. VI.

XX

ძვირფასო ბ˜ნო ვარლამ!

კუბეს წიგნის[1] გადმოგზავნისათვის გულითადს მადლობას მოგახსენებთ. თუ მისივე ნაშრომი ფაიფურის შესახებაც[2] იშოვება, იქნება შემაძენინოთ. ძალიან მაწუხებს, რომ ამდენი წვალება გიხდებათ ჩემთვის, ამიტომ სჯობია გადმოგზავნის უსიამოვნო მუშაობა და ტვირთი თვით დაწესებულებას დაეკისროს. ეგ არის მხოლოდ, რომ აკადემიის ექსპედიცია ზეირიანად მოწყობილი არ ყოფილა. გზავნის ორ-ორ ცალს, გამოსაგზავნი-კი არც მოდის და არც ანგარიში ჩანს. მაინც რომ არ შესწუხდეთ, ამასთანავე გაახლებთ მატერ. კულტურის აკადემიის[3] გამოცემების იმ წიგნების სიას, რომელთა შეძენა მინდა. ჩემი გადმოგზავნილი ფული წინანდელსა და ამ ეხლანდელ შესაძენსაც, რა თქმა უნდა, არ ეყოფა და, რა-

თგან თქვენ ალბათ მალე გამოემგზავრებით, და მეშინიან ფულის საქმე არ აირიოს, ამიტომ რაც დააკლდება, ფასდადებით გადმოგზავნონ. ზოგი წიგნის ფასი ვერ გავიგე. დიდ ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის. იმედია უკვე მალე გნახავთ.

მარად თქვენი ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1937. 28. VI.

XXI

ძვირფასო ბ~ნო ვარლამ!

ძალიან სამწუხაროა, თუ უსპენსკის გადმონახატი[1] დაიკარგა, მაგრამ იმედია, პროფ. ვ. ბენეშევიჩს[2] ესსომება სად უნდა იყოს ეს ალმობი დაცული. გაგარინის წიგნის[3] მუზეუმისათვის შეძენისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. ამას წინათ ჩემთვის შესაძენი წიგნების სია გაახელით. ამ თქვენს წერილში დართული გაქვთ შესაძენი წიგნების სია. ამათგან გთხოვთ უპირველესად 1. П. К. Степанов-ის История рус. одежды[4] (40 მ.) შეიძინოთ. შემდეგ 2. Galerie des paintres célébres[5] I-II, რომელსაც უფრო ბიბლიოგრ. მნიშვნელობა აქვს (ფასი 10 მ.). 3. Рус. худож. фарфор[6] (15 მ.) და 4. Тройницкий, Английское серебро[7] (1 მ. 50 კ.), ფაჟანსი და ფაიფური[8] უკვე მოვიღე და დიდ მადლობას მოგახსენებთ. ბუკინისტებთან ხომ იარაღის, ავეჯის, ჭურჭლის, აღმოს.-დასავლური ტანისამოსის შესახები გერმან. ან ფრანგული მონოგრაფიები, ან სახელმძღვანელოები არ იშოვება? გთხოვთ მაცნობოთ, როდემდის აპირებთ მანდ დარჩენას და რამდენი ფული გადმოგიგზავნოთ. აუარებელი სამუშაოა და, წიგნებს რომ ველოდი სამზღვარგარეთიდან, ვგონებ ჯერ ვერაფერი ხერხდება და ამის გამო საგამოფენო მუშაობის დამთავრების დროს ძალიან გაგვიჭირდება. მაგრამ ჯერ კიდევ იმედი მაქვს, რომ გამომიწერენ. აქ ავდრიანობაა და ეს გარემოება არქ. გათხრის განახლებას გვიფერხებს.[9] ეს ორი თვეა ასეთი დარია და გამოდარება არ ეტყობა.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1937. 25. VIII.

XXII

ძვირფასო ბ~ნო ვარლამ!

თქვენი გამოგზავნილი წიგნებიცა და მატ.* კულ.** აკადემიის გამოცემათა ამანათიც მივიღე და გულითად მადლობას მოგახსენებთ. მეგონა, რომ დიდი ხანია ტფილისში იქმნებოდით, და ამიტომ წერილი აღარ გამომიგზავნია. ერთმა მანდეთგან ჩამოსულმა მითხრა, რომ თქვენ იმაზე უფრო ადრე უნდა წამოსულიყავით კიდეცაც. აქაური ამბები გეცოდინებათ. გამოფენისათვის აუარებელი სამუშაო გვაქვს, დრო-კი ცოტაღა დარჩა. ჯერ ორი

* მატერიალური.
** კულტურის.

თვის განმავლობაში განუწყვეტელმა ავადრიანობამ, მერმე მოულოდნელმა დაბრკოლებამ დმანისის არქ. გათხრის გაგრძელება დღევანდლამდის შეგვიფერხა.[1] სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენის გათხრამ[2]-კი ძალიან საინტერესო შედეგი მოგვცა იმდროინდელი ქუქანკობისა[3] და წყლის მკაზმელობის ხელობის გასათვალისწინებლად. ხვალ დმანისში გაემგზავრება ექსპედიცია[4] და ვნახოთ, ის რაღას შეგვძენს. ძალიან სამწუხაროა, რომ დავით აღმაშენებლის სურათის პირი მანდ არა ჩანს.[5] მზვნელისა და დანარჩენი მინიატურების პირს[6] ეელი მოუთმენლად. მაცნობეთ, სულ რამდენიმე პირი იქმნება და რამდენი ფული გადმოგიგზავნოთ? სანიმუშოდ გამოგზავნილი ქარტაკები მართლაც მძარე ღირსებისაა, მაგრამ არც აქ და არც მოსკოვში არ იშოება, და ვგონებ ბოლოსდაბოლოს მაგისთანით დაკმაყოფილება მოგვიხდება. ამ დღეებში კიდევ მოვაკითხინებ აქ და შემდეგ საბოლოოდ გადავწყვეტ. – თამარის მეორე ისტორიკოსის[7] აწყობა ჯერ არ დაწყებულა, რათგან ჩემი დიდი ნაშრომის „ქართულისა და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“[8] ჯერ დამთავრებული არ არის. 18 თაბახია დაბეჭდილი და 22 თაბახი უკვე აწყობილია, მაგრამ ჯერ დასაბეჭდია. აწყობა მაინც დამთავრდა და ეს მძიმე ტვირთი მოვიცილე. ეგების ენკენისთვეში გამოვიდეს. მაშინვე ბასილ ეზოსმოძღვარს[9] შევუდგები. თუ ჩამოსვლას მოახერხებთ, კარგი იქმნება. მაშ ნახვამდის..

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1937. 24. XI.

XXIII

ძვირფასო ბ[ა]ნო ვარლამ!

ბოდიშს ვიხდი წერილის უკიდურეს დაგვიანებისათვის: მძიმედ ვიყავი ავად და მხოლოდ ეხლა წამოვდეგი. სხვილი ნაწლავის წყლული გამეხსნა ორჯერ ზედიზედ და სისხლის დენა მქონდა. უკვე ამან ძალზე დამასუსტა. ზედ გრიპოზული ბრონხოპნევმონია დაერთო და ორივე ფილტვში ანთების პროცესი მთლად მოდებული მქონდა. არ მეგონა, რომ ჩემი ხნის კაცისათვის[1] ამ საშინელს ავადმყოფობას გადავურჩებოდი, მაგრამ სიკვდილს გადავურჩი, არა მგონია-კი, რომ დიდი ხნით. ძალზე გამხდარი და დასუსტებული ვარ. წყლულისაგან სიცოცხლე მაქვს გამწარებული. – ყველა თქვენგან გამოგზავნილი წიგნები მომივიდა და გულითად მადლობას მოგახსენებთ. Соболев-ის "Очерки по истории украшений тканей"[2] და "Агрикультура в памятниках запад[ного] средневековья" 1 წიგნი,[3] უკვე შეძენილი მაქვს და ნუღა შეიძენთ. კონდაკოვის Арх. пут. в Македонию და [Сирию-ს][4] სიამოვნებით შევიძენდი. მე-V არქ. ყრილობის „შრომები“[5] უსურათებოდ არ ვარგა, რათგან ყველაზე ძვირფასი იქ სიგელების ფაქსიმილეები და სურათებია.[6] რაკი სიკვდილს გადავურჩი და მუშაობა შემეძლება, კიდევ ერთი თხოვნითა [უნდა] შეგაწუხოთ. მანდ აკეთებენ „ოქროს კალმებს“, რომელსაც "Prometheus"-ი აწერია. ერთ დროს აქაც მოჰქონდათ, მაგრამ ეხლა გაქრა. თუ შეიძლება გამიგეთ, რა ღირს: მინდა შევიძინო, ფულს გაახლებთ. წვეტიანი, მაგარი ოქროს კალამი უნდა იყოს და რუბიდიუმის თავი უნდა ჰქონდეს წვეტზე. – ავადმყოფობამ დამღუპა. გამოფენა 18 დეკემბერს უნდა გაიხსნას და გამო-

ფენისათვის მეტად ცოტა დრო დაგვრჩა. წიგნების ბეჭდვაც შემიფერხა. ეხლა-კი უნდა გავათავო.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისითგან,
1938. 31. III.

XXIV

ძვირფასო ბ˘ნო ვარლამ!

მრცხვენიან, რომ ასე მომიგვიანდა წერილი, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ მომიტევებთ ამ ჩემ დანაშაულს. შ. რუსთაველის გამოფენის შემდეგ, მაშინვე იარალის ისტორიის გამოფენის სასწრაფოდ მოწყობა უნდა დაგვეწყო სათანადო დავალების გამო. ამავე დროს ჩემ სამუშაო ოთახში, ჩემ ბინაში,[1] სწორედ ჩემი მაგიდის ასწვრივ ჭერი ჩამოინგრა საბინაო ამხანაგობის პასუხისმგებლობის სრული შეუგნებლობის წყალობით. სამი წელიწადია, რაც ვაფრთხილებდი: სახურავი შესაკეთებელია, სწვეთავს და, თუ ეხლავე არ შეაკეთეთ, ჭერი უეჭველად ჩამოინგრევა-მეთქი. ყოველწლივ მპირდებოდნენ, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ, და ჩემი სიტყვა გამართლდა. სრულებით შემთხვევით გადავურჩი სიკვდილს: საქ. მუზეუმში ვიყავი იმ დროს და ამიტომ არ ვმუშაობდი, თორემ თავზე დამეცემოდა ჭერის მოლესილობის უზარმაზარი ჩამოვარდნილი ნაწილი და იქვე გამომასალმებდა წუთისოფელს. მომიხდა ამ ოთახითგან ყველაფრის გამოტანა საწოლ ოთახში. მთელი წიგნსაცავი, მაგიდა და სხ. აქ მაქვს და ვეწვალები მას შემდგომ, რათგან „კაპიტალური რემონტი“ კუს ნაბიჯით მიმდინარეობს, სუყველაფერი ოხრდება და საბინაო ამხანაგობის უთავბოლო და უჭკუო „საქმიანობას“ დასასრული არა უჩანს. წარმოუდგენელია ის საშინელი მდგომარეობა, რომელშიც ამის გამო ვიმყოფები. წიგნებისა და ჩემი ნაწერების პოვნა მიძნელდება, ისე მიყრია ერთმანეთზე ყველაფერი. ამავე დროს აუარებელი სასწრაფო სამუშაოა. მივიღე თქვენი კრებული[2] დიდი მადლობითა და სიხარულით. თქვენი თარგმანი ძალიან მომეწონა: ძეგლის[3] სულისკვეთების თავისებურება კარგად არის დაცული. ჩვენი კრებულიც[4] დაიბეჭდა და მალე გამოვა. მაშინვე გამოგიგზავნით თქვენცა და ბ-ნ კარპეზსაც. ჩვენი კრებული დიდი გამოვიდა. აქ აკად.[ემიის] და ერმიტაჟის ამბები მოგვეიდა. „პრავდა“-ში[5] მოთავსებული წერილიც წავიკითხე. დასაკალის მომასწავებელია მის დირექტორისათვის,[6] თუ ეს იერიში მოიგერია? — ჩემი გამოკვლევის („ქართული და კავკ. ენების თავდაპ. ბუნება და ნათესაობა“[7]) [ბეჭდვა] დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ ზოგიერთი გვერდების გადაბეჭდვა ხდება აუცილებელი ზოგი იქ მოხსენებული აეტორების ამოსაშლელად[8] და ეს აფერხებს ამ წიგნის გამოსვლას. — თუმცა ძალიან ცუდად ვგრძნობ [თავს] ფიზიკურად, მაგრამ მაინც მინდოდა, როგორმე ბერძნ. დაბადების[9] მანდ შეძენა. ეგების გამიგოთ რას მთხოვდნენ სამაგიეროდ. ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1938. 3. V.

XXV

ძვირფასო ბ[ატო]ნო ვარლამ!

ჟაკუბოვსკისა და გრეკოვის წიგნისათვის "Золотая Орда"[1] დიდ მადლობას მოგახსენებთ. საყურადღებო ნაშრომია, მაგრამ ყივჩაყებზე ცოტაა.[2] აქ საქ. ფილიალის ენისა და ისტორიის ინსტ. მოამბეში იასე ცინცაძის ერთი პატარა, მაგრამ ფრიად საგულისხმო გამოკვლევა იბეჭდება[3] რუსეთ-ყივჩაყეთ-საქართველოს ურთიერთობის გასაშუქებლად. ამ მიმართულებით მუშაობაში ძალიან სასურველია, და დარწმუნებული ვარ, არაერთი კულტურული ამოცანის გამორკვევა შეიძლება. ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების[4] გამოცემის გადადება მიხდება სამწუხაროდ შემოდგომისათვის: აუარებელი სასწრაფო სამუშაო მომეხ[ვ]ია თავს და ველარ ვერევი. „შესავალი"-ს მე-II წიგნის[5] 4 თაბახის გადაბეჭდვამ და „ქართ. მუსიკის ისტ. ძირითადი საკითხები"-ს[6] ბეჭდვის გაჭიანურებამაც გამირთულა საქმე. ამ თვეში ვგონებ ორივე უნდა გამოვიდეს. ჩემი ბინის შეკეთების გამო წიგნების არევ-დარევის მიზეზით აქამდის ვერ შევძელი „ილ. ჭავჭავაძე და საქ. ისტორია"-სი[7] და კრებულის „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა"-ს[8] გამოგზავნა. ამ წერილთან ერთად ორივეს გიგზავნით თქვენცა და ბ-ნ კარპეზსაც. იოს. ორბელისაგან თქვენი კრებული[9] მომივიდა და მეც ჩვენსას ვუგზავნი სამაგიეროდ. ЗВО-ს XX და XXX ტომები[10] არა მაქვს და სიამოვნებით შევიძენდი. არც მარრის Сб. Притч. Вардана" შემრჩა. ტექსტიც-კი კარგია, მაგრამ გამოკვლეაც რომ იყოს, ემჯობინებოდა. იოსებ ფლავიოსის "Sämtliche werke"-ს[12] ფილიალის წიგნსაცავი თუ შეიძენს. შევეკითხები და გაცნობებთ.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1938. 18. VII.

XXVI

ძვირფასო ბ[ატო]ნო ვარლამ!

უსპენსკის ორივე წიგნი[1] მივიღე, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებთ, მაგრამ წერილი თქვენი ჯერაც არ მომსვლია, და არ ვიცი, როგორ მოვიქცე: რამდენი მაქვს გადასახდელი და ვის და სად გადავუგზავნო ამ წიგნების საფასური? ამასთან ეწერა, რომ მათი გადმომგზავნი ჩრდილოეთის ზღვის გზაა,[2] და ვერ გამიგია, რატომ. ალბათ ამ წიგნების პატრონის მისამართი იქნება, მაგრამ ვინაობა რომ არ ვიცი, ვის გავუგზავნო. თანაც ვფიქრობ, რომ ეგების ამ წიგნების ღირებულება თქვენ გადაიხადეთ და მაშასადამე თქვენი მოვალე უნდა ვიყო და არა წიგნების პატრონის. არ მესმის, წერილები იკარგება? მიიღეთ, თუ არა ჩემგან გამოგზავნილი წიგნები და წერილი? 20-ს ამ თვეს ლენინგრადში მიემგზავრება ჩემი შვილი ლალი[3] სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად, და იმას ვატან თქვენთან წერილს[4] ერთი მომავალი კოლექტიური სამუშაო გეგმის შესახებ, რომელშიც სასურველია თქვენი მონაწილეობაც, და გთხოვთ თქვენი პასუხი მაცნობოთ. ჩემი შვილი

პირველად მოდის მანდეთ და გთხოვთ, როგორც ჯერ გამოუცდელს თქვენი რჩევა-დარიგება არ მოაკლოთ. წრეულს აქ ჩამოსვლას არ აპირებთ? მოკითხვა ბ-ნ კარპეზს.

მარად თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი.

P. S. თქვენი პასუხის მიღებისთანავე ფულს დაუყოვნებლივ გაახლებთ. ივ. ჯ.

ტფილისს
1938. 2. VIII.

XXVII

ძვირფასო ბ~ნო ვარლამ!

იმის მეორე დღესვე, თქვენ რომ წერილი გამოგიგზავნეთ[1], მძიმე ავადმყოფი შევიქენი, დამეწყო ქრონიკული ჩემი დაავადების წყლულიანი კოლიტის მძაფრი შემოტევა: წყლული გამეხსნა და სისხლის დენა განახლდა. სიცხე დიდი, გულის არიტმული მუშაობა და საშინელი სისუსტე მჭონდა. ამას ზედ ერთვოდა შიმშილი. კიდევ კარგი, რომ სისხლის დენა შეწერდა, თორემ ჩემი საქმე ისე იყო, არ ვიცოდი გადავურჩებოდი, თუ არა. ამ შემოტევამ საშინლად დამასუსტა და ჯერაც ვერ გამოვკეთებულვარ. ამიტომ ველარ შევძელი ამ წერილის დაწერა. უსპენსკის „ბიზანტ. ისტორია“[2] მივიღე, I წიგნი მქონდა, მაგრამ წიგნსაცავთან ერთად დამეკარგა და ძალიან მოხარული ვარ და დიდ მადლობას მოგახსენებთ ამ ნაშრომის შეძენისათვის. თუ ბარტჰოლდის ნაშრომები Улугбек и его время[3] და ლენპულის Мусдин.[4] მეორე გამოცემა (თუ გამოვიდა,[5] აპირებდა-კი გამოცემას) იშოვება, გთხოვთ ჩემთვის შეიძინოთ. — ეხლა მთავარ საქმეს შევუდგეთ.

საქ. ცენტრ. კომიტეტმა განიზრახა, რომ საქართველოს ისტორიისათვის მიძღვნილი მონოგრაფიები დაიწეროს იმ მიზნით, რომ შემდეგ ამ კრებულისდა მიხედვით ზოგადი სახელმძღვანელოს შედგენა უმაღლესი და საშუალო სკოლებისათვის შესაძლებელი გამხდარიყოს. გეგმის შედგენა დამევალა. ერთი წლის ვადაა ნაანგარიშევი. ასე სწრაფად და ესოდენ შეუსწავლელ ასპარეზზე ასეთი პასუხსაგები დავალების ასრულება, რასაკვირველია, მხოლოდ შრომის ტკივრთის განაწილებით შეიძლება. ამიტომ ჩემს გეგმაში, რომელიც წარვუდგინე, სხვადასხვა სპეციალობის მკვლევართა მონაწილეობაა ნავარაუდევი: არქეოლოგოსები, ენათმეცნიერნი, ისტორიკოსები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელნიც უნდა იყვნენ ამ საქმეში ჩაბმულნი. საბოლოოდ საკითხი გადაწყდება გენ. მდივანთან თათბირის შემდეგ, რომლის დრო ჯერ გამორკვეული არ არის. ისტორიკოსთა შორის თქვენც ხართ თანამშრომელთა სიაში შეტანილი, საჭიროა მხოლოდ იმ ხანის განსაზღვრა, რომელსაც თქვენთვის არჩევას უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევდით. კარგად მოგეხსენებათ, საქ[ართველოს] ისტორია მე-XIII ს. შემდეგ[6] სრულებით შესწავლილი არ არის და მთავარი სიძნელის დაძლევა დასაწყისი ხანისა და ამ დროითგან* მოყოლებული მოგვიხდება. მე-XII-XV ს. ისტორიის დაძლევის ცდა მე მიხდება, რათგან ამაზე ბევრი მაქვს გამოქვეყნებული, თუმცა ეს ხანა მეტად ძნელი აღსადგენია. ეხლა მე-XVI-XVIII სს. ისტორიის განაწილების საკითხია: თქვენ და ნ. ბერძენიშვილმა[7] უნდა იკისროთ ამ ხანის ისტორიის

* იგულისხმება: მე-XIII ს-გან.

დაწერა. თქვენ რომელ საუკუნეებზე უფრო მუშაობთ სპეციალურად და რომელი ხანა გერჩივნათ. დანარჩენს ნ. ბერძენიშვილს დავაკისრებდით. მონოგრაფიები ფართო განათლებულ მკითხველისათვის უნდა იყოს განკუთვნილი და მეცნიერულად დაწერილი და დასაბუთებული იყოს. გთხოვთ მოიფიქროთ და შეძლებისამებრ მალე მაცნობოთ თქვენი აზრი და სურვილი. საფიქრებელია, რომ თათბირი ამ თვის დამლევს იქნება, და სასურველია, რომ თქვენი პასუხი მანამდე მქონდეს მიღებული. ამ დღეებში კიკეთში ვაპირებ დასასვენებლად ასვლას, მაგრამ დროგამოშვებით ჩამოვალ ხოლმე და წერილსაც, როცა მოვა, ამომიგზავნიან. ბ-ნი კარპეზი თურმე მანდ არ ყოფილა, და იქნება შეეკითხოთ, ენათმეცნიერების რომელსამე პრობლემის დამუშავებას ხომ არ მოისურვებდა ამ კრებულისათვის და სახელდობრ რომლის.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

კიკეთი
1938. 31. VIII.

XXVIII

ძვირფასო ბ˘ნო ვარლამ!

წერილისათვის მადლობას მოგახსენებთ. საქართველოს ისტორიის შესახებ ჯერ თათბირი არ ყოფილა.[1] ვადა საბოლოოდ მაშინ გამოირკვევა, მაგრამ ვეჭვობ, რომ ერთ წელიწადზე მეტი მოგვცენ. ტფილისში რომ ჩამოვალ (აქ კიდევ ერთ კვირას ვაპირებ დარჩენას, თუ მანამდე არ დამიბარეს), მოველაპარაკები ყველას და მაშინ გამოვარკვევ სამუშაოს განაწილების საკითხს საბოლოოდ. მანდაც ქალალდს გამოვაგზავნინებთ, რომ მუშაობას შეგიმსუბუქდეთ. ტ. ს. უ-ტში ლექციების განახლება მიხდება, ქ˘ლი სამართლის ისტორიაც აღდგენილია. მჭირდება სერგიევიჩის Рус. юрид. древности[2] და ლექციები და გამოკვლევანი (Лекции и исследования)[3] თუ იშოვება სადმე, შემაძენინეთ. ამას გარდა იქნებ რუს[ული] სამართლის ისტორიის ახალი წიგნი იყოს გამოსული, თუ არის, ისიც გამომიგზავნეთ: მინდა ვნახო, ეხლა როგორ არის ეს პრობლემა განხილულ-გაშუქებული. მინდოდა გამეგო აგრეთვე, იმედია, თუ არა, რომ იმ წიგნების შეძენა, რომელთა შესახებაც წინა წერილებში გთხოვდით, მოხერხდება, თუ უნდა იმედი საბოლოოდ გადავიწყვიტო. ჩემი ორი უკანასკნელი გამოკვლევა (ენისა[4] და მუსიკის[5] შესახებ) აქამდის ვერ გამოვიდა, რათგან დაკაზმა ვერ მოუხერხებიათ (ყველა სახელოსნოები სახელმძღვანელოებს ჰკაზმავენ). მპირდებიან, ენკენისთვის ბოლომდე 3000 [ცალს] დავკაზმავთო. გამოვა თუ არა, მოგართმევთ. ჩემი ავადმყოფობის მძიმე შემოტევის შემდგომ, მოსაკეთებლად კიკეთში ამოვედი, და აქ ყოფნამ საკმაოდ მომაღონიერა, მაგრამ წყლული ისევ მაწუხებს. ველი თქვენს წერილს.

მარად თქვენი ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1938. 14. X.

XXIX

ძვირფასო ბ˘ნო ვარლამ!

მოსკოვში ყოფნამ დამიგვიანა წერილი და გულითადი მადლობა გამოგზავნილი წიგნებისათვის. იქ ვეძებდი ჩემთვის საჭირო გამოკვლევებსა და სახელმძღვანელოებს, მაგრამ ვერ ვიშოვნე. ბუკინისტებთან თურმე ნახავს ადამიანი ზოგჯერ საინტერესო და საყურადღებო წიგნებს, მაგრამ ამისთვის გამუდმებით ყოფილა საჭირო იქ სიარული, თორემ სწრაფად იყიდება. წარმოიდგინეთ, ქაღალდიც-კი ძნელი საშოვარი ყოფილა ამჟამად. მოსკოვმა ჩემზე, დიდი ხნის უნახველზე, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მშენებლობას ქალაქის შუაგული ისე შეუცვლია, კრემლი რომ არ იყოს, ვეღარც-კი იცნობს [ადამიანი]. გზები და მიმოსვლის საშუალებანი საუცხოოდ არის მოწყობილ-გაუმჯობესებული. — წინა წერილში[1] რომ გწერდით საქართველოს ისტორიის კურსის შესახებ, ცენტრ. კომიტეტში უკვე იყო სხდომა, და კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელებმა წინათ განზრახული გეგმა შესცვალეს: გადაწყვეტილია, რომ ამჟამად ჯერ საშუალო სასწავლებლებისათვის დაიწეროს სახელმძღვანელო, ფართო საზოგადოებისა და სტუდენტებისათვის განკუთვნილი „საქართველოს ისტორიის“ დაწერა კი მომავლისათვის, ერთი წელით გადაიდო. საშუალო სასწავლებლის სახელმძღვანელოს წარდგენის ვადად 1 მაისია დადებული, მეტად მცირე დრო[ა], და არ ვიცი, როგორ მოესწრება. ცენტრ. კომიტეტმა მისი დაწერა მე, ს. ჯანაშია[2] და ნ. ბერძენიშვილს დაავალა. განაწილების დროს უძნელესი, გამოუკლეველი ნაწილი — უძველესი ხანა და შემდეგ 10-15 სს. — მე დამეკისრა[3] და, როგორ უნდა მოვერიო იმ დიდ სიძნელეს, რომელიც უძველესი ხანის საკითხების გასაშუქებლად გველობება წინ, ჯერ ვერ წარმომიდგენია. მე-13-15 ს. ისტორიის აღდგენაც ადვილი არ არის. ასეთი მძიმე და მეტად პასუხსაგები დავალება დამაწვა თავზე და არ ვიცი, როგორ შევძლებ მის შესრულებას, მით უმეტეს ისედაც აუარებელი სამუშაო მჭონდა და მაქვს ეხლაც. ჩემი „მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“[4] გამოვიდა და ამ დღეებში „შესავალიც“[5] გამოვა, და ორივეს ერთად გაახლებთ თქვენ და ბ˘ნ კარპეზს. აბა კარგად და ბედნიერად ბრძანდებოდეთ.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

Балчуг I, Новомосковская г[остиница], ком. 320.
მოსკოვითგან
1939. 22. II.

XXX

ძვირფასო ბ˘ნო ვარლამ!

უკიდურესმა მოუცლელობამ და მუდმივმა ავადმყოფობამ თქვენთან მიწერ-მოწერის საშუალება შემიფერხა. გულითად მადლობას მოგახსენებთ სერგეევიჩის წიგნების[1] შეძენისათვის. თქვენ ტელეგრამით მპირდებოდით, რომ შეძენის პირობას წერილობით მაცნობებდით, მაგრამ ჩემს იქ, ტფილისში, ყოფნისას (9 თებერვალს გამოვემგზავრე) არაფერი იყო მოსული. თუ ვერ მოიცალეთ, გთხოვთ მაცნობოთ ეს პირობა, რომ ვალის მოხდა შევძლო.

თუმცა ჩემი ჯანმრთელობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ხანგრძლივ და ახალ-ახალ სამუშაოზე ოცნება ტყუილი თავის მოტყუება იქნებოდა, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, მუშაობის შენელება არ მინდა და ამიტომ წიგნები მჭირდება. მრცხვენიან-კი, მაგრამ ისევ თქვენი შეწუხება მიხდება. უპირველესად ბერძნული დაბადება.[2] ეხლა მეტადრე, როდესაც უნივერსიტეტის წიგნსაცავიდან გამოტანილი წიგნის დაბრუნება მომიხდა. ენისა და ისტორიის ინსტიტუტი[3] წრეულს ოშკის დაბადების[4] გამოცემას შეუდგა და ამიტომ აკ. შანიძეს დასჭირდა და დავაბრუნე. ეგ ბერძნული ტექსტი-კი მე ამჟამად აუცილებლად მჭირდება, რათგან ქართული ნივთიერი კულტურის ისტორიას ვკითხულობ,[5] და ტერმინების შესატყვისობათა გამოსარკვევად ეს წყარო, როგორც მოგეხსენებათ, კარგ წყაროს წარმოადგენს. თქვენ ვიღაც გპირდებოდათ, და იქნებ მოხერხდეს [შეძენა]: რადაც არ უნდა დამიჯდეს, გადავიხდი. რასაკვირველია, ოქსფორდის გამოცემა[6] ემჯობინებოდა. შემდეგ გთხოვთ მაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა აკადემიკოსების ვასილიევსკისა[7] და ა. ნ. ვესელოვსკის[8] ნაშრომების სრული კრებულის შოვნა, თუ არა? იქნებ ბუკინისტთან მაინც იყოს სადმე? კვლავ დიდ ბოდიშს ვიხდი ამდენი შეწუხებისათვის.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

P. S. მოსკოვში 28 თებერვლამდე ვრჩები.
ივ. ჯ.

ტფილისს,
1939. 9. VIII.
კალინინის ქ. 66.

XXXI

ძვირფასო ბ~ნო ვარლამ!

გულითად მადლობას მოგახსენებთ გადმოგზავნილი წიგნებისათვის, მეტადრე სასიამოვნოა, რომ ბერძნ. დაბადების ტექსტი[1] ეხლა უკვე ჩემი საკუთარი მექნება შინ და საშუალება მაქვს უნივერ. წიგნსაცავის წიგნი დავაბრუნო. მართალია, ის ოქსფორდის გამოცემაა[2] ყველა ხელნაწერებისდა მიხედვით, მაგრამ სრულ უქონლობას, მოსკოვის გამოცემაც გამოადგება ადამიანს, მეტადრე ტერმინების შესატყვისობათა გამოსარკვევად. სამწუხაროდ, თქვენ არაფერს მწერთ, თუ როგორ, ან რა პირობით შეიძინეთ ეს ბერძ. დაბადება ჩემთვის, ამანათის ცნობის ვარაუდზე დამყარება არ შემიძლიან, ამიტომ ტელეგრამით სამას მან. გააბლებთ. ხოლო, როცა ჩამობრძანდებით, გავიგებ რა მელება კიდევ ვალად, და უმალ მოგართმევთ. სანატორიუმში წერილისა და ფულის გამოგზავნას მოვერიდე, რათგან მეშინიან არ აირიოს. პირდაპირ ლენინგრადში გიგზავნით. უკრაინისათვის ქრესტომათიისა და ქართ. საისტორიო წყაროების გამოცემაზეც[3] სჯობია პირადად მოვილაპარაკოთ და შევთანხმდეთ, რაზან მალე აქ გვეწვევით. თუ მოიცალოთ, ეგების აკადემიის გამომცემლობაში შებრძანდეთ და სთხოვოთ, რომ ბარტოლდის ორი ნაშრომი: 1. ტუმანსკის ხელნაწ. სპარს. გეოგრ. თხზულების ფოტოტიპიური გამოცემა[4] და 2. Улугбек и его время,[5] აგრეთვე აკად. ა. ნ. ვესელოვსკის[6] რჩეულ თხზულებათა კრებული ფასდადებით გამომიგზავნონ. უკაცრაოდ კვლავ შეწუხებისათვის. ბ~ნ კარპეზს ჩემი სალამი მოახსენეთ.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1940. 2. V.

XXXII

ძვირფასო ბ˜ნო ვარლამ!

გულითად მადლობას მოგახსენებთ ბარტოლდის წიგნისა[1] და წერილისათვის. რატომ ამასთანავე არ მატყობინებთ, რამდენი მაქვს ამისათვის გადასახდელი? გთხოვთ მაცნობოთ, რომ მოგართვათ. ეს წიგნი მე მჭონდა, მაგრამ წიგნსაცავთან ერთად მისი სხვა ნაშრომები დამეკარგა, რომელთაგან ყველაზე სანანურია "Туркестан в эпоху монгольск. нашествия" [2] პტკანიანის სომხ. გეოგრაფია[3] და პრისელკოვის "История рус. летописания"[4] ჯერ არ მომსვლია. გთხოვთ მათი ფასიც მაცნობოთ. ილ. ჭყონიას[5] და ბერიძის[6] ლექსიკონები საკუთარი აღარა მაქვს, — წიგნსაცავმა ისინიც იმსხვერპლა, — და თუ მიშოვით, რასაკვირველია, სიამოვნებით შევიძენ. კარგა ხანია, რაც თქვენი არა ვიცი რა, იმედია, ჯანმრთელად ბრძანდებით თქვენცა და ბ˜ნი კარპეზიც. მე კი სულ ვავადმყოფობ და ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. ისედაც ნაწლავების სნეულებისაგან გაწამებულ-დასუსტებულს უაღრესი დატვირთულობა მრავალგვარი საქმეებითა და თითქმის ყოველდღიური სხდომებით მეტად მიშლის სამეცნიერო მუშაობას, მაგრამ მაინც ვცდილობ და დაუზოგავად ვმუშაობ. კარგად ბრძანდებოდეთ, გისურვებთ ყოველგვარ ბედნიერებას.

თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

P. S. ბ˜ნ კარპეზს სალამს მოვახსენებ. ივ. ჯ.
ასეთი ქალალდისათვის დიდი ბოდიში, მაგრამ...

ტფილისს
1939. 21. VI.

XXXIII

ძვირფასო ბ˜ნო ვარლამ!

მრცხვენიან თქვენსა და ბ˜ნ კარპეზის წინაშე, რომ ასე პირშავად გამოვედი, რომ აქამდის ვერ მოვიცალე და გულითადი მადლობა ვერ გიძღვენით. უკიდურესად დატვირთული ვარ მრავალნაირი საქმეებით: ძილისათვისაც-კი დრო აღარა მაქვს ხოლმე და ზოგჯერ 3-4 საათის მეტი ძილისთვის დრო აღარ მრჩება. გამოგზავნილი წიგნებისათვის, მეტადრე იბნ-ფადლანისათვის,[1] მხურვალე მადლობას მოგახსენებთ. ფულს ამ დღეებში გადმოგიგზავნით. მანდ გამოსულია წიგნი ირანული ხელოვნების შესახებ.[2] მაცნობეთ, რა ღირს, რომ შესაძენად ფული მოგართვათ. ქართულ საისტორიო წყაროების გამოცემის[3] გეგმა შევიტანე ნ. მარრის სახელობის აკადემიის ინსტიტუტში,[4] და ეხლა ამ კოლექტიური საქმის განხორციელებისათვის შრომის განაწილება იქნებოდა საჭირო. მაცნობეთ, თქვენ და ბ˜ნი კარპეზი რომელი ძეგლის აღებას მოისურვებდით. პირადად მე ამჟამად ეგნატაშვილი ბერის ახალ ქ˜ცას ვბეჭდავ. შემოდგომაზე ბასილ ეზოსმოძღვრის ნაშრომისა[6] და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის[7] გამოცემას შევუდგები. მერმე განზრახული მაქვს მატიანე ქართლისაჲ,[8] ჟამთააღმწერლისა[9] და გ. მთაწმიდელის[10] თხზულებების გამოქვეყნება. ნ. ბერძენიშვილს

გ. ხუცესმონაზონი[11] აქვს დამზადებული, ს. ჯანაშიას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს[12] მატიანე და წ˜ა ნინოს ც˜ა.[13] მაცნობეთ, თქვენ და კარპეზი რას აირჩევდით. ამას გარდა, უკრაინით-გან გვთხოვენ დავუსახელოთ ისეთი ქ˜ლი საისტორიო ძეგლები, რომელთა თარგმნას მათ-გან განზრახული საისტორიო ქრესტომათიისათვის სასურველად მივიჩნევდით. მათ განზრა-ხული აქვთ 10 დაბეჭ. თაბახის სიდიდის წიგნის გამოცემა მარტო საქართველოს ისტო-რიისათვის. ისინი გვთხოვენ, რომ ჩვენ გადავუთარგმნოთ რუსულად. რუსულითგან-კი ჩვენ უკრაინულად ვთარგმნითო. ვფიქრობ, რომ თქვენ და ბ˜ნ კარპეზს ამ საქმის განხორციელე-ბა საუკეთესოდ შეგეძლოთ. თქვენი თარგმანები რუსთ. კრებულში[14] საუცხოოა. ჰონორარ-საც ისინი კარგს ჰპირდებიან თანამშრომლებს. თუ მოიცლით, ძალიან კარგი იქნება, რომ ეს საქმეც იკისროთ: ამას ჩვენთვის მრავალმხრივი მნიშვნელობა ექნებოდა. ველი თქვენს პასუხს და გულითად სალამს გიძღვნით ორივეს.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისს
1940. 6. IX.

XXXIV

ძვირფასო ბ˜ნო ვარლამ!

კარგა ხანია ავად ვარ: ნაწლავების წყლული სიცოცხლეს მიმწარებს და მთელ სხეულს სწამლავს. ამიტომ გულის მუშაობაც ძალზე მომეშალა: კოჭლი ცხენივით ბორძი-კობს. საბაგარაკოდ[1] ვიყავი იმ იმედით, რომ ეგების ჰავას მაინც ერგო, მაგრამ ჩემ[ი] მდგო-მარეობა ვერც ამან გამოასწორა, და ვგონებ საერთოდ ველარც გაუმჯობესდება. ძალზე გამხდარი და დასუსტებული ვარ უჭმელობისაგან: გახმობილი პურისა და მოხარშული უმარილო ხორცის გარდა ჩემი მომნელებელი ორგანო ველარაფერს იკარებს. დაბრუნებისას ტფილისში ყველა თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები აქ დამხვდა, რისთვისაც გულითად მადლობას მოგახსენებთ. წინათაც არაერთხელ მითხოვნია და ეხლაც ჩემი თხოვნაა, მაცნო-ბოთ რამდენი მაქვს მოსართმევი. ზოგს აწერია ფასი, მაგრამ რამდენიმე, და არც ის ვიცი, რომელი მათგანია ნამდვილი ფასი, თანაც ვფიქრობ, რომ შესაძლებელია იმაზე მეტიც გაქვთ მიცემული. შემდეგ, გადმოგზავნის ხარჯებიც გადასახდელი მაქვს და ეს დავალიანე-ბა ძალიან მაწუხებს. თუ რომ ამას არ მაცნობებთ, თქვენ შემდეგში შეწუხებას ველარ გავ-ბედავ მომავალში, მოულოდნელად (ბოლოს დრომდის არა ვიცოდი რა) ენისა და ისტო-რ[ი]ის ინსტიტუტისა და საქ. მუზეუმისაგან ჩემთვის ძვირფასი საჩუქარი მივიღე: ორი ყოველმხრივ საყურადღებო და საგულისხმო კრებული.[2] გამიხარდა იქ თქვენი და ბ˜ნ კარ-პეზის გამოკვლევებიც ვნახე, ორივე საინტერესო, რისთვისაც ბ˜ნ კარპეზსა და თქვენ გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ. თქვენს ცნობასთან დაკავშირებით ИИМК-ის "История СССР"-ის მაკეტის[3] შესახებ უნდა გულახდილად მოგახსენოთ, რომ მის „რედაქ-ტორთაგანს“ ზოგს სრულ[ებ]ით გარკვეული ტენდენცია ეტყობა (მესროპის „მომგონებლო-ბის“,[4] „მოსე ხორენელის მე-V ს.“[5], – ზაქარიდების „დინასტიის“ შექმნის წადილი[6] და სხვ.). ს. ჯანაშიას რეცენზიის[8] საპასუხო წერილითგან, რომელიც მანდეთგან აქაურ განათ-ლების კომისარიატს მოუვიდა, ნათლად ჩანს, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს, არამედ შეგნებულად აღებული გეზი. ამ დღეებში მოსკოვითგანაც ერთი ფრიად და-მახასიათებელი ქაღალდი მოვიდა აკადემიის პრეზიდენტისაგან[8] ხელმოწერილი, რომელშიც

აღნიშნულია, რომ ენისა და ლიტერატურის განყოფილება შუამდგომლობს ტფილისში მოეწყოს კავკასიისმცოდნეობის მიღწევათა გასაცნობად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ფილიალების და აკად[ემიის] ენისა და ლიტერ. განყოფილების სესია. თვით ამ განყოფილების მაისის დადგენილებით-კი უნდა მოწყობილიყო საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სესია მისი კავკასიურს ენათმეცნიერებაში გაწეული სამუშაოს შედეგების გასაცნობათ. კარგად არის ცნობილი, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში ამ დარგში არავითარი მუშაობა არ სწარმოებს, მაგრამ მაინც „საქართველოს ფილიალის მუშაობის „კავკასიისად" გასაღების წადილს წაუძლევია! — თქვენს ნაშრომს თუ გამომიგზავნით, რასაკვირველია, წავიკითხავ და ჩემ აზრს გაცნობებთ. საკუთარი გამოცდილებით ვიცი მხოლოდ, „რედაქტორი" მანდ, ხშირად თუ არა, ზოგჯერ მაინც თავის „წყალობას" არ აკლებს ხოლმე ავტორის ნაწერს, ისე რომ, როგორც აკად. გრეკოვსაც[9] ვაცნობე, მე მგონია ავტორისათვის ეგების სჯობდეს, რომ მისი სახელი არ სჩანდეს. საერთოდ, კოლექტიური სამეც. ნაშრომის იმ წესით შედგენა, როგორც მანდ არის მიღებული, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ავტორების დაჯაბნა-დაჩრდილვის წადილი ცხადად ეტყობა. ამით გამხნევებულმა აზერბ. ისტ[ორიის] ინსტიტუტის მესვეურებ[მ]ა ავტორების გვარები სრულებით არ მოიხსენეს და მათ მაგიერ სამი რედაქტორი გამობრწყინდა. აბა, აღარ შეგაწუხებთ, კარგად და ბედნიერად ბრძანდებოდეთ. გულითადი სალამი ბ˘ნ კარპეზს.

თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

კომენტარები

I

1. **Н. Кондаков,*** Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. Грузинские надписи прочтены и истолкованы Д. Бакрадзе. СПб., 1890.

2. კ. კოსტანეანცი, ქვებზე ნაწერი მატიანე], სპბ., 1913. შენ.: ნაშრომი შეიცავს სომხურ წარწერებს (VII-XVIII სს.).

3. ალ. სიმ. სვანიძე (1884-1942) – რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე, საქართველოს სიძველეთა მკვლევარი. მის შესახებ იხ. ბიოგრაფიების კრებული: „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში", გვ. 495-496, თბ., 1961. პროფ. ი მეგრელიძის ცნობები წიგნში: «**Н. Я. Марр,** Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани», გვ. 280, შენ. 1; თბ., 1966.

4. **И. Кипшидзе,** Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем: Материалы по яфстическому языкознанию, т. VII, СПб., 1914.

5. იგულისხმება: მოსკოვიდან.

6. იგულისხმება: დამსახ. მასწ. ევგ. კ. ეგაძე. ხოლო ი. ყიფშიძე (1885-1919) იყო ტფ. უნივ-ის პროფესორი.

7. **Zonaras** epit. [omc] histor.[ia]. Edidit L. Dindorf, vol. I-VI. Lipsiae, 1868-1875: Bibliothcka scriptorum graecorum et romanorum Teubneriana.

8. იხ. ზემოთ, შენ. 4.

9. „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა", წ. 1, ტფ., 1935.

10. ადრესატმა, ი. ჯავახიშვილის რუსულად დასტამბული რევოლუციამდელი შრომების მიხედვით, მისამართში მისი გვარი დაწერა Джавахов–ად!

11. აქ აღნიშნული მოვლენა ქართულ გვარსახელთა რუსულ ყაიდაზე გამართვისა სტიქიურად ვრცელდებოდა ქართველთა უკვე პირველი, ასე ვთქვათ, შესვედრების შედეგად რუსებთან, მაგ., XVIII საუკუნის ძეგლებში უკვე დამოწმებულია ერთის „ამილახოროვ"-ობა, სხვის „ეახტანგოვ"-ბა და ა. შ. ცნობილმა მწიგნობარმა ერაჯ ჭალაშვილმა ერთს თავის ანდერძ-მინაწერში „გერასიმ ლესნიკოვად" გამოაცხადა თავი. იხ. ბ. ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. XIX, თ., 1940. სისტემატურ ხასიათს იღებს ასეთი ფოკუსები მეტადრე 1818 წლიდან, როდესაც ქართველი თავადაზნაურობა (ისე როგორც ეს შეეფერებოდა იმპერიის მოთხოვნებს) ცარისტული ადმინისტრაციის მიერ ოფიციალურად „მოწვეულ იქნა დარეგისტრირებულიყო წოდებრივს, ე. წ. „საგვარეულო წიგნში".

II

1. **Е. Э. Бертельс, Бахтиар Намз.** Персидск. т–т– и сл–рь, Лгд., 1926. შენ.: ეს იგავ-არაკების წიგნი (დაახლ. XII ს. დამდ.) ქართულად უთარგმნიათ XVIII ს. (კ. კეკელ. ქ. ლიტ. ისტ., ტ. II).

2. ევგ. ედუარდ ბერტელსი (1890-1957). საბჭოთა ირანისტი, წ.-კორესპ. საკავშ. მეცნ. აკადემიისა.

3. **Граф И. И. Толстой,** Византийские монеты. Выпуск I-IX, СПб., 1912–1914.

4. იხ. შენ. I, 3.**

5. იხ. შენ. I, 4.

6. იხ. შენ. I, 9.

---

* აკად. ნიკოლიმ კონდაკოვი (1846-1925), ბიზანტიურისა და ძველ-რუსული ხელოვნების სპეც-ტი.

** რომაული ციფრით აღინიშნება წერილების რიგი.

III

1. «Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматисю и словарем», СПб., 1910: Материалы по яфетическому языкознанию, т. II.

2. «Дополнительные сведения о чанском языке (Из лингвист. экскурсии в Русский Лазистан)». СПб., 1911.

3. იხ. შენ. I, 2.

IV

1. დალი – ახლა ასისტენტი ბირთვული ფიზიკის კათედრისა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

2. იხ. შენ. II, 3.

3. იხ. შენ. I, 4.

4. **Арсен Оншани,** Сборник сванских названий деревьев и растений (на лашхском наречии). Пгд., 1917: Материалы по яфетическому языкознанию, VIII.

5. იხ. შენ. III, 1.

6. იხ. შენ. I, 2.

7. იხ. შენ. I, 9.

8. ღღესდღეობით დაბეჭდილია: „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. 1. მშენებლობის ხელოვნება და სხვ., ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1946, III-IV. ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე (III), სამარი საჭურველი და სამხედრო საქმე (IV). გ. ჩიტაიას რედაქციით, თ., 1962.

ამ „მასალების“ 1-ლ წიგნში („მშენებლობის ხელოვნება“) კარგად ჩანს, რომ საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოუტანიათ ადგილზე 1935 წ. შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა (იხ. 1, გვ. VIII-XI).

9. ოური (ფრიდონ), იგივე გიორგი, ნიკოს ძე მარრი (1893-1935. 1. XII), გამოჩენილი საბჭოთა ირანისტი. შრომების ბიბლიოგრაფია (შედგენილი ი. მეგრელიძის მიერ) იხ.: **Ю. Н. Марр,** Статьи, etc., I, M., 1936, стр. XVII-XXI; აგრეთვე: **Ю. Н. Марр, К. И. Чайкин,** Хакани, Незами, Руставели, Т., 1966.

10. ალექსანდრა ალექსის ასული ჟუკოვსკაია (1863-1940) – ნიკო მარრის მეუღლე, აკად. ვ. ვ. ბარტოლდის ცოლისდა. ალ. ალ. მარრი – ცნობილი ირანისტის პბ. უნივერსიტეტის პროფესორის ა. ა. ჟუკოვსკის და.

11. 1895-1917 წწ. (იხ. ქვემოთ).

12. „მომხდარი ამბები“, სახელდობრ – 1917 წლის რევოლუციის შედეგად პროფ. ნ. მარრის ქართველ მოწაფე-თანამშრომელთაგან (თვით ი. ჯავახიშვილი, იოს. ყიფშიძე, აკ. შანიძე და სხვ.) პბ. უნივერსიტეტის (ნ. მარრის კათედრის) დატოვება; მათი თბილისს გამომგზავრება აქ, ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, ეროვნული უნივერსიტეტის შესაქმნელად; ამასთან დაკავშირებით ნ. მარრისა და ი. ჯავახიშვილის ურთიერთ დაშორება უნივერსიტეტის დაფუძნებასთან აღძრულ პრინციპულ და საორგანიზაციო საკითხების შეფასებაში და ა. შ.

იმ „ამბების“ მერმინდელი გამოძახილი იხ. ივ. ჯავახიშვილი, თბ. სახ. უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავისათვის: გაზ. „კომუნისტი“, 1938, 30.V, №122, გვ. 3; მისივე, Как создавался университет: газ. Заря Востока, 1938, №122, с. 2.

13. იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1935, 11 დეკემბერი, №286, გვ. 4.

1. იხ. ზემოთ, წერ. IV.

2. ივ. ჯავახიშვილი, შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი. გაზ. „საქართველოს შინამრეწველი", 1935, №9, გვ. 2-3. წერილი ხელმოუწერელია. ივ. ჯავახიშვილის ავტორობა თავის დროზე დაუმოწმებიათ ი. გრიშაშვილს და ა. შანიძეს. იხ. ტ. ს. უ-ტის „შრომები", წ. XVIII, გვ. XXII (№67). ი. ჯ-ის კერძო ბარათი სამისოდ არავითარ ეჭვს აღარ სტოვებს. მეცნიერის დასახელებული „წესი" ანოტირებულია წიგნში: კოტე კახიანი, გლეხის კარმიდამო იმერეთში, გვ. 21-23, თბ., 1964.

3. ნაგულისხმევი ჩანს ის ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება (ი. სტალინის და ვ. მოლოტოვის მიერ ხელმოწერილი), მთელი საბჭოური ისტორიოგრაფიის განვითარებისად გამიზნული, რომელიც ოფიციალურად სწორედ მაშინ ეუწყა ჩვენს საზოგადოებრიობას გაზ. პრავდის (1936 წ. 27 იანვ.) მოწინავის საშუალებით.*

4. სანუკვარი საქმე თითქოს უკვე კარგა ხნის წამოწყებული იყო. ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობას 1920 წ-გან „ქართული ძეგლების" წყებაში შეტანილი ჰქონდა ახალი სერია – „საისტორიო მწერლობა" (№1. ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოღრაფი გიორგი მონაზონისა. 1920, №2, ივ. ჯავახიშვილი, ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე. 1927). მაგრამ ამ მხრივ ბევრი იყო გასაკეთებული და ეს იყო ივ. ჯ-ის წერილში გამოხატული ზრუნვის საგანი (იხ. ქვემოთ).

5. Мат. (ериалы) по арх. (еологии) Кав. (каза), вып. I-XIV, 1880-1916.**

6. „ჰადიშის სახარება" (IX ს.) – უვაროვის სერიის ნაკვ. XIV. s. t. Адышское евангелие, под ред. П. С. Уваровой, А. С. Хаханова (Хаханашвили) и Е. С. Такайшвили, М., 1916.

7. ე. თაყაიშვილის „არქ. (ეოლოგიური) მოგზაურობა" – იმავე სერიის ნაკვ. вып. XII (М., 1990): s. t. Христианские памятники. Экскурсия Е. Такайшвили (sic), 1902 г.

8. Записки русского археологического общества. ამ საზოგადოების საგანგებო განყოფილებათაგან (отделение) აქ ვასახელებთ კლასიკურს განყ.-ს და აღმოსავლურს განყ.-ს, რომელთაც აგრეთვე თავიანთი სპეციალური Записки ჰქონდათ.

9. Scythica et Caucasica (-SC). Известия древних писателей, греческих и латинских, о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русск. переводом В. В. Латышев. Том I. Греческие писатели, СПб., вв. 1–3, 1893–1900. Приложение к «Запискам русск. археолог. о–ва». Том II. Латинские писатели, вв. 1–2, СПб., 1904–1906; Записки классич. отделения русского археол. о–ва.

10. ავტორს ესაჭიროებოდა: 1. **Д. Ф. Беляев,** Обзор, etc (სრული სათაური იხ. ქვემოთ, შენ. IX, 8); 2. მისივე, Ежедневные приемы византийских царей и праздничн. выходы их в храм св. Софии в IX-X вв.: Записки русск. археол. о–ва, новая серия, т. VI, СПб., 1892 г.

11. რაშიდ-ედ-დინ (1247-1318), ჯამი-ატ-ტავარიხ [„კრებული მატიანეთა"]. ამ ენციკლოპედიური ნაშრომის ნაწილების გამოცემათაგან (კატრმერი, ბლოშე, ბერეზინი და სხვ.) სახელდახელოდ მოხერხდა ბერეზინის გამოცემის შეძენა: «Сборник летописей». История монголов, соч. Рашид–эд–дина. История Чингиз–хана, etc, Труды вост. отд. русск. археол. общества, ч. XV, СПб., 1888. ივ. ჯავახიშვილის „ქართვ. ერის ისტორიის" მესამე ტომში ფართოდ არის გამოყენებული რაშიდ-ედ-დინი. 1940 წლის აქით საბჭოთა ირანისტებმა შეასრულეს ამ საუცხოო ენციკლოპედიის ნაწილების ახალი გამოცემები (ლენინგრადი, ბაქო).

12. **К. А. Иностранцев.** Торж. выезд, etc., СПб., 1905.

13. **П. М. Мелиоранский,** Араб–филол. о тур., изд. фак–та вост. яз. СПб. ун–та, СПб., 1900.

---

* რუს. ტექსტი იხ. «На фронте исторической науки». Партиздат ЦК ВКП (б), 1936.

** მოსკოვის არქეოლ. საზოგ-ბის ილუსტ. პუბლიკაციები.

14. **П. М. Мелиоранский,** Араб–филол. о монгольск. яз. Записки вост. отд. русск. археол. об–ва, т. XV, СПб., 1904.

15. აკად. ვ. ვ. ბარტოლდი (1869-1930) – დიდი ისტორიკოსი აღმოსავლეთისა, რუს მეაღმოსავლეთეთა ისტორიული სკოლის ფუძემდებელი, რომლის მრავალ ფუნდამენტურ შრომათაგან ამ ბოლო წლებში გამოქვეყნდა პირველი ექვსი წიგნი (Сочинения, т. I-IV, VI, М. Л., 1963–1966). წერილის ავტორი, როგორც ეხედავთ, ძვირად აფასებს ბარტოლდის, ისე როგორც მარრის, ყოველ ნაშრომს, მოსწრაფე შეიძინოს რომელიც გინდა მათი გამოკვლევა.

16. აკად. ნიკო იაკობის ძე მარრი (1864-1934) – სახელოვანი ქართველთმცოდნე და კავკასიოლოგი. ღრმა კვალი დატოვა ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, არქეოლოგიის (ანისის ცნობილი გათხრები), ეთნოგრაფიის დარგში. მისი ნაბეჭდი შრომების ნუსხა მოიცავს 500-ზე მეტ დასახელებას (ნუსხა იხ. **Н. Я. Марр,** Избр. работы, т. I, стр. XI-XXVI, Л., 1933).

17. იგულისხმე ამავე წერილში ყრუდ მითითებული რუსული არქეოლ. საზ-ბა (Русск. арх. о–во), მისი განყოფილებებით (отделения). იხ. ზემოთ, შენ. 8.

18. **Н. П. Кондаков,** Иконография Спаса, СПб., 1905; მისივე, Иконография богоматери, тт. I-II, СПб., 1914–1915.

19. **Н. Адонц,** Армения в эпоху Юстиниана: Тексты и разыскания по армяно–грузинск. филологии, кн. XI, СПб., 1908.

20. **Н. Адонц,** Дионисий фракийский* и армянские толкователи: Bibliotheka armeno-georgica. IV. Пгд., 1915.

21. «Дневник похода Тимура в Индию»** Гияс–ад–дина Али, изд. Л. А. Зимина, под ред. В. В. Бартольда, Пг., 1915 (Тексты по истории Средней Азии, вып. 1).

22. **В. А. Жуковский,** Тайны единения с богом в подвигах старца Абу–Са´ида. Толкование на четверостишие Абу–Са´ида. Персидские тексты. СПб., 1899. შენ.: მომდევნო წერილში (VI) მოხსენიებული აბუ-საიდის ცხოვრების მოკლე რედაქცია იხ. ЗВО, XIII (1900), с. 145–146 და Отчет СПб. унив–та, 8. II, 1895.

23. **В. В. Бартольд,** Туркестан в эпоху монгольского нашествия, ч. I. Тексты, СПб., 1898; ч. II, Исследование, СПб., 1900. ახალი გამოცემა იხ. **Бартольд,** Сочинения, I, М., 1963.

24. ნ. მარრის (1864-20. XII. 34) აქ ნავარაუდევი სახსოვარი კრებული, რომელშიც მონაწილეობა ივ. ჯ-ისთვის შეუთავაზებია რედაქტორს (და ნ. მარრის სახ. ენისა და აზროვნების ინსტ-ტის მაშინდელ დირექტორს) აკად. მეშჩანინოვს, იხ. s. t. Сборник памяти академика Н. Я. Марра, М.–Л., 1938. საერთოდ ივ. ჯ. მწუავედ განიცდიდა ნ. მარრის გარდაცვალებას. იხ. მისი „აკად. ნ. მარის ხსოვნას": ბოლშევიკური კადრებისათვის, 1934, №21.

VI

1. იხ. შენ. V, 22.

2. Записки восточн. отделения русского археологического о–ва (ЗВО), т. XVII, вып. II-III.

3. **А. А. Ромаскевич** (1885–1942) – საბჭოთა ირანისტი.

4. იხ. შენ. V, 22.

5. ავტორის მდიდარი წიგნსაცავი (სხვა ბარგთან ერთად), პეტროგრადიდან თბილისს გადმოგზავნილი, სათანადო ეკონიანად დაიკარგა გზაში სამოქალაქო ომის პირობებში (1918 წ.). ეს იყო

---

* ძვ. წ. II ს. ავტორი გრამატიკული ტრაქტატისა.

** თემურ-ლენგის ოფიც. ისტორიის უძველესი რედაქცია.

დიდი დანაკლისი. ამის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I³, გვ. 376, შ. 5.

6. იხ. შენ. V, 5.

7. იხ. შენ. V, 24.

8. **Ф. Браун,** Разыскания в области гото–слав. (янских) отношений, I, СПб., 1899.

VII

1. იხ. შენ. V, 22.

2. Oscar von Lemm, Iberica: Записки имп. Академии Наук. Mém. de l'Acad. imp. des Sciences de St.-Pb., VIII Série По ист.–фил. отдел–ю, т. VII, №6, S.-Pb., 1906.

3. Oscar von Lemm, Zur Geschichte der Bekehrung der Iberer zum Christentum. Kleine Kopt. Studien IX: Bull. de l'Académie. 5-me Série. x (1890), p. 416 ff.

4. „ქართლის ცხოვრება" (=ქ"ცა) ბროსეს 7-ტომეულ გამოცემაში წარმოდგენილია შემდეგი გეგმით: ქართ. ტექსტები (თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერის საფუძველზე) დაბეჭდილია ორ ნაწილად (partie) I და II (სპბ., 1849-1854). აქედან ნაწ. I დაიბეჭდა ორ „რეგულად", livraison-ად (1849-1850). ბროსესმიერი ფრანგული თარგმანი: Histoire de la Géorgie, I p., S.-Pb., 1849; II p. (Histoire moderne), I livr. (1856), II livr. (1857). ტომების (volumes) მიხედვით: vol. I: ქ"ცა, ნაწ. I, vol. 4: ქ"ცა, ნაწ. II; vol. 2: ფრანგ. თარგ.: I p., S.-Pb., 1849; vol. 5: II p., I liv. (1856); vol. 6: II p., II liv. (1857). ტექსტებს ერთვის: vol. 3: Additions et éclaircissements (1851), vol. 7: Hist. de la Gé. Introduction et Tables des matières (1858).

5. Voyage archéologique en Transcaucasie. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848; 1-3 livrasions, S.-Pb., 1849-1851. სომხეთის (ეჯმიაწინი და ანისი) სიძველეებს დათმობილი აქვს მხოლოდ წ. 1-ის ნაწილი.

6. Bibliographie analitique des ouvrages de M-r Marie Félicité Brisset. 1824-1879. – ამ შესანიშნავ „ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას" უძღვის წინასიტყვა, Avant-propos, ხელმოწერილი შემდგენლის, მარი ბროსეს ძის, მიერ: Laurent Brosset.

7. Beiträge, etc. – ეს არის გამაერთიანებელ სათაური სტატიებისა, რომელთაც დორნი (Bernhard Dorn, რუსობაში Борис Андр–ч, 1805–1831) ბეჭდავდა პეტერბ. აკადემიის ორგანოში: Mémoires de l'Akadémie, 1840-1847 წწ., ნაკვ. I-V (?), უკანასკნ. ნაკვეთი – დამატებით.

8. The Old Testament in Greek according to the Septuagint, I-II, Cambrige, 1909-1912 (H. B. Swete-ს რედაქც.). ოქსფორდის გამოცემად იგულისხმება ე. წ. ახალი აღთქმის წიგნები.

9. The Old Testament in Latin, II.

VIII

1. იხ. შენ. V, 21.

2. იხ. შენ. V, 13.

3. იხ. შენ. V, 19.

4. შდრ. თბ. უნივ-ტის სამეცნ. კრებ. „ჩვენი მეცნიერება", №17-18 (1926), გვ. 108. აქ ცნობაა, რომ სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა უ-ტის ახალი წესდება, რომლის თანახმადაც უ-ტის „გამგეობის" თავმჯდომარედ და უ-ტის რექტორად უ-ტის საბჭოს მიერ არჩეულ იქნა თ. ღლონტი. – ივ. ჯ. რექტორად არჩეული იყო 1919 წ. დამლევს.

5. „ბრძოლა“ („დაუნდობელი ბრძოლა“), რომელზეც აქ და სხვა წერილებშიც წერს ავტორი, ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ აქა-იქ (იხ. წინასიტყვაობა და შენიშვნები) რაოდენადმე ლიტერატურის მითითებით.

6. იხ. შენ. XXVI, 3.

7. იხ. შენ. V, 13.

8. იხ. შენ. V, 19.

9. იხ. შენ. II, 4.

IX

1. იხ. შენ. VII, 4.

2. იხ. შენ. III, 4.

3. იხ. შენ. IV, 14.

4. იხ. შენ. V, 10.

5. საისტ. ფრონტის გახსნის შედეგად (შენ. V, 3).

6. იხ. ქვემოთ, შენ. X, 1.

7. იხ. წერ. VIII.

8. **Беляев,** Обзор главных частей Большого дворца византийских царей. დაბეჭდილია ამავე ავტორის ნაშრომში: Byzantina, кн. I, 1891; აგრეთვე: Записки русск. археол. о–ва, Новая серия, т. V, 1891.

9. ზუსტი სათაური იხ. შენ. V, 10 (2).

10. **Н. П. Кондаков,** Памятники христианского искусства на афоне, СПб., 1902.

11. **Н. П. Кондаков,** Македония. Археологическое путешествие, СПб., 1909.

12. Археологическое путешествие по Сирии и Палестине Н. П. Кондакова, СПб., 1904.

13. **Н. Я. Марр,** Ани. Книжная история города и раскопки на месте городища. Л.–М., 1934.

14. **Э. Э. Ленц,** Восточное оружие: Здрг. Э. Ленц, Собрание оружия (Гос. эрмитажа), СПб., 1908; მისივე, Опись собрания оружия графа С. Д. Шереметьева. С приложением 26 фототипич. таблиц. СПб., 1895 и др.

15. ივ. ჯავახიშვილის დასახელ. ნაშრომი დაიბეჭდა: ტფილისი, 1937.

16. **Ф. А. Браун,** Разыскания в области гото–славянских отношений, СПб., 1899.

17. იხ. შენ. V, 9.

18. თამარის პირველი ისტორიკოსი (XIII ს.), ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – პირველად აღმოჩნდა მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ (XVII ს.) შედგენილობაში (ტფ., 1906 წ.). ცალკე: „ისტორიანი“ („ცდა ტექსტის აღდგენისა“), აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941.*

19. დაიბეჭდა 1944 წ. ს. ტ.: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხო˜რება მეფეთ-მეფისა თამარისი. აკადემ. ჟურნ. ᲔᲜᲘᲛᲘᲡ-ს მოამბე, ტ. XIV, გვ. 317-357 (ცალკე ანაბეჭდი).

20. ახლა იხ. ჩვენი თარგმანი: "Басили, Жизнь царицы цариц Тамары: сб. "Памятники эпохи Руставели", Лгд., 1938, стр. 39–76. თარგმანს დედნად დაედო ივ. ჯ-ის ხელნაწ. ტ-ტი.

* შემდგომში ითარგმნა კ. კეკელიძის მიერვე: "История и восхваление вонценосцев", Тб., 1954.

X

1. 1937 წ. შ. რუსთაველის 750 წ. იუბილესთან დაკავშირებით, სათანადო ღონისძიებათა შედეგად, კერძოდ, ორგანიზებულ იქნა „შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი“ სპეციალური მიზნით — საიუბილეო გამოფენის მოსაწყობად თემაზე: „საქართველოს მატერიალური კულტურა XI-XIII სს.“. ამის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა: მისივე, „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“ (თბ., 1956), გვ. 49 და შდგ.

2. შ. ხიდაშელი — მაშინ შ. რუსთაველის მუზეუმის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, აწ. ფილოს. მეცნ. დოქტორი.

XI

1. იხ. შენ. V, 10 (2).

2. ჩვეულებრივ ეს ხერხდებოდა წიგნსაცავებთან არსებული „გამოსაცვლელი ფონდის“ ("Обменный фонд") საშუალებით.

3. როდესაც ეს სიტყვები იწერებოდა, დმანისის ნაქალაქარზე უკვე მიმდინარეობდა არქეოლოგიური კამპანია (I), რასაც მოჰყვა კამპ. II, 1937 წ. 26. VIII-გან, ივ. ჯ-ის ხელმძღვანელობით (ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, კრებ. „შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, გვ. 319).

4. იხ. შენ. V, 18.

5. იხ. შენ. IX, 14.

6. იხ. შენ. V, 9.

7. იხ. შენ. V, 11.

8. Материалы, etc., вып. X. (M., 1904), სადაც იხ. "Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию* графини Уваровой".

9. ვ. ნ. ბენეშევიჩი (1874-1943) — საბჭ. ბიზანტინისტი, კანონიკური სამართლის სპეციალისტი. ჟ. "Христианский Восток"**-ის ფურცლებზე თანამშრომლობდა ნ. მარრთან, კ. კეკელიძესთან, ი. ჯავახიშვილთან, გ. ჩუბინაშვილთან და სხვ. აინტერესებდა, სპეციალობისდა გვარად, ქართული სიძველეები. იხ. მისი "Грузинск. велик. номоканон по спискам Тифлисск. церк. музея, XB, тт. II и III. მასვე უკეთვნის ძველი სლავური ნომოკანონის წიგნი: **В. Н. Бенешевич**, Древнеславянская Кормчая XIV титулов без толкований. Т. I, СПб., 1907.

10. ვ. ნ. ბენეშევიჩის განზრახვა იყო თბილისში დაებეჭდა იუსტინიანეს (VI ს.) კანონთა წიგნიდან (Digestae) ექსცერპტები, რომლებსაც იგი აფასებდა, როგორც ეკონომიური ისტორიისათვის საჭირო მასალის შემცველ წყაროს.

11. თ. გონიაშვილი, სსრ მეცნ. აკადემიის ენის ინსტიტუტის უფ. მეცნ. თანაშრ.

12. „შჯულის კანონი“ (ბერძ. „ნომოკანონი“) შეიცავს ეკლესიის „მამათა“, მოციქულთა, საეკლ. კრებათა მიერ დადებულ კანონებს მორწმუნე ქრისტიანეთა „დასამწყსავად“, აგრეთვე საერო ნაწილს — სამოქალაქოდ (მეფისა და სხვა საერო ხელისუფალთაგან) დადგენილ წესებს ისევ ეკლესიის თაობაზე.

13. დიდი შჯულისკანონი (ბიზანტიაში ყალიბდებოდა VI ს-დან) აკად. კ. კეკელიძის მიერ მიჩნეულია ქართულზე არსენ იყალთოელის (X-XI ს.) მიერ თარგმნილად.

14. იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი), კალმასობა. ტ. 1-2, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტფ., 1936-1948. — რაც შეეხება „კალმასობის“ გამოცემას ჩვენის გეგმით (სრული ტ-ტი, კომენტ., გამოკელ., თარგმ.), ამ წამოწყებაზე მუშაობა გრძელდება.

*სვანეთის აღწერა იწყება 26-ე გვერდზე.

** т. I-VI (1912-1922), რედ. ნ. მარრი.

15. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. II: ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937.*

16. იხ. შენ. XI, 3.

XII

1. იხ. შენ. V, 9.

2. **Н. Марр,** Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорисм (Арабская версия): Записки Восточн. отдсления русск. археол. общ., т. XVI, СПб., 1905), Отд. отт., стр. 63–211.

3. იხ. შენ. V, 18.

4. იხ. შენ. V, 10 (2).

5. **Д. Ф. Беляев,** Byzantina, кн. I-III,** СПб., 1891–1907. Очерки, мат–лы и заметки по византийским древностям.

6. იხ. შენ. XI, 8.

XIII

1. **Н. Я. Марр,** Избранные работы, т. 1–5, М.–Л., 1933–1937. დიდი მეცნიერის ნ. მარის ნაშრომთა გამოცემის საქმე ჯერჯერობით, სამწუხაროდ, აქ აღნიშნული ხუთტომეულის პუბლიკაციით განისაზღვრა (ეს 5-ტომეული ძირითადად საენათმეცნიერო რიგისაა). ამათგან ტ. 3: Язык и общество (1934 г.), ტ. 5: Этно– и глоттогония Восточной Европы (1955 г.).

2. **И. И. Мещанинов,** Халдоведение. Баку, 1927.

3. სააზიო მუზეუმი (დაარს. 1818 წ. პეტერბურგს), შემდგომში სსრ აღმოსავლეთმცოდნეობის (აწ აზიის ხალხთა) ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება, შეადგენს აღმოსავლურ ხელნაწერთა (აგრეთვე ნაბეჭდი წიგნების ევროპულ და სხვ. ენებზე) უმდიდრეს კოლექციას ქართულის ჩათვლით. ქართველთმცოდნე აკად. მ. ბროსე (ტომით ფრანგი; რუსეთში მოღვაწეობდა 1837-1880 წწ.***) იყო შემქმნელი და მეურვე, კერძოდ, ქართულისა და სომხური ფონდებისა. აქვე დაცულია ბროსეს მდიდარი არქივიც.

4. იხ. წინა შენიშვნა.

5. პლ. ეგნატ. იოსელიანი (1809-1875) – ცნობილი ისტორიკოსი, არქეოლოგი.

6. ეს იყო მხატვარი როსსი, რომელსაც, მართლაც, შეუსრულებია ფრესკული მინიატურები XIX ს. 30-იან წწ.; პერსონალიებში, როგორც ამას უჩვენებს ივ. ჯ-ს წერილიც, ჩანან პატრიარქი (კათალიკოზი) ნიკოლოზ (XV ს.), მეფე გიორგი VIII (XV ს.) და ძე მისი ბაგრატი. მინიატურებს ახლავს ქართული განმარტებები (პლ. იოსელიანისა) და ფრანგულიც (ბროსესი). დაწვრილებით იხ. **Р. Р. Орбели,** Грузинские рукописи ин–та востоковедения АН СССР, вып. I, Л., 1956, 87 (стр. 93–94).

7. ასეთი კვლევის შედეგი, კერძოდ, იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV, თ., 1962, რედ. გ. ჩიტაია.

8. იხ. აქვე, შენ. 6.

---

* აღნიშნული „შესავლის“ წ. 1: საქ-ოს, კავკ-ისა და მახლობ. აღმოსავლეთის ისტ.-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

** წერილის ავტორს უშუალოდ სჭირდებოდა წ. 1 (იხ. შენ. IX, 8).

*** მის შესახებ მონოგრაფ. ნაშრომი იხ. შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თ., 1966; რუს. დოდაშვილი, მარი ბროსე – ქართ. მწერლობის მკვლევარი, თ., 1966.

9. ივ. ჯ. პეტერბურგს (პეტროგრადს) ცხოვრობდა 1895-1917 წწ.

10. იგულისხმე: საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი მხატვრობა.

XIV

1. იხ. შენ. V, 9.

2. იხ. წერ. VIII.

3. იხ. უ-ტის „შრომები", V (1936), გვ. 1-65.

4. იხ. შენ. XI, 15.

5. Проф. **А. Чикобава.** И. А. Джавахишвили, «Первоначальный строй и родство грузинского и кавказского языков»; газ. «Заря Востока», 1939 г., II, №29. H. Vogt, "La parenté des langues caucasiques" – "Norsk Lidsskrift for Sprogvidenscap", Bind XII, Oslo, 1942, p. p. 242-257, სპეც. გვ. 251-257.

6. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I: საქართველოსა, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1960, რედ. გ. ჩიტაია. – არ დაბეჭდილა წ. III.

XV

1. იხ. შენ. XIII, 2.

2. **И. И. Мещанинов,** Язык Ванской клинописи (Die Van-Sprache), т. II,* Структура речи, Л., 1935.

3. **J. Friedrich,** Beiträge zu Grammatik und Lexicon des Chaldischen. Caucasika, VIII, 1931.

4. **M. Tseretheli,** Die neuen haldischen Inschriften König Sardurs von Urartu: დაწვრილებით იხ. **Г. А. Меликишвили,** Урартские клинообразн. надписи, стр. 27, примеч. 6 и 7. М., 1960.

5. **Мещанинов,** Язык etc (Sen. XV, 2), Предисл., 18 и прим. 71, 75 и друг (აქ მეშჩ. ეკამათება ფრიდრიხს); იგივე, Предисл., 17 и прим. 68. (აქ მეშჩ. ეკამათება მ. წერეთელს).

6. მეშჩ. აღიარებს სახელდობრ: « ... приходится при всех сделанных выше оговорках все же признать, что вновь выдвинутые M. Церетели, A. Götze и J. Friedrich положения не оставляют никакого сомнения в необходимости кардинального пересмотра раньше намечавшихся структурных определений халдской речи» (Предисл., 17–34).

7. **Н. Генко,** Задача этнографического изучения Кавказа: ж. «Советская этнография», №4–5, М.–Л., 1936.

8. შდრ. გენკოს დასახ. წერილი (იხ. აქვე, წინა შენ. 7), გვ. 19 და 14.

9. აკად. ეგნ. ივლ. კრაჭკოვსკი (1883-1951) – ცნობილი არაბისტი.

10. მართლაც, ეს, როგორც იტყვიან ხოლმე, „ყველაფრიდან ჩანდა".

11. რევოლუციამდე აკადემიის წესდება მართლაც მოითხოვდა მის წევრად არჩეული პირი სათანადო ქალაქის ბინადარი გამხდარიყო.

12. აკად. ნ. იაკობის ძე მარრი (1864-1934), სტუდენტი ივ. ჯავახიშვილის პროფესორი, მთავარი ხელმძღვანელი ივ. ჯ-ისა ასპირანტობის მანძილზე და ბოლოს (1917 წ-მდე) თანამშრომელი სპბ-პგრადის უ-ტში.

---

* т. I, "Труды Ин–та языка и мышления", I, 1932.

13. სამაგისტრო დისერტაცია ("Государственный строй древней Грузии и древней Армении", т. I*) ივ. ჯ-ის მიერ დაცულ იქნა 1907 წ. 13 მაისს.

14. ივ. ჯ-ის „კურრიკულუმ ვიტე"-დან: პრივატ-დოცენტის წოდებულება მიენიჭა (ს. პბ. უ-ტში) 1903 წ., დოცენტისა — 1917, პროფესორისა, თბილისს, — 1918 წ.

15. მართლაც, როდესაც ივ. ჯ. შეუდგა სამეცნ. მუშაობას (სამეცნიერო ორგანოში პირველად დაიბეჭდა მისი ნაშრომი 1899 წ.**), ქართ. საისტ. ლიტერატურა მოიცავდა (დაახლოებით) შემდეგს: ბროსეს „საქართველოს ისტორიას" (დედანი — რუსულია), ნაწ. 1-2, ტფ., 1895-1900; დ. ბაქრაძის ნაშრომს — „ისტორია საქართველოსი (უძვ. დროიდამ X ს-ის დასასრ-მდე)", ტფ., 1889; ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიას" (გამოც. 2, თბ., 1894). რაც შეეხება წერილში დასახელებულ ჟორდანიას და თაყაიშვილს, ივ. ჯ-ს უნდა ეგულისხმა უმთავრესად პირველის „ქრონიკები და სხვა მასალა საქ-ოს ისტორიისა", წწ. 1-2, ტფ., 1892-1897 და თაყაიშვილის „სამი ისტორიული ქრონიკა" (ტფ., 1890) და ზოგი სხვა მისთანა.

16. სიტყვა ნასესხებია პალეოგრაფიაში დადგენილი ტერმინოლოგიიდან, ნიშნავს ხელგაკრულად, შავად, ნაუცბათევად დაწერილს ივ. ჯ-ის ამ გამოთქმებში მკითხველი კარგად გაარჩევს მორიდებული ავტორის სტილს, თორემ რა სჭირდა სასინანულო მის რაგინდარა ნაბეჭდს!

17. სწორად რომ ითქვას, მსგავსი დაპირისპირებაც, თუნდაც ასე ირონიულ ტონებში გამოხატული, თავისთვის დიდ პატივად შეეძლო მიეთვალა დასახელებულ „კალმოსანს", — მთელი მისი აქტიურობა და ინიციატივა ქართველოლოგიის სფეროში არა იყო რა, თუ არა გაუგებრობა, თუ არ უპასუხისმგებლობა, იმდენად პირობითი იყო მისი განსწავლულობა ამ სფეროში!

18. მიხ. შევარდნაძე (1884-1937) — დაიბ. ქ. ოზურგეთს (ქ. მახარაძე), დირექტორი საქ-ოს მუზეუმის ბიბლიოთეკისა, ერთ ხანს ქუთ. ქართ. გიმნაზიის გერმან. ენის მასწავლებელიც (1913-1918 წწ.). დარჩა სახელმძღ-ბი, 13 მარტს გადაჰყვა ფეხის ამპუტაციას.

XVI

1. ლ. რჩეულიშვილი — ხელოვნების მეცნიერებათა კანდიდატი.

2. აკად. გ. ჩუბინაშვილი (1885) — ხელოვნებათმცოდნე, ავტორი ფუძემდებლური შრომებისა, კერძოდ, საქართველოს და სომხეთის ხუროთმოძღვრების დარგში. უახლესი კაპიტალური ნაშრომები: Чеканное искусство в Грузии; Разыскания по армянской архитектуре და სხვ.

3. მეტეხის მუზეუმი — ქართ. ხელოვნების მუზეუმი (იმ ხანად მეტეხის ციხეში მოთავსებული), რომლის საფუძველზე შეიქმნა აწინდელი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

4. იგი არსებობდა ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიასთან.

5. აკად. ი. ორბელის რეკომენდაციით, ქართული მხატვრობის ლენინგრადში დაცული რიგი ნიმუშების პირები გადმოღებულ იქნა სპეციალისტი ქალის ქალბატონი ალაგალოვას ხელით, შდრ. წერ. XIII.

6. აკად. ი. ა. ორბელი (1887-1961), ირანული და კავკასიური ხელოვნების მცოდნე, სახელმწიფო ერმიტაჟის დირექტორი (1934-1951).

7. იხ. შენ. X, 1.

8. ამ წერილში (1937 წ. მარტის თორმეტს) აღნიშნული მქონდა, რომ აკად. ი. ორბელისგან ამ სტრიქონების ავტორს დაევალა — მის (ივ. ჯ-ის) ნაშრომთა სია გაემზადებინა. საქმე ეხებოდა ივ. ჯ-ის კანდიდატურის წარდგენას აკადემიკოსთა არჩევნებთან დაკავშირებით.

---

* დაიბეჭდა 6. მარრის სერიაში: "Тексты и разыскания по грузинской филологии", кн. VIII, СПб., 1905.

** „ბალავარიანის" რუს. თარგმ: "Мудрость Балавара": ж. «Записки восточ. отд–я русск. археол. о–ва», т. XI, СПб., 1899.

9. უთუოდ იგულისხმება ი. ორბელის განზრახვა – ივ. ჯავახიშვილის კანდიდატად დასახელებისა (იხ. წინა შენიშვნა).

10. დავ. კანდელაკი იყო საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლების კომისარი 1923-1928 წწ.

11. ავტორი ალბათ გულისხმობს 1926-სა (როდესაც გათავისუფლებულ იქნა რექტორის თანამდებობიდან) და მომდევნო წლებს.

12. დაახლოებით 1936 წლიდან (იხ. წერ. IX).

13. იხ. უ-ტის „შრომები", V (1936), გვ. 1-65.

14. იხ. წერ. XV.

15. იხ. შენ. XI, 15.

XVII

1. იხ. წერ. XIII.

2. იგულისხმე მხატვარი ქალი – ალაკალოვა. იხ. შენ. XVI, 5.

3. იხ. წერ. IX.

4. იხ. შენ. XI, 15.

5. დაიბეჭდა მოგვიანებით ს. ტ.: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხო˜რება მეფეთ-მეფისა თამარისი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. XIV, თბ., 1944, გვ. 317-357 და ცალკე ანაბეჭდი.

6. საქმის დაჩქარებისათვის, რათა ამ სტრიქონების ავტორს თამარის ისტორიის ტექსტის თარგმნისას გამოდგომოდა (იხ. შენ. IX, 19, 20).

XVIII

1. იხ. წერ. XIII.

2. აქ იგულისხმე: Гос. Публичн. библ–ка им. Салтыкова–Щедрина (მისი ბიზანტიური განყ-ბა).

3. შეიცავს ქართულს და ბერძნულ ტექსტებს (ოთხთაviდან, დაბადებიდან), მინოლოგს და ა. შ. წმიდათა და საეკლ. დღესასწაულთა ამსახველი საუცხოო მინიატურებით. იხ. **Н. Окунев**, О грузино–греческой рукописи с миниатюрами. Христианск. Восток, т. I, вып. I, с. 43–44. СПб., 1912.

4. იხ. შენ. XIII, 3.

5. იხ. შენ. XVI, 5.

6. საკავშ. მეცნ. აკადემიის საქართ. ფილიალი.

7. **И. Толстой и Н. Кондаков**, Русские древности в памятниках искусства, вып. I-VI, СПб., 1889–1899.

8. იხ. შენ. VII, 8.

9. იხ. შენ. XI, 15.

XIX

1. მოხსენება წაკითხული იყო 1937 წ. 31 მაისს ილ. ჭ-ძის დაბადების 100 წლისთავზე ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (-ენიმკი), რომელიც მაშინ წარმოადგენდა სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალს.

2. დაიბეჭდა იმავე სათაურით, ტფილისი, 1938 წ.

3. „სპარსულ-ქართული ცდანი“ 1 (ლგდ. 1926), რომელიც მოიცავს იური (იგივე ფრიდონ, გიორგი) მარრისა და კარპეზ დონდუას ნარკვევებს, ვახტანგ VI-ის ასტრონომიული ნაშრომებისადმი მიძღვნილს.

4. Христианский Восток. Серия посвящ. изуч–ю христ. культуры народов Азии и Африки, тт. I-VI, 1912-1922 (СПб., Пгд.). რედ. **ნ. მარი.** სერია გაიხსნა ივ. ჯ-ის გამოკვლევით.

5. ჟ. "Язык и Мышление" იყო საკავშ. მეცნ. აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ორგანო.

6. **Анания Ширакец** (XII в.). Вопросы и решения. Пгд., 1918. перев. И. А. Орбели.

7. არქეოლოგი ეპ. პორფირი უსპენსკის (1804-1885) ფონდი დაცულია საკავშ. მეცნ. აკად-ის არქივში.

8. **В. Бенешевич,** Изображение груз. царя Давида Строителя на иконе Синайского мон–ря. Хрис. Восток, т. I, вып. 1, с. 62–68, СПб., 1912. (იხ. აქვე, შენ. 4).

9. იხ. შენ. XVIII, 2.

10. კრებულს ზედ წარწერილი აქვს: "Разнояз. [ычные мат–лы], 0. 1, №56".

11. იხ. ალნიშნ. კრებულის ფ. 43.

12. იხ. ალნიშნ. კრებ-ის ფ. 30.

13. იხ. შენ. XVIII, 7.

14. **А. Н. Кубе,** История фаянса, Берлин 1923; misive: История фарфора... შდრ. შენ. XXI, 6.

15. **И. А. Орбели, К. В. Тревер,** Сасанидский металл. Художеств. предметы из зол., серебра и бронзы, М.–Л., 1935.

16. **Н. Н. Соболев,** Очерк по истории украшения тканей, М.–Л., 1934.

17. იხ. შენ. IX, 14.

XX

1. იხ. შენ. IX, 14.

2. იხ. შენ. XIX, 14.

3. Академия истории материальной культуры (ГАИМК), 1919–1937; 1937 წ. გარდაიქმნა იმავე პროფილის ინსტიტუტად.

XXI

1. იხ. წერ. XIX.

2. იხ. შენ. XI, 9, 10.

3. **Г. Г. Гагарин,** Собрание византийских, грузинских и древнерусских орнаментов и памятников архитектуры. Серия 1–3, СПб., 1897–1903.

4. **П. К. Степанов,** История русск. одежды, вып. I, Пгд. (S. d.).

5. Galerie des peintres célébres, I-II. Paris, 1844.

6. Русский художественный фарфор. Сб. статей о госуд–ном фарфоровом заводе, Лгд., 1924.

7. **С. Н. Тройницкий,** Английскос серебро, Пгд., 1923.

8. იხ. შენ. XIX, 14.

9. დმანისის გათხრების განახლებას გვიფერხებს... I არქეოლ. კამპანია წარმოებდა 1936 წ. აგვისტოს 22-გან ოქტომბრის 29-მდე. განახლდა დაგვიანებით: 1937 წ. აგვისტოს 26-გან

(და დასრულდა ოქტომბრის ორს თუ სამს). გათხრების შედეგები იხ. ლ. მუსხელიშვილი, დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა: კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა". ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 317-448. რუს.: Л. Мусхелишвили, Раскопки в Дманиси: ж. "Совстская археология", VI, 1940, стр. 258–288.

XXII

1. იხ. შენ. XX, 9.

2. გათხრა წარმოებდა 1937 წ. ზაფხულში. გათხრების შესახებ იხ. შ. ხიდაშელის ანგარიში ზემოთ დასახელებულ კრებულში (ნახე ზემოთ, შენ. XXI, 9).

3. ქუქანკობა: „ თუითოი შვილი მათი ქუქანკად გაისწავლებოდის და პკაზმიდენ მას წყაროსა" (1202 წ. სიგელი; ივ. ჯავახიშ., ქართ. სამართლის ისტ., წ. 2, ნაკვ. I, გვ. 76).

4. იხ. შენ. XXI, 9.

5. ეს სინანული ჰპასუხობს ცნობას (ჩემი წერილი 1937. 15. VIII-ისა), რომ ამაო იყო პროფ. ვ. ბენეშევიჩის ცდა — ეპოვნა დავით აღმაშენებლის სურათი. იხ. შენ. XXI, 1.

6. იხ. შენ. XIX, 11.

7. იხ. შენ. XVII, 5.

8. იხ. შენ. XI, 15.

9. იხ. შენ. XVII, 5.

XXIII

1. ამ სიტყვების მთქმელი 61-ე წ-ში იყო გადამდგარი.

2. **Н. Н. Соболєв**, Очерки, etc. М.–Л., 1934.

3. «Агрикультура» etc, под. ред. О. А. Добиаш–Рождественской и М. И. Бурского, М.–Л., 1936.

4. იხ. შენ. IX, 11.

5. Труды V археологического съезда в Тифлисе, 1881, М., 1887.

6. ასეთ მასალას (ფაქსიმილეები, ნახატები) შეიცავს "Труды"-ც (იხ. შენ. 5) და ცალკე კიდევ: Протоколы подготовительного комитета V археологического съезда в Тифлисе, М., 1882.

XXIV

1. საფოსტო მისამართით: თბილისი, კალინინის ქ. №66.

2. იგულისხმება კრებ.: "Памятники эпохи Руставели", Лгд., 1938.

3. **Басили**, Историк царицы Тамары. Памятники (იხ. წინა შენ.), გვ. 33-76. დედანი: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხო˙რება (იხ. ზემოთ, შენ. XVII, 5).

4. იგულისხმე: საიუბ. კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა". პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1938, I-VIII+467 გვ.

5. იხ. გაზ. "Правда", 1938 წ. 22. III, №80.

6. ერმიტაჟის დირექტორი 1934-1951 წწ. იყო აკად. ი. ორბელი.

7. იხ. შენ. IX, 15.

8. იგულისხმებიან ხელისუფლებისგან რეპრესირებული პირები.

9. იხ. შენ. VII, 8.

XXV

1. **Б. Греков и А. Якубовский,** Золотая Орда, Л., 1937.

2. კერძოდ, დასახელებულ "З. Орда"-ში (იხ. წინა შენიშვნა) შესავალში ზოგადად განხილულია XI-XIII სს. „დეშტ-ი-ყიფჩაკი“ (გვ. 11-24).

3. იხ. ივანე ჯავახიშვილი, ცნობები რუსეთის შესახებ ქართულ წყაროებში და საქართველოს შესახებ რუსულ წყაროებში XI, XII, XIII სს. ენიმკი-ს მოამბე, IV_2, ტ. 1938, გვ. 73-100. ახლა იხ. მისივე „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), გვ. 190 და შდგ., თ., 1956.

4. იხ. შენ. XVII, 5.

5. იხ. შენ. XI, 15.

6. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თ., 1938.

7. იხ. შენ. XVIII, 1-2.

8. იხ. შენ. XXII, 4.

9. იხ. შენ. XXII, 2.

10. ЗВО, XX (1910) და XXX (sic). სულ გამოვიდა 25 ტომი (უკანასკნელი: 1921 წ.).

11. **Н. Марр,** Сборник притч Вардана. Материалы для истории средневековой армянской литературы, ч. I. Исследование, СПб., 1899, ч. II. Текст, СПб., 1894, ч. III. Приложения, СПб., 1894. ნაწ. III შეიცავს 10 სათანადო (ეჩმიაწინის) ხელნაწერის აღწერას საძიებლით, არაბულსა და სხვა ტექსტებს და ა. შ. (ნაშრომმა, 1899 წ. 23 მაისს საჯაროდ დაცულმა, ავტორს მოუპოვა მაგისტრის ხარისხი).

12. **Iosephus Flavius,** Sämtliche werke, von Johann Friedrich Cotta, Tübingen, 1735.

XXVI

1. **Ф. И. Успенский,** История византийской империи, т. I, СПб., 1913; т. II, ч. I, Л., 1927;* т. III, М.–Л., 1948.

2. Северн. морской путь. სანაოსნო მაგისტრალი, მიდის ჩრ. ყინულოვანი ოკეანის გასწვრივ ახალი მიწიდან ბერინგის სრუტემდე. აწარმოებდა საფოსტო ოპერაციებსაც.

3. იგივე ალექსანდრე ჯავახიშვილი, აწ ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

4. აქ ნავარაუდევი წერილი ავტორს, ავადმყოფობის გამო, ვერად დაუწერია. მის ნაცვლად დაწერილი ჩანს 1938 წ. 2. VIII-ით დათარიღებული ბარათი, რომელშიც მართლაც ერთი ცნობა ეხება „კოლექტიური სამუშაოს გეგმას“ (იხ. ქვემოთ).

XXVII

1. იგულისხმება 1938 წ. 18. VII-ით დათარიღებული წერილი.

2. იხ. შენ. XXVI, 1.

3. **В. В. Бартольд,** Улугбек и его время, Пгд., 1918. см. **В. В. Бартольд,** Сочинения, т. II, ч. 2 (М., 1964), стр. 25–196.

---

* ნაწ. 2 არ დაბეჭდილა. შდრ. ტ. III, წინასიტყვაობა, გვ. 7.

4. **Стэнли Лэн-Пуль,** Мусульманские династии. Хронологич. и генсалогические таблицы с историческими введениями. Перевел с англ. **В. Бартольд,** СПб., 1899.

5. დღემდე ცნობილია ერთადერთი, 1899 წ. გამოცემა.

6. ავტორის კაპიტალური ნაშრომი „ქართველი ერის ისტ." (წ. 1-5). მაშინ სწორედ XIII ს-მდე იყო მიყვანილი. იხ. წ. II, ტფ., 1914.

7. აკად. ნ. ა. ბერძენიშვილი (1895-1965), საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი.

XXVIII

1. იხ. წერ. XXVII.

2. **В. И. Сергеевич,** Русские юридические древности, 3 тт. СПб., 1890–1903.

3. **В. И. Сергеевич,** Лекции и исследования по истории русского права, СПб., 1883.

4. იხ. შენ. XI, 15.

5. იხ. შენ. XXV, 6.

XXIX

1. იხ. წერ. XXVII.

2. აკად. ს. ჯანაშია (1900-1947) – სახელოვანი ქართველთმცოდნე, ისტორიკოსი.

3. დასახელებული სამი ავტორის მუშაობის უშუალო შედეგი (მაკეტის სახით) იხ. „საქართველოს ისტორია უძველ. დროიდან ჩვენს დრომდე". თბ., 1940.

4. იხ. შენ. XXV, 6.

5. იხ. შენ. XI, 15.

XXX

1. იხ. წინა წერილი.

2. იხ. შენ. VII, 8.

3. იხ. ქვემოთ, შენ. XXXIII, 4.

4. გადაწერილია ოშკის ლავრაში (თორთუმის ტბასთან) მე-X ს. ახლა იხ. წიგნი ძუელისა აღთქმისანი. 978 წლის ხელნაწერის (=ოშკის დაბადება) მიხედვით. ტ. 1, ნაკვ. 1: დაბადებისაჲ. გამოსლვათაჲ. გამოსცა აკაკი შანიძემ. თ., 1947. იმავე ტომის ნაკვეთი 2: ლევიტელთაჲ. მსაჯულთაჲ. რუთისი. იობისი. ესთაჱსი. გამოსცა აკაკი შანიძემ. თ., 1948.

5. შეიძლებოდა აქ გვეგულისხმა ლექციების კითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაგრამ ივ. ჯ.-ს ლექციები ჩაუტარებია საქართველოს მუზეუმის მუშაკთათვისაც (1939 წ.). საქართველოს ნივთიერი კულტურის დარგში ჩვენი მეცნიერის მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს მისი წიგნები: „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თ., 1946 (ილია აბულაძის წინასიტყვაობით). III-IV. ტანისამოსი, ქსოვილები, ეტც., თ., 1962 (გ. ჩიტაიას რედაქციით).

6. იხ. შენ. VII, 8.

7. **В. Г. Васильевский,** Труды, т. т. 1–4. СПб., Л., 1908–1930.

8. **А. Н. Веселовский,** Собрание сочинений, т. 1–6, 8, 16, П., 1908–1938.

XXXI

1. Ta biblia, ed. ἐν Μοςχα [მოსკოვს], 1821.
2. იხ. შენ. VII, 8.
3. იხ. ქვემოთ, წერ. XXXIII.
4. **Худуд ал-алем.*** Рукопись Туманского. С введением и указателем В. Бартольда, Л., 1930 (თარგმნილია და კომენტირებული ვ. მინორსკის მიერ, ლონდონი, 1937).
5. იხ. შენ. XXVII, 3.
6. იხ. შენ. XXX, 8.

XXXII

1. **В. В. Бартольд,** Историко–географический обзор Ирана, СПб., 1903.
2. იხ. შენ. V, 23.
3. Армянская география VII века, издал К. П. Патканов, СПб., 1877.
4. **М. Д. Приселков,** История русского летописания XI-XV вв., Л., 1940.
5. ი. ჭყონია, სიტყვის-კონა, СПб., 1910.
6. ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა: იმერ. და რაჭულ თქმათა. СПб., 1912.

XXXIII

1. Путешествие** ибн–Фадлана на Волгу, перев. и комментарии, под ред. **И. Ю. Крачковского,** 1939.
2. Иранское искусство и археология. III Междунар. конгресс, 1935, М.–Л., 1939.
3. იხ. შენ. V, 4.
4. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (დაფუძნდა სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის შედგენილობაში, განაგრძობდა არსებობას საქ. მეცნ. აკადემიის სისტემაშიც).
5. ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება. XVIII ს. დამდეგი. I: ტექსტი. ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით. თ., 1940 (სერია: ქართ. საისტორიო ძეგლები).
6. იხ. შენ. IX, 19. — ივ. ჯავახიშვილის მიზანშეწონილი გეგმით, აქ ჩამოთვლილი ბასილი ეზოს-მოძღვრის ნაშრომი, დავით აღმაშენებლის ისტორია (XII ს.), „მატიანე ქართლისაჲ“ (XI ს.) და „ჯამთააღმწერელი“ (XIV ს.), ისე როგორც დანარჩენი საისტორიო ძეგლები, რომელთაც ჩვენს დრომდე მოულწევიათ „ქართლის ცხოვრების“ ძველ კრებულში, დაცვის მიზნით ერთად ჩაკერებულებს, უნდა გამოცემულ იქნენ ცალ-ცალკე.
7. ეს ძეგლი მოიცავს ისტორიულ ხანას დაახლოებით 1072-გან 1125 წლამდე.
8. დასახელებული ძეგლი მოიცავს ხანას დაახლოებით 730-გან 1072 წლამდე.
9. ჯამთა აღმწერელი (ბერძნ. შესატყვისით: ხრონოგრაფი) — მონღოლთა საქართველოში ბატონობის ხანის (XIII-XIV სს.) ჩინებული მეისტორიე.

---

* შეიძლება ასე ითარგმნოს: „ქვეყნიერების მხარეები“.

** ეს მოგზაურობა (X ს-ის დამდეგი) არაბულიდან თარგმნა, კომენტარების დართვით, А. П. Ковалевский–მ (см. Крачковский, Избран. соч., IV, стр. 185 и примеч. М.–Л., 1957).

10. გიორგი მთაწმიდელი. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. ა. შანიძის რედაქციით და ზედდართული გამოკვლევით: „გიორგი მთაწმიდლის ენა“ etc., თბ., 1946.

11. გიორგი ხუცეს-მონაზონი (XI ს.), ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“.

12. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (VIII ს.) – მოიცავს საერო ისტორიის ელემენტებს (კერძოდ, წარმართული ხანის მეფეთა გენეალოგიას) და ქართველი ხალხის ქრისტიანობისადმი მობრუნება-მოქცევის ამბავს.

13. ამ ძეგლის ძველ გამოცემათა შესახებ სორიენტაციო ცნობები იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართული სასტორიო მწერლობა, სპეც. გვ. 102; თბ., 1945.

14. იხ. შენ. XXIV, 2.

XXXIV

1. შდრ. წერ. XXVIII, კიკეთში დაწერილი.

2. ერთი კრებ.: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, წ. V-VI, თ., 1940. 1899-1939. აკადემიკოსის ივანე ჯავახიშვილს სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლის თავზე. მეორე კრებ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X, თ., 1940.

3. История СССР. С древнейших времен до образования древнерусского государства. Чч. I-II, М.–Л., 1939; чч. III-IV, М.–Л., 1939. Академия наук СССР. Институт истории материальной культуры им. Н. Я. Марра. На правах рукописи.

4. შდრ. იგივე ნაშრომი, ნაწ. III, გვ. 160 (და 107). – ცნობილია, რომ მესროპ-მაშტოცს (IV-V ს.) ზოგან მიაწერენ სომეხთა, ალბანთა და ქართველთათვის ანბანის შემუშავების ღვაწლს. ამის შესახებ, კერძოდ, იხ. ცნობილი არმენისტის მანუკ აბელიანის წიგნი История древнеармянской литературы, Ереван, 1948, გვ. 72 და 73. ამ ვერსიის უარმყოფელი დებულება იმის შესახებ, რომ მესროპის გამომგონებლობის ამბავი ქართველთა და ალბანთა მიმართ პირველწყაროში არ ჩანს და იგი მხოლოდ მერმინდელ მწიგნობართაგან შექმნილი ვერსიაა, წამოაყენა და დეტალურად გამოიკვლია ივ. ჯავახიშვილმა ნაშრომში „ძველი სომხური სასტორიო მწერლობა“, წ. I, სპეც. გვ. 158-159 და სხვაგან. თბ., 1935.

5. ტრადიციული, მეცნიერულ კრიტიკას არიდებული დათარიღება V საუკუნით სომეხთა ისტორიკოსის მოსე ხორენელის ნაშრომისა („სომხეთის ისტორია“) დიდი ხანია სპეციალისტების მიერ ეჭვმიტანილია, ახლებური დათარიღების მიჯნები მერყეობს VI-VII-სა და VIII-IX საუკუნეებს შორის (ნ. მარრი, ს. ჯანაშია, ლ. მელიქსეთ-ბეგი და სხვ.).

6. საქმე ეხება თამარის ეპოქის (XII-XIII სს.) საქართველოს მთავრობის – სავაზიროს წევრების, ძმები მხარგრძელების, ასე ვთქვათ, ვინაობას. ცნობილია, რომ უფროსი ძმა ზაქარია იყო საქართველოს ამირსპასალარი, უმცროსი, ივანე – ათაბაგი. არმენისტიკულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია ფუჭი დებულება, თითქოს ზაქარია და მისი შთამომავალნი საქართველოში გამოდიოდნენ არა მხოლოდ როგორც ხელისუფალთაგანნი, ვეზირები, არამედ როგორც საქართველოს ფარგლებში (ომების შედეგად) გაერთიანებული ადრინდელი სომხური სამეფო-სამფლობელოების უმეტესი ნაწილის ავტონომიური მმართველები, ქართველთა მეფის „ვასალები“. ამ თვალსაზრისის გამტარებლები ზაქარიას შთამომავალთ ბეკნიად აერთიანებენ გრეციზირებული ფორმით შემოსილი ხელოვნური გვარსახელით – „ზაქარიდები“ (ნამდვილი გვარსახელის – „მხარგრძელები“-ს უგულებელყოფით), ამ საშუალებით ხაზს უსვამენ რა მხარგრძელთა ვითომ დინასტიურ

ძალაუფლებას. შდრ. „სომეხი ხალხის ისტორია“, ნაწ. I, ბ. ნ. არაქელიანის და ა. რ. იოანისიანის რედაქციით (რუს. ენაზე), გვ. 164-165; ერევანი, 1951.

7. См. Рец.: **С. Н. Джанашиа,** "История СССР" и история народов Кавказа. О неудовлетворительном освещении истории кавказских народов в учебнике для ВУЗ–ов, т. I-II., газ.: "Известия", 1940, II, VII. Он же: «Письмо в редакцию». ж. «Историк–марксист», 1940, №12, стр. 141–149.

ეს რეცენზია უშუალოდ ეხმაურება არა ზემოთ (იხ. შენ. 3) აღნიშნულ გამოცემას (მატერ. კულტურის აკად-ის ინ-ტისას), არამედ მცნ. აკად-ის ისტორიის ინსტიტუტის ორ-ტომეულს: Учебник для ВУЗ–ов, 1939–1940. შდრ. ჯანაშიას შრომების ბიბლიოგრაფია, №№73-74 და 89-90.

8. საკავშირო აკადემიის პრეზიდენტის პოსტი 1936-1945 წწ. ეჭირა აკად. ვ. ლ. კომაროვს.

9. აკად. ბ. დ. გრეკოვი (1882-1953), საბჭ. რუსეთის ისტორიკოსი.

გადაბეჭდილია: ჟურნალი „მნათობი“, 1968, №9 (ჟურნალ „მნათობში“ მოთავსებული პუბლიკაციის ავტორია პროფესორი ვარლამ დონდუა).

24. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრკ-ის სახკომსაბჭოს დადგენილება

იმ მიზნით, რომ გადაისინჯოს და გაუმჯობესდეს, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში კიდევაც გადაკეთდეს ისტორიის უკვე დაწერილი სახელმძღვანელოები, — შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ჟდანოვი (თავმჯდომარე), რადეკი, სვანიძე, გორინი, ლუკინი, იაკოვლევი, ბისტრიანსკი, ზატონსკი, ფაიზულა ხოჯაევი, ბაუმანი, ბუბნოვი და ბუხარინი.

კომისიას მიენიჭოს უფლება — შეჰქმნას ჯგუფები ცალკეულ სახელმძღვანელოთა განსახილველად, აგრეთვე გამოაცხადოს სახელმძღვანელოთა კონკურსი იმათ ნაცვლად, რომელთა რადიკალური გადაკეთება საჭიროდ იქნება აღიარებული. პირველ რიგში განხილულ უნდა იქნას სსრკ-ის ისტორიის ელემენტარული კურსისა და ახალი ისტორიის სახელმძღვანელოები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ი. სტალინი.

1936 წლის 26 იანვარი.

25. მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი

ი. სტალინის, ა. ჟდანოვის და ს. კიროვის შენიშვნები სამოქალაქო ისტორიის სახელმძღვანელოების კონსპექტებზე

ისტორიის სწავლება ჩვენს სკოლებში

1934 წლის 16 მაისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ. ამ გადაწყვეტილებაში გაკრიტიკებული იყო ის მდგომარეობა, რომ ჩვენს სკოლებში, ნაცვლად კონკრეტული ისტორიის სწავლებისა, უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და ფაქტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემისა, ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათებისა, — ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციების აბსტრაქტულ განსაზღვრათა სწავლებას. ძველი მსოფლიოს და შუა საუკუნეების ისტორიის, ახალი ისტორიის, საბჭოთა კავშირის ისტორიის და დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების ახალი ისტორიის სახელმძღვანელოთა შესადგენად სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შეჰქმნეს ხუთი ჯგუფი, რომლებსაც თავიანთი მუშაობა 1935 წლის ივნისისათვის უნდა დაემთავრებინათ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ახალი სახელმძღვანელოების ხასიათის განსაზღვრასა და მათს შეკვეთას როდი დასჯერდა. მან ისტორიკოსთა სათანადო ჯგუფებს მოსთხოვა წარმოედგინათ სახელმძღვანელოთა კონსპექტები და ბევრი მათგანი უაღრესად გულმოდგინედ გააკრიტიკა. ქვემოთ იბეჭდება ამხანაგ სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის შენიშვნები (1934 წლის 8 და 9 აგვისტოს) სსრ კავშირის ისტორიისა და ახალი ისტორიის სახელმძღვანელოთა კონსპექტების გამო; ამ შენიშვნებში ცენტრალურმა კომიტეტმა გააკრიტიკა კონსპექტები და ზუსტი მითითებანი მისცა ისტორიკოსებს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესახებ.

სსრ კავშირის ისტორიის გამო მან მიუთითა, რომ, ჯერ-ერთი, საჭიროა მისი განმარტება მსოფლიო ისტორიის ჩარჩოებში, თანაც, განსაკუთრებით საჭიროა აღინიშნოს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ-რევოლუციურ და სოციალისტურ მოძრაობათა როლი და გავლენა რუსეთის ბურჟუაზიულ-რევოლუციური მოძრაობისა და პროლეტარულ-სოციალისტური მოძრაობის მიმართ. მეორე მხრივ — ცენტრალური კომიტეტი ისტორიკოსებისაგან მოითხოვდა, რომ მათ მოეცათ არა რუსეთის ისტორიის, არამედ სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოები, ე. ი. სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალ ყველა ხალხთა წარსულის ისტორიის სახელმძღვანელოები. რაც შეეხება მეფის რუსეთის ისტორიას, ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა, რომ სახელმძღვანელოში ასახული ყოფილიყო ცარიზმის როლი, როგორც ხალხთა საჯარობილესი და როგორც საერთაშორისო ჟანდარმისა.

ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენის შესახებ მოცემულ მითითებებში ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა ისტორიის პერიოდიზაცია, რომელიც განსხვავდება

ბურჟუაზიულ სახელმძღვანელოებში მიღებული პერიოდიზაციისაგან, სახელდობრ, პერიოდიზაცია, რომელიც ემყარება ეკონომიური განვითარების ძირითად ფაზებს. ახალი ისტორია უნდა იყოს კაპიტალიზმის გამარჯვებისა და მისი დაღუპვის დასაწყისის ისტორია. ეს ისტორია იწყება საფრანგეთის რევოლუციით, რომელმაც ამ დიდ ქვეყანაში პირველად დაამკვიდრა ბურჟუაზიის ხელისუფლება, და ინგლისში მომხდარ იმ სამრეწველო გადატრიალებით, რომელმაც შეჰქმნა ბურჟუაზიის ბატონობის ძირითადი ეკონომიური საფუძველი თანამედროვე მრეწველობის სახით. ახალი ისტორია ცენტრალურმა კომიტეტმა სამ პერიოდად დაჰყო: 1. საფრანგეთის რევოლუციიდან საფრანგეთ-პრუსიის ომამდე, ე. ი. პერიოდი ხელმძღვანელ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საბოლოოდ ჩამოყალიბებისა ნაციონალურ ომებში და რევოლუციებში; 2. საფრანგეთ-პრუსიის ომიდან 1914-18 წლების მსოფლიო ომამდე, ე. ი. პერიოდი სამრეწველო კაპიტალიზმიდან მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე გადასვლისა, იმპერიალიზმის და პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წარმოშობაზე გადასვლისა, იმ ომის, რომელმაც პირველი სოციალისტური რევოლუცია წარმოშვა; 3. მესამე პერიოდი: ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან დღემდე, ე. ი. პერიოდი კაპიტალიზმის კრახის დაწყებისა და მსოფლიოს გათიშვისა კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებად.

მთელი ახალი ისტორიის ძირითად ღერძად ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ბურჟუაზიულ რევოლუციისა და სოციალისტური რევოლუციის დაპირდაპირება.

ამ ძირითად დებულებათა გარდა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა ხელის აღება ბურჟუაზიულ ისტორიკოსთაგან, პირველ რიგში ლიბერალურ ისტორიკოსთაგან ნასესხებ გაცვეთილ, არაზუსტ განსაზღვრებებზე, მოითხოვა ყველა სახელმძღვანელოში მარქსიზმ-ლენინიზმის ზუსტ, გარკვეულ მეცნიერულ ცნებათა გამოყენება, ურომლისოდაც შეუძლებელია მივცეთ მოსწავლეს კაცობრიობის განვითარების ნამდვილი სურათი.

ამხანაგ სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის შენიშვნების მთავარი შინაარსი ასე ვრცლად იმიტომ მოგვყავს, რომ ჩვენს ახალგაზრდა ისტორიკოსებსაც და მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობასაც დავანახვოთ, თუ რა მნიშვნელობას აკუთვნებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ისტორიის მეცნიერებას და მის სწავლებას. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ხელმძღვანელობს ისტორიაში უმაგალითო მშენებლობას, რომელიც ამზადებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვას, — გამონახა დრო, რომ უაღრესად სერიოზულად მოეკიდნა ხელი ისტორიის სახელმძღვანელოთა საკითხისათვის, ვინაიდან იგი, მარქსის, ენგელსისა და ლენინის მსგავსად, ისტორიაში ხედავს სოციალიზმისათვის ბრძოლის მძლავრ იარაღს. საბჭოთა კავშირის ხალხთა მასებმა უნდა იცოდნენ კაცობრიობის ჭეშმარიტი ისტორია, მშრომელთა დამონებისა და განთავისუფლების ისტორია, უნდა იცოდნენ საიდან და საითკენ მივდივართ ჩვენ, ვინაიდან ეს გაათკეცებს მუშათა და კოლმეურნეთა რწმენას სოციალიზმის გარდუვალი გამარჯვებისადმი და მისცემს მათ ამ გამარჯვების პირობათა ცოდნას. მათ უნდა მიიღონ კონკრეტული წარმოდგენა ექსპლოატატორულ კლასთა ძალის წყაროებზე, მათი ბატონობის მეთოდებზე, წარმოდგენა მშრომელთა ძალის წყაროებზე და მათ მიერ თავისი განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლის მეთოდებზე. მათ უნდა მიიღონ არა მკვდარი სქემა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციებისა, რომლებიც ჩნდებიან და იშლებიან, არამედ კლასთა ბრძოლის კონკრეტული სურათი მათი ბელადების დახასიათებით, ამ ბრძოლაში მოცემულ კლასობრივ ურთიერთობათა კონკრეტული დახასიათებით, ვინაიდან მხოლოდ ამგვარად ასწავლის მათ ისტორია, თუ რა წარმოადგენს ისტორიის, — როგორც პოლიტიკის მეცნიერე-

ბის, ე. ი. ხელისუფლებისა და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის მეცნიერების, — ამოცანას.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებანი მთლიანად არ არის შესრულებული. წარმოდგენილი სახელმძღვანელოები ნაწილობრივ სრულიად არ შეეფერებიან ამ მოთხოვნებს, ნაწილობრივ კი გადაკეთებას საჭიროებენ. ამიტომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დანიშნეს კომისია ამხ. ჟდანოვის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის მიზანია ბოლომდე მიიყვანოს მუშაობა ისტორიის სახელმძღვანელოთა შესადგენად. თუმცა ადამიანს უცნაურად მოეჩვენება, მაგრამ ეს მუშაობა უფრო დიდ სიძნელეებს წააწყდა საბჭოთა კავშირის ისტორიის დარგში, ვიდრე მსოფლიო ისტორიის დარგში. საჭიროა შევჩერდეთ ამ სიძნელეთა მიზეზებზე, ვინაიდან ისინი შეეხებიან არა ავტორთა მცირე ჯგუფს, არამედ ჩვენი ისტორიული მეცნიერების მდგომარეობას.

სსრ კავშირის ისტორიის ხაზით წამოჭრილი სიძნელეები უნდა ვეძებოთ ორ სფეროში. ერთი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ძველი მემამულურ-ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერება აშუქებდა თითქმის მხოლოდდამხოლოდ ველიკოროსთა ისტორიას, ჩვენმა ისტორიკოსებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს საკმაოდ დაემუშავებინათ უკრაინის, ბელორუსიის ისტორია, ამიერკავკასიის, ცენტრალური აზიისა და მონღოლეთის იმ ხალხთა ისტორია, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ. მეორე სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის ისტორიის დარგში ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჩატარებულა ის მუშაობა არაბოლშევიკურ ტრადიციათა მსხვრევისათვის, რაც გაწეულია საერთო ისტორიის დარგში. ამხანაგ სტალინის ნაშრომის — „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე“ — გაელვნით, ვინაიდან ამ ნაშრომმა, როგორც ცნობილია, ჩვენი ისტორიკოსების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა საკითხი ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში ნახევრადმენშევიკური, ნახევრადცენტრისტული იდეებისა და ტროცკისტული კონტრაბანდის ლიკვიდაციის შესახებ. საბჭოთა კავშირის ისტორიის სფეროში ლიკვიდირებული არ არის მ. ნ. პოკროვსკის სკოლის მავნე ტრადიციები.

მ. ნ. პოკროვსკი ფალიბდებოდა იმ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ისტორიკოსთა სუბიექტივიზმთან ბრძოლაში, რომლებიც ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალას მეფეებსა და მათს მოქმედებაში ხედავდნენ. ამ შეხედულებებს იგი უპირისპირებდა ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარებას, როგორც ისტორიის ძირითად ფაქტორს, მაგრამ, დაჰყვადა რა დიალექტიკური მატერიალიზმი ეკონომიზმამდე ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეკონომიურ თვითდინებამდე, მას შეეძლო შეექმნა მხოლოდ სოციალურ ფორმაციათა სქემა და არა კლასთა ბრძოლის ცოცხალი ისტორია — სახელმწიფოს, როგორც ბრძოლის ბერკეტის, უდიდესი როლის გაშუქებით. ამასთან, მისი სქემა იყო გამარტივებული; ეს სქემა ვერ ხედავდა გადასვლებს და გადანაცვლებას ერთი ფორმაციის ჩარჩოებში. საკმარისია ლენინის თხზულებებში მიმოფანტული დიალექტიკური უაღრესად მოქნილი დახასიათებანი ცარიზმის, — როგორც თავადაზნაურული მონარქიის — განვითარებისა, მონარქიის, რომელსაც განუწყვეტლივ არღვევდა კაპიტალიზმი, რომელიც ბურჟუაზიის წინაშე დათმობებზე მიდიოდა, მაგრამ რომელიც დაიღუპა, როგორც თავადაზნაურული მონარქია, — საკმარისია ეს დახასიათებანი შეეადაროთ პოკროვსკის მკვდარ სქემას, რომელიც ცარიზმში სავაჭრო კაპიტალის იარაღს ხედავდა, რომ გავიგოთ, თუ რამდენად უცხოა ლენინიზმისათვის პოკროვსკის სქემა. პოკროვსკიმ სიკვდილის წინ დაწერილ ერთ-ერთ თავის სტატიაში აღიარა, რომ მისი სქემა არამეცნიერულია, იგი მხოლოდ თავს იცავდა საყვედურისაგან, რომ ეს სქემა ანტილენინურია. მაგრამ არამეცნიერული სქემა არ შეიძლება არ

იყოს ანტილენინური. ბრძოლა პოკროვსკის სკოლის ანტილენინურ ტრადიციებთან მეთოდშიაც და რუსეთის ისტორიის კონკრეტულ სურათშიაც, პოკროვსკის სკოლის ტრადიციათა დაძლევა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მარქსისტულ-ლენინური ისტორიის შექმნის პირობას.

ვბეჭდავთ რა შენიშვნებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებისას, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, შენიშვნებს, რომლებიც ჭეშმარიტად წარმოადგენენ არა მარტო მითითებებს ჩვენი სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორთათვის, არამედ ჩვენი ისტორიკოსების შრომების მთელ პროგრამასაც, — ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შრომებს უნდა მივაპყრათ არა მარტო ჩვენი ისტორიკოსების, არამედ ჩვენი პარტიული საზოგადოებრივობის ყურადღებაც. ოდესღაც ჭერქვეშ მუშათა პატარ-პატარა ჯგუფები ცდილობდენ პოპულარული ბროშურებიდან და მარქსიზმის ფუძემდებელთა თხზულებებიდან შეეთვისებინათ ისტორიული ცოდნის ანბანი, რათა მიემართათ იგი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელმაც საუცხოოდ იცოდა ისტორიული ლეგენდის გამოყენება ხალხის მასების იდეურად დამონებისათვის. საბჭოთა პროლეტარიატმა, შექმნა რა ძლავრი პროლეტარული სახელმწიფო და საშუალება მისცა რა მუშებისა და გლეხების ასიათასობით შვილებს ხელი მოეკიდნათ მეცნიერული მუშაობისათვის, — შეჰქმნა პირობები, რომლებშიაც, მარქს-ენგელს-ლენინის ისტორიული მოძღვრების საფუძველზე შეგვიძლია შევქმნათ ისტორიის ისეთი მეცნიერება, რომელიც მოიცავს კაცობრიობის მთელ განვითარებას, არღვევს მემამულეთა და ბურჟუაზიის ყოველგვარ ლეგენდებს და ხელთ აძლევს პროლეტარიატს ისტორიული სიმართლის მძლავრ მახვილს.

სტალინმა, მარქსის, ენგელსისა და ლენინის საუკეთესო მოწაფემ, მათი საქმის განმგრძობმა, როგორც ყველა სხვა დარგში, ისე ისტორიის დარგშიაც დაგვანახა, როგორ უნდა განვაგრძოთ მათი მუშაობა. მან გვიჩვენა, რომ ეს განგრძობა მოითხოვს მთელი ისტორიული მასალის დაუფლებას მარქსის, ენგელსისა და ლენინის მოძღვრების საფუძველზე, ბურჟუაზიის, წვრილი ბურჟუაზიის და მათი მენშევიკურ-ესერულ-ტროცკისტული დამჭაშების მეთოდებისა და მთელი იდეოლოგიის დაუნდობელი კრიტიკის საფუძველზე. პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი სტალინი — ისტორიკოსებისაგან მოითხოვენ, რომ მათ გადალახონ ხელშემშლელი ტრადიციები, უცხო გავლენები, ჩხირკედლაობა და ხელი მოჰკიდონ მუშაობას იმ ენერგიით, იმ გაქანებით, რომლითაც ჩვენ ვაშენებთ ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას, კოლმეურნეობებს, წითელ არმიას. დიადი სოციალისტური ქვეყანა დიად ისტორიულ მეცნიერებას მოითხოვს.

„პრავდა“-ს მეთაური, 27 იანვარი, 1936 წ.

26. საბჭოთა კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებიც დიდ მნიშვნელობას აძლევენ სამოქალაქო ისტორიის სწავლების ჯეროვან დაყენებას სსრ კავშირის სკოლებში, ჯერ კიდევ 1934 წლის 16 მაისს მიიღეს და გამოაქვეყნეს ცნობილი დადგენილება „სსრკ-ის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ". ამ დადგენილებაში სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა აღნიშნეს ისტორიის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენება სსრკ-ის სკოლებში. სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა აღნიშნეს, რომ ისტორიის სახელმძღვანელოებისა და თვითონ სწავლების მთავარ ნაკლს წარმოადგენს მათი განყენებული, სქემატური ხასიათი:

„ნაცვლად იმისა, რომ სამოქალაქო ისტორია ასწავლონ ცოცხალი, მიმზიდველი ფორმით, გააშუქონ უმნიშვნელოვანესი ამბები და ფაქტები მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათებით, — მოსწავლეებს აწვდიან საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების აბსტრაქტულ განმარტებებს და, ამრიგად, სამოქალაქო ისტორიის თანმიმდევარ გაშუქებას სცვლიან განყენებული სოციოლოგიური სქემებით" (სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1934 წლის 16 მაისის დადგენილებიდან).

სახკომსაბჭომ და ც. კ-მა აღნიშნეს, რომ „მოსწავლეების მიერ ისტორიის კურსის მტკიცედ შეთვისების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა ისტორიული ამბების გადმოცემაში, მასთან, აუცილებელი აღბეჭდვა მოსწავლეთა მეხსიერებაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენებისა, ისტორიული მოღვაწეებისა და ქრონოლოგიური თარიღებისა. ისტორიის მხოლოდ ასეთ კურსს შეუძლია უზრუნველჰყოს ის, რომ ისტორიული მასალა იყოს მისაწვდომი, თვალსაჩინო და კონკრეტული, რაც მოსწავლეთათვის აუცილებელია, და მხოლოდ ამ საფუძველზე არის შესაძლებელი ისტორიული ამბების სწორი განხილვა და სწორი განზოგადება, რაც მიყვანს მოსწავლეს ისტორიის მარქსისტულ გაგებამდე".

ამის შესაბამისად დადგენილ იქნა დამზადებულიყო 1935 წლის ივნისისათვის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები:

ა) ძველი მსოფლიოს ისტორია;

ბ) შუასაუკუნეთა ისტორია;

გ) ახალი ისტორია;

დ) სსრკ-ის ისტორია;

ე) დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების ახალი ისტორია.

სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა დაადგინეს — ახალი სახელმძღვანელოების შესადგენად მოწყობილიყო ხუთი ჯგუფი და დაამტკიცეს ამ ჯგუფების პერსონალური შემადგენლობა.

1934 წლის 9 ივნისს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გადასწყვიტეს დაწყებითსა და არასრულ საშუალო სკოლაში სსრკ-ის ისტორიის ელემენტარული კურსის შემოღების საკითხი და მოეწყო ჯგუფები სსრკ-ის ისტორიის ელემენტარულ სახელმძღვანელოთა შესადგენად.

1934 წლის 14 აგვისტოს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მოიწონეს ამხ. სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის მიერ წარდგენილი შენიშვნები „სსრკ-ის ისტორიისა" და „ახალი ისტორიის" ახალ სახელმძღვანელოთა კონსპექტების შესახებ.

ამ შენიშვნებში საფუძვლიანად იყო გარჩეული და მკაცრად გაკრიტიკებული ორივე კონსპექტი; ამასთან, როგორც გამოირკვა, განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად იყო შედგენილი სსრკ-ის ისტორიის კონსპექტი, რომელშიც მრავლად იყო მარქსიზმის თვალ-

საზრისით არამეცნიერული, უცოდინარი განსაზღვრანი და რომელსაც ახასიათებდა უკიდურესი დაუდევრობა, რაც განსაკუთრებით შეუწყნარებელია, როცა ვადგენთ „სახელმძღვანელოს, სადაც ყოველი სიტყვა და ყოველი განსაზღვრა აწონილდაწონილი უნდა იყოს". დიდი, თუმცა უფრო ნაკლები, დეფექტები, ახასიათებდა აგრეთვე „ახალი ისტორიის" სახელმძღვანელოს კონსპექტს.

ამხ. სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის შენიშვნები ამომწურავად მიგვითითებდენ, თუ რა მიმართულებით უნდა გადამუშავებულიყო კონსპექტები და ის სახელმძღვანელოები, რომლებიც მზადდებოდა. მაგრამ სსრკ-ის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იძულებული არიან აღნიშნონ, რომ სახკომსაბჭოს და ც. კ-ის განსახილველად ახლად წარმოდგენილი ისტორიის სახელმძღვანელოებიც მეტწილად არადამაკმაყოფილებელი არიან, მათ კვლავ ის ნაკლოვანებანი ახასიათებთ, რაც ზემოთ აღინიშნა. მეტადრე არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი „სსრკ-ის ისტორიის" სახელმძღვანელო, წარმოდგენილი პროფესორ ვანაგის ჯგუფის მიერ, აგრეთვე სსრკ-ის ისტორიის ელემენტარული კურსის სახელმძღვანელოები დაწყებითი სკოლებისათვის, წარმოდგენილი მინცისა და ლოზინსკის ჯგუფების მიერ. ის გარემოება, რომ აღნიშნულ სახელმძღვანელოთა ავტორები კვლავ დაჟინებით იცავენ პარტიის მიერ არაერთხელ მხილებულ და აშკარად უმწეო ისტორიულ განსაზღვრებებსა და დებულებებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს პოკროვსკის ცნობილი შეცდომები, — სახკომსაბჭოს და ცენტრალურ კომიტეტს არ შეუძლიათ არ შეაფასონ, როგორც იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ჩვენი ისტორიკოსების, მეტადრე სსრკ-ის ისტორიკოსების განსაზღვრულ ნაწილში ფესვი გაუდგამს ანტი-მარქსისტულ, ანტი-ლენინურ, არსებითად, ლიკვიდატორულ ანტი-მეცნიერულ შეხედულებებს ისტორიულ მეცნიერებაზე. სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისტორიის, როგორც მეცნიერების, ლიკვიდაციის ეს მავნე ტენდენციები და ცდები დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, ზოგიერთ ჩვენს ისტორიკოსს შორის იმ შემცდარ ისტორიულ შეხედულებათა გავრცელებასთან, რომლებიც ახასიათებენ ეგრეთწოდებულ „პოკროვსკის ისტორიულ სკოლას". სახკომსაბჭო და ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ამ მავნე შეხედულებათა დაძლევის ამოცანა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას როგორც ისტორიის სახელმძღვანელოთა შედგენისათვის, ისე საბჭოთა კავშირში მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების განვითარებისა და ისტორიული განათლების აღმავლობისათვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი პარტიის საქმისათვის და მოზარდი თაობის სწავლებისათვის.

ამის შესაბამისად, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს — ისტორიის უკვე დაწერილ სახელმძღვანელოთა გადასინჯვისა და ძირფესვიანი გაუმჯობესების მიზნით, ხოლო საჭირო შემთხვევაში — გადაკეთების მიზნითაც, — შეიქმნას სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ჟდანოვი (თავმჯდომარე), რადეკი, სვანიძე, გორინი, ლუკინი, იაკოვლევი, ბისტრიანსკი, ზატონსკი, ფაიზულა ხოჯაევი, ბაუმანი, ბუბნოვი და ბუხარინი. ამ კომისიას მინიჭებული აქვს უფლება შეჰქმნას ჯგუფები ცალკეულ სახელმძღვანელოთა განსახილველად, აგრეთვე გამოაცხადოს სახელმძღვანელოთა კონკურსი იმათ ნაცვლად, რომლებიც კომისიის აზრით, რადიკალურად უნდა გადაკეთდეს.

სახკომსაბჭომ და ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს აგრეთვე — გამოქვეყნდეს პრესაში ამხ. სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის შენიშვნები და სხვა მასალები ამ საკითხზე.

„პრავდა", 27 იანვარი, 1936 წ.

საქართველოს ისტორიის კურსის პროგრამა

დაუსწრებელი პედინსტიტუტებისათვის

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ტფილისი – 1937

დამტკიცებულია განათლების სახ. კომისრის
მოადგილის ამხ. დ. ჟიჟშიძის მიერ

1937 წ. 15 ოქტომბერს.

რედაქტორი: ს. ჯანაშია.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა. მარის ქ. №1.

პროგრამა
საქართველოს ისტორიის კურსისა

I. ამიერ-კავკასია და საქართველო წინაკლასობრივი საზოგადოების ხანაში

ა) პალეოლითური კულტურის ნაშთები საქართველოს ტერიტორიაზე (შმიდტის აღმოჩენა 1914 წ., კრუკოვსკის აღმოჩენა 1916 წ. „გვარჯილას კლდეში", ნიორაძის აღმოჩენა 1926 წ. „დევის ხვრელში"). ამ ხანის ადამიანის („ტროგლოდიტის") პირველყოფილი საზოგადოებრივი და სამეურნეო მდგომარეობა: მითვისებითი ხასიათი მეურნეობისა, ურდო, ჰასაკის ჯგუფები, პრიმიტიული მეტყველება და იდეოლოგია (ტოტემიზმი).

ბ) გადასვლა მითვისებითი მეურნეობიდან წარმოებით მეურნეობაზე. ნეოლითი (ახალი ქვის ხანა) ამ.-კავკასიაში. გვარის, როგორც საზოგადოებრივი კავშირის, ჩამოყალიბება. ტომობრივი ერთეულების აღმოცენება. ტომური ენების წარმოქმნა და სათანადო იდეოლოგიური ფორმების განვითარება (ანიმიზმი). მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წარმოშობა და ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა.

გ) ლითონის ტექნიკის შემოღება. სპილენძი. ბრინჯაო ამ.-კავკასიასა და საქართველოში (სამთავროს, სტეფან-წმინდის, ყობანისა და სხვ. სამარხები). სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ჭარბი პროდუქტისა და აღებ-მიცემობის გაჩენა ჯერ უშუალო გაცვლის, ხოლო შემდეგ პრიმიტიული ვაჭრობის სახით. ბრინჯაოს „სამაჯურები" (რგოლები), როგორც შესაძლებელი, ერთი უძველეს საბეთაგანი, პრიმიტიული „ფულისა" ამ.-კავკასიაში. პატრიარქალური მონობა. სოციალური უთანასწორობის ჩანასახი.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტ. I, გამ. მე-3, გვ. 5-16, 30-32, გამ. მე-2, გვ. 90-91.

ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია", განკვეთები დაუსწრებელი პედინსტ., გან. 1.

გ. ნიორაძე, „პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში", საქ. მუზეუმის შრომები, VI.

II. გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში

სტრაბონის ცნობა სვანების შესახებ. მეურნეობა (მონადირეობა, გროვება, მესაქონლეობის სისუსტე), სოციალური წყობა (სატომო საბჭო, ჯარი — „სამხედრო დემოკრატია"). სტრაბონისეული ცნობები სხვა მთიან რაიონების შესახებ. გვაროვნული წყობილების გადმონაშთები კლასობრივ ხანაში. „სახლი", როგორც ძირითადი გვაროვნული ორგანიზაცია ქართველ ტომებში.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია", წიგნი I, ტფ. 1928 წ., გვ. 163-170.

ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია", განკვეთი 1.

III. ქართველ-ტომთა პირვანდელ სამშობლოს საკითხი

ქართველ ტომთა გენეტური კავშირი წინააზიის უძველეს კულტურულ ხალხებთან (სუმერები, ხეთები, ჰურები, ხალდები). ურარტუ – ქართველ ტომთა წინაპრების უძველესი სახელმწიფო ამ.-კავკასიაში (I ათასეული ძვ. წ.).

IV. გარდამავალი პერიოდი

სტრაბონის ცნობები იბერიისა და კოლხეთის სამეურნეო და საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ. მიწათმოქმედების წამყვანი როლი ბარის რაიონებში. მესაქონლეობა. ხელოსნობა. საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ქალაქები, გზები და ტრანსპორტი. ქალაქები: ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი, შორაპანი, არმაზი, სევსამორა და სხვ. ფაზის-კასპიის სატრანზიტო გზა, დარიალის გზა, ნაოსნობა და ხიდები. საღებმიცემო საქონელი (სელი, კანაფი, ხე-ტყე, ცვილი, ფისი, მარილი, ლითონი, ტყავები, მონები და სხვ.). იბერიისა და კოლხეთის წამყვანი რაიონების საზოგადოებრივი სტრუქტურა, როგორც გარდამავალი პერიოდის განსაზღვრული კლასობრივი საზოგადოების სახე. სახელმწიფო, როგორც კლასობრივი ბატონობის ორგანო და მისი არსებობის საკითხი იმდროინდელ საქართველოში. იბერიისა და კოლხეთის წამყვანი რაიონების პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც მონათმფლობელური სახელმწიფოს პრიმიტიული ფორმა.

ლიტერატურა:

ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, გამ. მე-3, გვ. 26-30. გამ. მე-2, გვ. 86-89.

ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“, განაკვ. II.

V. გარეპოლიტიკური ურთიერთობანი

რომაული გავლენის დამყარება იბერიასა და კოლხეთში 65 წ. ძვ. წ. რომისა და ირანის ინტერესები ამიერ-კავკასიაში და მათი ბრძოლა ჰეგემონიისათვის. იბერიის დამოკიდებულება რომზე, როგორც იძულებითი სამხედრო კავშირი, კოლხეთისა – როგორც ვასალობა. ნიზიბინის ზავი 298 წ. ირანის ძლიერების ზრდა და იბერიის ორად გაყოფა.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, გამ. მე-3, გვ. 1-4, 152-162, 215-217, გამ. მე-2, გვ. 169-183.

ს. ჯანაშია, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“.

VI. იდეოლოგია

ქრისტიანობა და მაზდეიზმი, როგორც გაბატონებული კლასების ოფიციალური კულტები რომსა და ირანში. ამ რელიგიების, როგორც იდეოლოგიური საშუალების, გამოყენება რომისა და ირანის მიერ ამიერ-კავკასიის დაპყრობისათვის ბრძოლაში. ქრისტიანობის მიღება ფეოდალ. კლასის მიერ საქართველოში და ამის სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები. სოც.-პოლ. მიზეზები ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად სხვადასხვა დროს გამოცხადებისა ალმოს. და დასავლ. საქართველოში. სხვა კლასების დამოკიდებულება ამ ამბებისადმი. ქრისტიანობის მიღების კულტურული მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, გამ. მე-3, გვ. 213-215.
ს. ჯანაშია, „საქართველო ადრინდ. ფეოდალიზაციის გზაზე“.

VII. ფეოდალური ურთიერთობის ზრდა

ეკონომიური დიფერენციაციის გაღრმავება თავისუფალთა წოდების შიგნით. ეკონომიურად გაბატონებული ფენის სოციალური და პოლიტიკური განვითარება. შეიარაღების როლი ამ პროცესში. მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა და აზნაურთა წოდების ჩამოყალიბება. წოდებრივი საზოგადოების სახე 5 ს. ქართლში „შუშანიკის მარტვილობის“ მიხედვით. ანტაგონიზმის განვითარება მეფის ხელისუფლებასა და დიდ აზნაურებს შორის. ეკლესია, როგორც ფეოდალ. ორგანიზაცია და მისი როლი ამ ბრძოლაში. ქართლი ირანის ვასალობაში. პიტიახშში. დიდ აზნაურთა და ირანელთა ბლოკი ქართლის მეფის წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასლის მეფობა. მეფობის გაუქმება ქართლში (523 წ.) და ირანული მმართველობის ორგანიზაცია. ქართლის სამარზპანო. 532 წ. ზავი.

დას. საქართველოს განვითარება. ლაზების, აფშილების, აბაზგებისა და სანიგების სამთავროების აღმოცენება. ლაზების გაძლიერება და ლაზიკის სამეფოს წარმოშობა. ლაზიკა რომაელთა ვასალობაში. რომაელთა პოლიტიკა ლაზიკაში მე-6 ს. პირველ მესამედში — ადმინისტრატიული ჩარევის გაძლიერება შინაურ საქმეებში, გარნიზონების ჩაყენება. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ლაზიკის მმართველი წრეების განწყობილება. რომაულ-ირანული ომები ლაზიკაში და მისი შედეგები (541-563 წწ.).

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტომი I, გამ. მე-3, გვ. 215-241, 249-265; გამ. მე-2, გვ. 183-215, 222-237.
ს. ჯანაშია, „საქართველო ადრ. ფეოდალიზ. გზაზე“.
ს. ჯანაშია, „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, სათანადო თავები.
პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართ. სამართლ. ისტორია“, წ. 1, გვ. 188-198.

VIII. ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბება ქართველ ტომებში. ფეოდალური სამთავროები

მეფობის გაუქმება ქართლში და ამ ფაქტის მნიშვნელობა აზნაურთა შემდგომი გაძლიერებისათვის. ანალოგიური მოვლენები დას. საქართველოს ისტორიაში. სათემო და წვრილ მესაკუთრეთა მიწების საბოლოო დატაცება და მისაკუთრება მსხვილ მესაკუთრეთა მიერ (მე-6-9 ს. ს.). თავისუფალი გლეხების მდგომარეობის გაუარესება. ზრდა ყმა-გლეხთა რიცხვისა თავისუფალ მიწათმოქმედთა ხარჯზე. გაბატონებული კლასის შინაგანი აღნაგობის გართულება. შინაგანი დამოკიდებულების დამყარება ფეოდალთა სხვადასხვა ფენას შორის.

გარეპოლიტიკური პირობები ქართული ფეოდალიზმის განვითარებისა აღებულ პერიოდში. ბიზანტიის სუვერენიტეტის დამყარება აღმ. და დას. საქართველოში (6 ს. და მე-7 ს. პირველი ნახევარი). ადგილობრივ პოლიტიკურ მფლობელთა პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმა ბიზანტიისაგან. ქართლის საერისთაოს წარმოშობა.

არაბთა მფლობელობის დამყარება ქართლში (მე-7 ს. მეორე ნახევარი, მე-8 ს. დამდეგი). არაბული ბატონობის ხასიათი. ხარკი და სამხედრო სამსახური. პოლიტიკური მმართველობის ორგანიზაცია. თბილისის საამირო. პოლიტიკური რეჟიმის გაუარესება მე-8 ს. მეორე ნახევრიდან (ხარკის დამძიმება, სარწმუნოებრივი დევნულობის მოვლენები). თბილისის საამიროს შემდგომი განვითარება (დასუსტება და ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომა მე-9-10 ს. ს.). აღმოს. საქართველოს პერიფერიისა და დას. საქართველოს სამეურნეო და პოლიტიკური აღორძინება (მე-9-10 ს. ს.). აფხაზეთის სამეფოს, კახეთისა და ტაო-კლარჯეთის სამთავროების წარმოშობა.

ნატურალური მეურნეობა და აღებმიცემობის ხასიათ-ფარგალი მის პირობებში. საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაძლიერება. ფულად ურთიერთობათა ზრდა და ახალი ქალაქების აღმოცენება (მე-9-10 ს. ს.). კლასთა ბრძოლა სამამულო და სასესხო დამოკიდებულების ნიადაგზე. ფეოდალთა პოლიტიკური აპარატი ამ ბრძოლაში. საკოლონიზაციო მოძრაობა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოსაკენ. მონასტრების როლი ამ პროცესში. საეკლესიო მემამულეობის ზრდა.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტ. I, გამ. მე-3, გვ. 241-248. გამ. მე-2, გვ. 216-220; ტომი II, გვ. 343-366.

მისივე, „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში", გვ. 1-6. ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, ტფ. 1936.

IX. ფეოდალური სამთავროების გაერთიანება და ფეოდალური მონარქიის წარმოშობა

ფეოდალური სამთავროთა ბრძოლა ჰეგემონიისათვის. სხვადასხვა კლასი და შინაკლასობრივი ფენა ამ ბრძოლაში (მსხვილი ფეოდალური არისტოკრატია, წვრილი აზნაურები, ვაჭრები, სამღვდელოება). ფეოდალური სამთავროების სამეურნეო დაახლოვება. საალებმიცემო პროცესების გაფართოება. გაერთიანების ტენდენციების გაძლიერება და ამ ტენდენ-

ციების მატარებელი სოციალური ძალები (წვრილი აზნაურობა, ვაჭრები). ეკლესია – უმსხვილესი მემამულე. ამ მემამულეობის თავისებურება – მიზეზი ეკლესიის განწყობილებისა ფეოდალური პოლიტიკური დაჭაქსულობის წინააღმდეგ. აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი, როგორც უძლიერესი მონაწილენი ამ ბრძოლისა. ტაო-კლარჯეთის საბოლოო გამარჯვება და დაჟით კუროპალატი. სამთავროების გაერთიანება და ბაგრატ III, როგორც პირველი მონარქი გაერთიანებული საქართველოსი (978-1014 წწ.).

ლიტერატურა:

ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტომი II, გვ. 367-412.

X. ფეოდალური მონარქიის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა

ა) მეურნეობა და გაცვლა-გამოცვლა.

მეურნეობის ნატურალური ხასიათი. სასახლისა და საგლეხო მეურნეობა. მეურნეობის დარგები (მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა). სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ხელოსნური წარმოების ხასიათი. ხელოსანთა კორპორაციების არსებობის საკითხი. ვაჭრობა და მისი კავშირი წინააზიის ვაჭრობასთან. ვაჭარნი. დიდ-ვაჭარნი. ყმა-ვაჭარნი. ვაჭართ-უხუცესი. უმთავრესი სავაჭრო გზები და ქალაქები (თბილისი, ჭუთაისი, დმანისი, სამშვილდე, მანგლისი, რუსთავი, ახალქალაქი, ოძრხე, ხუნანი, მცხეთა, გორი, ცხუმი, ფუთი, ხუფათი და სხვ.). სავაჭრო და სასესხო-სავახშო კაპიტალი. ორტაღები. ქალაქების ორგანიზაცია. ქალაქის ამირები და ბერები.

ბ) საწარმოო ურთიერთობა.

ბატონი და ყმა. ფეოდალური ექსპლოატაციის სისტემა. ყმის ვალდებულებათა სახეები. შრომითი, ნატურალური და ფულადი გამოსაღებები და მათი ურთიერთობა.

გ) სოციალური სტრუქტურა და ხელისუფლების ორგანიზაცია.

შინაკლასობრივი დიფერენციაცია. ფეოდალური იერარქია. ფეოდალური შინაკლასობრივი ურთიერთობანი. პატრონყმობა. შეწყალება. შეუვალობა. სამამულო შეწყალების სხვადასხვა სახე. სამკვიდრო, სახარაჯო და საკარგავი მამულები. გლეხობის სხვადასხვა ჯგუფი. მსახურნი. მეფის ხელისუფლების ხასიათი. დარბაზი. ფეოდალური ჯარის ორგანიზაცია. პოლიცია. სამართალი.

ეკლესიის ფეოდალური ხასიათი და მისი როლი სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დ) პატრონყმობა და ბატონყმობა.

უსაფუძვლობა ბატონყმობის ცალკე ფორმაციად მიჩნევისა ქართული მასალების მიხედვით. ქართულ ფეოდალურ დაწესებულებათა შედარება ევროპისა და აზიის ანალოგიურ მოვლენებთან. ფეოდალიზმის სპეციფიკური ნიშნები საქართველოში.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართ. სამართლის ისტორია", წიგნი II, ნაკვეთი 2, გვ. 26-107.
პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონომიური ისტორია", 1907 წ. გამოც., გვ. 3-59.

XI. ბრძოლა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის (XI–XII ს.)

მონარქიის აბსოლუტისტური ტენდენციები და კლასთა ბრძოლა. ბრძოლის მონაწილე სოციალური ძალები (მეფე, წვრილი აზნაურობა და სავაჭრო კაპიტალი ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ). ადგილობრივი ხასიათი ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლისა მეფის წინააღმდეგ პირველ პერიოდში. ბაგრატ III-ის, გიორგი I-ის (1014-1027), ბაგრატ IV-ისა (1027-1072) და გიორგი II-ის (1072-1089) მეფობანი. კლდეკარის ერისთავთა ბრძოლა მეფის წინააღმდეგ, როგორც განსაკუთრებით რელიეფური ეპიზოდი ამ ბრძოლისა. ურთიერთობა თურქ-სელჩუკებთან და მისი მნიშვნელობა შინაგანი განვითარებისათვის. ფაქტები ამ ურთიერთობისა. ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის საეკლესიო და სახელმწიფო აპარატის დაპყრობისათვის. თვითმპყრობელობის გაძლიერება და მისი ფარგლები. დავით აღმაშენებლისა (1089-1125) და გიორგი III-ის (1156-1184) მეფობათა ხასიათი. დაქირავებული ჯარის შექმნა. საპოლიციო აპარატის გაძლიერება. ფეოდალური არისტოკრატიის ორგანიზაციული გამოსვლები მეორე პერიოდში. დემნას აჯანყება (1177 წ.). ეკლესიის ბრძოლა საგადასახადო შეუვალობისათვის. თამარის მეფობა (1184-1213 წწ.). ფეოდალურ-არისტოკრატიული გადატრიალება. მეფის საკანონმდებლო უფლების გაუქმების ცდა და მისი წყარო (ყუთლუ-არსლანი და მისი დასი). სხვა პოლიტიკური ჯგუფები თამარის დროს. მთის თავისუფალი გლეხობის ბრძოლა ფეოდალიზაციის წინააღმდეგ.

მონარქიის ტერიტორიული ზრდა. კახეთ-ჰერეთისა და სამხრეთ პროვინციების შემოერთება. ტფილისის აღება (1122 წ.) და მისი გამოცხადება სატახტო ქალაქად. მონარქიის საგარეო ომები, მათი მიზეზები, მიზნები და ფარგლები. ძველი სომხეთის სამეფოს ტერიტორიის შემოერთება. კავკასიის აზერბაიჯანის სამთავროების გადაქცევა საქართველოს ვასალურ სამთავროებად (მე-12 ს., მე-13 ს. დამდეგი). შამქორის ომი (1195 წ.). ლაშქრობა შინაგან ირანში. ყარსის აღება და ბასიანის ომი (1206 წ.). არჭეშისა და ხლათის დახარკვა, არზრუმისა და ერზინკას დამორჩილება (1206-7 წ. წ.). ტრაპიზონის სამეფოს დაარსება საქართველოს პოლიტიკური მფარველობის ქვეშ (1204 წ.). ხარკისა და ალაფის ხასიათი და მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართვ. ერის ისტორია“, ტომი II, გვ. 409-465, 506-639.

XII. ფეოდალური საზოგადოების კულტურა და იდეოლოგია

საეკლესიო-კლერიკალური იდეოლოგიის ბატონობა 5-9 ს.ს. ანტიკლერიკალური საერო განწყობილების გაბატონება მე-11-მე-12 ს.ს. და ამისი სოციალურ-ეკონომიური მიზეზები. ინდივიდუალიზმი. რაინდობის წარმოშობა და მისი როლი ფეოდალური იდეოლოგიის შემუშავების საქმეში. კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება მწერლობაში. თეორიები მეფის უფლებისა და წოდებათა წარმოშობის შესახებ. ფეოდალური პუბლიცისტიკა. გაბატონებული კლასების მხატვრული სტილი და მისი განვითარება მატერიალური კულტურის

ძეგლებში (საკულტო და საერო შენობების არქიტექტურა, საყოფაცხოვრებო ინვენტარი, საომარი იარაღი...). გლეხური ხუროთმოძღვრული სტილი (დარბაზი). ფეოდალური ურთიერთობის ანასახი ქართულ ხალხურ პოეზიაში. ბიზანტიის, არაბების და ირანის კულტურული გავლენები. არაბულ მეცნიერულ ცოდნათა (ასტრონომია, მათემატიკა, მედიცინა) გავრცელება და არაბ. ციფრების შემოღება საქართველოში. პოეზია: მეხოტბენი, რაინდული რომანი, რუსთაველი.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართვ. ერის ისტორია“, ტ. II, გვ. 640-666.

პროფ. კ. კეკელიძე, „ქართ. ლიტერატურის პერიოდიზაცია“, დაუსწ. პედინსტიტუტის გამოცემა.

XIII. ფეოდალურ-არისტოკრატიული ბატონობა

გლეხების მდგომარეობის გაუარესება მე-12 ს. დასასრულიდან. მონღოლთა გამოჩენა მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე და საქართველოს დაპყრობა მათ მიერ (1236-1240). სამეურნეო განვითარების შეფერხება მონღოლთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. მონღოლური მეხარკეობის ხასიათი. მონღოლური მმართველობის ორგანიზაცია. ცვლილებები საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში. გლეხობის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება.

მსხვილი არისტოკრატიის სოციალურ-პოლიტიკური ძლიერებისა და დამოუკიდებლობის ზრდა. გლეხობის მიწაზე მიმაგრების ტენდენციების გაძლიერება და საგლეხო გადასახადების ზრდა. მატერიალური დოვლათის გაზიდვა ქვეყნიდან. ფეოდალური მონარქიის რღვევის დასაწყისი. ორმეფობა, ულუ-დავითისა და დავით ნარინის მეფობანი (მე-13 ს. მეორე ნახევარი). ცალკე სამთავროების (სამცხისა და სხვ.) გამოყოფა.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „საქ. ეკონომ. ისტორია“, 1907 წ. გამოცემა, გვ. 82-85.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „სოციალ. მოძრაობის ისტორია“, გვ. 21-55.

დოც. ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის კონსპექტი, ტფ. უნ. შრომები, VI, 1937.

XIV. ფეოდალური მონარქია მე-14 ს.

ფეოდალიზაციის პროცესები მონღოლთა შორის. ჩინგის-ყაენის სამფლობელოს ოთხ ნაწილად დაყოფა. ბრძოლა ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის. მონღოლთა გავლენის შესუსტება საქართველოში. მონარქიის აღორძინება გიორგი ბრწყინვალის დროს (მე-14 ს. პირვ. ნახ.). ლანგ-თემურის შემოსევები (მე-14 ს. დამლევი — მე-15 ს. დამდეგი) და მათი შედეგები. მოსახლეობის, უპირატესად მწარმოებელი კლასის, კატასტროფული შემცირება. ნივთიერ საწარმოო ძალთა განიავება.

ცენტრალური ხელისუფლების დაქვეითება. ცვლილებები ფეოდალურ იდეოლოგიაში – საეკლესიო-კლერიკალური რეაქცია. პესიმიზმი.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წ. IV, გვ. 184-186.

XV. ფეოდალური მონარქიის დაცემა

ახალი მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიური სიტუაცია. თურქებისა და ირანელების ფეოდალურ-ცენტრალური სახელმწიფოების შექმნა და მათი მნიშვნელობა ამიერ-კავკასიისათვის. თურქების დაპყრობანი აზიასა და ევროპაში. კონსტანტინოპოლის დაპყრობა მათ მიერ 1453 წ. ამიერ-კავკასიაზე გამავალ მსოფლიო გზების დაცემა. სავაჭრო გზებისა და ეკონომიური ცენტრების დაშორება ამიერ-კავკასიისაგან სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით. ვასკო-და-გამას აღმოჩენა. საქართველოს სამეურნეო დაქვეითება. საშინაო და საგარეო სააღებმიცემო პროცესების მოშლა. ხარკის მნიშვნელობა. ბატონყმური ექსპლოატაციის გაძლიერება და გლეხთა ბრძოლა მის წინააღმდეგ. მეფის ცენტრალური ხელისუფლების აღდგენის ცდა და მისი საბოლოო დამარცხება (ალექსანდრეს მეფობა – მე-15 ს. პირველი ნახევარი). ცალკე ფეოდალური ერთეულების გამსხვილება, ცენტრალური ხელისუფლების დაცენა და ფეოდალური მონარქიის დარღვევა (მე-15 ს. სამოციანი წლები), საქართველოს დაყოფა ქართლის, იმერეთისა და კახეთის სამეფოებად და სამცხის, სამეგრელოსა და გურიის სამთავროებად.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართვ. ერის ისტ.“, წ. მე-4, გვ. 20-37, 46-60, 50-77, 184-207.
დოც. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობა XV ს., „მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის“, ნაკვ. I, 1937.

XVI. საქართველო XVI–XVII ს.ს.

საერთო ეკონომიური დაქვეითება მე-16 ს. და მე-17 ს. პირველ ნახევარში. საშინაო და საგარეო აღებმიცემობის, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორის, არარსებობა. საიმპორტო საქონლის მინიმუმი (რკინა, მარილი და სხვ.). საექსპორტო ეკვივალენტი (აბრეშუმი, ტილო, სელი, ღვინო, ენდრო და სხვ.). ქალაქთა რიცხვის შემცირება და საქალაქო ცხოვრების დაცემა. ტყვე, როგორც საექსპორტო საქონელი. ტყვეთა ყიდვის ზრდა და ამ ფაქტის მნიშვნელობა შინაგანი განვითარების ახალ პირობებში. დასავლეთ საქართველოს შედარებითი ჩამორჩენილობა. კახეთის განსაკუთრებული დაწინაურება მე-16 ს. აღმ. საქ. სამეფო-სამთავროთა შორის სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური წარმოების ინტენსიფიკაციის გამო, განვითარების ხელსაყრელი პირობების წყალობით.

ახალი ელემენტები სოციალურ დიფერენციაციაში. თავადთა წოდების ჩამოყალიბება. დიდებულთა დაწინაურება თავადთა წრეში. აზნაურთა ფენები. გლეხთა კატეგორიები. მსახურნი. თარხანი, აზატი, მებეგრე და მოჯალაბე გლეხები, ხიზანნი. გლეხობის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. კლასთა ბრძოლის გამწვავება (გლეხების გამოსვლები ფეოდალთა წინააღმდეგ). ბრძოლა სხვადასხვა ფეოდალურ ჯგუფებს შორის (გიორგი საკაძე და მისი მოწინააღმდეგენი).

თურქეთ-ირანის ბრძოლა პირველობისათვის წინაზიაში და ამიერკავკასიის მნიშვნელობა დასახელებულ სახელმწიფოებისათვის ამ ბრძოლაში. თურქეთის გავლენის ზრდა (მე-16 ს.). სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დაჭერა თურქების მიერ 1578 წ. თურქების გავლენის საბოლოო დამკვიდრება სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. ირანის გაძლიერება შაჰ-აბაზის მეფობაში და მისი გავლენის ზრდა ამიერ-კავკასიაში (მე-17 ს. დამდეგი). თეიმურაზ I და კახეთის აოხრება შაჰ-აბაზის მიერ (1614-1616 წ. წ.). კახეთისა და ქართლის სამეფოების ირანის სავასალო სახელმწიფოებად გადაქცევა (მე-17 ს. პირველი ნახევარი). როსტომის მეფობა ქართლში (1633-1658 წ. წ.). სპარსული და თურქული ხარკი და ვალდებულებანი. ლეკთა თარეშები საქართველოში, მათი მიზეზები და შედეგები.

ლიტერატურა:

ს. კაკაბაძე, „საქ. ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა“.

XVII. სამეურნეო-პოლიტიკური აღორძინება და გარეპოლიტიკური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების ცდები

ქართლის ეკონომიური გამოცოცხლება და პოლიტიკური გაძლიერება მე-17 ს. მეორე ნახევარში. შაჰ-ნავაზისა და გიორგი XI მეფობანი. კულტურული აღორძინება (მე-17 ს. დამლევი — მე-18 ს. დამდეგი). ფარსადან გორგიჯანიძე. არჩილ, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და სხვ. ვაჭრობის გაცხოველება და საბაზრო-ფულად ურთიერთობათა ზრდა. თურქების გავლენის დამკვიდრება ქართლ-კახეთში (მე-18 ს. ოციან და ოცდაათიან წლებში). ირანის გაძლიერება შაჰ-ნადირის დროს და თურქების განდევნა ქართლ-კახეთიდან. კახთა მეფეების — თეიმურაზისა და ერეკლეს — პოლიტიკა. ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანება ირანის პროტექტორატის ქვეშ. ამ პროცესის შინაგანი პირობები. ქვეყნის საწარმოო პროცესების გამოცოცხლება. ვაჭრობის ზრდა ირანთან. სავაჭრო ურთიერთობის გაბმა რუსეთთან დარიალის გზით. ტფილისი — ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი. ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერება (მე-18 ს. ორმოცდაათიანი და სამოციანი წლები). ერეკლე II-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების ცდა. ცვლილებები არმიის სტრუქტურაში. „ნოქარი“ და „მორიგე“ ჯარები. ცალკე ფეოდალური სამფლობელოების ექსპროპრიაცია. ქართლ-კახეთის სამეფოს

პოლიტიკური გავლენის გავრცელება მეზობელ მაჰმადიანურ სამფლობელოებზე. ერეკლე და მაჰმადიანური სამფლობელოების ქვეშევრდომი. სომხობა.

ლიტერატურა:

ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი.

XVIII. საქართველო მე-16 ს. დამლევს. რუსეთთან ურთიერთობის ისტორია. ანექსია

ერეკლეს შინაური პოლიტიკის დამარცხება და ამისი მიზეზები. სამეურნეო და პოლიტიკური განვითარების შეფერხება მე-18 ს. დამლევს არახელსაყრელი გარემოს წყალობით. ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნის შეუძლებლობა სათანადო სოციალური საყრდენის არ არსებობის გამო. ფეოდალური არისტოკრატიის მძლავრობა და ამის მოსპობის შეუძლებლობა მარტოოდენ ადმინისტრაციული ღონისძიებებით. ანტიფეოდალური ჯარის ორგანიზაციის ცდების მარცხი. კლასთა ბრძოლა (გლეხობის ანტიფეოდალური აჯანყებანი). საგარეო მომენტის მნიშვნელობა. თურქული აგრესია. ლეკთა თარეშების გაძლიერება.

იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს განვითარება. საათაბაგოს გამაჰმადიანება. თურქების გავლენის გაძლიერება დას. საქართველოს სამთავროებში და კერძოდ შავი ზღვის სანაპიროებზე. ტყვეთა ყიდვის ფარგლები და მნიშვნელობა დას. საქართველოში. იმერეთის ხანმოკლე მოღონიერება სოლომონ I-ის დროს. დასავლეთ საქართველოს საერთო ჩამორჩენილობა აღმ. საქართველოსთან შედარებით.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფაქტები მე-16-17 ს. ს. რუსეთის ამ.-კავკასიით დაინტერესების სიძლიერე და ფარგლები ამ პერიოდში (აღმოსავლეთთან ვაჭრობის ინტერესები, დარუბანდის გზა და სხვ.). რუსეთის ინტერესების გაღრმავება ამიერ-კავკასიასა და საქართველოში მე-18 ს. მეორე ნახევარში და განსაკუთრებით ამ საუკუნის დამლევს. ამ პროცესის ახალი ფაქტორი — რუსეთის ბატონყმური მეურნეობის პროდუქტის (პურის) ექსპორტი ევროპაში შავი ზღვის გზით. რუსული ორიენტაციის საფუძვლები საქართველოში. ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის ურთიერთობა (მე-18 ს. პირველი მეოთხედი). რუსეთისადმი მიდრეკილების ზრდა საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით მე-18 ს. მეორე ნახევარში (სხვადასხვა ფეოდალური ჯგუფი, მათი პოლიტიკური ინტერესები და ურთიერთობა, სოლომონ ლეონიძე, ქსნის და არაგვის ხეობათა ფეოდალები). რუსოფილური და რუსოფობური პარტიები. პირველთა გამარჯვება. რუსეთის პროტექტორატის მიღება ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ და 1783 წ. ტრაქტატი.

საქართველოს ანექსია მეფის რუსეთის მიერ. ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება. რუსეთთან შეერთება, როგორც უმცირესი სხვა ბოროტებათა შორის.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 ს.“.
ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი.

28. საქართველოს ისტორიის პროგრამა

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტ. გამომცემლობა

თბილისი 1938

რედაქტორი: პროფ. ს. ჯანაშია

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტამბა, მარის ქ. №1.

I. ამიერ-კავკასია და საქართველო ფინაკლასობრივი საზოგადოების ხანაში

ა) პალეოლითური კულტურის ნაშთები საქართველოს ტერიტორიაზე (შმიდტის აღმოჩენა 1914 წ., კრუკოვსკის აღმოჩენა 1916 წ. „გვარჯილას კლდეში", ნიორაძის აღმოჩენა 1926 წ. „დევის ხვრელში", უკანასკნელი წლების აღმოჩენები სამეგრელოსა და აფხაზეთში). ამ ხანის ადამიანის („ტროგლოდიტის") პირველყოფილი საზოგადოებრივი და სამეურნეო მდგომარეობა: მითვისებითი ხასიათი მეურნეობისა, ურდო, ჰასაკის ჯგუფები, პრიმიტიული მეტყველება და იდეოლოგია (ტოტემიზმი).

ბ) გადასვლა მითვისებითი მეურნეობიდან წარმოებით მეურნეობაზე. ნეოლითი (ახალი ქვის ხანა) ამ.-კავკასიაში. გვარის, როგორც საზოგადოებრივი კავშირის, ჩამოყალიბება. ტომობრივი ერთეულების აღმოცენება. ტომური ენების წარმოქმნა და სათანადო იდეოლოგიური ფორმების განვითარება (ანიმიზმი). მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წარმოშობა. ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა.

გ) ლითონის ტექნიკის შემოღება. სპილენძი, ბრინჯაო ამ.-კავკასიასა და საქართველოში (სამთაროს, სტეფანწმინდის, ყობანისა და სხვა სამარხები). სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ჭარბი პროდუქტისა და აღებ-მიცემობის გაჩენა ჯერ უშუალო გაცვლის, ხოლო შემდეგ პრიმიტიული ვაჭრობის სახით. ბრინჯაოს „სამაჯურები" (რგოლები), როგორც შესაძლებელი, ერთი უძველეს სახეთაგანი, პრიმიტიული „ფულისა" ამ.-კავკასიაში. პატრიარქალური მონობა, სოციალური უთანასწორობის ჩანასახი.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტ. I.
ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია", განაკვეთები დაუსწრებელი პედინსტ., გან. I.
გ. ნიორაძე, „პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში", საქ. მუზეუმის შრომები, ნ.

II. გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში

სტრაბონის ცნობა სვანების შესახებ. მეურნეობა (მონადირეობა, გროვება, მესაქონლეობის სისუსტე), სოციალური წყობა (სატომო საბჭო, ჯარი — „სამხედრო დემოკრატია"). სტრაბონისეული ცნობები სხვა მთიან რაიონების შესახებ. გვაროვნული წყობილების გადმონაშთები კლასობრივ ხანაში. „სახლი", როგორც ძირითადი გვაროვნული ორგანიზაცია, ქართველ ტომებში.

ქართველ ტომთა პირვანდელი სამშობლოს საკითხი. ქართველ ტომთა გენეტური კავშირი წინაზიის უძველეს კულტურულ კერებთან (სუმერები, ხეთები, ჰურები, ხალდები). ურარტუ — ქართველ ტომთა წინაპრების უძველესი სახელმწიფო ამ.-კავკასიაში (I ათასეული ძვ. წ.).

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი I, თბ., 1938 წ.
ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“, განაკვეთი I.

III. გარდამავალი პერიოდი

სტრაბონის ცნობები იბერიისა და კოლხეთის სამეურნეო და საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ. მიწათმოქმედების წამყვანი როლი ბარის რაიონებში. მესაქონლეობა. ხელოსნობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, გზები და ტრანსპორტი, ქალაქები: ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი, შორაპანი, არმაზი, სევსამორა და სხვ. ფაზის-კასპიის სატრანზიტო გზა, დარიალის გზა, ნაოსნობა და ხიდები, საალებმიცემო საქონელი (სელი, კანაფი, ხე-ტყე, ცვილი, ფისი, მარილი, ლითონი, ტყავები, მონები და სხვ.). იბერიისა და კოლხეთის წამყვანი რაიონების საზოგადოებრივი სტრუქტურა, როგორც გარდამავალი პერიოდის განსაზღვრული კლასობრივი საზოგადოების სახე. სახელმწიფო, როგორც კლასობრივი ბატონობის ორგანო და მისი არსებობის საკითხი იმდროინდელ საქართველოში. იბერიისა და კოლხეთის წამყვანი რაიონების პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც მონათმფლობელური სახელმწიფოს ფორმა.

ლიტერატურა:

ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I.
ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“, განაკვ. II.
ს. ჯანაშია, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“.

IV. გარეპოლიტიკური ურთიერთობანი

რომაული გავლენის დამყარება იბერიასა და კოლხეთში 65 წ. ძვ. წ. რომისა და ირანის ინტერესები ამიერ-კავკასიაში და მათი ბრძოლა ჰეგემონიისათვის. იბერიის დამოკიდებულება რომზე, როგორც იძულებითი სამხედრო კავშირი, კოლხეთისა, როგორც ვასალობა. ნიზიბინის ზავი 298 წ. სპარსეთის ძლიერების ზრდა და იბერიის ორად გაყოფა.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I.
ს. ჯანაშია, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“.

V. იდეოლოგია

ქრისტიანობა და მაზდეიზმი, როგორც გაბატონებული კლასების ოფიციალური კულტები რომსა და ირანში. ამ რელიგიების, როგორც იდეოლოგიური საშუალების, გამოყენება რომისა და ირანის მიერ ამიერ-კავკასიის დაპყრობისათვის ბრძოლაში. ქრისტიანობის მი-

ღება ფეოდალ. კლასის მიერ საქართველოში და ამის სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები. სოც.-პოლ. მიზეზები ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად სხვადასხვა დროს გამოცხადებისა აღმოს. და დასავლ. საქართველოში. სხვა კლასების დამოკიდებულება ამ ამბებისადმი. ქრისტიანობის მიღების კულტურული მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ,,ქართველი ერის ისტორია", ტ. I.
ს. ჯანაშია, ,,საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე".

VI. ფეოდალური ურთიერთობის ზრდა

ეკონომიური დიფერენციაციის გაღრმავება თავისუფალთა წოდების შიგნით. ეკონომიურად გაბატონებული ფენის სოციალური და პოლიტიკური განვითარება. შეიარაღების როლი ამ პროცესში. მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა და აზნაურთა წოდების ჩამოყალიბება. წოდებრივი საზოგადოების სახე 5 ს. ქართლში ,,შუშანიკის მარტვილობის" მიხედვით. ანტაგონიზმის განვითარება მეფის ხელისუფლებასა და დიდ აზნაურებს შორის. ეკლესია, როგორც ფეოდალური ორგანიზაცია და მისი როლი ამ ბრძოლაში. ქართლი ირანის ვასალობაში. პიტიახში. დიდ აზნაურთა და სპარსელთა ბლოკი ქართლის მეფის წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასლის მეფობა. მეფობის გაუქმება ქართლში (523 წ.) და სპარსული მმართველობის ორგანიზაცია. ქართლის სამარზპანო. 532 ზავი.

დას. საქართველოს განვითარება. ლაზების, აფშილების, აბაზგებისა და სანიგების სამთავროების აღმოცენება. ლაზების გაძლიერება და ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს წარმოშობა. ეგრისი რომაელთა ვასალობაში. რომაელთა პოლიტიკა ეგრისში მე-6 ს. პირველ მესამედში — ადმინისტრატიული ჩარევის გაძლიერება შინაურ საქმეებში, გარნიზონების ჩაყენება, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ეგრისის მმართველი წრეების განწყობილება. რომაულ სპარსული ომები ეგრისში და მისი შედეგები (541-563 წ. წ.).

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ,,ქართული სამართლის ისტორია", ტ. I.
ს. ჯანაშია, ,,საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე".
ს. ჯანაშია, ,,ფეოდალური რევოლუცია საქართველოში", სათანადო თავები.

VII. ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბება ქართველ ტომებში. ფეოდალური სამთავროები

მეფობის გაუქმება ქართლში და ამ ფაქტის მნიშვნელობა აზნაურთა შემდგომი გაძლიერებისათვის. ანალოგიური მოვლენები დას. საქართველოს ისტორიაში. სათემო და წვრილმესაკუთრეთა მიწების დატაცება და მისაკუთრება მსხვილ მესაკუთრეთა მიერ (მე-6-9 ს. ს.). თავისუფალი გლეხების მდგომარეობის გაუარესება. ზრდა ყმა გლეხთა რიცხვისა

თავისუფალ მიწათმოქმედთა ხარჯზე. გაბატონებული კლასის შინაგანი აღნაგობის გართულება. შინაგანი დამოკიდებულების დამყარება ფეოდალთა სხვადასხვა ფენას შორის.

გარეპოლიტიკური პირობები ქართული ფეოდალიზმის განვითარებისა აღებულ პერიოდში. ბიზანტიის სუვერენიტეტის დამყარება აღმ. და დას. საქართველოში (6 ს. და მე-7 ს. პირველი ნახევარი). ადგილობრივ პოლიტიკურ მფლობელთა პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმა ბიზანტიისაგან. ქართლის საერისთაოს წარმოშობა.

არაბთა მფლობელობის დამყარება ქართლში (მე-7 ს. მეორე ნახევარი, მე-8 ს. დამდეგი). არაბული ბატონობის ხასიათი, ხარკი და სამხედრო სამსახური. პოლიტიკური მმართველობის ორგანიზაცია. თბილისის საამირო. პოლიტიკური რეჟიმის გაუარესება მე-8 ს. მეორე ნახევრიდან (ხარკის დამძიმება, სარწმუნოებრივი დევნულობის მოვლენები). თბილისის საამიროს შემდგომი განვითარება (დასუსტება და ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომა მე-9-10 ს. ს.). აღმოს. საქართველოს პერიფერიისა და დას. საქართველოს სამეურნეო და პოლიტიკური აღორძინება (მე-9-10 ს. ს.). აფხაზეთის სამეფოს, კახეთისა და ტაო-კლარჯეთის სამთავროების წარმოშობა.

ნატურალური მეურნეობა და აღებმიცემობის ხასიათ-ფარგალი მის პირობებში. საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაძლიერება. ფულად ურთიერთობათა ზრდა და ახალი ქალაქების აღმოცენება (მე-9-10 ს. ს.). კლასთა ბრძოლა სამამულო და სასესხო დამოკიდებულების ნიადაგზე. ფეოდალთა პოლიტიკური აპარატი ამ ბრძოლაში. საკოლონიზაციო მოძრაობა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოსაკენ. მონასტრების როლი ამ პროცესში. საეკლესიო მემამულეობის ზრდა.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I.
მისივე, „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში“.
ს. ჯანაშია, „არაბობა საქართველოში“, თბ., 1936.

VIII. ფეოდალური სამთავროების გაერთიანება და ფეოდალური მონარქიის წარმოშობა

ფეოდალურ სამთავროთა ბრძოლა ჰეგემონიისათვის. სხვადასხვა კლასი და შინაკლასობრივი ფენა ამ ბრძოლაში (მსხვილი ფეოდალური არისტოკრატია, წვრილი აზნაურები, ვაჭრები, სამღვდელოება). ფეოდალური სამთავროების სამეურნეო დაახლოება. სააღებმიცემო პროცესების გაფართოება. გაერთიანების ტენდენციების გაძლიერება და ამ ტენდენციების მატარებელი სოციალური ძალები (წვრილი აზნაურობა, ვაჭრები). ეკლესია — უმსხვილესი მემამულე. ამ მემამულეობის თავისებურება — მიზეზი ეკლესიის განწყობილებისა ფეოდალური პოლიტიკური დაჯგუფულობის წინააღმდეგ. აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი, როგორც უძლიერესი მონაწილენი ამ ბრძოლისა. ტაო-კლარჯეთის საბოლოო გამარჯვება და დავით კუროპალატი. სამთავროების გაერთიანება და ბაგრატ III, როგორც პირველი მონარქი გაერთიანებული საქართველოსი (978-1014 წ. წ.).

ლიტერატურა:

ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტომი II.

IX. ფეოდალური მონარქიის საეკურნეო და სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა

ა) მეურნეობა და გაცვლა-გამოცვლა.

მეურნეობის ნატურალური ხასიათი. სასახლისა და საგლეხო მეურნეობა, მეურნეობის დარგები (მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა). სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ხელოსნური წარმოების ხასიათი. ხელოსანთა კორპორაციების არსებობის საკითხი. ვაჭრობა და მისი კავშირი წინააზიის ვაჭრობასთან. ვაჭარნი, დიდვაჭარნი, ყმა-ვაჭარნი. ვაჭართ-უხუცესი. უმთავრესი სავაჭრო გზები და ქალაქები (თბილისი, ქუთაისი, დმანისი, სამშვილდე, მანგლისი, რუსთავი, ახალქალაქი, ოძრხე, ხუნანი, მცხეთა, გორი, ცხუმი, ფუთი, ხუფათი და სხვ.). სავაჭრო და სასესხო-სავაჭრო კაპიტალი. ორტაღები. ქალაქების ორგანიზაცია. ქალაქის ამირები და ბერები.

ბ) საწარმოო ურთიერთობა.

ბატონი და ყმა. ფეოდალური ექსპლოატაციის სისტემა. ყმის ვალდებულებათა სახეები. შრომითი, ნატურალური და ფულადი გამოსაღებები და მათი ურთიერთობა.

გ) სოციალური სტრუქტურა და ხელისუფლების ორგანიზაცია.

შინაკლასობრივი დიფერენციაცია. ფეოდალური იერარქია. ფეოდალური შინაკლასობრივი ურთიერთობანი. პატრონყმობა. შეწყალება. შეუვალობა. სამამულო შეწყალების სხვადასხვა სახე. სამკვიდრო, სახარაჯო და საკარგავი მამულები. გლეხობის სხვადასხვა ჯგუფი. მსახურნი. მეფის ხელისუფლების ხასიათი. დარბაზი. ფეოდალური ჯარის ორგანიზაცია. პოლიცია, სამართალი.

ეკლესიის ფეოდალური ხასიათი და მისი როლი სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დ) პატრონყმობა და ბატონყმობა.

უსაფუძვლობა ბატონყმობის ცალკე ფორმაციად მიჩნევისა ქართული მასალების მიხედვით. ქართულ ფეოდალურ დაწესებულებათა შედარება ევროპისა და აზიის ანალოგიურ მოვლენებთან. ფეოდალიზმის სპეციფიკური ნიშნები საქართველოში.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი II.
პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, 1907 წ. გამოც.

X. ბრძოლა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის (XI–XII ს.)

მონარქიის აბსოლუტისტური ტენდენციები და კლასთა ბრძოლა. ბრძოლის მონაწილე სოციალური ძალები (მეფე, წვრილი აზნაურობა და სავაჭრო კაპიტალი ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ). ადგილობრივი ხასიათი ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლისა მეფის წინააღმდეგ პირველ პერიოდში. ბაგრატ III-ის, გიორგი I-ის (1014-1027), ბაგრატ IV-ისა (1027-1072) და გიორგი II-ის (1072-1089) მეფობანი. კლდეკარის ერისთავთა ბრძოლა მეფის წინააღმდეგ, როგორც განსაკუთრებით რელიეფური ეპიზოდი ამ

ბრძოლისა. ურთიერთობა თურქ-სელჩუკებთან და მისი მნიშვნელობა შინაგანი განვითარებისათვის. ფაქტები ამ ურთიერთობისა. ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის საეკლესიო და სახელმწიფო აპარატის დაპყრობისათვის. თვითმპყრობელობის გაძლიერება და მისი ფარგლები. დავით აღმაშენებლისა (1089-1125) და გიორგი III-ის (1156-1184) მეფობათა ხასიათი. დაჭირავებული ჯარის შექმნა. საპოლიციო აპარატის გაძლიერება. ფეოდალური არისტოკრატიის ორგანიზაციული გამოსვლები მეორე პერიოდში. დემნას აჯანყება (1177 წ.). ეკლესიის ბრძოლა საგადასახადო შეუვალობისათვის. თამარის მეფობა (1184-1213 წ. წ.). გიორგი III-ის პოლიტიკური ხაზის დამარცხება. მეფის საკანონმდებლო უფლების გაუქმების ცდა და მისი წყარო (ყუთლუ-არსლანი და მისი დასი). სხვა პოლიტიკური ჯგუფები თამარის დროს. მთის თავისუფალი გლეხობის ბრძოლა ფეოდალიზაციის წინააღმდეგ.

მონარქიის ტერიტორიული ზრდა. კახეთ-ჰერეთისა და სამხრეთ პროვინციების შემოერთება. თბილისის აღება (1121 წ.) და მისი გამოცხადება სატახტო ქალაქად. მონარქიის საგარეო ომები, მათი მიზეზები, მიზნები და ფარგლები. ძველი სომხეთის სამეფოს ტერიტორიის შემოერთება. კავკასიის აზერბაიჯანის სამთავროების გადაქცევა საქართველოს ვასალურ სამთავროებად (მე-12 ს., მე-13 ს. დამდეგი). შამქორის ომი (1195 წ.). ლაშქრობა შინაგან ირანში. ყარსის აღება და ბასიანის ომი (1206 წ.). არჭეშისა და ხლათის დახარკვა. არზრუმისა და ერზინკას დამორჩილება (1206-7 წ. წ.).

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტომი II.

XI. ფეოდალური საზოგადოების კულტურა და იდეოლოგია

საეკლესიო კლერიკალური იდეოლოგიის ბატონობა 5-9 ს. ს. ანტიკლერიკალური საერო განწყობილების გაბატონება მე-11-მე-12 ს. ს. და ამისი სოციალურ-ეკონომიური მიზეზები. ინდივიდუალიზმი. რაინდობის წარმოშობა და მისი როლი ფეოდალური იდეოლოგიის შემუშავების საქმეში. კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება მწერლობაში. თეორიები მეფის უფლებისა და წოდებათა წარმოშობის შესახებ. ფეოდალური პუბლიცისტიკა. მხატვრული სტილი და მისი განვითარება მატერიალური კულტურის ძეგლებში (საკულტო და საერო შენობების არქიტექტურა, საყოფაცხოვრებო ინვენტარი, საომარი იარაღი). გლეხური ხუროთმოძღვრული სტილი (დარბაზი). ფეოდალური ურთიერთობის ანასახი ქართულ ხალხურ პოეზიაში. ბიზანტიის, არაბებისა და ირანის კულტურული გაელენები. არაბულ მეცნიერულ ცოდნათა (ასტრონომია, მათემატიკა, მედიცინა) გავრცელება და არაბ. ციფრების შემოღება საქართველოში.

პოეზია. მეხოტბენი. რაინდული რომანი. რუსთაველი.

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. II.

საქართველოს საშინაო და საგარეო ურთიერთობანი მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში

ა) სოციალური ფენები და მათი ურთიერთობა საქართველოში მე-13 საუკუნის დამდეგს.

დიდებულნი, აზნაურნი (დიდი და წვრილი), მსახურები, გლეხები (გლეხთა სხვადასხვა კატეგორიები: ნებიერნი, შეწირულნი, სიგელოსანნი, ნასყიდნი... (ვაჭრები) დიდვაჭრები, მექულბაქენი, ხელოსნები (სოფლის, ქალაქის), გლახაკები.

ქვეყნის შემდგომი ფეოდალიზაცია, როგორც შედეგი საბატონყმო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა. მოსაკრაგაეობის მემამულეობაში გადასვლის პროცესის გაძლიერება.

ბ) სახელმწიფო წესწყობილების საკითხები:

მეფე, სავაზირო (ათაბაგობის შემოღება), დარბაზი (ლაშა გიორგი და რუსუდანი. მათი პიროვნება). ლაშას კონფლიქტი დარბაზთან. ერისთავნი და ერისთავთ-ერისთავნი, მონაპირენი, ამირთ-ამირანი და ამირანი. საქართველო და ყმადნაფიცები.

გ) საგარეო ურთიერთობანი მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში.

დამოკიდებულება ბიზანტიასთან, რუმის სასულტნოსთან, სახალიფოსთან, ერანთან, ხორეზმთან, კავკასიის მთიელებთან და წინაკავკასიასთან. ფეოდალური საქართველოს ექსპანსია ლაშა გიორგის დროს.

შედეგი: ამიერ-კავკასიის სავაჭრო ქალაქების — დვინი, ანისი, ყარსი, ბაილაკანი, შამახია, შაბურანი, ყაბალა — და სავაჭრო-სატრანზიტო გზების (დვინ-არზრუმ-ტრაპიზონის და არდაველ-დარუბანდის) დაპატრონება.

ლიტერატურა:

ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XIII ს., თბ. უნ. შრომები, ტ. VI.

მონღოლთა მფლობელობის ხანა

ა. მონღოლები. მათი სოციალ-ეკონომიური სტრუქტურა მე-12 საუკუნეში. მონღოლთა გაერთიანება. ჩინგიზ-ყაენი 1210 წ. მონღოლთა სამხედრო სახელმწიფოს წარმოქმნა. ბრძოლა ქვეყნების დაპყრობისათვის. ხორეზმ-მონღოლეთი.

სხვადასხვა შეხედულებანი მონღოლთა მფლობელობის მნიშვნელობის შესახებ (ბართოლდი... დ' ოსონი). მათი კრიტიკა.

ბ) მონღოლთა მფლობელობის დამყარება საქართველოში.

მონღოლთა პირველი შემოსვლა 1220 წ. ჯალალ ედდინის უნაყოფო ცდები მონღოლთა წინააღმდეგ კოალიციის შექმნისა. ჯალალი საქართველოში. გარნისის ომი 1225 წ. თბილისის დაპყრობა. ჯალალის ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში 1227-1231 წ. მონღოლთა მოსვლა და საქართველოს დაპყრობა — მე-13 საუკუნის 35-40-იანი წლები.

გ) მონღოლთა მფლობელობის სამი ხანა: 1. ქვეყნის აღწერამდის — 1253 წ. 2. აღწერის შემდეგ - XIV ს. 30-იან წლებამდის და 3. აქედან 1415 წლამდის.

1. ხარკი (50.000 პერპერა), სამხედრო ვალდებულება. შორეული გამუდმებული ლაშქრობანი. ამის აუტანლობა ფეოდალურ საზოგადოებისათვის (შეთქმულებანი კოხტასთავს, თბილისში...).

2. 1253-4 წლ. აღწერა. ქვეყნის დაბეგვრა (ხარკის სახეები). სამხედრო ვალდებულების რეფორმა. ხარკის აკრეფის მოუწესრიგებლობა. ხას-ინჯუ. მონღოლურ ხარკისა და სამხედრო ვალდებულების სიმძიმე.

ორმეფობის შემოღება მონღოლების მიერ და ფეოდალთა დაჯგუფებანი ულუ-დავითისა და ნარინ-დავითის გარშემო XIII ს. 50-იან წლებში.

დ) საქართველოს საზოგადოებრივი კლასები მონღოლთა მფლობელობის პირობებში.

დიდებულები — მათი სოციალური აღზევება.

აზნაურები — მსხვილი და წვრილი. უკანასკნელთა ფართე წრეების სოციალური დამცრობა ეკონომიურ დაკნინების საფუძველზე.

მსახურნი — საზოგადოების ამ ფენის ეკონომიური განადგურება მუდმივ ომიანობისა და დახარკულობის ნიადაგზე.

გლეხები — (მოყალნეები). მათი დახარკულობა: სათათრო, საბატონო, სამეფო, სამოხელეო, საქვეყნო და საეკლესიო ვალდებულებანი. საბატონო რენტის დამძიმება. გლეხთა ბრძოლის სახეობანი: აყრა-დაკარგვა, ხიზნობა, მეკობრობა.

დიდვაჭრები,

ვაჭრები,

ხელოსნები,

გლახაკები.

ე) მონღოლები და ქართული სახელმწიფო წყობილება. ულუ-დავითის აჯანყება (1259-61 წ.).

ვ) მონღოლები და ეკლესია.

ეკლესიის შეღავათები ქვეყნის საერთო დახარკულობის პირობებში. საეკლესიო მამულების მოტაცება (გამოწირვა) საერო ფეოდალების მიერ და ეკლესიის ბრძოლა ამის წინააღმდეგ (1263 წლის საეკლესიო კრება).

ზ) მონღოლთა ბატონობის შედეგები საქართველოში.

მატერიალურ რესურსების ქვეყნიდან გაზიდვა, სახელმწიფო შემოსავლის წყაროთა შემცირება, საქალაქო ცხოვრების დაცემა, ინტენსიურ მეურნეობის მოშლა, მამულების ამოძრავება, საბატონყმო ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება და „ფეოდალურ ჩიხის“ ეპოქის დასაწყისი. ყმადნაფიც ქვეყნების ჩამოშორება, ფეოდალურ მონარქიის რღვევის დასაწყისი. ორმეფობა (ულუ-დავით, ნარინ-დავით), სამთავროები, ხასინჯუ (ხაჩენი, სივნიეთი, სამცხე-საათაბაგო).

თ) დიმიტრი II (1271-1289). დავით დიმიტრის ძე. მისი აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ (1295 წ.).

ი) ოსთა ჩამოსახლება ქართლში.

კ) მონღოლთა მფლობელობა მე-14 საუკუნეში.

1. ფეოდალიზაციის ტენდენციები ურდოში.

მონღოლთა ცენტრალიზმის მოშლა. უფლისწულ ნოინთა და საჰიბდიუანთა ურთიერთშორის ბრძოლა და მონღოლთა პოლიტიკური დაუძლურება. შემოსავალთა შემცირება დამორჩილებულ ქვეყნების ეკონომიურ გაურანების გამო. ყაზან-ყაენი (1295-1304). მისი ღო-

ნისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. მონღოლმფლობელთა ახალ დინასტიების წარმოქმნა (ჯუბენიანები, ჯალაირიანები).

2. საქართველოს პოლიტიკურ პირობების გაუმჯობესება.

გიორგი VI („ბრწყინვალე"). მისი ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური ღონისძიებანი. კანონმდებლობა, აღმშენებლობა. ქვეყნის გაერთიანება და ბრძოლა „მეფე"-„მთავართა" სეპარატიზმის წინააღმდეგ. წინამონღოლური წყობილების რესტავრაციის ცდა. საამისო მკაცრი ზომები. დარბაზი ციეზე. რესტავრაციის შეუძლებლობა. გიორგის პოლიტიკური რომანტიზმის საფუძვლები.

3. საზოგადოებრივი კლასები მე-14 საუკუნეში ბექა-აღბუღას კანონების მიხედვით.

მწარმოებელთა კლასის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა. სოციალური ურთიერთობა მთასა და ბარში (ბექა-აღბუღას კანონები. ძეგლის დადება).

4. საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფო წესწყობილების ახალი ეტაპი – XIV-XV ს. ს.

5. საქართველოს საგარეო ურთიერთობანი მე-14 საუკუნეში (ურთიერთობა ჯუბენიანებთან, ჯალაირიანებთან, მისრეთის სულტანთან, თურქებთან, ტრაპიზონის მეფესთან, ოქროს ურდოსთან).

დავით გიორგის ძე – (1346-1360 წ.).

ბაგრატ დავითის ძე – (1360-1393 წ.). სვანთა განდგომა.

თურქთა შემოსევა.

6. თემურ ლენგი.

მისი ვინაობა. მისი ცდები მონღოლთა სახელმწიფოს აღდგენისათვის. ბრძოლა ჯუბენიანებთან, ჯალაირიანებთან, ჯუჩიანებთან. ამიერ-კავკასია, როგორც გადამწყვეტ მნიშვნელობის მქონე უბანი ამ ბრძოლებში. თემურის მრავალგზისი ლაშქრობა საქართველოში. თემურ-ბაგრატი და გიორგი – 1386 წ.-1403. ლაშქრობათა განსაკუთრებული სიმკაცრე.

ლაშქრობათა შედეგები: მოსახლეობის (უპირატესად მწარმოებელ კლასის) კატასტროფიული შემცირება (ჭირი, ომი, შიმშილობა). ქვეყნის მატერიალურ დოვლათის განადგურება. საბატონყმო ურთიერთობის გაუარესება. ცენტრალურ ხელისუფლების დასუსტება-დაქვეითება. დიდებულთა შემდგომი გაძლიერება.

ლიტერატურა:

ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული წერილი.

ფეოდალური მონარქიის დაცემა

ა) ეპოქის სოციალურ-ეკონომიური წინამძღვრები: სააღებმიცემო პროცესის მოშლა, ქალაქების გაქრობა, სათათრო ხარკი, ბატონყმურ საექსპლოატაციო სისტემის გაძლიერება (ბეგრისა და მუშაობის სახეები, საზომ-საწყაოების გადიდების საკითხი). გლეხთა ბრძოლა ამის წინააღმდეგ. საგლეხო გადასახადების ნატურალური კომუტაცია. ქვეყნის საბოლოო დეცენტრალიზაცია, როგორც საერო, ისე საეკლესიო სფეროში. „მეფეთ მეფე", „მეფენი", „მთავრები". მეფე ალექსანდრე (1412-1442). მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. საალმშენებლო მოღვაწეობა (ხალხის მოსხმა, სოფლების დასახელება, მალი). საეკლესიო

პოლიტიკა. სამხედრო რეფორმა, ქვეყნის აღდგენის შეუძლებლობა და მისი დაშლა. ბაგრატუნიან მეფეთა სამი დინასტია: ქართლის, იმერეთის, კახეთის. კონსტანტინე, ბაგრატ, გიორგი (XV ს. 80-იანი წლები).

ბ) ახალი მსოფლიო ეკონომიური და პოლიტიკური სიტუაცია.

თურქები. მათი სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება. მცირე აზიისა და კონსტანტინოპოლის დაპყრობა თურქთა მიერ (1453 წ). ამ ფაქტის მნიშვნელობა საქართველოსთვის. მსოფლიო საქონლის გამტარებელ არტერიების დაშორება ამიერ-კავკასიისაგან სამხრეთით და ჩრდილოეთით. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის გაწყვეტა. შექმნილ ვითარების მნიშვნელობის შეგნება საქართველოში და საპასუხო ღონისძიებანი (გიორგი და კონსტანტინე). მეფეთა ცდები დასავლეთ ევროპასთან გაწყვეტილ კავშირის აღდგენისა. გეგმები თურქთა განდევნისა მცირე აზიიდან. ამ ცდების უნაყოფობა. მიზეზები: ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრების გადანაცვლება ხმელთაშუა ზღვის აუზიდან ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვათა აუზებში...

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენანი და ამის ეფექტი წინააზიასა და საქართველოზე...

ლიტერატურა:

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", ტ. IV.

ნ. ბერძენიშვილი, XV ს-ნის საბუთები (სერია: „მასალები საქ-ლს და ამ. კ. ისტორიისათვის", ტ. I).

ფეოდალური დაშლილობის ხანა (ბატონყმური „ჩიხი")

ა) ეკონომიური დაქვეითების ტენდენციები მე-16, მე-17 საუკუნეებში.

1. საშინაო და საგარეო აღებ-მიცემის, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორის დაცემა.

2. ცალკეულ მხარეთა განვითარების სხვადასხვა სახეობა.

დასავლეთ საქართველოს ჩამორჩენილობა აღმოსავლეთთან შედარებით და კახეთის დაწინაურებულობა. კახ-ბატონთა ეკონომიური და სოციალური პოლიტიკა (აბრეშუმის ვაჭრობის მონოპოლია, საერისთაოების გაუქმება და სამოურაოების დაარსება, ჯარის რეფორმა). მეფენი: გიორგი, ალექსანდრე, ლევანი, ალექსანდრე.

3. საგარეო აღებ-მიცემა საიმპორტო მინიმუმი (რკინა, მარილი, ბამბა, თევზი, იარაღი, ქსოვილები), სათანადო საექვივალენტო ექსპორტი (აბრეშუმი, ტილო, ღვინო, თაფლი, ხილი, ენდრო, ბზა). ექსპორტის ახალი საგანი – ტყვე. ტყვეთა ყიდვის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები. მისი გავლენა ქვეყნის შინაგან განვითარებაზე.

4. მე-16, მე-17 საუკუნეთა ფეოდალური საზოგადოება.

ახალი ელემენტი შინა კლასობრივ დიფერენციაციაში: თავადები (დიდებული თავადები, მეორე ხარისხის თავადები, მესამე ხარისხის თავადები), აზნაურთა ფენები: (სახასო, საეკლესიო, საბატონო, პირველ ხარისხის, მეორე ხარისხის, ცალმოგვი აზნაურები), გლეხები (მსახურნი, თარხანი, აზატი, მებეგრე, მოჯალნე-მოინალე, მოჯალაბე, მოსასახლე-მესეფე, ხიზანი-მინდობილი, მონასყიდე გლეხები, ბოგანოები, სრული ბეგრის გამომღები და შეუძლებელი).

სოციალური წყობილება ვახტანგის კანონების მიხედვით.

ბეგრისა და მუშაობის სახეობანი 16-17 საუკუნეებში. მწარმოებელ კლასის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდის. გლეხთა ბრძოლა შექმნილ სიდუხჭირის წინააღმდეგ. ბრძოლის სახეები: აყრა-ხიზნობა, ყაზახობა, „ღალატი", აჯანყება.

ბ) ყიზილბაშთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება ერანში. ერან-ოსმალეთის ბრძოლა პირველობისათვის წინა-აზიაში. ამიერ-კავკასიის და საქართველოს ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა მებრძოლ მხარეებისათვის. 1553 წლის ერან-თურქეთის ზავი.

2. საქართველოს სამეფო-სამთავროთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (ლუარსაბ, სვიმონი, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ბაგრატ III — იმერთა. ბაგრატის სახელმწიფო მოღვაწეობა. კახბატონთა პოლიტიკა — ლევან და ალექსანდრე II. მთავართა — დადიან-გურიელი, შერვაშიძე, ათაბაგი — პოლიტიკა.

3. შაჰაბაზი. მისი დროის ერანი. თურქეთ-რუსეთისა და ინგლის-პორტუგალიის ურთიერთობა ერანში. შაჰაბაზის ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ. შაჰაბაზი და ამიერ-კავკასია. მისი დამოკიდებულება ქართლ-კახეთთან.

კახეთის კატასტროფა — 1614-1616 წ. ქართლის დარბევა. თეიმურაზ I, ლუარსაბ II.

4. შაჰაბაზის ლაშქრობა და ქართლ-კახეთის კლასობრივი და შინაკლასობრივი ურთიერთობანი (სხვადასხვა „ორიენტაციები"). გიორგი საკაძე, არაგვის ერისთავი, ამილახორი, ციციშვილი, ჯავახიშვილი, ორბელიანი... მარაბდის ომი (1624 წ.). ბაზალეთის ომი (1626 წ.). ყიზილბაშთა მფლობელობის დამკვიდრება ქართლ-კახეთში. როსტომ მეფე 1634-1658 წ. მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. ერანის ცდა კახეთის დასახლებისა თურქმენულ ტომებით. მარცხი. თუშ-ფშავ-ხევსურთა ბრძოლა. ჩამოსახლებულთა გაწყვეტა. შალვა და ელიზბარ ერისთავნი და ბიძინა ჩოლოყაშვილი (1661 წ.).

გ) თურქთა მფლობელობის საბოლოო დამკვიდრება სამხრეთსა და დასავლეთ საქართველოში. სამცხე-საათაბაგოს ინკორპორაცია თურქების მიერ 1578-1625 წწ. ამ პროვინციის მოსახლეობის გამაჰმადიანების პროცესი. ამის სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები. სამცხე-საათაბაგოს დაკარგვის მნიშვნელობა ფეოდალურ საქართველოს ვითარებისათვის.

დ) „ლეკობა" — მე-17-18 საუკუნეში. მისი დასაწყისი. ჭარ-ბელაქანის „უბატონო თემების" ჩამოყალიბება. „ლეკობა" საქართველოს კლასთა ბრძოლის სინამდვილეში. „ლეკობის" მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიურ განვითარებაზე. „ლეკობა" და „ტყვის" ყიდვა — ბატონყმურ „ჩიხის" უშუალო ნაყოფი.

ე) დასავლეთ საქართველო მე-16-17 საუკუნეებში.

ლიტერატურა:

Бердзенишвили Н., Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии XIII-XVI в. в.

ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა).

ა) ახალი მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიური სიტუაცია. წინა აზია (და ამიერ-კავკასია) ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა თვალსაწიერში. ინგლის-ჰოლანდია-საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის დაინტერესება აღმოსავლეთით. ევროპული საქონელი ამიერ-კავკასიაში რუსეთ-ერან-ოსმალეთის გზით. რუსეთის პოლიტიკის აქტივიზაცია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. პეტრე I და ერანი.

საქართველო რუსეთ-თურქეთ-ერანის ინტერესთა შუაში. ვახტანგ VI — მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ვახტანგის გარდახვეწა რუსეთში 1724 წ. თბილისის აოხრება მაჰმადყულიხანის (კონსტანტინე) მიერ და ქართლის დაჭერა თურქთა მიერ — 1723 წ. ნადირ-შაჰი და ქართლ-კახეთი 1744 წ.

ბ) გარე პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება (მე-18 საუკ. მეორე ნახევარი). ქართლ-კახეთის გაერთიანება. ერანის პოლიტიკური დაშლილობა. რუსეთთან ურთიერთობის გაცხოველება. დარიალის გზის გახსნა და თბილისის წინ წამოწევა. აღებ-მიცემის გაცხოველება. თბილისი ხელოსნობისა და აღებ-მიცემის ცენტრი. სამთამადნო წარმოების გაჩენა. დაქირავებული და ბეგრის შრომა ქალაქსა თუ სოფელში. ფეოდალურ მეურნეობის ტიპი (დარეჯანის მეურნეობა, აზნაური ფიცხელაურის, ოსეშვილის მეურნეობა), გლეხის მეურნეობა. ვაჭრობის სახე და ვაჭართა ეკონომიური ვითარება. ცენტრალურ ხელისუფლების გაძლიერების ცდები კლასობრივ ძალთა ახალ განწყობილების საფუძველზე.

გ) თეიმურაზ-ერეკლე.

1. ლეკობის საკითხი ქართლ-კახეთის წინაშე. ლეკობის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის აუცილებელი პირობები. ერეკლეს შინაპოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ღონისძიებანი. დამოკიდებულება საფეოდალოებთან (საერისთონი, საამილახრო, საციციანო, საორბელიშვილო), ვაჭარ-ხელოსნებთან, მთის მოსახლეობასთან.

2. ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა (სახასოებისა, საბატონოებისა, ხიზნებისა და ბოგანოების მიმართ).

3. ჯარის საკითხი ერეკლეს წინაშე.

ნოქარი, საბატონყმო, უცხოური (ლეკები, ოსები, ჩერქეზები), ჯარის ახალი სისტემა: „მორიგე“ — 1774 წ. მისი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა. მორიგე ჯარის გაუქმება. ამის მიზეზები. ცენტრალურ ხელისუფლების ბიუროკრატიულ მისწრაფებათა და ფეოდალურ არისტოკრატიის პოლიტიკურ იდეების შეურიგებლობა. საშუალო ფენების (ვაჭრები, ხელოსნები, წვრილი აზნაურები) სისუსტის მნიშვნელობა ამ საქმეში.

4. გლეხთა ეკონომიური კატეგორიები: დაქირავებული შრომით მოსარგებლე გლეხები, საშუალო ფენა — სრული ბეგრის გამომღები, შეუძლებელი გლეხები.

5. ერეკლეს საგარეო პოლიტიკა.

ურთიერთობა სპარსეთ-ოსმალეთთან, რუსეთთან, ცდები ევროპასთან უშუალოდ დაკავშირებისა. ურთიერთობა მთასთან (ლეკები, ოსები, ჩერქეზები), ამიერ-კავკასიის სახანოებთან, ლიხთ-იმერეთთან და სამცხე საათაბაგოსთან.

ერევნისა და განჯის სახანოების დამორჩილება-დახარკვა 1749-1750 წ.

ფეოდალურ სახელმწიფოს კრიზისი და 1795 წლის მარცხი (კრწანისის ომი).

7. სახელმწიფო პოლიტიკური აზროვნება მე-18 საუკუნის დასასრულისათვის (ალექსანდრე ამილახვარი, შაჰამირიანი, სოლომონ ლეონიძე, იოანე და დავით ბატონიშვილები).

8. კულტურული მიმოხილვა მე-18 საუკ. საქართველოსი. ლიხთ-იქითის და სამცხე-საათაბაგოს მიმოხილვა მე-18 საუკუნეში. ალექსანდრე V, სოლომონ I და II.

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის მიმოხილვა.

პირველი ფაქტები. რუსეთის ორიენტაციით დაინტერესების ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები. რუსულ სავაჭრო კაპიტალის ინტერესები სამხრეთში (ერანში). ამ ინტერესთა სისუსტე საქართველოში და დაახლოვების პირველი ცდების უნაყოფობა მე-16, მე-17 საუკუნეებში). რუსეთის დაინტერესების გაძლიერება საქართველოში მე-18 საუკუნეში. ამის პოლიტიკურ-ეკონომიური სარჩული. გზების ძიება ერანსა და თურქეთისაკენ საქართველოზე. შემხვედრი ტენდენციები საქართველოში და კლასობრივ ინტერესების დაჯგუფებანი ამ საკითხის გარშემო. სხვადასხვა ორიენტაციები და ამის კლასობრივი საფუძვლები. 1783 წლის ტრაქტატი. ანექსია – 1801 წ. რუსეთთან შეერთება, როგორც უმცირესი სხვა ბოროტებათა შორის.

ლიტერატურა ახალი საუკუნეებისათვის:

გ. ნათაძე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა.

ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა).

გ. ნათაძისა და ს. კაკაბაძის წერილები ჟურნალში: "История классовой борьбы в Закавказии".

29. სიტყვა,

წარმოთქმული საქ. სსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ბ. სტურუას მიერ აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის დაკრძალვაზე

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ სამუდამოდ ვემშვიდობებით გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილს.

ამ შესანიშნავი ადამიანის სიკვდილმა ღრმად დაამწუხრა არა მარტო მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები და მოწაფეები, არამედ აგრეთვე მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების ყველა მუშაკი, მთელი საქართველოს მშრომელნი, რადგან ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა ჭეშმარიტი მეცნიერების სამსახურს, მშრომელი ხალხის სამსახურს.

საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით მე მწუხარებას გამოვთქვამ ამ მძიმე დანაკლისის გამო და უღრმეს თანაგრძნობას ვუცხადებ განსვენებულის ოჯახის წევრებს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს.

ივანე ჯავახიშვილი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ და სასარგებლო მეცნიერულ მუშაობას. მისი ნიჭი განსაკუთრებით ფართოდ გაშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა დიდ მეცნიერს შექმნილი ჰქონდა ყოველგვარი პირობები მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

დიდია ჯავახიშვილის ღვაწლი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების აყვავების საქმეში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილი არის ქართველი ხალხის — საბჭოთა კავშირის ამ ერთ-ერთი უძველესი ხალხის — მეცნიერული ისტორიის შემქმნელი. დაჯილდოებული იყო რა შესანიშნავი ბუნებრივი ნიჭით, სახელოვანი მეცნიერი დაუღალავად მუშაობდა, იგი უდიდესი სიყვარულით, საქმის ღრმა ცოდნით აგროვებდა და მეცნიერულად ამუშავებდა მშობლიური ქვეყნის ფაქტებით სავსე, მდიდარი ისტორიის მასალებს, ახდენდა ახალ დიდმნიშვნელოვან აღმოჩენებს, ხელმძღვანელობდა და ზრდიდა ახალგაზრდა მეცნიერთა მრავალრიცხოვან კადრებს.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილი თავის ამოცანას ვიწროდ როდი ჰფარგლავდა. იგი, როგორც ნამდვილ მეცნიერს შეჰფერის, მშობლიური ქვეყნის ისტორიასთან ერთად, დიდი სიყვარულით იკვლევდა მეზობელ, მოძმე ხალხთა ისტორიასაც. მისი შრომები ამიერკავკასიის ხალხთა, კერძოდ, სომხეთის ხალხის ისტორიაზე ძვირფასი განძია მეცნიერებაში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი დიდად აფასებდნენ თავისი გამოჩენილი მეცნიერის მოღვაწეობას. 1938 წელს საქართველოს მშრომელებმა ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. პარტიამ და მთავრობამ იგი დაჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

მშრომელთა სიყვარულით, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღფრთოვანებული ივანე ჯავახიშვილი უდიდესი ენერგიით განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას, მაგრამ სიკვდილმა მას მოუსწრო საბრძოლო პოსტზე.

აღარა გვყავს დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი, მაგრამ მის ხსოვნას არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი საბჭოთა ხალხი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. XVIII. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1941, გვ. XIII-XIV.

30. სიტყვა,
წარმოთქმული პროფ. ა. შანიძის მიერ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე

ძვირფასო მასწავლებელო, სახელოვანო მეცნიერო, დიდო ივანე!

მე წილად მხვდა უმძიმესი მოვალეობა: უკანასკნელი სიტყვა გითხრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, იმ უნივერსიტეტისა, რომელსაც შენ ჩაუყარე საფუძველი.

შენ არაჩვეულებრივი მოვლენა იყავ ჩვენს ცხოვრებაში: შენში თანაბრად შეზავებული იყო ბუნება დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანისა.

შენ დიდი იყავ, ბუმბერაზი იყავ იშვიათი ნიჭით, გონების გამჭრიახობით, მრავალმხრივი ცოდნით, ენერგიული შრომით, ფართო საქმიანობით, მდგომარეობით, მოვალეობის შეგნებით, მაგრამ ამასთანავე ერთად შენ გამკობდა და გამშვენებდა ბუნებრივი უბრალოება და მეტისმეტი თავმდაბლობა, რომელიც ეგრე ხიბლავდა ყველას, ვისაც კი ერთხელ მაინც რაიმე საქმე ჰქონია შენთან.

მართალია, შენ სუსტი იყავ ფიზიკურად, მაგრამ ძლიერი სულიერად. წლების მანძილზე შენი ჯანმრთელობა საფრთხეში იყო ქრონიკული სნეულებისაგან, მაგრამ შენ ძლიერი ნებისყოფა აყრუებდა მწვავე ტკივილებს და არ აძლევდა მათ საშუალებას, რომ ხელი შეეშალათ შენი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის. ამ მხრივ შენ გმირი იყავ და მისაბაძი მაგალითი ყველასათვის.

შენ სისტემატურად იკვლევდი საქართველოს წარსულს, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეგიწყვეტია ზრუნვა მისი აწმყოსათვის და საქმიანობა მისი ბედნიერი მომავლისათვის.

მგზნებარე მამულიშვილო, შენ გახარებდა და გაფრთოვანებდა ყველაფერი, რაც ხელს უწყობდა მეცნიერების განვითარებას, ხელოვნების გაფურჩქნასა და ტექნიკის დაუფლებას ჩვენში. ამიტომ იყო, რომ დიდი კმაყოფილებით ჰხვდებოდი შენ ახალ-ახალ უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას, საყოველთაო სწავლის გავრცელებასა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ჩვენში.

შენ გახარებდა ყველაფერი, რაც ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად მოღონიერებასა და დაწინაურებას. ამიტომ იყო, რომ აღტაცებით ეგებებოდი ელექტროსადგურებისა და ქარხნების გამრავლებას, კოლხეთის დაბლობის ამოშრობის პრობლემის გადაწყვეტას, იქ ტექნიკურ კულტურათა ბაღნარის შექმნას, სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას ქართლში, ამ საქართველოს გულში და სხვა მნიშვნელოვან დადგენილებას პარტიისა და ხელისუფლებისას.

შენ ყველაზე კარგად გესმოდა, რომ იმ ხანმეტ ტექსტებსა და ახალ საისტორიო წყაროებს, რომლებიც შენ აღმოაჩინე და გამოეც, იმ ძვირფას არქეოლოგიურ გათხრებს, რომელთაც შენ აგრე ოსტატურად ჰხელმძღვანელობდი ან სხვა სახის სამეცნიერო მუშაობას, რომელსაც შენ აწარმოებდი, იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი, წარსულის შესწავლით და გამოკვლევით, ემსახურებიან აწმყოსა და მომავლის საქმეს, ფართო მასების ინტერესებს.

დიდო მეცნიერო, შენ მრავალი პირველხარისხოვანი გამოკვლევა დაგვიტოვე: „ქართველი ერის ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „ქართული მუსიკის ისტორია“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და სხვა და სხვა. მაგრამ შენ მიერ

გაკეთებულ დიდ საქმეებს შორის ყველაზე დიდია და ძვირფასი ის მეთაურობა, რომელიც შენ იკისრე დიდი სამეცნიერო მოძრაობის დროს, რომელიც მოჰყვა პირველ მსოფლიო ქარტეხილს და რომელმაც ფართო გასაქანი ჰპოვა დიადი ოქტომბრის შემდეგ. ამ მოძრაობის ნაყოფია შენ მიერ საფუძველ-ჩაყრილი უნივერსიტეტი, რომელმაც თავისი წიაღიდან რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი წარმოშვა.

სხვა რომ არაფერი გაგეკეთებინა რა, ესეც სრულიად საკმარისი იქნებოდა შენი სახელის უკვდავსაყოფად. მაგრამ ამის გარდა შენ აღზარდე მრავალი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლებიც მუდამ კრძალვითა და მადლობით ახსენებენ შენს სახელს.

დიდო ივანე! შენს მოწაფეებად თვლიან თავს არა მარტო ის პირნი, რომელნიც შენი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ (ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ფილოლოგები, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი, ხელოვნების ისტორიკოსები, არქეოლოგები ან ეთნოგრაფები), არამედ მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლებიც: ბუნებისმეტყველები და სხვანი.

შენ სიფაქიზისა და მეცნიერული სინიდისის განსახიერება იყავ, რითაც შენ დიდი ამაგი დასდევ ბევრს, მრავალს, უამრავს.

ამიტომაა, რომ ყველა პატიოსანი ადამიანის გულში დაისადგურა შენმა უმწიკვლო სახელმა, ამიტომაა, რომ ყველგან ჰპოვე ღრმა სიყვარული და უსაზღვრო პატივისცემა, ამიტომაა, რომ ეგრე დიდი ავტორიტეტი გქონდა ყველას თვალში, ამიტომაა, რომ პარტიამ და ხელისუფლებამ სათანადო ნდობით, მზრუნველობითა და პატივისცემით აგჭურეს და ღირსეულად დაგაფასეს შენი უზარმაზარი ღვაწლი.

მეცნიერების დიდო ქურუმო! ამიტომაა, რომ როცა ოთხი დღის წინათ, 18 ამ თვეს, საღამოს, ერთი საათისა და 15 წუთის განმავლობაში უაღრესად მნიშვნელოვანი მოხსენების კითხვის დროს არ დაინდე შენებური მარილიანი სიტყვების მოსასმენად მოსული შენი მოწაფეები, მეგობრები და პატივისმცემელნი და უეცრად, 9 ს. და 40 წუთზე, ყველას თვალწინ, შესწყვიტე არა მარტო მოხსენების კითხვა, არამედ საუბარი და, ვაი, რომ კეთილშობილი გულისცემაც სამუდამოდ. ყველა იქ მყოფთ ძარღვებში სისხლი გაუშრა, გონება დაებნა, ყველა შიშის ზარმა აიტანა. კარგად ვიცით, რომ ჩვენში ამ დროს სტიქიური კატასტროფა, ვთქვათ, მიწისძვრა, არ ყოფილა, მაგრამ მთელი საზოგადოება შეშფოთდა და შეძრწუნდა, მღელვარებამ მოიცვა მთელი თბილისი, შორს გაისმა გლოვის ზარი.

დაუჯერებელი იყო და დღესაც დაუჯერებელია შენი სიკვდილი. არა, შენისთანა დიდბუნებოვანი ადამიანები არ კვდებიან! შენ მხოლოდ ხორციელად გვეყრები, თორემ შენი ფიქრები და აზრები, შენი ზღვა სიყვარული სამეცნიერო მუშაობისადმი, შენი გმირული თაყდადება და ბრძოლა სამართლიანი საქმისათვის, შენი გულის წვა და დაგვა სამშობლოს წარსულის შესწავლისა და მომავლის აყვავებისათვის ანდერძად რჩება შენს საყვარელ უნივერსიტეტში, შენს მოწაფეებში, შენ მიერ აღზრდილ კადრებში, რომელნიც მტკიცე ფიცს სდებენ, რომ პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას.

შავად არის შემოსილი შენი და ჩვენი უნივერსიტეტი, რადგანაც უკანასკნელად გიყურებს თავის დიდ მოჭირნახულეს. თუმცა დღეს მზე თბილისის ცაზე კაშკაშებდა, მაგრამ შენი პატივისმცემლების გულში, აქ შემოკრებილი საზოგადოების გულში სიბნელეა და წყვდიადი.

შენ, უნივერსიტეტის ფუძემდებელმა, უნივერსიტეტისაგე ეზოში ჰპოვე უკანასკნელი და, ამავე დროს, საუკუნო თავშესაფარი, ახლოს იმ დაწესებულებასთან, სადაც შენ ბევრჯერ გინახავს არა მარტო გახარება და აღტაცება, არამედ აგრეთვე დიდი მწუხარებაც.

განისვენე ტკბილად, ძვირფასო მასწავლებელო, შენს გულითად მეგობარ პეტრე მელიქიშვილთან ერთად, რომელიც, შენივე დაჟინებული თხოვნის თანახმად, უნივერსიტეტის პირველ რექტორად იქნა არჩეული.

დიდია ჩვენი დანაკლისი შენი ფიზიკურად მოშორების გამო, მაგრამ ტირილი და გლოვა არ გვმართებს, რადგანაც „ტირილითა და გელეენითა მტერნი არ შეგვიბრალებენ".

ჩვენ ვალად გვაძევს შეუდრეკელად სიარული იმ ფართო სამეცნიერო გზით, რომელიც შენ პირველად გაჰკაფე ჩვენში. ჩვენ ვალად გვაძევს, მთელი ჩვენი ძალღონე შევალიოთ შენს საყვარელ საქმეს - მეცნიერების აყვავებას და ქვეყნის სამსახურს.

ბევრია შენი მადლიერი, დიდო მასწავლებელო, კერძოდ მეც დიდად დავალებული ვარ შენგან. პირადად შენთვის მე არასოდეს არ მითქვამს მადლობა იმ დიდი ამაგისათვის, რომელიც შენ გაწეული გაქვს ჩემზე. ამიტომ ჩემს უძვირფასეს მოვალეობად მიმაჩნია, საჯაროდ მოგახსენო უღრმესი მადლობა შენი დედამიწის ზედაპირზე უკანასკნელი ყოფნის წუთებში.

უღრმესად გმადლობ, ძვირფასო მასწავლებელო!

მშვიდობით, დიდო მეცნიერო და დიდო ადამიანო!

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. XVIII. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1941, გვ. XV-XVII.

31. ვახტანგ პარკაძის მოგონებიდან
„ორი სიტყვა „ივანე დიდზე"

1935 წელს „ახალგაზრდა კომუნისტში" ვთანამშრომლობდი, რედაქციის დაკვეთით „შესანიშნავი ადამიანების" რუბრიკით ვწერდი გამოჩენილი ფიზიკოსების შესახებ. სწორედ მაშინ დამებადა აზრი, შემესწავლა ჩემი ქვეყნის წარსული ფიზიკის დარგში.

იმ დროს საქართველოში ზუსტი მეცნიერების ისტორიაში არავინ მუშაობდა და ამიტომ გადავწყვიტე, მიმემართა იმ ადამიანისათვის, რომელმაც ახლო წარსულში, ერთი სრულიად უბრალო შემთხვევის გამო, ჩემზე და რამდენიმე ჩემს მეგობარზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ეს იყო პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

იმ დროს თბილისის უნივერსიტეტს ერთადერთი შენობა — დღევანდელი I კორპუსი ჰქონდა. სტუდენტთა კონტინგენტიც, დღევანდელთან შედარებით, გაცილებით მცირე იყო, ამიტომ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები ერთმანეთს კარგად ვიცნობდით და ვამხანაგობდით კიდეც.

მახსოვს, ერთხელ ლექცია გავცივდა. II სართულის მოაჯირებზე ნახევრად ჩამომსხდარნი ვსაუბრობდით. ჩვენთან ერთად ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებიც იყვნენ, როცა ვკითხე: აქ უსაქმოდ რადა ხართო, გვიპასუხეს: „ახლა ჩვენთან ლექციას კითხულობს პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. აუდიტორიაში ორი მთვრალი სტუდენტია და ვერაფრით ვერ გამოვიყვანეთ, ისინი აუცილებლად ჩაშლიან ლექციას. ჩვენ არ გვინდა, ამის მოწმენი გავხდეთ". ამ ამბავმა ჩვენზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები ხშირად ვესწრებოდით ივ. ჯავახიშვილისა და შ. ნუცუბიძის ლექციებს. გამოსვლის ზარი ჯერ არ იყო დარეკილი, რომ III სართულიდან ხელზე პალტოგადაკიდებული პროფესორი ივ. ჯავახიშვილი დავინახეთ. იგი სრულიად დამშვიდებული, ოდნავ ფერმკრთალი ჩანდა. მისი დანახვისთანავე ჩვენ მოაჯირს ჩამოვეცალეთ და გავსწორდით. ეს არ გამოეპარა მას. ეტყობა, ესიამოვნა, ჩვენს წინ შეჩერდა და გვკითხა, რომელი ფაკულტეტის სტუდენტები ვიყავით. პასუხზე მადლობა გვითხრა და დაგვშორდა.

ზარის დარეკვის შემდეგ შევიტყვეთ, რომ მთვრალებმა „თავისი საქმე" გააკეთეს, ივ. ჯავახიშვილი აიძულეს, აუდიტორია დაეტოვებინა.

ეს იყო ჩვენს ქვეყანაში წამოწყებული მახინჯი მოვლენის — ე. წ. „კონდრატიევშჩინის" გამოძახილი.

ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი სამუშაოდ თბილისის სახელმწიფო მუზეუმში გადავიდა.

ვ. პარკაძე. მოგონებები ქართველ მეცნიერებზე. „მეცნიერება", თბილისი, 1994, გვ. 7-8.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე 3

კონლრატიევშჩინა საქართველოში (1930 წლის 13–17 დეკემბერი). დოკუმენტები და მასალები 29
პირველი სხდომა (1930 წლის 13 დეკემბერი) 33
მეორე სხდომა (1930 წლის 14 დეკემბერი) 45
მესამე სხდომა (1930 წლის 15 დეკემბერი) 62
მეოთხე სხდომა (1930 წლის 17 დეკემბერი) 85

დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ (1936 წლის 23 მარტი – 2 აპრილი). დოკუმენტები და მასალები 115
პირველი სხდომა (1936 წლის 23 მარტი) 121
მეორე სხდომა (1936 წლის 26 მარტი) 173
მესამე სხდომა (1936 წლის 28 მარტი) 231
მეოთხე სხდომა (1936 წლის 31 მარტი) 257
მეხუთე სხდომა (1936 წლის 2 აპრილი) 279

დანართი 309
1. ფილიპე მახარაძის ნაშრომიდან „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ (1904 წ.) 311
2. ფილიპე მახარაძე. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა 312
3. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია 318
4. ქართულ უნივერსიტეტის შესახებ სიმართლე – ყველასათვის 320
5. ამხ. სერგო ორჯონიკიძეს 326
6. ფილიპე მახარაძის ნაშრომიდან „მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები“ 330
7. Из доклада председателя грузгэпэу Л. Берия от 5 апреля 1928 г. 331
8. ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი 332
9. კონდრატიევშჩინა საქართველოს სინამდვილეში 338
10. კონდრატიევშჩინა ჩვენს სინამდვილეში 341
11. კონდრატიევშჩინა საქართველოში 344
12. გრიგოლ ნათაძე. საქართველოს ისტორიის საერთო მეთოდოლოგიის საკითხი და მისი სწავლების მეთოდები 349
13. ფილიპე მახარაძის ნაშრომიდან „მ. ნ. პოკროვსკი, როგორც ისტორიკოსი-მარქსისტი“ 361
14. Из Отчета закавказского краевого комитета (Л. Берия) 363
15. Выступление Филиппа Махарадзе на VII съезде коммунистических организаций Закавказья (18 января 1934 года) 365
16. შენიშვნები „სსრკ-ის ისტორიის“ სახელმძღვანელოს კონსპექტის შესახებ 367

17. შენიშვნები „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოს კონსპექტის შესახებ 369
18. Секретарю ЦК КП(б) Грузии – тов. Л. Берия 371
19. Секретарю ЦК КП(б) Грузии – тов. Л. Берия (по поводу заявления секретаря парткома госунта тов. С. Гегенава) 373
20. საკ. კომპ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტს – ამხ. სტალინს (ტფილისის პარტაქტივის მისალმება) 376
21. ლავრენტი ბერიას მოხსენებიდან: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ 378
22. განძი ბოლშევიზმის მატიანეში 381
23. ივანე ჯავახიშვილის 34 კერძო წერილი 384
24. საკავშირო კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრკ-ის სახკომსაბჭოს დადგენილება 431
25. მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი 432
26. საბჭოთა კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ 436
27. საქართველოს ისტორიის პროგრამა (დაუსწრებელი პედინსტიტუტებისათვის) 438
28. საქართველოს ისტორიის პროგრამა 449
29. სიტყვა წარმოთქმული საქ. სსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. სტურუას მიერ აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის დაკრძალვაზე 463
30. სიტყვა წარმოთქმული პროფ. ა. შანიძის მიერ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე 465
31. ვახტანგ პარკაძის მოგონებიდან – „ორი სიტყვა „ივანე დიდზე“ 468

გამომცემლობა **არტანუჯი**

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ბ. 25-05-22, 8 99 25-05-22, 8 93 25-05-22.
artanuji@telenet.ge